ალექსანდრე ალექსიძე

1832 წლის ოქტომბერი

წინასიტყვაობა
მასალები
კომენტარები

ტომი
II

„საბჭოთა
საქართველო"

1970

პროფესორ გ. გოზალიშვილის ნაშრომი „1832 წლის შეთქმულება“ (წინასიტყვაობა, მასალები და კომენტარები), ავტორის მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს გამოქვეყნებული წიგნის („1832 წლის შეთქმულების“) გაგრძელებაა.

ამ წიგნში ავტორმა თავი მოუყარა დიდსა და საინტერესო მასალას 1832 წლის შეთქმულების შესახებ. აქვეა ისტორიული საბუთები, რომლებიც ნათელს ფენენ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის დღემდე ბურუსით მოცულ მრავალ პრობლემას. გარდა ამისა, პროფ. გ. გოზალიშვილის წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს ახალსა და საინტერესო მასალებს ქართული ლიტერატურის მრავალი გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

პროფ. გ. გოზალიშვილის ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, არამედ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასაც.

1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა

საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის შესწავლაში თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება 1827-32 წლების მოძრაობას, რომელიც ნაყოფია, ერთი მხრით, რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა; მეორე მხრით — საქართველოს შიგნით სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი საფუძვლიანი ძვრებისა, და ბოლოს, იმ დროს დასავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით კი თვით რუსეთში გაცხოველებული ლიბერალური მოძრაობის უშუალო გავლენისა.

როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატით უნდა უზრუნველყოფილიყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა რუსეთის მფარველობის ქვეშ. საქართველოს მესვეურთ სჯეროდათ, რომ მეფის რუსეთთან კავშირით და მისი მფარველობით იგი სახელმწიფოებრივ სუვერენობას შეინარჩუნებდა. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რა დიდად უნდა ყოფილიყვნენ ქართველები გულგატეხილი 1801 წლის მანიფესტით, რომლითაც საქართველო, როგორც უბრალო რამ პროვინცია, რუსეთთან შეერთებულად ცხადდებოდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას სიცოცხლის უნარის მქონე ხალხი ვერ შეურიგდება და ქართველებისათვისაც ადვილი არ იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობაზე ხელი აეღოთ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედი სავსეა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდებით, რომელთა შორისაც თავისი გრანდიოზულობითა და ხალხურობით შესანიშნავი არის 1802-3 წლების მოძრაობა, 1804 წლის მთიულეთის ცნობილი აჯანყება, კახეთის ამბოხება 1812 წელს, ეპიზოდი ფრიაჟ საინტერესო, რომელშიც გადახლართულია ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალური უკეღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტები; 1820 წლის იმერეთის აჯანყება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ბრძოლას უფრო სტიქიური ხა-

სიათი ჰქონდა, ნაკლებად ორგანიზებული იყო... მაგრამ თანდათანობით გაჩნდა შეგნება, რომ შედეგი მხოლოდ ერთიან, ორგანიზებულ, შეგნებულად მომზადებულ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს. ამგვარი შეგნების შედეგია სწორედ 1832 წლის შეთქმულება, რომლის მაგალითებიც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი სხვა ერების ისტორიაშიც გვხვდება იმ ეპოქაში.

მეფის რუსეთს, რომელიც ახალი ბაზრებისა და ნედლეულის ძიებაში ჩაგდებისაკენ ისწრაფოდა, დიდი ხანია თვალი ეჭირა კავკასიასა და ამიერკავკასიაზე, როგორც ასეთ პლაცდარმზე, საიდანაც მას შეეძლო აღმოსავლეთში გაჭრა.

ასეთი მისწრაფება უკარნახებდა რუსეთის ცარიზმს შემოეერთებინა აღნიშნული მხარეები, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის მრავალი სიკეთე შეეთავაზებინათ როგორც თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეებით, აგრეთვე გეოგრაფიული მდებარეობით, განსაკუთრებით ამიერკავკასიას — მთავარ მაგისტრალს ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობისათვის. აღნიშნული სიკეთენი კარგად იყო გათვალისწინებული და ამიტომაც რუსეთის ცარიზმი ბეჯითად და სისტემატურად ცდილობდა კავკასიისა და ამიერკავკასიის სამფლობელოთა შემოერთებას, არ ერიდებოდა იგი არავითარ საშუალებას დასახული მიზნის მისაღწევად.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მყოფ პოლიტიკურ-ეკონომიურ ერთეულთაგან მხოლოდ საქართველო წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი იმავე დროს ყველაზე უფრო კულტურული იყო იმ სახანოთა შორის, რომლებიც მას ირგვლივ ეხვია, და მუსლიმანურ სარწმუნოებას აღიარებდნენ. პირველი ნაბიჯი სწორედ საქართველოს შემოერთებისათვის იქნა გადადგმული.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო გავრცელებული. რელიგიური მომენტი ცარიზმმა მაქსიმალურად გამოიყენა, რასაც საქართველოს ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა: თვით ქართველი ხალხის იმდროინდელმა მესვეურებმა საგარეო ორიენტაციის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ უმთავრესად (ოფიციალურად მაინც) ამ ერთმორწმუნეობის გამო გადასწყვიტეს, მისცეს რა მას უპირატესობა მუსლიმანური (ირანულ-თურქული) ორიენტაციის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ერთმორწმუნე დიდი ერი ასეთივე პატარა ერის მიმართ მშობლიურ მზრუნველობას გამოიჩენდა. ამ გარეგნოების წყალობით, მეტად გაუადვილდა რუსეთის ცარიზმს ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება. საქართველოს საგარეო ორიენტაციის

ზემოაღნიშნულ გეზს შედეგად მოჰყვა 1783 წლის ტრაქტატი, რომ-ლის ძალითაც საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა. იგი ვალდებული იყო დაეცვა საფარველს ქვეშ შესულის სახელმწიფოებრივი სუვერენობა. მაგრამ ტრაქტატის პირობები ძალიან ეფემერული აღმოჩნდა და უკვე 1801 წლის მანიფესტით საქართველო რუსეთის იმპერიის ერთ შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა ამ გარემოებამ დიდი იმედის გაცრუება გამოიწვია ქართველებში და განსაკუთრებით იმათში, რომელნიც რუსეთის ორიენტაციის მომხრენი და ხელის შემწყობნი იყვნენ.

ეს შეიქნა აგრეთვე სიბაბი იმისათვის, რათა რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგენი აქტიურად ამოქმედებულიყვნენ.

მართლაც, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო ამოძრავდა ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამ სურათის გასათვალისწინებლად საკმარისია თუნდ ერთ ოფიციალურ დოკუმენტს მოვუსმინოთ. იმერეთში მყოფი რუსეთის ელჩი სოკოლოვი გენერალ ლაზარევს წერილით ატყობინებდა: „მეფე სოლომონი,[1] უარს ამბობდა რა მისი იმპერატორობით უმაღლესობის მოთხოვნაზე, ცდილობდა, თუმცა, მწუხარებით, წარმოედგინა ჩემთვის, მისი აზრით, ამ დაბრკოლების ფრიად დამარწმუნებელი მიზეზები, ნამდვილად კი უმთავრესი მიზეზი მისი ჯიუტობისა არის მისი მჭიდრო კავშირი ბაგრატიონთა ზრახვებთან, რათა გაანთავისუფლონ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობისაგან და განახლებულ სამეფო ტახტზე ბატონიშვილი იულონი აიყვანონ. იმერეთში მყოფ იმ პირთა დარწმუნებით, რომელთაგანაც მე ეს ცნობები მივიღე, ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებენ განსვენებული ერეკლე მეფის მეუღლე და მისი ძე ბატონიშვილი ვახტანგი, აქვთ მიწერ-მოწერა იმერეთში გადახვეწილ ბატონიშვილებთან[2] და თვით მეფესთან, რომელიც ცდილობდა რა ყოველი ღონისძიებით მოქმედებას, გააპარა ალექსანდრე ბატონიშვილი ყველა მეზობელ აზიელ მფლობელებთან ღია წერილით, რომელშიაც მისი უმაღლესობა მოუწოდებს რა ამ მფლობელებს შეერთებული ძალებით რუსეთის ჯარზე თავდასხმისათვის საქართველოს სამეფოს აღსადგენად, და ახალციხის ფაშას სთხოვს რა დახმარებას ლეკების საშუალებით, — აღუთქვამთ ყველა მათ მისგან დამოკიდებულ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას. ახალციხის ფაშამ კი აღჭურვა ბატონიშვილი

---

1 იმერეთის მეფე.

2 1800 წლის შემდეგ, ბატონიშვილები: იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე იმერეთში გადავიდნენ.

ალექსანდრე მსგავსივე, სულთნის ყალბი ბეჭდით დაბეჭდილი ბარათით, რომლითაც, ვითომც და თვით სულთნის სახელით, აღუთქვამს ყველა ზემოხსენებულ აზიურ სამფლობელოების თურქთა ჯარებითა და პორტაზე[1] დამოკიდებული ყოველგვარი შესაძლებლობით დახმარების აღმოჩენას.

საქართველოს ტახტის აღსადგენად სამეფო სახლის ყველა წევრთა შეთანხმების მიზნით, დიდი ხანია, რაც ნათესავთა მოხილვის საბაბით საქართველოში იმყოფებოდა ვინმე თავადი სოლომონ ლეონიძე[2], რომელსაც თანა ჰქონდა იმერეთის მეფის წერილი კახელ და ქიზიყელ თავადთადმი, რომელშიც მეფე, აცნობს რა თავის მოღვაწეობას მათ სასარგებლოდ ალექსანდრე ბატონიშვილის საშუალებით, ურჩევს მათაც, რომ ამ გზას დაადგნენ. თუმცა მეფემ წარმომიდგინა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მას იმპერატორის წინადადებაზე დათანხმდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ეშმაკური ხრიკია და თუმცა მისმა უმაღლესობამ ინება ეთქვა ჩემთვის, რომ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის საპასუხო სიგელის შესადგენად თავისი მდივანი, რომელიც საკუთარ საქმეებზე თბილისშია წასული, — დაიბარა, მაგრამ ამის ნაცვლად მეფე თავის მოქმედებას უთანხმებდა იმერეთში მყოფ ბატონიშვილთა საქმიანობას, რომლებმაც, როგორც მე ეს გადმომცეს, ჩემს იქ ყოფნის დროს დასტოვეს ქუთაისი, მიუახლოვდნენ ქართლის საზღვარს და იმყოფებოდნენ სვირში, სურამიღან 40 ვერსის დაშორებით, — და აშკარად მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი პასუხი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. ერევნის ხანისა და ახალციხის ფაშისაგან, აგრეთვე საქართველოდან დაბრუნებული ემისარ სოლომონ ლეონიძისაგან გაიგეს რა ამბავი კახეთსა და ქიზიყში მომხდარი არეულობის შესახებ, — რამაც თავიანთ მისწრაფებათა განხორციელების იმედი დაუზადა — მეფემაც მისი იმპერატორობითი უმაღლესობის სურვილის აღსრულება აღარ ინება.

ამასთანავე, როგორც დამარწმუნეს, მეფე სოლომონმა, ვითომდა იმ საბაბით, რომ მისი საკუთარი მხედრობა არ იქნება საკმარისი ღადიანის დასამორჩილებლად, რომელთანაც ის ომს აწარმოებს, მოიწვია 1700-მდე ლეკი იმ განზრახვით, რომ ისინი შოახმაროს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილთა საქართველოზე გასალაშქრებ-

---

1 პორტა — თურქეთი.

2 ერეკლე მეფის ცნობილი კანცლერი სოლომონ ლეონიძე, რომელიც აგრეთვე იმერეთში იყო გადახვეწილი და რომელიც რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგე ჯგუფში იყო.

ლად დახმარებისათვის. რომ. ლეკები მეფემ მართლა მოიწვია, ტყუილი არ უნდა იყოს, რადგან ამ თვის 9-ს, როდესაც მეფესთან უკანასკნელი აუდიენცია მქონდა, ნამდვილად ვნახე კარისკაცთა შორის ლეკთა ოთხი წინამძღოლი, ხოლო მიღებული ცნობების თანახმად, იმ დღით ქუთაისში მათი პირველი პარტია 500 კაცისაგან შემდგარი, უკვე მოვიდა და ორი დღის განმავლობაში კიდევ 1200 კაცს ორ პარტიად მოელიან. ახალციხის ფაშამ კი, თუ ხმებს დავუჯერებთ, მისცა თავშესაფარი თავის სოფლებში ათასი კაცისაგან შემდგარ ლეკების პარტიას მთელი მომავალი ზამთრის გასატარებლად. ყარსის ფაშის თავდასხმისაგან თავდაცვის საბაბით. რომელიც ვითომდა მაზედ გალაშქრებას აპირებსო[1].

მალე საქართველოს სამეფო საგვარეულოს წევრნი რუსეთს იქნენ გადასახლებულნი. საქართველოში რუსული მმართველობა შემოიღეს. ამით საბოლოოდ გაიფანტა 1783 წლის ტრაქტატის იმედებიები და გაჩნდა სურვილი 1801 წლის მანიფესტით დათრგუნვილი სუვერენობის კვლავ აღდგენისა.

ეს აზრი თანდათან მწიფდებოდა და 1800-იანი წლებიდანვე დაიწყო მისი პრაქტიკულად განხორციელება, მაგრამ უშედეგოდ. 1825 წლიდან გაჩნდა შეგნება, რომ ამ მიზნის მიღწევა ისეთი პარტიკულარული მოძრაობის გზით, როგორიც იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი აჯანყებები, შეუძლებელი იყო, საჭირო გახდა ბრძოლის ახალი, დროისა და ძალთა განწყობილების მიხედვით შეფარდებული, მეთოდის არჩევა.

საჭირო იყო არა მხოლოდ საგარეო ფაქტორებისათვის გაეწიათ ანგარიში, არამედ აგრეთვე თვით საქართველოს მოსახლეობის შიგნით მომხდარი ცვლილებები გაეთვალისწინებიათ (ძალთა კონსოლიდირების მიზნით.) ათეული საუკუნის მანძილზე საქართველოში გაბატონებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ფორმა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ძირფესვიანად შერყეული იყო, ხოლო რუსეთის გზით შემოჭრილმა კაპიტალმა მას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა.

შერყეული ეკონომიური ცხოვრების ნიადაგზე წარმოიშვა ბრძოლა ერთი მხრით, ფეოდალებს შორის მეტი ეკონომიური რესურსების საკუთარ ხელში ჩაგდებისათვის, ხოლო მეორე მხრით, გლეხობისა და ფეოდალთა წინააღმდეგ. ამასთანავე, საზოგადოების მო-

---

[1] О. Константинов, Исторический очерк владычества русских за Кавказом, ч. I, ეკ. 460-462, 1845 წ. ხელნაწერია, დაცულია საქ. ცენტრ. არქივში.

წინავე ნაწილს გაუჩნდა ძველი ბატონყმური ურთიერთობის ახალი ფორმით შეცვლის საჭიროების შეგნება. და ეს უკანასკნელი მომენტი თავისებურ ელფერს აძლევს 1832 წლის შეთქმულებას.

1832 წლის შეთქმულების წარმოშობაზე დიდი გავლენა ჰქონდა იჰ ლიბერალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც დამახასიათებელია ამ ეპოქაში როგორც დასავლეთ ევროპის, ისე რუსეთის იმპერიისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ თვით საკუთრივ რუსეთის სინამდვილეში არსებულ ვითარებას.

ჩვენთვის ნათელი რომ იყოს აღნიშნული ვითარება და გაგვიადვილდეს რუსეთში საზოგადოებრივ მოძრაობასთან 1832 წლის შეთქმულების ურთიერთობის დადგენა, ამისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, თუ რა შინაარსისა და ხასიათისა იყო ის ლიბერალური მოძრაობა, რომელიც რუსეთის მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ცხოვრებას თან ახლდა და ლიბერალურ მოძრაობას სათანადო კოლორიტსა და მიმართულებას აძლევდა. თუ რუსეთში არსებული ვითარება არ გავითვალისწინეთ, თუ ანგარიში არ გავუწიეთ მის გავლენას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაზე, — ჩვენთვის როგორც 1832 წლის შეთქმულება, ისე საქართველოს ისტორიის ბევრი თვალსაჩინო მომენტი გაუგებარი იქნება.

ი. ბ. სტალინი, ა. ა. ჟდანოვი, ს. მ. კიროვი, სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო შენიშვნებში წერენ: „კონსპექტი არ ასახავს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობათა როლს და გავლენას ბურჟუაზიულ-რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარულ-სოციალისტური მოძრაობის ჩამოყალიბებაზე რუსეთში. კონსპექტის ავტორებს, უეჭველია, დაავიწყდათ, რომ რუსეთის რევოლუციონერებს თავისი თავი მიაჩნდათ დასავლეთის ბურჟუაზიულ რევოლუციური და მარქსისტული აზროვნების ცნობილი კორიფეების შეგირდებად და მიმდევრებად". აქვეა გამოთქმული საყვედური, რომ კონსპექტში არ არის ასახული „ცარიზმის მიერ დაპყრობილ რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობები და სათავეები, და ამრიგად, ოქტომბრის რევოლუცია; როგორც რევოლუცია, რომელმაც ეს ხალხები ნაციონალური ჩაგვრისაგან გაანთავისუფლა, დაუსაბუთებელი რჩება, ისე როგორც დაუსაბუთებელი რჩება სსრ კავშირის შექმნაც".

აუცილებლად კარგად უნდა ვიცოდეთ ბურჟუაზიულ-რევოლუციური და ლიბერალურ-განმათავისუფლებელი იდეების საქართველოში გავრცელების გზები.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ მეხივით იჭექა ევროპის კონტინენტის საავდროდ გამზადებულ ცაზე და საბაბი მისცა იმ გრიგალს, რომელმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სახით იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებს თავს გადაუარა და რომლის ქროლვაც ნახევარ საუკუნეზე მეტს გრძელდებოდა. ლიბერალურად განწყობილ საზოგადოებაში ჯერ აღმოცენდა ე. წ. მასონური ლოჟები, რომელთა მიზანიც იყო ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და ამ გზით რეფორმების აუცილებლობის შეგნების განმტკიცება. მერე შეიქმნა სრულიად საიდუმლო, აშკარად პოლიტიკური საზოგადოებანი, როგორიც იყო გერმანიაში „ტუგენდბუნდ" და რუსეთში «Союз Спасения», (1817 წლიდან ეწოდა «Союз Благоденствия»). მან თავის წესდებად მიიღო „ტუგენდბუნდ"-ის წესდება, ოღონდ იქიდან ამოიღო გლეხთა განთავისუფლების ნაკვეთი[1]. «Союз Благоденствия» ორი ფრთისაგან შედგებოდა. ერთი იყო «Северное Общество», რომლის ცენტრიც პეტერბურგში იყო და რომელსაც შემდეგში კონდრატ რილეევი მეთაურობდა. მეორე — «Южное Общество», — უკრაინაში მოქმედებდა და მას ენერგიული პესტელი მესვეურობდა.

როგორც გერმანული „ტუგენდბუნდის", ისე რუსული «Союз Благоденствия»-ს წევრები იყვნენ იმდროინდელი საზოგადოების ნიჭიერი, განათლებული, შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები, უმთავრესად ახალგაზრდები.

იმის თქმაც იკმარებდა, რომ «Союз Благоденствия»-ს ერთ-ერთი აქტიური წევრი და მისი წესდების ავტორთაგანი იყო ცნობილი რუსი მწერალი ტურგენევი, გლეხთა განთავისუფლების თავგამოდებული მომხრე, რომელსაც დეკაბრისტებთან ერთად სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ შემდეგ რუსეთიდან სამუდამო გაძევებით შეუცვალეს.

რუსეთში ამ საიდუმლო ორგანიზაციების აღმოცენების საზოგადოებრივ საფუძვლად შემდეგი გარემოებებია მიჩნეული: „რუსეთში საიდუმლო საზოგადოებათა აღმოცენება ალექსანდრე 1-ის დროს აიხსნება რუსეთის ინტელიგენციის განწყობილებით, რომელიც უკმაყოფილო იყო არსებული პოლიტიკური და სოციალური წყობით, მთავრობის ღონისძიებებით შიგნით რუსეთში, აგრეთვე საგარეო პოლიტიკით. თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი მხარეებისადმი შეგნებული დამოკიდებულება გააღვიძა საზღვარგარეთ ლა-

---

[1] И. В. Семевский, Очерки из истории политических и общественных идей декабристов, გვ. 58 და შემდ.; Л. Кульчицкий-Мазовецкий, История русского революционного движения, С.-Петербург, 1808, გვ. 34.

შქრობის დროს დაკვირვებებმა, აღზრდამ, ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვამ, საიდუმლო საზოგადოებათა და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობათა გავლენამ"[1]. ევროპის ვავლენა ამ მხრივ მეტად დიდი იყო. დეკაბრისტი იაკუშინი თავის მოგონებაში საზღვარგარეთის ლაშქრობაში მყოფ რუს ოფიცრებზე წერს: „მთელი წლის განმავლობაში გერმანიაში, შემდეგ კი რამდენიმე თვეს საფრანგეთში ყოფნას არ შეეძლო არ შეეცვალა შეხედულებანი ახალგაზრდობისა, ვისაც კი ცოტაოდენი აზროვნების უნარი გააჩნდა. ასეთ უზარმაზარ ვითარებაში თვითეული ჩვენთაგანი ცოტათი მაინც გაიზარდა[2]".

საიდუმლო საზოგადოებანი ცალკე წრეებისაგან შედგებოდა. ამ წრეების შესახებ ერთი დეკაბრისტთაგანი განგებლოვი, რომელიც შთამომავლობით ქართველი იყო და რომელიც 1825 წელს 14 დეკემბრის გამო პირველი დაჰკითხა ნიკოლოზ პირველმა, გვამცნობს: „ზეტპა[3] შემომთავაზა შეევრთებოდი ჰატარა წრეს, რომლის განზრახვაც იყო მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა... მე ხალისით დავეთანხმე და იმავე საღამოს შევიკრიბეთ სემიონოვთან. მაგრამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ძველი ისტორიიდან ტიგლატ პილასარებისა და სალმანასარებიდან გადაუხვიეთ რიეგოსკენ[4], რომელიც ცოტახნის წინათ ჩამოახრჩეს ესპანეთში, შემდეგ გადავედით სხვა მსგავს საგნებზე და ასე ვსმჯელობდით გვიანობამდე[5]. შემდგომი სხდომაც თითქმის იმავენაირად წარიმართა"[6].

«Союз Благоденствия»-ს წევრნი მიზნად ისახავდნენ სოციალურ რეფორმას და რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების კონსტიტუციურ-რესპუბლიკურ ნიადაგზე გარდაქმნას.

---

[1] И. Семевский, Очерки из истории политических и общественных идей декабристов, გვ. 107.

ტურგენევი გადმოგვცემს: „სამშობლოში დაბრუნდი 1816 წლის დამლევს. ბიძგი, რომელიც მისცა ადამიანთა აზროვნებას ახლად მომხდარმა ამბებმა, უფრო მეტად კი აღგზნება, რომელიც ამითვე იყო გამოწვეული, ძალზე აშკარა იყო. სწორედ რუსეთის არმიების თავის ქვეყანაში დაბრუნების მომენტიდან, — როგორც ამბობდნენ, — დაიწყო რუსეთში ლიბერალური იდეების გავრცელება" (იხ. Декабристы — Сборник отрывков из источников, გვ. 76, Центрархив, 1926 г.).

[2] И. Д. Якушин, Записки, გვ. 6—7, 1908, Москва.

[3] ერთი დეკაბრისტთაგანია.

[4] ესპანელი ოფიცერი (1785-1823), 1820 წლ. ესპანეთის რევოლუციის მემარჯვენე ფრთის ბელადი. რეაქციის გამარჯვების შემდეგ ჩამოახრჩეს 1823 წ.

[5] ქართველ შეთქმულთაც ჰქონდათ ასეთი წრეები.

[6] Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангеблова, გვ 98—99, Москва, 1888 г.

ისინი ზიზღით უცქეროდნენ იმ ცხოვრებას, რომელიც მრავალი სენით იყო დაავადებულ-დაძაბუნებული. ამასთანავე ისინი დიდი პატრიოტები იყვნენ და ქვეყნისათვის შესტკიოდათ გული. მაგრამ ჯერ არ ჰქონდათ შეგნებული კლასობრივი წინააღმდეგობის არსი და კლასობრივი ბრძოლის საჭიროება. მათ ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში, სჯეროდათ, რომ ბატონყმობის მოსპობით ყველა უკუღმართობას ბოლო მოეღებოდა და საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდებოდა.

დეკაბრისტების მისწრაფებებს ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული ფართო საზოგადოებაში, სადაც მრავალი ენთუზიასტი მოიპოვებოდა ამ საქმისა. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ტრუბადური პუშკინი იყო, რომლის რევოლუციური სულით გაჟღენთილი ნაწარმოებნი, რომელთა შინაარსსაც თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ ლიბერალურად განწყობილ საზოგადოებაში, ხოლო დეკაბრისტებისათვის პუშკინის კითხვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაო საკუთარი ხელით გადაწერილი პუშკინის ნაწარმოებნი მუდამ თან ჰქონდათ და არა ერთ დეკაბრისტს ჩამოართვეს ისინი დაპატიმრების დროს.[1]

მეორე თვალსაჩინო პროპაგანდისტი, ცნობილი მწერალი ტურგენევი თავის განწყობას ბატონყმობის მიმართ ასე გადმოგვცემს: „როდესაც მოურავმა გამომიანგარიშა გასული წლის შემოსავალი 16. 000 და 18 ათასამდეც კი, მე ერთი სიტყვაც არ დამიძრავს, მაგრამ როდესაც ანგარიში დაასრულა და კვლავ მითხრა: აი, ხედავთ რამდენი შემოსავალიაო, — მაშინ მე მივუგე: კარგი, შემოსავალი დიდია, მაგრამ აბა, ეხლა მაგას გამოაკელი ის ცრემლები, რომლებიც დააფრქვიეს გლეხებმა და ფაბრიკის მუშებმა-მეთქი.[2]

მას ეს სასაცილოდ მოეჩვენა“.[3]

აი, ამ მდგომარეობის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა ტურგენევმა, რომელიც იმდენად აღშფოთებული იყო, რომ საკუთარ ქვეყანაში სულის მოთქმა აღარ შეეძლო და იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო, რათა იქიდან ეწარმოებინა ბრძოლა ბატონყმური უკუღმართობის წინააღმდეგ.

---

1 „განგებლოვი თავის მოგონებაში ენდარმერიის მიერ გაჩხრეკილი მისი წიგნების შესახებ ამბობს: «Книги эти после моего ареста подвержены были обыску, но между ними я не нашел только стихов Пушкина, писанных моей рукой». მოგონება, გვ. 114.

2 ტურგენევის მამულში ფაბრიკა იყო.

3 Декабристы, გვ. 19, Центрархив, 1926 г.

„მე არ შემეძლო მესუნთქა ერთი ჰაერით და დავრჩენილიყავი მის ახლო, რაც შევიძულე. ამისათვის მე ალბათ მოთმინება და ხასიათის სიმტკიცე მაკლდა. საჭირო იყო მოვშორებოდი ჩემს მტერს, რომ შორიდან უფრო ძლიერად დავსხმოდი მას თავს. ამ მტერს ჩემს თვალში გარკვეული სახე ჰქონდა და გარკვეულ სახელსაც ატარებდა: ეს მტერი ბატონყმური ურთიერთობა იყო... ჰის წინააღმდეგ განვიზრახე ბოლომდე ბრძოლა... ეს იყო ჩემი ჰანიბალური ფიცი“.

ფეოდალურ-მონარქისტული ბატონყმური რუსეთის მძიმე ცხოვრება სულს უხუთავდა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის მთელ პლეადას. ისინი აშკარად ხედავდნენ ამ ცხოვრების ცუდ მხარეებს, რაც მათ გულს უკლავდა და რუსეთის განსაკურნავად გზებს ეძებდნენ.

დეკაბრისტი ხანიკოვი სჩიოდა „ჩემო სამშობლო, ბორკილებში, მონობაში ხარ, რელიგიამ, უვიცობამ, დესპოტიზმის თანამგზავრებმა დააბნელეს, ჩაახშეს შენი ბუნებრივი მისწრაფებანი“[1].

ხოლო პუშკინის თანამედროვე პოეტი ვენევიტინოვი, რომელიც დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა, 1826 წლის ლექსში სახელწოდებით «Родина» წერდა:

Природа наша точно мерзость
Смиренно плоские поля,—
В России самая земля
Считает высоту за дерзость, —
Дрянные избы, кабаки,
Брюхатых баб босые ноги,
В лаптях дырявых мужики,
Непроходимые дороги,
Да шпицы вечные церквей, —
Клистирных трубок снимок верный...
Грязь, мерзость, вонь и тараканы,
И надо всем хозяйский кнут, —
И вот, что многие болваны
Священной родиной зовут[2].

რასაკვირველია, ყველაფერი ეს იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ტკივილთა განცდა და ამაზე კვნესა. საზოგადოების მოწინავე ნაწილს არ შეეძლო ამ მდგომარეობისათვის გულგრილად შეეხედა და მის გამოსწორებაზე არ ეზრუნა. აი, ამ ნიადაგზე აღმოცენდა და წარიმართა თავადაზნაურთა წრის საუკეთესო, მოწინავე ნაწილის — დეკაბრისტების მოღვაწეობა.

---

[1] Щедрин-Саблин, Декабристы — Тайные Общества, Москва.
[2] Газ. «Правда», от 28 мая, 1934 г.

დეკაბრისტთა წრეს შეადგენდნენ ინტელიგენცია და ოფიცრობა, რომელთაც უშუალოდ ნახეს და განიცადეს დასავლეთ ევროპის ხალხთა შედარებით თავისუფალი ცხოვრება და ევროპის სახელმწიფოების შედარებით პროგრესული წყობა. კ. რილეევმა 1825 წ. 24 დეკემბერს საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე უპასუხა: «Свободомыслием первоначально заразился во время походов во Францию в 1814 и 1815 годах»[1]. ბულგარინი თავის ცნობილ დაპეზღებაში «Союз Благоденствия»-ს წევრებს ყველაზე დიდ ბრალდებად იმას უყენებს, რომ ისინი «...более всего представляются филантропами и русскими патриотами»[2]. ხოლო პუშკინი მათ შემდეგნაირად ახასიათებს, მიმართავს რა ტურგენევს «Евгений Онегин»-ის ცენზურის მიერ ამოღებულ მე-10 თავში:

Одну Россию в мире видя,
Лаская в ней свой идеал,
Хромой Тургенев им внимал
И слово «рабство» ненавидя,
Предвидел в сей толпе дворян
Освободителей крестьян»[3].

დეკაბრისტების მოძრაობა 1825 წლის 14 დეკემბრის კატასტროფით დასრულდა. ნაწილი შეთქმულ-მოჯანყეთა სიკვდილით დასაჯეს, ცოცხლად გადარჩენილნი კი რუსეთის იმპერიის უსაზღვრო სივრცეზე ყინულოვანი ციმბირიდან კავკასიამდე მიმოაბნიეს.

დეკაბრისტების მოძრაობამ ღრმა კვალი დატოვა მთელი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში.

14 დეკემბრის კატასტროფამ პროგრესულ ახალგაზრდობას გული ვერ გაუტეხა, თვითმპყრობელობის წინაშე ვერ წამოაჩოქა და საუკეთესო იდეალებზე ხელი ვერ აალებინა.[4]

დეკაბრისტმა შტეინგელმა დაკითხვის დროს ნიკოლოზ I უთხრა, რომ სასჯელთა და გადასახლებათა შემდეგ რუსეთში მაინც „დარჩე-

---

[1] К. Рылеев. Полное собрание стихотворений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана. Издательство писателей в Ленинграде, 1934 г., XXII.

[2] «Известия», 6/VI-1938 წ.

[3] «Известия», 6/VI-38 г.

[4] А. Н. Пыпин. Общественное движение в России при Александре I. გვ. 470, С.-Петербург, 1908 г.

ბა უფრო მეტი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც იზიარებენ „საიდუმლო საზოგადოებათა“ აზრებსა და განცდებს“.[1]

საქართველო რუსეთის იმპერიის ორბიტში მაშინ შევიდა, როდესაც რუსეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი ევროპაში უკვე ფეხმოკიდებული მოძრაობის ფერხულში ებმებოდა.

ქართველი ახალგაზრდობა უხვად დაეწაფა სწავლა-განათლებას და იწყო რუსეთისაკენ მგზავრობა, სადაც იმ ახალგაზრდობის გვერდით უხდებოდა ცხოვრება, რომელიც რუსეთის ლიბერალურ-პროგრესულად განწყობილი საზოგადოების სიახლესა და ხორცს შეადგენდა. ქართველი ახალგაზრდობა მაშინდელი რუსეთის მოწინავე საზოგადოების ზნეობრივი და იდეური გავლენის ქვეშ ექცეოდა. ამ მოვლენას უშედეგოდ არ ჩაუვლია და, თუმცა იმ დონით არა, მაგრამ საქართველოს მასშტაბისათვის საკმაოდ გრანდიოზული მოვლენით აღინიშნა[2].

1825 წლის 14 დეკემბრის ამბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება შეესაბამება. რა ნიადაგზედაც წარმოიშვა დეკაბრისტების მოძრაობა და რა ფორმითაც მიმდინარეობდა, ძირითადად იმავე ნიადაგზე აღმოცენდა და მიმდინარეობდა 1832 წლის შეთქმულება. და თითქმის შედეგებიც კი, უკეთ უშედეგობაც კი, ანალოგიური იყო:

მოძრაობა აქაც და იქაც მარცხით დამთავრდა.

ქართველი განათლებული ახალგაზრდობა, უმთავრესად კი ოფიცრობა, ნაწილობრივ თვითონ იყო მხილველი დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და ვითარებისა, აგრეთვე რევოლუციური მოძრაობისა[3], რაც ასე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის ცხოვრებაზე. ხოლო უმრავლესობა კი მჭიდროდ იყო რუსეთის საზოგადოებასთან დაკავშირებული. თუ დეკაბრისტების საქმის გამოძიების დროს სხვა არცერთი ქართველი არ იქნა დასახელებული გარდა განგებლოვისა,

---

[1] Щедрин-Саблин. Декабристы. Тайные Общества, გვ. 18.

[2] „ის პროცესები და ცვლილებები, რომელსაც განიცდიდა რუსეთის საერთო ცხოვრება, ძალაუნებურად თავის შესაფერ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის ცხოვრების ვითარებაზე. არა მარტო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად და ეკონომიურად დაემორჩილა რუსეთის გავლენას კავკასიის აქეთა მხარე, არამედ კულტურულადაც იგი რუსეთის ჩარჩოებში მოჰყვა და ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებაც სავსებით მოჰყვა რუსეთის აზროვნების ვითარების გავლენის ქვეშ“. სიმონ ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, გვ. 6, თბილისი, 1936 წ.

[3] ამასთანავე. ქართველი საზოგადოება დიდი ხანია იცნობდა მე-18 საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა, განსაკუთრებით კი ვოლტერის ნაწარმოებებს, რომლებიც მრავლად იყო მაშინ ქართულად თარგმნილი (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 30/I, 1938 წ. გ. ლეონიძის წერილი.).

რომელიც დეკაბრისტთა ორგანიზაციის წევრი იყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთში, განსაკუთრებით კი პეტერბურგში მყოფი ქართველები, დეკაბრისტებისაგან შორს იყვნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაცია 6. 000 წევრს ითვლიდა და განა ყველა იყო დასახელებული? და ასეც რომ არ იყოს, განა რომელიმე ქართველს არ შეეძლო არ ყოფილიყო საიდუმლო საზოგადოების წევრი, მაგრამ ეგრძნო მის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო? რომ რუსეთის შინაური ცხოვრება რუსული საზოგადოების მოწინავე ნაწილის აღშფოთებას იწვევდა, განა ეს შეიძლებოდა ქართველი ინტელიგენციისა და ოფიცრებისათვის საიდუმლოდ დარჩენილიყო?

მაგრამ ამ ზოგად მოსაზრებათა გარდა, უფრო რეალური საბუთებიც მოიძებნება, რომლებსაც შეუძლიათ ცხადჰყონ რუს დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა შორის ამა თუ იმ სახის კავშირი, თუნდაც გაელენის სფეროთი შემოფარგლული.

ის მოსაზრება, რომ «Союз Благоденствия»-ს უფრო თვალსაჩინო ფრთა «Южное общество» მტკიცე ცენტრალიზაციის გზაზე იდგა და პოლონეთის გამოცალკევებასაც მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა, თუ იგი რუსეთს ისეთი უნიით შეეკვროდა, რომ მას ფაქტიურად მხოლოდ დამოუკიდებლობის ჩრდილს დაუტოვებდა— საკითხის უარყოფითად გადასაწყვეტად არ კმარა, რადგანაც მეორე ფრთა «Северное общество» ფედერაციულ ნიადაგზე იდგა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მისთვის უცხო არ ყოფილა.

1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების საგამომძიებლო კომისიის «Донесение»-ში ნიკიტა მურავიოვის მიერ შედგენილი კონსტიტუციის პროექტის შესახებ ვკითხულობთ: „გულისხმობდა მონარქიას, მაგრამ იმპერატორს უტოვებდა შეზღუდულ უფლებას, იმის მსგავსად, როგორც ეს აქვთ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და რუსეთს ჰყოფდა დამოუკიდებელ, ურთიერთ საერთო კავშირით შეერთებულ ოლქებად"[1].

თუმცა ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ქართველ შეთქმულთა პრაქტიკული მოღვაწეობა სწორედ 1825 წლის შემდეგ პერიოდს ემთხვევა. როდესაც ერთი მხრივ დეკაბრისტების ამ საკითხზე შეხედულებას ოფიციალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მეორე მხრივ, ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებელია, დეკაბრისტების და, საერთოდ, ლიბერალურად განწყობილი

---

[1] А. Н. Пыпин, დასახ. წიგნი,

რუსი საზოგადოების შეხედულებაში დიდი გარდატეხაც მომხდარიყო. და. გარდა ამისა, წესდებაში ფიქსირებულის გარდა, ეგების საიდუმლო საზოგადოების წევრნი უფრო რადიკალურ აზრებს საკუთარ არსებაში ატარებდნენ. ვინ იცის, უსაფუძვლო არ იყოს ერთი ქართველი შეთქმულის ჩვენება, რომ: „პესტელი ურჩევდა, რათა პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები უსათუოდ დაუბრუნდეს მათ მფლობელთ. ხოლო ძირითადი გუბერნიები, რომლებიც მოსკოვის ახლოს არიან, რუსეთს დარჩესო“.[1]

მაშ რას ნიშნავს პუშკინის 1829 წელს კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილი ცნობილი ლექსის „Кавказ“-ის ბოლო ტაეპი, რომელიც არ ყოფილა გამოქვეყნებული და რომელშიც ნათქვამია:

«Так буйную вольность Законы теснят,
Так дикое племя под властью тоскует,
Так ныне безмолвный Кавказ негодует,
Так чуждые силы его тяготят»[2].

ეს ტაეპი პირდაპირი განკიცხვაა რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკისა.

თუ ორგანიზაციული კავშირის მოძებნა ძნელია დეკაბრისტების მოძრაობასა და ქართველ შეთქმულთა შორის, — დეკაბრისტების მოღვაწეობა წამაქეზებელი და გეზის მიმცემი კი უეჭველად იყო... და ეგების არც შემთხვევითი იყოს, რომ სწორედ 1825 წლის კატასტროფის შემდეგ იწყებს გაფურჩქვნას ქართველთა შეთქმულება, ე. ი. მას შემდეგ, რაც მათ დაინახეს, რომ ამგვარ მუშაობას საერთო ნიადაგი ჰქონდა.

დეკაბრისტების მოძრაობამ რევოლუციური მოქმედების სტიმული რომ მისცა ახალგაზრდობას საერთოდ, ეს დიდი ხანია, რაც აღიარებულია.

ყველაზე უკეთესად წამოჭრილ პრობლემას, ე. ი. რუსეთში ლიბერალური მოძრაობის ქართულ მოძრაობასთან ურთიერთობასა და მასზე გავლენის საკითხს, გვიშუქებს როგორც ერთი, ისე მეორე ხასიათის მოღვაწეთა მუშაობის მეთოდების, სამოქმედო პროგრამისა და პოლიტიკურ-სოციალური იდეალების შედარებითი შესწავლა.

როგორც რუსულ, ისე ქართულ საიდუმლო საზოგადოებათა მუშაობის მეთოდების განხილვის დროს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმ ე. წ. წესდებებს, რომლებიც საიდუმლო საზოგადოების განაწესს წარმოადგენენ. ასეთები გადარჩენილია როგორც „Союз Бла-

---

1 იხ. ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება, II, 193.

2 Газ. «Заря Востока», от 3 февраля 1937 года.

годенствия"-სი, ისე 1832 წლის შეთქმულებისა „აკტი გონიურის" სახელწოდებით.

თუ შევადარებთ „აკტი გონიურსა" და „Союз Благоденствия"-ს „Законоположение"-ს, სრულ ანალოგიას ვპოვებთ[1]. დავინახავთ, რომ ორივე მათგანი ერთი და იმავე პრინციპზეა დამყარებული. ერთნაირად არის აღიარებული საზოგადოების წევრად ცნობილი და ღირსეული ადამიანების მიღება გამორჩევით, რომლებიც ფიცის ხელწერილს სდებენ. საზოგადოების წევრთ ევალებათ მოყვასის სამსახური, საიდუმლოების დაცვა და სხვ. თუმცა, უნდა ითქვას, ამ მხრივ „აკტი გონიურს" უფრო მეტი დამუშავება ეტყობა. ჩანს, დეკაბრისტთა ბედი ქართველ შეთქმულთ მეტ სიფრთხილეს უკარნახებდა. „აკტი გონიურის" პარაგრაფები უფრო მკვეთრია თავისი მიზანგანწონილობით და უფრო კონკრეტული მოვალეობის აღნიშვნით[2]. კონსპირაცია ქართველ შეთქმულთ უკეთ ჰქონდათ მოწყობილი, რადგან მათ დეკაბრისტების მაგალითი გამოიყენეს.[3]

მოძრაობის წარმატებით გავრცელებისათვის საუკეთესო საშუალებად დეკაბრისტები სწავლა-განათლების, ჰუმანურობისა და პოლიტიკური იდეების გავრცელებას აღიარებდნენ. „Союз Благоденствия"-ს მდივანი სემიონოვი თავის ჩვენებებში ამბობს: „სანუკვარი მიზანი, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო მხოლოდ მთავარი წევრებისათვის, ხოლო შემდეგში კი ყველა წევრი გაიმსჭვალა ამით, — იყო წარმომადგენლობითი მმართველობა. ჩვენი მიზნის მისაღწევად აუცილებლად იყო აღიარებული, რაც შეიძლებოდა მეტად გაგვემრავლებინა წევრთა რაოდენობა, გაგვეცხოველებინა განათლება, გაგვევრცელებინა პოლიტიკური შემეცნება და დავუფლებოდით საზოგადოებრივ აზრს"[4].

ამასვე ვხედავთ ქართველ შეთქმულებთანაც.

---

[1] შეად. „აკტი გონიური" — გ. გოზალიშვილი — 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 111: А. Н. Пыпин. დასახელებული წიგნი. გვ. 547.

[2] არ შეიძლება ითქვას, რომ „აკტი გონიური" „Союз Благоденствия"-ს წესდებიდან პირდაპირ არის გადმოღებული. მაგრამ „აკტი გონიურის" ავტორი უსათუოდ იცნობდა აღნიშნულ წესდებას, რომლის გარდა მას სხვა წყაროც ჰქონდა ხელთ.

[3] სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ნადიმების გამოყენება შეთქმულთა ორგანიზაციის შეკრების მიზნით აგრეთვე საერთოა ქართველთ შეთქმულებისათვისა და დეკაბრისტებისათვის. მაგ. ცნობილია, რომ კამენკაში ერთ-ერთი დეკაბრისტის დედის სახელის დღეს შეთქმულნი სისტემატურად დიდ კრებებს მართავდნენ. ხოლო ქართველ შეთქმულთა შეკრების ჩვეულებრივი სახე ნადიმი იყო, რომელიც სპეციალურად იმართებოდა მორიგეობით შეთქმულთა მიერ.

[4] Декабристы. Сборник отрывков из источников, стр. 71. Центрархив.

გიორგი და დიმიტრი ერისთავები თავიანთ ჩვენებებში ერთხმად ადასტურებენ. რომ დიმიტრი ბატონიშვილი შეთქმულების წარმატებით დასრულებისათვის საჭიროდ აღიარებდა ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების გამრავლებას და მათ შორის განათლების გავრცელებას.[1] დიმიტრი ერისთავის ჩვენებით, დიმიტრი ბატონიშვილი შეთქმულების გავრცელებისა და გამარჯვების მოპოვებისათვის „პირველ საშუალებად ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების შედგენას განათლებისა და ამ საზოგადოებების გავრცელებას აღიარებდა"[2], ხოლო ელიზბარ ერისთავი უჩვენებს, რომ დოდაშვილს დავავალე. «...издавать газету с намерением приготовлять умы к возмущению»[3].

თვით სოლომონ დოდაშვილი აღიარებს: „ბოლოს გადაწყდა შეგვედგინა ლიტერატურული საზოგადოება, დასახელებულ იქნენ... ამხანაგები. გიორგი დავითის ძე ერისთავი, გრიგოლ ორბელიანოვი და იასე ფალავანდოვი, მთხოვეს ამერჩია თანამშრომლები და გამეერცელებინა სამშობლოსადმი სიყვარული გაზეთების გამოცემით".[4]

მეორე ადგილას კი ამბობს: „1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერნა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ. ჩემს პასუხზე, რომ ამ საქმეს ხუმრობა არ გამოადგება-მეთქი, თავად ელიზბარ ერისთავმა სთქვა, როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ვეღარ იტყვით. შენი საქმეა სწეროო. მაშინ მე შევთხზე სიტყვა (речь), რომელიც ალექსანდრე ორბელიანმა მთხოვა, მაგრამ მე არ მივეცი".[5]

ხოლო ფილადელფოს კიკნაძე სამშობლოს სიყვარულის შესახებ თავის თხზულებაში წერდა: „ვითარცა საჭირო არს სწავლაი სარგებლობისათვის თავისა, აგრეთვე საჭირო არს სწავლაი სარგებლობისათვის მამულისაო"[6].

შეთქმულნი ზემოდასახელებულ მიზანს კიდეც ანხორციელებენ. შეთქმულების პოლიტიკური არალეგალური ორგანიზაციის შექმნასთან ერთად, ისინი ახერხებენ საგანგებო ბეჭდვითი ორგანოს დაარ-

---

1 XX, 3861, V, 583. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1932 წლის შეთქმულება, ტ. I. გვ. 16-17.

2 გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 16.

3 საგამომძიებლო კომისიის საქმე, XX, 5010.

4 XXV, 5010.

5 X, 1891.

6 იხ. თხზულების წინასიტყვაობაში.

სებას, რომელიც „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების სახით გამოდიოდა და რომელშიაც პატრიოტული გრძნობების გამაღვიძებელი ნაწარმოებები იბეჭდებოდა. ეს შესანიშნავი მომენტია ქართველ შეთქმულთა მოღვაწეობაში, რაც აგრეთვე მათ კულტურულ და დროის მოთხოვნილებათა შეგნების მაღალ დონეს ამჟღავნებს.

არც „Союз Благоденствия“-ს და არც ქართველ შეთქმულთა პოლიტიკური კრედო, ფიქსირებული რომელიმე წერილობითი წესდების სახით, შენახული არ არის. დანამდვილებით ცნობილია, რომ „Союз Благоденствия“-ს ჰქონდა ასეთი წესდება, უნდა ჰქონოდათ აგრეთვე ქართველ შეთქმულთაც. ამისდა ძიუხედავად, მაინც შესაძლებელია დადგენილ იქნას ორივე მხრის პოლიტიკური იდეალები.

როგორც ცნობილია, დეკაბრისტები მიზნად ისახავდნენ ბატონყმობის მოსპობასა და რუსეთში კონსტიტუციური ან რესპუბლიკური მმართველობის შემოღებას, რაც დადასტურებულია გამოძიების დროს პატიმარ დეკაბრისტთა ჩვენებებითა და ზოგიერთი მათგანის შემდგომში გამოქვეყნებული მოგონებებით.

ასეთივე ვითარება გვაქვს 1832 წლის შეთქმულებაში. არ არის გადარჩენილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიაც მკაფიოდ იყოს გამოთქმული შეთქმულთა პოლიტიკური მიზანი, მაგრამ აქაც იმავე საშუალებებით შეიძლება დადგენა, რომ ქართველ შეთქმულთაც მსგავსივე მიზნები ამოძრავებდათ, ამასთანავე, აქ მოვლენათა სათავეში დაყენებული იყო საქართველოს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლება, ურომლისოდაც სხვა ყველაფერზე ფიქრი ქართველ შეთქმულთათვის ამაო იქნებოდა.

დეკაბრისტებს სურდათ რუსეთში სახელმწიფო მმართველობის ორპალატიანი წარმომადგენლობითი სისტემა შემოეღოთ.

ამასვე ვხედავთ საქართველოშიც.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით: „... ჯანუის მეორე დღეს უნდოდათ შეექმნათ სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაებარებინათ, რომლებიც საზოგადოებას უნდა ამოერჩია“.[1]

გიორგი ერისთავის მიერ (ელიზბარ ერისთავის კარნახით) შედგენილი საქართველოს მმართველობის პროექტითაც ორი პალატა იყო ნაგულისხმევი, რომელთაგანაც მეორეში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები (3 в нижнем правлении должны были заседать депутаты из каждого уезда)[2]. ბერმონაზონ ტარასი

[1] VI, 1122.

[2] I, 78.

ალექსიშვილის ერთ ჩვენებაში ლაპარაკია იმაზე, რომ ელიზბარ ერისთავთან საქართველოს განთავისუფლებაზე საუბრისას ვითომც იგი ამის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა: რომ საქართველო-კეთილდღეობაშია და „ღმერთმან დაიფაროს საქართველო, რომ აღარ ჩავარდეს თათრების ხელშიო". ამაზე ელიზბარს უპასუხნია: „...თათრები რათ იქნებიან, საკუთარი მეფეც გვიჯდებაო და პარლამენტი გვექნებაო და ყველანი იმას დაემორჩილებიანო".[1]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც დეკაბრისტები და არც მაშინდელი ცნობილი ლიბერალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი, საზოგადოებრივი წყობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის საქმეში, ამაზე შორს არ მიდიოდნენ. მიაქციეთ ყურადღება, რომ ნიკიტა მურავიოვი მის მიერ შედგენილ კონსტიტუციის პროექტში: „გულისხმობდა მონარქიას, მაგრამ იმპერატორს უტოვებდა შეზღუდულ უფლებას, იმის მსგავსად, როგორც ეს აქვს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და რუსეთს ჰყოფდა დამოუკიდებელ, ურთიერთ საერთო კავშირით შეერთებულ ოლქებად".[2]

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პოლიტიკური ორიენტაცია ეპოქის ფარგლებში ტრიალებს, ისინი ეპოქის წინაშე ხარკს იხდიან და მათთვის უფრო მეტის მოთხოვნა იმას უდრის, მოგვეთხოვა მათგან, რათა ისინი უტოპიურ მორევში ჩაფლულიყვნენ.

სამართლიანად ამბობს ვ. ჰოფმანი დეკაბრისტების მიმართ: „არ უნდა ავცდეთ ისტორიულ პერსპექტივს. მონარქიული იდეები არა თუ დამახასიათებელი იყო „Союз Благоденствия"-ს წევრთა დიდი უმრავლესობისათვის, არა მხოლოდ დეკაბრისტთა მარჯვენა ფრთისათვის, არამედ ეგუებოდა დეკაბრისტთა რადიკალური ფრთის ბევრი წარმომადგენლის რევოლუციურ სწრაფვას სოციალური გარდაქმნებისკენ. მონარქიისა და რესპუბლიკის საკითხი არ იყო საერთოდ ყველაზე მთავარი საბრძოლო საკითხთაგანი. ხოლო რილეევი დიდხანს დარჩა მონარქისტად".[3]

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით სოლომონ დოდაშვილსა და ოქროპირ ბატონიშვილს რესპუბლიკური მმართველობის შემოღებაზე ჰქონიათ მსჯელობა.[4]

---

[1] VII, 1211—1213.

[2] А. Н. Пыпин, Общественное движение в России при Александре I. С.-Петербург, გვ. 439.

[3] К. Рылеев. Полное собрание сочинений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана. Издательство писателей в Ленинграде. 1934, стр. 52.

[4] IX. 1967.

დეკაბრისტები მეტად ეტრფოდნენ თავისუფლებას, რაც მათი ყოველდღიური მსჯელობის საგანი იყო.

ამასვე ვხედავთ ქართველ შეთქმულებთანაც.

დიმიტრი ერისთავის ჩვენებაში ვკითხულობთ, რომ იგი პეტერბურგში ხშირად ხვდებოდა: „დიმიტრი ბატონიშვილს, რომელთანაც ხშირად იყვნენ ხოლმე თავადები გიორგი და ელიზბარ ერისთავები. ის გვიამბობდა ისტორიიდან ამბებს თავისუფლებაზე, რითაც ჩვენ, ასე ვთქვათ, მოგვამზადა და მერე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანოვების ჩამოსვლის შემდეგ. შთაგვინერგა რა ჩვენ აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათი მომზადებაც... მან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შებრუნებით და უკვე აშკარად დაგვიწყო საქართველოზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი".[1]

„დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად გვიამბობდა თავისუფლებაზე და განგვიმარტავდა საფრანგეთში არსებულ უფლებებს, მის მცხოვრებთა თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდულ უფლებას და თუ რა უფლება აქვს საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს მეფის არჩევანში, დაბოლოს, გაგვაცნო იმ ქვეყანაში მომხდარი არეულობანი. ზოგჯერ მსჯელობა გვქონდა თავისუფალი ქალაქების მმართველობაზე, როგორიც იყო მაინის ფრანკფურტი და კრაკოვი. მრავალი ქებით იყო შემკული ამ ქალაქების მცხოვრებთა ბედნიერი ცხოვრება".[2]

მაგრამ დეკაბრისტების მოძრაობასა და ქართველთა შეთქმულებას შორის ურთიერთობა მხოლოდ ნათქვამით არ ამოიწურება.[3] ჩვენ ისეთი საბუთებიც მოგვეპოვება, რომლებიც გვამცნობენ მათ შორის უფრო მჭიდრო ორგანულ კავშირს.

დიმიტრი ბატონიშვილი, რომელსაც ქართველი შეთქმულნი ვოლტერს უწოდებდნენ,[4] ზაქარია ჩოლოყაშვილი მთელი თავისი არსებით, — დეკაბრისტის ნამდვილ სახეს წარმოგვიდგენენ. დიმიტრი ბატონიშვილის წრის თვალსაჩინო წევრი ზ. ჩოლოყაშვილი საზღვარგარეთულ ლაშქრობათა მონაწილეა და ძლიერ ახლოს იცნობს დეკაბრისტების საქმიანობას, მათ პრაქტიკულ მოქმედებას.

---

1 X X, 3861.

2 X II, 2168.

3 ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ დეკაბრისტული ლიტერატურა გამოიყენეს ქართველმა შეთქმულებმა და ისიც დეკემბრის 14-ის დრამის შემდეგ. თუნდაც ის რად ღირს, რომ გრიგოლ ორბელიანი რილეევის ლექსს „ნალეკიოს აღსარებას" თარგმნის და თავისებურად აკეთებს შეთქმულთა შორის გავრცელების მიზნით, ხოლო დოდაშვილს ამ-ვე რილეევის წერილის პირი აღმოაჩნდა.

4 X, 1765.

ვახტანგ ორბელიანის ერთი ჩვენების თანახმად, ზაქ. ჩოლოყაშვილს უთქვამს თავის თანაგანმზრახველთათვის, რომ „თუკი თვითონ რუსები გრძნობენ მთავრობის უსამართლობას, — ჩვენ უფრო მეტად უნდა ვგრძნობდეთო“ (1, 3534). ზაქ. ჩოლოყაშვილის ამ ნათქვამში ,ამოსუნთქვის ის ლიბერალური ,ანწყობილება, რომლითაც იყო გამსჭვალული რუსეთის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება, რამაც დეკაბრისტების აჯანყებაში და სხვა მისდაგვარ ლიბერალურ მოძრაობაში იჩინა თავი და ეს ყველაფერი ჩოლოყაშვილმა კარგად იცოდა, იგი ამ საქმეებთან ახლოს იყო.

ნამდვილ დეკაბრისტად გვევლინება ზაქარია ჩოლოყაშვილის ძმა ალექსანდრე, რომელსაც შეთქმულების საქმეებიდან ძალიან ნაკლებად ვიცნობთ. თუ არა ერთი მისი წერილი დოდაშვილისადმი, რომელმაც მის შესახებ საგამომძიებლო კომისიის ორიოდე შეკითხვა ,ამოიწვია, ჩვენ ესეც არ გვეცოდინებოდა, იმისდა მიუხედავად, რომ იგი დასახელებულია იმ წრის წევრად, რომელიც პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილის ირგვლივ იყრიდა თავს. შეთქმულნი მას თავისუფლების დიდ მოყვარულს უწოდებდნენ.

ალექსანდრე ჩოლოყაშვილი სოლომონ ,დოდაშვილის ამქარია. იგი დოდაშვილთან ერთად გამომგზავრებულა პეტერბურგიდან.[1] „თავადი ალექსანდრე ჩელოყაევი 1827 წ. მოსკოვიდან ჩემთან ერთად გამოემგზავრა. იგი ,დარჩა გორიაჩევოდსკში[2] სამკურნალოდ, იქიდან კი აქ[3] ჩამოვიდა, ჩემთან გაჩერდა. ის მიამბობდა, რომ მას დიმიტრი ბატონიშვილთან და სოლომონ რაზმაძესთან აქვს მეგობრობა და ხშირად უფიქრიათ თავისუფლებაზე... ამბობდა, შეიძლება ოქროპირ ბატონიშვილი აქ ჩამოვიდესო“.[4]

უფრო მეტიც, 1832 წლის შეთქმულების მასალებში დაცულია ცნობები, რომელთა მიხედვითაც, რუს დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა ცოცხალი ურთიერთობის ერთი სურათის დადგენა შესაძლებელი ხდება.

როგორც ცნობილია, სოლომონ დოდაშვილის ქაღალდებში,

---

[1] XI, 1936.

[2] ახლანდელი კისლოვოდსკი.

[3] ე. ი. თბილისს.

[4] როზენი სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს სხვათა შორის სწერს: «У сего же Додаева найдено препровождаемое при сем под буквою К письмо к нему князя Александра Челокаева весьма странного содержания и на которое Додаев не дал вполне удовлетворительного объяснения». Журнал исходящих бумаг 1833 года. марта, 9, № 63.

რომლებიც მას დაპატიმრების დროს ჩამოართვეს, სხვათა შორის, აღმოჩენილ იქნა რუს დეკაბრისტთა მეთაურის რილეევის წერილის პირი.

როდესაც საგამომძიებლო კომისიამ დოდაშვილს აღნიშნული წერილის შესახებ ჰკითხა, მან უპასუხა: Письмо Рылеева я переписал в С.-Петербурге у студента Крупского в 1826 г. საგამომძიებლო კომისიამ ამ პასუხით საკითხი ამოწურულად ჩათვალა და მის ირგვლივ აღარავითარი გამოძიება აღარ უწარმოებია, რაც დიდ განცვიფრებას იწვევს. ადამიანს მოეჩვენება, რომ კომისიამ არ იცოდა ვინ იყო რილეევი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი წერილის პირის დოდაშვილთან აღმოჩენას. რა თქმა უნდა, ეს ძნელი წარმოსადგენია და, მით უმეტეს, გასაკვირია, რომ კომისია არ დაინტერესდა იმის გამორკვევით, თუ რა ურთიერთობა უნდა არსებულიყო ქართველ შეთქმულთა და რუს დეკაბრისტებს შორის. კომისიას რომ ეს საკითხი გამოერკვია, ჩვენ ფრიად საინტერესო მასალას დაგვიტოვებდა.

კომისიის ამ საკითხით დაუინტერესებლობა არ შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღარც დეკაბრისტები, როგორც ორგანიზაცია და აღარც წერილის ავტორი იმ დროს ფიზიკურ ძალას აღარ წარმოადგენდნენ. ნუთუ კომისია არ უნდა დაინტერესებულიყო იმით, თუ ვინ არის ამ წერილის გამავრცელებელი ან ვის რად სჭიროდა მისი გადაწერა-გავრცელება. ხომ არ ნიშნავდა ეს დეკაბრისტთა ორგანიზაციის აღორძინებას? უნდა გვახსოვდეს, რომ დოდაშვილმა წერილი 1826 წელს გადმოიწერა, ე. ი. დეკაბრისტების გამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ.

ნუთუ კომისია ფიქრობდა, რომ დოდაშვილმა რილეევის წერილი უმიზნოდ გადმოიწერა. სრულიად უმნიშვნელო ქაღალდს, რომლის შინაარსიც არ აინტერესებდა, იგი ისე მზრუნველობით ეკიდებოდა, რომ პეტერბურგიდან თან წამოიყოლა და აქაც კარგად ინახავდა?

საგამომძიებლო კომისიის მიერ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების ახსნა მისი გულუბრყვილობით თუ საქმის უბრალო უგულვებელყოფით სწორი არ იქნებოდა. ეს გამომდინარეობდა საქმისადმი იმ დამოკიდებულებიდან, რომელიც ხაზგასმით არის აღნიშნული სათანადო ადგილას და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ გამომჟღავნებულიყო შეთქმულების სერიოზული ხასიათი, რათა იგი ფუქსავატურ ოცნებად მოეჩვენებინათ.[1]

---

[1] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 5.

ამგვარად. რაკი საგამომძიებლო კომისიამ არ დაგვიტოვა მასალა. ჩვენ იძულებული ვართ. მოსაზრებათა ლოგიკური მიმდინარეობისა და მჭლე ფაქტების ანალიზის შედეგად, საკითხი დაახლოებით მაინც გავარკვიოთ.

როგორც დავინახეთ, დოდაშვილს 1826 წელს გადმოუწერია სტუდენტ კრუპსკისაგან ეს ცნობილი წერილი.

აქ აღიძვრის რამდენიმე კითხვა: ვინ არის სტუდენტი კრუპსკი, რა ურთიერთობაშია მასთან სოლომონ დოდაშვილი, რას წარმოადგენს რილეევის წერილი, რატომ აჩვენა კრუპსკიმ ეს წერილი დოდაშვილს, რად დაინტერესდა დოდაშვილი ამ წერილით და რისთვის ინახავდა მას დაპატიმრებამდე?

აი კითხვები, რომელთა პასუხიც ნაწილობრივ მაინც ნათელს მოჰფენდა რუსი დეკაბრისტებისა და ქართველ შეთქმულთა ცოცხალი ურთიერთობის პრობლემას.

კრუპსკი უთუოდ დოდაშვილის ამხანაგი იყო უნივერსიტეტიდან. ჩანს, იგი დეკაბრისტების წრესთან დაახლოებული პირია, რაკი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აქვს ხელთ. ჩვენთვის ძნელია თქმა, არის თუ არა კრუპსკი დეკაბრისტთა უკვე განადგურებული ორგანიზაციის წევრი. მაგრამ რომ იგი მათი იდეებისა და აზრების, იქნებ სქმეებისაც, მოზიარეა, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. თუ არა და, რა უნდოდა მასთან რილეევის წერილს, ვიხ ჩაუგდებდა მას ხელში ამ წერილს, თუკი დეკაბრისტების წრეში არ ტრიალებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სტუდენტი კრუპსკი არის წევრი ლიბერალურად განწყობილი სტუდენტთა წრისა, რომლის მსგავსი უნივერსიტეტში ყოველ ეჭვს გარეშე უნდა არსებულიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დეკაბრისტების მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ახალგაზრდათა შორის განათლებასთან ერთად ლიბერალური აზრების გავრცელებას, ახალგაზრდათა წრეების შედგენას. დეკაბრისტთა აჯანყების შემდეგ მათ წინააღმდეგ რეპრესიებს არ შეეძლო მთლად აღმოეფხვრა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში ლიბერალური იდეებისადმი სწრაფვა და შესაბამისი ჯგუფები მოესპო. აკი დეკაბრისტმა შტეინგელმა უპასუხა ნიკოლოზ I-ს, რომ დეკაბრისტთა წინააღმდეგ რეპრესიების შემდეგ: «...останется гораздо множайшее число людей, разделяющих идеи и чувствения членов тайных обществ».[1] ხოლო სხვა ადგილას აღნიშნა, არეულობათა მიზეზი განათლება არისო.

---

[1] Щедрин-Саблин, Декабристы. Тайные Общества, стр. 18.

თუ ზემოაღნიშნულს სინამდვილის შესაფერისად წარმოვიდგენთ, მაშინ ადვილი გასაგები გახდება დოდაშვილის დამოკიდებულებაც სტუდენტ კრუპსკისთან. არ შევცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ დოდაშვილი და კრუპსკი სტუდენტთა ერთი წრის წევრები არიან,[1] ერთი და იმავე იდეებით გამსჭვალულნი და, სრულიად ბუნებრივია, ვალდებული იყვნენ ჰქონოდათ რილეევის წერილი.

ეს ვარაუდი შეიძლება ერთგვარად გაბედული იყოს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ დოდაშვილსა და კრუპსკის შორის, როგორც ერთი და იმავე იდეების მატარებელ ადამიანთა შორის, არსებობს თუ ორგანიზაციული არა, პირადი, ინტიმური დამოკიდებულება მაინც. ამის ნიადაგზე შესაძლებელია, რათა კრუპსკის გაემხილა დოდაშვილისთვის სახიფათო საიდუმლოება. უდავოა, რომ კრუპსკიმ შენიშნა დოდაშვილის მიდრეკილება ლიბერალური განწყობილებისადმი და ამან გააბედვინა ასეთი საქციელი.

მაგრამ, მართლა 1826 წელს გადმოიწერა ს. დოდაშვილმა წერილი თუ უფრო ადრე? ამასთანავე განსაკუთრებით გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ 1825 წლის შემდეგ რილეევის მარტო ნაწარმოებების კი არა, სახელის ხსენებაც აკრძალული იყო: «...его издания изымают из казенных библиотек, вырезываются из старых журналов и альманахов, переписка и распространение их преследуется как нелегальщина и контрабанда»[2]. რილეევის სახელის აკრძალვა გაუქმდა მხოლოდ 60-იან წლებში (...с имени Рылеева был снят запрет)[3].

ამ ვითარებაში ს. დოდაშვილის მიერ რილეევის წერილის გადმოწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ს. დოდაშვილს, რომელიც ამ დროს პეტერბურგში უკვე მუშაობდა თავის პირველ ფილოსოფიურ შრომაზე („ლოგიკა"), რომელიც იქვე გამოსცა 1827 წელს,— შეუძლებელია პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებაში დეკაბრისტებისადმი განწყობილება, აგრეთვე მთავრობის დამოკიდებულება არ სცოდნოდა. რამდენად მეტად ჩავუკვირდებით დოდაშვილის მიერ რილეევის წერილის გადმოწერის ფაქტს, იმდენად მეტი მნიშვნელობა ენიჭება მას და უფრო ღრმა შინაარსით ივსება. ეს ფაქტი ბრწყინვალედ, უტყუარად ღაღადებს 1832 წლის შეთქმულებაზე რუსეთის ლიბერალური მოძრაობისა და კერძოდ,

---

1 ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, 1824 წლიდან არის პეტერბურგში.

2 К. Р ы л е е в. Полное собрание стихотворений, გვ. XII.

3 ი ქ ვ ე, გვ. 31.

დეკაბრისტების გავლენაზე. ამას ადასტურებს და ნათელყოფს შეთქმულთა მიერ იმავე რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების“ გადმოთარგმნა და გავრცელება, მაშინ როდესაც რილეევის ნაწარმოებებიც და მისი სახელიც აკრძალული იყო.

მაგრამ რას წარმოადგენს თვით რილეევის წერილი?

1826 წლის 13 ივლისს გარიჟრაჟზე პეტერბურგში პეტრეპავლეს საპყრობილის ეზოში ჩამოახრჩეს დეკაბრისტთა მოძრაობის ხუთი მეთაური (პესტელი, რილეევი, ბესტუჟევ-რიუმინი, კახოვსკი და მურავიოვ-აპოსტოლი).

სიკვდილის წინ რილეევს ცოლისთვის წერილი მიუწერია. წერილი მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. აქ ჩვენს წინაშე წარმოდგება ჩვეულებრივი ადამიანი სასიკვდილოდ გამზადებული, რომელიც ნუგეშს ზეცასთან შერიგებაში ეძიებს და იმათგან კი პატიებას მოითხოვს, ვისთვისაც შეიძლება თავის ცხოვრებაში რაიმე უსიამოვნება მიუყენებია... თუმცა ერთი მომენტი მაინც ამჟღავნებს რილეევის სულისკვეთებას: იგი შედარებით დამშვიდებული ეგებება სიკვდილს. ამას კი თავისი შინაარსით შეეძლო ლიბერალურ სენმოდებული საზოგადოებისათვის გული აეჩუყებინა და თვითმპყრობელობისადმი ზიზღი გაეძლიერებინა. სწორედ ამ მიზნით იყო გამოყენებული რილეევის წერილი.

სამწუხაროდ, რუსულ ისტორიოგრაფიაში არავის განუხილავს საკითხი, თუ ვინ ავრცელებდა ამ წერილს საზოგადოებაში და ვის შორის ვრცელდებოდა იგი, არის იგი ნამდვილი თუ ყალბი. მაგრამ შეიძლება რუსი მკვლევარები საერთოდ არ წაწყდომიან ამ წერილის გავრცელების მაგალითებს. მაშინ ჩვენ შემთხვევას, ე. ი. რილეევის წერილის პირის სოლომონ დოდაშვილთან აღმოჩენას, უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება. შეიძლება დღეიდან სერიოზულად დაისვას რუს მკვლევართა წინაშე რილეევის წერილის საკითხი.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით რილეევის წერილის შინაარსს, ადვილი უნდა იყოს მსჯელობა იმაზე, თუ რითი უნდა დაეინტერესებინა ამ წერილს დოდაშვილი და რისთვის უნდა გადმოეწერა იგი.

წერილით დაინტერესების მოტივი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: პოლიტიკური ინტერესი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოლომონ დოდაშვილი 1824 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია და მომსწრეა 1825 წლის 14 დეკემბრის დეკაბრისტების შეიარაღებული აჯანყებისა. ხოლო 1826 წელსვე, როდესაც რილეევის წერილი ახალი გავრცელებული იქნებოდა, დაუყოვნებ-

ლივ გადაიწერა, თუმცა წერილი არალეგალურ დოკუმენტს წარმოადგენდა და ამით დაინტერესება უხიფათო საქმე არ იყო. თუ ამას ამ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დასჯილი, ვიატკაში გადასახლებული დოდაშვილი უახლოვდებოდა გერცენს, რომელმაც თავის მოგონებაში მას რამდენიმე სტრიქონი უძღვნა, ჩვენთვის ამ ფაქტთა შინაგანი კავშირი ცხადი გახდება.

თუ ზემოთქმულს შევკრებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგში სტუდენტობის დროს დაახლოვებია თუ უშუალოდ დეკაბრისტთა წრეებს არა, მათ თანამგრძნობებს მაინც, რომელთაგან ერთი უნდა იყოს სტუდენტი კრუპსკი. სოლომონ დოდაშვილს ამ წრეებიდან უნდა შეეთვისებინა ის ლიბერალურ-განმათავისუფლებელი იდეები, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების დროს მას ამოძრავებდა.

მეორე ფაქტი — რილეევის ლექსის თარგმანი აგრეთვე ნათლად გვაუწყებს ქართველ შეთქმულთა და დეკაბრისტთა მოძრაობის შინაგან კავშირს.

საქმე ის არის, რომ ელიზბარ ერისთავი, რომელიც ამ თარგმანის ინიციატორი იყო, პეტერბურგში იმყოფებოდა მთელი შვიდი წელიწადი—1823-30 წლებში. ვიცით, რომ ის განათლების მისაღებად იყო წასული, კარჩაკეტილად არ ცხოვრობდა და იქ მყოფ სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ხშირად დადიოდა საქართველოს სამეფო საგვარეულოს წევრთა ოჯახებში, სადაც მნიშვნელოვანი საუბრები იმართებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებზე. ამდენად, მისთვის დაფარული არ უნდა ყოფილიყო ყოველივე ის, რაც რუსეთის, კერძოდ კი, პეტერბურგის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას ახასიათებდა. ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი მოწყვეტილი იყო ყველაფერს და ჟურნალ-გაზეთებსაც კი არ კითხულობდა. შეუძლებელია. მისთვის უცნობი დარჩენილიყო ის გარემოება, რომ «Полярная звезда»-ს 1825 წლის ნომერში დაბეჭდილი „ნალივაიკოს აღსარების“ გამო ამტყდარ აურზაურში თვით რედაქტორს ალ. ბირუკოვს თავისმართლება დასჭირდა, რომ აღნიშნული ლექსი არის „ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება“ და რომ კანონი არ მოითხოვს რედაქტორისაგან იმის ძიებას, თუ რა შეიძლება იმალებოდეს ავტორის ნათქვამის უკან.[1] და თუ ეს ყველაფერი არ იცოდა,

---

[1] К Рылеев. Полное собрание стихотворений. Издательство писателей в Ленинграде. 1934, стр. 46.

მაშინ როგორ აღმოაჩნდა რილეევის ლექსი, რომელიც მას ზეპირად ახსოვს. ან საიდან იცოდა მისი მნიშვნელობა?

ცხადია, ელიზბარმა კარგად იცოდა რილეევის ვინაობა და მის იხზულებათა მნიშვნელობაც და სწორედ ამიტომ ამოარჩია „ნალივაიკოს აღსარება", რომ ისევე გამოეყენებინა, როგორც იყენებდნენ პეტერბურგში დეკაბრისტები.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ რილეევის აკრძალული ლექსი ზეპირად იცის ვახტანგ ორბელიანმაც, რომელიც აგრეთვე პეტერბურგში ნამყოფია და რომლისთვისაც ამ ლექსის მნიშვნელობა და მისი აკრძალვის ფაქტიც ცნობილი უნდა ყოფილიყო.[1]

ს. დოდაშვილის მიერ რილეევის წერილის გადმოწერა და შეთქმულთა მიერ „ნალივაიკოს აღსარების" თარგმნა-გავრცელება. დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა იდეური ურთიერთობის მაუწყებელი ორი მკვევრმეტყველური ფაქტია.

ამრიგად, უდავო უნდა იყოს, რომ 1832 წლის შეთქმულების საფუძველი იყო საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ვითარება, ხოლო 1825-32 წლების ქართველი ინტელიგენციის მოძრაობის უშუალო წამქეზებელი კი — რუსეთში არსებული ლიბერალურ-განმათავისუფლებელი განწყობილება, კერძოდ დეკაბრისტების მოძრაობა. 1832 წლის შეთქმულება თავისი კონსპირატიულ-იდეოლოგიური შინაარსით მთლიანად შეესაბამება დეკაბრისტების საიდუმლო საზოგადოების მოქმედებასა და იდეოლოგიას.

როგორც რუსი დეკაბრისტები, ისე ქართველი შეთქმულნიც, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობის, არ ყოფილან ისე კარჩაკეტილნი და შეზღუდულნი, რომ საკუთარი კლასის ინტერესებს ვერ გასცდენოდნენ, და ამდენად მათი მოქმედება არ არის რომელიმე წრის ინტერესებით შემოფარგლული.

ისეთი მოქმედებანი, როგორიც არის 1825 წლის 14 დეკემბრის დეკაბრისტთა აჯანყება და 1832 წლის შეთქმულება, იმისდა მიხედვით კი არ ფასდებიან, თუ რამდენად მიაღწიეს დასახულ მიზნებს, — ასეთი შედეგით მსგავსი მოქმედება იშვიათად გვირგვინდება.

---

[1] რომ ქართველ შეთქმულთათვის ცნობილი იყო რილეევის ლექსის აკრძალვის ფაქტი, ამაზე თავის ჩვენებაში პირდაპირ მიუთითებს მისი მთარგმნელი გრ. ორბელიანი: „მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, რომ გადავთარგმნე აკრძალული ლექსი" (III. 3502). მეორე ადგილას კი აღიარებს: „ღრმად ვგრძნობ მთელ ჩემს დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა გადმომეთარგმნა ნალივაიკოს ლექსი და სხვებიც არ უნდა დამეწერაო" (I. 4022).

— არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში გლეხთა განთავისუფლებას დეკაბრისტთა სისხლის დაქცევის შემდეგ, 40 წელიწადი კიდევ დასჭირდა. მსგავსი მოქმედების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ასახავს და გადმოგვცემს ეპოქის ცხოვრების ვითარებას, სახელმწიფოს შიგნით პროგრესულ და რეაქციულ ძალთა დაპირისპირების სურათს და პროგრესულად განწყობილი საზოგადოების შემოქმედებით პოტენციას გვაცნობს. აღნიშნულ მოქმედებაში გამომჟღავნებულია საზოგადოების ტკივილები, ის სენი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას აავადებს და რომლის ვაბ-საკურნებლადაც საზოგადოების მოწინავე ნაწილი იღვწოდა.

საზოგადოების ამ რჩეული ნაწილის მოღვაწეობის მიმართ ჩვენ ბრმა და ყრუ არ უნდა დავრჩეთ, მათი მოქმედება ისტორიულ ასპექტში უნდა განვიხილოთ და მსჯავრი ისე უნდა დავდოთ.[1]

როგორც დეკაბრისტების მოძრაობა რუსეთის ცხოვრების წიაღიდან მომდინარე აუცილებელი მოვლენა იყო, ისევე საქართველოს ცხოვრების სინამდვილეზე იყო აღმოცენებული 1832 წლის შეთქმულება, ურომლისოდაც საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის დასაწყისი პირველი ნაწილი ძნელად გასაგები და უშინაარსო იქნებოდა. უამისოდ 1830 წლების ისტორიაში სიცარიელე იგრძნობოდა...

მაგრამ, რათა აღნიშნულ დასკვნამდე მივედით, ამისათვის საჭიროა ყოველგვარი წინასწარაღებული, ტენდენციური აზრი უკუვაგდოთ და ხელი მივყოთ შეთქმულების მასალების შესწავლას, რომლებიც უკვე ბლომად მოიპოვება, ხელმისაწვდომია და რომლებიც შეთქმულების ნამდვილ სახეს წარმოგვიდგენენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება 1832 წლის შეთქმულებისა და მისი მონაწილეების მოქმედების შეფასება.

---

1 თუმცა ამ მხრივ რუსი დეკაბრისტების შეფასებაშიც ჰქონდა უკუღმართობას ადგილი. პიპინის ზემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ: „... ისტორიკოსმა განსაკუთრებით უნდა უკუაგდოს ის განსჯა, იაც შთაგონებულია ბოროტი არაკეთილმყოფელობით და მლიქვნელობით, რომელიც მუდამ მზად არის ზედმეტი ქება ესროლოს დათრგუნვილ ადამიანებს, ისედაც დევნილებს. 20-იანი წლების ადამიანები განსაკუთრებით საჭიროებენ ისტორიულად გამართლებას: დიდხანს იყვნენ ისინი ამორიცხული ყოველგვარი გახსენებისაგან; მხოლოდ თავდასხმისა და განიცხვისათვის იყვნენ განკუთვნილნი; მათი დაცვა, რასაც ცდილობდა განათლებული საზოგადოების ნაწილი, საჯაროდ ვერ გამოითქმოდა, და უმრავლესობისათვის გაუგებარი რჩებოდა მთელი ისტორიული პერიოდი, რომელშიაც ადამიანები უაღრესად საზოგადოებრივი საკითხების წარმომადგენელნი იყვნენ". მით. შრ., გვ. 459.

XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო მსოფლიო პროგრესის ფერხულიდან გამორიცხული არ ყოფილა და მან თავისი შეძლებისდაგვარი წვლილი გაიღო. დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე, გიორგი ერისთავი, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვები, შეიძლება არ ჩამორჩებოდნენ თავიანთი საქმიანობითა და იდეებისადმი სამსახურით ეპოქის ცნობილ პოღვაწეთა პლეადას.

ჩვენი ამ შესანიშნავი წინაპრების მიმართ უნდა ითქვას, რომ ისინი ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩდნენ, შექმნილ ვითარებას სათანადოდ გამოეხმაურნენ და ღირსეული მოქმედებით უპასუხეს, რითაც საქართველოს ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელი კიდევ ჩაწერეს.

თუ გვინდა 1832 წლის შეთქმულება მთელი თავისი არსებით ჩვენთვის გასაგები იყოს, დაახლოებით მაინც უნდა ვიცნობდეთ იმ პირთა ცხოვრებასა და ვინაობას, რომლებიც ამ შეთქმულებას სულს უდგამდნენ: უნდა ვიცოდეთ ის იდეები, რომლებიც თვითეულ შეთქმულს მოღვაწეობის საზოგადო ასპარეზზე იწვევდა, მუშაობის სტიმულს აძლევდა და სათანადო შეგნებასა და მოქმედებას შთააგონებდა.

აქ დასახული მიზნის მიღწევა უბრალო საქმე არ არის. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც შეთქმულების მთავარ მონაწილეთა შესახებ ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევები გვექნება. ამჟამად კი სურათი მხოლოდ დაახლოებით შეიძლება გავითვალისწინოთ.

რასაკვირველია, შეთქმულების მონაწილენი ერთფეროვან საზოგადოებას არ წარმოადგენენ. ისინი განსხვავდებიან საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობით, განათლებითა და მოწინავე იდეებით აღჭურვის მხრივ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, შეთქმულების წყარო ერთი არ იყო. რამდენიმე სხვადასხვა მხრით მოგროვილმა გარემოებამ შექმნა ერთი კვანძი, რომლის ირგვლივაც სხვადასხვა წრის ხალხი აღმოჩნდა დარაზმული.

ამათ სათავეში არ შეიძლება სოლომონ დოდაშვილი არ დავაყენოთ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეთქმულების მომზადებისა და ორგანიზაციის საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის, არამედ იმიტომაც, რომ იდეურ შინაარსს ამ შეთქმულებისას მეტწილად სოლომონ დოდაშვილი წარმართავდა.

სოლომონ დოდაშვილი სიღნაღის რაიონის სოფელ მაღარო'მია

1805 წელს დაბადებული. იგი ჯერ სიღნაღის სასულიერო სასწავ-ლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავ-ლობდა. 1822-23 წლებში იყო მასწავლებლად სიღნაღის სასული-ერო სასწავლებელში. 1824 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და შევიდა უნივერსიტეტში.

თავის ჩვენებაში იგი ამბობს: „... 1824 წელს საკუთარი ხარ-ჯით გავემგზავრე პეტერბურგს მეცნიერებათა დაუფლების მიზნით და შევედი იქაურს უნივერსიტეტში. გასამრჯელოს ვღებულობდი ჩემი შრომისათვის ბაგრატ ბატონიშვილისაგან, რომლის მცირე-წლოვან ბავშვთა მასწავლებელიც ვიყავი, ამას გარდა, დახმარების მიწევდა ქართველი მღვდელმონაზონი იონა ხელაევი".[1]

უნივერსიტეტი დოდაშვილმა 1827 წელს დაასრულა და იმავე წლის ივნისში გამოემგზავრა საქართველოში, სადაც იგი უკვე და-ნიშნული იყო მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავ-ლებელში.

1830 წელს კი დაინიშნა თბილისის გიმნაზიაში სიტყვიერების მასწავლებლად.

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დოდაშვილი უპასუხებს: „არავითარი ქონება და შემოსავა-ლი არა მაქვს, გარდა ჩემი საკუთარი ჯამაგირისა, რომელიც წელი-წადში შეადგენს 1600 მანეთს ასიგნაციებითა"-ო.[2]

სოლომონ დოდაშვილის პეტერბურგში 4 წლის ცხოვრების შესა-ხებ ჩვენ არა ვიცით რა ოფიციალურად, მაგრამ თუ გავიხსენებთ მის ნაცნობობას სტუდენტ კრუპსკისთან, რომლისგანაც რილეევის არალეგალური წერილის პირი გადმოიწერა—და ეს მაშინ, როდესაც იგი თავის ნაშრომზე — ლოგიკაზე მუშაობდა, — თუ გავიხსენებთ, რომ მისი ფილოსოფიის კურსის პირველი ნაწილი ლოგიკა 1827 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა[3] — უნდა ვივარაუდოთ, რომ ს. დო-დაშვილი არა მარტო როგორც უნივერსიტეტის სტუდენტი, არამედ როგორც უკვე საზოგადოებისათვის შესამჩნევი პიროვნება, პეტერ-ბურგის საზოგადოების გარკვეულ წრესთან დაახლოებული უნდა ყოფილიყო, რამაც უთუოდ ხელი შეუწყო აღნიშნული შრომის დაწერ-ასა და გამოქვეყნებაში.

---

1 V, 1107.

2 V, 1107.

3 ს. დოდაშვილმა უნივერსიტეტი 1827 წლის იანვარში დაასრულა და ივნი-სამდე პეტერბურგში მხოლოდ თავისი შრომის ბეჭდვასთან დაკავშირებით უნდა დარჩენილიყო.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან ს. დოდაშვილის კავშირი სრულებით უდავოა.

ს. დოდაშვილი დაახლოებულია აგრეთვე პეტერბურგში გადასახლებულ საქართველოს სამეფო საგვარეულოს წევრთა ოჯახებთან და იქ მყოფ ყველა ქართველთან. მაგრამ განსაკუთრებით ახლოა იგი ოქროპირ გიორგის ძესთან და თავის მწყალობელ იონა ხელაშვილთან.

როგორც რუსულ, ისე, მით უმეტეს, ამ ქართულ წრეში, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ უკმაყოფილების სული ტრიალებდა, რასაც ს. დოდაშვილი სათანადო განწყობით უპასუხებდა.

იმისდა მიუხედავად, რომ დოდაშვილი 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში იმყოფებოდა და ნახა დეკაბრისტების მიერ გაღებული აჯანყება, იგი მაინც უკან არ იხევს და 1826 წელს იწერს დასჯილი დეკაბრისტის რილეევის წერილს. ხოლო იმავე წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ ფილადელფოს კიკნაძისადმი მიწერილ წერილში აცხადებს: „...სხვაი ზმნობა არს სარგებლად მამულისაო“ და ეს ზმნობა იყო საქართველოს რუსეთის ცარიზმის ბატონობისაგან განთავისუფლებისა და საქართველოში ლიბერალური წყობილების შემოღების იდეა. სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგიდან ამ აზრით გამოემგზავრა და საქართველოში ჩამოსვლისთანავე კიდეც შეუდგა მის განსახორციელებლად პრაქტიკულ საქმიანობას.

სოლომონ დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულების მომზადებისა და მისი ორგანიზაციის ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია.

იგი თავგანწირვით შეუდგა მუშაობას. გარდა იმისა, რომ ის შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელი სამეულის წევრია, მის გარეშეც შეთქმულების ორგანიზაციის სასარგებლოდ ბევრს საქმიანობს. ხოლო სპეციალურად აქვს ჩაბარებული იდეურ-საპროპაგანდო ნაწილი.

ამ მიზნით იგი სპეციალური ორგანოს გამოცემას იწყებს, რომელიც „ტფილისის უწყებანის“ დამატებას წარმოადგენს. თუმცა მხოლოდ ხუთი ნომერი გამოიცა, მაგრამ მაინც მოხერხდა საზოგადოებისათვის ბევრი საპროპაგანდო მასალის მიწოდება. ამ მასალის საგრძნობი ნაწილი თვით დოდაშვილის კალამს ეკუთვნოდა.

სოლომონ დოდაშვილი დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა, როგორც ამას შეთქმულთა ჩვენებები ადასტურებს და არც თვითონ დოდაშვილი მალავს. იგი საგამომძიებლო კომისიის წინაშე აღიარებს, რომ მართალია, ის შეთქმულთ აიმედებდა მთელი კახეთის გამოყვანა შემიძლიაო, მაგრამ ამას მხოლოდ ხუმრობით ამბობდა.[1]

---

1 I, 103.

ს. დოდაშვილი საქართველოში რესპუბლიკური წყობილების შემოღებაზე ოცნებობდა. ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს: „... 1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, მან მითხრა, დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკისმაგვარ სახელმწიფოდ".[1]

დოდაშვილი, შეთქმულების გარდა, დიდ სამეცნიერო და სალიტერატურო შრომას ეწეოდა.

გარდა ლოგიკისა,[2] ცნობილია მისი თხზულება — ქართული გრამატიკა, გამოცემული 1830 წელს. ჰქონია სხვა ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებებიც.

ჰქონია აგრეთვე ნარკვევები ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ.

ს. დოდაშვილს ეკუთვნის მისივე რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალში მოთავსებული რამდენიმე სამეცნიერო-პუბლიცისტური და საპოლემიკო წერილი.

გარდა ამისა, დოდაშვილის შეთხზულია მოწოდება ქართველთადმი, რომლითაც მათ საქართველოს წარსულს გაახსენებს და სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს.[3]

ს. დოდაშვილს დაუწერია აგრეთვე პროკლამაცია იმ შემთხვევისათვის, თუ აჯანყება მოხდებოდა. პროკლამაცია ალექსანდრე ორბელიანთან ინახებოდა და ამ უკანასკნელმა შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე მოსპო. ალექსანდრე ორბელიანი კომისიას უპასუხებს ამაზე: „პროკლამაციას რომ მკითხავს კომისია, სოლომონ დოდაევისაგან იყო დაწერილი და არა სხვას ვისგანმე. და იმან მამცა, ერთს საღამოს ჟამზე მასთან ვიყავ გაზაფხულზე, ესეც მითხრა რომ აქ ვერ შევინახამო, შენ შინ წაიღეო, და იქ შენ გქონდესო. მე ქილაში ჩავაწყე[4] და საკუჭნაოში შევინახე რომ არავინ არ იცოდა".[5]

---

1 I, 1567.

2 Курс философии. Часть первая: Логика. Сочинение Соломона Додаева-Магарского. Санктпетербург. В типографии Александра Смирдина, 1827 год.

3 X, 1833; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 95.

4 როგორც ჩანს, პროკლამაციები ბევრი ყოფილა, შესაძლებელია. ორალეგარულად იყო დაბეჭდილი.

5 II, 206.

ალ. ორბელიანი ს. დოდაშვილის ფიცხელ მოღვაწეობაზე შეთქმულების მომზადებისათვის თავის ჩვენებაში წერს: „...უფლის სოლომონ დოდაევის საქმენი განმაკვირვებდნენ. ესრეთ, რომ დოდაევი იყო გლეხი კაცი, და ახლა მთავრობის მიერ აჰყვავებული იქნა და ამ ბოროტს განზრახვასა ზედა ვითარ ფიცხლად იქნებოდა, რომელიც განმაშტერებდნენ მისნი ესრეთნი საქმენი".[1]

ს. დოდაშვილს შეთქმულებაში მონაწილეობისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ სხვებთან ერთად რუსეთში გადასახლებით შეუცვალეს, რაც, სხვათა შორის, იმით იყო დასაბუთებული, რომ პატივი სცეს, რადგან ცოლად რუსის ქალი ჰყავდა.[2] იგი ქალაქ ვიატკაში იქნა გადასახლებული ცოლ-შვილით, სადაც 1834 წლის 24 ივლისს გაიგზავნა. მას ნება მიეცა სამსახურში შესვლისა, რათა „ჩინი" დაემსახურებინა. ვიატკის საგუბერნიო სამმართველოში გადამწერის ადგილი მიიღო 1834 წელს.

ვიატკის ჰავამ ცუდად იმოქმედა ს. დოდაშვილის შერყეულ ჯანმრთელობაზე. მან რამდენიმეჯერ ითხოვა სამხრეთ გუბერნიაში გადასახლება. მაგრამ ნიკოლოზ პირველმა ეს არ ინება.

1836 წლის 10 აგვისტოს საექიმო შემოწმების ოქმში ს. დოდაშვილის მდგომარეობის თაობაზე შემდეგს ვკითხულობთ: „...თვალები ამღვრეული და ღრმათ ჩაცვინული, სახე გაყვითლებული, ტყვიის ფერი, ცხვირი წაწვეტილი, ხორციანი ადგილები იმდენად დაწვრილებული, რომ ზოგიერთი ადგილას ძვლებზე მარტო კანიღაა გადაკრული; მოკლე სუნთქვა ყელში ხიხინით, რომელსაც (სუნთქვას) ხშირად აჩერებს ხველა, რის შედეგადაც ბლომად ამოინთხევა სქელი, ჩირქოვანი და მყრალი ნახველი, ხმა მილეული, სიტყვის გამოთქმა უჭირს, ხველას, საუბარსა და მოძრაობას თან სდევს გულის წასვლა...[3]

ს. დოდაშვილი გარდაიცვალა 1836 წლის 20 აგვისტოს.

ასე დასრულდა ამ შესანიშნავი ადამიანის მგზნებარე, ხანმოკლე, მაგრამ მდიდარი შინაარსით აღსავსე სიცოცხლე. სიცოცხლე ადამიანისა და მოქალაქისა, რომელსაც გარდაცვალებამდე 9 წლით ადრე ერთი ოფიციალური პირი სწერდა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემო სოლომონ ივანეს ძევ!

თხზულება თქვენი სათაურით ფილოსოფიის კურსი, ნაწილი I ლოგიკა -- საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა მივიღე, და გადავა-

---

1 XXV. 5050.

2 ს. დოდაშვილის ცოლი იყო სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორის ინჟინერ-კაპიტანის თევდორე ბარაშკინის შვილობილი.

3 XXX, 107.

თვალიერე რა იგი, ვპოვე რომ როგორც თავისი შინაარსით, ისე ბოთხრობის ხერხით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. თქვენი, ამ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენში ნაკლებად დამუშავებულ საქმეზე მეცადინეობის ასეთი ბედნიერი დასაწყისი თავდებია უფრო ბედნიერი შედეგებისა. ამიტომ ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა გამოგიცხადოთ თქვენ ამ საქმეები და სასარგებლო ნაშრომისათვის უღრმესი მადლობა და დაგარწმუნოთ, რომ ამ შრომის გაგრძელება და საერთოდ თქვენი შრომა სასწავლო დარგში არ დარჩება თავის დროზე მისი შესაფერი ჯილდოს გარეშე"...[1]

ს. დოდაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობის ფარგლები საქართველოს სცილდება. მას რუსული აზროვნებისა და განათლების განვითარების საქმეშიც თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს.

შეთქმულების ფაქტიური მეთაური და საერთო ხელმძღვანელი იყო ელიზბარ ერისთავი.

იგი დაბადებულია 1810 წელს და შეთქმულებაში მონაწილეობის დროს 20—23 წლის ჭაბუკი იყო.

1823—30 წლებში 7 წლის განმავლობაში პეტერბურგში სწავლობდა, ამათგან უკანასკნელი 5 წელი — საარტილერიო სკოლაში.

პეტერბურგში 7 წელიწადს ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია და რევოლუციური აღტყინება, რომელიც მას ქართული შეთქმულების არსებობის მთელ მანძილზე ახასიათებდა, უთუოდ რუს საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს შეიძინა.

შეთქმული ლუარსაბ თარხან-მოურავი თავის ჩვენებაში ამბობს: ელიზბარმა თქვა „რუსების საქმე კარგად ვიცი, რადგან მე იქ გავიზარდე. როგორც უნდა მოვახერხებ იმათ საქმესაო".[2]

ელიზბარ ერისთავი 1830 წელს ჩამოდის საქართველოში და ამ დროიდან იწყებს არსებობას შეთქმულების ორგანიზაცია. არტილერიის ეს პოდპორუჩიკი შეიქნა მეთაური საქართველოს ეროვნული განთავისუფლების არალეგალური საზოგადოებისა.

საგამომძიებლო კომისიისთვის ელიზბარ ერისთავი ცნობილია როგორც «Основатель Тифлисского злоумышленного заговора».[3]

ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში წერს: „...ჩემი ამხანაგნი დიდი მცდელნი იყვნენ ამ საქმისა, ნამეტნავად თავადი ელიზბარ შანშესძე ერისთვის შვილი. რომელიც ყოველს ჩვენზე უპირველესი მცდელი ის შეიქმნა".[4]

---

[1] XXVII. 107.

[2] VI 1044.

[3] XXV III[1], 745.

[4] ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერი № 1659.

იგივე ალექსანდრე ორბელიანი საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე უპასუხებს „...ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარი იყო, ამისთვის, რომ დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი“-ო.[1]

სოლომონ დოდაშვილის ჩვენებით კი, როდესაც ელიზბარი თბილისში არ იმყოფებოდა, შეთქმულების საქმეები შეჩერებული იყო.

ელიზბარი აწესრიგებდა ახალ, განსაკუთრებით კი, წარჩინებულ წევრთა და წრეების შეთქმულების ცენტრთან ურთიერთობას. იგი იყო ინიციატორი და პირველი ავტორი პირველი ღამის განკარგულებისა, აგრეთვე საქართველოს მმართველობის პროექტისა.

ელ. ერისთავმა ზაქარია ჩოლოყაშვილსა და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად, შეიმუშავა აჯანყების სამოქმედო გეგმა. იგი, იმავე პირველი ღამის განკარგულების თანახმად, აჯანყების მომენტში საერთო ხელმძღვანელი და განკარგულების გამცემ შტაბში უნდა ყოფილიყო.

ელ. ერისთავი თავდავიწყებული ენთუზიასტი იყო შეთქმულებისა. ერთხელ, როდესაც მას უკიჟინეს, რომ ახლა ძალიან ცდილობს რუსების გარეკვას, თუმცა ისინი ერისთავების მოყვანილნი არიანო,[2] მან თურმე უპასუხა: ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავები გარეკავენო.[3]

მას არაერთხელ განუცხადებია: ვინც ხელს შეგვიშლის ჩვენი განზრახვის აღსრულებაში, მას პირველს წამოვაგებ ხანჯლის წვერზეო.

ელიზბარი წინადადებას აძლევს დოდაშვილს, რათა მან გამოსცეს გაზეთი შეთქმულების მიზნებთან დაკავშირებით. საგამომძიებლო კომისიაში თვითონვე აღიარა, დოდაშვილს ვურჩიე: «...издавать газету с намерением приготовлять умы к возмущению»[4].

ელიზბარმავე დაავალა გრიგოლ ორბელიანს რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმნა. ალექსანდრე ორბელიანის ჩვენებით „...ელ. ერისთავმა მისცა რილეევის სტიხი გრიგოლ ორბელია-

---

1 I, 1068.

2 XV, 2758.

3 ელიზბარის მამა შანშე ქსნის ერისთავი ქართველ ფეოდალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც რუსეთის ორიენტაციას იზიარებდა. კერძოდ, შანშე დიდ დახმარებას უწევდა რუსებს საქართველოში შემოსვლის პირველ ხანს. ამ გარემოების წყალობით ელიზბარსა და მამამისს შორის უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. ეს შეიქნა საბაბი, გავრცელებულიყო ხმა, რომ შანშე ელიზბარმა მოწამლა და უცაბედად გარდაიცვალაო. რასაკვირველია, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მაგრამ ერთგვარი განწყობილების მაჩვენებელი კია... თუმცა ელიზბარის ბიძა გენერალ-ლეიტენანტი სენატორი გიორგი ერისთავი შეთქმულების მონაწილე იყო და საგიტაციო ლიტერატურასაც თხზავდა.

4 5010.

ნოვს სათარგმნელად ქართულად". თვითონ ელიზბარი კი უჩვენებს: „1831 წლის დამდეგს ვიყავით გრიგოლ ორბელიანოვთან: სოვეტნიკი ალექსანდრე, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე. ვილაპარაკეთ ჩვენი განზრახულობის შესახებ და ამასთანავე დავუწერეთ გრიგოლ ორბელიანოვს «Исповедь Наливайки» და ვუთხარით, რათა იგი მან გადათარგმნოს. ვახტანგმა დასწერა, მაგრამ რადგან რამოდენიმე ტაეპი დააკლდა, მე მოვაგონე"-ო.[1]

ელიზბარ ერისთავი ალექსანდრე ორბელიანთან ერთად ამყარებს კონტაქტს ირანში ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილთან, ხოლო შეთქმულების აზრის პირველ შთამაგონებლებთან პეტერბურგში მყოფ დიმიტრისა და ორქოპირთან გაცხოველებულ კონსპირატიულ-კრიპტოგრაფიულ მიმოწერას აწარმოებს.

ელიზბარი და ალექსანდრე ორბელიანი ცდილობენ შეთქმულებაში დასავლეთი საქართველო ჩაითრიონ. ამ მიზნით სპეციალურ ემისარს თეიმურაზ ლორთქიფანიძეს გზავნიან იმერეთში.

ელიზბარსა და მის ძმას დიმიტრის კავშირი აქვთ თბილისში გადმოსახლებულ 1830 წლის პოლონეთის აჯანყების მონაწილე პოლონელებთან, რომელნიც მათ საქართველოში აჯანყების დროს დახმარებას აღუთქვამენ.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით, როდესაც მას ეპვი გამოუთქვამს ზარბაზნებს ვერ მოიხმარს, როდესაც ქართველთაგან მათი ხმარება არავინ იცისო — დიმიტრი ერისთავს უპასუხნია: „პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენი მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი"-ო. იასე ფალავანდიშვილი კვლავ შეჰკითხებია, სად ვიშოვით ჯარში მყოფ პოლონელებსაო. ამაზე ელიზბარ ერისთავს უთქვამს: „მე ყოველდღე დავდივარ ჩემს სიძე ველნიკოვთან.[2] ამის მაღაზიების ქვეშ სახლისაში უჭირავთ შვეცერელების პოდანთ ვაჭრებს და იმათთან მოდიან პოლიაკები ზოგი სათხოვრად და ზოგი ისე და მე განზრახ დაუწყებ ხოლმე ლაპარაკსა და ყოველთვის თითო აბაზი მაქვს გადადებული მათთვის და ამით ბევრს ვიშოვნით. და კიდეც ვანუგეშებ, ვეუბნები ჩვენც თქვენსავითა ვართ და ისინი ამბობენ ზა ოტჩიზნუ".[3]

თვით ელ. ერისთავს ამ საქმის გამო საგამომძიებლო კომისიისათვის უპასუხნია: „მე ვუთხარი თავად ლუარსაბ ორბელიანოვსა და იასე ფალავანდოვს, რომ პოლონელები, რომლებიც თბილისში იმ-

---

1 XI, 1891.

2 თბილისის პოლიცმეისტერი ანდრია მელნიკოვი, ელიზბარის სიძე. შეთქმულების მონაწილე.

3 I, 962.

ყოფებიან, ჩვენს მხარეზე იქნებიან მეთქი. მაგრამ მე ეს ვთქვი ყოველგვარი განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, არა მქონია მათთან არავითარი ურთიერთობა და მხოლოდ აზრი მქონდა მათ შესახებ მათი მდგომარეობის გამო"-ო.[1]

ელიზბარს ქართლის სოფლების მამასახლისები მომზადებული ჰყოლია და კიდეც დაუბარებია ისინი თბილისში იმ დროისათვის, როცა შეთქმულება უნდა განხორციელებულიყო.

მას განუცხადებია: „სხვადასხვა სოფლებიდან ველოდები ჩემი გლეხებისაგან 12 მამასახლისს, რომლებიც მიიღებენ განკარგულებას თუ აჯანყების დროს როგორ უნდა ვოიქცენო".[2]

ელიზბარი, როგორც ვიცით, უკანასკნელ ხანს შეთქმულების მეთაურად იქნა არჩეული.

შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ელიზბარ ერისთავს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ მერე ჰელსინგფორსში გადასახლებით შეუცვალეს, სადაც მან 11 წელიწადი დაჰყო.

საქართველოში დაბრუნებული იგი ცდილობს თავისი მოქმედებით ხალხს ცოტა რამ სიკეთე მოუტანოს. მან ქართლის სოფელ ღვარებში დააარსა შუშის ქარხანა, საზღვარგარეთიდან გამოიწერა მებაღე სპეციალისტები და ცდილობდა ქართლში კულტურული მებაღეობა გაევრცელებინა. სამხედრო სამსახურში პოლკოვნიკის ხარისხი დაიმსახურა.

გარდაიცვალა ელ. ერისთავი ქ. გორში 1871 წელს იანვრის 11-ს, დასაფლავებული ყოფილა გორის ტაძრის ეზოში.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები ელიზბარის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მე მივმართე მის ქალს ნინო ქობულაშვილისას და ვთხოვე დაეწერა მოგონება თავისი მამის ცხოვრებაზე. მაგრამ მან იმის მეტი ვერ შეძლო, რასაც ქვევით ვბეჭდავთ.

„25 მაისს 1935 წელს ჩემთვის მეტად სასიხარულო დღე გათენდა. 1832 წლის შეთქმულების წიგნი გამოვიდა და მისმა ავტორმა გ. გოზალიშვილმა მითავაზა ეს წიგნი, როგორც შთამომავალს ელიზბარ ერისთავისა, რომელიც იყო ერთი მეთაურთაგანი იმ შეთქმულებისა".

ამ წიგნის წაკითხვით ადვილად წარმომიდგა თვალწინ მამაჩემის სიყმაწვილე და აღტაცებული, წრფელი გრძნობით მისწრაფება იმ იდეალებისადმი, რომლითაც იყო სავსე იმისი გონება: განთავისუფლება თავის ქვეყნისა და ხალხის ყოველგვარი მონობიდან.

მამაჩემი რომ გარდაიცვალა მე ვიყავი 11 წლისა. ასე რომ ბევრი

---

[1] I, 5114.

[2] I, 1016.

არა ვიცოდირა იმის წარსულისა, მაგრამ სხვანაირად მიგვაჩნდა იგი, დიდათ გვიყვარდა და ვათაყვანებდით. საზოგადოთ ოჯახისთვის ძალიან ტკბილი და მზრუნავი კაცი იყო. თავისი ცოლი ქეთევან შალვა ერისთავის ასული დიდათ უყვარდა და ანებივრებდა. შვილისათვის სცდილობდა მიეცა კარგი და ვრცელი განათლება. სამწუხაროთ ვერ აუსრულდა სურვილი, რადგანაც ადრე გარდაიცვალა. ჩემი უფროსი ძმა, რომელიც 12 წლით იყო ჩემზე დიდი, წაიყვანა ოდესაში და მისცა იქ საუკეთესო პანსიონში, რომელიც იყო დაარსებული ერთ შვეიცარელ ცოლ-ქმრისაგან, იქ როგორც სწავლას, ისე ზნეობრივ აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. გარდა გიმნაზიის პროგრამისა ასწავლიდნენ ყველა ევროპულ ენებს, მუსიკას, სიმღერას და სხვ.

ჩემ ძმასთან ერთად მამაჩემმა წაიყვანა ოდესაში თავისი ძმისწული ალექსანდრეს შვილი გიორგი და დავითი, გიორგი ერისთავის შვილი და მიაბარა იმავე პანსიონში.

ჩვენ ქალებს (სამნი დანი ვიყავით) დაგვიჭირა ფრანგის ქალი და გვეუბნებოდა: ისწავლეთ, ისწავლეთ ფრანგული, თორემ რუსული ენით მარტო მოსკოვამდე მიხვალთო.

რა თქმა უნდა 11 წელიწადი ჰელსინგფორსში ყოფნამ სიყმაწვილის ოცნებები მოუსპო, მაგრამ თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული ვერ ჩაუქრო. ის მაინც ფიქრობდა იმათთვის და ცდილობდა სხვა ფრით ეშველნა. ყველას ურჩევდა: ასწავლეთ თქვენს შვილებს, ასწავლეთ, ეხლანდელი ფარ-ხმალი ცოდნაო. განავრცელა მთელ გორის მაზრაში ევროპული ხილის ნამყენები, დააარსა თავის სოფელ ღვარებში, გორის ახლოს, პირველი ჩვენს ქვეყანაში შუშის ქარხანა. რომელიც ორჯერ დაეწვა და ორჯელვე განაახლა. ოსტატები საზღვარგარეთიდან მოიყვანა. იმათგან ზოგმა გლეხკაცებმაც ისწავლეს ხელობა. მამა ჩემი ძალიან გატაცებული იყო ამ საქმით და არ ზოგავდა არც თავის თავს და არც ფულს. როდესაც გლეხკაცები გაანთავისუფლეს და მთავრობამ მისცა ფული მემამულეებს, მამაჩემი წავიდა საზღვარგარეთ და სხვათა შორის ბოჰემიაში, სადაც დიდი ყურადღება მიექცია იქაურ შუშის ქარხნებს, და ოცნებობდა თავისიც ისე მოეწყო. მაგრამ სამწუხაროდ ბევრი რამ უშლიდა ხელს.

გორში მშვენიერი სახლი ააშენა, რომელიც მოაწყო სწორედ ევროპული კომფორტით. გორში დიდხანს მსახურობდა და დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ყველასგან. მთელ გორის მაზრაში დიდი გავლენა ჰქონდა. არც ერთი საქმე, საზოგადო თუ კერძო, უმამაჩემოთ არ გადაწყდებოდა. იმის სიტყვას და რჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამწუხაროდ ამჟამად არც დედაჩემია ცოცხალი, არც ბევრნი სხვა პირნი, რომელნიც იცნობდნენ მამაჩემს და ეცოდინებოდათ ეპიზოდები იმისი ცხოვრებიდან, რაც დაახასიათებდა მის პიროვნებას...

ელ. ერისთავი გარდაიცვალა ქ. გორში 1871 წელს ივნისის 11-ს. დასაფლავებულია გორის სობოროს ეზოში".

1832 წლის შეთქმულებას გარკვეულ ელფერს აძლევდა ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობა.

იგი დაბადებულია 1776 წელს პეტერბურგში. 1795—1799 წლებში იზრდებოდა პეტერბურგში ბამანის თავისუფალ პანსიონში. ამის შემდეგ კი თბილისში, მშობლების ოჯახში.

1803 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ჩაება იმ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში იყო გაჩაღებული ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მიზნით, იგი შეუერთდა მთიულეთში მყოფ და იქიდან მოქმედ ფარნაოზ ბატონიშვილს, მაგრამ გზაზე შეიპყრეს და რამდენიმე ხნით საცხოვრებლად ქ. ტამბოვში გაგზავნეს. მალე იგი პეტერბურგში მოითხოვეს და პაჟთა კორპუსში მისცეს სასწავლებლად სახელმწიფო ხარჯზე. კორპუსიდან 1809 წელს გამოუშვეს გვარდიის პოდპორუჩიკად.

1811 წელს ალ. ჭავჭავაძე დანიშნეს საქართველოს მთავარმმართებლის პაულუჩის ადიუტანტად.

1812 წელს კახეთის ამბოხების დროს ალ. ჭავჭავაძე ფეხში დაიჭრა, რამაც ხელი შეუშალა თან გაჰყოლოდა პაულუჩის, რომელსაც 1813 წელს რიგაში წამოეწია. მან რუსის მხედრობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1813—14 წლების კამპანიებში საზღვარგარეთ, რის შემდეგაც იგი პეტერბურგს დაბრუნდა. 1814 წელს იგი იყო პარიზში, სადაც უთუოდ შეითვისა ლიბერალური იდეები და, კერძოდ, აღმოაჩნდა ვოლტერით გატაცება.

ა. ჭავჭავაძე 1830-იან წლებში უკვე ცნობილი პოეტია და იმავე დროს გენერალ-მაიორის ხარისხს ატარებს. იგი ქართველი ინტელიგენციის წრის უფროსი თაობის წარმომადგენელია არა მარტო ხნოვანებით, არამედ მოღვაწეობით, გამოცდილებით, განვითარებით, ერუდიციით. ამიტომაც მის მონაწილეობას შეთქმულებაში ყველანი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ და თითქმის ყველა, ვის წინაშეც დასმულა ხოლმე საკითხი შეთქმულების წევრად გახდომისა, იმას კითხულობდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე არის თუ არა მონაწილეო.

ალ. ჭავჭავაძემ შეთქმულების ამბავი 1831 წელსვე იცოდა.

ლუარსაბ ორბელიანი, ჩვენებაში მასთან საუბრის შესახებ, ამბობს, რომ მივედი და ვუთხარი: „...თავადი ელიზბარი კვლავ იმეორებს 1831 წლის განზრახვის აღსრულების შესახებ მეთქი".[1]

შეთქმულების გამო პეტერბურგიდან ჩამოსული გვარდიის კაპიტანი ზაქარია ჩოლოყაშვილი გადმოგვცემს: „თავად ალ. ჭავჭავაძეᲗ მიმიწვია ელიზბარის საშუალებით ნაშუადღევის 5 საათზე. მასთან რომ მივედი, იქ დამხვდა ლუარსაბ ორბელიანოვი. ნახევარი საათის შემდეგ თავად ჭავჭავაძემ შემიწვია ცალკე ოთახში, სადაც ლუარსაბიც შემოგვყვა.

თავადო ზაქარია დიმიტრის ძევ, მითხარით რას ჰფიქრობთ ჩვენს საქმეზე, მითხრა მან, თავად ჭავჭავაძემ და შევნიშნე, რომ აღელვებული იყო. მე ვფიქრობ მეთქი, უთხარი განგებ, რომ თქვენმა ბრწყინვალებამ რაკი ამ საქმეზე მიმიღო, ალბად ბევრი რამ უკვე მოიფიქრა მეთქი. მე გეტყვით თავადო, რომ თქვენს ერთ სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან თქვენ გემორჩილონ მეთქი".[2]

პეტერბურგიდან აგრეთვე შეთქმულებისვე გამო ჩამოსული გვარდიის ოფიცერი გიორგი რევაზის ძე ერისთავი უჩვენებს: „თბილისში მე ვინახულე ალექსანდრე ჭავჭავაძე, როდესაც ის ოჯახით აქ ჩამოვიდა.[3] მე და ელიზბარს მასთან გვქონდა საუბარი კავკასიის კორპუსისა და მთელი არმიის ძალების შესახებ".[4]

ალ. ჭავჭავაძე 1831—32 წლ. უკვე შეთქმულების მონაწილე იყო.[5] იგი ამ მიზნით საგანგებოდ დაუკავშირდა საფრანგეთის საკონსულოს ყოფილ მდივანს ლეტელიეს და საქართველოს სამოქალაქ-

---

[1] V, 821.

[2] I. 40 (ხაზგასმით ჩემია, გ. გ.).

[3] 1830 წლის ნოემბერს.

[4] I, 636.

[5] ალ. ჭავჭავაძე მთელი ენერგიით ცდილობს უდანაშაულოდ მოაჩვენოს თავი. ამ მიზნით, ერთი სპეციალური ჩვენებაც დაწერა ქართულად, რომელიც უნდა წაეკითხა მის ცოლის ძმას ლუარსაბ ორბელიანს. იგი უნდა მიმხვდარიყო ალ. ჭავჭავაძის განზრახვას და ეთქვა, რომ ჭავჭავაძე უდანაშაულოა. მაგრამ ამ ჩვენებაზე ლ. ორბელიანმა შემდეგი მიაწერა: „წამკითხველი ამ წიგნისა, რომელიც ღენერალ-მაიორს ჭავჭავაძეს მოუწერია ღმერთსა ვფიცავ და ჩემს სარწმუნოებას, რომელიც ჩემგან ნაჩვენებია კამმისიაში ღენერალ ჭავჭავაძეზედ არცერთი სიტყვა ტყუილი არ არის და სწორედ მიჩვენებია კამმისიისათვის და არც ჩემს სიძეს ტყუილს მოუგონებ და არც ვარ ტყუილის თქმის ჩვეულიო" (XXIV: 4764, გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 49).

ქო გუბერნატორს ზავილეისკის. აგრეთვე საქართველოს პროკურორს იავორ ჭილაშვილს.

სამსახურიდან დათხოვნილმა და პეტერბურგში პასუხსაგებად გაწვეულმა პეტრე ზავილეისკიმ მოსკოვში ჩასვლისთანავე ინახულა ოქროპირ ბატონიშვილი და აგრეთვე პეტერბურგიდან საქართველოში მომავალი შეთქმულების წევრები, რომლებიც გაამხნევა და დაარიგა. მან გიორგი რევაზის ძე ერისთავს უთხრა, რომ ქართველები: „...ფიქრობენ რომ რაკი ალ. ჭავჭავაძე რუსეთის სამსახურშია, მას არ უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ მე ვიცი, რომ მას იგი ძალიან უყვარს და მისთვის სიკეთეც ჰსურსო".[1]

დიმიტრი ორბელიანთან კი ზავილეისკი თურმე: „აქებდა საქართველოსა და თავადიშვილებს, განსაკუთრებით ჭავჭავაძეს, რომ ის მისი მეგობარია და პატრიოტია".[2]

ალ. ჭავჭავაძე მჭიდრო ურთიერთობაში იყო აგრეთვე ფილადელფოს კიკნაძესთან, რომელთანაც გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა და რომელთანაც ერთად კახეთის შეთქმულთა წრის წევრი იყო.

ალ. ჭავჭავაძეს პირველს დაებადა აზრი ურთიერთობა ჰქონოდათ ალ. ბატონიშვილთან. მას შეთქმულთათვის დაუვალებია ალ. ბატონიშვილის კახეთში გამოწვევა, დანარჩენს კი თვითონ კისრულობდა.

ლუარსაბ ორბელიანს ელ. ერისთავისა და ალ. ორბელიანისთვის უთქვამს: „ჭავჭავაძე თანახმაა და ბრძანა ალ. ბატონიშვილთან კაცის გაგზავნა, რათა ის კახეთს გამოვიდეს, დანარჩენი თვითონ იცის, რასაც გააკეთებსო.[3]

განთავისუფლებულ საქართველოში ალ. ჭავჭავაძე მეორე პირად იყო ნაგულისხმევი. საქართველოს მმართველობის პროექტში „კითხულობთ: „ორი სამთავრობო (სამმართველო) ადგილი იყო ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ პირველი პირი თვით მეფე, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილს გულისხმობდნენ. მეორე სამხედრო მინისტრი ჭავჭავაძე...".[4]

საგამომძიებლო კომისია საგანგებოდ იძიებდა ალ. ჭავჭავაძესთან შეთქმულთა ნაცნობობისა, მასთან ურთიერთობისა და, კერძოდ, შეთქმულების გამო ურთიერთდამოკიდებულების ამბავს.

აქ ერთ გარემოებაზე გვინდა შევჩერდეთ.

---

1 I, 1503.

2 I, 619.

3 II. 1156.

4 გ. გოზალიეილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 92.

პატივცემულმა სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა იონა მეუნარგიას ხელნაწერი — ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ესკიზი.[1] მართალია, ეს პატარა წიგნაკი ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის საინტერესოს ბევრს არაფერს შეიცავს, მაგრამ მისი შინაარსი სწორად რომ იქნეს გაგებული, საჭიროა განმარტება. წიგნაკი იმ მხრივ არის საინტერესო. რომ აშკარად გვიხატავს იმ დუხჭირ პირობებს, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა იონა მეუნარგიას და სხვებს და რის გამოც იძულებული გახდა თავისი მოთხრობისათვის გარკვეული მიმართულება მიეცა. ამიტომ მან ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტს ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებიდან მთლად გვერდი აუარა, ზოგი კი ტენდენციურად განმარტა.

რომ ბიოგრაფს ალ. ჭავჭავაძის ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა ჰქონია აზრად, ეს აშკარად ჩანს ამ პატარა წიგნაკიდან.

იონა მეუნარგია იმ ეპოქაზე, რომელშიაც ალ. ჭავჭავაძე ცხოვრობდა, ამბობს ....რაც უფრო ვშორდებით ჩვენ ამ დროს, უფრო და უფრო აწყდება მას ის ძაფები, რომლითაც მიბლანდულია იგი ძველ დროებასთან. თუ რამე არ მოუხერხდა ამას, სანამ დრო კიდევ არის, თუ არ გამოვიძიეთ მეტადრე პირველი ნახევარი ამ ასეულისა, ქს საუკუნე. ეს გრძელი და ტვირთმძიმე საუკუნე, ისეთივე მჭლე და უცნობი საუკუნე იქნება ჩვენთვის, როგორიც არის სხვა საუკუნეები".[2]

მერე თვით ალ. ჭავჭავაძე წერს: გენერალ-მაიორი ალ. ჭავჭავაძე, ყველა ამ საუკუნის მწერლებზე უფრო საუკუნეთა შემაერთებელი მწერალი და პოლიტიკური მომქმედია. მისი ცხოვრების აღწერა თვითონ დაგანახვებთ რაა უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო. კერძო პირი. თუ საზოგადო მომქმედი, მეინახე".[3]

როგორც ვხედავთ. მეუნარგიას განზრახული ჰქონია ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა და წარმოდგენა საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის ფონზე... მაგრამ მას ამ განზრახვაზე ხელი აუღია და ხელის აღების მიზეზი სწორედ ის უკეღმართი სიტუაცია იყო, როდესაც ისეთ ფაქტებზე ლაპარაკი. როგორიც არის ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების არა ერთი მომენტი და რომელიც თვით საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული — სახიფათო და აკრძალული იყო. ბიოგრაფმა ისიც კი ვერ

---

1 ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა. ალ. ჭავჭავაძე, სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1937 წ.

2 დასახ. წიგნი გვ. 56.

3 იქვე. გვ. 56 — 57.

გაბედა ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების მონაწილედ დაეტოვებინა და სცადა მისი „რეაბილიტირება“.[1] ხოლო მისი ფარნაოზ ბატონიშვილთან ლტოლვისა და ამის გამო ტამბოვში გადასახლების შესახებ, ერთი სიტყვაც არ არის დაძრული.

მაგრამ რომ ი. მეუნარგიას თავდაპირველად ამ ამბების ჭიყრუება არ სდომებია, იქიდან ჩანს რომ ნაგლეჯებად გადარჩენილ მის ქაღალდებში, როგორც ბიოგრაფიის მასალა, ეს ამბავიც შეტანილია შენიშვნების სახით.

სახელდობრ, ერთ შენიშვნაში მას მოყვანილი აქვს ისტორიული დოკუმენტებიდან ამოღებული ცნობა: „ღენერალ-მაიორი ორბელიანი სწერს ვოლკონსკის და ვოლკონსკი ციციანოვს (15-IX-1804) „14 ამ თვეს დავიდ ყორჩიბაშევმა და თელავის კომენდანტმა გეინმა შემატყობინეს, რომ 13-ს დიდი ხალხი შეყრილა ალავერდობაში და 14-ს საღამოთი ალავერდის პრიხოდის არხიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დიმიტრი, ბარამ, გლახა ყორჩიბაშევები, მაიორი ვახვახოვი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, აბელ ჩოლოყაევი, პაატა, დიმიტრი, იოსებ... წავიდნენ“.[2]

მეორე შენიშვნაში კი ასეთი ცნობა აქვს: „ფარნაოზთან თელავის კაპიტან ისპრავნიკის დანესენიით წასულა სულ 28 თავადი.

Александр сын Герсевана-ს უპირავს სპისოკში 27. აზნაური 7. ერთიც არქიმანდრიტი“.[3]

ალ. ჭავჭავაძის ტამბოვში გადასახლებასა და შეთქმულებაში მონაწილეობაზე აქ ვერაფერს ვხვდებით, მაგრამ ეს ხომ ი. მეუნარგიას ხელნაწერის მხოლოდ მცირე ნაშთია.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ დღეს გამოქვეყნებული ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია მხოლოდ მკრთალი აჩრდილია იმისი, რის დაწერაც განზრახული ჰქონია ი. მეუნარგიას და რის განხორციელებაზეც

---

[1] იქვე, გვ. 32 — 35.

[2] ხაზგასმულია ი. მეუნარგიას მიერ.

[3] დასახელებული წიგნი, გვერდი 62 — 63. იგულისხმება ფარნაოზ ბატონიშვილთან წასვლა, რის შესახებაც თვით ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის წარდგენილ ჩვენებაში სწერდა: „...მგონი: 1803 წელს ზოგიერთ შემცდარ ახალგაზრდათა მაგვნ შთაგონებით, შევუერთდი ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც მაშინ მთიულეთში არაგვზე იყო. მე მინდოდა მასთან ერთად ირანში წავსულიყავ, მაგრამ საბედნიეროდ ორივე შეგვიპყრეს და თბილისში მოგვიყვანეს. ნეტარ ხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ ჩემი საქციელი ჩემს ახალგაზრდობას მიაწერა და კეთილ ინება ჩემი სასჯელი განეაზღვრა მხოლოდ მცირე ხნით ჩემი ქალაქ ტამბოვში ყოფნით“. III, 1369, გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულებაში. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ტომი I, გვ. 616.

ხელი ააღებინა საცენზურო პირობებმა. ამანვე ამ პატარა თხზულებასაც კი ტენდენციურობის კვალი დაასვა.

ამავე გარემოებით აიხსნება მეუნარგიას ცდა ალ. ჭავჭავაძეს აჰხადოს „ბრალდება“ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისა, რაც, როგორც მწერლის ბიოგრაფიაში, ისე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს.

●

შეთქმულების მეტად თვალსაჩინო წევრი, ხელმძღვანელი სამეულის განუყრელი მონაწილე იყო ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა შეთქმულების ყველა ძაფი.

სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავი უამისოდ არაფერს გადაწყვეტდნენ: შეთქმულებასთან დაკავშირებული ყოველი სერიოზული ნაბიჯი ამ სამეულის მიერ განიხილებოდა და მათივე დასტურით სრულდებოდა. ალექსანდრე ორბელიანზე მეტად შეთქმულების ამბავი მთლიანად არვინ იცის. თუ ზოგიერთი გარემოება შეიძლებოდა სამეულის რომელიმე წევრს გამორჩენოდა, ალექსანდრე ორბელიანს არ შეიძლებოდა იგი არ სცოდნოდა. ამიტომაც შეთქმულების საქმის გამოძიების დროს შეთქმულთა ჩვენებებში არ წამოჭრილა საქართველოში დატრიალებული არც ერთი ისეთი ამბავი, რომელშიც ალექსანდრე ორბელიანი არ მონაწილეობდა. მისი ჩვენებები საგამომძიებლო კომისიის მასალების თვალსაჩინო ნაწილს შეადგენს.

ალექსანდრე ორბელიანი მუდმივად თბილისში იმყოფება და შეთქმულების როგორც ცალკეულ წევრებთან, ისე ჯგუფებთან და წრეებთან განუწყვეტელი კონტაქტი აქვს მთელი საქართველოს მასშტაბით. შენახულია შეთქმულებთან მისი მიმოწერის ნაწილი. ხოლო გიორგი დავითის ძე ერისთავს ლაშქრობაში წასვლის წინ ფილადელფოს კიკნაძე გაუფრთხილებია: „რაც დაგჭირდეს, ალექსანდრე ორბელიანს მისწერეო“.[1] საჭირო შემთხვევაში იგი თბილისში იწვევდა შეთქმულების წევრთ. ყველაზე უფრო ხშირად მასთან იკრიბებოდნენ.

ალექსანდრე ორბელიანი შეთქმულთა ორგანიზაციის ერთი ფუძემდებელი იყო. იგი თავის მოგონებაში წერს: „რუსეთიდგან მო-

---

1 III, 381.

სული ყმაწვილი კაცები და მე ამ საქმისათვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: როგორ დავიწყოთო"[1]...

ალექსანდრე ორბელიანი ინიციატორი იყო შეთქმულებასთან დაკავშირებული მრავალი საქმისა.

იგი უშუალოდ ანხორციელებდა ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერას, რისთვისაც საგანგებო აგენტები ჰყავდა: მოლა ზამანა და ქოსა მუსტაფა, ბორჩალოელი თათრები. ამათივე საშუალებით მას აჯანყებისათვის დარაზმული ჰყავდა ბორჩალოელ თათართა რამოდენიმე ასეული ცხენოსანი.

ჯერ კიდევ მრავალი გარემოება და მონაწილე შეთქმულებისა ჩვენთვის ცნობილი არ არის. აკი ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში წერდა: „ბევრი კარგები ერევნენ ჩვენ საქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და სახელი იასემ იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, უფრო მომეტებულისა, იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმეო".[2]

ხოლო მეორე მოგონებაში, რომელსაც სათაურად აქვს: „რაც რუსები მოსულან საქართველოში იქითგან აქამდისინ ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსებისა", წერს: „...ამ შეთქმაშიც გარეული იყო ზევით რომ ვთქვი გენერალი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. არა მარტო ეს გენერალი, არამედ სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებთაცა ხნიან დედაკაცთ და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ჰქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნაო".[3]

ყველას ვინაობა რომ გვცოდნოდა, შეთქმულების მოცულობაც და ალექსანდრე ორბელიანის მოღვაწეობაც გაცილებით ფართო მასშტაბით წარმოდგებოდა ჩვენს თვალწინ.

გარდა ქართველებისა, ალექსანდრე ორბელიანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველთა შეთქმულების აქტიურ მონაწილე უცხოელებთან: საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისა და დუშეთის ისპრავნიკ პაუშენკოსთან.

როგორც ცნობილია, ზავილეისკი იყო ერთ-ერთი წამქეზებელი და გეზის მიმცემი ქართველთა შეთქმულებისა. იგი ალექსანდრე ჭავჭავაძესა. იაგორ ჭილაშვილსა და ფრანგ ლეტელიესთან[4] ერთად

---

1 ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერიდან 1659ა.

2 იქვე.

3 ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერი, 1651.

4 ზავილეისკისა და ლეტელიეს შეთქმულებაში მონაწილეობაზე იხ.: გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 45 — 53.

შეთქმულთა ცალკე წრეს შეადგენდა, მაგრამ შეთქმულების საერთო საქმიანობასთან კონტაქტს ალექსანდრე ორბელიანის საშუალებით ანხორციელებდა.

საგამომძიებლო კომისიაში ალექსანდრე ორბელიანს განუცხადებია: „პოლონელთა აჯანყების შემდეგ, ყოფილ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა, რომელიც მას განსაკუთრებით კარგად ეპყრობოდა, დაიბარა იგი თავისთან ღამის 11 საათზე და მისცა წინადადება დაეწყოთ აქაც აღრეულობა, რის შემდეგაც ზავილეისკის უნდოდა ამ მიზნით მისი საშუალებით ემოქმედნა ისე, როგორც ჭავჭავაძე ლუარსაბ ორბელიანოვის საშუალებით მოქმედებდა".[1] ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანის ურთიერთობა პაუშენკოსთან, რომელიც როგორც ჩანს, ძვირფასი მრჩეველი იყო შეთქმულების საორგანიზაციო საქმეებში და რომლის შეთქმულებაში მონაწილეობაც აგრეთვე მეტად წამაქეზებელი იყო ქართველთათვის.

რათა უფრო ცოცხლად წარმოვიდგინოთ სურათი, მოვუსმინოთ ალექსანდრე ორბელიანს: „...დუშეთის ისპრავნიკის პაუშენკოს გარემოება ესენი არიან და იმ პაუშენკოს რჩევა ესენი უთქმს ჩემთვის, რაც მახსომს და მაგონდება, ე. ი. უნდა საზოგადო გაამრავლოთ და შემდეგ როდესაც ყოველმა იყაბულოს, მასკვან, ისე დაწყობილი უნდა იყოს საქმეო, რომ ერთ საათს უნდა მოხდეს აღრეულობა, და ყოველს პოლკებს ერთ საათში უნდა დაესხათო, იმ პოლკებში ქართველი ოფიცრებიც უნდა მიზიდული გყვანდეთო, რომ იმ ოფიცრებმა უნდა დაუწყონ ლაპარაკი სალდათებსაო, რომ მოიზიდონო, სალდათი ადვილად მოიზიდებაო და მოსტყუვდებაო; შემდეგ პოლკებს რომ მოისყიდითო, მასკვან თქვენ იქნებით იმათი მბრძანებელიო, და როგორც გინდათ ისე მოიხმარეთო, და სადაც შემოსასვლელი ადგილები აქვთ რუსეთიდან ჯარსაო, იქ დააყენებთო ამ მოსყიდულ ჯარსაო, და ვეღარაოდეს ვერ შემოგივლენ რუსეთიდგან ჯარიო, ამისათვის რომ მაგარი ადგილები აქვს საქართველოსო. ამაში ქართველებმაც ჯარები გააწყეთო, და მაშინ სულ აღარასდროს აღარ შეიძლება რუსეთის აქ შემოსვლაო".[2]

ალ. ორბელიანს აგრეთვე უთქვამს, რომ პაუშენკო შეთქმულებს „გვარიგებდა, აღგვაგზნებდა, რომ თქვენ არც დღე და არც ღამე არ უნდა გაჩერდეთო".[3]

---

[1] II, 167

[2] IX, 1646.

[3] IX, IX 1616.

ალ. ორბელიანს აგრეთვე მიმოწერა ჰქონდა საქართველოს გარეთ მყოფ ქართველ შეთქმულებთან, ხოლო, ალექსანდრე ბატონიშვილთან უშუალო კონტაქტის განსახორციელებლად, საზღვარგარეთ წასვლის გეგმაც შეუდგენია. ამისათვის გამოუყენებია თამარ ბატონიშვილის იერუსალიმში გამგზავრება, ქრისტეს საფლავის თაყვანისცემის მიზნით.

მართალია, ალ. ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილსა და ელიზბარ ერისთავზე წერს დაუღალავი მცდელნი შეიქმნენო, მაგრამ თვითონ მათ სრულიადაც არ ჩამორჩებოდა, პირიქით, მისი ღვაწლი მათ ღვაწლს აღემატება, რადგან როგორც საქმის ვითარებიდან ირკვევა, ალექსანდრეს მოღვაწეობა მთელ შეთქმულებას სწვდებოდა.

ამას გარდა, თუ ბევრი რამ შეთქმულების საქმიდან კომისიამ ვერ გაიგო, ეს უმთავრესად ალექსანდრე ორბელიანის წყალობით. იგი დიდხანს არ გამოტყდა და შემდეგშიაც მხოლოდ მცირე რამეებზე ლაპარაკობდა.

იგი თავის მოგონებაში წერს: „რვა დღემდისინ,[1] ყოველს დღეს ავად მეკიდებოდნენ გავტეხილიყავ, მაგრამ ვერას გზით ვერ გამტეხეს, მეგონა ვერავის ვერ გასტეხენ მეთქი. იმისთვის რომ ადრითვე პატიოსანი პირობა დაგვედო ჩვენ ამხანაგებს: „თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთო". ამასთან ბევრი თქმულობა იყო გაუტეხელობაზე. მხოლოდ იასეს ფალავონდოვის საბეზღრობაზე ვერას გზით ვერ გამტეხდნენ. მაგრამ როდესაც ჩვენ ერთად დაგვიჭირეს, იმ დღეს ვისთვისაც კი ეკითხნათ მაშინვე გატეხილიყვნენ. ამათი ჩვენებაც თვითეულად მაჩვენეს. მესამე ღამის 11 საათზე მთავარ მართებელს ღენერალ-ბარონ როზენთანაც წამიყვანეს ბნელის კარეტით, შტაბნაჩალნიკმა, პოლკოვნიკმა ტრიტილევიჩმა და ერთმა ოფიცერმა რამდენიმე ცხენოსანი ყაზახების შემოხვევით, მაგრამ ვერც იმათმა ძალდატანებამ გამტეხა და ისევ ისე მომიყვანეს უკმაყოფილოს სიტყვებითა ჩემ ბნელ ოთახში, სადაც ვიყავ უსინათლო ბნელს ოთახში, მხოლოდ პურსა წყალზე რვას დღესა. ამ დღის საღამოს ჟამზე პირველი ღენერალი ბაიკოვი ჩემთან შემოვიდა"...[2]

ბაიკოვი ალექსანდრეს ურჩევდა გამოტეხილიყო, მაგრამ ალექსანდრე კვლავ უარს ეუბნებოდა. ბოლოს ბაიკოვი დაემუქრა ალექსანდრეს მოხუც დედასა და ცოლშვილს დავაპატიმრებთო და თანაც დასძინა: „... მე ამას გარწმუნებთ თქვენ, ბარონ როზენს უნ-

---

[1] ალ. ორბელიანის პირველი ჩვენება, რომელიც 18 დეკემბერს არის დაწერილი.

[2] ყოფ. წ. კ. საზ. ხელნაწერი № 1659.

და, რომ თქვენც გულისწმინდით აღიაროთ და ამის გამო ხელმწიფის განრისხებული გული ლმობიერად შესცვალოს თქვენს ქვეყანაზეო"[1].

ყველა ამის შემდეგ ალექსანდრე ასეთ დასკვნამდე მისულა: „ეტყობათ ჩემგნით იმედი აქვსთ, რომ ბევრს რასმეს გამოუცხადებდე... რა ვიცი, იქნება მართლა ჩემის გატეხით ჩემს ქვეყანას ერგება რამე, მეტი ღონე აღარა მაქვს, გავტყდები და მეც ყველას ვიტყვი. მაგრამ სჯობია რომ თავი დავისუსტო, ეს უფრო გამოგვიხსნის, იტყვიან: სულელები ყოფილანო და ბოლოს იქნებ იმით ვარგო რამე ჩვენს ქვეყანას. ერთმა მცოდნე ჩინოვნიკმა პ.[2] მითხრა წინად, იმან ფორმა და კანონი კარგად იცოდა როგორც უნდა მოქცეულიყო. თუ ეს ჩვენი საქმე გამოცხადდა და დაგვიჭირეს, მე მხოლოდ თქვენზე დიდ ნაკლულებას ვიტყვი, იციან მე და თქვენ კარგი მეგობრები ვართ, იმის გამო მე აღარ გავტყდები და თქვენთვისაც სასარგებლო იქნება. ესეც იყო, — თავის თავსაც არგო და ჩვენც. ისიც დაიჭირეს. მე იმისი ეს მახსოვდა და იმის კვალსა მივყევ. მართლაც, რომ სასარგებლო იყო ჩვენთვის ესა. ამისთვის რომ ჩვენს ყმაწვილს სულელობას მიაჩემა მთავრობამ ჩვენი ესე საქმე"[3].

როგორც ცნობილია, აღნიშნულმა გარემოებამ მართლაც დიდი გავლენა იქონია შეთქმულთა ბედზე.

ალექსანდრე ორბელიანს აჯანყებისათვის დროშაც მოუმზადებია.

ალექსანდრეს, აჯანყების დროს ხელმძღვანელ შტაბთან ერთად. უნდა მიეცა განკარგულება.

იგი შეთქმულების მონაწილეობისათვის ქალაქ ორენბურგში გადაასახლეს, თუმცა ამასაც ჯერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ალ. ორბელიანი ცნობილია როგორც ავტორი მრავალი წერილისა. რომლებშიც დიდი სისწორით არის გადმოცემული ისტორიული ამბები. ამასთანავე, იგი გულუბრყვილოდ როდი ეკიდებოდა მოვლენებს, მე-19 საუკუნის პოლიტიკაც კარგად ჰქონდა შეგნებული.

ქართველ შეთქმულთა პლეადიდან ერთ-ერთ ფრიად საინტერესო პიროვნებას წარმოადგენს ფილადელფოს კიკნაძე. რომელიც უკუღმართად დატრიალებული პირადი ცხოვრების გამო, იძულებული გახდა თავისი მგზნებარე. დაუდეგარი და შემოქმედებითი პოტენციით აღსავსე. არსება ბერის ფლასებში გამოეხვია.

---

[1] იქვე.

[2] პაუშენკო.

[3] ყოფ. წ. კ. საზ. ხელნაწერი № 1650 ა.

1833 წელს ფ. კიკნაძე 40 წლის იყო, მაშასადამე, 1793 წელს ყოფილა დაბადებული.

მამამისი სახაზინო აზნაური იოანე კიკნაძე. ხოლო დედა თინათინ აბაშიძე იყო.

7 წლის ნიკიფორე (ფილადელფოს) მამას იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ჩაუყვანია სასწავლებლად. ამის შემდეგ რაღაც ჭირის გამო მას მშობლები დახოცია და სრულიად უთვისტომოდ დარჩენილა.

აღნიშნულ სასწავლებელში ფილადელფოსს უსწავლია საღვთო წერილი, წერა და სჯული ღვთისა. აქედან ის წაუყვანია ხირსის მონასტრის არქიმანდრიტს, რომელსაც იგი მიუბარებია ოსტატისათვის და იქ ფილადელფოსს ქართულ ენაზე შეუსწავლია ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. შემდეგ, რუსული ენის შესწავლის მიზნით, იგი თბილისში გადმოსულა. ხოლო 1826 წელს ივლისის 21 მიემგზავრება ნიჟნი-ნოვგოროდში. სადაც ანტონ კათალიკოსმა გაიწვია.

1827—28 წელს ისევ საქართველოში დაბრუნდა და თბილისის ფერისცვალობის ეკლესიაში დაიწყო ცხოვრება, მაგრამ ხოლერის გაძლიერების გამო, მისი თხოვნით შუამთის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც დაპატიმრებამდე ცხოვრობდა[1].

ფილადელფოსი გარდაიცვალა საპატიმროში 1833 წლის სექტემბრის 5-ს. როგორც საპყრობილის უფროსი პოდპოლკოვნიკი შესტენკო საგამომძიებლო კომისიას ატყობინებდა „ნებითა ღვთისათ“, ხოლო შტაბ მკურნალის ნიკოლაის ცნობით კი ფილადელფოსი გარდაიცვალა კუჭის ანთებით.

თუ სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი შეთქმულების ხორცშემსხმელნი და მამოძრავებელნი იყვნენ, ფილადელფოსი შეთქმულთა სულიერი საზრდოს სალაროს წარმოადგენდა.

დოდაშვილსა და ფილადელფოსს შორის შეთქმულების ძაფები ჯერ კიდევ 1826—27 წლებში გაიბა, როდესაც ისინი რუსეთში იყვნენ. შეთქმული ნათალიშვილი ერთ ჩვენებაში ამბობს: „ფილადელფოსი აგრეთვე გვიამბობდა, რომ ეს განზრახულება მან რუსეთშივე იცოდა“ (XXI, 4150). საქართველოში ჩამოსვლისთანავე ისინი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ფილადელფოსი მთელი თავისი ცხოველი არსების ენთუზიაზმით ჩაეჭიდა შეთქმულებას და თავის დღედაღამ საზრუნავ სიქ-

---

1 VI, 1223.

ბედ გაიხადა. იგი, პირველ ყოვლისა, ადგენს შეთქმულთა ორგანიზაციის წესდებას, რომელიც ცნობილია „აკტი გონიერის“ სახელით. იგი ყველა შეთქმულს უნდა გადაწერილი ჰქონოდა და ზეპირად სცოდნოდა. სთხზავს კრიპტოგრაფიულ ანბანს, რომლითაც შეთქმულთა შორის საიდუმლო ხასიათის მიმოწერა წარმოებდა. მას აქვს აგრეთვე საიდუმლო მიმოწერის სხვა საშუალებაც, სპეციალურად გამოჭრილი ქაღალდი, როგორც ამას დავით ერისთავის ფილადელფოსისადმი მიწერილი წერილი მოწმობს.[1].

ფილადელფოსის კალამს ეკუთვნის ორი შესანიშნავი თხზულება „გოდებანი იერემიასი ძისა ენაისნი ხილვათათვის[2] მდგომარეობისა ივერიისასა აწინდელსა ზედა“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს მდგომარეობა. მეორე თხზულება შეთქმულების საქმეებში ცნობილია სათაურით „სიყვარული სამშობლოსადმი“. მასში ავტორი მამულისათვის თავდადებას ქადაგებს.

ამ ორივე თხზულების დანიშნულება იყო მოსახლეობის აღგზნება და მათი აჯანყების განწყობილებაზე დაყენება[3].

ამავე მიზნით აქვს შეთხზული რამდენიმე ლექსიც.

შეთქმულთათვის ჩამორთმეული ნაწერები და მიმოწერა ყველაზე მეტი გრიგოლ ორბელიანისა და ფილადელფოსისა აღმოჩნდა... და ეს მაშინ, როდესაც ფილადელფოსმა დაპატიმრებამდე ბევრი რამის მოსპობა მოასწრო და, როგორც თვითონ აცხადებს... „რომელშიაც გამოცხადებით არა ეწერა რა იმიტომ არ დავწვი. რომ თუ არ ენახათ უფრო დიდ ეჭვს მოიტანდნენ და იჭვის გასაქარვებლად დავაგდე, და არც მეგონა თუ მომაგნებდნენ, იქ რომ ჩემი აქტი[4] არ გამოცხადებულიყო, მე ვერ მომაგნებდენო[5].

---

[1] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 35—36.

[2] ჯერ ეწერა „მოოხრებისა“.

[3] მას სხვა თხზულებებიც ჰქონია, რომლებიც გაუგზავნია სოლომონ დოდაშვილისათვის და უთხოვია წარედგინა ეგზარხოსთან, გამოცემის მიზნით.

[4] „აკტი გონიერი“.

[5] სწორედ ასე მოქცეულა კ. რილეევიც: მას მოუსპია ყველა ის საბუთი, რომელიც საიდუმლო ორგანიზაციის მუშაობასთან და მის წევრებთან იყო დაკავშირებული, ხოლო რომლებშიც გარკვევით არა იყო რა ნათქვამი, ეჭვის თავიდან ასაცდენად, ხელუხლებლად დაუტოვებია:

«Бумаги, связанные с работой тайной организации, письма, рукописи и документы политически компроментирующие третьих лиц, Рылеев уничтожил полностью. Материалы, не имеющие в основной своей части общественно-политического значения... отданы были жене» (К. Рылеев. Полное собрание стихотворений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана. Издательство писателей в Ленинграде. 1934 г., В., V—VI.

ბაშასადამე. ფილადელფოსს ჰქონია ისეთი სახის მიმოწერა, სადაც გამოცხადებით, აშკარად ლაპარაკი იყო შეთქმულებაზე... რა სამწუხაროა, რომ არ გადაგვირჩა, რა ძვირფასი მასალა იქნებოდა!

ფილადელფოსი მეტად აქტიურად იყო ჩაბმული შეთქმულების საქმეში. იგი მარტო ლიტერატურული მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა, გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა კახეთში, მთიულეთსა და ქიზიყში.

კახეთში ფილადელფოსსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს შეთქმულთა ცალკე წრე ჰყავდათ. როდესაც ფილადელფოსმა გიორგი ერისთავს „აკტი გონიური“ გადასცა, თურმე უთხრა: „იცის ჭავჭავაძემაო“. მას დაებადა კახეთში სხვა საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა.

მართლაც, ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ფილადელფოსს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ.

ფილადელფოსი უჩვენებს: „ღენერალ-ბაიორს ალექსანდრე ჭავჭავაძეს დიდიხანია ვიცნობო“.

ფილადელფოსისათვის ჩამორთმეულ ქაღალდებში შემონახულია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგი შინაარსის წერილი:

„მამაო ფილადელფოს.

წერილმან თქვენმან მშვიდობის თქვენისა სწავებითა მახარა და ხსოვნისა ჩემისა დამტკიცებითა დამდვა ვალი საამო მადლობისა. ესრეთვე ნაღვაწმან თქვენგან ხატმან ქვისა ალექსანდრე ნეველისამან, რომელიცა დამშთებისა სამარადისოდ ნიშნად მტკიცედ ჩემდა მომართისა თქვენგან სიყვარულისა.

ასტრონომიისა იარაღნი, გარდა მის, რომელნიცა მოგართვით, არღა მქონიან, და საათი მზისა გარდასაღებლად თვით მომირთმევია, ხელითა დიაკონისა თქვენისათა. რვეულთა თქვენთა[1] წარვიკითხავ შემდეგ მოგახსენებ რაისაცა ვპოვებ მასშინა სასარგებლოსა.

ღვინო მოგართვი საუკეთესო, მაგრამ სიმცირისათვის ნუ დამგმობ.

ღვინის თვისებისათვის ასე იტყვიან:

ღვინო თვისებას არ ჰსცვალებს.
არამედ უმატებს ძალებს.
კეთილ თვისებათ მქონემან
ჯერარს სვას კეთილს უმრავლებს.

---

[1] არ ვიცი, რა რვეულებზეა ლაპარაკი, შესაძლებელია „იერემიას გოდება“ ან „სიმშობლოს სიყვარული“. თუ არადა, მაშინ სხვა რამ თხზულება ყოფილა ფილადელფოსისა.

ეს ლოთური ლექსია. ნუ გამიწყრებით დიდ მარხვაში მოწერისათვის.

შენს მადლსა, როცა მოიცალო, დაგვხედე, რომლითაც დია ვალდებულ მყოფ

თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს"[1].

მარტის 22, წელს 1832 წინანდლით".

საერთოდ, ფილადელფოსი კახეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. შუამთაში მას ბავშვები აჰყავდა აღსაზრდელად. არა ერთი წერილია შენახული, რომელშიაც მას სთხოვენ იკისროს ამა თუ იმ ბავშვის სწავლება[2].

სხვათა შორის, რაფიელ ერისთავსაც პირველად სწავლა ფილადელფოსთან უნდა დაეწყო. ხოლო გიორგი ერისთავზე ხომ მას უსაზღვრო გავლენა ჰქონდა.

რაფიელის მამა დავით ერისთავი კომისიის შეკითხვაზე უპასუხებს: „იერომონახი ფილადელფოზ გავიცან შუამთის მონასტერსა შინა სხვათა შორის ბერებთა თანა... მას ებარა ჩემი ბიძაშვილი გიორგი და კვალად შვილსაცა ჩემსა რაფაელსაცა უპირებდი მიბარებას, და ამისთვის ვწერდი წიგნებს ქართულის წერილის შესწავლისათვისო"[3].

გიორგი ერისთავი ფილადელფოსისადმი მიწერილ წერილში წერს: „...გმადლობ შენ კეთილგანგებაო, რომელმაც შემაკავშირე კეთილთა გვამთა და მომეც მოძღვრად ფილადელფოს".[4]

ფილადელფოსის ქაღალდებში შენახულია თელავის მაზრის მცხოვრებთა თხოვნა ფილადელფოსის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ.

აი როგორ წარმოგვიდგენს ეს წერილი ფილადელფოსს:

„საზოგადოთ თელავის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოებისაგან სრულებით

თ ხ ო ვ ნ ა

ჩვენ მიმხედველნი საჭიროებისანი მართლდარწმუნებულნი მთავრობისადმი კეთილმზრუნველობასა ზედა საზოგადოებისასა ვი-

---

1 VII, 1248.

2 საქართველოს ცენტრარქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის ! ქეე № 170.

3 XXV, 2976.

4 VII, 1241.

თხოვთ, როსიული კურთხეული განგებლობა სდებს მრავალსა შრომასა ძიებასა შინა ბედნიერებათა ჩვენთასა კეთილ აღზრდითა ყრმათათა, რათამცა იგინი იყვნენ შემდგომ ჩვენთა ვითარცა მგრძნობელნი სამადლობელთა კეთილშემთხვეულებათა ცნობისა გამო თავთა თვისთასა, ცნობისა გამო ღვთისა, და ცნობისა გამო კეთილმოქმედებისა მთავრობისა. მისთვის უმარჯვეს წარსამართებლად ყოვლისა ამის საშუალობისა, ყოვლად უპატიცემულესად გამოვითხოვთ ჩვენგან სიყრმითვე მართალ ცნობისა გვამსა მქონებელსა სამხთოისა ნიჭისა. შუა მთის მონასტრის იერომონახს ფილადელფოსს, უეზდნის საკეთილშობილო უჩილიჩასა შინა მასწავლებლად შვილთა ჩვენთა. სამხთოსა მცნებისა, კეთილზნეობისა და სულიერისა განათლებისათვის, საფუძველსა ზედა უქაზისა მათის იმპერატორებითის დიდებულებისა, რათა სამღვდელო გვამი იყვნენო მიცემად ყრმათა ცნობისა ღვთისა შიშისა, ამისთვის ვითხოვ ვინათგან კეთილ მოქმედებამ საზოგადოებასა ზედა ქრისტიანთა ერთასა არა აღეკრძალების თვით მონაზონთაცა, რათა იგი იერომონახი ფილადელფოს თხოვისამებრ ჩვენისა რეკამანდიითა თქვენის ბრწყინვალებისათა მათის მაღალ ყოვლად უსამღვდელესობისა მოსე ექსახორზისადმი მიეცეს თელავის საკეთილშობილო უჩილიჩასა შინა მასწავლებლად ყრმათა ჩვენთა და მიცემათ მაგალითისა ჭეშმარიტის ქრისტიანებრითის ქცევისა, რომელიცა ვითარითა ქართულისა ენის თვისებითა განათლებულ არს სწავლასა შინა ფილოსოფიურთა, ღვთის მეტყველულთა და მეთამატიკურთა სწავლათა, ეგრეთვე კეთილზნეობითა თავისითა ძალუცს მიცემათ საზოგადოებისადმი კეთილისა მაგალითისა, რომელისთვისცა გლახაკი საზოგადოება ვალად მიიღებს თვის ზედა საუკუნოსა მადლობასა თქვენისა ბრწყინვალებისადმი აღსრულებისათვის ამის კეთილ საბედნიეროს შემთხვეულებისა ჩვენისა...“[1]

რვა თვის პატიმრობის შემდეგ საპყრობილის ოთხ კედელშუა დალია სული ამ ენერგიით აღსავსე, მგზნებარე შემოქმედების მქონე ვაჟკაცმა, რომელიც თავისუფლებას ესწრაფოდა და ჯურღმულში კი დაასრულა თავისი მწირი ცხოვრება. უთვისტომო იყო იგი და უთვისტომოდვე მოსწყდა ქვეყანას.

ფილადელფოს კიკნაძე საინტერესო პიროვნებაა მთელი თავისი არსებითა და შემოქმედებით, არა მხოლოდ როგორც შეთქმულების წევრი, არამედ როგორც იმდროინდელი საზოგადოების ერთი მოწინავე წარმომადგენელი. იგი თავისი დროისათვის კარგად განათლე-

[1] VII, 1259.

ბული ადამიანი იყო. მან კარგად იცოდა ფილოსოფია და საღვთო წერილი.

თავის ჩვენებებში იგი ცდილობდა თავისი უდანაშაულობა ფილოსოფიურად დაესაბუთებინა. უნდა ვიცოდეთ, რომ ფილადელფოსი არ გამოტეხილა დანაშაულში, სიკვდილამდე სულ იმას გაიძახოდა: შეთქმულებისა არა ვიცი რაო, „აკტი გონიური“ კეთილი საზოგადოების შესადგენად შევთხზე და მის აზრსა და გრძნობას რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულების მეტი სხვა არასოდეს რა მიჰკარებიაო“.[1] მრავლად იყენებს იგი ციტატებს როგორც სამღვდო წერილიდან, ისე ფილოსოფიური და ისტორიული შინაარსის წიგნებიდან[2]. და ერთი ჩვენების დასასრულს წერს: „რაიცა მას შინა ტექსტები სამღთო წერილისა და სხვათა წიგნთა[3] შემოტანილ არიან, იმათი თავები ზეპირ არ შეიძლებოდა ხსოვად, და უკეთუ მიბოძებთ მე მათ წიგნთა, დავუწერ ყველას თავებსა და რიცხვებს უკეთუ საჭირო არისო“.[4]

ფილადელფოსის ფილოსოფიური ერუდიციის ნაყოფია აგრეთვე მისი თხზულება „სიყვარული სამშობლოსადმი“[5], რომელიც უნდა შესწავლილ იქნას.

ფილადელფოსის პიროვნება შესწავლის ღირსია. ფილადელფოსის სახით ბერის სამოსელში ეპოქის ერთი მოწინავე მოქალაქე გვეგულება. მისი ღვაწლის დავიწყება არა გვმართებს[6].

---

[1] იგი თავის ჩვენებაში წერს: „ამ ბოროტისა განზრახვისა, წინააღმდეგ მთავრობისა არც ნაჩალნიკი მყავს, არც ვისიმე ნაჩალნიკი ვარ, და არც არა ვიცოდი რა, ვმადლობ ყოვლად უმაღლესსა, რომ დამიფარა მე და არ მოწევნილ იყო ჯერეთ ჩემს ცნობამდეო“. (VII, 1223—1225).

[2] იხ. ჩვენებები: V, 803—804; XI, 1571—1572.

[3] მის ჩვენებებში მოხსენებულია მაგალითად „საქმითი ფილოსოფია. 4 ნაწილი. პოლიტიკა — ბაუმესტერ, „ისტორია ველისარისა“ და სხვა.

[4] XI, 1571—1572.

[5] სხვათა შორის, ასეთივე შინაარსის თხზულება ჰქონია იოსებ მამაცაშვილსაც. იხ. VI, 1891. XIII, 2320, XIII, 2336.

[6] მართალია, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთში ყოფნის დროს ფილადელფოსს მის მახლობლად მყოფ პირებთან ჰქონია რაღაც უთანხმოება, რასთანაც დაკავშირებულია რამდენადმე უსიამოვნო მომენტი (თავის მართლების მიზნით, მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ წერა), მაგრამ ეს პირადი ურთიერთობის სფეროს ამბები ვერ მიაყენებს ფილადელფოსის პიროვნებას საიმისო ჩრდილს, რომ იგი დაგმობის ღირსი გახდეს, მით უმეტეს რომ, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, იგი განთავისუფლებული იქნა პასუხისმგებლობისაგან და დააბრუნეს საქართველოში.

ამასთანავე, საკმარისია ადამიანი გაეცნოს 1832 წლის შეთქმულების საქმე-

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის, ცნობილი პოეტის გრიგოლ ორბელიანის სახელი აგრეთვე მჭიდროდ არის დაკავშირებული 1832 წლის შეთქმულებასთან.

ჩვენ აქ ვეცდებით შევეხოთ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის შეთქმულებაში მონაწილეობის საკითხს, რაც აუცილებლად საჭიროა პოეტის შემოქმედების სწორად შეფასებისათვის.[1] საჭიროდ მიმაჩნია ამაზე კვლავ შევჩერდე, რადგან გრიგოლ ორბელიანის შეთქმულებაში მონაწილეობის ფაქტი და იქიდან გამომდინარე დასკვნები ქართველ საზოგადოებაში, ზოგიერთ გარემოებათა წყალობით, ჯერ მტკიცედ არ არის ფეხმოკიდებული.

1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციის ერთ-ერთ არსებით მხარეს ლიტერატურული აგიტაცია-პროპაგანდა შეადგენდა. შეთქმულების ხელმძღვანელ კორპორაციაში მწერალთა რიცხვი აშკარად სჭარბობდა: საკმარისია ადამიანმა მხოლოდ გაიხსენოს ისეთი სახელები, როგორიც არის: ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გ. ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და ალექსანდრე ორბელიანი, რომ სურათი ნათელი გახდეს.

აქ ჩამოთვლილთაგან, რასაკვირველია, შეთქმულების ხანისთვის ყველა ცნობილი მწერალი არ იყო. ზოგი მათგანი, მაგალითად, გ. ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი, მეტად ახალგაზრდები იყვნენ, ზოგმა კი, მოასწრო საკუთარი ლიტერატურული პროდუქციის მოსპობა. საერთოდ შეთქმულნი წერილობითი საბუთების შენახვას ერიდებოდნენ. ხოლო, შეთქმულების მეთაურთა ჩვენების თანახმად, დაპატიმრების წინა დღეებში მათ მოსპეს საგანგებოდ შენახული შეთქმულების მნიშვნელოვანი საბუთები, როგორიც იყო მაგ. ს. დოდაშვილის მიერ აჯანყების დღეს ხალხში გასავრცელებლად შედგენილი პროკლამაცია. მაგრამ მაინც გადარჩა ისეთი საბუთები, რომელთაგანაც ზოგში აშკარად, უმრავლესობაში კი ალეგორიუ-

ებში დაცულ ფილადელფოსისა და როგორც შეთქმულების მონაწილე (ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი), ისე მაშინდელი ქართველი საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიმოწერას, რომ ცხადი გახდეს ის დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა, რომელიც ფილადელფოსს ჰქონია თავისი მოღვაწეობით მოპოვებული. მარტო ის რად ღირს, რომ გიორგი და რაფიელ ერისთავები ფილადელფოსის შევარდები არიან, და შვილებისათვის განათლების მიცემის მსურველი ქართველი ოჯახები ცდილობენ აღსაზრდელებს მასწავლებლად ფილადელფოსი მოუპოვონ.

[1] იხ. ჩვენი წერილი „საბჭოთა ხელოვნებაში“ № 11—12.

ლად არის ლაპარაკი შეთქმულებასა და საქართველოს მდგომარეობაზე. ასეთი საბუთები შუქს ჰფენს როგორც თვით შეთქმულების ცალკეულ მომენტებს, ისე მის ავტორთა შემოქმედების დაფასების საქმეს.

შეთქმულების დროინდელი ნააზრევი ყველაზე მეტად სოლომონ დოდაშვილის, ფილადელფოს კიკნაძისა და გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებებშია წარმოდგენილი.

ოფიციალური საბუთების თანახმად, გრიგოლ ორბელიანისათვის შეთქმულება 1831 წლის დასაწყისში ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანს გამოუცხადებიათ.

ელიზბარი მოგვითხრობს: „1831 წლის დასაწყისში გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვა მე და სოვეტნიკ ალექსანდრემ, გრიგოლ ორბელიანოვს. ის დაგვთანხმდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ამ განზრახვაში“[1]. მეორე ადგილას ის ასეთ ჩვენებას იძლევა: „თ. გრიგოლ ორბელიანოვს გამოვუცხადე ჩემი განზრახვა 1831 წ. ყოფ. სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის თანდასწრებით. ხოლო რაც შეეხება გიორგი დავითის ძე ერისთოვს, მისი თანდასწრებითაც მქონია გრიგოლ ორბელიანოვთან ჩვენს განზრახვაზე საუბარი. გიორგი დავითის ძე ერისთოვთან პირისპირ წაყენების დროს მომაგონდა, რომ მისი თანდასწრებით გრიგოლ ორბელიანოვთან ერთად ვმსჯელობდით იმაზე, თუ რა ძალა მოეპოვება საქართველოს და შეუძლიან თუ არა მას ასი ათასი ჯარის გამოყვანა“.[2] მართალია, აქ მხოლოდ 1831 წ. ამბავზეა ლაპარაკი, მაგრამ როგორც ვიცით, შეთქმულების იდეა თუ უფრო ადრე არა, 1827 წლიდან მაინც ჩაისახა, 1829 წლის შემოდგომისათვის დამთავრდა მისი მოსამზადებელი პერიოდი და 1830 წლის დასაწყისში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. შეთქმულებაში მონაწილეობას 1831 წელზე გაცილებით უფრო ადრე არც თვითონ გრიგოლ ორბელიანი უარყოფს.

„პრაპორჩიკ თ. გ. ერისთავის ჩვენება, რომ ვითომც ისიც იქ ყოფილიყოს, თ. ალექსანდრე ორბელიანოვისას მე და ელიზბარ ერისთავი რომ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობდით, შეიძლება სავსებით მართალი იყოსო“, აცხადებს იგი.[3]

იმავე ჩვენების თანახმად, გრიგოლ ორბელიანს არათუ მონაწილეობაზე თანხმობა განუცხადებია, არამედ ამ საქმეზე ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მოციქულობაც უკისრია.

---

[1] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 412.
[2] გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, გვ. 480.
[3] შეთქმულების საქმის რვ. XII, გვ. 4260.

ელიზბარ ერისთავი ზემოსსენებულ ჩვენებას განაგრძობს: „ერთხელ ჩვენ ვკითხეთ გრიგოლს როგორ გამოუცხადოთ ჩვენი განზრახვა ჭავჭავაძეს. გრიგოლმა იკისრა მე გამოუცხადებ ჭავჭავავაძესაო. და ჩვენც გავგზავნეთ, მაგრამ ვიღაც სტუმარმა ხელი შეუშალა და გრიგოლმა ვერ შესძლო ჭავჭავაძისათვის გამოეცხადებინა. ამის შემდეგ ჩვენ მასთან გრიგოლი აღარ გაგვიგზავნია, რადგან ღუარსაბმა გამოუცხადა ჭავჭავაძეს".[1]

ამას ალ. ორბელიანიც ადასტურებს: „მე ვთქვი ძალიან კარგი იქნება რომ თ. ალ. აჭვაჭავაძეს უთხრას ვინმემ, ესე თქვენი ლაპარაკი მეთქი, ვნახოთ ის რას იტყვის მეთქი. მას უკან გრიგოლმა იკისრა მე ვეტყვიო"[2].

შეთქმულთა უფრო გაცხოველებული მუშაობა 1830—32 წლ მიეკუთვნება. ამ ხნის მხოლოდ პირველ ნახევარში იმყოფებოდა გრიგოლი საქართველოში. 1831 წლის ივნისის 9-ს იგი რუსეთს გაემგზავრა. გრიგოლის რუსეთში წასვლა შეთქმულებმა თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს. ელ. ერისთავი გვაცნობს: „1831 წლ. ივნისში გრიგოლ ორბელიანი ჯარის კაცებთან ერთად გაემგზავრა ს. პეტერბურგს, მე მას სიტყვიერად დავავალე დიმიტრი ბატონიშვილისათვის ყველაფერი დაწვრილებით გადაეცა ჩვენი განზრახულის შესახებ. მინდოდა წერილი გამეტანებინა, მაგრამ უარი თქვა, პეტერბურგში გვიან ჩავალ და ვაი თუ დამეკარგოსო, — სიტყვიერად კი აღმითქვა ვუამბობო".[3]

რუსეთიდან საქართველოში გრიგოლს შეთქმულების ორგანიზაციაში უშუალო ფიზიკური მონაწილეობის მიღება, ცხადია, აღარ შეეძლო. მაგრამ ის ამ მიმართულებით განაგრძობდა მუშაობას პეტერბურგში მყოფ ქართველ შეთქმულებთან ერთად და თვით საქართველოში მოქმედ ორგანიზაციასთანაც არ გაუწყვეტია კავშირი, როგორც ამაში ცოტა ქვევით დავრწმუნდებით.

შეთქმულთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთანავე ერთ-ერთ უახლოეს მიზნად დასახული იყო ქართული პერიოდული ორგანოს გამოცემა, რომლის დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოების მომზადება აჯანყებისათვის. ელიზბარ ერისთავი ამბობს: „დოდაშვილს ვურჩევდი გამოეცა გაზეთები იმ განზრახვით, რომ ხალხი აჯანყებისათვის მოემზადებინა, მაგრამ იგი მხოლოდ 1832 წელს შეუდგა გაზეთის გამოცემასაო".[4]

---

1 გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, გვ. 427.

2 იქვე, გვ. 428.

3 იქვე, გვ. 427—448.

4 შეთქმ. რვ. XXV, გვ. 5010.

ეს მიზანი კიდეც განხორციელდა: თუმცა მოგვიანებით და მეტად მცირე ხნით დაიწყო გამოსვლა ქართულმა ჟურნალმა „თბილისის უწყებანის“ დამატების სახელწოდებით, რომლის შინაარსიც ლაპარაკობს მისი დანიშნულების შესახებ, მაგრამ ბეჭდვითი ორგანოს შენარჩუნება შეთქმულებმა ვერ შეძლეს და ჟურნალი უდღეური გამოდგა. პროპაგანდა მეტწილად ხელნაწერთა გავრცელებისა და მათი ხელიდან ხელში გადაცემის საშუალებით წარმოებდა. იგი მიზნად ისახავდა ქართველთა შორის პატრიოტული გრძნობის გაღვივებას, მეფის რუსეთის მიერ საქართველოს უკანონოდ დაუფლების ილუსტრირებასა და ძალით მიტაცებული პოლიტიკური თავისუფლების დაბრუნების სურვილის გაცხოველებას.

ამ მიზანს ემსახურებოდა ხელნაწერად გავრცელებული სოლომონ რაზმაძის იგავი „დათვი და ცხვარი“, სოლ. დოდაშვილის ლექსი „მაისი“, მისივე შედგენილი პროკლამაცია; გრიგოლ ორბელიანის მიერ თარგმნილი რილეევის ლექსი — „გივი ამილახვარის აღსარებად“ წოდებული, მისივე ლექსი „იარალისადმი“; ფილადელფოს კიკნაძის „მოთქმა გოდებანი იერემიასი ძისა ენაისნი ხილვათათვის მდგომარეობისა ივერიისა აწინდელსა ზედა“ და სხვ. მრავალი.

საპროპაგანდო ლიტერატურის შექმნაში ამ პროფესიის შეთქმულნი ერთიმეორეს ასწრებდნენ და მათ არც გრიგოლ ორბელიანი ჩამორჩენია.

პირველ ყოვლისა, იგი შეთქმულების ფაქტიური მეთაურის, ელიზბარ ერისთავის რჩევით თარგმნის რილეევის ცნობილ აკრძალულ ლექსს, რომელსაც თავისებურად აკეთებს და მძაფრი აგიტაციის კილოს აძლევს.

თვით გრიგოლ ორბელიანი ამ ლექსის თარგმნის გამო აღიარებს: „...მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, რომ მე გადავთარგმნე აკრძალული ლექსიო“[1]. მეორე ადგილას კი უფრო ვრცლად მოინანიებს: „ღრმად ვგრძნობ მთელ ჩემ დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა გადმომეთარგმნა ნალივაიკოს ლექსი და სხვებიც არ უნდა დამეწერნა, თუმცა ისინი თარგმნილი და დაწერილია არა იმ მიზნით, რათა შეთქმულება გამეღვივებინა, რომლის არსებობაც მე არ ვიცოდი“[2].

ალ. ორბელიანი გვაცნობებს: „თ. ელიზბარ ერისთავმა, მისცა რილეევის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართუ-

---

1 XVIII, 3502.

2 XXI, 4022.

ლად. ნე გავარი ატეც სვიატოისა, რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე"[1].

თვით ელიზბარს უჩვენებია: „1831 წლის დასაწყისში ვიყავით გრიგოლ ორბელიანოვთან: სოვეტნიკი ალექსანდრე, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე; ვილაპარაკეთ ჩვენი განზრახულების შესახებ, და ამასთანავე დაუწერეთ გრიგოლ ორბელიანოვს, „Исповедь Наливайки", რათა მან იგი გადათარგმნოს. ვახტანგმა დასწერა, მაგრამ რადგან მას რამდენიმე ტაეპი დაავიწყდა, მე მოვაგონეო"[2].

ამ თარგმანის წასაკითხად შეთქმულნი საგანგებოდ შეკრებილან.

ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს: „1831 წლის გაზაფხულზე ელ. ერისთავი, ჩემი ძმა ალექსანდრე და მე წავედით გრიგოლ ორბელიანოვთან, მასთან დაგვხვდა ზურაბ ჭავჭავაძე, მგონია პრაპორშჩიკ გიორგი ერისთავიც ჩვენთან იყო, დანამდვილებით კი არ მახსოვს. მაშინ გრიგოლ ორბელიანმა წაგვიკითხა რილეევის ლექსის თარგმანი სახელწოდებით „ნალიავაიკოს აღსარება", რომელიც თვითონ ეთარგმნა „გივი ამილახვარის აღსარებად"[3], ამის შემდეგ თ. ელიზბარ ერისთავი გადაეხვია გრიგოლ ორბელიანოვს და ჩვენც ყველამ იმ მაგალითს მივბაძეთო".

ალექსანდრე ორბელიანი კი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „...ერთს საღამოს ჟამზე გრიგოლთან მივედი სანახავად, იქ თ. ელიზბარ ერისთოვი დამხვდა და ამ დროს რილეევის სტიხი გადათარგმნილი ქართულად, თ. გრიგოლ ორბელიანოვისაგან, გრიგოლმავე წაგვიკითხა. როდესაც დაასრულა მისი კითხვა, შემდეგ ელიზბარი წამოდგა, მივიდა, აკოცა, და მეც ამაყენა, მიდი აკოცეო, რომელიც მეც მაკოცნინა"[4]. ამის შემდეგ ამ ლექსმა უთუოდ არა ერთ ოჯახსა და არა ერთი მკითხველის ხელში გამოიარა.

დიმიტრი ორბელიანი ამბობს: „მიმართვა შანშიევისადმი წაიკითხეს გენერალ ჭავჭავაძის სახლში, მაგრამ არ მახსოვს ვინ კით-

---

[1] იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. გვ. 427.

[2] XI, 1891.

[3] როგორც გ. ერისთავისა და გრ. ორბელიანის ჩვენებებიდან ვიცით, ეს სათაური მთარგმნელის თხოვნით გ. ერისთავს შეურჩევია. იგი ამბობს, „ნალიავაიკოს აღსარება" რომ „გადაეთარგმნა გრიგოლ ორბელიანოვს, პირველად მე წამიკითხა, ჯერ ისევ ფანქრით დაწერილი, რომელიც მე თან წავიღე გადასათვალიერებლად. მან მთხოვა ამასთანავე რათა ნალივაიკოს შესაფერისად, ქართულში მსგავსი სათაური მომეძებნა. მე წავიღე იგი და უწოდე მას „გივი ამილახვრის აღსარებაო" (XV, 2824).

[4] გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, გვ. 481.

ხულობდა. მერე ჩემმა ძმამ ვახტანგმა ჩვენსა მოიტანა და წავიკითხეთ: მე, თავად ერისთოვმა და ჩემმა ძმამ ვახტანგმა". (II, 2144).

დავით ჯორჯაძე გვიამბობს, რომ 1833 წლის იანვარში ყოფილა იგი სტუმრად მარიამ ორბელიანთან, იქვე ყოფილა ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი და „როდესაც სანთლები აანთეს თავადის მეუღლემ თინიამ უთხრა ივანე ბაგრატიონს, აი, მშვენიერი ლექსები, შეთხზული ორბელიანოვის მიერ ნოვგოროდში" და მაშინვე თვითონვე დაიწყო კითხვა. სათაურიდანვე ვიცანი იარალი შანშიევისადმი მიმართვა"[1].

შეთქმულთაგანი ზაქარია ჩოლოყაშვილი ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის ლექსების ამგვარ მოარულობაზე. იგი უჩვენებს, „ფალავანდიშვილთან ვახშამზე ვლაპარაკობდით ტფილისის ქალაქურ ჩვეულებებზე და ამ დროს ელიზბარ ერისთოვმა თქვა, რომ მან ზოგიერთ ოჯახში ნახა გრიგოლ ორბელიანოვის მიერ შეთხზული მშვენიერი ლექსები. ამასთანავე სთხოვა ვახტანგ ორბელიანოვს ეთხოვებინა ისინი წასაკითხად, მაგრამ ორბელიანოვმა უპასუხა, რომ ისინი მას თან არა აქვს და აღუთქვა სახლში წაუკითხავდა"[2]. რომელ ლექსებზეა აქ ლაპარაკი? თავისთავად ცხადია, რომ ეს არ შეიძლება „აღსარების" თარგმანს შეეხებოდეს, რადგან ელიზბარი მას კარგად იცნობდა. აქ სხვა ლექსები იგულისხმება. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ აქ ნათქვამი „იარალისადმი" ლექსს არ შეეხება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმის უდაო ცნობა მოგვეპოვება, რომ ეს ლექსიც გადადიოდა ხელიდან ხელში. სწორედ ეს იყო მისი დანიშნულება: იგი რუსეთში დაიწერა იქ მყოფ ქართველ შეთქმულთა აჯანყებას მოწყურებული სულის ასაფორიაქებლად. ხოლო საქართველოსთვის ხომ მისწრება იყო.

ვახტანგ ორბელიანის ერთ ჩვენებაში ვკითხულობთ: „გრიგოლ ორბელიანოვის ლექსი სათაურით „იარალისადმი" წასაკითხად გადმომცა გენერალ მაიორ თ. ჭავჭავაძის მეუღლემ. ზეპირად მახსოვს ზოგი ტაეპი, მაგრამ არა თან მიყოლებით"[3].

ეს ფაქტი კომენტარებს აღარ საჭიროებს: გრ. ორბელიანი რუსეთშიც განაგრძობდა აჯანყების პროპაგანდას და მისი შემოქმედების ნაყოფი საქართველოშიც ვრცელდებოდა.

ლექსი „იარალისადმი" თვით გრიგოლ ორბელიანის განცხადების თანახმად, მას საქართველოში თავისი ძმისთვის ზაქარიასთვის

---

1 XII, 2168.

2 გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, გვ. 440.

3 იქვე, გვ. 442.

ვამოუგზავნია და უთხოვია, გადაათვალიერე და შენი აზრი მაცნობეო.

როგორც ხედავთ, ზაქარია მარტო თავის თავს არ დასჯერებია და თავისი ძმის ეს პირველი ნაწარმოები ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად გაუხდია...

ლექსის შინაარსსა და დანიშნულებაზე კი ავტორი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ სახუმაროა, ყურადღების ღირსი არც კია და არაფერს დანაშაულებრივს არ შეიცავსო[1].

ლექსი „იარალისადმი"-ს პოლიტიკური შინაარსი ყოველივე ეჭვს გარეშეა. თითოეული სიტყვა პოლიტიკურ ემბაზშია ამოვლებული. ამას ლექსის პირველივე სტრიქონი გვაუწყებს: „ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს" (რომელიც შეთქმულების საქმეებში შენახულ ხელნაწერში იკითხება „ჩემო იარალი გვეღირსოს ოდეს") გვეღირსოს, რომ საქართველოში ძველებური ცხოვრება განვაგრძოთო.

იარალი შანშიაშვილი 42 წელი ფარნაოზ ბატონიშვილთან ცხოვრობდა, რუსეთშიც სამუდამოდ წაჰყვა. საქართველოშიც დაბრუნება მხოლოდ მასთან ერთად შეეძლო.[2] ვერც ფარნაოზი და ვერც სხვა რომელიმე ბატონიშვილი არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოში ვერ დაბრუნდებოდა. მაშ რას უნდა გულისხმობდეს გრ. ორბელიანის ნატვრა საქართველოში ძველებური ცხოვრება გვეღირსოსო, თუ არა იმას, რასაც 1832 წლის შეთქმულება ემსახურებოდა.

მაგრამ აკი თვით პოეტმაც იცის, რომ ეს ნატვრა ადვილი შესასრულებელი არ არის, რადგან ჯერ უნდა გამოჩნდეს გმირი, რომ „მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს, რომელ მარჯვენით ერთისა დაკვრით უსულო ვეშაპს მიწად დაპსცემდეს", ვიდრე ეს არ მომხდარა, ვიდრე ვეშაპი ფეხზე დგას,

...ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი?
ღვინის წილ — კვასი, მზისა წილ — ყინვა!

პოეტმა ძალიან კარგად იცის, რომ კვასის ისევ ღვინითა და ყინვის მზით შეცვლა მხოლოდ საქართველოს ბედის საფუძვლიანად შეცვლას შეიძლებოდა მოეტანა. ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის აჯანყების განწყობილების უშუალო გამომხატველია და 1832 წლის შეთქმულებით შთაგონებული ამოძახილია.

---

1 XVII, გვ. 3510.

2 ისიც ვიცით, რომ შეთქმულება მისთვის დაფარული არ ყოფილა.

ამრიგად, „გივი ამილახვარის აღსარებაც“ და „იარალისადმიც“ შეთქმულების ორგანიზაციული მუშაობის ნაწილია.

ხსენებული ორი ლექსი სრულიად ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გრიგოლ ორბელიანის 1832 წლის შეთქმულებისადმი დამოკიდებულებასა და მის მაშინდელ პოლიტიკურ განწყობილებაზე. ამ თვალსაზრისით ადვილი გადასაწყვეტი ხდება ის დავა, რომელსაც მისი „სადღეგრძელოს“ სახელით ცნობილი ნაწარმოების შინაარსის დადგენა იწვევს და რაც საბაბს აძლევს ზოგიერთს ეჭვი გამოთქვას გრიგოლ ორბელიანის შეთქმულებაში მონაწილეობის თაობაზე.

მართლაც, თუ არ გავითვალისწინებთ 1832 წლის მასალებს, ასეთი დავა შესაძლებელია. მაგრამ ეს მასალები სრულიად გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება შეთქმულების მასალების ღირებულება ჩვენი კულტურის საკითხთა შესწავლისათვის. მე მხედველობაში მაქვს ნიკოლოზ პირველისადმი ხოტბის „სადღეგრძელოს“ ორგანულ ნაწილად აღიარება და მის ირგვლივ ატეხილი დავა.

გრ. ორბელიანის ლექსების კომენტატორი განსვენებული პროფესორი მიხეილ ზანდუკელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხსენებული ნაკვეთი იმდროსვეა დაწერილი, როდესაც მთლიანად „სადღეგრძელო“ დაიწერა. და იგი თავიდანვე ნიკოლოზ პირველისადმია მიძღვნილი, თუმცა ნაკვეთი „სადღეგრძელოს“ პირველ ვარიანტებში არ მოიპოვება.

თუნდაც სრულიად ეჭვმიუტანელი საბუთებით დადასტურებულიყო, რომ ხსენებული ნაკვეთი „სადღეგრძელოს“ დანარჩენი ნაწილის თანადროულია, და ამასთანავე, მისამართიც სრულიად აშკარად ყოფილიყო აღნიშნული, — მაშინაც კი მისი შინაარსი ჩვენ შეცდომაში ვერ შეგვიყვანდა. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ გვექნებოდა იმ ტაქტიკის გამოვლინება, რომელიც შეთქმულთა მუშაობის საფუძვლად იყო მიღებული: სიფრთხილე, პირბადე, ხელისუფლებისათვის თვალის ახვევა. ამ ტაქტის საუკეთესო ნიმუშები შეთქმულების მასალებში მრავლად არის გაბნეული. თუნდაც ის რადა ღირს, რომ სოლომონ რაზმაძე წარმატებით ცდილობდა დაეჯერებინა ხელისუფლება, რომ მისი იგავი „დათვი და ცხვარი“ მხოლოდ რუსეთის მფარველობის ხოტბა იყო. და ამის საბუთად ამ ლექსის ილუსტრაციას იყენებდა, რომელიც მართლაც შესაძლებელი იყო ასე გაეგოთ.

მაგრამ ყველაზე მკვეთრი მაგალითი ფილადელფოს კიკნაძის საქმიანობაში გვაქვს მოცემული. „ირემიას გოდებაში“, რომელიც

მან იმავე მიზნით შეთხზა, რა მიზნითაც „დათვი და ცხვარი“, „გივი ამილახვარის აღსარება“, „იარალისადმი“ და სხვა მრავალია დაწერილი, „იგი მაშინდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობას დასტირის, რაც რუსეთის ცარიზმის დამკვიდრების შედეგი იყო. ამ ნაწარმოებში მოიპოვება ცალკე მუხლი, რომელშიც რუსეთის მეფისა და მისგან საქართველოს მფარველობის უფრო გაძლიერების სასოებაა გამოთქმული. და ეს იყო მხოლოდ უბრალო წინდახედულება, მეხთამრიდი.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება. ფილადელფოსი ირწმუნება, რომ მისგან შედგენილ „აკტი გონიურად“ წოდებულ შეთქმულების წესდებაში აღნიშნული ვალდებულება ხელმწიფისადმი მორჩილებისა, სწორედ რუსეთის ხელმწიფისადმი მორჩილებას გულისხმობს და მეტს არაფერსაო. ამ ფაქტების შემდეგ სრულიადაც არ გაგვიკვირდებოდა, რომ „სადღეგრძელოს“ ერთ ფრაგმენტში ნიკოლოზ პირველისადმი ქება ყოფილიყო და ჩვენ მისი შინაარსი შეცდომაში მაინც ვერ შეგვიყვანდა.

ეს მომენტი საუცხოოდ გამოეხმაურებოდა ფილადელფოსის „იერემიას გოდებაში“ სათანადო მუხლს...

მაგრამ იქნება არსებობს რამე საბუთი იმისათვის, რომ გრ. ორბელიანს მართლაც იმთავითვე სრულიად გულწრფელად ჰქონდა განზარხული ნიკოლოზ პირველის შექება. პროფ. მიხ. ზანდუკელს ასეთი საბუთი თითქოს კიდეც მოუძებნია, ეს არის გრიგოლ ორბელიანის განცხადება, როდესაც მას სადავო ფრაგმენტი წარუდგინეს საგამომძიებლო კომისიაში: „ეს ლექსი შევა იმ მიძღვნაში, რომელიც მას განზარახული აქვს იმპერატორისადმი დაწეროს“[1]. და ამის გამო პროფესორ მიხ. ზანდუკელს უძნელდება გრ. ორბელიანს ეს განცხადება გულწრფელად არ ჩაუთვალოს.

რაც შეთქმულთა ტაქტიკის შესახებ ითქვა, კმარა იმისათვის, რომ გრიგოლის ეს განცხადება სწორედ გულწრფელ განცხადებად არ ჩაითვალოს. ან როგორ შეეძლო „გივი ამილახვრის აღსარების“ და „იარალისადმის“ ავტორს ნიკოლოზ პირველი გულწრფელად შეექო. „სადღეგრძელოც“ იმავე განწყობილებით არის დაწერილი, როგორიც პირველი ორი.

ამ შემთხვევაში გრიგოლის არაგულწრფელობის საბუთები, თვით მის ხელით დაწერილი, საკმაოდ მოგვეპოვება.

„გივი ამილახვრის აღსარების“ შესახებ გრ. ორბელიანი დაჟინებით გაიძახის, რომ მან იგი მხოლოდ საკუთარი ნება-სურვი-

[1] შეთქმ. საქმის რვ. III.

ლით თარგმნა და არც არავისთვის უჩვენებია, გარდა ელიზბარის მამისა. ამ დროს კი ელიზბარის მამა შანშე ერისთავი უკვე გარდაცვლილი იყო და ამასთანავე იგი იმ წრის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც მთელი თავისი არსებით საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას ხელს უწყობდა... და, სხვათა შორის, შანშეს ეს განწყობილება შეიქნა იმის საბაბი, რომ მისი უცაბედი სიკვდილის გამო გავრცელებულიყო ხმა, იგი ელიზბარმა მოწამლაო.

შანშე ერისთავის აქ დასახელებას გრიგოლის მიერ, ადვილი მისახვედრია, რა აზრიც აქვს.

გრიგოლი ამგვარ ჩვენებას არა ერთხელ იმეორებს[1].

ზემოხსენებული ცნობების მიხედვით გრიგოლის ამ ჩვენების გულწრფელობაზე უარს ვერ ვიტყოდით. მაგრამ როგორც ეს ჩვენებაა გულწრფელი, ისევე გულწრფელია ნიკოლოზ პირველის ხოტბის ამბავი, რაც მან ვოლხოვსკის უთხრა. აქ გრიგოლ ორბელიანმა სრულიად მარტივად, გონებამახვილურად სულ სხვა მიზანდასახულობის ლექსი თავისთვის სასარგებლო ნაწარმოებად წარმოადგინა, თუმცა მასში ნიკოლოზის სახელის ხსენებაც არ იყო... და საფიქრებელია, თუ რომელიმე ბატონიშვილისადმი არა, მაშინ მართლაც თავისუფლებისადმი იყო იგი მიძღვნილი, როგორც ეს პატივცემულმა პავლე ინგოროყვამ აღნიშნა. ეს ფრაგმენტი თუ არის „სადღეგრძელოს“ მთლიანი კორპუსის ნაწილი. ეს მხოლოდ აქ აღნიშნული გაგებით, რასაც გრ. ორბელიანის პიროვნებისა და შემოქმედების შეფასების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს და მსჯელობის საფუძველი გახდეს. გრ. ორბელიანის ამგვარი განწყობილების გამოძახილი მის სხვა ნაწარმოებებშიაც იგრძნობა და ეს განწყობილება მას კარგა ხანს რჩება.

გრ. ორბელიანის მიერ „სადღეგრძელოს“ შეთხზვა დეკაბრისტებისა და ქართველ შეთქმულთა მუშაობის საერთო მეთოდის შედეგია: იქაც და აქაც უხვად იყენებდნენ ისტორიულ მასალას, თავიანთი შეხედულების პოპულარიზაციის მიზნით. დეკაბრისტების „ისტორიაში ჰხედავდნენ აგიტაციური დამაჯერებლობის უმაღლეს სიმბოლოებს“.

---

1 ამის თაობაზე ელიზბარ ერისთავს საგამომძიებლო კომისიისათვის უპასუხნია: „თავად გრიგოლ ორბელიანოვმა თუმცა აჩვენა, რომ გიორგი ამილახვრის აღსარება“ ვითომც ეჩვენებინოს განსვენებული მამაჩემისათვის. მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგან მაშინ მამაჩემი თბილისში არ ყოფილა. გრიგოლმა ეს თარგმანი თვითონ გადმომცა მე და მამაჩემმა არც იცოდა ამ თარგმანის არსებობა“-ო (3524).

ალ. ბესტუჟევი 1823 წლ. „Полярная звезда“-ს ნომერში წერდა, რომ კ. რილეევმა თავის თხზულებაში „მიზნად დაისახა „წინაპართა გმირობით აღეგზნო თანამოქალაქეთა სიპამაცე“.

გრ. ორბელიანის მიერ „სადღეგრძელოში“ ისტორიული მასალის გამოყენება შემთხვევითი კი არ იყო, არამედ ზემოაღნიშნულის ანალოგიურსავე მიზანს ისახავდა. ამიტომ, თუკი, გრ. ორბელიანზე გარედან რამე გავლენის შესახებ ლაპარაკი შეიძლება, — მხოლოდ ამ მიმართულებით არის იგი საგულისხმებელი და მაშინ ნიკოლოზისადმი ხოტბის საკითხიც ადვილად გადაწყდება. ამ ასპექტში განხილულ „სადღეგრძელოს“ ბუნებრივად ეძებნება ადგილი პოეტის შემოქმედებაშიც, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც და ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი ლექსები: „თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს“ და „ჰეი გონებავ“.

ეს უკანასკნელი დაწერილია შეთქმულების გამო პოეტის დაპატიმრების 10 წლის თავზე და მის განწყობილებას საუცხოოდ გადმოგვცემს.

„ჰეი, გონებავ, დაივიწყე ჩემ სანუგეშოდ,
რაც იყო, იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა:
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,
და ფუჭ სიცოცხლეს მაწყეველინებ, გამწარებულსა“.

ალ. ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსი აგრეთვე 1832 წლის შეთქმულებასთან არის დაკავშირებული, რაც ორმოცი წლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანს ჯერ კიდევ არ დავიწყებია, მაგრამ რაზედაც აშკარად ლაპარაკი შეუძლებელია:

ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი, თუ რაც
მინდოდა ვერა ვჰსთქვი.
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს
დამშთა და მით ვიტანჯი.

საყურადღებოა აგრეთვე ლექსი „ჩემს დას ეფემიას“, რომელშიც გადმოცემულია შეთქმულებასთან პოეტის დამოკიდებულება და, სხვათა შორის, საპყრობილეში პატიმრობის სურათი. ეს ლექსი ავსებს იმ ნაკლოვან ცნობებს, რაც პატიმრობის შესახებ შეთქმულების მასალებიდან ვიცით.

შეთქმულებასთან დაკავშირებით უნდა იქნას განხილული აგრეთვე გრიგოლის პროზაული ნაწარმოები „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, რომელიც მწერლის განწყობილების საუცხოო სურათებით არის სავსე.

ამგვარად, საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის იმ მნიშვნელოვან მომენტთან, რომელსაც 1832 წლის შეთქმულება ეწოდება.

გრგიოლის შემოქმედება არა მარტო შეთქმულების არსებობის ან მისი ლიკვიდაციის მახლობელ ხანაშია სათანადო განწყობილებით აღვსილი, არამედ ეს დაღი შემდგეშიაც აქა-იქ ძლიერად იჩენს თავს. 1832 წლის შეთქმულება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას გარკვეულ ელფერს აძლევს და ამ გარემოების უგულვებელყოფა დღეის შემდეგ მწერლის მოღვაწეობის შეფასებისას არ შეიძლება.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

შეთქმულთა ჩვენებები

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,25).[1]

1832 წლის
დეკემბრის 12-ს

საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა დილის 8 საათზე და მუშაობდა ნაშუადღევის 3 საათამდე, შემდეგ 5-დან ღამის 1-საათამდე. ჩამოერთვა ჩვენება კავალერიის მაიორს თავად ლუარსაბ ორბელიანოვს, რაც ბ. ნ. კორპუსის უფროსს ეცნობა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,33)

1832 წლის
დეკემბრის 13

ჟურნალი

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა იმავე საათებში, როგორც გუშინ. სიტყვიერად დაკითხულ იქმნა 1 აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, მაგრამ რადგანაც მან სრულიად გადაჰფიცა, რომ მან განზრახულების შესახებ არა იცის რა, ამიტომ გადაიდო მისთვის კითხვითი პუნქტების წარდგენა, ვიდრე დიდი ბრალდებები მოიყრიდეს თავს შემდეგ ჩამოერთვა ნებაყოფლობითი (добровольные) ჩვენებები: ლეიბ-გვარდიის სემიონოვის რაზმის კაპიტან ჩელოყაევსა და ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლებს ავთანდილოვსა და ყიფიანოვს, აგრეთვე წერილობითი ჩვენება — მასწავლებელს დოდაევს, რაც ბ-ნ კორპუსის უფროსს ეცნობა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

---

1 საათურის შემდეგ ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვი მიუთითებს საგამომძიებლო კომისიის საქმის (რვეულის) ნომერსა და გვერდს.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,83)

1832 წლის
დეკემბრის 15

საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა დილის 8 საათზე და მუშაობდა შუადღის 3 საათამდე და ღამის 5—9 საათამდე. დამატებითი ჩვენება ჩამოერთვა ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის ო. გიორგი ერისთოვს. სიტყვიერად შთაგონებული იქმნა (был словесно увещеваем) ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი, სოლომონ დოდაევი, და განაცხადა, რომ ყველაფერს აღიარებს, რისთვისაც მას მიეცა ქაღალდი, რომ თავის ოთახში ყველაფერი დაწეროს. მერე დაკითხულ იქმნა ბორჩალოს დისტანციის სოფ. ჰასანჰალის მცხოვრები თათრების მოლა ზამანა და ბოლოს გამოძახებულ იქმნა პრაპორშჩიკი თ. ბიძინა ერისთავი, რომელმაც სავსებით მოინანია და მიიღო ქაღალდი, რათა ოთახში დასწეროს თავისი ჩვენება და ყველა ზემოაღწერილი ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
" " ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ალექსანდრე ორბელიანის პასუხი კომისიის კითხვებზე (1,107)

კითხვითი პუნქტები

საქართველოს უზენაესი მმართველობის სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს

დეკემბრის 16 დღესა. 1832 წ.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი	პ ა ს უ ხ ე ბ ი
კარსულ 1831 წელს როცა ო. ოლიბუერაზ ამილახვაროვმა ვიოხრალ, რომ იკი საიდუმლო-	წარსულს 1831-სა წელსა თავადი ოლიბუერაზ ამილახვაროვი არ მოსულა ჩემთან არც

ება — თქვენი განზრახვა საქართველოდან რუსების გაყვანის შესახებ — თ. იასე ფალავანდოვს გამოუცხადა, მაშინ თქვენ თ. ამილახვარისა და ტფილისის გიმნაზიის მასწავლ. სოლ. დოდაევის თანხლებით მიხვედით ფალავანდოვთან და თუმცა ფალავანდოვმა გითხრათ: თქვენ უწყით, რომ ხელმწიფე იმპერატორი ძლიერია, თქვენ უთხარით, რომ ამ შეთქმულებაში პირველი ადამიანები მონაწილეობენო, რომლებიც თქვენ კიდეც დაასახელეთ, ამასთანავე თქვენ პირადად დაუმატეთ, რომ იმერეთში გაგზავნეთ ოსმალეთიდან დაბრუნებული იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე და მიეცით მას რამოდენიმე ჩერვონეცი. რათა მან იქ ყველას უამბოს, რომ საქართველოში ჯარის კაცებს აგროვებენ (берут солдат) ხოლო თქვენ კი თქვენ საზოგადოებასთან ერთად იგივე უნდა გაგევრცელებინათ ხალხში მათ ასაჯანყებლად.

გამოაცხადეთ. როდის შედგა ეს საზოგადოება, სად და რანაირად; დაასახელეთ მისი პირველი მონაწილენი, რომელთა შესახებაც ფალავანდოვთან ლაპარაკობდით; სთქვით სად იმყოფება ამჟამად იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე.

არა უთქვამს რომ იასე ფალავანდოვს უთხარო. არც მე წავსულვარ იასესთან ამ ბოროტს საგანსა ზედა, თუმცა დავდიოდი იასესთან ბევრჯელ, თეიმურაზ ამილახვაროვსაც იქ ბევრჯელ ვნახამდი ხოლმე, — სოლომან დოდაევსაც ხანდისხან ვნახამდი ხოლმე იასესთან, — მაგრამ ესრეთი ბოროტი აზრი არაოდეს არ გვილაპარაკნია.— თეიმურაზ ლორთქიფანიძეს მართალია სამი ოქრო მივეცი იმისათვის, რომ ერთხელ მეიდანზე მოვიდა ჩემთან ტირილით. შემომჩივლა, საწყალი თავადიშვილი ვარო და გთხოვ მოწყალებასაო, მე დიდათ შემებრალა და უთხარ ხვალ მოდი, და სამს ოქროს მოგცემ მეთქი. მე იმისთვის სხვა არაფრისთანა არა მითქომს რა, არც იმერეთს გამიგზავნია, — თვინიერ ამის მეტი რომ მე ყოველთვის ერთგულად მიმსახურია დიდის მონარქის სამსახურის ქვეშ და კეთილად ვყოფილვარ ყოველს ადგილს.

პოდპორუჩიკი

თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

2. თ. იესე ფალავანდოვის ამ საზოგადოებაში მიღების შემდეგ არც კი გასულა ორი კვირა, რომ ვარშავის აღების შესახებ ცნობა მოვიდა, ამის გამგონე თქვენ ყველამ ამაზე ფიქრს თავი დაანებეთ. სთქვით: რა კავშირი აქვს თქვენს განზრახვას ვარშავის აღებასთან, ხომ არავის უამბია თქვენთვის პოლონეთის აჯანყებაზე და არა უთქვამს რა იმ შესაძლებლობაზე, რომ აქაც ამავე დროს მოგეხდინათ იგივე; ვინ იყო იგი, სად და როგორ — განმარტეთ სრული გულახდილობით და დაწვრილებით.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,109)

1832 წლის
დეკემბრის 17

საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა და მუშაობდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 7 — 9 საათამდე. გამოძახებული იქნა სამსახურიდან გამოსული პოდპორუჩიკი თ. აბხაზოვი, რომელიც შთაგონების შემდეგ დათანხმდა, რომ ყველაფერს გულწრფელად აღიარებს, რაც კი რამე იცის, რისთვისაც მიეცა ქაღალდი, რომ თავის ოთახში დაწეროს. ამის შემდეგ გამოძახებულ იქმნა თ. ელიზბარ ერისთოვი, რომელმაც წერილობითი

ჩვენება წარმოადგინა. შემდეგ მაიორმა ლუარსაბ ორბელიანოვმა კომისიაში დაწერა დამატებითი პასუხები და არტილერიის პრაპორშჩიკმა დიმიტრი ერისთავმა წარმოადგინა მის მიერ თავის ოთახში დაწერილი ჩვენება. სადილშემდეგ იესე ფალავანდოვმა წარმოადგინა პრაპორშჩიკ თეიმურაზ ამილახვაროვის ქართულად დაწერილი ჩვენება, რომელიც გადათარგმნის შემდეგ წაკითხულ იქმნა. პრაპორშჩიკმა თ. ბიძინა ერისთავმა თავისი წინანდელი ჩვენება ახალი ცნობებით შეავსო. მასწავლებელმა სოლომონ დოდაევმა განაცხადა სურვილი ყველაფრის დაწვრილებით აღიარებისა, რაც კი რამ იცის, რის ნებაც დაერთო და ქაღალდიც მიეცა, რომ თავის ოთახში დაწეროს.

ყველა ზემოაღწერილი ეუწყა ბატონ კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,129)

1832 წლის
დეკემბრის 18.

საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა და მუშაობდა დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 7 — 10 საათამდე. პაჟმა თ. ვახტანგ ორბელიანოვმა წერილობით ჩვენება წარმოადგინა. შემდეგ წერილობითივე ქართულად დაწერილი ჩვენება წარმოადგინა სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა; ჩვენება გადათარგმნილ და წაკითხულ იქმნა. შემდეგ მან გამოგზავნა გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის სახელზე წერილი, რომელშიც გამოაცხადა, რომ ის თავის თავს დამნაშავედ აღიარებს ყველაფერში, რასაც კი მის წინააღმდეგ მისი თანაგანმზრახველნი იტყვიან.[1] გამოძახებულ იქმნა თ. ელიზბარ ერისთავი და შთაგონების შემდეგ ეთხოვა გამოტეხილიყო დაწვრილებით იმაზე, რაც მის ჩვენებაში გვერდახვეულია და რაც სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენებით ირკვევა. მაგრამ თ. ერისთავმა, თუმცა აღიარა, რომ მის

[1] ალექსანდრე თავის მოგონებაში აცხადებს. ეს იმიტომ ჩავიდინე, რომ ჩემს პატიმარ ამხანაგებს ვაცნობე ჩემს შესახებ თქვით. რომ მოისულელებს. რათა შეთქმულების სერიოზულობა გაქარწყლდესო. საჭირო იყო კომისიას ამგვარი ჩვენება სიმართლედ მიეჩნია.

ჩვენებაში ზოგიერთი დეტალი გამოტოვებულია, მაგრამ განაცხადა, რომ თავის შეთქმულებაში მონაწილეობაზე იმის მეტის თქმა არ შეუძლიან, რაც თავის პირველ ჩვენებაში აქვს დაწერილი. ყველა ზემოაღნიშნული ეცნობა ბ. კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (11, 156, 157)

დეკემბრის 19

კომისია მუშაობდა დილის 8 საათიდან შუადღის 3 საათამდე და ნაშუადღევის 7 საათიდან ღამის 11 საათამდე. გამოძახებულ იქმნა მასწავლებელი დოდაევი, რომელმაც დამატებითი ჩვენება წარმოადგინა, რაც კომისიისაგან იყო მოთხოვილი. გვარდიის კაპიტანმა თ. ჩელოყაევმა შეავსო თავისი ჩვენება ზოგიერთი გამორჩენილი ცნობებით და შემდეგ დოდაევთან პირისპირ წაყენების დროს ამხილა ეს უკანასკნელი იმაში, რომ მართლაც, რუსების საქართველოდან გაძევების აზრი მას ოქროპირ ბატონიშვილმა ჩააგონა, როცა იგი საქართველოში იყო ჩამოსული. სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვმა თავის ოთახში მიიწვია გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი და სიტყვიერი ჩვენება მისცა, რაც გენერალ-მაიორ ვოლხოვსკიმ კომისიას წერილობით წარმოუდგინა და შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმაც კომისიაში იგი დააღასტურა ხელის მოწერით და ზოგიერთი ახალი ცნობაც დაუმატა.[1] ამის შემდეგ პირისპირ წაყენებულ იქმნენ თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთავი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა აღიარა ალექსანდრეს მიერ ნაჩვენები აღრეულობის თაობაზე პირველი საუბრის შესახებ.

სადილის შემდეგ გამოძახებულ იქმნა თ. თეიმურაზ ამილახვაროვი, რომელმაც კომისიაში თავისი ხელის მოწერით დაადასტურა თ. იესე ფალავანდოვის მიერ დაწერილი მისი ჩვენება და აქვე დაუმატა ზოგიერთი ცნობა, ქართლში წმინდა გიორგის შესახებ.

---

1 ალ. ორბელიანმა თავის პირველსავე ჩვენებაში ვრცლად მოუთხრო ზავილეისკიზე, მაგრამ მერე კომისიის წევრი ვოლხოვსკი დაობარა თავის საკაბინეში და სთხოვა ზავილეისკიზე გამოძიებას ნუ ეიწყებთო, რადგან ალექსანდრეს თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად არავითარი სიბუნი არ გააჩნდა.

ამის შემდეგ პირისპირ წაყენებულ იქმნენ გვარდიის კაპიტანი ჩოლოყაევი და მაიორი თ. ლ. ორბელიანოვი, ამ უკანასკნელის მიერ ნაჩვენები გარემოების თაობაზე, რომ ვითომც ჩოლოყაევს ეთქვას მისთვის, რომ მან შეთქმულების არსებობა პეტერბურგშივე იცოდა მიწერ-მოწერის საშუალებით და რომ ოქროპირ ბატონიშვილმა მხოლოდ იმიტომ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, რომ საფრანგეთში წავიდეს და იქიდან იმოქმედოს; მაგრამ ჩოლოყაევმა ეს ჩვენება უარყო და ლუარსაბ ორბელიანოვიც, თუმცა პირველად ამტკიცებდა, მაგრამ მერე დათანხმდა, რომ შეიძლება მას კარგად აღარ ახსოვს და ეგებ არა ჩოლოყაევმა, არამედ სხვა ვინმემა თქვა იგი, რადგან იმ დროს იქ იყვნენ თავადები: ალექსანდრე ორბელიანოვი, ელიზბარ ერისთოვი და იესე ფალავანდოვი. ჩოლოყაევის გარდა. ჩოლოყაევმა გაახსენა ლუარსაბ ორბელიანოვს ელიზბარმა ხომ არა თქვაო, რადგან ამ სამში ელზბარია ს. პეტერბურგში ნამყოფი და ბატონიშვილის სახლში ნაცხოვრები და ამასთანავე ამ ელიზბარზე დასძინა, რომ იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ამ საქმის შესახებ ათასნაირ ამბებსაო, რაც ლუარსაბ ორბელიანოვმაც დაადასტურა და თქვა: „შეიძლება ეს ელიზბარ ერისთავის ნათქვამი იყოსო“. ყველა ზემოაღნიშნული ეცნობა ბ. კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (11, 158 — 163)

1830 წლის დამლევს, თუ 1831 წლის დამდეგს თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი მოვიდნენ ჩემთან საღამოობამზე. ჩვენ გვსურს შენთან მეგობრობაო მითხრეს მათ. ძლიერ მოხარული ვარ მეთქი. ვუპასუხე მე. თუმცა მათი შორეული ნაცნობობა ადრეც მქონდა. მეკითხებოდნენ რას აკეთებ, გაზეთებს კითხულობ თუ არაო. მე ვუპასუხე კანონებსა ვთარგმნი, რაც ჩვენი ქვეყნისათვის დიდად სასარგებლოა და მთავრობასაც სურს ქართველებმა თავიანთი ვალდებულებანი იცოდნენ მეთქი. მათ თქვეს ეს ძალიან კარგიაო. — რასა სწერენ გაზეთებშიო — შემეკითხნენ ისინი. აი, წაიკითხეთ მეთქი. რატომ ქართულ ენაზეც არ გამოსცემთო. — მეუბნებოდნენ ისინი. ვისთვის გამოვცე, ქართველები მას არ წაიკითხავენ მეთქი. როგორ თუ არ წაიკითხავენ. ხელის-

მომწერლებს ჩვენ გიშოვნითო. ელიზბარ ერისთოვმა აღმიიქვა მარტო გორში ას კაცს ვიშოვნითო, ალექსანდრე ორბელიანოვმა კი თქვა. ნეც აქ თხუთმეტამდე კაცს ვიშოვნი, ვეცდები უფრო მეტიც ვიშოვნოო. მაშინ მე დავიწყებ გამოცემას მეთქი. ქართველები ბევრ წერილებს მოგაწვდიანო. კარგი მეთქი და ამით გათავდა ეს საქმე. ეს იყო გენერალ კომაროვსკის ქვრივის სახლში.[1]

მეორეჯერაც აგრეთვე მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს წამოდი გავისეირნოთო. მე დავეთანხმე. გზაზე მითხრეს სამშობლო გიყვარს თუ არაო? მე შეეკითხე რას ნიშნავს სამშობლო მეთქი. მათ ბევრი მიკიბ-მოკიბეს და საქართველოს მიადგნენ. მე ვუპასუხე მიყვარს მეთქი. საქართველოსთვის რამე უნდა ვიფიქროთ. რუსები ძალიან გვაწუხებენო. როგორ მეთქი, შევუბრუნე მე, ისინი არც კი გვაწუხებენ, მშვიდობას გვანიჭებენ მეთქი. მერე ილაპარაკეს სხვადასხვა პოლიტიკურ საქმეებზე, რაც გაზეთებიდან ჰქონდათ ამოკითხული. ბოლოს შემეკითხნენ თანახმა ხარ თუ არა გაზეთის გამოცემაზეო. მე ვუპასუხე, როცა ხელის მომწერლებს მიშოვნით, მაშინ შევუდგები გამოცემას მეთქი. ინებე, რამდენიც გნებავს ხელის მომწერნი იქნებიან, მაგრამ იცოდე ჩვენ შენთან გულახდილად ვართ, ამბობს თ. ელიზბარ ერისთავი. თუმცა შენ რუსების ხელში კარგად ცხოვრობ, მაგრამ ქართველები უკეთესი იქნებიან შენთვისაო. რადგან ქართველებს ვესაუბრებოდი, ამიტომ ვუპასუხე, რასაკვირველია ქართველები უფრო მეტად შემიყვარებენ მეთქი. ვფიქრობდი ჩემი თანხმობისათვის ისინი უფრო მეტ ხელისმომწერლებს მიშოვიან მეთქი. ჩვენ რამოდენიმე კაცი ვართ, რომელთაც გვსურს სამშობლოს სიყვარული გავავრცელოთ, ე. ი. თ. იესე ფალავანდოვი, თ. გიორგი ერისთოვი და სხვები კი აღარ მახსოვს.[1] მე ვუპასუხე ძალიან კარგი მეთქი. მესამე ჯერზე მე თვითონ მივედი თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც მითხრა, იასე ფალავანდოვთან წავიდეთ, ის დიდი პატრიოტიაო, წავედით. ფალავანდოვთან დაგვხვდა ვიღაც უცნობი თავადიშვილი, თ. ფალავანდოვმა დაგვიწყო ლაპარაკი მე და თ. ორბელიანოვს. რომ საქართველოს რუსთაგან განთავისუფლებაზე ბევრი ვიფიქრეო, დაიწყო თავის ქება, თუ როგორ გაიქცა, როგორ ეპყრობოდა იმათ.

---

1 ამ სახლში ცხოვრობდა დოდაშვილი.

2 დოდაშვილმა საგამომძიებლო კომისიაში ორჯერ განაცხადა სურვილი ყველაფრის დაწვრილებით აღიარებისა (1. 83. 107) და ეს ჩვენება სწორედ ამ მიზნით დაწერინეს. როგორც ჩანს, იგი მაინც ჯერ კიდევ ცდილობდა შეთქმულების ნამდვილი კითარება დაეფარა და მხოლოდ უმნიშვნელო რამეებზე ლაპარაკობდა: თანაც არც შეთქმულების ჭეერთ ასახელებდა.

ვინც მას გზაში ხვდებოდა და სხვა, რაც მე აღარ მახსოვს. მათგან ასეთი საუბარი რომ მესმოდა, გულში ვფიქრობდი, ეს ხალხი ხომ არ გაგიჟდა მეთქი, იქიდან შინ წაველ.

შემდეგ ისევ მოვიდნენ ჩემთან თ. ელიზბარ ერისთოვი და ალექსანდრე ორბელიანოვი და საბოლოოდ გამომიცხადეს თავიანთი განზრახვა. მითხრეს, რომ ჩვენ გვსურს ვთხოვოთ (ოღონდ არ მახსოვს სახელდობრ სად მელაპარაკნენ) ხელმწიფე იმპერატორს, რათა მოახერხოს რამე, რომ ჩვენ წინანდებურად ვიყვნეთ მანიფესტის მიხედვით; მე სრულიად არ წამიკითხავს ეს მანიფესტი და დღემდე არ ვიცი რას შეიცავს იგი. მათ მკითხეს ნათესავები ან ახლო ნაცნობები ხომ არ გყავს; მე ვუპასუხე, ჩემი ნათესავები არიან დუშეთის მაზრაში მთლად კობიევები და სიღნაღის მაზრაში აზნაური ხირსელოვები; შენ მათ უთხარი, დეე იმათ იცოდნენ ყოველ შემთხვევისათვის ისინი გამოსადეგი ხალხიაო, მითხრეს მათ. რასაკვირველია, მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, რაც მე იმათ ვუპასუხე: შეუძლებელია, შეუძლებელია, ნურაფერს და ნურაფერს ნუ ფიქრობთ. შენ რაო, მიპასუხეს მათ, შენ მხოლოდ უთხარი მათ, შენ ბაგრატ ბატონიშვილის ოჯახში ცხოვრობდი, შენ იცი იმათ როგორ უყვარხარო. რასაკვირველია მეთქი, ჩემი ძმაც ხომ იმასთან ცხოვრობს. მეტი რაღა გინდაო, ღიმილით მითხრა თ. ელიზბარ ერისთოვმა. ეხლა საკითხავია: მითქვამს როდისმე რამე მოხსენებულ ნათესავებისთვის თუ არა? არასოდეს. მთელი ზაფხული მამაჩემთან ვცხოვრობდი სოფ. მაღაროში და მშობელი მამისთვის, რომელიც მღვდელია, არაფერი მითქვამს და არც არაფერსა ვფიქრობდი. ქართველ ბატონიშვილებს არასდროს არაფერი არ უთქვამთ. ერთხელ ოქროპირ ბატონიშვილისაგან ტფილისში გავიგონე, შეიძლება საქართველო ოდესმე ცალკე სახელმწიფო გახდესო, მაგრამ მე ამაზე არასოდეს არ მიფიქრია, გახდება თუ არა ცალკე სახელმწიფოდ არასოდეს არ წარმომედგინა. მანვე მითხრა როცა ყარსი აიღეს, რომ შეიძლება ამიერ-კავკასია ისე გააფართოვონ, რომ ხელმწიფე რომელიმე დიდმთავართაგანს აქაური მხარის მმართველად დანიშნავს. მისგან მეტი არაფერი გამიგონია.

ვარშავა რომ აიღეს, ეკლესიიდან, მუნდირში გამოწყობილი, თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან შევედი და ვუთხარი: იფიქრებდ› ოდესმე რუსების წინააღმდეგ მეთქი? მან მიპასუხა, არა, არაფრის ფიქრი აღარ შეიძლება, რუსები ყველგან ყოჩაღები არიანო. დიახ, სწორედ ეს არის, ნულარაფერს იტყვი, ძმაო, მოინდომებენ და ევროპასაც აიღებენ მეთქი. არასოდეს აღარაფერს არ ვიტყვიო, მი-

პასუხა მან, ამ წელიწადში შემოდგომამდე ჩემთვის არავის რა უთქვამს აღნიშნულ პირთა გარდა, ე. ი. თავადების: ალექსანდრე ორბელიანოვისა, ელიზბარ ერისთავის და იესე ფალავანდოვისა გარდა და სხვა არც არავინა მცნობია. ამბობდნენ თ. ზაქარია ციციანოვმა და თ. გიორგი ერისთოვმაც იციანო, მე კი მათთან ამ საქმის თაობაზე არასოდეს საუბარი არა მქონია. თ. ანტონ აბხაზოვზე მახლობელი ნაცნობი მე არა მყოლია, მაგრამ მე მისთვის არა მითქვამს რა. ჩემთან ერთად აღზრდილი და ჩემი მახლობელი ნაცნობები არიან სიღნაღში თარჯიმნად ყოფილი არესტარხ ხერუმოვი, სიონის ტაძრის მღვდელი ჭრელაევი, სემინარიის მასწავლებელი მოძღვაროვი, პოლიციის მოსამსახურე აზნაურები ზედგინიძე და კობიევი, ყველა ესენი ჩემი ახლო მცნობი არიან და ხშირადაც დაიარებოდნენ ჩემთან, მითქვამს თუ არა როდისმე მათთვის რამე? არასოდეს, არავისთვის სრულებით არაფერი არ მითქვამს. ამა წლის შემოდგომაზე რაც გავიგონე, რაც მოვიხილე და რაც მითქვამს თქვენ უკვე იცით. მიიღეთ მოწყალება, ჰკითხეთ მასწავლებლებს, ყიფიანოვსა და ავთანდილოვს, ვუთხარი მე მათ თუ არა, რომ მათ ამ თავადებისთვის ყური არ ეგდოთ, რომ ჩვენ ღმერთმა მოგვცეს რუსებთან ცხოვრება, ჩვენ მათთან სამსახურში წინ წავალთ, ღმერთმა დაიფაროს რომ რუსები აღარ იყვნენ აქ, მაშინ თავადები იტყვიან: მე ერისთავი ვარ, მე ორბელიანოვი ვარ, და თქვენ კი ვინა ხართო, ჩვენ უნდა რუსებისათვის თავი დავდოთ მეთქი მითქვამს თუ არა მათთვის გიმნაზიაში? ეგენი ჩემი მოწაფეები იყვნენ, მითქვამს გაანა მათთვის როდისმე მთავრობის საწინააღმდეგო რამე? დეე სთქვან ეს. ვუთხარი და ვთხოვე თუ არა თ. ალექსანდრე ორბელიანოვს ამა 1832 წლის ნოემბერში, როცა ეგ ავად იყო, რათა ურჩიოს და დაბეჯითებით უთხრას თ. იესე ფალავანდოვს, რომ მან ცუდ აზრებზე ხელი აიღოს, ცელქობას თავი დაანებოს.

მითქვამს თუ არა თ. ანტონ აბხაზოვისთვისა და თ. ელიზბარ ერისთოვისთვის, რომ თუ თავადთაგან ვინმე უკმაყოფილოა, ან შევიწროებას გრძნობს, ხელმწიფეს თხოვნა მიართვას მეთქი. ვუთხარი თუ არა თ. ზაქარია ჩოლოყაევს რომ არავისთვის ეგდო ყური და მან მართლაც ეს შეასრულა; მე სხვებზე უფრო მეტად ვიცნობდი მას პეტერბურგიდანვე, მაგრამ მე მისთვის არასოდეს არა მითქვამს, დაიარებოდა ის ჩემთან, მე მასთან, მაგრამ ყოველთვის გარეშე საუბარი გვქონია.

ყველაფერი ეს მე არ მამართლებს. მე დიდი დამნაშავე ვარ და იცით რაში ვარ დამნაშავე — მე მელაპარაკებოდნენ და ვუსმენდი, ვიცოდი, მაგრამ ჩუმად ვიყავ. ჩუმად ვიყავ, რადგან ვიცოდი

გონს მოვიდოდნენ და აკი მართლაც გონს მოვიდნენ, ბოლოს ყველა მათგანმა თავის სისულელეზე ხელი აიღო და ფიქრობდა თავის მეურნეობისთვის მიეხედნა და ეცხოვრა როგორც მშვიდ მოქალაქეს. აი ჩემი ყველაფერში ჭეშმარიტი და გულწრფელი აღიარება, რამდენადაც კი შემეძლო გამეხსენებინა.

ვინ დამიჯერებს მე ეხლა. რასაკვირველია, მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის ჩემი შინაგანი განწყობილება, რომ მუდამ მზად ვიყავ რუსებისთვის თავგანწირვად. მე ეხლა დამნაშავე ვარ. ჩვენს მოწყალე და დიდსულოვან მონარქს მხოლოდ ერთ რამესა ვთხოვ: აპატიოს, იხსნას ჩემი ოჯახი, ოჯახი, რომლის ერთადერთი ნუგეშიც მე ვარ, ოჯახი უთვისტომო, რომელიც მხოლოდ ჩემი ჯამაგირით საზრდოობს.

მიიღეთ მოწყალება, მაპატიეთ ჩემი დანაშაული, რომელშიც ჩემდა უნებურად ჩავვარდი, გადამეცით მმართველობის უსაპატიკესი მეთვალყურეობის ქვეშ, დამინიშნეთ სანდო თავდებნი. ღვთის გულისათვის მაპატიეთ, გთხოვთ გეკედრებით, მაპატიეთ. მომეცით დრო ჩამოვირეცხო ის ლაქა, რომელიც მე მაწუხებს, ცრემლები მიშლის, მეტის დაწერა აღარ შემიძლია.

დეკემბრის 18,
1832 წელი

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ამასთანავე მომაგონდა, რომ მე ვუთხარი გვარდიის კაპიტან თ. ზაქარია ჩოლოყაევს, რასაკვირველია, ბიძაშენს ოქროპირ ბატონიშვილს აქვს როდისმე საქართველოში გამეფების სურვილი მეთქი, რადგან ტფილისში ყოფნის დროს ერთხელ ოქროპირმა მითხრა: შეიძლება საქართველო როდესმე ცალკე სახელმწიფო გახდესო.

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ამას გარდა ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა: თხოვე მღვდლებს, რათა მათ ჩემთვის ილოცონო; მაგრამ მე არასოდეს არც ერთი მღვდლისათვის არ მითხოვნია, მან აგრეთვე მითხრა, თქვენ ახალგაზრდები არ გვიცნობთ ჩვენ. მოხუცები კი ყველანი გვიცნობენო. არა უშავს რა, იქნება ერთხელ თქვენც გაგვიცნოთო. გვარდიის კაპიტან თ. ზაქარია ჩელოყაევის შეკითხვაზე კი, თუ როგორ დაეტია ჩემს თავში ამ შეთქმულებაში მონაწილეობის აზრი, მე ვუპასუხე: ოქროპირ ბატონიშვილმა შთამაგონა, რომ ამაზე

მეფიქრა, მაგრამ მე ფიქრში არაფერი გამიტარებია ამის შესახებ, ვიდრე თავადებმა: ალექსანდრე ორბელიანოვმა და ელიზბარ ერისთავმა არ მითხრეს და ამ საქმისთვის არ მომიხმეს მეთქი; მგონია პირველი წინადადება ელიზბარ ერისთოვმა მომცა. ამ დროს თ. ჩოლოყაევმა თქვა, ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და მათ აღარაფერი ვუსმინოთო. დიდი ხანია მეც ეგ მინდა მეთქი ვუპასუხე და იმ დღიდან ხელი ავიღე და აღარც ვყოფილვართ და ამ საქმისა მეტი აღარაფერი ვიცი.[1]

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ამასთანავე მომაგონდა შემდეგი: თუმცა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა სხვების თანადასწრებით მთხოვა პროკლამაცია დამეწერნა, მაგრამ მე იგი არასოდეს არ დამიწერნია და არც ვაპირებდი მის დაწერას.[2]

თ. იასე ფალავანდოვის სახლში გავიგონე თ. ალექსანდრე ორბელიანოვისაგან როგორ ამბობდა იგი: „ბორჩალოს დისტანციაში დაუჭერიათ თათარი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთანა მყავდა გაგზავნილი, თუ ეს მართალია, დავღუპულვართ, გეთაყვა, უთხარი ან მე თვითონ წავალ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომ არ გამოამჟღავნოს ეს საქმე, ამის შემდეგ ამაზე ყველაფერს დავიწყებას მივცემ, ოღონდ ეხლა კი ნუ გამომჟღავნდებაო". ამაზე ფალავანდოვმა მიუგო: „იმან — თ. ჭავჭავაძემ — მე მგონია, უკვე გამოამჟღავნაო". ჩემი ძმა და თ. ჭავჭავაძე ორი საათი კარდაკეტილში ისხდნენ, მე მგონია საუბარი ამაზე ჰქონდათო". მეტი არაფერი გამიგონია. მე წამოვედი და ისინი იქვე დარჩნენო.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ამა 27 დეკემბრის საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო: სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ სამოქალაქო გუბერნატორად მყოფ ზავილეისკის მან

---

[1] როგორც ზევით იყო აღნიშნული, ს. დოდაშვილი ცდილობს საქმის ნამდვილი ვითარება დამალოს. კერძოდ, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, რომ მას სათანადო ადგილი ოქროპირმა ჩაგონა, ხოლო მოქმედებაში ალ. ორბელიანმა და ელიზბარ ერისთავმა ჩაითრიეს. სხვა ყველაფერთან ერთად ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს დოდაშვილის მიერ დეკაბრისტების დასჯილი მეთაურის რილეევის წერილის გადმოწერა და მისი პეტერბურგში ცხოვრების ურთიერთობანი და იმდროინდელი მიმოწერა სხვადასხვა პირებთან.

[2] ეს პროკლამაცია დაცულია შეთქმულების საქმეებში

რუსეთის მთავრობისადმი რაღაც ორგულობა შეატყო, მე არ გამომიკითხავს მისთვის და არც მას უამბია რა და როგორ შენიშნა.

მასწავლებელი დ ო დ ა ე ვ ი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (11,164)[1]

1832 წლის დეკემბრის 19-ს მე ქვემომოხსენებული ვალად ვრაცხ კვლავ გაუცხადო საგამომძიებლო კომისიას, რომ არავითარი მიწერ-მოწერა ამ შეთქმულების გამო არავისთან არა მქონია არა თუ საქართველოში, არამედ არც რუსეთში. ის კი მახსოვს ქართველ თავადებს ვუთხარი, რომ ს. პეტერბურგში ბატონიშვილთა ოჯახებში ყოფნის დროს შემინიშნავს — ისეთი რამ რაც ეჭვებს აღმიძრავდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე ითქმის, რომლებიც რამდენსაც არ ცდილობდნენ ჩემთვის დაეძალნათ, მე მაინც ყოველთვის მეგონა, რომ ისინი მთავრობის წინააღმდეგ რაღაცას ფიქრობდნენ, რადგან ჩემს მისვლისთანავე ბატონიშვილებიცა (როგორც კაცები ისე ქალები) და ეს ვაჟბატონებიც დაიწყებდნენ ხოლმე რუსების ქებას და სწორედ ამ მიზეზთა გამო მე მათგან თავი შორს მეჭირა. ისე რომ მოსკოვში გამოვლის დროს არ ვინახულე ბიძა ჩემი ოქროპირ ბატონიშვილი, რადგან ყველაზე მეტი ეჭვი ყოველთვის მასზე მქონდა ხოლმე. ყველა ეს გარემოება მოეიგონე თ. თ. ერისთოვებისა და თ. დიმიტრი ორბელიანოვთან შეხვედრის დროს (ესენი ფარნაოზ ბატონიშვილის სახლში იზრდებოდნენ) აქ ტფილისში, რომლებსაც ამ სიტყვებით მივმართეთ, გახსოვთ, ვაჟბატონებო, პეტერბურგში ყველანი როგორ მერიდებოდით, აქ კი პირიქით თქვენ ძალიან გულახდილნი ხართ მეთქი. მართალიაო, წარმოთქვეს ელიზბარ, დიმიტრი, გიორგი ერისთოვებმა და დიმიტრი ორბელიანოვმა, ჩვენ პეტერბურგში შენი გვეშინოდაო.

კაპიტანი თ. ზაქარია ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.[2]

---

1 მიღებულია კომისიაში 1832 წლის 19 დეკემბერს.

2 ამ საბუთს მოსდევს ჩოლოყაშვილისა და ლუარსაბ ორბელიანის დეკემბრის 19 პირისპირ წაყენების ოქმი, რაც შეტანილია კომისიის სხდომის ოქმში (იხ. 11, 156 — 157), ამიტომ ამ საბუთს აქ აღარ გავიმეორებთ.

ელიზბარ ერისთავის პასუხები კომისიის კითხვებზე
(11, 176 — 181)

კითხვითი პუნქტები
ყოფილ პორუჩიკ თ. ელიზბარ ერისთოვს
20 დეკემბერი, 1832 წ.

1. ოქროპირ ბატონიშვილი ტფილისში რომ იყო, რამდენჯერ ინახულეთ იგი? ხომ არა უთქვამს რა თქვენთვის რუსების საქართველოდან გაძევების განზრახვაზე და ხომ არ ურჩევია თქვენთვის რა ღონისძიება უნდა გეხმარათ ამ საქმისთვის?

1830 წელს მე იგი ვნახე, როცა ბიძაჩემთან იყო სტუმრად და მას ჩემთვის არა უთქვამს რა იმის მეტი, რომ რატომ არ ვინახულე იგი, როცა მოსკოვში გამოვიარე. მე კი მივუგე, რომ გენერალ ვერევკინმა ერთ დღე-ღამეზე მეტის გაჩერების უფლება არ მომცა და იმიტომ ვერ გინახულეთ მეთქი. და ოქროპირ ბატონიშვილს არც აქა და არც სხვაგან სადმე ჩემთან არაფერი უთქვამს რუსების საქართველოდან გაძევებაზე.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთავი.

2. თ. თ. ლუარსაბ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანისა, თ. იესე ფალავანდოვისა და გვარდიის კაპიტან თ. ჩელოყაევის თანადასწრებით თქვენ გითქვამთ, რომ: საქართველოდან რუსების გაძევების განზრახვა თქვენ პეტერბურგშივე იცოდით მიმოწერის საშუალებით.

გამოაცხადეთ ვისგან გაიგეთ იგი ს. პეტერბურგში და ვისთან გქონდათ ამაზე მიმოწერა როგორც პეტერბურგში ისე მოსკოვში?

2. რაც ხან პეტერბურგში ვიყავ მამი ჩემის მეტთან მიმოწერა არავისთანა მქონია და იმისთვისაც არასოდეს სხვა არა მიმიწერია რა, გარდა ჩემი მეცადინეობისა მეცნიერებაში. ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ კი, ჩემ ძმასთან მქონდა მიმოწერა, რომლითაც მას მისი მშობლებისა და ჩემს მშვიდობით და კარგად ყოფნას ვატყობინებდი ხოლმე.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი[1].

---

[1] როგორც ცნობილია, სწორედ ამ ძმათა შორის ძლიერ საინტერესო მიმოწერა იქნა შემდეგში გამომძღავნებული.

3. იმავე პირთა თანდასწრებით თქვენ გიამბიათ, რომ ოქროპირ ბატონიშვილმა მხოლოდ იმიტომ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, რათა საფრანგეთში წავიდეს და იქიდან იმოქმედოს. გამოაცხადეთ, თვით ბატონიშვილისაგან იცით ესა, თუ სხვა ვისგანმე?

4. წარსულ 1831 წელს როცა თქვენ ეს შეთქმულება გამოუცხადეთ თ. ლუარსაბ ორბელიანს და ამან კი გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძეს გაუმჟღავნა, რა გითხრათ ამის შემდეგ თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა და რა საუბარი გქონდათ თქვენ ამ საქმის თაობაზე თ. ჭავჭავაძესთან, გამოაცხადეთ დაწვრილებით. ამის უდაოდ დამადასტურებელია ის, რომ შარშან თქვენ და თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხარით მასწავლებელ სოლომონ დოდაევს თ. ჭავჭავაძისა და თ. ლუარსაბ ორბელიანოვის ამ საქმეში მონაწილეობა.

3. მე ამის შესახებ არასოდეს განმიცხადებია ამ პირთათვის და არც ის ვიცი რა ანგარიშით შეირთო მან მდიდარი სენატორის ქალი. როგორც ამ პირებთან ისე არც სხვა ვისთანმე მის ცოლის შერთვაზე არ მილაპარაკია და არც საფრანგეთში წასვლის განზრახვაზე.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

თუმცა 1831 წელს მე ველაპარაკე თ. ლუარსაბ ორბელიანოვს, მაგრამ მას ჩემთვის ჭავჭავაძეზე არა უთქვამს რა, ჰქონდა თუ არა მასთან საუბარი მე არ ვიცი. მე თვითონ კი ამ საქმის ირგვლივ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან არასოდეს არავითარი საუბარი არა მქონია.

4. თვე არ მახსოვს როდის გამოვუცხადე ლუარსაბ ორბელიანოვს მაგრამ შემოდგომა კი იყო. მე ამ პირთათვის არასოდეს არა მითქვამს რა. თ. ლუარსაბ ორბელიანოვისა და თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობაზე და ტყუილად არც შემეძლო მეთქვა, რადგან ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ, რადგანაც თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა მართალია იცოდა, მაგრამ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

5. ერთხელ გვარდიის კაპიტანმა თ. ჩელოყაევმა აქ, ტფილისში გითხრათ თქვენა, გიორგი და დიმიტრი ერისთოვებსა და დიმიტრი ორბელიანოვს შემდეგი სიტყვები: „გახსოვთ, ეაჟბატონებო, პეტერბურგში ყველანი მერიდებოდით, აქ კი პირიქით ძალიან გულახდილნი ხართო". მაშინ თქვენ ყველამ უპასუხეთ: „უნდა გამოვტყდეთ, პეტერბურგში ჩვენ შენი გვეშინოდაო".

განმარტეთ ამ შიშის გარემოება და რით იყო იგი გამოწვეული?

გენერალ-მაიორი
ბაიკოვი ;-ლი
" " ვოლხოვსკი
პოლკოვნიკი
ტრიტელევიჩი.

5. მართალია, თ. ჩელოყაევმა თქვა, რომ პეტერბურგში ჩვენ მას არა ვცნობდით და აქ კი ყველაფერს მიმხელთო, რაზედაც ჩვენ ბოდიში მოვიხადეთ.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ
ერისთოვი

თუმცა მე ვუთხარი თ. ჩელოყაევს, რომ გენერალ-მაიორი თ. ეგორ ერისთოვი და გენერალი ჭავჭავაძეც მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში და მინდა ვაცნობო აგრეთვე თ. გიორგი ერისთოვსა მეთქი, მაგრამ ეს მე ტყუილად ვუთხარი, იმისათვის რომ მასაც მიეღო მონაწილეობა.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ
ერისთოვი.

ქევხა შიხილ-ალიას ჩვენება (11, 182)

ჩვენება ბორჩალოს დისტანციის სოფ. ჰასან-ჰაჯალის ქევხა შიხალ-ალიასი

20 დეკემბერი. 1832 წ.

ბორჩალოს დისტანციის სოფ. ჰასან-ჰაჯალის ქევხა შიხილ-ალიამ ჯერ აჩვენა, რომ ის თავისი სამი ამხანაგით, რომლებიც მოლა ზამანას ჩვენებაში არიან მოხსენებული, თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან თავის საქმეზე ჩამოვიდა და არა მოლა ზამანას საშუალებით მიღებული მოწვევისა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელმა ამხილა იგი პირისპირ წაყენების დროს, მაშინ კი გამოტყდა, რომ მართლაც მისი საშუალებით მიიღო ბრძანება თავისი სამი ამხანაგით ტფილისში ჩამოსულიყო. შემდეგ არა კისრულობდა, რომ თ. ალექსანდრემ მისცა მას დავალება, რომელიც მოლა ზამანას ჩვენებაშია განმარტებული. ვერე კი გამოტყდა, რომ თავადმა უბრძანა მზად ყოფილიყო ტფი-

ლისში ჩამოსასვლელად როგორც კი საჭირო შეიქმნებოდა, ამასთანავე დაუმატა, თითქოს მოლა ზამანას ეთქვას, რომ მზად უნდა იყვნენ იმ დროს და იმნაირად ჩამოსასვლელად როგორც ნაბრძანები იქნებაო. ამასთანავე შიხილ-ალიამ თქვა აგრეთვე, რომ არუხლანის მამასახლისმა ალი-ეიბ-ოღლიმ უთხრა მას ახალციხიდან იზმეილ-აღამ მომწერა, რომ თ. ალექსანდრე ორბელიანოვს ალექსანდრე ბატონიშვილთან პიმოწერა აქვს, მაგრამ მას (შიხილ-ალის) ეს ამბავი ალექსანდრე ორბელიანოვისათვის არ უთქვამს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (11, 184)

1832 წლის დეკემბრის 21

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა იმავე საათებში, როგორც დეკემბრის 20-ს.

დილით ყოფ. პოდპორუჩიკმა თ. აბხაზოვმა წარმოადგინა თავის ოთახში დაწერილი დაწვრილებითი ჩვენება, შემდეგ კვლავ იქმნენ დაკითხული თათრები: სოფ. ჰასან-ჰაჯალის მამასახლისი შიხალ-ალია და მოლა ზამანა, რომლებიც მერე პირისპირ იქნენ წაყენებული, რის ანგარიშიც საქმეს აქვს დართული.

სადილ შემდეგ მოწვეულ იქმნა კომისიაში თ. ალექსანდრე ორბელიანოვი მოლა ზამანასთან პირისპირ წასაყენებლად; პირველმა აჩვენა, რომ მან მხოლოდ მოლა ზამანას დაავალა ისეთი ხალხის შოვნა, რომლებიც მზად უნდა ყოფილიყვნენ მისი მოთხოვნისთანავე ტფილისში ჩამოსულიყვნენ, უკანასკნელი კი ამტკიცებს თავის პირველ ჩვენებას, რომ იმ დროს შიხილ-ალიაც იქ იყო.

ამასთანავე თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა და მოლა ზამანამ აჩვენეს, რომ ამ უკანასკნელის მიერ ჩამოყვანილი კაცები არ წარდგომიან თ. ალექსანდრე ორბელიანოვს და არც ფული მიუღიათ მისგან; არც თვით მოლა ზამანას მიუღია რამე თ. ალექსანდრე ორბელიანოვისაგან მოყვანილი კაცების მოსაბირებლად; მოლა ზამანამ კი განაცხადა, რომ მას მათთვის არ უთქვამს რისთვის იბარებდა მათ თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

ამავე დღეს თ. იესე ფალავანდოვმა წარმოადგინა თავისი წინან-

დელი ჩვენების დამატება. თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა წარმოადგინა კომისიაში ქართულად დაწერილი ორი განმარტება, რომლებიც საქმეს დაერთო. ყველა ზემოხსენებული ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (11, 210)

1832 წლის დეკემბრის 22

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 1 საათამდე. დილით კომისიამ ამოკრიბა საქმიდან ყველა ცნობები ბოროტგანმზრახველთა საზოგადოების წევრთა მოქმედების შესახებ, თვითეულის შესახებ ცნობების თავის მოყრის მიზნით და გამოძახებულ იქმნენ კომისიაში ზოგი პატიმართაგანი, სიტყვიერი ჩვენების ჩამოსართმევად. სადილ შემდეგ კომისიამ გადმოიღო ჩვენებებისა და საერთო ცნობების (თვითეულის შესახებ) ასლები, რაც ბ-ნ კორპუსის უფროსს წარედგინება.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ანტონ აფხაზის დამატებითი ჩვენება (11, 214).[1]

ამასთანავე დაუმატებ, რომ თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, შარშან 1831 წელს ქართველ ბატონიშვილებთან მიმოწერის საშუალებით მინდოდა ამ საქმის მოწყობაო, მაგრამ არავინ კი არ დაუსახელებია, მაგრამ გვარდიის კაპიტან თ. ჩოლოყაევთან საუბრით მინდოდა მისთვის რამე მეთქმევინებინა ამ საქმის თაობაზე.

ყოფილი პოდპორუჩიკი თ. ა ფ ხ ა ზ ო ვ ი.

---

[1] მიღებულია კომისიაში 1832 წელს 23 დეკემბერს.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (16, 218)[1]

1832 წლის დეკემბრის 23-ს მე ამის ქვემორე ხელისმომწერი საქართველოს უზენაესი მმართველობის აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი, საგამომძიებლო კომისიას ვუცხადებ შემდეგს: ჩვენი შეთქმულების მონაწილე პირთა შესახებ უკეთ განმარტებისათვის, საჭიროდ მიმაჩნია კომისიას შემდეგი განუცხადო: ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკ თ. მამუკა ორბელიანოვისათვის ჩვენს განზრახულობაზე არასოდეს არა გვითქვამს რა, მაგრამ, შესაძლებელია, მასწავლებელმა დოდაევმა ან თ. ელიზბარ ერისთოვმა აცნობეს მას იგი.

სამსახურის გარეშე მყოფ პოდპოლკოვნიკ თ. ასლან ორბელიანოვს მხოლოდ შარშან ველაპარაკე საქართველოს განთავისუფლებაზე და მან ეს განზრახვა მოიწონა, წელს კი მე მასთან აღარ მილაპარაკნია და არცა მგონია ვისმე ჩვენთაგანს ეთქვას მისთვის რამე ჩვენს უკანასკნელს განზრახვაზე.

სამსახურიდან გამოსულ პორუჩიკ თ. ალექსანდე ორბელიანოვისთვის მე არასოდეს არაფერი არ მითქვამს ამ საქმის თაობაზე, მაგრამ, მგონია, პრაპორშჩიკმა თ. გიორგი ერისთოვმა გამოუცხადა მას ჩვენი განზრახვა.

გორის მაზრის თ. შალვა რევაზის ძე ერისთოვთან მე არ მილაპარაკნია და არც ვიცი ელაპარაკა მას ვინმე თუ არა თ. ლევან ლუარსაბის ძე ერისთოვს ამას წინად, მიმდინარე წელს, ჩემი თანდასწრებით ელაპარაკა პრაპორშჩიკი თ. ბიძინა ერისთოვი—ჩემს ოთახში,—მან ამაზე სურვილი განაცხადა და მგონია, მან შარშანაც იცოდა ჩვენი განზრახვა საქართველოს განთავისუფლების შესახებ. მის ბიძაშვილ თ. ივანე ელიზბარის ძე ერისთოვისათვის კი არასოდეს არა მითქვამს რა და არც ვიცი მან იცის ჩვენი განზრახვა თუ არა.

თავად ამილახვაროვთაგან მხოლოდ თეიმურაზთან მქონდა ჩვენსა განზრახულებაზე ლაპარაკი.

გასულ წელს თ. ელიზბარ ერისთავის ბინაზე შევხვდი თ. ივანე მაჩაბელოვს, რომელსაც თ. ელიზბარმა გამოუცხადა საქართველოს განთავისუფლების შესახებ ჩვენი განზრახვა, მაგრამ მაშინ იგი ამაზე არ დაგვეთანხმა, შემდეგში კი გამოაცხადა თუ არა ამაზე თანხმობა, მე აღარ ვიცი.

თავად თ. თარხანოვთა, ჯავახოვთა და ჯორჯაძეთაგან ჩვენი განზრახვა მე არავისთვის გამომიცხადებია, ასევე არა მითქვამს რა ამის

---

[1] მიღებულია კომისიაში იმავე დღეს.

შესახებ თ. ვარშავსკის ფეხოსანთა რაზმის პორუჩიკ ნათალოვისთვის.

პრაპორჩიკ თ. ივანე რუსიშვილს გამოუცხადე ჩვენი განზრახვა საქართველოს განთავისუფლებისა, მაგრამ მან თქვა ეს შეუძლებელიაო.

მე 14-ე კლასის თავადი თადია ჩელოყაევი მიმდინარე წელს იყო ჩემთან ჩემი ავადმყოფობის დროს სხვა ჩვენ თანამზრახველებთან ერთად, მისი მონაწილეობით ვლაპარაკობდით ჩვენს განზრახულობაზე, მაგრამ იგი მის შეუძლებლობას ამტკიცებდა, ამბობდა რა, რომ 1812 წლის ამბოხებაში მონაწილეობის დროს იგი დარწმუნდა, რომ მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია.

სიღნაღის მაზრის თ. აბელ ანდრონიკოვთან მხოლოდ ის მითქვამს რაც ჩემს ჩვენებაშია განმარტებული, მის შვილებთან კი არასოდეს მილაპარაკნია. თ. ნინაია ანდრონიკოვთან არ მილაპარაკნია და მას არც ვიცნობ სრულიად. ისპრავნიკ პაუშენკოსთან ჩვენს განზრახულებაზე არასოდეს არ მილაპარაკნია, თუმცა ჩემი სადაო საქმეების გამო მასთან კავშირი მქონდა.[1] მიმდინარე წელს თ. ალექსანდრე მელიქოვის ბინაზე, პრაპორშჩიკმა თ. ბიძინა ერისთოვმა უთხრა ერევნის კარაბინერთა რაზმის შტაბის კაპიტან ონიკოვს მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება გვსურსო; მან უპასუხა ეს შეუძლებელი საქმეა და ამაზე ფიქრიც კი არა ღირსო.

შარშან, ჩემს სახლში პოდპორუჩიკმა თ. ელიზბარ ერისთოვმა ჩვენი განზრახვა გამოუცხადა გრენადერთა ქართული რაზმის პორუტჩიკ თ. გრიგოლ ორბელიანოვს, მაგრამ იგი ამტკიცებდა ამ საქმის შეუძლებლობას და არ დაგვეთანხმა მიეღო რამე მონაწილეობა ჩვენს განზრახვებში; მაგრამ მგონია, რომ თ. ელიზბარს მისთვის ადრეეეც უნდა ჰქონოდა ნათქვამი.

ამას წინად, თ. დავით ბარათოვის კაცს ივანე დალაქი წვერს რომ პარსავდა ხუმრობით უთხრა, კარგი არ იქნება, რომ საქართველოს სამეფო ისევ აღსდგეს მეთქი; მან მიპასუხა, იგი უკვე აღარ არსებობსო. თ. ბირთველ თუმანოვთან არა მქონია არასდროს ლაპარაკი და არც გამიგონია თუ სხვამ უთხრა ვინმე.

თამარ ბატონიშვილს შარშან მართლაც უნდოდა იერუსალიმში წასვლა, რადგან დიდი მორწმუნეა, მე კი ჩემს ამხანაგებს ტყუილად ვუთხარ მე და იმას სხვა განზრახვა გვაქვს მეთქი. ჩვენს განზრახვაზე მისთვის არა მითქვამს რა, დედა ჩემ თეკლა ბატონიშვილთან კი ამაზე ლაპარაკს ვერც გავბედავდი. იციან თუ არა ჩვენი განზრახვა ქართველ ბატონიშვილებმა ოქროპირის გარდა, მე არ ვიცი.

---

1 პაუშენკოსთან ალ. ორბელიანს მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

თ. ზაქარია ციციანოვისთვის ჩვენი განზრახვა მე არ გამომიცხადებია, მაგრამ მგონია, რომ მან ეს იცოდა.

მიმდინარე წელს თ. ელიზბარ ერისთოვმა გამაცნო სპარსეთში რუსეთის წარმომადგენელ გრაფ სიმონიჩთან მყოფი სოლომონ რაზმაძე, ჩვენ ველაპარაკეთ მას ჩვენს განზრახულებაზე და მან აღგვითქვა მონაწილეობის მიღება. არ ვიცი იცოდა თუ არა მასწავლებელ სოლომონ დოდაევმა პირველი ღამის განკარგულება და საქართველოს მმართველობის პროექტი.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.[1]

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (11, 219)

თ. თ. ბარძიმ და ბეჟან ამილახვრებისთვის, არც პოლკოვნიკ თ. ივანე ანდრონიკოვისთვის ჩვენს განზრახვაზე არა მითქვამს რა.

თ. თ. პოლკოვნიკ ასლან, მაიორ დიმიტრი და ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკ მამუკა ორბელიანთათვის და ყოფილ პორუჩიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვისათვის ჩვენს განზრახვაზე არა მითქვამს რა. პროპორშჩიკ თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვს ერთხელ ველაპარაკე ჩვენს განზრახულობაზე და მან განაცხადა სურვილი რომ დაგვეხმარებოდა.

გორის მაზრის შალვა, ლევან და ივანე თ. ერისთოვთათვის, აგრეთვე თ. თ. ამილახვართათვის ჩვენს განზრახულობაზე არა მითქვამს რა.

შარშან ჩემს ბინაზე ტფილისში თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა გამოუცხადა ჩვენი განზრახვა თ. ივანე მაჩაბელოვს, რომელიც მაშინ არ დათანხმდა მონაწილეობაზე; შემდეგში კი ამ საგანზე მასთან აღარ მილაპარაკნია.

თავადთ თ. თარხანოვთა, ჯავახოვთა და ჯორჯაძევთაგან არავისთან მილაპარაკნია, აგრეთვე არც პორუჩიკ ნათალოვთან და პრაპორშჩიკ თ. რუსიშვილთან მილაპარაკნია ჩვენს განზრახულებაზე.

მიმდინარე წელს ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში გაუზიარეს ჩვენი განზრახულება თ. თადია ჩელოყაევს, მაგრამ მან იგი სრულებით არ გაიზიარა და მაშინათვე სოფელში წავიდა.

თ. ბირთველ თუმანოვს წელს გამოუცხადე ჩვენი განზრახულე-

---

[1] ჩვენება რუსულად სხვისი დაწერილია, აღ. ორბელიანს მხოლოდ ხელი მოუწერია.

ბა, მაგრამ მან იგი არ მოიწონა, მის შვილ პორუჩიკ გიორგი თუმანოვთან ამ საქმეზე არ მილაპარაკნია.

პოდპორუჩიკი თ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (11, 220-221)[1]

კომისიის მოთხოვნით დაწვრილებით განვმარტავ ჩემს საუბარს იერუსალიმის ეკლესიის მღვდელ ეფრემ ალექსეევთან.

ერთხელ მღვდელი ეფრემ ალექსეევი ამა წლის ოქტომბერში მოვიდა ჩემთან და მე მას შემდეგი ველაპარაკე: ქართველი თავადები ზოგიერთი რუსებს ემდურებიან და გავიგონე, რომ მათ რუსებისაგან განთავისუფლება სურთ მეთქი, მე კი ურჩიე მათ ამაზე ფიქრს თავი დაანებონ მეთქი. მან მიპასუხა: მეც გავიგონე თ. თ. ერისთავებისა და თარხანოვთაგან მოჩივალი რუსთაგან შევიწროებაზეო და ჩემს განცხადებაზე, თქვა: როგორ შეუძლიათ მათ რუსებისაგან განთავისუფლებაზე იფიქრონ, ეს შეუძლებელი საქმეაო; განა შენ იმდომებდი, რომ რუსებმა საქართველო მათ დაუტოვონ, მათ როგორ უნდა შესძლონ მისი გამგებლობაო? მითხრა მე. გეთაყვა მამაო, ურჩიეთ, თუ ვისგანმე გაიგონებთ, მეც აგრეთვე ვეცდები ურჩიო ხელი აიღონ ამ ფიქრზე მეთქი.

მამა იღუმენ ტარასის ვიცნობ, მაგრამ ამ საქმეზე მასთან არა მილაპარაკნია რა და არც მას ჩემთვის უთქვამს რამე არც აქა და არც პეტერბურგსა და მოსკოვში.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

კომისიის შეკითხვებზე სხვა და სხვა პირთა შესახებ, მაქვს პატივი განვაცხადო შემდეგი:

სამსახურიდან გამოსულ პორუჩიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან[2] ჩვენს განზრახვაზე არასოდეს არ მილაპარაკნია. არც გენერალმაიორ თ. ჭავჭავაძესთან მილაპარაკნია. თავადთაგან: ჯორჯაძეევთა, ჯავახოვთა, მაჩაბელოვთა, ანდრონიკოვთა არავისთან არ მილაპარაკნია.

პოდპოლკოვნიკ ასლან ორბელიანოვს ვერ ვიცნობ.

მე მთხოვეს მოვლაპარაკებოდი გვარდიის პორუჩიკ თ. მამუკა ორბელიანოვს, მაგრამ მე ეს არ შემისრულებია. პრაპორშჩიკი თ.

---

1 მიღებულია კომისიაში 23 დეკემბერს, 1832 წ.

2 ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი იგულისხმება.

გიორგი დავითის ძე ერისთოვი შარშან ვნახე თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, სადაც ჩვენს განზრახულებაზე ვსაუბრობდით. სოლომონ რაზმაძესთან მე არ მილაპარაკნია, მისგან კი გავიგონე ამ განზრახულებაზე ლაპარაკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში და იგი ამ განზრახულებას დათანხმებოდა. პორუჩიკ ნათალოვსა და ო. ივანე რუსიშვილს ვერ ვიცნობ სრულებით.

გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკ თ. გრიგოლ ორბელიანოვთან მე თვითონ არ მილაპარაკნია, მაგრამ სოვეტნიკი თ. ორბელიანოვი და პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი მეუბნებოდნენ, მან ჩვენი განზრახვები იცისო.

თ. ლევან ერისთოვს ვერ ვიცნობ.

თ. იესე ერისთოვსა, თავადებ გიორგი და ბირთველ თუმანოვებსა, თ. ივანე ერისთოვსა და თ. ბეჟან ამილახვაროვთან აგრეთვე მე არ მილაპარაკნია და არც ვიცი მათ ჩვენი განზრახვა იცოდნენ თუ არა.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

23 დეკემბერი
1832 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (11, 222-223)[1]

ამა დეკემბრის 23-ს კომისიის შეკითხვაზე სხვა და სხვა პირთა შესახებ, მაქვს პატივი შემდეგი გამოვაცხადო:

შარშან სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ჩვენი განზრახვა გამოვუცხადე ქართული გრენადერთა რაზმის პორუჩიკ თ. გრიგოლ ორბელიანოვს, მაგრამ მან გადაჭრით უარი თქვა თანხმობაზე და ამის შემდეგ მალე ტბილისიდანაც წავიდა.[2]

შარშან სოვეტნიკმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა. მითხრა, რომ თამარ ბატონიშვილი, იულონ ბატონიშვილის ასული, მასთან ერთად იერუსალიმში წასვლას აპირებდა, მაგრამ მე არ ვიცი იცის მან თუ არა, ან სხვა ბატონიშვილებმა რამე აქ არსებული შეთქმულებისა.

შარშან თ. ზაქარია ციციანოვს ავუხსენი ჩვენი განზრახვა საქართველოს განთავისუფლებაზე, მაგრამ მან იგი არ მოიწონა და გადაჭრით უარი თქვა მონაწილეობაზე.

---

1 მიღებულია კომისიაში 1832 წლის 23 დეკემბერს.

2 გრ. ორბელიანის რუსეთში წასვლა იგულისხმება.

სოლომონ რაზმაძემ იცის წარსული წლის შეთქმულება, რის შესახებაც მე და სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა ვუამბეთ მას წელს სოვეტნიკის ბაღში.

მე, ჩემი ძმა დიმიტრი და კორნეტი გიორგი ერისთოვი წელს ვიყავით ბერ ტარასისთან და გამოვუცხადეთ ჩვენი განზრახვა, მაგრამ მან გვიპასუხა, რომ ის საერო საქმეებში არ ერევა და ჩვენი განზრახვებიც არ გაიზიარა. მე იგი ახლოს გავიცანი შარშან ზაფხულიდან, როცა ის რუსეთიდან დაბრუნდა, თუმცა წინათ პეტერბურგშიაც ვხედავდი ხოლმე, მაგრამ მასთან ახლო ნაცნობობა არა მქონია.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (1,228-232)

დეკემბრის 24

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე. ჯერ მიწვეული იქნა თავადი იესე ფალავანდოვი მისი ზოგიერთი განმარტებათა მისაღებად და აჩვენა შემდეგი:

1. თავად გიორგი თუ დიმიტრი ერისთოვმა მიმდინარე წელს უთხრა მას, თავად იესე ფალავანდოვს, რომ მასწავლებელ სოლომონ დოდაევის ძმას, რომელიც კანცელარისტად მსახურობს სენატის მე-5-ე დეპარტამენტში, უთქვამს პეტერბურგში იქ გავრცელებული ხმის შესახებ, რომ საქართველოში რაღაცას აპირებენო და რომ ალექსანდრე ორბელიანოვი ამ საქმეში პირველი კაციაო.

ამის შესახებ თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ავადმყოფობის დროს უთხრა მას თავად ელიზბარ ერისთოვმა თავად იესე ფალავანდოვის თანდასწრებით, რომ ჩქარა ადექი, თორემ შეიძლება ყველაფერი გამოაშკარავდეს, რადგან პეტერბურგში უკვე იციან, რომ შენ ამ საქმეში პირველი პირი ხარო. თავადი ალექსანდრე ამაზე გაბრაზდა და ჰკითხა: ვის შეეძლო პეტერბურგში ამაზე ელაპარაკნაო? რაზეც უპასუხა ელიზბარმა, რომ მან ეს პეტერბურგში დოდაევის ძმისაგან გაიგონა.

2. მიმდინარე წელს თავად იესე ფალავანდოვმა სთხოვა ტიტულიარნი სოვეტნიკ ზავილეისკის[1] დაეწერა მისთვის გრაფ ბენკენდორფისადმი[2] წერილის შავი, იმის შესახებ, რომ მას ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოების გამოცხადება სურს, მაგრამ არ კი გაუმარტებია რაში მდგომარეობს ეს საიდუმლოება.

---

1 სამოქალაქო გუბერნატორის ძმა.

2 რუსეთის ჟანდარმერიის უფროსი.

3. ფრანგის სიტყვების შესახებ, რაც ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენებაშია მოხსენებული".[1] თავად იესე ფალავანდოვმა განმარტა, რომ რათა თავიდან აეცდინა საყვედური მისი უმოქმედობის შესახებ, იგი ზოგჯერ უამბობდა შეთქმულთ მათთვის სასიამოვნო სხვადასხვა ამბებს, იმ განზრახვით, რათა მათი ნდობა არ დაეკარგნა და გაეგო მათი ყველა განზრახვა. იგი ფიქრობს, რომ ზემოხსენებული ფრანგის სიტყვები მას შეეძლო ეთქვა წელს აღნიშნული მიზნით. იცნობს კი ივი მხოლოდ ორ ფრანგს არქიტექტორ ბიპერს და ტრაქტირის ყოფილ მეიჯარადრეს ოდიეს, მაკრამ მათთან არასდროს მსგავსი საუბარი არა ჰქონია, ხოლო ხშირად ეუბნებოდა იმათ, რომ მას არ სურს საქართველოში დარჩენა და უცდის მხოლოდ ძმასთან ქონების გაყოფას, რის შესახებაც თვით დაპატიმრების წინა დღესაც ელაპარაკა.

4. გასული ნოემბრის 16 რიცხვის მახლობლად თავად კაპიტან ჩოლოყაევთან იყო მასწავლებელი დოდაევი, მერე მოვიდნენ აგრეთვე ელიზბარ ერისთოვი და იესე ფალავანდოვი და წიხადადება მისცეს დოდაევს გამგზავრებულიყო კახეთში, რათა იგი მოემზადებინა აჯანყებისათვის, რომელიც ნოემბრის 20-ს იყო დანიშნული. დოდაევი ამის შესრულებას დათანხმდა, ხოლო ელიზბარს უნდოდა დაუყოვნებლივ ქართლში წასულიყო თავის ბიძასთან, სენატორ ერისთავთან[2]. ლაპარაკობდნენ, რომ ყოველთვის შეუძლიან დაითანხმოს იგი ამ განზრახულებაში მონაწილეობაზეო, მაგრამ არც ერთი ეს განზრახვა შესრულებული არა ყოფილა.

5. შეთქმულების გამომძღავნების რამოდენიმე ხნის წინ მასწავლებელი დოდაევი მრავალი თავადის თანდასწრებით ეუბნებოდა იესე ფალავანდოვს, რომ აჯანყების წინა დღეს იგი შეთხზავს აღმაშფოთებელ კატეხიზმოს და პროკლამაციას. ჯერ არ უნდა ამის გაკეთება, რათა ქაღალდები მთავრობას არ ჩაუვარდეს ხელშიო.

6. დოდაევი აგრეთვე ყველას წინაშე ლაპარაკობდა, რომ ამა წლის ზაფხულში კახეთს გავლის დროს ის უამბობდა გლეხებს, თუ რუსებმა როგორ უსამართლოდ ჩაიგდეს ხელში საქართველო, ავიწროებენ ხალხს და უნდათ ჯარისკაცების მოკრება. რაზედაც ვითომც მათ უპასუხნიათ, რომ ისინი მზად არიან პირველი დაიხოცნენ თუკი თბილისში დაიწყებენო.

7. დოდაშვილზე სწორად ლაპარაკობენ, რომ მას დიდი გავლენა

---

[1] იხ. ალ. ორბელიანოვის პირველი ჩვენება: (ვ. ბ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1. გვ. 203.

[2] გენერალ-ლეიტენანტი, რომლის საპროპაგანდო თხზულებაც იბეჭდებოდა შეთქმულთა ორგანოში.

აქვს სიღნაღის მაზრის გლეხობაზე და როდესაც იქ ოლქის უფროსად ზაპოროშჩენკო დაინიშნა, მან სთხოვა ფალავანდოვს იგი მისთვის გაეცნო, რათა ხალხს დაენახა, რომ ოლქის უფროსი მისი მეგობარია და მისთვის პატივი ეცათ.

8. როდესაც მიმდინარე წელს თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა კვლავ კითხა განზრახულობის შესახებ, მან უპასუხა, რომ მალე რუსეთს წასვლას ვაპირებ და თქვენ საქმეებში ნუ გამრევთო, რის შედეგაც იესე ფალავანდოვი თავის ოთახს გარედანაც კი ჰკეტავდა ხოლმე, რათა ისინი მასთან აღარ მისულიყვნენ, ასე რომ ძალით აღებინებდნენ კარს.

9. დეკემბრის რვა რიცხვში იყო თ. იესე ფალავანდოვთან მასწავლებელი დოდაევი და უთხრა მას, რომ პირველი ღამის განკარგულების თანახმად მან დაითანხმა მღვდელი ეფრემ ალექსეევი გამოიტანოს ხალხის წინაშე ხატი და რომ ტარასი ბერი ამ საქმისათვის უფრო ადრევეა მომზადებული.

მასწავლებელმა დოდაევმა, რომელიც ამავე დეკემბრის 26-ს მოწვეული იყო თ. იესე ფალავანდიშვილთან პირისპირ წაყენების მიზნით, აჩვენა შემდეგი:

1. მართლაც თავად ჩოლოყაევთან თ. თ. ელიზბარ ერისთოვმა და იასე ფალავანდოვმა მისცეს მას წინადადება კახეთში წასულიყო ხალხის ასაჯანყებლად, მაგრამ ამაზე უარი განაცხადა, უთხრა რა მათ, რომ რადგან სამსახურშია, ამიტომ მას წასვლა არ შეუძლია დეკემბერზე — უქმეების დროს; თ. ელიზბარი კი ნამდვილად აპირებდა ქართლში წასვლას, მაგრამ მას ეს არ შეუსრულებია.

2. მართალია, თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა მას დაეწერა ხალხისადმი პროკლამაცია და ფიცის ფურცელი, სავალდებულო საიდუმლოების ყველა მონაწილესათვის, მართალია, მან გარეგნულად აღუთქვა, მაგრამ არკი გააკეთა; აღმაშფოთებელი კატეხიზმოს დაწერა მას არასოდეს არ აღუთქვამს, იგი უმატებს, რომ ის სასულიერო პირი არ არის.

3. არ ახსოვს უთხრა თუ არა თავადებს, რომ კახეთში ყოფნის დროს მას აღმაშფოთებელი საუბრები ჰქონდა გლეხებთან, მაგრამ შესაძლებელია, ასეთი რამ მართლა ეთქვას თავადების სასიამოვნოდ, მსგავსი საუბარი კი არც სიღნაღის მაზრის გლეხებთანა და არც სხვასთან მას არ ჰქონია.

4. მას მართლაც დიდი კავშირი აქვს სიღნაღის მაზრასთან, მაგრამ ითხოვს გამოკვლეულ იქნას: „უთქვამს მას ნათესავ ან მეგობრისთვის ვისთვისმე რამე აღმაშფოთებელი ზრახვების შესახებ?“ თ. იესე ფალავანდოვს კი იმიტომ სთხოვა ზაპოროშჩენკოს გა-

ცნობა, რომ თვითონ სიღნაღის მაზრიდან არის და სურდა ცნობოდა მაზრის უფროსი.

5. იასე ფალავანდოვი წელს მართლა ჰკეტავდა ხოლმე თავის ოთახს, მაგრამ დოდაევის აზრით იგი ამას იმ მიზნით შვრებოდა, რათა გარეშე ხალხს ხელი არ შეეშალა მათი ბჭობისათვის.

6. ეფრემ მღვდელს დოდაევმა უთხრა იგი, რაც ნაჩვენებია მისი, დოდაშვილის პირველ ჩვენებაში; ბერთან კი საუბარი სულ არ ჰქონია.

7. დოდაევმა ამასთანავე დაუმატა აგრეთვე. რომ პრაპორშჩიკმა დიმიტრი ერისთოვმა უთხრა მას: ბატონიშვილებმა—ფარნაოზმა, დიმიტრიმ და ალექსანდრემ, აგრეთვე ყოფილმა პრაპორშიკმა თავადმა ალექსანდრე ჩოლოყაევმა პეტერბურგში იცოდნენ აქ არსებული განზრახვების შესახებ.

მასწავლებელ დოდაევის შემდეგ კომისიაში გამოწვეულ იქნა კაპიტანი თავადი ჩოლოყაევი მისგან ზოგიერთი განმარტების მისაღებად, რაც მან წერილობით წარადგინა.

შემდეგ პირისპირ წაყენებულ იქნენ მასწავლებელი დოდაევი და პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი. პირველი ამტკიცებდა, რომ მას უთხრეს: ბატონიშვილმა ფარნაოზმა, დიმიტრიმ და ალექსანდრემ, აგრეთვე ალექსანდრე ჩოლოყაევმა იცოდნენ საქართველოში არსებული განზრახვების შესახებ და როგორც მას ახსოვს ეს გაიგონა თავად დიმიტრი ერისთოვისაგან, რომელმაც უარყო ეს და სთქვა, რომ პეტერბურგში მან გაიგონა საქართველოში განზრახულობის შესახებ მხოლოდ დოდაევის ძმისაგან, რომელიც სენატის მე-5-ე დეპარტამენტის კანცელარიაში მსახურობს, რაც მან წერილშიც დაადასტურა. ამასთანავე მასწავლებელმა დოდაევმა თქვა, ყველასათვის ცნობილია, რომ ბატონიშვილები თავისი უფლების აღდგენაზე ოცნებობენო.

ყველა ზემოხსენებული ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (11.235)

მას შემდეგ, რაც დოდაევი გამომიტყდა, რომ ოქროპირ ბატონიშვილმა ჩააგონა მას საზოგადოების შედგენა, რომელშიაც ის მონაწილეობას იღებდა — მე დავარწმუნე ეს საქმე შეუძლებელია მეთქი

და ისიც მუდამ ცდილობდა შორს ყოფილიყო ბატონ ელიზბარისა და ფალავანდოვისაგან, რომლებიც, თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სიტყვით, მას მოკვლასაც კი უპირებდნენ; ჩემს ბინაზე კი არა თუ არავითარი გეგმა არ წაუკითხავთ, არამედ ამაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, რაც მახსოვს მხოლოდ ეს იყო, რომ მე სოლომონ დოდაევსა ვთხოვე დაეწერნა ჩემთვის ქართულ ენაზე წერილი, რომელიც ჩემი ნათესავებისათვის მინდოდა გამეგზავნა, მისი შინაარსი შემდეგს შეიცავდა: ჩემს ბიძაშვილს თ. ომან ჩელოყაევის სიკვდილის შემდეგ დარჩა შვილი ქაიხოსრო ჩელოყაევი, რომელიც მინდოდა რუსეთში წამეყვანა და იქ მისთვის სამსახური მეშოვნა, მე ვთხოვდი მას ქაიხოსრო სამგზავროდ მოემზადებინათ.

პეტერბურგიდან ჩელოყაევის წერილი მივიღე, რომელიც მისი თხოვნით თ. აბელ ჩელოყაევისთვის იყო გადასაცემი, მოსკოვში რომ ვიყავ კი ჩემ სახელზე იყო გამოგზავნილი თ. ავალოვის მიერ თ. ჭავჭავაძესათვის გადასაცემი წერილი. მე შემიძლიან აგრეთვე დავემოწმო, რომ სოლომონის როდისმე კახეთში გაგზავნა არასოდეს არ გამიგონია. აბელ ჩელოყაევის წერილი გადავეცი სოლომონ დოდაევსა და ვთხოვე გაეგზავნა იგი დანიშნულებისამებრ, მაგრამ მან უკანვე მომიტანა და მითხრა ვერავის გავატანეო. თ. ჭავჭავაძის წერილი კი გადავეცი დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვების დედას, რომელმაც აღმითქვა მისი დანიშნულებისამებრ ჩაბარება.

ჩემ ძმა თ. ალექსანდრე ჩელოყაევისაგან კი არასოდეს არ გამიგონია ისეთი, რასაც შეეძლო მიეთითებინა, რომ მან ამ საქმის გამო იცოდა რამე.

კაპიტანი თ. ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი

1932 წლის დეკემბრის 26.

ელიზბარ ერისთავის პასუხი კომისიის კითხვებზე

(11, 272-281)

კითხვითი პუნქტები

არტილერიის ყოფილ პოდპორუჩიკ თ. ელიზბარ ერისთოვს.

1832 წლის დეკემბრის 28-ს

კ ი თ ხ ვ ე ბ ი	პ ა ს უ ხ ე ბ ი
1. თ. ანტონ აფხაზის მიერ მასწავლებელ დოდაევის ბინა-	1. თ. ანტონ აფხაზის მიერ მასწავლებელ დოდაევის ბი-

ზე გამართულ ვახშამზე, როცა ანტონ აფხაზოვი გიმტკიცებდათ თქვენი განზრახვის შეუძლებლობასა და რუსეთის მფარველობის საქართველოსთვის სარგებლიანობას, მაშინ თქვენა და თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა უპასუხეთ: „სადაც თავისუფლება არ არის, იქ რა სიცოცხლეაო“.

განმარტეთ რას გულისხმობდით ამ თავისუფლებაში, როდესაც აღნიშნულ სიტყვებს ამბობდით?

2. თქვენ, ალექსანდრე ორბელიანოვმა, იასე ფალავანდოვმა და მასწავლებელმა დოდაევმა თ. აფხაზოვს უთხარით, რომ შეთქმულება ჯერ ისევ 1831 წელს გქონდათ და განკარგულებაც მოხდენილი იყო. თუ ვის როგორ უნდა ემოქმედნა, მაგრამ რუსთაგან ვარშავის აღების შემდეგ ამ განზრახვაზე ხელი აიღეთ, ამიტომ განმარტეთ: ვისგან იყო შედგენილი ის განკარგულება და რას შეიცავდა იგი?

3. როდესაც თ. აფხაზოვი საქართველოდან რუსების განდევნის შეუძლებლობას გიმტკიცებდათ, თქვენ ეს სიტყვის შებრუნება ძალიან გეწყინათ, აიღეთ ქუდი და წასვლა დააპირეთ, და დაიფიცეთ, რომ ვინც თქვენ სიტყვა შემოგიბრუნათ, ყველას დაეუმძრახებოდით. დაადასტურეთ ეს ჩვენება.

ნაზე გამართული ვახშმის თქმის დასრულების დროს, როცა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა თქვა ჩვენს შეთქმულებაზე, — მართალია თ. ანტონ აფხაზოვს უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ავიშალენით და მას აღარაფერი არ უთქვამს და ჩვენ კი რამოდენიმე წუთის შემდეგ დავიშალეთ და მე ასეთი სიტყვებით არსად მილაპარაკნია და იგი არც ანტონ აფხაზოვისთვის მითქვამს.

2. თ. ანტონ აფხაზოვისთვის არც ამ პირთაგან თანდასწრებითა და არც უიმათოდ არა მითქვამს რა შარშანდელ შეთქმულებაზე და არც წარსულ 1831 წლის არავითარი განკარგულებაზე არა ვიცი რა.

3. თ. ანტონ აფხაზოვს ჩემთვის ამ საქმეზე თავისი აზრი არა უმტკიცებია რა და მისგან არსად რა მწყენია, არც არასოდეს მასთან ჩხუბი მქონია და არც არასოდეს მასთან დაუმძრახება არ დამიქადნია.

4. როცა ანტონ აფხაზოვი გეუბნებოდათ, რომ თუ ეს ვანზრახულება გამოცხადდა ყველანი პასუხისგებაში მიეცემითო, თქვენ უპასუხეთ, რადგან წერილობითი არა გაქვთ რა, ყველანი უარს იტყვით. დაადასტურეთ წერილობით ეს საუბარი, აგრეთვე თუ რანაირად აკირებდით გამოუტეხელობას თქვენი განზრახულების გამოცხადების შემთხვევაში და ვისა და სად ელეპარაკეთ ამაზე?

5. როდესაც ყველას უნდოდა მეთაური ამოერჩია და თავდაპირველად თ. აფხაზოვს გულისხმობდნენ, შემდეგ კი თ. იესე ფალავანდოვს და როდესაც ამ ორივემ უარი თქვეს, მაშინ თქვენ სიამოვნებით იკისრეთ მეთაურობა.

თქვით: ამ წოდების მიღების შემდეგ რა ღონისძიებები შესთავაზეთ თქვენი განზრახვის წარსამართებლად და ყველანი თანახმა იყვნენ თუ არა ამ თქვენი წოდებისა?

6. იესე ფალავანდოვთან ვახშმად რომ იყავით, როცა მასწავლებელმა დოდაევმა გითხრათ „როგორ არა გრცხვენიათ რუსების საქართველოდან განდევნაზე რომ ფიქრობთ", მაშინ თქვენ უპასუხეთ „ჩვენ მოვიყვანეთ ისინი და ჩვენვე მოვახერხებთ, რომ აღარ იყვნენო".

4. თ. ანტონ აფხაზოვის მიერ გამართული ვახშმის შემდეგ მე იგი თუმცა ზოგჯერ შემხვედრია, მაგრამ იმაზე რომ მთავრობა ამ ჩვენს საქმეს გაიგებსო, მას ჩემთვის არა უთქვამს რა. და რომ ჩვენ წერილობითი არაფერი გვაქვს, რის გამოც ჩვენ ყველანი უარს ვიტყვით და ვერავინ რას აღმოაჩენს მეთქი მე მისთვის არ მითქვამს და არც არავითარი პასუხები არა ჰქონია მომზადებული, საქმის ვითარების დამალვის მიზნით.

5. თ. ანტონ აფხაზოვის ვახშამზე თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა შესთავაზა თ. ანტონ აფხაზოვს მეთაურობა და ამან სიცილით უთხრა: ეგ ჩემი საქმე არ არისო და სხვა აღარა უპასუხნია რა. და ამის შემდეგ არც ჩემთვის და არც სხვა ვისთვისმე აღარ შეუთავაზნიათ მეთაურობა, არც თუ იესე ფალავანდოვისათვის შეუთავაზნიათ მეთაურობა. და მე ეს წოდება არასოდეს არ მიმიღია ჩემს თავზე.

6. თ. იესე ფალავანდოვთან ვახშამზე მასწავლებელი დოდაევი არა ყოფილა და მას არც ამ სიტყვის თქმა შეეძლო, არც მე ამის მსგავსი არსად რა მითქვამს და ბატონმა დოდაევმა შეთხზა ეს საუბარი.

თქვენი ეს ზემოთნათქვამი წერილობით დაადასტურეთ.

7. თქვენ პირველმა ჯერ ისეკ 1831 წ. ეს განზრახვა მასწავლებელ დოდაევს გამოუცხადეთ: სთქვით რა საბაბი მოვცათ მან თქვენ ამისათვის, რადგან უგუნურება იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე შეიძლება გაუმჟღავნო ადამიანს თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ იგი ამას მთავრობას არ აცნობებს.

8. გასულ 1831 წელს თ. ალექსანდრე ორბელიანოვსა და მასწავლებელ დოდაევთან თქვენი შეთქმულების თაობაზე საუბრის დროს თქვენ სთქვით, რომ ეს განზრახვა ოქროპირ ბატონიშვილის გარდა სხვა ბატონიშვილთაგანაც გაგიგონიათ, თანაც დაასახელეთ ფარნაოზ ბატონიშვილი და განაცხადეთ, რომ მასთან მიმოწერა გაქვთ; ამიტომ გამოაცხადეთ როგორც თქვენ მიერ ნათქვამი, ისევე ისიც, თუ რომელი ბატონიშვილისაგან როდის რა გაგიგონიათ ამ განზრახვაზე.

9. იმავე 1831 წელს თქვენ და თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხარით მასწავლებელ დოდაევს, რომ ეს განზრახვა იმავე წელს იცოდნენ გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძემა თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა, გამოაცხადეთ თქვენ თუ სხვა

7. ჩვენი განზრახულება მე უთხარი მასწავლებელ დოდაევს გასულ 1832 წელს. მას მე მახლობლად ვიცნობდი და მას ამისათვის არავითარი საბაბი არ მოუცია. ეს უფრო ჩემი ჭკუათხელობის ბრალი იყო.

8. არც თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა და მასწავლებელ დოდაევისთვის არც სხვა ვისთვისმე არც ერთ ბატონიშვილზე არ მითქვამს, რომ შეთქმულება იცის მეთქი. და არც ერთ ბატონიშვილთან მიმოწერა არა მაქვს და არასოდეს ბატონიშვილებს ჩემთან არა ულაპარაკნიათ რა, და ბატონიშვილთაგან არა გამიგონია აქვთ თუ არა რაიმე აზრი ამაზე.

9. 1831 წელს. მე და თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა ვუთხარით დოდაევს, რომ თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა იცის ჩვენი განზრახვებიო, მაგრამ გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძეზე კი ლაპარაკი არა ყოფილა. მაიორ თ. ლუარსაბ ორბელიანოვს

ტიბმემ და სახელდობრ ვინ გაუშვეღავნა აღნიშნულ პირთ ეს განზრახვა?

10. როცა მასწავლებელი დოდაეკი დასცინოდა თქვენს განზრახვებს, მაშინ თქვენ უთხარით, ნუთუ მართლა დაგვცინითო და ამაზე თქვენა და თ. იესე ფალავანდოვი ძალიან გაჯავრდით, ხოლო როდესაც დოდაეკმა უარი თქვა კახეთში ხალხის მოსაბირებლად და შესაიარაღებლად წასვლაზე, მაშინ თქვენ დაიფიცეთ, რომ მას ცოცხალს არ გაუშვებთ, ამიტომ გამოაცხადეთ ყველა ეს როგორც მოხდა.

გენერალ-მაიორი
ბაიკოვი 1-ლი
ვოლხოვსკი
პოლკოვნიკი
ტრიტელევიჩი.

ჩვენი განზრახულება იმავე 1831 წელს გამოვუცხადე. თ. პავეავაძესთვის კი ამის შესახებ არასოდეს არა მითქვამს რა. მაგრამ ეს კი ვიცი, რომ მომდინარე წელს თ. ალექსანდრე პავეავაძეს ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი ჩელოყაევი ელაპარაკნენ.

10. მასწავლებელ დოდაევს ჩემთან არასოდეს არ დაუცინია ჩვენი განზრახვებისთვის. არც ჩემი თანდასწრებითა და არც მე პირადად არასოდეს დოდაევისათვის არ დამივალებია კახეთში ხალხის შესაიარაღებლად და მოსაბირებლად წასვლა. და არა თუ მე მას მოკვლით არასოდეს არ დავმუქრებივარ, არამედ მისთვის სიტყვაც კი არ მითქვამს როდისმე. დოდაევისაგან ეს ცილისწამებაა.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ
ერისთოვი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (11, 236)

1832 წელი, დეკემბრის 27.

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და 6 საათიდან ღამის 11 საათამდე. დილით გამოძახებულ იქნენ კომისიაში ცალ-ცალკე: მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი, კორნეტი თ. გიორგი ერისთოვი, გვარდიის კაპიტანი თ.

ჩელოყაევი, თ. ელიზბარ ერისთოვი; მასწავლებელი დოდაევი, ჰაჟი თ. ვახტანგ ორბელიანოვი; მასწავლებელი ავთანდილოვი და თ. იესე ფალავანდოვი. ყველანი დაკითხულ იქნენ, თუ რა იციან ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკიზე და მათგან თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა და კაპიტანმა ჩელოყაევმა განაცხადეს, რომ მას არ იცნობენ. სხვებმა კი წერილობითი ჩვენებები წარმოადგინეს, რაც საქმეს დაერთო. შემდეგ პირისპირ წაყენებულ იქმნენ თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და თათართა მოლა ზამანი, უკანასკნელი ჯერ უარყოფდა, რომ მას არა თუ არ მოუყვანია, არამედ არც კი იცნობს თათარ მაჰმადას, რომელმაც თ. ალექსანდრე ორბელიანოვს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი მოუტანა. მაგრამ ბოლოს აღიარა, რომ იგი მაშინ მხოლოდ შემთხვევით იყო იქა, როცა ხსენებული თათარი მოვიდა ალექსანდრესთან და მას თვითონ არ მიუყვანია იგი; ამასთანავე მოლა ზამანამ თ. ალექსანდრე ორბელიანოვს გაახსენა ის გარემოება, რომ ამ მაჰმადამ სხვათაშორის ჰკითხა თავადს: მიიღო თუ არა მან ამას წინათ კაცის ხელით გამოგზავნილი ბატონიშვილის წერილი? მაგრამ ალექსანდრე ობელიანოვი ამაში არ გამოტეხილა. საღამო კომისიამ მოანდომა თ. ალექსანდრე ორბელიანოვის მიერ დეკემბრის 18-ს წარმოდგენილი ჩვენების თარგმანის მოსმენას. და ყველა ზემოხსენებული ბატონ კორპუსის უფროსს ეცნობა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (11, 238)[1]

კომისიის დეკემბრის 27-ის შეკითხვაზე მაქვს პატივი შემდეგი განვაცხადო:

შარშან სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი მარწმუნებდა რა მიმეღო მონაწილეობა მათ შეთქმულებაში, მეუბნებოდა, რომ წარჩინებული თავადები მონაწილეობენო და რადგანაც თ. ჭავჭავაძე მათ შორის პირველია და გუბერნატორ ზავილეისკისთან კავშირი აქვს, ამიტომ ამ უკანასკნელმაც უნდა იცოდეს ეს განზრახულება, რადგან ხალხს განგებ ავიწროებსო.

თ. იესე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

[1] კომისიაში მიღებულია 1832 წლის 27 დეკემბერს.

1832 წ. დეკემბრის 28

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 8 საათამდე. გამოძახებულ იქმნენ პირისპირ წასაყენებლად სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და ყოფ. პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი. პირველი ამტკიცებდა, რომ მაიორმა თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა ნამდვილად ელიზბარ ერისთოვის თანდასწრებით თქვა, თ. ჭავჭავაძემ ბრძანა ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გაგზავნეთო, მეორე კი უარყოფდა, რომ მას იგი სრულებით არ ახსოვს და არც იცის, თ. ჭავჭავაძემ შარშან იცოდა თუ არა მათი განზრახვა, ამას კი ადასტურებს, რომ თ. ჭავჭავაძემ იგი წელს იცოდა.

შემდეგ ამავე საგნებზე პირისპირ იქნენ წაყენებული სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და მაიორი თ. ლუარსაბი. პირველმა სავსებით დაადასტურა თავისი წინანდელი ჩვენება, მეორე კი ჯერ უარს ამბობდა, რომ ამგვარი საუბარი მას არ ახსოვს, მერე კი წარმოადგინა წერილობითი ჩვენება, რომელშიაც ამტკიცებს, რომ გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეზე მას არაფერი უთქვამს და მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მოეცილებინა სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი და თ. ელიზბარ ერისთოვი, დაეთანხმა მათ ბატონიშვილთან კაცის გაგზავნაზე. პოდპორუჩიკ თ. ელიზბარ ერისთოვს მიეცა კითხვითი პუნქტები ხუთ ფურცელზე და კომისიამ ნება დართო მას პასუხები თავის ოთახში დაწეროს.

ამის შემდეგ კომისიაში გამოძახებულმა ჩილდირის სანჯაყის სოფ. ზაგარნეთის თათარმა ქოსა-მუსტაფამ ყველაფერი გულახდილად აღიარა და შემდეგი აჩვენა: შარშან ყანის მკის დროს მოლა ზამანა მოვიდა ჩილდირის სანჯაყის სოფ. ზაგორეთის მცხოვრებ იბრეიმ-ყარა-მამედ-ოღლის სახლში, სადაც ამ უკანასკნელის ძმის ქორწილი იყო, იგი იქ სამ დღეს დარჩა და წინადადება მისცა ქოსა მუსტაფას, რათა მას სალმაზში წაჰყოლოდა, რაზედაც იგი დათანხმდა, რადგან მას ადრევე ჰქონდა სურვილი დაებრუნებინა იქიდან თავისი ძმისწული ქალი, რომელიც ბორჩალოს დისტანციის მცხოვრებ ლტოლვილ ნოღა ხანს ჰყავდა თან და ეს ხანი სალმაზის ოლქში ცხოვრობს. შემდეგ გზაში მოლა ზამანამ ქოსა მუსტაფას განუცხადა, რომ მას ალექსანდრე ბატონიშვილთან აქვს საქმე. მოლა ზამანამ და ქოსა მუსტაფამ სომხეთის ოლქზე გაიარეს, ხოის ვაჭრებთან ერთად

გავიდნენ არაქსზე შარურის ოლქში, სადაც მოდარაჯე თათარმა მათ ორი აბაზი გამოართვა და თავისუფლად გაატარა. მაკინის ქვეყნის განვლით ხოის ქვეყანაში გაემგზავრნენ, იქიდან კი სალმაზის[1] ოლქის სოფ. ხოზროვში, იქ იკითხეს ბატონიშვილის სახლი და შევიდნენ მასთან. მოლა ზამანამ მოახსენა, რომ იგი სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის მსახურია და მისგან არის გამოგზავნილი, რის შემდეგ წერილიც მიართვა. ბატონიშვილმა წაიკითხა და ამბობდა წერილში აჯანყება სწერია, რომ რუსები დამარცხებულან და ქართველი თავადები აჯანყებას აპირებენო. ისინი ხოზროვში ორი დღე დარჩნენ და სომხებთანა ცხოვრობდნენ. გამომგზავრებისას ბატონიშვილმა ქოსა-მუსტაფას ორი, მოლა-ზამანას კი ოთხი სპარსული (ირანული) თუმანი აჩუქა (თუმანი შეიცავს ოთხ მანეთ ვერცხლს), ამ დროს ბატონიშვილს არც წერილი არცა სიტყვიერი დავალება რამ დაუბარებია, მაგრამ მათი იქ ყოფნის დროს მოლა-ზამანა ბატონიშვილთან დაიარებოდა და ქოსა მუსტაფამ არ იცის ბატონიშვილი მას რა დავალებას აძლევდა. ერევნისა და ლორის გზით ისინი ტფილისში დაბრუნდნენ, მოლა ზამანა ორი დღით ადრე დაბრუნდა, ქოსა მუსტაფა კი, რომელსაც ცხენი დაუვარდა, სოფ. ყამარლაში დარჩა და შემდეგ კი ტფილისში პირდაპირ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში მივიდა, როგორც ეს ნაბრძანები ჰქონდა მოლა ზამანასაგან, რომელიც მას იქ აღარ დაუხვდა. ქოსა მუსტაფამ ღამე ბაღში გაათია, თ. ალექსანდრემ მას ჩოხა, ჩექმები და ქუდი აჩუქა. ჰკითხა ბატონიშვილი როგორ ცხოვრობსო და მის შესახებ სხვა აღარა უთქვამს რა. სალმაზისაკენ მგზავრობის დროს მოლა ზამანამ უთხრა ქოსა მუსტაფას, რომ ტფილისის უფროსსა (начальник тифлисский) და ქართველ თავადებს სურთ, რათა ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში დაბრუნდესო.

უკან დაბრუნების დროს მოლა ზამანა ამბობდა რუსებს სპარსელებთან ომი არ მოუხდებათო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის განზრახვა აქვს სპარსეთში დარჩესო, აგრეთვე იმეორებდა პოლონეთში ამბოხებაიო.

ამ მგზავრობის შემდეგ ქოსა მუსტაფას აღარ უნახავს მოლა ზამანა და არც აღარავისგან არავითარი დავალება ბატონიშვილთან მას აღარა ჰქონია. მოლა ზამანას მისთვის ფული არ მიუცია და ბა-

---

[1] ირანის პროვინცია, სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ცხოვრობდა.

ტონიშვილთან წასვლის დროს მათ სხვა ამხანაგი არა ჰყოლიათ. ყველაფერი აქ აღნიშნული ბატონ კორპუსის უფროსს ეცნობა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (11, 265)[1]

კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი განვაცხადო: ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთში გამოწვევის საქმე ასე მახსოვს, რომ როცა 1831 წლის დამდეგს წავედი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და ამბოხებაზე ველაპარაკებოდი, მაშინ მან მიპასუხა: „რა აზრი გქონიათ და ან მაგაზე ფიქრი როგორ შეიძლება, განა ეს მადლობის მაგიერია რუსების მფარველობა და დაცვისათვისაო და რომ ჩვენ ამგვარი აზრები არ უნდა გვქონდესო“ — მე არ გამიგონია თ. ჭავჭავაძისაგან, რომ მას ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთში გამოწვევაზე რამე ეთქვას, ხოლო როცა თ. ელიზბარ ერისთავი და სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი მე მომადგნენ და აღარ მასვენებდნენ, ნაშინ მე ვიცოდი რა, რომ ბატონიშვილი და სპარსელები ისე იყვნენ დამარცხებული თ. ვარშავსკის მიერ, რომ არა თუ მაშინ, არამედ 20 წლის ზემდეგაც ველარ გაიმართებიან, მათი თავიდან მოცილების მიზნით, ვუთხარი, რათა ბატონიშვილი გამოეწვიათ: რადგან ბატონიშვილის მოსვლა შეუძლებელი იყო, მე მეგონა ისინი დაინახავდნენ და მიხვდებოდნენ ამ საქმის შეუძლებლობასა და მაზე ხელს აიღებდნენ.

მაიორი თ. ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

დეკემბრის 28, 1832 წ.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (11, 268)

29 დეკემბერს
1832 წელს

კომისია მუშაობდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე. თავადმა ელიზბარმა წარმოადგინა პასუხები მისთვის 28 რიცხვს წა-

[1] მიღებულია კომისიაში 1832 წლის 28 დეკემბერს.

რდგენილ პირველ ათ კითხვითი პუნქტზე, შემდეგ თათარმა მოლა ზამანამ, რომელიც გამოწვეული იყო საგამომძიებლო კომისიაში, აჩვენა შემდეგი:

1. გასული წლის ზაფხულს სოვეტნიკმა თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა მისცა მას ალექსანდრე ბატონიშვილის სახელზე წერილი და უბრძანა წასულიყო ქოსა მუსტაფასთან სოფ. ზაგორისტში, რათა მასთან ერთად წაეღო ის წერილი, რადგან თავადმა ალექსანდრემ ადრევე დაითანხმა ამაზე ქოსა მუსტაფა, ვიდრე იგი ჩალდარში გაიქცეოდა. ისინი ერევნის განვლით გაემგზავრნენ სალმაზში და გადავიდნენ მდინარე არაქსზე შარურის ოლქში. წერილის შინაარსი უცნობი იყო როგორც მოლა ზამანასთვის, ისე ქოსა მუსტაფასთვის. სოფ. ხოზროვში მისვლისთანავე მათ იკითხეს ბატონიშვილის სახლი, ისინი იქ მაშინათვე მიიღეს და დაუყოვნებლივ მისცეს ბინა, რის შემდეგაც მათ ორივემ მიუტანეს წერილი ბატონიშვილს, რომელმაც იგი წაიკითხა და ისინი კი ბინაზე გაისტუმრა. მეორე დღეს მათ ისევ ბატონიშვილთან დაუძახეს, რომელმაც მათ გამოჰკითხა საქართველოს და რუსეთის სამფლობელოების ამბები. მესამე დღეს ბატონიშვილმა მისცა ქოსა მუსტაფას თავად ალექსანდრე ორბელიანოვის სახელზე წერილი და ორი თუმანი, ხოლო მოლა ზამანას, რომელიც იქვე იმყოფებოდა, მისცა ოთხი თუმანი ხმლის ჯილდოდ, რომელიც მას გზაში შემთხვევით გაუტყდა.

უკან დაბრუნდნენ ისევ ერევნისა და ბამბაკის გზით, მოლა ზამანა ადრე ჩამოვიდა თბილისში ქოსა მუსტაფაზე და მოუტანა წერილი თავად ალექსანდრეს, რომელმაც მას ამ მგზავრობისათვის ორ ხა უბოძა. ამის შემდეგ მოლა ზამანას აღარ უნახავს ქოსა მუსტაფა, რომელმაც აგრეთვე მიიღო თავად ალექსანდრესაგან ჩოხა და ქუდი.

2. 1831-1832 წლის ზამთარში მოლა ზამანასთან მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან გამოგზავნილი თათარი ბალა მაჰმადა. რომელიც ყაზახთა დისტანციიდან იყო გაქცეული და დიდხანს ცხოვრობდა ბატონიშვილთან. მოლა ზამანამ იგი მიიყვანა თავად ალექსანდრესთან, რომელსაც მარტოს გადასცა წერილი, როგორც ეს შემდეგ თავადმა ალექსანდრემ უამბო მოლა ზამანას. ბალა მაჰმადა ღამე აქ დარჩა და მეორე დღეს ის და მოლა ზამანა ერთად გაემგზავრნენ. კოდასთან რომ მივიდნენ, უკანასკნელმა შინისაკენ გაუხვია. პირველი კი დიდი გზით გაემგზავრა. ბალა მაჰმადა უამბობდა მო-

ლა ზამანას, რომ თავადმა ალექსანდრემ მას მისცა ოცი მანეთი ვერცხლით და წერილი ბატონიშვილის სახელზე.

3. მიმდინარე წელს რთველებისათვის რომ ემზადებოდნენ, ივი-ვე ბალა მაჰმადა მოვიდა მოლა ზამანასთან და უამბო, რომ იგი თავისი ორი ამხანაგით, რომლებიც ალექსანდრე ბატონიშვილის მსახურები არიან, ქართველ გარსევანთან და ერთ ნესტორიანთან ერთად იყვნენ გაგზავნილი ყარა მოლასთან. ესენი მასთან მივიდნენ სომხეთისა და ელისავეტოპოლის ოლქების გავლით, იქ ისინი კარგად მიიღეს და დაასაჩუქრეს, მიიღეს წერილი და უკან დაბრუნდნენ ჰარის ოლქით, ნესტორიანი კი მთებში გარდაიცვალაო. შულავრის მიდამოებიდან გარსევანი ბამბაკში წავიდა, სადაც უცდის ბალა მაჰმადას დაბრუნებას, რომელიც მოლა ზამანასკენ გამოემართა. ესენი ამასთანავე გაემგზავრნენ თავად ალექსანდრესთან, რომელიც ავადმყოფი დაბვდათ, მაგრამ ეს მის უკანასკნელ, ფეხში ლურსმნის შერჭობით გამოწვეულ ავადმყოფობაზე ადრე იყო. თავად ალექსანდრეს პირველად არა სჯეროდა, რომ ბალა მაჰმადა ალექსანდრე ბატონიშვილის დავალებით იყო მოსული, მაგრამ ამის დასამტკიცებლად ბალა მაჰმადამ ჰკითხა თავად ალექსანდრეს მოვიდა თუ არა მასთან ალექსანდრე ბატონიშვილისაგან გამოგზავნილი ნესტორიანელი. ამის შემდეგ ბალა მაჰმადას დაუჯერა თავადმა ალექსანდრემ და მას საიდუმლოდ ესაუბრა, და როგორც ბალა მაჰმადამ მერე უამბო მოლა ზამანას, — თავად ალექსანდრეს მისთვის მიეცა წერილი ბატონიშვილის სახელზე და ოცი მანეთი ვერცხლი. ბალა მაჰმადა გაეშურა თავისი ამხანაგისაკენ, ღამე აქ არ დარჩენილა და თავად ალექსანდრესთან საუბრის შემდეგ ფეხით გაემგზავრა მოლა ზამანასთან ერთად კოდამდის, სადაც ისინი გაიყარნენ. მოლა ზამანა ეუბნებოდა თავად ალექსანდრე ორბელიანოვს, მე რომ ეს გუბერნატორს გამოვუცხადო კარგ ჯილდოს მივიღებო, რაზედაც თავადმა ალექსანდრემ მიუგო, რომ თუ ამას იზამ მოგკლავენო.

4. პროპორშჩიკ დიმიტრი ორბელიანოვის რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სხვათა შორის თბილისში მოვიდა შიხილ-ალია, რომელსაც ერთი ქალი ახლდა თან და მოუყვანა ორბელიანს ერთი ცხვარი. ამ დროს ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა შიხილ-ალიას, რათა უშოვნოს მას რამდენიმე კარგი მამაცი კაცი. ამაზე შიხილ-ალიამ უპასუხა გიშოვნიო. ამ საუბარს დაესწრო მოლა ზამანაც.

შემდეგ ბატონ კორპუსის უფროსის ლაშქრობიდან დაბრუნების ახლო ხანში თავად ალექსანდრემ უთხრა მოლა ზამანასაც

10, 20 ან უფრო მეტი კარგად შეიარაღებული კაცი უშოვოს მას. მან უპასუხა, რომ ამდენს ვერ იშოვის, მაგრამ თუ ნებავს მოიყვანს ოთხ ქვემოთ დასახელებულთ:

ა) ალ-იარ ყარაპარ ოღლის, რომელიც ცხოვრობს მუხრან ბატონის კუთვნილ სოფელ ყარაპალში.

ბ) მუსტაფა სეიდ ყასიმ ოღლის, რომელიც ცხოვრობს ახალშენ ეკატერინოფელდის მახლობლად თავად სამარად ორბელიანოვთან.

გ) ბაირამ ალი ოღლის სოფ. ჭაფანჯრის მცხოვრებს.

დ) გუმბეტს — ჩუხურის ძმას — რომელიც ცხოვრობს სოფ. დმანისის ზევით მაიორ თავად დიმიტრი ორბელიანოვის მამულში.

თავადმა ალექსანდრემ უბრძანა ყველა ესენი სამი დღის შემდეგ მოეყვანა. მოლა ზამანა გაემგზავრა თავის სოფელში, რომლის მახლობლადაც ცხოვრობენ ზემოაღნიშნული პირნი. მან უთხრა ალ-იარს, რომ მას თავადი ალექსანდრე იბარებს, მაგრამ მან უპასუხა, რომ იგი თავის ბატონს მოელის და ამიტომ არ შეუძლია წასვლა. მოლა ზამანამ მოუწოდა აგრეთვე მუსტაფას სეიდ კასიმ ოღლის, მაგრამ მან წასვლაზე უარი გამოაცხადა. ორი დანარჩენისთვის მოლა ზამანას აღარა უთქვამს რა, რაკი დაინახა რომ ესენი არ დათანხმდებოდნენ. მეორე დღეს მოლა ზამანა მოვიდა თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც ჰკითხა მას, მოიყვანე ხალხი თუ არაო? ამან უპასუხა მოვიყვანეო. ალექსანდრემ მას მისცა ორი მანეთი ვერცხლით ცხენების საკვებად და უთხრა ხალხი საჭირო აღარ არისო. ამის შემდეგ მოლა ზამანამ ღამე ბაკებში გაატარა და გაემგზავრა უკან. ამ მგზავრობის დროს მოლა ზამანა შინიდან მარტო წამოვიდა, შემდეგ ყორღანთან სოფ. ჰასან-ჰაჯალთან შემოეყრა მას მაგი ყარაპარ ოღლი, მერე შეუერთდა მათ სოფ. გუმირელი თათარი ყადიმი, მესამე წამოეწია მათ თავად მუხრანსკის კაცი თათარი, რომელსაც თბილისში ცხენი მიჰყავდა სოფ. იმირ-ჰასანიდან. ამათგან ორი მოლა ზამანასთან ერთად ბაკებში გაჩერდა, მაგრამ კი ღამე აბანოში გაატარა.

მეორე დღეს ისინი ერთადვე დაბრუნდნენ უკან და მათთან ერთი ქართველი, რომლისთვისაც მუხრან-ბატონის კაცმა გუშინ ცხენი მოიყვანა.

სიმართლის გამორკვევის მიზნით მოლა ზამანას წაეკითხა მისი ჩვენება, რომ დეკემბრის 21-ს შიხილ ალისთან პირისპირ წაყენების დროს მან უთხრა, რომ შიხილ ალია მას დაუმტკიცებს, რომ თბილისში ის მარტო არ ჩამოსულა. მაშინ ყველაფერში დამნაშავედ აღიარებს თავს. მოლა ზამანამ ეს ისე განმარტა, რომ მან ეს იმ

აზრით სთქვა, რომ იგი სოფლიდან მარტო გამოემგზავრა, ხოლო აღნიშნული სამი კაცი მას გზაზე შეუერთდა. ამასთანავე მოლა ზამანამ გაიმეორა, რომ თუ კი დამტკიცდება, რომ ის ხალხი მან მიიწვია თბილისში, მაშინ იგი დამნაშავედ ცნობს თავის თავს ყველაფერში. ყველა ეს ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

მოლა ზამანასა და ქოსა მუსტაფას პირისპირ წაყენება (11,294) [1]

პირველმა ამხილა უკანასკნელი, რომ იგი თავისით კი არ მოსულა გასულ 1831 წელს აღდგომას თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, არამედ ჩამოვიდა იგი ყურბან-ალი-ვერდი-ოღლისთან ერთად, თანახმად თ. ალექსანდრე ორბელიანოვის ბარათისა, რომ იგი დათანხმდა ბატონიშვილთან წასვლაზე, მაგრამ რაღაც მიზეზით იგი აღარ გაგზავნეს. შემდეგში კი ამის შესახებ თ. ალექსანდრე ორბელიანი ხსენებულ ყურბანას ელაპარაკებოდა. ყველაფერს ამას ქოსა მუსტაფა ჯერ უარყოფდა, მაგრამ შემდეგ გამოტყდა, რომ თ. ალექსანდრე ორბელიანმა იგი მართლაც ყურბან ალა-ვერდი-ოღლის პირით დაიბარა. ისინი ორნი ერთად მივიდნენ თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, ქოსა მუსტაფა ოთახში იხმეს, ყურბანი კი კარზე დარჩა. თ. ალექსანდრემ წინადადება მისცა ქოსა მუსტაფას ბატონიშვილთან წერილი წაეღო, მაგრამ მან უარი უთხრა. ამის შემდეგ ორივენი იქიდან წავიდნენ, საღამოს თ. ალექსანდრემ მიიწვია თავისთან ყურბანი და ამ უკანასკნელმა ქოსა მუსტაფას უთხრა, რომ თავადი მას (ყურბანას) ცხენს აძლევს, რათა იგი მასთან (ქოსა მუსტაფასთან) ერთად ბატონიშვილთან წავიდეს. შემდეგ მოლა ზამანამ ამხილა ქოსა მუსტაფა, რომ იგი ამ უკანასკნელთან მივიდა იალაღებზე იბრეიმ ყარა მაჰმად-ოღლის ძმის ქორწილის დღეს და უთხრა, რომ თ. ალექსანდრემ მას გადასცა წერილი, რომელიც მან და ქოსა მუსტაფამ ბატონიშვილთან უნდა წაიღონ რაზედაც ქოსა მუსტაფა დათანხმდა და მოლა ზამანას შეხვედრა სოფ. განძაში დაუნიშნა. მოლა ზამანაც მივიდა იქა და ისინი მაყრიონთან ერთად ჩილდირში გაემგზავრნენ,

[1] 30 დეკემბერი, 1932 წ.

სადაც მოლა ზამანამ წერილი ქოსა მუსტაფას გადასცა თანახმად მისი თხოვნისა. ერევნიდან მოლა ზამანა უკან დაბრუნებას აპირებდა, რადგანაც ქურთი ავაზაკებისა ეშინოდა, მაგრამ ქოსა მუსტაფამ მოახერხა მეურმეებს მიკედლებოდა, რის გამოც მგზავრობა განაგრძეს.

არაქსზე გადასვლის დროს დიდი სიფრთხილის გამო ქოსა მუსტაფამ წერილი თოფში ჩადო. შემდეგ მაკინის სამფლობელოში არ ახსოვს რაღაცაზე წაიჩხუბნენ და ქოსა მუსტაფამ თოფი დაუმიზნა მოლა მუსტაფას, ამან კი ხმალი იშიშვლა, მაგრამ მათ ჩხუბს სხვა შედეგი აღარ მოჰყოლია. ხოზროვში მისვლისთანავე მათ გამოუცხადეს ბატონიშვილის მსახურს ქართველ სიმონას, რომ ისინი ჩალდირის მაგი-ბეგისაგან არიან გამოგზავნილი. მათ უბრძანეს დაეცადათ, რადგან ბატონიშვილი იმ დროს სადილობდა. სადილ შემდეგ ისინი ბატონიშვილს წარუდგინეს, რომელმაც გამოართვა მათ წერილი და შიგნითა ოთახებისაკენ გასწია. მეორე დღეს დილით ბატონიშვილმა მოიხმო ორივენი და ეკითხებოდა მათ საქართველოსა და რუსეთის სხვა სამფლობელოთა ამბებს. მესამე დღეს ისინი ხელახლად იყვნენ მიწვეული, მიიღეს ორ-ორი თუმანი, ბატონიშვილმა ქოსა მუსტაფას ალექსანდრე ორბელიანის წერილი გადასცა, შემდეგ მოლა ზამანამ მოუჩივლა, რომ მას ხმალი გაუტყუდა, რის სამაგიეროდაც მას ბატონიშვილი ჯერ სხვა ხმალს აძლევდა, მაგრამ რადგან ზამანამ იგი არ აიღო, ბატონიშვილმა ორი თუმანი კიდევ სხვა მისცა. უკან დაბრუნებისას, როცა სოფ. ყამარლიში ქოსა მუსტაფას ცხენი დაუდგა, მოლა ზამანამ გამოართვა მას წერილი და თ. ალექსანდრეს მიუტანა. ამაზე ქოსა მუსტაფამ უპასუხა, რომ იალაღებზე მოლა ზამანამ მას უთხრა მხოლოდ ის, რომ ამ უკანასკნელს თ. ალექსანდრესაგან დავალებული ჰქონდა გამოერთმია თვით ქოსა მუსტაფასათვის, იბრეიმ ყარა-მამედ-ოღლისა და სხვებისთვის იმისი ხარჯი, რაც მან ოსმალეთთან ომის გათავების შემდეგ მათი სოფ. ხაზარეთში დასახლებაზე გასწია. ბატონიშვილთან წასვლაზე კი მოლა ზამანას მისთვის არა უთქვამს რა და მხოლოდ არაქსზე გადასვლის შემდეგ გაუმჟღავნა იგი.

სხვა დანარჩენი ქოსა მუსტაფამ მხოლოდ თავისი წინანდელი ჩვენება დაადასტურა. ამასთანავე კომისიამ შენიშნა, თუ როგორ ჩადო ქოსა მუსტაფამ თოფში წერილი და როგორ დაუმიზნა ჩხუბის დროს მოლა ზამანას, მოლა ზამანამ უპასუხა რომ არაქსზე გასვლის შემდეგ თოფი დაშალეს. მოაძრეს ბურღი და წერილი ამოიღეს. მეურმეები უყურებდნენ როგორ დაშალეს თოფი, მაგრამ წერილი კი მათ შეუმჩნეველად ამოიღეს. ქოსა მუსტაფამ ყვე-

ლაფერს ამას მოლა ზამანას მტკნარი სიცრუე, ხოლო თვით ზამანას კი ტყუილების ეშმაკი უწოდა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ალექსანდრე ორბელიანისა და ქოსა მუსტაფას პირისპირ წაყენება (11, 296)

30 დეკემბერს, 1832 წ.

ქოსა მუსტაფამ განაცხადა, რომ 1831 წელს ის მართლაც იბრეიმ ყარა-მაჰმად-ოღლის საშუალებით დაბარებულ იქმნა თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც იბრეიმას თანდასწრებით წინადადება მისცა მას ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილი წაეღო, მაგრამ ეს არ დასთანხმდა. თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა აღიარა ეს ჩვენება და წერილობითაც წარმოადგინა. იგი უმტკიცებდა ქოსა მუსტაფამ ბატონიშვილთან წასვლაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ რადგანაც წერილი ჯერ მზად არ იყო, ამიტომაც იგი (ქოსა მუსტაფა) მაშინ აღარ იქნა გაგზავნილიო.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (11, 312)[1]

ამა დეკემბრის 31-ს 1831 წ. საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე, მაქვს პატივი უპასუხო:

თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა, ელიზბარ ერისთოვისა და ჩემს საუბარს, ბატონიშვილთან წერილის გაგზავნის ირგვლივ, — თ. გ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი და თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვი დაესწრენ თუ არა, აღარ მახსოვს. და თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვთან ჩვენს შეთქმულებაზე საუბარი არა მქონია, მაგრამ ვიცი, რომ ამაზე მას სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და თ. ელიზბარ ერისთავი ელაპა-

[1] მიღებულია 1831 წლის 31 დეკემბერს.

რაკებოდნენ; მახსოვს აგრეთვე, რომ ჩვენს საუბარს ამ საქმეზე დასწრებია თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვიც.

მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (111,330)

1833 წ.
იანვრის 3

საგამომძიებლო კომისია მუშაობდა დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მასწავლებელი დოდაევი კვლავ იქნა შთაგონებული (был увещеваем) გამოაცხადოს შეთქმულების დაწყების ყველა გარემოება, რაც მან, როგორც ერთერთმა მთავარ მომქმედ პირთაგანმა უსათუოდ უნდა იცოდეს; განმარტების თავის ოთახში დასაწერად მას მიეცა ქაღალდი.

თ. ი. ფალავანდოვმა მოისურვა კომისიაში გამოცხადება, სადაც გამოთქვა ამ საქმის ირგვლივ ზოგიერთ დამატებით გარემოებათა გამოცხადების სურვილი, რის დასაწერადაც მიეცა მას ქაღალდი. შემდეგ პირისპირ იქნენ წაყენებული პორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან. უკანასკნელი პირველს უმტკიცებდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცის გაგზავნის ამბავი მან მის მიერ ჩვენებაში მოხსენებულ სადილზე ადრე იცოდა, და ამ უკანასკნელმა გამოიჩინა სურვილი თავისი ჩვენებისთვის ზოგიერთი ახალი გარემოების დამატებისა, — აღიარა, რომ მან ადრეევ გაიგონა სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილი არის გაგზავნილიო. ამასთანავე მოსმენილ იქნა თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენების დამატებითი სიტყვიერი თარგმანი.

პაქმა თ. ვახტანგ ორბელიანოვმა და აზნაურმა მამაცოვმა წაიკითხეს კომისიაში თავიანთი შავად დაწერილი ჩვენებები, რაც უკანვე დაუბრუნდათ მათ თეთრად გადასაწერად.

ამის შემდეგ სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა კომისიაში განაცხადა, რომ მას გაახსენდა ზოგიერთი რამ იმ პროკლამაციებზე, რომლებიც ამ აღრეულობისთვის იყო მომზადებული, რის გამოც მიეცა მას ქაღალდი თავის ოთახში როგორც აღნიშნულ ისე სხვა გარემოებათა დასაწერად.

ამავე დღეს თ. ელიზბარ ერისთოვმა წარმოადგინა თავისი პა-

სუხები დანარჩენ „20“ კითხვით პუნქტზე და პირობა ადო. რომ დასწერს განმარტებას ბერმანაზონ ფილადელფოსსა და შეგობრობის აქტის ირგვლივ. მასწავლებელმა ყიფიანოვმა და ავთანდილოვმა წარმოადგინეს თავიანთი განმარტებები ბერმონაზონ ფილადელფოსსა და მისგან თ. გიორგი ერისთოვის მიერ მიღებულ საიდუმლო მეგობრობის აქტსა და საიდუმლო მიმოწერისთვის პირობითი ანბანის შესახებ.

ბოლოს გამოძახებულ იქნა კომისიაში დღეს დაპატიმრებული თ. სიმონ მაჩაბელი, რომელმაც კომისიის სიტყვიერ შეკითხვებზე განაცხადა, რომ შეთქმულებისა მან არაფერი იცის. ყველა ზემოაღნიშნული ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი 1-ლი
„ „ ვოლხოვსკი
პოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

ელიზბარ ერისთავის პასუხების გაგრძელება (11, 354—373)[1]

11. თქვენ პირველმა გამოუცხადეთ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს ეს განზრახვა და მოიწვიეთ იგი რამდენჯერმე ამ საზოგადოებაში, ამიტომ განმარტეთ: რა დროიდან და რა გზით იყო თქვენთვის ცნობილი თ. ლუარსაბ ორბელიანოვის აზრი და ზრახვები, რომ გადასწყვიტეთ განგეცხადებინათ მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე და მოგეწვიათ იგი თქვენს საზოგადოებაში.

11. მაიორ თ. ლუარსაბ ორბელიანოვს გამოვუცხადე 1831 წლის ზაფხულში: მე არ ვიცოდი მისი ზრახვები, გამოვუცხადე მხოლოდ მიტომ რომ იგი ბიძაა ჩემი, მე მეტისმეტად გულია და მინდობილი ვარ.

12. თქვენ პირველმა წამოაყენეთ აზრი მოგემზადებინათ დროშა თქვენი განზრახულებისათვის და როდესაც ლუარსაბმა გითხრათ, რომ იგი მზად არის, თქვენ ის გასინჯეთ და ნახეთ, რაც მასზე იყო გამოხატული. არ იცით სახელდობრ ვინ მუშაობდა მის დამზადებაზე?

12. ერთხელ შეეკითხე მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვს, ხომ საჭირო იქნება ჩვენთვის დროშა მეთქი. მან მიპასუხა, ნუ გაირჯებით, იგი მე უკვე მაქვსო. მე არ მიკითხავს სად ჰქონდა მას იგი და არც უჩვენებია ჩემთვის; არ ვიცი მართლა აქვს მას იგი, თუ არა.

[1] მიღებულია კომისიაში 1833 წლის 3 იანვარს.

13. თქვენ სხვა შეთქმულებთან ერთად შეიტანეთ წინადადება დაგეარსებინათ საქართველოში ორდენები: მეფე დავითისა და წმ. ნინოსი. განმარტეთ: უკვე დამზადებული იქნა ეს ორდენები, თუ მხოლოდ წინადადება იყო წამოყენებული?

13. ერთხელ იყო საუბარი ორდენებზე, მაგრამ ისინი არავის დაუმზადებია. ამაზე მხოლოდ ცარიელი ლაპარაკი იყო, როგორც სხვა ყველა ჩვენს განზრახვაზე.

14. როდესაც ყველანი შეგროვდით ავლაბარში ტრაქტირში, ციხის მახლობლად, მაშინ სწორედ თქვენ უთხარით კაპიტან თავად ჩელოყაევს შემდეგი: „არ იფიქროთ, რომ ჩვენ ჩვენი სახელით გელაპარაკებით, არა, ჩემო მეგობარო, ჩვენ არაფერს არ წარმოვადგენთ, — უნდა იცოდე, რომ ყველა ისინი, ვინც ჩვენი საშუალებით გთხოვს, რომ დათანხმდე მონაწილეობა მიიღო ამ საღვთო საქმეში...“ და ამასთანავე, თქვენ დაასახელეთ თქვენი ბიძა გენერალ-ლეიტენანტი თავადი ერისთოვი, თავადები: მაჩაბლები, თარხანოვები, ბატონიშვილები თეკლა და თამარი, თავადები მამუკა და ლუარსაბ ორბელიანოვები, თავადი ანდრონიკოვი და თადია ჩელოყაევი და კიდევ მრავალი სხვა თავად-აზნაური, ხოლო როდესაც ჩელოყაევი თქვენ გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძეზე შეგეკითხათ, თქვენ უპასუხეთ, რომ იგი ჭავჭავაძე პირველია, რაც ყველა იქ მყოფთაც დაადასტურეს. თქვენ უნდა განმარტოთ თქვენი ეს ყველა ნათქვამი და გამოაცხადოთ ზემოაღნიშნულ პირებთან უშუალოდ გქონდათ საუბარი ამ შეთქმულებაზე. თუ სხვა ვინმემ გადმოგცათ იგი. საბელდობრ ვინ და ხომ არ იცით, კიდევ ვინ იღებდა თავად-აზნაურთაგან ამ საქმეში მონაწილეობას.

14. ტრაქტირში ავლაბარში ციხის მახლობლად, კაპიტანმა თავადმა ჩელოყაევმა გვკითხა: „სხვა ვინ ღა იღებს მონაწილეობას, ნუთუ მარტო თქვენა ხართო?!“ თ. ა. ორბელიანოვმა, თ. იასე ფალავანდოვმა და მე ვუპასუხეთ, რომ მარტო ჩვენ არა ვართ და ამასთანავე, დავიწყეთ ჩამოთვლა ყველა ქართველი თავადებისა და აზნაურთა გვარებისა, ვინც კი ცნობილი არიან საქართველოში, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის, რათა კაპიტან ჩელოყაევს უარი არ ეთქვა.

15. 14-ე პუნქტში განმარტებული ამბის მეორე დღეს, დოდაევი და თქვენ მიხვედით კაპიტან ჩელოყაევთან და არწმუნებდით მოეთძინა და არ შეშინებულიყო. განმარტეთ: უთხარით თუ არა მას ეს, რა სთქვა ამასთანავე დოდაევმა და რა პასუხი მიიღეთ ჩელოყაევისაგან.

15. 14-ე პუნქტში განმარტებული ამბის რამდენიმე დღის შემდეგ მე მარტო მივედი კაპიტან თავად ჩელოყაევთან და იქ დამხვდა

დოდაევი, რომელიც ჩელოყაევს ქართულად წერილებს უწერდა ნათესავებთან; მე არ მითქვამს მისთვის, რომ იგი არ შეშინებულიყო ამ საქმეზე და არ ვიცი ჩემს მისვლამდე მათ რა საუბარი ჰქონდათ. ჩემი თანდასწრებით კი ამაზე არა თქმულა რა.

16. თქვენ მიხვიდით კაპიტან ჩელოყაევთან, რათა დაგეპატიჟნათ ივი თავად იასე ფალავანდიშვილთან და უთხარით, რომ მას ყველანი იქ ელოდებიან; დაასახელეთ, ვინ უცდიდა მას და ვინ იყო თავად ფალავანდოვთან.

16. თავად იასე ფალავანდოვთან ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვივახშმეთ. ეს იყო ოქტომბრის შუა რიცხვებში; და მგონია, მაშინ კაპიტანი თავადი ჩელოყაევი თბილისში არ იყო და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა რუსეთიდან.

17. თქვენ პირველმა გააცანით კაპიტანი თავადი ჩელოყაევი ლუარსაბ ორბელიანს, შემდეგ კი, თქვენვე მიიპატიჟეთ იგი ამ შეთქმულებაზე მოსალაპარაკებლად გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძესთან. გაბმარტეთ დაწვრილებით, ვიდრე ჩელოყაევს ამ პირებთან მიიპატიჟებდით, რა საუბრები გქონდათ მასთან და რამ გადაგაწყვეტინათ თქვენ პირველი გაცნობოდით მას და მერე სხვებთანაც მიგეწვიათ.

17. რადგანაც მაიორმა ლუარსაბ ორბელიანოვმა უკვე იცოდა ჩვენი განზრახულება, ამიტომ მე მას ვუთხარი, რომ თავადმა ჩელოყაევმა იცის მეთქი და თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა მოისურვა მასთან საუბარი. ხოლო როდესაც მიმდინარე წელს თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი ესაუბრა ამ განზრახულებაზე გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძეს, ამის შემდეგ მაიორმა ლუარსაბ ორბელიანოვმა მითხრა, რომ გენერალ ჭავჭავაძეს სურს საუბარი კაპიტან ჩელოყაევთან და მთხოვა მეთქვა ეს მისთვის. გენერალ ჭავჭავაძისთვის ამ საქმეზე მე არა მითქვამს რა, ხოლო 4 დეკემბერს მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი ჩელოყაევი ესაუბრნენ გენერალ ჭავჭავაძეს, მაგრამ მე იმ დროს სხვა ოთახში ვიყავი.

18. თქვენთან ერთ ვახშამზე პოლონეთის აჯანყებას თქვენ უწოდეთ კეთილშობილი აჯანყება სამშობლოსათვის და ამასთანავე სთქვეთ, რომ დიმიტრი ბატონიშვილი მისი შეურაცხყოფის მიზნით, დანიშნეს მე-14-ე კლასში. „როგორია ეს მეფური სიბსლისთვის!“ დაადასტურეთ თქვენი ნათქვამი და გამოაცხადეთ რას ნიშნავდა იგი?

18. არავის წინაშე ვახშამზე მე არ შემიქია პოლონეთის აჯანყება და არც ეს სიტყვები წარმომითქვამს. აღარ მახსოვს, ვილაცამა მკითხა, „როგორია დიმიტრი ბატონიშვილი, ამბობენ, რომ იგი ჰიპობონდრიანიაო და არსად მსახურობსო“. მე ვუპასუხე, რომ ის სუსტი ჯან-

მრთელობისაა და რომ დიმიტრი ბატონიშვილი მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში და სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ (ავადმყოფობის გამო) მიიღო მგონია მე-14-ე კლასი. განა ეს მისთვის შეურაცხმყოფელია? მე არ ვიცი.

19. როდესაც ყველანი შეიკრიბენით ვახშმად თავად იასე ფალავანდოვთან, მაშინ თქვენ სთქვით: გარწმუნებთ, აქ ყველანი მეგობრები ვართ და ამიტომ შეგვიძლიან გულწრფელად ვილაპარაკოთო, და თქვენვე პირველმა დაიწყეთ სამდურავი მთავრობის დაწესებულებებზე, რომ თქვენ გართმევენ გლეხებსა და მიწებს; მერე სთქვით: „არავინ არის პატრიოტი, რომელმაც უნდა მოაგონოს რუსეთს, რომ საქართველო დაპყრობილი არ არის, არამედ ოავისი ნებით შევიდა მფარველობის ქვეშ". მერე კი გამოაცხადეთ თქვენი საერთო განზრახვა: გააძევოთ რუსები საქართველოდან; ხოლო როდესაც ამ საქმის შეუძლებლობაზე გითხრეს, თქვენ ირწმუნებოდით ამ საქმის შესაძლებლობას დიდი ენთუზიაზმით. გამოაცხადეთ ყველა ეს, თქვენს მიერ ნათქვამი.

19. ვინც მაშინ თავად იასე ფალავანდოვთან ვახშამზე იყო, ყველანი ერთი მეორის ნაცნობები ვიყავით და ამიტომ საჭირო არ იყო ასეთი შესავალი განმეცხადებინა. მე ვამბობდი, რომ როდესაც გლეხები გაგვირბიან, მათ იცავენ პროკურორი და მოხელეები. და ეს ჩემი ნათქვამი მაგალითებით დაადასტურა სოვეტნიკმა თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა. რაც შეეხება მეორე საუბარს, რომ არავინ არის პატრიოტი, რათა მოაგონოს რუსეთს და სხვ. — მე ეს არ მითქვამს.

20. იმავე ვახშამზე თქვენ გამოაცხადეთ, რომ თავადი მუხრანსკი ძალიან ხელს გიშლითო და როდესაც თავადმა იასე ფალავანდოვმა წინადადება შემოიტანა იგი მოვკლათო, სხვები ამაზე არ დაეთანხმნენ, ვიღაცამ კი სთქვა, რომ მეფის ასული გაჯავრდება, რადგან იგი მისი ნათესავიაო. მაშინ თქვენ ჩაიცინეთ და თქვით: „ნათესაობა რას მიქვიან, ის აქ არაფერ შუაშია, მამაც შეიძლება მოკლას კაცმა უთანხმოების შემთხვევაში, არა თუ ნათესავიო". და რაღაც შურისძიებით აღსავსე ღიმილით ყვიროდით: „იგი აუცილებლად უნდა მოვკლათო". ამ 20-ე პუნქტში აღნიშნული ჩვენება უნდა დაადასტუროთ წერილობით.

20. მე ვამბობდი, რომ თავადი მუხრანსკი ხელს შეგვიშლისმეთქი. ხოლო თავადმა იასე ფალავანდოვმა კი სთქვა „მაშ ასე, იგი მოვკლათ". მაშინ ზოგიერთებმა თქვეს რომ შეიძლება ის დაგვეთანხმოსო. ყველამ გაიმეორა ეს სიტყვები, რომ ვინც არ დაგვეთანხმება, ყველა სიკვდილის ღირსიაო. მაგრამ მე განსაკუთრე-

ბით არ მითქვამს ეს სიტყვები და ეს ყველაფერი ყოველი შურისძიების გარეშე იყო ნათქვამი, თითქოს ყველაფერი ჩვენზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

21. თქვენ ეუბნებოდით მასწავლებელ ავთანდილოვს, რათა იგი და ყიფიანოვი არ დარჩნენ ნაწყენი იმით, რომ მათ არ შეუძლიათ ყველგან თქვენთან იყვნენ, რადგან მხოლოდ საბჭოს ნამდვილ წევრებს შეუძლიანთ იყვნენო, როგორც თქვენ, ალექსანდრე ორბელიანოვი, დიმიტრი ერისთოვი, იასე ფალავანდოვი და სხვები, რომლებსაც ამოირჩევენ. გამოაცხადეთ, ვინ და როდის აგირჩიათ თქვენა და ზემოხსენებული პირნი საბჭოს ნამდვილ წევრებად და ამათ გარდა კიდევ ვინმე იყო თუ არა არჩეული და თუ იყო, ვინ, ვისგან და როდის?

21. ერთხელ მასწავლებელმა ავთანდილოვმა მკითხა რა წარმატება აქვს ჩვენს საქმესაო. მე ამაზე მივუგე, რომ არაფერი არ გაკეთებულა მეთქი, ხოლო ჩვენ ყველანი არ შეიძლება ერთად ვიკრიბებოდეთ, რათა არ შეგვნიშნონ მეთქი, ამიტომ ვინმე გაცნობებს ხოლმე, თუ რამე გაკეთდება მეთქი. წევრებად კი ეს მოხსენებული პირნი არავისგან ყოფილან არჩეული და არც ჩვენ თვითონ აგვირჩევია და დაგვინიშნავს ჩვენი თავი.

22. ერთხელ თქვენ განუცხადეთ მასწავლებელ ავთანდილოვს, რომ თქვენ საზოგადოებაში მოიწვიეთ კაპიტანი თავადი ჩელოყაევი, მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი და ამასთანავე იმედი გაქვს თქვენი ბიძის გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძისა, რომელთანაც უკვე გქონდათ საუბარი და კიდევ გსურთ ესაუბროთ მას. განმარტეთ რაში მდგომარეობდა სახელდობრ თქვენი საუბარი ჭავჭავაძესთან, სად და როდის იყო იგი?

22. მასწავლებელი ავთანდილოვი მეკითხებოდა ჩვენი საქმის წარმატებაზე და მე ვუპასუხე, რომ მაიორმა თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა და კაპიტან ჩელოყაევმა იციან ჩვენი შეთქმულება და სურთ ესაუბრონ გენერალ ჭავჭავაძეს მეთქი. მას უკვე ესაუბრა თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი და გენერალმა ჭავჭავაძემ კაპიტან ჩელოყაევთან საუბარი ისურვა მეთქი. მე კი არ მილაპარაკნია გენერალ ჭავჭავაძესთან. აი, ეს ველაპარაკე მასწავლებელ ავთანდილოვს.

23. თქვენ პირველმა დანიშნეთ დრო 20 ნოემბერი თქვენი შეთქმულების სისრულეში მოსაყვანად და როდესაც სხვები არ გეთანხმებოდნენ, თქვენ ყვიროდით: „არ უნდა გადავდვათ, ეხლა მოქმედებისათვის საუკეთესო დრო არის, რადგან კორპუსის უფროსი წასულია და შეიძლება წარმატებით ვიმოქმედოთო, შემ-

დეგ კი ფრანგებთან ომი იქნება და მაშინ რუსებს თვითონ საკუთარი საზღვრების დაცვა მოუხდებათო. ხოლო როდესაც ჩელოყაევი გიმტკიცებდათ შეუძლებელიაო, თქვენ მაინც ჯიუტობდით, არწმუნებდით რა ყველას რომ საკმარისია დავიწყოთ და მერე შევატყობინებთ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც უმალვე შეჰკრებს ქურთებს და მოგვეშველებაო. განმარტეთ, რაზე ამყარებდით ამ თქვენს იმედს, როდესაც სთავაზობდით დაგეწყოთ მოქმედება 20 ნოემბერს.

23. ერთ საღამოს თავადმა იასე ფალავანდოვმა მითხრა: „იცი, უკვე დაინიშნა დრო დავიწყოთ ჩვენი განზრახული 20 ნოემბერს". მე ვკითხე ვინ დანიშნა და როდის მეთქი! მან მომიგო: უკვე დანიშნულია და ნუღარ ჰკითხულობო. მას არ უთქვამს, თუ ვინ დანიშნა. დროის დანიშვნაზე მე აღარავისთვის მიკითხავს და არც მე დამინიშნია დრო, პირიქით, თავად იასე ფალავანდოვს ვეუბნებოდი ძალიან ნაადრევია მეთქი. და არასოდეს მითქვამს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ქურთებით მოგვეშველება მეთქი.

24. როდესაც ზოგიერთები განსაკუთრებით კი მასწავლებელი ავთანდილოვი ეწინააღმდეგებოდნენ თქვენს განზრახვას, თქვენ სთქვით „გარწმუნებთ პირველ მოწინააღმდეგეს გვერდში ხანჯალს დავცემო". განმარტეთ, რა მიზეზი გაიძულებდათ ასე დაჟინებით გემოქმედნათ თქვენი განზრახულების შესასრულებლად, მაშინ, როდესაც სხვები ამის შეუძლებლობაზე მიგითითებდნენ.

24. მასწავლებელი ავთანდილოვი მხოლოდ ერთხელ იყო ჩვენთან ერთად ვახშამზე თავად ფალავანდოვთან და იგი არათუ წინააღმდეგი არ ყოფილა ჩვენი განზრახვისა, არამედ მას სრულებით ხმაც არ ამოუღია და მე არც მითქვამს, პირველსავე მოწინააღმდეგეს გვერდში ხანჯალს გავუყრი მეთქი. ეს მოგონილია და წინააღმდეგ არც არავის უმტკიცებია.

25. თქვენ, ლაპარაკობდით რა იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა სისრულეში მოგეყვანათ თქვენი განზრახვა, სთქვით: „არსებობს უტყუარი საშუალება ბრბოს აღსაგზნებად, საკმარისია ხმა დავაგდოთ, რომ ჯარს აგროვებენ. გამოაცხადეთ ჭეშმარიტებით, ეს ხერხი და საშუალება თქვენს მიერ იყო წამოყენებული ბრბოს ასაჯანყებლად, — თუ სხვა ვინმეს მიერ და სახელდობრ ვისგან.

25. ერთხელ ალექსანდრე ორბელიანოვს ვუთხარი, რომ გლეხები ეხლა არ მიიღებენ მონაწილეობას მეთქი, მაშინ მან თქვა: „უნდა გენახა რა იყო 1827 წელს, როცა მილიცია მოითხოვეს და გლეხებს კი ეგონათ, რომ უკვე ჯარს აგროვებდნენ და ისინი აღელდნენ, მე მაშინ მაზრის მარშალი ვიყავი და ძლივს დავაწყნა-

რე, ეხლაც შეიძლება ეს გავაკეთოთ, გავავრცელოთ ხმა, რომ ჯარში მიჰყავთ". ეს სიტყვები მითხრა მან. და მე არასოდეს გამიგონია და არც ვიცი, გამოიყენა .აღნიშნული გარემოება ვინმემ თუ არა.

26. როდესაც იგუმენ ტარასისთან იყავით, მას თქვენ გამოუცხადეთ სრულად თქვენი განზრახვა, პირველი ღამის განკარგულება და საქართველოს მმართველობის პროექტი. და წინადადება მიეცით გამოეტანა ამისათვის ხატები. განმარტეთ, სახელდობრ როგორ და რა სიტყვებით გიპასუხათ ამაზე ტარასიმ და რა დარიგებას სთხოვდით მას თქვენი შეთქმულების საქმეებზე.

26. იგუმენ ტარასის მხოლოდ ის ვუთხარით, რომ განზრახვა გვაქვს; მაგრამ მისთვის არა გვითქვამს რა არც პირველი ღამის განკარგულებაზე და არც პროექტზე. და მისთვის არავითარი წინადადება არ მიგვიცია. მხოლოდ რჩევა ვკითხეთ როგორ მოვქცეულიყავით. მან არ გაიგონა ჩვენი განზრახვა და სთქვა, რომ „იგი საერო საქმეებში არ ერევა".

27. 24 ნოემბერს თუ მის ახლო ხანში თქვენ უკარნახეთ საქართველოს მმართველობის პროექტი, რომელსაც გიორგი ერისთოვი იწერდა. განმარტეთ, თქვენი შედგენილია ეს პროექტი თუ ვინმემ გაცნობათ ან გადმოგცათ; ვინ გადმოგცათ, როგორ და როდის?

27. ქაღალდის ნაგლეჯზე რვა სტრიქონად დაწერილი, რასაც მმართველობის პროექტი ეწოდება, ერთ დილას დაცინვით დავწერეთ მე და კორნეტმა თავადმა გიორგი ერისთოვმა და იგი არავის გადმოუცია ჩვენთვის. იგი ჩვენ დავწერეთ.

28. თქვენ ამბობდით, რომ ამოჭრილი ქაღალდის საშუალებით საიდუმლო მიმოწერა გაქვთ დიმიტრი ბატონიშვილთან. განმარტეთ სად და როდის გადმოგცათ ეს ქაღალდი ბატონიშვილმა, რა დაგევალათ ამ საშუალებით გეწერათ მისთვის საიდუმლოდ, რამდენჯერ და რაზე მისწერეთ მას ამ გამოჭრილი ქაღალდით?

28. 1830 წელს ს. პეტერბურგიდან წამოსვლის წინა დღეს ვიყავი ბატონიშვილ დიმიტრისთან, როგორც ნაცნობთან, მაშინ მან გადმომცა ალაგ-ალაგ ამოჭრილი ნახევარი ფურცელი ქაღალდი და მითხრა ამ ქაღალდის საშუალებით შემეტყობინებინა მისთვის, რაც საქართველოში მოხდებოდა. ეს ქაღალდი მქონდა ნახევარი წუთის განმავლობაში და მერე დავხიე, ისე რომ მისთვის არა მიმიწერია რა და მისგანაც არა თუ ამ ქაღალდის საშუალებით, არამედ საეროოდ მოკითხვის ბარათიც კი არ მიმიღია და არც მე რამე მიმიწერია.

პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

29. თავადო, თქვენ პირველმა გამოუცხადეთ თავად გიორგი ერისთოვს, რომ გასულ 1831 წელს გქონდათ განზრახვა მოგეხდინათ აჯანყება, მაგრამ ვარშავის აღების შემდეგ, ხელი აიღეთ ამ განზრახვაზე. განმარტეთ, რა კავშირი ჰქონდა ვარშავას თქვენს აჯანყებასთან და ხომ არა გქონიათ ვარშავის ან პოლონეთის როჭელიმე მცხოვრებთან მიმოწერა და სახელდობრ ვისთან?

29. ვარშავის აღების თვენახევრის წინ მე და თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი ვოცნებობდით აქ, თბილისში აჯანყების მოხდენაზე, მე მალე მამასთან წავედი და იქიდან თბილისში რომ დავბრუნდი, აქ უკვე ლაპარაკობდნენ ვარშავის აღებაზე. მე ეს ვუამბე თ. გიორგი ერისთოვს. ხოლო ვარშავას არავითარი კავშირი არა ჰქონდა ჩვენს აჯანყებასთან და მე არა მაქვს ნაცნობობა არც ერთ პოლონელთან არც აქ და არც სხვაგან სადმე და არც მიმოწერა მქონია. და მე არ ვიცნობ პოლონელებთან არავითარ მიმოწერას.

30. როგორც კი გამოგიცხადათ თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა, რომ ბორჩალოს დისტანციაში ხმა გავრცელდა მასა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის მიმოწერაზე, და თათართა შეიარაღებაზე, თქვენ იმავე საღამოს მოხვედით დოდაევთან. განმარტეთ, რა ილაპარაკეთ ამაზე და რა ღონისძიებანი დაჰსახეთ იმ შემთხვევისთვის, თუ თქვენი შეთქმულება გამომჟღავნდებოდა?

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

30. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ მისი მიმოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან უკვე ცნობილი გახდა. მე ამაზე არა მითქვამს რა და ხუმრობად ჩავთვალე. თუმცა იმ საღამოს ვიყავი დოდაევთან, მაგრამ მე მისთვის არა მითქვამს რა და არც რამე ღონისძიება დაგვისახავს იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენი შეთქმულება გამომჟღავნდებოდა.

პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ე რ ი ს თ ო ვ ი.

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი (111, 378)

1833 წლის იანვრის 4

საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა დილის 10 საათზე და მუშაობდა საღამოს 5 საათამდე. თ. ელიზბარ ერისთოვმა მოიტანა თავისი ჩვენების წერილობითი დამატება და კვლავ დასწერა მისი რამოდენიმე განმარტება, შემდეგ კი მასწავლებელ დოდაევთან პი-

რისპირ წაყენების დროს, ამხილა ამ უკანასკნელს, რომ მან (ელიზბარმა) ნამდვილად გადასცა მას საიდუმლო მეგობრობის აქტი, რომელიც ერისთოვმა იერომონახ ფილადელფოსისაგან მოიტანა. დოდაევი კი უარჰყოფდა, რომ მას არავითარი აქტი არ უნახავს, მაგრამ ბოლოს ჰკითხა ერისთოვს თქვენს იმ თხზულებაზე ხომ არ არის ლაპარაკი, რომელიც შარშან გადმომეცითო? ამაზე ერისთოვმა ღიმილით მიუგო: ჩემი თხზულება მე თქვენ ამაზე ადრე გადმოგეცით და იგი უკვე დაბეჭდილია იმ ჟურნალში, რომელსაც თქვენა სცემდითო, — ეს თხზულება კი იერომონახ ფილადელფოსის ის აქტია, რომელიც თქვენ თვითონ მთხოვეთო. დოდაევმა უპასუხა: მე ის თქვენი თხზულება მეგონა და არ წამიკითხავსო, ხოლო როდესაც მას ჰკითხეს, თუ სად შეინახა მან იგი, უპასუხა: ჩემს ქაღალდებში უნდა იყოსო. მანვე დოდაევმა წარმოადგინა წერილობითი განმარტება ზოგიერთ თავის ნათქვამზე და შეთქმულების დასაწყისზე.

ამის შემდეგ სოვეტნიკად ყოფილმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა წარმოადგინა წერილობითი განმარტება იერემონახ ფილადელფოსის აქტისა და იმ პროკლამაციების შესახებ, რომლებიც მასთან ინახებოდა. პროპორშჩიკი თ. ბიძინა ერისთოვი პირში წარუდგა თ. სიმონ მაჩაბელოვს, რომელიც ამხილა იმაში, რომ მან მაჩაბელოვმა, წმ. გიორგის დღეობაზე ნამდვილად თვითონ პირველმა დაუწყო მას აღრეულობაზე ლაპარაკი, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ განზრახულების შესახებ მან სრულებით არაფერი იცის და თ. ბიძინა ერისთოვმა წარმოადგინა წერილობითი განმარტება. შემდეგ მამაცოვმა მოიტანა თეთრად გადაწერილი თავისი ჩვენება. თ. იესე ფალავანდოვმა და გვარდიის კაპიტანმა თ. ჩელოყაევმა აგრეთვე დასწერეს ზოგიერთი დამატებითი ჩვენება.

ლეიბ-გვარდიის გუსართა რაზმის კორნეტმა თ. ერისთოვმა აგრეთვე მიიღო ქაღალდი თავის ოთახში ზოგიერთ გარემოებათა წერილობით განმარტებისათვის.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი 1-ლი
„ „ ვოლხოვსკი
პოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

სოლომონ დოდაევის ჩვენება (111, 388—390)[1]

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

---

1 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 4 იანვარს.

ს. პეტერბურგში არავითარ შეთქმულებაზე არაფერი არა ვიცოდი რა, არც არავითარ საიდუმლო საზოგადოებას არა ვკუთნებივარ და არც ეხლა ვეკუთვნი. მოსკოვში, როგორც ჰე უკვე ვთქვი, 1827 წელს კოჭლმა ბატონიშვილმა, ოქროპირ ბატონიშვილის დამ, ეკლესიიდან გამოსულმა, დამიწყო საუბარი საქართველოს სიძველეებზე, მირჩევდა საქართველოს ისტორიის წაკითხვას, რომ შთამენერგა ჩემი მოწაფეებისათვის თავიანთი სამშობლო საქართველოს სიყვარული და შთამეგონებინა მათთვის ქართველ ბატონიშვილთა ხსოვნა, ეგების ღმერთმა როდისმე კვლავ საქართველოში ყოფნა გვაღირსოსო. მე ვუპასუხე: ჩემი მოვალეობაა შეგირდებს სამშობლოს სიყვარული ჩავაგონო, ღმერთმა თქვენც საქართველოში ყოფნა გაღირსოთ მეთქი — მაგრამ მე ეს შეთქმულებად არ მიმაჩნია.

ოქროპირ ბატონიშვილმა რაც მითხრა 1829 წელს, როცა მე იგი მცხეთამდე გავაცილე, და რაც მე არ შემისრულებია, კომისიას უკვე მოეხსენება.

საქართველოს რუსთაგან განთავისუფლების შეთქმულება დაიწყო 1830 წლის დასასრულს, თუ 1831 წლის დასაწყისს და პირველმა თ. ელიზბარ ერისთოვმა და თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა გამომიცხადეს თავიანთი ეს სურვილი, მერე კი თ. იესე ფალავანდოვმაც. მათ სურდათ სამშობლოს სიყვარული გაზეთის გამოცემით გაევრცელებინათ, მე დავეთანხმე[1], მაგრამ მათ ხელისმომწერლები ვერ იშოვეს. იმ 1831 წელს ვინ იცოდა ეს საქმე და ვინ ვის ელაპარაკებოდა — თქვენ ეს იცით, არავითარი სამზადისი არა გექონია ფუჭი ლაპარაკის გარდა და გათავდა ვარშავის აღებით.

კვლავ განახლდა გასული 1832 წლის სექტემბერში, თუ შეიძლება უფრო ადრეც, მაგრამ მე მაშინ ტფილისში არა ვყოფილვარ და რაც კი მახსოვს ყველაფერი ჩემს ჩვენებებში ვთქვიო. ჰეშმარიტად მე დამნაშავე ვარ ჩემი გამოუცდელობისა და სისუსტის გამო იმ სიტყვებისათვის, რომელიც თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში წარმოვთქვი: „კახეთში მე ნდობა მაქვს, მე რომ მოვინდომო, მთელი კახეთი მე დამიჯერებს“ მეთქი, რასაც არასოდეს არ მოვისურვებდი. აგრეთვე, ერთხელ თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან მიველ, სადაც დამხვდნენ მოსაუბრე თავადები. თ. ელიზბარ ერისთოვმა თქვა: „მალე უნდა მოვახდინოთო“. ბატონი მამაცოვი და მე თანახმა არ ვიყავით, რისთვისაც თ. ელიზბარი ერისთოვი და ზოგიერთი სხვაც გაგვიწყრნენ, ჩემდა სამწუხაროდ, მსურდა რა, რომ მათ ყველაფერზე ხელი აეღოთ, მე წარმოვსთქვი: „ნუ ჯავრობთ,

[1] იგულისხმება, რომ დოდაშვილმა თავისთავზე აიღო გაზეთის გამოცემა.

მარტო მე უთქვენოდ, რასაც გნებავთ, იმას გავაკეთებ და მერე თქვენი სირცხვილი იყოს, ნუ ჯავრობთ, მეც თქვენი თანახმა ვარ მეთქი".

შემდეგ თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა გვთხოვა მე, მამაცოვსა და ყიფიანოვს პროკლამაცია დაგვეწერნა, მაგრამ მე არც დამიწერია და არც არასოდეს მიფიქრია მისი დაწერა. მერე მე ცალკე გავიხმე მამაცოვი და უთხარი: „გეთაყვა, მითხარით რა უყოთ ამ ხალხს. ჭკუაზე ხომ არ შეშლილან, რა უნდათ მეთქი? მან მიპასუხა უგუნურად სჯიან და მათი მოთვინიერება ძნელიაო. ჩვენ არაფერს გვათქმევინებდნენ ხოლმე. მიკვირს, რომ ყოველი ხუმრობით წარმოთქმული სიტყვა საქმედ გადაუქცევიათ. მე იმათ სინამდვილეში დაუმტკიცე, რომ ყველაფერს ყოველგვარი სურვილისა და განზრახვის გარეშე ვლაპარაკობდით, რადგან მე არაფერი არ შემისრულებია: არავისთვის არ მითქვამს, რასაც ისინი ხშირად მთხოვდნენ, არ დამიწერია პროკლამაცია, არც კახეთში წავსულვარ, თუ კი მდომებოდა, ადვილად შემეძლო 28 დღით წავსულიყავ, მაგრამ ყველაფერზე სრულებით ხელი ავიღე და ყველას ცალცალკე ვეუბნებოდი იმათაც ხელი აეღოთ.

ამ საზოგადოებაში სხვებსაც ულაპარაკნიათ და მეც მითქვამს კახეთში გლეხებისაგან საჩივარი გამიგონია, შევიწროებასა სჩივიან მეთქი, თუმცა კახეთში ყოველთვის მესმოდა ხოლმე ვისგანმე საჩივარი, სახელდობრ ზაფხულში, მილიციას რომ აგროვებდნენ[1]. და ზაქათალაში ჰგზავნიდნენ, მაგრამ პირველი ჩემი სიტყვა იყო: „ნუთუ დაგავიწყდათ ძველი დრო, როცა სახლიდან გარეთ ვერ გამოდიოდით, თუ გამოხვიდოდით და ლეკებს ტყვედ უცვივდებოდით, ეხლა კი საცა გინდათ უშიშრად დადიხართ მეთქი, ხელმწიფეს უნდა ემსახუროთ მეთქი. ერთმა ღმერთმა იცის, რომ მე მათ ყოველთვის ამას ვეუბნებოდი.

ბოლოს დეკემბრის დამლევს, თუ დეკემბრის დამდეგს გავიგე, რომ ეს შეთქმულება მთლად მოისპო და არასოდეს ხმას აღარავინ ამოიღებს ამაზეო. მე უსაზღვროდ გამეხარდა, ღმერთს ელოცულობდით და სულგრძელ ხელმწიფის სახელს ვადიდებდი. მშვიდად ვცხოვრობდი.

სულგრძელობა და კაცთმოყვარეობა თქვენი მომიტევებს დანაშაულს, რომელშიც ჩემს ცხოვრებაში პირველად და ჩემი ჯამოუცდელობისა და უგუნურებისა გამო ჩავვარდი. შემიძლიან დაგარწმუნოთ და კიდეც დაგიმტკიცოთ, რომ ჩემგან ამის შესახებ ვეღა-

---

1 კახეთში სპარსელების შემოსევა უნდა იგულისხმებოდეს, ალბათ ის, რაც ალ. ჭავჭავაძის ჩვენებაშია მოხსენებული.

რავინ რას გაიგებს და მუდამ მზად ვიქნებოდი მოვკვდე რუსის მთავრობის უერთგულეს მონად, როგორიც აქამდეც ვყოფილვარ.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

1833 წლის 2 იანვარი.

თქვენ უწყით რაც ვუპასუხე კაპიტან თ. ჩელოყაევს, მე მას ვუთხარი აგრეთვე რომ მე ამ საქმეში გარეშე. კერძო პირი ვარ და უკვე მასში აღარ ვურევივარ მეთქი. მე მათ მომატყუეს, ბევრი ხელისმომწერლები აღმითქვეს, ჩემი მთავარი მიზანი გაზეთის გამოცემა იყო და არა საქართველოს განთავისუფლებაზე ფიქრი 1831 წელს და ამიტომაც მათი თანახმა ვიყავ.1832 წელს კი მინდოდა ისინი როგორმე მომეტყუებინა. შემოწირულება და რამე კარგი საქმე გამეკეთებინა, რისთვისაც ორდენს მივიღებდი. და ეს კი ვერ მოვახერხე. ყველანაირად ვცდილობდი მათგან განთავისუფლებას, ერთი სიტყვით მე არაფერი მიკეთებია და ბოლოს კიდეც მოისპო ეს საქმე. ამიტომაც იმედი მაქვს, რომ მაპატიებთ ამ ერთ დანაშაულს, რასაც სინანულით აღვიარებ. ეს ჩემთვის მომავალში გაკვეთილი იქნება და შემიძლიან ბევრი სარგებლობის მოტანა.

მასწავლებელი დ ო დ ა ე ვ ი.

4 იანვარი, 1833 წლის.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (11, 402 — 409)[1]

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე პატივი მაქვს უუპატივცემულესად შემდეგი განვმარტო: გასულ 1831 წელს პოდპორუჩიკმა თ. ელიზბარ ერისთოვმა მნახა თავისი მამის, აწ გარდაცვალებულის თ. შანშე ერისთოვის სახლში, გამიცნო და მთხოვა დავმეგობრებულიყავით. ამის შემდეგ ხშირად დაიწყო ჩემთან სიარული და მუდამ მთხოვდა მეც იმისთვის ასეთივე პატივი მეცა. ამასობაში ეროხელ მითხრა, რომ თუ მე საიდუმლოს შენახვა შემიძლიან, მაშინ იგი ერთ საიდუმლოებას გამიმეღაენებს და როდესაც მე ვუპასუხე შემიძლიან მეთქი, მან დაიწყო, რომ: მან და თ. ალექსანდრე ორბე-

---

1 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 4 იანვარს.

ლიანოვმა საკმაოდ ბლომად იშოვეს თავადები და საერთო ძალით აქ წინანდელი მართველობის აღდგენას ცდილობენ, მე ამ სიტყვებმა საკმაოდ გამაოცა, მაგრამ ის მარწმუნებდა, რომ ისინი თავადებს დაიყოლიებენ აჯანყების მოხდენაზე, მე უპასუხე ისინი რუსებს როგორ გაუმკლავდებიან მეთქი და ეს შეუძლებელი საქმეა მეთქი, ამის შემდეგ ის შინ წავიდა. შემდეგში ორჯერ კიდევ იყვნენ ჩემთან ის და თ. ალექსანდრე ორბელიანოვი, მაგრამ აღრეულობაზე არა ულაპარაკნიათ რა, იმავე წელს, იმაზე უწინ ვიდრე ისინი ჩემთან იქნებოდნენ, მე და თ. თეიმურაზ ამილახვაროვი ერთად ვიდექით, მაშინ მოვიდა ჩვენთან სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი, რომელმაც ცალკე გაიყვანა თ. თეიმურაზ ამილახვაროვი და რამდენიმე ხანს ესაუბრებოდა მას. მისი წასვლის შემდეგ ამილახვაროვი გამომიტყდა, რომ თ. ალექსანდრე ორბელიანოვს სხვა თავადებთან ერთად რუსების წინააღმდეგ ბოროტი განზრახვა აქვთ და მეც მთხოვა მათთან ერთად მონაწილეობა მივიღოო, მაგრამ რათა მათ თავი დავაღწიო, მინდა მალე შინ წავიდეო.[1] მე მოუწონე ეს აზრი და ურჩიე საჩქაროდ წასულიყო, ამასთანავე დაუმატე, რომ მათი განზრახვა უგუნურია მეთქი. იმავე წელს, როგორც მახსოვს, გაზაფხულზე თუ ზაფხულში ბაღებისაკენ გავისეირნე და ბოლოს შევედი თ. ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, სადაც დამხვდნენ თავადები: ელიზბარ ერისთოვი, ვახტანგ ორბელიანოვი, გიორგი ერისთოვი, მასწავლებლები: ყიფიანოვი და ავთანდილოვი, დავინახე თუ არა ისინი, მათკენ გავემართე, შემდეგ მოვიდა თ. ალექსანდრე ორბელიანოვი. მაშინ ისა და თ. ელიზბარ ერისთოვი მოჰყვნენ რუსეთის მთავრობისაგან მიყენებულ შევიწროებაზე, პოლონეთის აჯანყებაზე და ამბობდნენ ქართველებიც უნდა აჯანყდნენ რუსეთის წინააღმდეგო, პირველ ყოვლისა კი არსენალი და ხაზინა უნდა ხელთ ვიგდოთო, ამასთანავე თქვეს, რომ ვინც მათ ამის შესრულებაში ხელს შეუშლის, იგი მათი შურისძიების მსხვერპლი გახდება. მაშინ მე ცოტა ხნით მოვშორდი მათ და ბაღში გავიარე, ამ ხანში რა ილაპარაკეს არ ვიცი, მაგრამ როცა დავბრუნდი, ვნახე იმავე საგანზე მსჯელობდნენ, მერე შინ წავიდ-წამოვიდნენ. მეორეჯერაც ვიყავი იქვე და მაშინ მათ თავადებთან პორუჩიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან, ზაქარია ციციანოვთან, გიორგი ერისთოვთან და ლუარსაბ თარხანოვთან ერთად, იმავე საგანზე მსჯელობდნენ. მაგრამ ვინ რა სიტყვებით ლაპარაკობდა, ამის გადმოცემა არ შემიძლიან, რადგან არა მაქვს მტკიცე მეხსიერება, კარგა დროც არის მას შემდეგ განვლილი და აღარ მახსოვს,

---

[1] თეიმურაზ ამილახვარი სოფლიდან იყო ჩამოსული.

მათი საუბრის საგანი კი ზემოთგანმარტებული აზრები იყო. 1832 წელს თ. გიორგი ერისთოვმა კახეთიდან ჩამოიტანა რაღაც ქაღალდი, რომელშიაც ეწერა მეგობრობის მოპოვებისა და ხელმწიფის ერთგულების დაცვის წესები, რაც მან მე წამიკითხა და მითხრა, რომ მას იგი იერომონახმა კიკნაძემ გადასცა. იმავე წელს პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი მოვიდა ჩემთან „ექსპედიცია სუდა ი რასპრავაში“ და მთხოვა სადილად მასთან მივსულიყავი, სადაც ექსპედიციიდან გამოსული მივედი. იქ დამხვდნენ: სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, მისი ძმა ვახტანგი, თვით ელიზბარ ერისთოვი, რაზმაძე და მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი. სადილ შემდეგ აქაც ელიზბარსა და ალექსანდრეს ისეთივე მსჯელობა ჰქონდათ, როგორც ზევით არის განმარტებული, ამასთანავე რაზმაძეს, რომელიც სპარსეთში მიემგზავრებოდა, დაავალეს გამოენახა ღონისძიებანი მათი განზრახვისთვის ხელის შესაწყობად, ამის შემდეგ დავიშალენით. იქ ნალაპარაკევი დაწვრილებით უნდა ახსოვდეთ მასწავლებლებს ავთანდილოვსა და ყიფიანოვს. სადაც შევხვდებოდი თ. ელიზბარ ერისთოვს, ყოველთვის მაყვედრიდა, რომ მე მათ ამ საქმეში არ ვეხმარები და არ დავიარები მათთან, მე კი უარს ამით ვეტყოდი ხოლმე მე რა დახმარების გაწევა შემიძლიან მეთქი. იმავე წელს ერთხელ შინიდან ექსპედიცია სუდა ი რასპრავაში რომ მივდიოდი და სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სახლისაკენ (რომელიც ექსპედიციის პირდაპირ დგას) ჩავიარე, შემომეყარა თ. დიმიტრი ერისთოვი და მთხოვა მასწავლებელ ავთანდილოვთან წავყოლოდი, მეც პატივი ვეც და წავყე. მაგრამ ავთანდილოვი შინ არ დაგვხვდა, ამიტომ უკანვე გამოვბრუნდით და რადგანაც ექსპედიციაში მინდოდა მისვლა, ამიტომ ისევ ორბელიანოვის სახლს ჩავუარეთ. თ. ვახტანგ ორბელიანოვი ეზოში იდგა, დაგვინახა და ჩაიზე მიგვიწვია, ჩვენც შევედით მის სახლში, სადაც დაგვხვდნენ მისი ძმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვი, თ. ელიზბარ ერისთოვი და გვარდიის კაპიტანი თ. ჩოლოყაევი, შემდეგ შემოვიდნენ მასწავლებლები დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი, მერე მოვიდა სოფლიდან ჩამოსული კორნეტი თ. გიორგი ერისთოვი. ამის შემდეგ ჩაი მოიტანეს, და რადგან უკვე გვიან იყო, ალექსანდრე ორბელიანოვმა, როგორც ოჯახის უფროსმა, ყველას ვახშმად დარჩენა გვთხოვა, ამასობაში ელიზბარმა დაიწყო, რომ ეხლა დროა რუსების წინააღმდეგ ავჯანყდეთო, რადგან ბარონი[1] მთელი ჯარით საჩეჩნეთშია, ხოლო მისი თანმხლები თავადები ჩვენთვის საშიში გახდებიან: მათ ხომ მთავრო-

[1] როზენი.

ბა მოეფერება და ჯილდოებსაც მიიღებენო. ალექსანდრე შეეკითხა თ. ჩოლოყაევს, როცა ის გიორგი ერისთოვს ესაუბრებოდა, — ზაქარიავ! სამი ათასი სასწაულის მოხდენა არ შეიძლებაო? ელიზბარმა უპასუხა, რომ ქართლელებს ის უდგება თავდებად, კახელებს კი — დოდაევი. რათა ასეთ უგუნურებაზე ხელი აეღოთ, მე ვუთხარი მათ, რომ ისინი შეუძლებელს ლაპარაკობენ და რომ ისინი საზოგადოებაში არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ რადგან ისინი ჩემს აზრზე ვერ დავითანხმე, კვლავ ვუთხარი ჯერ ძალიან ადრეა მეთქი, მეგონა შემდეგში მოინანიებდნენ ამ საქმეს, და ვცდილობდი მათი აზრი უარმეყო, მაგრამ ელიზბარმა მრისხანედ თქვა: ვინც კი გაბედავს მათი განზრახვის აღსრულებას ხელი შეუშალოს, თვითონ პირველი ჩასცემს მას გულში ხანჯალს. მე იძულებული გავხდი გაჩუმებულიყავი, თ. ჩოლოყაევიც ბევრს ლაპარაკობდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლის შეუძლებლობაზე, რომ მან ნახა პოლონეთში რუსის ძალა და ჩვენ მის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებითო, ელიზბარი ისე ლაპარაკობდა, თავადები კენჭის ყრისთვის[1] რომ შეიკრიბებიან, მათ მაშინ თან ხალხი ეყოლებათ და მათი საშუალებით შეიძლება ვიმოქმედოთო, საჭიროა მხოლოდ ვეცადნეთ მათ დავუმეგობრდეთო. უკვე როდესაც ჰნიშნავდა: ნოემბრის 20-ს, ალექსანდრე ამბობდა ტფილისში 2000 კაცამდე ვიშოვიო, შემდეგ ეს ორნი მოგვიბრუნდნენ — მე, დოდაევს, ყიფიანოვს და ავთანდილოვს და გვითხრეს, რომ ჩვენ დავამზადოთ პროკლამაცია. მარტო დოდაევმა განაცხადა თანხმობა, წამოდგა და თქვა რომ: თუ ისინი არაფერს იზამენ, იგი თვითონ მარტოდ მარტო მოახერხებს ყველაფრის გაკეთებას და მერე სირცხვილი თავადებს, რადგანაც ერთი მისი სიტყვა საკმარისია, რომ მთელი სიღნაღის მაზრა მას გაჰყვეს. ბოლოს მე, ყიფიანოვი და ავთანდილოვი ერთად გამოვედით და გზაში მე მათ ვუთხარი ისინი გიჟები არიან მეთქი, პოლონეთი ხომ ჩვენთვის ცოცხალი მაგალითია მეთქი, ვარწმუნებდი, რომ მე სრულიადაც არა მსურს უგუნურებთან ერთად დავიღუპო მეთქი. ამასთანავე ამათ დიდხანს ველაპარაკე იმათს უგუნურებაზე და ბოლოს ვურჩევდი მათ ჩამოშორებოდნენ. ამათ მითხრეს, რომ თვითონაც ამ აზრისავე არიან, მაგრამ ეშინოდათ ამის გამეღავნება, ამასთანავე უკანასკნელმა ამათგანმა თქვა, რომ მან ერთხელ მათ კრებაზე წინააღმდეგის თქმა გაბედა და მათ უყვირეს, რის გამოც იძულებული გახდა გაჩუმებულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ბატონ ყიფიანოვს და მოვიწვიე ბინაზე. სადაც ვუთხარი, თავადებს მთავრობის წინააღმდეგ რაღაც უსამართლო განზრახვა

---

[1] თავად-აზნაურთა არჩევნები იგულისხმება.

აქვთ და ჩვენ კი როგორც აზნაურები უნდა ყოველნაირად ვეცადოთ მთავრობის ერთგულნი ვიყვნეთ მეთქი და ვურჩიე მას საბოლოოდ ჩამოშორებოდა მათს უგუნურ შეკრებილობას. რაზედაც მიპასუხა, მეც სწორედ მაგისთანა განზრახვა მაქვსო და აღმითქვა ამის შესრულება. შემდეგ ექსპედიციის ჭიშკართან შემომეყარა თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და ვუთხარი ურჩიოს თ. ელიზბარ ერისთოვსა და სხვებსაც, რათა მათ თავიანთ სისულელეზე ხელი აიღონ, თორემ სასტიკ სასჯელს ვერ აიცდენენ მეთქი. მან მიპასუხა, რომ ის თვითონ ცდილობს მათ ამგვარ საქმეზე ხელი აალებინოს, ამასთანავე მითხრა, რომ მათ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს კაცი მიუგზავნეს, მაგრამ მას უარი უთქვამს და უპასუხნია, რომ რუსების გულისთვის სიკვდილს ამჯობინებს. იმდღიდან, მე რომ ორბელიანოვის სახლში ვიყავ, მათ ჩემზე დიდი იჭვი მოიტანეს და ყოველნაირად ცდილობდნენ დაეფარათ ჩემთვის თავიანთი მოქმედება, მე კი სრულებით ჩამოვცილდი მათ და ამის შემდეგ რასა ლაპარაკობდნენ ან რას აკეთებდნენ მე სრულებით არ ვიცი. თუმცა მსურდა გამომეცხადებინა მთავრობისათვის მათი განზრახვა, მაგრამ ვერ გავბედე. როგორც ჩემი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის, ისე იმის გამოც, რომ ამისთანა საქმისთვის უტყუარი საბუთებია საჭირო, რომლის გარეშეც მე ამის გულისთვის პასუხისგებაში მივეცემოდი. მეშინოდა აგრეთვე როგორც იმათი თვითონ, მათი ნათესავების შურისძიებისაც. რაც შეეხება იმას, რომ მე ცუდი რამ განზრახვა არ მქონია, ეს შემდეგი გარემოებებითა მტკიცდება: ა) ვცდილობდი ხელი ამეღებინებინა მათთვის ამ ბოროტ განზრახვაზე და ამ მიზნით ველაპარაკე იმათ ყველას ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში და თვით ალექსანდრეს ექსპედიციის კარებთან; ბ) ჩემი ეს განზრახვა გამოვუცხადე ბ. ბ. ყიფიანოვსა და ავთანდილოვს; გ) როგორც კი გავიგე მათი განზრახვები, იმავე წუთითიდან ყოველნაირად ვცდილობდი თავი დამეღწია მათი კრებისაგან; დ) არსად და არასოდეს მე მათი განზრახვა არ მომიწონებია, პირიქით მათ ყველაფერში ხელს ვუშლიდი; ე) მე, როგორც ქართველ აზნაურთაგანს, არავითარი საბაბი არა მქონდა მთავრობისადმი უკმაყოფილებისთვის, რადგან ჩვენ ეხლა თავადთა თანასწორი უფლებები გვაქვს მონიჭებული, მხოლოდ ეხლა ვართ დაფარული მათი თვითნებობისაგან; ქართული მართველობის დროს მე უეჭველად რომელიმე ძლიერი თავადის ყმა ვიქნებოდი, რადგან მოხუცებული ხალხისგან გამიგონია წინათ მხოლოდ ძლიერის უფლება არსებობდაო და თავადები ხან ძალით. ზოგჯერ კი მეფის თანხმობით თავადებს ბატონებად უდგებოდნენ, ეხლა მე დიდი იმპერატორის სამსახურში ვარ,

რომელსაც ძალუძს სურვიელისამებრ დაამხოს მსოფლიოს ყველა მფლობელი და მისი საფარველის ქვეშ ჰყავაის ჩვენი სამშობლო.

ზემოთ მოთხრობილი ბოროტების ჩადენაზე ფიქრი მხოლოდ ქართველ ბატონებსა და მეფის ლისხლის შთამომავალთ შეუძლიათ იფიქრონ, რადგანაც ისინი შეურაცხყოფილი არიან იმით, რომ ეხლა აზნაურებს მათი თანაბარი უპირატესობანი გვაქვს მონიჭებული როგორც სამსახურში ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ დაკარგეს აგრეთვე საქართველოს მთავრობის დროს ნაბოძები მემკვიდრეობითი თანამდებობანი და სხვა საპატიო წარჩინებანი.

განვმარტე რა ყველა ზემოაღნიშნული სრული გულწრფელობით, მაქვს სასოება უავგუსტესის მონარქისა ჩვენისა და ბ.ბ. კომისიის წევრთა ქველმოქმედებისა, — რადგან არა მქონია არავითარი ბოროტი განზრახვა, — მომენიჭება თავისუფლება, რათა შევძლო ერთგული სამსახური და ვამტკიცო თავგანწირვა ჩემი.

კანცელიარისტი იოსებ ქაიხოსროს ძე მ ა მ ა ც ო ვ ი.

თ. გიორგი ერისთოვმა მაჩვენა აგრეთვე საიდუმლო ანბანი და მითხრა, რომ მას იგი იერომონახ კიკნაძემ გადასცა, რომელმაც თურმე უთხრა, თუ რამე მომწერო ამ ანბანით მომწერეო; მაშინ მე ვუთხარ ეს ანბანი ანტონ კათალიკოზის მოგონილი უნდა იყოს მეთქი; მაგრამ მე ეს ანბანი არც მისწავლია და არც ვისთვისმე იმით რამე მიმიწერნია.

კანცელიარისტი მ ა მ ა ც ო ვ ი.

4 იანვარი
1832 წ.[1]

იმაზე უწინ, ვიდრე თ. ელიზბარი მეტყოდა, თ. გიორგი ერისთოვიც მოითხოვდა ჩემგან სიტყვას, რომ არავისთვის რა მეთქვა და ის საიდუმლოს განმიცხადებდა. როცა შევპირდი არავის გაუმხელ მეთქი, მაშინ მითხრა: თავადები აჯანყებას აპირებენ და შენც თუ გინდა, შეგიძლია მონაწილეობა მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩუმად იყავი და ნურაფერს იტყვიო, მე ეს არ დავიჯერე; მერე მითხრა, რომ ამ საქმეზე სხვა და სხვა პარტიები არსებობსო, ხოლო როცა ვკითხე რა პარტიებია მეთქი, მიპასუხა სხვა და სხვა პარტიებიო, მაგრამ რა პარტიებია ის კი არ უთქვამს.

კანცელიარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

„4" იანვარი.
1832 წ.

1 1833 წელი უნდა იყოს.

იესე ფალავანდიშვილის ჩვენება (111, 410—411)[1]

გამახსენდა რა ზოგიერთი გარემოება, ვუცხადებ საგამომძიებლო კომისიას 1833 წლის იანვრის 3-ს.

დეკემბრის სამს საღამოს ჟამზე ჩემთან იყვნენ გვარდიის კაპიტანი ჩოლოყაევი, ბიძინა და გიორგი ერისთოვები, ალექსანდრე ორბელიანოვი, კაპიტანი ჩოლოყაევი ამბობს: „პეტერბურგში ხშირად დავიარებოდი ქართველ ბატონიშვილებთან, აღარ მახსოვს იულონისა თუ ივანე ბატონიშვილისა თქვა. თურმე უთქვამს ხან და ხან ისეთ გულზე მოვდივარ, რომ მზად ვარ ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როცა იგი ნევის გამზირზე დასეირნობსო.

არ მახსოვს სადა და სახელდობრ ვინ მითხრა, მაგრამ ამ სამთ გიორგი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთაგან ერთ-ერთმა მითხრა პარიზში ერთი ფრანგია, რომელმაც ქართული სიგელ-გუჯრების წაკითხვა იცის და არ ვიცი იულონ თუ ივანე ბატონიშვილთან მიმოწერა აქვსო[2].

შარშანაც და წელსაც ვეუბნებოდი აზნაურ სტეფანე ლორის მელიქოვს: ერთი დიდი საიდუმლოება ვიცი და ჩემი ძმა რომ ჩემთან კარგ განწყობილებაში იყოს დაწვრილებით გავუმხელდი მეთქი, ხოლო რადგან არ გამაჩნია ისეთი ხალხი რომ მე მხარი დამიჭირონ, ამიტომ მეშინიან აქ ვისმე გაუმხილო მეთქი და რჩევა ვთხოვე იმასაც და ნადვორნი სოვეტნიკ ნიკოლოზ არღუთინსკისაც. მან მიპასუხა ეგებ შენმა ძმამ გუნება გამოიცვალოს და მაშინ ვუთხრაო. არღუთინსკიმ აღმითქვა, რომ ბ-ნ კორპუსის უფროსთან წარმადგენდა.

არღუთინსკის სიკვდილის შემდეგ ჯერ ისევ ნოემბერში შეთქმულება გავუმხილე ამირალოვს და ვაჩვენე ჩემი შენიშვნები ამ საქმის უკეთ დამახსოვრებისათვის, რაც ქაღალდზე ან კედელზე მქონდა დაწერილი. მაგრამ რადგანაც ხელმწიფის სახელწოდების დღესასწაული მოახლოებული იყო და კორპუსის უფროსი საღამოს (бал) მართავდა, ამიტომ არ მინდოდა ჯერ ეს ამბავი მეცნობებინა და ამირალოვმაც მირჩია დღესასწაულის მეორე ან მესამე დღეს გაუმხილეო[3]. ამასთანავე ვთხოვე მას გაეგო სად იმყოფებოდა მოლა ხამანა. იერომანახ ფილადელფოსზე ჩვენს საზოგადოებაში ამბობდნენ,

---

[1] მიღებულია კომისიაში 1833 წლის 4 იანვარს.

[2] იგულისხმება მ. ბროსე, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილთან ჰქონდა მიმოწერა და რომლის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა დადასტურებულია. (იხ. 1832 წლ. შეთქ. ტ. 1, გვ. 38-39).

[3] ამ ჩვენების სიყალბე თავისთავადაც ცხადია და სათანადო ჩვენებებითაც დასტურდება.

რომ მას აჯანყების დროს ხატს მისცემდნენ ხელში და ხალხს წარუძღვებოდა. პეტერბურგიდან ჩამოსულმა თავადებმა ყველამ გაიცნეს იერომანახი ფილადელფოსიცა და წინამძღვარი ტარასიც.

თავადი იესე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (111, 412)[1]

როგორც ადრე მქონდა პატივი მომეხსენებინა კომისიისთვის, როცა ქართველ ბატონიშვილებთან მივიდოდი ხოლმე, ისინი მე მერიდებოდნენ და მათგან არა თუ მისი უაღმატებულესობის მეფის ოჯახზე, არამედ თვით მთავრობაზეც კი არაფერი გამიგონია, ამიტომ მე არა თუ ამის შესახებ არსად რისიმე თქმა არ შემეძლო, არამედ ეს ფიქრადაც კი არ მომივიდოდა, რადგან მე საერთოდ გაგონილი მაქვს ისინი მთავრობის ძლიერ კმაყოფილნი არიანო.

კაპიტანი თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი

1833 წლის
იანვრის 4.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (111, 426—427)[2]

არ მახსოვს სად იყო, ერთხელ კაპიტანი ჩელოყაევი ამბობდა ერთი ბატონიშვილთაგანი (სახელი არ მოუხსენებია) ძალიან გულფიცხიაო.

ერთხელ მე და თ. ელიზბარ ერისთოვი მივედით ფალავანდოვთან, რომელმაც გვითხრა ხალხი უკვე მზადა მყავსო და მოწმედ თ. ზალიკო ყორღანოვი წარმოგვიდგინა, არ მახსოვს, ეგების მე მას ვუთხარ რამე, იმან კი გვითხრა ხალხის თაობაზე არხეინად იყავითო და თ. ფალავანდოვის სიტყვები დაადასტურა, რომელიც ამბობდა ზალიკომ სპარსეთში (ირანში) ყოფნის დროს ალექსანდრე ბატონიშვილი ინახულაო[3].

არ მახსოვს სად გავიგონე თ. გიორგი ერისთოვმა კახეთიდან ჩამოიტანაო წიგნი: დაწვრილებითი დარიგება, თუ როგორ უნდა

---

1 მიღებულია კომისიაში 4 იანვარს, 1833 წ.

2 მიღებული კომისიაში 1833 წლის 6 იანვარს.

3 ეს ფაქტი საგამომძიებლო კომისიას, სამწუხაროდ, არ გამოურკვევია.

მოვქცეულიყავით შეთქმულების შედგენის დროს, მაგრამ მე იგი არ მინახავს.

ლეიბ-გვარდიის გუსართა რაზმის კორნეტი ერისთოვი.

იანვრის 6.
1833 წ.

ამასთანავე მომაგონდა აგრეთვე, რომ სადღაც ერთ ჩვენს კრებაზე ვიღაცამ თქვა, როცა აქ გადატრიალება მოხდება, იარალი შანშიევი[1] მივა ბატონიშვილთან და სასაცილო კილოთი უამბობსო. იმის შესახებ კი, თითქოს ფული მოეგროვებინათ და თ. პავლე თუმანოვისთვის მიებარებინათ, მე არა გამიგონია რა და ამ უკანასკნელისათვის შეთქმულების გამოცხადება კიდეც გვეშინოდა. ის კი ვიცი, რომ პირველი შემთხვევისათვის თ. ფალავანდოვი საკუთარ ფულს გვთავაზობდა. ბატონიშვილთან მყოფი აღნიშნული შანშიევი განთქმულია თავისი ხუმრობით, იცოდა თუ არა მან შეთქმულება, მე არ ვიცი, არც იმას უთქვამს ჩემთვის რამე.

არ ვიცი, თქვა ვინმემ თუ არა, თითქოს პეტერბურგიდან ჩვენ ამ განზრახულების გამო ჩამოვედით, ოღონდ თ. ფალავანდოვი გვიამბობდა, რომ მას უთქვამს თ. ლუარსაბ ორბელიანოვისათვის, თითქოს ჩვენ იმათ აქედან დაგვიბარეს.

ლეიბ-გვარდიის გუსართა რაზმის კორნეტი
თავადი ერისთოვი.

6 იანვარი
1833 წ.

ზაალ ყორღანაშვილის ჩვენება (111, 432)[2]

წინა ჩვენებაში ვერ მოგახსენეთ ზოგიერთი ჰაზრი, რომელსაც ახლა აქა ვწერ. როდესაც გამომეცხადა მე განწყობილება იასე ფალავანდოვისა რომ არეულობა უნდა მოახდინონ და რაც დიდრონი კაცები არიან აქა დახოცონ. მაშინ მე ვკითხე იმას მაშ ვინ უნდა იყოს

[1] იარალი შანშიევი პეტერბურგში გადასახლებულ ფარნაოზ ბატონიშვილს ახლდა თან როგორც მასხარა, რაც საქართველოს სამეფო კარის და დიდ თავადთა სასახლის ჩვეულება იყო. გრიგოლ ორბელიანმა თავისი ცნობილი ლექსი „იარალისადმი“ ამას მიუძღვნა.

[2] მიღებულია კომისიაში 1833 წლის 6 იანვარს.

აქ უფროსი და ბრძანებელი. იმან მითხრა რომ არეულობის მეორე მესამე დღეს მოვაყვანინებთ აქ ბატონიშვილს ალექსანდრეს რომელთანაც კაცი გვეყოლება წინათვე გაგზავნილი და ამ დაწყობილებას ადვილად შევასრულებთ, რადგანაც ყოველ ხრიდამ[1] კაცები შოგვივლენ და ყველანი გულდამწვარნი არიან რუსებისაგან. მერე მე უთხარ ერევანში რომ ჯარია და ნახჩივანში[2] და სხვა ალაგებში იმას რას უზამთ, იმან მითხრა რომ როცა აქაურს მხარეს დავიჭერთ მაშინ იმათი საქმეც ადვილია, იასეს საყოველთაო კამპანიაში იყო ანტონ აფხაზოვიცა. ხელს ვაწერ ზაალ ყორღანოვი. იანვრის დ-სა (4) წელსა ჩყლე (1833).

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (111, 452)[3]

1833 წლის იანვრის 7-ს.

მახსოვს აგრეთვე ოქტომბრის დამდეგს მე, ჩემი ძმა ელიზბარი და გიორგი ერისთოვი ვიყავით ტარასი ბერთან, რომელსაც გამოვუცხადეთ ჩვენი საქართველოს განთავისუფლების აზრი და რჩევა ვთხოვეთ, მან კი ჯერ სიცილი დაგვაყარა და მერე გვითხრა უფროს ხალხს დაეკითხენითო, თუმცა თან გვირჩია გაუფრთხილდით ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე ფიქრსაო. შემდეგ საერთო საუბარი დავიწყეთ და მალე კიდეც წამოვედით. ტარასი ბერს პეტერბურგში ყოფნის დროს ვერ ვიცნობდი, მინახავს კი იგი თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომლის სახლშიც ის ცხოვრობდა, ორიოდეჯერ ვნახე ფარნაოზ ბატონიშვილთანაც, რომლის სულიერი მოძღვარიც ყოფილა იგი წინათ. ამ ბერთან ძალიან იშვიათად მქონია საუბარი, არასოდეს მასთან არ მიხუმრია და არც ბერებისთვის დამიცინია[4].

არტილერიის პროპორშჩიკი თ. დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

---

1 ასე ხმარობს ამ სიტყვას.

2 ნახიჩევანი.

3 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 7 იანვარს.

4 ტარასი ბერმა თავის ჩვენებაში (იხ. მომდევნო ჩვენება) მოიჩივლა ეითომც აღნიშნული ახალგაზრდები მას ყოველთვის დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ, სერიოზული მისთვის არასოდეს რა უთქვამთ და არც შეთქმულების აზრი გაუზიარებიათ. დიმ. ერისთავმა ამ სიტყვებით ტარასის სიყალბე ამხილა, თავისდაუნებურად, რასაკვირველია.

მღვდელ-მონაზონი ტარასის ჩვენება (111, 454)

ქ.[1] სპასო-პრეობრაჟენის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტარასი სამღვდელოდ ვაჩვენე ღენვარის[2] ე-ს (5), 1833 წელსა. ჩტო თავადნი ერისთოვნი ელიზბარი დიმიტრი ჯა გიორგი იყვნენ ჩემთან სამნივე ერთად სადილათ ორი თვე იქნება მას აქეთ. მომიკითხეს ვითარცა არს გარყვნილთა კაცთა ჩვეულება ბერების მასხარად აგდებისა და სთქვეს, პეტერბურღში ერთმანეთის წინააღმდეგნი ვიყვენინ, ახლა აქ ჩვენს მამულში უნდა მეგობრები ვიყვნეთ და შევრიგდეთ ახლაო, ამისთვის იყვნენ წინააღმდგომნი ჩემნი და მაგინებელნი რომ ქართველებში საცა შეხვდებოდით ხოლმე, ვინც პეტერბურღში ცხოვრობენ მათთან რომ მივიდოდი და ეგენიც იქ დამხვდებოდნენ, სიცილს და მასხარაობას მოჰყვებოდნენ და ყოვლად სამღვდელო დოსითეოსის ლანძღვას დაიწყებდნენ ხოლმე და ეგრეთვე ზოგად ყოვლის ბერებისას და მე ამისი მსმენელი ვეწინააღმდეგებოდი და შეძლებისამებრ ჩემისა ვესარჩლებოდი მონაზონებს და ამის მიზეზისათვის მდევნიდნენ და მაგინებდნენ და მასხარად მიგდებდნენ და როდესაც აქ გადმოვიდნენ, როგორც ზემოთ ვაჩვენე იყვნენ ჩემთან და ისრე მითხრეს აქამდის წინააღმდეგნი ვიყვენით ახლა მეგობრები უნდა ვიყვნეთო. გთხოვთ ჩვენთან მოდი საცა ვდგევართ თუ იკითხავ ყველანი გასწავლიანო, მე თუმცა აღუთქვი მისვლა, მაგრამ არც მივსულვარ და დღესაც არ ვიცი სად დგანან, და ამის მეტი არც არა უთქვამსთ და არც არა ვიცი რა, და თუ გულში უდევთ რამე არც ის ვიცი და რას აპირებდენ. იგინი იყვნენ ჩემთან სამნი და მეოთხე მე ვიყავი, აღრეულობის და ბუნტისათვის ჩემთვის არა უთქვამსთ რა და არც არა დაუპატიჟნივართ და არც არაზე თანახმა ვყოფილვარ და არც არა მირჩევია რა. მკ აქედან წამიყვანა მიტროპოლიტმან განსვენებულმა ვარლამმან რომელსათანაც ვცხოვრობდი რვა წელიწადი ნევსკის ლავრაში, 1825 როდესაც დანილოვის მონასტერი უბოძა ხელმწიფემ მოსკოვს, იქ წავიდა და წამიყვანა სადაც ვიცხოვრე ათს თვემდის. შემდეგ ეთხოვნა ცარევიჩს თეიმურაზ მიტროპოლიტის ვარლამისთვის მღვდელი აღარ მყავს, თქვენთვის საჭირო აღარ იქნება თქვენი ბერი მე გამომიგზავნეთ მანამ მღვდელს ვიშოვიდეო, იქ წავედი 1826 წელს და იმასთან ვიყავ და აღვასრულებდი სახლის ეკლესიაში სამღვდელო მსახურებას მიტროპოლიტის სერაფიმის ბრძანებით და კან-

---

[1] ძველად ყოველივე საბუთს ასე აწერდნენ: ქ. (-ქრისტე).

[2] ე. ი. იანვრის, რუსულადაც და ამ საბუთებშიც იმ დროს საერთოდ ასეა ნახმარი.

ცისტორიის[1] ქაღალდით ოთხი წელი და იქიდან მოვედი მე თვით ხოლერობის დროს. როდესაც ვიყავ პეტერბურღსა და მოსკოვს არა გამიგონია რა საწინააღმდეგო საქმე მმართველობისა, ყოველივე ესე მე დავწერე ჩემის ხელით და ჩემი ხელია.

მღვდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

ცნობა ლეონ ჩხეიძის შესახებ (111, 460)[2]

იმერეთის სოფელ სიმონეთის მცხოვრები ლეონ ჩხეიძე — ოსმალეთში ჰაჯი-მაჰმადად წოდებული — 12 წლის წინათ ლეკებმა სიმონეთიდან ტყვედ წაიყვანეს და მიჰყიდეს ახზიაჩიხს, რომელიც მაშინ ხერთვისში ცხოვრობდა. მექადან აკკის გზით გაემართა იმ განზრახვით, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო და კვლავ ქრისტეანობა მიეღო. აკკაში მდივანმა-ეფენდიმ (მისი სახელი აღარ ახსოვს) მას გადასცა ორი წერილი და უბრძანა ერთი ამილახვაროვისათვის, მეორე კი — დავით მუხრანბატონისათვის გადაეცა და აღუთქვა ჯილდო, თუკი იგი ისევ ოსმალეთში დაბრუნდებოდა. ტფილისს რომ მოუახლოვდა, გაიგო რომ ქალაქში შემსვლელს ყველას ჩხრეკენო, მან წინდახედულობისა და შიშის გამო ორივე წერილი დახია და გადაყარა.

სწორეა: შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი
გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (111, 462)[3]

მღვდელ მონაზონ ტარასისთან ყოფნის თაობაზე შემდეგს განვმარტავ: ტარასის სენაკში რომ შევედით, ის იქ არ დაგვხვდა, მაგრამ, მაშინათვე სხვა ოთახიდან შემოვიდა. ჩვენ ჩვეულებრივ ხელზე ვემთხვიეთ. ჯერ არ მახსოვს რაზე ვისაუბრეთ, შემდეგ კი ელიზბარი მოჰყვა აღრეულობის შესახებ. ტარასის პასუხი ადრეგე მოგახსენეთ. ამის შემდეგ წამოვედით, სახუმარო საუბარი არ გვქონია, არც ტარასისა და არც სხვა ბერებისთვის არ დაგვიცინია. არ დაგვიპატიჟნია იგი ჩვენთან მოდიო. ამის შემდეგ ტარა-

---

1 კონსისტორიის.

2 მიღებულია კომისიაში 8 იანვარს, 1833 წ.

3 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 8 იანვარს.

ში ვნახე სოფეტნიკად ყოფილ თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან და თამარ ბატონიშვილთან, სადაც იყო ტარასის ძმა დეკანოზი დიმიტრი ალექსეევი და რამდენიმე სხვა კაცი, რომელთა ვინაობაც არ მახსოვს.

პეტერბურგში ტარასის ვხედავდი ხოლმე, როცა იგი საეკლესიო წესის შესასრულებლად მოდიოდა ხოლმე ფარნაოზ ბატონიშვილთან. განსაკუთრებული რამე საუბარი მასთან არა მქონია. ბერებისა და არქიეპისკოპოზ დოსითეოზისთვის არასოდეს არ დამიცინია, ისე როგორც თვით ტარასისთვის არ დამიცინია. იყო თუ არა იგი ფარნაოზ ბატონიშვილის მოძღვარი, არ მახსოვს.

ლეიბ-გვარდიის გუსართა რაზმის კორნეტი თ. ერისთოვი.

იანვრის 8.
1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (111, 464) [1]

იანვრის 3-ს კომისიის შეკითხვაზე ბერი ფილადელფოსისა და პროპორშჩიკ გიორგი ერისთოვის თაობაზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

გასულ 1832 წელს პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი დაბრუნდა კახეთიდან (სადაც განსვენებული თ. ჩელოყაევის გვამი გააცილა) და თან ჩამოიტანა ორი ოთხად გადაკეცილი და ერთად შეკერილი თაბახი-თხზულება, რომელიც შეიცავდა მსჯელობასა და ნარკვევს უწმინდეს, უბიწო სიყვარულსა და მეგობრობაზე[2]. მე იგი წავიკითხე და ისევ პროპორშჩიკ გიორგი ერისთოვს დაუბრუნე. ეს თხზულება დაწერილი იყო, როგორც გ. ერისთოვმა გადმომცა, ვინმე ფილადელფოს ბერისაგან, რომელსაც ვერ ვიცნობ და არც არასოდეს მინახავს.

აგრეთვე განვმარტავ: ერთხელ დილით მღვდელ მონაზონ ტარასისთან შევედით, იგი სენაკში დაგვხვდა, აქვე, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე გამოვუცხადეთ მას ჩვენი განზრახვა არეულობაზე, მან გვიპასუხა, რა საჭირო იყო ჩემთვის მაგის გამხელა, მე რა დახმარება შემიძლიან, სასულიერო კაცი ვარ და საერო საქმეებში არ ვერევიო. ჩვენ ყველანი ზრდილობიანად ვიქცეო-

---

1 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 4 იანვარს.

2 აქტი გონიერზეა ლაპარაკი

დით და მოწიწებით მას ხელზე ვემთხვიეთ, ჩვენ არ დაგვიცინია არც მისთვის და არც საერთოდ პერებისათვის, სხვა საუბარი არა გვქონია. მასთან ათ წუთზე მეტი არ დავრჩენილვართ. ს. პეტერბურგში საარტილერიო სკოლაში ვსწავლობდი და ტარასი ბერს თვეში ერთხელ, ხან კი უფრო იშვიათად ვნახულობდი, მასთან ყოველთვის ჩვეულებრივი საუბარი მქონია და არასოდეს არც მისთვის და არც მიტროპოლიტ დოსითეოსისთვის არ დამიცინია.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

8 იანვარი
1833 წ.

როცა ტარასი ვინახულეთ, მე არ დამიპატიჟნია იგი ჩემთან და ამის შემდეგ აღარც მინახავს იგი.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

ბორჩალოს დისტანციის სოფ. გიულიერის თათარ ყადიმ ნაღდალ-ოღლის ჩვენება (111, 500)

საგამომძიებლო კომისიაში გამოძახებულმა ბორჩალოს დისტანციის სოფ. გიულიერის მცხოვრებმა თათარმა ყადიმ ნაღდალ-ოღლიმ ჯერ აჩვენა, რომ მოლა ზამანას ვერ იცნობს და ორი თვის წინათ ქალაქში მარტო ჩამოვიდა საკუთარ საქმეზე. და აქ არც მოლა ზამანა და არც შიხილ-ალია არ უნახავს. ამ უკანასკნელის მიერ მხილებულმა კი აღიარა, რომ ნახა აქ მოლა ზამანა და შემდეგ გამოტყდა რა თანდათან, აჩვენა: ტფილისში ჩამოსვლის წინა დღით იგი, ყადიმ ნაღდალ-ოღლი, იყო სოფელ ჰასან-ჰაჯალუში თაჯის ქვრივ დასთან თუყეზასთან, საღამოზე მივიდა მასთან მოლა ზამანა და ჰკითხა ტფილისში ხომ არ აპირებო წასვლას და როცა მან დადებითად უპასუხა, მოლა ზამანამ უთხრა, რომ თვითონაც აპირებდა და სთხოვა ერთად წავიდეთო. მეორე დღეს დილა ადრიანად გამოიარა ამან მოლა ზამანას სახლისაკენ და დაუძახა გამოდი წავიდეთო. მან უპასუხა, იარე და მეც მოგეწევიო. მდ. ხრამს რომ გასცდა, ყადიმს შემოეყარა სოფ. კაფანარჩის მცხოვრები ვალი, რომლის მამის სახელი არ ახსოვს, შემდეგ მოლა ზამანაც წამოეწია, რომელსაც ახლდა სოფ. ყარაპარლიის უცნობი მცხოვრები.

ამის შემდეგ ერთად განაგრძეს გზა. მოლა ზამანამ თქვა ჩემს ბატონთან მივდივარო. ყარაპარლიის ჰცხოვრებმაც თქვა მეც ჩემს ბატონ თავად მუხრან ბატონთან მივდივარ ჩემი ძროხის საქმეზეო. ვალის არ უთქვამს სად მიდიოდა. ყადიმმა სთქვა ერთი საცალო ფქვილის საფასურის მისაღებად მივდივარ, რაც აბას-აბადის მოედნის მახლობლად მცხოვრებ ტფილისელ სომეხ დავითთანა მაქვს დატოვებულიო. არცერთ მგზავრთაგანს არავითარი ბარგი არა ჰქონდა. კუმისთან მათ შეუერთდა მუხრან ბატონის თათარი, რომელსაც სოფ. იმირ-ჰასანიდან ცხენი მოჰყავდა. ტფილისში ისინი ბაკებში ჩამოხდნენ, ღამეც იქ გაათიეს. ყარაპარლელმა კი აბანოებში გაათია. ტფილისში მოსვლისთანავე ყადიმი თავისი ფულისთვის სომეხ დავითთან წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა ნახა, რომ მოლა ზამანას ყველა ამხანაგებისთვის ბზე და ქერი დაუმზადებია და რადგანაც მან გზაში ორი აბაზის ნიგოზი მიჰყიდა თავის თანამგზავრებს, მოლა ზამანამ მას ერთი აბაზი მისცა, აბაზი კი ბზე და ქერში გამოუქვითა. მეორე დღეს ყველანი და მათთან ერთად ის ქართველიც, რომელსაც ზემოხსენებულმა თათარმა ცხენი მიჰგვარა, აქედან გაემგზავრნენ ყადიმზე უწინ, ეს კი მათ მხოლოდ კოჯრის მთაზე წამოეწია რადგან სომხისგან ფულის მიღებაზე დაბრკოლდა. დაბოლოს. ყადიმმა აღიარა, რომ ტფილისში წამოსვლის წინა ღღეს მისი დის სახლში მოლა ზამანამ უთხრა მას: საქართველოში ჯარსა ჰკრეფენ და თავადები ამის გამო აჯანყებას აპირებენ, ამისათვის იბარებენ რამოდენიმე კაცს, რომლებსაც შეუძლიათ მათი მოთხოვნისთანავე ტფილისში გამოცხადდნენ იმ ხალხთან ერთად, ვისაც ისინი იშოვნიანო, ყველა ამათ ისინი ბევრ ფულს მისცემენო. რადგან ყადიმი ძალიან ღარიბია, იფიქრა ვისარგებლებ, ფულს გამოვტყუებ და მერე როცა მოგვთხოვენ, აღარ გამოვცხადდებიო და მოლა ზამანას ტფილისში წასვლაზე თანხმობა განუცხადა, რომელმაც ამასთანავე აცნობა აჯანყება ოცი (20) დღის შემდეგ დაიწყებაო. ქალაქში მათ თავადთაგანი არავინ უნახავთ. ხოლო მოლა ზამანა საღამოთი თავის ბატონ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან წავიდა და იქიდან დაბრუნებულმა ამბავი მოიტანა საქმე აღარ ხერხდება და თავადმა ალექსანდრემ მიბრძანა ქალაქიდან საჩქაროდ წადიო. ზემოხსენებული ვალისთანა და ყარაპარლის მცხოვრებთანაც მოლა ზამანა თვითონ იყო და მათ ამ საქმისათვის მოუწოდა. ყადიმი ვალის ვერ იცნობდა, ამიტომ გზაზე რომ შეხვდნენ ამ საქმეზე არ ულაპარაკიათ. მოლა ზამანა რომ წამოეწიათ კი უთხრა მათ თ. ალექსანდრე ორბელიანოვი ეხლავე ოც-ოც მანეთის ვერცხლს

მოგცემთ და საქმის შესრულების შემდეგ კი უფრო მეტსაო, რომ ისინი მხოლოდ საჩვენებლად მიჰყავთ თავადთან, შემდეგში კი მეტ ხალხს შეჰყრის და წარუდგენს მას.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (111, 502-505)[1]

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატიკი უმორჩილესად შემდეგი ვუპასუხო: ჩემი მოძღვარი მღვდელი ეფრემ ალექსიევი აღსარების დროს თავისი მოვალეობის თანახმად მუდამ მარიგებდა ვყოფილიყავ მტკიცე რწმენისა და ხელმწიფის ერთგული, რათა შემესრულებინა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების შესაფერისი საქმენი; მაგრამ თავადების მოგონილი შეთქმულების თაობაზე მისგან არავითარი რჩევა დარიგება არ მიმღია, რადგან შეთქმულებაში მონაწილეობის განზრახვა არასოდეს არ მქონია და ამდენად არც საჭიროება იყო, მასთან ამის თაობაზე მესაუბრა, რის სინამდვილეც შემიძლიან მასთან პირისპირ წაყენების დროს დავამტკიცო; პირიქით, მე სწორედ თავადების განზრახვის საწინააღმდეგო აზრები მქონდა ყოველთვის, რაც ჩემს პირველ ჩვენებაში დავწერე, მაგრამ ზოგიერთი გარემოება ეხლა დამატებით მსურს მოგახსენოთ: მას შემდეგ რაც თ. ორბელიანოვის ბაღში ყოფნა მომიხდა, შევხვდი პრაპორშჩიკ თ. ზაქარია ციციანოვს და ვუამბე მას, რაც იქ ო. თ. ელიზბარ ერისთოვისა და ალექსანდრე ორბელიანოვის უგუნური მსჯელობა მოვისმინე, ნამეტნავად ის მაკვირვებდა, რომ ისინი საკუთარი ძალით რუსების საქართველოდან განდევნასა სცდილობდნენ, რაც მე მხოლოდ ელიზბარის უსაზღვრო უგუნურებას მივაწერე. სხვანაირად ამას როგორ დაებადებოდა ეს აზრი. მან მიპასუხა იმაზე სულელი ადამიანის მნახავი არა ვარ, და ახლო ნათესაობისდა მიუხედავად მუდამ ვცდილობ მას მოვერიდო. ამის გარდა როცა კი გავიხსენებდით ხოლმე იმას, რაც ბაღში თქვა და რაც ყოველი ოდნავ ჭკვათამყოფელი ადამიანისათვის მიუღებელია მუდამ ვკიცხავდით ამ ნალაპარაკევს და მას მხოლოდ ელიზბარის ავადმყოფურ უგუნურებას მივაწერდით, ამაზე ჩვენ ხშირად გვიმსჯელია, რასაც იმედი მაქვს ციციანოვიც დაამოწმებს. ხოლო როცა თ. გი-

[1] მიღებულია კომისიაში 10 იანვარს, 1833 წ.

ორგი დავითის ძე ერისთოვმა მაჩვენა ანბანი[1], რომელიც მისთვის კიკნაძე ბერს გადაეცა. მე ვუთხარი ამ ბერს უფრთხილდი მეთქი, რადგან გაგონილი მქონდა ბოროტი კაცი არისო, რომლის წყალობითაც განსვენებულმა ანტონ კათალიკოსმა მრავალი უსიამოვნება განიცადაო, მე მას ავუკრძალე მასთან მეგობრობა. აგრეთვე გამომიცხადა თუ არა ამ ერისთოვმა შეთქმულების განზრახვა, იმ დღიდან მე მუდამ ვკიცხავდი მას (განზრახვას) და თვითონ კი ჩემთვის რამდენიმეჯერ უთქვამს ელიზბარი ძალიან მიწყრება და მხდალს მიწოდებსო. ჩეჩნების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს კი, როცა მან მითხრა, რომ იგი ელიზბარის სურვილის წინააღმდეგ მთავრობის წინაშე დამსახურების მიზნით ბარონთან[2] ერთად მიემგზავრება, მე მათი ამგვარი განზრახვა მოუწონე. რაღაც იმედი მაქვს, არც თვითონ უარყოფს, წინააღმდეგ შემთხვევაში მზად ვარ მას პირისპირ წარუდგე.[3] ამასთანავე გავბედავ მოგახსენოთ, რომ თ. თ. ელიზბარ ერისთოვისა და ალექსანდრე ორბელიანოვის სიტყვას მე არასოდეს დაუჯერებდი, როგორც არ უნდა შემომდგომოდნენ, პირიქით ჩემი ნამდვილი აზრი ხშირად გამიზიარებია ზაქარია ციციანოვისთვის, გიორგი ერისთოვისთვის, მასწავლებლების ყიფიანოვისა და ავთანდილოვისათვის, თვით ალექსანდრე ორბელიანოვისთვისაც, როგორც ეს ჩემს პირველ ჩვენებაში დავწერე, რომელსაც ვარწმუნებდი ამგვარ საქმეზე ხელი აეღოთ, რომელ სულელს შეეძლო დაეჯერებინა ელიზბარის ნათქვამი, რომ მას მთელი ქართლის გამოყენა შეუძლიან, მაშინ როდესაც ქართლელ თავად-აზნაურთა მეასედი ნაწილიც მას არ იცნობს, ის ხომ ბავშვობიდანვე რუსეთში იზრდებოდა, იქვე მსახურობდა, სამსახური მხოლოდ შარშან მიატოვა. მისი ახლო მცნობნი კი გავბედავ მოგახსენოთ მას მხოლოდ როგორც მსუბუქსა და თავქარიან ახალგაზრდას იცნობენენ. თვითონ თ. ორბელიანოვიც, თუმცა იკვეხნიდა ტფილისში ორიათას (2000) კაცს

---

[1] ფილადელფოსის შედგენილი საიდუმლო ანბანი იგულისხმება.

[2] როზენი.

[3] მამაცაშვილის ეს ჩვენება მიზნად ისახავს მიახვედროს გიორგი ერისთავი, რათა იმანაც აქ ნათქვამი დაადასტუროს; ნამდვილად, არა თუ ელიზბარი ან სხვა ვინმე წინააღმდეგი არა ყოფილა, რომ გ. ერისთავს მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში, პირიქით, როგორც ეს ამ უკანასკნელის ფილადელფოსისადმი საიდუმლო ანბანით მიწერილი წერილიდან ვიცით, იგი შეთქმულთა დავალებით გაერია მოლაშქრეთა რიცხვში, რომ აქ მყოფთათვის შეთქმულების არსებობა გაეზიარებინა. სხვათა შორის, ამავე წერილით გ. ერისთავი ატყობინებს ფილადელფოსს, რომ სხვებთან ერთად, იოსებ მამაცაშვილი შეთქმულების წევრად ჰყიპოვა.

ვიშოვნიო. ბატონი დოდაევი კი მთელი კახეთის გამოყვანას კისრულობდა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა მათ, როცა ორბელიანოვის სოვეტნიკად არჩევის დროს 1830 წელს, ყველანი მის უნიჭობაზე ლაპარაკობდნენ და დამცინავი ლექსებიც კი შეთხზეს, დოდაევს კი საზოგადოება სრულებით არ ცნობდა, რადგან ის ჯერ რუსეთში აღიზარდა. შემდეგ ტფილისში მსახურობდა მასწავლებლად. ვინ არ იცოდა, რომ მათი ნათქვამი მათი უგუნურების შედეგი იყო და რომ მათ მთავრობის წინააღმდეგ არავითარი აჯანყების მოხდენა არ შეეძლოთ მაშინ, როდესაც რუსეთის ძლევამოსილმა მხედრობამ, დაიპყრო რა ევროპის სხვა და სხვა სამფლობელოები და აზიის უდიდესი ნაწილი, სულ მოკლე ხანში ხელთ იგდო ირანისა (სპარსეთისა) და თურქეთის (ოსმალეთის) უპირველესი ციხე-სიმაგრენი, საიდანაც ჩვენს ქვეყანას საქართველოს მთავრობის დროს მრავალი უბედურება დასტეხია თავს და ეხლა კი ეს უბედურება აცდენილია ერთმორწმუნე რუსის ერის ძალის წყალობით. ყველაფერ ამის მცოდნეს როგორ შემეძლო გავრეულიყავ თავადების მოგონილ, ამ ყველას დამღუპველ საქმეში, მეტადრე მაშინ, როცა აზნაურები დღევანდელი მთავრობის ხელში ბედნიერებას განიცდიან. რომ მე სწორედ საწინააღმდეგო აზრები მქონდა, კომისიას შეუძლია ამაში ზემოთხსენებული საბუთებით დარწმუნდეს. მყავს რა ისეთი ბრძენი და კეთილსინდისიერი მსაჯულნი, როგორც კომისიის წევრები არიან, იმედი მაქვს მე, სრულიად უდანაშაულო ადამიანს, მომენიჭება თავისუფლება, რათა მუდამჟამს ვადიდო ამ რჩეულ კაცობრიობის მოკეთე კაცთა ქველმოქმედება.

კანცელიარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

10 იანვარი
1833 წ.

ისმაილ მადათ ოღლისა, ალექსანდრე ვახტანგის ძისა და ალექსანდრე გიორგის ძის ორბელიანების პირისპირ წაყენება (111, 506)

ბ-ნ კორპუსის უფროსის მიერ დღეს გამოგზავნილ თათარ ისმაილ მადათ ოღლის წარედგინა კითხვა მართლა უპირებდა თუ არა მას პორუტჩიკი თ. ალექსანდრე გიორგის ძე ორებლიანოვი ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის გატანებას? ამაზე ისმაილმა უყოყმანოდ განაცხადა, რომ მართლაც ერთხელ ყოფილ სოვეტნიკს

ალექსანდრე ორბელიანოვს ბიჭი მიეგზავნა და მას თავისთან იბარებდა და როცა იგი დაბარებისამებრ მივიდა, მას უთხრეს რამოდენიმე დღის შემდეგ მისულიყო რაღაც დავალების მისაღებად. ამიტომაც რამოდენიმე დღის შემდეგ იგი პირობისამებრ სოვეტნიკ ორბელიანოვთან მივიდა, და აქ ყოფილმა პოდპორუტჩიკმა ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვმა მას წინადადება მისცა ბატონიშვილთან წერილი წაეღო, მაგრამ ამან გადაჭრით უარი უთხრა ეს ჩემი საქმე არ არისო. პირისპირ წაყენების დროს ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვმა უარჰყო ეს ჩვენება და განაცხადა რომ: პირველად იგი თვითონ მივიდა ისმაილთან აბანოების კართან და ამ საქმეზე ესაუბრა, მერე კი ორი კვირის შემდეგ სოვეტნიკმა ორბელიანოვმა გაუგზავნა მას ბიჭი და თავისთან დაიბარა. მაშინ ისმაილმა პირველად უარი თქვა ჩვენს წინადადებაზე, მაგრამ მერე დათანხმდა იმ პირობით თუ მას ცხენს, ამ მის შესაძენად ფულს მივცემდით, რადგან თავისი ცხენი იალაღზე ჰყავდა გატანებული.

ისმაილა თავის ნათქვამზე დადგა, ხოლო ამავე საგანზე გამოწვეულმა სოვეტნიკმა თ. ორბელიანოვმა თქვა: მართალია, ისმაილამ წასვლაზე უარი განაცხადაო[1], ცხენის ამბავი კი არ მახსოვსო.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი 1-ლი

" " ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი

პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

სოლომონ დოდაშვილის პასუხები კომისიის კითხვებზე (111, 508-511)[2]

პრაპორშჩიკი თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვი შემომეყარა მოედანზე (სადაც საქართველოს მმართველობაა), ხელში რვეული ეჭირა. მე ვკითხე: რა გიჭირავთ მეთქი? მან მომიგო: თხზულება, მშვენივრად დაწერილი, მიამბო, რომ ფილადელფოს ბერიც უნახავს. მე ვთხოვე, მომეცი წავიკითხო მეთქი. მომცა, სახლში წავიღე, წინასიტყვაობას გადავხედე და ყუთში ჩავდე, სრულიად არაფერი წამიკითხავს, ვიცი მხოლოდ ერთი ხიტყვა: წინასიტყვაობა. ეს იყო

---

1 როგორც ჩანს, აღ. ორბელიანოვს აქ სიმარჯვე გამოუჩენია და თავისი ჩვენებით ისმაილა პასუხისმგებლობიდან გაუთავისუფლებია. ეს ჩვენება სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან რა აიძულებდა მეორედ ალექსანდრე ორბელიანს ყალბი ჩვენებით თავისი დანაშაული დემძიმებინა.

2 მიღებულია კომისიაში 10 იანვარს 1833 წელს.

1832 წლის გაზაფხულზე. იმ ხანებში ბინა გამოვიცვალე, ახალ ბინაზე გადაველ და ამასობაში ჩემი ქაღალდები ერთიმეორეში აირიენ. მერე მამასთან წავედი სოფელში, სადაც ორი თვე დავრჩი. ეს ქაღალდი მთლად დამავიწყდა, მაგრამ მომაგონდა, როცა კეთილინებეს და შემეკითხნენ[1] და მოვახსენე, თ. გიორგი ერისთოვმა რაღაცა რვეული გადმომცა მეთქი, არ კი ვიცოდი ფილადელფოსის შეთხზული იყო და იწოდებოდა თუ არა საიდუმლო და ერთგული მეგობრობის აქტად. მე ეს არ ვიცოდი. როცა თავადმა მითხრა გადმოგეცით. მეც ვუპასუხე, დიახ გადმომეცი რაღაც რვეული, რომელიც ჩემს ქაღალდებში უნდა იყოს მეთქი, მაგრამ თავისი თხზულება გადმომცა თუ ფილადელფოსისა არ მახსოვს. ნამდვილად მე არ ვიცოდი რა ეწოდებოდა მას, ვისი შეთხზული იყო და რა შინაარსი ჰქონდა მას.[2] მე იგი არც ერთხელ არ წამიკითხავს და არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არავისთან არავითარ საზოგადოებაზე არ მილაპარაკნია და მე თვითონ არავისთვის არავითარი ფიცი არ მიმიცია. აქტი ესე დაწერილია ფილადელფოსის ხელით.[3]

იერომონახი კიკნაძე 1831 წელს ერთ წერილში მთხოვდა შემეწყო ხელი, რომ მისთვის მიეცათ სამღვთო სკულის მასწავლებლის ადგილი თელავის სასწავლებელში ან სხვაგან სადმე. შარშან კი პირველად მომწერა გაზეთები გამომიგზავნეო, მეორედ კი—მთხოვა გამეგო რა დაჯდებოდა სტამბაში თითო თაბახის დაბეჭდვა. მგონია, მე მხოლოდ ერთხელ ვუპასუხე. ერთი სიტყვით, მე მისთვის მთავრობის საწინააღმდეგო არა მიმიწერია რა და არც არა მითქვამს რა. იგი უკანასკნელად 1830 წელს ენახე ჩემს სახლში მოსული, საუბარი ისევ მისთვის მასწავლებლის ადგილის შოვნას შეეხებოდა, მთხოვა ვცდილიყავ და მეც შევპირდი, ამასთანავე ერთი მეორეს დაუვიწყებლობა აღვუთქვით. მიხეილ ბატონიშვილისადმი წერილი მგონია მან თვითონ გადმომცა, ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ვფიქრობ ალბათ კონვერტის გამოცვლა იყო საჭირო და მისამართის რუსულად დაწერა, მე რაღაცნაირად დამვიწყებია და ის ჩემ ქაღალდებში დარჩენილა, მე იგი არ წამიკითხავს, ჩემი მეოხებით მან ერთი წერილი გაუგზავნა ს. პეტერბურგში იერომონახ იონა ხელაევს. მე-

---

1 კომისიის შეკითხვა იგულისხმება.

2 დოდაშვილი ამით ცდილობს დააჯეროს საგამომძიებლო კომისია, რომ მას არც კი წაუკითხავს აქტი გონიერი, რომლის ერთი ეგზემპლიარიც მის ქაღალდებში აღმოაჩინეს. ყველა შეთქმული ვალდებული იყო აქტის თითო ეგზემპლარი თავისთვის გადაწერილი ჰქონოდა.

3 ფილადელფოსის ხელი კარგად ცნობილია, ეს თვით ს. დოდაშვილის ხელით დაწერილი უნდა იყოს.

ტი წერილი ჩემი მეოხებით მას არავისთვის გაუგზავნია. სოვეტნიკად ყოფილ თ. ალექსანდრე ორბელიანოვისათვის საშიშროებაზე არასოდეს არ მილაპარაკნია, მე არ მინახავს აჯანყებისათვის დამზადებული არც დაბეჭდილი და არც ხელნაწერი პროკლამაციები. სრული სიმართლით ვაღიარებ, რომ არასოდეს არავითარი პროკლამაცია არ დამიწერია, უმალ მოვკვდებოდი, თავს არ ვიცოცხლებდი, ვიდრე იგი დამეწერა[1] და არც ამ საქმის შესახებ სხვა რამ ქაღალდი დამიწერია, ისიც მტანჯავდა და აულიერად მუდამ სინანულში ვიყავ, რაც მის[2] სახლში მქონდა ნათქვამი (ჩემს ჩვენებაში რომ მოგახსენეთ).

თ. იასე ფალავანდოვმა ოქტომბერში თავის სახლში თ. თ. ალექსანდრე ორბელიანოვის, ელიზბარ და გიორგი ერისთავების თანდასწრებით მთხოვა დამეწერა ფიცის ფურცელი[3], მაგრამ მე არ შევასრულე და არ დავწერე. არც იგივე და არც ამ საქმის გამო დაწერილი სხვა რამ ქაღალდი მინახავს.

თ. დიმიტრი ერისთავმა ერთხელ თავის ბინაზე მითხრა, ეს საქმე ს. პეტერბურგში იციანო. მგონია შენმა ძმამაც იცის[4]. მე შევკრთი, საიდან უნდა იცოდეს ჩემმა ძმამ, მე მისთვის არა მიმიწერია რა და იმას ჩემთვის. თ. ელიზბარ ერისთოვმა კი მითხრა: „იქ ძალიან კარგად იციან", მოიხსენია ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილები, იმათ ეს იციანო.

მასწავლებელი ს. დ ო დ ა ე ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IV, 514-515)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე თათარ ისმაილას, ტარასი ბერისა და ზალიკოს[5] შესახებ მაქვს პატივი ვუპასუხო.

1. 1831 წლის ზაფხულში პორუჩიკმა თ. ალექსანდრე გიორ-

---

1 როგორც ცნობილია, თვით დოდაშვილის ქაღალდებში აღმოჩნდა მისგან შეთხზული საჯანყებო პროკლამაცია.

2 ალ. ორბელიანი იგულისხმება.

3 ფიცის ფურცელი, რომლითაც შეთქმულნი აჯანყების წინა ხანებში უნდა გაფიცულიყვნენ, ჯერ აღმოჩენილი არ არის, შეთხზული კი ნამდვილად უნდა ყოფილიყო.

4 სოლომონის ძმა სტეფანე დოდაშვილი ს. პეტერბურგში მსახურობდა, შეთქმულების წევრი იყო.

5 ზალიკო ყორღანაშვილი.

გის ძე ორბელიანოვმა ჩემი თანადასწრებით უთხრა სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომ აბანოების კართან[1] მან დაიგულა თათარი ალექსანდრე ბატონიშვილთან გასაგზავნად. სოვეტნიკმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა მაშინათვე გაგზავნა ბიჭი და ის თათარი მოაყვანინა (იგი საშუალო ტანისა იყო, გრძელწვერა და ელამი). ისინი მას თათრულად ელაპარაკებოდნენ, მე თათრული არ ვიცი და არაფერი მესმოდა და როცა თათარი წავიდა, მათ მითხრეს თათარი წასვლაზე თანახმაა, თუ მას ან ცხენს მისცემთ, ან ფულს მის შესაძენადაო, ამასთანავე აქ რაღაც ბოსტანი ჰქონია და წასვლაზე გული არც კი მიუწევსო.

2. ტარასი ბერთან რომ მივედით იგი თავის სენაკში არ დაგვხვდა, სხვა სენაკიდან გამოვიდა, შეაღო თავისი სენაკის კარი და შეგვიწვია. შევეკითხეთ სად იყავიო, მან გვიპასუხა ერთ ბერთან ვიყავი სადილად მიწვეულიო. ამის შემდეგ ჩვენ მივმართეთ: მამაო ლეონიდე გვაკურთხეო, მან კურთხევა მიიღო და სიცილით გვითხრა, ბულგარინმა ეს საუკუნე კარგად აღწერა და პირთა ხასიათები კარგად წარმოგვიდგინაო. ამის შემდეგ მიგვიწვია რა—დავსხედით; პირველად თვითონა გვკითხა ღიმილით რა გინდათ ჩემგან, რისთვის მოხვედითო. ჩვენ ვუპასუხეთ, თქვენ იცით ჩვენი განზრახვა და ჩვენც მაგაზევე გვინდა მოგელაპარაკოთ-მეთქი. მან გვითხრა: ეგ რა გიქნიათ, თქვენ ხომ არც ფული გაქვთ, არც ჯარი გყავთ, არც ხალხი გყავთ, ურთიერთშორის თანხმობაც არა გაქვთ, თავადები ერთიმეორესა სჭამენ, რას იტყვით ამაზეო. ჩვენ ამ სიმართლის მოსმანაზე შეგვრცხვა და პასუხი ვეღარ მივეცით. იმას მაინც უთხარით, შენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, როცა საჭირო იქნება რომ შენი მჭევრმეტყველებით ხალხი აღაგზნო, შენ ხალხს უნდა უქადაგოო. მან მოგვიგო: რა გნებავთ ბატონო ქართველებო, ითხოვდით რუსეთის მფარველობას და მიიღეთ, გიორგი მეფე თავის ოჯახის წევრებისთვის ითხოვდა — ისინიც უკვე არიან რუსეთის მმართველობის ქვეშ. ბატონიშვილები სჯიჯგნიდნენ საქართველოს, თვითოეულ მათგანს გამეფება სურდა — ისინი უკვე აღარ არიან, და აი მაშინდელი წერილები და მანიფესტი, ისმინეთო. მან წაგვიკითხა თავისი წიგნიდან (он прочел из своей книги) ხსენებული აქტები. ჩვენ ამაზე არაფერი არ გვიპასუხნია, გამოვეთხოვეთ და შინ წავედით. მან წაგვიკითხა მანიფესტი და გიორგი მეფის რამოდენიმე წერილი.[2]

---

1 თბილისის ერთ-ერთი კარი.

2 როგორც ჩანს, მანიფესტზე ჰქონიათ მსჯელობა. ეგების დიმიტრი ერისთავის ნიერ ამ მანიფესტზე დაწერილი შენიშვნებიც განიხილეს.

3. ერთ საღამოს მე და კორნეტი გიორგი ერისთოვი შევედით იასე ფალავანდიშვილთან, რომელმაც გვითხრა, რომ მისი ბრძანებით ზალიკო თბილისში ხალხს ამზადებს. ჩვენ არ დავუჯერეთ და მან თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ზალიკოს ოთახში მოუწოდა და უთხრა, აი თავადებს არა სჯერათ, რომ შენ უკვე ხალხს აგროვებო. ზალიკომ კი გვითხრა, დაიჯერეთ მე უკვე ასამდე კაცი ადგილობრივ მცხოვრებნი მოვამზადეო. ჩვენ, თუმც არ დაუჯერეთ, მაგრამ არა გვიპასუხნია რა, და ის ამ სიტყვების შემდეგ გავიდა, რამოდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა მოხუცი ხელოვი (?), მასთან ველარაფერს ვიტყოდით.

რაც შეეხება თ. თადია ჩოლოყაევის ნათქვამს, ვითომც სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში მე და კორნეტ თ. გიორგი ერისთოვს გველაპარაკოს ზავილეისკი და ოქროპირ ბატონიშვილი ახლო მეგობრები არიან და ინგლისელებსა და ფრანგებს მიმოწერა აქვთო, არ არის მართალი, ჩვენ ზავილეისკიზე არა გვითქვამს რა, რადგან რაკი მან ჩვენი განზრახვა არ მოიწონა, მაშინვე გავიდა ოთახიდან.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

11 იანვარი
1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (IV, 516-517)

ნოემბრის დამდეგს[1] მღვდელი ეფრემ ალექსეევი ჩვეულებრივ მოვიდა ჩემთან საღამოს ყამზე. მოსვლისთანავე მე მას წავუკითხე ჩემი შეთხზული წესები პიიტიკისა. (Правила Пийтики, мною сочиненные) და ვარჩევდით ე. წ. პოემის ქილილა და დამანას (Кила да Мана)[2] სხვა და სხვა სახის ლექსთა წყობას. ამის შემდეგ მე მას ვუთხარი: ერთი საიდუმლო გავიგე. მინდა თქვენ განგიცხადოთ როგორც ჩემს სულიერ მოძღვარს და, ვიმედოვნებ. არავის გაუმხელთ მეთქი. მითხარით, რა არისო. ზოგიერთ თავადთაგან გავიგონე ჩივილი, რომ ისინი რუსებისაგან შევიწროებულნი არიან და სურთ მათგან განთავისუფლება, მე მათ ვურჩიე და ვურჩევ ხელი აიღონ ამ აზრზე, მაგრამ ძალზე ვშიშობ, თუ არ გაჩუმდნენ მეთქი. მან მიპასუხა: რა გაშინებთ, არა მგონია შეუძლებელი საქმე შესრულდესო. ეს

1 1832 წელი იგულისხმება.

2 ქილილა და დამანა.

ამბავი მე პირველად მესმის, თუმცა შევიწროებაზე კი ადრეეც გამიგონიაო. ამას წინათ ჩემთან მოვიდაო—არ მახსოვს, მგონია თ. ლევან ერისთოვისა თქვა—რომელიც ჩიოდა, რომ აქ ტყუილად ჩამოგვიყვანეს არჩევნებზე.[1] სულ ტყუილად ვირჩევთ ვისმე, რუსი მოხელეები მათ არაფერს უსმენენ, ხოლო ჩვენი ნამულები კი იღუპებაო, აგრეთვე თუ დავით თარხანოვი თავის სახლში ლაპარაკობდა, ნაბრძანებია ყველა საბუთები[2] ხელახლად იქნეს განხილული, რის გამოც ჩვენი მამულების საქმეს ზიანი ადგებაო. ბოლოს ვთხოვე არავის გაუზიარო ეს ჩემი ნათქვამი. მე მხოლოდ თქვენ, როგორც ჩემს სულიერ ბოძღვარს გამოგიცხადეთ საიდუმლო, რომელსაც მე ყური მოვკარი მეთქი. მან მიპასუხა, ისე იფიქრე ვითომც ჩემთვის არც კი გეთქვას, ეს ჩვენს შორის დარჩება და ვერავინ გაიგებსო. ჩვენ ვისაუბრეთ აგრეთვე იმაზე, რომ საქართველოს რუსების გარეშე არსებობა არ შეუძლია. აი ყველაფერი დაწერილებით, რაც ჩვენ შორის იმ საუბრის დროს ითქვა. ფიცი მისგან არ მომითხოვია, ჩემი თანაგამზრახველნი არ დამისახელებია და არც აჯანყების რამე ღონისძიება მითქვამს მისთვის.

კომისიაში ჩემი თანდასწრებით იასე ფალავანდოვმა განაცხადა, თითქოს ამ მღვდელზე მე მას დეკემბერში ველაპარაკე. ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან მე იმ დღიდან ე. ი. ნოემბრის დამდეგიდან, როცა მაგან და თ. ელიზბარ ერისთოვმა თ. ჩელოყაევის ბინაზე წინადადება მომცეს, რათა მე უსათუოდ კახეთში წავსულიყავ[3] და მე უარი ვთქვი, მე მასთან აღარ ვყოფილვარ ამ შეთქმულების მოსპობამდე და არც მათგანი ვინმე ჩემთან მოსულა, და იმ დროიდან მე აღარავითარ განკარგულებებში მონაწილეობა არ მიმიღია, არც აჯანყების რაიმე ღონისძიება ყოფილა ჩემ დროს ნავარაუდევი. მას, თ. ფალავანდოვს ნოემბრის პირველ დღეებში ვუთხარი, ეს საიდუმლო ჩემ მოძღვარს მღვდელ ეფრემ ალექსეევს გავანდე მეთქი. არავისთვის არც უწინ და არც ამის შემდეგ არა მითქვამს რა და მოძღვარს ვუამბე როგორც ჩემი ცოდვა, რომელსაც მის წინაშე ვინანიებდი; მე ვუთხარი მღვდელს აგრეთვე როგორც გავიგე, მგონია თ. ჭავჭავაძემაც უნდა იცოდეს ეს საქმე მეთქი.[4]

მასწავლებელი დ ო დ ა ე ვ ი.

---

1 თავად-აზნაურთა არჩევნებზეა ლაპარაკი.

2 თავად-აზნაურებისა და მამულების მფლობელობის სიგელ-გუჯრების რუსულ ენაზე ხელმოწერილობა ცნობა იყო საჭირო.

3 ს. დოდაშვილი კახეთში აჯანყების ხელმძღვანელად უნდა წასულიყო.

4 თავისთავად ცხადია, ს. დოდაშვილს მღვდლისთვის უთქვამს, ალ. ჭავჭავაძეც შეთქმულების წევრიაო.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 526)

თუ პეტერბურგში ვიცნობდი ტარასი ბერს, — ვიცნობდი მხოლოდ როგორც კეთილშობილი თვისებების მქონე და ქველმოქმედ ადამიანს, მაგრამ სრულებით არ მახსოვს მასთან საიმისო რამ საუბარი.[1] ეხლა მომაგონდა ტარასი ბერთან ჩვენ მეორედაც ვიყავით, როცა ელიზბარმა მას ლეონიდი უწოდა, ვთხოვეთ ჩვენთვის დახმარება გაეწია, რაზედაც მან გადაჭრით უარი გვითხრა—ეს ჩემი საქმე არ არისო, რადგან თქვენ იცით, რომ ჩემი მოვალეობაა ეს საქმე მთავრობას ვაცნობოო. სხვათა შორის ვუამბეთ მას როგორ ვაპირებდით მთელი სამღვდელოება და თვითონ ისიც მოედანზე გამოგვეყვანა.[2]

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე, თითქოს თ. ალექსანდრე ორბელიანოვის თ. თ. ელიზბარ და ბიძინა ერისთავებისა და თ. თადია ჩოლოყაევის წრეში მელაპარაკოს სამოქალაქო გუბერნატორად ყოფილი ზავილეისკი ოქროპირ ბატონიშვილის მეგობარია და ვითომც მათ საფრანგეთსა და ინგლისთან მიმოწერა აქვთ მეთქი-ვამბობ, რომ არა ვიცი რა და არც არა მითქვამს რა, მაგრამ მე მოსკოვში რომ გამოვიარე, მაშინ ოქროპირ ბატონიშვილმა ერთხელ ინახულა ბატონი ზავილეისკი, ვიცი მხოლოდ, როგორც ეს უწინაც განვმარტე, რომ აქ ლაპარაკობდნენ ვითომც ზავილეისკის საქართველოსთვის სიკეთე სწადსო.

ლეიბ-გვარდიის გუსართა რაზმის კორნეტი თ. ერისთოვი.

11 იანვარი.
1833 წ.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 583-584)

ჯერ ისევ პოლონეთის აჯანყებამდე დიმიტრი ბატონიშვილთან იკრიბებოდნენ ხოლმე შემდეგი პირები: თ. თ. ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, თ. დიმიტრი ორბელიანოვი, თ. ალექსანდრე ჩოლოყაევი (კვირაში ერთხელ, ხან უფრო ხშირად. ხან კი უფრო იშ-

[1] ე. ი. შეთქმულების თაობაზე საუბარი.

[2] ელიზბარ, გიორგი და დიმიტრი ერისთავები წინა ჩვენებებში ამტკიცებდნენ, ტარასისთან ერთხელ ვიყავით და მან ჩვენი განზრახვა არ გაიზიარაო. ახლა კი აღიარებენ, მასთან მეორეჯერაც ვიყავით იმავე საქმისათვის და მოქმედების გეგმაც კი გავაცანითო.

ვიათად, როგორც მოგვიხდებოდა), გვქონდა ხოლმე ურთიერთშორის სხვა და სხვა საუბრები, ზოგჯერ ვლაპარაკობდით საქართველოზე და მისი განთავისუფლების საშუალებებზე, მაგრამ სრულებით არ მახსოვს ვინ რას ამბობდა. პოლონეთის კამპანიიდან რომ დავბრუნდი პეტერბურგში, მივედი თ. ალექსანდრე ჩელოყაევთან, რომელთანაც დამხვდა დიმიტრი ბატონიშვილი. მგონია თ. დიმიტრი ორბელიანოვი და თ. ზაქარია ერისთოვიც იყვნენ იქა, აქ იყო ნალაპარაკევი, რომ საქართველოს სხვა და სხვა გარემოებათა გამო არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოო.[1]

მახსოვს აგრეთვე, საქართველოში გამომგზავრების წინ მე და დიმიტრი ორბელიანოვი წავედით ჩვენ ნაცნობ ფრანგ ლეტელიესთან, რათა გამოგვერთმია გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძისადმი წერილები და გზაზე, ეტლში (წვიმიანი ამინდი იყო) ვსაუბრობდით მსგავს რამეებზე (и по улице сидя в дрожках во время дождливої погоды разговаривали о подобных предметах) მაგრამ სახელდობრ რა ვილაპარაკეთ სრულებით არ მახსოვს.

ლ. გ. გუსართა რაზმის კორნეტი თ. ერისთოვი.

იანვრის 12
1833 წ.

მასწავლებელ დოდაევის ძმა ზოგჯერ იყო ხოლმე სტუმრად ბატონიშვილებთან და მე იგი მინახავს ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელთანაც სალიტერატურო ჟურნალები მოჰქონდა, მაგრამ საქართველოს განთავისუფლების შესახებ საუბარს იგი არასოდეს არ დასწრებია. ამ მიზნისათვის ერთადერთ ღონისძიებად განათლების გავრცელებას აღიარებდნენ, მაგრამ ზოგჯერ ისიც თქმულა, რომ შეგვიძლიან უცხო სახელმწიფოებს მივმართოთო. მე კი არ ვიცი ჰქონდათ თუ არა ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებს ნაცნობობა უცხო სახელმწიფოთა ელჩებთან, საერთოდ კი დიმიტრი ბატონიშვილი კარჩაკეტილი ადამიანია. ბატონიშვილთაგან მხოლოდ განსვენებულ დავითს[2] ჰქონდა ნაცნობობა უცხო სახელმწიფოთა ელჩებთან, როგორც მე გამიგონია.

ჩემი იქ ყოფნის დროს 1832 წლის მაისში ბატონი ლეტელიე მხოლოდ ერთხელ იყო ფარნაოზ ბატონიშვილთან, შემდეგ საქართვე-

---

[1] ეტყობა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ამათ თავიანთ საქმეზე უმსჯელიათ. პოლონეთის დამარცხებამ ქართველ შეთქმულთ ძალიან გაუტეხა გული.

[2] გიორგი მეფის ძე, საქართველოს მეფის ტახტის მემკვიდრე.

ლოში წამოველ და აღარ ვიცი ეს მათი ნაცნობობა გაგრძელდა თუ არა.

ჰქონდათ თუ არა ბატონიშვილებს უცხო ქვეყნებთან მიმოწერა, მე არ ვიცი სრულიად. საქართველოში კი დიმიტრი ბატონიშვილს მხოლოდ თ. ელიზბარ ერისთოვთან ჰქონდა საიდუმლო მიმოწერა, როგორც ამ უკანასკნელმა მე აქ მიამბო. თ. ელიზბარ ერისთოვს ჰქონდა მიმოწერა აგრეთვე ფარნაოზ ბატონიშვილთანაც, მაგრამ იყო თუ (მიმოწერა) საიდუმლო თუ არა, ან რას შეიცავდა, მე არ ვიცი. რამდენადაც ვიცი, პეტერბურგში ჩვენ არასოდეს არა გვქონია ისეთი საზოგადოება, რომელსაც აქაურის მსგავსად მოქმედება ჰქონოდა გადაწყვეტილი. მხოლოდ მე და ზემოაღნიშნული პირები დიმიტრი ბატონიშვილთან გულახდილად ვლაპარაკობდით და ამ ჩვენ გულახდილ საუბარს აღნიშნულ პირთა მეტი არავინ ესწრებოდა. ამას გარდა ბატონიშვილთაგან ჩემთვის არავის უთქვამს რა საიდუმლო ძმობის აქტზე,[1] რის შესახებაც მხოლოდ აქ გავიგე.

ლ. გ. გუსართა რაზმის კორნეტი თ. ერისთოვი.

13 იანვარი
1833 წ.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (IV, 612-615)

1827 წლის დეკემბრის 26-ს მე და ჩემი ძმა ვახტანგი გავემგზავრეთ პეტერბურგს, სადაც 1828 წლის თებერვალში ჩავედით და ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან დაკბინავდით. აგვისტომდე ჩვენ იმათ სახლში გამოცდებისათვის ვემზადებოდით, მერე გვარდიის პოდპრაპორშჩიკთა სკოლაში შევედით და კვირაობით ამ ბატონიშვილებთან დავიარებოდით. ვნახე რამოდენიმეჯერ დიმიტრი ბატონიშვილთან კრება, რომელიც შემდეგ პირთაგან შესდგებოდა: თ. ალექსანდრე ჩოლოყაევი, ელიზბარი, დიმიტრი და გიორგი ერისთოვები, სადაც საქართველოს უბედურებაზე იყო ხოლმე ბაასი, ხან მას იბრალებდნენ, ხან კი მის განთავისუფლებაზე ლაპარაკობდნენ. მე ხშირად თავს ვარიდებდი ამ საზოგადოებასა და საუბარს. მაგრამ ყველანი მაგულიანებდნენ, თვით დიმიტრი ბატონიშვილიც, რომ სამშობლოს მოსიყვარულე და პატრიოტი ვყოფილიყავი. რათა გავემხნევებინე დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად მეკამათებოდა სა-

[1] „აქტი გონიური" იგულისხმება.

ქართველოზე და მიმტკიცებდა რუსებს არა აქვთ უფლება რომელი-ღაც მანიფესტის ძალით საქართველოს ფლობდნენო, მერე მითხრა, თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება და ხალხი მიიმხროთ, რათა ძალით იმოქმედოთ და საშშობლო გაანთავისუფლოთო, მეუბნებოდა აგრეთვე, რომ ამ საქმის თაობაზე დიდი ხანია ტფილისში საზოგადოება არსებობსო.

პოლონეთში ლაშქრობის წინ და მის შემდეგაც ვყოფილვარ მათს კრებებზე, დიმიტრი ბატონიშვილი და ზაქარია ერისთოვი გვეკამათებოდნენ მე და გიორგი ერისთოვს, რომ ქართველები გაუბათლებელი არიან, ბოშებს მიემსგავსებიანო. ამბობდნენ აგრეთვე, რომ ვიდრე ამ საქმეს[1] შეუდგებოდეთ, ჯერ საქართველო უნდა გავანთლოთ, ქართველებს უნდა ჩავაგონოთ, რომ მასწავლებლები გამოიწერონო და თქვენ რომ იქ დაბრუნდებით კი თვითონ უნდა იმოქმედოთო. გიორგი ერისთოვი რომ შვებულებაში მიდიოდა, მე და ის მისი გამგზავრების წინადღეს ვიყავით კონსულის ყოფილ მდივან ფრანგ ლეტელიესთან, სადაც მე იგი პირველად გამაცნო გიორგიმ. მასთან იყო ერთი პოლონელთაგანი. არ ვიცი არც სახელი და არც გვარი. ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო პოლონელთან. დიდხანს გველაპარაკა ლეტელიე ერისთავს ფრანგულად და მე კი ქართულად.[2] მან საქართველოს შესახებ გვითხრა, რომ მთავრობა მას უსანართლოდ ეპყრობა, არ ცდილობს არაფრით მის განათლებას და ერთი სიტყვით სურს მისი დაქვეითება, რის გამოც საქართველო უნდა ეცადოს თავი გაინთავისუფლოს და ფრანგები კეთილი ხალხია და უშველიან ფულითა და ყოველგვარი საშუალებითაო. ამის შემდეგ ჩვენ წამოვედით, მე გონს ძლივს მოვედი და გზაზე ვკითხე გიორგის, რა იქნება საქართველომ რომ თავი გაინთავისუფლოს ბეთქი და აქვე დავასკვენით, რომ ეს შეუძლებელია, ამაზე ერთი მეორეს დავშორდით. ამის შემდეგ ყველანი პეტერბურგში დავტოვე და მე ჩემ რაზმთან ერთად ბანაკად წაველ კრასნოესელოში.

ბანაკიდან დაბრუნებული მეც თვითონ შვებულებაში წავედი, გამგზავრებისას დიმიტრი ბატონიშვილმა მითხრა ამ საქმეზე რაც შეიძლება მხურვალედ ეცადეო (дабы стараться о сем предмете и поступать как можно горячее). ჩავედი მოსკოვს და ოქროპირ ბატონიშვილისაგან გავიგე 1831 წელს ტფილისში არსებული საზოგადოების შესახებ, იგი (ბატონიშვილი) ნანობდა, რომ თვითონ ტფი-

---

1 ე. ი. საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

2 როგორც ცნობილია, ლეტელიემ ქართული კარგად იცოდა, ალ. ჭავჭავაძის მოწმობით, მას „ქართულ დიალექტზე თარგმანები" ჰქონია, რომლებიც ჭავჭავაძისთვის უჩვენებია.

ლისში არ იყო, მეუბნებოდა და მარიგებდა საზოგადოება უნდა შეადგინოთო, შეგიძლიან ეს გაუმხილო დოდაეგსა, ელიზბარ ერისთოვს, შენს ძმას ალექსანდრეს, ა. ჭავჭავაძეს[1] და თ. გ. ერისთოვსო,[2] ამ უკანასკნელს კიდეც ველაპარაკე ამაზე. ამბობდა ტფილისში რომ ცოტა ხანს კიდევ დავრჩენილიყავ, ამას[3] უსათუოდ მოვახდენდიო. მიამბო როგორ მოიარა აქაური მონასტრები ადგილმდებარეობის გასაცნობად, ეს ადგილები ხელსაყრელიაო,[4] დასრულა იმით, რომ განზრახული მაქვს უცხოეთში წასვლა და იქიდან მათი დახმარებით მოქმედებაო, იქაურ გაზეთებში გამოვაქვეყნებ, რომ საქართველოს სამეფო ტახტი ცბიერებით არის რუსთაგან მიტაცებული. აგრეთვე იმ მანიფესტსაც (გამოვაქვეყნებო), რომელიც ზევით მოვიხსენიე. ბატონიშვილი მეკითხებოდა აგრეთვე დიმიტრი ბატონიშვილი შინ რას უზის, უცხოეთში წასვლა მისი საქმეა, იქიდან რამეს მოახერხებდაო, მე წავალ და იმასაც თან წავიყვან, რადგან ერთად მოქმედება გაგვიადვილდებაო და თქვენ გაზეთებით გაიგებთ ჩვენს ნასაქმარსაო.

მოსკოვში მე ვიყავი ზაველეისკისთან. ის აქებდა საქართველოსა და თავადიშვილებს, განსაკუთრებით კი ჭავჭავაძეს, რომ ის მისი მეგობარია და პატრიოტია. იმან თვითონ გამომიგზავნა კაცი რათა მენახა იგი. მან განაცხადა, რომ სურს ჩემთან ნაცნობობა, რადგან როგორც ამბობდა, ჩემი ძმა ალექსანდრე მისი მეგობარია.[5] საქართველოზე არაფერი უთქვამს რადგან იქ უცხო პირი იყო. ეს იყო ჩემი მასთან პირველი და უკანასკნელი შეხვედრა.

მახსოვს კიდევ დიმიტრი ბატონიშვილი ამბობდა: გაზეთებიდან ჩანს აღრეულობა მოხდება საფრანგეთსა, ინგლისში და პოლონეთში და როცა პოლონეთის ლაშქრობაში მივდიოდი, მარწმუნებდა იმათ[6] მხარეზე გადავსულიყავ და თუ პოლონელები დამარცხდებიან, საფრანგეთში წადიო.

ლეტელიეს რომ გამოვეთხოვე, ორი წერილი გადმომცა ტფი-

---

[1] ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო და განსაკუთრებით იმით, რომ თვით ოქროპირ ბატონიშვილი, შეთქმულების სხვა თვალსაჩინო მონაწილეებთან ერთად, ალექსანდრე ჭავჭავაძესაც ასახელებს.

[2] გიორგი რევაზის ძე ერისთავი იგულისხმება.

[3] აჯანყების მოხდენას, ან საზოგადოების შედგენას გულისხმობს.

[4] აჯანყების დროს გამოყენების თვალსაზრისით.

[5] ამ ცნობაში კვლავ ყურადღებას იქცევს ალ. ჭავჭავაძის დასახელება და თვით ის გარემოება, რომ ზაველეისკის კარგად სცოდნია შეთქმულების საქმეები. მან იცის, რომ რუსეთიდან საქართველოში მიმავალი დიმიტრი ორბელიანი ამ საქმის მონაწილეა.

[6] ე. ი. პოლონელების.

ლისში წამოსაღებად. ერთი თ. ქავქავაძეზე იყო, მეორე კი არ მახსოვს, წერილების შინაარსი არ ვიცი.

ყველა ბატონიშვილი საქართველოში დაბრუნების მსურველნი არიან და ამბობდნენ, ნეტავი ხელმწიფე იმდენად მოწყალე იქნებოდეს, რომ ჩვენ სამშობლოში დაგვაბრუნებდესო. ფარნაოზ ბატონიშვილისაგან არა ვიცი რა და არც არა გამიგონია რა, თეიმურაზი კი მიმოწერას აწარმოებდა პარიზში ფრანგ ბროსეტთან[1], რომელიც მას პეტერბურგში საელჩოს მოსამსახურე ერთმა ფრანგმა გაეცნო. მიმოწერა ეხებოდა ქართულ ენასა და ქართულ სამეცნიერო წიგნებს. მან პარიზიდან მიიღო დიპლომი, სადაც სალიტერატურო საზოგადოების წევრად არის ჩაწერილი. მათზე ამის მეტი არა მახსოვს რა გარდა დიმიტრი ბატონიშვილისა, რომელზედაც ზევით დაეწერე და რომელსაც ტფილისში მცხოვრებ შეთქმულებთან საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა.

ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკი
თ. ორ ბ ე ლ ი ა ნ ი[2].

14 იანვარი
1833 წ.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (IV, 619-625)

ტფილისში მე არავისთვის არ მიმიმართავს, როგორც ამას ოქროპირ ბატონიშვილი მირჩევდა, მაგრამ ჩემი ბიძაშვილების, ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვთაგან შევიტყე ამ საქმის არსებობა[3], ვე ვუთხარი მათ ოქროპირ ბატონიშვილი რომ აქ იყოს, დაგვარიგებდა როგორ დაგვეწყო და როგორ გვემოქმედა მეთქი. ეს საუბარი ჩვენს სახლში გვქონდა ჩემი ჩამოსვლის[4] სამი თუ ოთხი დღის შემდეგ. მე არც ვიცი და არც არა გამიგონია რა ამ საქმეს დასაბამი ვინ მისცა და დაწვრილებით არ გამომიკითხავს 1831 წელს რად შესუსტდა მოქმედება და 1832 წელს კი ისევ გაიზარდა.

ამ საქმის მეთაურნი, ჩემი აზრით, ყველა ისინი იყვნენ, ვისაც მე აქა ვხედავდი, მაგრამ არ კი მიკითხავს მათთვის, თუ ვინ შთააგონა იმათ პირველად ეს აზრი, თუმცა ის კი მაინტერესებდა ვისგან შეს-

---

1 აკადემიკოსი მარი ბროსე.

2 დიმიტრი ორბელიანი ჩვეულებრივ ასე სწერს: Орбелиан.

3 ე. ი. შეთქმულების არსებობა.

4 პეტერბურგიდან ჩამოსელას გულისხმობს.

დგებოდა ეს საზოგადოება. საღამო ჟამზე ჩვენსა შეიკრიბნენ: ჩემი ორივე ძმა, სამნი ერისთოვები—ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი, თ. ჩოლოყაი[1], თ. ფალავანდოვი, ყიფიანოვი, მამაცოვი, ავთანდილოვი და დოდაევი. პირველ კრებაზე, რომელზედაც მე დავესწარი, დაასკვნეს, რადგან მთელი საქართველო მოფენილია მათი თანაგამზრახველებით და ეს იციან, ამიტომ ჩვენი განზრახვა ნოემბრის 15-ს მოვიყვანოთ სისრულეშიო. იმ დროს ხომ ქართველი თავადები ყველანი ტფილისში იქნებიან არჩევნებისათვის,[2] გამოვუცხადოთ მათ და მათი თანხმობით დავიწყოთ ეს განზრახვაო, მეორე დღეს შევატყობინოთ ალექსანდრე ბატონიშვილს და მის მოსვლამდე კი სხვა და სხვა ხმები დავყაროთ, რომ რუსებს სამხედრო ბეგარა სურთ შემოიღონ და რომ ალექსანდრე ბატონიშვილი აქეთ მოემართება, რათა აქ გამეფდეს და მისი მმართველობით გავბედნიერდებით. იყო კიდევ სხვადა სხვა მსჯელობა, თუ როგორ აგვეჯანყებინა ხალხი, მაგრამ აღარა მახსოვს რა, და ბოლოს მეორე კრებაზე ფალავანდოვის ბინაზე, დაადგინეს როგორ მოეხდინათ ეს 15 ნოემბერს. თ. ელიზბარ ერისთოვმა შემოიტანა წინადადება, რათა თ. ლუარსაბ ორბელიანს გაემართნა საღამო (бал), სადაც უნდა შეპყრობილი ყოფილიყვნენ მთავარი პირები. შემდეგ კი გამზადებული ძალით მომზდარიყო ქალაქში თავდასხმა სხვადასხვა შენობებზე, ე. ი. არსენალზე, ციხეზე და ხაზინაზე, ყაზარმებზე, ყველა საგუშაგოზე და მთავრობის დაწესებულებებზე, გაანაწილეს თუ ვის რა ადგილი უნდა აეღო. მე და ჩემი ძმა ვახტანგი არსენალსა და ხაზინაზე უნდა მივსულიყავით, უნდა აგვეღო მთავარი საგუშაგო და აუზი, დიმიტრი ერისთოვი და კიდევ სხვა ვიღაცა, (არ მახსოვს) ციხეზე და გიორგი ერისთოვი, აგრეთვე ვიღაცასთან ერთად ყაზარმებზე დანიშნეს. ამ განაწილებას თ. ფალავანდოვი ახდენდა საერთო თანხმობით, შესაკრებ ადგილად თათრის მოედანი იყო დანიშნული, სადაც უნდა აღმართული ყოფილიყო დროშა ცალი მხრით ღვთისმშობლისა და მეორეს მხრით კი წმ. ნინოს გამოხატულებით, მეორე დროშაზე კი არ ვიცი ერთი თუ ორივეს მხრით, წმინდა გიორგი უნდა ყოფილიყო გამოხატული. დროშის შესახებ აზრი ჩემმა ძმამ ალექსანდრემ შემოიტანა, უნდოდათ დაეხატვინებინათ—არ ვიცი შეასრულეს თუ არა. ისიც იყო ნათქვამი, რომ შესაკრებ პუნქტზე უნდა შეგროვილიყვნენ ჩემი ძმა ალექსანდრე, თ. ჩოლოყაი, ელიზბარ ერისთოვი, თ. ფალავანდოვი და დოდაევი, საიდანაც უნდა გაეცათ განკარგუ-

---

1 ჩოლაყაშვილი.

2 თავად-აზნაურთა არჩევნები იყო იმ დღეებში დანიშნული.

ლებები. ყველას მათგან უნდა მიეღო ბრძანება, თუ როგორ უნდა ემოქმედნა. და ესე უნდა გაგრძელებულიყო, ვიდრე ყველაფერი არ დაწყნარდებოდა. მერე უნდა დაეგზავნათ პროკლამაციები, ამის შემდეგ კი, თუ ჩვენი საქმე წარმატებით დასრულდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლამდე, უნდა შემდგარიყო პარლამენტი, რომელსაც სამხედრო და საერო საქმეები უნდა განეგო, ეს პირნი იყვნენ თავადი ერისთოვი გენერალი[1], თავადი მუხრანსკი, გენერალი თ. ჭავჭავაძე. თავადი ფალავანდოვი, გუბერნატორი და გიორგი ჭილაევი.[2] ჩვენ ყველას ამ პირთათვის თვალყური უნდა გვედევნებინა. რომ მათ უჩვენოდ არაფერი მოემოქმედათ, და თუ რომელიმე მათგანი წინააღმდეგობას გაგვიწევდა, ის უნდა შეგვეპყრა და არ გაგვეშვა, ვიდრე ჩვენს საქმეში მონაწილეობის სურვილს არ განაცხადებდა. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ყველანი ამის თანახმანი ვიყავით. ამის შემდეგ დავიშალეთ. ელიზბარი გავგზავნეთ თ. ლუარსაბ ორბელიანოვთან, რათა მას ყველაფერი ეს აუწყოს და დაითანხმოს მის სახლში საღამოს გამართვაზე. რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ ჩვენს სახლში შეიკრიბნენ და მე უკვე მესამედ ვიყავი მათ კრებაზე, აქ გავიგე, ლუარსაბმა გადაჭრით უარი თქვა საღამოს გამართვაზეო, ბოლოს გადაწყდა ეს საქმე ნოემბრის 20-ს მომხდარიყო. თ. ფალავანდოვმა თქვა 30.000 ნაღდი ვერცხლის ფული მაქვს, რაც შემიძლიან თქვენს ვანკარგულებაში გადმოვცეო, მაშინ თქვეს ეხლა ეს ფალავანდოვის გადმოცემული ფული რაკი გვაქვს. შეგვიძლიან ამით საღამო გავმართოთ და ჩვენი სურვილი აღვასრულოთო; მე ვთქვი გავმართოთ ვახშამი ან სადილი გვარდიის ოფიცრების სახელით მეთქი; ვუთხარი აგრეთვე ყველაფერი კარგად გაითვალისწინეთ, რითაც ამ საქმის შესრულება შეგიძლიათ მეთქი. ელიზბარმა და დიმიტრი ერისთოვებმა თქვეს ჩვენ ხუთასამდე (500) კაცი გვყავსო, თ. ფალავანდოვმა კი რომ ყველა ტფილისელი მის ვანკარგულებაშია და სადილის თუ ვახშმის დროს ყველა იმათ შეშოჰკრებს. დაათრობს და ამ შემთხვევისათვის მზად იქნებიან. მე კვლავ შევეკითხე ვინ არიან პირველთაგანნი (უფროსთაგანნი), რომლებმაც იციან ეს საქმე და თანახმაც არიან მეთქი. მათ მიპასუხეს, ყველაფერს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ და მერე იმათაც ვაიძულებთ ჩვენთან ერთად იმოქმედონო. მე კიდევ ვკითხე მათ ხაზინა და არტილერია გაგვაჩნია თუ არა მეთქი, მათ მიპასუხეს არსენალს

---

[1] გ. ერისთავი (ელიზბარის ბიძა).

[2] გ. ჭილაშვილი. სენატორი.

და ხაზინას ხელში ჩავიგდებთ და მაშინ ყველაფერი ჩვენს განკარგულებაში გვექნებაო; დაასახელეს აგრეთვე რამოდენიმე სახელი, რომლებიც მე აღარ მახსოვს, სადაც აგრეთვე ფული ინახებაო; სხვა და სხვა საუბრის შემდეგ ყველანი წამოვიდნენ და დავრჩით: მე, ჩემი ძმა[1] და თ. გიორგი ერისთოვი.[2] დავიწყეთ მსჯელობა: მე მათ ვუმტკიცებდი, ამ საქმის შესრულება შეუძლებელია მეთქი. რადგან, ჯერ ერთი ისეთი პირები არ მონაწილეობენ, რომელთაც ხმა და გავლენა აქვთ, მეორეც ესა, ჩვენ არ გაგვაჩნია არტილერია და ჯარი, რომ პირველ ღამეს რისიმე მოხერხება შევძლოთ მეთქი: ისინიც ამაზე დამეთანხმნენ; მეორე დილით მივედი ჩოლოყაისთან[3] და ვუამბე, თანაც მასაც გავუმეორე ამ საქმის შეუძლებლობა. მან მიპასუხა, მე თვითონ მინდოდა მისელა ალექსანდრესთანაო, რომელიც იმ დროს ავად იყო. მოიწვიეს მეოთხე კრება, რომელსაც მეც დავესწარი, აქ სავსებით ხელი აიღეს ორივე ჩემმა ძმებმა ამ საქმეზე და მე. თ. ერისთოვმა და ჩოლოყაიმაც სავსებით გულიდან ამოვირეცხეთ: მაგრამ თ. ფალავანდოვი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვები გვიმტკიცებდნენ და არ გვეთანხმებოდნენ, მოითხოვდნენ, რათა აგვესრულებინა ჩვენი განზრახვა, რადგან ტფილისში ყველამ იცის და შეიძლება ამ წუთში ყველანი დაგვაპატიმრონო, მაგრამ ჩვენ სავსებით გასუდექით სხვებს და მერე ისინიც დაგვეთანხმნენ და დაიფიცეს, რომ აღარასოდეს ამისთანა განზრახვებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ. სოფელში წასვლისა და დაბრუნების შემდეგ მე არავისთან აღარ მქონია საუბარი, მაგრამ მერე მე და ალექსანდრე ჩემი მიცვალებული ცოლისძმის საქმეზე გუბერნატორთან ვიყავით და თ. ფალავანდოვთან შეველით, სადაც გავიგეთ ჭავჭავაძემ უარი თქვაო და ამით ყველაფერი გათავდა, ხოლო დეკემბრის 10-ს ყველანი დააპატიმრეს ჩემს გარდა.

მე დამისახელეს ჩვენი ამ განზრახვის მონაწილეებად: თავადი ერისთოვი, სენატორი, გენერალი თ. ჭავჭავაძე, ანტონ აფხაზოვი, მამუკა ორბელიანი, გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ამილახვაროვი, თეიმურაზ და ლუარსაბ ორბელიანი, ტარასი ბერი და ამბობდნენ. არ არის არც ერთი თავადიშვილისა და აზნაურის სახლი, სადაც ოჯახის ერთმა წევრმა მაინც არ იცოდეს ეს ჩვენი განზრახვაო. მაგრამ ზემოხსენებულ პირებთან მე საუბარი არა ვქონია რა და მხოლოდ იმათთან მილაპარაკნია, ვისაც კრებებზე ვხვდებოდი.

---

1 ალ. ორბელიანი

2 გიორგი რევაზის ძე ერისთავი

3 ზაქ. ჩოლაყაშვილი.

ჩემი ძმა ალექსანდრე აწარმოებდა თუ არა ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერას, მე არ ვიცი. პეტერბურგიდან რომ დაბრუნდი, მოვთხოვე ჩემი თოფი და ხანჯალი, რომელიც მასთან მქონდა დატოვებული, მაგრამ მან მიპასუხა, რომ თოფი მოლა ზამანას აჩუქა, ხანჯალი კი გიორგი ერისთოვს რომელსაც ჩემი ხანჯალი ისევ გამოვართვი; მაგრამ გაატანა თუ არა მან ვისმე წერილი ალექსანდრე ბატონიშვილთან მე არ ვიცი. სხვა მე აღარა ვიცი რა. იმის მეტი, რაც ზევით დავწერე—იმის გარდა, რომ ფალავანდოვი ლაპარაკობდა ხოლმე თავის ფულზე 30.000 ვერცხლ. მე არ ვიცი და არც არა მახსოვს რა მთიელებთან ურთიერთობაზე; იმერეთზე კი ფიქრობდნენ, რომ ჩვენი განზრახვის შესრულების შემდეგ მას საქართველოს შემოუერთებდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილსა და ეგვიპტის ფაშასთან ურთიერთობაზე არა ვიცი რა, რადგან ჩემს ყოფნაში ასეთს ადგილი არა ჰქონია.

პეტერბურგში რაზმაძეც ჩვენი საზოგადოების მონაწილე და ჩვენი თანაგანმზრახველი იყო, მე იმაზე ადრე წავედი პოლონეთზე ლაშქრობაში, ვიდრე იგი აქეთ გამოემგზავრებოდა და ამიტომ არ ვიცი რა დარიგება მიეცა მას პეტერბურგიდან წამოსვლის დროს—მოსკოვში კი ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა, რომ რაზმაძესაც ისეთივე დარიგება მისცა როგორც მე, რაც ჩემს ჩვენებაში უკვე დავწერე; მე მას მხოლოდ კრებებზე ვხედავდი და მასთან განსაკუთრებული რამ საუბარი არა მქონია, აქ კი გავიგონე, რომ ის ჩვენ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებდა. იმ პირთა გარდა, რომლებიც ზევით მოვიხსენიე, არავინ ვიცი, რომ პეტერბურგში ჩვენი განზრახვა სცოდნოდეს. ზემოხსენებულ პირთა დაპატიმრების შემდეგ, განსაკუთრებული საუბარი არავისთან არ მქონია; მხოლოდ ამა თვის 13-ს ვიყავი თ. ჭავჭავაძესთან და დრაგუნთა რაზმის პორუჩიკმა ჭავჭავაძემ საიდუმლოდ მკითხა შენი ძმებისა რა იცით; მე ვუპასუხე თვითონაც იქვის ქვეშ ვარ და კორპუსის უფროსმა კიდეც დამკითხა მეთქი. მე მისთვის არა მომიხსენებია რა მეთქი.[1]

ამას გარდა პეტერბურგში რომ ვიყავი, იქ ჩამოსულმა ზავილე-

---

[1] საყურადღებოა, რომ კორპუსის უფროსისაგან დაკითხული დიმ. ორბელიანი მიდის ალ. ჭავჭავაძესთან, რომელსაც. უეჭველია, დაწერილებით უამბო კორპ. უფროსის შეკითხვები, რომელშიც ალ. ჭავჭავაძეც იქნებოდა მოხსენებული. მეორე ცნობიდან ვიცით, რომ ასევე მოიქცა გიორგი დავითის ძე ერისთავი. ისე რომ ალ. ჭავჭავაძემ. როგორც ეს პირველ ტომში, 41 გვერდზეა აღნიშნული (იხ. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, თბილისი, 1835 წ., გვ. 41). დაპატიმრებამდე დაახლოებით მაინც იცოდა რა ფორმით და რა ბრალდებები იყო კომიტეტში მის წინააღმდეგ აღძრული, რის საპასუხოდაც სათანადოდ მოემზადა.

ისკიმ თავისი კაცის ხელით გამომიგზავნა ჩემი ძმის ალექსანდრეს წერილი, რომელშიც ძმა მწერდა გამეცნო იგი (ზავილეისკი), რადგანაც მას ჩვენი სახლისთვის სიკეთე სურსო, მაგრამ მისმა კაცმა ვერ ამიხსნა ვის სახლში ბინადრობდა იგი და ამიტომ მე იგი პეტერბურგში არ მინახავს.

ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკი
თ. ორბელიანი.

იანვრის 15
1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (IV, 633)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე შემდეგს ვუპასუხებ:

1-ლი. 1831 წლის ზაფხულში დილის 10 საათზე მივედი გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძესთან, რომელიც გუბერნატორის სახლში ბატონ ზაველეისკოვთან[1] ცხოვრობდა და ვუთხარი: თავად ელიზბარ ერისთოვმა მითხრა, რომ სხვა ბევრ თავადებთან ერთად მათ სურთ აქ აჯანყების მოხდენა (произвести здесь бунт), ამაზე გენერალ-მაიორმა თ. ჭავჭავაძემ მიპასუხა, რომ ეს შეუძლებელი საქმეა და უმადურობა იქნებოდა ჩვენის მხრით რუსების მფარველობისათვის ასეთი სამაგიეროს გადახდა, მე ეს ვუამბე ელიზბარ ერისთოვს.

2-ე. მეორედ 1832 წლის ზაფხულში ბატონ კორპუსის უფროსის სალაშქროდ წასვლის შემდეგ, ჯერ ელიზბარ ერისთოვი, მერე კი ყოფილი სოვეტნიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს, რომ ისინი კვლავ განიზრახავენ აღრეულობის მოხდენას; მე არ დავეთანხმე. მერე ისინი რამდენიმეჯერ მოვიდნენ ჩემთან, თ. იესე ფალავანდოვის თანხლებით და მუქარით მაჯერებდნენ თავიანთ განზრახვას და ბოლოს მოიტანეს პირველი ღამის განკარგულება; ამის შემდეგ წავედი გენერალ-მაიორ ჭავჭავაძესთან და უთხარი მას: ჩვენი თავადები არ იღებენ ხელს თავიანთ განზრახვაზე და სურთ აქ აჯანყება (бунт) დაიწყონ მეთქი, თ. ჭავჭავაძემ მიპასუხა ისინი გაგიჟებულან, ეს საქმე შეუძლებელიაო; მე ვთხოვე ნებართვა, მომეყვანა მასთან კაპიტანი თავადი ჩოლოყაევი, რათა ამისთვისაც ეთქვა ამ საქმის შეუძლებლობა, რადგან ვხედავდი, რომ თ. ჩოლოყაევიც ამ საქმის თანხმობას არ აცხადებდა ხოლმე.

---

[1] ე. ი. ზავილეისკისთან.

3-ე. ამის შემდეგ მესამე დღეს, საღამო ჟამზე ჩემი სახლიდან წავედით გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან ჩვენ სამნი: მე, თ. ჩოლოყაევი და თ. ელიზბარ ერისთოვი. მისვლისთანავე მე თ. ჭავჭავაძე და ჩოლოყაევი ცალკე ოთახში შევედით, ელიზბარი კი სასტუმრო ოთახში დარჩა და ქალალდის თამაშში ჩაება. შესვლისთანავე თ. ჩოლოყაევმა უთხრა თ. ჭავჭავაძეს: როგორ მოვახდინოთ ეს საქმე, თავადებს თქვენი ბრწყინვალების იმედი აქვთო; თ. ჭავჭავაძემ უპასუხა, არ შეიძლება და მოუხერხებელიც არის; რომ თურქები, სპარსელები და ლეკები რუსებზე უფრო უარესები იქნებიანო და თქვა. სხვა თავადებსაც უთხარით ხელი აიღონ ამაზე და თავი დაანებონ ამაზე ფიქრსაო. საუბრის ნამდვილი სიტყვები აღარ მახსოვს. ამის შემდეგ ჩვენ სამნი სასტუმრო ოთახში გამოვედით და ცოტა ხნის შემდეგ კი ჩემს სახლში წავედით მე, ჩოლოყაევი და ელიზბარი. მისვლისთანავე მე და ჩოლოყაევმა გამოვუცხადეთ ელიზბარს, რომ უსათუოდ უნდა ყველაფერზე ხელი ავიღოთო, და მე ასეც მოვიქეცი.

მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი.

1833 წლის
იანვრის 16.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 635-638)

ბატონი ლეტელიე პირველად ფარნაოზ ბატონიშვილის სახლში გავიცანი, წარდგენილი ვიქმენ, როგორც ამ უკანასკნელის დისწული. აქ ბატონმა ლეტელიემ მთხოვა წამომეღო გენერალ თ. ჭავჭავაძესთან წერილები, რომლებიც მაისის პირველ რიცხვებში იყო დაწერილი. ტფილისში ჩამოსვლისთანავე გავიგე, რომ თ. ჭავჭავაძე აქ იმყოფებოდა, კაცის ხელით გავუგზავნე წერილები, რომლებიც მას ჩაბარდა. მე მაშინ უქეიფოდ ვიყავ და იმიტომ თვითონ ვერ წავედი მასთან. თ. დიმიტრი ორბელიანოვმა მთხოვა წამეყვანა იგი ბატონ ლეტელიეს გასაცნობად.[1] მასთან რომ მივედით, იქ დაგვხვდა ვიღაცა პოლონელი, ვილნოს გუბერნიიდან, როგორც თვითონ ამბობდა, — რომელიც მაშინ პირველად ვნახე, მისი გვარი და სახელი არ ვიცი, მოხელე კი იყო პეტერბურგში რომელიღაც დეპარტამენტისა: დაბალი ტანისა, შავგვრემანი, შავი თმა, ჭაღარა შერთული. რუსულად და ქართულად სწორედ ლაპარაკობდა, მაგრამ ფრანგუ-

[1] იხ. დიმ. ორბელიანის ჩვენება, IV, 613.

ლი გამოთქმა არ უვარგოდა. ჭეშმარიტად ვაღიარებ. რომ არა მქონდა რა ლეტელიეს ახლო ნაცნობობა, ვერ გავბედე მასთან მთავრობის საწინააღმდეგო რამე მეთქვა. თვითონ კი როგორც მახსოვს თქვა საქართველო უწინ უფრო განათლებული იყო ვიდრე ეხლაო, იგი ეხლა შევიწროებულ და საცოდავ მდგომარეობაში არისო. მთავრობა კი მის გასანათლებლად არავითარ ზომებს არა ღებულობს და ის ჯერ კიდევ დიდხანს უვიცად დარჩებაო, და ისეთი შავი ფერადებით აღწერდა საქართველოს. რომ არ ვიცოდი რა მექნა. მგონია, ბ-ნ ლეტელიემ თქვა აგრეთვე. ნახეთ რა ქნეს ფრანგებმა ალჟირში, გახსნეს სასწავლებლები, უნივერსიტეტი და სხვა განმანათლებელი საქმეებიო. ფრანგები დღითი-დღე ცდილობენ უფრო და უფრო მეტად გაანათლონ ეს მხარეო. პოლონელი კი როგორც მახსოვს ამბობდა, რომ იგი იცნობდა დავით ბატონიშვილს, რომელთანაც თურმე ხშირად დაიარებოდა.[1] ისიც ადასტურებდა ბატონ ლეტელიეს სიტყვებს და აქებდა ქართველებს. აი, მიზეზი ჩვენი საუბრისა. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვსიამოვნებდა ასეთი სიტყვების მოსმენა. ლეტელიესაგან რომ წამოვედით გზაზე წვიმამ მოგვისწრო; ამ დროს ჩვენ შორის სწარმოებდა მეტად მოკლე საუბარი საქართველოზე. მაგრამ რა ვილაპარაკეთ, სრულებით არ მახსოვს, როგორც არც ის მახსოვს ვუთხარი რამე ბატონ ლეტელიეს საქართველოს განთავისუფლებაზე თუ არა.

აქეთ წამოსვლა რომ დავაპირე, დიმიტრი ბატონიშვილი მეუბნებოდა ნუ წახვალ საქართველოშიო, მაგრამ, რაკი გაიგო, რომ აღარ ვიშლიდი, მითხრა წადი, მაგრამ იქ ნუ დარჩები, და ისევ მალე პეტერბურგში დაბრუნდიო.

მართალია ის, რომ პეტერბურგიდან წამოსვლის წინ ფარნაოზ ბატონიშვილმა მითხრა, შენ ძმებს გადაეცი, რომ სირცხვილია მათ შორის ჩხუბი, რითაც თავიანთ დედას აწუხებენ, ურჩიე მორიგდნენ და მშვიდობიანად იცხოვრონო: შენს ბიძაშვილებსაც ურჩიე შერიგდნენ და ამ დავით ერთმანეთს ნუ ჰლუპავენო. მოსკოვში რომ ჩავედი, მახსოვს ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა: თქვენ, ე. ი. ქართველებმა, არასოდეს თქვენი ადათ-ჩვეულებები არ უნდა დაივიწყოთო, რადგან ეს არის თქვენსა და რუსებს შორის უთანხმოების ნი-

---

[1] თუ ამ ცნობას, აგრეთვე მ. ბროსეს ქართველ შეთქმულებთან დამოკიდებულებას ღრმად ჩაუკვირდებით, აგრეთვე თუ მოვიგონებთ თავრიზში ალექსანდრე ბატონიშვილის ინგლისის წარმომადგენლებთან ურთიერთობას და ელიზბარ ერისთავის არაერთხელ ნათქვამს მოსალოდნელი დახმარების შესახებ. — შეიძლება ვაღიაროთ, რომ შეთქმულება ევროპის დიპლომატების გავლენას თუ მათს წაქეზებას მოკლებული არ უნდა ყოფილიყო.

შანიო, სრულებით არ მახსოვს, რომ ოქროპირ ბატონიშვილს როდისმე ეთქვას ჩემთვის რამე ტფილისში არსებულ საზოგადოებაზე, არც არავინ დაუსახელებია ჩემთვის თუ ვისთან უნდა მქონოდა ურთიერთობა და საზოგადოდ არავისგან არავითარი დავალება მე აქ არ ჩამომიტანია. ოქროპირმა მითხრა, კავკავის ხეობა ისე შეიძლება ჩაიხერგოს, რომ ვეღარავინ გამოიაროსო. საერთოდ ბევრი ილაპარაკა საქართველოს განთავისუფლებაზე, მაგრამ სახელდობრ რა თქვა არ მახსოვს. ტფილისში მე ვინახულე ალ. ჭავჭავაძე, როდესაც ის ოჯახით აქ ჩამოვიდა; მე და ელიზბარს გვქონდა საუბარი კავკასიის კორპუსისა და მთელი არმიის ძალების შესახებ. მე ვამბობდი, რომ მგონია კავკასიის კორპუსი 30.000 ჯარისკაცისაგან უნდა შესდგებოდეს, რომელთაც თოფქვეშ დგომა შეუძლიათ მეთქი, თ. ჭავჭავაძე ამტკიცებდა, რომ 60.000 და უფრო მეტისაგანაც შესდგება"-ო (IV, 636).

როცა პირველი ღამის გეგმა წაიკითხეს, მე ვუთხარი სოვეტნიკად ყოფილს თ. ალექსანდრე ორბელიანოვსა და მგონია, თ. ელ. ერისთოვსაც, რომ უმჯობესი იქნება აქაური უმაღლესი მმართველობის ხელისუფალნი ამოჟლეტის მაგიერ დავაპატიმროთ, რამდენი ხნითაც საჭიროდ დაინახავთ. ისინი არ არიან იმის ღრსი, რა ხვედრიც თქვენ მათთვის გადაგიწყვეტიათ; რადგანაც ეხლანდელი უმაღლესი მმართველობა ყოველი საშუალებით საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს და ჩვენ კი ვჩივით დაწესებულებათა შესახებ და არა უმაღლესი მმართველობის შესახებ, რომელიც სრულიად ისე ზრუნავს ჩვენზე როგორც მამა შვილზე მეთქი.

ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი
თავადი ერისთოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IV, 643-644)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე ს. პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებთან საუბრების შესახებ, მაქვს პატივი ვუპასუხო:

პეტერბურგში ყოფნის დროს, კვირა-უქმე დღეს ფარნაოზ ბატონიშვილთან დავიარებოდი. როგორც ის, ისე მისი მეუღლე ანნა მეკითხებოდნენ ხოლმე ჩემს მეცნიერებაში მეცადინეობასა და წარმატებაზე, მუდამ მირჩევდნენ მეტი ყურადღებით მოვპყრობოდი მეცნიერების შეთვისებას, ისინი მეუბნებოდნენ: „შენ აქ რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზე სწავლისათვის ხარ მოსული, მოშო-

რებული ხარ მ'მობლებს, რომლებიც შენს აღზრდაზე ფულსა ჰხარჯავენ და შენი უკან დაბრუნება კურსის დაუსრულებლად არ შეიძ-ლებაო".

ჩემი წამოსვლის წინ, 1830 წელს ფარნაოზ ბატონიშვილმა მიამ-ბო თავის ძმათა შორის ქიშპისა და ომის მიზეზები და ბოლოს, რო-გორ იმალებოდა იგი იმერეთში, რადგან რუსეთს წასვლა არ უნდო-და. ამ საუბრის დროს მან წამიკითხა მაშინდელი მანიფესტი და მის-თვის იმ დროინდელ საქართველოს გამგებელ გენერლის მიერ იმე-რეთში მიწერილი წერილები, რომლებშიც იგი არწმუნებდა (ურჩე-ვდა) მიებაძა თავისი ძმებისთვის და თავისი ნებით წასულიყო რუ-სეთში. წამოსვლის წინა წუთებში ბატონიშვილმა დამარიგა საქარ-თველოში ყველასთან მეგობრულად მეცხოვრა და დამევიწყებინა საგვარეულო ქიშპი და უკმაყოფილება. ამასთანავე მითხრა: „თუმცა მამაშენს მრავალი უსიამოვნება მიუყენებია ჩვენი სახლისა და გა-ნსაკუთრებით კი ჩემთვის, მაგრამ მე ეს დიდი ხანია დავივიწყე და ჩემგან სალამი გადაეცეო". ფარნაოზ ბატონიშვილისაგან მე მეტი არაფერი გამიგონია საქართველოზე.

დავიარებოდი აგრეთვე დიმიტრი ბატონიშვილთან, მე ვსარგე-ბლობდი მისი რჩევით ჩემს სწავლა-მეცადინეობაში. ის მე მირჩევ-და რომელი წიგნებით მესარგებლნა სწავლაში და ისე კითხვის დროს. უმეტესად კი მათემატიკაზე მქონდა ხოლმე მასთან საუბარი, საქართველოზე კი იშვიათად მელაპარაკებოდა, მაგრამ ზოგჯერ კი მეტყოდა ქართველებმა უკვე დაკარგეს მეომარის სული და თავის წინაპრებს აღარ მიაგვანანო, ხან კი ქართველებს მხდალებს უწო-დებდა.

უქმეებზე დიმიტრი ბატონიშვილთან ვიკრიბებოდით თავადები: ალექსანდრე ჩოლოყაევი, დიმიტრი ორბელიანოვი, გიორგი ერის-თავი, დიმიტრი ერისთოვი და მე. ვსაუბრობდით საქართველოზე. დიმიტრი ბატონიშვილი გვეუბნებოდა „რომ საქართველოს განთა-ვისუფლებისათვის განათლებაა საჭირო, ურომლისოდაც არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო, საჭიროა ერთი ჩვენი ბატონიშვილთაგანი დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში წავიდესო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვშვრებით, რადგან საამისო საშუალება და გამბედაობა არა გვაქვსო. საქართველოში გამომგზავრების წინ მითხრა დიმ. ბატონი-შვილმა: შენ მიდიხარ საქართველოში და მე უკვე მოვასწარი ჩამენე-რგა შენთვის და სხვებისათვის, რათა ეცადოთ საქართველოს განთა-ვისუფლებას, ეგებ შენ იქ იპოვო ჩვენი აზრის მატარებელი ხალხი და ჩემდა საუბედუროდ ეს ჩემი დამღუპველი აზრი საქართველოს განთავისუფლებისა, დიმიტრი ბატონიშვილმა ჩამაგონა. სხვა ბატო-

ნიშვილებთან კი წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მივიდოდი და ისიც მცირე ხნით.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

16 იანვარი
1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (IV, 645-646)

1825 წელს ჩავედი ს. პეტერბურგში და ვცხოვრობდი ფარნაოზ ბატონიშვილთან, ხშირად ვნახულობდი დიმიტრი ბატონიშვილს, რომელთანაც დაიარებოდნენ აგრეთვე ელიზბარ და გიორგი ერისთოვები. იგი ხშირად მოგვითხრობდა ისტორიიდან იმ ადგილებს, რომლებიც თავისუფლებას შეეხებოდა, როცა, ასე ვთქვათ, მოგვაწვადა და მერე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანოვების ჩამოსვლის შემდეგ, ჩაგვინერგა რა ჩვენ აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათიც ძომზადება. მასთან ხშირად თავს ვიყრიდით: ალექსანდრე ჩოლოყაეკი, დიმიტრი ორბელიანოვი, ელიზბარი, გიორგი[1] და მე ერისთოვები. დიმიტრი ბატონიშვილი ყოველთვის იწყებდა საუბარს საქართველოზე და ამბობდა, რომ ქართველები ველური და გაუნათლებელი ხალხია, უმეფოდ არიან და სხვა. ამით უნდოდა შეურაცხეყო ჩვენი თავმოყვარეობა და თავის განზრახვას კიდეც მიაღწია, რადგან ვის არ უყვარს თავისი სამშობლო და არ გამოიდებს მისთვის თავს. მან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შებრუნებით და უკვე აშკარად დაგვიწყო საქართველოზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი. პირველ საშუალებად ის ახალგაზრდებისაგან საზოგადოების შედგენას და ვანათლებისა და ამ საზოგადოების გავრცელებას აღიარებდა: პეტერბურგიდან ჩემი წამოსვლის წინ, ე. ი. 1832 წელს, მან განმიცხადა საიდუმლო მიმოწერის საშუალება, რომლითაც შეიძლება საკუთარი აზრის გადაცემა ისე, რომ მიმღებმა ის წაიკითხოს როგორც უბრალო წერილი. მოულოდნელად გამომგზავრების გამო იგი ვეღარ ვნახე, ჩვენს საუბრებს ესწრებოდა ხოლმე აგრეთვე სოლომონ რაზმაძე, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილთან ცხოვრობდა.

მოსკოვში გამოვლის დროს მქონდა პატივი მენახა ოქროპირ ბატონიშვილი, რომელმაც სადილად თავისთან დამტოვა და სადილ

---

[1] გიორგი რევაზის ძე.

შემდეგ კი თეატრში წაველ, იქიდან კი უკვე მოსკოვიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ თეატრიდან გამომიძახა ოქროპირ ბატონიშვილისაგან გამოგზავნილმა კაცმა, ბატონიშვილმა თავის კაბინეტში მიმიხმო და დამიწყო საუბარი: „გამიგონე დიმიტრი, შენ მიდიხარ საქართველოში, მე იქ უკვე ველაპარაკე სოლომონ დოდაშვილს, შენს ძმას ელიზბარს და ალ. ორბელიანს, რათა საქართველოს გასათავისუფლებლად ახალგაზრდების საზოგადოება შეადგინონ, გთხოვ შენც მიიღო მასში მონაწილეობაო და სხვ. და მერე მთხოვა, რათა მას ყველაფერი შევატყობინო, მან აქვე შემომთავაზა სწორედ ისეთივე საშუალება წერისა, მაგრამ რადგან წასასვლელად უკვე მზად ვიყავ, გამოვეთხოვე და წამოველ. ხოლო მისი მოცემული ფოსტის ქაღალდის ნახევარი ფურცელი საიდუმლო მიმოწერისთვის გზაში დამეკარგა.

სხვა ბატონიშვილთაგან ახლო ნაცნობობა არავისთანა მქონია. ფარნაოზ ბატონიშვილს არასოდეს არ გაუმხელია ჩემთვის თავისი აზრები საქართველოს განთავისუფლებაზე.

არტილერიის პრაპორშჩიკი თ. დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წელი
16 იანვარი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ჩვენება (IV, 649 — 654)

განმარტებანი ჩემს მიერ 1833 წლ. იანვრის 15 მიცემულ ჩვენებათა:

ჩემი ჩვენების პირველ პუნქტში დავწერე. რომ თ. ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი თ. ჩელოყაევი ერთად მოვიდნენ ჩემთან. — ვგონებ, რომ ეს უკანასკნელი თ. ელიზბარ ერისთოვთან ერთად მოვიდა. — ეს კი მართალია, რომ ეს სამნი სხვა სტუმართა შორის აღნიშნულ დროს ჩემთან იყვნენ. მაშინ მე მომზადებული ვიყავ მთავარმართებელთან წასასვლელად ჩემი საქმეების გამო, დავტოვე რა ისინი სხვა სტუმრებთან, ვთხოვე დაეცადათ, მე ძალე დავბრუნდებოდი. სახლში რომ დავბრუნდი, ყველა იქვე დამხვდა, იმათ გარდა; მალე ისინიც ისევ მოვიდნენ თ. ლუარსაბ ორბელიანოვის სახლიდან, რომელიც ჩემი ბინის მეზობლად არის. ამ დროს მქონდა ჩემ მიერ გამოცხადებული საუბარი თ. ლუარსაბის თანადასწრებით. თუმცა მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი ჩემი ცოლის ძმაა, მაგრამ არასოდეს არა ვსარგებლობდი მისი განსაკუთრებული ნდობით არა თუ დიდმნიშვნელოვან საქმეებში, არამედ

ჩვეულებრივ შინაურ საქმეებშიც კი. ის ვალებში იყო და მე არ ვიცოდი, ვისი რა ემართა, რის შესახებ ეხლაც არაფერი გამეგება. ახლა დააქორწილა თავისი აწ განსვენებული უმცროსი ძმა დავითი და ორი ქალი ისე, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაშინ როდესაც მასთან ასე ახლოს ვიყავი. მისი უფროსი ქალის ელენეს თავად დადიანზე გათხოვების ძესახებ რჩევა ძხოლოდ მაშინ მთხოვა, როცა საქმე უკვე გაეთავებინათ. ძე მას ვუპასუხე, რომ გაცილებით ეძჯობინებოდა რუსზე გათხოვება; რადგან ჩვენთვის სასარგებლოა რუსებთან ნათესაობის გამრავლება, რათა უფრო მეტად დაუახლოვდეთ მათ. განა ბუნებრივია, რომ თავისი ჩემდამი ნდობის პირველი მაგალითი დიდმნიშვნელოვანი საქმით დაეწყო და მიმალავდა რა აქამდე უმნიშვნელო რამეებს, ერთბაშად გამომიცხადებდა თავის ბოროტგანზრახულებას საქართველოდან რუსების გაძევების შესახებ, რომელთადმი ჩემი ერგულებაც მისთვის მრავალი მაგალითით ცნობილი იყო. იცოდა, რომ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან ეერთების მთავარი მიზეზი მაძა ჩემი დეისტვიტელნი ტატსკი სოვეტნიკი თავადი გარსევან ჭავჭავაძე იყო, რომ თვითონ ე დაბადებული ვარ რუსეთში, მოხათლული ვარ ნეტარხსენებული იმპერატრიცა ეკატერინე II-სა, აღზრდილი ვარ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მოწყალე მზრუნველობით, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟი, რომელიც მონარქის ძვირფასი წყალობით უკვე მიღებულია გვარდიის პოდპრაპორჩიკთა სასწავლებელში, მოსკოვში იზრდება. მისთვის ცნობილი იყო ჩემი ახლო კავშირი მაშინდელ აქაურ სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისთან;[1] მან იცოდა, რომ თვით საქართველოშიც მე მქონდა მნიშვნელოვანი სამეურნეო საწარმოები, საიდანაც მომავალში დიდი შემოსავლის იმედი მაქვს, რაც ხალხის ოდნავი მღელვარების შემთხვევაში ხელიდან უნდა გამომცლოდა; დასასრულ, მან იცოდა, რომ ყველაზე კრიტიკულ ეპოქაში 1812 წელს კახეთის აბბოხების დროს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მე სისხლი დავანთხიე, რასაც ჩემი მოვალეობა მოითხოვდა. ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ ოდნავ ჭკუათა მყოფელ ადამიანს გაუძნელდებოდა ჩემთან მსგავსი განცხადებით[2] მოსვლა. სარა, თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი, რასაკვირველია, დაიბნა თავის ჩვენებებში ან მისი რუსული დიალექტში სისუსტის გამო, ან სუსტი მეხსიერების გამო, რომელიც იმ ჯოჯოხეთური საიდუმლოებისგან უარესად უნდა

---

[1] ალ. ჭავჭავაძემ არ იცოდა, რომ ამას თავის საზიანოდ წერდა: კომისიაში ცნობილი იყო მისი და ზავილეისკის ურთიერთობა შეთქმულების გამო.

[2] აჯანყების განზრახვის გამოცხადება იგულისხმება.

ჰქონდეს შერყეული, ან სხვა ჩემთვის მიუწვდომელ მიზეზთა გამო. არც 31 წელს, არც შემდეგ მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მათ აჯანყება ჰქონდათ განზრახული. მაგრამ ლაპარაკობდნენ, რომ ძალიან ბევრი მემამულეა უკმაყოფილო და შეურაცხყოფილი: ზოგი გლეხების გამო, რომელნიც თავისუფლებას ეძიებენ; ზოგი მამულების შესახებ ხაზინასთან დავის გამო, ყველა ერთად კი საერთოდ უზომო გადასახადების გამო და რომ საშიშია აჯანყება არ მოხდესო.

ამ შემთხვევაში მე სავსებით ვეთანხმებოდი ხოლმე მათ და წარმოვუდგენდი ხოლმე იმ საშუალებებს, რომელიც უნდა მთავრობის მიერ მიღებული ყოფილიყო ამისთანა შემთხვევებში, რათა ხალხი ამ საქმეში დამღუპველ აღრეულობამდე არ მისულიყო. ღმერთმა დაიფაროს, — დავუმატე მე, რომ ქართველებს როდისმე რუსებთან შებმა მოუხდეთ, რომლებიც დიდის მუდარით მოიყვანეს თვის დამცველებად მეთქი.

მაიორ ლაუარსაბ ორბელიანოვის სუსტი ხასიათი ყველასათვის ცნობილია, ვინც კი მისი ახლოს მცნობია. სწორედ ამ მიზეზს უნდა მივაწერო ის გაუგებრობა, ამჟამად რომ ადგილი აქვს. როდესაც მას დაავალეს (ეხლაც არ ვიცი, ვინ დაავალა) გამოეცხადებინა ჩემთვის მათი ბოროტგანზრახულება, ალბათ ვერ მოახერხა მათთვის უარი ეთქვა, ჩემთან მოსულმა კი ვერ გაბედა დავალებული აშკარად ეთქვა ჩემთვის, არამედ მიამბო იგი ზემო მოხსენებული სახით, ხოლო როცა მათ კვლავ შეხვდა, ისევ, რასაკვირველია, ვერ გაბედა მათ თავის სისუსტეში გამოსტეხოდა და უთხრა მათ, რომ მან მე ყველაფერი გადმომცა; მაგრამ მე არ დავეთანხმე. როდესაც თ. ლუარსაბ ორბელიანოვის თანადასწრებით ვესაუბრეთ ჩელოყაევს, ეს უკანასკნელი უეჭველად დარწმუნებული იყო, რომ მე მათი განზრახვა ვიცოდი, რადგან, მე მახსოვს, ის ამბობდა: „აზრი ძალიან მომწიფებულიაო“, და ამიტომაც შეიძლება ჩემი განმარტებანი შესაძლებელი აღრეულობის შესახებ, მან იმ აჯანყების შესახებ ნათქვამად მიიღო, რომელსაც თვითონ ამზადებდენ. კაპიტან თავად ჩელოყაევთან მე საერთო არაფერი არა მქონია, იმის მეტი, რომ ის ჩემი ცოლის ბიძაშვილი იყო. მე მინახავს იგი პეტერბურგს 1809, 10-სა და 14-ს წელს, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი. საქართველოში ჩვენ შევხვდით ტფილისში, როგორც მახსოვს 1822 წელს. ის მაშინ უკვე ოფიცერი იყო, და უკანასკნელად შევხვდი გასული წლის დამლევს, როგორც უკვე განვმარტე. მე არა მქონდა არავითარი მიზეზი მისთვის ჩემი სული და გული გადამეშალა და ჩემი ბედი მის ხელში გადამეცა პირველი შეხვედრისთანავე. მე

უფრო ადვილად შემეძლო ასე მოვქცეულიყავი თ. ელიზბარ ერისთოვთან, იმდენად სულელი რომ ვყოფილიყავ, რომ მაისს განზრახვაში გავრეულიყავ. მართალია, არც ამას ვიცნობდი ახლობლად, მაგრამ გაცილებით უკეთ ვიცნობდი, ვიდრე თ. ჩელოყაევს. მაგრამ მე ვლაპარაკობდი სრულიად არა საიდუმლო საქმეზე; საზოგადო სარგებლობაზე, იმ არეულობის თავიდან აცილებაზე, რომელიც მოსალოდნელი იყო. მე იმდენად უბედური ვარ, რომ გარემოებათა სათანადოდ გამორკვევამდე, თითქოს, უკვე დამნაშავეთა რიცხვში ვარ ჩათვლილი. მე მოკლებული ვარ საშუალებას პასუხი ვუგო იმათ, ვინც მე ბრალს მდებს: რადგან ჩემი ბრალდებები დაწვრილებით არ ვიცი. მე გამომეცხადა მხოლოდ, რომ თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა და კაპიტანმა თ. ჩელოყაევმა გამიმეღავნეს იგი ჯოჯოხეთის საიდუმლო. ამისთანა საიდუმლოს მე ვერ ვინდობდი ვერავითარ შემთხვევაში არც ჩემი ხასიათით, არც განწყობილებით, არც შინაური გარემოებით. ჭკუათამყოფელი ადამიანი ვერაფერს მოიმოქმედებს უსაფუძვლოდ. იგი მოქმედებს ან შიშის გავლენით, ან იმედის გავლენით, ან სიყვარულის, ან შურის გავლენით, ან რისიმე შეძენის სიხარბით, ან რისიმე დაკარგვის შიშით. ადამიანთა რომელ ჯგუფს მიმაკუთვნებენ ჩემი ბრალმდებელნი ან კომისია? თუ ჩემში გონიერებას არ გულისხმობენ, მაშინ ტყუილად იწუხებენ თავს ჩემგან ჩვენებათა მოთხოვნით. თუ კი ისეთ არსებად მთვლიან, რომელსაც ოდნავ მაინც შესწევს განსჯის უნარი, მაშინ დამიმტკიცონ: რომელ ანგარიშს უნდა ვეიძულებინე 47 წლის კაცი, 24 წლის განმავლობაში თავდადებული სამხედრო სამსახურის შემდეგ, უკუვმდგარიყავ სამსახურისა და მოქალაქის სამღვთო მოვალეობიდან. სამსახურისა, რომელსაც ვასრულებდი არა გაჭირვებისა და სიღარიბის გამო, არამედ როგორც კეთილშობილი ადამიანის უსპეტაკეს მოვალეობას, რომელიც სამარადისოდ მით უმეტეს მადლიერი უნდა ყოფილიყო მთავრობისა, რომ იგი დაიბადა პატრონად საკუთრებისა, რომელსაც იცავს მთავრობის კეთილი მზრუნველობა. რა საფრთხე მემუქრებოდა მე? რა იმედი გამიღიმებდა მე რუსების საქართველოდან გაძევების შემდეგ? მე მძაგდეს რუსები! მაშ ვინ უნდა ვამჯობინო მათ! სპარსელები! თურქები! უნდა მოველოდე სარგებელს მათი რკინის კვერთხის ქვეშ! უნდა მეშინოდეს დაქცევისა რუსთა კეთილმეურვეობის დროს! აი ვარაუდები, რომლებსაც შეეძლო ვეიძულებინე ხელი ამეღო სინდისზე, გამეტეხა ფიცი ხელმწიფისა და სამშობლოს წინაშე. რა თქმა უნდა, მრავალ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი საქართველოში, მაგრამ იგი გამომდინარეობს არა მთავრობისაგან,

არამედ მის კეთილ განზრახვათა უღირს ამსრულებელთაგან. ვის შეუძლია ჩემზე მეტად იგრძნოს განსხვავება ძველსა და ახალ მთავრობას შორის? უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ვსარგებლობ რა უზენაესად ბოძებული შვებულებით, მე გავაორკეცე ჩემი შემოსავალი, გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის გაუმჯობესებისათვის კვლავ მრავალი საშუალება გველის.

მართალია კაპიტან თ. ჩელოყაევთან არა მქონია არავითარი მეგობრული კავშირი, მაგრამ არც ჩემთვის ცუდის მდომელად მეგულებოდა. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით მის ჩემ წინააღმდეგ ჩვენებას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ის ცდილობს გამომიყვანოს მე თუმცა აჯანყების უარმყოფელად — გარემოებათა წყალობით — მაგრამ ისეთ ადამიანად, რომელიც აბბოხების სულით არის გაჟღენთილი. ეს მაიძულებს მე აქ შემდეგი გარემოება გავიხსენო: იმ საღამოს, როცა მე მასთან საუბარი მქონდა, მის დასრულების შემდეგ თუმცა დიდხანს აღარ დარჩენილა, მაგრამ მაინც მოასწრო გამოეთქვა თავისი რისხვა იმ ბოროტ ადამიანებზე, რომელთაც მისი ნათესავი თადია ჩელოყაევი თავადაზნაურთა არჩევნებზე არ დაუშვეს. აღნიშნული თადია ჩემი აშკარა მტერია. რასაკვირველია, მან უკვე მოასწრო კაპიტანი თ. ჩელოყაევი ჩემ წინააღმდეგ განეწყო, შთააგონა რა მას, რომ ყოფილმა გუბერნატორმა ზავილეისკიმ ჩემი დაჟინებით წაართვა მას თავადაზნაურთა საკრებულოში დასწრების უფლება. მაშინ როდესაც ამის მიზები თვით თავად თადია ჩელოყაევის გულზავობა იყო, რის გამოც იგი უკანასკნელ არჩევნებზე დაშვებული არა ყოფილა.

ასევე უნდა შევნიშნო თავად ალექსანდრე ორბელიანის შესახებ. ის ბიძაშვილია აღნიშნული თადია ჩელოყაევისა. მე და ამ უკანასკნელის შორის დავის დროს იგი ყოველთვის ჩემს წინააღმდეგ და ამის სასარგებლოდ მოქმედებდა. 31 წლის მთელი ზაფხული ტფილისში გავატარე, ვცხოვრობდი ალექსანდრე ორბელიანოვისაგან არა უშორეს 30 საჟენისა, მას ჩემთან ფეხი არ შემოუდგამს. ვიცოდი რა მისი ჩემდამი არა კეთილგანწყობა, როგორ გავაბამდი მასთან საიდუმლო ურთიერთობას და როგორ უნდა მებრძანებინა მისთვის, რომ მას თავად ლუარსაბის ბრძანებები აღესრულებინა? ასეთი სიცრუე ჩემთვის გაუგებარია და მხოლოდ იმას შეჰფერის, ვინც საქართველოს გაბედნიერებას აჯანყების საშუალებითა და აქედან რუსების გაძევებითა ფიქრობს!

იმათ წინააღმდეგ, ვინც მე ამ მდაბალი, ბოროტი და დამღუპველი საქმის მონაწილედ მთვლის, შემიძლია კიდევ ვთქვა, რომ 1831 წლის განმავლობაში ჩემი ხელით გადაეცა 40 ათას მანეთზე მეტი

ვერცხლით ჩემს მოვალეებს, რომლებმაც მანდეს დიდი თანხები თამასუქებითა და უბრალო ხელწერილებითაც კი ყოველგვარი გირაოს გარეშე; მე შემეძლო ამ თანხების გადახდა რამოდენიმე წლის მანძილზე გამეჭიანურებინა. განა დასაჯერებელია, რომ კაცმა, რომელიც დათანხმდა ყოფილიყო აჯანყებულთა მეთაური (სახარბიელო და წარმტაცი პატივი, რომელიც მათი სიტყვით ჩემი პატივმოყვარეობისთვის შემოუთავაზებიათ), არ შეინახა ასე რიგად საჭირო თანხა, რომელიც აჯანყების დროს შეიძლება საჭირო გამხდარიყო, რომ ამავე კაცს განეგრძო გაორკეცებული მცდელობით მოეკიდნა ხელი ისეთი საქმიანობისათვის, რაც დიდ საზრუნავსა და ხარჯს მოითხოვს და საიდანაც სარგებლობის მიღება მხოლოდ საერთო მშვიდობიანობის დროს შეიძლება, ურომლისოდაც არავითარ მრეწველობას არა თუ აყვავება, არამედ არსებობაც კი არ შეუძლიან.

როდესაც პირველ ჩვენებათა ჩამორთმევის დროს ბ. ბ. კომისიის წევრები მეუბნებოდნენ: რატომ ყველა დაპატიმრებულნი გენერალთაგან ერთობ ყველა მხოლოდ მე ?ასახელებს? — არ ვიცოდი რა, რომ მე მათ წინაშე ოქროპირ ბატონიშვილის მიერ ვიყავ დასახელებული, — პასუხის მიცემა გამიძნელდა. აი, რა ადვილად შეუძლიან საქმის მსვლელობის უცოდინარობამ, ზოგჯერ უდანაშაულო დამნაშავედ მოაჩვენოს. მათ მე დამასახელეს და არა სხვა ვინმე, მაგრამ უნდა ეკითხოს თვითონ მის ბრწყინვალება ბატონიშვილს: რა მიზეზით წარმომადგინა მე თავის შხამიან განზრახვათა აგენტად. მიწოდებს რა მე ჭკვიანს, განათლებულ ადამიანს, ნუთუ მას ჰგონია, რომ ამ საქმე თვისებებს უფრო მეტად შეამკობს ბილწი მუხანათობის მიმატებით? ვარ რა ქართველი და არა პირმოთნე, თაყვანისმცემელი აქაური მეფეების გვამთა, რომელთაგანაც დიდად არის ჩემი სახლი დავალებული, არ შემეძლო არ გახმეცადნა უაღრესი პატივისცემა უკანასკნელი მეფის გიორგის ხსოვნისადმი მისი იმ კეთილწინდახედულობის გამო, რამაც იგი მიიყვანა გადაწყვეტილებამდე შეეერთებინა საქართველო რუსეთისათვის. თუ რომ ოქროპირ ბატონიშვილს ამისათვის შეეხედნა სათანადო თვალსაზრისით, უეჭველად იგრძნობდა, რომ მისი მამის, განსვენებული მეფის ამ ბრძნული ღონისძიებების გარეშე, მისი ოჯახის ყველა წევრთ თავიანთ სამშობლოსთან ერთად მწარე განსაცდელი მოელოდათ. აღიარებდა მისგან დატოვებულ დიდი მონარქის მფარველობას თავისთვის საკმარის მემკვიდრეობად და არ შეარყევდა არც ქართველ ხალხსა და არც თავის წინაპართა გვარებს ბოროტი ზრახვებით. ამ ჯერზე ამ განმარტებით უნდა დავკმაყოფილდე:

რადგანაც ამ ქაღალდის წარსადგენად ჩემთვის მიღებული დრო უკვე გადის.

გენერალ-მაიორი თავადი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ქ. ტფილისი
17 იანვარი, 1833 წ.

ონიკოვის ჩვენება (VI, 691)

1833 წლის იანვრის 20-ს საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე თუ რა ვიცი აქ, ქ. ტფილისში აღმოჩენილი შეთქმულების შესახებ, მაქვს პატივი ვუპასუხო.

1832 წლის ნოემბრის 22 დავბრუნდი ჩაჩნების წინააღმდეგ ექსპედიციიდან და იმავ თვის დამლევს ვიყავი ჩემს ცოლის ძმა ალექსანდრე მელიქოვთან, რომელთანაც მოვიდნენ თავადები ბიძინა ერისთოვი და ალექსანდრე ორბელიანოვი და სხვა საუბართან ერთად მკითხეს აგრეთვე, თუ რამდენი წელიწადია, რაც სამსახურში ვარ, რომელთაც ვუპასუხე თექვსმეტი მეთქი. მათსავე კითხვაზე, თუ რატომ არ ვანებებ სამსახურს თავს (почему не выхожу в отставку) ვუპასუხე, რომ მინდა მაიორის ხარისხი მივიღო და მერე შეიძლება კიდეც გავიდე სამსახურიდან მეთქი. ბოლოს შემეკითხნენ, საქართველო რომ აჯანყდეს მთავრობის წინააღმდეგ შესძლებს თუ არა რუსების დამარცხებასაო, ამაზე მე ვუპასუხე, საქართველო ვერასოდეს ვერ შესძლებს რუსების წინააღმდეგობას მეთქი, ამის მაგალითები უკვე ბევრი გქონდათ, ირანი, თურქეთი და კავკასიის მთიულნი, რომლებიც რუსებმა დაამარცხეს, მაშინ როდესაც თურქებსა და ირანელებს რეგულარული ჯარი ჰყავთ და საქართველოს კი განა შეუძლია ოდესმე რუსების ღალატზე იფიქროს მეთქი. ამაზე მიპასუხეს, დიახ, ეხლა არ შეუძლიან, ოდესმე კი შეიძლებაო. მაგრამ რომ მათ შეთქმულებაზე ელაპარაკნათ, არ გამიგონია და დღემდე არცა რა ვიცოდი რა. თუმცა მაშინ იქ სხვებიც იყვნენ მაგრამ მათ ცალკე საუბარი ჰქონდათ და ჩვენ არ გვაქცევდნენ ყურადღებას, სახელდობრ ვინ იყვნენ კი არ მახსოვს.

ერევნის კარაბინერთა პოლკის შტაბის კაპიტანი ო ნ ი კ ო ვ ი.

ერთხელ ვსაუბრობდით მე, თ. ალექსანდრე ორბელიანოვი და თ იასე ფალავანდოვი მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ჩვენს განზრახვაში ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა. გლეხებზე სთქვეს იმედი არა გვაქვსო, თუ სამხედრო ბეგარის შემოღებით არ დავაშინებთო, რადგან ისინი მემამულეებზე გამარჯვებული არიან და თავის მდგომარეობით დაკმაყოფილებულანო; თავადაზნაურობაზე კი მიამბეს, თუ რითია თავადაზნაურობა უკმაყოფილო; და დაადასტურეს თ. დავით დიასამიძის სიტყვები, რომელმაც მიამბო, თუ როგორი საჩივარი მისცა გორის მაზრის მთელმა თავადაზნაურობამ სენატორ გრაფ კუტაისოვს (რომელთანაც თ. დავით დიასამიძე თარჯიმნად იყო) როცა იგი გორში სარევიზიოდ ჩასულა.

თ. დავით დიასამიძემ მიამბო გრაფ კუტაისოვისთვის გორის თავადაზნაურთაგან წარდგენილი საჩივრის შინაარსი: „თავადაზნაურობა ითხოვს, რათა საზღვარი დაედვას გლეხების საჩივარს თავის ბატონებზე, რადგან ყოველი გლეხი იპოვის თუ არა პატარა რამე სიგელს ან სრულიად უმნიშვნელო მიზეზს მაშინვე ბატონზე საჩივარი შეაქვს. სასამართლო იღებს მის საჩივარს, ბატონისაგან თხოულობენ ახსნა-განმარტებასა და გლეხის მისდამი კუთვნილების დამტკიცებას. ამასობაში კი ბატონი ძლიერ ზარალდება: 1-ლი მომჩივანი მას უკვე აღარ ემსახურება, 2-ე იგი იძულებულია ქალაქში დაჰყოს ვიდრე დავა გათავდება და ეს რამოდენიმე თვეობით გრძელდება, 3-ე მას იმდენი დაეხარჯება, რომ გლეხი იმად არა ღირს, მან უნდა თითოეული თხოვნის დაწერაში ფული გაიღოს, რადგან ისე ვინ დაუწერს ანდა როგორ დაუწერენ? გლეხს კი ყველა ქაღალდს ჩინებულად უწერენ ამ საქმეში გამოცდილი ხალხი, მათ უფლებას იცავენ „სტრიაპჩები“ და პროკურორები, ბატონმა კი ყველაფერში ფული უნდა მისცეს. ბოლოს გლეხს გაანთავისუფლებენ და ბატონი აუარებელ ხარჯებთან ერთად გლეხსაც ჰკარგავსო.

ზოგჯერ ბატონი მოიგებს ხოლმე დავას, მაგრამ რა ფასი აქვს ამას? გლეხი მას სრულიად გაღატაკებული უბრუნდება და ბატონი იძულებულია რამოდენიმე წელს იგი არჩინოს“.

ამ გვარი საჩივრები იმდენად ჩვეულებრივი და საყოველთაო გახდა, რომ არ არის არც ერთი მემამულე, რომლისთვისაც გლეხებს არ ეჩივლოთ და რომელსაც რამდენიმე გლეხი არ დაეკარგოს. მთელი სოფლებიც კი ჯანყობენ ბატონების წინააღმდეგ და გორის მაზრის ერთი სოფელი თავის თავს სახაზინოს უწოდებს, რადგან რომელიღაც ქართველ მეფეს იქ ტაძარი აუგია და მის კარზე ამ მეფის სა-

ხელი აწერია. თუმცა ნაბრძანებია როგორც ამ საჩივრების ისე სხვა შემთხვევების დროს იხელმძღვანელონ ვახტანგ მეფის კანონით, მაგრამ დაწესებულებაში ამას არ იცავენ, აქ მოაქვთ რუსული კანონებიც, რის შესახებაც ჩვენ ქართველებს წარმოდგენაც არა გვაქვს. სადაც მათთვის სახეიროა და საქმე საითაც იხრება, სწორედ იმას იყენებენ და ამიტომ ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას გამოაცხადოთ თუ რომელი კანონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

„შემდეგ თავადებმა სთხოვეს სენატორს თავიანთი აზნაურების სახელით: თავადიშვილთა აზნაურებს (княжеским дворянам) ზოგს თვით მეფეებმა უბოძეს აზნაურობა მათი სამსახურისა და ერთგულების გამო, ზოგს კი თავადიშვილთა შუამდგომლობით. რომელ თავადსაც აზნაური ჰყავდა, მას აძლევდა მიწას და თავის მამულის მმართველობასაც მას აბარებდა. მაგრამ თუ თავადს რამდენიმე აზნაური ჰყავდა, მაშინ მათ ყველას თავისი მამულის თვითეული ნაწილის მმართველობას აბარებდა და ისინი ერთიმეორის შორის ქიშპობდნენ.

როდესაც გამოაცხადეს, რომ თავადებს აზნაურები აღარ უნდა ჰყავდეთო და ისინი ჩამოსცილდნენ, მაშინ აღიძრა საჩივარი. აზნაურები მოითხოვენ მამულის იმ ნაწილს, რომელსაც ისინი განაგებდნენ, თავადები არ აძლევენ. ამაზე ათ წელიწადზე მეტია დავა გრძელდება. და თავადებმა დაჰკარგეს თავისი მამულის და გლეხების ნაწილი.

ამაზე არა ნაკლებ ართმევს მემამულეებს მიწასა და გლეხებს საქართველოს სინოდალური კანტორა. საქართველოში ჩვეულებად არის მემამულე სწირავს ეკლესიას პურს, ღვინოს, და ზოგჯერ ფულსაც, უბრძანებს გლეხს მისგან კუთვნილი პურისა და ღვინის გადასახადი ეკლესიას მისცეს. თუ ეს შეწირულება რამდენიმე წელს მეორდება, მაშინ ის თვითონ გლეხსაც ჰკარგავს, აქ გლეხი საჩივარს აღძრავს. რომ იგი საეკლესიოა. რადგან ეკლესიას აძლევდა გადასახადს.

თ. დიასამიძემ მიამბო ყველა ეს, მაგრამ მე არ ვიცი მართლა არსებობს თუ არა საქართველოში ყველა ეს ნაკლი. მე კი ერთ წელიწადზე მეტი არ არის რაც შვებულებაში ვარ და ყველა ამ გარემოებას ვერ ჩავწვდი.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (VI, 705)

კ ო მ ი ს ი ა ს!

მე რომ შუამთის მონასტერში შევიარე და შევედი ფილადელფოს ბერთან, მაშინ მან გადმომცა რა ხსენებული აქტი,[1] სხვათაშორის მითხრა, საჭიროა აგრეთვე ისიც გამოვიგონოთ, რომ განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდეთ წევრებს, რათა უცნობებს ამ ნიშნის საშუალებით შეეძლოთ იცნონ ერთი მეორეო. მე მივუგე რა ნიშანი შეიძლება იყოს მეთქი. მაშინ ის კარგა ხანს დაფიქრდა და მაჩვენა: მარჯვენა ხელის ნეკით წარბი უნდა მოიფხანოსო, მე გამეცინა და ვუთხარი, ვაითუ სხვა ტყუილმა წევრმა ქნას ეს მეთქი? არა უშავს რაო, სთქვა მან, მაშინ სახეზეც შეიძლება იცნოს კაცმაო. ამის შემდეგ მე მალე წამოვედი, რადგან მეტი დრო აღარ მქონდა.

პრაპორჩიკი თავადი გიორგი ე რ ი ს თ ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის პასუხი (IV, 725)

კომისიის კითხვაზე ვუპასუხებ, რომ: შენიშვნები, 1801 წლის მანიფესტზე საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ, რომლებიც ნაპოვნია ჩემს ქაღალდებში, შედგენილია ჩემს მიერ ს. პეტერბურგში, მაგრამ არავისთვის კი არ გამიზიარებია.

არტილერიის პრაპორჩიკი თ. დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1883 წლის იანვრის 23.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IV, 727)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე განვმარტავ: 1828 წლის მაისის 13-ს ნამდვილად დადებულია ჩვენ შორის ხელწერილი,[2] რომელშიაც ჩვენ მხედველობაში გვქონდა მხოლოდ საკუთარი სარგე-

---

[1] ლაპარაკია ფილადელფოს კიკნაძის მიერ „აქტი გონიურის" გადაცემაზე.

[2] ლაპარაკია ერისთავთა შორის პეტერბურგში დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც შეთქმულების ორგანიზაციის პირველ აქტს წარმოადგენს (იხ. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, 1, თბილისი, 1935, გვ. 17).

ბლიანობა, შესახებ ჩვენ უკეთ მოწყობისა და რამე ქარხნების მოწყობისა, რისთვისაც ვალდებულებას ვიღებდით შეგვესრულებინა ჩვენი მოცემული სიტყვა და არ ჩამოვრჩენოდით ერთმანეთს. ეს სრულებით არ ეხებოდა ჩვენს განზრახვას საქართველოს შესახებ, ამ უკანასკნელის შესახებ კი იყო რაიმე ნიშანი ჩვენი თანაგანმზრახველის გამოსაცნობად თუ არა მე არ ვიცი.

ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი

თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

იანვრის 21, 1838 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (IV, 800-812)

კომისიის ბრძანებით, იმ შეკითხვათა შესახებ, რაც მე გამიგონია პატივი მაქვს შემდეგი მოვახსენო.

1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ, არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათ ზნე-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად მარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება.

2. ამ დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქაღალდზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კმაყოფილი რჩება.

3. წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც საღერბო ქაღალდზეა ნაბრძანები.

4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს და ძალიან სწრაფადაც, ნაბრძანებია მაინც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჭიანურდება.

5. მომჩივანთაგან როგორც მართალი ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე უღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ საქმეს არავინ მოისმენს და არ გაარჩევს.

6. ძალიან პატიოსანი და ყველასგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ როგორმე მოუხდა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველის კაცის მხიარული ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს; უკეთუ შეწყალება მიიღო, საზოგადოე-

ბის მიერ მისი არჩევა აკრძალულია. აი რა არის მათი საჩივარი, ხშირად უდანაშაულოდაც ისჯება კაცი.

მაგალითად, ერთი საწყალი მოხუცი ქალი, რომელიც სოფელში ბამა ჩემის მეზობლად ცხოვრობს, 1813 წლიდან წვალობს თავისი ძროხების შესახებ, რომლებიც გაურეკია იქაურსავე მცხოვრებს, რადგანაც მისთვის არ გადაუხდია ვალი ოთხი ხუთი მანეთი ერთ გლეხს, რომლის ნახირიც ამ ბებრის ძროხებთან იყო. ძროხების რიცხვი, როგორც თვითონ ამბობდა, ოცდახუთამდეა. დღემდე ვერ მიიღო დაკმაყოფილება ოლქის უფროსებისაგან.

ერთმა გლეხმა ვინმე ავალოვმა 1817 წ. აღმასრულებელ ექსპედიციაში შეიტანა თხოვნა 180 მანეთის შესახებ და იქიდან მოკიდებული მოიღალა სიარულით და პასუხი რომ ვერ მიიღო, შარშან მოვიდა ჩემთან და თ. პოლკოვნიკ ანდრონიკოვის თხოვნით მივიღე ჩემს თავზე მინდობილობა და შევიტანე განცხადება იმ ექსპედიციაში, რომელმაც მიპასუხა, რომ ამა და ამ დროს ამის შესახებ სასამართლოს მივწერეთ და ამიტომ მთხოვნელმა მას უნდა მიმართოსო, მე მივმართე, მაგრამ სულ მიპასუხებდნენ დღეს არა გვცალიან ხვალ მოდითო, ბოლოს მივხვდი, რომ ეს ხვალ ნიშნავდა ანასოდეს. მე ისევ აღმასრულებელ ექსპედიციაში მივედი და ვთხოვე ექსპედიციას როგორც უმაღლეს დაწესებულებას შეუძლიან და მოვალეც არის მისწეროს (სასამართლოს), თუ რატომ აქამდე არ დასრულდა ეს საქმე მეთქი, მან მგონია მისწერა, მაგრამ ღმერთმა უწყის როდის გათავდება.

მზგავსი საქმეები უამრავია, ეს მეტად უმძიმს მოსახლეობას და ხშირად ჩივიან, ზოგნი კი სიღარიბისა და ენის უცოდინარობის გამო, თავის უფლებებზე სრულებით ხელს იღებენ.

რასაკვირველია, უმაღლეს მმართველობას ეს არ ეცოდინება, თუ როგორ ავიწროებენ ხალხს, რადგანაც ვერა ჰბედავენ თავისი საჩივრების მოხსენებით შეაწუხონ უმაღლესი მმართველობა. ერთი სიტყვით ქართველთა მთელი საჩივარი დამყარებულია მათს სახელმწიფო დაწესებულებებში შევიწროებაზე. ამის შესამსუბუქებელი საშუალებები შემდეგია: ეს მხედველობაში აქვს უმაღლეს მმართველობას, მაგრამ შესაძლებელია თუ არა მე არ ვიცი.

სასამართლოებში უნდა იყოს არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხს, რასაკვირველია ისინი უნდა იყვნენ მიუდგომელნი და კეთილნი და საქმეები რაც შეიძლება მეტად სიტყვიერად უნდა გაარჩიონ.

გლეხის მთელი სიხარული იმაში მდგომარეობს, რომ მოუსმინონ მას და სასამართლოს გარეშე შეარიგონ მომჩივანნი, ანდა თუ დამ-

ნაშავის დასჯაა საჭირო, დაისაჯოს, მაგრამ სასამართლოს ნუ გადაეცემა. სასამართლო საშინელი ტვირთია ამ გრძნობიერ და შეიძლება ითქვას, კეთილი და გულწრფელი ხალხისათვის.

ჩვენ არა შევიწროებამ გვაფიქრებინა საქართველოს განთავისუფლება რუსებისაგან, არამედ მხოლოდ უგუნურებამ. სისულელემ, გამოუცდელობამ და ახალგაზრდობამ ჩვენმა, რაც არ უნდა შევიწროებული იყოს იგი, და რაც არ უნდა სურდეს თავისუფალი იყოს რუსთაგან, ძალუძს განა მას რუსეთს გაუმკლავდეს და გადაურჩება კი თავის მეზობელ მტრებს? მაგრამ მრავალი კეთილმოქმედება შესცვლის ყოველგვარ შევიწროებას.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

23 იანვარი
1833 წლის.

საგამომძიებლო კომისიას ვბედავ კვლავ შემდეგი მოვახსენო: თუ კი ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი ამბობს, რომ მე მას 1831 წელს გადავეცი პროკლამაცია — მაშ წარმოადგინოს იგი და მაშინ დარწმუნდებით, რომ იგი არის თარგმნილი რუსული ნაბეჭდი წიგნიდან, რომელიც მან ითხოვა ჩემგან. პროკლამაცია კი მე არასოდეს არ დამიწერია და არც ფიქრად მომსვლია მისი დაწერა,[1] პროკლამაციასა და იმ სიტყვის თარგმანს შორის, რომელიც მე გადავეცი, დიდი განსხვავებაა.

გენერალ თ. ერისთოვის მიერ შედგენილ ლექსს ისინი მავნებლად სთვლიდნენ, შეიძლება ჩემი პროკლამაციაც ასეთად ჩათვალეს, ან შეიძლება ჩემი სიტყვები (мои речи), რომლებიც ჩემს ქაღალდებშია და რომელიც მავნებელს არაფერს შეიცავს, პროკლამაციად ჩასთვალეს, ყველაფერი, რაც კი ოდესმე დამიწერია ან მითარგმნია, თქვენგან ჩამორთმეულ ჩემს ქაღალდებში მოიპოვება.

არა საკუთარმა სურვილმა, არამედ მხოლოდ მათთან ნაცნობობამ მიმიყვანა იმ უგუნურებამდე, რომ მათი საუბრების მონაწილე გავმხდარიყავ. მიყვარდნენ რა ისინი როგორც ჩემი თანამემამულენი, და არ მსურდა რა, რომ ხელმწიფეს ცუდი აზრი ჰქონოდა საქართველოზე, — არ შემეძლო ეს მეცნობებინა მთავრობისთვის, ბით უმეტეს მას შემდეგ, როცა მე უკვე გადაჭრით ვიცოდი, რომ არავითარი არეულობა არ შეიძლება მომხდარიყო და ვერავითარ

[1] ს. დოდაშვილმა დაპატიმრებამდე იცოდა, რომ ალ. ორბელიანოვმა მოსპო მისი შეთხზული პროკლამაცია, ამატომ ლაპარაკობს ასე გადაჭრით.

საშიშროებას ვერა ვხედავდი ჩვენს სულელურსა და უგნურ საუბრებში.

ყველაფერი, რაშიც კი დამნაშავე ვარ და რაც მილაპარაკია, გულწრფელად ვაღიარე. — ეხლა ნება თქვენია, ან სულგრძელობითა და მოწყალებით აპატიეთ მას, რომელიც ძლიერ გრძნობს და ნანობს, ან და კიდევ დასაჯეთ რომელიც უკვე ძალზეა დასჯილი. სხვა ეპვების შესახებ მე სრულიად დამშვიდებული ვარ, რადგან სხვა არავითარ დანაშაულს არა ვფარავ და არცა ვგრძნობ, ხოლო თქმა იმისი კი, რაც არ მომიმოქმედნია, არ გამიგონია და არც მილაპარაკნია — არ შემიძლიან.

პროკლამაციაზე იმ 1831 წელს არა ყოფილა საუბარი, მხოლოდ წარსულ 1832 წელს მთხოვეს მისი დაწერა. მაგრამ იმ დროიდან მე მათ საუბრებზე აღარც ვყოფილვარ.

აქტის[1] შესახებ რომ რამე მცოდნოდა, ალბათ ნახავდა ვინმე ახ ვეტყოდი ვისმე რამეს ამ რვა თვის განმავლობაში. ამ აქტის შესახებ სრულიად არა ვიცოდი რა, არც წამიკითხავს და არც მის წესებს ვიცნობ, არც არავის არ უთქვამს ჩემთვის ამაზე რამე. ყველა ჩემს ჩვენებებში დაცულია ჭეშმარიტება, ეს უწყის ღმერთმა — შემოწმება კი თქვენი ნებაა, ჩემი სული კი დამშვიდებულია. მაქვს ერთგულება, სიყვარული და პატივისცემა ჩემი ხელმწიფისადმი, თუმცა მე არავის დავუფიცებივარ. მე არასოდეს არა მქონია ღალატის განზრახვა, არც მსურდა იგი და არც არავინ წამიქეზებია. ორი წლის განძავლობაში იმაზე იყო ლაპარაკი, რომ გამოგვეცა გაზეთები, გაგვანათლებინა ქართველობა, გვეშოვნა თანამშრომელნი და ხელისმომწერნი; ამასობაში გამოითქმოდა ხოლმე სურკილი რა ქარგი იქნებოდა, რომ საქართველო ცალკე სახელმწიფო იყოს, რომ რუსები არ იყვნენო. მაგრამ ამის შეუძლებლობაზე მე ძალიან ხშირად ველაპარაკებოდი.

ბოლოს მეც თავი დავანებე და მათაც ამ ფიქრზე ხელი აიღეს. ამ საქმის ვითარება კომისიას უკვე დაწვრილებით მოეხსენება, მე მხოლოდ ვუცდი მოწყალებას — რათა გავცოცხლდე, რისთვისაც სიკვდილამდე მუდამ ვიქნები ზენაარსისადმი მთხოვნელი ჭრავალჟამიერ ცხოვრებისა სულგრძელი მეფისა და მისი უზენაესი ოჯახისათვის.

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

1833 წ. იანვრის 23.

---

[1] „აქტი გონიერზეა“ ლაპარაკი. დოდაშვილი თავგამოდებით ამტკიცებს არ მინახავსო, მაგრამ მის ქალაქდებში იქნა აღმოჩენილი. ეს გარემოება კმარა, მისი ჩვენების გულწრფელობის გასათვალისწინებლად, რაშიაც ცდილობს კომისიის წევრები დაარწმუნოს.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (V, 819)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე თ. ბიძინა ერისთოვთან საუბრის შესახებ, მაქვს პატივი განვმარტო.

სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში თ. ბიძინა ერისთოვმა იკისრა გამოეცხადებინა ჩვენი განზრახვა თავად მუხრანსკისათვის, და სახლიდან გამოსვლისას ბიძინამ მკითხა ვინ არიან თანახმა და რამდენნი არიანო, ან თანახმა არიან თუ არა თავადები თარხანოვებიო? მე ვუპასუხე მალე თავად-აზნაურნი თავს მოიყრიან არჩევნებზე და მაშინ ვნახოთ ეგებ დათანხმდნენ მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე თ. ბიძინა ერისთოვს ელაპარაკე თუ არა თ. მუხრანსკის მეთქი? მან ამაზე მამიგო: „როცა თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე დათანხმდება, მეც მაშინ ვეტყვი თ. მუხრანსკისო". მეც ვუპასუხე. კარგი, მაშინ უთხარი მეთქი.

ამის შემდეგ ლუარსაბ ორბელიანოვმა უთხრა ჩვენი განზრახვა თავად ჭავჭავაძეს, ამ უკანასკნელმა კი კაპიტან ჩელოყაევთან საუბარი მოისურვა. ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი ჩელოყაევი ესაუბრნეს თავად ჭავჭავაძეს, რომელმაც უარი განაცხადა და ურჩია ძათ ხელი აეღოთ ამ შეცდომაზე. ლუარსაბ ორბელიანოვმა და ჩელოყაევმა მითხრეს, რომ ჭავჭავაძემ უარი სთქვა და ჩვენც გადავიფიქრეთო. ამის შემდეგ მე ვუთხარი ბიძინა ერისთოვს თ. ჭავჭავაძემ უარი თქვა მეთქი და მასაც ვურჩიე ხელი აიღე მეთქი.—მაგრამ რაც შეეხება ლუარსაბ ორბელიანოვისა და კაპიტან ჩელოყაევის ჭავჭავაძესთან საუბარს, მე არ ვიცი დაწვრილებით რაში მდგომარეობდა და მათთვისაც არ გამომიკითხავს.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

24 იანვარი
1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (V, 821)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე გენერალ თავად ჭავჭავაძესთან 1832 წელს ჩემი პირველი საუბრის შესახებ მაქვს პატივი დაწვრილებით განვმარტო.

როდესაც 1832 წელს დადიოდა ჩემთან ელიზბარ ერისთოვი და მაიძულებდა კვლავ დაგვეწყო აღრეულობა 1831 წლის მსგავსად, შეეწუხდი რა მისგან, მე უთხარ წავალ თავად ჭავჭავაძეს მოველა-

პარაკეტი ბეთქი. აღარ მახსოვს იმავე დღით თუ მეორე დღეს საღამოს მივედი თავად ჭავჭავაძესთან და უთხარი მას: თავადი ელიზბარი ისევ იმეორებს ლაპარაკს 1831 წლის აღრეულობის განზრახვის შესახებ მეთქი.[1] ჭავჭავაძემ მიპასუხა ეს შეუძლებელი საქმეა და მასზე ფიქრიც არ შეიძლებაო. მე ვთხოვე თავად ჭავჭავაძეს, რათა ვასთან მიმეყვანა თავადი ზაქარია ჩოლაყაევი, რომ მისთვისაც ეთქვა მას ეს საქმე შეუძლებელი არისო. თავად ჭავჭავაძემ მიპასუხა: კარგი მოიყვანეო, ამის შემდეგ მე წამოვედი და სამი დღის შემდეგ მივიყვანე მასთან კაპიტანი ჩოლოყაევი. როგორც ეს ჩემს მიერ უკვე განმარტებულია.

მაიორი თ. ლუარსაბ ორბელიანოვი.

იანვრის 24
1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (V, 872)

ჩემს ქაღალდებში ნაპოვნი ხელწერილი[2] მე მივეცი ს. პეტერბურგში 1828 წელს თავადებს ელიზბარსა და გიორგი ერისთავებს და იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე უნდა ვცდილიყავით შეგვერიგებინა ურთიერთშორის მოქიშპე ჩვენი საგვარეულოს წევრები და გვეზრუნა საერთოდ ჩვენი მამულის კეთილდღეობაზე. ე. ი. გიორგი ერისთავის ძმათა მამულში მყოფი მცირეოდენი ჩვენი გლეხობა უნდა გადაგვეცვალნა ჩვენს მამულში მყოფ მათ გლეხებზე. ჩვენი იმ სოფლების სანაცვლოდ, რომლებშიც გიორგი ერისთოვის გლეხები უმრავლესობას შეადგენდნენ, უნდა მიგვეცა ამ გლეხების დასახლებული ადგილები. ხოლო რაც შეეხება სიტყვას საერო,[3] მე ამ სიტყვაში ვგულისხმობდი გლეხებს, რომლებიც საერთოდ გვეკუთვნოდნენ ჩვენა და გიორგი ერისთავს ძმებითურთ.

ამ ხელწერილთან ნაპოვნი ქინძისთავი რაიმე ნიშნეულს არ

---

[1] ლ. ორბელიანის ეს სიტყვები აღარავითარ ეჭვს აღარ სტოვებს იმის შესახებ, რომ ალ. ჭავჭავაძემ შეთქმულების ამბავი 1831 წელსაც კარგად იცოდა.

[2] ლაპარაკია პეტერბურგში ერისთავთა შორის დადებულ ხელშეკრულებაზე.

[3] იხ. 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 17.

წარმოადგენს, მაგრამ მე იმას ვატარებდი, ვიდრე სამხედრო სამსახურში შევიდოდი.

არტილერიის პრაპორშჩიკი თ. დიმიტრი ერისთოვი.

1833 წლის
24 იანვარი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (V, 848)

1828 წელს ს. პეტერბურგში ქალაქდის მეოთხედზე დავწერეთ თავადებმა გიორგი, დიმიტრიმ და მე ერისთოვებმა, რათა საქართველოში ყოფნისას, თუკი რამე სამეურნეო საქმეს ხელს მოვკიდებდით, ყველაფერი ერთად გვეკეთებინა. საერო სარგებლიანობის განზრახვა არა გვქონია, მხოლოდ ხელწერილში ასო თ არის გამორჩენილი და აზრი შეიცვალა, გაჩოვიდა საერთო სარგებლიანობის ნაცვლად საერო სარგებლიანობა.[1] ამ ქალაქთან ნაპოვნი ქინძისთავი ჩემს ძმას ეკუთვნის და იგი არაფერს პირობითს არ ნიშნავს.

პრაპორშჩიკ თავად დავით ჯორჯაძეს ს. პეტერბურგშივე ვიცნობდი, სადაც ის დაიარებოდა დიმიტრი ბატონიშვილთან და მან იცოდა ჩვენი ზრახვები, საქართველოში ჩამოსვლისთანავე კი 1831 წლიდან იცოდა ჩვენი განზრახულება.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

25 იანვარი
1833 წ.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (V, 854)

მახსოვს, რომ დიმიტრი მაღალოვი მართლაც დაიარებოდა ხოლმე თადია ჩელოყაევთან, მაგრამ სრულებით არ მახსოვს, რომ ძასთან ჩემი თანდასწრებით საქართველოს განთავისუფლებაზე ელაპარაკნათ, პირიქით, მას ჩვენი განზრახვის მონაწილედ არა ვთვლიდით.

ამასთანავე, მომაგონდა, რომ მე შევხვდი თავად დავით ჯორჯაძეს ერთხელ აქ, თბილისში, მაგრამ მზგავსი რამ საუბარი ჩვენ არა გვქონია, თუმცა კი მახსოვს, რომ ზოგჯერ ისიც იყო ხოლმე პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილთან ჩვენი საუბრების დროს სა-

---

1 იხ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 1, გვ. 17.

ქართველოს განთავისუფლების შესახებ, არ კი მახსოვს თვითონ უთქვამს როდისმე ამის ვზგავსი რამ თუ არა.

ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

25 იანვარი
1832 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (V, 860)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ პრაპორშჩიკი თავადი ჯორჯაძე ს. პეტერბურგში ჩემი ყოფნის დროს ზოგჯერ მონაწილეობას იღებდა დიმიტრი ბატონიშვილისას გამართულ ჩვენს საუბრებში საქართველოს თავისუფლების შესახებ.

თბილისში რომ ჩამოვედი 1832 წელს მაისში, რიცხვი არ მახსოვს, ჩემთან იყვნენ სადილად თავადები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარი და პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვები, მასწავლებლები: სოლომონ დოდაევი, დიმიტრი ყიფიანოვი, ზაალ ავთანდილოვი, სოლომონ რაზმაძე, სადაც იყო აგრეთვე თავადი დავით ჯორჯაძე. სადილის დროს მხოლოდ განყენებულ საგნებზე ვსაუბრობდით, რის შემდეგაც ყველანი დავიშალეთ. ეს იყო პრაპორშჩიკ ჯორჯაძის პირველი და უკანასკნელი შეხვედრა — შემდეგში გავიგე, რომ 1831 წელს თავად ჯორჯაძეს მონაწილეობა მიუღია საქართველოს თავისუფლების შესახებ ზოგიერთ საუბარში.

არტილერიის პრაპორშჩიკი თ. დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წელს
იანვრის 27.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (V, 860)

1833 წლის იანვრის 27-ს საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი განვაცხადო, რომ თავად ელიზბარ ერისთოვის მიერ კოლეესკი სოვეტნიკის მელნიკოვის სახლში გამართულ სადილზე, ყველა სხვებთან ერთად იყო აგრეთვე პროპორშჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე, რომელიც ჩემს პირველ ჩვენებაში შეცდომით არის გამოტოვებული. სადილ შემდეგ ყველა სტუმრები თავად ალექსან-

ალ. ორბელიანოვის ბაღში წავიდნენ, მაგრამ მე იქ მიწვევაზე უარი ვთქვი, თუმცა მეც დაბეჯითებით მთხოვეს მათთან ერთად წავსულიყავ.

მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (V, 878)[1]

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე განვმარტავ შემდეგს: 1832 წელს თავად ელიზბარ ერისთავმა მიგვიწვია მელნიკოვის სახლში სადილად, რომელზეც დაესწრნენ ჩემს გარდა, ჩემი ძმა ვახტანგი, თავადი ელიზბარი, მისი ძმა არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთოვები, პრაპორშჩიკი თ. დავით ჯორჯაძე, მასწავლებლები დოდაევი, აკთანდილოვი და ყიფიანოვი; სოლომონ რაზმაძე და მამაცოვი. სადილის დროს, სხვათა შორის ვისაუბრეთ საქართველოს განთავისუფლებაზე და შამპანურით დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო, სადილ შემდეგ, რათა არავის შევენიშნეთ, ცალცალკე წავედით ჩემს ბაღში, სადაც ვსეირნობდით და განვაგრძობდით საქართველოზე საუბარს. არ ვიცი რომელმა შემოიტანა წინადადება, რომ გაგვეგზავნა კაცი ოქროპირ ბატონიშვილთან და გვეცნობებინა ყველაფერი ის, რაც აქ ხდებოდა ჩვენი განზრახვის ორგვლივ — საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

სხვა საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

28 იანვარი,
1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (V, 882)

1832 წლის მაისის დამლევს, ვიცნობდი რა სოლომონ რაზმაძეს, რომელიც ირანში მიემგზავრებოდა, წასვლის წინ სადილად დავპატიჟე იგი. მასთან ერთად ვთხოვე აგრეთვე სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვს, ვახტანგ ორბელიანოვს, თ. გიორგი დავი-

[1] ალ. ორბელიანს ეს ჩვენება რუსულად დაუწერია.

ოის ძე ერისთოვს, თ. დავით ჯორჯაძეს, იოსებ მამაცოვს, მასწავლებლებს სოლომონ დოდაევს, ზაალ ავთანდილოვსა და დიმიტრი ყიფიანოვს.

სადილზე ვსვამდით კახურ ღვინოს გულ-ჰოდგინებით და იყო საუბარი საერთო, თუმცა ცოცხალი, მაგრამ ჩვეულებრივი. სადილის დასასრულს ბიჭმა ბოთლით შემოიტანა შამპანური ღვინო, ყველამ დაიძახა საჭირო არ არის, უკან წაიღე — კახურთან შამპანური რა საჭიროა! მე ბიჭს ვუბრძანე დაასხი მეთქი და როცა ჭიქები გაივსო, ყველამ დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო.

სადილ შემდეგ დავიწყეთ ოთახებში სიარული და თან თუთუნს ვწევდით ,ზოგნი კი საუბრობდნენ და ხუმრობდნენ. დოდაევი და გიორგი ერისთავი გაცხარებით დაობდნენ კახეთისა და ქართლის შესახებ, მე მათი საუბარი არ გამიგონია. თავადმა ალექსანდრე ორბელიანმა გვითხრა ყველანი წავსულიყავით მის ბაღში, საღამოს იქ უკეთ გავატარებთო. ჩემმა ძმამ დიმიტრიმ უარი თქვა წასვლაზე და შინ დარჩა, ჩვენ კი წყვილ-წყვილად წავედით ბაღში, მე იქ მივედი სოლომონ რაზმაძესთან ერთად და იქ დაბინდებამდე ვსეირნობდით. ბაღში საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ როცა ყიფიანოვმა მითხრა, რომ იმედი აქვს პეტერბურგში წასვლისა მოწაფეებთან ერთად — მე უთხარი, თუ წავიდოდა, უსათუოდ მისულიყო დიმიტრი ბატონიშვილთან და ეამბნა ჩვენი საქმე.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

28 იანვარი
1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (V, 884)

კომისიას!

1832 წელს, ერთხელ ელიზბარ ერისთოვმა სადილი გამართა, სადაც დაესწრნენ: ელიზბარი თავისი ძმა დიმიტრითურთ, ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგი, დოდაევი, ყიფიანოვი, ავთანდილოვი, რაზმაძე, თავადი დავით ჯორჯაძე და მამაცოვი. სადილის დროს გვქონდა საუბარი და ვმხიარულობდით, მერე მოიტანეს შამპანური, ელიზბარმა აიღო ჭიქა და შესძახა: მეგობრებო, გაუმარჯოს თავისუფლებას! მერე ჩვენც გავიმეორეთ და ამით გავათავეთ სადილი. შემდეგ წავედით ბაღში, იქ დავიწყეთ ლაპარაკი ჩვენს განხრახვაზე, ალექსანდრემა და ელიზბარმა სთქვეს, რომ საჭიროა აუცილებ-

ლად ვინმე გავგზავნოთ რუსეთში დიმიტრი ბატონიშვილთანო და ძას ყველაფერი შევატყობინოთო. შემდეგ ვფიქრობდით, თუ ვინ გაგვეგზავნა, მაშინ ყიფიანოვმა სთქვა მე წავალო. ჩვენ მერე ბევრი ვიმსჯელეთ. ბოლოს საუბარი გამოიცვალა და დავიწყეთ მსჯელობა ლიტერატურაზე. აქ მე მკითხეს, რატომ აღარაფერს აძლევ დოდაევს დასაბეჭდათაო, ნამდვილად კრიტიკოსებისა გეშინიაო! მე ვუპასუხე, რომ თავს ბედნიერად ჩაეთვლიდი, თუ კი ჩემს ლექსებს გააკრიტიკებენ და მათში შეცდომებს ჰპოვებენ, მე ამ გზით მათ გამოვასწორებ მეთქი. რასაკვირველია, შეცდომებს იპოვნიან, მაგრამ მაპატიებენ, როგორც პირველს, ახლად მამწყებ მთხზველს მეთქი.

თქვენ, ყველა მთხზველებს, სამართალში მიგცემენო, თქვა ვახტანგმა. რაზედ მეთქი? იმაზედ, რომ თქვენ რაც კი დასწერეთ, ყველაფერი რუსებზეო. მე ვუპასუხე, კმარა ასე ფიქრი, რომ სპარსელების ადგილას რუსებს აგინებ მეთქი[1], დიდხანს ვიმსჯელეთ ლიტერატურაზე და მერე დავიშალენით.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი.

იანვრის 28
1833 წ.

მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება (V, 887)

კითხვასა ზედა ამა კომისიასა მაქვს პატივი პასუხისგებად.

ქ. ლუარსაბ ცარეევიჩთან და მის ძმა დიმიტრისთან ბევრჯერ ვყოფილვარ და სადილადაც ბევრჯერ დაუჭერივარ, ჭეშმარიტებას ვმოწმობ რომ არაფრისთანა ქვეყნის ორგულის და საბუნტო არც არა იმათ ელაპარაკნოთ ჩემთან და არც არა მე, და არც არა მქონდეს იმათგან დაბარებული ქვეყნის სავნებელი არც ავი და არც კარგი, როდესაც მივიდოდი დღესასწაულებში და იმათს მენენიკებში, იმათი ლაპარაკი ყოველთვის მღვდელმანაზონის იონას[2] სოჩი-

[1] აქ ლაპარაკია შეთქმულთა მიერ „ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყნებულ სააგიტაციო თხზულებებზე, ამდენად, ეს ცნობა საინტერესოა და ზედმეტი არ არის გ. ერისთავის მიერ თავის ჩვენებაში რუსულად გადმოცემული სიტყვებიც მოვიტანოთ: «Вас всех сочинителей под суд отдадут, сказал Вахтанг. За что? За то, что вы написали все под русским, я отвечал вольно тебе так думать, что на персиян ставишь русских».

[2] იონა ხელაშვილი, ს. დოდაშვილის აღმზრდელი.

ნენიებზე და ქადაგებებზე იყო, იმაზედ შეექცეოდნენ და მასხარაობდნენ ხოლმე და აჯავრებდნენ იმას ლაპარაკსა და ქცევასა.

ქ. ცარევიჩს ბაგრატს მოეწერა ერთხელ ჩემთვის მოკითხვა, რომელშიც ეწერა, ჩემის ქალის ბარბარეს წიგნი ამდენი ხანია არ მოსვლიაო, გავს რომ თავის დედის სიკვდილი არ იცისო, თუ მართლა არ იცის რად დაუმალავსო აქამდისინა, მამაშვილობას მიდი და ეთხარ თუ არ იცის, მანამ ეს წიგნი მომივიდოდა მე ადრეეეც მივწერე თავის მეუღლის სამძიმარი და ნუგეშინის ცემა როგორც ჩვეულება არის სამძიმრის წიგნისა, იმის წიგნი რომ მომივიდა მიველ და თითონ იმის ქალს ბარბარეს მიუტანე და წაუკითხე, მითხრა მივწერეო და აი დღეს ვგზავნი წიგნსო, იმჟამად პაკეტს ბეჭდავდა მეც მეორე წიგნი მივსწერე და ეს თავის ქალის ამბავი.

საანჯმნი აღსარება გონებისა ჩემისა.

1. ქ. არა ვიშიშვი და არცა ვირცხვენი ცხადად გაქიქებასა გონებისა ჩემისა წინაშე ღვთისა და კაცთა, აღვიარებ რომელ არა ვარ მე აღზრდილ და გასწავლულ არცა ფილასოფიასა შინა, არცა მათემატიკასა და არცა მეტაფიზიკასა შინა და არცა ვარ მოყვარე გარყვნილთა წერილთა კითხვისა, რომლითაცა მრავალნი გონება შეცთომილნი აღზავებულნი და განლაღებულნი კადნიერ იქმნებიან ღვთისადმიცა შეხებად, და ნებავსთ მიუწთომელისა მიწთომად და შეურყეველისა შერყევად, აღვიარებ რომ სძაგს ესე ვითარი განათლება სულსა ჩემსა.

2. ქ. არამედ ვარ მე აღზრდილ სიყრმით ჩემთაგან საღმრთოთა წერილთა შინა, მოძღვრებითა მშვიდისა და მდაბლისა, ქრისტეს მეუფისა ჩემისათა, რომელსაცა სახარებისა ქადაგებითა დაძდაბლებულმან შემუსვრილმან და მოწყლულმან მოვკალცა თავი ჩემი სოფელსა ამას შინა შემოსითა მონაზონებისათა სიჭაბუკესა შინა ჩემსა მეთხუთმეტესა წელსა შობითგან ჩემით, არა ვიტყვი მე ამას საქებლად და შესაწევნელად თავისა ჩემისა, არამედ აღსაჩინებლად ჭეშმარიტებისა, მაშა ესოდენ დამდაბლებულისა და მოწყლულისა გონებისაგან შეუძლებელ არს გამოხატვად ეგევითარნი კადნიერებანი ერთა აღშფოთებისანი, რომელსაც შინა შევისმინები მე უბრალოდ.

3. ქ. აღვიარებ რომელ მიყვარს მე მშობლიური ჩემი ქვეყანა, მაშა უეჭველად მესურვებაცა ბედნიერება მისი, ჭეშმარიტი სამღვთოდ განათლება, მშვიდობა და განმდიდრება, ცხად არს რომელ ბედნიერება და მშვიდობა იქმნების მთავრობისაგან, აგრეთვე ჭეშმარიტი საერთო განათლება სემინარიათა და შკოლებისაგან, და განმდიდრება ვაჭრობისაგან და ამით ყოველთა კეთილთა დამარღვე-

ველნი და უჩინო მყოფელი აღშფოთება არს და აღრეულობა ქვეყანასა შინა, და ამათვე ყოველთა ბედნიერებათა წამებაცა არავის ძალუძს საქართველოსა შინა თუ არა ძლიერსა ხელმწიფესა[1] და დღეს უძლიერეს რასიისა იმპერატორსა არცა ვინ არს, მაშა შეუძლებელ არს რომელ ჩემს გონებაში ამათ ბედნიერებათა წინააღმდგომი და დამარღვეველი მაქუნდეს რამე განზრახვა ანუ მქონებოდეს, რომელსა საქმითაც მიჩვენებია სიყვარული მამულისა ჩემისა და ესე ვითარისა განათლებისა და ბედნიერებისა, რომელ ოფლით ნაღვაწითა ჩემითა დაუბეჭდე სამღვდელო წიგნები და უმსხვერპლე მამულსა და სემინარიასა, რომელსაც დღესაც მას ხმარობენ სასწავლებელთა შინა, რომლისათვის დაჯილდოებულცა ვიქ-ბენ ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისაგან და დღესაცა გარდა მოსასტრის მოვალეობისა სხვასა არა რას ვმოქმედებდი კეთილსა შინა ჩემსა გარდა სასარგებლოსა მამულისა ჩემისასა, ესე იგი რუსულით თარგმნისა სამღვედლოთა წერილთასა, რომელიცა არა იპოების ენასა ჩვენსა ზედა, ამითაცა ჩანს, რომელ მსურებია განგრძობა მშვიდობისა და სარგებლობა ქვეყნისა და არა ბოროტგანზრახვა.

4. ქ. თუმცა მე არა ვარ განათლებულ პირველ ხსენებულთა მით სწავლითა, გარნა არა ვარ ეგოდენ ბრმა, რომელ არ შემეძლოს ნათელისა ბნელისაგან განრჩევად, ვიცი მე რაცა უბედურება, აოხრება და წარტყვენვა შემთხვევია საქართველოსა ოსმალთა, სპარსთა და ლეკთაგან, რომელ დღესაცა ყოველთაგან წარსხმულნი საქართველოსა ერნი მრავალნი დასახლებულ არიან სპარსეთსა შინა, და იგივე სოფლების სახელები ეწოდების მათს სოფლებს, რომლისა სოფლებიდანაც არიან წარსხმულნი და მითვე გვარებით იწოდებიან, თუ ჰეშმარიტი ქრისტეანე ვარ, შეუძლებელი არის რომ ეგოდენითა ქრისტეანთა წარწყმედისათვის არ იწყვლოდეს სული ჩემი და ესეცა უეჭველად ცხად არს ყოველთა. რომელ მიუცილებლად იგივე აოხრება და წარტყვენვა ექნება საქართველოსა, უკეთუ არა ჰფარვიდეს ძლიერი მკლავი ცხებულისა ღვთისა თვითმპყრობელისა იმპერატორისა ჩვენისა. შესაძლებელ არს რომელ ესოდენ მაქვდეს გონება დაბნელებული, რომელ იგივე უბედურება და წარწყმედა ჰსწადდეს გონებასა ჩემსა მამულისა ჩემისა? რომლისა ზოგონებასაცა ზედა ძრწის გონებაცა ჩემი.

5. ქ. თუნდა არა მეხილვა სივრცე როსიისა იმპერიისა და ძლიერება იმპერატორის კარისა, მაშინაცა შეუძლებელ იყო, რომელ უგუნურთა და უსაფუძვლოთა ლაპარაკთა მათთა მიედრიკათ გონება ჩემი, ეგრეთისა უგუნურებისადმი, ამისთვის რომელ ვიდ-

---

[1] ხელმწიფედ ყოველთვის რუსეთის მეფე აღინიშნება.

რემდის რუსეთს ვნახავდი, აქავე ვხედავდი როსიის უძლეველის ხელმწიფობის ძლიერებასა, და როდესაც ვიხილე სივრცე და ძლიერება როსიის იმპერიისა, ეგრეთ შევრაცხე საქართველო როსიისათანა, ვითარცა ერთი სტაქანი წყალი კასპიის ზღვისათანა, და ვითარღა შესაძლებელ იყო რომელ გონებასა ჩემსა ეფიქრებინა რამე წინააღმდგომი პირისპირ ესევითარისა ძლიერებისა?

6. ქ. მე ვარ აღზრდილ, როგორც ზემოთ ვაჩვენე გონებათა დამამდაბლებელსა და ხორციელად მამაკუდინებელსა საღრმთოსა წერილსა შინა, რომელიცა მიბრძანებს, რომელი ადგებოდეს ხელმწიფობასა, ღვთისა ბრძანებასა ადგებისო: და ყოველნი სულნი ხელმწიფებასა უმთავრესისასა დაემორჩილენითო და სხვათა მრავალთა, მაშა ყოვლადვე შეუძლებელ არს რომელ, მკვდარსა გონებასა ჩემსა გამოესახა ეგე ვითარი რაიმე წინააღმდეგობა ღვთისა და სჯულისა გარდამავლობა.

7. უკეთუ მაქვნდა ეგე ვითარისა ბოროტისა განზრახვა ანუ ცარევიჩებისაგან დაბარებულ ეგე ვითარი ორგულება, მაშინ თვით მე მივიდოდი მათთანაცა და სხვათათანაცა და მე განუცხადებდი ეგვითარსა ღვთის წინააღმდეგსა ბოროტსა ანუ წერილით ვაცნობებდი ვისმე ერთხელ არის, ვინადგან სამი წელია აქა ვარ.

8. ქ. ეკითხოთ ძმათა მონასტრისა ჩემისათა, გაუგონიათ როდესმე ჩემგან ბუნტსა და ქვეყნის აღრეულობასა ზედა განზრახვა და ლაპარაკი ჩემი?

9. ქ. ეკითხოს მისვე მონასტრის ძმათაგან იერომონახ გერმანეს, რომელიცა არს მეგობარი და სტოლიცა საერთო გვაქვს, გაუგონია როდისმე ჩემგან ქვეყნის აბუნტებისა და აღრეულობისათვის განზრახვაზე ჩემი, თუ მეგობრობით დაუფარე, რომელიც შეუძლებელია მეგობარმა მეგობარს დაუფაროს რამე, ერთხელაც არის ღვინის მომატებით წამომცდებოდა მისთანა.

10. ქ. ეკითხოს სემინარიის პროფესორთა, რომელიცა არიან სამსივე ჩემი მოწაფენი, მიკითხავსა ხელმწიფისა და მამულის სიყვარული და ერთგულება აღსარებასა შინა და განმიმტკიცებია თუ არა?

11. ქ. ჩემს კელიაში სპისკები იყო სალდათებისა, რომელთათვისაც აღსარება მითქმევინებია ეკითხოსთ იმათ განმიმტკიცებია და მიკითხავს ხელმწიფისა და მამულის ერთგულება, თუ ღვარძლი დაჰითესია რამე.

12. ქ. ეკითხოს საზოგადოებას სამღვდელოთა თუ საეროთა, როგორ მიცნობენ და რას ბოროტში ვარ შენიშნული მათგან, და ან რა მილაპარაკნია ქვეყნის საორგულო.

13. დასასრულ ნებას ვაძლევ სიყრმითგანსა სულიერსა მამასა ჩემსა პროტოიერეის გაბრიელ მესხიევს რათა განაცხადოს წინაშე მწყემსთმთავრისა ჩემისა სიყრმითგანვე აღსარება ჩემი, ვინათგან არს იგი გულისმოდგინედ გამომკითხველი თვისთა მოწაფეთ ცოდვათ, შეუნიშნავსა რასმე ესევითარსა ქვეყნის ორგულობასა შინა?

14. ქ. თქვენი აღმატებულება მკითხავს და იჭვნეულობს ამას ზედა თუ განზრახვა არა გაქვნდა რა სამნივ ერთად რად მოვიდნენ და განგიცხადესო: ჭეშმარიტად სხვას ვერარას ვფიქრობ და ვაბრალებ, თუ არ ეშმაკის განსაცდელსა, ვინადგან იციან მათაცა და სხვათაცა რომ მიყვარს მე მშობელი ჩემი ქვეყანა, ამისთვის აღძრა გონება მათი ეშმაკმან კეთილის მოძულემან და მოავლინა იგი ჩემზედა, რათა ეთანხმებინა უგუნურსა განზრახვასა და ლაპარაკსა მათსა გონება ჩემი და მივცემოდი ამას განსაცდელსა და საფრთხესა შინა, რომელიცა არცა ვთანხმებივარ არც მომიწონებია მათი განზრახვა და უგუნური ლაპარაკი, არც არა დარიგება და მოძღვრება მიმიცია ქვეყნის სავნებელი საორგულო, იმათ რომ თავიანთ იმენიას გულისათვის ბოროტი ჰქონდეს რამე გულში, რომელიც თითონვე თქვეს ყმა წაგვართვეს და მამულიო ამისთვის მე საზოგადოებისა და ქვეყნის უბედურებისათვის რათ ურჩევდი რასმე ბოროტსა. და ან რა ჩემი საქმე იყო და ან ჩემს თავს რათ მივცემდი უბედურებასა შინა და განსაცდელსა შინა: ვიმოწმებ შემოქმედსა ჩემსა რომ ჭეშმარიტი აღსარება არის ესე გონებისა ჩემისა ლიტონი უზაკველი და არა პირმოთნეობით და თუ სიყვარულისათვის მამულისა დავისჯები უბრალოდ მაქვს სასოება ღვთისადმი, სხვებრ ნუგეში მცეს და განმარიდოს უდიდესთა განსაცდელთა და წარწყმედათაგან.

მღვდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

წელსა 1833,
იანვრისა 21.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (V, 902)

ამასთანავე მომაგონდა ერთხელ თ. ელიზბარ ერისთოვმა მითხრა, რომ მას საუბარი ჰქონდა თ. ივანე მიხეილის ძე ერისთოვთან. ამის შემდეგ, არ მახსოვს როდის იყო, ივანე მიხეილის ძე ერისთოვთან ერთად მივდიოდი ქუჩაში და მე მაშინ მას ვუთხარი ამ ჩვენი განზრახვის გამოცხადება სურთ თავად ჭავჭავაძესათვის მეთქი. მან მიპასუხა, რომ ჩვენს მოწინავე პირთა გარეშე არაფერი არ შეიძლე-

ბაო, თუ ისინი არ იქნებიან თანახმა, სხვაც არავინ დაგვითანხმდებაო. მეტი არაფერი არ მახსოვს.

ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი თ. ერისოვი.

იანვრის 30
1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (V, 904)

1832 წლის დეკემბრის დამლევს ჩვენი განზრახვა გამოუცხადე თავად ივანე მიხეილის ძე ერისთოვს, რომელმაც მიპასუხა, რომ ის არ იზიარებს ჩვენს განზრახვას და ამასთანავე მას იმედი არა აქვს, რომ ამ საქმეზე თანახმა იქნებიან თავადი ჭავჭავაძე, თავ. ლუარსაბ ორბელიანოვი და სენატორი თავ. იაგორ იესეს ძე ერისთოვი, მაგრამ როცა მე უთხარი, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი უკვე თანახმაა და ჭავჭავაძესთან უნდა მოილაპარაკოს, ხოლო იაგორ ერისთავმა კი ჯერ არ იცის მეთქი — მაშინ თქვა მეც თანახმა ვარო.

ეს საუბარი მოხდა მის ბინაზე, სადაც ის ჩამომხდარი იყო.

პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთოვი.

30 იანვარი
1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება (V, 908)[1]

მომაგონდა, რომ მე გამოვტოვე ერთი პიროვნება, რომელიც ჩვენს საუბრებს ესწრებოდა, ეხლა განვმარტავ, რომ 1832 წლის ნოემბერში, ჩემი ავადმყოფობის დროს ჩემთან იყვნენ თავადები: ბიძინა და ელიზბარ ერისთოვები, თავ. თადია ჩოლოყაევი, — ამ უკანასკნელს აქ გამოეცხადა პირველად ჩვენი განზრახვა, როგორც ეს უწინაც ვაჩვენე; აქვე იყო აგრეთვე სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ივანე მიხეილის ძე ერისთოვი, რომელმაც ეს საქმე როგორც მახსოვს იცოდა 1831 წელშიც.

პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

30 იანვარი, 1833 წ.

---

1 ალ. ორბელიანის ეს ჩვენებაც რუსულად არის დაწერილი.

დავით ჯორჯაძის პასუხები კომისიის კითხვებზე (V, 910 — 920).

კითხვითი პუნქტები თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკს თავად დავით ჯორჯაძეს

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

1. თქვენს პეტერბურგში ყოფნის დროს რამდენად ხშირად დაიარებოდით ბატონიშვილებთან და რომელ მათგანს ნახულობდით ყველაზე უფრო ხშირად?

ჩემს პეტერბურგში ყოფნის დროს წელიწადში ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვნახულობდი ყველა ბატონიშვილებს, მუდმივი ბინა კი ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთანა მქონდა.

2. პეტერბურგში ჩასვლისთანავე და იქ ყოფნის ხანს რომელ ბატონიშვილთან ცხოვრობდით და რამდენ ხანს?

პეტერბურგს ჩასვლისას 1825 წლის ნოემბრის თვეში, მე ჩამოვხდი ფარნაოზ ბატონიშვილთან, რადგან მის და ანასტასიასთან ერთად ჩავედი იქა და ამ ბატონიშვილთან ერთ კვირაზე მეტი არ მიცხოვრია, შემდეგ კი მიმიღო ანნა[1] დედოფალმა, რომელთანაც ერთი თვე დავყავ და შემდეგ კი უავგუსტესი მონარქის განწესებით შევედი ძეორე კადეტთა კორპუსში, არა მქონდა რა ანნა დედოფლისაგან არავითარი დახმარება. ერთი წლის შემდეგ თავის მფარველობის ქვეშ მიმიღო სალომე ბატონიშვილმა და მისი სიცოცხლის ხანს მის სახლში ორჯერ მეტად არ კყოფილვარ, მისი გარდაცვალების შემდეგ კი განვაგრ-

[1] იულონ ბატონიშვილის მეუღლე.

ძობდი მის შვილებთან: ლუარსაბ ბატონიშვილ, თამარ ბატონიშვილ და დიმიტრი ბატონიშვილთან სიარულს, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც მათი დედის სალომეს სიცოცხლეში და მათთანვე ვიყავ 1890 წლის დეკემბრის 24-ს პეტერბურგიდან გამომგზავრებამდე.

3. რამდენად ხშირად დაიარებოდით დიმიტრი ბატონიშვილთან, რამდენჯერ დაესწარით იქ საქართველოს შესახებ საუბარს და როგორი იყო ხოლმე ამ საქმეზე ბატონიშვილის პასუხები?

დიმიტრი ბატონიშვილს ვნახულობდი წელიწადში ხუთ-ექვსჯერ უქმეებზე და მისგან საქართველოზე არავითარი საუბარი არ გამიგონია, რადგან დიმიტრი ბატონიშვილი გულჩათხრობილი ხასიათისაა. და ჩემთან ძალიან იშვიათად ულაპარაკნია და ისიც მოკლე სიტყვით, მეტწილად თავის კაბინეტში მუშაობდა ხოლმე, სადაც მე არ შევსულვარ.

4. დიმიტრი ბატონიშვილთან კრებაზე ხშირად იყო ლაპარაკი საქართველოზე, მის რუსთაგან განთავისუფლებაზე და საერთოდ თავისუფლებაზე — განმარტეთ დაწვრილებით რა საშუალებებს ასახელებდა ამ განთავისუფლებისათვის ბატონიშვილი ან სხვა ვინმე და თქვენს გარდა ვინ ესწრებოდა ხოლმე სახელდობრ ამ საუბრებს?

არაფერი არ გამიგონია საქართველოს განთავისუფლებაზე, არც ის ვიცი. რა განზრახვა ჰქონიათ მათ. დიმიტრი ბატონიშვილთან ზოგჯერ ვხვდებოდი ხოლმე: ალექსანდრე ჩელოყაევს,[1] ლუარსაბ ჩელოყაევს, ესტატე ჯავახოვს, ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებს, გიორგი ერისთოვს. ხოლო დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებს იქ ჰქონდათ მუდმივი ბინა, როცა კი სასწავლებლიდან გამო-

1 ზაქარია ჩოლოყაშვილის ძმები უნდა იყვნენ დასახელებულნი.

ვიდოდნენ, და ყველა ეს დასახელებული პირნი იქ მინახავს არა ერთად, არამედ მხოლოდ რამოდენიმე ერთად. . იყვნენ ხოლმე აგრეთვე სოლომონ რაზმაძე ზაქარია ერისთავი და გაბრიელ მამაცოვი.

5 გამოაცხადეთ, როდის წამოხვედით ს. პეტერბურგიდან, მარტო იყავით თუ იყო ვინმე თქვენთან მგზავრი. გამგზავრების დროს რა გითხრათ დიმიტრი ბატონიშვილმა ან სხვა პირებმა, რომლებიც თავისუფლებისა და საქართველოს განთავისუფლების შესახებ საუბრების მონაწილენი იყვნენ და რა დარიგება მიიღეთ ბატონიშვილისაგან და ან სხვა ვისგან თბილისში არსებულ საქართველოს განთავისუფლების საზოგადოების შესახებ?

ს. პეტერბურგიდან გამოვედი 24 დეკემბერს 1830 წელს იმერელ აზნაურ ანდრია ლეონიძესთან ერთად და ბატონიშვილებთან. ლუარსაბ და დიმიტრისთან გამოთხოვების დროს იქ არავინ ყოფილა, არც არავითარი სხვა რამ სიტყვები არ უთქვამთ ჩემთვის იმის მეტი, რომ არ დაგვიგვიწყო და წერილები მოგვწერეო, მე კი ჩემი მხრით მათ მადლობა გადავუხადე ჩემზე გამოჩენილი მზრუნველობისა და ჩემი იქ ყოფნის დროს მათგან მიღებული სიკეთისათვის და გამოვემგზავრე ისე, რომ სხვას აღარავის გამოვთხოვებივარ.

6. ს. პეტერბურგიდან თქვენი გამომგზავრების შემდეგ, რამდენჯერ ნახეთ ოქროპირ ბატონიშვილი და სად. რა გელაპარაკათ მან საქართველოს განთავისუფლების თაობაზე. და ამ საქმეზე რანაირი დარიგება მოგცათ მან თქვენ, ვინ დაასახელა ამ საზოგადოების წევრებად, რომლებთანაც თქვენ ურთიერთობა უნდა

1825 წელს ს. პეტერბურგში რომ მივემგზავრებოდი, მოსკოვზე გავიარე და იქ ვინახულე ოქროპირ ბატონიშვილი, მაგრამ ამის შემდეგ მე მასთან აღარასოდეს აღარ მქონია არავითარი შეხვედრა.

გქონდათ. განმარტეთ ყველაფერი დაწვრილებით და დაასახელეთ ის პირნი რომლებიც თქვენ მან გაგაცნოთ ოოგორც ამ განზრახულების მონაწილენი.

7. თბილისში რომ ჩამოხვედით ვისთან გქონდათ ურთიერთობა შეთქმულების საქმეებზე, ვის განუცხადეთ იგი, ან თქვენ ვინ განგიცხადათ?

ამ საქმის შესახებ მე არაფერი არ ვიცი, მაშასადამე არც შემეძლო ვინმესთან ამის თაობაზე რამე ურთიერთობა მქონოდა.

8. განმარტეთ, რა იცოდით თქვენ 1831 წლის შეთქმულების შესახებ, ვინ იყვნენ მთავარი მონაწილენი, თქვენ ვისთან გქონდათ მის შესახებ ლაპარაკი, სად და რამდენჯერ ყოფილხართ შეთქმულთა კრებებზე?

ამის შესახებაც აგრეთვე არაფერი არ ვიცი.

9. 1832 წლის შეთქმულების შესახებ რაც იცით. გამოაცხადეთ, განმარტეთ აგრეთვე რა საშუალებები იყო ნავარაუდევი მის სისრულეში მოსაყვანად?

არაფერი არ ვიცი.

10. გასული 1832 წლის ზაფხულს თქვენ იყავით სადილად თავადებთან დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვებთან, სადაც იყვნენ აგრეთვე თავადები: გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, მასწავლებლები დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი და

თავადებთან დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვებთან მართლა ვიყავ სადილად სხვებთან ერთად. მაგრამ არავითარი საუბარი არ გამიგონია, რადგან სუფრის ბოლოს ვიჯექი, ისინი ცდილობდნენ ჩემს დაახლოებას თავისთან და ამიტომ არ დამივიწყეს და სადილზე მიმიწვიეს, მაგრამ ჩემთვის

თარჯიმანი იოსებ მამაცოვი — იქ სადილის დროს იყო ლაპარაკი საქართველოს განთავისუფლებაზე, უნდოდათ გაეგზავნათ კაცი წერილობითი და სიტყვიერი დანაბარებით მოსკოვს ოქროპირ ბატონიშვილთან, რომლისთვისაც უნდა გეცნობებინათ შეთქმულების შესახებ თქვენი მზადების ამბავი. ამიტომ გევალებათ განმარტოთ დაწვრილებით ყველა საუბარი, რაც ითქვა სადილზე და შემდეგ ბაღში, აგრეთვე ის, თუ ვინ მოისურვა, ან ვის დაავალეს ბატონიშვილთან ამბის მისატანად წასვლა?

რისამე თქმას ვერ გაბედავდეხეხ, შამპანიურიც მართლა დავლიეთ, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი იყო იქ წარმოთქმული სიტყვები თუმცა მე არც ერთი სიტყვა არ მითქვამს და მხოლოდ მათი მიბაძულობით დავლიე ჭიქა შამპანური. სადილ შემდეგ ალექსანდრე ორბელიანის ბაღში წავედით და არ მახსოვს ვინ და ვინ მივდიოდით ერთად, ის კი ვიცი, რომ სამნი თუ ოთხნი ვიყავით, დანარჩენი არა ვიცი რა იმის მეტი, რომ ბაღში დაღმართზე ვთამაშობდით, დავრბოდით. დასასრულ თუ კი მონარქის კანონი, რომელსაც შეუდრეკელი ერთგულება შევფიცე, მე მსჯავრს დამდებს იმის გულისათვის, რომ მქონდა ურთიერთობა იმ ხალხთან, რომელნიც თავის გულში ღალატს ატარებდნენ, — სიხარულით მივიღებ სასჯელს ჩემი აღმზრდელი მეფის კანონებისას.

11. იერომონახ ფილადელფოს კიკნაძის მიერ შეთხზული საიდუმლო მეგობრობის აქტი სად წაგიკითხათ პრაპორშჩიკმა გიორგი ერისთოვმა და მისი წაკითხვის შემდეგ თქვენ მიეცით თუ არა ფიცი და ხელწერილი უკეთუ იგი გადმოწერეთ თქვენთვის, ვისთვის წაგიკითხვინებიათ

ამის შესახებ არაფერი არ ვიცი, ჩემთვის თავად გიორგი ერისთოვს არაფერი არ წაუკითხავს და არასოდეს არავითარ აქტზე არა გამიგონია რა.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე

ილი და როდის. განმარტეთ
დაწვრილებით.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება (V, 932)

„ვინაიდგან ნებავს თქვენს აღმატებულებას ცხობად მიზეზი ჩემისა რუსეთიდამ აქ მოსვლისა, ამისთვის უმდაბლესად ვაუწყებ თქვენს აღმატებულებას თვითეულად.

1820. თუ 21, სწორედ კი არ მახსოვს როდესაც ბიბლიის ობჩესტვა ბიბლიებსა ბეჭდავდა სხვადასხვა ენებზედ, მაშინ ინებეს ქართულის ენაზედაც დაბეჭდვა, და რადგანაც ქართული ძველი დაბეჭდილი ბიბლია წამხდარია, ამისთვის მისწერეს და სთხოვეს ათონის მთაში, ივერიის მონასტერში, სადაცა არის ქართული ბიბლიოტიკა, რომ ქართული ნამდვილი ბიბლია გამოეგზავნათ, ამაზედ პასუხი შემოეთვალათ იმ მონასტრის ბერებს, ამისი გატანა ამ მონასტრიდან არ შეიძლებაო, რადგან წყევა და შეჩვენება სწერია ზედ წმინდათ მამათაგან, რომელთაგან არის ნათარგმნი ეს წიგნებიო, და თუ გნებავთ მწერლები გამოგზავნეთ და გარდააწერინეთ ამას კი ვერ დაგიშლითო, ამაზედ ვგონებ განათლების მინისტრს მის ბრწყინვალებას კნიაზ გალიცინს მიეწერა აქ საქართველოში სულიერს მმართებლობისათვის რომ მწერლები დაენიშნათ აქ გასაგზავნათ, სულიერს მმართებლობას დაენიშნა აქ უფალი ჩუბინოვი და მეორე მე, და სხვათაცა თანაშემწეთა რავდენსაც აღირჩევდა ჩუბინოვი, ნება აქუნდა, ამ საქმეზედ მოუვიდა წიგნი ნევსკის მონასტერში მიტროპოლიტს ვარლამს მისის ბრწყინვალების კნიაზ გალიცინისა, რომელშიაც სწერდა, ბიბლიის ობჩესტვამ ინება ქართულის ბიბლიის დაბეჭდვა, და ამისთვის ათონის მთაში გასაგზავნად და ბიბლიის გადმოსაწერად მივსწერეთ, საქართველოს სულიერს მმართებლობას რომ მწერლები დაენიშნათო, რომელთაც დაუნიშნავსთ უფალი ჩუბინოვი და თქვენ რომ იერომონახი გახლავსთო თუ შეიძლებოდეს გთხოვთ დაუთმოთ ხელმწიფისა და მამულის სამსახურსო, შემოიტანა ვარლაამ მიტროპოლიტმან ის კნიაზ გალიცინის წიგნი და ასე წამიკითხა ქართულად როგორც დავსწერე და მითხრა რას იტყვი გაბედავ წასვლას თუ ვერაო, მე მოვახსენე წინათვე რომ ვხე-

დავიდე ჩემს უბედურებას და სიკვდილსა მაინც დიდი სიხარულით წავალ მეთქი, მადლობელი ვარ რომ გაბედე და უარი არა სთქვიო, მაშ მივწერ კნიაზსო, თქვენი ნებაა მისწერეთ მეთქი, მისწერა რომ გამოუცხადე თქვენი ბრძანება ჩემს იერომონახსო, რომელმანცა დიდი სურვილით მოინდომა თქვენის ბრძანების აღსრულება და სამსახურიო, დანიშნული იყო კაცისათვის ვგონებ სამოცი თუმანი თეთრი ფული, ამასთანავე პრაგონი ამას გარდა თუ საკმაო არ იქნებოდა ჩვენი ჯამაგირი და ან თუ სხვა დაგვჭირდებოდა რამე, კონსტანტინეპოლის მისიის ნაჩალნიკიდან უნდა მიგვეღო, ამასობაში ჩემის უბედურებით თურქთა და ბერძენთა შორის აღრეულობა მოხდა და ამის მიზეზისათვის დარჩა ეს საქმე აღუსრულებლად. მას აქეთ ამ საქმის სურვილი დაიბეჭდა ჩემს გულში აღუხოცელად, და უყურებდი საბერძნეთის დამშვიდებას და დროს, და როდესაც დამშვიდდა ავდექ და წამოველ ამ განზრახვით, ჯერ მსურდა ნათესავთა ჩემთა ნახვა, და მას უკან მინდოდა პირველად იერუსალიმს წასვლა და ქრისტეს საფლავის თაყვანისცემა, და ჯვარის მონასტერიც მინდოდა მენახა, რომელიც არის ქართველთაგან აღშენებული იერუსალიმს და რადგან იმ მონასტერშიაც არის ქართული ბიბლიოტეკა, პირველად ის მინდოდა დამეჩხრიკა და აღმეწერა სახელები იქ რაც წიგნებია, და იქიდამ წავსულიყავ ათონის მთაში, ქართველი წმინდათ მამათაგან აღშენებულის ივერიის მონასტერში და იქაური ბიბლიოტეკაც დამეჩხრიკა და სახელებით მენუსხა და მას უკან ბიბლია გადმომეწერა, წამომეღო და იქიდამ ადესაში გავსულიყავ და ადესიდამ პეტერბურგს მიმერთმევინა უწმინდესის სინოდისათვის და მეთხოვნა არზით რომ ენებებინა დაბეჭდვა, რადგან დიდად საჭირო და სახმარია საქართველოსათვის და უმეტეს სემინარიისათვის და ამისი კორეხტურის მართვაც მინდოდა მეთხოვნა რომ ჩემთვისვე ერწმუნებინა უწმინდესს სინოდს, ეს საქმე დავით გარეჯის კაზნაჩეიმ თეოფანემაც იცის, რადგან იმანვე მითხრა შარშან, იერუსალიმს წასვლა მსურსო და უთხარ მე უფრო დიდი ხანია მსურს და ამხანაგსაც ვეძებ მეთქი. მე შენისთანას ამხანაგს ვერ ვიშოვნი და შენ ჩემისთანას და ერთად წავიდეთ მეთქი, ვეთანხმენით ერთმანეთს, გვინდოდა რომ არზა მოგვერთმევინა ყოვლად სამღვდელოს ექსარხოსის იონასთვის და ბაშფორთი გვეთხოვნა, მაგრამ ვერც მგზავრი ვიშოვნეთ იმისთანა რომ ან ბერძნულით სცოდნოდა ან თათრული, და რადგან მათი მაღალ უსამღვდელეობა ექსარხი იონაც წაბრძანებას აპირებდა აქედამ ველარც იმას გაუბედეთ და ვერც შევაწუხეთ და იმჟამადაც თქვეს აქ ტფილისში რომ ეგიპტის ფაშა შესულა იერუსალიმში და დიდი აღრეულობა არისო, და ამე-

ების მიზეზებით დავრჩით, ეს ჩვენი იერუსალიმს წასვლა თვით მღვდელმა ეფრემ ალექსიევმაც იცოდა, ამ მიზეზისათვის გადმოველ რუსეთიდამ და სხვა მიზეზი არა მქონია რა, და არც აქვს[1] მონასტერში ცხოვრებას დავხარბებულვარ, ვინადგან პეტერბურგში მქონდა მე მყუდრო და თავისუფალი ცხოვრება და საკუთარი ეკლესია საბოლო თუმანი ასიგნაცია ჯამაგირი ცარევიჩის თეიმურაზისაგან, რომლისაც ეკლესიაში ვიყავ განწესებული და რათ მოვიწყომებდი აქაურს მონასტერში ცხოვრებას, სადაც რვა თუმნის ჯამაგირის მეტი წელიწადში სხვა ნუგეშინის ცემა არ არის რა, მაგრამ მე არასდროს არ მიძებნია ჩემი თავის სარგებლობა, არამედ მარადის მსურვებია ხელმწიფისა და ქვეყნის სამსახური და ერთგულება. ჰეშმარიტის სიტყვით ვარწმუნებ თქვენს აღმატებულებას. რომ არც ერთის ცარევიჩისაგან მე ქვეყნის საორგულო და აღსაბუნტებელი არა მქონდეს რა დაბარებული, და არც მაგგვარ კაცათ მიცნობენ ისინი, არც რა ერისთვებთან მქონია რამე განზრახვა ამ გვარია ორგულებისა და ახლა სხვათა თანა არც რუსეთში და არც აქა. არც მე დამიბარებია ერისთავები ჩემთან არც ჩემის პირით, არც კაცი გამიგზავნია, არცა რა ბარათი მიმიწერია, არც იმათთან არც სხვათა თანა არცა რა. მცოდნია, თითონ შემოვიდნენ და დაიწყეს ლაპარაკი, როგორც პირველის პოკაზანიაში მოგახსენეთ, ბოლოს დროს ადგნენ მასხარადაც ამიგდეს, სიცილი დაიწყეს და თქვეს ეს რა ჩვენი უბედურება არისო, მაშინ მივედი და სადილი ნაჭამი იყო და ახლაც ოტკა დალეულია და ეს რას გვირჩევ?ო, და არცა რა ბირჩევია ჰეშმარიტად ქვეყნის აღსაბუნტებელი და საორგულო, და თუ ჩემის უბედურებით, სადილნაჭამი და ოტკა ნასვამი არა ვყოფილიყავ ათასჯერვე შეურაცხებითაც დავითხოვდი, ჩემის სახლიდამ და თუ ჩემს გულში ყოფილიყო რამე ამგვარი წინააღმდგომი ღვთისა, ქუჩაში რომ შემომხდნენ ვკითხავდი რასმე, და ან მისვლა მოსვლა მექნებოდა მათთან რჩევა და ლაპარაკი.

იანვარი 31 წლისა 1833. მღვდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (VI, 950)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო. რომ ერთ დღეს ჩემი ძმის ალექსანდრეს ავადმყოფობაში მასთან

[1] ალბათ „აქ-ერს“.

სანახავად მოვიდნენ თადია ჩოლოყაევი და ბიძინა ერისთოვი. გიორგი ერისთოვი უკვე იქ იყო. მალე ელიზბარ ერისთოვიც შემოვიდა. მაშინ დაუწყეს ლაპარაკი თადია ჩოლოყაევს ჩვენი განზრახულების შესახებ, მაგრამ მათგან რომელმა დაიწყო არ მახსოვს. როგორც მახსოვს თადია ჩოლოყაევი ამ განზრახვას არ ეთანხმებოდა. თუმცა მე მათ საუბარში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და თადია ჩოლოყაევთან ამ საქმეზე არასოდეს რა მითქვამს. იმავე დღეს იყო ჩვენთან თავადი ივანე მიხეილის ძე ერისთოვი, მაგრამ არ მახსოვს სწორედ იმ დროს იყო თუ არა, როცა თადია ჩოლოყაევს ელაპარაკებოდნენ. მასთანაც აგრეთვე მე არა მქონია არავითარი საუბარი ჩვენს საქმეზე, მაგრამ ვიცოდი კი, რომ იგი ჩვენს საზოგადოებაში მონაწილეობას იღებდა 1831 წელს.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წ.
თებერვლის 1.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (V, 938)

1831 წელს მე ველაპარაკე ჩვენი განზრახულების შესახებ თავად ივანე მიხეილის ძე ერისთოვს და ვკითხე, მიიღებდა თუ არა მონაწილეობას, მაშინ მან მიპასუხა მეც თქვენთან თანახმა ვარო. — 1832 წელს კი მან მოისმინა სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ჩვენი საუბარი თავად ჩელოყაევთან. — ამ ბოლო დროს კი, მე მას გამოვუცხადე პირდაპირ, ყოველივე წინასიტყვაობის გარეშე, რადგან მან ეს უკვე იცოდა.

პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

1833 წლის
31 იანვარი.

გიორგი რევაზის ძე ერისთოვის ჩვენება (VI, 948)

მომაგონდა აგრეთვე, რომ ერთხელ თ. ალექსანდრე ორბელიანისას რომ მივედი, იქ დამხვდნენ თ. თადია ჩელოყაევი, თ. ელიზბარ ერისთავი და თ. ბიძინა ერისთოვი, რომლებიც ამ საქმეზე საუბ-

რობდნენ. ამათ გარდა არ მახსოვს, რომ სხვა კიდევ ყოფილიყოს ვინმე. თ. თადია ჩელოყაევი და ბიძინა ერისთავი ამბობდნენ, რომ თუ ჩვენი მოწინავე პირები თანახმა არ იქნებიან, არც ჩვენ შეგვიძლიან ამაზე დავთანხმდეთო. ჩვენ ვიცით, რომ ეს პირები არ დათანხმდებიან, ან და საქმე ტყუილად დაგიწყიათო. იყო თუ არა იქ ივანე მიხეილის ძე ერისთოვი არ მახსოვს.

ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი თ. ერისთავი.
1833 წლის
თებერვლის 1.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (VI, 956-957)

1833 წლის თებერვლის 1-ს, ვიმეორებ რა საგამომძიებლო კომისიის წინაშე ჩემს წინანდელ ჩვენებას, მაქვს პატივი კიდევ დავუმატო შემდეგი:

1832 წელს თავად ელიზბარ ერისთოვის მიერ თავისი სიძის კოლეჟსკი სოვეტნიკის მელნიკოვის სახლში გამართულ სადილზე სხვებთან ერთად დაესწრო პრაპორშჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე, რომელიც ჩემს პირველ ჩვენებაში გამოვტოვე, აქ სადილზე ნებით თუ უნებლიეთ შამპანური დავლიეთ თავისუფლებისა[1] და ბატონიშვილების ოქროპირ და დიმიტრის სადღეგრძელო. სადილის შემდეგ სტუმრები თ. ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში წავიდნენ, მეც თუმცა მთხოვეს წასვლა, მაგრამ უარი ვუპასუხე.

ამას გარდა, 1832 წლის ოქტომბერში ელიზბარ ერისთავთან ვახშამზე იყო ჩვენთან ერთად თავადი ბირთველ თუმანოვი, რომელიც ელიზბართან ცხოვრობდა და რომელიც გვიამბობდა 1812 წელს კახეთის ამბოხების შესახებ. ამ ორივე შემთხვევაში რაც საუბარი იყო, დაწვრილებით მაქვს ნაჩვენები ჩემს პირველ ჩვენებაში.

ამასთანავე საჭიროდ ვთვლი ვაცნობო კომისიას, რომ მას შემდეგ, რაც თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა გამომიცხადა ზოგიერთ თავადთა მთავრობის საწინააღმდეგო ბოროტგანზრახულება, ე. ი. 1831 წელს, — მითხრა, რომ თუ პოლონეთის კამპანია ცოტახანს კიდევ გაგრძელდებოდა, ბოროტგანმზრახველთ აქაც სურდათ მსგავსივე საქმე დაეწყოთ. იგი მარწმუნებდა აგრეთვე, რომ ამ საქ-

[1] ტექსტში ხაზგასმულია.

მეს დასაბამი მიეცა ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილთაგან, რომლებიც დიდი ხანია ამაზე ფიქრობდნენ და თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ღონისძიებებს ეძებენო, ვახტანგ ორბელიანოვის ს. პეტერბურგში ყოფნის დროს დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად ესაუბრებოდა იქ მყოფ თავის ახალგაზრდა ნათესავებს და ამნაირად ამზადებდა მათ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ შესაიარაღებლად, და ვითომც თავად ელიზბარ ერისთოვს პეტერბურგიდან გამგზავრების დროს მიეცა დავალება, რათა აქაც მოზიარეები გაიჩინოს, რასაც თვითონ ელიზბარ ერისთოვიც ადასტურებდა, რომელიც ლაპარაკობდა ხოლმე, რომ ბატონიშვილებმა პოლიტიკა კარგად იციანო და თუ მათ იმედი არ ჰქონდეთ ასეთ დიდ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდნენო. ეს იმითაც შეიძლება დამტკიცდეს, რომ 1832 წელს თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში (ე. ი. იმ დროს როცა ლაპარაკობდნენ, რომ სტატსკი სოვეტნიკი ჩილიაევი[1], რომელიც რუსეთის ტახტის დიდი ერთგულია, თუ ამ საქმეში არ დაგვეთანხმა, მოვკლათო) მასწავლებელ ყიფიანოვს წინადადება მისცეს, წასულიყო ოქროპირ ბატონიშვილთან და ეთხოვნა მისი ბრწყინვალებისთვის, რათა იგი აუცილებლად პარიზს ჩასულიყო თავისი განზრახვის შესასრულებლად,[2] იმ აქტის შესახებ, რომელიც მე და ყიფიანოვს პროპორშჩიკმა თავადმა გიორგი ერისთოვმა წაგვიკითხა, მქონდა პატივი გამეცხადებინა საგამომძიებლო კომისიისთვის, გასული იანვრის 2 რიცხვს.

დასასრულს გავბედავ მოვახსენო საგამომძიებლო კომისიას, რომ მე სრულიადაც არ ვფიქრობდი მათ ამ განზრახულებაში დავხმარებოდი, არც მსურდა ხელი შემეწყო იმ ბოროტგანმზრახველთათვის, რომელნიც ცდილობდნენ დაერღვიათ ჭეშმარიტი ბედნიერება, რომლითაც ხელმწიფე იმპერატორის მშვიდობიანი კეერთხის ქვეშ ყოველი ქართველი ტკბება. მე ეს საიდუმლოება ჩემი ამხანაგის ყიფიანოვისთვისაც კი არ გამინდვია, რომელმაც, გაიგო რა იგი პროპორშჩიკ გიორგი ერისთოვისაგან, მოვიდა ჩემთან და მითხრა: იცი რა საიდუმლოება გავიგე? აქ მთავრობის წინააღმდეგ რაღაცა საქმეს აწყობენო. რაზედაც მე ვუპასუხე: ეგ მე ოთხი თუ ხუთი თვის წინად გავიგე ვახტან ორბელიანოვისაგან-მეთქი და აგრეთვე ისიც, რომ ისინი ამის შესახებ ჯერ ისევ პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილთან ლაპარაკობდნენ ხოლმე მეთქი. რაც შეეხება იმას, რომ მე გარეგნულად მაინც ვიღებდი მონაწილეობას ამ არა კეთილშობილ

---

[1] იაგორ ჭილაშვილი.

[2] ე. ი. საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა მოითხოვოსო.

ხალხთა საუბარში, — ეს მხოლოდ იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ჩემს პირველ ჩვენებაშია განმარტებული. მაგრამ მაინც ვნანობ რა ჩემს შეცოდებას უბედურთა მფარველის წინაშე, ვბედავ ვიქონიო ბედნიერი იმედი, რომ მისი იმპერატორობითი აღმატებულება, ჩვენი გულშემატკივარი მამა თავისი ქვეშევრდომებისა, მაპატიებს რა ჩემს შეცდომას რომელშიც ჩემი ახალგაზრდობის წყალობით ვიყავ ჩათრეული, მომცემს საშუალებას წარვხოცო ძავი ლაქა ჩემი ერთგული და თავდადებული სამსახურით და თავისი სულგრძელობით არ მოუსპობს ჩემს მოხუც მშობლებს თავისი მოხუცებულობის ერთადერთ იმედს.

მასწავლებელი ზაალ ავთანდილოვი.

• სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (VI, 976-986)

მაქვს პატივი წარმოვადგინო ჩემი ყოველმხრივი ჭეშმარიტი და გულწრფელი აღიარება მთავრობის საწინააღმდეგო დანაშაულებრივი შეთქმულების შესახებ.

ს. პეტერბურგში მე არაფერი ვიცოდი და არც ბატონიშვილთაგან უთქვამს ვისმე რამე ჩემთვის, ხოლო იქიდან მოსკოვს რომ ჩამოვედი 1827 წლის ივლისში, ოქროპირ ბატონიშვილის დის თამარისაგან გავიგონე საუბარი საქართველოს წარსულზე, რომელმაც მთხოვა ჩავაგონო მოსწავლეებს სამშობლოს სიყვარული, რათა არ დაივიწყონ თავიანთი ბატონიშვილები, იგი ოცნებობდა, შეიძლება ოდესმე ჩვენც გვეღირსოს საქართველოში ყოფნაო. მე ვუპასუხე, მოსწავლეებისათვის სამშობლოს სიყვარულის ჩაგონება ჩემი მოვალეობაა მეთქი, მაგრამ სრულებით არ ვიცოდი, რას შეეხებოდა ეს საუბარი და იქ, მის გარდა ჩემთვის სხვას არავის რა უთქვამს.

1829 (თუ 1830) წელს, როდესაც ქართველი ბატონიშვილი ოქროპირი აქედან გაემგზავრა მცხეთამდე, მე მასთან ვიჯექი ეტლში და ის მელაპარაკებოდა შემდეგს:[1] ჯერ მიამბო საქართველოსა და საბერძნეთის ისტორია და მათი სიძველე, შემდეგ ამბობდა, რომ მოხუცებს ჩვენ კარგად ვახსოვართ. თქვენ ახალგაზრდებმაც არ უნდა დაგვივიწყოთო; ერთმა წინასწარმეტყველმა სთქვა, რომ საბერძნეთი ამდენი და ამდენი წელიწადი იქნება უცხო ერის ბატონობის ქვეშ, საქართველო კი — ამდენ და ამდენ წელიწადს და მერე განთავისუფლდე-

1 ხაზგასმული დოდაშვილის მიერ.

ბიანო. ერთი წმინდა იღუმენი ღმერთს ევედრება ჩვენთვის და ეგების ისმინოს მისი ვედრება და ჩვენ ოდესმე საქართველოში დავბრუნდეთო. სთხოვე შენს ნაცნობ მღვდლებს, რათა ისინიც ევედრენ ღმერთს ჩვენთვისა და მე კი არ დამივიწყოო. აი ყველა მისი სიტყვა, რაც მან მითხრა. ელაპარაკა იგი სხვასაც ვისმე თუ არა. მას არ მოუხსენებია. მე კი მისი ნათქვამი არ შემისრულებია.

1830 წლის დამლევს, თუ 1831 წლის დამდეგს მოვიდნენ ჩემთან თავადები, ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი, პირველად ამის მეტი არა უთქვამთ რა, რომ მთხოვეს გამომეცა გაზეთი და აღმითქვეს ხელისმომწერლებს ვიშოვითო. მე სიამოვნებით დავეთანხმე. ვისაუბრეთ პოლიტიკურ სტატიებზე, რომლებიც დაბეჭდილი იყო გაზეთებში, სამშობლოს სიყვარულზე, ჩვენ თანამემამულეთა განათლებაზე. შემდეგ მე ვიყავი თავად ელიზბარ ერისთოვთან, რომელმაც გამომიცხადა: „უნდა აუცილებლად გამოვცეთ ჟურნალი ან გაზეთი და გავანათლოთ ქართველები, რათა მათ ოდესმე იფიქრონ საქართველოს რუსთაგან განთავისუფლებაზეო, რომლებიც ჩვენ გვავიწროვებენ. უდანაშაულოდ წაგვართვეს ოსეთიო, დაგვავალეთ და გამოითხოვეთ გაზეთის გამოცემის ნებართვაო". მე დავეთანხმე. მან წამიყვანა თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან და იქაც იყო საუბარი განათლების, შეევიწროებისა და ოდესმე რუსთაგან განთავისუფლების შესახებ. მაშინვე ვახსენეთ ქართველი ბატონიშვილები, რომლებიც მე დახმარებას მიწევდნენ და მე ეთქვი, ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა, რომ საქართველო ოდესმე დამოუკიდებელი სამეფო იქნებაო. მათ თქვეს, რომ ოქროპირმა იგივე მათაც უთხრა. მე იქ ვთქვი, რომ „ქართველი ვარ, პატივსა ვცემ ქართველთა თავადიშვილებს და ყოველი ქართველი მეტად მიყვარს. ვიდრე რომელიმე რუსი და რაც საქართველოს კეთილდღეობას შეეხება, მე მზადა ვარ შევასრულო მეთქი". თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა: „დამიჯერე ელიზბარ, რომ ყველა ქართველი ამასავე იტყვის. აი ეს ხომ ჯამაგირს იღებს მაგრამ ქართველებისთვის სიკეთე უნდაო". მანიფესტის[1] შესახებ არ მახსოვს და არც არასოდეს წამიკითხავს. ბოლოს გადაწყვიტეს შეედგინათ ლიტერატურული საზოგადოება. მათ დაასახელეს თავიანთი ამხანაგები თავადები: გიორგი დავითის ძე ერისთოვი, გრიგოლ ორბელიანოვი, იასე ფალავანდოვი. მთხოვეს ამერჩია თანამშრომლები და გამევრცელებინა სამშობლოს სიყვარული გაზეთის გამოცემის საშუალებით,

---

[1] ლაპარაკია დიმიტრი ერისთავის მიერ 1801 წლის მანიფესტზე დაწერილ შენიშვნებზე.

ჩვენაო. მეუბნებოდნენ ისინი. სტამბასაც შევიძენთო. შემდეგ მოიხსენიეს თავიანთი ნათესავები: თავად ელიზბარ ერისთოვმა მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი, მე კი კობიაშვილები მოვიხსენიე, რომელთათვისაც არასოდეს არც ერთისთვის სიტყვაც არ მითქვამს საქართველოს რუსთაგან განთავისუფლების აზრის შესახებ.

ამის შემდეგ თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა დაასახელა თავადი იასე ფალავანდოვი, როგორც დიდი პატრიოტი და წამიყვანა კიდეც მასთან, სადაც დაგვიხვდა ვიღაც უცნობი თავადი, თავადმა ფალავანდოვმა დაიწყო ლაპარაკი თავის ლტოლვაზე საქართველოდან.[1] რომ მას ბევრი უფიქრნია საქართველოს რუსთაგან განთავისუფლებაზე და ამჟამადაც იგი ამავე აზრისაა. უცხო ადამიანის თანდასწრებით ასეთი საუბრის მოსმენამ მეტისმეტად შემაწუხა და შინ წავედი.

შემდეგ, თავადების ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან გავიგონე, რომ გენერალ მაიორმა თავადმა ჭავჭავაძემ და მაიორმა ლუარსაბ ორბელიანოვმა იციან ეს საქმე მე კი მათთან ამაზე საუბარი არასოდეს არ მქონია.

იმ 1831 წ. მათ 20 ხელისმომწერიც ვერ იშოვეს და ამიტომ გაზეთის გამოცემა არ დამიწყია. იმავე წელიწადს ისინი ჩამაცივდნენ, რათა მოვამზადო წერილები, უთუოდ 900-ზე მეტ ხელისმომწერს ვიშოვითო. ისინი ცდილობდნენ სამშობლოს სიყვარულის გავრცელებას და მეც ამის მოხარული ვიყავი, ჯერ ერთი იმიტომ რომ მე ეს ჩემი თანამემამულეებისათვის სასარგებლოდ ვიჩაჩნდა, მეორეც იმიტომ რომ ვფიქრობდი გამოვასწორებდი ჩემს უმწეო მდგომარეობას, რადგან ჩემს ჯამაგირს მუდამ წინასწარ ვართმევდი ოჯახის გამოსაკვებად. გენერალ მაიორმა თავადმა ჭავჭავაძემაც აღმითქვა დახმარება და ხელისშეწყობა, და თუმცა დავიწყე გაზეთის გამოცემა, მაგრამ რადგანაც ხელის მომწერლები ვერ ვიშოვე, ამიტომ ხელი ავიღე. გამოვცემდი 1832 წელს.

იმა წლის მაისში თავად ელიზბარ ერისთოვმა მიმიწვია თავისთან სადილად, მასთან იყვნენ სადილზე: მისი ძმა თავადი დიმიტრი და თავადი გიორგი ერისთოვები, თავადები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, თავადი დავით ჯორჯაძე, სოლომონ რაზმაძე, მამაცოვი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი. რამე განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი მე იქ არა გამიგონია რა, იმის მეტი, რომ ვლაპარაკობდით ქართველთა სიმამაცეზე. მე მიკიჟინებდნენ, რომ გაზეთებში მთავ-

---

[1] ი. ფალავანდიშვილი ერთხანს ლტოლვილი იყო საქართველოდან. იხ მისი პასუხები.

რობის წინააღმდეგ ვბეჭდავ. თუ გაიგეს, ცუდად იქნება შენი საქმეო მე ვუპასუხებდი, რომ იქ საწინააღმდეგო არაფერია და თუ არის, ჩემი ბრალი არ არის, სანკოვსკი განიხილავს ხოლმე მეთქი. სადილზე კახურის მერე, შამპანიურით დავლიეთ იმათი სადღეგრძელო, ვისაც თავისუფლება სურს. სადილის შემდეგ წავედით თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში. იქ ორ ნაწილად გავიყავით: ვინ ვის დაამარცხებდა, ვთამაშობდით, ვცელქობდით და ვმღეროდით.

მგონია, იმ დღეს დაავალა თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა სოლომონ რაზმაძეს შემდეგი: როცა შენ ირანში[1] იქნები, ეცადე ინახულო ალექსანდრე ბატონიშვილი, ეცადე გაიგო რას ფიქრობს იგი და რა განზრახვა აქვს საქართველოს მიმართ, დაწვრილებით მომწერე ყველაფერიო. რაზმაძემ უპასუხა, ძალიან კარგი, თუ კი შესაძლებელი იქნება მისი ნახვაო. მაგრამ მაშინ იგი არ წასულა და შეიძლება მერე დაავალა რამე, ეს მე არ ვიცი. ერთხელ თავადმა დიმიტრი ერისთოვმა მითხრა, შენმა ძმამაც იცის ეს საქმეო. მე გული გამისკდა, საიდან უნდა იცოდეს მან, როდესაც მე მისთვის არასოდეს მიმიწერია მეთქი. აქ თავადმა დიმიტრი ერისთოვმა ახსენა ბატონიშვილები, ფარნაოზი და დიმიტრი, რომელთაც დიდი ხანია იციან და იმანაც რომ იცოდეს რა გასაკვირიაო.

იმავე 1832 წლის მაისში შემხვდა თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, რომელსაც ხელში რაღაცა რვეული ეჭირა. ჩემს კითხვაზე, რა ვიჭირავს მეთქი, მიპასუხა: ახალი და მშვენიერი თხზულებაო. მე გამოვართვი იგი, შინ წავიღე და უჯრაში ჩავდე. არა თუ არავის წაუკითხავს იგი, არამედ სრულებით დამავიწყდა, არ ვიცი იგი იწოღებოდა თუ არა საიდუმლო და ერთგულების მეგობრობის აქტად, არ ვიცი რა შინაარსისა იყო იგი, რა წესებს შეიცავდა, ჩემთვის ეს არავის უთქვამს; ხომ ვაჩვენებდი ვისმე რვა თვის განმავლობაში, რომ მხსომებოდა იგი. ნამდვილად, დამავიწყდა და მხოლოდ მაშინღა მომაგონდა როდესაც შემეკითხნენ ერისთოვმა რა თხზულება გადმოგცაო.

შემდეგ არდადეგებზე ჩემ ახლო სოფელში წავედი და ორი თვე მამაჩემთან ვცხოვრობდი, იქიდან აგვისტოს დამლევს დავბრუნდი.

სექტემბერში დაპატიჟებული იყვნენ თავად ალექსანდრე ორბელიანოვისა და მისი ძმის ვახტანგის ბიერ ბაღში ვახშმად თავადები: იასე და ელიზბარ ერისთოვები, გვარდიის პრაპორშჩიკი გიორგი

---

1 ს. რაზმაძე პეტერბურგიდან იმისთვის იყო ჩამოსული, რომ მიემგზავრებოდა სპარსეთში რუსეთის საელჩოში სამსახურისათვის.

ერისთოვი. თავადი იასე ფალავანდოვი (რომელმაც ვახშამს აღარ ელაუცადა და წავიდა) თავადი ანტონ აფხაზოვი და მე. აქ იყო საუბარი სამშობლოს სიყვარულზე. მაგრამ პოეტობის საწინააღმდეგო არაფერი თქმულა.

მეორე ჯერზე მე მთხოვეს გავისეირნოთო და ყველა ზემოხსენებული პირი წავედით ახალშენში[1], იქიდან კი ორთაჭალის ბაღებში, საიდანაც თავად ელიზბარ ერისთოვთან მივედით ჩაიზე. მაშინ თავადმა აფხაზოვმა მეორე დღეს ვახშამზე დაიპატიჟა ისინი. მაგრამ. რადგანაც მისი დედა ავად იყო, ამიტომ ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა. იქ იყვნენ ყველანი, გარდა ელიზბარ ერისთოვისა. აქ წავიკითხე შეგირდ მაჩაბელოვის თხზულება, ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ შეგვედგინა საზოგადოება, შეგვეგროვებინა თანხა და შემოწირულება თავადთაგან. ეს თანხა უნდა მოგვეხმარებინა ღარიბი მოწაფეების აღსაზრდელად, უნდა შეგვეძინა სტამბა, ერთი სიტყვით, უნდა მოგვეხმარებინა კეთილ საქმეზე. ვახშამზე, როდესაც ყველას თავში კაცური აუხმაურდა, თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა გამოაცხადა მომისმინეთო და მოითხოვა ფიცი, რათა ყველამ საიდუმლოდ შეინახოს ის, რასაც იგი გამოაცხადებს. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა, მაგრამ საერთო იყო, საკმარისია მხოლოდ პატიოსანი სიტყვა, როგორც ეს გვარდიის პროპორშჩიკმა გიორგი ერისთოვმა თქვა ორბელიანოვმა წარმოსთქვა: „უნდა ვიფიქროთ რამე საქართველოს რუსთაგან განთავისუფლებაზეო". აფხაზოვი გაკვირვებული იყო და უპასუხებდა, მაგაზე ფიქრს საუკუნეები დასჭირდებაო. შემდეგ თავადმა ორბელიანოვმა გაავსო ჭიქა და წარმოსთქვა, „გაუმარჯოს პატრიოტებსა და თავისუფლების მოსურნეთაო" და ყველამ დალია. ანის შემდეგ შევუდექით ამ საზოგადოების უფროსის ამორჩევას. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა ამოარჩია აფხაზოვი, თავადმა იასე ფალავანდოვმა კი თვით ალექსანდრე ორბელიანოვი, რომელიც არ თანხმდებოდა და დავიშალენით. იმავე თვეში მითხრეს, რომ ისინი შეიკრიბებოდნენ საღამოს თავად იასე ფალავანდოვთან. იქ რომ მივედი, შევეკითხე თავად ალექსანდრე ორბელიანოვს ვიყიდო თუ არა ზონარგაყრილი წიგნაკი მეთქი. მიპასუხა: იყიდეო. და რომ ვინმე სთხოვდეს ეგზარხოსს ამ მიზნით, მაშინ ყველანი ხალისით გაიღებდნენ შემოწირულებასაო. სხვა რა საუბარი იყო იქ მე არ ვიცი, რადგანაც გვიან მივედი და ადრე წამოვედი.

ამ საზოგადოების შესახებ ოქტომბერში ველაპარაკე ჩემს უფროსს გიმნაზიის დირექტორს გუმბერგს და ღრმად ვიყავი დარწმუ-

---

[1] გერმანელთა ახალშენი თბილისის გარეუბანში.

ნებული, რომ არ მოტყუვდებოდი: რადგან მრავალჯერ ყოფილა ამაზე საუბარი და ყოველი მათგანი მარწმუნებდა, რომ თავის თანამემამულეთა საკეთილდღეოდ შესწირავდა 110, 200, 300 მანეთს ვერცხლით, ხოლო დირექტორმა კი ორდერი აღმითქვა, თუ ავაშენებდი სახლს სამაზრო სკოლისათვის, ან სხვა რამეს.

ველაპარაკე ამავე საზოგადოებაზე ბიბლიოთეკარ კოტოვს, რომელმაც მთხოვა ვცდილიყავ შემეძინა მისგან ბიბლიოთეკა და მეც აღვუთქვი, ვეცდები მეთქი. შემდეგ ვთხოვე თავად აფხაზოვს დამხმარებოდა ამ საქმეში, რათა ჩემი უფროსის წინაშე ცრუპენტელად არ გამოვსულიყავ. რომელსაც წინათ ველაპარაკე. მან აღმითქვა, მაგრამ მომატყუა.

იმ დროს უკვე აქ იყო გვარდიის კაპიტანი თავადი ჩელოყაევი, რომელთანაც რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ კი არა მითქვამს რა. ოღონდ ვაქებდი მას აფხაზოვის წინაშე, ძალიან კარგი კაცი არის მეთქი. ამანაც მთხოვა გამეცნო იგი მისთვის და ერთხელ წავედით მასთან. თავადმა აფხაზოვმა მასთან შემდეგი საუბარი გამართა: ჩემი ძმა, რომელსაც უბედურება შეემთხვა, დიდი პატრიოტი იყო და მე იგი დავკარგეო. ამან მიუგო: მე მასზე ბევრი რამ ვამიგონია და ამიტომ მეტად ვწუხვარ მისი სიკვდილის გამო. ეხლა როგორ მოვიქცეთ, თქვენ რას გვირჩევთო, შეეკითხა აფხაზოვი. იცხოვრეთ მშვიდად რუსებთან ერთადო, უპასუხა თავადმა ჩელოყაევმა. იქიდან რომ დავბრუნდით, თავადმა აფხაზოვმა მკითხა, შენ როგორ ფიქრობ, ხომ ჭკვიანი კაცია იგიო. მე ვუპასუხე ძალიან ჭკვიანია მეთქი.

ამის შემდეგ ოქტომბერში საღამო ჟამზე თავად ჩელოყაევთან ვიყავი, იქ გარეშე პირებიც იყვნენ, იმავე დროს მოვიდნენ თავადები: ალექსანდრე ორბელიანოვი, ელიზბარ, გიორგი ერისთოვები, და იასე ფალავანდოვი. იქიდან რომ წამოვედი, თავადი ელიზბარ ერისთოვი წამომეწია გზაზე და მითხრა: თავად ფალავანდოვს სურს ჩელოყაევის ახლოს გაცნობა. ამიტომ ჰპატიჟობს თავისთან ვახშმად და მასთან ერთად შენცაო. წავედით მელნიკოვის ტრაქტირში, სადაც გვინდოდა გველაპარაკა, მაგრამ ვიღაც რუსმა ხელი შეგვიშალა. მე შინ წავედი, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, მათი თხოვნით, უკანვე დავბრუნდი და წავედით საყავეში. მათ აქ დაწვრილებით გამოუცხადეს თავად ჩელოყაევს ეს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება. იგი დაეთანხმა და სთქვა, კიდევ მოვიფიქრებო.

შემდეგ თავადმა იასე ფალავანდოვმა თავის ბინაზე, თავად ალექსანდრე ორბელიანოვისა და ერისთოვების თანდასწრებით მთხოვა დამეწერნა ფიცის ფურცელი. მეო, ამბობდა იგი, არავის არ დავუჯერებ, ვიდრე არ დავიფიცებო, მაგრამ მე არ დავწერე, არც დამი-

ფიცია არასოდეს. მანვე მთხოვა აგრეთვე ამეღელვებინა თავადი დიმიტრი ორბელიანოვი, --- ფალავანდოვმა მთხოვა შემეშინებინა იგი, რომ რუსის მთავრობა მას მალე გადაასახლებს აქედან და ამას გარდა. პასუხისგებაშიც მისცემს. რადგანაც იგი მელნიკოვს წაეჩხუბა. მე ვუპასუხე. ძალიან კარგი მეთქი. მე არა თუ არაფერი ვუთხარი, მას, არამედ არასოდეს გაკვრითაც კი არა მითქვამს რა მისთვის ამ შეთქმულებაზე. ისე როგორც არც სხვა ვისთვისმე არ მითქვამს თუმცა მე ვიცნობდი ორბელიანოვს. მე გავიგოე, რომ ალექსანდრე ორბელიანოვს ჰქონდა მიწერ-მოწერა ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ წერილი კი არა მინახავს რა.

შემდეგ თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ბინაზე იყო საუბარი და თავადი ჩელოყაევიც იქ იყო. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ დოდაევს კახეთში დიდი ნდობა აქვს დამსახურებულიო, რადგან მე მათ რამდენჯერმე თავის ქებით ვუთხარი კახელებს ძალიან ვუყვარვარ და პატივსა მცემენ მეთქი. მაშინ მე აქ წარმოვსთქვი შემდეგი სიტყვები: თუ მოვისურვე. ერთი ჩემი სიტყვა საკმარისია, რომ მთელმა კახეთმა მე დამიჯეროს მეთქი. თუმცა მე ვლაპარაკობდი კახელებზე მაგრამ არასოდეს არც ერთ ადამიანს ჩემგან მთავრობისა და რუსეთის საწინააღმდეგო არც ერთი სიტყვა არ გაუგონია, პირიქით მე მუდამ ვაქებდი.

მეორეჯერ იმის სახლშივე მივედი რა, იქ დამხვდნენ თავადები, რომლებიც საუბარში იყვნენ გართული. მე გავიგონე თავად ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ ეს საქმე მალე უნდა შეასრულოთო: მე შევხედე და ვუთხარი --- შეუძლებელია მეთქი, ასევე სთქვა ბატონმა მამაცოვმაც. ელიზბარი და სხვები ჯავრობდნენ და ჟინიანობდა იგი. მაშინ მე ვთქვი: „მარტო მე უთქვენოდ ყველაფერს ვიზამ და მაშინ თქვენ შეგრცხვებათ მეთქი, რატომ სჯავრობთ მეთქი". არ მიმიქცევია ყურადღება, როგორ ფიქრობდნენ ისინი შესრულებას: რადგან მე სავსებით შეგნებული მქონდა ამ საქმის შეუძლებლობა. მაშინ თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა გვთხოვა მე, ყიფიანოვსა და მამაცოვს შეგვედგინა პროკლამაცია. მაგრამ მე არ დავწერე და არც ვაპირებდი დაწერას და არავითარი ქაღალდი ამ საქმის შესახებ არც მინახავს, ბატონმა მამაცოვმა ცალკე გამიყვანა და მითხრა რა უნდათ მაგათ, რა ვქნათო. უარი ვთქვათ მეთქი. მან მიპასუხა: ძალიან სულელურად მსჯელობენ და მაგათთან აღარასოდეს არ მივალო, ამ საქმის შეუძლებლობაზე არა გვათქმევინეს რაო. იქიდან მე და ავთანდილოვი ერთად გამოვედით და მე ვუთხარი მას, დროა ხელი ავიღოთ, საკმაო დრო გავატარეთ ამაზე მეთქი. როგორ თუ დრო

გავატარეთ, მიპასუხა მან, როგორ შეიძლება. რომ ჩვენი შეთქმულება სამართლიანი იყოსო.

ბატონ მასწავლებლებს ყიფიანოესა და ავთანდილოვს ვურჩევდი, ჩამოსცლოდნენ ამ საზოგადოებას. მაგრამ ესენი წავიდნენ და თავადებს უთხრეს, ამის შემდეგ თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა მოღალატე მიწოდა, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი კი ეუბნებოდა ბას, იმედი არა მაქვს რომ გვიღალატოსო. მე მათ ვუპასუხე: მე მიყვარს ჩემი სამშობლო, აბა, სადაური მოღალატე ვარ მეთქი. ამის შემდეგ ავთანდილოვი შემხვდა და ვუთხარი თქვენზე და ყიფიანოზე ეჯავრებული ვარ მეთქი, მე თქვენთვის სიკეთე მსურდა, თქვენ კი წახვედით და თავადებს უთხარით მეთქი; უნდა იცოდეთ, რომ ბევრ სისულელესა ჰქონდა ადგილი და დროა ამაზე ხელი ავიღოთ მეთქი. ნოემბრის პირველ რიცხვებში მოვიდა ჩემთან მღვდელი ეფრემ ალექსიევი როგორც ახლო ნაცნობი და ჩემი მოძღვარი. არ ძოშითხოვნია რა მისგან არც ფიცი, არც თანხმობა და არც დახმარება, ვუთხარი მას, რომ გავიგონე თავადები ჩივიან შევიწროებაზე და სურთ საქართველოს რუსთაგან განთავისუფლება მეთქი. მან მიპასუხა: განთავისუფლებაზე არა გამიგონია რაო. ამბობდა, ეს შეუძლებელიაო და მთხოვა არავისთვის არ მეთქვა იგი. მეტისთვის არავისთვის მითქვამს ეს საქმე ჩემს სიცოცხლეში.

თავად ჩელოყაევისაგან მომივიდა ბარათი და წავედი მასთან იმავე ნოემბრის პირველ რიცხვებში. იქვე მოვიდნენ თავადები: ელიზბარ ერისთოვი და იასე ფალავანდოვი, რომელიც მეკითხებოდა, როდის წახვალ კახეთშიო? მე ვუპასუხე: რისთვის ძეთქი? როგორ თუ რისთვისო, გეფიცები ღმერთსა და ყველა წმინდანს რომ თუ ხვალვე არ წახვალ კახეთში, გაიგებენ და ჩვენ ყველას ციხეში ჩაგვამწყვდევენო, ყველაფერი საჩქაროდ უნდა მომზადდეს, აი, თავადი ელიზბარიც დღეს თუ ხვალ ქართლში წავაო, ამანაც სთქვა მზადა ვარო. მე ვუპასუხე. სამსახურში ვარ და არ შემიძლიან მეთქი. ისინი გაწყრნენ და წავიდნენ, მე კი იქვე დავრჩი. თავადმა ჩელოყაევმა მითხრა, ოჯახის პატრონი კაცი რისთვის გაერია ამ საქმეშიო. მე ვუპასუხე: საშინლად შევცდი მეთქი და უფრო ბიძა თქვენმა ოქროპირ ბატონიშვილმა შემაცდინა, რომელმაც შთამაგონა საქართველო ოდესმე დამოუკიდებელი გახდებაო. მან მითხრა, მიატოვე ეს საქმეო. მე ვუპასუხე, დიდი ხანია მსურდა და ეხლა გადაჭრით ხელს ვიღებ მეთქი. იქიდან დაბრუნებული შევედი თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან და ვთხოვე: მოიღეთ მოწყალება, უთხარით თავად ელიზბარ ერისთოვსა და იასე ფალავანდოვს ხელი აიღონ მეთქი. მან მიპასუხა: ისინი ეს ეს არის აქ იყვნენ და შენა გაიცხავდნენო,

ერისთოვმა დაიფიცა, რომ შურს ვიძიებო (მოვკლავო), დაე, რაც უნდა მიყოს მე. ოღონდ ამ საქმეს თავი დაანებოს მეთქი.

ვახტანგ ორბელიანოვმაც მითხრა, რომ ელიზბარ ერისთოვს ვუგინებივართ და მოკვლას გვიპირებს. მე ვუპასუხე: უთხარით მას, რომ იგი თავისი გლეხებით მოვიდეს ჩემთან, ოღონდ ამ საქმეზე ხელი აიღოს მეთქი. შენ ხომ კახეთის აჯანყებას გვპირდებოდიო, ჰო და ახლა კი, უარს ამბობო. მე ვუპასუხე: რომელი კახეთის მმართველი მნახეთ მეთქი? მე არაფერი არც შემიძლიან და არც მინდა გავაკეთო მეთქი. მერე მივუბრუნდი თავად გიორგი ერისთოვს და ვუთხარი, რას შერებით, იღებთ თუ არა ხელს ამ საქმეზე მეთქი? მან მიპასუხა: მე მზად ვარ ხელი ავიღო, მაგრამ თავადი ელიზბარ ერისთოვი და იასე ფალავანდოვი ჯავრობენო.

იმ დღიდან მე უკვე მონაწილეობა აღარ მიმიღია და არ ვიცი რა განკარგულებები იყო მათ მიერ მოხდენილი, ჩემთვის არავის უთქვამს.

ნოემბრის შუა რიცხვებში შევედი თავად ელიზბარ ერისთოვთან და ვუთხარი მას: რათა ჯავრობთ, თქვენც ხომ იცით, რომ ეს საქმე შეუძლებელია მეთქი. მან მიპასუხა, პატარა ბიჭი ხომ არა ვარ რომ მატყუებენო. ამის შემდეგ მივედი თავად აფხაზოვთან, სადაც დამხვდა თავადი ელიზბარ ერისთოვი, ისინი რაღაცას ლაპარაკობდნენ და მე გავიგონე გვარები ჭავჭავაძე, ჩელოყაევი და მე მათ ვუთხარი: დაანებეთ თავი მაგ საქმეს. თუ ვინმე რამე შევიწროვებასა გრძნობს, დაე, შეიტანოს ,ან ყველამ ერთად შეიტანეთ თხოვნა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე, ეს უკეთესი იქნება მეთქი. მან მიპასუხა: არაო, მე მაშინვე დავტოვე ისინი და წავედი.

შემდეგ ვიყავი თავად ჩელოყაევთან, რომელმაც მითხრა: „მე გაკვირვებული ვარ, რას ნიშნავს ეს, რომ თავადი ჭავჭავაძე ამ საქმის გამო თავისთან მიბარებს, თუ არ სურდა, — შეეძლო თვითონვე ეთქვა უარი. მე ვუპასუხე, არა ვიცი რა და არცა მგონია, რომ მისი თანახმა იყოს მეთქი, მე გარეშე პირი ვარ და უკვე აღარ მინდა ჩავერიო მეთქი. ის განაგრძობდა: ახ, რა უბედურ დროს ჩამოვედი, ეს რომ მთავრობამ გაიგოსო. მე ვუპასუხე: მთავრობამ ამას შეიძლება არავითარი ყურადღება არც კი მიაქციოს მეთქი.

ბოლოს შევიტყე, რომ შეთქმულება მთლად მოუსპიათ და ელიზბარ ერისთოვი დეკემბრის პირველ რიცხვებში მოვიდა ჩემთან და მთხოვა დავივიწყო ყველაფერი და ვიქონიო მასთან ნა-

ცნობობა, რომელსაც ვუპასუხე, ნაცნობობაზე უარი არასოდეს არ მითქვამს, არამედ იმ საქმეზე ვთქვი უარი ნეთქი. ის უკვე დავიწყებულია და შეგიძლიანთ არხეინად იყოთო. მე უკვე მეურნეობას ვკიდებ ხელსაო.

მაგრამ მხოლოდ თავადებთან ნაცნობობამა და მათდამი, როგორც თანამემამულეთადმი, სიყვარულმა მიმიყვანა მე ამ სისულელემდე — გავმხდარიყავ მთავრობის საწინააღმდეგო საუბრების მონაწილე და არა ჩემმა საკუთარმა სურვილმა. ამ ჩვენი უგუნური საუბრებისაგან არ მოველოდი არავითარ აჯანყებას და არა მქონია არავითარი განზრახვა, მხედველობაში მქონდა სხვა რამ სასარგებლო და არა დამღუპველი და მთავრობის საწინააღმდეგო. ჩვენს საუბარს ვუცქერდი როგორც ფუჭსა და უმსგავსოს, ყოველთვის ვგრძნობდი დიდი მონარქის ამ მხარეზე უხვად მოღებულ უამრავ სიკეთესა და კეთილდღეობას. სულითა და გულით მუდამ ვიყავი მოწადინებული შემესრულებინა ჩემი მოვალეობა და ამით ხელი შემეწყო კეთილმოქმედი და ბრძენი მთავრობისათვის და ვყოფილიყავ სასარგებლო სამშობლოსათვის.

ძალიან ხშირად მიფიქრია მეცნობებინა მთავრობისათვის ეს ბოროტება: მაგრამ ხელს მიშლიდა ის რომ თავადებს დიდძალი ნათესაობა ჰყავთ საქართველოში, ოდესმე გაიგებენ, დამგმობენ და ჯიუტს მიწოდებენ მეთქი, რომ გავცე ჩემი თანამემამულენი. ამისდა მიუხედავად, რომ დამენახა, რამე გადაწყვეტილი, შეიძლება, არც კი დავაყოვნებდი, ერთი სიტყვით, მე არ მოველოდი რამე ბოროტ მოსახდენს და მხოლოდ ახალგაზრდობა, სისულელე, უგუნურება, გამოუცდელობა გვაიძულებდა გველაპარაკნა მთავრობის წინააღმდეგ, როგორც არ უნდა ყოფილიყო.

წარმოვადგენ რა მთელს ჩემს დანაშაულსა და ჭეშმარიტებას, უქვეშევრდომილესად ვთხოვ მის იმპერატორობითი უდიდებულესობას სულგრძელსა და მოწყალეს, შემინდოს მე, რომელიც უსასტიკესად ვნანობ, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობლად ვარ დასჯილი და რომელიც სამარის კარამდე ვილოცებ ღმერთს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და უავგუსტესი ოჯახის კეთილდღეობისათვის.

მიაქციეთ კეთილმოქმედი და კაცთმოყვარული თქვენი ყურადღება ჩემსა და ჩემი ოჯახის უბედურ მდგომარეობას, მომეცით ამ მოკლე ცხოვრებაში დრო, რათა გამოვადგე სამშობლოსა და მთავრობას და ჩამოვიწმინდო ის ლაქა, რომელიც ჩემდა უნებუ-

რად ბოძეცხო. ეს პირველი და უკანასკნელი ჩემი შეცდომა უდიდესი გაკვეთილი იქნება ჩემთვის.

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

თებერვალი „ „ დღესა[1], 1833 წელსა.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (VI, 988—1002)

ამით გავბედავ მოვახსენო საგამომძიებლო კომისიას ყველაფერი დაწვრილებით, რაც კი მომაგონდა ჩემი საპყრობილეში ყოფნის დროს, იმასთან ერთად რაც უწინ მომიხსენებია ამა კომისიისთვის.

გასულ 1831 წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთოვმა — ეხლა კავალერიის პრაპორშჩიკი რომ. გზაზე მიმავალს დამიწყო ლაპარაკი: გამიგონე, მე შენ ერთი საიდუმლო მსურს გითხრაო; მე ვუპასუხე, მითხარი, რა არის მეთქი. მაშინ დამიწყო: საყვარელო ძმაო იოსებ! რადგან შენ ჩემთან ერთად ხარ აღზრდილი. ეხა ჩვენ მეგობრობაც გვაქვს, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნათქვამი ჩვენს შორის დარჩება; მე ვუპასუხე მითხარი და მე მზად ვარ მუდამ შენ ერთგულება დაგიმტკიცო მეთქი: ამის შემდეგ მან მითხრა იცი რა უნდათო, თბილისში არის სხვა და სხვა პარტიები და თუმცა მათ სხვა და სხვა განზრახვები აქვთ. მაგრამ ყველას კი სურს აღრეულობა მოახდინონო; ძას გაუგონია, რომ მათგან ზოგს მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი უნდაო, ზუხრან ბატონებს კი თავისთვის უნდათო (მეფობა). მე ამ მოულოდნელმა ამბავმა ძალიან გამაკვირვა, და თუმცა შევეკითხე სახელდობრ რა პარტიები არსებობს მეთქი ამ საქმის გამო, მაგრამ მან მითხრა მერე გეტყვიო და საუბარი ამით დასრულდა, რამოდენიმე ხნის შემდეგ მან განმიცხადა, რომ თავადები ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი აწარმოებენ მოლაპარაკებას სხვა თავადებთანო და ერთ დროს მან წამიყვანა თავისთან სახლში, სადაც ზემოაღნიშნული თავადები მოვიდნენ; მათგან ელიზბარ ერისთოვი მეუბნებოდა, რომ მათ სურთ აქ ძველი მმართველობის აღდგენა; მე ვუპასუხე:

[1] რიცხვი არა სცოდნია. კომისიაში 3 თებერვალს არის მიღებული.

თავადო ელიზბარ თქვენ როგორ შესძლებთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლას მეთქი; მან მიპასუხა უკვე ბევრი თავადი მზად არის აჯანყებისთვის და ბევრსაც დავითანხმებთო: შემდეგ შევედით თავად ერისთავის სახლის მახლობლად მყოფ კარავში; აქ თ. ალექსანდრე ორბელიანსკი ამბობდა, რომ რადგან ამ[1] სახლის მახლობლად არის მთები, იქ შეიძლება დავმალოთ ჯარი და ღამე იქიდან რუსებს თავს დავესხათო, ელიზბარმა მოიწონა მისი აზრი, მერე მე შინ წავედი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ წავედი თავად გიორგი ერისთოვთან, რომელთანაც ზემოხსენებულ კარავში დამხვდნენ თავადები: ალექსანდრე და ელიზბარი, თვით გიორგი და ერთიც იმერელი თავადიშვილი, რომლის გვარი და სახელი თუმცა მე მათ ვკითხე, მაგრამ ეხლა აღარ მახსოვს, ხსენებული თავადები ელიზბარი და ალექსანდრე ეკითხებოდნენ მას ჩემი თანდასწრებით, საქართველოში რომ რამე აღრეულობა მოხდეს, იმერლებიც მიიღებთ თუ არა მასში მონაწილეობასაო, რაზედაც ის მათ არწმუნებდა, რომ იქაც იმასვე იზამენ როგორც კი ამას გაიგებენო.

თავადებმა ელიზბარ ერისთოვმა და ვახტანგ ორბელიანოვმა ზაფხულში მომცეს წინადადება მათთან ერთად წავსულიყავ სადილად ქალაქის გარეუბანში კუკიაში ჩემს თანამოგვარე თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპორშჩიკ გაბრიელ მამაცოვთან, რომელიც მათ რუსეთშივე ჰყავდათ გაცნობილი და რომელიც ამჟამად აქ ბინადრობდა. იქ დაგვხვდა აგრეთვე პრაპორშჩიკი თავადი ჯორჯაძე, რომელიც მე მხოლოდ იქ გავიცანი. იქ, რამდენადაც ეხლა მახსოვს, არავითარი საიმისო მსჯელობა არ ყოფილა რა, სადილ შემდეგ ისინი თავთავიანთ სახლებში წავიდნენ და მეც მათ შემდეგ ჩემს ბინაზე წავედი. იმავე წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, როგორც ეხლა მაგონდება, თავადმა გიორგი ერისთოვმა[2] წინადადება მომცა წავსულიყავ სადილად სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, სადაც წავედი და აქ შეიკრიბნენ შემდეგი თავადები: თვითონ ბაღის პატრონი თავადი ორბელიანოვი, მისი ძმა ვახტანგი, პორუტჩიკი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი,

---

1 ძნელი გასარჩევია რომელ სახლზეა ლაპარაკი. მამაცაშვილი ვახტანგ ორბელიანს წაუყვანია თავისთან და თითქოს ამ ორბელიანთ სახლთან მდგარა ელ. ერისთავის კარავი, რაც სრულიად შესაძლებელია. რადგან ელ. ერისთავი თავისი სიძის მელნიკოვისას ცხოვრობდა. მელნიკოვის ბინა ორბელიანთ სახლიდან შორს არ უნდა ყოფილიყო. მაშინ აქ ორბელიანთ სახლი უნდა იგულისხმებოდეს.

2 გიორგი დავითის ძე ერისთოვი.

პორუტჩიკი ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი, პორუტ-ჩიკი ელიზბარ ერისთოვი, სადაც თვითონ გიორგი ერისთოვიც იყო. სადილ შემდეგ იქვე ხის ქვეშ დავსხედით და თავადები ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი კარგა ხანს მსჯელობდნენ და თუმცა მათი ყველა სიტყვა არ მახ-სოვს, მაგრამ მათ მთავარი შემდეგი თქვეს: რომ ისინი მრავალ შე-ვიწროებას განიცდიან და ამის გამო უნდა აღრეულობა მოახდი-ნონ და რადგან პოლონეთი აჯანყდა, ეხლა ამის საუკეთესო დრო არის. ამის შემდეგ მე რამდენიმეჯერ მქონდა საუბარი თავად ზაქარია ციციანოვთან თავადების ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვის უსამართლო მსჯელობის შესახებ და ყველა-ფერს მივაწერდით ამ უკანასკნელს და ვფიქრობდით, რომ ეს საქმე მხოლოდ მან ერთმა დაიწყო. 1832 წელს თვე და რიცხვი არ მახსოვს, თავად ელიზბარ ერისთოვმა თავისი სიძის, ბატონ კოლეჟ-სკი სოვეტნიკის მელნიკოვის სახლში გამაცნო თავისი ძმა არტი-ლერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთოვი.

იმავე წელს როგორც მახსოვს შევიარე სოვეტნიკ თავად ალე-ქსანდრე ორბელიანოვის ბაღში, სადაც დამხვდნენ პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი, თავადი ვახტანგი ორბელიანოვი,მას-წავლებლები ყიფიანოვი და ავთანდილოვი, აღარ მახსოვს თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვიც იქ იყო თუ არა, შემდეგ მოვიდა თვითონ ბაღის პატრონიც თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი. იგი დაჯდა ხის ქვეშ და მან და თავადმა ელიზბარ ერისთოვმა დაი-წყეს შემდეგი საუბარი: რამე უნდა ვქნათ, საჭიროა უცებ თავს დავესხათ არსენალსა და ხაზინას და ისინი ხელში ჩავიგდოთ, ჰაუპტვახტის ჯარისკაცებს უნდა იარაღი ავუაროთ, ვინც ჩვენი მანანახმა არ გახდება, უნდა შური ვიძიოთო, ისინი ორნი თავიანთ შო-რის ლაპარაკობდნენ, რომ ამ შემთხვევისათვის საჭიროა მათ მოი-ყვანონ თავიანთი ხალხი და ნაცნობი თავადიშვილები, რომ იმ დროისათვის ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან მოვა და ამასობაში ხალხში კი ხმა უნდა დაიყაროს, რომ რუსები სამხედრო ბეგარის შემოღებას აპირებენო, თუმცა მათ ამის მსგავსი კიდეკ სხვა ილაპარაკეს, მაგრამ აღარ მახსოვს, მათი ნალაპარაკევის მთა-ვარი შინაარსი ზემოხსენებული იყო. ბოლოს დავიშალენით.

იმავე წელს თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი იყო კახეთ-ში, იქიდან რომ დაბრუნდა, მე მივედი მასთან სანახავად როგორც ნაცნობთან. მან მიმიღო რა მხიარული სახით, მითხრა, რომ კა-ხეთში გაიცნო ერთი კარგად განათლებული ადამიანი, სახელდობრ იერომონახი კიკნაძე და წამიკითხა მისგან მოცემული ორი ქაღალ-

დი, რომელთაგან პირველი შეიცავდა დარიგებას მეგობრობის ძიებასა და მეფისადმი ერთგულების შესახებ, მეორე კი ანბანს, არაქართულს, არამედ სხვას, საიდუმლოს. ამასთანავე ერისთოვმა სთქვა, კიკნაძემ მთხოვა, რომ ეს ანბანი შევისწავლო და მას ამით მივწერო რაც მინდა. მე მას ვუთხარი, არ გირჩევ ამ კიკნაძესთან დამეგობრებას, რადგან გაგონილი მაქვს, რომ ის ბოროტი ადამიანია და რუსეთში ყოფნის დროს ანტონ კათალიკოზისთვის მრავალი უსიამოვნება მიუყენებია მეთქი. თვით ანბანზე კი ვუთხარი, რომ ეგ კათალიკოზ ანტონ 1-ლის გამოგონილი არის მეთქი, ეს მე იქიდან ვიცოდი, რომ ჯერ ისევ სასწავლებელში ყოფნის დროს მაჩვენეს მისგან შედგენილი ამისთანა ანბანი, რადგან განსვენებულ კათალიკოსს სურდა საქართველოში სხვა წერა შემოეღო. იმ ქაღალდების პირი მე არ გადმომიწერია და არც ერთი არც შემისწავლია[1] და ამის შემდეგ ის ქაღალდები არც მინახავს. თავად ელიზბარ ერისთოვისთვის არა ერთხელ მითქვამს: როგორ შეიძლება ასეთ რამეზე ლაპარაკი და ან თვითონ ისინი ხომ ყველანი ახალგაზრდები არიან და საზოგადოებაში რას წარმოადგენენ მეთქი. ის ამაზე მიპასუხებდა ხოლმე, რომ ეს საქმე ყველა დიდმა ხალხმაც იცის და მათ შორის გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ, მაიორმა თავად ლუარსაბ ორბელიანოვმა და სხვებმაო, რასაც დაუმატა რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მეფედ იქნება, ხოლო დიმიტრი ბატონიშვილი კი როგორც ძალიან ჭკვიანი ადამიანი, მინისტრადო. იმავე წელს გენერალ-მაიორ გრაფ სიმონიჩთან ერთად რუსეთიდან ჩამოვიდა სოლომონ რაზმაძე, რომელიც როგორც ეხლა მახსოვს სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის საშუალებით გავიცანი, მაგრამ სად ეს კი აღარ მახსოვს. წარსულ ზაფხულს როგორც მახსოვს, თვითონ თავადი ელიზბარ ერისთოვი მოვიდა ჩემთან სუდაი რასპრავი ექსპედიციაში და საბილად დამპატიჟა, მე თუმცა არ მინდოდა წასვლა. მაგრამ ორჯერ გამოგზავნა ბიჭი და მთხოვდა აუცილებლად მეცა პატივი და მივსულიყავი მისი სიძის, სოვეტნიკ მელნიკოვის ბინაზე, სადაც მისულს იქ დამხვდნენ: სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, მისი ძმა ვახტანგი, თვითონ თავადი ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა პროპორშჩიკი დიმიტრი ერისთოვი, პრაპორშჩიკი თავადი ჯორჯა-

---

[1] გ. ერისთავის მიერ ნაჩვენებ ქაღალდებსა გულისხმობს. ამასთანავე ცდილობს მოაჩვენოს, რომ მისთვის გ. ერისთავს „აქტი გონიური" არ წაუკითხავს, რაც მართალი არ არის, რადგან დარიგება მეგობრების ძიების შესახებ ხომ „აქტი გონიურის" შესავალი იყო.

ძე, სოლომონ რაზმაძე, მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი. აქ სადილის დროს მგონია ალექსანდრემა და ელიზბარმა, რომლებიც სუფრის თავს ისხდნენ, დაიწყეს მსჯელობა თავისუფლებაზე, მაგრამ რა სიტყვებით ლაპარაკობდნენ ეხლა აღარ მახსოვს. ელიზბარი, როგორც მასპინძელი, ყოველნაირად ცდილობდა რაც შეიძლება უკეთესად გაგვმასპინძლებოდა, ბოლოს შამპანიურის მოტანა უბრძანა, წამოდგა ფეხზე და დაგვისხა რა ყველას, დალია თავისუფლების აღდეგრძელო. მერე ყველას დაალევინა, სუფრაზეევ გადაწყდა სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის მიწვევით წავსულიყავით მის ბაღში, სადაც, როგორც მახსოვს, რაზმაძის რჩევით, ცალცალკევე მივედით. აქ საუბართა შორის მოვისმინე, რომ თავადები ელიზბარი და ალექსანდრე ეუბნებოდნენ რაზმაძეს, რადგან შენ სპარსეთში მიემგზავრები, ამიტომ იქიდანაც დახმარება გაგვიწიეო, ბოლოს დავიშალეთ.

იმავე წლის შემოდგომაზე სუდა ი რასპრავას ექსპედიციაში მივდიოდი და რადგანაც სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლი ამ ექსპედიციის პირდაპირ დგას, ამიტომ მას გვერდით ჩავუარე, სადაც შემომეყარა არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთოვი და მთხოვა წავსულიყავით მასწავლებელ ავთანდილოვთან, თუმცა მე მასთან არასოდეს არა ვყოფილვარ, მაგრამ ხათრი ვეღარ გავუტეხე და წავედი, მაგრამ ბატონი ავთანდილოვი შინ არ დაგვხვდა. იქიდან რომ გამოვბრუნდით, მე ისევ ექსპედიციაში წასვლა მინდოდა, მაგრამ თავადმა დიმიტრიმ მითხრა ალექსანდრე ორბელიანოვთან შევიდეთო, კარებზე თავადი ვახტანგ ორბელიანოვი დაგვიხვდა და გვითხრა: მობრძანდით, მობრძანდით ჩაიზეო. შინ რომ შევედით, იქ დაგვხვდნენ შემდეგი თავადები: თვითონ სახლის პატრონი ალექსანდრე, პოდპორუჩიკი ელიზბარ ერისთოვი, გვარდიის კაპიტანი ჩოლოყაევი და პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი, შემდეგ მოვიდნენ მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი და ბოლოს სოფლიდან ჩამოვიდა კორნეტი თავადი გიორგი ერისთოვი. რადგანაც ჩვენ გვიან მოიტანეს, ამიტომ თავადმა ალექსანდრემ გვთხოვა მასთან ვახშმად დავრჩენილიყავით. სოფლიდან ჩამოსულ თავად ერისთოვს თავადი ჩოლოყაევი ეუბნებოდა: აი, თურმე შენ როგორ აწყობ შინაურ საქმეებს[1], მაშინ როდესაც პეტერბურგში დედა შენი ანასტასია ბატონიშვილი მოუთმენლად მიგელისო. მაშინ თავადმა ალექსანდ-

---

1 შეთქმულები პეტერბურგიდან საქართველოში შინაური საქმეების მოწყობის საბაბით იყვნენ ჩამოსული.

რემ უპასუხა: რა დროს დედაა, ეს ის მითხარი პირველი შემთხვევისათვის კმარა თუ არა 3000 კაცი, რომ ადამიანმა სიმამაცის საკვირველება ჩაიდინოსო და თანაც თავდებად უდგებოდა თავის ძმას თავად დიმიტრის. ელიზბარი ამბობდა, რომ ის თავდებად უდგება მთელ ქართველებს, დოდაევი კი უპასუხებდა, რომ ის კახელებს უდგება თავდებად, ხოლო ალექსანდრემ თქვა, რომ ის თბილისში 2000-მდე კაცს იშოვის. მაშინ ჩოლოყაევი წარმოუდგენდა მათ ამის შეუძლებლობას და ეუბნებოდა, რომ როგორც კი ჯარი ერთად შეიყრება, მერე მათი დამარცხება არავის შეუძლიანო, ეფიცებოდა, რომ ისინი სცდებიან, რომ მას ნახული აქვს რუსების ძალა და თვითონაც ხომ პოლონეთის კამპანიაში იღებდა მონაწილეობას, მეც ვეუბნებოდი, რომ ისინი ახალგაზრდები არიან და შეუძლებელ რამეზე ლაპარაკობდნენ. თავადმა ელიზბარმა დროც კი დანიშნა როცა თავადები შეიყრებიანო, მაშინ ყველაზე უფრო ხელსაყრელი დრო იქნება, რადგან ბარონი საჩეჩნოშია და ჯარიც თან ახლავსო[1], მე აქ დიდმა შიშმა მომიცვა, რადგან ჯეთ ბრიყვ საქციელს აპირებდნენ და ვუთხარი ჯერ ადრეა მეთქი და კიდევაც მინდოდა წინააღმდეგ მეთქვა რამე, მაგრამ თავადმა ელიზბარმა მეტად განრისხებულმა მაიძულა გავჩუმებულიყავ, რასაც არ მოველოდი, რადგან მე მეგონა, თუ სიტყვას ვიტყოდი, მერე მოიფიქრებდნენ და მოინანიებდნენ. აქვე თავადები ელიზბარი და ალექსანდრე გვეუბნებოდნენ დოდაევს, ავთანდილოვს, ყიფიანოვსა და მე, რათა შეგვედგინა კარგი პროკლამაციები, მაშინ მხოლოდ დოდაევმა განაცხადა სურვილი და თანაც უთხრა მათ, რომ თუ ისინი არაფერს გააკეთებენ, მარტო თვითონ მოაწყობს ყველაფერს და მაშინ თავადებისთვის სირცხვილი იქნება, საკმარისია მან ერთი სიტყვა სთქვას და მთელი სიღნაღის მაზრა მას გაჰყვება.

ვახშმის შემდეგ ერთად გამოვედით მე და მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი და ავთანდილოვი, რომელთაც მე ვუთხარი: ესენი მთლად ჭკუაზე შემცდარან მეთქი, ჩვენ ცოცხალი მაგალითი პოლონეთი გვაქვს მეთქი, მე არა მაქვს სურვილი მათთან ერთად დავიღუპო მეთქი და ამათაც ვურჩევდი თავი ძოერიდებინათ ზემოხსენებულ თავადების კრებებისათვის. აქაზე მიპასუხეს, რომ თვითონაც ამავე აზრისა არიან, ბოლოს შინ წავედი და იმ დროიდან თანდათან ჩამოვეცალე მათ და ვნანობდი. ამ მოხსენებულმა თავადებმა ისარგებლეს ჩემი ახალგაზრდობითა და გამოუცდელო-

---

1 ბარონ როზენის ლაშქრობაზეა ლაპარაკი.

ბით და მოტყუებითა და მოხერხებით რამოდენიმეჯერ ჩამითრიეს თავიანთი კრების მონაწილედ, მაშინ როდესაც მე ამისთვის არავითარი შინაგანი სურვილი არ მქონია. რამოდენიმე ხნის შემდეგ გზაზე შევხვდი მასწავლებელ ყიფიანოვს, რომელიც განზრახ წავიყვანე ჩემთან სახლში, სადაც მე მას ვუთხარი, რომ თავადებს სრულიად უსამართლო განზრახვა აქვთ მოავრობის მიმართ და ჩვენ კი როგორც აზნაურნი ვალდებულნი ვართ გამოვიჩინოთ მთავრობისადმი ერთგულება და თავგანწირვა მეთქი, ამასთანავე ურჩიე მას თავი აერიდებინა მათი კრებებისათვის, რაზედაც მიპასუხა, რომ თვითონაც ამავე აზრისაა და აღიარებდა ჩემი რჩევის შესრულება. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ შემხვდა სუდა ი რასპრავას ექსპედიციის კარებთან თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ვუთხარი მე მას: მოახსენეთ თავად ელიზბარსა და სხვებს, ხელი აიღონ ამისთანა საქმის შესახებ ლაპარაკზე, თორემ ასეთი თავხედი სიტყვები სასჯელის გარეშე არ დარჩება. მაშინ მან მიპასუხა, რომ ისიც ასევე ცდილობს ამასთანავე ეკითხე მიაგზავნეს თუ არა ვინმე გენერალ-მაიორ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, მაგრამ ამაზედაც უარი მიპასუხა ამ სიტყვებით. რომ ის მზად არის რუსებისათვის სიცოცხლე გასწიროს და იმათ ყველას აუკრძალავს მსგავს მსჯელობას. გასულ 1831 წელს იმავე თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა ძითხრა, რომ მან მისწერა წერილი ალექსანდრე ბატონიშვილს და მიიღო მისგან პასუხი, რომ თუ ქართველები რამეს იზამენ, მაშინ ის ბატონიშვილიც სპარსეთიდან სასწრაფოდ მოევლინება.

1832 წლის თვე და რიცხვი არ მახსოვს ზაფხულში გავიარე კოლეექსკი სოვეტნიკის მელნიკოვის სახლის გვერდით და რადგანაც ფანჯრები ღია იყო, დამინახა და შემიპატიჟა, სადაც დამხვდნენ თავადები ელიზბარი და დიმიტრი ერისთოვები, იქ მე ჩაი დავლიე. რადგანაც მელნიკოვი იქ იყო, ამიტომ იმ საგანზე არავითარი საუბარი არა ყოფილა, მხოლოდ როცა მოვდიოდი, თავად დიმიტრიმ მეორე ოთახში გამომაცილა, ნეკი ნეკზე მიადო და მაგრად ჩამომართვა ხელი, ჩემს კითხვაზე თუ რას ნიშნავს ეს? მან მიპასუხა ეს იმის ნიშანია, თუ როგორ უნდა ვიცნო ჩვენი აზნაურები, მერე მე წავედი სახლში.

თავად ელიზბარ ერისთოვის მიერ ბატონ მელნიკოვის სახლში გამართულ სადილზე სხვა რამ მსჯელობა არაფერი ყოფილა გარდა იმისა, რაც მე უკვე ვაჩვენე ზევით, მხოლოდ ელიზბარმა უბრძანა მოეტანათ შამპანიური და დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო. როგორც ზევით განვმარტე და სადილიდან რომ ავდე-

ქით, ელიზბარი და ალექსანდრე საუბრობდნენ რაზმაძესთან, იქ ჩემს გვერდით იჯდა თავადი ჯორჯაძე და მას ჩემთვის არაფერი უთქვამს, მათს ლაპარაკს ხელს უშლიდა იქ მდგომი მათი ხალხი, მაგრამ მე გავიგონე ელიზბარისაგან, რომ მან გააკეთა სადილი რაზმაძის გულისათვის, რადგან იგი სპარსეთში მიემგზავრება, ალექსანდრე ორბელიანოვი კი ყველას თავის ბაღში ეპატიჟებოდა.

იმავე წელს, როგორც მახსოვს. ზაფხულში, თავადი ელიზბარი შემხვდა შებინდებისას და მითხრა, გავისეირნოთ ქუჩაშიო, მაშინ საუბრის დროს მეუბნებოდა, ჩვენ კარგი გენერლები გვყავს — ბიძა მისი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ერისთოვი, გენერალ-მაიორები: თავადი ჭავჭავაძე, თავადი ბებუთოვი და თავადი სავარსამიძე. ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში მოსვლამდე სამეფოს განაგებენ რამოდენიმე წარჩინებულნი, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილის მინისტრებად იქნებიან დიმიტრი ბატონიშვილი და სხვა ჭკვიანი ხალხიო. მე მივუგე, დიმიტრი რუსეთშია და იმას ვინ გამოუშვებს მეთქი. ამაზე მან მითხრა, რომ იქიდან ყველა ბატონიშვილებს გამოდევნიანო, მერე მე შინ წაველ.

რამდენიმე ხანის შემდეგ შემხვდა ელიზბარის უფროსი ძმა იასე და შემიპატიჟა ნაქირავებ სახლში, სადაც ის ბინადრობდა, იქ მე მხოლოდ ტიტულიარნი სოვეტნიკი ბირთველ თუმანოვი დამხვდა და მერე თვითონ თავადი ელიზბარ ერისთავიც მოვიდა, შემდეგ მასთან შემოვიდა ბიჭი და უთხრა. რომ მოვიდა თავადი იასე ფალავანდოვი, რომელსაც შინ შემოსვლა არ უნდა და მას გარედ ეძახის. მაშინ ეს ელიზბარი გაიქცა თავად ფალავანდოვთან და უკან აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი თავად ელიზბარ ერისთოვს და ვკითხე. თუ ისე სასწრაფოდ რად გაიქცა მაშინ, მან მიპასუხა: შენ არ იცი მე და ის ამ საქმეზე ვზრუნავთო, ამის შემდეგ მე მივედი ბატონ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში ჩემს საქმეზე, სადაც ვნახე თავადი იესე ფალავანდოვი, რომელსაც მე ვიცნობდი, რადგან იგი სუდა ი რასპრავის ექსპედიციაში მსახურობდა. მან საუბარში სხვათაშორის მითხრა, რომ თავად ელიზბარ ერისთოვს რაღაცა ქაღალდი დაუწერნია და მას განზრახვა აქვს ურჩიოს რათა ამ საქმეებზე ხელი აიღოს. ამასთანავე მეც ვთხოვე, რათა ამან უსათუოდ შეასრულოს ეს თავისი სურვილი. თუმცა თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვსა და ელიზბარ ერისთოვს მთელი თავისი განზრახვები არ გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ მათ მიერ ბაღში და პირველ მათგანის სახლში ნალაპარაკევიდან ვიცი, რომ მათ 1831 წლის გააძლიერეს თავიანთი მოქმედება, რადგანაც პოლონეთი აჯანყდა,

და როდესაც რუსის მხედრობამ ვარშავი აიღო, მაშინ თავადმა ალექსანდრემ ექსპედიციის კარებთან მითხრა, ვარშავი აიღესო, ხოლო 1832 წელს კი თავადებს ალექსანდრესა და ელიზბარს იმისი იმედი ჰქონდათ, რომ მისი აღმატებულება მხედრობითურთ საჩეჩენოში ბრძანდებოდა, იმედი ჰქონდათ აგრეთვე თავადაზნაურობისა, რომელიც არჩევნებისათვის უნდა შეგროვილიყვნენ, როგორც ისინი ამას თავად ორბელიანის სახლში ლაპარაკობდნენ, რაც მე ზევით უკვე განვმარტე.

1831 წელს მე ვიცნობდი მთავარ ხელმძღვანელად თავადებს პოდპორუჩიკ ელიზბარ ერისთოვსა და ალექსანდრე ორბელიანოვს, რადგან ისინი ყოველი ღონის ხმარებით ცდილობდნენ ყველას მოტყუებას და თავიანთ საზოგადოებაში ჩათრევას, სადაც მე მათთან ყოფნა მომიხდა, ყველგან მხოლოდ ესენი მსჯელობდნენ ხოლმე, მაგრამ ჩემთვის არავის უთქვამს პირველად ვინ დაიწყო ეს საქმე, თუმცა ელიზბარი ამბობდა ხოლმე რომ ამაზე მსჯელობა ჰქონიათ რუსეთშივე შემდეგ თავადებს: გვარდიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანოვსა, მის ძმას ვახტანგს, კორნეტ გიორგი ერისთოვს, პრაპორშჩიკ თავად დავით ჯორჯაძეს, არტილერიის პროპორშჩიკ დიმიტრი ერისთოვს, სოლომონ რაზმაძესა და სხვებს, რომელთა გვარებიც მე არ ვიცი, იგი აქებდა აგრეთვე დიმიტრი ბატონიშვილს, რომ ის მეტად ჭკვიანი ადამიანია. ამ თავადთა და ჩემს პირველ ჩვენებაში მოხსენებულ თეიმურაზ ამილახვაროვისა, აგრეთვე ჩემს მიერ ზევით მოხსენებულ თავად ორბელიანოვის ბაღში მყოფი თავადების გარდა — თავადი ალექსანდრე და ელიზბარი ამბობდნენ, რომ ეს საქმე იციან გენერალ-მაორმა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, მაიორმა თავად ლუარსაბ ორბელიანოვმა, თავადმა მამუკა ორბელიანოვმა და მასწავლებელმა სოლომონ დოდაევმა.

აღნიშნულ თავადებს ალექსანდრე ორბელიანოვსა და ელიზბარ ერისთოვს იქნება სხვა ბევრისთვის აქვთ ნათქვამი, მაგრამ ჩემთვის არ უთქვამთ, ამასთანავე პატივი მაქვს უპატივცემულესად მოგახსენოთ, რომ მაიორ თავად დიმიტრი ორბელიანოვსა და მის ძმა მამუკასთან მე არავითარი მეგობრობა არა მქონია და ამათ ჩემთან არასოდეს არაფერზე არ ულაპარაკნიათ. მხოლოდ პირველმა მათგანმა დეკემბრის 14-ს რიცხვს, ბ. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის კარებთან რომ იდგა, დამინახა და მითხრა რომ მასთან საუბრის დროს ბატონ გუბერნატორს გამოუთქვამს სურვილი იყოლიოს ვინმე თარჯიმანი და ორბელიანოვს მოუხსენებია მისი ბრწყინვალებისათვის, რომ მე შემი-

ძლიან ამ საქმის შესრულება და მკითხა მე მაქვს თუ არა ამის სურვილი, რაზედაც მე მას მადლობა გადაუხადე და ვუპასუხე, რომ დიდ ბეღნიერებად ჩავთვალ მის ბრწყინვალებასთან სამსახურს და მერე წავედი კანცელარიაში. აგრეთვე ჩემს სულიერ მოძღვარ მღვდელ ეფრემ ალექსეევთანაც. როგორც ეს წინადაც განვმარტე, ამ საქმეზე არავითარი მსჯელობა არა მქონია.

კანცელარისტი იოსებ მამაცოვი.

თებერვლის 3
1832 წელი.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (VI, 1012—1015)

ქართველმა ბატონიშვილებმა თეიმურაზმა და ელენემ, რომლებთანაც ჩემი დედითურთ ვცხოვრობდი ბავშვობიდანვე, სთხოვეს თავის ნათესავს გრაფ. სიმონიჩს, როდესაც ის ს. პეტერბურგში იყო, წავეყვანე სპარსეთში, რათა იქ მომცემოდა შემთხვევა „ჩინი" დამემსახურებინა და ლუკმა პური მეშოვნა. გრაფმა მათი თხოვნით, წამომიყვანა და თბილისში დავყავი მასთან ერთად ოთხ თვე ნახევრამდე. მერე კი სპარსეთს წავედით. ხსენებული ხანის განმავლობაში ჯერ გავიცანი ალექსანდრე ორბელიანოვი, მისი ძმის ვახტანგის საშუალებით და ელიზბარ ერისთოვი, რომელსაც პეტერბურგშივე ვიცნობდი. ახლოს გაცნობის შემდეგ გამანდეს თავიანთი საიდუმლო, რომ მათ აქვთ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელშიაც მონაწილეობს თავადაზნაურთა დიდი ნაწილი, მაგრამ არავინ დაუსახელებიათ, გარდა გიორგი ერისთოვისა, ლუარსაბ ორბელიანოვისა, მამაცოვისა, სოლომონ დოდაევისა, ყიფიანოვისა და ავთანდილოვისა. სხვადასხვა დროს მეუბნებოდნენ, რომ ფალავანდოვიც მიიღებს მონაწილეობასო. ლუარსაბ ორბელიანოვთანა და მამაცოვთან სამჯერ, ოთხჯერ თუ მომიხდა შეხვედრა, მაგრამ მისალმება-გამოთხოვების მეტი საუბარი მე მათთან არასოდეს მქონია.

თბილისში ყოფნის დროს რვაჯერ გვქონდა საუბარი ამ საქმეზე[1] და ისიც როცა შემთხვევით შევიყრებოდით საზაფხულო ბაღში. სოლომონ დოდაევი იყო ერთხელ, გიორგი ერისთოვი ორჯერ, თუ სამჯერ; ერთი ორჯერ მე არ დავსწრებივარ, ელიზბარ და დი-

[1] ე. ი. შეთქმულებაზე.

მიტრი ერისთოვებიც სულ ორჯერ-სამჯერ დაესწრნენ; მოკლედ რომ ვთქვა, მუდმივ მხოლოდ ორი სამი კაცი ესწრებოდა აღნიშნულ პირთაგან, ხოლო ლუარსაბ ორბელიანოვი, ფალავანდოვი და მამაცოვი სულ არ დასწრებიან, შეხვედრების დღე არ ყოფილა განსაზღვრული.

ჩვენი საუბარი იმაში მდგომარეობდა, რომ, განა უმჯობესი არ არის გავთავისუფლდეთ რუსეთისაგანო; მაგრამ თუ როგორ უნდა გავთავისუფლებულიყავით, ჩვენ ამისთვის არავითარი საშუალება არა გვქონდა; არც სპარსელებისა და არც თურქების იმედი არ შეიძლებოდა გვქონოდა, რადგან ისინი თუნდა კიდეც დაგვხმარებოდნენ, მხოლოდ იმისთვის, რომ მერე თვითონ გაბატონდნენ და მაშინ საქართველო მთლად დაიღუპებოდა. მფარველობის გარეშე საქართველოს არსებობა არ შეუძლიან, რუსეთის მთავრობა კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქართველოს, ცოტაა სასარგებლო დაწესებულებანიო. ჩვენში განათლება არ არისო. ვის მივმართოთ, რა გავაკეთოთ. მივმართოთ ინგლისს, საფრანგეთს, მაგრამ ვინ გავგზავნოთ, ჩვენ შორის ისეთი არავინ არისო. და მოისურვებენ კი ისინი, დაგვეხმარონ. — ალბათ არა, — რა სარგებლობა ექნებათ იმათ ამისგანაო, ხოლო თუ ისევე მოგვატყუებენ, როგორც პოლონელები მოატყუეს, მაშინ გვიჯობს ასევე დავრჩეთო.

ჩვენი საუბარი მუდამ ასეთი იყო და დადებითი არასოდეს არა თქმულა რა. მხოლოდ მერე 13 აგვისტოს, გასული წლისა, მე, გრაფ სიმონიჩთან ერთად წავედი სპარსეთს და ამის შემდეგ აღარა ვიცი რა როგორ მიდიოდა მათი საქმე.

ორბელიანოვებმა და ერისთოვებმა მთხოვეს აქ დავრჩენილიყავ, მაგრამ მე არ დავეთანხმე, რადგან ჩემი მთავარი განზრახვა იყო, რათა როგორმე ჩავრიცხულიყავ მისიაში[1], დამემსახურებინა „ჩინი“ და უმალვე გამომეცხადებინა მთავრობისთვის ზემოაღნიშნული საუბრები; მაგრამ ასე არ მოხდა, როგორც მე მინდოდა, მე ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ისინი ასე მალე გამოამჟღავნებდნენ თავიანთ განზრახულებას, თორემ მე არ დავიცდიდი ღმერთს ვფიცავ.

აზნაური სოლომონ რ ა ზ მ ა ძ ე.

4 თებერვალი, 1833 წ.

---

1 რუსეთის დიპლომატიურ მისია, რომელიც სიმონიჩის მეთაურობით თეირანს მიემგზავრებოდა.

არ მახსოვს რა დროს, ერთხელ ჩემთან იყვნენ შემდეგი პირები: თავადი პოდპოლკოვნიკი ასლან ორბელიანოვი და აღაბეგ ბეგლაროვი, ისინი მოსულიყვნენ თავის საქმეზე გუბერნატორთან და ის არ დახვედროდათ რა, ჩემთან შემოვიდნენ[1]. საუბარში აღაბეგ ბეგლაროვმა სთქვა, რომ მე ვიყავი ჩემს საქმეზე პოლიციაშიო და უთხრა ამასთანავე ასლან ორბელიანოვს, ამაოდ ატარებ „ჩინსა“ და ორდენს, რომელსაც არავითარი წონა არა აქვს, აგრეთვე უთხრა მას, რომ აქ თავადაზნაურობა რუსულ მმართველობაში არაფერს არ ნიშნავსო. თუ მარტო იმისათვის ვცხოვრობთ, რომ მარტო პურზე გადავდიოდეთ, — ადამიანი მშიერი არსად მოკვდებაო. ამის შემდეგ მათ ფარულად დაიწყეს საუბარი, მაგრამ რაზე ლაპარაკობდნენ მე არ ვიცი.

არ მახსოვს ვიღაცამ სთქვა, რომ ასლან ორბელიანოვი ჩვენი მთავრობით უკმაყოფილოაო და მიმოწერა აქვს ყარაბაღის ხან მენტი-ყული-ხანთანო. ასლან ორბელიანოვს მჭიდრო კავშირი აქვს თავადაზნაურთა წინამძღოლ გენერალ-მაიორ მუხრანსკისთან და აღაბეგ ბეგლაროვიც განუყრელად მათთან არის ხოლმე. რადგანაც ბიძინა ერისთოვი ამბობს, რომ მან გამოუცხადა ჩვენი შეთქმულება მუხრანსკის, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენე, და ეს ხალხი კი მთავრობას ემდურება, ამიტომ ალბათ შესაფერ დროს მუხრანსკიმ მათაც გაუმხილა.

ელიზბარი ამბობს სხვა და სხვა სოფლებიდან ჩემი გლეხების თორმეტ მამასახლისს ველოდები, რომლებსაც მიეცემათ ბრძანება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ აჯანყების დროსაო. აგრეთვე ალექსანდრე ამბობს, რომ მან მისწერა ალექსანდრე ბატონიშვილს და ბატონიშვილისაგან მიიღო პასუხი, რომ იგი უცდის ამბავს და როგორც კი აქ აღრეულობა მოხდება, ის სასწრაფოდ საქართველოში გაჩნდება. — და ალექსანდრეს მზად ჰყავს ამ შემთხვევისათვის რამოდენიმე ასეული თათარი ცხენოსანი. რათა მეთქმევინებინა ელიზბარისათვის იმ მამასახლისთა სახელები, რომლებსაც ის ელოდებოდა და აგრეთვე გამეგო ალექსანდრე ორბელიანისაგან ამ ცხენოსანთა უფროსების ვინაობა, — ამ დროს ოთახში შემოსულ ზალიკა ყორღანოვს[2] — მე ვეუბნები, — ბატონებო, აი ეს ზა-

---

1 ი. ფალავანდიშვილი თავის ძმასთან გუბერნატორთან ერთად ერთ შენობაში ცხოვრობდა.

2 ზალიკა ყორღანოვი იასე ფალავანდიშვილის მსახური იყო.

ლიკაც ასამდე კაცს იშოვნის მეთქი, ვცდილობდი რა ძალიან რომ გამეგო ყველა იმ ხალხის სახელები, მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან ერთი ზამანას შესახებ გავიგე.

არ ვიცი ჩაიზე თუ ვახშამზე იყვნენ ჩემთან ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარი, დიმიტრი და გიორგი ერისთოვები და ზაქარია ჩოლოყაევი. ალექსანდრემ თქვა, რომ 1829 წელს როცა გლეხობა შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ ვითომც მთავრობა მათ შორის ჯარისკაცების შეკრებას აპირებდა,— მათი დაშოშმინება მუხრანსკის მეტმა ვერავინ შესძლო და ეხლაც რომ ჩვენ ჩვენს საქმეს შეეუდგეთ ის კიდევ ხელს შეგვიშლის. ალექსანდრემ მე მითხრა შენს ძმასაც შეუძლიან ხელი დიდად შეგვიშალოსო. ის რომ არ იყოს გუბერნატორად, ჩვენს საქმეს დიდი წარმატება ექნებაო, ხოლო ზაქარია ჩოლაყაევმა თქვა მოღალატენი შეიძლება მოვსპოთო და ეს ელიზბარიაც დაუდასტურა. ალექსანდრე ორბელიანოვმა სთქვა ემჯობინება ისინი დავაპატიმროთო, რათა ისინი უფრო გულახდილნი ყოფილიყვნენ ჩემთან მე მათ ვუთხარი, თუ ჩემი ძმა ჩვენს წინადადებაზე უარს იტყვის, მე ჩემი ხელით მოვკლავ მას მეთქი, ბაგრატიონის მოკვლას კი სჯობია იგი მოვწამლოთ მეთქი და ეს ადვილიც არის, რადგან იგი ხშირად დაიარება ასლან ორბელიანოვთან მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ კიდეც დავიშალეთ.

მე ვეუბნებოდი: ბატონებო, შეთხზეთ ეს განკარგულებანი, მაგრამ რით უნდა გამოჰკვებოთ ჯარი, სადა გაქვთ იარაღი, ფული, და თოფის წამალი მეთქი.

ელიზბარი მიპასუხებს, რომ მე ჩემი გლეხების საშუალებით თოფწამლის ქარხანას მოვაწყობო, სურსათ-სანოვაგეს ჩვენ ყველა მაღაზიაში[1] ვიშოვნითო, რაც შეეხება ფულს, რუსეთიდან საქართველოში მომავალ თავად ჩოლაყაევს გზაში უნახავს ოქრო-ვერცხლი, რომელიც საქართველოში მოჰქონდათ, ამას გარდა ნავთლუღშიაც[2] დიდი თანხაა ფულისა და ხაზინაშიც ექსტრა ორდინარული თანხაო. ამით შეიძლება ოთხ წელიწადს დავკმაყოფილდეთ, მოვაწყოთ რეგულიარული მხედრობა და შემდეგ კი სხვა განკარგულება მოჰყვებაო. ამაზე, რათა იმათთვის მესიამოვნებინა, რომ ყველაფერში მათი თანახმა ვარ, მე ვუპასუხე ჩემს საკუთარ ფულსაც დავახარჯავ მეთქი. ეს რომ ვთქვი, ელიზბარ ერისთავი ამბობს, რომ მთელ ჩემს უძრავ ქონებასა და გლეხებს დავაგირავებ „პრიკაზ ობშჩესტვენნო-

---

1 მთავრობის (სამხედრო) საწყობები იგულისხმება.

2 იქ, ყაზარმაშიაც, ალბათ. სამხედრო თანხა ეგულებოდათ.

გო პრიზრენიაში“ და იქიდან მიღებულ ფულს სხვა და სხვა საჭიროებაზე მოვიხმარო. თუ ნებავს კომისიას შეუძლიან მოითხოვოს ცნობა, რომ მან უკვე შეიტანა ის ქონება და გლეხები „პრიკაზში“. ჩემს მიერ აქ დაწერილი ყველა გარემოება შემიძლიან დავამტკიცო პირისპირ წაყენების დროს, მაგრამ თვითეულთან ცალ-ცალკე, რადგან ყველა მათ პირთა შორის ადგილი აქვს ახლო ნათესაობითი კავშირს და ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ამ საქმეებზე თვითეული ცალ-ცალკე შემახვედროთ.

ზაქარია ჩოლოყაევმა სახელდობრ გვითხრა მე და ელიზბარ ერისთოვს, რომ როცა აქაური კორპუსიდან გაგზავნეს ჯარისკაცები სემიონოვსკის გვარდიის პოლკის შესავსებად, და როცა ისინი წარუდგინეს მის უმაღლესობასა და მარშით გაიარეს, მაშინ დიდმა მთავარმა მათ უწოდა ქართველი ბატონიშვილებიო, ზაქარია ამბობს, რომ მაშინ მე მის გვერდით ვიდექი და ჯავრისაგან სისხლი ამიჩქროლდა, მინდოდა მომცემოდა შემთხვევა, რომ მისთვის ხმალი მეკრაო“.

ალექსანდრე რომ ავად იყო, დავიარებოდი მის სანახავად და მაშინ იგი თავისი დედისა და ცოლის თანდასწრებით ამბობდა ხოლმე, რომ ჩვენს თანამოაზრეთა რიცხვს ამნაირად ვამრავლებო: როცა ქართველ თავად-აზნაურთაგან ვისმე რამე საქმე აქვს აღმასრულებელ ექსპედიციაში, რადგან მე იქ მონაწილეობას ვიღებ როგორც ქართველი მრჩეველი, იმის მაგიერ, რომ მართალს დავუჭირო მხარი, მე განგებ მას ვაგინებ, რათა ისინი ვაიძულო მთავრობას დაემდურნენო და ამით ვაჩვენებ, რომ მთავრობა მათ შეურაცხჰყოფს და ვეუბნებოდი მე მათ აი რუსული სამართალი, როგორ გვეპყრობიან მეთქი. ალექსანდრე მეუბნებოდა, გახსოვთ თქვენ ერთ აზნაურიშვილზე მთხოვეთ 1830 წელს, რათა მე მას დავხმარებოდი, მაგრამ რადგან მე მთავრობისადმი დიდი ხანია ბოროტად ვარ განწყობილი, ამიტომ მე იმ აზნაურიშვილისათვის არავითარი დახმარება არ აღმომიჩენიაო, რათა ამ აზნაურიშვილს თავი შეურაცხყოფილად ეგრძნო, რადგან კომისია მოითხოვს, რომ არაფერი არ დავმალო, ამიტომ მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ყველაფერი დაწერილებით მოვახსენო.

ამას გარდა ელიზბარი ამბობს რომ რუსები ჩვენ გამოტვინებულებს გვეძახიანო, ზაქარიამაც აგრეთვე სთქვა, ჩვენ „შიშლიკებს“ გვეძახიანო და სთქვა ლექსი — „ქართულა ხოდიტ ბოსიკომ“[1]. ლუ-

---

[1] რა ლექსია ეს ლექსი, ვერ მივაგენი.

არსაბის სახლში სუფრაზე სთქვა ეს ჩოლაყაევმა და დიმიტრი ერისთოვმაც გაიმეორა.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

4 თებერვალი, 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (VI, 1020)

საგამომძიებლო კომისიას სრული ჭეშმარიტებით ვბედავ მოვახსენო შემდეგი.

დავფარო რამე, არა ვხედავ ამაში ჩემთვის არავითარ სარგებლობას, ტყუილად მოვიგონო რამე სიყალბე არ მინდა[1]. ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში მე არავისთან არავითარი საქმე არა მქონია და არც არა ვიცი რა; ყველაფერი ის კი, რაც დამიწერია ან მითარგმნია, როგორც წინადაც ვთქვი, ჩემს ქაღალდებში მოიპოვება. სავსებით თქვენს ნებაზეა დამოკიდებული ამ ჩემი გულწრფელობისთვის და შვიდი წლის სამსახურისთვის შემიწყალოთ სულგრძელად ან და ჩემი შეცდომის გამო, რომელიც ჩემს სიცოცხლეში პირველია და რომელსაც ვგრძნობ დამსაჯოთ იმაზე მეტად, ვიდრე უკვე ვარ დასჯილი.

1831 წელს გამოეგზავნა ჩემთან სიღნაღის მიტროპოლიტს იოანეს ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილთან მყოფი მღვდლის ტალიევის შვილი, რომელსაც ჰქონდა პასპორტი და რომელიც გაემგზავრა ს. პეტერბურგში სასწავლებლად. ამ ტალიევს თან ჰქონდა ხსენებული ბატონიშვილის ორი წერილი — ერთი რომელიღაც ბანის ასულისადმი თავად მუხრანსკის სახლში, და მეორე ფარნაოზ ბატონიშვილისადმი. თავადმა გრიგოლ მუხრანსკიმ გაიგო რა რომ მე ეს ვიცოდი, დაბეჯითებით მთხოვა არავისთვის მეთქვა, მას კი[2] უბრძანა წერილები დაწვიო.

მე მქონდა მიმოწერა ბაგრატ ბატონიშვილთან, რომელთანაც პეტერბურგში მე ვცხოვრობდი, ერთხელ უპასუხე წერილზე თეიმურაზ ბატონიშვილს და ერთხელ მივწერე ოქროპირ ბატონიშვილს, მაგრამ არც ერთხელ არ მომიხსენებია შეთქმულება და მის შესახებ არავისთან არავითარი მიწერ-მოწერა არა მქონია. ჩემი ხელმწიფის

---

1 აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორი თვის პატიმრობის შემდეგ ს. დოდაშვილს კიდევ იმედი აქვს დამალოს შეთქმულების მთავარი მომენტები და ცდილობს ეს თავის გულახდილობადაც გაასაღოს, მაგრამ კომისიამ ამ დროისათვის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება უკვე იცოდა.

2 ალბათ ტალიევს.

წინაშე არაფერს არ ვმალავ და მთელი ჩემი დანაშაული მოეხსენება კომისიას. ოქროპირს კი ჩემთვის არასოდეს არა მოუწერია რა.

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

თებერვლის 4-ს
1833 წელს.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (VI, 1032—1033)

1831 წელს აგვისტოში ვიყავი სიღნაღში, ამ დროს პოლკოვნიკი თავადი ანდრონიკოვი იმ მაზრის თავადებთან ერთად იმყოფებოდა ყოფილი თარჯიმანის არესტარხ ხერუმოვის სახლში. მან ცალკე გამიხმო და მკითხა: ხომ არ გაგიგონია თბილისში მთავრობის საწინააღმდეგო ლაპარაკიო? აქ ამბობენო, რომ არტილერიის ვიღაცა პრაპორშჩიკი ერისთოვი მოედანზე ყვიროდაო, რომ ჩვენც იმას ვიზამთ, რასაც პოლონელები სჩადიანო. მე ვუპასუხე მთავრობის საწინააღმდეგო ლაპარაკი მეც გავიგონე მეთქი. იმან განაგრძო: როგორ შეიძლება, რომ ქართველებს ოდესმე შეეძლოთ ამაზე იფიქრონო. ხოლო როცა გასულ 1832 წელს თავადი ანდრონიკოვი ჩემთან იყო ჩამომხდარი ახვერდოვის სახლში, — თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი მისგან თანხმობას მოითხოვდა, თავადმა ანდრონიკოვმა უპასუხა მას: თუ შენ ჩემთან კვლავ ილაპარაკებ მაგისთანა რამეს, ან მოგკლავ, ან და მთავრობას ვაცნობებო. იგი თავადი ანდრონიკოვი ჩემთან იყო ჩამომხდარი სამ თვეს: მარტი, აპრილი, მაისი. ძე იგი კახეთში ორჯერ ვნახე, მაგრამ ამ საქმეზე მეტი საუბარი აღარ გვქონია არც აქა და არც იქ. მოსკოვში 1827 წელს გავიგონე, რომ ოქროპირ ბატონიშვილის დედის — ქართველთა დედოფლის — მარიამის ძმისწული თავადი ციციანოვი გაგზავნილია პარიზში სამოგზაუროდო. — იქნება რამე მიზნით იყო გაგზავნილი მე არ ვიცი.

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

თებერვლის 6.
1833 წ.

ორი ქაღალდი, დაწერილი ჩემს მიერ თავად ალექსანდრე ორბელიანოვის თხოვნით 1831 წელს, იმ დროს როცა პოლონელებთან

ოში იყო[1], ისინი არ ყოფილა არასოდეს გადაწერილი და არც არავის წაუკითხავს. ამ ორბელიანოვის გარდა და ქაღალდებში იყო დარჩენილი ის, როგორც ამას ჰხედავთ, სხვა მე არავითარი ქაღალდი არ დამიწერია.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

დიმიტრი ორბელიანის პასუხები (VI, 1055—1060)

კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

1. სახელი ჩემი თავადი დიმიტრი ორბელიანი, ძე პოლკოვნიკ თავად ვახტანგ ორბელიანისა, ამჟამად ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკის პრაპორშჩიკი ვარ.

2. ოცდა მეხუთე წელში ვდგევარ.

3. ცოლად მყავს პოდპოლკოვნიკ თ. ორბელიანოვის ქალი მარიამი.

4. მამული ბორჩალოს დისტანციაში მაქვს, რომლის სიდიდე მე არ ვიცი, ეს შეგიძლიათ ჰკითხოთ დედა ჩემს ბატონიშვილ თეკლე ირაკლის ასულს, ან უფროს ძმას ალექსანდრეს, შემოსავლის შესახებაც ისინივე მოგახსენებენ, მაგრამ როგორც გაგებული მაქვს არც ამ მამულიდან და არც იქაური სოფლებიდან არავითარი შემოსავალი არა გვაქვს.

5. დედაჩემის მზრუნველობით მე ჯერ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი, შემდეგში კი პეტერბურგში, სადაც ქართველ ბატონიშვილებთან ლუარსაბსა და დიმიტრისთან ეცხოვრობდი და გამოცდებისთვის ვემზადებოდი. შევედი გვარდიის პოდპრაპორშჩიკთა სკოლაში. საიდანაც დედის სურვილისამებრ 1830 წ. აგვისტოს 6-ს ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკად გამოვედი.

6. გვარდიის პოდპრაპორშჩიკთა სკოლაში შესვლისთანავე ჩარიცხული ვიყავ ლეიბ-გვარდიის მოსკოვის რაზმში პოდპრაპორშჩიკად და იქიდან გამოვედი ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკად. ვიყავი პოლონეთის კომპანიაში და იმათ რიცხვში, ვინც ქ. ვარშავის იერიშის დროს წინა რიგებში იყვნენ—დაჭრილი კი არა ვყოფილვარ.

7. ჩემი ძმა ვახტანგითურთ 1827 წლის დეკემბრის 26-ს ტფი-

---

[1] პროკლამაციებზეა ლაპარაკი.

ლისიდან პეტერბურგს გავემგზავრე, ვიყავი მოსკოვშიაც. 1832 წლამდე პეტერბურგში ვიყავი სამსახურის ადგილზე და იმავე წლის სექტემბრის 28-ს პეტერბურგიდან შვებულებაში გამოვემგზავრე, ოქტომბრის 3-ს მოსკოვს მივედი, 7-ა კი იქიდან გამოვემგზავრე ოქტომბრის 28-ს ტფილისს ჩამოვედი.

8. ქრისტეანობრივი მოვალეობია თანახმად, როცა კი თავისუფალი დრო მქონდა, ეკლესიაში დავიარებოდი და ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. მე არ ვყოფილვარ სამართალსა და გამოძიებაში, არც ჯარიმა გადამხდენია რა.

10. მოსკოვს 1832 წლის ოქტომბრის 3-ს ჩავედი, 6-ში სადილად ქართველ ბატონიშვილ ოქროპირთან ვიყავი. სადილ შემდეგ მე და ის ორნი დავრჩით და მაშინ გამომიცხადა, რომ ტფილისში არსებობს საზოგადოება, რომელიც საქართველოს აღდგენასა ცდილობსო და სიტყვა გამიკრა, რომ მეც მონაწილეობა მიმეღო. მე რომ საქართველოში დავრჩენილიყავ, ამ საქმეს უსათუოდ სისრულეში მოვიყვანდიო. გამოთხოვებისას მითხრა, რომ თუ მეც ამ საქმეში მონაწილეობას გადავწყვეტ, საქმე უნდა ვიქონიოთ თ. ჭავჭავაძესთან, თ. ელიზბარ ერისთოვთან და დოდაევთან. ამის შემდეგ ჩვენ გავიყარენით და ტფილისში რომ ჩამოვედი, ორი თუ სამი დღის შემდეგ ჩემი ორივე ძმებისა და თ. ელიზბარ ერისთოვისაგან გავიგე, რომ ტფილისში საზოგადოება არსებობსო.

11. ხელმწიფე იმპერატორის მოწყალება ჩემს თანამემამულეებზე უსაზღვროა. მისი კანონი კეთილმოქმედია, მაგრამ ადამიანები მას თავის ხელში ბოროტად გამოიყენებენ, რამაც ქვემორე თქმულის დაწერა მაიძულა: მაგალითისათვის ჩემ თავსა და ჩემ ძმებს მოვიყვან — ჩვენი მშობელი რომ ხელმწიფე იმპერატორისაგან ბოძებული პანსიონითა და მზითვით არა ყოფილიყო გაბედნიერებული—ჩვენ უკიდურესად გაგვჭირდებოდა. ჩვენ გლეხებს სხვეები დაეპატრონენ და მიუხედავად 1822 წლის სენატის ჩვენს სასარგებლოდ ბრძანებისა და 1832 წლის კვლავ დადასტურებისა, რათა იგი აღსრულებულიყო. — დღემდე კვლავ დავიწყებას აქვს ეს საქმე მიცემული. არც ერთი ქართველი თავადი აღარ ფლობს თავის საკუთრებას, არც გლეხებსა და არც ტყესა და ველს, ყოველი გლეხი, რომელიც პაპის პაპას ეკუთვნოდა, ეხლა ცდილობს მემამულეს არ მიეკუთვნოს და ამგვარი საჩივარი წლობითა გრძელდება და ყველა ჩვენგანი ცდილობს, რათა პაპისა და პაპისპაპის კუთვნილი კვლავ წინანდელ მფლობელს დარჩეს, ამის გამო ჩვენი ქართული წოდება ღარიბდება. ერთობლივ თავად ორბელიანოვებს უფლება

ჰქონდათ პაჟის აღებისა აბანოების კართან [1] და არ მახსოვს როდის არის. იგი მოსპობილი. ამავე თავადებს უფლება ჰქონდათ აეღოთ ზაფხულობით ბაჟი მარილის სახით იმათგან, ვინც მარილის ქარხნიდანა ბრუნდებოდა. ესეც ეხლა მოსპობილია, რითაც შემოსავლის მთავარი ნაწილი მოგვაკლდა. ამ გვარ შევიწროებას მრავლად იპოვით და, ჩემი აზრით, ყველა ჩვენგანს შეუძლია ეს მოგახსენოთ, რომელსაც კი ამისი შეგრძნობის უნარი აქვს.

12. რადგანაც მე მათ საზოგადოებაში მხოლოდ ოთხჯერ ვიყავ და შემდეგ სრულიად ხელი ავიღე ამ განზრახვაზე, ამიტომ დაწერილებით არა გამომიკითხავს რა და არც ვიცი გაგვაჩნდა თუ არა რამე საშუალება, მე კი მუდამ ვარწმუნებდი ამ განზრახვის შესრულება არ ძალგვიძს მეთქი.

13. რადგანაც ბატონიშვილები ჩემი ნათესავები არიან, ამიტომ მე მათ ყველას ვიცნობ: ამ საზოგადოების წევრები კი დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები იყვნენ. პირველი მაშინ, როცა მე პეტერბურგში ვიყავ, ლაპარაკობდა ხოლმე საქართველოს აღდგენასა და მის განათლებაზე. ათასნაირად ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავისი მეფე უნდა ჰყავდესო, რომელიღაც მანიფესტის ძალით და ამბობდა აგრეთვე, რომ საზღვარგარეთ რომ იყოს, რუსებს გაზეთში საშინელი სახით გამოსჭიმავდა. ოქროპირი რომ ვნახე მოსკოვში, მიამბო როგორ ჩამოვიდა იგი აქ და როგორ აგულიანებდა ყველას, რომ აჯანყებულიყვნენ და მეც ეს ძლიერ მსუბუქ საქმედ წარმომიდგინა, მაგალითად: უკვე არსებობს თავადაზნაურთაგან შემდგარი საზოგადოება, ეხლა თქვენ უნდა ეცადოთ ხალხი მიიმხროთ და მერე შეთანხმებულად იმოქმედოთო, უნდა აიღოთ ქალაქი[1] სხვა პირველი ადგილები და ამ პირველი წარმატების შემდეგ მათზე[2] მასებით კი არ უნდა მიხვიდეთ, არამედ მცირე რაზმებით იმოქმედოთო[3]. მითხრა აგრეთვე, რომ მან ვთელი საქართველო დაიარა და აქებდა ადგილმდებარეობას. შემდეგ გამომკითხა დიმიტრი ბატონიშვილზე. ამბობდა, რომ განზრახვა აქვს საზღვარგარეთ წავიდეს, თან წაიყვანს დიმიტრისაც და თქვენ გაიგებთ იქ რას გავაკეთებთო.

ამ საუბრის შემდეგ ჩვენ გავიყარენით და მან მითხრა ის სიტყვები, რაც მე-10-ე პუნქტში დავწერე.

---

1 ე. ი. ტფილისი.

2 ე. ი. რუსის ჯარზე.

3 ალბათ პარტიზანული ბრძოლა იგულისხმება.

14. გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს ბავშვობიდან ვიცნობ, მაგრამ ისე კი არა, რომ მისი მეგობარი ვყოფილიყავი, მის განზრახულობაზე მე არაფრის თქმა არ შემიძლიან, რადგან მასთან არაფერზე საუბრისა და მსჯელობის შემთხვევაც არა მქონია. მაგრამ გამიგონია ჩემი ძმის ალექსანდრესა და თ. ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ საზოგადოებას სურს სთხოვოს მას, რათა ისიც ამათი აზრისა გახდეს, მაგრამ როგორც შემდეგ ჩემ ძმა ალექსანდრესგანვე გავიგე, იგი ამაზე არ დათანხმებულა.

15. ლაშქრობიდან რომ დაბრუნდი პეტერბურგში, ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან ზავილეისკის კაცი და ჩემი ძმის ალექსანდრეს წერილი მომიტანა, ამ წერილში იგი მას აქებდა როგორც ჩვენი ოჯახის კეთილმოსურნეს და მირჩევდა გამეცნო იგი. კაცს ვკითხე მისი ბინადრობა, მაგრამ ვერაფერი მიპასუხა, რადგან პეტერბურგში პირველად იყო. მოსკოვში რომ გამოვიარე კი, თავისი კაცის საშუალებით შეეტყო ჩემი იქ ყოფნა ზაველეისკის და შემომითვალა მენახა იგი. გამგზავრების წინა დღეს წავედი მასთან, სადაც უცხო პირები დამხვდნენ. მან დაიწყო საქართველოსი და ქართველი თავად-აზნაურების ქება, მაგრამ ვერ ირიან კარგი მეურნეებიო. როდესაც ჩემი საქმე გათავდებაო, ტფილისში დავსახლდები და მემამულე გავხდებიო, ამბობდა იგი. შემდეგ აქებდა ჭავჭავაძეს, რომ ის კარგი კაცია და პატრიოტიო, ამ საუბრის შემდეგ დავშორდით, ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი ნახვა, სხვებისგან კი ამაზე არაფერი გამიგონია.

16. რადგან პირველად ოქროპირ ბატონიშვილმა გამომიცხადა საზოგადოების არსებობა, ამიტომ მე მგონია ყველაზე უფროსი ის იყო. უფროსებად კი ჩვენ ყველა აქაურები ვიყავით, ვალდებულება გვქონდა აღებული ერთი მეორეს დავმორჩილებოდით ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდოდა.

ყველა ზემოხსენებული დაწერილია ჩემგან სრული სიმართლითა და გულწრფელობით და შემიძლიან ყველაფერი ფიცით დავადასტურო, ვინანიებ ყოვლად მოწყალე ხელმწიფის წინაშე ჩადენილ შეცდომას და ჩემს ბედს მის ხელთ გადავცემ.

ლეიბ-გვარდიის გრენადერთა რაზმის პრაპორშჩიკი
თავადი ორბელიანი.

7/II, 1833 წ.

ვახტანგ ორბელიანის პასუხები (VI, 1077—1080)

თ. ვახტანგ ორბელიანოვის პასუხები კითხვითი პუნქტებზე, რომლებზედაც კომისია ითხოვს ჩემგან გულწრფელ აღიარებას, ისეთს, რომლის ფიცით დადასტურებაც შემეძლოს.

ტფილისი თებერვლის 6, 1833 წ.

1. ჩემი სახელი ვახტანგ, მამაჩემიც ასევე იწოდებოდა, ხარისხე არა მაქვს.

2. დაბადებიდან ოცი წლისა ვარ.

3. უცოლო ვარ, მყავს დედა და ორი ცოლშვილიანი ძმა.

4. ჩვენი მამულის დიდი ნაწილი ბორჩალოს დისტანციაშია. გვაქვს რამოდენიმე პარტახი სოფელი, სამოციოდე კომლი და დასახლებულია ნაწილობრივ საკუთარ მიწაზე ბორჩალოს დისტანციაში, ნაწილობრივ კი კახეთში არიან გაფანტული, ქალაქში[1] გვაქვს ბაღი და სახლი. მამულის შემოსავალი როგორც მცონია ორი ათას მანეთ ვერცხლს არ ეღამატება. ჩვენი შემოსავლის მთავარი წყაროა დედაჩემის[2] პენსია, რომელსაც ორი ათას მანეთს ვერცხლად მისი იმპერატორობითი უმაღლესობისაგან იღებს.

5. სწავლა დავიწყე პირველად შინ დედაჩემთან. შემდეგ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი, 1827 წლის დეკემბრის 26-ს კი გავემგზავრე პეტერბურგში და 1828 წელს პაჟთა კორპუსში შევედი, საიდანაც ავადმყოფობის გამო 1829 წელს მივიღე შვებულება ჩემი სენის განკურნებამდე.

6. არა ვყოფილვარ არც სამსახურში და არც ლაშქრობაში მაშასადამე არასოდეს არც დავჭრილვარ.

7. პეტერბურგში 1828 წლის თებერვლიდან 1829 წლის 6-ს სექტემბრამდე ვიმყოფებოდი, ხოლო სექტემბრის 6-ს გამოვემგზავრე იქიდან ექიმების რჩევით, რომლებიც ჩემ სენს უკურნებლად სთვლიდნენ, თუ რამოდენიმე ხანს თბილ მხარეში არ გავატარებდი. მოსკოვზე გამოვიარე, იქ ხუთი დღე გავჩერდი და ტფილისში 1829 წლის ოქტომბრის 6-ს ჩამოვედი.

8. კვირაუქმე დღეს მუდმივ დავიარებოდ ეკლესიაში ქრისტიანული წესის თანახმად და ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. დღემდე მე არც სამართალში და არც გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ. არც არასოდეს ჯარიმა გადამხდენია.

---

1 ე. ი. ტფილისში.

2 თეკლა ბატონიშვილი.

10. როდესაც ვეკითხებოდი ხოლმე ჩემ ძმა ალექსანდრესა და თ. ელიზბარ ერისთოვს, თუ რისთვის შეიკრიბებიან ხოლმე ისინი დოდაკვთან ერთად და რაზე საუბრობენ, მიპასუხებდნენ ხოლმე, რომ მე არ უნდა ვიცოდე მათი საუბრების მიზანი, რომელიც მხოლოდ საქართველოს ეხებაო, მაგრამ ბოლოს დავიყოლიე და ელიზბარ ერისთოვმა გამომიცხადა ამ სიტყვებით: ჩვენ ვცდილობთ, რათა საქართველო რუსებისაგან განთავისუფლდესო, სირცხვილია ჩვენთვის მათი მონობა, მაშინ როდესაც პოლონელებს, რომლებიც მათივე შთამომავლობის არიან, არ სურთ მათი უფლების ქვეშ ყოფნა და თავს სწირავენ იმისთვის, რომ დამოუკიდებელნი იყვნენო. მაგრამ იცოდე ვახტანგ, განაგრძო ელიზბარ ერისთოვმა, შენ გეცოდინება ყველა ჩვენი გეგმები და ფრთხილად იყავი არავისთან წამოგცდესო. ეს ეოხდა ჩემს ოთახში 1831 წლის დამდეგს. ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთოვი და მე ვიყავით მარტო, სხვა იქ არავინა ყოფილა. თ. ელიზბარ ერისთოვის სიტყვებმა იმოქმედა ჩემზე, ჩემს ახალგაზრდობაზე და აღვუთქვი ხელს შევუწყობ თქვენს განზრახვას როგორც კი შემიძლიან მეთქი.

11. მე არ მქონია არავითარი მიზეზი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. მხოლოდ ჩემმა საყვარელმ ჩამითრია შეცდომაში.

12. საქართველოს აჯანყების შემდეგი საშუალებები გამიგონია ჩემი ამხანაგებისაგან: ისინი ფიქრობდნენ თვითეულ ჩვენგანს გამოეყვანა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. რომლებიც საიდუმლოდ უნდა შემოსულიყვნენ ქალაქში დეკემბრის 6-ს ბალის დროს (во время бала) და ამ ბალზე უმაღლესი მოხელეები უნდა ამოეწყვიტათ, აგრეთვე უნდა თავს დაესხმოდნენ ციხეს, არსენალს, ხაზინას, ყაზარმებს, პურის მაღაზიას[1] და კომისიას ნავთლუღში[2]. იმავე ღამეს უნდოდათ მახლობელ სოფლებში პროკლამაციები გაეგზავნათ და მეორე დღეს კი აიძულებდნენ ყველა მოქალაქესა და უფროს თავადებს ჩვენი მხარე დაეჭირათ. ამ საშუალებით, რამდენადაც მე ვიცი, ფიქრობდნენ ისინი აეჯანყებინათ საქართველო. მაგრამ ჩემთვის არ უთქვამთ, თუ როგორ შესძლებდნენ ამ აღრეულობის წარმატებით დაგვირგვინებას და მე არ ვიცი გააჩნდათ თუ არა ამისთვის რამე საშუალება. ეს ყველაფერი პირველად გავიგონე თ. იესე ფალავანდოვის სახლში 1832 წლის ოქტომბერში.

13. თითქმის ყველა ბატონიშვილებს ვიცნობდი, გარდა სპარსეთში მყოფი ალექსანდრესი. ბატონიშვილები: ილია, ოქროპირი

---

1 ასე ეწოდებოდა პურის საწყობს.

2 ნავთლუღში ჯარის სასურსათო კომისია იყო.

და ორაკლი მოსკოვში ვნახე მაო საკუთარ სახლში, დანარჩენნი კი: მირიანი, ფარნაოზი, მიხეილი, ლუარსაბი და დიმიტრი — პეტერბურგში. პირველი სამი ვნახე მოსკოვზე გავლით ტფილისიდან პეტერბურგში რომ მივდიოდი, აგრეთვე უკან რომ ვბრუნდებოდი — ოქროპირის გარდა, რომელიც უკვე ტფილისში იმყოფებოდა. ხუთს უკანასკნელთ კი ვხედავდი ხოლმე როცა ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთანა ვცხოვრობდი და აგრეთვე იშვიათად კვირა უქმე დღეებში, როდესაც უკვე კორპუსში ვიყავ. არ ვიცი რა გავლენა უნდა ჰქონოდათ მათ ჩვენს განზრახულებაზე — ჩემზე კი არავითარი გავლენა არ ჰქონიათ.

14. გენ-მაიორ თ. ჭავჭავაძეს 1830 წლიდან ვიცნობ. 1831 წელს ხშირად მესმოდა ელიზბარ ერისთოვისაგან თ. ჭავჭავაძე ჩვენი შეთქმულების მონაწილეაო. ვის შესახებ მეტი არაფერი ვიცი, იმის გარდა, რომ კაპიტანმა თ. ჩოლოყაევმა გამოგვიცხადა ნოემბერში ჭავჭავაძესთან ვიყავი და ჩვენი საქმე გავუმჟღავნე. მაგრამ ჭავჭავაძე რუსების ღალატზე არ თანხმდებაო (Чавчавадзе не соглашается изменить Русским) მე კი არ მქონია ჩვენი განზრახულების შესახებ თ. ჭავჭავაძესთან საუბრის შემთხვევა.

15. თუმცა ვხედავდი ხოლმე ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორის ზევილეისკის გენ-მაიორ თ. ჭავჭავაძის, აგრეთვე მაიორ თ. ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში 1831-სა და 1832 წლებში, მაგრამ მასთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია. 1831 წელში გავიგონე ჩვენ საზოგადოებაში, რომ მას სურს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება შეადგინოსო, მაგრამ ვისგან გავიგონე აღარ მახსოვს.

16. როდესაც ჩემს ამხანაგებთან ვიყავი ხოლმე, ყოველთვის საერთო საუბარი სწარმოებდა და ჩემთვის არ უთქვამთ ჰყავდათ ვინმე შეთქმულების მთავარი პირი თუ არა.

ჩემი გულწრფელი აღიარება იმედს მაძლევს, რომ ხელმწიფე იმპერატორი ჩვენი, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი სიყვარული თავის ქვეშევრდომთა და შეწყნარება გზააბნეულთა, შეუმსუბუქებს ხვედრს გულწრფელად მომნანიებელს, რომელიც არა ყოფილა იმისთვის დაბადებული, რომ სამუდამოდ დაბრმავებული დარჩენილიყო და არ ეგრძნო ის კეთილშობილება, რომლითაც ჩვენი სამშობლო მოფენილია, მაგრამ რომელიც დროებით ასცდა გზას მისი სიყმაწვილის წყალობით.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი.

1. სახელი ჩემი დავით ივანეს ძე, „ჩინი“ მაქვს პრაპორშჩიკისა, სამსახურში ვარ.

2. ოცდამეორე წელიწადში ვდგევარ.

3. ცოლად მყავს განსვენებული კაპიტნის ლუარსაბ ქსნის ერისთავის ქალი, მყავს მოხუცი მამა და მცირე წლოვანი ძმა.

4. ჩემს ქონებას შეადგენს სამოცი კომლი გლეხი, ბაღები (ვენახები) და სახნავი მიწები, რაც კახეთში თელავისა და სიღნაღის მაზრებში მდებარეობს, შემოსავალი წელიწადში ხუთი ათას მანეთამდე მაქვს ვერცხლით.

5. 1825 წლამდე აქაურ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი, 1825 წლიდან კი 1830 წლამდე მე-2-ე კადეტთა კორპუსში ვიყავ.

6. სამსახურში ვარ 1830 წლიდან ტფილისის ფეხოსანთა რაზმში, ლაშქრობაში არა ვყოფილვარ.

7. ს. პეტერბურგში 1825 წლიდან 1830 წლამდე კომყოფებოდი, იქიდან დეკემბრის 24-ს გამოვემგზავრე და ტფილისში 1831 წლის 3 თებერვალს ჩამოველ, მოსკოვში და პეტერბურგს მიმავალი ორ კვირას გავჩერდი, აქეთ დაბრუნებისას კი ერთი დღე ღამე დავრჩი.

8. ეკლესიაში კვირა უქმე დღეს დავიარებოდი და ყოველწლიურად ვზიარებულვარ 1831 წლის გარდა, როცა ავადმყოფობის გამო ვერ ვეზიარე.

9. სამართალსა და გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც არა ჯარიმა გადამხდენია რა.

10. განზრახულებასა და შეთქმულებაზე არავისგან რა გამიგონია

11. არ მეგულება არავითარი მიზეზი, რომელსაც ოდესმე მთავრობის წინააღმდეგ ჩემი აღძვრა შეეძლო.

12. არ ვიცი რა ღონისძიებები გააჩნდათ მათ, რომელსაც ოდესმე რომელიმე შეთქმულების სისრულეში მოყვანა შესძლებოდა.

13. მაქვს ნაცნობობა სამეფო საგვარეულოს თითქმის ყველა წევრებთან, მაგრამ შეთქმულებაზე მათ რა გავლენის მოხდენა შეეძლოთ, არ ვიცი.

14. გენერალ-მაიორი თ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში წასვლამდეც ვიცნობდი და რუსეთიდან რომ დავბრუნდი მოვინახულე იგი ორჯერ. ხოლო რაც შეეხება მის განზრახულებაში მონაწილეობას, ამაზე არავისგან რა გამიგონია.

15. გუბერნატორად ყოფილ ზავალეისკის ვერ ვიცნობ და მონა-

ჭილეა ის თუ არა არასოდეს არავისგან რა გამიგონია და არც ვიცი რა.

16. შეთქმულების მეთაურზე არა ვიცი რა და არც არასოდეს ვამიგონია. ვის გულისხმობენ არც ის ვიცი.

ტფილისის ფეხოსანთა რაზმის პრაპორშჩიკი
თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

გიორგი დავითის ძე ერისთავის პასუხები კითხვით მუხლებზე (VI, 1089—1091)

კომისიას!

1. სახელი და მამის სახელი ჩემი გიორგი დავითის ძე ერისთავი პრაპორშჩიკის ხარისხით.

2. დაბადებიდან 19 წლისა ვარ.

3. უცოლო ვარ. ჩემი ოჯახი შედგება დედისა და ორი ძმისაგან. პირველი მათგანი უფროსი ცოლიანია და ვაჟიცა ჰყავს. მეორე კი უმცროსია. ის ტფილისის გიმნაზიაში იწვრთნებოდა.

4. მამული მაქვს გორისა და დუშეთის მაზრებში, საერთო წლიური შემოსავლის დასახელება არ შემიძლიან, რადგან ჩემს მამულს არასოდეს მე თვითონ არ განვაგებდი, მუდამ ჩემი მშობლები მამარაგებდნენ.

5. მე ვიწვრთნებოდი ჩემი მშობლების მზრუნველობით ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ოთხი წელიწადი. შემდეგ კი წავედი მოსკოვს ბიძა ჩემთან მიტროპოლიტ ვარლამთან. იქ ვსწავლობდი ექვსი თვის განმავლობაში და შემდეგ ისევ ტფილისში დავბრუნდი.

6. 1827 წელს სამსახურში მიმიღო განსვენებულმა სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა განსაკუთრებულ მინდობილობათა ნაწილში[1], მისი სიკვდილის შემდეგ მიმიღო მისმა მოადგილემ სტრეკალოვმა. ამასთან ერთად ვიყავი ლაშქრობაში ზაქათალაში. სტრეკალოვის წასვლის შემდეგ მე უსამსახუროდ დავრჩი, მაგრამ ეხლანდელი კორპუსის უფროსთან ერთად ვიყავი ჩეჩნებისა და ლეკების წინააღმდეგ. სადაც ყველა ლაშქრობაში მონაწილეობა მივიღე.

[1] გ. ერისთავი რუსულში საკმაოდ მოისუსტებს, მაგ. ეს წინადადება რუსულად ასე გამოუთქვამს: «1827-ом году был я принять в службе покойным военным Губернатором Сипягиным по особеном поручении».

რისთვისაც მქონდა ბედნიერება ,ავალერიის პრაპორშჩიკის ხარისხი დამემსახურებინა. დაჭრილი არ ვყოფილვარ.

7. მოსკოვში ვიყავი. როგორც ზევით ავწერე. მე იქ წავედი 1825 წელს და დავბრუნდი 1826 წელს. პეტერბურგში არა ვყოფილვარ.

8 მუდამ დავიარებოდი ეკლესიაში და ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. დღემდე არ ვყოფილვარ არც საკამართლოს. არც ჯარიმისა და არც არავითარი გამოძიების ქვეშ.

10. პირველად გავიგონე ამ განზრახვაზე და გამიზიარა იგი ჩემმა ბიძაშვილმა თავადმა ელიზბარ ერისთოვმა. და გამომიცხადა მან იგი 1831 წელს ამნაირად: ის რომ პეტერბურგიდან დაბრუნდა, მე გავიცანი. რადგან ჩემი ნათესავი იყო. რამდენიმე თვეს დაიარებოდა ჩემთან. ყოველნაირად მცდიდა. თუ როგორ ვიყავი მთავრობისადმი განწყობილი. წარმომიდგენდა ხოლმე სხვადასხვა მაგალითებს აქაურ მმართველობაზე. რომ ჩვენ გვაიწროებენ. ბოლოს როდესაც აგვიკრძალეს ოსებსა და იქაურ ჯამულებზე მფლობელობა, მაშინ ის ხშირად იმეორებდა. რომ რუსების წყალობით ჩვენ მალე მშივრები დავრჩებითო. და ამგვარი სიტყვებით შეძლო მან დაებნელებინა ჩემი გონება და შემიყვანა მთავრობის საწინააღმდეგო აზრებში: ერთხელ მასთან მივედი. ის ღრმა ფიქრში მოცული იჯდა. მე ვკითხე მიზეზი. რაზედაც მან მიპასუხა. „რომ შენ ღირსი არა ხარ ეს იცოდეო". მე ჩემი ახალგაზრდობით აღარ მოვეშვი. რათა განეცხადებინა ჩემთვის. ბოლოს მითხრა. შემომფიცე. რომ ჩემ რჩევას მიიღებო, მე დაუყოვნებლივ შევფიცე მზად ვარ შენი რჩევა მივიღო მეთქი, რის შემდეგაც მან ამოიოხრა და მითხრა, ძმაო! როდემდის უნდა ვიყვნეთ ქართველები თვალდახუჭულ- და ვერ უნდა დავინახოთ რუსები როგორ გვავიწროებენ, აი პოლონელები განათლებული ხალხია. რომლებიც რუსებისაგან განთავისუფლებას ცდილობენ. ჩვენც რატომ არ შეგვიძლია იმათ მივბაძოთო. მე გავიცინე და ვუთხარი. რას ამბობ. შენი არაფერი მესმის მეთქი. ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე მითხარი მეთქი. მაშინ მან მიპასუხა. რომ ჩვენ აქ საზოგადოება გვაქვს და ვცდილობთ აქაც აჯანყება მოვახდინოთო («Что здесь имеем мы общество и стараемся здесь открыть бунт») მაშინ მე შიშის ზარმა ამიტანა და ვკითხე რა ძალით შეგიძლიათ თქვენ ეს მოახდინოთ მეთქი. მან მიპასუხა. რომ ამ განზრახვაზე თითქმის ყველა თანახმაა. მე ამაზე ვუპასუხე. დაუშვათ. რომ გავთავისუფლდით, შევიძლებთ კი ჩვენი თავის მოვლას. ირგვლივ ხომ სულ მტრები გვახვევია და-რუსებზე

უკეთესად ვინ დაგვიცავს მეთქი, მან მიპასუხა მაშინ სხვა დრო იყო თავის დაცვა რომ ვერ შევძელითო. ეხლა ხალხი განათლდა. სპარსელები. თურქები ჩვენ აღარ შეგვავიწროვებენ, თუკი თავის დაცვას კერ შეკძლებთ. იმ შემთხვევაში შეგვიძლიან მფარველობა ვთხოვოთ ფრანგებს, მე ამაზე ჩავიცინე და ვუთხარი, ეხ, ძმაო! შენ შორს გაჰკარი. ფრანგებს საიდან მოიყვან მეთქი, მან თავი გაიქნია და მითხრა. აბა რა გელაპარაკო, როდესაც ეგეც არ იციო. მოიტანა რუკა, მაჩვენა ალეპირი და მითხრა აი აქ ფრანგების ასი ათასი ლაშქარია. იმერეთზე ორ თვეში აქ გაჩნდებიანო. ამნაირი სიტყვებით მოახერხა და ამ ბოროტ განზრახულობაში ჩამითრია. ამ საუბრის დრო! ჩვენ ორნი ვიყავით მარტო.

11. ამ განზრახვაზე აღმძრა ელიზბარის სიტყვებმა, როგორც მე 10 პუნქტში ავწერე.

12. მე არ ვიცოდი არავითარი საშუალება, რომლითაც ამ ჩვენი განზრახვის წარმატებით დაგვირგვინება შეიძლებოდა, გარდა იმისა, რომ ელიზბარი მეუბნებოდა რადგან ფრანგები პოლონელებს ეხმარებიან. ჩვენც აქ აჯანყება უნდა მოვაწყოთო, დიმიტრი ბატონიშვილი წავა საფრანგეთში და ჩვენ უნდა გავგზავნოთ დეპუტატები საფრანგეთსა და ოსმალეთში, რომ მოგვეხმარონო, ბოლოს, როდესაც ვარშავა აიღეს, მე მთლად განვდეგი ჩემი თავიდან ეს ქიმერული აზრები, წავედი ლაშქრობაში და აღარ ვიცი თუ ჩემ შემდეგ ჰქონდათ ღა რამე განზრახვა.

13. ოქროპირ ბატონიშვილი ტფილისში გავიცანი, ერთხელ ელიზბარმა წამიყვანა მასთან, ჩვენ იქ ვისადილეთ, მაგრამ მე ჯერ მაინ არაფერი ვიცოდი და არც იმათ ეტყობოდათ რამე, სხვა ბატონიშვილებს ვერავის ვიცნობდი და არც არავითარი გავლენა ჩემზე არ შეიძლებოდა ჰქონოდათ.

14. გენ.-მაიორ თ. ჭავჭავაძეს ბავშვობიდანვე ვიცნობდი, რადგან მისი მეუღლე ჩემი ნათესავია და მუდამ დავიარებოდი მათთან და მის შესახებ ვიცი მხოლოდ, რომ ელიზბარ ერისთოვი და ალექსანდრე ორბელიანი მეუბნებოდნენ მან იცის ჩვენი განზრახვაო ა ბითქოს ესენი მისით მოქმედებდნენ, მაგრამ მე მასთან არასოდეს ამ საგანზე არ მილაპარაკნია და არც არა შემინიშნავს რა.

15. ყოფ. გუბერნატორ ზავილეისკის ვერ ვიცნობდი (პირადად). ვიცნობდი მხოლოდ როგორც გუბერნატორს და მის შეოქმის შესახებ იმის მეტი არა ვიცი რა, რომ ზავილეისკის როგორც პოლონელს სურს აქაც არეულობის მოხდენაო და ამიტომ ხალხს ავიწროებს და ჭავჭავაძის მეგობარიაო, მეუბნებოდნენ ალექსანდრე და ელიზბარი.

16. ჩვენი შეთქმულების მეთაურებად მე ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის მეტს არავისა ვთვლიდი, მაგრამ ელიზბარი ამბობდა ჩვენი პირველი მეთაური დიმიტრი ბატონიშვილიაო

პროპორშჩიკი თ. გიორგი ერისთავი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის პასუხები (VI, 1095—1097)

1. სახელი ჩემი ზაქარია დიმიტრის ძე ჩოლაყაევი შთამომავლობით ქართველი თავადთაგანი, ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტანი და კავალერი.

2. დაბადებიდან ოცდაცამეტი წლისა ვარ.

3. უცოლო ვარ, მყავს დედა და ძმა, რომლებიც პეტერბურგში ცხოვრობენ.

4. როგორც გამიგონია, ჩემი მამული კახეთშია. თელავის მაზრაში სოფ. მატანში და საერთოა ჩემს თანამოგვარე თავადებ ზაალ, მიხეილ და ქაიხოსრო ჩოლაყაევებთან, მაგრამ არასოდეს არავითარი შემოსავალი ამ მამულიდან მე არ მიმიღია და ვცხოვრობდი 1831 წლიდან სახელმწიფო მთავარხაზინიდან ყოვლად მოწყალედ ჩემთვის განწესებული 1000 მანეთი ვერცხ. პენსიით წელიწადში.

5. დედა ჩემის ბატონიშვილ რიფსიმე გიორგის ასულის თხოვნით მე მიმიღეს პაჟთა კორპუსში 1811 წლის იანვრის 28-ს, სადაც მივიღე აღზრდა და 1819 წლის მარტის 20-ს განწესებულ ვიქმენ პრაპორშჩიკის ხარისხით მისი აღმატებულების ავსტრიის იმპერატორის გრენადერთა პოლკში.

6. სამსახური პირველად მისი აღმატებულების ავსტრიის იმპერატორის გრენადერთა პოლკში დავიწყე 1819 წლის 20 მარტს პრაპორშჩიკობით, 1820 წლის აპრილის 14-ს მივიღე პოდპორუჩიკობა, 1824 წ. იანვრის 24-ს იმავე ხარისხით გადამიყვანეს ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკში, სადაც დღემდე განვაგრძობ სამსახურს და ვითვლები მის კომპლექტში. ლაშქრობაში ვიყავი ოსმალეთის სამფლობელოებში ვარნის ციხემდის, რომლის აღების დროსაც ორ ნამდვილ ბრძოლას დავესწარ 1828 წლის სექტემბრის 13-ს და იმავე თვის 25-ს, როდესაც ავიღეთ ოსმალთა გამაგრებული ბანაკი. 1831 წელს ვიყავი პოლონეთში თვით ქ. ვარშავის აღებამდის, რისთვისაც სხვა და სხვა ჯილდო მაქვს მიღებული. მაქვს ვლადიმერის IV ხარისხის და ანნას III ხარისხის ორივე ფუღჯებით, ოსმალეთის კომპანიისათვის დაწესებული მედალი და სამხედრო ღირსებისათვის მე-4-ე ხარისხის ჯვარი. დაჭრილი არა ვყოფილვარ.

7. 1811 წლიდან მოკიდებული მუდმივ პეტერბურგში ვიყავ, ეხლა კი, აქეთ რომ მოვემგზავრებოდი, სამი დღე მოსკოვში გავჩერდი, აქ ჩამოვედი 1832 წლის ოქტომბრის 3-ს ოთხი თვით შვებულებაში, რათა მომეთხოვნა ჩემი თანამოგვარე თავადების ზაალ, მიხეილ და ქაიხოსრო ჩოლოყაევთაგან ჩემი წილი მამული.

8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ კვირა უქმე დღეს ჩვეულებრივ დავიარებოდი ეკლესიაში, თუ კი სამსახურიდან თავისუფალი ვიყავი ხოლმე, და ყოველწლიურად ვღირსებივარ წმინდა საიდუმლოს. მოძღვრად მყავდა დეკანოზი ტიმოთე ნიკოლსკოი, რომელიც ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიაში პეტერბურგში, იგივე ნიკოლსკოი იყო ჩემ მოძღვრად პაჟთა კორპუსშიაც.

9. არც სამართალსა და არც გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც არასოდეს ჯარიმა გადამიხდია.

10. ტფილისში ჩამოსვლისთანავე 3 ოქტომბერს 1832 წლის, გამოცხადდა ჩემთან თ. ანტონ აფხაზოვი, აგრეთვე სოლომონ დოდაევი, რომელიც მე და აფხაზოვის საუბრის მოწმე გახდა. ამ თ. აფხაზოვმა, რომელსაც წინათ არ ვიცნობდი, მითხრა, რომ მთავრობა ქართველ თავადებს ძლიერ ავიწროვებს და რას მირჩევო. ამ კითხვამ მე ძალიან გამაოცა და ვუპასუხე, რომ ისინი არაკეთილგონიერებას იჩენენ, როდესაც თავს შევიწროებულად სთვლიან, რაზედაც თვითონ ისიც დამეთანხმა. ამის შემდეგ ის თავადი აღარც მინახავს და ვერც მივხვდი, რომ ის ჩემ დამღუპველთაგან იყო მოგზავნილი, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ ჩემ სანახავად მოსულმა თეკლა ბატონიშვილის შვილმა ალექსანდრე ორბელიანოვმა განმიცხადა მთელი შეთქმულება შემდეგი სიტყვებით: ძმაო ზაქარიავ! მართალია დღემდე არა მქონია თქვენი ცნობის კმაყოფილება, მაგრამ ჩვენ შორის არსებული ნათესაური კავშირი მაბედვინებს გამოგიცხადოთ რომ, ვარ რა დარწმუნებული, რომ ჩემს დაღუპვას არ მოისურვებდით, გეტყვით, რომ ჩვენ თავადები: ორბელიანოვები, ჭეხრანბატონები, ჭავჭავაძე, ბატონიშვილები თეკლე და თამარ იულონის ასული, ერთი სიტყვით, ყველანი, წარსულ 1831 წელში განვიზრახავდით მოგვეხდინა საერთო აჯანყება და თ. ჭავჭავაძის, გენმაორი ლუარსაბ ორბელიანოვისა და გვარდიის პორუჩიკ მამუკა ორბელიანოვის რჩევით ვუგზავნიდით წერილებს ჩემი კაცების ხელით ალექსანდრე ბატონიშვილს, რომლისაგანაც მივიღე თანხმობის პასუხი, რომ ის ტფილისში ჩამოვა როგორც კი აჯანყების ხმას გაიგებს. მე გაოცებული დავრჩი ამ სიტყვებზე, მაგრამ მან სიტყვა ჩამომართვა არ გამემჟღავნებინა ეს ჯერჯერობით და იმავე საღამოს გამაცნეს თავადები, რომლებმაც სიტყვით იგივე გაიმეორეს; ეს თა-

ვადები არიან: ფალავანდოვი იასე, ერისთოვები: ელიზბარ და დიმიტრი, ორბელიანოვი ვახტანგი და სოლომონ დოდაევი — მასწავლებელი.

11. ვიმოწმებ ღმერთს არავითარი საბაბი არა მქონია ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, მხოლოდ ჩემი სურვილი იყო ყველაფერი ამ შეთქმულებისა გამეგო და ჩემი უფროსებისათვის მეცნობებინა.

12. საშუალება არავითარი არ ყოფილა, მე იმ ბატონებს ყოველთვის წარმოვუდგენდი ხოლმე ამ საქმის შეუძლებლობას, მაგრამ არცერთს მიგონებდნენ.

13. პეტერბურგსა და მოსკოვში მობინადრე ბატონიშვილები ჩემი ბიძები არიან დედაჩემისა ბატონიშვილ რიფსიმე გიორგის ასულის მხრივ, რის გამოც ხანდახან ვნახულობდი ხოლმე მათ სხვადასხვა დროს, მაგრამ მათგან ამ საქმის თაობაზე არაფერი გამიგია.

14. გენ.-მაიორი თ. ჭავჭავაძე მე სიძედ მომხვდება, რადგან ცოლად ჰყავს ჩემი ბიძაშვილი ორბელიანის ქალი, ამიტომ ტფილისში ჩამოსვლისთანავე მე იგი ვინახულე, როგორც ნათესავი, შემდეგში კი თ. ჭავჭავაძემ თვითონ მიმიწვია თ. ელიზბარ ერისთავისა და მაიორ თ. ორბელიანის პირით. იმ სახლში, სადაც თვით გენ-მაიორი თ. ჭავჭავაძე ცხოვრობს და სადაც მივედით სამივენი. თ. ჭავჭავაძემ მე და ლუარსაბ ორბელიანოვი ცალკე ოთახში შეგვიწვია და დაიწყო შემდეგი საუბარი: თავადო ზაქარია დიმიტრის ძევ! ჩემ ყურამდე მოაღწია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდები მთავრობის საწინააღმდეგოს განიზრახავენ; ჯერ კიდევ წარსულ წელს მოვკარი ყური რაღაცას ამ განზრახვაზე, მაგრამ მე ეხლა გადაწყვეტით ვაცხადებ ამ საქმის შეუძლებლობას და გოხოვთ თქვენცა და თავად ლუარსაბსაც გამოუცხადოთ იმ ბატონებს ხელი აიღონ ამ საქმეებზე და არასოდეს აღარ გაბედონ ამაზე ფიქრი, თორემ მთლად დავიღუპებით. იცოდეთ, რომ სპარსელებს ეხლა 200000-მდე ჯარი ჰყავთ და რუსებზე უარესნი არიან, ჩვენ მთლად მოგვსპობენ, აი ჩემი რჩევა, ყველანი გააჩუმეთ, თორემ ვაი ჩვენი ბრალიო. ამასობაში ჩვენ ვიფიქრეთ და დავასკვენით ყველა ჩვენი გარემოება ხელმწიფე იმპერატორისათვის განსაკუთრებული წერილით გვეთხოვნა.

15. ყოფ. გუბერნატორ ზავილეისკის ვერ ვიცნობ, არასოდეს არ მინახავს და არც არაფერი გამიგონია იმაზე.

16. უფროსად და შეთქმულების მთავარ პირად თ. ალექსანდრე ორბელიანოვის ნათქვამის მიხედვით, მე ბატონიშვილი თამარ იულონის ასული მიმაჩნდა.

კაპიტანი თ. ზაქარია ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

1. სახელი და მამის სახელი ჩემი იოსებ ქაიხოსროს ძე მამაცოვი, ჩამომავლობით ქართველი აზნაურთაგანი, მაქვს კანცელარისტის წოდება.

2. ოცდა სამი წლისა ვარ.

3. ცოლად მყავს აზნაურ კონსტანტინე ბეღვინეთუხუცესის ქალი ნინა, მყავს ვაჟიშვილი ნიკოლოზი რომელიც ორი თვისაა, მამა, დედა, ორი ძმა და ორი და.

4. ჩემ მშობელ ანზაურ ქაიხოსრო მამაცოვზე ითვლება მამული და ქონება განუყოფელი მის ძმებთან აზნაურ ნიკოლოზ და დიმიტრი მამაცოვებთან. საერთო გორის მაზრის სოფლებში: რუისში, სასირეთში და სურამში, რასაც შეადგენს შვიდი კომლი გლეხი, ვენახები, სახნავი მიწები და წისქვილები, რომელთა შემოსავლითაც სარგებლობენ მამაჩემი და ჩემი ბიძები. ამიტომ ამ შემოსავლის რაოდენობა მე არ ვიცი, მე კი ტფილისში ვმსახურობ და ჩემი შემოსავალია წელიწადში ორასორმოცდაათი მან. ვერცხლით.

5. ჩემი მშობლების მეცადინეობით სწავლა მივიღე ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1820—1827 წწ.

6. მისი იმპერატორობითი აღმატებულების სამოქალაქო სამსახური დავიწყე 1827 წელს ნოემბერში გორის ოლქის უფროსთან, იქიდგან გადამიყვანეს საქართველოს უზენაესი მმართველობის „სუდა ი რასპრავის ექსპედიციაში“ კანცელარიის მოსამსახურეთა რიცხვში, სადაც 1829 წლის თებერვლის 25-ს დამნიშნეს სამოქალაქო ნაწილის თარჯიმნის თანამდებობაზე; ამ თანამდებობას დღემდე ვასრულებ. ლაშქრობაში არსად ვყოფილვარ.

7. არც პეტერბურგსა და არც მოსკოვში არასოდეს არ ვყოფილვარ.

8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ კვირა უქმე დღეს ჩვეულებრივ დავიარებოდი ეკლესიაში და ყოველწელიწადს ვზიარებულვარ.

9. სამართალსა და გამოძიებაში არ ვყოფილვარ. არც ჯარიმა გადამხდენია.

10. წარსულ 1831 წელს მაისში თ. გიორგი დავითის ძის ერისთოვის (ეხლა კავალერიის პრაპორშჩიკია) მიწვევით, გავემგზავრე მასთან ერთად მის ბინაზე, ის მაშინ ტფილისში ცხოვრობდა. გზაზე ვან მითხრა: საყვარელო იოსებ! რადგან ბავშვობიდან ჩემთან ხარ ერთ სახლში აღზრდილი, ამიტომ დარწმუნებული ვარ რომ საიდუმლო, რომელსაც მე შენ გაგანდობ, ჩვენ შორის დარჩება, და როდე-

საც მე ვუპასუხე, რომ მზად ვარ მუდამ ერთგულება დავუმტკიცო— ის მომიყვა: შენ არ იცი ტფილისში რას განიზრახავენ. ტფილისში არის სხვადასხვა პარტიები რომელთაგანაც ერთ-ერთს ალექსანდრე ბატონიშვილი სურსო, მაგრამ მას ისიც გაუგონია, თითქოს მუხრან-ბატონებს თვითონ სურთ მეფობაო. მაგრამ მე ამ მოულოდნელმა ამბავმა უსაზღვროდ გამაკვირვა და შევეკითხე რა პარტიებია მეთქი. მან კი მათი დასახელება შემდეგისათვის აღმითქვა. ამ საუბრის მოწმე არვინ ყოფილა. იმავე თვეში ამავე თავადმა ერისთოვმა მთხოვა წავსულიყავ თ. ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, ამ უკანასკნელის მიერ გამართულ სადილზე, სადაც სადილის შემდეგ პოდპორუჩიკებს თ. ელიზბარ ერისთოვსა და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს ჰქონდათ მსჯელობა მთავრობისაგან მიყენებულ შეურცხვენელობასა და აჯანყების მოხდენაზე; იქვე იყვნენ: პორუჩიკი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი, პრაპორშჩიკი ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი, ვახტანგ ორბელიანოვი და თვითონ გიორგი ერისთოვი.

11. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სრულიად არავითარი მიზეზი არა მქონია. ამაზე ფიქრიც კი არ შემეძლო. გულთამხილავ ღმერთს ვფიცავ, რომ ქართველი თავადების შეთქმულებაში მონაწილეობის არავითარი სურვილი არა მქონია, მაგრამ მათ, ქართველი აზნაურების ერთადერთმა მტრებმა განიზრახეს ჩემი დაღუპვაც და რადგან ტფილისში ვცხოვრობდი, აღარ მომეშვნენ და ისარგებლეს რა ჩემი გამოუცდელობით, რამოდენიმეჯერ თავიანთ კრებაზე მიმიყვანეს.

12. არავითარი ღონისძიება, რასაც შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინება შეეძლო, მე არა მქონია.

13. არც ერთ ბატონიშვილთან არავითარი ნაცნობობა არ მქონია.

14. გენ.-მაიორ თ. ჭავჭავაძესთან ნაცნობობა არა ვაქვს. მხოლოდ გამიგონია პოდპორუჩიკების თ. თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ ეს განზრახვა იცის აგრეთვე ა. ჭავჭავაძემაო.

15. ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკისთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია და მის ამ განზრახულებაში მონაწილეობაზე არაფერი გამიგონია.

16. თუმცა მეთაურისა და პირველი პირის შესახებ ჩემთვის არავის რა უთქვამს, მაგრამ პირველ პირებად მე ვთვლიდი პოდპორუჩიკებს თ. თ. ელიზბარ ერისთოვსა და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს, რადგან ესენი ცდილობდნენ ყველას დაღუპვას.

კანცელარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

კომისიის მიერ წარმოდგენილ კითხვითი პუნქტებზე მაქვს პატივი სრული ჭეშმარიტებითა და გულის სიწმინდით ვუპასუხო შემდეგი:

1. ტფილისის გიმნაზიის მე-10-ე კლასის[1] მასწავლებელი სოლომონ ივანეს ძე დოდაევი.

2. შობიდგან ოცდა რვა წლისა ვარ.

3. ცოლად მყავს სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორის, სამსახურიდან გამოსულ ინჟინერ კაპიტან თეოდორე ბარაშკინის შვილობილი; მყავს ორი ვაჟიშვილი; ივანე სამი წლისა და კონსტანტინე ორი წლისა.

4. არავითარი მამული (ქონება) და შემოსავალი გარდა საკუთარი ჯამაგირისა 1600 მან ასიგნაციით წელიწადში არა მაქვს.

5. ჯერ მიმაბარეს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი ტფილისის სემინარიაში ჩემი მშობლების მეცადინეობით და 1824 წელს საკუთარ ხარჯზე გავემგზავრე პეტერბურგს მეცნიერული გაწვრთნის მიზნით და შევედი იქაურ უნივერსიტეტში: საზრდოს ვიღებდი ბაგრატ ბატონიშვილისაგან, რადგან მისი ბავშვების მასწავლებელი ვიყავ; გარდა ამისა მეხმარებოდა ქართველი ბერმონაზონი იონა ხელაევი.

6. 1822 და 1823 წლებში ვმასწავლებლობდი სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში და ჩემი თხოვნის თანახმად გავთავისუფლდი, ხოლო 1827 წლიდან დღემდე ჯერ ვიყავი მასწავლებლად ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგში კი თბილისის გიმნაზიაში; ლაშქრობაში კი არასოდეს არა ვყოფილვარ.

1824 წ. პეტერბურგში მოსკოვზე გავლით ვიმგზავრე, იქიდანაც 1827 წელს მოსკოვზე გამოვიარე.

8. ქრისტიანული წესის თანახმად, კვირა უქმე დღეს მუდამ დავიარებოდი ეკლესიაში, თუ კი რამე არ დამაბრკოლებდა ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. არც სამართალში და არც გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც არასოდეს ჯარიმა რამე გადამხდენია და არც არავითარი საყვედურიც კი არასოდეს არ მიმიღია.

10. განზრახვა და შეთქმულება პირველად თ. ელიზბარ ერის-

---

[1] ამ შემთხვევაში მე-10-ე კლასი იმას არ ნიშნავს, რომ დოდაშვილი ამ კლასში მასწავლებლობდა — ეს მაშინ სამოქალაქო ხარისხი (ჩინი) იყო.

თოვისაგან გავიგონე. ეს მე გამომიცხადა დამსწრეების გარეშე მის ბინაზე 1830 წლის დეკემბერში შემდეგი სიტყვებით: „მე გიშოვი შენ ხელის მომწერლებს შენ კი გამოითხოვე ნებართვა ჟურნალის გამოსაცემად და ვეცადოთ გავანათლოთ ქართველები, რათა ამათაც როდისმე პოლონელების მსგავსად რუსებისაგან განთავისუფლება იფიქრონო და წამიყვანა თ. ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც აგრეთვე მთხოვა ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა; მან მითხრა: თუ პოლონელები გაიმარჯვებენ ან რომელიმე დიდი სახელმწიფო დაეხმარება მათ, მაშინ ჩვენც რუსებისაგან თავისუფლებას გამოვაცხადებთო; მითხრეს აგრეთვე, რომ ამის შესახებ ზოგიერთმა თავადებმა იციანო.

11. მიზეზი, რომელმაც მაიძულა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში შევსულიყავ იყო: მხოლოდ და მხოლოდ თავადების ახლო ნაცნობობა, გაზეთის გამოცემის სურვილი და საკუთარი გამორჩენა — გაზეთის გამოცემით რაიმე შემოსავლის გაჩენა და თითქოს და მათი კეთილდღეობა მსურვებოდეს, გამოვუცხადე თანხმობა მათი სურვილის შესრულებაზე, ამ მიზეზების გამო შევცდი და მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში გავერიე.

12. არ ვიცოდი არავითარი საშუალება, რომელსაც ჩვენი შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინება შეესძლებოდა, ამიტომაც მე არ მოველოდი, რომ აჯანყება მოხდებოდა; მხოლოდ თავადები ამბობდნენ შესაძლებელია საფრანგეთმა და ინგლისმა, როგორც ეს უცხოური გაზეთებიდან ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ საქმეებზე ჩანს, რუსეთს ომი გამოუცხადონ, მაშინ ჯარი დაბანდებული იქნება და ეს ჩვენ ხელს შეგვიწყობს რუსებისაგან გავთავისუფლდეთო; რად გვწადდა კი ეს, ჩვენი განუსჯელობისა და სისუელის გარდა, სხვა არაფერი მესმოდა. გვარდიის პრაპორშჩიკმა თ. დიმიტრი ორბელიანოვმა პეტერბურგიდან ვიღაცისგან მიიღო წერილი, რომელშიაც ნათქვამი იყო. რომ ხმები დადის ევროპის სახელმწიფოებთან ომის შესახებაო, ამან თავადები გაახარა, სხვა რამ საშუალება მე არ ვიცოდი.

13. ნაცნობობა შემდეგ ბატონიშვილებთანა მქონდა; 1824 წ. აგვისტოში მოსკოვში მხოლოდ ერთხელ ვნახე მიხეილ ბატონიშვილი და მის შემდეგ იგი აღარ მინახავს. პეტერბურგში ყოფნის დროს ვიცნობდი: ივანეს, რომელიც უკვე გარდაცვლილია, ბაგრატს, რომელთანაც ვცხოვრობდი და ვასწავლიდი მის ბავშვებს და თეიმურაზს. ფარნაოზთან მხოლოდ ერთხელ ვიყავ ბერმონაზონ იოანესთან ერ-

---

1 ეს არ არის მართალი, როგორც გამორკვეულია, დოდაშვილი თვითონ იყო შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ჯერ ისევ პეტერბურგიდან.

თად, დიმიტრი ერთხელ თუ ორჯერ ვნახე მის დედასთან, მე მას არც კი ვიცნობდი; ოქროპირი გამაცნო პეტერბურგში ბერმონაზონმა იონამ და მხოლოდ ერთხელ ვნახე იქ 1825 წლის დამდეგს ზამთარში. პეტერბურგში მთავრობის საწინააღმდეგო რამ მე არ ვიცოდი: პირველ ხანს ჩემი სწავლით ვიყავ გატაცებული, მერე კი ექვსი თვე ძალიან ავად ვიყავ და ექიმების რჩევით იქიდან გამოვემგზავრე. გზად გამოვლისას მოსკოვში 1827 წლის ივნისში ვინახულე ბატონიშვილი ოქროპირ და მისი ძმა ილია. ხოლო ოქროპირის ტფილისში ყოფნის დროს, როდესაც მე მას ვაცილებდი, მაშინ შევნიშნე მასში საქართველოს რუსთაგან განთავისუფლების სურვილი, მაგრამ სხვა არავითარი თავისი საიდუმლოება ან საქმე მას ჩემთვის არ გაუმხელია იმის მეტი, რომ მას ღმერთის იმედი ჰქონდა, როგორც მითხრა და მეც ჩამაგონა, საქართველო როდისმე განთავისუფლდებაო; სხვა რა გავლენა უნდა ჰქონოდათ მე არ ვიცი. არც ერთ მათგანს ჩემთან მიმოწერა არა ჰქონია და არც არა ულაპარაკნია რა.

14. გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძეს ვიცნობ პირადად 1830 წლიდან, მაგრამ შეთქმულების თაობაზე მე თვითონ მასთან არავითარი საუბარი არა მქონია. მხოლოდ გამიგონია თ. თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ მან ეს შეთქმულება იცის და სურს, მაგრამ ჯერ აღსრულების დრო არ არისო. (Что он знает о сем заговоре и желает, но только еще не время исполнить).

15. ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის მახლობლად ვერ ვიცნობდი, მაგრამ 1831 წ. ვყოფილვარ მასთან კვირა უქმე დღეებში და გამიგონია თ. ალექსანდრე ორბელიანოვისაგან, რომ მან შენიშნა მასში რუსეთის მთავრობისადმი ორგულობა და აჯანყების სურვილი, მაგრამ როგორ შენიშნა, ეს მე არ მიკითხავს მისთვის და არც მას უამბნია.

16. უფროსად ანუ პირველ პირად შეთქმულებისა არავინ ყოფილა გამოცხადებული, მე კი უფროსად თ. ალექსანდრე ორბელიანოვი მიმაჩნდა, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ წერილი კი არ მინახავს მე.

მე-13-ე პუნქტის დამატება: ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა: ერთმა ქადაგმა თქვა საბერძნეთი ამდენი და ამდენი წლის შემდეგ განთავისუფლდება და საქართველოც აგრეთვე ამდენი და ამდენი წლის შემდეგ განთავისუფლდებაო; ერთი წმინდა ბერი ლოცულობს და ეგების ღმერთმა მისი ვედრება ისმინოსო; მთხოვა დამეკალებინა ნაცნობი მღვდლებისათვის ილოცონ მის შესახებ და არ დაივიწყონ

იგი. თ. ელიზბარ ერისთოვისგან გავიგონე, რომ ჩვენი შეთქმულება დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილებმა იციანო.

ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

1833 წლის „ „ თებერვალი[1].

დიმიტრი ყიფიანის პასუხები (VI, 1113—1116)[2]

პასუხები კითხვითი პუნქტებზე ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელ დიმიტრი ყიფიანოვისა, ადაც გულწრფელად ვაღიარებ და ვამბობ ყველა იმას, რაც ფიცით შემიძლია დავამტკიცო.

1. სახელი ჩემი დიმიტრი; მამა ჩემის ნათლობის სახელი ივანე იყო; ცხოვრებაში კი მას ქოჩოს ეძახდნენ. მაქვს მეორე კლასის „ჩინი".

2. ოცდა ორი წლისა ვარ.

3. უცოლო ვარ, მყავს დედა და სამი უფროსი ძმა, რომელთაგან ერთი ცოლიანია და შვილებიცა ჰყავს; ერთი გაუთხოვარი დაი და გარდა ამისა მოხუცებული დედა და მამა, რომლებსაც ასე ეუწოდებ იმიტომ, რომ მათ რადგან შვილი არა ჰყავდათ რა, მე მიშვილეს მცირეწლობიდანვე და როგორც ქვევით იქნება ნათქვამი, კიდეც მზრდიდნენ. მთელ ამ ოჯახს უმეტეს წილად მე ვარჩენდი.

4. მამული მაქვს ჩემ ძმებთან საერთო და განუყოფელი გორის მაზრის სოფლებში: ქვიშხეთში, მოლითში, ზედუბანში, ნაბოძირში და ცარიელი ადგილი, სადაც წინათ სოფელი ვარდისუბანი იყო. იგი შედგება სახნავი და უხნავი მიწიდან, ერთი ვენახიდან და ორი კომლი გლეხისაგან, გარდა ამისა ტფილისში საკუთარ მიწაზე აშენებული ორი ქვიტკირის სახლი, რომლებიც ჩემი მამობილის პრაპორშჩიკ ფეოდოროვისა და მისი მეუღლის აზნაურ მარიამ ყიფიანოვის ასულის ნამოღვაწარია. საკუთრივ ჩემი შემოსავალი წელიწადში 840 მანეთამდე აღწევდა, რასაც სამსახურის ჯამაგირი და კერძო გაკვეთილების გასამრჯელო შეადგენდა. მე რომ ოჯახებში ან ჩემ სახლში მოწაფეებს ვასწავლიდი, ამის გარდა ჩემ დედობილ-მამობილთან ერთად წელიწადში 30 თუმანი სახლის ქირა შემოგვდიოდა ვერცხლით. რაც შეეხება პრაპორშჩიკ ფეოდოროვის წლიურ პენსიას

---

1 რიცხვი არ სწერია, კომისიაში 7 თებერვალს არის მიღებული.

2 მიღებულია კომისიაში 1833 წლის 7 თებერვალს.

300 მანეთს ასიგნაციებით, მხოლოდ მის მიერ დამსახურებისთვის აძლევენ და ამიტომ მე მასში წილს არ ვიდებ.

5. მე ვიზრდებოდი ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში. პროპ. ნიკიფორე ფეოდოროვისა და მისი მეუღლის აზნაურ მარიამ ყიფიანოვის ასულის მეცადინეობით, რომლებმაც მე მიშვილეს, რადგან თვითონ უშვილონი იყვნენ. მაგრამ ამასთან ერთად ჩემ აღზრდაში არა ნაკლებ მონაწილეობას იღებდა თვით მთავრობაც, რომელიც კურსის დასრულებამდე ყოველთვიურად ხუთ მანეთს ვერცხლად მაძლევდა.

6. მე ვმსახურობდი ტფილისის გიმნაზიაში და მისი ბრწყინვალების თ. პასკევიჩის დამტკიცების თანახმად ამა გიმნაზიის ჯერ პირველ და მერე მეორე კლასის მასწავლებლობას ვეწეოდი, ამას გარდა თავისუფალ დროს, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის გენერალ-მაიორ თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიწვევით საქართველოს თავადაზნაურთა სადეპუტატო-საკრებულოში ვთარჯიმნობდი. ლაშქრობაში არსად არ ვყოფილვარ, მაშასადამე არც სადმე დავჭრილვარ.

7. არასოდეს არ ვყოფილვარ არც პეტერბურგსა და მოსკოვში, არც კავკასიონის იქითა სხვა რომელიმე ქალაქში.

8. ქრისტიანობრივი მოვალეობის თანახმად კვირა-უქმე დღეს თითქმის მუდამ დავიარებოდი ეკლესიაში, თუ კი გარემოება ხელს მიწყობდა, ყოველ წელს ვზიარებულვარ.

9. სამართალსა და გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც ჯარიმა რამე გადამხდენია.

10. განძრახულებასა და შეთქმულებაზე პირველად თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვისაგან გავიგონე და იმან შემიყვანა ამ საქმეში სწორედ, თუმცა ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილოვიც დამნაშავეა, რომელმაც თ. ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანოვები გამაცნო. ერისთოვმა შემდეგი სიტყვები გამომიცხადა: „გამიგონე! მე შენ ერთ საიდუმლოს გეტყვი, მაგრამ ნუ გეშინია, კარგად მომისმინე: ჩვენ შევადგინეთ საზოგადოება, რომელიც აწყობს... ერთი სიტყვით, შეთქმულებას, რომლის მხურვალე მონაწილეც თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ის შენ გიცნობს და დაგვავალა როგორმე მასთან მიგიყვანოთ. რასაკვირველია, მე რომ არ ვიცოდე, რომ შენ უკვე ისეთ ასაკში ხარ, რომ შეგწევს შეგნება იგრძნო: თუ რას ნიშნავს სამშობლოსადმი სიყვარული და რომ შენში იგი არსებობს, — მე შენ არასოდეს არ გაგიმეღავნებდი. უნდა როგორმე გავანთავისუფლოთ საქართველო უსამართლო მმართველობისაგანო, თუმცა შემდეგ შენ თვითონ დაინახავ ყველაფერს მშვიდობით. —

გაცემით ვერ გამცემ, რადგან მარტონი ვართო“. ეს მოხდა, როგორც მახსოვს 1831 წლის დამლევს ან 1832 წლის დამდეგს, შუაღამის ჟამს (в полночный час) გარეთუბანში, ექიმი პრიპილი რომ სახლს აშენებს იმის გვერდით. ცისა და ქვეყნის ძეტი მოწმედ არავინა ყოფილა.

11. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის მე არავითარი მიზეზი არა მქონია, მხოლოდ ჩემი გამოუცდელობისა და გაუფრთხილებლობის გამო ვიყავ ჩათრეული. რამე მიზეზი რომ მქონოდა, გულწრფელად ვაღიარებდი.

12. ჩემ თავად არავითარი ღონისძიება არ მეგულებოდა, რომელსაც ჩვენი შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინება შესძლებოდა. მხოლოდ შარშან ოქტომბრის 19-ს გავიგონე იესე ფალავანდოვთან, რომელთანაც ვახშმად ვიყავ და სადაც აგრეთვე იყვნენ თავადები: პოდპორუჩიკი ელიზბარი, პრაპორშჩიკი დიმიტრი და კორნეტი გიორგი ერისთოვები; პოდპორუჩიკი ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგი ორბელიანოვები და მასწავლებელი ავთანდილოვი, რომ რათა ჩვენი განზრახვა შევასრულოთ, საჭიროა ყველამ ტფილისში ჩამოიყვანოს თავისი გლეხები, ვისაც რამდენი შეუძლია, აქ კი თვითონ იესე ფალავანდოვი თავს მოუყრის უქმად მოხეტიალე ლოთებს. წინასწარ კი უნდა ადგილობრივი უმაღლესი მოხელენი სადმე ვახშმად იქნენ მოწვეულნი; აქ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და გენერლები ყველა ამოვხოცოთ, შემდეგ თავს დავესხათ არტილერიის არსენალს, პურის მაღაზიებს, ჰაუპტვახტსა და სხვა სახაზინო ადგილებს; აბნაირად ხელთ ვიგდებთ რა თავიდანვე წარმატებას, უნდა ვეცადოთ ჩვენი მოქმედება საქართველოს სხვა ქალაქებზეც გავავრცელოთ, ვეცადნეთ თავს დავესხათ ჯარის ნაწილებს და გადუპრათ გზები საერთო შესაკრებლისკენ. ამის მეტი მე არც არა ვიცოდი რა და არც ვიცი.

13. არც ერთ ბატონიშვილთან ნაცნობობა არა მქონია და არც ვიცი შეთქმულებაზე მათ რა გავლენის მოხდენა შეეძლოთ. მაგრამ გამიგონია კი ელიზბარისა და მისი ძმის დიმიტრი ერისთოვთაგან რომ უნდა ვაცნობოთო რუსეთში მყოფ რომელიღაც ბატონიშვილს—და ამ დავალებას მე მიპირებდნენ. ერთხელ კიდევაც გადამიკრეს სიტყვა.

14. გენ.-მაიორ ჭავჭავაძესთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია, მხოლოდ ორჯერ გავიგონე მასზე. გიორგი ერისთოვისაგან, რომ მან მე შეთქმულება გამომიცხადა, რომ იგი ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებსო, და გასული წლის ნოემბრის 23-ს ელიზბარ ერისთოვისაგან, რომელმაც შემდეგი სიტყვები მითხრა: „ამ გვარად ყველა-

ფერი გათავდა! ჭავჭავაძემ თვალი ამიხილა და დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენ დიდად ვცდებით". ამის მეტი მე იმაზე არა ვიცი რა.

15. გუბერნატორად ყოფილ ზაველეისკისთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია, და იმაზე სრულებით არაფერი გაძიგონია და არც არა ვიცი რა.

16. შეთქმულების მეთაურად მე არავინა მგულებია და არც ვისგანვე გამიგონია რამე, — არა მგულებია იმიტომ, რომ ამ ბოროტგანმზრახველთა გაცნობის პირველი დღიდანვე, მე ისინი თავქარიახ თავნებურად მოაზროვნე ბრბოდ მიმაჩნდა, რომელთაც უსაქმურობის გამო ჩხირკედელაობისთვის მიუყვიათ ხელი.

ვალიარე რა ყველაფერი გულწრფელად სიცხადით ჩემს დანაშაულში მთავრობის წინააღმდეგ, იმ მთავრობის, რომელიც ჩვენს მიმართ ქველმოქმედებდა და რომლის მშვიდი მმართველობით, შეიძლება ითქვას, უზრუნველყოფილია ყველას საკუთრება და თვით სიცოცხლე — განა მე გავბედავ ოდნავ მაინც თავი გავიმართლო სულგრძელი მმართველობის წინა? განა შემიძლიან მე, ჯერ ახალგაზრდა ადამიანს, ჩემ დანაშაულს რამე დამსახურება დავუპირისპირო? არა მაგრამ მაინც შეუვარდები ფეხთა ქვეშე მამასა ჩვენსა ხელმწიფესა, რომელიც განვარისხეთ ჩვენ აულაგმავმა ძეთა მისთა, და არ შემიძლიან არ ვიქონიო იმედი, რომ მე შეწყალებული ვიქნები და მომეცემა დრო და შემთხვევა უნებური, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შეცოდება ჩემი დავფარო სამსახურისადმი გაასკეცებული ერთგულებით.

იმედი ყველაფერს სძლევს.

ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ ო ვ ი.

ზაალ ავთანდილაშვილის პასუხები (VI, 1119—1128)

1. მე ვიწოდები: ზაალ სტეფანეს ძე ავთანდილაშვილი, მასწავლებელი ვარ, მაქვს მე-10-ე კლასის „ჩინი".

2. ოცი წლისა ვარ.

3. უცოლო ვარ.

4. ჩემს მამულ-ქონებას შეადგენს პატარა ქვიტკირის სახლი ტფილისში, რომელშიაც ჩემი მშობლებითურთ ვცხოვრობ, ხუთი თუ ექვსი კომლი გლეხი და ბორჩალოს დისტანციის ორი თუ სამი აოხრებული სოფელი, რომლებიც მამიჩემის განკარგულებაშია და ამიტომ არ ვიცი ჩვენი წლიური შემოსავალი ერთად რას უდრის.

5. მე ვიზრდებოდი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (ეხლა გიმნაზია რაა) ჩემი მშობლის მეცადინეობით.

6. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნამდვილ სამსახური პირველად დავიწყე კავკასიის კორპუსის საველე საპროვიანტო კომისიაში. ლაშქრობაში არსად ვყოფილვარ.

7. ს. პეტერბურგსა და მოსკოვში არა ვყოფილვარ.

8. ქრისტიანებრივი წესის თანახმად უქმე დღეებში დავიარებოდი ეკლესიაში და ყოველწლივ ვზიარებულვარ.

9. სამართლისა და გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც ჯარიმა გადამხდენია.

10. თ. ვახტანგ ორბელიანოვს ვიცნობდი კეთილშობილთა სასწავლებლიდანვე, სადაც ერთადა ვსწავლობდით. თავისუფალ დროს ზოგჯერ დავიარებოდი მასთან. იგიც მეგობრულად მეპყრობოდა და მეც მივეჩვიე მას, მასთან ყოფნის დროს მიკითხავდა ხოლმე გაზეთებში აღწერილს პოლონეთის კამპანიის ამბებს, თან აქებდა პოლონელების რუსეთის წინააღმდეგ საქციელს, და ამგვარად თ. ვახტანგ ორბელიანოვი ყოველდღე თან და თან უფრო გულახდით მეპყრობოდა და ბოლოს 1831 წლის არ მახსოვს რომელ თვესა და რიცხვში, მან პირველად მითხრა, რომ ქართველი ბატონიშვილებიც დიდი ხანია ლაპარაკობენ მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვან ღონისძიებას ეძებენო. ამას გარდა მან თქვა აგრეთვე, რომ მისი პეტერბურგში ყოფნის დროს დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად იწვევდა თურმე იქ მყოფ თავის ნათესავ ახალგაზრდებსა და მათთან ერთად საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებაზე ბჭობდა. ამ განზრახულების ჩემთვის გაზიარების დროს, რაც ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ვისიმე დაუსწრებლად მოხდა, ვახტანგმა გამომიცხადა აგრეთვე, რომ შეთქმულება ოქროპირ ბატონიშვილმაც იცისო.

11. ჩემთვის შეთქმულების გამოცხადებაზე ვახტანგ ორბელიანოვის მეშვეობით გავიცანი მისი ძმა ალექსანდრე და თ. ელიზბარ ერისთოვი. როგორც ახალგაზრდა კაცი, ვცდილობდი გამეფართოვებინა ნაცნობების წრე, რომლებსაც შეეძლოთ საჭირო შემთხვევაში ჩემთვისა და ჩემი ოჯახისათვის დახმარება გაეწიათ; მაგრამ ყველა ჩემი იმედები ამაო გამოდგა, ჩემ საუბედურო მალე გავიგე მათი ნაცნობობის ჩემი დამღუპველი შედეგი. არავითარი მიზეზი არა მქონდა იმისთვის, რომ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში გავრეულიყავ, არაფერს არ შეეძლო დაეჩრდილა ჩემი მადლობა რუსეთის მიმართ, რომელმაც მომანიჭა არა მხოლოდ განათლება, ეს უძვირფასესი განძი ყოველი ადამიანისა, არამედ, გავბედავ მოხსენებად

ოვით არსებობაც კი. იმდენად უბედური რომ ვყოფილიყავ და ბატონიშვილების დროს დავბადებულიყავ. დიდი ხანია მიცემული ვიქნებოდი რომელიმე თავადის მსახურად. როგორც დაბალი წრის ჩამომავალი, რომელსაც მეფის სამსახურში თანამდებობის მიღების უფლება არა მქონდა. რასაკვირველია ჩემ წმინდა მოვალეობას შეადგენდა შეთქმულება მთავრობისათვის მომეხსენებინა, მაგრამ როგორც ჩემი ახალგაზრდობის, ისე ჩემივე გამოუცდელობის გამო ეს ვერ გადავწყვიტე. რაც შეეხება იმას, რომ მე მხოლოდ გარეგნულად ვიღებდი მონაწილეობას იმ ადამიანთა საუბრებში, რომელნიც განიზრახავდნენ იმ ჭეშმარიტი სიმშვიდის დარღვევას, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორის სამშვიდობო კვერთხის ქვეშ ყოველი ქართველი განიცდის, — მხოლოდ იმიტომ რომ არ ამემხედრებინა ჩემს წინააღმდეგ ეს თავადები, რომლებსაც წარჩინებულ თავადიშვილებთან აქვთ ნათესაური კავშირი და ადვილად შეეძლოთ დავესმინე ცილის წამებით მთავრობასთან და მისი ჩემდამი ნდობა დაერღვიათ; შეეძლოთ აგრეთვე ჩემი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ.

12. თავადებს: ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანოვსა და იასე ფალავანდოვს თავის ამქართან ერთად განზრახული ჰქონდათ თავისი აზრი სისრულეში შემდეგნაირად მოეყვანათ: პირველ ღამეს უნდა შეეკრიბათ საჭირო რაოდენობით ხალხი და თავს დასხმოდნენ რუსებს, განეიარაღებინათ იგინი, ხელში უნდა ჩაეგდოთ არსენალი, პროვიანტი და ხაზინა. ამ საშუალებებით უნდა თავი დაეცვათ, ვიდრე საქართველოს მაზრებიდან ხალხი მოეშველებოდა, მაზრებშიც უნდა შეეთვალნათ, რათა ისინიც ასე მოქცეულიყვნენ; ხოლო რომ საქართველო საბოლოოდ დაეცვათ რუსთა თავდასხმებისაგან, უნდა მიეწერათ ალექსანდრე ბატონიშვილისთვის, რომელსაც სპარსეთში ან მის საზღვრებზე უნდა ჯარი შეეგროვებინა და თბილისისაკენ წამოსულიყო. ამას გარდა აჯანყების მეორე დღეს უნდოდათ დაეარსებინათ სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ საქართველოს მმართველობა უნდა ჩაებარებინათ სეიმის წევრებისათვის, რომლებსაც საზოგადოება აირჩევდა. აი საშუალებები, რომლებსაც შეთქმულება წარმატებით უნდა დაეგვირგვინებინა.

13. ბატონიშვილებს ვერ ვიცნობ.

14. გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძეს ავრეთვე არ ვიცნობ და არც არასოდეს მასთან საუბრის შემთხვევა მქონია; მხოლოდ ელიზბარ ერისთოვი კი მეუბნებოდა, რომ გენ-მაიორ თ. ჭავჭავაძემ იცის შეთქმულების არსებობაო, რა მონაწილეობას იღებდა მასში — ეს კი არ ვიცი; ვიცი მხოლოდ, რომ უკანასკნელ დროს ელიზბარ ერისთოვმაც მითხრა, რომ თ. ჭავჭავაძე მის სურვილს ეწინააღმდეგება, არწ-

მუნებს რა, რომ ქართველებს არა აქვთ უფლება რუსის მთავრობას დაემდურონო.

15. ყოფილ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ბატონ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ზაველეისკის ვერ ვიცნობ. არ მახსოვს რა თვესა და რიცხვში ვხოლოდ ზავილეისკის გამგებლობის დროს კი იყო, ალექსანდრე ორბელიანი ჩიოდა აქაური დაწესებულებების მრავალ უკანონო მოქმედებაზე და მიაწერდა რა ყველა ამას ზაველეისკის — მითხრა, თითქოს ზაველეისკის მისთვის ეთქვას ქართველებს გძინავთ და ვერა გრძნობთ მთავრობა რანაირად გავიწროვებთო.

16. რადგან თ. თ. ელიზბარ ერისთოვი და ვახტანგ ორბელიანოვი მარწმუნებდნენ, რომ შეთქმულების დამწყებნი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები არიანო, ამიტომ შეთქმულების მთავარ პირებად მე ისინი მიმაჩნდა და თ. დიმიტრი ერისთოვმაც დაადასტურა ეს.

ვაღიარებ რა ყველაფერს გულწრფელად ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, არა ვკარგავ იმედს, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, რომელიც ჩემებრ დამნაშავეთათვის შეწყალებას არ იშურებს, მაპატიებს ჩემს შეცოდებას, რომელიც მხოლოდ ჩემი გამოუცდელობის შედეგია და თავისი სულგრძელობისა გამო არ მოუსპობს ჩემს მოხუც მშობლებს ერთად ერთ ნუგეშს და მეც მომცემს საშუალებას დავფარო ჩემი დანაშაული შემდეგში ერთგული და თავდადებული სამსახურით.

მასწავლებელი ზაალ სტეფანეს ძე ავთანდილაშვილი.

მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება (VII, 1136)[1]

„ქ. ერთხელ ცარევიჩს ფარნაოზისას, სადაც ლუარსაბ ცარევიჩიც იქ იყო, ვგონებ მისი ძმა დიმიტრიც ხუთნი ექვსნი იყვნენ და რომელნიც კორპუსებში იზრდებოდნენ ჭეშმარიტად, რომ სწორედ არ მახსოვს ვინ იყვნენ, ქართველებზედ ლაპარაკობდენ ზოგი აქებდა და ზოგი აძაგებდა ქართველებს, გიორგი ერისთოვი კი ჯავრობდა და, მაშინ მეცა ვსთქვი მართალია ქართველები ერთმანეთის შურნი არიან მეთქი, საკვირველი გიჟები ვართ ქართველები მეთქი. თუ წყლისა და ჰაერისაგან არის, სომხებიც იქ არა სცხოვრობენ მეთქი და ქართველებმა თუ თავის ყმას არ წაართვეს შინ პური არა აქვთ რომ

[1] კომისიაში თებერვლის 8-ს არის მიღებული.

ჭამონ მეთქი. ამაზე გიორგი უფრო გაჯავრდა და პირში ხელი ძაქა-ნა შენგან ვიღას ეკადრებაო, შეგხვდება ვინმე ჩემსავით კი არ და-გითმობსო წაგავლებს წვერში ხელსა და გათრევენო, ამაზედ რამ-დენიმე დღე გავიდა ხმაც აღარ გაუცია როცა მივიდოდი ხოლმე ცა-რევიჩს ფარნაოზთან და ბოლოს კი შემირიგდა.

ქ. ეგრეთვე დიმიტრიც (ერისთოვი) როცა მივიდოდი ბევრჯელ უყვედრებია ჭეშმარიტად უმიზეზოდ, ბერები რა სახმარნი არიანო სულ ერთიან სალდათად უნდა გაიყვანოს კაცმაო რა დაგიშავეს, და რა შეგცოდეს მეთქი, თუ დოსითეოზზედ ამბობ სხვათ რას ემართ-ლები მეთქი, იმაზედაც ვამბობ და სხვებზედაცაო, ჰეო მოჰკრეს პან-ღური და გამოაგდესო, თუ ის გამოაგდეს არც ბიძა შენი დაუკენე-ბიათ ისიც იქ არა არის მეთქი, აბა შენ ქალაქში და დედაკაცებში რას აკეთებ ან პუსტინაში ან კლდეში უნდა შეხვიდე სადმე და იქ ილო-ცოო, შენ ასეთი ცხვირი გიჩანს რომ კარგი კაცი არ გამოხვალ მეთქი და ამით განვშორდებოდი ხოლმე.

ივებერვლის 1. წელსა 1833.

მღვდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

ლუარსაბ ორბელიანის პასუხები (VII, 1141—1148)[1]

1. კავალერიის მაიორი თ. ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანოვი.

2. შობითგან ოცდაცხრამეტი წლისა ვარ.

3. ცოლად მყავს გენერალ-მაიორ თ. თამაზ ორბელიანოვის ქალი ანნა, მყავს ორი ქალი პირველი ელენე და მეორე. მარიამი, აგრეთვე ჩემი ძმის პოდპორუჩიკ დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი ცო-ლი მანანა და შვილები ივანე 8 წლისა და ანასტასია 7 წლისა და ალექსანდრე 5 წლისა ჩემი მზრუნველობის ქვეშ არიან.

4. მაქვს მამული ბორჩალოს დისტანციაში, ტფილისსა და მის მაზრაში, აგრეთვე მყავს გლეხები სხვა მაზრებში. წლიური შემოსა-ვალი გადაკვეთილი არ არის, შედგება ხოლმე ყოველწლიურად ფულითა და სანოვაგით საჭიროებისა და მოსავლის მიხედვით სა-მი ათასიდან შვიდი ათას მანეთამდე.

5. აწ გარდაცვლილმა მამა ჩემმა გენერალ-მაიორმა ივანემ, სა-ქართველოში გენერალ ციციანოვის ყოფნის დროს, მიმაბარა ტფი-ლისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც აღვიზარდე.

---

[1] სხვისი დაწერილია, ლ. ორბელიანს მხოლოდ ხელი მოუწერია.

6. სამხედრო მოქმედებაში ვყოფილვარ ვოლონტიორად და ვიყავი სპარსელების და თურქების წინააღმდეგ ლაშქრობაში მთავარმართებლების ტორმასოვისა და რტიშჩევის დროს, გუბერნატორ სტალის დროს, აგრეთვე მთიელთა წინააღმდეგ გენერალ ერმოლოვის დროს და ბოლოს თ. ვარშავსკის გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის დროს თურქების წინააღმდეგ. ხოლო სამხედრო მოქმედებებისა და ციხე-ქალაქების აღების დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის მიღებული მაქვს ჯილდოები.

7. არა ვყოფილვარ არასოდეს არც მოსკოვში და არც პეტერბურგში.

8. კვირა-უქმე დღეს მუდამ დავიარებოდი ეკლესიაში და ყოველ წელიწადს ვზიარებულვარ.

9. 1829 წელს ჩვენი გლეხების მილიციაში სამსახურზე ურჩობის გამო სასამართლოში ვიყავი მიცემული, მაგრამ სამხედრო სასამართლომ უმალვე გამამართლა.

10. 1831 წელს ერთხელ მივედი ჩემს დისწულთან, კოლეჟსკი სოვეტნიკის მელნიკოვის ცოლთან, რომლის სახლშიც ბინადრობდა მისი ძმა ელიზბარი, რომელიც იმჟამად შინ არ დამხვდა. ხოლო როდესაც მოვიდა და ვკითხე სად იყავი-მეთქი მან მიპასუხა: ჰაი, გაგწყვიტათ ღმერთმა თქვენ, ხანში შესული თავადებიო. მე შეუტიე, რას გვაგინებ მოხუცებს, რა დავაშავეთ, ჩვენ უსწავლელი ხალხი ვართ, თქვენ კი განათლებულები ხართ, კანონების კარგად მცოდნე, — ალბათ მთელ საქართველოს გაანათლებთ მეთქი. ამის შემდეგ მან მითხრა, რასაც გეტყვი დამიჯერეო. მე ვუპასუხე, ვნახოთ, რას მეტყვი-მეთქი. მაგრამ მან სხვა დროისთვის გადადო გამოცხადება, რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ვიყავი მელნიკოვისას, წამოსვლისას ელიზბარმა კარზე გამომაცილა და მითხრა: ლუარსაბ! შენცა და სხვა წარჩინებულ გვარებსაც გადასახლებას გიპირებენ და ქართველ თავადებს უნდათ აჯანყება მოახდინონო, ხოლო როდესაც მე ამის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, რომ ჩვენ აღარც გლეხები და აღარც მამულები აღარ შეგვრჩა და რა ვქნათ, როდესაც საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენ საშუალებას გვართმევენო!

11. მართალია, ჩემთან დაიარებოდნენ ზოგიერთი თავადები და საქართველოს განთავისუფლებაზე მელაპარაკებოდნენ, მაგრამ მე ამას არ ვუშლიდი, რადგან ვიცოდი, რომ მათი განზრახვა უსაფუძვლო იყო და უმოქმედოდ გათავდებოდა.

12. ბატონიშვილებთან ნაცნობობა არა მაქვს, ხოლო ოქროპირი რომ საქართველოში ჩამოვიდა, მე იგი ერთხელ ვინახულე, არც ერთ მათგანს ჩემზე არავითარი გავლენა არა ჰქონია, გავიგონე კი

ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანოვისაგან რომ შათ ამ განზრახულებაზე რჩევა აქვთ ოქროპირთან ამბობდნენ რა ამასთანავე, რომ ოქროპირი რუსეთში იმისთვის წავიდა, რათა რომელიღაც მდიდარი სენატორის ქალი შეირთოს და იქიდან კი სამოქმედოდ საფრანგეთში გაემგზავრებაო.

13. ჩემი და გათხოვილია გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძეზე უკვე 20 წელიწადია. მე მასთან ყოფნა მიხდებოდა და ერთხელ 1831 წელს პოლონეთის აჯანყების დროს, როდესაც იგი ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის სახლში ცხოვრობდა, ვუთხარი მას: — იცი თუ არა ახალი ამბავი, გუშინ მითხრეს, რომ ქართველ თავადებს სურთ და ემზადებიან აჯანყებისათვის და ამბობენ, რომ რუსებს განზრახვა აქვთ ზოგიერთი საგვარეულოები გადაასახლონ ნეთქი. მაგრამ ჭავჭავაძემ არ გაიზიარა და თქვა: ამაოდ ფიქრობენ ისინი ამაზე, ეს საქმე შეუძლებელია, ეს მადლია მფარველობის სამაგიეროდ? და არავითარი მიზეზის გამო არც გადასახლება უნდა მოხდესო (но Чавчавадзе не одобрил говоря: об этом напрасно они думают, это невозможное дело, это разве взамен защиты? и переселения ни по какой причине не должно быть). 1832 წელს იასე ფალავანდოვმა სია[1] რომ წამიკითხა, კვლავ მივედი თ. ჭავჭავაძესთან და ვუთხარი, თავადები ისევ ანახლებენ თავის განზრახულებას მეთქი, მან მიპასუხა ეს შეუძლებელი საქმეა, ხომ არ გაგიჟებულან და განა რუსები სპარსელებზე, თურქებზე და მთიელებზე უარესნი არიანო? მაგრამ მე მაინც ვთხოვე ნებართვა წარმედგინა მისთვის კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევი, რათა ამასაც ჩააგონოს, რომ ამ საქმეზე ხელი აიღოს. ჭავჭავაძის ნებართვით სამი დღის შემდეგ მე წავიყვანე მასთან საღამო ჟამზე ჩელოყაევი და ელიზბარი და როდესაც მივედით მასთან ელიზბარი დავტოვეთ ერთ ოთახში, სადაც მისი[2] ოჯახის წევრები იყვნენ და ჩვენ კი სხვა ოთახში გავედით და მაშინ ზაქარია ეუბნებოდა ჭავჭავაძეს თავადებს შენი იმედი აქვთო. მაგრამ ჭავჭავაძემ მას ამაზე უარი უთხრა და ეუბნებოდა, რომ ეს ცუდი საქმეა და ამაზე ფიქრი არ შეიძლებაო. ამნაირად ჩვენ დავბრუნდით ჩემს სახლში და ვუამბეთ ელიზბარს რომ ჭავჭავაძემ არ მოიწონა ეს უგუნური საქმე და ელიზბარმა აღგვითქვა რომ ამაზე აღარ ილაპარაკებენ და აღარც იფიქრებდა, რის გამოც ისინი ჩაჩუმდნენ და იმ დროიდან ჩემთვის აღარავის რა უთქვამს.

---

1. პირველი ღამის განკარგულება იგულისხმება.
2. ე. ი. ჭავჭავაძის.

15. ყოფილი გუბერნატორი ზავილეისკი გავიცანი მისი ჩემს დისწულ თ. ჭავჭავაძის ასულ ნინოსთან მეგობრობის გზით ტფილისში 1829 წელს და მხოლოდ ერთხელ, 1831 წელს, მგონია, მითხრა ალექსანდრე ორბელიანოვმა, რომ ეს განზრახულება ზაველეისკიმაც იცისო. მე კი მასთან ამ განზრახვაზე არასოდეს მილაპარაკნია.

16. მე უფროსად არავის ვცნობდი, მხოლოდ 1832 წელს უკანასკნელ თვეებში ერთხელ თ. იასე ფალავანდოვმა ელიზბარ ერისთოვის, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვის, კორნეტ გიორგი ერისთოვისა და კიდევ არ მახსოვს ვისი დასწრებით, მგონია კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევიც იქ იყო,— წამიკითხა სახელობითი სია იმ პირთა, რომელთაც უნდა შეესრულებინათ შეთქმულება. — აგრეთვე როცა მე ავად ვიყავ კორნეტმა გიორგი ერისთოვმა ამოიღო ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამავე საგნის თაობაზე და წამიკითხა, მაგრამ დაწვრილებით არ მახსოვს [1].

განვმარტე რა ყველა ეს კითხვები სათანადო პასუხებით სრული ჭეშმარიტებით, იმედი მაქვს, რომ ხელმწიფე იმპერატორი ყურადღებს ჩემს გულწრფელ მონანიებას და გარდამომივლენს მოწყალებას.

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

გიორგი რევაზის ძის ერისთავის პასუხები (VI, 1147 — 1150)

1. კორნეტი თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი.
2. დაბადებითგან ოცდა მეორე წელში ვარ.
3. უცოლო ვარ. მყავს დედა, და ორი ცოლშვილიანი ძმა.
4. მაქვს უძრავი ქონება გორის და დუშეთის მაზრებში. იგი შესდგებოდა ხუთას ორმოცდა ათი ოჯახისა ანუ კომლისაგან, რომელთა რიცხვიდანაც მთავრობამ ჩამომართვა ორას ორმოცდა ათი კომლი, ნაწილი ორი წლის წინათ, ნაწილი კი უკვე 18 წელიწადია. შემოსავალზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან შვიდი წელიწადი საქართველოდან წასული ვიყავ და ჩემს მამულს მე არასოდეს არ განვაგებდი, არამედ იქ ჩემი ძმები არიან და იმათ უნდა იცოდნენ ჩემი მამულის შემოსავალიც.
5. ათ წლამდე შინ ვიყავ დედაჩემთან, ათიდან თხუთმეტ წლამდე ვსწავლობდი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

[1] შესაძლებელია ის ქაღალდი საქართველოს მმართველობის პროექტი იყო.

შემდეგ დედამ წამიყვანა პეტერბურგში სამსახურში მისაცემად. მიმაბარეს გოდენიუსის პანსიონში, შემდეგ კი ბ-ნ ლორენცს. ბოლოს შევედი გვარდიის პოდპროპორშჩიკთა და იუნკერთა სკოლაში. ყოველად მოწყალე ჩვენი მონარქისა და მისი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძის მფარველობის ქვეშ.

6. ვიყავი მწყობრ ჯარში. სკოლაში ვახმისტრად ვიყავ. მივიღე მონაწილეობა პოლონეთის კომპანიაში,[1] ვიყავი ორდინატად გენერალ ბისტრომთან გვარდიის კორპუსის უკან დახევისა და შეტევის განმავლობაში, სადაც მივიღე სიმამაცისთვის სამხედრო ორდენი. შემდეგ ცოტა ხანს მის აღმატებულობასთან ვიყავ. ბოლოს ისევ ფრონტზე გამაწესეს და სადაც კი ჩვენი „პოლკი" მონაწილეობდა საქმეში, მეც ყველგან მასთან ვიყავ და თვით ვარშავაზე იერიშის დროსაც არც ერთი წამით არ მოვშორებივარ. მივიღე კიდევ სიმამაცისათვის ანნა მეოთხე ხარისხისა და ანნა მესამე ხარისხისა[2], აგრეთვე მედალი ვარშავის იერიშისათვის და Virtuti militari-ს კომპანიისათვის. დაჭრილი არა ვყოფილვარ.

7. 1825 წელს გავლით ვიყავი მოსკოვში და ამ დროიდან სულ პეტერბურგში ვიმყოფებოდი პოლონეთის კომპანიის დაწყებამდე. ლაშქრობიდან ზამთრის სადგომებში დაბრუნებულმა ვიგრძენი ნეკრესის ქარები და საშინელი ტკივილები, რაც მე ახლაც მტანჯავს. ამ მიზეზის გამო იქვე მივეცი განცხადება სამსახურიდან განთავისუფლებაზე, მაგრამ მისმა უმაღლესობამ კეთილინება ეს თხოვნა უკან წამეღო და შვებულება მეთხოვნა. მე შევასრულე მისი უმაღლესობის ბრძანება და პეტერბურგში დაბრუნებულმა მივიღე ოთხი თვით შვებულება. მოსკოვში რომ ჩავედი, უარესად გავხდი, ისე, რომ მგზავრობა აღარ შემეძლო და იძულებული ვიყავ იქ დავრჩენილიყავ ვიდრე ცოტას მოვჯობინდებოდი. ბოლოს ჩამოვედი აქ ივლისში.

8. ეკლესიაში ყოველთვის დავიარები, ორი წელიწადია არა ვზიარებულვარ ლაშქრობის მიზეზით.

9. არასოდეს არა ვყოფილვარ არც სამართალში და არც გამოძიების ქვეშ. არც არასოდეს ჯარიმა გადამიხდია.

10. პირდაპირ არავის არ უთქვამს, მაგრამ ყური მოვკარი პეტერბურგში. მე ამ ამბავს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი და არც მჯეროდა იგი. ამიტომ არც შემინიშნავს და არც მახსოვს სრულებით ვინა სთქვა იგი. ტფილისში ჩამოსულმა გავიგე თ. ელიზბარ ერისთავისაგან, რომ მართლა შეთქმულება ეწყობოდა, მაგრამ ვარშავის

---

1 აჯანყებული პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობა იგულისხმება.

2 სამხედრო ორდენები იყო.

აღების შემდეგ ის დაიშალარ. მართალია ის, რომ პეტერბურგში ვდა-ობდით ხოლმე, ე. ი. დიმიტრი ბატონიშვილი, თ. თ. ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვები, თ. დიმიტრი ორბელიანოვი, მე და თ. დავით ჯორჯაძე, ერთმანეთშორის საქართველოზე, შეუძლიან თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, აგრეთვე აქ მცხოვრები ხალხების ხასიათ-სა და უფლებებზე. მაგრამ საზოგადოების რამ მსგავსი ჩვენ სრუ-ლებით არაფერი არ შეგვიდგენია. ვლაპარაკობდით ხოლმე აგრეთვე იმ შევიწროებაზე, რომელსაც ჩვენი მემამულეები მთავრობისაგან განიცდიან. მგონია აგვისტოში მიწვეული ვიყავით თ. აფხაზოვის მიერ ვახშმად ბ-ნ დოდაევის სახლში: თ. ალექსანდრე ორბელია-ნოვი, თ. იასე ფალავანდოვი, თ. ელიზბარ ერისთოვი, თ. ვახტანგ ორბელიანოვი და მე. ვახშმის შემდეგ არ ვიცი რაზე ჩამოვარდა ლა-პარაკი. ბოლოს თ. ელიზბარ ერისთოვმა და ალექსანდრე ორბელი-ანოვმა გაგვიმარტეს ეს აზრი, როგორც მახსოვს: საქართველო ამ ჟამად უბედურ მდგომარეობაშია როგორც განათლების ისე მმართ-ველობის მხრივ, — როგორმე უნდა ვუშველოთ მასო. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა მოითხოვა ფიცი, რომ არავისთვის გაგვემხილა ის რაც იქ ითქმებოდა. ბოლოს ელიზ-ბარ ერისთოვმა თქვა, რომ უნდა გავთავისუფლდეთ რუსებისაგა-ნაო. მე ამ საუბარს ძალიან გულგრილად ვისმენდი, რადგან მე აქ-აურ საზოგადოებას არ ვიცნობდი და სულ სხვა საქმეებში ვიყავი გართული, ე. ი. ჩემი ძმები მინდოდა შემერიგებინა და რადგანაც ცოტა ხნით ვიყავ დათხოვნილი, ვცდილობდი საქმეები დამესრუ-ლებინა და პეტერბურგს გავმგზავრებულიყავ. ამიტომაც მე ამას სრულებით არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. ამის შემდეგ სო-ფელში წავედ, იქიდან რომ დავბრუნდი, თ. ალექსანდრე ორბელი-ანოვთან დამხვდნენ როგორც მახსოვს: თ. კაპიტანი ჩოლოყაევი და თ. ელიზბარ ერისთოვი, რომელმაც მითხრა: რას წვალობ და რა გწადიან, ახლა ხომ იცი რა მდგომარეობაშიაც არის შენი სახლი, შენი სამსახურისთვის ქონების ჩამორთმევითა ხარ დაჯილდოებუ-ლი, რომლის შემოსავალსაც მშვენივრად შეეძლო შენი უზრუნველ-ყოფა. ჩახვალ რუსეთში და ზიზღით გიცქერენ, რადგან შენ ქართვე-ლი ხარ, რიღას იმედი გაქვს. მე ახლად ჩამოსული კაცი ვარ, არა-ვის ვიცნობ და სრულებით არაფრით შემიძლიან თქვენი დახმარება ამ საქმეში, მაშასადამე მე ზედმეტი ადამიანი ვარ მეთქი, მივუგე მე.

11. ისეთ „პოლკში“ ვმსახურობ, რომ საჭიროა კარგი ქონება ჰქონდეს ადამიანს, რათა თავის უზრუნველყოფა შეეძლოს. მე შე-ვასრულე ჩემი მოვალეობა და სამსახურში რომ შევდიოდი, ვიმე-დოვნებდი ჩემი მამულიდან ჩემი უზრუნველსაყოფი შემოსავალი

ჰექნებოდა. ტფილისში ჩამოსვლისას კი გავიგე, რომ გრაფ პასკევიჩ ერივანსკის თ. ვარშავსკის საქართველოში ყოფნის დროს ჩემთვის ჩამოურთმევიათ ჩემი მამულის ნახევარი. მე კი ლაშქრობაში მყოფი ვერ წარმოვიდგენდი, რომ წამართმევდნენ მამულს, რომლის შემოსავალიც სამსახურის განგრძობის საშუალებას მაძლევდა. აგრეთვე ვხედავდი რა ჩემს თანამემამულეებს საცოდავ მდგომარეობაში, შევცდი ამ აზრზე. მაგრამ შემდეგში დავინახე რა ჩემი შეცდომა, სრულებით დავანებე ამაზე ფიქრს თავი.

12. სრულებით არავითარი საშუალება ამ შეთქმულების წარმატებით შესრულებისათვის მე არა მცოდნია რა და ამიტომ მეგონა, რომ ის თავისთავად დაიშლებოდა.

13. ყველა ბატონიშვილს ვიცნობდი: მოსკოვში 1825 წელს ვნახე: მიხეილი, ილია, ირაკლი და ოქროპირი, ამ უკანასკნელთან ეხლახან მოსკოვზე გამოვლის დროს მქონდა საუბარი საქართველოზე ისეთივე, როგორც მეათე კითხვაში გამოვაცხადე, მაგრამ ტფილისის საზოგადოებასა და შეთქმულებაზე მისგან სრულებით არაფერი გამიგონია. პეტერბურგში ვნახულობდით ბატონიშვილებს: მირიანს, ფარნაოზს, ბაგრატს, თეიმურაზს, ლუარსაბს და დიმიტრის, რომლებთანაც აგრეთვე მქონია საქართველოზე საუბარი, როგორც ზევით გამოვაცხადე. მათ ჩემზე არავითარი გავლენა არა ჰქონიათ და არც ის ვიცი, თუ შეთქმულება რამე ჰქონდათ.

14. ახალგაზრდობაშივე მინახავს გენ-მაიორი თ. ჭავჭავაძე, ვნახე იგი ახლაც, მაგრამ მასთან ამ განზრახვაზე არასოდეს არ მილაპარაკნია. მხოლოდ გამიგონია ბატონ ზავილეისკისგან, რომ ჭავჭავაძეს ჭეშმარიტად თავისი ქვეყნისთვის სიკეთე სურსო, გავიგონე აგრეთვე თ. ალექსანდრე ორბელიანოვისაგან და თ. ელ. ერისთოვისაგან რომ ის არასოდეს არ თანხმდებოდა და არც ამ საქმის მონაწილე იყო. შემდეგში კი გავიგონე თ. ელიზბარ ერისთოვისაგან და კაპიტან თ. ჩოლოყაევისაგან, რომ ის არ დათანხმდა და სთხოვა ეს საქმე მთლიანად მოესპოთ და აღარასოდეს აღარ ეფიქრათ ამაზე, — რის გამოც დაიშალა და მოისპო ეს საზოგადოება.

15. ივნისში მოსკოვში გამოვლის დროს გავიცანი ყოფილი გუბერნატორი ზავილეისკი. შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე სრულებით არაფერი ვიცი.

16. სრულებით არ ვიცი ვინ იყო ამ შეთქმულების მეთაური და ან პირველი პირი, ჩემთვის ეს არავის უთქვამს.

ლ. გვარდიის გუსართა პოლკის კორნეტი თ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

თებერვლის 8-ს
1833 წ.

ელიზბარ ერისთავის პასუხები კითხვით მუხლებზე
(VII, 1153 — 1156)

1. სახელი ჩემი ელიზბარ შანშეს ძე, თავადი ერისთოვი, ყოფილი პოდპორუჩიკი.

2. ოცდასამი წლისა ვარ.

3. უცოლო.

4. მყავს გლეხები განუყოფელი ბიძებთან და ძმებთან ერთად საქართველოში გორისა და დუშეთის აზრებში. ეს გლეხები ემსახურებიან ჩვენს სახლს პურით, ღვინით, ზოგჯერ ფულითაც, ხნავენ და საერთოდ ყველა სასოფლო სამუშაოს ასრულებენ.

5. მე ვიწვრთნებოდი ს. პეტერბურგში, სადაც შვიდი წელიწადი დავრჩი. პირველი ორი წელიწადი მამაჩემის ხარჯზე ვსწავლობდი, უკანასკნელ ხუთ წელიწადს კი საარტილერიო სკოლაში სახელმწიფო ხარჯზე ვიწვრთნებოდი.

6. ემსახურობდი არტილერიაში, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. ლაშქრობაში არ ვყოფილვარ.

7. პეტერბურგში 1823 წელს ჩავედი და საქართველოში 1830 წლის მარტის დამლევს დავბრუნდი. მოსკოვში გავლით ვიყავი, არა უმეტეს ერთი დღისა.

8. ეკლესიაში დღესასწაულებზე ყოველთვის დავდივარ და ყოველ წელიწადს ვეზიარები ხოლმე, მხოლოდ შარშან, თუმცა წირვა-ლოცვაზე ვიარე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვეღარ ვეზიარე.

9. დღემდე არც სასამართლოსა და გამოძიების ქვეშ და არც დაკარიმებული არა ვყოფილვარ.

10. პეტერბურგში უქმეებზე დავიარებოდი ფარნაოზ ბატონიშვილთან და დიმიტრი ბატონიშვილსაც ვხვდებოდი ხოლმე, ამ უკანასკნელთან თავს იყრიდნენ თავადები: ალექსანდრე ჩელოყაევი, დიმიტრი ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით ჯორჯაძე, გიორგი ერისთოვი, დიმიტრი ერისთოვი და მეც, სადაც ჩვეულებრივი ბაასის შემდეგ დიმიტრი ბატონიშვილი იწყებდა ხოლმე საუბარს საქართველოზე, დაგვცინოდა ჩვენ, მხდალებს გვიწოდებდა, ამბობდა, რომ ქართველებში მებრძოლი სულისკვეთება ჩაქრაო და ამგვარი სიტყვებით ჩვენ ეს დამღუპველი აზრი შთაგვინერგა. ამ სიტყვებით გველაპარაკებოდა: „თქვენ უნდა იზრუნოთ საქართველოს თავისუფლებაზე, თქვენ, ახალმა თაობამ უნდა მოუპოვოთ საქართველოს თავისუფლებაო. თქვენ უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი და საგვარეულო შუღლი და უკმაყოფილება დაივიწყოთო. საჭიროა, რათა რომე-

ლიმე ჩვენი ბატონიშვილთაგანი საფრანგეთში წავიდესო, მაგრამ ჩვენ ამისთვის არც შეძლება და არც გამბედაობა არ შეგვწევსო".

და ამგვარად დიმიტრი ბატონიშვილმა შთაგვინერგა ჩვენ ეს დამღუპველი სულელური ქიმერა — საქართველოს განთავისუფლება და ამ შთაგონებით მე სამუდამოდ დამღუპა.

1830 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში პეტერბურგიდან გამოძეზავრების წინ დამიბარა დიმიტრი ბატონიშვილმა და მითხრა: „შენ მიდიხარ საქართველოში, გახსოვდეს ჩემი სიტყვები, რასაც მე თქვენ ყველას შთაგაგონებდით, რომ საქართველოს განთავისუფლებას უნდა ეცადოთო". ამასთანავე მომცა საფოსტო ქაღალდის ნახევარი ფურცელი, რომელიც ადგილ-ადგილ ამოჭრილი იყო, მეორე ამისთანა კი თვითონ დაიტოვა და მითხრა: „ამ ქაღალდის საშუალებით შემატყობინე ხოლმე შემდეგში, რასაც ამ საქმის გამო მოახერხებო". მე ჯერ ქვეყნისა არაფერი ვიცოდი, არც ხალხს ვიცნობდი, ის ის იყო ქვეყანაში გამოვდიოდი და ფიქრით უკვე დამნაშავე ვიყავი.

ფარნაოზ ბატონიშვილთან დავიარებოდი, მაგრამ მას ამ საგანზე არაფერი უთქვამს. ის მირჩევდა სწავლაში ბეჯითი ვყოფილიყავ; და ჩემი გამომგზავრების წინ წამიკითხა მისდამი (იმერეთში, სადაც ის ცხოვრობდა) იმ დროინდელი საქართველოს გამგებელი გენერლის მიერ მიწერილი წერილები, რომელიც არწმუნებდა მიებაძა სხვა ბატონიშვილებისათვის და თავისი ნებით წასულიყო რუსეთში. წამიკითხა აგრეთვე მაშინდელი მანიფესტი, მირჩევდა საქართველოში ყველასთან ტკბილად ვყოფილიყავ და დამევიწყებინა საგვარეულო შუღლი, ამასთანავე მითხრა, რომ მამაშენმა მრავალი უსიამოვნება მიაყენა ჩვენს სახლსა და განსაკუთრებით კი მეო, მაგრამ უკვე ყველაფერი დავივიწყე და მამა შენს სალამი გადაეცეო".

საქართველოში რომ ჩამოვედი, ვახტანგ ორბელიანოვმა, რომელიც ჩემზე ადრე იყო ჩამოსული, მითხრა, რომ მისი ძმა სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვიც საქართველოს განთავისუფლების შესახებ ჩვენი აზრისაა, და მე პირველად იგი გავიცანი და ვესაუბრე მას ტფილისში 1831 წლის იანვარში. საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ ვლაპარაკობდით რომ საჭიროა პარტია შევადგინოთო. იმავე წელს ზაფხულში იმ საფოსტო ქაღალდის საშუალებით დიმიტრი ბატონიშვილს მივწერე, ალექსანდრე ორბელიანოვი გავიცანი და შეთქმულების მოწყობას შევუდექით მეთქი. წერილის ბოლოში ალექსანდრე ორბელიანოვმა თავისი მხრით ბატონიშვილისადმი მოკითხვა მიაწერა. ამ წერილზე პასუხი არ მიმიღია და შემდეგ კიდევ მივწერე ერთხელ, შინაარსი იგივე იყო, არც იმაზე

მიმიღია პასუხი, ამის შემდეგ ის ქაღალდი დავხიე და მას მერე ბატონიშვილისთვის აღარაფერი მიმიწერია.

11. როგორც მე-10-ე პუნქტში უკვე განვმარტე, პირველი აზრი მომცა ანუ ასე ვთქვათ მომამზადა ამ დაღუპვისათვის დიმიტრი ბატონიშვილმა, და გარდა ამისა 1830 წელს მთავრობამ ჩამოგვართვა ყველა ერისთავებს გამოუძიებლად და სასამართლოს გარეშე ოსეთის მამულის ნაწილი.

12. საშუალება არავითარი ჩვენ არა გვქონია, მხოლოდ თავად-აზნაურთა თანხმობაზე ვამყარებდით იმედს (но только надеялись на согласие князей и дворян). სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი ამბობდა, რომ მდაბიო ხალხი შეგვიძლია ავაღელვოთ, თუ ხმებს დავყრით, რომ სამხედრო ბეგარის შემოღებას აპირებენო და სხვა არავითარი საშუალება ჩვენ არა გვქონია.

13. ს. პეტერბურგში ყველა იქ მყოფ ბატონიშვილს ვიცნობდი: მაგრამ დიმიტრი ბატონიშვილის გარდა, რომლის შესახებაც ზევით განვმარტე, ამ შეთქმულების თაობაზე საუბარი არავისთანა ჰქონია.

14. გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე 1830 წელს გავიცანი. მე მასთან ამ შეთქმულებაზე არაფერი მილაპარაკნია. 1831 წელს გამოვუცხადე ჩვენი განზრახვა მაიორს თავად ლუარსაბ ორბელიანოვს და მან მითხრა, რომ ის ამის შესახებ მოელაპარაკება ჭავჭავაძეს. რამოდენიმე დღის შემდეგ მე და ალექსანდრე ორბელიანოვი მივედით ლ. ორბელიანოვთან და ვკითხეთ ჭავჭავაძეზე, მან ჩვენ გვიპასუხა ამ სიტყვებით: „ჭავჭავაძე თანახმაა და ბრძანა ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცის გაგზავნა, რათა ის კახეთს გამოვიდეს. დანარჩენი თვითონ იცის რასაც გააკეთებსო. ალექსანდრე ორბელიანმა იდვა თავს კაცის გაგზავნა, მაგრამ ვინ გაგზავნა ან რა პასუხი მიიღო არ ვიცი. 1832 წელს ლუარსაბ ორბელიანოვი კვლავ ესაუბრა ჭავჭავაძეს და ამ უკანასკნელმა უბრძანა მიეყვანა მასთან კაპიტანი ჩოლოყაევი, ეს იყო დეკემბრის 4-ს. მათ ორივემ ისაუბრეს ჭავჭავაძესთან და მერე მე მითხრეს, რომ თ. ჭავჭავაძე გვირჩევს და ბრძანა დავწყნარდეთ და ამაზე ფიქრს თავი დავანებოთო, და რომ ისინი ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი ჩოლოყაევი ხელს აიღებენ და მეც ამის შემდეგ სრულებით ხელი ავიღე.

15. გუბერნატორად ყოფილ ზავილეისკის არ ვიცნობ და მის ამ განზრახვაში მონაწილეობაზე არაფერი ვიცი.

16. უფროსად არავინ დაგვინიშნავს, არც მთავარი პირი ვინმე,

ტყოლია. ვინც კი იცოდა, არავის არ უნდოდა მონაწილეობა მიეღო კენერალ ბავბავაძის გარეშე.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

8 თებერვალი 1833 წელი.

იოანე ერისთოვის პასუხები (VII, 1150-1160)

1. მე მქვიან იოანე მიხაილის შვილი ერისთოვი გადამდგარი პოდპორუჩიკი.

2. მე ვარ ოცდა მეცამეტე წლისა.

3. ცოლი მყავს ივანე აფხაზის ქალი. ერთი ვაჟი მყავს და ერთი ქალი პატარები.

4. ყმა და მამული მაქვს გორისა და ტფილისის უეზდებში სამას კომლამდე წელს შემოსავალი არ ვიცი სწორეთ რა შემომივიდა. ღვინისა და პურის შემოსავალი მაქვს და სხვა რიგად როგორც დამ-ჭირდება საქართველოს ჩვეულებრისამებრ ვიმსახურებ ჩემთ ყმათ.

5. მე ვსწავლობდი განსვენებულს ბიძა ჩამთან ვარლამ მიტროპო-ლიტთან ტფილისს და ცოტა ხანს ტფილისის სასწავლებელშიც ვიყავ.

6. მე ვემსახურებოდი იუნკერად 21-ის არტილერიის ბრეღათში და იქიდან იმავე ჩინით გამიყვანეს ღრუზინსკის ღარნადერის პოლკ-ში პახოდში ვიყავ ლეკებში კაფის დარის ომში არ დავჭრილვარ არსადა სახლის საჭიროებისათვის გადავდექ პოდპორუჩიკათ.

7. არა ვყოფილვარ არც პეტერბურღში და არც მოსკოვში.

8. ყოველწლივ და უკლებლად მივიღებ წმიდას საიდუმლოსა და არც დღესასწაულის დღეს დავაკლდები წირვის მოუსმენლად.

9. პოდსუდში მიმცა ზაველეისკიმ ისპრავნიკის დანოსით მითომც მე არ შევიტანე თავის დროზე სახელმწიფოთ ნასყიდი პური რომ-ლისთვისაც გამამართლა სუდაირასპრავმა და სუდისა და სლესტვი-ისაგან თავისუფალ მყვეს.

10. მე არავისგან არც გამიგონია, არც არავის უთქვამს, ან რა შეთქმულება ჰქონდათ ვისმე არც ის ვიცი რომელიც შემიძლიან დავამტკიცო განსაწმენდელის ფიცით.

11. რისთვის შევირყეოდი მე მართებლობასა ზედა, რომლისგა-ნაც დღეს იმისიც მოწყალებითა ვცხოვრობ საკუთრათ მე რომელიც ქვეყანამ უწყის და ან რა გაჭირვება მქონდა.

12. არა რაიმე ფიქრის მქონეს არცა რა რაიმე იმედი მქონია ღმერთს ვფიცავ.

13. ყოველი ბატონიშვილები სულ მამაჩემმა გადარეკა პირველათ იმერეთსა და მე იმის შვილს რა ცნობა მექნება და ან რათ გამიცნობდნენ არც ერთის ბატონიშვილს არც ცნობა მაქვს და არც კი მინახავან თუ რა სახისანი არიან.

14. ცნობით კი ვიცნობ რომ ეს ჭავჭავაძე არის მეთქი არც ჩემს დღეში იმის სახლში ვყოფილვარ არც თითქმის ლაპარაკითაც არ ბილაპარაკნია.

15. არამც თუ მე ზავილევსკის ვიცნობდე ასეთი მწუხარებაები და უსამართლობა მომაყენა რომ ჩემგან იმაზე შეტანილი არზები პანკრატევთან დღესაც მთავარმართებლის კანცელარიაშია და იქიდგანა ჰსცნობთ და მთელმა ქალაქმა უწყის.

16. ვინ უნდა მეცნო პირველს ნაჩალნიკათ ან მეორეთა რომ არაფერი არა ვიცი რა ამ შეთქმულების რომელიც სწორეს და ჭეშმარიტს ქრისტიანეს შემიძლიან ყოველსავე ზედა დავიფიცო მტეროების შეწამებისა არ ვიცი თორემ მე არაფერი არა ვიცირა.

გარდამდგარი პოდპორუჩიკი თავადი იოანე ერისთოვი.

თეიმურაზ ამილახვრის პასუხები (VII, 1167-1168)

პასუხნი კითხვითი მუხლებზედა. პრაპორჩიკისა თავადის თეიმურაზ ამილახვაროვისა, რომელთაცა ზედა კომისია მთხოვს მე გულწრფელსა ახსარებასა და ესრეთსა რომლისაცა დამტკიცება შემიძლიან მე ფიცით.

თფილისს თებერვლის 8-ს ჩყლყ წელსა.

ა. მე მქვიან თეიმურაზ მამისა ჩემისა სახელი იყო ივანე ჩინი მაქვს პრაპორჩიკობისა.

ბ. მე ვარ ოცდარვისა.

გ. ცოლიანი ვარ. ჩემი ცოლი არის ფავლენიანთ ქალი. ორი უცოლო ძმა მყავს. მე მყავს ორი შვილი. ერთი ვაჟი და ერთი ქალი.

დ. ჩემს ძმებთან ვარ გაუყრელი გვყავს სამოცი კომლი აზნაურთა ერთი სოფელი მაქვს საკუთარი რომელშიაცა ოცდა სამი კომლი კაცი დგას დანარჩომნი ჩემი კაცები გორის უეზდში და დუშეთის უეზდში თავთავის მამულზედ დგანან. და ყველგან სამილახვრის მამულში წილი მიძევს. გორის უეზდში მაქვს ოთხი ვენახი ყმიდ-

გან და მამულიდგან ყოველივე ჩემი შამოსავალი იქნება ოთხი ათასი მანეთი თეთრი ფული.

ე. მე ვარ ჩემის დედისაგან გაზრდილი ჩემს სახლში.

ვ. ჩუკვ როდესაც ერმოლოვმან გაგზავნა ქართველები აშლილის ყიზილბაშების პირისპირ დავესწარ სუდაგანის ომში. მე მერე კნიაზ პასკევიჩის მოწოდებით წაველ მე კვალად სხვათა ქართველთა შორის სპარსეთში და დავესწარ ომში რომელიც პირველათ მოგვიხდა არეზ გალმა სადაც დამარცხდა აბაზ მირზა შემდგომ ვიყავ აბაზ აბათის აღებაში მემრე ურდობათისაში, ამის შემდგომ სარდარაბათის აღებაში და დასასრულ ერევნის აღებაში და არსად არ დავჭრილვარ.

ზ. არც პეტერბურგში და არც მოსკოვში არა ვყოფილვარ.

ᲗᲐ. რომელიცა ქრისტიანობის ვალის არის ეკლესიაშიც დავდიოდი და ყოველთვის წმინდა საიდუმლო მიმიღია ყოველს წელიწადსა.

თ. არც გამოძიებაში ვყოფილვარ აქამომდე და პოდსუდში არცა შტრაფი გამომირთმევია.

ი. ათას რვაას ოცდა თერთმეტში ჩამოველ ქალაქში ჩემის საქმის გულისთვის როდესაც ჩამოვიარე სასამართლოს წინ და დამხვდა ალექსანდრე ორბელიანოვი სოვეტნიკი. ის იდგა თავის სახლის წინ და დამიძახა და მიველ. ჩამკიდა ხელი და ამატარა და ჩამატარა. დამიწყო ლაპარაკი ჯერ სხვასა მელაპარაკა და მემრე მითხრა ერთი საიდუმლო საქმე მაქსო სათქმელიო და არ გამცეო: პოლშელებს ასრე შეუწუხებია რუსეთიო რომ უკანასკნელს განწირულებაში არიანო არღარა შეუძლიანთ რაო და ჩვენც ასრე ვართ შაწუხებულნი და ახლა ჩვენც შაგვიძლიან ამათის ხელიდგან დავიხსნათო და განთავისუფლდეთო. და მეც მყავს ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გაგზავნილიო და ამათი შაწუხება მიმიწერია რომ რუსთ აღარა შაუძლიანთ რაო. და შენც აქ წამოდი რამდენიმეს ჯარითაო და ამ ლაპარაკშია არავინ დაგვსწრებია.

ია. სახელდობრ მე განმამღვიძებელი მიზეზი არა მქონია რა არავითარი მე მართებლობისა წინააღმდეგს შეთქმულებაზედ და არცა რა რას შეუყვანივარ იმაში თუ მე შეყვანილი და გაღვიძებული ვყოფილიყავი. მე ამ საქმისა ბევრი მეცოდინებოდა. და წლევანდელს დაწყობილობასაც შემატყობინებდნენ თუ მქონოდა რამ მართლად მიზეზი გულს წრფელობით გამოვაცხადებდი ალექსანდრე ორბელიანოვმან თუმცა მითხრა მე მაგრამ მისი სიტყვა არაფრად მივიჩნივე.

იბ. მე არაფერი ღონისძიება არა მქონია რა და არც არა სხვისგან გამიგონია არა ამაზედ.

იგ. არავითარი ცნობა არა მქონია არც ერთ მეფის შვილებთან და არც არა იმაზედ გამიგონია რა.

იდ. თავადს ჭავჭავაძესთან მე არავითარი ცნობა არა მქონია რა მხოლოდ ამას გარდა როდესაც ალექსანდრემ ორბელიანოვმან გამომიცხადა მაშინ მითხრა რომ ეს საქმე ალექსანდრე ჭავჭავაძემაც იცისო.

იე. გუბერნატორათ ყოფილს ზაველისკის მე ვერ ვიცნობდი და არცა რა გამიგონია ამაზედ.

ივ. ამ შეთქმულების მთავრად მე არავის ვრაცხდი და არცა რა ვიცი რა ამა ზემოხსენებულისა პუნქტებად გამომიცხადებია რა სრულის გულის წმინდით ყოველივე რაც ვიცოდი დაუმალავად თუმცა ჩემს თავს ამა დანაშაულში ვერა გავამართლებ მაგრამ მაქს იმედი რომ ყოვლად მოწყალემ ხელმწიფე იმპერატორმა გულშემატკივნემ მამამ მომიტეოს და დამაფარვინოს ჩემი დანაშაულობა სისხლითა ჩემითა რომელიცა არცა აქამომდე ვზოგავდი არცა მე და არცა სახლი ჩემი.

პრაპორშჩიკი თავადი თეიმურაზ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ვ ი.

ბარძიმ ამილახვრის პასუხები (VII, 1175-1176)

1. თავადი ბარძიმ დავითის ძე ამილახვაროვი. ჩინი არა მაქვს.
2. დაბადებით 52 წლისა ვარ.
3. ცოლად მყავს თავად გიორგი ფალავანდოვის ქალი მაია. შვილები მყავს: გივი 21 წლისა, იოსები 18-სა და დავითი 10 წლისა და შვილისშვილები — გივის შვილები: ივანე 4 წლისა, ნიკოლოზი 2-სა და მიხეილი 1 წლისა.
4. მამულები მაქვს გორისა და თბილისის მაზრებში და ბორჩალოს დისტანციაში. შემოსავალი მოსავლიანობის მიხედვით აღწევს წლიურად სამი ათას მანეთამდე ვერცხლით, ზოგჯერ კი უფრო მეტსაც სურსათითა და ნაღდი ფულით.
5. მე აღზრდა არსად არ მიმიღია და არავითარი წერა-კითხვა მე არ ვიცი.
6. მე ვიყავი მოხალისედ საქართველოს მთავარ მართებელ ტორმასოვთან ოსების წინააღმდეგ და მაშინ მე შევიპყარი ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ბატონიშვილ ლევან იულონის ძისთან გამოგზავნილი კაცები სხვა და სხვა ქაღალდებითურთ და წა-

რუდგინე რუსეთის მართველობას, ვიყავი აგრეთვე ოსების წინააღმდეგ ექსპედიციაში გენერალ მაიორ სტალის უფროსობით და ბოლოს 1826 წელს ირანელების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის სამფლობელოებში შემოიჭრნენ, მაგრამ არსად დაჭრილი არა ვყოფილვარ.

7. არასოდეს არა ვყოფილვარ არც ს. პეტერბურგში და არც მოსკოვში.

8. მე მუდამ დავიარებოდი კვირა-უქმე დღეებში ეკლესიაში და ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. სასამართლოსა და გამოძიების ქვეშ არასოდეს არა ვყოფილვარ, ჯარიმა არასოდეს გადამხდენია და არც სასჯელი რამე მქონია დადებული.

10. 1831 წელს თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი მოვიდა ჩვენს სოფელს ჭალაში თავის ნათესავ პრაპორშჩიკ თეიმურაზ ამილახვაროვთან, და როდესაც მე იგი დავპატიჟე ჩემთან ჩაიზე, მან თან მოიყვანა აგრეთვე თეიმურაზიც და როდესაც მათ საუბარი დაიწყეს, გიორგი ამბობდა, რომ პოლონეთში ახლა არეულობაა და რუსები უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანესო, აღარ მახსოვს იგივე განაგრძობდა თუ თეიმურაზი მოჰყვებოდა, რომ საქართველოშიც რომ მოხდეს არეულობა, ჩვენ მაშინ რა უნდა ვქნათო. მე უპასუხე: ღმერთმა დაიფაროს, რომ რამე მოხდეს მეთქი. რა დააკლეს თურქეთის სულთანმა და ირანის შაჰმა რუსებს — პოლონეთმა რა უნდა დააკლოს მეთქი. თუმცა იმ დროს ჩემთან იყვნენ თავადი ლევან ერისთოვი და დავით ჯორჯაძე, მაგრამ ეს საუბარი მათ არ გაუგონიათ. მეორე დღეს ყველა ესენი გაემგზავრნენ დღეობაზე არბოში.

11. მე არ შევსულვარ შეთქმულებაში და არც განმიცხადებია მთავრობის საწინააღმდეგო რამეში თანხმობა.

12. არავითარი საშუალება შეთქმულებისთვის მე არ ვიცოდი.

13. არც ერთ ბატონიშვილს არ ვიცნობ და არც რამე ყურადღება აქვთ მათ ჩემზე, და ამათზე არც არა ვიცი რა.

14. გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძესთან ახლო ნაცნობობა არა მაქვს. მე მასთან შეთქმულებაზე საუბარი არასოდეს მომხდენია და არც არავისგან რა გამიგონია მის მონაწილეობაზე განზრახულებაში.

15. გუბერნატორად ყოფილ ზაველეისკის არ ვიცნობ და განზრახულებაში მისი მონაწილეობის შესახებ არავისგან რა გამიგონია.

16. არავის არც შეთქმულების მეთაურად ვთვლიდი და ამის შესახებ არც არა ვიცი რა.

ივანე ამილახვრის პასუხები (VII, 1181-1182)

ა. ჩემი სახელი არის ივანე და მამის ჩემისა იყო ნიკოლოზ ჩინი არა მაქვს.

ბ. წლისა ვგონებ ვარ ოცისა სრული.

გ. მყვანდა მე მეუღლედ პოდპოლკოვნიკ იოსებ კალატოზოვის ქალი, დამრჩა შვილი — ქალი ერთი, მე ვარ ქვრივად მყავს დედა და ერთი უმცროსი ძმა.

დ. მე არ ვიცი სწორედ ჩემი ყმა და მამული და არც შემოსავალი. მყვანან აპეკუნები და აპეკას ეკითხოს.

ე. დედა ჩემის მეცადინეობით აღვიზარდე საკეთილშობილო სასწავლებელში ვიყავ ხუთი წელიწადი.

ვ. არც სამსახურში ვყოფილვარ და არც პოხოდებში.

ზ. არც მოსკოვს ვყოფილვარ და არც პეტერბურგს.

Თ. ქრისტიანობრივი ჩვეულებით საყდარსაც დავდიოდი და წმინდა საიდუმლოც მიმიღია.

თ. არც სამართალ ქვეშ ვყოფილვარ, არც შტრაფ ქვეშ და არც სლედსტვიის ქვეშ.

ი. პირველ შევიტყე გიორგი დავითის ძის ერისთოვისაგან ამ ოთხის წლის წინათ მითხრა მარტოკანი ვიყავით იქნებ ამ ცოტა ხანში ბუნტი მოხდეს შენ რასა იქო. მე უპასუხე რასაც სხვა იქს ის მე უნდა ვქნა მეთქი ეს საქმეო ბარძიმ დავითის ძე ამილახვარმაც იცისო მე არ დაუჯერე და აღარც არა მიკითხავს რა და წავიდა შემდგომში მითხრა ამისთანავე სიტყვები სახლიკაცმა ჩემა ბარძიმ დავითის ძე ამილახვარმა იმასაც ისეთივე პასუხი მივე და ყური არ უგდევ რადგანც იყო ჩემი არა კეთილის მდომელი ვიცოდი კარგს არას მეტყოლა ამ საქმემ გაიარა და მასუკან აღარც არა შემიტყვია რა და არც არავისთვის მითქვამს.

ია. არც არა მიზეზს შეუყვანივარ და არც გამხდარვარ მართებლობის წინააღმდგომი.

იბ. გარდა ჩემს ხელმწიფის მეტისა არც არავითარი ღონისძიება მედო გულში და არცა ვის შეუძლია სხვასა ჩვენი პატრონობა.

იგ. არც არავისი ბატონიშვილების ცნობა მაქვს და ვერც არავინ მიცნობს.

იდ. ვერც ღენერალ ჭავჭავაძეს ვიცნობ და ვერც ის მიცნობს და არც არა გამიგია რამე.

იე. ვერც მყოფ გუბერნატორს ზაველევსკის ვიცნობ და ვერც ის მიცნობს მხოლოდ გამეგონა ეს ღუბერნატორიაო.

ივ. გარდა ჩემის მართველობისა არც არავინ მთავრად მგონებია არც არავისი გამიგონია და ეს მკახნი ლექსნი არც ამის მეტად გამიგონია რომელიც ფიციოთაც შემიძლიან რომ დავიფიცო.

სიმართლით და ყოვლის უკლებლად მოვახსენებ კომისიას ამის მეტი არა ვიცი რა.

თებერელის მე-10 ჩყლგსა წელსა თავადი იოანე ნიკოლოზის ძე
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ვ ი.

ზაქარია ციციშვილის პასუხები (VII, 1189-1190)

1. სახელი და გვარი არის ჩემი ზაქარია ციციანოვი დაეითის ძე მაქვს ჩინი პროპორშჩიკისა.

2. ვარ წლისა ოცდა შვიდისა.

3. მყავს ცოლად ასული თავადი იოვანე ამილახვაროვისა თინათინ ვაჟი იასე და ქალი დარია, დედა და ორი მცირე წლოვანნი ძმანი.

4. მყავს გორის უეზდში ყმა ოცდახუთი კომლი და გვარეული მამული რომელიც მოიცავს თვის შორის წისქვილსა ვენახითა და სახნავით მიწებითა და მთასა რომელთაგან შემოსავალი არა ყოველგზის შემოდის ერთგვარი და ამისთვის მათის რაოდენობის განსაზღვრა არ შემიძლიან და ყოველთვის იმითი ვასაზრდოებდი, ჩემს სახლობასა.

5. მეცადინეობითა ჩემთა მშობელთა სახლისა შინა მაო გავიზარდე.

6. ჩყკვ წელსა და დროსა სპარსეთის კომპანიისა ვიმყოფებოდი მე ღენერალ-მაიორს დავიდთან რიცხვსა შორის საქართველოს მილიციისა და დავესწარ ომებში ამაგლოსთვის და ბაშაბარანზე ჩყკზ, წელსა ღენერალ ლეიტენანტს ბაგრატიონთან საქართველოს მილიციისავე რიცხვში დავესწარ ომებში არეზს გაღმა აბაზაბათის ციხის აღებაში სადაც ჩემის კეთილნებობით დავესწარ ახოტნიკად როცა შტურმაზედ მისვლა უნდოდათ. დავესწარ სარდარაბადის ციხის და ერევნის აღებაზედ რომლისათვის მივიღე ჩინი პროპორშჩიკობისა და მადლობა უფლის თავარმართებლის რიცხვთა შორის სხვათა საქართველოს. თავადთა და აზნაურთა ჩყკც წელსა ვიქმენ დანიშნული დე-

Პუტატის თანამდებობაში გორის უეზდის კეთილშობილთაგან უფალს თბილისის ვოენის ღუბერნატორად ყოფილს სიპიაღინთან და შემდგომად ვემსახურებოდი ღენერალ ლეიტენანტს სტრეკალოვთან წასვლამდე მისსა რუსეთში ჩყლბ წელსა ვიყავ დანიშნული საქართველოს ცხენოსან პოლკში კომანდირათ პირველის სოტნისა და ვიმყოფებოდი ყოველთა საქმეთა შინა წინააღმდეგ ქისტებისა ჩაჩანში აღებისა დროს გრებენჩუკისა და სხვა სოფლებისა და დაღისტანში აღებისა დროს გიმრისა. გარნა დაჭრილი არა ვყოფილვარ.

7. პეტერბურღს და მოსკოვში არას დროს არა ვყოფილვარ.

8. ქრისტიანის ვალისაებრ დავდიოდი მე დღესასწაულებში ეკლესიაში და ყოველ წლივ მივიღებდი წმინდას ზიარებასა.

9. სამართალსა გამოძიებასა და მტრაფს ქვეშ არა ვყოფილვარ.

10. ჩყლა წელსა მაისის თვეში თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი მოვიდა ჩემთან შუადღის დროს და მითხრა რომ სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა გთხოვა სადილათ თავის ბაღში რომლის პატივსაცემად წავყე სადაც შემდგომად სადილის აღებისა თავადმა ეღიზბარ ერისთოვმა და ალექსანდრემ ვახტანგის ძე ორბელიანოვმა დაიწყეს ლაპარაკი რომ საქართველოს დიდი შეწუხება აქვს რუსებთაგანაო და ამაზედ უნდა ვიფიქროთ რამეო და მათგანმა სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა სთქვა ესეც რომ მე იმისთანა კაცი მყავს რომ ბატონიშვილის ალექსანდრესთან იმის ხელით შემიძლიან წიგნის მიწერა. ამ ლაპარაკში დაესწრნენ პორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი გიორგი ერისთოვი ვახტანგ ორბელიანოვი ლუარსაბ თარხანოვი და იოსებ მამაცოვი ვითარცა უწინარეს ამისსა ეგრეთვე შემდგომ არა ვისგან ამგვარი ლაპარაკი არ გამიგონია.

11. მიზეზი ზაგოვორში შესვლისა მე არა რაიმე არა მქონია რა და იქ მოუოლდნელად იმათგან უშვერი ლაპარაკი გავიგონე. იმ დღიდან მე მათგან მორიდებული ვიყავ აღარც იმათთან გამივლია.

12. არც განზრახვა მქონია იმათ ზაგოვორში მონაწილეობისა და არცა ვითარი ღონის ძიება მქონია ჩემს ჰაზრში სრულებით ჩემს გულში არა ყოფილა რა.

13. არც ერთს ბატონიშვილებს არ ვიცნობ.

14. ღენერალ მაიორს თავად ჭავჭავაძეს ვიცნობ და მისი მონაწილეობისა ამ განზრახვაში არა ვიცი რა.

15. ღუბერნატორს ზაველეისკისთან ცნობა მე არა მქონია რა და არცა რა იმაზედ გამიგონია.

16. რადგანაც არავითარი ბოროტი განზრახვა არა მქონდა ამის-

თვის არ ვიცი და არცა ვის უთქვამს ჩემთვის თუ ვინ იყო ნაჩალნიკი ანუ პირველი.

პრაპორშჩიკი ზაქარია ციციანოვი.

თებერვლის 8 დღესა.
ჩყლგ[1] წელსა.

სოლომონ რაზმაძის პასუხები (VII, 1195-1198)

აზნაურ სოლომონ რაზმაძისაგან კითხვითი პუნქტების პასუხები, რომლებიც მზად არის ფიცით დაამტკიცოს.

1. სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე „ჩინი" არა მაქვს.
2. დაბადებითგან ოცდა მეთერთმეტე წლისა ვარ.
3. ცოლი არა მყოლია, მყავს მხოლოდ მოხუცი დედა.
4. არავითარი უძრავი ქონება არა მაქვს, მაქვს მხოლოდ ჩემი ხელმომჭირნეობით პეტერბურგში მოგროვილი პატარა თანხა, რომელსაც გავასესხებდი ხოლმე და ვიღებდი პროცენტებს წელიწადში სამას ორმოცდა ათ მანეთამდე ასიგნაციებით.
5. მივიღე ძლიერ მცირე განათლება პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილის ხარჯზე.
6. ლაშქრობაში არსად ვყოფილვარ, არც სადმე მიმსახურნია, რადგან ჩემი აზნაურობის საბუთები დიდი ხანია დაკარგულია, მოწმობით კი არ მიმიღეს.
7. პეტერბურგში 22 წელი ვცხოვრობდი, მოსკოვში ორჯერ ვყოფილვარ ორ-ორი კვირით აქედან, და იქიდან გავლა-გამოვლისას, აქ ჩამოვედი შარშან მარტის დამლევს გრაფ სიმონიჩთან ერთად, აქედან კი გავემგზავრე შარშან აგვისტოს 13 რიცხვებში.
8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ დავდივარ ეკლესიაში კვირაუქმე დღეებში, ზოგჯერ მომხდარა, რომ რაიმე მიზეზის გამო ვერ წავსულვარ, მაგრამ ძალიან იშვიათად, ეზიარებულვარ წმინდა საიდუმლოებას ყოველწლიურად შარშანდელს გარდა.
9. არა ვყოფილვარ არასოდეს არც სასამართლოსა და გამოძიების ქვეშ და არც დაჯარიმებული.
10. განზრახვის შესახებ არავისგან არ გამიგონია, შეთქმულება კი პირველად ელიზბარ ერისთოვმა და ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრეს ამ უკანასკნელის სახლში, რომ მათ აქვთ შეთქმულება, მოწმე

---

1 1833 წ.

არავინ ყოფილა. შეთქმულებაში მე არავის შეუყვანივარ, მხოლოდ ჩემი სისულელისა და გამოუცდელობის გამო, ჩემდა უნებურად ვუსმენდი და ველაპარაკებოდი მათ მაგრამ არასოდეს ჩემს თავს შეთქმულად არ ვთვლიდი.

11. ამის მიზეზი იყო ჩემი უტკუობა, ჩემი სისულელე, ჩემი შეცდომა, რომ ვუსმენდი და ვესაუბრებოდი მათ, რისთვისაც დღე და ღამ განუწყვეტლივ მონანიების ცრემლს ვაფრქვევდი უზენაესი შემოქმედის წინაშე. განვერთხმი სულგრძელი მმართველობის წინაშე და დაბეჩავებული გულით ვემუდარები, რათა მომიტევოს მე უბედურს ობოლს, ღმერთია მოწამე, რომ გონს მოვედი რა. მტკიცედ განვიზრახე განმეცხადებინა იგი მთავრობისათვის ფიცის მიღების დროს, როგორც ეს უკვე მოგახსენეთ პირველ ჩვენებაში.

12. ფიქრობდნენ, რომ თუ ყველა თავად-აზნაურები დათანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ, აგრეთვე თუ მათთან ერთად თანახმა იქნებიან ყველა ქართველები და სომხები და თუ ინგლისი ან საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩენთ, საქმე წარმატებით დასრულდებოდა.

13. მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფი ყველა ბატონიშვილები მიცნობენ და რადგანაც მამა ჩემი მათ სისხლით ემსახურებოდა, ამიტომ მე მათი წყალობით ვსარგებლობდი. მე არ ვიცი მათ რა გავლენა შეეძლოთ ჰქონოდათ შეთქმულებაზე—ჩემზე კი მხოლოდ ერთს თეიმურაზ ბატონიშვილს შეეძლო მოეხდინა გავლენა, რადგან ბავშვობიდანვე დედითურთ მასთან ვცხოვრობდი, მკვებავდა, მომცა მცირე განათლება და ვუყვარვარ, შეიძლება ითქვას როგორც თავისი შვილი, და ყოველთვის კეთილ მშობლიურ დარიგებას მაძლევდა.

14. გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს მე არ ვიცნობ და არც არასოდეს მინახავს იგი, შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე აგრეთვე არაფერი გამიგონია, მხოლოდ ყველა ისინი, ვინც კი მე დავასახელე, ამბობდნენ, რომ კარგი იქნება ისიც რომ მონაწილეობას მიიღებდესო.

15. არა მცნობია და არც არასოდეს მინახავს გუბერნატორად ყოფილი ზავილეისკი და შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ არავისგან არ გამიგონია. ვფიქრობდით კი ჩვენ ყველანი, რომ ეგების ისე სასტიკად იმიტომ იქცეოდა იგი, რომ სურდა აქ ხალხი აჯანყებულიყოვო.

16. მე არავისგან გამიგონია ვინ იყო მეთაური და არც ეხლა ვიცი ვისზე ვიფიქრო.

აზნაური სოლომონ რ ა ზ მ ა ძ ე.

ზალიკო ყორღანაშვილის პასუხები (VII,1203-1204)

ა. ტფილისში მცხოვრებელი ქაიხოსროვის ძე აზნაური ზალ ყორღანოვი.

ბ. წლისა ვგონებ ვიქნები რომ ოცდა ორისა წლისა ვიყო.

გ. ცოლი არ მყოლია დედა მყავს და საძი წვრილი დები მყავს და ჩემს გარდა ორი წვრილი ძმები მყავს.

დ. გარდა ამისა არც ყმისა ვიცი და არც შამულისა ეკითხოს ბიძა ჩემებს ყმა და მამულის საქმე მე არა ვიცი რამ.

ე. ჩემი გამზრდელნი არიან დედმამა ჩემი იმის მეტი არავის გაუზრდივარ.

ვ. მე ვიყავ პერსიწკის პახოტში და არ დაჭრილვარ და არც მაქვს ჩინი არც ყოფილვარ პეტერბურსა და არც მოსკოვსა. მე ვიარებოდი ქრისტიანობის საღდარში მუდამ წელიწადს ვიღებდი ქრისტეს საიდუმლოს მიმიღია.

თ. არც შტრაფის ქვეშ ყოფილვარ და არც სლესტისა და არც სასამართლოში.

ი. არც არა მიზეზს შეუყვანივარ არც წინააღმდეგ (?) ვყოფილვარ ჩემს თავარ მართებლობისა.

ია. არც ერთს ბატონიშვილებთან ცნობა არა მაქვს და არც ვიცნობ და ისევე ისინი მე არ მიცნობენ.

იბ. მე არა მქონია ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ცნობა და არც ვიცნობ და არც ის მიცნობს და არაფერი გამიგონია .

იგ. სახელდობრივ გამიგონია რომ ქალაქის გუბერნატორია ზაველიცკი და არც მქონია იმასთან ცნობა და არც იმას ქონია ჩემთან ცნობა.

იდ. კომისიას რაც ვიცოდი ის მოვახსენე, რომელიც ვიცოდი კიდეც შაგიძლიათ რომ დამაფიცოთ ამის მეტი არა ვიცი რამ.

იე. მე აზნაური ზალ ყორღანოვი თებერვლის დღეს 3-სა. ჩყღგს[1] წელსა".

ბერმონაზონი ტარასის პასუხები (VII, 1211 — 1213)

1. „სახელად მქვიან ტარასი, გვარად მესხი ალექსიშვილი და ხარისხით მღვდელ მონაზონი.

---

1 1833 წ.

2. მე ვარ შობილი 1793 აპრილის თვეში, მაშასადამე მომავალს აპრილში ორმოცისა წლისა შევსრულდები.

3. ჭეშმარიტებით აღვიარებ რომ, არცა მყოლია ცოლი არცა ხასა არც საყვარელი ვიხმე და არც ახლა მყავს, თხუთმეტის წლისას სჯული არ მისცემს ნებასა რომ ცოლი შეირთოს, და მე თხუთმეტის წელიწადს აქეთ სულ ბერათა ვარ, და ბერს მართლმადიდებელი სარწმუნოება ჩვენი არ შეუნდობს რომ ან ცოლი ჰყვანდეს ან ხასა და ან საყვარელი, და არც იყო ჩვენში ჩვეულება ამ გვარის უკანონოებისა ბერებთაგან და არც ახლა არის ღთის შეწევნით და თუ არ დაირწმუნებთ, ჰკითხეთ ჩემს მოძღვარს, თუ ვიპოები ამ ბრალში.

4. მე იმენია არსადა მაქვს, მაშ არც შემოსავალი მექნება საითმე. სიყრმიდგან აქამომდე ჯამაგირით მიცხოვრია, კათოლიკოზის ანტონის დროს მაქვნდა თორმეტ თუმან თეთრი ფულამდის წლის შემოსავლით თუ ულუფით თუ ჯამაგირით. აგრეთვე ვარლამ მიტროპოლიტის დროს მაქუნდა აქ საქართველოში და რუსეთში ორმოცი თუმანი ასიგნაცია წელიწადში მიტროპოლიტს ვარლამისგან, ამას გარდა დანილოვის მონასტერში მერგებოდა საკრებულო შემოსავლიდამ თვეში ხან ხუთი თუმანი, ხან ექვსი და ოდესმე შვიდი და სტოლზედაც ყოველთვის მას ვახლდი ხოლმე და როდესაც ცარევიჩის თეიმურაზის ეკლესიაში გავწესდი მღვდლად, წელიწადში მექმნებოდა სტოლის გარდა ჯამაგირით თუ შემოსავლით ასი თუმანი ასიგნაცია და ამ ფერის ცვალების მონასტერში პირველს წელს მომცეს ექვს თუმან ნახევარი და ეს მეორე წელიწადია რვა თუმანს მაძლევენ ჯამაგირად. ამას გარდა სხვას არაფერს და არც არა შემოსავალია ამ მონასტერში მაგდენი რამ სათქმელად ღირსი, ამაზემოაღწერილებით მიცხოვრია დღევანდლამდის და ეს ყოფილა ჩემი შემოსავალი.

5. ქ. მე ვარ გაზრდილი აქ. ტფილისში, მამის ჩემის სახლში, მამის ჩემის განვე საღმთო წერილში აღზრდილი და არა სხვისა მფარველისა ვისგანმე.

6. მე მიმსახურია სიყრმიდგანვე აქამომდე ყოველთვის და საღრმთო მსახურებაში კათოლიკოზს ანტონის ჩემის მაკურთხეველს ჯერ ვემსახურე იპოდიაკვანობით, მასუკან იეროდიაკვანობით, შდ კათალიკოზის რუსეთს წაბრძანებისა, ვემსახურე მოადგილესა მისსა ყდ სამღვდელოს მიტროპოლიტს და ექსარხოსს ვარლამს არხიდიაკვნობით რაზნიჩობითვე აქა შვიდი წელი და რუსეთში ცხრა წელიწადი მღვდლად მონაზონად და ოთხი წელიწადი ცარევიჩის თეიმურაზის საყდარში აღვასრულებდი მღვდელ-

მოქმედებას, არც პახოდებში ვყოფილვარ სადმე . და არც სადმე დავკრილვარ.

7. ჭ. მე ვყოფილვარ მოსკოვშიაც და პეტერბურგშიაც, როგორც პოკაზანიით ვაჩვენე თქვენს აღმატებულებას, აქედამ წამიყვანა მიტროპოლიტმა ვარლამმა 1817 სეკდემბრის 8-ს ნოემბერში მოსკოვში მივედით, და მოსკოვიდამ ორ კვირას უკან (რომელიც დავყავით პეტროვსკის მონასტერში) წარვედით პეტერბურღს და დეკემბერში იქ მივედით: და 1830 სექტემბრის 4 აქ მოველ და მას აქათ აქა ვარ.

8. ჭ. არათუ დღესასწაულებში არამედ ყოველ დღე მივლია წირვასა დაცვასა და ცისკარსა და ვალისამებრ და წესისამებრ მონასტრისა და ვალისამებრ მონაზონინთასა, და თვეში ერთი კვირა ჩემი ჩერედა როცა მერგებოდა და შვიდ რვა დღეში კიდეც მიწირავს და კიდეც ვზიარებულვარ ყოველდღე.

9. ჭ. აქამდე ჩემს დღეში არც პოდსუდში ვყოფილვარ სადმე, არც სლედსტვიაში არც შტრაფში ღთი არის მოწმე და დიდათაც მორიდალი და მოშიშარი ვარ ამ გვარებისა, რომლისა დასარწმუნებლად განიხილეთ მოწმობა მიცემული მიტროპოლიტის ვარლამისა, არც მანამდის და არც შემდგომად მოცემისა მოწმობისა მის, არა რაიმე შემთხვევია ესე ვითარი.

10. ჭ. პირველად მესმა მე ერისთოვებისაგან, რომელნიცა მოვიდნენ ჩემთანა არ ვიცი საიდამ. ელიზბარ და გიორგი და დიმიტრი როგორც პირველის პოკაზანიაში მოგახსენეთ. ელიზბარმა, არ ვიცი ღთია მოწამე რაზედ დაიწყო მეფის ირაკლის პატრეტია ჩემს კელიაში იმაზედ ჩამოაგდო ეს ლაპარაკი თუ სხვაზედ რამეზედ არ ვიცი, პირველად ესე თქვა მეფე როგორ გამცემს ანუ სხვა ჩემისთანა თავადის როგორ შეუძლიან რომ სხვას ყმათ მიმცესო რა სამართალი აქვსო, ჩვენ უნდა დავიხსნათ ჩვენი თავი და რუსები გავყაროთო, მე გამეცინა, ელიზბარმა, რა გაცინებს ღმერთს ერწმუნე სწორეს გეუბნებიო და სიცილით სთქვა, აი ჩვენ სამნი და ჩვენთან ალექსანდრე ორბელიანიო, ბიძინა ერისთავი, ანტონი აფხაზი დოდაევი ყიფიანოვი, და სხვანი თავადებიო. მითომ რათა და რით უნდა შეიძლოთ თქვენ მასხარებო მეთქი, ჯარი გყავსთ სადმე ხაზინა გაქვსთ ძლიერება გაქვსთ რამე მეთქი, ფრანციამ ოსმალმა და სპარსეთმა კი ვერა უყორა და თქვენ რა უნდა უყოთ მეთქი. ელიზბარმა ხაზინის შოვნა ადვილიაო, აქ არ არის ხაზინაო, პირველად იმას დავაწვებით და ჯარს იმას გაუყოფთ, პურები მაღაზინებშია და სხვა რა გვინდაო. მაშ სულ მკვდრები ყოფილან რუსები ჯარი აღარა ჰყოლიათ მეთქი, ჯარი ცოტა ჰყავთ და ისიც

გრანიცებზედაო და რაერთი გგონიათ, რომ ჰყვასდეს მეთქი, მარ-
თალია მასთან მოიყვანენ ჯარსა მეთქი. ოცდა ოთხს საათში საი-
დაჰაც უნდათ აქ დაჰბადებენ მეთქი, მაგრამ ჩვენ ჩვენსასა ვიქთო,
ჩუმათ თქვენ მასხარებო გაგიგონებთ ვინმე მართალი ეგონებათ
მეთქი, აბა მოგხსენდებაო ადგნენ და წავიდნენ, ამის მეტი პირვე-
ლის მოსვლაზედ არა მახსოვს რა რა თქვეს, არც თვე მახსოვს რას
თვეში იყვნენ არც რიცხვი აგვისტო იყო თუ სექდემბერი ჭეშმარი-
ტად რომ არ ვიცი და არცა ვინ სხვა ყოფილა ვინმე მათთანა
დაისწრე და ბოწმე დროც სადილობა იყო და როცა მოვიდნენ.
როდესაც მეორედ მოვიდნენ არც ის მახსოვს ჭეშმარიტად, არც
რიცხვი, დრო ისევ სადილობის დრო იყო, შემოვიდნენ ჩემს კე-
ლიაში სამნივ ერისთოვები ერთად და თქვეს აა, ლეონი ლეონი
გვაკურთხეო, ხელზედ მაკოცეს დასხდნენ და მითხრეს აბა გვირ-
ჩიე რამეო, რისა მეთქი იმ დღეს რომ ვლაპარაკობდითო, რას გი-
ყობთ რა ჩემი საქმეა და მე რა უნდა გირჩიოთ მეთქი, რა არისო
დიმიტრი სამოზვანეცი ხომ წაგიკითხავსო, იმას ლეონი არა ჰყვან-
და მრჩეველადაო, ბერი არ იყო ისიცაო, თუ ბერი ყოფილიყო არ
გაერეოდა ავაზაკობაში-მეთქი, მაგრამ ბერი არ ყოფილა-მეთქი
ბერმა ავაზაკობა და კაცის კვლა როგორ უნდა გირჩიოს, რომელი-
ცა შეკრული ვარ საღმრთოთი და სამოქალაქოს სჯულითაცა მეთქი
და ჩემი საქმე არის მეთქი. რა არისო აი ძველად რასა შვრებოდ-
ნენ ბერები მამულისათვისო, ხომ წაგიკითხავს სამოზვანციო (ჭეშ-
მარიტებამ უწყის რომ არ წამიკითხავს) მამულს რა უჭირს ხელმ-
წიფე მართლმადიდებელი გვყავს, ქვეყანა გაშენებულია და გამ-
დიდრებული მეთქი, ღმერთმან დაიფაროს საქართველო რომ აღარ
ჩავარდეს თათრების ხელში მეთქი, ელიზბარმა თათრები რათ იქ-
ნებიან საკუთარი მეფეც გვეჯდებაო და პარლამენტი გვექნებაო
და ყველანი იმას დაემორჩილებიანო, გასინჯოს კაცმა თქვენი ჭკუა
შეყრილხართ გუშინდელი ბიჭები და ლაპარაკობთ მეთქი, თუ სა-
ფუძვლიანი იყოს ან კარგი მოხუცებული გერევათ მეთქი, დიმიტ-
რიმ, მართლა მეც ვამბობ მაგასა რომ მოხუცებული არავინ გვი-
რევია, მეორეც ესეო ერთსა და ორს წელიწადს გვეყო ხაზინის
ფული მასუკან რაღა ვქნათო, ელიზბარმა, მადნებს ვამუშავებთო,
კარგია აქ ნუ ხუმრობთ, წადით, თუ მართალს ამბობთ ჭკვიანი
მოხუცებული იპოვნეთ ვინმე იმას დაეკითხენით და რაც გითხრათ
იმას დაუჯერეთ მეთქი (ღმერთია მოწამე რომ ამ აზრით უთხარ.
არა ვგონებ რომ არა მოხუცებულმა გონიერმა და გამოცდილმა
კაცმა ამაზედ არ დააბრკოლოს და არ დაუშალოს ამ გვარი კად-
ნიერი ლაპარაკი და ფიქრი) მე რომ რჩევასა მთხოვთ მე რა ვიცი

მაგისი, მე წირვისა და ლოცვისა მკითხეთ მეთქი. ელიზბარმა ესაო ი ბიძა ჩემი გიორგი მოხუცებულიც არის კიდეც შეუძლიან მაგრამ პირში კი არა დაუდგებარა მაშინვე წამოროშავსო. ი რასა სწერს უკანასკნელი მეფე გიორგი ხელმწიფესა მეთქი, მოუტანე წიგნი და ვეძებდი რომ გამომერჩია, დიმიტრიმ კიდეც მითხრა რას ეძებ რაც არა ყოფილა რაო, გამოურჩიე და წაუკითხე, მაგაში ქვეყნის მიცემა არა სწერიაო, მართალია არა სწერია, მაგრამ საცა მეფეცა სამეფოც იქ არის მეთქი. ნუ ლაპარაკობო მაგისთანებს გაგიგონებენ და დაგხოცენ მეთქი, ელიზბარმა ვსეროვნაო დახოცილნი არა ვართ ყმა წაგვართვეს და მამულიო მაინც დახოცილნი ვართო. მამა ჩემს გამოუცხადე ეს საქმეო და იმანაც ნება მოძცა და მაკურთხაო წადი შვილო ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, თუ შეგეწიოსო რაც გინდა ქენიო, ეს პირველ პოკაზანიაში არ მახსოვდა რომ დამეწერა, პოლშაში არეულობაზე ილაპარაკა ელიზბარმა და არც ერთი ლექსი არ მახსოვს რომ დამეწერა ესეც, ბოლოს დროს თქვეს შენმა მადლმა თუ მოვახდინეთ რამე ჩაგათრევთ ქალაქში და ხალხისათვის გაქადაგებთ და რა მქადაგებელი ვარ ცარელის თავიდამ რა უნდა წამოვიდეს ძეთქი, ი თქვე გიქებო თქვენი საქმე თქვენისთანა იქნება მეთქი, ხუმრობა იქით იყოს მაგგვარი ლაპარაკი ხუმრობა საქმე არ არის მეთქი. კაცი უნდა იცნათ რას მდგომარეობასა რას სახისა და რის თვისებისა და იმასთან ილაპარაკოთ მაგისთანა ეგების არ დაგინდო მეთქი, წამოდგნენ და დაიწყეს სიცილი და მასხარაობა და თქვეს ეს რა ჩვენი უბედურება არისო. მაშინ მოვედით და სადილ ნაჭამი იყოვო, ახლა მოვედით და ახლაც ოტკა დალეულიაო და ეს ჩვენ რას გვირჩევსო, გვაკურთხე კარგიო ხელზედ მაკოცეს და შუაბაზრის თავში ვდგევართ რომ იკითხო ყველანი გასწავლიანო, კარგი კარგი მეთქი, და წავიდნენ. ღმერთი გულთამხილველი რომ როგორც მახსოვდა და მომაგონდა სწორედ ასე იყო და ასე დავწერე. არც ვინ სხვანი მოწმენი დამსწრებიან მხოლოდ ის სამნი იყვნენ და მათგან გაკიგონე პირველად და ასე ვილაპარაკეთ ვფიცავ ჭეშმარიტებას რომ არას დროს ჩემს გონებას ეს არ შეუწყნარებია და არ დაუჯერებია რომ ისინი შეიძლებდნენ, რასმე და ან მართალი გულსმოდგინება ექნებოდათ რამე მას ზედა, და ან როგორ ვიფიქრებდი რომ ამისთანას კადნიერებას იხმარებდნენ პირის პირ ესოდენისა ძლიერებისა და მთავრობისა, რითა და რათა, არა მცოდნია ჭეშმარიტად და ამისთვის არცა არა დავდიერა და უბრალო ლაპარაკად შევრაცხე მათი ლაპარაკი, ხორცით რომ შევრცხვი რომ ამ განსაკიდელსა და შეურაცხებაში მიმცემს ბოროტთა მათ თავიანთ უგუ-

ნურის ლაპარაკითა სულითაც წარვწყმინდე თუ არ მერჩიოს რამე ქვეყნის სავნებელი და აღსაბუნტებელი ანუ თუ მოსულიყო მათთანა ანუ იგინიღა ჩემთანა ანუ მეკითხოს რამე მათთვის ანუ სხვათათვის ამ საქმეზედ, ანუ გულმოდგინება მქონოდეს ანუ მდომოდეს ქვეყნის აღრევა და აღშფოთება ანუ სხვა რამ ბოროტი ანუ ვყოფილიყავ როდისმე ამ გვარ საქმეში და ან ვიყო და ან მსურდეს, და ვერცარვინ წარმიდგება და მამთხოვებს რომ ამ ბოროტ საქმეზედ მერჩიოს რამე ვისთვისმე, და ფიცითაც დავიფიცავ ცხოველის მყოფელს ჯვარზედ და წმინდას სახარებაზედ რომ ამას ჭეშმარიტს ვამბობ და არა ტყუილს.

11. ჭ. არა რასამე მიზეზსა განუღვიძებივარ მე საწინააღმდეგოსა ლაპარაკისადმი პირისპირ მმართველობისა, არცა ვყოფილვარ განღვიძებულ საწინააღმდეგოდ, არც რამცოდნია და არცა გამიგონია ვისგანმე ამგვარი ლაპარაკი ვიდრემდის ერისთოვებმა არ ილაპარაკეს ჩემს კელიაში, არც განღვიძებულვარ მათის ლაპარაკით არცა სხვისა ვისგანმე და არცა ვარ განღვიძებულ ეგეევითარისა წინააღმდეგობისადმი. თუ ვყოფილიყავ განღვიძებულ მათის ლაპარაკით, კიდეც შეუდგებოდი ყოვლით კერძო, სვლა მექნებოდა მათთან და განზრახვა და ლაპარაკი, ჭეშმარიტის გულით აღვიარებ და ფიცითაც დავამტკიცებ ამასა.

12. ჭ. ღთსა ვფიცავ ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანე არაფრისთანა არა ვიცირა, არცა ღონისძიებისა არცა შემწეობისა, არც არა უთქვამსთ რა, რაც არ მოგახსენეთ, არც ღონის ძიებაში ვარ არც განზრახვაში, არც თანხმობაში არც არა მირჩევია რა და ტყუილადაც ვიტანჯები და არც არა ვიცირა.

13. ჭ. მე ყოველს ცარევიჩებს ვიცნობდი ვინც არიან დღეს პეტერბურღსა და მოსკოვში, შეუძლებელია რომ დრო და ჟამი მახსოვდეს ვისთან როდის მივსულვარ. ყოველივე თვითეულად მოგახსენეთ პოკაზანიით, რაც შეერთება და მიწერმოწერა მქონია მათთანა, ახლაც წმინდის გულით და ფიცით აღვიარებ და დავამტკიცებ რომ მე იმათთან არაფერი შეთქმულება ამ საქმისა არცა ქვეყნის აღსაბუნტებელი და საორგულო ლაპარაკი არა მქონია რა არცარა იმათ ჩემთანა, არცა რა მაქვს რა დაბარებული ამგვარი საწინააღმდეგო ვფიცავ ღთსა, ვემსახურებოდი ყოველსა ზოგს ლოცვით, ზოგს წირვით, ზოგს წერით, და ისინიც პატივისცემდნენ, რა საეჭვოა განა ჩემს მეტნი არავინ ყოფილან მმათში მღვდელნი და ბერები და გადმოსულან, შორის დღესაც არიან და ემსახურებიან. თუ რომ მქონდეს რამე დაბარებული მათგან ქვეყნის საწინააღმდეგო, რაღა დღისთვის შევინახავ და არ გამოვაცხადებ, ამის-

ოვის რომ მიზეზნი ისინი იქმნებიან და იმათ დავაბრალებ, რომ არა დაუბარებიათ რა და არცა რა ულაპარაკნიათ ჩემთან საბუნტოდა საორგულო აბა ვის შევსწამო ცილი და როგორ შევსწამო ტყუილები, ქრისტიამან და მერმეთ მღვდელმან, განწმენდილის სინიდისით ძოვახსენებ თქვენს აღმატებულობას, რომ უბრალო ვარ ამ ქვეყნისაგან და ჭეშმარიტი პოკაზანიებიც მოგართვი.

14. ქ. ღენერალ-მაიორს ჭავჭავაძეს შორიდამ ვიცნობ რომ ჭავჭავაძეა, თუ შემხვედრია სადმე შორიდამ თავიც დამიკრავს, და ახლო ჩემს დღეში არც ცნობა მაქვს, არც ხმა გამიცია არც იმას ვაუცია, და არც ვიცი მიცნობს თუ არა და ახლა არა გამიგონია არავისგან, მხოლოდ ეჭვით ვგონებ და არა დაჭეშმარიტებით, რომ ერისთოვებმა თქვეს ჭავჭავაძეცაო და რომელი ჭავჭავაძე სახელი არ უთქომთ, არც მიკითხავს, პირველს მოსვლაზედ თქვეს თუ მეორეზედ ეხლაც არ მახსოვს წმინდის გულით დაგარწმუნებთ.

15. ქ. ღუბერნატორ ყოფილს ზაველეისკის სრულებით ვერ ვიცნობ. არც ხმა გამიცია, არცა რა გამიგონია რა იმაზედ არაფერი ამ საქმის შესახებელი, არც მიძებნია და არც ვეძებ მაგოდენის კაცების გაცნობა. არც ჩემი საქმეა. არც არა ვარ რამე საზოგადოებაში რომ ვიცნობდე იმისთანა კაცებს და დავდიოდე და არცა ვისთან მქონია მისვლა მოსვლა ხშირად, ორსა თუ სამ კვირაში ერთხელ, ისიც კვირაობით გავდიოდი მონასტრიდამ ჩემი ძმების სანახავად და მაშინცა არხიმანდრიტის ნებით და დღესასწაულებზედ სობოროში დავდიოდი სხვაგან არსად.

16. ქ. არცა დასაბამი ვიცი საიდამ და რომლის დღიდამ და წლიდამ დაიწყო ესე მათი ბოროტგანზრახვა, არცა თავი და მთავარი კაცი ამ საქმისა მათ შორის ვინ იყო, არც უთქვამთ ერისთოვებს ჩემთვის თავიანთ უფროსისა და მთავრის სახელი, არც მიკითხავს და არც ვიცი, არც მე ვყოფილვარ არც თავი არც საშუალო და არც დასასრული ღთია მოწამე და მე მტკიცედაც დავიფიცავ ამას ზედაც.

ესე ყოველნი ზემო აღწერილნი პასუხის გებანი ჭეშმარიტის გულ ით, სულით და გონებით აღმიარებია წინაშე ღთისა და აღმატებულებისა თქვენისა და ფიცითაც დამიმტკიცებია და კიდევაც დაგიმტკიცებთ ჯვარსა სახარებასა ზედა დაფიცებით მღვდელი ვარ ქრისტიანე და ვფიცავ რომელიც დაყენებული ვარ სჯულით, რომ არც ტყუილათ და არც მართლად უნდა ვიფიცო და ესე სული ფიცით სავსეა, არც ეს ვიცი რაზედა ვარ შესმენილი და ვისგან რა მითქვამს და რა მიქნია ხელმწიფისა და ქვეყნის წინააღმდეგი, გულთამხილველმან უწყის რომ არაფერს ორგულობაში არ ურე-

ვივარ არცა ვრეულვარ, გნებავთ დაიჯერეთ, გნებავსთ რაც გინდა ბიყავით, მსურს ჭეშმარიტად სიკვდილი ვიდრემდის ეს შეურაცხეობა. წელსა 1833-სა თებერვლის 7.

ღვდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი".

გივი ამილახვრის განმარტება (VII, 1284)

„ამას ვაცხადებ კომისიაში, რომ ლევან ერისთოვის შვილმა ეს მითხრა: შარშან ჩყლბ გიორგობის თვეში ქალაქში, რომ ალექსანდრემა და ბიძინამა მითხრაო ბუნტი უნდა მოხდესო. მერე მე გივმა ამილახვრიშვილმა უთხარი რომ რას ამბობ როგორ იქნება ხუმრობა არ არის არაში შეგაცდინონ ამის მეტი არა გამიგონია, გივი ამილახვარი თებერვლის: ჩყლბ.[1]

ამის გარდა ეს ბუნტის ბარობაზედ არც ჩყლაში და არც სხვას დროს არავისგან არსად არა გამიგონია რა, არც გიორგი ერისთავისშვილისაგანა და არც სხვისგანა.

გივი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ვ ი".

დიმიტრი ერისთავის პასუხები (VII, 1289—1298)

1. დიმიტრი შანშეს ძე ერისთოვი. არტილერიის პრაპორშჩიკი.
2. დაბადებით 28 წლისა ვარ

3. უცოლო. ჩემი ოჯახის წევრებია: დედინაცვალი; ხუთი ძმა და ერთი და. ჩვენ ყველანი განსვენებული ჩვენი მამის მიერ მიტანილი ვიყავით მსხვერპლად მეფესა და სამშობლოსათვის, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ ორი უფროსი ძმა ე. ი. იასე და ელიზბარი გამოვიდნენ სამსახურიდან პოდპორუჩიკებად, ჩვენ კი ე. ი. მე, ალექსანდრე და გრიგოლი განვაგრძობდით ხელმწიფის სამსახურს, — ისინი ეხლაც არიან დრაგუნთა პოლკში. ჩემი და გათხოვილია ბატონ მელნიკოვზე.

4. ჩვენი ქონება განუყოფელია ჩვენი ბიძების ქონებიდან და იმყოფება გორისა და დუშეთის მაზრებში. გადასახადს ჩვეულებ-

---

[1] უნდა იყოს ჩყლგ — 1833 წ.

რივ ადგილობრივი ნაწარმის სახით ვიღებთ. რადგან დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ვარ, ვერ მოვასწარი გადამეხედნა და არც ძმებისთვის მიკითხავს, რას უდრის ჩვენი წლიური შემოსავალი.

5. მე ვიზრდებოდი ს. პეტერბურგში საარტილერიო სასწავლებელში ყოვლადმოწყალე მონარქის მფარველობით. გამგზავნა ინ სასწავლებელში განსვენებულმა მამა ჩემმა თავისი ხარჯით.

6. საარტილერიო სკოლიდან გამოშვების დროიდან, ე. ი. 1831 წლიდან ვითვლები არტილერიაში. ლაშქრობაში არსად ვყოფილვარ და არც დავკრილვარ.

7. ს. პეტერბურგში ვიმყოფებოდი 1825-დან 1832 წლამდე. პეტერბურგში რომ მივდიოდი აგრეთვე იქიდან რომ ვბრუნდებოდი, გავჩერდი მოსკოვში. საქართველოში 1832 წლის აპრილის 7-ს, ხოლო თბილისში იმავე წლის აპრილის 16-ს ჩამოვედი.

8. დღემდე არა ვყოფილვარ არც სამართალ ქვეშ, არც გამოძიების ქვეშ და არც ჯარიმა გადამხდენია რამ.

9. არ გამიშვია არც ერთი კვირა-უქმე დღე რომ წირვაზე არ წავსულიყავ და არც ერთი წელიწადი — რომ არა ვზიარებულიყავ წმინდა საიდუმლოს.

10. ჩვენი განზრახულება ჩემთვის არავის გამოუცხადებია, ეს შემდეგნაირად იყო. საქართველოში რომ ჩამოვედი[1], გამოვეცხადე ჩემს უფროსებს და დაუყოვნებლივ გავემგზავრე ჩემს როტაში, სადაც, მოვიპოვე რა მედიკის მოწმობა, დამითხოვეს თბილისში წამოსასვლელად, მკურნალობის მიზნით, მე გამანთავისუფლა ბატონ პოლკოვნიკმა და კავალერმა სანკოვსკიმ, რომელიც ცებრიკოვის იქ არ ყოფნის გამო უფროსობდა კავკასიის გრენადერთა-საარტილერიო ბრიგადას.[2]

ავადმყოფობის დროს ჩემთან სანახავად დაიარებოდნენ, როგორც ახლო ნათესავები, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი, მასწავლებელი სოლომონ დოდაევი, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე ვიცნობ,[3] ჩემი ძმა ელიზბარი მაშინ თბილისში არა ყოფილა. ჩვენ ვსაუბრობდით ხოლმე წარსულზე, შემდეგ დავიწყეთ ბაასი გაზეთებზე, რომელსაც მაშინ დოდაშვილი გამოსცემდა. ჩვენს ხშირ შეკრებებზე არა

---

1 იგულისხმება 1832 წ. აპრილში რუსეთიდან დაბრუნება.

2 ეს ბრიგადა სართიჭალაში იდგა.

3 ამათ პეტერბურგში გაიცნეს ერთმანეთი, ს. დოდაშვილი იქ იმყოფებოდა 1824-1827 წლებში.

ერთხელ გვილაპარაკნია ადგილობრივი მმართველობის ბოროტმოქმედებაზე, რომელნიც ბრძენი მეფის კანონებს თავის ნებაზე სცვლიან, საკუთარი სარგებლიანობის მიზნით და ქართველობა საერთოდ გაღატაკებამდე მიჰყავთ. რითაც ეს მოხელეები, ასე ვთქვათ ხშავენ ყოველ მოქალაქეში მეფის უბრძნესი კანონების პატივისცემის მოვალეობას. ერთხელ ვკითხე ალექსანდრე ორბელიანოვს— სოლომონ დოდაეიც მაშინ იქ იყო, რომ გავიგონე სოლომონ დოდაეის ძმისაგან, რომელიც სენატში მსახურობს, აქ შეთქმულების მოწყობა დაგიპირებიათ მეთქი? მან მიპასუხა: დიახ, უბრწყინვალესი თავადი გრაფი პასკევიჩი ერევანსკი და სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი რომ არ წაეყვანათ აქედან, არ ვიცი რა მოხდებოდაო. რატომ ფიქრობ ასე მეთქი? — შევეკითხე მე. ჩემო ძმაო, ზავილეისკიმ დაღუპა ქალაქიცა[1] და მოსახლეობაც, ხოლო უბრწყინვალესმა თავადმა გრაფ პასკევიჩ-ერივანსკიმ მთლად მოიძულა ქართველობა, ავიწროებდა მოხელეებს და უბრალო რამეზე ყველას სამართალში აძლევდა, არ იყო არავითარი მართლმსაჯულება. ივანე ყორღანოვს, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, სარგებლობდა რა უბრწყინვალესი თავადის ვარშავსკის ნდობითაო. მაგრამ ყველა ეს რით გათავდა? ბარონ როზენმა იმ თავითვე თავისი კეთილგონიერი მმართველობით ყველა განაიარაღა და მათ, დაივიწყეს რა ძველი შეურაცხყოფა, ეხლა რუსეთის ტახტის ერთგულნი არიან. მაისში არ მახსოვს რა რიცხვი იყო, უკვე გამოკეთებულად ვგრძნობდი რა თავს, ვთხოვე ჩემთან ესადილათ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებს, პრაპორშჩიკ დავით ჯორჯაძეს, პრაპორშჩიკ გიორგი ერისთოვს. ჩემმა ძმამ ელიზბარმა, რომელიც ამ დროს უკვე თბილისში იყო. მოიწვია აგრეთვე გიმნაზიის მასწავლებლები სოლომონ დოდაეი, ზაალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე და იოსებ მამაცოვი, ბატონი მასწავლებლები დოდაეის გარდა, მაშინ იქ გავიცანი. სადილის დროს ზოგადი რამეების გარდა, არაფერზე გვილაპარაკნია. ხოლო სადილ შემდეგ წავიდნენ ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, მე კი შინ დავრჩი და არ ვიცი რა მოხდა.

არ გასულა დიდი ხანი, ერთ დილას ჩემთან იყვნენ თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთოვი, ამ დროს პრაპორშჩიკმა გიორგი ერისთოვმა წაგვიკითხა რაღაც რვეული, ვიღაც ბერ კიკნაძის მიერ შედგენილი. მაგრამ ვაღიარებ რომ მე იმისი ვერა გავიგე რა. შევეკითხე, რა არის-მეთქი! მან

---

1 ე. ი. თბილისი.

ვეპასუხა. მერე გაიგებთო, მე დღესაც არ ვიცი მისი შინაარსი. ამასთანავე, ის ამბობდა, რომ მას იმ ბერთან მიწერმოწერა აქვს, არ ვიცი მართალი თქვა, თუ ტყუილი, წერილები ჩვენთვის არ უჩვენებია.

ივნისის პირველ რიცხვებში მე გარეთ სიარული დავიწყე და არა ერთხელ ყოფილან ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში მასწავლებლები: სოლომონ დოდაევი, ზაალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, აგრეთვე სოლომონ რაზმაძე, იქ რამე განსაკუთრებული საუბარი არა ყოფილა ხოლმე, ამის შემდეგ მეც მალე სოფელში წავედი, სადაც აგვისტოს დამდეგს მივიღე როტის უფროსისაგან ბრძანება და გამოვცხადდი აგვისტოში. ამის შემდეგ მე აღარ ვიცი თბილისში რა ხდებოდა ჩემს აქ არ ყოფნის დროს. სექტემბერში მივლინებული ვიქენ როტის ჯამაგირის მისაღებად, რაც სწრაფად შევასრულე, ისე რომ სექტემბრის ნახევრამდე მე როტაში ვიყავი: როტის ჯამაგირის მიღების დროს ვნახე ლეიბ გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და რამდენჯერმე მინახავს ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში. მან მიამბო, რომ ჩემს აქ არ ყოფნაში ჩვენი განზრახულება გამოუცხადეს თავად ანტონ აფხაზოვს და რამდენჯერმე შეიკრიბნენ დოდაევთან. თუ რატომ იყო კორნეტი ერისთოვი ჩემთან ასე გულახდილი, ამას 13-ე პუნქტში განვმარტავ.

როტაში ჯამაგირი რომ ჩავიტანე, გავიგე, რომ ახლა ერევანში ვიყავი მივლინებული, სადაც ჩვენი როტის დივიზიონი დგას. საჭირო იყო პრაპორშჩიკ იზმაილოვის შეცვლა, რომელიც უკვე რუსეთში იყო გადაყვანილი. რადგან მე ახალი მოსული ვიყავი და მომზადებული არა მქონდა რა, ამიტომ ვთხოვე პოდპოლკოვნიკ სანკოვსკის მოეცა შვებულება თბილისში წასასვლელად, რათა გავმზადებულიყავ, რაზედაც იგი დამეთანხმა. ბრიგადის საქმეების გამო, ისიც წამოვიდა და მე და ის თბილისში ერთად ჩამოვედით ოქტომბრის პირველ რიცხვებში. აი, დრო, საიდანაც ნამდვილად იწყება ჩვენი უგუნური ბოროტმოქმედება.

თბილისში ჩამოსვლისთანავე, შევუდექი სამზადისს გამგზავრებისათვის. სხვათაშორის, დროს გატარების მიზნით, გავიცანი იასე ფალავანდოვი, რომელთანაც ჩემზე უწინ დაიარებოდნენ ხოლმე თავადები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარი და კორნეტი ერისთოვები, ანტონ აფხაზოვი და სოლომონ დოდაევი. ეხლა უკვე მეც მათი თანაწევრი გავხდი და დავიწყეთ თავის მოყრა ხან თავად იასე ფალავანდოვთან, ხან თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან, ვიკრიბებოდით ხოლმე ზემოხსენებული თავადები, მას-

წავლებელთაგან სოლომონ დოდაევი, თითქმის მუდამ ჩვენთან იყო, ავთანდილოვი და ყიფიანოვი კი ძალიან იშვიათად დაიარებოდნენ. ამ შეკრებილობის დროს არ მახსოვს რას ვლაპარაკობდით ხოლმე. რადგან ჩვენი საუბარი მხოლოდ შეკრების დროს იქნებოდა ხოლმე მოაზრებული, სადაც ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგორ შეგვესრულებინა. ყველა ერთი მეორეს ეკითხებოდა და ყველა ამბობდა უნდა მოვიფიქროთო და უცებ საუბარი სულ სხვა საგანზე გადავიდოდა, და ბოლოს თითქმის ყოველთვის იყო ხოლმე ვახშამი. ყველაფერი ეს ხდებოდა ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან ნოემბრის პირველ რიცხვებამდე, როდესაც უკვე ყველანი აქეთ-იქით წავიდწამოვიდნენ.

ერთხელ, გადაწყვეტილი იყო, თავად იასე ფალავანდოვთან უნდა შევყრილიყავით და მართლაც ყველა დაუყოვნებლივ მოვიდა დანიშნულ საათზე. იქ იყვნენ თავადები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარი, კორნეტი გიორგი და მე ერისთოვები, გიმნაზიის მასწავლებლები: სოლომონ დოდაევი, ზალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანოვი. აქ წამოყენებული იყო სამი საკითხი. საღ ვიშოვოთ ფული, სურსათი და ჯარი. პირველი ორი საკითხი ჩვენ გადაწყვეტილად მიგვაჩნდა შემდეგნაირად: აჯანყებას დავიწყებთ თუ არა, მაშინვე ხაზინასაც და სურსათსაც ჩვენ ჩავიგდებთ ხელში. არ მახსოვს რომელიღაცამ სთქვა, ვაი თუ ვერ ჩავიგდეთ ხელშიო. მას ერთხმად უპასუხეს: აქ ვაითუს ადგილი არა აქვს, ნათქვამია, რომ ასე უნდა იყოს და კიდეც იქნება ასეო. ჯარის შესახებ საკითხი კი გადაუწყვეტელი დარჩა, ისევ ითქვა, რომ მოვიფიქროთო.

ამის შემდეგ მე ვთქვი: „ბატონებო ძალიან კარგი, ვთქვათ ყველა საშუალება გაგვაჩნია და კიდეც დავიწყეთ, ჩვენ ვინ გამოგვყვება, რას წარმოვადგენთ, მასხრად აგვიგდებენ და ჩვენც სასაცილოდ გავხდებით მეთქი, ჩვენებივე შეგვიპყრობენ, რა იმდენი ვართ მეთქი“. აქ თავადმა იასე ფალავანდოვმა მოიტანა საწერკალამი, რათა ჩამოგვეწერა მონაწილეთა სახელი და გვარი. ეს შრომა მე ვიკისრე. პირველად ყველა ზემოხსენებულნი ჩავწერე, შემდეგ დამიწყეს კარნახი, ვიღაც: ივანე... თეიმურაზ... ჩემთვის სრულიად უცნობი პირები... მე ვეკითხები ვინ არიან ისინი მეთქი, შენ წერე, ჩვენ ვიცით, ვინც არიანო, მიპასუხებდნენ ჩემი ძმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები და იასე ფალავანდოვი, რომლებიც თათბირობდნენ თვითეულ პირზე. ისინი მსჯელობდნენ, მავანმა შარშან იცოდა, იგი ჩვენი იქნებაო. მე კი ვწერდი და არ ვიცი ისინი მართალს ამბობდნენ, თუ ერთი მეორეს ატყუებდნენ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა. მაგრამ ასე

იყო. თუ ისე. მე უკვე ჩავწერე 30-მდე კაცი, როგორც მახსოვს. შემდეგ მე ვკითხე მუხრან ბატონის შესახებ: ალექსანდრე ორბელიანოვმა მიპასუხა მას ახლოც ვერ ვეკარებითო. მაშინ მე ვუთხარი, მოვწამლოთ იგი, მოვკლათ ან დავამწყვდიოთ სადმე მეთქი, მაგრამ მას დიდი შრომა არ დასჭირვებია დავეთანხმებინე, რათა იგი ცოცხალი დაგვეტოვებინა. ამის შემდეგ, ვახშამს შევუდექით და აღარ მახსოვს ვახშამს მერე რაზე ვილაპარაკეთ.

ერთ დილას, მე, ჩემი ძმა ელიზბარი და კორნეტი გიორგი ერისთოვი სასეირნოდ წავედით და გზად შევიარეთ ტარასი ბერის სენაკში. რომელთანაც დავიწყეთ საუბარი განყენებულ თემებზე და სხვათა შორის, გიორგიმ და ჩემმა ძმამ გამოუცხადეს მას ჩვენი განზრახულება და სთხოვეს მას რჩევა და კურთხევა. მან სიცილი დაიწყო და ამბობდა, ხომ არ გაგიჟებულხართო მაგრამ ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ, ჩვენს მხარეზეა მთელი თავად-ზნაურობა. ის სულ უარს ცვეუბნებოდა, ბოლოს გვითხრა, მე ვიცი, რომ არაფერი არ გამოვა, მაგრამ ისე მაინც მოიქეცით, რომ არავინ გაგიგოთო, შემდეგ სხვა საქმეებზე დაიწყო საუბარი და წავედით ისე. რომ კურთხევა არ მიგვიღია. ერთ საღამოს ისე ფალავანდოვთან ვიყავით შეკრებილი თავადები: ელიზბარ, კორნეტი გიორგი და მე ერისთავები, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები და სოლომონ დოდაევი. იქვე მოვიდა აგრეთვე ანტონ აფხაზოვი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჩემი იქ ყოფნა არ მოსწონდა, მაგრამ მალე დაარწმუნეს, რომ საშიში არა ვარ და მეც მათი თანამოაზრე ვარ . მერე მიმართეს მას შეკითხვით, რას გვირჩევ და როგორ მოვიქცეთო. (ასეთი შეკითხვის მიზეზს 16-ე პუნქტში განვმარტავ). და მან დაიწყო: ბატონებო, ღმერთს ვფიცავ, რომ ჩვენ შეუძლებელი საქმე წამოვიწყეთ, რადგან ჩვენი თანამემამულენი გაუნათლებელნი არიან და საკმარისია მცირე მარცხი, რომ ჩვენვე დაგვერიონენ, მაგრამ, დავუშვათ, რომ გავთავისუფლდით — ნუთუ დაგავიწყდათ ის უბედურებანი, რომელიც გადავლილია ჩვენი მამაპაპის თავზე იმ ბარბაროსთაგან რომლებიც ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ? შეადარეთ საქართველოს უწინდელი მდგომარეობა ახლანდელს. ძალიან კარგი, მაგრამ რა საშუალება გაგაჩნიათ საქართველოს დასაცავად მტერთაგან? წარმოვიდგინოთ, რომ, ღმერთმა კი დაიფაროს, და ჩვენმა მონარქმა მიგვატოვოს ბედის ამარად. სადა გვყავს ჯარი, საიდან ვშოვით ფულს, სად გვაქვს სურსათი? მე გირჩევთ მივატოვოთ ეს ქიმერა და დავრჩეთ რუსეთის ტახტის ერთგულნი, ვიყვნეთ მარად მადლიერნი უავგუსტესი მონარქის დაუღალავი ზრუნვი-

სთვის რა ვიქნებოდით ჩვენ აქამდე?“ ჩვენ მას ვერაფერი ვუპასუხეთ მაგრამ, რადგანაც უკვე გვიანი იყო, ვახშამი მოიტანეს. თავად აფხაზოვის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ისე იმოქმედა, რომ ჩვენ იმის შემდეგ აღარ შევკრებილვართ და თითქმის ხელი ავიღეთ ამ საქმის შესახებ ფიქრზე.

მალე ამის შემდეგ ვნახე ლეიბ გვარდიის კაპიტანი თავადი ზაქარია ჩელოყაევი, რომელსაც პეტერბურგში თითქმის არც კი ვიცნობდი, მე და კორნეტი გიორგი ერისთოვი მივედით, იგი მას კარგად იცნობდა. მასთან შევიკრიბებოდით ხოლმე: ჩემი ძმა ელიზბარი, ალექსანდრე ორბელიანოვი, სოლომონ დოდაევი, მე არ ვიცი, მათ იგი როდის გაიცნეს — აგრეთვე იასე ფალავანდოვი, კორნეტი გიორგი ერისთოვი და მე. რამდენჯერმე მასთან ყოფნის დროს საუბარში მას ჩვენთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გარეშე პირნი ხელს გვიშლიდნენ, ამიტომ გადავწყვიტეთ საღამოს შეკრებილიყავით საყავეში (в кофейный дом) ყველანი გარდა კორნეტ გიორგი ერისთავისა. იქ, ვახშმობამდე. სხვა და სხვა რამეზე ვლაპარაკობდით. ვახშმობის დროს კი დავიწყეთ საუბარი იმაზე, თუ როგორ ავჯანყოთ ხალხი, რის იმედიც ჩვენ არ გვქონდა. საუკეთესო საშუალებად ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლასა თვლიდნენ, რომლის გამოჩენასაც, მათის აზრით, შეეძლო ხალხის აღგზნება. შემდეგ ისევ გარეშე საქმეებზე საუბარი ჩამოვარდა, ვახშმის შემდეგ კი უმალვე წავედ-წამოვედით, იქვე ითქვა, რომ მეორე დღეს, მგონია, იასე ფალავანდოვთან უნდა შეკრებილიყავით.

კაპიტან თავად ჩელოყაევთან შეხვედრის დროს პირველად ის იწყებდა ხოლმე საუბარს — არ ვიცი მას გამოუცხადეს თუ არა —ამიტომ ჩვენც მასთან გულახდილად ვლაპარაკობდით. დანიშნულ დროზე შევიკრიბენით, როგორც მახსოვს: იასე ფალავანდოვი, მე, ჩემი ძმა ელიზბარი, კორნეტი გიორგი ერისთოვი და თავადი კაპიტანი ჩელოყაევი. ალექსანდრე ორბელიანოვი იმ ჟამად ავად იყო. კაპიტანმა ჩელოყაევმა დაიწყო: ბატონებო, როგორც თქვენ ამბობთ, თუ 1831 წლიდან გაქვთ განზრახული, მაშასადამე უკვე მზად უნდა იყვნეთ. — აი, ხელსაყრელი დროც: კორპუსის უფროსი განსაცდელშია (გიმრის აღების დროს), ჯარი საქართველოში ძალიან მცირეა, სწორედ კარგი შემთხვევაა. აქვე დანიშნა ნოემბრის 20 რიცხვი იასე ფალავანდოვმა და მერე ვახშამს შევუდექით. იასე ფალავანდოვი ამბობდა, რომ მისწერეს — არ ვიცი, ვიღაც თავადიშვილს ასახელებდა — და ჩამოვაო.

ალექსანდრე ორბელიანოვთან ხშირი შეკრების დროს კაპიტანი ჩელოყაევი ამბობდა ხოლმე, რომ დივიზიის უფროსი და კორპუსის უფროსი ჩვენ ძალიან ხელს გვიშლიანო, რადგანაც ისინი აღუთქვამენ რუსეთის ხელმწიფის უსაზღვრო წყალობასა და ჩვენს მხარეზე ვინღა გამოვაო, ეს მართლა ასეც მოხდა. ჩვენი თანამოაზრენნი იასე ფალავანდოვის დაბარებაზე არ გამოცხადდნენ, ისინი სულ სხვა ნაირად ფიქრობდნენ, რაც დადასტურდა უკანასკნელი ექსპედიციის დროს, სადაც ყველა სიამოვნებით წავიდა — ამის გამო, თბილისში დარჩენილი თავადების ცადმობირება განვიზრახეთ, რისთვისაც ჩემი ძმა ელიზბარი იყო თავად მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან, მაგრამ მალე იასე ფალავანდოვი ელაპარაკა მას ცალკე და როგორც გადმოგვცა, მას უთქვამს რომ მთელი ოჯახით რუსეთში გადასახლებას უპირებენ და რომ ახლანდელი სამოქალაქო გუბერნატორი, ძმა იასესი, ატყუებს და არ შეირთავს მის ქალს. რითაც ლუარსაბ ორბელიანოვი დაითანხმა. მან ასე გვიამბო.

კაპიტანმა ჩელოყაევმა სწორედ მასთან მოისურვა საუბარი, რისთვისაც დავინიშნეთ დრო და შეკრება მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან. შეიკრიბნენ: თავადი კაპიტანი ჩელოყაევი, ელიზბარი, კორნეტი გიორგი და მე ერისთოვები და ალექსანდრე ორბელიანოვი. აქ კაპიტანმა ჩელოყაევმა დაიწყო საუბარი ზემოხსენებულ ხელსაყრელ პირობათა შესახებ. თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა უპასუხა, — ბატონებო, ყველანი ჩემი ახლო ნათესავები ხართ, ნუ გეწყინებათ, თუ გეტყვით, რომ ეს შეუძლებელი საქმეა, რადგანაც ჩვენ არ გაგვაჩნია არაფერი და თანაც, მარტო ჩვენ რას გავხდებით, თუმცა... ამ დროს მეზობელ ოთახში რაღაც ხმაური გაისმა, მე მაშინვე გავედი იმ ოთახში და რამდენიმე წუთის შემდეგ, ყველანი იქ გამოვიდნენ. მერე მალე ვახშამიც მოიტანეს, ვახშმის შემდეგ კი უმალ დავიშალენით.

ამის შემდეგ ვიყავით შეკრებილი თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან, სადაც იყვნენ: ვახტანგი და მისი ძმა ლეიბ-გვარდიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი, კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევი, ელიზბარი, კორნეტი გიორგი და მე, ერისთოვები, იოსებ მამაცოვი, მასწავლებლები: სოლომონ დოდაევი, ზაალ ავთანდილოვი და დიმიტრი ყიფიანოვი. კაპიტანმა დაიწყო ლაპარაკი და გამოაცხადა დანიშნული დრო, მე და თავადი ვახტანგ ორბელიანოვი მაგიდასთან ვისხედით განცალკევებულად და არ გვესმოდა, რა ხდებოდა იქ, გარდა ხმაურისა. ვახშმის შემდეგ, თითქმის, მაშინ-

ვე დავიშალეთ. ამ კრების შემდეგ, არ მახსოვს, მეორე თუ მესამე დღეს შინ მარტო ვიყავი, შემოდის ჩემი ძმა ელიზბარი, გადაგდებს ქუდს და მეუბნება: შენ იცი? ჩვენ, ე. ი. თავადები: იასე ფალავანდოვი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე ვიყავით კაპიტან ჩელოყაევთან, იგი ახლა სულ სხვანაირად ლაპარაკობს, მაგრამ სიტყვა აღარ დაამთავრა და სთქვა, კაცმა რომ სთქვას, რა გვინდა ჩვენაო! რატომ არ ვართ კმაყოფილი ჩვენი მდგომარეობით, გამოტყდი, რომ ჩვენ სასტიკად შემცდარი ვართ: ეხლა კმარა და შემომფიცა, რომ ამ საქმეზე აღარასოდეს აღარც კი ვიფიქრებთო. მე ვუპასუხე დიდი ხანია, მე ამას ვგრძნობდი, მაგრამ რა უნდა მექნა-მეთქი. ჩვენი სურვილი მალე აღსრულდა, უკვე ნოემბრის პირველ რიცხვებში მე და ჩემი ძმა წავედით სოღამოთი ალექსანდრე ორბელიანოვთან, სადაც იყვნენ ლეიბ-გვარდიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი, კორნეტი გიორგი, ელიზბარი და მე ერისთოვები, იქ სთქვა კაპიტანმა ჩელოყაევმა, რომ ჩვენი განზრახვა განუხორციელებელიაო, რადგან არც ფული გაგვაჩნია და არც ჯარი გვყავსო. ერთად ერთი იმედი თავადებზე გვქონდა და აი, კორპუსის უფროსი ბრუნდება, ყველას დაასაჩუქრებს და ისინივე მოგვესევიანო, გირჩევთ ახლავე გაათავოთ ეს საქმე და მომავალში მასზე აღარ იფიქროთო. მის აზრს ყველა დაეთანხმა. ამით გათავდა ჩვენი განზრახვა და მასთან ერთად ჩვენი შეთქმულებაც.

ჩემს მაგიერ ერევანში გაიგზავნა ჩვენს როტაში (გადმოყვანილი პოდპორუჩიკი, მე კი დამნიშნეს კორპუსის არტილერიის უფროსთან გენერალ-მაიორ ჟუკოვსკისთან და დღემდე იქ ვმსახურობდი.

11. მთავარი მიზეზი 13-ე მუხლში იქნება მოხსენებული. იმის გარდა, მე მქონდა პირადი ხასიათის მიზეზი, რადგან: ღვთივ გარდაცვლილმა იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ დაგვიბრუნა ჩვენთვის უკანონოდ ჩამორთმეული მამულები, რომლის დანარჩენ ნაწილსაც ეხლა გვართმევენ, ვითომც, არა ერისთოვებისადმი კუთვნილს, და ამასთანავე, როგორც კი ჩვენი გლეხი განაცხადებს, რომ ის ჩვენი არ არის, მაშინვე გვართმევენ, ისე რომ არ ეკითხებიან დამსახურებულ გენერალ-ლეიტენანტსა და სენატორს თავად გიორგი ერისთოვს, ჩვენ ალალ ბიძას. ვფიქრობდი, რომ თუკი მის დამსახურებას პატივს არა სცემენ, მაშ, მისი სიკვდილის შემდეგ, ჩვენ როგორღა მოგვექცევიან მეთქი, აი, მიზეზი, თუმცა უსაფუძვლო, მაგრამ მე, ჩემი უგუნურების გამო, ასე ვფიქრობდი მაშინ.

12. ჩვენ იმედი გვქონდა თავად იასე ფალავანდოვის სიტყვისა, რომელიც გვეუბნებოდა, რომ აჯანყებისათვის თბილისში 200 ავარა კაცის შოვნა შემიძლიანო, და ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილისათვისაც კაცი უნდა გაგვეგზავნა, რომლის მოსვლისთანავე, ჩვენი აზრით, მთელი საქართველო აჯანყდებოდა. ამის შემდეგ, უნდა დესპანები გაგვეგზავნა უცხო ხახელმწიფოთა მთავრობებისათვის, რათა მათ რუსეთის იმპერატორისაგან ჩვენთვის თავისუფლება გამოეთხოვნათ. ჯარის გამოკვებას იმით ვფიქრობდით, რომ, რაკი რუსის ლაშქარი გავიდოდა საქართველოდან, პურის მაღაზიები[1] და ხაზინა ჩვენ დაგვრჩებოდა. აი, ყველა საშუალებანი, რომლითაც ჩვენ ჩამოშორებასა ვცდილობთ.

13. 1825 წლის დამლევს ანასტასია ბატონიშვილი თავისი ვაჟითურთ, რომელიც ამჟამად ლეიბ გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტია, ს. პეტერბურგში წავიდა და თავის სრულ ხარჯზე თან წაგვიყვანა მე და პრაპორშჩიკი დავით ჯორჯაძე. ჩვენ ორი კვირა მოსკოვში დავრჩით და ვცხოვრობდით მარიამ დედოფალთან. პეტერბურგში ჩასვლისას ბატონიშვილი ჩამოხდა თავის ძმა ფარნაოზ ბატონიშვილთან და მეც აგრეთვე, რადგან ბატონიშვილის ცოლი ჩემი მამიდაა, თავადი ჯორჯაძე კი დიმიტრი ბატონიშვილთან გაჩერდა, რომელმაც იგი მალე კადეტთა 2-ე კორპუსში მიაღებინა. მეც აგრეთვე ჩემმა ძმამ[2], რომელიც საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა, მიმაბარა მასწავლებელს, რათა შემესწავლა რუსული და მიმეღო პირველდაწყებითი სწავლა. უქმე დღეებში მე და ჩემი ძმა ელიზბარი დავიარებოდით ფარნაოზ ბატონიშვილთან, სადაც ვნახულობდით ხოლმე გიორგი ერისთოვს, იქვე მოვიდოდნენ ხოლმე სანახავად აგრეთვე ბატონიშვილი დიმიტრი და დავით ჯორჯაძე. ასე გავიდა მთელი წელიწადი მისვლა-მოსვლაში და მეორე წელიწადს კი მოვხვდი ყოვლად მოწყალე მონარქის მოწყალების ქვეშ და შეიძლება ითქვას, ვიზრდებოდი დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძის ზედამხედველობით, რაც არასოდეს არ ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე მომცემს დროს დავუმტკიცო მას ჩემი მისი ტახტისადმი ერთგულება და მადლობა მისი მშობლიური ერთგულებისათვის. მე და ჩემი ძმა განვაგრძობდით სწავლას და თითქმის ყოველ უქმე დღეს დავიარებოდით ფარნაოზ ბატონიშვილთან, ჩვენ მოწყენილობას ვგრძნობდით ჩვენი წრისაგან განშორებულობის გამო და ამიტომ გიორგი ერისთოვთან

---

1 საწყობები.

2 ელიზბარი.

ერთად, დავდიოდით დიმიტრი ბატონიშვილთან, რომელიც ჩვენ გვიღებდა როგორც ნათესავებს და გვესაუბრებოდა სხვა და სხვა საგნებზე. ის ჩვენ გვიამბობდა ხოლმე ისტორიიდან თავისუფლების შესახებ, შემდეგ არა ერთხელ უთქვამს გიორგი ერისთავისათვის — რადგან ეს ფიცხი ხასიათისა იყო, რომ ქართველები თავისი ყოფაცხოვრებით ბოშები არიან და მაშასადამე, შენც ბოშა ხარო. ამგვარ სიტყვების ხშირად განმეორების გამო, ჩვენ, ასე ვთქვათ, აღვიგზნებოდით საქართველოს ძაგების დროს. მაგრამ ის ეგვეუბნებოდა, ჩემი ბრალი არ არის, რომ თქვენ ასე გიწოდებენ: ე. ი. გაუნათლებლებს, სულელებს, ველურებსა და სხვა. მე უნდა ვაღიარო, ისე ვიყავი ამით გაღიზიანებული, რომ ქუჩაში მიმავალს ყურში სულ ჩემი და ქართველების გინება მესმოდა, ვის არ უჯვარს თავისი სამშობლო და თავისი ხალხი? ჩვენ, ე. ი. მე, ელიზბარი და გიორგი ერისთოვები დღითი დღე უფრო გულახდილი ვხდებოდით და უფრო მივეჩვიეთ დიმიტრი ბატონიშვილს, მაგრამ იგი ჩვენ პირდაპირ არაფერს გვეუბნებოდა და ისე მხოლოდ გვაქებდა, ჩვენ კი ეს გვეხალისებოდა და ვლაყბობდით, რაც კი პირზე მოგვადგებოდა, არა ვგრძნობდით რა ჩვენ წინ უფსკრულს, რომელშიც სხვებიც ჩავითრიეთ. მან ისე შემოგვაპარა ეს აზრი, რომ ერთ დროს კითხვაც კი წამოვაყენეთ როგორ ვაგვენთავისუფლებინა საქართველო. მან სიცილით გვითხრა, თქვენ, გაუნათლებლებს, ველურებს, რა შეგიძლიათო. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს ეს, მან ჩვენ ასუხა: ჯერ უნდა განათლება მიიღოთ, შეარიგოთ ერთმანეთთან მოქიშპე საგვარეულოები და მაშინ. ეგებ. რისიმე გაკეთება შეიძლოთო. ჩვენ მასთან ამის მსგავსი საუბრები გვქონდა ხოლმე, შინაარსი აღარ მახსოვს. ზოგიერთ ამ საუბარს ესწრებოდნენ ხოლმე ამ ჟამად ლეიბ გვარდიის პროპორშჩიკი თავადი დიმიტრი ორბელიანოვი. პრაპორშჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე, ზოგჯერ თავადი ალექსანდრე ჩელოყაევიც და სოლომონ რაზმაძეც, — ზაქარია ჩელოყაევი. ჩემი პეტერბურგში ყოფნის დროს, დიმიტრი ბატონიშვილთან არ მინახავს და მას არ ვიცნობდი იქ.

1830 წელს ჩემი ძმა ელიზბარი საქართველოში გამოემგზავრა. მე და გიორგი ერისთოვი იუნკრები რომ ვიყავით, დავდიოდით დიმიტრი ბატონიშვილთან ძალიან ხშირად, მერე კი გიორგი ერისთოვი მალე პოლონეთში წავიდა სალაშქროდ. თავადი დავით ჯორჯაძე აგრეთვე 1830 წლის დამლევს საქართველოში გამოემგზავრა, მე კი, მივიღე რა ოფიცრობა 1831 წლის დამდეგს დავრჩი საცხოვრებლად ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელიც სასტიკ თვალყურს ადევნებდა ჩემს ყოფაქცევას და სარწმუნოებრივ და-

რიგებებს მაძლევდა. ფარნაოზ ბატონიშვილთან ჩემი ყოფნის დროს, მე არ გამიგონია არც ერთი საეჭვო სიტყვაც კი მისგან და მით უმეტეს ბოროტგანზრახულების შესახებ რამე.

ს. პეტერბურგიდან ჩემი გამომგზავრების წინ დიმიტრი ბატონიშვილმა გამიმეღავნა საიდუმლოდ მიმოწერის საშუალება; იგი ისე ფრთხილად იქცეოდა, რომ არც ახლა გამოუცხადებია პირდაპირ, არამედ მითხრა, რომ, თუ რამე მნიშვნელოვანს გაიგონებ, ამის საშუალებით მომწერეო და ამასთანავე კი თვითონ კი არა, მე გამაკეთებინა იგი ფორმა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ფოსტის ქაღალდის ნახევარზე იყო ამოჭრილი რამდენიმე გარდიგარდმო ხვრელი, რომელშიც იწერებოდა მთელი სიტყვა, ამ ფორმას დავადებდით მეორე სუფთა ქაღალდს და ამოჭრილ ადგილებში ვწერდით, რაც გვინდოდა. შემდეგ ამ ქაღალდს მოვაცლიდით და იწერებოდა უკვე სხვა სიტყვები, ისე რომ ვინც არ იცოდა, მას, როგორც ჩვეულებრივ წერილს კითხულობდა, ხოლო ვისთანაც იგი იყო მიწერილი — დაადებდა ზემოხსენებულ ჩარჩოს და ამოიკითხავდა იმას, რაც საჭირო იყო. მე გამოვემგზავრე ს. პეტერბურგიდან 1832 წლის 7 თებერვალს. რადგან მოულოდნელად წამოვედი, დიმიტრი ბატონიშვილის ნახვა ვეღარ მოვახერხე, ფარნაოზ ბატონიშვილმა და მისმა მეუღლემ კი მიბრძანეს სალამი გადამეცა ყველა მათი ნათესავებისათვის და მე წამოვედი. ს. პეტერბურგში 1832 წლის დამდეგს, 1801 წლის მანიფესტზე, რომელსაც უნდა ქართველები თაყვანსა სცემდნენ, რადგან მისით დაიწყო საქართველოში მშვიდობა და სიწყნარე, — მე გავკადნიერდი და ამ ღვთაებრივ ქაღალდზე დავწერე შენიშვნები, მაგრამ აღვიარებ გულწრფელად, რომ ეს მხოლოდ ჩემი სისულელით მომივიდა და ამის შესახებ არავინ არ იცის არც პეტერბურგსა და არც საქართველოში.

თებერვლის 11-ს უკვე მოსკოვს ვიყავი და ვინახულე მარიამ დედოფალი, ვნახე აგრეთვე ოქროპირ ბატონიშვილი, რომელმაც თავისთან დამტოვა სადილად, სადაც სტუმრები ბლომად იყვნენ და დრო ხუმრობაში გავატარეთ, სადილს შემდეგ მან წარმადგინა თავის მეუღლესთან და თვითონ კი ბალზე წასასვლელად ემზადებოდა. რადგანაც უკვე თეატრში წასვლის დრო ახლოვდებოდა მე გამოვეთხოვე ოქროპირ ბატონიშვილს და წავედი. მაგრამ მან მალე მომიგზავნა კაცი თეატრში, გამომიძახეს და თავის კაბინეტში მიმიხმო, სადაც შემდეგი საუბარი დამიწყო: გამიგონე დიმიტრი, შენ საქართველოში მიდიხარ, მე უნდა გირჩიო თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, შენი ძმა და სოლომონ დოდაევი, რო-

მელთაც უკვე ველაპარაკე, რათა შეადგინონ ახალგაზრდებისაგან საზოგადოება და შენც გთხოვ მონაწილეობა მიიღო, მოიწვერეთ, რაც მნიშვნელოვანი მოხდესო. იგი ეძებდა მიმოწერის საშუალებას. რადგან მე მეჩქარებოდა ისევ თეატრში წასვლა, ამიტომ მაშინვე შევთავაზე იმისთანა ფორმატი, როგორიც მე მქონდა და აღვუთქვი უთუოდ ყველაფერს შევასრულებ მეთქი, მერე წავედი თეატრში, საიდანაც პირდაპირ აქეთ გამოვემგზავრე. აი, მიზეზი, თუ რატომ დავიწყე მე გულახდილად ლაპარაკი თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან და ბატონ სოლომონ დოდაევთან. ამ გარემოებამ მაიძულა შევსულიყავ ზემოხსენებული საზოგადოების წევრად და შემდეგ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაშიც.

ტულადან მინდოდა მომეხდინა პირველი ცდა და მივწერე ოქროპირ ბატონიშვილს, მაგრამ მისი ფორმატი ვერ ვიპოვნე და დიმიტრი ბატონიშვილის ფორმატით მივწერე ტულის კეთილშობილთა კრების შესახებ, რომელსაც მე დავესწარი. მაგრამ, არ ვიცი გაიგო თუ არა ბოლოდ სამი თვის შემდეგ მივიღე მისგან 200 მანეთი ასიგნაციებით, რაც სრულიად არ მითხოვნია, აქედან მე დავასკვენი, რომ მან ჩემი წერილის შინაარსი ვერ გაიგო და ამიტომ მასთან მიმოწერაზე ხელი ავიღე. თბილისიდან კი მხოლოდ ერთხელ მივწერე დიმიტრი ბატონიშვილს, რომლისგანაც პასუხი არ მიმიღია და რომელთან მიმოწერაზეც აგრეთვე ავიღე ხელი, ფორმატი ჩემს ქაღალდებში იყო და არ ვიცი რა იქნა.

ს. პეტერბურგიდან თბილისში რომ ჩამოვედი, ვიყავი გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძესთან რამდენიმეჯერ, მაგრამ არა მქონია მასთან სხვა არავითარი საუბარი, გარდა საერთო განყენებული საგნების შესახებ. ჩემი ძმის ელიზბარისაგან კი გავიგონე, რომ, ვითომც კაპიტანი თავადი ზაქარია ჩელოყაევი, მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვითურთ, ყოფილა მასთან, მაგრამ რა საუბარი ჰქონდათ მათ მაშინ, მე ეს არ ვიცი, ოღონდ. თურმე თავადი ჭავჭავაძე არ ეთანხმებოდა და ცდილობდა მათთვისაც უარი ეთქმევინებინა, მეტი მე არა ვიცი რა გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეზე.

15. ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკის მე ვერ ვიცნობდი, მაგრამ ერთხელ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ ბატონი ზავილეისკი უმიზნოდ არ ავიწროვებდა ქართველებსო. მას ასეთი დასკვნა შემდეგიდან გამოჰყავდა: ვითომც, ზავილეისკის უთქვას ერთხელ მისთვის, რომ ქართველები რატომ არაფერ ღონეს ხმარობენ მთავრობის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგაო. აი, ის, რაც ვიცი ბატონ ზავილეისკიზე.

16. რაც ხან მე როტაში ვიყავი, როგორც მქონდა პატივი მო-

ბეხსენებინა 10-ე პუნქტში, უჩემოდ შეგროვილიყვნენ ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევთან. როგორც შემდეგში ჩემი ძმის ელიზბარისა და კორნეტ თავად გიორგი ერისთოვისაგან გავიგე, ამ შეკრებილობის დროს, თურმე თავადი ანტონ აფხაზოვი იყო დანიშნული პრეზიდენტად[1], რის გამოც, ამ უკანასკნელი შეკრების დროს შეკითხვებით მას მიმართავდნენ. შემდეგში, ჩემი თანდასწრებით, სადაც ვიყავით: მე, ელიზბარი, კორნეტი გიორგი ერისთოვები, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და თავადი იასე ფალავანდოვი, წინადადება იქნა შემოტანილი, რადგან აფხაზოვი წასული იყო, მეთაურად აეფილიყო იასე ფალავანდოვი, რომელიც ჯერ უარზე იდგა, მაგრამ აღარ მოეშვნენ და დაითანხმეს.

აი, ყველაფერი, რაც კი ვიცი ჩვენი შეთქმულების შესახებ. ჰეშმარიტი და გულწრფელი მონანიებით ვემხობი ყოვლად მოწყალე მონარქის ფერხთა ქვეშე, რომლის წყალობა განუსაზღვრელია თვით დამნაშაკეთა მიმართაც და მე ამ იმედითა და გულითადი მოანანიებით ვსასოებ მონარქის სულგრძელობაზე, რომ მომცემს იგი დროს წარვხოცო ჩემი დანაშაული და დავამტკიცო რუსეთის ტახტისადმი ერთგულება.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წლის თებერვლის „ „[1] დღესა,

იასე ფალავანდიშვილის პასუხები (VII, 1327 — 1339)

1. სახელი ჩემი იესე იოსების ძე, კოლეჟსკი რეგისტრატორი, თავადი ფალავანდიშვილი.

2. ოცდა ათი წლისა ვარ.

3 უცოლო ვარ, მყავს ძმა და ძმისწული.

4. უძრავი ქონება ტფილისისა და გორის მაზრებში მაქვს. შემოსავლის რაოდენობა არ ვიცი. რადგან მთელი ქონება უფროსი ძმის სრულ განკარგულებაშია.

5. აღზრდილი ვარ მამი ჩემის მეცადინეობით.

6. ვმსახურობდი სამოქალაქო სამსახურში და ლაშქრობაში არ ვყოფილვარ.

7. არც მოსკოვსა და არც ლენინგრადში არ ვყოფილვარ.

8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ კვირა-უქმე დღეებში ჩვეუ-

---

[1] შეთქმულების მეთაურად არჩევაზეა ლაპარაკი.

[2] რიცხვი არ უწერია, ჩანს არ სცოდნია.

ლებრივ დავიარები ეკლესიაში და ყოველწლიურად ვზიარებულვარ.

9. ლტოლვის გამო 1829 წ. ვიყავი სასამართლოში მიცემული. ჩემი ძმისგან მთავრობისათვის წარდგენილი განმარტების შემდეგ, სენატმა გამამართლა.

10. 1831 წელს არ მახსოვს დანამდვილებით რომელ თვეში, ჯერ მოვიდა ჩემთან ჩემი სიძე თეიმურაზ ამილახვარი და საუბარში სხვათა შორის მითხრა შემდეგი ამბავი, რომ სოვეტნიკმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა მას, თითქოს პოლონელებს რუსეთი ძალიან შეუვიწროებიათ და ამით ჩვენც აქ რუსებისგან განთავისუფლების მიზნით აღრეულობის მოსახდენად ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლევაო. ამ დროს ჩემთან ვიღაცა შემოვიდა და ამან საუბარი შეწყვიტა. ეს გარემოება თუმცა მიამბო ამილახვაროვმა, მაგრამ მე არ დავუჯერე იმიტომ, რომ ამ დროს მისი გლეხები უჩიოდნენ მას და საქმე სასამართლოში წარმოებდა, გლეხები მისგან თავისუფლებას იძიებდნენ. რამდენიმეჯერ უთქვამს ჩემთვის, ქართველი მეფეების დროს გლეხები ჩივილს როგორ გაბედავდნენო და მე ვფიქრობდი — ამილახვაროვი ამას იმიტომ ამბობს, რომ შეურაცხყოფილი არის გლეხებისაგან.

არ მახსოვს იმავდღით თუ მეორე დღეს ამილახვაროვს შეხვედრია სოვეტნიკი ორბელიანოვი და უთქვამს მისთვის, რომ ეს ამბავი იესე ფალავანდოვს გამოუცხადეო, ორბელიანოვი გასჯავრებოდა რათ უთხარიო, ის კაცი ორჯერ ლტოლვილი იყო, თავის ნათესავებს სტოვებს და ჩვენ რას დაგვინდობსო; ყველა ეს ამილახვაროვმა მიამბო. ამილახვაროვმა თურმე უპასუხა, როგორც მე ვიცნობ ის არავის არ გაუმხელს და მე კი მხოლოდ იმას ვუთხარიო.

ამის შემდეგ, არ მახსოვს რა დღე იყო, მოვიდნენ ჩემთან სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი — პირველი მოსვლა იყო ეს მისი ჩემთან, მე მასთან არავითარი ნაცნობობა არ მქონია, — მასთან ერთად დოდაევი და ამილახვაროვი, ყველა ეს პირნი მოვიდნენ ჩემთან, თეიმურაზი ზალაში შევიდა, დოდაევი კი სურათებს სინჯავდა. ალექსანდრე ორბელიანოვი მისაყვედურებდა, რომ სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ჩვენ ახალგაზრდობაში ერთად გვითამაშნია და რას მიეწერება, რომ ეხლა ჩემთან აღარ დადიხართო. მე ამაზე მივუგე თქვენი მოწყალებით არ ვსარგებლობ მეთქი. ლაპარაკის დროს, სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვენი თანამემამულეები ძალიან შეწუხებულნი არიან მთავრობის დაწესებულებათაგან და ნახე რა უბედურებამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენ შორის თანხმობა და მეგობრობა გაჭრალაო. პირიქით, სომხები კი თანხმობითა და მეგობრულად ცხოვრობენ და არასოდეს ერთი მეორეს არ უღალატებენო. რუსებს

კი უყვართ გაიძვერები და ამისთანა ხალხი ბევრსაც ახერხებსო... სოვეტნიკ ორბელიანოვის ამ ზღაპრებს მე ყურიც არ ვათხოვე, რადგან ამგვარ საუბარს სრულებითაც არ ვსაჭიროებდი. ჩემთვის ქართველი და სომეხი სულ ერთი იყო, გარდა ამისა მე არ მქონდა საქართველოში დარჩენის განზრახვა, რუსეთში მინდოდა წასვლა. ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი ხელმწიფის სამსახურში შესვლისა, მაგრამ ძმამ დამიშალა, ამიტომ არა ერთხელ მიმიგზავნია ჩემი სულიერი მოძღვარი საკათედრო ტაძრის დეკანოზი და კავალერი ავალიანოვი და ტფილისელი აზნაური სტეფანე ლორის მელიქოვი და მითხოვნია განსვენებული მამიჩემისთვის მოეცა ჩემთვის ფულადი დახმარება, რომ რუსეთს წავსულიყავი, მაგრამ განსვენებულმა მამა ჩემმა გადაჭრით უარი სთქვა ამაზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ დღეს მოვიდა ჩემთან სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი და საუბრის დროს მითხრა, რომ მას სურს საიდუმლო გამომიცხადოს, მაგრამ მხოლოდ ფიცის ქვეშ. მე შევფიცე და მან მითხრა რუსებისაგან განთავისუფლება გეწადიანო. მე ვუპასუხე, ასეთი ლაპარაკისათვის ხალხი ისევე დაისაჯა როგორც მაგგვარი საქციელისათვის მეთქი და ვთხოვე ამნაირი საუბარი შეეწყვიტა. სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა მიპასუხა, — მართალია აქამდე ჩვენ შორის არ ყოფილა თანხმობა და სამშობლოს სიყვარული, მაგრამ მადლობა ღმერთს ეხლა არის ჩვენ შორის თანხმობა და სიყვარული და ისეთი ხალხი იღებს მონაწილეობას, რომ მათი შემწეობით განზრახვის აღსრულება ადვილიაო. მე შევეკითხე ბატონ სოვეტნიკს ვინ არიან სახელდობრ მეთქი? ის ამბობს: გენერალ მაიორი ჭავჭავაძე, სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი, მე შევაწყვეტინე სიტყვა და ვკითხე ზავილეისკი რაღათ იღებს მონაწილეობას მეთქი, მან მიპასუხა ჯერ ერთი გენერალ მაიორ ჭავჭავაძის ნაცნობია და მეორეც ის პოლონელიაო, მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი, მამუკა ორბელიანოვი, გორის მაზრის თავადები ერთობლივ ერისთავები ამილახვარები, მაჩაბლები, ჯავახოვები და ზოგიერთი თარხანოვები, სიღნაღის მაზრიდან აბელ ანდრონიკოვი და მისი ორი შვილი, ნინია ანდრონიკოვი, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა პოლკოვნიკ ანდრონიკოვთან, თელავის მაზრის ივანე ჯორჯაძე და მისი შვილი დავითი, თავადი ივანე რუსიშვილი და პორუჩიკი ნათალოვი.

ბატონმა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა მარტო რომ დამიგულა, მაშინ მითხრა, მე არასგზით არ დავიჯერე, მაგრამ მთავრობისათვის რომ გამომეცხადებინა, არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არ გამაჩნდა. ამის შემდეგ ჩემი საუბარი მასთან, რომ მას თავისი შთამომავლობის შეგნება არა აქვს — იმას ისახავდა მიზნად, რომ მათი

საზოგადოების გამეგო რამე. მაგრამ მისგან გარკვეული ვერა გავიგე რა. ბაზრიდან მომავალი გზაში შემოვხვდი ამილახვაროვსა და ალექსანდრე იაგორის ძე ორბელიანოვს, მითხრეს ჩაიზე დაგვპატიჟეო. იყვნენ ჩემთან, საუბრის დროს მეამბოხე პოლონელებზეც ვილაპარაკეთ.

მასწავლებელმა დოდოევმა ჩემ ძმას წარუდგინა წარსულ 1831 წელს იანვარში განსახილველად ქართული ლიტერატურის რვეული (тетрадь грузинской литературы) და რადგანაც ჩემ ძმას არ ეცალა, რომ ის მთლად წაეკითხა, ამიტომ მე დამავალა და მე იქ ვნახე სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის დაწერილი ლექსები, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მე იგი ჩემ ძმას წარუდგინე რათა ამოეშალა, ჩემმა ძმამ რომ ნახა დოდაევზე ძალიან გაჯავრდა და უბრძანა მას ხელი აეღო ამგვარი წერილების ამ ლიტერატურაში მოთავსებაზე (чтобы подобных статей не помещал в оной литературе); ჩემი ძმისგან გამოსული მასწავლებელი დოდაევი ჩემთან შემოვიდა და დიდი საყვედური გამომიცხადა, შენ რომ არ გეჩვენებინა, ის ლექსებს არ წაიკითხავდა და საქმე ამით გათავდებოდაო.

წარსული 1832 წლის სექტემბრის დამლევს მთხოვა ღარიბმა რუსმა ალექსეიმ მისი შვილი მომენათლა, რაც შევუსრულე. მივედი მასთან და მოუნათლე შვილი, მეორე ნათლიად დოდაევის ცოლი იყო. სადილის შემდეგ დოდაევის ცოლმა მთხოვა ხვალ მათთან ვისადილო და როგორც კი გავათავეთ სადილი, შემოვიდნენ შემდეგი პირები: სოვეტნიკი ორბელიანოვი, თავისი ძმა ვახტანგით, ელიზბარი და გიორგი ერისთავები და თავადი აფხაზოვი. მე პირველად ვნახე ელიზბარ და გიორგი ერისთავები, აგრეთვე ვახტანგ ორბელიანი. წავედით გერმანელების ახალშენში, იქიდან ორთაჭალის ბაღში, იქიდან კი ელიზბარ ერისთოვმა თავისთან მიგვიწვია ჩაიზე, მთავრობის საწინააღმდეგო იქ არაფერი თქმულა. მხოლოდ საიდუმლოდ მითხრა ალექსანდრემ ხომ არ დაგავიწყდათ, რაც შარშან გელაპარაკეო. მე ეუპასუხე, თავადო, არ დამვიწყებია, მაგრამ მე ერთს რა შემიძლიან მეთქი. ალექსანდრემ თქვა ის ხალხი, ვისაც შარშან ამ საქმეში მონაწილეობა სურდა ეხლაც ცოცხლები არიანო. მისმა საიდუმლოებამ მაფიქრებინა, რომ ის რაღაცას აპირებდა. ჩაის შემდეგ მე და აფხაზოვი შინ ერთად წავედით, სოვეტნიკმა იმავე საღამოს დაგვპატიჟა ყველანი ზეგისთვის ვახშმად თავის ბაღში. იქ მივედი, დამხვდნენ: სოვეტნიკი, და ვახტანგი ორბელიანოვები, ელიზბარ და მისი ძმა იასე ერისთოვები და მასწავლებელი დოდაევი, ისინი ქართული ლიტერატურის გაუმჯობესების თაობაზე საუბრობდნენ. მე ყველაზე

ადრე წამოვედი. მაგრამ ჩემს იქ ყოფნამდე მთავრობის საწინააღმ-დეგო არაფერი თქმულა.

წარსული წლის ოქტომბრის დამდეგს, რადგან მორიგეობით მას-პინძლობა შემოიღეს, ამიტომ თ. აფხაზოვმა მისი დედის ავადმყო-ფობის გამო, ვაბშამი მასწავლებელ დოდაევის ბინაზე გამართა. იქ იყვნენ: ბ. სოვეტნიკი ორბელიანოვი თავისი ძმა ვახტანგით, ელიზ-ბარ და გიორგი ერისთოვები, ვიცინოდით, ვხუმრობდით, შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმა სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი, რომ აღმასრულებელი ექსპედიციიდან სამსახურის საქმეზე სიღნაღის მაზრაში ვიყავ მივლინებულიო და ვითომც გლეხები ჩიოდნენ მას-თან და სხვა. ელიზბარმაც ასეთსავე რამეებზე დაიწყო მსჯელობა. სხვათა შორის ალექსანდრე ორბელიანოვმა თქვა. ჩვენი წრიდან ისე-თი ვინმე ამოვირჩიოთ, რომელმაც მეგობრობისა და სიყვარულ ის ფასი იცისო. აფხაზოვს შესთავაზეს, რომელმაც უარი თქვა, მერე მე მითხრეს, მეც უკუ დავდექი. ხოლო ელიზბარი წამოდგა და თქვა — თუნდა მე ვიქნებიო. მე ვერ მივხვდი, რომ ამ საშუალებით ისინი თავის მომხრეების გამრავლებას ცდილობდნენ. ბოლოს ალექ-სანდრემ მოითხოვა ფიცი, რომ ჩვენ საუკუნოდ მეგობრები ვიქნე-ბით, ცოტა ხნის შემდეგ კი დგება ფეხზე, იღებს ქუდსა და ამბობს „გაუმარჯოს თავისუფლებასო". ამის გამგონე აფხაზოვი გაკვირვე-ბით შეჰყურებდა მას და მერე თქვა: ამ კედლებისაც კი მეშინია, ამ სიტყვების გულისთვის ისე დაგვსჯიან როგორც სახელმწიფო და-ნაშაულისათვისაო. ამაზე ელიზბარ ერისთოვმა მიუგო, ჩვენ ხომ წე-რილობით არაფერი გვაქვს და თუნდაც გაგვიგონ არაფერი გვიშავ-სო. მაშინ აფხაზოვმა დაუშალა, რომ ასეთი რამე აღარ ეთქვა, მაგ-რამ ამის შემდეგ კიდეც დავიშალეთ.

სამი დღის შემდეგ, რადგან ჩემი ჯერი იყო, მოვიწვიე ჩაიზე: სოვეტნიკი ორბელიანოვი და ძმა მისი ვახტანგი, გიორგი, ელიზბა-რი და დიმიტრი ერისთავები და დოდაევი. ელიზბარმა წარმოგვიდ-გინა თავისი ძმა და გვითხრა ესეც ჩვენი წოდებისააო. ყველაზე გვი-ან აფხაზოვი მოვიდა. აქ იყო საუბარი აგრეთვე ქართული ენის გა-უმჯობესებაზე (О улучшении грузинского языка), შემდეგ ელიზ-ბარი აგინებდა მთავრობას, ეკამათებოდა აფხაზოვს, რომელიც არა-ფრის გულისთვის არა თანხმდებოდა ასეთი სისულელეების მოსმენას და ყველას ურჩევდა ამაზე ხელი აეღო. ელიზბარი ძლიერ გაჯავრე-ბული იღებს ქუდს და მიდის, ყველა შემოელანძღა და დაიფიცა, რომ ჩვენთან ყოველგვარ კავშირს გასწყვეტს. ამის შემდეგ კიდეც დავიშალეთ.

ოქტომბერში ვიყავი ჩემ დასთან, რომელიც სარაჯევის სახლში

ცხოვრობდა. იქიდან სახლში მომავალს გზაზე შემომხვდა ელიზბარ ერისთავი, რომელმაც თავისთან შემიწვია. იქ დამხვდნენ: ბირთველ თუმანოვი, ბატონი სოვეტნიკი ორბელიანოვი თავის ძმა ვახტანგით, გიორგი. ელიზბარი და დიმიტრი ერისთავები, მასწავლებლები ყიფიანოვი და ავთანდილოვი. აქ-გიორგი ერისთავი რაღაც გეგმას ხატავდა და მათ უმარტავდა. მე ვკითხე რა გეგმა არის მეთქი. მან მიპასუხა ვარშავის აღების გეგმაა. სოვეტნიკმა ორბელიანოვმა ჩამჩურჩულა შენ ამ ახალგაზრდა ყმაწვილებს ყიფიანოვსა და ავთანდილოვს არ იცნობ. ორივე საკმაოდ ჭკვიანი ხალხია და ჩემმა ვახტანგმა მათ ჩვენი განზრახულება გაუზიარაო. მე წამოვდექი, ავიღე ქუდი და წასვლა დავაპირე. მაგრამ ელიზბარი არ მიშვებდა. თუმცა ვახშამზე მაინც არ დავრჩენილვარ. ელიზბარმა მითხრა, რაკი შენ არა რჩები, ხვალ ჩვენ ყველანი შენთან მოვალთო. მე ყველანი დავპატიჟე. რადგან მიზნად მქონდა გამეგო ყიფიანოვი და ავთანდილოვი ჩვენი განზრახულების მონაწილენი არიან თუ არა. მოვიდნენ ჩემთან: სოვეტნიკი ორბელიანოვი. თავის ძმა ვახტანგით. ელიზბარ. დიმიტრი და გიორგი ერისთავები, ყიფიანოვი და ავთანდილოვი. ელიზბარმა მათი თანდასწრებით დაიწყო ლაპარაკი თავისუფლებაზე და აძაგებდა ყველა ქართველს, რომელთაც თანხმობის მნიშვნელობა არა აქვთ შეგნებული. გაცხარებული მსჯელობდა იგი და სხვათა შორის თქვა, რატომ საქართველოს არ შეუძლია რეგულიარული ჯარი აყავდესო. მე ვკითხე ჯარს რითი შეინახავთ მეთქი, მან მიპასუხა სურსათს ყველგან ვიშოვითო, ჩერქეზულად უნდა ჩავიცვათო. მე მინდოდა მათი განზრახვა გამეგო და ამიტომ ვიკითხე ნუთუ მარტო ჩვენა გვსურს ცვლილებების მოხდენა, თუ სხვაც არის ვინმე ჩვენს გარდა მეთქი. ალექსანდრე ამბობს ამ საქმეში 80-ზე მეტი თავადიშვილია გარეული.რომელთაც მე მახლობლად ვიცნობ და რომელთა-თვისაც ჩვენი განზრახულება გამიზიარებიაო. მაშინ მე მივაწოდე საწერ-კალამი, რომ მათი ვინაობა დაეწერნა. სოვეტნიკმა ორბელიანოვმა უთხრა დიმიტრი ერისთავს. რომ ის უკარნახებს და ამ უკანასკნელმა კი დაწეროს. ალექსანდრე იმ პირთა გვარებს ეუბნებოდა და დიმიტრი ერისთოვი კი აღრიცხავდა. სულ 90 კაცი გამოვიდა. ის ქაღალდი იმავ წამს დაწვა. ჩემთან ივახშმეს და ვახშმის შემდეგ დაიშალნენ. მეორე დღეს აღვადგინე მეხსიერებაში გუშინდელი ნათქვამი გვარები და საიდუმლოდ ჩავიწერე.

ელიზბარი მოვიდა მესამე დღეს და თქვა რუსეთიდან ჩამოვიდა გვარდიის კაპიტანი თ. ჩოლოყაევი. რომელსაც მახლობლად ვიცნობდი რუსეთშივე. დარწმუნებული ვარ, რომ ისიც ამ ჩვენს განზრახულებაში დიდ მონაწილეობას მიიღებსო. ამასთანავე ამბობს

ელიზბარი. ამ საქმეზე იმდენსა ვცდილობთ, რომ მეტი სიარულისგან ფეხები მტკივაო. ელიზბარი მეუბნება, პოდპოლკოვნიკი თ. თარხანოვი ხშირად დადის შენთან და მისი საკუთარი გლეხები ეცლებიან მას. ის შეურაცხყოფილია, ჭკვიანი კაცია და შენ გაქვს შემთხვევა გაუტყდე ჩვენს განზრახულობაშიო. ჰას გორის მაზრაში დიდი ხმა აქვსო. მე განგებ ვუთხარი, ძალიან კარგი, ვეტყვი-მეთქი.

სოვეტნიკმა ორბელიანოვმა და ელიზბარ ერისთავმა თავისი მისელა-მოსვლით თავი მომაბეზრეს და იძულებული გავხდი კარზე კლიტე დამედო, რომ ისინი თავიდან მომეცილებინა. ერთ დღეს ელიზბარი შემოვარდა ჩემთან და მეუბნება, ძალიან უნდა შეგაწუხო, საქმე სამშობლოს ეხებაო. აქედან ცხადი იყო, რომ თუ არ მინდოდა ჩემი სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო, მათ უნდა მოვჩვენებოდი ისე, რომ მეც თითქოს მათ აზრს ვიზიარებდი. ამ მეამბოხეების დაწყნარება მთავრობის მეტს არავის შეეძლო, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ მომეპოვებოდა დამამტკიცებელი საბუთები, რომ მთავრობისათვის მეცნობებინა. სოვეტნიკი ორბელიანოვი მოვიდა ჩემთან და მიამბო, რომ მან ინახულა კაპიტანი ჩოლოყაევი, რომელიც საშინელი თავისუფლების მოყვარულია (ужасный вольнодумец), სოვეტნიკმა მითხრა, რომ ელიზბარმა მას (ჩოლოყაევს) ყველაფერი უამბო და ჩემს შესახებაც ულაპარაკნია, მას უთხოვია ორბელიანოვისთვის ჩემი გაცნობა.

ჩემი ძმის საცოლის სანახავად მივედი მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში. იქ ელიზბარ ერისთავიც დამხვდა, რომელიც მოვიდა ჩემთან და მითხრა, ჩვენი განზრახულება ჩოლოყაევს უამბეო. მე განვცვიფრდი და მივუგე, იგი გვარდიის კაპიტანია, „როტის" უფროსია, ჯამაგირის გარდა ათას მანეთს ვერცხლს იღებს და ხვალ პოლკოვნიკი გახდება მეთქი. ელიზბარმა მიპასუხა, შენ არ იცი მაგისი ძმა ალექსანდრე დიდად ირჯება ამ ჩვენს საზოგადოებაზე და ამ ზაქარიამაც ყველა ჩვენზე უწინ იცის ეს საქმეო, თუმცა ყველაფერი ეს თქვა ელიზბარმა, მაგრამ მე მაინც არ დავუჯერე. მან გაბრაზებულმა მითხრა, რაკი შენ არა გჯერა მას შენს წინ მთავრობის წინააღმდეგ ვალაპარაკებო. მე მინდოდა ამაში სავსებით დავრწმუნებულიყავ... სამი დღის შემდეგ საღამო ჟამზე ელიზბარი ეტლით მოვიდა ჩემთან და ჩოლოყაევთან წავედით, მასთან დაგვხვდნენ გარდა სოვეტნიკ ორბელიანოვისა — დოდაევი და დიმიტრი ერისთოვი, იყვნენ აგრეთვე გარეშენიც. რადგან სტუმრებთან არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ამიტომ ელიზბარმა გვითხრა, თქვენ წადით ტრაქტირში და სტუმრები რომ წავლენ-წამოვლენ ჩოლოყაევს მე იქ მოვიყვანო. მე, სოვეტნიკი ორბელიანოვი და დოდაევი წამოვედით იქი-

დან. მე სახლში წავედი, სოვეტნიკი და დოდაევი კი ტრაქტირში წავიდნენ, ორი საათის შემდეგ ღამე მოდის ჩემთან დოდაევი და მეუბნება, რომ მე ისინი ტრაქტირში მიცდიან, იქ რომ მივედი დამხვდნენ: თ. ჩოლოყაევი, სოვეტნიკი ორბელიანოვი, ელიზბარი თავის ძმა დიმიტრით და დოდაევი. სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი სთხოვს თ. ჩოლოყაევს გვიამბოს მეამბოხეთა 14 დეკემბრის გეგმა. ჩოლოყაევს უნდოდა ეამბნა, მაგრამ ამ დროს იქ შემოვიდა ვიღაცა (მოხელე ჩინოვნიკი) და ჩოლოყაევმა თქვა, საშიშია. შეიძლება ეს საიდუმლო პოლიცია იყოსო. ალექსანდრე ორბელიანოვმა თქვა ყავახანაში წავიდეთო და წავედით. მე საუზმე მოვითხოვე. საუზმის შემდეგ სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა დაიწყო, რომ ჩვენ შარშან ე. ი. 1831 წელს გვქონდა განკარგულება აქ აჯანყების მოსახდენათაო. მე ეს დავადასტურე იმ მიზნით, რომ კაპიტანი ჩოლოყაევი გულახდილი ყოფილიყო. ჩოლოყაევი ამბობდა, თუ ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში არ შემოიჭრება თქვენ აჯანყების მოხდენას როგორ შესძლებთო. სოვეტნიკი ამბობს, მთელი ქიზიყის მაზრა მზად იყოო... ელიზბარი ამბობს წარსულს ვეღარ დავაბრუნებთ, მოდი ეხლა საქმეს შევუდგეთო. სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, მე მყავს თათრები, რომელთა საშუალებითაც ჩვენი განზრახულება შემიძლია სწრაფად ვაცნობოო [1]. მე მივუგე სოვეტნიკ ორბელიანოვს, ბატონიშვილი არ დაიჯერებს-მეთქი. სოვეტნიკი ამბობს სხვა ტანსაცმელს გადავიცმევ, რომ არავინ მიცნოს და მე თვითონ წავალო. მე ვეუბნები სოვეტნიკ ორბელიანოვს: თქვენ უნდა იქ ამალით წაბრძანდეთ, როგორც თქვენს წოდებას შეშვენის, უეჭველად მღვდელიც უნდა იახლოთ თან, საგზაო ხარჯებს კი ჩვენ გიშოვნით მეთქი. რადგან მე არ ვიცოდი იმ თათრების ვინაობა, ვინც სოვეტნიკ ორბელიანოვს შარშან ბატონიშვილთან გაეგზავნა და არ შემეძლო მათი მთავრობის წინააღმდეგ ბოროტგანზრახულება დამემტკიცებინა. მინდოდა რომ თვითონ ბატონი სოვეტნიკი ორბელიანოვი გამგზავრებულიყო ბატონიშვილთან, რათა ეს მთავრობისათვის გამომეცხადებინა და იგი სოვეტნიკი გზაზე შეეპყროთ და აქ ჩამოეყვანათ, მას უეჭველად გადაწყვეტილი ჰქონდა ბიძასთან წასვლა.

თ. ჩოლოყაევმა თქვა, დავანებოთ თავი ეხლა ამ საქმეს, შინ მოვიფიქრებ და ჩემ აზრს ხვალ შეგატყობინებთო.

ჩოლოყაევი გამოთხოვებისას ამბობს საქართველო რუსეთისაგან ბუნების მიერ არის გაყოფილი. კავკასიონის მთა ამის მოწმეა. ნუთუ

---

[1] ე. ი. ალექსანდრე ბატონიშვილს ვაცნობო.

რუსებმა არ იციან, რომ საქართველო სამუდამოდ რუსეთისაგან დამოუკიდებული არ დარჩებაო და შემდეგ დავიშალენით.

ძეორე თუ მესამე დღეს მოიკრა ჩემთან ორბელიანოვი და მეუბნება, აი ძმაო ზაქარიამ როგორი გეგმა მოგვცა ჩვენი განზრახულების სისრულეში მოსაყვანად: „ზაქარია იმ აზრისაა, რომ თუ აჯანყების მოხდენა გსურთ უეჭველად ხოემბრის 20-ს უნდა მოახდინოთო".

სოვეტნიკ ორბელიანოვს ჩოლოყაევისათვის უთქვამს ეხლა ზამთარია და დრო ხელს არ გვიწყობსო, ჩოლოყაევს კი უპასუხნია, პირიქით ეხლა ამ მიზნისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დროაო: 1-ლი — კორპუსის უფროსი აქ არ არის, 2-ე კავკასიონის ქედზე ჯარს გადმოსვლა არ შეუძლია, 3-ე ზამთარში არც ზღვით ჯარის გადმოყვანაა შესაძლებელი, ზამთრის განმავლობაში ყველაფერს მოვასწრებთო. ალექსანდრემ ყველაფერი ეს საიდუმლო ოთახში მიამბო, დარბაზში კი ყოფილი პოდპორუჩიკი თ. ბეჟან ამილახვაროვი მიცდიდა. ამ მნიშვნელოვანი საიდუმლოების მოსმენის შემდეგ, შევიწვიე პოდპორუჩიკი ამილახვაროვი. მაშინ სოვეტნიკმა ალექსანდრემ თქვა: აი კარგი შემთხვევა, მივწერ წერილს თეიმურაზ ამილახვაროვს და ამ მის ძმას გავატანო. მან დაწერა და მთხოვა მეც ხელი მომეწერნა, ინებე მეთქი და მოვაწერე: იასე ფალავანდოვი. დავბეჭდე და გადავეცი მისამართითურთ, თუ ვისთვის უნდა მიეცა და სოვეტნიკი წავიდა.

ერთხელ სადილ შემდეგ ჩემთან მოსულმა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა მითხრა, რომ პეტერბურგიდან დაბრუნდა მისი ძმა გვარდიის პრაპორჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი. მე ვკითხე სწავლობენ იქ რამეს თუ არა მეთქი. სოვეტნიკმა მიპასუხა ის ყოჩაღი ყმაწვილია და თამამად შეგვიძლია მას ჩვენი შეთქმულება გავუზიაროთო. მე ვკითხე მიწერილი გაქვთ თუ არა პეტერბურგში მეთქი, მან მიპასუხა, განა ამისთანა რამის ფოსტით მიწერა შეიძლება, როდესაც ფოსტაში კერძო წერილებსა ხსნიან კითხულობენ და ისევე ჰბეჭდავენ როგორც წინათ იყოო. სოვეტნიკი ამბობს — ჩემმა ძმამ დიმიტრიმ პეტერბურგში ყოფნის დროსვე იცოდა ეს ამბავიო. მერე მეუბნება სოვეტნიკი ორბელიანოვი, ხვალ აღმასრულებელ ექსპედიციაში თხოვნას შევიტან და კახეთში წავალ, რომ მოვინახულო ჩვენი თანამოაზრეები, რომლებმაც ჩვენი განზრახულება შარშან იცოდნენო. მეორე დღეს მოდის ჩემთან, აღარ მახსოვს ელიზბარი თუ გიორგი, ერისთავი და მეუბნება სოვეტნიკი ავად გახდა, ლურსმახზე ფეხი დააგო და ამიტომ კახეთში წასვლა სხვა დროისათვის გადადოო. იმ მხარის ბედი, რომ ეს მოუსვენარი ადამიანი ვეღარ წა-

ვიდა, თორემ რამდენს გააუბედურებდა, რამდენი უნდა მისცემოდა სატანჯველს, არ ეცოდინებოდა რა მისი ნამდვილი განზრახვა.

ერთ დღეს ცხენით გერმანელების ახალშენში მივდიოდი, ბიდზე ეტლით ელიზბარ და გიორგი ერისთავები შემომხვდნენ. ვკითხე სად ბიხვალთ მეთქი. მათ მიპასუხეს მონასტერში მივდივართ ერთ ბერთან სახელდობრ ბერმონაზონ ტარასისთანაო, თანაც დასძინეს, რომ ის ჩვენთვის საჭირო ადამიანია, ჩვენ მას პეტერბურგშივე ვიცნობდით. ისინი წავიდნენ მასთან, მე კი კოლონიაში. გზაზე, ზალუმანის დერეფანში ზაქარია ჩოლოყაევი დავინახე. ერთმანეთს რომ მივეესალმეთ, ზაქარიამ მკითხა, გითხრა თუ არა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა ჩვენი განზრახულობაო. მე ვუპასუხე, დიახ მითხრა-მეთქი და კიდეც შევაქე. მე მას უთხარი, რადგან მე გლეხები არა მყავს, ვეცდები ისე ხალხი ვიშოვნო მეთქი, გამოვეთხოვე და ახალშენში წავედ. იქიდან რომ დავბრუნდი, გიორგი ერისთავი შემოდის ჩემთან და მეუბნება ჩვენ ტარასის უკვე გაუმეღავნეთო.

მეორე დღეს მოვიდნენ ჩემთან თავადები ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, რომელთაც მითხრეს უბრძანო, რომ არავინ შემოუშვან ჩემთან. არტილერიის პრაპორჩიკმა დიმიტრი ერისთოვმა ამოიღო ნახევი ქაღალდი და მითხრა, აბა მოისმინე რანაირი განკარგულება უნდა მოხდეს ციხეზე, ყაზარმებში, ნავთლუღის კომისიაზე, ჰაუბტვახტზე, კორპუსის უფროსზე, არსენალში და მაღაზიებში და ვინ რომელ პოსტზე უნდა იყოს და რა ძალა უნდა გააჩნდეს და ორი ზარბაზანი უნდა ერთ ადგილას დაედგათ, ორი ზარბაზნით ჩოლოყაევი ყაზარმებზე უნდა მივიდეს. მე გავაწყვეტინე და შევეკითხე მას ზარბაზნებს სად ვიშოვნით მეთქი. დიმიტრიმ მიპასუხა, მე არსენალში ვიყავ, სამსახურიდან ნაბრძანები მქონდა თოკები[1] ჩამებარებინა, რადგან უნტერ ოფიცერი ჩვენი როტისა იყო, ვთხოე დამეთვალიერებინა ყველა ოთახები სად რა იარაღია, რა მარაგია, ელიზბარი ამბობს, არტილერიის საქმე ჩვენ კარგად ვიცით, მოკლე ხანში ვასწავლით ხალხს ზარბაზნების ხმარებასაო, გარდა მაგისა აქ არიან პოლონელები, რომლებიც ამ საქმის დიდი ოსტატები არიანო. მე ვკითხე პოლონელებს სადღა იშოვნით მეთქი, ის ამბობს მე ხშირად დავიარები ჩემ სიძე მელნიკოვთან და რადგან მის მაღაზიაში შვეიცარელები ვაჭრობენ, მათთან ბევრი მათი ნაცნობი პოლონელი დადის, ბევრი კი მოწყალებას თხოულობს. მოწყალების მთხოვნელ-

[1] ამ რუსული ტექსტიდან ირკვევა, რომ ი. ფალავანდიშვილს ქართულად დაწერილ ჩვენებაში (VI, 962) ამ ადგილას უნდა იყითხებოდეს არა თოფები, არამედ თოკები.

თათვის მე თიდო აბაზი მაქვს გადადებული და ვანუგეშებ მათ და ვეუბნები ჩვენც თქვენსავით დაჩაგრული ვართ მეთქი. პოლონელები ეუბნებიან ელიზბარს, სამშობლოს გულისთვის ვიტანჯებით. ამ საშუალებით შეგვიძლიან გადმოვიბიროთო. მეც უთხარი ერთ მოხელეს ვიცნობ და მის საშუალებით ვეცდები პოლონელების რიცხვი გავამრავლო მეთქი, მე ეს იმიტომ უთხარი, რომ მათ ჩემზე არაფერი ექვი არა ჰქონოდათ. რომ მე მბურვალე მონაწილეობას ვიღებ, თორემ მე პოლონელს ვერავის ვიცნობდი. ელიზბარი ამბობს საღამოზე ალექსანდრე ორბელიანოვთან ვიქნებით, კაცს გამოგიგზავნით და ამოდი, რომ განკარგულება სოვეტნიკს წაუკითხოვო, მე განზრახა კთხოვე დიმიტრი ერისთავს ეგ ქაღალდი მომეცი თეთრად გადავწერ მეთქი, მაგრამ ვერ დავტყუე. ამ შემთხვევის გამო ელიზბარმა თქვა მთავრობამ რომ იცოდეს ეს ქაღალდი, დავიღუპებითო, ისე კი ჩვენი შვთქმულების აღმოჩენის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს და ვერც ვერაფერს დაგვიმტკიცებენო, რადგან ისინი შინ წავიდნენ, მე ქაღალდზე დავინიშნე.

იმავე დღეს საღამო ჟამზე სოვეტნიკ ორბელიანოვმა გამომიგზავნა თავისი კაცი, თავისთან მიბარებდა, იქ დამხვდნენ კაპიტანი ჩოლოყაევი, გიორგი და ელიზბარ ერისთავები და ვახტანგ ორბელიანოვი. სოვეტნიკი მაშინ ავად იყო, ალექსანდრეს გვერდით მე დავდექ, ჩემს გვერდით ელიზბარი დაჯდა, სამნი კი ე. ი. ჩოლოყაევი, გიორგი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანოვი კუთხეში იდგნენ და საუბრობდნენ რუსულად. მე ელიზბარს ვკითხე შენი ძმა დიმიტრი სად არის მეთქი. მან მითხრა, რაკი პირობა გვქონდა, რომ საღამოთი ალექსანდრესთან უნდა შევკრებილიყავით, იმიტომ მოვედი, თორემ მოსვლა არ მინდოდა, ჩემი დისწული უკანასკნელ დღეშია და ჩემი ძმა იქ მელნიკოვთან არისო. ალექსანდრემ საუბარში თქვა რომ ჩვენ სულ ცარიელ სიტყვებს ვლაპარაკობთ; სჯობია საქმეს შევუდგეთ, დავწეროთ განკარგულება, თუ როგორ მოვახდინოთ ქალაქში აჯანყება. ტაძრიდან [1] გამოვიტანოთ ღვთისმშობლის ხატი, სომეხთა ფეთხაინის ეკლესიიდან უნდა ღვთისმშობლისავე ხატი გამოვიტანოთ, იმიტომ რომ სომხები დიდი მოწიწებით მოიყრიან თავს, მაშინ მღვდლებმა უნდა ხელში აიღონ ეს ხატები და დაიძახონ ეს ხალხი თავისუფლების გულისთვის თავს სწირავსო. ელიზბარი ამბობს ეს უკვე გამოცხადებული აქვს ერთ ბერსაო. სოვეტნიკი ამბობს, თუ ბერმონაზონ კიკნაძეს შევატყობინებთ ის სიამოვნებით დაგვეთანხმება, ის პატრიოტიაო. სოვეტნიკი ამბობს უეჭველად უნდა დავაარ-

[1] ალბათ სიონის ტაძრიდან.

სოთ ორდენი დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათ-
ლებლის ნინოსიო. მე აქაც და სხკაგანაც მათ ბევრ რამეს ვეუბნებო-
დი იმ განზრახვით, რომ მათი ნამდვილი აზრი შემეტყო და ყველა-
ფერი დაწვრილებით გამეგო, რაც მე შევასრულე ერთგული ქვე-
შევრდომის მოვალეობისამებრ. სოვეტნიკი ორბელიანოვი მეუბნება,
რადგან მე ავად ვარ ჩემს სანახავად ბევრი ხალხი დადის და ხელს
გვიშლიან რომ რამე დავწეროთ. შენი ძმა რაკი წასულია, ამიტომ
გამოგიგზავნი ორივე ჩემ ძმებს დიმიტრისა და ვახტანგის, აგრეთვე
გიორგი ერისთოვსაო, ხოლო ელიზბარ ერისთავს უთხრა ისიც თავის
ძმითურთ უეკველად მოსულიყო ჩემთან — იქ შეადგინეთ, მოიტა-
ნეთ და აქ წავიკითხოთო. მეორე დღეს სამნი ვიყავით ჩემთან ელიზ-
ბარისა და დიმიტრის გარდა. მე ვკითხე გიორგი ერისთავს ელიზბარი
და მისი ძმა სად არიან მეთქი, მან მიპასუხა დისწული გარდაეცკალა
და იმის გამო ვერ მოვიდნენო.

მე ვუთხარი ალექსანდრემ ჩემთან რის დასაწერად გამოგგზავ-
ნათ. რა გინდათ დასწეროთ მეთქი. მათ თქვეს უელიზბაროდ ვერა-
ფერს დავწერთო. მე ვუთხარი, თქვენ წინა ოთახში დაიცადეთ და მე
დავწერ მეთქი, შეებრუნდი დასაძინებელ ოთახში, გამოვიღე ბალი-
შის ქვეშიდან ის ქაღალდი რომელზედაც დიმიტრი და ელიზბარის
მიერ შეთხზული მქონდა ჩანიშნული. ცოტა ხნის შემდეგ გავედი
მათთან ქაღალდით და წაუკითხე, ძლიერ მოეწონათ. გიორგი ერის-
თავმა მითხრა, შენ სამხედრო საქმისა არა იცი რა და ასე წესზე რო-
გორ დასწერეო. ვახტანგი ამბობს, ამ განკარგულების გეგმით ყვე-
ლას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. რატომ დოდაევს, ავთანდი-
ლოვს და ყიფიანოვსაც რამეს არ ჩავაბარებთო, ან სხვის განკარგუ-
ლებაში მაინც მივაქციოთ, რომ ისინიც ადგილზე იყენონ.

მესამე დღეს მოვიდა ჩემთან ელიზბარი და მთხოვა განკარგულე-
ბა მაჩვენეო, მე კი ვუთხარი ეს ივიეე განკარგულებაა რაც შენი ძმის
ქაღალდიდან გადმოვწერე მეთქი. ელიზბარი მეუბნება წავიდეთ ზა-
ქარიასთან[1] და იქ წავიკითხოთო. ჩვენ წავედით, იქ დაგვხვდა დოდა-
ევი, ორნი საიდუმლოდ რაღაცასა სწერდნენ, ჩვენ არ გვაჩვენეს. წა-
უკითხეს ზაქარიას განკარგულება. რომლითაც ზაქარიასვე რჩევით
გასული წლის 20 ნოემბერს უნდა მოგვეყვანა სისრულეში. ზაქარი-
ამ შესცვალა თავისი წინადადება და ემჯობესად აღიარა საქმეს დე-
კემბრის 6-ს შევდგომოდით. მაშინ დოდაევმა თქვა. იმ დროს მე თა-
ვისუფალი ვიქნები, სიღნაღის მაზრაში წავალ და იქ ხალხში ამ ჩვენს
შეთქმულებას გავავრცელებო. ზაქარიამ კი უთხრა ელიზბარს, რომ

---

[1] ჩოლოყაშვილი იგულისხმება.

ის უსათუოდ ქართლში წასულიყო და ჩვენი განზრახულება გამოეცხადებინა თავის ბიძა გენერალ-ლეიტენანტისათვისაც და სხვებისათვისაც. მეც ვუთხარი აქაც ვეცდები მეთქი, ეს იმისათვის, რომ უფრო მეტად მნდობოდნენ — მე და ელიზბარი შინ დავბრუნდით, დოდაევი კი იქვე დარჩა.

არ მახსოვს რა რიცხვი იყო ალექსანდრესა და ელიზბარს ბარათი გამოეგზავნათ და მიბარებდნენ. მე თან წავიღე განკარგულება და იქ რომ მივედი დამხვდნენ სოვეტნიკი ორბელიანოვი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები, სოვეტნიკმა მთხოვა განკარგულების წაკითხვა, მე წავუკითხე და ჩემი მხრით ბევრი რამ დავუმატე. ალექსანდრე ამბობს ციხეში ამ დროს ქართველი ოფიცერი უნდა იდგეს, აგრეთვე ჰაუპტვახტზე და ქალაქშიც მორიგე ქართველი უნდა იყოსო. მერე ალექსანდრე ეუბნება ელიზბარს ეცადე დაიყოლიო მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი თავისი სახლი დაგვითმოს, რადგან მაგის სახლს დიდი ეზო აქვს და ბევრი ხალხი დაეტევაო. ალექსანდრე ამბობს მე შემეძლო ქართველი საზოგადოების სახელით მუხრანბატონისათვის მეთხოვნა, რომ კორპუსის უფროსის მიერ გიმრის[1] აღების გამო საღამოსა ვმართავთ მეთქი და ის უარს არ გვეტყოდა თავის სახლზე, მაგრამ მისი სახლი ვერ არის მოხერხებული. ამის შემდეგ გიორგი იღებს ჯიბიდან პროექტს, მეორე დღეს ხალხის დასამშვიდებლად ტფილისში უნდა დაარსებულიყო მმართველობა ზედა და ქვედა მაზრებში კი მდივნები.

აღარ მახსოვს ჩემთან იყო თუ სოვეტნიკ ორბელიანოვის სახლში ზაქარია ჩოლოყაევი ამბობს, თუ ვერ გაბედავთ კორპუსის უფროსი ქართველი საზოგადოების სახელით მოიწვიოთ საღამოზე, მაშინ ამას მე ჩემ თავზე ვიღებ და აი როგორ, რადგანაც ჩვენ სამნი, ე. ი. მე, გიორგი და დიმიტრი რუსეთიდან ვართ და გვარდიაში ვმსახურობთ, ჩვენ წარუდგებით კორპუსის უფროსს და მოვიწვევთ საღამოზე — ალბათ ჩვენ უარს არ გვეტყვისო. სოვეტნიკი ამბობს მე ვთხოვ თავადაზნაურობის წინამძღოლს და მისი საშუალებით მოვიწვიოთ კორპუსის უფროსი, ეს უფრო უეჭველი და საიმედოა, ამით უკეთესად მოვახერხებთ ჩვენი განზრახვის დაფარვას და ჩვენი საქმე წარმატებით დამთავრდებაო. — სხვა პირები კი საღამოზე ბილეთებით იქნებიან მოწვეულნი.

მეორე დღეს წავედით ლუარსაბთან და წაუკითხეთ მას განკარგულებაც და პროექტიც.

---

[1] გ. ერისთავის მიერ შედგენილი საქართველოს მმართველობის პროექტი იგულისხმება.

დოდაევი მოდის ჩემთან და მეუბნება მე და ჩოლოყაევი ვიყავით მარშალ დიმიტრი ორბელიანოვთან, ჩვენ სამნი ცალკე ოთახში ვსადილობდით, სადილზე ლაპარაკში ჩვენი განზრახულება სრულიად ვუამბეთ. მან ძლიერ მოიწონა ჩვენი წინადადება და თანახმაა ჩვენთან ერთად თავი დასდოს, მერე ამბობს მარშალი მთავრობის წინააღმდეგ მთელ თათრობას შეაიარაღებსო. დოდაევი მეუბნება აგრეთვე რომ ეს ჩვენი გასზრახვა უკვე მღვდელ ეფრემ ალექსეევსაც გამოვუცხადეთო. სოვეტნიკ ორბელიანოვთან მივედი, იგი დერეფანში შემეგება და სიხარულით მითხრა ჩვენი განზრახულება მაიორ დიმიტრი ორბელიანოვს გაუმეღავნეთ და დაგვეთანხმაო. მე კი უთხარი — აი ეგვიპტის ფაშა ჩვენგან შორს აღარ არის მეთქი. ალექსანდრე ამბობს, ჩვენს განზრახულებაში ისეთი ხალხი იღებს მონაწილეობას, რომ თვითეულს შეუძლიან საღამოსათვის (для бала) სამასი მანეთი გამოიღოსო. მეც ვუთხარი ამ საქმეზე არაფერს არ დავზოგავ მეთქი. ამ სიტყვებზე სოვეტნიკი მეუბნება რაზმაძე სპარსეთიდან კარგ ამბებს გვატყობინებს, თითქოს ინგლისელები რუსეთის წინააღმდეგ ამხედრეპას აპირებენო.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის დღეობის შემდეგ მოვიდნენ ჩემთან ზაქარია ჩოლოყაევი და ბიძინა ერისთავი, ბიძინამ მითხრა. მე ესლა შენთან მეგობრობას ვეძებ, რადგან დამარწმუნეს, რომ შენ ჩვენი ერთგული ხარო. ბიძინამ მთხოვა ალექსანდრე და გიორგი შინ არიან, აქ მოვიპატიჟოთო. მოვიდნენ. ზაქარია ამბობს, რომ ის, ლუარსაბ ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი იყვნენ გენ. მაიორ ჭავჭავაძესთან და ესაუბრებოდნენ ჩვენს განზრახულებაზე. ალექსანდრე ჭავჭავაძემ გვითხრა, რომ თითქმის ხალხის უმრავლესობა მთავრობით კმაყოფილიაო. ზაქარიას კი უთქვამს ჩვენ ინიტომ გეახელით ამ საქმეზე წინასწარ მოსალაპარაკებლად, რომ მერე არ დაგვემდუროთ, თორემ შუაღამისას მოგიხტებოდით და სახლიდან ძალით გამოგიყვანდითო. თ. ჭავჭავაძეს უპასუხნია განა უდანაშაულოდ ცოტანი დასჯილანო. მე ამაზე ვთქვი, როცა ჭავჭავაძე ჩემთან იდგა ძალიან ჯანჯლობდა (волокитством занимался) და ბიძინამაც ეს დაადასტურა. სოვეტნიკი ორბელიანოვი ამბობს — აი როგორ შევცდით, ჩვენ ჭავჭავაძის იმედი გვქონდა და მუხრანბატონს კი ვაგინებდით, რომ მონაწილეობას არ იღებსო — ბიძინა იყო თავადაზნაურობის წინამძღოლთან, რომელსაც ყველაფერი გაუმეღავნა და ის კიდეც დასთანხმდაო, და სთხოვა ბიძინას, რომ ამ საქმეზე ლუარსაბს შეახვედროს, რათა მასთან საფუძვლიანად მოილაპარაკოს. ამასობაში თ. ჩოლოყაევმა განზე გამიყვანა და მითხრა, თუ განზრახვა ვერ შევასრულეთ, მაშინ ესლა დაგვრჩენია, რომ შე-

ვიყარნეთ 200 კაცამდე თავადაზნაურნი, საზღვარს გავიდეთ და შახს წარუდგეთო. ჩვენ რომ მას წარუდგებით და მოვახსენებთ, რომ რუსებისაგან ისე ვართ შეწუხებული, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ გვეცხოვრებაო. მაშინ ის შეგვიბრალებს და შემწეობას აღმოგვიჩენსო. მე ვუთხარი ჩოლოყაევს მე და თქვენ რა გვიშავს უცოლშვილები ვართ, მაგრამ ოჯახის პატრონები არ გამოგვყვებიან მეთქი, ძან მიპასუხა, თუ ჩვენი განზრახვა ვერ შევასრულეთ, მაშინ ძალაუნებურად წამოგვყვებიანო. სამნი კი ე. ი. ალექსანდრე, ბიძინა და გიორგი იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ მუხრანბატონი და ლუარსაბი ერთმანეთს როგორ შეასვედრონ. ალექსანდრე ორბელიანოვი მეუბნება უნდა ბატონიშვილთან[1] კაცი გავგზავნოთ და ჩვენი განზრახვა შევატყობინოთ რომ ჩვენ უკვე მზადა ვართ და მოფიქრებული გეგმის თანახმად გვსურს ვიმოქმედოთ. მე მყავს საიმედო კაცი, დასწერეთ წერილი და გავატან მეთქი; მინდოდა სოვეტნიკი ორბელიანოვის ის წერილი ხელში ჩამეგდო, მისი ხელით დაწერილი და მთავრობისათვის წარმედგინა. ალექსანდრემ მომიგო მე უფრო გამოცდილი კაცი მყავსო მოლა ზამანა. როდესაც მე იგი ბატონიშვილთან გავგზავნე, გზაზე მას ქურთები დასხმოდნენ თავს, მაგრამ მას რამდენიმე მათგანი მოუკლავს, დანარჩენი კი გაფანტულან, ამის დასამტკიცებლად მან ხმალი მოიტანაო. მე ტფილისელ მოქალაქეს გიორგი ამილახოროვს დავავალე გაეგო, თუ რომელ სოფელში ცხოვრობდა მოლა ზამანა.

შინ რომ მიდიოდნენ ალექსანდრე ორბელიანოვმა და გიორგი ერისთავმა მთხოვეს ლუარსაბი მენახა. მეორე დღეს მოდის ჩემთან ელიზბარი და მეუბნება ალექსანდრემ გამომგზავნა, რათა ლუარსაბთან ერთად წავიდეთ როგორც მახსოვს ეს დეკემბრის 9-ს იყო.

11. სხვა არავითარი განმაღვიძებელი მიზეზი არა მქონია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, იმის მეტი რომ ყველაფერი დაწვრილებით შემეტყო და მთავრობისათვის მეცნობებინა. რაც კიდევაც შევასრულე.

12. განზრახული მქონდა ყველაფერი ეს მთავრობისათვის მეცნობებინა... [2]

13. არც ერთ ბატონიშვილთან ნაცნობობა არ მქონია, ამიტომ არც მათ ჩემზე რაიმე გავლენა შეეძლოთ ჰქონოდათ.

14. გენერალ მაიორი თ. ჭავჭავაძე ჩემი ნათლიაა, განზრახულე-

---

[1] ალექსანდრე იგულისხმება.

[2] მერე აღარ აკითხავ.

ბის თაობაზე მასთან არასოდეს მისაუბრია. 1-ლი სოვეტნიკი ალექსანდრესაგან გავიგონე. ჭავჭავაძემ ჩვენი განზრახულება იცისო, 2-ე ზაქარია ჩოლოყაევისაგან გავიგონე, რომ გენერალ ჭავჭავაძესთან ვიყავით და ჩვენს განზრახულებაზე ვესაუბრეთო, მაგრამ თითქოს ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეთქვას, რომ ხალხის უმეტესი ნაწილი მთავრობით კმაყოფილიაო, რათა მათთვის განზრახვაზე ხელი აეღებინებინა.

15. გუბერნატორად ყოფილი ზაველეისკისთან არავითარი ნაცნობობა არ მქონია.

16. მე უფროსებად არავის ვთვლი, ხოლო შეთქმულების მთავარ წამაქეზებლად მიმაჩნდა 1-ლი აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი ორბელიანოვი, 2-ე არტილერიის ყოფილი პოდპორუჩიკი ელიზბარ ერისთავი და 3-ე მასწავლებელი ბატონი დოდაევი.

თავადი იესე ფალავანდიშვილი.

1833 წლის 10 თებერვალი.

ანტონ აფხაზის პასუხები (VIII, 1355 — 1358)

1. სახელი ჩემი ანტონ ნიკოლოზის ძე ყოფილი პოდპორუჩიკი აბხაზოვი. 2. ოცდაშვიდი წლისა ვარ. 3. უცოლო ვარ, დედის მეტი არავინ გამაჩნია. 4. უძრავი ქონება ტფილისის მაზრაში და ბორჩალოს დისტანციაში მაქვს, გლეხებიცა მყავს, წლიური შემოსავალი სახლისა და გლეხებისაგან ათას ორასი (1200) მანეთამდე აღწევს ვერცხლით. 5. აღვიზარდე დედი ჩემის მზრუნველობით. 6. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ვყოფილვარ ლაშქრობაში, ვიყავი 1829 წ. ოსმალეთის კამპანიებში. მთისა და ბელექნის მხარეებში, ვიყავი აგრეთვე ყუბანს იქით 1830 წ. პირადად არ დავჭრილვარ. 7. არც პეტერბურგსა და არც მოსკოვში არ ვყოფილვარ. 8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ კვირა-უქმე დღეებში დავდიოდი ეკლესიაში და ყოველწლიურად ვზიარებულვარ. 9. არ ვყოფილვარ არც სამართალსა და არც გამოძიების ქვეშ, არც ჯარიმა რამე გადამხდენია. არავისგან რა გამიგონია არც განზრახულებასა და არც შეთქმულებაზე და არც ვიცოდი, თუ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება არსებობდა, მაგრამ თუ როგორ მოვხვდი ოთხჯერ ქვემოთჩამოთვლილ პირებთან, აქვე განვმარტავ.

დანამდვილებით არ მახსოვს რა დღე იყო, ერთხელ სადილ შემდეგ მასწავლებელ დოდაევთან მივედი. იქ დამხვდნენ ალექსან-

დრე ორბელიანოვი თავისი ძმა ვახტანგით, ერისთავები არტილერი-ის ყოფილი პოდპორუჩიკი ელიზბარი და კორნეტი გიორგი და იასე ფალავანდოვი. არ მახსოვს, რომელმა თქვა, სასეირნოდ წავიდეთო. ყველანი დავეთანხმეთ და წავედით გერმანელების ახალშენში, იქ-დან კი ორთაჭალის ბაღში. შემდეგ ელიზბარ ერისთოვმა თავისთან მიგვიწვია ჩაიზე. იქ დაგვხვდა ავადმყოფი მოხუცი ბირთველ თუმა-ნოვი, ბევრი ვიხუმრეთ, ჩაის შემდეგ შინ წავედით, მე და ფალა-ვანდოვი ერთად წამოვედით.

რამოდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმა დაგვ-პატიჟა ვახშმად. ელიზბარი თავისი ძმით იასეთი, ფალავანდოვი, გიორგი ერისთოვი, და დოდაევი. აქ ვმსჯელობდით ქართული ლიტე-რატურის გაუმჯობესებაზე და ლექსიკონის შედგენაზე, რომელიც ჩვენს ენაზე თითქმის არ მოიპოვება. თ. ფალავანდოვი ყველაზე ად-რე წავიდა, შემდეგ ჩვენც დავიშალეთ, მე კი ცხენით წავედი, რად-გან უქეიფოდ ვიყავი. ელიზბარმა პატივი მცა და თავისი ცხენი მათხოვა.

რადგან მორიგეობით მასპინძლობა შემოიღეს, ამიტომ მე მოვიწ-ვიე ისინი, ე. ი. ალექსანდრე ორბელიანოვი თავისი ძმა ვახტანგით, ერისთავები ელიზბარი და გიორგი, იასე ფალავანდოვი ვახშმად დოდაევის სახლში. ვახშმობის დროს ვსაუბრობდით და სხვათა შო-რის ალექსანდრე ორბელიანოვმა სთქვა — ისე ლაპარაკში, რომ ის სამსახურის საქმეზე იყო გაგზავნილი სიღნაღის მაზრაში, სადაც ხალხი სამოქალაქო სასამართლოს საქმეების გამო ძალიან შეივიწ-როებული ნახა. ამის შემდეგ დიდხანს ვილაპარაკეთ საქართველოს ისტორიაზე (об грузинской истории Картлоса) იქნებოდა ღამის 12 საათი. ალექსანდრე ორბელიანოვმა შემოიტანა წინადადება ჩვენს შორის აგვერჩია ვინმე, რომელსაც მეთაურობა უნდა გაეწია, მე მი-თხრეს შენ უნდა იყოო. მე მოწიწებით უარი ვთქვი ამგვარ პატივზე, ამიტომ ახლა ფალავანდოვს უთხრეს, იმანაც უარი თქვა და ელიზბა-რი წამოდგა და თუნდა მე ვიქნებიო დაიყვირა. ალექსანდრე ორბე-ლიანოვი ჯერ თბოულობს ყველასაგან ფიცს რათა ჩვენ ვიყოთ მეგობრები, მერე დგება ფეხზე, იხდის ქუდს და ამბობს გაუმარჯოს თავისუფლებასო! ამ სიტყვებმა ჩვენზე ისეთი შთაბეჭდილება მოახ-დინა, რომ დიდხანს ვეღარა ვთქვი რა, მერეღა წარმოვთქვი, აი გიჟური აზრი, აი სისულელე მეთქი და ცოხოვე გაჩუმებულიყვნენ, დავუმატე რომ თუ გაგვიგონა ვინმე დაგვსჯიან როგორც მთავრობის წინააღმდეგ დამნაშავეებს და რის გულისათვის მეთქი, ელიზბარმა თქვა, თუნდაც გაიგონ, არაფერია, რადგან ჩვენ წერილობით არაფე-რი გვაქვსო. აქ მე ვურჩიე მათ ამ გვარ ლაპარაკზე ხელი აეღოთ,

როგორც მახსოვს, ამის შემდეგ მალე დავიშალეთ. ეს იყო შარშან.[1] სექტემბრის დამლევს.

რამოდენიმე დღის შემდეგ იასე ფალავანდოვმა ჩაიზე მიგვიწ-ვია, მე კარგა დაგვიანებით მივედი. იქ დამხვდნენ: ალექსანდრე ორ-ბელიანოვი და მისი ძმა ვახტანგი, ერისთავები ელიზბარ, დიმიტრი, გიორგი და დოდაევი. ჩემს მისვლამდე არ ვიცი რაზე საუბრობდნენ. ჩემი მისვლის შემდეგ ელიზბარ ერისთავმა დაიწყო მსჯელობა გა-ნათლებაზე და ქართული ლიტერატურის გაუმჯობესებაზე, დოდაევ-მა თქვა კარგი იქნებოდა სტამბა მოგვეწყოო. რადგან სანკოვსკი მას ძალიან იაფადა ჰყიდის, ამ შემთხვევის გამო ყველა თავადმა უნდა შესწიროს ფულიო. ეს პროექტი ყველამ მოიწონა. მე ფალავანდო-ვი ცალკე გავიყვანე და ვუთხარ: ამ დოდაევმა თავისი გამდიდრების ახალი წყარო აღმოაჩინა, ალექსანდრე კი ყელამდე ვალებშია, დღეს თუ ხვალ მაგის ბაღს საჯარო ვაჭრობით გაჰყიდიან და ამ საშუალე-ბით მის გამოსყიდვას აპირებს მეთქი. მერე ელიზბარმა დაიწყო მთავრობის გინება. რომ გლეხები უსამართლოდ სცილდებიან მათ და რუსებმა ოსეთი ჩამოართვეს და იყო ამგვარი სჯა-ბაასი. მე გა-ვჯავრდი და ყველას გასაგონად ვთქვი არაფრის გულისათვის თქვენ-თან ყოფნა არ მინდა და თქვენს საზოგადოებაში ვეღარც მნახავთ-მეთქი, და გულწრფელად ურჩიე მთავრობის წინააღმდეგ სულელურ მსჯელობაზე ხელი აეღოთ. ელიზბარ ერისთოვი იღებს ქუდს, მოუ-რიდებლად აგინებს ყველას და მიდის, შემდეგ დავიშალეთ.

11. არ ვიცოდი შეთქმულება და არც მონაწილე ვიყავი, 12. რად-გან არ ვიცოდი შეთქმულება, ამიტომ არც მისი წარმატებით და-სრულების ღონისძიებები მცოდნია. 13. ბატონიშვილებთან არავითარი ნაცნობობა არ მქონია, ამიტომ არც შეიძლება მათ ჩემზე რამე გავ-ლენა ჰქონოდათ. 14. გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს დიდი ხა-ნია ვიცნობ, მაგრამ უკვე ორი წელიწადია იმასთან არა ვყოფილვარ. 15. ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის სრულებით ვერ ვიცნობ. 16. რაკი შეთქმულება არ ვიცოდი ვერც მის მეთაურებს ვიცნობდი.

ყარაბაღიდან რომ დავბრუნდი, ეს იყო დეკემბერში, შევიარე სა-ქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმასთან[2]. მან საუბრის დროს შეწუხებული კილოთი მითხრა, რომ მოუსვენარი ხალხის ერ-თი წრე თავის განზრახულებაზე ხელს არ იღებს, ქვეყნის დაღუპვა სურთო. ასე შარშანაც ალექსანდრე ორბელიანოვს თავისი დამქა-შებით ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერის საშუალებით უნ-

---

1 შარშან, ე. ი. 1832 წ.

2 ი. ფალავანდიშვილი იგულისხმება.

დოდა დაეწყო საქმეო. მე დავაძალე არ დაემალა ეს თავის ძმისათვის და დღესვე მოეხსენებინა. თორემ მე თვითონ მივალ მეთქი, უთხარი თუ შენ ყველაფერს არ მოახსენებ შენ ძმას, ამით მას უდაოდ ყელს გამოსჭრი, შენი ძმის საგუბერნატოროში ამგვარი საქმეები ეწყობა და შენ კი ჩუმადა ხარ მეთქი, ხელმწიფე იმდენად გვწყალობს, რომ ქართველთაგანი გვყავს გუბერნატორად და კორპუსის უფროსის წინამძღოლობით ქართველებმა ერთგულობა გამოიჩინეს, უამბე შენს ძმასა და მე დამიმოწმე მეთქი. ფალავანდოვმა თქვა დამტკიცება ძნელიაო. ამ საქმეზე გენერალ მაიორ ივანე ივანეს ძე პაიკოვ 1-ლს დანიშნავენ როგორც ამისთანა შემთხვევებში უფრო გულწრფელსა მეთქი, რა თქმა უნდა შტაბის უფროსიც იქნება დანიშნული, ისე ყველა გარემოებათა გამორკვევა ძნელია, რადგან ამ განზრახულობაში გარეული პირები ყველანი ერთი მეორის ნათესავები არიან მეთქი.

ყარაბაღში რომ მივდიოდი, რადგან გაგონილი მქონდა მთავრობის წინააღმდეგ რაღაც თავისუფალი აზრები თავად ფალავანდოვს ვუთხარი თვალყური ედევნებინა მათთვის და დღიურის სახით ჩაეწერა, რაც მას შეუსრულებია.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ა ფ ხ ა ზ ო ე ი.

1833 წლის თებერვლის 10.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პასუხები (VIII, 1369 — 1374)

1. სახელი და მამის სახელი ჩემი ალექსანდრე გარსევანის ძე, ხარისხი ჩინი ჩემი გენერალ-მაიორი. 2. შობითგან ორმოცდა ექვსი წლისა ვარ. 3. ცოლად მყავს თავად ორბელიანის ასული სალომე. მყავს დედა, ორი ქალი და ერთი ვაჟი. 4. ჩემი მამულის უმეტესი ნაწილი კახეთში, თელავისა და სიღნაღის მაზრებშია სოფლები და გლეხები. ერთი პატარა სოფელი, სახელად ბაითალა, თბილისის მაზრაშიც მაქვს. როგორც ჩემი საკუთარის ისე ჩემს ნათესავებთან საზიარო ქონების აღწერის ზეპირად წარმოდგენა არ შემიძლიან. ჩემი წლიური შემოსავალი ამ უკანასკნელ ხანს ექვსი ათას მანეთს აღემატებოდა ვერცხლით. მთავარი შემოსავალი ღვინისა და პურისაა, მაგრამ ეს მალე უნდა გამიორკეცდეს, რადგან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მეურნეობის გაუმჯობესებაზე დიდი თანხები დავებანდე. ვიზრდებოდი ჩემი მშობლების მზრუნველობის ქვეშ. პირველად ს. პეტერბურგში ბამანის თავისუფალს პანსიონში, სადაც

1795-დან 1799 წლამდე ვსწავლობდი. შემდეგ შინ თბილისში ჩემ მშობელთაგან განშორებამდე მგონია 1803 წელს როდესაც ზოგიერთი შემცდარ ახალგაზრდათა მავნე შთაგონებით შევუერთდი ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც მაშინ მთიულეთში არაგვზე იყო. მე მინდოდა მასთან ერთად ირანში წავსულიყავ, მაგრამ საბედნიეროდ ორივე შეგვიპყრეს და თბილისში მოგვიყვანეს. ნეტარხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ ჩემი საქციელი ჩემს ახალგაზრდობას მიაწერა და კეთილ ინება ჩემი სასჯელი განესაზღვრა მხოლოდ მცირე ხნით ჩემი ქ. ტამბოვში ყოფნით. შემდეგ კი მალე პეტერბურგს მომითხოვეს.

5. 1805 წელს პაჟთა კორპუსში შევედი, მე უკვე პირდაპირ კამერ-პაჟად მიმიღეს, მამაჩემის დამსახურებათა პატივსაცემად, სახაზინო ხარჯზე. 1809 წელს გამომიშვეს იქიდან გვარდიის პოდპორუჩიკად. 6. ამ პუნქტის განმარტება შეუძლიან ჩემს ფორმულიარს, რომელიც ინახება აქაურ კორპუსის შტაბში დივიზიის უფროსის გენერალ ლეიტენანტის და კავალერის ბარონ როზენ მეოთხესთან. ოღონდ იქ არ არის აღნიშნული უკანასკნელი ექსპედიცია, რომელიც მე შევასრულე გასულ ზაფხულს ბელაქნის ციხის ბლოკადისაგან გასანთავისუფლებლად, რაც ხსენებული გენერლისაგან მქონდა დავალებული. 7. დავიბადე პეტერბურგში 1786 წელს. თბილისში ბავშვი ჩამომიყვანეს, 1795 წელს დამაბრუნეს პეტერბურგს. 1799 წელს ისევ თბილისში მომიყვანეს. 1805 წელს პაჟთა კორპუსში შევედი, 1811 წელს დამნიშნეს გენერალ ლეიტენანტ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად, ის მაშინ საქართველოს მთავარმართებელად იყო და მეც მასთან ერთად ჩამოვედი აქ. მე მივიღე ტყვიით ჭრილობა ფეხში მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს 1812 წ. დამდეგს[1], სწორედ მარკიზ პაულიჩის რუსეთში გამგზავრების წინ, რომელიც გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევმა შესცვალა. მძიმე ჭრილობამ, რომელმაც კინაღამ ჭლექი შემყარა, მისი განკურნების შემდეგაც დიდხანს მომაგრების საშუალება არ მომცა, რის გამოც ვერ მოვახერხე სამსახურის ადგილზე გამოცხადება იმ წლის დამლევზე ადრე. და რადგან გენერალი პაულიჩი მაშინ რიგაში იმყოფებოდა, მე გავემგზავრე მასთან 1813 წელს პეტერბურგზე გავლით. 13 და 14 წლების კამპანიების"[2] შემდეგ ისევ პეტერბურგში დავბრუნდი, ჩემი ჭრილობა, რომელიც უკანასკნელი კამპანიის დროს გამეხსნა, იმავე მდგომარეობაში იყო.

1814 წლის გასულს მივიღე შეებულება ჭრილობის განკურნე-

---

1 1812 წელს კახეთის აჯანყებაში.

2 ნაპოლეონის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

ბამდე და თბილისს გამოვემგზავრე. შემდგომში გადავირიცხე აქაურ კორპუსში და იმ დროიდან აღარსად აღარც პეტერბურგში და აღარც მოსკოვში აღარ დავბრუნებულვარ. ყველა ზემოაღნიშნული მგზავრობის დროს მოსკოვზე გამივლია. იქ ვიყავი აგრეთვე 1810 წელს ორი თვით შვებულებაში. 8. ქრისტიანის მოვალეობის თანარმად დავიარები ეკლესიაში და ყოველ წელიწადს ვეზიარები წმინდა საიდუმლოს. 9. ამ პუნქტსაც აგრეთვე ჩემი ფორმულიარი დააკმაყოფილებს. 10. განზრახვასა და შეთქმულებაზე პირველად გავიგოთ ჩემს მაღალმატებულება საქართველოს მთავარმართებელ ბარონ როზენ პირველისაგან იმ პირველ დღეს, თავადი ორბელიანები და ერისთავები რომ დაპატიმრეს. გენერალმა მითხრა არ მასსოვს ვისი თანადასწრებით, რომ ახალგაზრდებს სდომებიათ ხაზინას თავდასხმოდნენ და გაეძარცვათ: აი პირველი ცნობა, რომელიც მივიღე ბე ამ საშინელ და სულელურ საქმეზე. შემდეგ კი აღარავისგან რა გაძიგონია მართალი, ვიდრე იანვრის 15-ს კომისიამ არ გამომიცხადა იგი ძალიან მოკლედ, იქამდის კი ამ განზრახვასა და შეთქმულებაზე მე არავისგან არაფერი გამიგონია, მაშასადამე ვერც ვიქნებოდი ბე ვისგანვე შეყვანილი. 11. რა მიზეზებს უნდა გაეღვიძებინე შეეერთებოდი შეთქმულებს, წინააღმდეგ მთავრობისა, რომელსაც უნდა ვუმადლოდე საქართველოს გარეშე მტერთაგან დაფარვისა და აქ მშვიდობიანობის დამყარებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დაწყებას, განათლების შემოღებას ჩვენი შემოსავლის გამრავლებას და მისით უშიშარ სარგებლობას. 12. ამ კითხვის გადაწყვეტა, თუ რა საშუალებები მოეპოვებოდათ შეთქმულების წარმატებით შესრულებისათვის — შეთქმულთა ვალია, ჩემი საქმე არ არის. 13. ქართველ ბატონიშვილებს ყველას ვიცნობ ალექსანდრე ბატონიშვილის გარდა, რომელიც ირანშია ლტოლვილი. ბატონიშვილები ერეკლე გიორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე მხოლოდ ბავშვები მინახავს. პირველი მოსკოვში, მეორე კი პეტერბურგში. სხვები კი რუსეთსა და საქართველოში მინახავს, მაგრამ არც ერთ მათგანთან მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში არავითარი საქმის გამო, არავითარი ურთიერთობა არ მქონია, გარდა ბატონიშვილ ფარნაოზისა, რომელთანაც მე დავყავი სამ თვეს, როდესაც მე მხოლოდ თექვსმეტი წლისა ვიყავი. ბატონიშვილ ბაგრატს პეტერბურგში სენატორად რომაა, მივწერე რამდენიმეჯერ სრულიად უმნიშვნელო რამე და იმისგანაც მივიღე პასუხი. მას ცოლად ჩემი ნათესავი ჰყავს და მე 1810 წ. და 1812 წ. მოსკოვში ყოფნის დროს მასთან ვცხოვრობდი. აღნიშნულ ბატონიშვილებს არავითარი გავლენა არა ჰქონიათ ჩემზე, გარდა იმი-

სა, რომ მე ვარწმუნებდი ჩემგან მათი შთამომავლობის პატივისცემაში. შეოქმულებაზე კი არაფერი ვიცი, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე გავლენა, ეს მე მხოლოდ კომისიაში შევიტყე. 14. ფრანგი ლეტელიე გავიცანი 1829 წელს თბილისში. შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე მე სრულებით არაფერი არ ვიცი. მე მას ძლიერ იშვიათად ვხახულობდი. 1830 წ. 31-ში ის რამდენიმეჯერ იყო ჩემთან. მიჩვენებდა ხოლმე თავის თარგმანებს ქართულ დიალექტზე. 15. ყოფილ გუბერნატორ ზაველეისკის ძალიან კარგად ვიცნობ. პირველად ვნახე იგი კარანტინში აბანოების კარის იქით, გრაფ პასკევიჩის ქებაზე მაფიქრებინა მისი ახლო გაცნობა და ბოლოს ვპოვე რა მისი თვისებანი საკადრისი მისი გრძნობისა, დავუმეგობრდი. მთავრობისადმი ერთგულობით გამსჭვალული აზრების მატარებელ ადამიანზე როგორ ვიფიქრებდი, რომ რომელიმე ბოროტგანზრახულობის მონაწილე იქნებოდა. ამის შესახებ არასოდეს არავისაგან არ გამიგონია. თორემ მაშინვე ყოველივე კავშირს გავწყვეტდი. 16. მე არავინ არ შემეძლო შეთქმულების მთავარ წევრად ჩამეთვალა. მე ეს არ ვიცი, მაგრამ ბატონმა მთავარმართებელმა მაუწყა, რომ დეკემბრის 13-ს დაპატიმრებულების ყველა ჩვენებებში ჩემი სახელი პირველ როლს თამაშობს. კომისიამაც იგივე დაადასტურა იმ დამატებით, რომ ყველა ისინი ჩემს დიდ სიყვარულსა და პატივისცემას **აჩვენებენ.**[1] ვითომც თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი ჩემი ბრძანებით ასრულებდა თავად ლუარსაბ ორბელიანოვის ნებასურვილს და გვარდიის კაპიტან თავად ჩოლოყაევს უთქვამს, **რომ ერთ ჩემ სიტყვაზე მთელი საქართველო იარაღს აიხსამს.** ამ უცნაურობამ გამოიწვია ის, რომ ჩემს ჩვენებაში მე ჩემს თავს ირონიით მეამბოხეთა მეთაური ვუწოდე. ვინც აჯანყებას ამზადებს, ის ცდილობს ხალხი თავისკენ მიიმხროს, მე კი პირიქით, ამ ერთი უკანასკნელი წლის განმავლობაში დავიპირისპირე ჩემი გლეხების ორმოცზე მეტი ოჯახი. მათ შეიტანეს ჩემზე საჩივარი ბ. ბ. სენატორებთან და მთავარმართებელთან, თავისუფლების მოპოვება განიზრახეს. მათი უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ ვცდილობ მოვაშლევინო მათთვის ჩვეული სიზარმაცე და ვთხოულობ მათგან სათანადო შრომას როგორც ჩემთვის ჩემი სოფლის სასარგებლოდ. ჩემს საქმიანობაში არაფერი არ მოიძებნება ისეთი, რაც ჩემს ბრალდებას არ ეწინააღმდეგებოდეს. კომისიის ჩემდამი სხვადასხვა შეკითხვებზე პასუხის ნაცვლად მე უნდა მეთქვა: კეთილინებეთ, განიხილეთ ჩემი საქმიანობა საქართველოში,

---

[1] ესეც და ქვეკითაც თვით ალ. ჭავჭავაძის მიერ არის ხაზგასმული.

თუმცა. რაც უნდა მართალი ვიყო და რაც უნდა წმინდა იყოს ჩემი სინდისი და საქმიანობა მაინც უკვე დასჯილად ჩავითვლები, რადგან თვეზე მეტია დაპატიმრებული ვარ სხვა დამნაშავეებთან ერთად და შეკითხვებს ვიღებ. მთავრობა შეიძლება შეცდეს გარემოებათა უჩვეულო დამთხვევის წყალობით, მაგრამ არა ისეთ კეთილმოწყობილ სახელმწიფოში, საღაც კანონი ამჯობინებს შვიდი დამნაშავის განთავისუფლებას, ვიდრე ერთი უდანაშაულოს დასჯას. ამ კეთილ მომქმედ კანონთა მიხედვით ბრალდებულს უნდა მისცემოდა თავის მართლების ყოველივე საშუალება. მე კი, პირიქით, ამ მხრივ სავსებით შეზღუდული ვარ, რადგან არ ვიცი დაწვრილებით არც შეთქმულება და არც ჩემი საკუთარი ბრალდება.

დასასრულს გულწრფელად უნდა განვუცხადო კომისიას, რომ თუმცა არა ვგრძნობ მთავრობის წინააღმდეგ არავითარ დანაშაულს, მაგრამ მაინც არ ვიკადრებ ამის ცხადსაყოფელად რაიმე უკადრის საშუალებას მივმართო.

კომისიის შეკითხვებზე ჩემი პასუხები ყოველთვის ჭეშმარიტი იყო. თუ ეს უკანასკნელი საკმარისი არ აღმოჩნდა, უმორჩილესად გთხოვთ მიბრძანოთ მათი შევსება. ამ პასუხებში არ მომიხსენებია ჩემი წინანდელი პასუხები, მაგრამ მაინც უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ ისინიც ამ უკანასკნელს შეუერთდეს, რადგანაც პირველ განმარტებებში მოვათავსე ბევრი ისეთი დაწვრილებითი ცნობა, რომლის სინამდვილეშიც მე სავსებით დარწმუნებული ვარ და ამიტომაც უმეტესად ძინდა ისინი ყოველთვის თვალწინა მქონდეს, იმიტომ, რომ აქ მოხსენებული მრავალი გარემოება შეიძლება შემდეგში აღარ მომაგონდეს, რადგან შავები არ დამიტოვებია.

გენერალ-მაიორი თავადი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (VIII, 1380)

მოხდა ერთხელ, არ მახსოვს როდის იყო, ახვერდოვის სახლში ღოდაევთან ჩემი და დოდაევის თანდასწრებით. როცა ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა პოლკოვნიკ ოავად ანდრონიკოვს, რა კარგი იქნებოდა, რომ საქართველო განთავისუფლდესო — მაშ მთელი საქართველო რომ აღსდგეს, ნუთუ თქვენ არ მიიღებდით მონაწილეობასო — ამაზე თავადმა ანდრონიკოვმა უპასუხა — გირჩევთ ამ გვარ-

საქმეზე ლაპარაკს თავი დაანებოთ, ხომ არ ფიქრობთ რამე დაიწ-
ყოთ, მაგრამ გეთაყვა ჩემთან ნურაფერს იტყვით, თორემ მთავრობას
ვაცნობებ, მე ხელმწიფეს შევფიცე ერთგულება და საეკუნოდ მი-
სი ერთგული დავრჩებიო.

აზნაური სოლომონ რ ა ზ მ ა ძ ე.

თებერვალი 11. 1833 წელი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (VIII, 1382)[1]

კ ო მ ი ს ი ა ს!

1832 წელს ლაშქრობიდან რომ ვბრუნდებოდი, კახეთში დავრჩი
რამოდენიმე დღეს ჩემ ნათესავ ქაიხოსრო ვაჩნაძესთან. რამოდენიმე
დღის შემდეგ, როგორც კი გამოვემშვიდობე მას გარეთ გამოველ.
ვემზადებოდი თბილისში წამოსასვლელად, სწორედ ამ დროს დავი-
ნახე თავადი დიმიტრი მაღალოვი, რომელიც სიღნაღში მიემგზავ-
რებოდა. ვიცანით ერთმანეთი, გადავეხვიეთ და დავიწყეთ საუბარი.
მე ეკითხე თბილისზე ჩემს ნათესავებსა და მეგობრებზე და ის მიამ-
ბობდა ყველაფერი კარგად არისო და ამასობაში ჩაურთო, რომ პე-
ტერბურგიდან ჩამოვიდნენ გიორგი ერისთავი და ლუარსაბ[2] ჩოლო-
ყაევი და ჩვენი ბრბო გამრავლდებაო. მე ამაზე არაფერი არ მიპასუ-
ხნია, რადგან იმ დროს უკვე სულ სხვა ნაირად ვფიქრობდი და ამ
აზრებზე დიდი ხანია ხელი აღებული მქონდა.[3] ამის შემდეგ ჩვენ
ერთი მეორეს დავემშვიდობეთ.

პრაპორჩიკი თავადი გიორგი ე რ ი ს თ ა ვ ი.

საგამომძიებლო კომისიის 13 თებერვლის სხდომის ოქმი (VIII, 1387—1389)

საგამომძიებლო კომისიის სხდომა გრძელდებოდა საშუადღე-
ვის 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ბატონ კორპუსის უფროსის ბრძანებით გენერალ-მაიორ ვოლხო-

---

[1] მიღებულია კომისიაში 1833 წლის თებერვლის 11-ს.

[2] ზაქარია უნდა იყოს.

[3] სხვა ჩვენებებიდან ცნობილია, რომ გ. ერისთავმა სწორედ ლაშქრობაში ყოფნის დროს პოლონელებიც კი დაითანხმა მონაწილეობა მიეღოთ აჯანყებაში.

ვსკის მიერ წარედგინა კომისიას მისი აღმატებულების მიერ ბატონ სამხედრო მინისტრის 23 იანვრის № 148 მომართვასთან ერთად მიღებული ოქროპირ ბატონიშვილის პასუხები კითხვით პუნქტებზე და აგრეთვე მის აღმატებულებისათვის შეტყობინებული ხელმწიფე იმპერატორის უზენაესი სურვილი, რათა ყველა გარემოებანი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად ყოფილ ზავილესკისა და თბილისში მყოფ ერთი ფრანგის შესახებ, გამოკვლეული იქნას საგამომძიებლო კომისიის მიერ ძლიერ დაწვრილებითა და ზუსტი სისწორით.

ამის აღსასრულებლად პირისპირ იქნენ წაყენებული თავადი იასე ფალავანდოვი და ყოფილი სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი შემდეგ გარემოებაზე: თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა ერთ თავის წინანდელ ჩვენებაში მოიხსენია, რომ, როდესაც მოვიდა ცნობა პოლონელების აჯანყების შესახებ, იასე ფალავანდოვმა, ელაპარაკებოდა რა მას ამაზე, დაურთო, რომ მასთან დაიარება ერთი უკვე ხანში შესული ფრანგი, რომელსაც უმსახურნია ნაპოლეონთან, პოლკოვნიკად და ყოფილა „პოლკის" უფროსი, ხოლო ამ ჟამად კი თბილისში ცხოვრობს, და რომ ამ ფრანგმა უთხრა მას, რომ საჭიროა აქაც აღრეულობის მოხდენაო, შემდეგ ფალავანდოვმა, — განაგრძობდა რა საუბარს ამ ფრანგზე, მოიხსენია, რომ მას აქვს ბეჭედი რომელზედაც ნაპოლეონია გამოსახულიო. თავად იასე ფალავანდოვმა ჯერ პირველად კომისიის შეკითხვაზე არ აღიარა რა ეს ჩვენება, მთლიანად, — მისცა მას შემდგომი მიმართულება, რომ თბილისში იგი იცნობს მხოლოდ ორ ფრანგს: არქიტექტორ ბიპარს და მეტრაქტირე ოდიეს, რომ ეს უკანასკნელიც გაეცნო, როდესაც მასთან და პორუტჩიკ პანოვთან ერთად, რომელიც გენერალ სტრეკალოვთან მსახურობს, დაპატიჟრებული იყო მეტეხის ციხეში 1830 წელს და რომ მაშინ მან ისესხა მისგან ოთხი ჩერვონეცი, რის შემდეგაც ოდიე იყო მასთან მხოლოდ ორჯერ: პირველად მოვიდა მეტეხის ციხიდან პოლიციის თანხლებით ოთხი ჩერვონეცის მისაღებად და ისე გაბრუნდა, რომ სახლში არ შესულა. მეორე ჯერ კი იყო იგი მასთან გასული დეკემბრის თვის პირველ რიცხვებში იმის სათქმელად, რომ მან მიიღო წერილი პანოვისაგან. ნაპოლეონის გამოხატულებიანი ბეჭედი კი მას არასოდეს არ უნახავს და ამაზე არც უთქვამს რა თავისთვის ალექსანდრე ორბელიანოვისათვის, ასევე არავითარი საუბარი ოდიესთან არეულობისა და პოლონელების შესახებ მას არასოდეს არა ჰქონია.

პირისპირ წარდგენის დროს ორბელიანოვმა, მოაგონა რა იასე

ფალავანდოვს დრო და ადგილი. სადაც მას საუბარი ჰქონდა ხსენებულ ფრანგზე, დაუმატა, რომ ამ საუბრის რამდენიმე დღის შემდეგ, მან ნახა ეს ფრანგი თავად იასე ფალავანდოვის სახლიდან რომ გამოდიოდა და მან უთხრა რომ ეს ის ფრანგია, რომელზედაც გელაპარაკებოდიო. ფალავანდოვმა უარჰყო რა ეს — თქვა, რომ ალექსანდრე ორბელიანოვს შეეძლო სცნობოდა ფრანგი ოდიე, რადგან ის და იასე არა ერთხელ მოსულან მასთან ტრაქტირში, რაც ორბელიანოვმა მაინც არ იკისრა.

ამის შემდეგ იასე ფალავანდოვმა განაცხადა, რომ მას ეხლა მოაგონდა ეს საუბარი ორბელიანოვთან ფრანგზე. ეს მოხდა შემდეგნაირად: ერთხელ იგი მივიდა ორბელიანოვთან სახლში, სადაც დახვდა აგრეთვე მისი ძმა ვახტანგი. ამათ საუბრის დროს უთხრეს მას: „ეხლა არის უკვე ერთი რუსიც. რომელიც დახმარებას გაგვიწევს ჩვენს განზრახულებაშიო". მაშინ იასე ფალავანდოვმა უპასუხა მათ, რომ ისიც იცნობს ერთ ფრანგს.[1] რომელმაც მას უთხრა, რომ ეხლა საქართველოშიც შეიძლება რევოლუციის მოხდენაო, მაგრამ ვითომ, მან ფალავანდოვმა ეს ტყუილად გამოიგონა, რადგან უნდოდა გაეგო მათგან, თუ ვინ არის ის რუსი. რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა და რომ ვითომც ამან აიძულა ალექსანდრე ორბელიანოვი გამოეცხადებინა, რომ პაუშჩენკო. დუშეთის ეხლანდელი ისპრავნიკი, შეიძლება ჩვენთვის ამ საქმეში სასარგებლო იყოს, რადგან თავისი უფროსებით უკმაყოფილო არისო. თავადი ფალავანდოვი ბოლოს იმაზე გამოტყდა, რომ მან ნამდვილად ნახა ოდიესთან ბეჭედი, რომელზედაც ნაპოლეონი იყო გამოხატული, მაგრამ თავს იმართლებდა იმით, რომ მან ვერ გაიგო შეკითხვა და ეგონა, რომ მას ეკითხებოდნენ საბეჭდავი ბეჭდის შესახებ.

კომისიამ დაინახა რა თავად ფალავანდოვის თაღლითობა, უბრძანა მას განმარტოს ყველაფერი წერილობით, რისთვისაც მიეცა მას ქაღალდი.

---

1 ოდიეს ვინაობა იხილე IX, 1537-1538.

ოქროპირ ბატონიშვილის პასუხები (VIII, 1300—1395)

კითხვითი პუნქტები ოქროპირ ბატონიშვილს

1. ვისთან გაქვთ ნაცნობობა თბილისში და აქ?

თბილისში მე დავიარებოდი თავად მუხრანსკისთან. თავადაზნაურობის წინამძღოლთან, ჩემს მამიდებთან და დეიდებთან, ჩემს დასთან, ბებუთოვებთან და ჩემს დისწულ დიმიტრი ორბელიანოვის ცოლთან.

რუსთაგან კი: მთავარსარდალთან, სენატორებთან, სტრეკალოვთან და გუბერნატორთან. მეტ წილად კი შინ ვიყავი. მოსკოვში დავიარებოდი ცოლის ნათესავებთან და ქალაქის ცნობილ პირებთან.

2. თუ იცნობთ საქართველოს მმართველობის სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს, ხშირად ხვდებოდით თუ არა მას თბილისში, ხომ არ გაგახსენდებათ მასთან მსჯელობა და მიზეზები იმისა, რომ თქვენ მასთან გელაპარაკნათ საქართველოს აწინდელ მდგომარეობაზე, იქიდან რუსების გაძევების აუცილებლობაზე და სამეფო სახლის ძველი მმართველობის აღდგენაზე და რა გაიძულებდათ თქვენ ასეთ აზრებს, რჩევას და შთაგონებას.

ერთი სიტყვით თქვენ უნდა განმარტოთ დაწვრილებით,

მე არ ვიცი აქ რომელ ორბელიანოვზეა ლაპარაკი, რადგან ისინი რამდენიმე არიან, თუ ეს ალექსანდრე ორბელიასოვი თეკლა ბატონიშვილის შვილია, ის მე ბიძაშვილად მომხვდება, რომელსაც ვიდრე საქართველოში არ ჩამოვედი, არ ვიცნობდი და მერეც მხოლოდ ხუთჯერ თუ ექვსჯერ ყოფილა ჩემთან. მე მასთან საქართველოს აწინდელ მდგომარეობაზე არავითარი საუბარი არ შეიძლებოდა მქონოდა, არა მქონდა რა წარმოდგენა ამ მდგომარეობაზე და აზრი რუსების განდევნის შესახებ, რომელთაც თავი ისახელეს ირა-

როგორც პირველი შემთხვევა, რომელმაც ასეთი დანაშაულებრივი განზრახვის აზრი აღგიძრათ, აგრეთვე მისი თანდათანი მსვლელობა და ყველა ის მოსაზრებანი, რომელზეც თქვენ ამყარებდით საქართველოს ძველი სახით აღდგენის იმედს.

ნელებისა და თურქების დამარცხებით, არ შეიძლება მომსვლოდა თავში როგორც უგუნური რამ. მე, დაავადებულსა და ყოველგვარ ფიზიკურ ძალას მოკლებულს, როგორ შემეძლო მეფიქრა სამეფოზე, რომლისთვისაც სხვა საშუალებათა გარდა, დაუღალავი მოღვაწეობაა საჭირო. თუნდაც რომ მქონოდა დანაშაულებრივი განზრახვა, განა გავუმხელდი მას, თითქმის უცნობ ადამიანს, რომლის საგვარეულოსა და ჩემს საგვარეულოს შორის ქიშპი იმდენად ცნობილია, რომ ჩვენს შორის მეგობრობას სრულიად შეუძლებელს ხდის. ამგვარად, არავითარი მიზანი, არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა მე არ შეიძლება მქონოდა, რადგანაც რუსები რომ გაგვედევნა, რაც არც ერთ ჭკუამოკლე კაცსაც კი არ მოუვა აზრად, რადგან ამის არავითარი საშუალება არ არსებობს, — არა თუ არ შეიძლებოდა მქონოდა უფროსად გახდომის იმედი, არამედ მე აუცილებლად გავხდებოდი შეთქმულთა მსხვერპლი, რადგან ირანში მყოფი ბიძაჩემის ალექსანდრე ბატონიშვილის მტრობა საყოველთაოდ ცნობილია.

ბოლოს გენერალ ფელდმარშალი თავადი პასკევიჩი დამემოწმება, რომ კანონსაწინააღმდეგო არავითარ საქმეში მე მონაწილეობა არ მიმიღია.

3. ვინ არიან ის საპატიო პირნი, რომელთა შესახებაც თქვენ ეუბნებოდით ორბელიანოვს, რომ მათ შეიძლება ენდო და ისინი კარგ რჩევასაც მოგცემენო?

არავითარი საპატიო პირთა შესახებ ლაპარაკი ორბელიანოვთან მე არ შემეძლო, რადგან საქართველოს ყველა საპატიო პირნი მისი ახლო ნათესავები არიან, რომლებთანაც ერთად იგი იზრდებოდა და რომელთაც ჩემზე უკეთ უნდა იცნობდეს.

4. რა საშუალებით ფიქრობდით თქვენ განზრახვათა სისრულეში მოყვანას, ვინ იყვნენ თქვენი თანამოაზრენი და პირნი, რომელთაც თქვენ ანდობდით ამ საქმის საიდუმლოებას?

არ მქონია არავითარი განზრახვა, არც შემეძლო რამე საშუალებათა მოძებნა და არც არავითარი თანამოაზრენი გამაჩნია, ისე როგორც არა მაქვს არავითარი საიდუმლოება.

5. რა ურთიერთობაში იყავით გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძესთან, რომელზედაც თქვენ ორბელიანს ელაპარაკებოდით, რომ შეიძლება ის დავითანხმოთ და ჩინებულ შეთქმულებას მოახდენსო, რა საფუძველზე ამყარებდით მასზე იმედებს?

არავითარი ურთიერთობა თავად ჭავჭავაძესთან არასოდეს არ მქონია, არა მქონდა რა არავითარი იმედი და განზრახვა, არ შემეძლო მქონოდა მისი იმედი და მასზე ორბელიანოვთან მელაპარაკნა, ხოლო კეთილგონიერება ჭავჭავაძესი მეტად ცნობილია მთავრობისათვის და თავად ორბელიანოვმაც ეს უკეთ იცის, ვიდრე მე.

6. მსგავსად ამისა რატომ იმედოვნებდით, რომ თქვენ დახმარებას გაგიწევდნენ თავადი ელიზბარ ერისთავი და მასწავლებელი დოდოევი და რათ ჰფიქრობდით, რომ ეს უკანასკნელი მზად არის თქვენთვის თავი გასწიროს?

როგორ შემეძლო მქონოდა იმედი ელიზბარ ერისთავისა, ახალგაზრდა და გამოუცდელი ადამიანისა, რომელსაც ხალხში არავითარი გავლენა არა აქვს რომელიც ჩემს სიცოცხლეში ორჯერ თუ სამჯერ ვნახე, რომლის საგვარეულოსაც ახსოვს მრავალი ბოროტი ჩემი საგვა-

რეულოდან და მრავალი სიკეთე ნეტარხსენებულის განსვენებული ხელმწიფის ალექსანდრე პავლეს ძის სიუხვეთაგან, რომელმაც დაუბრუნა ერისთავებს ჩვენს მიერ წართმეული მამული, ისევე არ შემეძლო მქონოდა მასწავლებელ დოდაევის თავგანწირვის იმედი, რადგან მე მისთვის არასოდეს არავითარი კეთილი არ მიქნია.

7. აგრეთვე რა საბაბი გქონდათ გეფიქრათ, რომ თამარ ბატონიშვილიც თქვენი თანახმა იქნებოდა?

8. მასწავლებელი დოდოევი განმარტავს დაწვრილებით, თუ როგორ აჯერებდით მას ეთხოვნა ქართველი მღვდლებისათვის, რათა მათ თქვენთვის ელოცნათ ღმერთი თქვენი საქმის გამარჯვების იმედით რა განზრახვა გქონდათ თქვენ როცა ამას ასეთ დავალებას აძლევდით და იმისათვის ხომ არა, რათა მოგემზადებინათ სამღვდელოება იმისათვის, რომ მათ შთაეგონებინათ უბრალო ხალხისათვის კანონიერი ხელისუფლებისადმი ურჩობა და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება?

არა მქონია რა არავითარი განზრახვა, არ შემეძლო მეძია თამარ ბატონიშვილის თანხმობა.

მე არ შემეძლო მეთქვა დოღაევისათვის, რათა მას დაეჯერებინა მღვდლები ელოცათ ხალხის აჯანყების იმედით, რადგანაც დოდაევი თავისი ოჯახამდებობით მუდამ თბილისში იმყოფებოდა და სოფლელი მღვდლების შთაგონებას ვერ მოახერხებდა, ხოლო თბილისში კი დიდი ნაწილი სომხურ სარწმუნოებას აღიარებს, რომელთა მღვდლებისათვის თხოვა, რომ ჩემთვის ელოცნათ, უხერხული იქნებოდა და, ისინი ამას სასაცილოდ ჩათვლიდნენ. ვიტანჯები რა მრავალი წლის განმავლობაში სნეულებისაგან, არა ერთი ეკლესიისათვის მიმიმართავს და ამის მსგავსი რამე თუ ვუთხარი დოდაევს, ეხლა აღარ მაგონდება, მაგრამ ჭეშმარიტად არა ბოროტი განზრახვით.

9. თქვენ ეუბნებოდით დოდოევს, რომ ერთი ბერმონაზონი რუსეთში უკვე ასრულებს ასეთ ლოცვას საქართველოს აღდგენის იმედით და რომ შეიძლება ღმერთმა მათი ლოცვა ისმინოს და როდესმე გეღირსოთ საქართველოში მეფობა. მაშ, განმარტეთ სადა და რომელი ბერმონაზონი ასრულებს ამას?

არც ერთ ბერმონაზონს არ ვიცნობ და ზერებთან არც დავდივარ, არც დოდაევისთვის მითქვამს ამაზე რამე. არა მგონია დოდაევი ისე გულუბრყვილო იყოს, რომ მე ამისთანა სიტყვები არაფერში გამომადგებოდა.

10 თქვენი და თამარ ბატონიშვილი სთხოვდა მასწავლებელ დოდაევს, როდესაც ეს 1827 წელს მოსკოვში იყო, რათა მან შთააგონოს თავის მოწაფეებს, რომ მათ არ უნდა დაივიწყონ ქართველი ბატონიშვილები. განმარტეთ აქ, რა მიზნით აძლევდა იგი მას ასეთ დავალებას?

ჩემი და თამარ ბატონიშვილი ავადმყოფი ქალია, რომელსაც ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელი აქვს აღებული, რომელიც ადამიანთა ყოველგვარ დიდებას არარად თვლის. მე შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ჩემს დას არ შეიძლება ჰქონდეს რამე პატივმოყვარეობითი განზრახვა. მე არ ვიცი უთხრა თუ არა მან ეს დოდაევს, მაგრამ თუ უთხრა, ჩვეულებრივი აზრით, რომ ნაცნობები არ უნდა იქნენ დავიწყებულნი.

11. ხომ არ გქონდათ ამ საქმეზე მიმოწერა ირანში გაქცეულ თქვენს ძმასთან ალექსანდრესთან და რა ღონისძიებანი გქონდათ დასახული, მასთან და თქვენს სხვა ძმებთან თათბირის შემდეგ, თქვენი მიზნის მისაღწევად. მხოლოდ ქართველი ხალხის აჯანყება თუ დახმარება ეგვიპტის ალიფაშასი და ყაზი-

ალექსანდრე ბატონიშვილი ჩემი ბიძაა და არა ძმა. მამის სიცოცხლეშივე გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილს არ შეუწყვეტია ბრძოლა მამაჩემის წინააღმდეგაც და შემდეგ კი რუსების წინააღმდეგაც. მე მასთან არასოდეს არავითარი მიმოწერა არა მქონია და ან რა ურთიერთობა შეიძლებოდა

ძოლასი, როგორც ეს ჩანს შეთქმულთა ჩვენებებიდან და ყველაფერ ამისთვის რაზე ამ-ყარებდით თქვენს იმედებს?

12. ლეიბ გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი გიორგი ერისოვი იყო მოსკოვში 1832 წლის ზაფხულში. განმარტეთ, რა მიზეზის გამო მოიჩივლეთ მასთან საქართველოზე, როცა ამბობდით, რომ ქართველები რუსეთის მთავრობისა-

მქონოდა იმ ადამიანთან, რომელიც ჩვენს მოსპობას სცდილობს ყოველგვარი საშუალებით. მე უაღრესად ვწუხვარ. რომ აუცილებლობა მაიძულებს ასე ცუდად მოვიხსენიო ჩემი ნათესავი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ მინახამს. არც ერთი ძმა რუსეთს გარეთ მე არა მყავს, არც ერთ მათგანთან არავითარი მიმოწერა არა მაქვს. მე არავითარ აჯანყებას არ ვაწყობდი საქართველოში და რისიმე დაწყება ფიქრად არ მომსვლია, მაშასადამე არც არავითარი იმედი შეიძლება რომ მქონოდა. ეგვიპტესთან არასოდეს მიმოწერა არა მქონია, არც ყაზი-მოლასთან მქონია რამე ურთიერთობა, შეთქმულთა ჩვენებაში კი, რამდენადაც მე აქ განმიმარტეს, მე ვპოულობ მხოლოდ პირადულობას და ცდას, რათა მე მომახვიონ თავზე ის, რის მეთაურენი უნდა იმალებოდნენ საქართველოში წარჩინებულ სომეხთა შორის, ან შეთქმულთა ნათესავ ქართველ თავადთა შორის, ერეკლე მეფის შვილიშვილებთან ერთად.

არ მახსოვს, რომ მე თავად გიორგი ერისთავთან ამაზე მელაპარაკნა, რომელსაც რუსეთმა დაუბრუნა ჩვენს მიერ წართმეული მამული და რომლის დარწმუნების იმედი მე არ უნდა მქონოდა, რადგან რუსეთისაგან ის მეტად გაბედნიე-

გან დაჩაგრულნი არიან და როდესაც თბილისში იყავით, ურჩევდით ზოგიერთ მათგანს გაეუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა უკეთესი განათლების მიღებით. რას გულისხმობდით თქვენ ამ რჩევაში, სახელდობრ ვის შთააგონებდით ამას და სად ხდებოდა ეს?

13. ხომ არ შთააგონებდით თქვენ ამნაირადვე თქვენს ნათესავებს, სახელდობრ: დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილებს, რადგან თავად ელიზბარ ერისთავის ჩვენებით, მათაც იცოდნენ თქვენი დანაშაულებრივი განზრახვა?

რებულია. მე საერთოდ ბევრ ხალხს ველაპარაკებოდი, რათა ისინი განათლებულიყვნენ მეცნიერებათა შეძენით, განათლებულიყვნენ მათი წოდების და ეესაფერისად. აი რაში მდგომარეობდა ჩემი შთაგონება.

ჩემი ნათესავები ბატონიშვილები დიმიტრი და ფარნაოზი არ მინახავს 1824 წლიდან და მათთან არა მქონია მიმოწერა და არავითარი წარმოდგენა არ შეიძლება ჰქონოდათ განზრახვაზე, რომელიც მე თვითონაც არა მქონია.

ხელს აწერს
ქართველი თავადიშვილი
ოქროპირი
სწორია მდივანი (ხელმოწერა).

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (VIII, 1407)

მე ვიცნობდი ტრაქტირის მეპატრონე ფრანგ ადიეს[1] როგორც ტრაქტირიდან 1828 წელს, აგრეთვე ციხიდან, სადაც დაპატიმრებული ვიყავ 1829 და 1830 წელს პანოვთან ერთად. ადიე მოდიოდა ხოლმე პანოვთან, იგი პანოვის თანადასწრებით მიჩვენებდა ხოლმე ნაპოლეონის ბეჭედს და ტრაბახობდა, რომ მას იგი ძვირად უღირს. აღნიშნული ადიესი ოთხი ჩერვონეცი მემართა, რომელიც ჯერ ისევ დაპატიმრებული რომ იყო 1830 წელს, მოდიოდა ხოლმე ჩემთან პრაპორჩიკ ლოპელელთან ერთად ამ ფულის გამო. ეს ფრან-

[1] რუსი ჩინოვნიკები ამ ფრანგის გვარს სწერდნენ Одье. ხოლო ფალავანდიშვილი კი წერს «Адье».

გი ვნახე მე გასულ 1832 წელს 1 მაისს ბაღში, სადაც უამრავი ხალხი იყო, ხოლო 1832 წლის დეკემბერში კი ისევ მოვიდა ჩემთან ზემოაღნიშნულის სათხოვრად და მიჩვენა პანოვის წერილი, აგრეთვე მითხრა, რომ მალე რუსეთში წასვლას აპირებს; მე ვუპასუხე მეც განზრახვა მაქვს მალე რუსეთს გავემგზავრო მეთქი. მასთან მეტი სხვა არავითარი საუბარი არა მქონია. მე სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს ველაპარაკე გასულ 1832 წლის ნოემბერში, რათა მისი ნდობა მომეპოვებინა. მე ვუთხარი, რომ ვიცნობ ერთ ფრანგს, რომელიც აგრეთვე გვირჩევს მოვახდინოთ აქ აღრეულობა მეთქი. ვუთხარი რა მე ეს, სოვეტნიკმა მომიგო: შე დალოცვილო არა თუ ფრანგი, არამედ რუსი ჩინოვნიკი ტიტულიარნი სოვეტნიკი ჯერ ისევ 1831 წელს გვირჩევდა ამას. იგი ძალიან ნიჭიერი კაცია, მან ეს მითხრა თავისი ძმის ვახტანგის თანადასწრებით, იმავე სოვეტნიკმა მითხრა, რომ მასწავლებელი პერეე, რომელიც ფრანგულ ენას ასწავლიდა ვახტანგსა და ყიფიანოვს, ამბობს, რომ ბელგიის ციხესიმაგრეშიც აღრეულობაა.[1]

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი

1833 წელი თებერვლის 13.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (VIII, 1411)

ფრანგ ადიოს[2] ვიცნობდი ტრაქტირიდან 1829 წელს, და აგრეთვე მეტეხის ციხიდამ, სადაც მე დაპატიმრებული ვიყავი, მასთან ახლო ნაცნობობა არა მაქვს, იმის მეტი, რომ დავიარებოდი ხანდახან მასთან ტრაქტირში სასაუზმედ, ხოლო პოლონეთის რევოლუციაზე მე ამ ფრანგისაგან არ გამიგონია რა არასოდეს; ბატონ სოვეტნიკ ორბელიანოვს კი მართალია უთხარი, რომ ფრანგმა ადიომ მითხრა აქაც

---

[1] ფალავანდიშვილი ცდილობს გააქარწყლოს ფრანგ ოდიესთან ურთიერთობის მნიშვნელობა და საგამომძიებლო კომისიამ ბოლოს მაინც ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ ამ ამბის გამოკიდება არა ღირს, მაგრამ ოდიესთან ერთად, აქ იხსენიება რამდენიმე ფრანგის გვარი: არქიტექტორი ბიპარი, პრაპორჩიკი ლოპელი, მასწავლებელი პერეე და ლაპარაკია აღრეულობასა და რევოლუციაზე, ჩვენ არ შეგვიძლია ეს გარემოება უყურადღებოდ დავტოვოთ. ბოლოს და ბოლოს ყველა ამ ფრანგს შეეძლო თუნდაც მხოლოდ საფრანგეთის საკონსულოს მდივნის ლეტელიეს აგენტი ყოფილიყო. ლეტელიეს იგი იცნობს (იხ. IX, 1537 — 1538).

[2] აქ სწერს ფრანგის გვარს ასე: Адьё.

აღრეულობა მოვახდინოთ მეთქი, ამ ორბელიანოვს მე ეს ვუთხარი 1831 წელს.[1]

თავადი იესე ფალავანდიშვილი

1833 წელი 14 თებერვალი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (VIII, 1421)

ვიცნობდი დიმიტრი ბატონიშვილს და გვქონდა ჩვენ საუბარი საქართველოზე, რომ თუ განთავისუფლდა, მოახერხებს თუ არა დამოუკიდებელ არსებობას; ამბობდა აგრეთვე იგი რომ საჭიროა ამ ქვეყანაში განათლება შევიტანოთო. დავა გვქონდა ხოლმე აგრეთვე იმაზე, რომ ის ამბობდა ხოლმე: ქართველები ბოშები არიან და რა ხალხიაო. გიჯობთ მთლად გარუსდეთო. სრულებით აღარ მახსოვს ნიშანდობლივ რას ამბობდა ხოლმე იგი მეტს. მაგრამ ამგვარ ამბებს კი ხშირად გვახსენებდა ხოლმე. საჭირო შემთხვევაში ამბობდა იგი, შეგვიძლიან უცხო სახელმწიფოებს მივმართოთო.

ოქროპირ ბატონიშვილთან მქონია აგრეთვე საქართველოს შესახებ საუბარი: სხვა საუბართა შორის, საქართველოს შესახებ, რაც სრულებით არ მახსოვს, ამბობდა აგრეთვე, რომ არ უნდა იქნეს დავიწყებული საკუთარი ადათ-ჩვეულებანი, რადგან თუ ადათ-ჩვეულებებით რუსებისაგან განსხვავებული იქნებით, მაშინ აღარც თქვენი აზრები შეეთანხმება მათ აზრებსო. ეცადეთ მუდამ მათ წინააღმდეგობას, რათა მათთან არ გაერთიანდეთ, საჭიროა შეინარჩუნოთ თქვენი ზნეჩვეულებებიო და სხვა. ამბობდა აგრეთვე, რომ ვლადიკავკაკის ხეობა ისე შეიძლება ჩაიხერგოს, რომ იქ ვეღარავინ გაივლისო. როცა მე. გავიგე თბილისში შედგენილი შეთქმულების შესახებ, ვკითხე დიმიტრი ბატონიშვილს, მართალია, თუ არა ეს მეთქი. მან მიპასუხა ტყუილი ხმები უნდა იყოსო.

ლ. გ. ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი ერისთოვი

1833 წლის თებერვლის 15.

---

[1] ამ ჩვენებიდან უფრო აშკარა ხდება ი. ფალავანდიშვილისა და ოდიეს ურთიერთობა, რომლის დოკუმენტალურად გამოკვლევის საშუალება სამწუხაროდ ჯერჯერობით არ არსებობს, გარდა ამ საგნის შესახებ ჩვენებათა ურთიერთ დაპირისპირების ნიადაგზე ლოღიკური დასკვნისა, რაც თავისთავად საინტერესოა, მაგრამ შეიძლება დამჯერებელი ვერ იყოს.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (VIII, 1423)

მომაგონდა, რომ ერთხელ მე და ელიზბარი ვიყავით თამარ ბატონიშვილთან, რომელსაც ვუთხარით, რომ ჩვენ განზრახვა გვაქვს საქართველოში გადატრიალება მოვახდინოთო. მან გვითხრა, რომ ეს შეუძლებელიაო და გვირჩია ამ საქმეზე ხელი ავიღოთ. ბოლოს ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მან გვითხრა, აზნაურმა მართა ალექსეევამ მითხრა, რომ ჯერ ისევ 1831 წელს იყო შედგენილი საზოგადოება ძმათა თავად დავითისა და დიმიტრი თარხანოვთაგანო. ამის შემდეგ მე კიდევ რამდენიმეჯერ ვიყავი მასთან და ყოველთვის მირჩევდა ამ საქმეზე ხელი აგვეღო. მეტი სრულებით არაფერი არ მახსოვს.

ლ. გ. ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი ერისთოვი

1833 წლის თებერვლის 15.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (VIII, 1425)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე თავად თარხანოვთა შესახებ, მაქვს პატივი ვუპასუხო.

1832 წლის ნოემბერში ჩემთან იყო სადილად ვახტანგ ორბელიანოვი და სადილის წინ მითხრა, თამარ ბატონიშვილისათვის უამბია მართა მესხიევას, რომ თავადი თარხანოვები, რომლებიც მთავრობის უკმაყოფილონი არიან შეთქმულებას ადგენენო. რადგან ბატონიშვილმა იცოდა ჩვენი განზრახულება, ამიტომ ვახტანგ ორბელიანოვმა სადილობამდე ინახულა ბატონიშვილი და გააფრთხილა, რათა მან მართა მესხიევთან არ გაემხილა ეს. ამას შემდეგ მე და ვახტანგი ვიყავით თამარ ბატონიშვილთან და გვინდოდა დაწვრილებით გაგვეგო, მაგრამ ბატონიშვილმა გვითხრა, ჩემთან იყო მართა და მითხრა, რომ თარხანოვები მთავრობის უკმაყოფილო არიანო, თუმცა მსურდა დაწვრილებით გამეგო, მაგრამ გამოკითხვა ვერ გავბედეო.

ამის შემდეგ ვნახე მართა ჩემს დასთან და ვკითხე მას რა გითქვამს შენ თამარ ბატონიშვილისათვის თარხანოვებზე მეთქი. იგი არ გამოტყდა და მიპასუხა ბატონიშვილისათვის არაფერი არ მითქვამსო და მეც გამოკითხვა ვეღარ გავბედე. ერთხელ მივედი თავად დავით თარხანოვთან და მივულოცე მისი შვილის ლაშქრობიდან მშვიდობით დაბრუნება და მეტი მე მასთან აღარ ვყოფილვარ, ამ მონახულების

დროსაც ჩვენი განზრახულების შესახებ მე მისთვის არაფერი არ მითქვამს. მე მგონია, რომ თუ რამე იყო, ეს თავად დავით თარხანოვმა უნდა იცოდეს.

პოდპორუჩიკად ყოფილი თავადი ელიზბარ ერისთავი.

1838 წლის 15 თებერვალი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (VIII, 1449)

გასული 1832 წლის ნოემბერში, რიცხვი არ მახსოვს, ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში ელიზბარი და გიორგი ერისთოვი მეუბნებოდნენ, რომ ისინი ვახტანგთან ერთად იყვნენ თამარ ბატონიშვილთან და მას გამოუცხადეს ჩვენი შეთქმულების განზრახვა და მან აღუთქვა მათ, რომ როცა აქ აღრეულობა დაიწყება მამაკაცის ტანისამოსს გადავიცვამ და ხალხს წარუდგებიო. მათვე მითხრეს, რომ ამ ლაპარაკს დაესწრო ქვრივი ალექსეევი და როდესაც მათ ეს უთხრეს თამარ ბატონიშვილს, მაშინ ალექსეევმა თქვა, რომ მან იცოდა შეთქმულება ჯერ კიდევ 1831 წელს და იმათი სახელებიც, ვინც მონაწილეობას იღებდაო. და რომ მას დავალებული ჰქონდა დაერწმუნებინა სუდა ი რასპრავის ექსპედიციის სოვეტნიკის თავად დიმიტრი თარხანოვის ცოლი, რათა ამ უკანასკნელს დაერწმუნებინა თავისი ქმარი, რომ მას შეთქმულებაში მონაწილეობა მიეღო.

ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გამიგონია, რომ თუ აქ ვერაფერი მომიხერხდა, მაშინ თამარ ბატონიშვილთან ერთად იერუსალიმს წავალთო.

თავადი იასე ფალავანდოვი.

1833 წელი თებერვლის 16.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (VIII, 1451-1452)

კომისიის კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო.

1831 წელს იცოდა თამარ ბატონიშვილმა ჩვენი შეთქმულება, მაგრამ არ მახსოვს კი პირველად როდის გამოუცხადე.ერთხელ დაგვცინოდა მე, ალექსანდრესა და ვახტანგს, რომ თქვენ პატარა კაცე-

ბი ხართ და რის გაკეთება შეგიძლიანთო და ისე მოგვაჩვენა, თითქოს ჩვენი არა სჯეროდა. იმავე წელს მითხრა ალექსანდრე ორბელიანოვმა და თვითონაც მელაპარაკებოდა, რომ მას განზრახული აქვს იერუსალიმში წასვლა სალოცავად და ალექსანდრეს სურდა თან ხლებოდა მას, ერთხელ მეუბნებოდა მონაზნად სურს წასვლაო. 1832 წელსაც იცოდა თამარ ბატონიშვილმა ჩვენი განზრახულება და უთხრა ვახტანგ ორბელიანოვს, რომ მასთან მივიდა მართა მესხიევა და უამბო, რომ მთავრობით უკმაყოფილო თავადები თარხანოვები შეთქმულებას აწყობენ და მმართველად თამარ ბატონიშვილი სურთო და ეს განზრახვა მათ 1831 წლიდან აქვთო.

ვახტანგ ორბელიანოვი ნოემბერში ჩემთან იყო სადილად და სადილის წინ მითხრა ეს ამბავი და მაშინვე ვახტანგმა ინახულა ბატონიშვილი და გააფრთხილა, რათა არ გაუმხილოს მან ჩვენი განზრახულება მართას. ამის შემდეგ მე და ვახტანგ ორბელიანოვი ვიყავით ბატონიშვილთან, რათა დაწვრილებით გაგვეგო, მაგრამ იგივე გვითხრა რაც უწინ. სთქვა, რომ ეშინოდა მართასთვის გამოეკითხა. ეს გარემოება მე ვუამბე ისე ფალავანდიშვილს და ის შემპირდა დაწვრილებით გამოვიკითხავო, მაგრამ ვერც მან გაიგო რამე. დავით თარხანოვის შვილის დაბრუნების შემდეგ მე მივედი იქ, რათა გამეგო დაწვრილებით რამე, მაგრამ ვერაფერი ველაპარაკე, რადგან იქ ხალხი შეიყარა და მივეულოცე რა დაბრუნება, შინ წავედი, და მე მასთან არასოდეს არ მილაპარაკია ჩვენს განზრახულებაზე და არც მისგან რამე გამიგონია, თუმცა კი ვცდილობდი გამეგო რამე. ბოლოს ვფიქრობდი მართა მესხიევისაგან გამეგო რამე. ვნახე იგი ჩემს დასთან და ამ შეხვედრის დროს ვკითხე რა უთხარი თამარ ბატონიშვილს თავად თარხანოვებზე და რას აპირებენ ისინი მეთქი. მან დამალა და მითხრა, რომ მას თარხანოვებზე ბატონიშვილისათვის არა უთქვამს რა მე კი დაწვრილებით ვეღარ გამოვკითხე.

ერთხელ მასწავლებელი დოდაევი მეუბნებოდა, რომ თუ იმის ნდობა შეიძლება თავად დიმიტრი ორბელიანოვს განუცხადებ ჩვენს განზრახულობას, ამასთანავე თუ ის და ლუარსაბ ორბელიანოვი შეერიგდებიანო, მე ვკითხე ლუარსაბს, მაგრამ მან უარი სთქვა, მე მას არ შევურიგდებიო და კიდეც აგვიკრძალა მისთვის გამეცხადებინა, ისე რომ დიმიტრი ორბელიანოვისთვის აღარაფერი არ გვითქვამს.

მამუკა ორბელიანოვს ველაპარაკე ჩვენს განზრახვაზე 1831 წელს მის ეზოში, ზაფხულში. იგი დათანხმდა მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მთხოვა მისი თანადასწრებით არავისთან მელაპარაკა ამ საქმეზე და რომ ის იმ დროს შეგვიერთდება, როცა დაიწყება.

მე შევთავაზე მოელაპარაკნა ალექსანდრე ორბელიანოვთან, მაგ-

რამ ამაზეც უარი სთქვა და ამის შემდეგ მე მასთან აღარ მქონია საუბარი ჩვენს განზრახულობაზე. 1832 წელს იგი ავად იყო და აღარ გვითქვამს.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი

1833 წლის 16 თებერვალი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (VIII, 1453)

თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა პირველმა გამომიცხადა, რომ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება იცის თამარ ბატონიშვილმაო, რაც დაადასტურეს აგრეთვე თავადებმა: ვახტანგ ორბელიანოვმა, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა, საიდანაც მე დავასკვენი, რომ იგი ბატონიშვილი არის შეთქმულთა მეთაური მეთქი. თბილისში რომ ჩამოვედი ერთხელ ვინახულე თამარ ბატონიშვილი, მაგრამ მას ჩემთვის არა უთქვამს რა და მასთან ამ საქმის თაობაზე მე არავითარი საუბარი არა მქონია, ამის შემდეგ მე მასთან აღარ ვყოფილვარ და ყველაფერი, რაც ზემოთ დავწერე, გაგონილი მაქვს თავად ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვთაგან, და ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთაგან.

კაპიტანი თავადი ჩელაყაევი

1833 წლის
თებერვლის 17-ს.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (VIII, 1455-1456)

მაგონდება, რომ ერთხელ მოვიდა ჩვენთან თავადი ვახტანგ ორბელიანოვი და მითხრა, რომ თამარ ბატონიშვილმა უამბო მას. შეთქმულების ამბავი, გაგონილი აზნაურ მართა ალექსიევისაგან, ეს შეთქმულება ყოფილაო შედგენილი 1831 წელს ძმებ თავად დავით და დიმიტრი თარხანოვთაგან. თავადმა ელიზბარმა მოისურვა აუცილებლად დაწვრილებით შეეტყო ესა და მთხოვა წამეყვანა იგი თამარ ბატონიშვილთან. მე, არ ვიცნობდი რა ბატონიშვილს ამ მხრივ, ჯერ უარი ვუთხარი, მაგრამ მერე დაჟინებით მთხოვა და მე და ელიზბარი მივედით ბატონიშვილთან. მე მერიდებოდა ლაპარაკის დაწყება, რადგან მასთან ამ საქმეზე არასოდეს საუბარი არა მქონია. თავადმა

ელიზბარმა ჯერ სხვადასხვა რამეზე დაიწყო ლაპარაკი და ბოლოს გაუმხილა მას ეს განზრახვა, რომ თბილისში ეწყობა შეთქმულება, რათა მოახდინონ გადატრიალება საქართველოში. მან უპასუხა, რომ ეს შეუძლებელი საქმეაო და ურჩევდა ამ ფაქტზე ხელი აეღო. უკანასკნელად მან თქვა, რომ აზნაურმა მართა ალექსეევამ მას უამბო 1831 წელს ძმებ თავად თარხანოვებთაგან შედგენილ შეთქმულებაზე და მათ განზრახვა ჰქონდათ პირველ შემთხვევისთანავე, ე. ი. თვით აჯანყების დროს გამოეყვანათ იგი როგორც სამეფო გვარისა, ხალხის წინაშე, ამ საუბრის დასრულებისთანავე ჩვენ გამოვედით. მეტი არაფერი მახსოვს.

მაგონდება, რომ ბატონიშვილი ასახელებდა შეთქმულების წევრებად აგრეთვე გენერალ თავად ერისთოვსა და ორბელიანოვებს. მუხრანსკებზე თქვა. რომ მათ თვითონ უნდათ ეს. მაგრამ ეშინიათო, აგრეთვე როცა მას ვუამბეთ პირველი ღამის განკარგულება, ვუთხარით, რომ პირველად შენ გამოგიყვანთო. მახსოვს აგრეთვე ამბობდა ისეთი გავლენა მაქვს აქაურ ქალებში, რომ თუ კი მოვინდომებ. ყველა ქალებს ჩემთან ერთად გამოვიყვანო. თამარ ბატონიშვილთან ამ საუბრის შესახებ იცოდნენ თავადმა ფალავანდოვმა, თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა, თავადმა დიმიტრი ერისთოვმა, და თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა, აგრეთვე მგონია თავად ზაქარია ჩოლოყაევმა. გავიგონე აგრეთვე თავად ფალავანდოვისაგან, რომ მას ჰქონია საუბარი თარხანოვთან, არ ვიცი რომელ ძმასთან, ეჭვი ჰქონდა მასზე, რომ იგი ჩვენისავე აზრისაა და ამიტომ გადაწყდა ელაპარაკნა მასთან ამ საქმეზე, მაგრამ არ ვიცი ილაპარაკა თუ არა.

მახსოვს აგრეთვე თ. ელიზბარ ერისთავი ამბობდა, რომ მას ჰქონდა საუბარი საქართველოს შესახებ თავად დავით თარხანოვთან, რომელმაც თურმე მას უთხრა, შენთან ცალკე შეხვედრა მსურსო, რათა ჩემი გრძნობები გაგიმხილოო.

ვთხოვ კომისიას შემეკითხოს ყველაფერზე და თუ კი რამე ვიცი და არ ვაღიარე, დამსაჯოს უსასტიკესად.

ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი
ერისთოვი.

1833 წლის 17 თებერვალი.

პირველად რომ ვიყავი თამარ ბატონიშვილთან, ელიზბარ ერისთავიც იქ იყო: სწორედ მაშინ ვუამბეთ მას გამოვიყვანთ პირველ ღამეს ხალხის წინაშე. რაზედაც მან გვიპასუხა გამოვალო.

ბატონიშვილმა ჯერ თუმცა არ მოიწონა ჩვენი განზრახვა. მაგრამ ელიზბარმა დააჯერა იგი და დაგვეთანხმა.

ამის შემდეგაც დავიარებოდი ხოლმე თამარ ბატონიშვილთან და ერთხელ მე და ვახტანგიც ვიყავით და ამ საგანზე ვილაპარაკეთ.

ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი
თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წელი 17 თებერვალი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (VIII, 1463)

კ ო მ ი ს ი ა ს!

თამარ ბატონიშვილი გამაცნეს 1831 წელს ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანოვმა. ერთხელ საღამოს ვიყავი მასთან, იქვე იყვნენ თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და მისი ძმა ვახტანგი, აგრეთვე ივანე მუხრანსკი. მე, ალექსანდრე და ვახტანგი ღამეც იქ დავრჩით ვახშამზე, მაგრამ ჩვენს განზრახულობაზე არ გვილაპარაკნია. ელიზბარი ხშირად ნახულობდა მას, იგი მას განსაკუთრებულ პატივს სცემდა და ხშირად მისგან იღებდა ხოლმე დიმიტრი და ფარნაოზ ბატონიშვილების წერილებს. ელიზბარი მეუბნებოდა ხოლმე, რომ მან ჩვენი შეთქმულება იცისო. მე და ელიზბარი ერთხელ კიდევ ვიყავით მასთან, მაგრამ იმ ხელად ჩვენს განზრახვაზე არა გვითქვამს რა. ბატონიშვილი მემდურებოდა, რომ მასთან ხშირად არ დავიარები.

ბერ ფილადელფოსისაგან აქტი რომ მოვიტანე, ელიზბარმა გამომართვა იგი, და როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე მას რა უყავი იგი მეთქი, მან მიპასუხა თამარ ბატონიშვილთან არისო. მე მივუგე, რაში ეხალისება მას მისი წაკითხვა მეთქი, მაგრამ ალბათ მას ხოტბას შეასხამს, რადგან კიკნაძის შედგენილია მეთქი. მან მიპასუხა, პირიქით, მე მას წინასიტყვაობა წავუკითხე და ძალიან მოიწონაო. ვახტანგი ხშირად მეუბნებოდა თამარ ბატონიშვილი გემდურის, რომ მასთან არ დაიარებიო. მე ვუპასუხე საყვარელო მეგობარო! უნდა გამოგიტყდე, რომ ბატონიშვილთან მე თავს ვერა ვგრძნობ თავისუფლად, შენ იცი, რომ მე თავისუფლად მოქცევა მიყვარს, მე ძალიან მეშინია მათი, ისინი თვითეულ ჩვენს საქციელს აკვირდებიან მეთქი. ბატონიშვილს ხშირად ვხვდებოდი სხვის ოჯახში, მე მასთან არასოდეს არ მილაპარაკნია ჩვენს განზრახვაზე, მაგრამ ელიზბარი ამბობდა ხოლმე ნეტავი ეგ კი მამაკაცად იყოს დაბადებულიო. ამის შესახებ მე მეტი არავიცირა.

პრაპორჩიკი გიორგი ე რ ი ს თ ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (VIII, 1465)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო.

თამარ ბატონიშვილს თუმცა ვიცნობდი, მაგრამ მასთან არავითარი საუბარი არა მქონია და ჩემი თანდასწრებით მასთან ჩვენს განზრახულობაზე არავის ულაპარაკნია. მაგრამ გავიგონე, მგონია ალექსანდრე ორბელიანოვისას, ვიღაცა ამბობდა: ვითომ თამარ ბატონიშვილმა იცისო და სთქვა, რომ ჩვენი განზრახულების პირველ ღამეს მე პირველი გამოვალ სხვა ქალებთან ერთადო. მის შესახებ გამიგონია აგრეთვე თავად ვახტანგ ორბელიანოვისაგან, რომ იგი დიდი პატრიოტიაო. ჩემთან მის შესახებ სხვა არა თქმულა რა. და არ ვიცი მართლა იცოდა მან ჩვენი განზრახულება თუ არა და ან ვინ გაუმჟღავნა.

მართა ალექსეევაზე გავიგონე, მგონია, ისევ ალექსანდრე ორბელიანოვისას, რომ მას ერთხელ უკითხავს თამარ ბატონიშვილისათვის რა ჩურჩულია ქალაქშიო? მას კი უპასუხნია. არ ვიციო. მის შესახებ მეტი არა გამიგონია რა და არც არა ვიცი რა. აი ჭეშმარიტი აღიარება ყველა იმისა, რაც კი ვიცოდი ზემოაღნიშნულ პირთა შესახებ.

არტილერიის პრაპორჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი.

1833 წელი თებერვლის 13.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (VIII, 1467)

გასული 1832 წლის ნოემბერში, არ მახსოვს რა რიცხვში, შეიყარნენ ერთ საღამოს მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან: ჩოლოყაევი, ალექსანდრე ორბელიანოვი, ელიზბარ და გიორგი ერისთოვები; ალექსანდრე ეუბნებოდა ლუარსაბს, რომ უკვე იცის ჩვენი შეთქმულება დიმიტრი ორბელიანოვმა; ლუარსაბმა უპასუხა, რათ გვინდა დიმიტრი, როდესაც მისი ძმა მამუკა შარშან მონაწილეობას იღებდა, ჩვენთვის ესეც საკმარისიაო, რასაკვირველია ის ეხლაც უარს არ იტყვისო. შემდეგ ამისა, ლუარსაბი მიმართავს ელიზბარს და ეკითხება, მალე მოვა თუ არა ბიძა შენი იაგორ იესეს ძეო, ვერც ის წავა ჩვენი ხელისგანაო.

თავადი იასე ფალავანდიშვილი

1833 წლის 18 თებერვალს.

მაქვს პატივი კომისიას კვლავ შემდგომი განუმარტო:

1. 1832 წელს ერთხელ ჩემთან მოვიდნენ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი და საუბარში ალექსანდრე ორბელიანოვმა ალექსანდრე ბატონიშვილის გამოწვევის შესახებ[1] სთქვა, რომ მან ბატონიშვილს შარ'ბანვე აცნობა, და რომ ეს იციან ბატონიშვილებმა, როგორც მისმა დედამ თეკლამ ისე თამარმაც[2]. ხოლო ელიზბარი ამასვე ადასტურებდა, მე კი არც თამართან და არც მეფის სხვა ასულებთან ამ საქმეზე არც საუბარი და არც რამე ურთიერთობა არა მქონია და არც ვიცი ამათ მართალი სთქვეს თუ არა.

2. 1831 წლისთვის განკარგულების შესახებ, რაც ვიცოდი, უკვე წინა ჩვენებაში განვმარტე, მაგრამ კიდევ მახსოვს, რომ ელიზბარი და ალექსანდრე ვახტანგის ძე ამბობდნენ კარგი იქნებოდა რუსის ჯარის ერთი პოლკი რომ გვეშოვნაო, აგრეთვე ელიზბარი ამბობდა, რათა სახანოებში[3] კაცები გავგზავნოთო, მე კი მეუბნებოდა, რომ განწესების თანახმად, 100 კაცი უნდა გამომეყვანა.

3. მამუკა ორბელიანოვსა და მის ძმა მაიორ დიმიტრისთან ამ საგანზე მე არავითარი ურთიერთობა არა მქონია, მაგრამ ერთხელ, მას შემდეგ რაც ელიზბარ ერისთავმა ეს განზრახვა გამომიცხადა, მე ვიყავი გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძესთან და როდესაც დავუწყე მას საუბარი აქ არეულობის მოხდენას ფიქრობენ მეთქი, როგორც მახსოვს ამ დროს შემოვიდა მამუკა ორბელიანოვი. მაშინ ჭავჭავაძემ არ მოიწონა ეს განზრახვა, ამაზე მამუკა ორბელიანოვმა უთხრა მას: მაშ რა ვქნათ, ძალიან ვართ შეწუხებული და სხვა რა საშუალება დაგვრჩენიაო. მე და მამუკას შორის კი უკმაყოფილება იყო და ეხლაც კი წაჩხუბებულები ვართ. მერე ჭავჭავაძემ ღიმილით სთქვა: ეხლა რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ამ ხმებზე აქ გაჩნდეს, ეს ძალიან ცუდი იქნებაო. მაშინ პოლონეთში არეულობა იყო და აქ მოდიოდა ხმები იქაური სამხედრო მოქმედებათა შესახებ[4]. ამასთანავე, ჭავჭავაძემ სთქვა, რომ ქართველები ამაოდ ფიქრობდნენ ასე ამ შეუძლებელი საქმეზედაო. რუსებმა რომ თვითონ მოისურვონ სა-

---

[1] იგულისხმება ალექსანდრეს ირანიდან გამოწვევა აჯანყებისათვის.

[2] თამარ იულონის ასული.

[3] ლაპარაკია ამიერ-კავკასიაში არსებულ მუსლიმანურ სახანოებზე, რომელთაგან დახმარების იმედიც ჰქონდათ შეთქმულებს.

[4] აქ კვლავ მითითებაა იმაზე, რომ შეთქმულნი თავიანთ მოქმედებას ასე თუ ისე უფარდებდნენ პოლონეთის აჯანყებას.

ქართველს მიტოვება და აქედან წასვლა, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ გავაცილოთ ისინი და ჩვენი დაცვისათვის მადლობაც გადაუხადოთო. იმავე 1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე და ელიზბარი შეუბნებოდნენ, რომ ისინი ამ განზრახვას გამოუცხადებენ აგრეთვე დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვებს. მაგრამ მე არ ვურჩიე და ისინიც დამეთანხმნენ არ ვეტყვითო და არ ვიცი უთხრეს მათ თუ არა.

4. იასე ფალავანდოვთან 1831 წელს არავითარი ურთიერთობა და საუბარი არა მქონია, 1832 წელში კი დაიწყო ჩემთან სიარული, რადგან ნათესავები ვართ და მერე მიამბო როგორც ჩემი გადასახლების[1] შესახებ, ისე აგრეთვე წამიკითხა განკარგულება ელიზბარისა და ალექსანდრე ვახტანგის ძის თანდასწრებით.

5. განზრახულებაში თარხანოვების 1831 წელს მონაწილეობაზე არა ვიცი რა, 1832 წელს მეუბნებოდა არ ვიცი ელიზბარი თუ ალექსანდრე, ან თუ იასე, რომ ეს განზრახულება თარხანოვებსაც უნდა გამოუცხადოთო და როდესაც მე ეს ავუკრძალე. არ მახსოვს მაშინ რომელმა მათგანმა სთქვა, რომ პოდპოლკოვნიკ თავად დავით თარხანოვმა უკვე იცის ეს საქმეო.

6. ქვრივ მართა ალექსეევაზე არაფერი გამიგონია და არც არა ვიცი რა

7. ბატონიშვილის კახეთში გამოწვევაზე 1831 წელს მე თვითონ ველაპარაკე ელიზბარსა და ალექსანდრეს, რადგან ელიზბარი თავის მაბეზრებდა ამ საქმის დაჩქარებაზე და მისი თავიდან მოცილების მიზნით, ტყუილად უთხარ ჭავჭავაძემაც ასე სთქვა მეთქი. მე კი დანამდვილებით ვიცოდი, როგორც ეს ჩემს ჩვენებაშიაც არის განმარტებული, რომ ბატონიშვილს მაშინ აქ მოსვლა არ შეეძლო და ეს ხალხი ბოლოს თავის განზრახვაზე ალბათ ხელს აიღებდნენ[2].

მაიორი თავადი ორბელიანოვი.

---

1 შეთქმულებმა განგებ გაავრცელეს ხმები. რომ მეფის ხელისუფლება ყველა წარჩინებულ ქართველს რუსეთში გადასახლებას უპირებს. ასეთთა შორის დასახელებული იყო აგრეთვე ლ. ორბელიანიც (იხ. მისივე ჩვენება IX, 1513-1515).

2 ლუარსაბ ორბელიანის ეს ჩვენება ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან თვითონვე აღასტურებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოწვევის აზრი მას მიუცია შეთქმულთათვის და. რაც მთავარია, ეს აზრი მას წინასწარ შეთანხმებული ჰქონია ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. მით უფრო მნიშვნელოვანია ეს ცნობა, რომ ლ. ორბელიანს ამ ჩვენების დასაწყისში პირველ პუნქტში განუზრახავს ისე მოაჩვენოს, თითქოს მან ალ. ბატონიშვილის გამოწვევის ამბავი მხოლოდ 1832 წელს ეაიგო და 1831 წელს კი ამაზე არა იცოდა რა. მაგრამ იგი იძულებული ყოფილა ბოლოს გამოტეხილიყო და სინამდვილე ელიარებინა.

მაგონდება აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი ამბობდნენ, რომ ბატონ ზაველეისკის საქართველოსათვის კეთილი სწადიან და ხალხს განგებ ავიწროვებს, რითაც საქართველოში აჯანყება სურს გამოიწვიოსო. ამას გარდა, გაგონილი მაქვს აგრეთვე იმითგან, რომ იგი დიდი მეგობარია ალექსანდრე ჭავჭავაძესი და ოქროპირ ბატონიშვილისაო, რომელთანაც ჩემი მოსკოვში გამოვლის დროს იყო ბატონი ზაველეისკი და აგრეთვე ვნახე ერთხელ მასთან მისული ოქროპირ ბატონიშვილი, რომელიც ზაველეისკის სახლში არ დახვედრის გამო, უკანვე გაბრუნდა.

მოსკოვში გამოვლისას მე ტრაქტირში გავჩერდი; ბატონ ზაველეისკის, რომელიც ამავე ტრაქტირში ცხოვრობდა, გაეგო ჩემი კაცების საშუალებით, რომ მე საქართველოში მოვემგზავრებოდი და მთხოვა წამომეღო ამანათი პოლკოვნიკ ბირიულოვთან. აქ, მახსოვს, იგი ამ სიტყვებით მელაპარაკებოდა, რომ ჭავჭავაძეს არ შეუძლიან საჭირო ნაცნობობის დამყარება არავისთან, ქართველ თავადიშვილთა და აზნაურთაგან. ისინი ფიქრობენ, რომ რაკი ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსის სამსახურშია, მას არ უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ მე ვიცი, რომ მას იგი ძალიან უყვარს და მისთვის სიკეთეც სურსო. ეხლა ვეკვეობ, რომ მას ალექსანდრე ჭავჭავაძესთან რაღაც ურთიერთობა ჰქონდა. აგრეთვე მახსოვს, რომ ზაველეისკი აქებდა თავის თავს იმით, რომ მან წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება თბილისში კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დაარსებისშესახებ, რითაც ცხადყო თავისი ქართველებისადმი სიყვარული.

მე ვიცოდი, რომ თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი, თავადი ზაქარია ჩოლოყაევი და თავადი ელიზბარ ერისთოვი ელაპარაკებოდნენ მის ოჯახში მხოლოდ დროს გასატარებლად და არასოდეს არ მიიძებნია შემთხვევა მასთან საუბრის, რადგანაც მას ნათქვამი ჰქონდა თავად ორბელიანისათვის, რომ მასთან ლაპარაკი შეუძლიან მხოლოდ თავად ზაქარია ჩოლოყაევსა და ელიზბარ ერისთავს, სხვა არავისთან ლაპარაკი არ ჰსურდა და მე მასთან ცალკე არც დავრჩენილვარ. მაშინაც კი როცა მე და თავად ელიზბარს დავა გვქონდა მასთან კავკასიის კორპუსის ძალებზე, რაც მას საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა, ოთახი სხვა ხალხით იყო სავსე. მახსოვს, რომ ვახშმად რომ ვსხდებოდით თავადმა ჭავჭავაძემ თქვა: სვით და ჭამეთ დღეს, ხვალ კი ვინ იქნება ცოცხალი არავინ იცისო. მე კი ვთქვი თავადს წამოსცდა მეთქი (Я же сказал, что князь проговорился), მეტი საუბარი მე მასთან ამ საქმეზე სრულებით აღარ მქონია.

მახსოვს ერთხელ თ. ლუარსაბისას ყოფნის დროს თავადი ელიზბარი ეუბნებოდა ქართული პოლკის მაიორ ყორღანოვს, რომ საქართველო საშინელ მდგომარეობაშიაო, დღეს თუ ხვალ მემამულეები შიმშილით დაიხოცებიანო.

ყორღანოვმა უპასუხა, მაშ რა შეუძლიანთ ქნანო. თავადმა ელიზბარმა უთხრა, აქ უკვე უკანასკნელი საშუალების ხმარებ[1]ის საჭიროო, ე. ი. როცა ადამიანი უიმედო ავადმყოფია, მას აძლევენ უკანასკნელ წამალს, რათა ან მოკვდეს ან დარჩესო. მეც მოგცემთ ამნაირ წამალს და ის უნდა მიიღოთო. მან უპასუხა, ვნახოთ რა წამალი გაქვთო. ამის მეტი ჩემს იქ ყოფნაში თავად ელიზბარს არა უთქვამს რა და აღარც ის ვიცი, ელაპარაკა მას ამის შემდეგ კვლავ რამე ამ საგანზე თუ არა.

მე მგონია, ჩემს წინანდელსა და ახლანდელ ჩვენებებში ყველაფერი გამოვაცხადე, მაგრამ თუ დამავიწყდა რამე, ვთხოვ კომისიას კვლავ შემეკითხოს ყველაფერზე და თუ ვიცი რაიმე და არ ვაღიარებ დამსაჯოს უსასტიკესად.

ლეიბ გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი ე რ ი ს თ ა ვ ი.

1833 წ. თებერვლის 20-ს.

მაგონდება, თუმცა მგონია წინა ჩვენებაშიც იყო განმარტებული, რომ ერთხელ თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან ყოფნის დროს თავადმა ელიზბარმა და მანანა ორბელიანოვისამ დაიწყეს ამ საგანზე ლაპარაკი. დაასრულეს რა ძლიერ მოკლე საუბარი, მე ვკითხე თავად ელიზბარს რას ამბობდა იგი მეთქი, რადგან მე არ ვიცოდი, რომ მარ[1]შეთქმულება იცოდა. მან მიპასუხა ის მე გადმოვიბირეო. შემდეგ მახსოვს კიდევ თავად ლუარსაბ ორბელიანისას ვლაპარაკობდით ამ საგანზე მე, თავადი ელიზბარი, მანანა და ქალბატონი მელნიკოვისა. და ბოლოს, თვით მელნიკოვის ბინაზე კარტის თამაშის დროს თავადი ელიზბარი, თავადი დიმიტრი ერისთოვი, მანანა და აგრეთვე ქალბატონი მელნიკოვისა და მე ვლაპარაკობდით ამ საგანზე, მაგრამ არ მახსოვს სახელდობრ რა ვთქვით. ეს კი ვიცი რომ მანანაც და ქალბატონი მელნიკოვისაც გამოსთქვამდნენ სურვილს, მაგრამ ჩვენ კი გვეუბნებოდნენ, რომ ეს შეუძლებელიაო და ისე იზამთ, რომ მთელ საქართველოს დაღუპავთო. სრულებით არ მახსოვს რა ილაპარაკეს და რა სიტყვებით.

ლეიბ გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტი თავადი ე რ ი ს თ ა ვ ი.

ებერვლის 12-ს 1833 წ.

---

1 ელიზბარ ერისთავის და, გათხოვილი თბილისის პოლიცმეისტერზე ანდრია მელნიკოვზე, რომელიც შეთქმულების მონაწილე იყო.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (IX, 1515)

1832 წელს ჩემმა რძალმა ჩემი ალალი ძმის ყოფილ პოდპორუჩიკის დავითის ქვრივმა, მანანამ იცოდა განზრახულება საქართველოს განთავისუფლების შესახებ, და მგონია, რომ მას ელიზბარ ერისთოვმა უთხრა, ისინი მეუბნებოდნენ, რომ ჩვენი გადასახლება[1] უნდათ და იგი ისე სწუხდა, რომ შიშისაგან ორორი სამსამი დღით ხან ჩემს დისწულ მელნიკოვის ცოლთან იხიზნებოდა ხოლმე, ხან კი ჭავჭავაძესთან. ხოლო როცა ისინი[2] შემეკითხნენ რას ფიქრობ შენ ამაზეო, მე ვუპასუხე რომ ქალის საქმე არ არის ასეთი საქმეების ცოდნა მეთქი. ელიზბარს კი ხშირად ქონია მასთან საუბარი, მაგრამ არ მახსოვს რაზე ლაპარაკობდა.

ეს განზრახულება მე მგონია იცოდა აგრეთვე კოლეჟსკი სოვეტნიკის მელნიკოვის ცოლმა მელანიამ; ელიზბარი, რომელიც უფრო უცხო პირთ ითრევდა ამ საქმეში, რასაკვირველია, რომ თავის დის და სიძეს ისე არ დასტოვებდა, რომ არ ეცნობებინა.

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

1833 წლის 22 თებერვალი.

მანანა ორბელიანის წერილი როზენისადმი (IX, 1516-1517)

თქვენო მაღალმატებულებავ
ბარონ გრიგორი ვლადიმეროვიჩ

მე ვარ ყმაწვილი ქვრივი დედაკაცი, და წვრილი ობლების პატრონი, რძალი ნამსახური და ერთგულის სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგან, მაშ რა მიზანი მექნებოდა რომ გამებედნა და შევსულიყავ მთავრობის წინააღმდეგ საქმის მოქმედებაში. მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი ჰაზრი ჩემის ნათესავებისაგან შეტყობილი მქონდა და ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა შიშითა და სირცხვილითა და ნათესაობის ჰიზეზით ვერ გავბედე რომ პირველადვე მოენე შევქმნილიყავი. ახლა რადგანაც თითონ იმათაც უღიარებიათ ამისათვის მე ამას ვბედავ ჩემის ერთგულებითა და რწფელის სვინდისით და დაუფარავ

[1] შეთქმულებმა განგებ გავრცელეს ხმა რუსეთის მთავრობა წარჩინებულ ქართველ თავადიშვილებს რუსეთში გადასახლებას უპირებსო.

[2] ე. ი. შეთქმულნი.

მინდობით თქვენის მაღალღმატებულობისა ვითარცა მამა მზრუნველი უბედურთა აღვიარებ რაც გამიგონია და მათ ეთქვათ ჩემთვისა, ერთ ღამეს ვიყავ მე მელნიკოვის სახლში, იქ მითხრა გიორგიმ ერისთავმა გუსარმა: რომ ერთი საიდუმლო საქმე მაქვს შენთან სათქმელი, მე ვკითხე რა საიდუმლო საქმე აქვს ჩემთან, მაშინ მითხრა ჩუმათ მე ამ მიზეზით მოვსულვარ რომ ჩვენი მამული საქართველო რუსების ხელიდამ დავიხსნათ და მე გაოცდი და უთხარი ეს რა უგუნურს მეუბნები, მითხრა შენ დაჩუმდი ჩვენ საქმე კარგად დაგვიწყია და როდესაც მოვინდომებთ ჯარიც გვეყოლება. ამ დროს შემოვიდა ელიზბარ ერისთავი და ისიც დაემოწმა იმის აზრზედ, მაგრამ ადრევე მანამ მე მეტყოდნენ ხშირად ამბობდა ელიზბარი რომ არ დააგდებენ თავადიშვილებს საქართველოსას, რომ არ გადაასახლონ რუსეთში და ესეც ვნახე ორჯერ ელიზბარი ლუარსაბს ეჩურჩურებოდა და სჩანდა ლაპარაკზედ რომ ამისი ლაპარაკის თანახმა არ იყო და მას უკან ზაქარია ჩოლოყაშვილი მოიყვანა გიორგი გუსარმა და გაგვაცნო, მაშინ კი მეგობრულად ეჩურჩულებოდა ზაქარია ლუარსაბს არ ვიცი რას ლაპარაკობდნენ, არ ვიცი თანახმა შეიქმნა თუ არა. ერთხელ ელიზბარი ლუარსაბს ჩუმათ ელაპარაკებოდა და მას უკან მე ვკითხე რას გელაპარაკება, რა ვიცი რაღაცას ბიქარამს, შენ ხომ არ გითხრა მეც უთხარი მითხრა მეთქი გიორგი ერისთავმა გუსარმა მითხრა ეხლა რომ ამ საქმეების პირველოვანვე დამწყები და ჩვენი თავი არისო ოქროპირ ბატონიშვილი და იმისათვის შეირთო მდიდარი ცოლი[2] რომ იმისი ქონებით შემწეობა მოგვცეს და ფრანციაშიც წავიდეს და იქიდანაც მოვიდეს. ბატონიშვილი დიმიტრიც არის ჩვენი ამ საქმეში ამხანაგი. ბიძინაც[3] გაგვიგზავნია მუხრან ბატონებთან სათქმელად და ზაქარია ჩოლოყაშვილიც გაგზავნილია დიმიტრის და მამუკასთან, ამ აზრის შესატყობინებლად ბატონიშვილი თეკლეს შვილებიც ჩვენი თანახმანი არიანო და შემწეობასაც გვაძლევენო.

კნეინა მანანა ორბელიანისა

1833 წელსა
თებერვლის 25-ს.

გიორგი ერისთავმა გუსარმა ეს ამბავი მე მითხრა მელნიკოვის

---

[1] გიორგი რევაზის ძე ერისთავი.
[2] ოქროპირს ცოლად ჰყავდა მდიდარი გრაფის ქალი.
[3] ბიძინა ერისთავი.

სახლში შემოდგომის უკანასკნელ ხანში, რამოდენიმე კვირის წინათ, რომ ისინი დაიჭირეს[1].

ლუარსაბ თარხნიშვილის პასუხები (IX, 1518-1519)

პასუხი კომისიას!

ა. სახელად მქვიან ლუარსაბ ზახარიჩი. ჩინი არა მაქვს.

ბ. წლისა ვარ ორმოცდა ჩვიდმეტისა.

გ. ცოლი მყავს ნაქორწილევი თავადის დავით ტუსიევის ქალი სახელაო ანა. შვილი მყავს ორი ვაჟი და ერთი ქალი ყმაწვილნი სრულად თხუთმეტი სული წვრილფეხა მოსამსახურით.

დ. ყმა მეყოლება დიდი და პატარა სამოც კომლამდე, ხუთთა ძმათა საწილო. მამულის რიცხვი არ ძალმიძს ცხობა დღიურად რაოდენი იქნება. ჩვენი მამულის მიწის ღალა შემოგვივა ხუთთა ძმათ საწილო პური, ქერი, ფეტვი და ლობიო ექვსას კოდამდე ხან მეტი და ხან ნაკლები. ჩვენს საკუთარ ნახნავს გარდა. ვენახებიდან ღვინის კულუხი შემოგვივა ორმოც კოკამდე. ესეც ხან მომატებული ხან ნაკლები არის, ეს მამული გორის უეზდშია.

ე. მე აღზრდილი ვარ ჩემს მშობელთან დედმამასთან და არა სხვაგან.

ვ. სამსახურში ვყოფილვარ კაზნაჩეით ჩყე (1805) წელსა გორის ქალაქში. პაჩოდში არასდროს ვყოფილვარ და მილიციით მიმსახურნია გორის უეზდში გრანიცებზე. სამი წელიწადი ჩყია (1811)-ში. ჩყი (1812)-ში და ჩყკვ (1813)-ში. დაჭრით არ დავჭრილვარ და არც წყლული მქონია. ჩყლა (1831) წელსა აგვისტოს პირველში მთავრობის ბრძანებით წავედით ცხენოსანის მილიციითა და მივედით პირდაპირ ლეკებზე და ტფილისიდამ დაგვაბრუნა მთავრობამ რადგან აღარ იყო საჭირო.

ზ. არა ვყოფილვარ არც მოსკოვს, არც სხვა ქვეყანაში საქართველოს გარეთ.

Θ. მაქვს ქრისტიანული სიარული ეკლესიაში მარადის მაქვს აღსარება და წმინდის საიდუმლოს მიღება ყოველ წელს.

თ. ჩყიე (1815) წელსა ივლისის კბ 22 დღესა ვიყავ სამართალსა ქვეშ იმ მიზეზით, რომელიც შემთხვევია შფოთი მამულის ცილობისა მიზეზით. ურთიერთისა დაჭრილობითი შორეულმა სახლის

---

[1] როგორც შეთქმულთა ჩვენებიდან ვიცით, მანანა ორბელიანი დიდი ხანია შეთქმულების მონაწილე იყო.

კაცმა ჩემმა და გამამართლა სასამართლომან ყოვლისა ადგილი-
სა და მართებულობამა. არ გარდამჩდომია შტრაფი ამისი თვინიერ
მონასტერსა შინა ლოცვა ქვაბთა ხევს ეკლესიაში ერთ წელიწადს.

ი. შეტყობით არავისგან არ შემიტყვია და არც მცოდნია იგი
განზრახვა მათი მანამ ზაქარია ციციანოვმა არ წამიყვანა იძულებით
სადილად თეკლეს შვილის ალექსანდრეს ბაღში. მაშინ სადილის შე
მდგომად იმავე ბაღში ალექსანდრემ თქვა თეკლეს შვილმა ამ სიტყ-
ვებით თუ საქართველოს ხალხი დაუჯერებდეს შეიძლებს იგი სა-
ქართველოდან რუსების გაყვანასა და უმეტეს საქართველოსგან
სხვას შემწეობას მოიცემს იგი თავისი ბიძის ალექსანდრეს იმე-
დოვნებითა ეს სთქვა თავისი პირითა და ელიზბარმა სთქვა შეიძ-
ლებს ის რომ სადაც ხაზინა წამლისა დასწვას მან.

იქ იყვნენ ეს გვამნი.

ა. ალექსანდრე თეკლეს შვილი

ბ. ელიზბარ ერისთოვი

გ. ალექსანდრე გიორგის შვილი ორბელიანი

დ. ვგონებ გიორგი დავითის შვილიც იქ იყო ერისთოვი

ე. მამაცოვი იოსებ

ვ. და ზაქარია ციციანოვი და ორნი ყმაწვილნი კაცნი რუსულად
ჩაცმულნი იმათ ვერ ვიცნობ.

ეს იყო ან ჩყლბ (1832)-ში ან ჩყლა (1831)-ში სწორედ არ მახ-
სოვს ივნისის პირველსა.

ია. არავითარ მიზეზსა არ გაუღვიძებივარ შეთქმაში საწინააღ-
დეგოდ მართებლობისა, მხოლოდ მიზეზ მექმნა ციციანოვის მიყვანით
სადილზე და არა იმ განზრახვითა, რაც მე იქ გავიგონე. იბ მე არა-
ვითარი ღონისძიება და არც შემწეობა თვალწინმდებია, რომლითაც
შემძლებოდა მათის ბოროტგანზრახულებისა და შეთქმულებისა და-
გვირგვინება და იმათი თქმული და განზრახვა შევიტყე
იმავე ბაღში როგორც ზემოთ მეათეს პუნქტში მომიხსენებია.

იგ. ბატონიშვილებთან ან არავისთან მქონია მახლობლობა თვი-
სიერ იულონ ბატონიშვილისა ვახლდი მე მცირე წლოვანი მეფის
ირაკლის დროსა. და მოვშორდი მასვე ცხრამეტის წლისა და მეს
აქეთ ვცხოვრობ ჩვენს მამულსა შინა.

იდ. ღენერალ მაიორ თავადს ჭავჭავაძესთან არა მაქვს ცნობა
მახლობლობითი. მხოლოდ ვიცი ეს რომ გარსევანის შვილი არის
იგი შემიძლიან ფიცითა აღვასრულო ოცი წელიწადი ვგონებ იყოს
შეტიცა რომ თვალით არ მენახოს არას ადგილასა არ შემხვედრია
სრულიად სალაპარაკოდ და რომ არ მინახამს რას გავიგონებდი მის-
გან და იმ შეთქმულების საქმეზე იმავ თეკლეს შვილმა ალექსანდ-

რემ სოქვა იმავე ბაღში, რომ ჭავჭავაძე ალექსანდრესაც ვითანხმებ ამ საქმეშიო.

იე. გუბერნატორად ყოფილს ზავილეიკის სრულიად ცნობა არ მაქვს და ვერც ის მიცნობს და იმაზედ არა გამიგონია არავისგან იმ შეთქმულებისა

ივ. გულის სიწრფელით აღვიარებ რომ მე ჩემ კერძოდ არავინ აღმერაცხოს მთავრად ანუ უფროსად გვარად მბოლოდ ის გავიგონე თეკლეს შვილიდან ალექსანდრესაგან და ელიზბარისაგან რიგორც ზემოთ პუნქტში მომიხსენებია და იქ მყოფნიც ყველანი ლაპარაკობდნენ თანხმობით მათთანა და ვინ რა სთქვა თვითეულმა საკუთრად აღარ მახსოვს იმ ბაღში ლაპარაკის მეტად არსად ვყოფილვარ მე მათთან არც წინათა და არც მას უკანა თავადი

ლუარსაბ თარხან მ ო უ რ ა ვ ი.

ჩყლგ (1833) წელსა თებერვლის იზ (17) დღეს.

მამუკა ორბელიანის განმარტება (IX, 1525-1526)

მის აღმატებულებას ბატონ გენერალ-მაიორს და კავალერს ჩევკინს[1]

ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუტჩიკ თავად მამუკა ჯამბაკურიან-ორბელიანოვის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

გენერალ-მაიორ ჭავჭავაძისა, მაიორ ლუარსაბისა, პოდპორუჩიკების ალექსანდრე ვახტანგის ძისა და ალექსანდრე გიორგის ძის ორბელიანოვებისა, პრაპორჩიკების ელიზბარ და გიორგი ერისთოვების მიერ ჩემს უსამართლოდ ბრალდებაზე, რომ ვითომცა მე მათ ბრბოს მონაწილე ვიყავი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში 1831 წელს და მერე კი ჩამოვშორდი, როგორც ეს კეთილინება თქვენმა აღმატებულებამ ჩემთვის სიტყვიერად ეცნობებინა, — პატივი მაქვს განვმარტო, — აღნიშნული პირნი ჩემზე უჩვენებენ სრულიად უსამართლოდ. რადგან არასოდეს არც მქონია და არც მაქვს ბორო-

[1] ჩევკინი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე იყო.

ტი გარზრახვარი, არასოდეს არ ვყოფილვარ მონაწილე და არც მასლობელი კავშირი რამე მქონია მათთან, პირიქით მუდამ ვიყავი ღა ვარ ერთგულად თავდადებული მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე ხელმწიფისა და მუდამ მზად ვიყავი სამსახურისათვის. რომ არ ვილაპარაკო ამ ჩემს წინანდელ დამსახურებაზე ჩემს მადლიერ უფროსთა უუბრწყინვალესი თავადის ვარშავსკის ერმოლოვის, გენერალ ლეიტენანტ ბერკენდორფ მეორის, ველიმონოვ 2-ისა და დავიდოვის ხელქვეით სამსახურის დროს; გასულ 1832 წელს თბილისის მაზრაში მილიციის მოკრების დროს ვმონაწილეობდი ამ საქმეში ჩემი შეძლების დაგვარად ერთგულობით და მალე ამის შემდეგ ბატონ სამოქალაქო გუბერნატორის განკარგულებით გავიგზავნე ბორჩალოს დისტანციაში მილიციელთა ოთხას, ან თუ შესაძლებელი იქნებოდა, უფრო მეტი, რჩეული კარგცხენოსანი მხედრების შესაკრეფად, რომლებიც უნდა გაგზავნილიყვნენ ჭარის ოლქში აჯანყებულ ლეკთა წინააღმდეგ. მივიღე რა დიდის სიხარულით ეს ჩემთვის სასიქადულო დავალება, თუმცა მაშინაც სამართლის ქვეშ ვიყავი იმავ ცილისმწამებელთა წყალობით 1829 წელს თბილისის მაზრაში მილიციის შეკრეფის გამო ავლაბარში მომხდარ აჯბავთან დაკავშირებით.[1] მაგრამ სასწრაფოდ გავემგზავრე მთებში და ოთხი დღის განმავლობაში შევკრიფე ორი ათასამდე არჩეული მხედარი და მათთან ერთად წარვუდექ თბილისში ბატონ სამოქალაქო გუბერნატორს თავად ფალავანდოვს, რომელი დამსახურების გამოც არა მარტო მე მივიღე უზენაესი მადლობა, არამედ აგრეთვე მთელმა საქართველოს თავად-აზნაურთა წოდებამ, ზემოთ განმარტებულიდან თქვენი აღმატებულება კეთილ ინებებს დარწმუნდეს, რომ თუ კი მე მქონოდა უგუნური აზრები და ვყოფილიყავ მათი ამხანაგი, მაშინ რიღასთვის ვივალებდი ასე გულწრფელად მთავრობის დავალებას და შევასრულებდი მას ზუსტად.

ზემოხსენებულ ცილისმწამებელთა ჩვენება არის მხოლოდ ვამოგონილი, რომ უსამართლო იმ მტრობისა და ჯავრის გამო, რომელიც ძველთაგანვე აღმოცენებულა ჩემს ოჯახსა და მათს შორის სხვადასხვა მიზეზთა გამო, რაც მთელმა საქართველომ იცის და ზოგიერთი რამ თქვენს აღმატებულებასაც მოეხსენება და როგორც

---

[1] 1829 წელს მილიციის შეკრებას ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია. სხვათა შორის, ზოგიერთი შეთქმული იღებდა მონაწილეობას ამ წინააღმდეგობის გაწევაში. ეს ამბავი რუსის ხელისუფლებასთან შეტაკებამდე მივიდა ავლაბარში. შეთქმულები ხალხს განგებ აქეზებდნენ წინააღმდეგობისათვის.

სჩანს მთავრობისადმი ჩემი ერთგულება უნდა იყოს მიზეზი, რადგან ისინი მუდამ რამეს გამომიგონებდნენ ხოლმე.

ჩემს გასამართლებლად ისიც კმარა, რომ თუ მთავრობის მიერ გაბედნიერებული და დიდად დასაჩუქრებული ყოვლადმოწყალე ხელმწიფის მიერ ზემოხსენებულ პირთა გაბედეს მთავრობის წინააღმდეგ ასეთი ბოროტება, ჩემზე იმიტომ აჩვენებენ, რომ რაკი თვითონ გასვრილნი არიან, მეც გამაჭუჭყიანონ თავისი უსინდისო და უკადრებელი ცილისწამებით. სრულებით არ იყო ჩემთვის საჭირო დავკავშირებოდი მათ და გავმხდარიყავ მათი ამხანაგი, მაშინ როდესაც ღვთისა და ხელმწიფე იმპერატორის წყალობით მაქვს საკუთარი ქონება ჩემი ოჯახის შესანახად და მახსოვდა რა როგორ მოსიალერსა პირადად ხელმწიფე იმპერატორმა ვარნასთან[1], რომლის მოწმეც თქვენ ბრძანდებოდით, რა მიზნითღა უნდა გავმხდარიყავი მათი ამხანაგი.

ამასთან არ შემიძლიან არ მოვახსენო თქვენს აღმატებულებას რაც მე ვიცი: რომ როგორც ისინი ვინც ჩემზე ტკბილად ცილის მწამებლად აჩვენებს, ისე საერთოდ მთლიანი ქართველი თავადაზნაურობა უჩიოდა აქაურ სამთავრობო დაწესებულებებს, რომ ვლეხობისა და მიწულებს გვართმევენო, რაზედაც მე ვეუბნებოდი ყველაფერი ეს თანდათანობით მთავრობისათვის ეცნობებინათ, ჯერ სამოქალაქო გუბერნატორისათვის, შემდეგ მთავარმართველობისათვის და ასე შემდეგ. ამის მეტი მე იმათზე არა გამივონია რა და არასოდეს მათი ამხანაგი არ ვყოფილვარ. წარმოვადგენ რა ყველაფერს ამას თქვენი აღმატებულობის სამართლიანობის კეთილგანსახილველად, იმედი მაქვს რომ დაიცავთ ჩემს უბრალოებას უსამართლო ჩვენებათაგან.

გვარდიის პორუტჩიკი თავადი მამუკა
ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

22 თებერვალი 1833 წელი.

ცნობა ოდიეს შესახებ (IX, 1537-1538)

ფრანგ ოდიეს დაკითხვისა და მისი ქაღალდების განხილვის შედეგად აღმოჩნდა შემდგომი:

დაბადებითგან იგი თითქმის 60 წლისაა, ჩამომავლობით მარსე-

[1] ვარნასთან ბრძოლის მონაწილე იყო.

ლის მიდამოებიდან არის; წერა-კითხვა საშუალოდ ძლივს იცის, ყოფილა საფრანგეთის სამსახურში დრაგუნთა 15 პოლკში სულ რაღაც 9 წელიწადი 1798 წლამდე, საიდანაც გაიქცა პოლკის ეგვიპტეში გაგზავნის წინ. ამაზე უწინ ყოფილა ლაშქრობაში ესპანეთსა და იტალიაში და ყოფილა, როგორც ირწმუნება ორდინატად (თუმცა ჯბრალო დრაგუნად) რამოდენიმე თვე თვითეულთან: ჯერ ნაპოლეონთან და მერე მასსენთან. 1798 წლიდან ყოფილა იტალიისა და საფრანგეთის სხვა და სხვა ადგილებში ხან მეტრაკტირედ, ხან პოლკის მომმარაგებლად, ხან კი კერძო პირებთან მზარეულად. 1817 წელს თავისი ღატაკი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იგი მოდის ოდესაში; ცხოვრობდა იქ წელიწადნახევარი თვითეულთან პონხეტთან და უფროს ფორტონთან, სამი წლის განმავლობაში კი იყო ოდესიდან 100 ვერსტით დაშორებულ ბატონ კორიაკოვის მაუდის ქარხანაში არსებულ იტალიელთა ახალშენის ხელმძღვანელად; 1824 წელს აგრეთვე მდგომარეობის გაუმჯობესების განზრახვით ის მოდის თბილისში თავის ამხანაგთან ერთად რომელიც აწ გარდაცვლილია და მოაწყო პურის საცხობი (ფურნე); 1827 წელს მან ხელი მიჰყო აგრეთვე ტრაქტირის ხელმძღვანელობას, 1829 წელს ჩვენს მხედრობასთან ერთად გაემგზავრა ერზერუმში მარკიტანტად და დაბრუნდა იქიდან მხედრობასთან ერთადვე 1830 წელს. განიცადა რა დიდი ფულადი ზარალი, ამის შემდეგ მალე ციხეში ჩასვეს ვიღაც ბატონ მილოტთან ჩხუბისათვის, სადაც დაჰყო 1831 წლის ნახევრამდე; ციხიდან გამოსვლის შემდეგ ეძებდა თავის სარჩენ ადგილს, რაც ცოტა ხნის წინათ იშოვა სომეხ მასწავლებლებთან. რომელთაც იგი ბავშვების ზედამხედველად აიყვანეს. კავშირი და ლვით ახლო ნაცნობობაც კი ქართველთა შორის მას არა აქვს, იასე ფალავანდოვთან კი იყო ერთხელ, როგორც ეს უკანასკნელიც უჩვენებს იმ რამოდენიმე ჩერვონეცის გამოსართმევად, რომელიც მაემართა, როცა ოდიეს ტრაქტირი ჰქონდა აღებული. გაიცნო მან ფალავანდოვი ციხეში, სადაც განსაკუთრებით დაუმეგობრდა ლეონ გვარდიის გრენადერთა პოლკის ყოფილ პორუტჩიკ პანოვს. რომელიც ამჟამად ცხოვრობს თავის სოფელში სარატოვის გუბერნიაში და რომლისაგანაც მოსდის წერილები — ესენი მეც წავიკითხე — პანოვი იწვევს მას თავისთან და აღუთქვამს გზის ფულს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რათ უწოდებდა ერზერუმში იგი თავის თავს ყოფილ პოლკოვნიკს, მან მიპასუხა, რომ ასეთი შეუსაბამო წოდება მას არასოდეს არ მიუღია, რაც სრულიად შეუთავსებელი იქნებოდა ძის

უბრალოებასთან და ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარობასთან.[1] ხოლო შეიძლება მისმა ნაამბობმა, რომ ორდინატად იყო ნაპოლეონთან წარმოშვა გადაჭარბებული მითქმა-მოთქმა. ფრანგებთან ურთიერთობა ოდიეს აქვს მხოლოდ ფულადი საქმეების გამო, და თვით ლეტელიესთან მხოლოდ ერთხელ იყო საუზმეზე, როდესაც მას ფული ასესხა. რაც შეეხება ქართველებს კი, იგი თითქმის არავის მათგანს არა ხვდება და ძნელიც იქნებოდა მისთვის მათთან ურთიერთობა, რადგან იშვიათად თუ ვინმე ლაპარაკობს ფრანგულად, ხოლო თვითონ ამან კი სულ ცოტა იცის რუსული და სრულებით არ იცის ქართული.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

23 თებერვალი
ქ. თბილისი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1555-1556)

მოსკოვში რომ ვიყავი ვინახულე ოქროპირ პატონიშვილი რამოდენიმეჯერ. ჩვენი საუბარი მუდამ მოკლე იყო, მაგრამ იგი ცდილობდა ხოლმე საქართველოზე ჩამოეგდო სიტყვა და სიტყვა მისი ყოველთვის ეხებოდა საქართველოს განთავისუფლებას. სხვა საუბართა შორის მახსოვს იგი მეუბნებოდა ხოლმე: არ უნდა დაივიწყოთ საკუოარი ადათ-ჩვეულებანი და არ უნდა შეითვისო უცხო, რადგან თუ ადათებით განსხვავებული იქნებით, მაშინ ვერც აზრებით გაერთიანდებით რუსებთანო. ეცადეთ მუდამ ყველაფერში მათი წინააღმდეგი იყოთო. ეს ხელს შეგიწყობთ იმაში, რომ თქვენ — ქართველები ვერასოდეს ვერ შეურიგდებით რუსებს აზრებით და ვერც იცხოვრებთ მათთან მშვიდობიანადო. მახსოვს აგრეთვე მე მქოხდა საუბარი იმა-

[1] აქ მოხსენებული გარემოება მკითხველს შეცდომაში ნუ შეიყვანს იმ მხრივ, რომ ასეთ უბრალო ვინმეს როგორ შეეძლო ჰქონოდა რამე აზრები რევოლუციის შესახებ, რომლის მოხდენასაც იგი ქართველებს ურჩევდა, — ჯერ ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია აქ ნათქვამი. და თუნდა ეს ასეც იყოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. რადგან თვით რუსეთის მაშინდელ არმიაში ბლომად იყვნენ ისეთი ოფიცრები, როგორიც ოდიე იყო. გარდა ამისა, ჩვენ არც წარმოგვიდგენია, რომ ოდიეს შეეძლო დამოუკიდებლად მოქმედება, ჩვენ იგი მიგვაჩნია ერთ-ერთ იქ აკენტად, რომელთა მსგავსი ალბათ მოეპოვებოდა თბილისში საფრანგეთის საკონსულო მდივანს ლეტელიეს. რომლის მონაწილეობაც შეთქმულებაში დადასტურებულია. და რომელთანაც ზემო მოყვანილი ცნობის თანახმადაც, ოდიე ეითომდა მხოლოდ ერთხელ ყოფილა სტუმრად.

ზე, რომ საქართველოს მეტად მაგარი საზღვრები აქვსო და ამ დროს პატონიშვილი ამბობდა: ვლადიკავკაზის ხეობა ისე შეიძლება ჩაიხერგოს, რომ იქ გავლას ვეღარავინ შესძლებსო, მახსოვს აგრეთვე ერთხელ ფუქსავატი საუბრის დროს მან მკითხა. როგორ შესძლებთ იყოლიოთ მორჩილებაში ჯარი, რომელიც თქვენს განკარგულებაში იქნებაო, მე ვუპასუხე არ ვიცი მეთქი, იმის მოლოდინში თუ ის რას იტყოდა მან სთქვა, უნდა მათ თავიანთ შორის ამოარჩიონ პატივცემული და ღირსეული ხალხი. და სწორედ ამ ამორჩეულებს უნდა ჩაბარდეს თვითეულის გარკვეული ნაწილი თანაბარი რაოდენობით. ამ ამორჩეულებს თავიანთ შორის უნდა რამოდენიმე პატივსაცემი და ღირსეული კაცი ამოარჩევიოთ, რომელთაც აგრეთვე თანაბარი ნაწილები უნდა ჩაბარდეთ, ისე რომ რამოდენიმე უწინ ამორჩეული მოჰყვეს მის ხელქვეით. შემდეგ ისევ გაგრძელდეს როგორც ვთქვი. ეი რა გზით შესძლებთ თქვენ ისინი მორჩილებაში იყოლიოთო. ისინი, ამოირჩევენ რა თავიანთ შორის ღირსეულ პირთ, კიდეც გაიგონებენ მის სიტყვას და აგრეთვე თქვენსასაო. როგორც ეხლა მგონია. ამას იგი იმ აზრით ამბობდა, რომ თუ საქართველოში აღრეულობა მოხდებოდა, რადგან პირველიდანვე რეგულარული ჯარის გამოყვანა შეუძლებელი იყო, ამიტომ ის ფიქრობდა ჯარის ამგვარად მოწყობას.[1]

გამიგონია ოქროპირ ბატონიშვილისაგან, რომ ზავილეისკი ყოფილა მასთან და მეც ვნახე, ერთხელ ოქროპირ ბატონიშვილი ზავილეისკისთან მოსული, მაგრამ იგი შინ არ დახვდა. მახსოვს ოქროპირ ბატონიშვილი ამბობდა, რომ ქართველებს სხვანაირად უნდა ელაპარაკოო, მათ უნდა მოაგონოთ როგორ თავისუფლად ცხოვრობდნენ ისინი მეფესთან როგორც ამხანაგთან. არა ჰქონდათ ისეთი გაჭიანურებული სასამართლო როგორც ახლა. ყველას, თვით უკანასკნელ გლეხსაც შეეძლო წარსდგომოდა მეფეს, თუ რამე საჩივარი ჰქონდა და დაუყოვნებლივ მსჯავრს მიიღებდა. მეტი არაფერი მახსოვს მის შესახებ და მას ჩემოვის სრულებით არაფერი არ უთქვამს თბილისში შემდგარ საზოგადოებაზე და არც პირები დაუსახელებია, ვისთანაც ვითომდა საქმე უნდა დამეჭირა.

დიმიტრი ბატონიშვილზე მაგონდება, რომ იმ დროს, როცა აქებდა ხოლმე ფრანგებს, როგორც თავისუფლების მოყვარულთ, და რომლებიც მისთვის იბრძვიანო, აძაგებდა ხოლმე რუსებს და აგრეთვე აძაგებდა ქართველებს რა ხალხია ისინი ბოშებზე უარესნი არი-

---

[1] აქ ლაპარაკია ჯარის უფროსთა არჩევით სისტემაზე, რაც ფრიად საყურადღებოა.

ანო და უმჯობესია მათთვის, რათა ისინი სრულებით გარუსდნენ და თავისი ენაც დაივიწყონო. სწორედ ეს სიტყვები ჩვენზე დიდ გავლენას ახდენდა, რაც მე მგონია, მის სურვილს შეადგენდა. მას სურდა საქართველო თავისუფალი ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ იგი დაპოუკიდებელ არსებობას შეძლებდა. თუმცა ის ფიქრობდა საჭირო შემთხვევაში მიემართნა უცხო სახელმწიფოსათვის. ამბობდა აგრეთვე, რომ უნდა ვეცადოთ ქვეყანა გავანთლოთო, ე. ი. საქართველო ეს არის საუკეთესო საშუალება მის გასანთავისუფლებლადო, ზოგჯერ იგი ამბობდა, რომ საქართველოს შეუძლიან დამოუკიდებლად არსებობაო, ზოგჯერ კი პირიქით ამბობდა, რომ მას თავისთავად არსებობა არ შეუძლიანო, თუ მფარველი არ ეყოლებაო. ჩვენი საუბარი ზოგჯერ ხანმოკლე იყო, ზოგჯერ კი ხანგრძლივი. არავითარი დრო არა გვქონდა დანიშნული შეკრებისათვის, რადგან მხოლოდ კვირაობით შეგვეძლო ერთი მეორის ნახვა და ისიც არა ყოველთვის. ჩვენი საუბარი ყოველთვის საქართველოს არ ეხებოდა, ზოგჯერ სხვა რამეებზეც ელაპარაკობდით ხოლმე. თუმცა ბატონიშვილის ზემოაღნიშნულ საუბარს ისეთი გავლენა ჰქონდა ჩვენზე, რომ ჩვენში აღიძრა სურვილი, რათა საქართველო ყოფილიყო თავისუფალი. თუმცა ჩემი სურვილი იმიო განისაზღვრებოდა, რომ ვიცოდი ეს შეუძლებელი იყო, მხოლოდ მოულოდნელი რამ შემთხვევა თუ შეუწყობდა ხელს მის განთავისუფლებას. არ გამაჩნდა რა არც ფული, არც გავლენა, არც ნაცნობობა მე სრულებით არ მიფიქრია ამ საგანზე საზოგადოების შედგენა და არც ვცდილვარ ამას. ამის მიზეზები სხვა და სხვა იყო, და აგრეთვე ისიც, რომ აქ ჩამოვედი მე მხოლოდ დროებით და არა ვფიქრობდი აქ დარჩენას, რადგან ამის ნებას არ ძაძლევდა ჩემი სამსახური და გარდა ამისა პეტერბურგში დედა მარტო დავტოვე. ბატონიშვილთან საუბრები როგორც მახსოვს იმ გვარი იყო, როგორც ჩემს მიერ ზემოთ განმარტებულია. ფრანგ ლეტელიესთან ნაცნობობას ის გაურბოდა. მის შესახებ მეტი აღარაფერი მაგონდება.

ფრანგ ლეტელიეს შესახებ კი ვიცი, რომ კამპანიის[1] შემდეგ ვიდრე მე პეტერბურგში დავბრუნდებოდი, იყო იგი ერთხელ ფარნაოზ ბატონიშვილთან და აგრეთვე თეიმურაზთან. მე პეტერბურგში ჩამოსულმა ვნახე იგი პირველად ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელმაც მე წარმადგინა როგორც თავისი დისწული, მაგრამ ამგვარი ლაპარაკი არა ყოფილა, რადგან ისიც ცოლით იყო. ბატონიშვილის მთელი ოჯახის წევრებიც იქ იმყოფებოდნენ. ბატონმა ლეტელიემ,

---

[1] პოლონეთის აჯანყების წინააღმდეგ ლაშქრობაზეა ლაპარაკი.

გაიგო რა, რომ მე საქართველოში მივდივარ, მთხოვა ორი თუ სამი წერილის წამოღება თავად ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომლებიც მე დანიშნულებისამებრ ჩავაბარე. გამომგზავრების წინ, ლეტელიესთან წასვლას რომ ვაპირებდი წერილების წამოსაღებად, დიმიტრი ორბელიანოვმა მთხოვა ლეტელიე მისთვის გამეცნო. ლეტელიესთან რომ მივედით, იქ დაგვხვდა ვიღაც პოლონელი მოხელე, (ლიტვიდან იყო როგორც თვითონ ამბობდა) რომელიც პეტერბურგში რომელიღაც დეპარტამენტში მსახურობდა და მცნობი იყო გაწსვენებული დავით ბატონიშვილისა, 40 წელს გადაცილებული იყო, ტანად დაბალი, ჭაღარა თმა და შავგვრემანი სახე ჰქონდა, რუსულად კარგად ლაპარაკობდა, ფრანგული გამოთქმა არ უვარგოდა. მახსოვს ჩამოვარდა რაღაც საუბარი — მერე ლეტელიემ დაიწყო, რომ საქართველო ასე გაუნათლებელი არასოდეს არ ყოფილა. როგორც ეხლა. მთავრობა არ ცდილობს მის განათლებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ამ ჟამად საშინელ მდგომარეობაშია, რადგან დაჩაგრულია. როგორც მახსოვს. თქვა აგრეთვე — აბა გადახედეთ ფრანგები როგორ ცდილობენ გაუმჯობესებას, ალჟირის ყველა კუთხეში მოწყობილია უნივერსიტეტები, სასწავლებლები და ყველაფერი, რაც კი საჭიროა მის გასანათლებლადაო. ბოლოს აღწერა საქართველო შავს ფერებში — სწორედ კი არ მახსოვს როგორ ლაპარაკობდა, ჰკიცხავდა რუსეთის მთავრობას. პოლონელიც აქებდა ქართველებსა და ბატონ ლეტელიეს მოსაზრებებს ეთანხმებოდა. აი ყველაფერი ის, რაც მახსოვს ფრანგ ლეტელიეზე.

პორუტჩიკი თაკადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

თებერვლის 24-ს.
1833 წელს.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1557)

ჩვენს საუბრებს პეტერბურგში ესწრებოდნენ ხოლმე შემდეგი პირები: თვითონ დიმიტრი ბატონიშვილი, თავადი ალექსანდრე ჩოლოყაევი, რომელიც სხვებზე მეტ მონაწილეობას იღებდა. თავადი ლუარსაბ ჩოლოყაევი, რომელიც მხოლოდ ზოგჯერ ჩაერეოდა ხოლმე და მუდამ არ ესწრებოდა ამ საუბრებს, თავადი ივანე ჩოლოყაევი, რომელიც ლუარსაბზე იშვიათად იყო ხოლმე ჩვენი საუბრების დამსწრე და არ იღებდა არავითარ მონაწილეობას. თვით ლუარსაბ ბატონიშვილიც იყო ხოლმე ზოგჯერ ამ საუბრების დროს და ხან ჩაერეოდა ხოლმე კიდეც ლაპარაკში. მაგრამ იმდენად არა ჩვენი გაღიზიანების მიზნით, ტარასი ბერი, რომელიც ბახს
ლოდ ერთხელ ვნახე ამ საუბარზე, აძაგებდა ქართველებს (

ცუდს ლაპარაკობდა, თავადი ზაქარია ერისთოვიც ზოგჯერ იღებდა მონაწილეობას ამ საუბარში და ჩვენს წინააღმდეგ. ყველა ზემოხსენებული პირნი ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ. აძაგებდნენ ქართველებს, რითაც ჩვენ გვაღიზიანებდნენ და გვაბრაზებდნენ. იყო ხოლმე აგრეთვე სოლომონ რაზმაძე, მაგრამ როგორც მახსოვს ლაპარაკში მონაწილეობას იღებდა არა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ მუდამ ჩვენს მხარეზე იყო. მახსოვს აგრეთვე ერთხელ იყო იონა ბერი,[1] რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. და ბოლოს ამ კრებაზე იყვნენ ხოლმე თავადი ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, თავადები დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანოვები, თავადი დავით ჯორჯაძე და მე. მახსოვს ზოგჯერ იყო ხოლმე იარალი შანშიევი, რომელიც თავისი ცნობილი ხუმრობით გვაცინებდა ხოლმე, ერეოდა ხოლმე ზოგჯერ საუბარში.

იოანე ბატონიშვილის უკანონო შვილი ალექსეევი — ყაბარდოს პოლკის პოდპროპორშჩიკი ერთხელ ვნახე მხოლოდ პეტერბურგში თვით იოანე ბატონიშვილთან. ამის შემდეგ მე იგი არ მინახავს, გამიგონია კი მხოლოდ, რომ ის დიდი ოინბაზიაო; მაგრამ სრულებით არაფერი არ ვიცი იმის შესახებ, იცოდა მან თუ არა ეს საქმე და ჩემთვისაც არც არავის უთქვამს რამე.

პორუტჩიკი თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

თებერვლის 24. 1833 წელი.

კვლავ ვთხოვ კომისიას, რათა შემეკითხოს ყველაფერზე და თუ კი ვიცი და არ ვაღიარებ, მაშინ დამსაჯოს უსასტიკესად.

მამუკა ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე
(IX, 1559)

კითხვითი პუნქტები ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუტჩიკ ბატონ მამუკა ორბელიანის მიმართ, რომლებზედაც კომისია მოითხოვს მისგან აღიარებას გულწრფელად და ისეთს, რომ მძსი ფიცით დადასტურება შეეძლოს.

ტფილისი.

22 თებერვალი 1833 წლის,

ჩემგან მოთხოვნილ კითხვითი პუნქტებზე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გავცე გულწრფელი პასუხები, რომლებსაც ფიცითაც დავადასტურებ.

---

[1] იონა ხელაშვილი.

1. თქვენი სახელი, მამის სახელი და ჩინი

1. სახელად მქვიან მამუკა, შვილი ვარ განსვენებულ გენერალ-მაიორ თავად თამაზ ჯამბაკურ-ორბელიანოვისა, მაქვს ჩინი ყოვლად მოწყალე ჩემი ხელმწიფე იმპერატორის გვარდიის პორუტჩიკისა.

2. რამდენი წლისა ხართ?

2. დაბადებით ოცდა მეცამეტე წელში ვარ.

3. ცოლიანი ხართ თუ უცოლო? ვინა გყავთ ცოლად და ვისგან შესდგება თქვენი ოჯახი.

3. ცოლად მყავს გენერალ-ლეიტენანტისა და სენატორის ერისთავის ქალი; შვილები მყავს: სამი მცირე წლოვანი ქალი.

4. სად რა ქონება გაქვთ? რამდენი იყო ხოლმე თქვენი წლიური შემოსავალი და რას ემყარებოდა იგი?

4. მოძრავი ქონება მაქვს განუყოფელი ძმებთან ერთად თბილისის მაზრაში, ბორჩალოს დისტანციაში, რომელსაც სომხითი ეწოდება, და თვით ქალაქ თბილისში, და მყავს ორასზე მეტი გლეხი. განსაზღვრული ჩვენი საერთო წლიური შემოსავალი არის ათას ხუთასი მანეთი ვერცხლით, აბანოების იჯარა, ათას მანეთამდე გახტა. გლეხებისგან, ორიათასი მანეთი ასიგნაციები დედაჩემის პენსიონი, რომელიც ებოძა მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მიერ, დუქნებისა და სახლის შემოსავალი არ შემიძლიან განვსაზღვრო რას უდრის, რადგანაც ისინი ხან გაქირავებულია ხან კი არა. ზემოხსენებულ უძრავი ქონებიდან კი ვიღებთ ე. წ. ღალას, მოსავლის და მი-

ხედვით ხან მეტსა და ხან ნაკლებს და ვღებულობთ აგრეთვე ყოველ წელიწადს გლეხებისაგან ხალიჩებს, ძროხის ქონს, ცხვრებს, ყველს, მარილს, ზოგი ერთისგან ღვინოს, ქათმებს, კვერცხსა და სხვა, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც კი ჩვენ ვსაჭირობთ და მოვითხოვთ მათგან, ისინი ვალდებულნი არიან ყველაფერი უყოყმანოდ შეასრულონ.

5. სად და ვისი მზრუნველობით, ე. ი. თქვენი მშობლებისა და მფარველთა მეოხებით მიიღეთ აღზრდა?

5. ჩემი მშობლების მეოხებით აღზრდა მივიღე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

6. სახელდობრ რა სამსახურში ყოფილხართ? ყოფილხართ თუ არა ლაშქრობაში? სახელდობრ რომელში? და ხომ არსად ყოფილხართ დაჭრილი?

6. მის იმპერატორობითი უდიდებულესობის სამხედრო სამსახურში ვიყავი. 1816 წელს შევედი 7 ყარაბინერთა პოლკში, და 1825 წელს კი ოჯახური პირობების გამო დავეთხოვე. 1828 წლამდე შტაბის კაპიტნის ჩინი მქონდა, ხოლო 1828 წელს ახალციხისა და აწყურის ციხეების აღების დროს დამსახურებისათვის მიღებულ ვიქმენ გვარდიაში პორუტჩიკად. ლაშქრობაში ვიყავი იმერეთში აჯანყებულთა წინააღმდეგ გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვ მე-2-სა და პოლკოვნიკ თავად გორჩაკოვის ხელქვეით, რისთვისაც დაჯილდოებულ ვიქენ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მიერ ანნა მე-4-ე ხარისხით, ვი-

ყავი ჩერქეზების წინააღმდეგ ყაბარდოში და ყუბანზე ინფანტერის გენერალ ერმოლოვის ხელმძღვანელობით. ირანელთა წინააღმდეგ 1826 წელს გენერალ-ლეიტენანტ დავიდოვის ხელმძღვანელობით, სადაც გენერალ ერმოლოვის მიერ დანიშნულ ვიყავ თბილისის მაზრის ლაშქრის უფროსად.

1826 წელსვე გენერალ-ერმოლოვის მიერ გაგზავნილი ვიყავი ბორჩალოს დისტანციაში, რომელიც მტრების შემოსევისაგან უნდა დამეცვა. ვიყავი 1827 წელს ირანელებისავე წინააღმდეგ გენერალ ლეიტენანტ ბენკბერდორფის მეთაურობით, შემდეგ კი შეუერთდით ფელდმარშალ უბრწყინვალესი თავადის ვარშავსკის ერევნის გრაფის პასკევიჩის რაზმს, სადაც დამსახურებისათვის დაჯილდოებულ ვიქმენ მეოთხე ხარისხის ვლადიმერით, და ბოლოს 1828 წელს თურქების წინააღმდეგ ფელდმარშალ უბრწყინვალესი თავადის ვარშავსკის ერევნის გრაფ პასკევიჩის ხელმძღვანელობით და ყოვლად მოწყალე დაჯილდოებულ ვიქმენ პირდაპირ პორუტჩიკად დანიშვნით ლეიბ-გვარდიის ფანლიანდიის პოლკში, სადაც მსახურობს ჩემი უმცროსი ძმა, და მალე გადამიყვანეს ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკში. უზენაესის შემწეობით დაჭრილი არსადა ვყოფილვარ.

7. ყოფილხართ თუ არა პეტერბურგში ან მოსკოვში, როდის სახელდობრ და რა დროს დაბრუნდით აქ?

7. პეტერბურგში ვიყავი 1824 წელს, მაშინ მე ვიყავი აგრეთვე მოსკოვშიც როგორც პეტერბურგიდან დაბრუნების დროს, ისე თბილისიდან პეტერბურგს გამგზავრების დროს. თვით პეტერბურგში კი ექვს თვეს დავრჩი, როგორც მახსოვს აგვისტოში დავბრუნდი.

8. ქრისტიანის მოვალეობისამებრ დადიოდით თუ არა კვირა-უქმე დღეებში ეკლესიაში და ზიარებულხართ თუ არა ყოველწლიურად წმიდა საიდუმლოს?

8. ქრისტიანის მოკალეობის თანახმად ყოველთვის დავიარებოდი ეკლესიაში, სადაც კი შევხვდებოდი მას და ყოველ წლიურად ვზიარებულვარ წმიდა საიდუმლოს, ისე არასოდეს არ დავრჩენილვარ.

9. ხომ არ ყოფილხართ უწინ სასამართლოსა და გამოძიების ან ჯარიმის ქვეშ? რისთვის სახელდობრ და გამართლებულხართ თუ მოგესაჯათ და მოიხადეთ სასჯელი?

9. 1829 წელს მილიციაში გასაყვანი თბილისის მაზრის მცხოვრებთა ავლაბარში შეყრის გამო. 1830 წელს მიმცეს სამართალში, სადაც როგორც იესო ქრისტე იყო ურიების წინაშე დამნაშავე, ისევე ვიყავი მეც.

კომისიის მიერ გამართლებული ვარ, თუმცა სიტყვიერად მიბრძანა მთავარ-სარდალმა, რომ მისმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ საქმე დაბრუნაო და მე მართალი ვარ, მაგრამ ჯერ ჩემთვის ეს ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ.

10. იცით თქვენ თუ არა, რომ გასული ორი წლის განმავლობაში, ზოგიერთი ქართ-

10. მე ეს სრულებით არ ვიცი.

ველი თავადიშვილები, რომელია უმრავლესობაც ამჟამად დაპატიმრებულია, — ფიქრობდნენ აჯანყებულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ და გაერეკათ რუსები საქართველოდან?

11. რომ განსაკუთრებით 1831 წელს პოლონელების აჯანყებამ აღუძრა იმედები აქაურ ბოროტგამზრახველთ, მაგრამ ვარშავის აღებამ და პოლონელთა აჯანყების ჩაქრობამ მათ იმედი ჩაუფუშა?

12. რომ კეთილგონიერნი ამ შეთქმულთაგან, ამის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ შეუძლებელი იყო მათი განზრახვის სისრულეში მოყვანა, მაგრამ სხვები 1832 წელს განაგრძობდნენ ამაზე ფიქრს და იმავე წლის შემოდგომაზე დროც კი დანიშნეს აჯანყებისათვის, რაც არ მოხდა წარმოქმნილი დაბრკოლებისა და შეთქმულების გაცემის გამო?

13. განმარტეთ ყველაფერი, რაც კი იცით ზემოხსენებულზე: სახელდობრ რა საუბარი გაგიგონიათ პირდაპირ ამ საქ-

11. სრულებით არაფერი არ ვიცი.

12. გასულ წელს მთელი ზაფხული ჩემი ოჯახით ჩემს სოფელში გავატარე, მშენებლობასა და მეურნეობას ვეწეოდი და ვიყავი მხოლოდ თელავის მაზრაში ალავერდის დღეობაზე, იქიდან რომ დავბრუნდი ისევ სოფელში ვცხოვრობდი, აგვისტოში ცხელება დამაწყებინა და თბილისში ჩამომიყვანეს და დღემდე ავად ვიყავ, სულ ცოტა ხნის წინ გამოვკეთდი, რასაც დამიმოწმებენ ბატონი მედიკები პრიბილი და ყარაევი, რადგანაც ესენი მწამლობდნენ და ამიტომაც მე ამაზე არაფერი არ ვიცი და ეს პირველად მესმის.

13. ყველა ზემოხსენებულზე მე არა ვიცი რა და არც არა გამიგონია რა.

მის შესახებ ან რაც შეიძლებოდა მას ჰკუთვნებოდა?

14. განსაკუთრებით რა გაგიგონიათ თქვენ ამ საქმის შესახებ თავად ჭავჭავაძისაგან, ალექსანდრე ვახტანგის ძის, ალექსანდრე გიორგის ძის და ლუარსაბ ორბელიანოვთაგან, ელიზბარ და ბიძინა ერისთოვთაგან, და მასწავლებელ დოდაევისაგან?

14. როგორც თავად ჭავჭავაძისაგან, ისე ალექსანდრე ვახტანგის ძის, ალექსანდრე გიორგის ძის და ლუარსაბ ორბელიანოვთაგან, აგრეთვე ელიზბარ და ბიძინა ერისთოვთაგან და მასწავლებელ დოდაევისაგან ამ საქმის შესახებ მე არაფერი არ გამიგონია.

ამასთანავე არ შემიძლიან არ დავუმატო, რომ როგორც ამ სამი დღის წინათ გენერალ ჩეკინის სიტყვიერ შეკითხვებზე ვუპასუხე წერილობით, ხშირად გამიგონია როგორც ყველა ამ პირთაგან — დოდაევის გამოკლებით — ისე საერთოდ ქართველი თავადაზნაურებისაგან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ დაწესებულებებით — ამბობდნენ, რა რომ მათ მამულსა და ყმას ართმევენ, რაზედაც მიპასუხია უნდა აცნობოთ სამოქალაქო გუბერნატორს, მთავარსარდალს და ასე შემდეგ მეთქი, რაც შემიძლიან ფიცით დავადასტურო ყოველ ჟამს.

ამის მეტი ჩემთვის არავის რა უთქვამს ზემოდაწერილ პუნქტების შესახებ და თუ აჩვენებენ, რომ თითქოს მე ვიცოდი და მერე კი ჩამოვშორდი, როგორც ეს ინება ეცნობებინა ჩემთვის გენერალმა ჩეკინმა. და მათი მხრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა ძტრობა და შუღლი ჩემსა და ჩემი ოჯახის მიმართ, რაც მათ გულში დიდი ხანი არის შთანერგილი — სხვა და სხვა გარემოებათა წყალობით და რაც ნაწილობრივ მთავრობასაც მოეხსენება, და სურთ, არიან რა თვითონ გასვრილი, მეც გამასვარონ უდანაშაულო მთავრობის წი-

ნაშე. და მგონია, ტყუილად იმიტომ იგონებენ, რომ ფიქრობენ ეს უგუნურნი ამით თავის გადარჩენას და ნახეს რა მაგათ — რომელთაც აქვთ გაიძვერული და უგუნური განზრახვები — მამა ჩემის დამსახურება მთავრობის წინაშე და აგრეთვე ის რომ მან შეიპყრო ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელიც ყაზახის დისტანციით ირახს მიემართებოდა — ძმა ქეთევან ბატონიშვილისა, თავად მუხრანბატონის ბიძა, — ანასტასიასი ბიძინა ერისთავის დედისა, თეკლასი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვის დედისა — და წარუდგინა, რომელიც ამჟამადაც პეტერბურგს იმყოფება, — რომ არ ვილაპარაკოთ ჩემს სხვა დამსახურებებზე: გასულ 1832 წელს შეძლების დაგვარად ბეჯითად მივიღე მონაწილეობა თბილისის მაზრაში მილიციელთა შეკრების დროს, რომელნიც ჩეჩნების წინააღმდეგ გაიგზავნენ და მალე ამის შემდეგ სამოქალაქო გუბერნატორის მოწერილობით შევაგროვე ბორჩალოს დისტანციაში ორი ათასზე მეტი კარგი ცხენოსანი, რომელნიც გაიგზავნენ ჭარში აჯანყებულთა წინააღმდეგ, ისინი წარვუდგინე სამოქალაქო გუბერნატორსა, რისთვისაც მთელმა ქართველმა თავადაზნაურობამ და მათ შორის მეც მივიღეთ უმაღლესი მადლობა, იგონებენ ტყუილად და სურთ ამით მთავრობის წინაშე სახელი გაგვიტეხონ და ამიტომ მე მგონია რომ მთავრობის მიერ გაბედნიერებულებმა, თუ კი გაბედეს ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ ასეთი გაიძვერა და არაქრისტიანული განზრახვები, რაღა გასაკვირია, რომ ჩემზეც უსამართლოდ იგონებენ. წარმოუდგენ რა ყველა ზემოდაწერილს კომისიას, მას შეუძლიან აქედან დაინახოს ჩემი უდანაშაულობა და დამიფაროს ამ ქვეყნის დამლუპველ ცილისმწამებელთაგან.

ლეიბ გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუტჩიკი თავადი

მამუკა ორბელიანოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (IX, 1567)

1. პეტერბურგში რომ ვცხოვრობდი ხშირად გამიგონია დიმიტრი ბატონიშვილისაგან შემდეგი: როგორ არა გრცხვენიათ ქართველებო, რუსები როგორ გავიწროებენ? რატომ ისინი პოლონელებს არ ექცევიან ასეო? იმიტომ, რომ თქვენ მშიშარანი და ფლიდები ხართო... და ამის მგზავსი საუბარი. ამ გვარი საუბრების დროს იქ ესწრებოდნენ ხოლმე: დიმიტრი ბატონიშვილის ძმა ლუარსაბი, ივანე ჩოლოყაევი თავის ძმა ლუარსაბითურთ, ალექსანდრე ჩოლოყაევი,

ელიზბარ ერისთავი თავის ძმა დიმიტრითურთ, ზაქარია ერისთავი, ჩემი ძმა დიმიტრი, რაზმაძე. გიორგი დავითის ძე ერისთავი, იარალი შანშიევი. ჯორჯაძე. ტარასი ბერი და მე. ყველაზე მეტ მონაწილეობას ამ საუბარში იღებდა ალექსანდრე ჩოლოყაევი. — 1832 წელს დოდაევისაგან გავიგონე ეს სიტყვები: როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი მან მითხრაო: დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასაო. თუმცა საქართველოს განთავისუფლება მე იმიტომ კი არა მსურს, რომ იქ ვინმე ბაგრატიონთაგანი გამეფდეს, არამედ რომ მისგან შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარი. ელიზბარ ერისთავმა მაჩვენა ქაღალდის მეოთხედი ალავ-ალაგ ამოჭრილი. ამ ქაღალდის საშუალებით, მითხრა მან, შემიძლია საიდუმლო მიმოწერა ვაწარმოვო დიმიტრი ბატონიშვილთანო.

2. ერთხელ თამარ ბატონიშვილს ვკითხე: რატომ თქვენი ძმა დიმიტრი ამაზე არაფერსა ცდილობს მეთქი; ჩემი ძმა, მიპასუხა მან, ძალიან გაუბედავი არის, ახ, მე რომ მის ადგილზე ვიყოვო!

ჩემი თანდასწრებით თამარ ბატონიშვილს ხშირად უთქვამს: აქ უკვე მომწყინდა, დიდი სიამოვნებით წავიდოდი სადმეო. ერთხელ ჩემმა ძმამ ალექსანდრემ მითხრა: წარმოიდგინე თამარ ბატონიშვილს იერუსალიმის ნახვა მოუნდაო, იგი მთელ საღამოს მეჩიჩინებოდა: ნუთუ არ შეიძლება იერუსალიმში წასვლაო.

თამარ ბატონიშვილისაგან გავიგონე ეს სიტყვები: თქვენ როგორ უნდა გაანთავისუფლოთ საქართველო? დეე ჯერ ქართველებმა ბოლო მოუღონ ურთიერთ შორის ქიშპს და მერე თავისუფლებაზე იფიქრონო.

3. ერთხელ 1832 წლის შემოდგომაზე თამარ ბატონიშვილთან ვნახე მართა მესხიევა. მან დამიწყო საუბარი მთიელთა წინააღმდეგ ექსპედიციაზე[1] და შემდეგ მკითხა. თქვენ რატომ არ წახვედით ლაშქრობაშიო? მე ვუპასუხე: რისთვის უნდა წავსულიყავ და რასთვის უნდა მომკვდარიყავ შეთქი! მან თქვა ეს მართალიაო. მოკვდეს კაცი! ვისთვისაო?... თუმცა, შეიძლება მოგეცეთ შემთხვევა უფრო ახლო იბრძოლოო, ვიდრე მთებშიო და თქვენი მოწინააღმდეგენი იქნებიან უფრო ძლიერნი ვიდრე მთიელებიო! მე ვუპასუხე ვისთან მეთქი.

განა ჩერქეზები აქ მოსვლას გაჰბედავენ მეთქი? მან მომიგო: არა ჩერქეზები... კმარა ამაზეო. ვუთხარი მართლაც რა იქნება, რომ ჩვენ

---

[1] დაღესტნის ექსპედიცია იგულისხმება.

თვით თბილისში მოგვიხდეს ბრძოლა მეთქი. მან მიპასუხა: ჰო, სწორედ ეგაო?

ამ საუბრის შემდეგ სადილად ელიზბართან წავედით და მე მას ვუთხარი: წარმოიდგინე ძმაო, თამარ ბატონიშვილთან ვნახე მართა მესხიევა და იგი ძალიან ლაღად ლაპარაკობდა მეთქი, აი ვახტანგ, მე ხომ გეუბნებოდი შენ რომ ეს მართალია მეთქი, — მითხრა ელიზბარ ერისთავმა. შემდეგში მე ვთქვი შეეიტყოთ მართა მთავრობისაგან ხომ არ არის თამარ ბატონიშვილთან შეჩენილი მეთქი. ელიზბარის რჩევით, სადილ წინ კვლავ წაკედით თამარ ბატონიშვილთან, რათა გაგვეფრთხილებინა იგი:

4. 1831 წელს მამუკა ორბელიანოვმა იცოდა ჩვენი შეთქმულება და თანახმაც იყო. მასთან ამ საქმეზე ლაპარაკი ჰქონდათ: ივანე მიხეილის ძე ერისთავს, ელიზბარ ერისთავსა და ჩემს ძმას ალექსანდრეს. მე ეს გაგონილი მაქვს ელიზბარ ერისთოვისაგან, გიორგი დავითის ძე ერისთავისაგან და ჩემ ძმა ალექსანდრესაგან.

5. 1832 წლის ნოემბერში დოდაევი და ზაქარია ჩოლოყაევი ამბობდნენ: დიმიტრი ორბელიანოვი რუსებზე ცოფსა ჰყრის, სულ იმას ამბობს: როდის მაღირსებს ღმერთი რუსები განვგმიროო. ამ დროს იქ იყვნენ: ჩემი ძმა ალექსანდრე, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, და ელიზბარ ერისთოვი.

6. თავადი იესე ფალავანდოვი ამბობდა, რომ მას საუბარი ჰქონდა თავად თარხანოვებთან: დავითთანა და მის შვილ დიმიტრისთან შეთქმულების შესახებ, და რომ საჭიროა ისინი ლუარსაბ ორბელიანოვს შევახვედროთო.

7. თავადი შერვაშიძე პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, განაახლა ჩემთან შეგობრობა, რომელიც ჩვენ უწინაც გვქონდა პაეთა ყორპუსში.

ჩვენ ერთი მეორეს ხშირად ვნახულობდით. ერთ დილას მივედი მასთან და იგი ოთახში მარტო დამხვდა. ჯერ სხვადასხვა საგნებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა: როგორ არა გრცხვენიან, რომ მე რამეს მიმალავ: მე ვიცი, რომ არიან აქ ზოგიერთი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებასა ცდილობენო. მე ჯერ არ მინდოდა გამოვტეხოდი მას, მაგრამ დავინახე რა რომ თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა, — გავუმჟღავნე. მან სამდურავი მითხრა, რომ აქამდე მის წინაშე ამას ვმალავდი. რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩამოგვივარდა სიტყვა თავისუფლებაზე. იცი თუ არა, მითხრა თავადმა შერვაშიძემ, რომ მე თქვენს განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვუტანოო;

მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყოო; ორი ათასი აფხა-

ზით სრულებით გავწმენდავ აფხაზეთს რუსებისგანო. ხოლო როდესაც მე ვკითხე შეუძლიან თუ არა მას აჯანყების დაწყების დროს თბილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა, რომ ადვილად შეუძლიან 300 კაცის გამოგზავნა. თავად შერვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და მგონია, ელიზბარ ერისთოვიც.

8. 1832 წლის გაზაფხულის დამდეგს თავადმა ივანე მუხრანსკიმ მითხრა: იცი რა გავიგონე? ერთმა კაცმა მითხრა ვითომ თავად ჭავჭავაძეს ეთქვას მისთვის, რომ ყოფილმა სამოქალაქო გუბერნატორმა ზავილეისკიმ მითხრაო, რომ პეტერბურგიდან მოსული ახალგაზრდები თავისუფლების აზრს უნერგავენო. იცოდე, ვახტანგ, შეუბნებოდა მუხრანსკი, თავი დაანებეთ თავისუფლებასა და სხვადასხვა სისულელეზე ლაპარაკსო.

1832 წელს გაზაფხულის პირზე თავად ივანე მუხრანსკიმ მაჩვენა დიმიტრი ბატონიშვილთან მოწერილი წერილი. ამ წერილში იგი შემდეგ პირებს ახსენებდა: რაზმაძეს, დოდაევს, ჩემს ძმას ალექსანდრეს, ელიზბარ ერისთავს, გიორგი დავითის ძე ერისთავსა, ყიფიანოვს, ავთანდილოვს და მე. ის ჩვენ გვიწოდებდა ლიტერატორთა საზოგადოებას და დაგვცინოდა. როდესაც მე ამდურავი ვუთხარი მუხრანსკის, თუ რისთვის მისწერა მან ასეთი სისულელე, მიპასუხა, რომ მან ის წერილი არ გაუგზავნა დიმიტრი ბატონიშვილს და დახია იგი.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წელი.
თებერვლის 23-ს.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IX, 1595)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

თამარ ბატონიშვილმა იცოდა ჩვენი განზრახულება 1831 წელს; მე არ მახსოვს პირველად როდის გამოვუცხადეთ მას იგი; მაგრამ მან იცოდა, რომ მონაწილეობას იღებდნენ ალექსანდრე ორბელიანოვი, ვახატანგ ორბელიანოვი, გიორგი ერისთოვი, მე, ლუარსაბ ორბელიანოვი და თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მან იცოდა, რომ ჩვენ გვსურდა 1831 წლის შემოდგომაზე დაგვეწყო აჯანყება. მას ვუთხარით ეს მე და სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა. მასთან დავდიოდით ხან ერთად, ხან კი ცალცალკე ალექსანდრე ორბე-

ლიანოვი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე, ვსაუბრობდით ჩვენს განზრახვაზე, ერთხელ ჩვენ მას ვუთხარით, რომ იგი უნდა იყოს ჩვენი აჯანყების მეთაური და იგი დაგვეთანხმა. 1831 წელს იყო ნათქვამი, რომ თვითეულ მონაწილეს უნდა მოეყვანა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და ეს იცოდა თამარ ბატონიშვილმა; ალექსანდრე ორბელიანოვმა და მე ვუამბეთ მას ეს განკარგულება. ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ მან უამბო თამარ ბატონიშვილს იმ წერილების შესახებ, რომლებსაც ჩვენ დიმიტრი ბატონიშვილსა ვწერდით და აგრეთვე იმ წერილებზე, რომლებსაც იგი ალექსანდრე ბატონიშვილსა სწერდა; მაგრამ როცა ვარშავა აიღეს, ჩვენ ყველამ გადაგიფიქრეთ ჩვენი საქმე.

1832 წელს თამარ ბატონიშვილმა იცოდა ჩვენი განზრახვა: კორნეტი გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანოვი. მე და ალექსადრე ორბელიანოვი დავიარებოდით მასთან. ერთხელ მე და ვახტანგ ორბელიანოვი ვიყავით ბატონიშვილთან და ვლაპარაკობდით ჩვენს განზრახვაზე. თუ ვინ რისი შემძლეა ჩვენი თანაგანმზრახველთაგანი. ვამბობდით სამხედროებზე. რომ ისინი გამოცდილები არიან. ალექსანდრე ჭავჭავაძეზე კი ვთქვით, რომ ის ნიჭიერი გენერალია, ბატონიშვილი გვისმენდა ჩვენ. მერე გაიცინა და გვითხრა. პატარა კაცები ხართ, თქვენ რა შეგიძლიანთო. 1832 წლის სოემბერში კვლავ მე და ვახტანგი ვიყავით მასთან და ვკითხეთ მართა შესხიევასთან საუბარზე. მან გვიპასუხა რომ მართამ მითხრაო: „თავადი თარხანოვები ადგენენ შეთქმულებას. მათ იგი 1831 წელს დაიწყეს და შენ უნდიხარ მართველათაო“. მაგრამ მას ვერ გაებედნა მართასთვის დაწვრილებით გამოეკითხა. ბატონიშვილმა იცოდა, რომ თბილისში თავადაზნაურთა შეკრებისთანავე[1] უნდა დაწყებულიყო აჯანყება და ის უნდა ყოფილიყო მეთაური.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი

25 თებერვალი
1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (IX, 1613)

კომისიის შეკითხვებზე სხვა და სხვა პირთა შესახებ. მაქვს პატივი სრული სიმართლით ვუპასუხო შემდეგი:

---

1 თავადაზნაურთა კრების გამო.

მე დავალებული მქონდა მელაპარაკნა თავადებთან: დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვებთან ჩვენს შეთქმულებაზე მთავრობის წინააღმდეგ; მაგრამ სინამდვილეში მე ეს არ შევასრულე და მათგან არც არა გამიგონია რა ამ საქმეზე; როდესაც თავადები: ალექსანდრე ორბელიანოვი და იასე ფალავანდოვი მათ შესახებ შეკითხებოდნენ, მე ტყუილად ვუპასუხებდი ხოლმე: თავადი დიმიტრი ორბელიანოვი მზად არის, მაგრამ შეუძლებელი საქმეა: რადგან თავადთა შორის შუღლი და უთანხმოება არის მეთქი. გენერალ-მაიორ ჭავჭავაძესთან არა მილაპარაკნია რა, ხოლო თავად ალექსანდრე ორბელიანოვისაგან და თავად ელიზბარ ერისთოვისაგან გამიგონია 1831 წელს, რომ მან იცის შეთქმულება და მისი შესრულებაც სურსო, მაგრამ ჯერ დრო შესაფერისად არ მიაჩნია; მათ შესახებ მეტი არა ვიცი რა.

ნათალოვზე არა გამიგონია რა.

თავად დავით თარხანოვზე მღვდელ ეფრემ ალექსიევისაგან გავიგონე, რომ იგი ჩიოდა მთავრობაზე საბუთების ირგვლივ შევიწროების გამო, რა მიზეზითაც თავადები უამრავ მამულებს ჰკარგავენო: თარხანოვებზე მეტი არა ვიცი რა.

თავად ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ თამარ ბატონიშვილი იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითა და დედაკაცები დაიწყებენ თვითონ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენო, მე კი მასთან ამ საქმეზე არავითარი საუბარი არა მქონია.

ბერმონაზონ იონა ხელაევსა და იგუმენ ტარასის ჩემთან არასოდეს არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო საუბარი არა ჰქონიათ და მათგან არა გამიგონია რა.

გულითადად ვწუხვარ, რომ არ შევასულვარ იმის მიზეზების განსჯაში, რომლებიც აიძულებენ მათ ეფიქრათ საქართველოს მიღება, აგრეთვე იმ საშუალებებში, რომლებზედაც ისინი იმედოვნებდნენ და ჩემთვისაც არავის რა უთქვამს. მხოლოდ ოქროპირ ბატონიშვილის სიტყვებს ჰქონდათ ჩემზე გავლენა, რომელმაც შთაძაგონა მთავრობის საწინააღმდეგო დამღუპველი ფიქრი. რუსებიო, მეუბნებოდა იგი, შენ თავადობას არ მოგცემენო, შენ ჩვენ არ უნდა დაგვივიწყო, იქნება ოდესმე საქართველო განთავისუფლდესო, შენ ვალდებული ხარ საშობლოზე უფრო მეტი იფიქრო. ყველაფერი რაც კი ოდესმე მცოდნია, მოვახსენე კომისიას, არაფერი არ დამიტოვებია; გავბედავ კვლავ ვთხოვო ჩემი სიცოცხლე, ნუ მომისპობთ

მას უსარგებლოდ. შემინდეთ სულგრძელებით ჩემი სისუსტის გამო ჩადენილი შეცდომა. რაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

თებერვლის დღისა.[1] 1833 წ.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (IX, 1619).

1833 წლის თებერვლის 27-სა დღესა საგამომძიებლო კომისიის დაკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო შემდეგი:

ჭილაევის მონაწილეობაზე ამ განზრახულებაში არავისგან არა-სოდეს რა გამიგონია იმის მეტი, რომ თეკლა ბატონიშვილის ბაღში პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთავი ამბობდა ის უნდა მოვსპოთ, რათა ჩვენი შეთქმულების დაუბრკოლებლივ შესრულება შევძლოთო.

მაიორ დიმიტრი ორბელიანოვზე გავიგონე ალექსანდრე ორბელიანოვთან სწორედ ამისგან, რომ როდესაც თავად კაპიტან ჩოლოყაევსა და მასწავლებელ დოდაევს გამოუცხადებიათ მისთვის განზრახულება, მას თანხმობა განუცხადებია და ვითომც უთქვამს: „მე დავამტკიცებ, რომ მეც რაღაცას წარმოვადგენ“-ო. მე მასთან ნაცნობობა არა მქონია.

პრაპორშჩიკ ნათალოვს მხოლოდ, როგორც იტყვიან, ქუდის მოხდით ვიცნობდი ვახტანგ ორბელიანოვის საშუალებით, რომელთანაც იგი იყო ჩამომხდარი გასული წლის ზაფხულს, — მაგრამ იღებდა თუ არა შეთქმულებაში მონაწილეობას, არ ვიცი. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებს არა ერთხელ უნიშნებიათ ჩვენთვის: „ბატონებო, მაგასთან ფრთხილად იყავითო“.

პრაპორშჩიკ მამაცოვთან მქონდა ნაცნობობა ნათესაობისა გამო, მაგრამ მის შეთქმულებაში მონაწილეობაზე არავისგან რა გამიგონია.

აქაურ სამოსწავლო ბათალიონზე არსად არა გამიგონია რა.

დუშეთის ისპრავნიკ პაუშენკოზე გამიგონია ელიზბარ ერისთავისაგან, რომ მას იგი ახლო იცნობს და დამეგობრებულიც კია და რომ იგი ამისთვის „თავის სიცოცხლესაც კი არ დაზოგავს, თუ საჭირო იქნება“, მე კი თვითონ მასთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია.

პრაპორშჩიკ თავად დადიანზე გიორგი დავითის ძე ერისთავმა უკანასკნელი ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, გვითხრა მე და მასწავლებელ ავთანდილოვს, რომ ჩვენი განზრახულება გამოუცხა-

---

[1] რიცხვი არ დაუწერია, ეტყობა, არა სცოდნია.

და მან დადიანსაც, რომელმაც თანხმობა და მზადყოფნა გამოაცხადაო. მე პირადად მასთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია.

თავად თარხანოვზე არასოდეს არავისგან რა გამიგონია და არც მათთან ნაცნობობა მქონია, გარდა ალექსანდრესი, პოლკოვნიკ დავითის შვილისა: მე და ის ერთად ვსწავლობდით 1827 წელს.

მასწავლებელი დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ ო ვ ი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (IX, 1838)

1832 წელს მე გავიგონე თავად იასე ფალავანდიშვილისაგან ეს სიტყვები: მათე ზავილეისკიმ, რომელიც ჩემს ბინაზე ცხოვრობდა. მითხრა, რომ ჩემს ძმას, ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორს, ამორჩეული ჰქონდა საქართველოში ადგილები, სადაც განზრახული ჰქონდა სიმაგრეების აშენება. რისთვის სურდა მას სიმაგრეების აგება, თუკი ჩვენი აზრის მსგავსი აზრები არა ჰქონდაო.

თამარ ბატონიშვილმა მითხრა ეს სიტყვები: პეტერბურგში ჩუბინოვს ქართველები ფისკალად[1] სთვლიან; მეც მგონია, რომ ის ფისკალი უნდა იყოსო.

მახსოვს 1831 წელს თავად ჯორჯაძეს ჰქონდა საუბარი საქართველოს თავისუფლების შესახებ ელიზბარ ერისთოვთანა და ჩემთან, მაგრამ არ მახსოვს ვუთხარით ჩვენ მას, რომ შეთქმულება უკვე არსებობდა თუ არა.

1832 წელს კი ვიცი, რომ მან ეს იცოდა.

გარემოება, რომელსაც განმარტავს ჩემი ძმა ალექსანდრე პორუჩიკ ნათალოვის მიმართ, მე არ ვიცი, და არც ის ვიცი, იცოდა თუ არა მან ჩვენი შეთქმულება; მე არასოდეს ამაზე მასთან საუბარი არ მომხდენია. აგრეთვე სრულებით არა ვიცი რა პოლონელ ოფიცრებზე და წერეთელზე.

თავადი ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1833-სა წელსა თებერვლის 25.

მე იქიდან ვიცი, რომ პოდპორუჩიკ ჯორჯაძემ იცის ჩვენი შეთქმულება, რომ იგი დაესწრო 1832 წელს ელიზბარ ერისთოვის მიერ გამართულ სადილს, სადაც ჩვენი საუბრის საგანი იყო ჩვენი შეთქ-

---

1 ფისკალი — მაბეზღარა, ჯაშუში.

მულება. ამის მეტი მასთან 1832 წელს სხვა არავითარი ურთიერთობა ჩვენი განზრახვის თაობაზე არა მქონია.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი.

თეიმურაზ ლორთქიფანიძის ჩვენება (IX, 1637-1639)

იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე აჩვენებს შემდეგს:

გენერალ ერმოლოვის დროს იყო იმერეთში აჯანყება, რომელშიც თუმცა მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ შემდეგში, უდანაშაულოდ დამწამეს რა ცხენის მოპარვა და საზღვარგარეთ გაქცევის ცილი, სამი წელიწადი ქუთაისის ციხეში ვიყავი დაპატიმრებული. ბოლოს იმერეთის მმართველმა გენერალ-მაიორმა თავადმა გორჩაკოვმა, დარწმუნდა რა ჩემს უდანაშაულობაში, გამანთავისუფლა მაგრამ, რადგან გამომიცხადეს, რომ რუსეთში გადასახლებას მიპირებენ, იძულებული გავხდი ახალციხეს გავქცეულიყავ ბაგრატ ბატონიშვილის შვილისშვილ ივანესთან, რომელიც ამ დროს იქ იყო ლტოლვილი დავით მეფის უკანონო შვილიშვილით თავად ვახტანგითურთ. რუსეთის ჯარის მიერ ახალციხის აღების შემდეგ ჩვენ აზრუმში გავიქეცით, იქიდან ტრაპიზონსა და შემდეგ კი კონსტანტინოპოლში, სადაც ვიმყოფებოდით რუსეთსა და თურქეთს შორის ზავის შეკვრამდე.

ამის შემდეგ მე შევაგულიანე იგი ახალგაზრდა თავადი ივანე ბაგრატიონი, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავით და ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ კონსტანტინეპოლში ჩამოსულ რუსეთის ელჩს, რომლის მეცადინეობითაც ჩვენ ოდესაში გრაფ ვორონცოვთან გაგვგზავნეს. ოდესაში თვეზე მეტი დავრჩით. შემდეგ კი, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, რედუტ-ყალეს გზით თბილისში თავად ვარშავსკისთან გრაფ პასკევიჩ ერივანსკისთან გაგვგზავნეს. აქ დავრჩით რვა თვე; თავადმა ივანემ მეფის მოწყალებით მიიღო უფლება თავის საკუთრებელოზე იმერეთში და ჩვენ გავემგზავრეთ იმერეთისაკენ ორი კვირის შემდეგ, როდესაც მისი პრწყინვალება გენერალ-ფელდმარშალი აქედან რუსეთს წავიდა.

თბილისში ყოფნის პერიოდში ხშირად დავიარებოდი სხვა და სხვა დაწესებულებებში ნაცნობი იმერლების საქმეების გამო და იქ გავიცანი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი, რომელმაც მთხოვა მივსულიყავი ხოლმე მასთან სახლში, რადგან ის დედის

მხრით ბაგრატიონთა შთამომავალია, მე კი ამ საგვარეულოს ერთგული ვარ და თან ვახლდი ლტოლვილს, ზემო დასახელებულს თავადს ივანე ბაგრატიონს. ასეთი ნაცნობობით მოსყიდული, მე ხშირად დავიარებოდი ალექსანდრე ორბელიანოვთან, და მან პირველმა განმიცხადა შეთქმულება, შემდეგ კი გიორგი დავითის ძე ერისთოვმა, რომელიც მე ალექსანდრე ორბელოვთან გავიცანი და რომელთანაც სახლში შემდეგში არა იშვიათად დავიარებოდი. ეს ორნი ერთად და ცალ-ცალკე მეუბნებოდნენ, რომ ქართველ თავად-აზნაურთ ერთსულოვნად სურთ აქ აჯანყება მოახდინონ და განთავისუფლდნენ რუსებისაგან, რომელნიც მათ უაღრესად ავიწროებენ, ართმევენ მათ მამულებს, ანგრევენ დუქნებს და ანადგურებენ ქალაქებს. ამასთანავე ისინი ლაპარაკობდნენ აგრეთვე ამ განზრახვის აღსრულების გეგმაზე; იგი იმაში მდგომარეობდა, რომ თვითეულ პუნქტზე ქალაქში, როგორიც არის: არსენალი, მეტეხის ციხე და სხვა დანიშნული იყვნენ საგანგებო რაზმები მათ მიერ ამორჩეული ხალხის მეთაურობით. ჩაიგდებდნენ რა ისინი ამ მნიშვნელოვან პუნქტებსა და არტილერიას ხელში, უეჭველად ფიქრობდნენ ყველა აქ მყოფი რუსების ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ამოხოცვას. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა და გიორგი ერისთოვმა, განმიცხადეს რა ეს და აგრეთვე ის, რომ მათ სურთ ამ განზრახვის შესახებ აცნობონ იმერლებს, მე მავალებდნენ წამეღო წერილები და ვცდილიყავ იმერელი თავად-აზნაურები აჯანყების მოხდენაზე დამეყოლებინა. მე უარს ვეუბნებოდი იმერეთში წერილების წაღებაზე, ამიტომ ჩემი გამგზავრების დროს მათ მთხოვეს სიტყვიერად განმეცხადებინა შეთქმულება თავადების ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეებისათვის, ბესო ლორთქიფანიძისათვის და სხვა წარჩინებულ პირთათვის, და დამერწმუნებინა ისინი, რათა ქართველი თავადაზნაურობისათვის მიებაძათ. ისინი ამბობდნენ აგრეთვე, რომ პოდპოლკოვნიკ თავად გრიგოლ წერეთელსა და სხვა იმისთანებს თვითონ გადმოიბირებენ. იმერეთში ჩასვლისას მე ამ დავალების შესახებ არავისთვის გამომიცხადებია, გარდა გიორგი ჩიჯავაძისა და ბესო ლორთქიფანიძისა, რომელიც ორივემ სიხარულით მიიღეს ეს ცნობა და თქვეს: „ღმერთმა ინებოს, რომ ეს მოხდეს, ჩვენ მათ არ ჩამოვრჩებით და საერთო ძალით ვიმოქმედებთო". უკანასკნელს ამათგანს ეს უფრო იმიტომ უხაროდა, რომ მის სიძეს ვახტანგს[1] (რომლის შესახებაც ზევით ითქვა), მიეცემოდა საშუალება თავის ოჯახს დაბრუნებოდა.

---

[1] დავით მეფის უკანონო შვილი, რომელიც მოხსენებულია თ. ლორთქიფანიძის ამ ჩვენებაში.

ჩემს შემდეგ თბილისიდან იმერეთში ჩამოვიდა ჩემი მეზობელი, ნიკო ჩიჯავაძის აზნაური, ზალიკო ჩახუნაშვილი, რომელიც იქ იყო ორი კვირა. ერთხელ მე ვიყავი ნიკო ჩიჯავაძის სახლში. სადაც მოხსენებული ზალიკოც მოვიდა, იქ იყო აგრეთვე თავადი ბესო ლორთქიფანიძე, და ეს სამივე, დამტოვეს რა მე მისავალ სახლში (სადაც იმყოფებოდა თავად ნიკო ჩიჯავაძის მეუღლე), გავიდნენ მეორეში. იქ ზალიკომ დაუწყო მათ თხრობა აჯანყების მოხდენისა და რუსების გაწყვეტის მიზნით საქართველოში არსებულ შეთქმულებაზე, დაუმატა რა ამასთანავე, რომ საქართველოში მას, ზალიკოს, დაავალეს აცნობოს ეს იმერელ თავადებსა და აზნაურებს, რათა ესენი მოქმედებისთვის მზად იყვნენ. მოხსენებული თავადები აცხადებდნენ თავიანთ მზადყოფნას და ამბობდნენ, რომ თუ ღმერთი ინებებს და ეს მოხდება, ისინი თავს გასწირავენ. ეს საუბარი მე თხელ კედელთან მჯდომს აშკარად მესმოდა და თვით ბესო ლორთქიფანიძემ ყველაფერი მიამბო იქიდან რომ გამოვიდა, რადგანაც ადრევე მე მასთან განცხადებული მქონდა.

ამის შემდეგ მე აღარა გამიგონია რა აქ[1] რა ხდებოდა; აღარავითარი ურთიერთობა შეთქმულებთან არ მქონია და ალექსანდრე ორბელიანოვისათვის არ მიცნობებია ზემოდასახელებული თავადების თანხმობა. ალექსანდრე ორბელიანოვი კი მაშინ გურული თავადის ზურაბ ერისთავის წერილში სალამს მითვლიდა და მწერდა, რატომ თბილისში არ მივდივარ და რატომ არ მინდა მისი ნახვა.

შეთქმულთა კრებაზე თბილისში არსად არ ვყოფილვარ, იმის გარდა, რომ ვიყავი ხოლმე ალექსანდრე ორბელიანოვთან და გიორგი ერისთოვთან. მე იქ ბევრს ვხედავდი, მაგრამ მათი არც სახელი და არც გვარი არ ვიცი და ამ ორი პირის გარდა, არავის შეთქმულებაზე არ ულაპარაკიათ. ამ კრების დროს კი რას ლაპარაკობდნენ, მე არაფერი შემიძლიან ვთქვა, რადგან ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ და მე მათი არაფერი მესმოდა.

იმერეთში გამგზავრების დროს მაჩუქეს ალექსანდრე ორბელიანოვმა სამი ჩერვონეცი, ხოლო გიორგი ერისთოვმა ფარაჯა, ნაბდის ნაცვლად, რომელიც მე მას სამგზავროდ ვთხოვე.

თავადებმა ნიკო ჩიჯავაძემ და ბესო ლორთქიფანიძემ ჩემი აქეთ გამომგზავრების წინ გამაფრთხილეს, რათა ისინი არ გავცე და მათზე ცუდი არაფერი ვთქვა.

---

[1] თ. ლორთქიფანიძე ჩვენებას თბილისში იძლევა.

თბილისში დავდიოდი აგრეთვე იასე ფალავანდიშვილთან, მაგრამ მას ჩემთვის საეჭვო არაფერი უთქვამს.

კომისიის დავალებით ესე ჩვენება ლორთქიფანიძის სიტყვებიდან გადმოვიღე პოდპოლკოვნიკმა ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა.[1]

26 თებერვალს, 1833 წელს.
ქ. თბილისი.

მამუკა ორბელიანის ჩვენება (IX, 1041)

26 თებერვალი, 1833 წ.

კ ო მ ი ს ი ა ს

25 რიცხვს თავად ელიზბარ ერისთავთან პირისპირ წაყენების დროს, სადაც მე ვუთხარი ელიზბარ ერისთავს, რომ მან დაივიწყა ღმერთი, კეთილმყოფელი იმპერატორი თვისი, რომელმაც დაუბრუნა მას ქართველი მეფის მიერ ჩამორთმეული მამული და გლეხები, და რომ მან წამლით მოკლა თავისი მამა, ამიტომ რა გასაკვირია, რომ მან ჩემზე უსამართლოდ აჩვენოს მეთქი. იგი შეურაცხყოფილი დარჩა იმით, რომ მე ვუთხარი მამა მოჰკალი მეთქი და მოითხოვა ჩემგან ამის დამტკიცება, რაზედაც მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩემი ცოლისა და მისი ძიძის დარიას ქ. გორში ყოფნის დროს მათ ხელში გარდაიცვალა ელიზბარ ერისთოვის მამა. მათ მიამბეს ამ სიტყვებით რომ ორი წამალი იდგა შუშებით ოთახში. ერთში სპირტი იყო ავადმყოფის დასაზელად, მეორეში კი დასალევი იყო და ავადმყოფს წამალს მუდამ ელიზბარი ასმევდა და როცა დაალევინა მას იმ დროზე, როგორც ექიმისაგან ნათქვამი იყო, ავადმყოფმა რამდენიმე ხნის შემდეგ თქვა თურმე, რომ მას გული ეწვის და ცალე კიდეც გარდაიცვალა: შემდეგში გამოირკვა, რომ ავადმყოფს სპირტი დაულევია და არა საჭირო წამალი. და თუ მე ეს უადგილოდ მოვიხსენიე იმ ჯავრიანობის გამო, რომელიც ელიზბარ ერისთოვმა თავისი უსამართლო ჩვენებით ბრძანაყენა, — უმორჩილესად ვთხოვ კომისიას მომიტევოს როგორც ადამიანს; ხოლო თუ ელიზბარ ერისთოვი თავისას დაიჟინებს, მაშინ მეც უმორჩილესად ვთხოვ კომისიას დაგვიმტკიცოს სად და ვინ გვცემა მე და სოვეტ-

---

1 ჩვენება რუსულია.

ნიკ ზუბარევს, როგორც მან ეს მითხრა კომისიაში ამ კომისიის სხდომის დროს.[1]

ლეიბ გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუჩიკი თავადი
მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (IX, 1653)

1831 წელს ჩემი ძმა ალექსანდრე და ელიზბარ ერისთოვი ამბობდნენ პაუშენკომ იცის ჩვენი შეთქმულებაო; მეც მახსოვს, რომ ისინი მას ამაზე ჩემი თანდასწრებითაც ორჯერ ელაპარაკნენ. როგორც მახსოვს პაუშენკო გვირჩევდა გადმოგვებირებინა ჩვენს მხარეზე თავადი ჭავჭავაძე და უფროსი თავადიშვილები.

პორუჩიკ ნათალოვისაგან გავიგონე ეს სიტყვები: წარმოიდგინეთ, რა გავიგე? ერთმა მოხელემ მითხრა, ვითომ[2] ზაველეისკი აქ შეთქმულებას აწყობს მთავრობის წინააღმდეგ და თითქოს მას უკვე მოუსწრია 90 მოხელის თავის მხარეზე გადაბირება.[3]

როცა მე ჩემს ძმას ალექსანდრესა და თავად აბხაზოვთან ერთად ვცხოვრობდი,[3] — გავიგონე მათი შემდეგი საუბარი: მე ვილაპარაკე კომისიაში — თქვა თავადმა აბხაზოვმა, რომ ნათალოვმა იცოდა თქვენი შეთქმულება. ვინ გითხრა შენ ეს? ჰკითხა ჩემმა ძმამ. შენ მითხარიო, — უპასუხა აბხაზოვმა. როდის გითხარი? ჰკითხა ჩემმა ძმამ. როგორ? განა შენ არ მითხარი ნათალოვმა იცის ჩვენი შეთქმულებაო? მიუგო აბხაზოვმა. არა არ მითქვამსო, უპასუხა ჩემმა ძმამ.

საუბრის შემდეგ აბხაზოვი ოთახიდან გავიდა, მე ვკითხე ძმას:

---

1 ხმა იყო გავრცელებული ელიზბარმა თავისი მამა მოწამლა როგორც რუსოფილიო. მამუკა ორბელიანს უცდია ელიზბარის ასეთი საქციელით დაემტკიცებინა საერთოდ მისი უზნეობა, რომელსაც, ვითომდა, ადვილად შეეძლო ამ უკანასკნელისათვის ცილის დაწამება. მაგრამ რადგან მამის მკვლელობის ფაქტი, ისიც აღნიშნული მოტივით, ელიზბარს საქმეს დაუმძიმებდა, პუნქტარიელია, რომ იგი ამ ბრალდებას წყრომით გამოეხმაურებინა, რასაც მამუკასა და ელიზბარს შორის მთელი ინციდენტი წარმოუშვია. მამუკას და ზუბარაევის ცემის გარემოება არ ირკვევა.

2 აქ ნათქვამი ზავილეისკის მიმართ სინამდვილეს არ შეეფერება (იხ. (Акты, т. VIII). მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ზავილეისკის მონაწილეობა შეთქმულებაში იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ასეთი ხმების გავრცელებასაც კი იწვევდა.

3 საპყრობილეში ერთ საკანში ცხოვრებაზეა ლაპარაკი.

განა ნათალოვმა იცოდა შეთქმულება? დიახ, — მიპასუხა ჩემმა ძმამ, — მე ვუთხარი ასს.

ამის მეტი ნათალოვზე მე არა ვიცი რა და არც უწინ გამიგია, რომ მას ჩვენი შეთქმულება სცოდნოდა. და ის გარემოება, რასაც ჩემი ძმა აჩვენებს, ჩემთვის უცნობია.

1831 წელს გიორგი დავითის ძე ერისთოვმა გააცნო ჩემ ძმას ალექსანდრეს იმერელი ლორთქიფანიძე, რომელსაც ჩემი ძმა ალექსანდრე, გიორგი ერისთოვი და ელიზბარ ერისთოვი ელაპარაკნენ შეთქმულებაზე. და მას შემდეგ, რაც ის წავიდა, მისგან აღარავითარი ცნობა აღარ მოსულა.

ერთ კვირა დღეს, დილით, 1832 წლის ოქტომბერში მოვიდა ჩვენთან თ. იასე ფალავანდიშვილი; ჩემი ძმა ალექსანდრე შინ არ იყო და მხოლოდ მე დავხვდი მას.

ჯერ სხვა რამეებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა, ელიზბარ ერისთოვმა სთქვაო, რომ მას შეუძლიან გადმოიბიროს მელნიკოვიო.

1831 წლის გაზაფხულის დამდეგს პრაპორშჩიკ მამაცოვთან სადილად იყვნენ: ელიზბარ ერისთოვი, გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ჯორჯაძე, იოსებ მამაცოვი და მე. ჩვენ იქ დავლიეთ თავადსუფლებისა და დიმიტრი ბატონიშვილის სადღეგრძელო და წარმოვთქვით მთავრობის შეურაცხმყოფელი სხვადასხვა სიტყვები, ხოლო როდესაც ვუთხარით პრაპორშჩიკ მამაცოვს დროა რუსები საქართველოდან გავაძევოთო, იგი სრულ მზადყოფნას აცხადებდა ამაზე. შეთქმულებაზე კი მისთვის არა გვითქვამს რა.

ჩემი ძმის ალექსანდრესაგან გამიგონია თავადმა ივანე ბარათოვმა იცის ჩვენი შეთქმულებაო.

მღვდელ იოსელიანოვზე არა ვიცი რა.

1832 წლის ადრე გაზაფხულზე მივედი თავად ელიზბარ ეროისთოვთან. იქ დამიხვდნენ: თვით ელიზბარი, მისი ძმა დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთოვები. მაშინ გიორგი ერისთოვმა ამოიღო ჯიბიდან აქტი და თქვა, — მე თქვენ რომ გაჩვენეთ აქ ნათქვამია, უნდა დავიფიცოთო. მაშ დაიფიცეთო. რის შემდეგაც მან ასწია მარჯვენა ხელი მაღლა და დაიწყო აქტის კითხვა. ჩვენ ამაზე სიცილ-ლ დავაყარეთ და მან თვითონაც კითხვა შეწყვიტა და სიცილი დაიწყო.

დოდაევთან რომ ვიყავით ვახშმად, იქ გავიგონე ეს სიტყვები თავად აბხაზოვისაგან: კარგად იფიქრეთ, თუ თქვენ მართლა აპირებთ შეთქმულების შედგენას, მე შემიძლიან გადმოვიბირო იაგორ ჭილაევიო.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წლის 28 თებერვალი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1655)

თავად მამუკა ორბელიანოვზე გამიგონია თავად ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ იგი 1831 წელს ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდაო. წელს კი უნდოდათ აგრეთვე ეთქვათ მისთვის, მაგრამ იგი ავად გახდა.

ბატონ პაუშენკოზე გავიგონე ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ ის 1831 წელს იცოდა ეს განზრახულება; მეტი ამის შესახებ არა ვიცი რა.

ნათალოვზე, ხერხეულიძეზე, ახვერდოვზე, თავად ჯორჯაძეზე და მამაცოვზე გამიგონია თავად ფალავანდიშვილისაგან, თავად ელიზბარ ერისთავისა და თავად ალექსანდრე ორბელიანოვისაგან, რომ ზოგი მათგანი სურდათ დაენიშნათ პოსტებზე. ზოგი კი სადარაჯოებზე, ჯორჯაძესა და მამაცოვზე კი მათგანვე გამიგონია, რომ ისინი ამ განზრახულების თანახმა იყვნენ. დანარჩენებზე კი, იმის მეტი, რაც ზემოთ ვაჩვენე, არა ვიცი რა და ჩემთვის სრულებით არავის უთქვამს თანახმა იყვნენ ისინი თუ არა. და აგრეთვე იმ პირთაგან, არ მახსოვს, რომ ჩემთან სხვა ვინმე ეხსენებინოთ. მგონია, ფალავანდოვი ვიღაც რუსთაგანს, რომლის გვარიც არ მახსოვს, ასახელებდა ხოლმე; დანამდვილებით არ შემიძლიან ვთქვა, მაგრამ ასე კი მახსოვს.

პორუჩიკი თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

თებერვლის 28, 1833 წ.

ლევან ერისთავის ჩვენება (IX, 1661)

იოანე ბარათოვის, ზაალ ალაბეგიშვილის არც არა გამიგონია რა და არც მილაპარაკნია; დადიანის დავითის არც არა გამიგონია რა. და აქ დაჭერილი რომ ვიყავ, მაშინ ლუარსაბ და მე ერთად ვიდექით და იმან მითხრა მელნიკოვმაც იცისო, პაუშენკოვისაც აქ მითხრა ლუარსაბმა ელიზბარმა მითხრაო იმანაც იცისო. ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეებს მე ვერ ვიცნობ და არც არა გამიგია რა იმათზე. გრიგოლ წერეთელი ერთხელ მინახამს, პატარა ვიყავ; მას აქეთ არც მინახამს არც მილაპარაკია და არც არა ვიცი რა იმისი. მე აქ ქართლში არავისგან გამიგონია თუ იმერეთში იცოდა ვინმე ეს საქმე. მე

მყავს ორი ბიძა იმერეთში ბაჟა და ყარამან, მაგრამ ამ საქმეზე არც ერაცი გამიგზავნია. არც არა იცოდნენ რა იმათ ჩემგან.[1]

პრაპორშჩიკი თავადი ლეონ ერსითავი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (IX, 1665).

კომისიას!

ლაშქრობაში ყოფნის დროს ახლოს გავიცანი თავადი დადიანი პიგრელსკი, ხშირად ველაპარაკებოდი მე მას რუსებზე, რომ ისინი ძლიერ გვავიწროებენ მეთქი და ვაგრძნობინებდი მას. ერთხელ ცხენებით მივდიოდით და ბაასში გავერთეთ, მან მიამბო როგორ მიიღო ხელმწიფისაგან სიგელი და როგორ უხაროდა მას იგი; ამბობდა აგრეთვე, რომ როცა ჩემს მამულს მივიღებ, მას ასე და ასე მოვაწყობო, მაშინ მე ვუპასუხე, იცოდე დავით, რუსებმა შენც ისე არ გიყონ როგორც დავით ბატონიშვილს, ისიც ხომ მემკვიდრე იყო, მაგრამ წაართვეს მეთქი. მან გაიცინა და სთქვა, დიახაც, მეც მეშინიანო. ხშირად თუმცა გვქონია ასეთი საუბარი და ბევრჯერ დაძიპირებია გამომეცხადებინა მისთვის, მაგრამ ვერ მოვახერხე. როცა ალექსანდრე ორბელიანოვი და სხვები დააპატიმრეს, ის მიმხვდარი იყო ჩემზეც და მეუბნებოდა, გიორგი, შენზე ძალიან მეშინიანო. ზოგჯერ ვეუბნებოდი მას, რომ მე ყველაფერი ვიცი მეთქი, და ხშირად ვაჩვენებდი სიმშვიდეს.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი.

28 თებერვალი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (IX, 1671)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე თავად მამუკა ორბელიანოვის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ, მაქვს პატივი განვმარტო.

1831 წლის ზაფხულში, მგონია ივნისი იყო, მივედი მამუკა ორბელიანოვთან, რათა ჩვენი განზრახული გაჰომეცხადებინა. ოთახში მასთან სხვებიც იყვნენ: მე გავიხმე იგი ეზოში და ვუთხარი შენთვის დიდი საიდუმლოება მაქვს სათქმელი, იმ პირობით, თუ არავის

[1] ჩვენება ქართულად არის დაწერილი, უსასვენნიშნებოდ.

ეტყვი მეთქი. მან აღმითქვა, რომ საიდუმლოს შეინახავდა. მე მას განვუცხადე ჩვენი განზრახული და მან აღმითქვა მონაწილეობის მიღება; ამასთანავე, დაუმატა, რომ იქამდე არ შეიძლება არაფრის დაწყება, ვიდრე პურის მოსავლის აღება არ დამთავრდებაო. მე ვთხოვე მას მოსულიყო იგი სადილად ალექსანდრე ორბელიანოვთან ბაღში, სადაც სხვა მონაწილენიც იყვნენ. ის შეპპირდა, მაგრამ ვეღარ მოვიდა, ნაცნობებმა შეუშალეს ხელი, ბოდიში მოიხადა, რომ ვერ მოვიდა; ჩვენ კი ღიდხანს ვუცადეთ. ამის შემდეგ ერთხელ ჩემთან იყო სადილად გიორგი ერისთოვი და სადილის შემდეგ მამუკა ორბელიანოვის სახლიდან სიმღერა შემოგვესმა და წავედით მასთან; იქ სტუმრები დაგვხვდნენ. ჩვეულებრივ მისალმებათა შემდეგ მამუკამ ცალკე გამიხმო და მკითხა შეთქმულების საქმე როგორ მიდისო, ან რამდენი მონაწილეაო, ამ საუბარში გიორგიც იქ იყო და ჩვენ დაწვრილებით ვუამბეთ, შემდეგ ვილაპარაკეთ პოლონელების შოქმედებაზე და საუბარი იმით დასრულდა, რომ შევთანხმდით აჯანყება შემოდგომაზე დაგვეწყო. აგვისტოში ქართლში წმინდა გიორგის დღეობაზე[1] მივიღეთ თბილისიდან ალექსანდრე ორბელიანოვის წერილი, რომელიც მოგვიწოდებდა ჩვენ ყველას თვითეულს სახელდებით და მათ შორის მამუკასაც, თბილისში ჩამოვსულიყავით და აჯანყება დაგვეწყო.[2] მე ეს წერილი ყველას ვაჩვენე და აგრეთვე მამუკა ორბელიანოვსაც, მან მითხრა, პირდაპირ თბილისში წავალო. ეს წერილი გიორგი ერისთოვსაც ვაჩვენე.

ელიზბარ ერისთოვი.

28 თებერვალი, 1833 წ.

მე დავპატიჟე მამუკა ორბელიანოვი სოვეტნიკ ორბელიანოვთან ერთად ბაღში სადილად, მაგრამ ის არ მოვიდა და შემდეგ, როცა მე და სოვეტნიკმა სამდურავი ვუთხარით, მან გვიპასუხა, რომ ივანე მიხეილის ძე ერისთოვმა შეუშალა ხელი, რომ იგი ჩვენ გვენდობა, მაგრამ ყველას ნდობა არ შეუძლიან.

ელიზბარ ერისთოვი.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (IX, 1677)

1831 წლის მარტის პირველს. საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი განვაცხადო.

---

1 სოფ. არბოში.

2 ეს წერილი, რომელიც ჩვენთვის ერთვალმხრივ იქნებოდა საინტერესო, შენახული არ არის.

1-ლი ლაშქრობიდან დაბრუნებული თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი მოვიდა ჩემთან და მასწავლებელ ყიფიანოვთან გიმნაზიაში, სადაც სხვათა შორის, გვეკითხებოდა შეთქმულებაზეც. ჩვენ ვაცნობეთ მას, რომ ჩვენი განზრახვა უკვე გამოვუცხადეთ თავადებს: ძატონ გენერალ-მაიორ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გვარდიის კაპიტან ზაქარია ჩოლოყაევს, ანტონ აბხაზოვსა და იასე ფალავანდოვს. ხოლო მე გადავეცი მას ჩემს მიერ არა თვით თავად აბხაზოვისაგან, არამედ თავად ელიზბარ ერისთოვისაგან გაგონილი, რომ, ვიოომც: ვენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ და აბხაზოვმა შეთქმულების შესახებ რჩევა ჰკითხეს სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევს, მაგრამ მას მათთვის იგი არ ურჩევიაო. თავადმა ელიზბარ ერისთოვმა გასული 1832 წლის დეკემბრის დამდეგს მითხრა, რომ ჭავჭავაძეს ჩვენი სურვილის შესრულება შეუძლებლად მიაჩნია, არა თანხმდებაო და თვით თავადი აბხაზოვიც მისივე აზრისააო, ამტკიცებენ, რომ ქართველები ჯერ გაუნათლებელნი არიან და ამაზე ფიქრი ძალიან ნაადრევიაო.

რადგანაც თავადები ჭავჭავაძე და აბხაზოვი ჭილაევის დიდი მეგობრები არიან, ამიტომ ელიზბარ ერისთოვი ფიქრობდა, რომ მათ ჭილაევს ყველაფერი გამოუცხადეს და მან დაბრკოლებებზე მიუთითეთ. ამ შეხვედრის დროსვე გიორგი ერისთოვმა გიმნაზიაში გამოგვიცხადა, რომ ლაშქრობის დროს მან ახლო გაიცნო დავით დადიანი, რომელმაც თითქოს გაიგო მისგან ეს განზრახვები, იწონებდა და თვითონაც მზად იყო მონაწილეობა მიეღო ჩვენს განზრახვაში; ერისთოვი აგრეთვე გვარწმუნებდა, რომ მან ჰპოვა მასში პატრიოტი.

2-ე თავად ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან გავიგონე როგორც ის, რომ შეთქმულება იციან მამუკა ორბელიანოვმა, პაუშენკომა და პრაპორშჩიკმა მამაცოვმა, აგრეთვე ისიც, რომ მათ იმერეთის მცხოვრებთა შეთქმულებაში ჩათრევის მიზნით, დიდიხანია იქ გაგზავნეს ვიღაც, რომლის სახელი და გვარი მე არ ვიცი; არც ის ვიცი გადმოიბირა მან ვინმე თუ არა.

ამას გარდა, თავად ვახტანგ ორბელიანოვმა 1832 წლის ნოემბერში მითხრა, რომ თამარ ბატონიშვილის საშუალებით ამას წინათ ორი ძმა აღმოვაჩინეთ თავადები თარხანოვები, რომლებსაც თითქოს სწადებიათ აგრეთვე მთავრობის წინააღმდეგ რიღაცის წამოწყებაო.

3-ე. აქვთ თუ არა რამე დამოკიდებულება შეთქმულებასთან კოლეჟსკი სოვეტნიკ მელნიკოვსა და პორუჩიკ ნათალოვს, ან იცოდნენ თუ არა მათ შეთქმულება, მე არ ვიცი.

4-ე. რაც შეეხება აქტს, რომელიც მე და მასწავლებელ ყიფიანოვს თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთოვმა წაგვიკითხა, უკვე პატივი მქონდა განმეცხადებინა ამის შესახებ ჩემს მიერ საგამომძიებლო კომისიისათვის წარდგენილ 2 იანვრის ჩვენების დამატებაში.

ამას გარდა, მაქვს პატივი დავუმატო კიდევ შემდეგი:

გიმნაზიაში ჩვენი საუბრის დროს პრაპორშჩიკმა თავად გიორგი ერისთოვმა გვითხრა მე და ყიფიანოვს, რომ იგი ლაშქრობაში ყოფნის დროს ელაპარაკა ბევრ გადმოსახლებულ პოლონელს და ისინი მზად არიან საჭირო შემთხვევაში ხელი შეგვიწყონ და დაგვეხმარონენო, თუმცა არ მოუხსენებია ამ პოლონელების არც ერთის გვარი და სახელი. გავიგონე აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანოვისაკენ და ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ შეთქმულების შესახებ მათ გამოუცხადეს პოლკოვნიკ თავად ივანე ანდრონიკოვს, როცა იგი ჩამომხდარი იყო ბატონ დოდაევთან და რომ აგრეთვე იცის შეთქმულება თავადმა ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვმაო. ამას გარდა, ისინი ფიქრობდნენ გამოეცხადებინათ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად შერვაშიძისათვის. გვარდიის კაპიტანმა თავადმა ზაქარია ჩოლოყაევმა ნოემბერში, თუ 1832 წლის დასაწყისში ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში, სადაც სადილად იყვნენ აგრეთვე მასწავლებლები ყიფიანოვი და დოდაევი, — თქვა რომ ის და ბატონი დოდაევი ამას წინათ სადილად იყვნენ მაიორ თავად დიმიტრი ორბელიანოვთან, რომელიც, ვითომც, აგრეთვე აგინებდა მთავრობას და სუფრაზე ისიც კი განაცხადა, რომ საქართველოში თუ რამე მოხდება, ის მაშინ გამოაჩენს, თუ როგორ შეუძლიან ჯარის უფროსობაო და დიმიტრი ორბელიანოვის საუბრიდან ჩელოყაევს გამოუტანია დასკვნა, რომ ივი უარს არ იტყვის ჩვენს განზრახვაზეო.

მასწავლებელი ავთანდილოვი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1079)

კომისიას!

მამაცოვთან რომ ვიყავით სადილად, აქ იყო აგრეთვე ერთი ქერა კაცი, რუსულ ტანისამოსში გამოწყობილი, რომლის არც გვარი და არც სახელი არ ვიცი, ხშირად კი ვხედავდით, რომ ჯორჯაძესთან დაიარებოდა.

პოლონურ ოფიცრებზე იმის მეტი არ ვიცი რა, რომ ლაშქრობის

დროს ერთხელ ვახშმად ვიყავი თავად ზაქარია ციციანოვთან და იქ იყო აგრეთვე დრაგუნთა პოლკის პოლონელი პრიჩეპლავსკი, — ის გვიამბობდა დიდი მთავრის შესახებ, რომ პოლონელებს იგი მეტს მეტად უყვართო, გვიამბობდა დუელებზე, პოლონეთის ომზე, პოლოს რაღაც თქვა ქართველებზე, მაგრამ არ მახსოვს, მე კი ვუთხარი, ჩვენში ასეთი არავინ არის, რომ ეგ იგრძნოს მეთქი. იგი წამოდგა და მიპასუხა, მერწმუნეთ თავადო, რომ თქვენშიაც იგრძნობენ, როდესაც ჯარის ბეგარას (воинскую повинность) შემოიღებენო და გავიდა.

პოლონელ ოფიცერთან სხვასთან არავისთან მქონია საუბარი და სრულებით არავისთვის არ გამომიცხადებია რამე ჩვენი შეთქმულების თაობაზე და არც მახსოვს, რომ ამაზე ავთანდილოვისა და ყიფიანისათვის მეთქვა რამე: მე მაშინ ვეტყოდი არამარტო ამას, არამედ ყველა ჩემს ამხანაგებს, თუ რომ ლაშქრობის დროს ვისთვისმე გამომეცხადებინა, მაგრამ არავისთვის გამომიცხადებია. აქ იყვნენ ზაქარია ციციანოვი და ალექსანდრე ორბელიანოვი, რომელთაც იცოდნენ შეთქმულება, მაგრამ მათთანაც კი საუბარი არა მქონია.

მელნიკოვზე, ახვერდოვზე და ხერხეულიძეზე სრულებით არავიცი რა და მათზე ჩემთვის არავის რა უთქვამს.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოკი.

28 თებერვალი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1688)

აქტი[1] წავუკითხე ავთანდილოვსა და ყიფიანოვს ყიფიანოვის სახლში, გაიმეორეს ფიცი. შემდეგ ამისა, წავუკითხე ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებსა და ელიზბარ ერისთოვს, მათაც გაიმეორეს ფიცი, ბაღში კი წავუკითხე რაზმაძეს; ჯერ მან მე წამიკითხა და მერე მე წავუკითხე, მაგრამ არ მახსოვს ფიცი გაიმეორა მან თუ არა. ჩემს ბინაზე წავუკითხე თარჯიმან მამაცოვს და მგონია, იმანაც გაიმეორა ფიცი, ჯორჯაძეს არ მახსოვს სად წავუკითხე, ან ვინ წაუკითხა მას. ამის შემდეგ დოდაევმა გამომართვა. მანანა ორბელიანმა იცოდა თუ არა ჩვენი შეთქმულება 1831 წელს, არ ვიცი, მე მასთან არ მილაპარაკნია და არც ვისმეზე უთქვამს მან იცისო.

---

[1] აქტი გონიური.

როდესაც ლორთქიფანიძეს ვგზავნიდით, ჩვენ მას წერილობითი დარიგება მივეცით, რომელიც სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, რადგან იგი ჩემი დაწერილი კი არა, ალექსანდრე ორბელიანოვის დაწერილი იყო. იგი იმას შეიცავდა, რომ, ჯერ ერთი, უცბად არავისთვის უნდა გამოეცხადებია, მეორე, უნდა გაეგო ადამიანის ხასიათი, შეიძლებოდა თუ არა მისი ნდობა, და მერე თანდათან გამოეცხადებინა, ბესამე თვითონ ვისაც გაუმჟღავნებდა, ესწავლებინა მისთვისაც, რათა ისიც ისევე მოქცეულიყო, მე მეტი არა მახსოვს რა. ლორთქიფანიძეს არ უთქვამს ჩვენთვის, რომ ის წერა-კითხვის უცოდინარია. კოჭლ კაცს, რომელსაც იხსენებს ალექსანდრე ორბელიანოვი, რომ მას ლორთქიფანიძემ გააცნო, მე არ ვიცნობ და არც ალექსანდრეს უთქვამს რამე ჩემთვის.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთავი.

1 მარტი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (X, 1693)

კომისიას!

მაქვს პატივი განუმარტო კომისიას:

1831 წელს კოლეჟსკი სოვეტნიკმა მელნიკოვმა იცოდა ჩვენი შეთქმულება და წამოწყება, იგი თავის მხრივ გვამხნევებდა და დარიგებას გვაძლევდა, დაწვრილებით კი არ მახსოვს.

1832 წელს, როდესაც ჩვენ განზრახვაზე ხელი ავიღეთ, მაშინ იგი როგორც მე ისე ელიზბარ ერისთოვს გვარიგებდა ჩემად იყავით და ამაზე არვის რა უთხრათო, გვეუბნებოდა, ეს თუ გაიგეს, სასტიკად დაგსჯიანო.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

1 მარტი 1833 წ.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (X, 1609)

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკ მამაცოვთან 1831 წელს იყვნენ თავადები: ელიზბარ ერისთოვი, თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი ჯორჯაძე, კავალერიის პრაპორშჩიკი თავადი

გიორგი ერთისთოვი, ვახტანგ ორბელიანოვი, მე და კიდევ ერთი კაცი, რომელიც მაშინ ჯორჯაძესთან იყო ჩამომხდარი და რომლის სახელი და გვარი არ ვიცი. აქ სადილის დროს, ხსენებული ოფიცრები მეტისმეტად აქებდნენ დიმიტრი ბატონიშვილს, ლაპარაკობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს და ყველანი სვამდნენ დიმიტრი ბატონიშვილისა და თავისუფლების სადღეგრძელოს.

ბ. ბ. მამაცოვი და ჯორჯაძე აგრეთვე ლაპარაკობდნენ მათი პოლკის ცუდ მდგომარეობაზე, ხოლო პირველი მათგანი, თამარ ბატონიშვილთან აღზრდილი, — დიმიტრი ბატონიშვილის დასთან—ამბობდა, რომ მას აგრეთვე იმედი აქვს სამოსწავლო ბატალიონისა, ის მოახერხებს — როგორც მას ჰგონია, — რომ ბატალიონი მათ მხარეს დაუჭერს. თავად მამუკა ორბელიანოვთან, აგრეთვე პორუჩიკ ნათალოვთან არასოდეს მქონია რისიმე შესახებ საუბარი და მათ შესახებ არც არა ვიცირა იმის მეტი, რომ სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და პოდპორუჩიკი ელიზბარ ერისთოვი ამბობდნენ. მამუკა ორბელიანოვმა იცის ჩვენი განზრახული და ძალიანაც მოსწონსო; პორუჩიკი ნათალოვი კი სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ცხოვრობდა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ უთქვამს ჩემთვის არაფერი, იმის შესახებ იცოდა თუ არა ნათალოვმა შეთქმულება. პრაპორშჩიკ თავად ჯორჯაძეზე იმის მეტი არა ვიცი რა, რაც უკვე ვაჩვენე. დუშეთის ისპრავნიკ პაუშენკოსთან ნაცნობობა არასოდეს არა მქონია და შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ არავისგან არ გამიგია. სამოსწავლო ბატალიონის მომზადებაზე იმის მეტი, რაც პროპორშჩიკმა მამაცოვმა სადილზე ილაპარაკა, მეტი არაფერი ვიცი.

კოლეჟსკი სოვეტნიკ მელნიკოვზე იმის მეტი არაფერი ვიცი, რომ როდესაც მისი ცოლის ძმა არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთოვი ჩამოვიდა სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში, მას — მელნიკოვს — საქმე ჰქონდა სუდა ი რასპრავის ექსპედიციაში, სადაც მე ვმსახურობდი, დაიარებოდა იქ და მთხოვა გამეცნო იგი ერისთოვი, რომელსაც ძალიან აქებდა, რომ მე მასთან მქონოდა მჭიდრო ურთიერთობა და მეგობრობა.

განვმარტე რა ყველაფერი, რაც ვიცოდი შეთქმულებაზე და ეგრძნობ რა ჩემს უდიდეს დანაშაულს ამ საზოგადოების სიმშვიდის დამრღვევ კრებულთან ნაცნობობის გამო, დავსტირი რა მწარედ ჩემს შეცოდებას, აღარა დამრჩენია რა სანუგეშოდ, თუ არა მხოლოდ უსაზღვრო გულკეთილობა უაგუსტესი მონარქის, ყველა ქვეშევრდომთა ღირსეული მამისა.

კანცელარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი

1 მარტი 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (X, 1707)

განმარტება, წარდგენილი საგამომძიებლო კომისიაში კავალერის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვის მიერ.

ოებერვალი 28. 1833 წ.

ეხლა მომაგონდა, რომ თავადმა ზაზა ერისთოვმა იცოდა ჩვენი განზრახულება 1831 წელს, ის ამბობდა: ნუთუ ჩემთვის უმჯობესი აო არის მოვკვდე, ვიდრე ასეთი ტანჯვა ავიტანო. სიცოცხლე აღარ შემრჩა ამდენი უსამართლო წამებითაო. ის ძალიან გამწარებული იყო და სჩიოდა ხან თავის სამსახურზე და ხან გლეხების საჩივრებზე.

1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი მეუბნებოდა: მოდი, მუხრან ბატონსაც მე გამოვუცხადებო, მერე კი თქვა, ბიძინა დავით მუხრანსკისთან მეგობრობს და მას გამოვაცხადებინებ დავით მუხრანსკისთანაო. მაგრამ მე არ ვიცი ელაპარაკენ მუხრან ბატონს თუ არა.

1832 წელს ელიზბარ ერისთოვი მეუბნებოდა ეს შეთქმულება იცის დუშეთის ისპრავნიკმა პაუშენკომაო.

ზურაბ ჭავჭავაძემ იცოდა ჩვენი განზრახული, — არ ვიცი ვინ გამოუცხადა მას, მაგრამ ის ერთხელ, აღარ მახსოვს 1831 წლის დამლევს თუ 1832 წელს, მოვიდა ჩემთან და მითხრა „ლუარსაბ! თუ მართლა მოხდა რამე, შენ დაინახავ მთელი კახეთი რას იზამსო"; მას სურდა კვლავ განეგრძო საუბარი, მაგრამ მე რაღაც საქმის გამო მეორე ოთახში გავედი და ამით მისი საუბარი დასრულდა.

1832 წელს თავადი ქაიხოსრო ჯავახოვი მოვიდა ჩემს სახლში ოავის ბიძაშვილით. ჩემ დისწულ მიხეილ ჯავახოვთან ერთად, მაშინ ისინი სოფელში წასვლას აპირებდნენ. ქაიხოსრომ მოითხოვა საუზმე და თქვა, რომ ისინი უნდა გაემგზავრნენ.

საუზმეზე ქაიხოსრომ მითხრა: „მე მეუბნებიან აქ არეულობა უნდა მოხდესო, მე კი ეს ნაკლებ მაწუხებს, რადგან მაქვს ისეთი მაგარი ადგილები, სადაც შეჭრა ძალიან ძნელია, — იქ შევიკეტებიო". მიხეილ ჯავახოვმაც დაუდასტურა, რომ მათ მაგარი ხეობები აქვთ. შემდეგ ისინი თავის სოფელში წავიდნენ. მე მგონია ამ ქაიხოსროს 1831 წელსვე უნდა სცოდნოდა, რადგან 1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა მითხრა შეთქმულება ქაიხოსრო ჯავახოვმაც იცისო. შეიძლება ქაიხოსრო ჯავახოვს ალექსანდრემ გაუმჟღავნა.

1831 წელს გორის მარშალი[1] შალვა ერისთოვი და ელიზბარი იყვნენ ჩემთან. ელიზბარი ელაპარაკებოდა შალვას აჰ საქმეზე და მოიყვანა იგი ჩემს ახლოს. შალვამ თქვა: „თუ გავიგონე რამე ამ საქმეზე, ფიცხლავ ჩამოვალო". ამასთანავე, იკვეხნიდა, ცხენი გზაში არ დამივარდებაო.

1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძემ მითხრა, რომ მისმა დედამ[2] და თამარ ბატონიშვილმა აგრეთვე იციან ეს საქმე; მიმახვედრა, რომ ქეთევან ბატონიშვილმაც[3] უნდა უსათუოდ იცოდესო, რადგან არ შეიძლება, რომ მის დედასა და თამარ ბატონიშვილს, რომელთაც იცოდნენ საქმე, არ გამოეცხადებინათ ქეთევანისათვის.

ნათალოვი ლაშქრობის დროს გავიცან, თბილისში კი, შეიძლება ქუჩაში შემხვედრია, მაგრამ ნაცნობობა მასთან არა მქონია. ელიზბარი მეუბნებოდა ნათალოვმა იცისო, მე არ ვიცი ნამდვილად იცოდა თუ არა.

1831 წელს მელნიკოვისას ვიყავი. ჯორჯაძე მოვიდა იქ, ელიზბარის სანახავად. მე ის არასოდეს არ მენახა და ვიკითხე ვინ არის ეს ოფიცერი მეთქი. ელიზბარმა მიპასუხა ჯორჯაძე არისო, რომელმაც აგრეთვე ყველაფერი იცისო მაგრამ, რადგან ჯორჯაძესთან ნაცნობობა არა მქონია, ამიტომ მისთვის არ მიკითხავს და არც უთქვამს რამე ჩემთვის. არც ის ვიცი, მართალი მითხრა ელიზბარმა ჯორჯაძის მონაწილეობის შესახებ თუ არა.

1831 წელს ვიყავი ჭავჭავაძესთან, იქვე მოვიდა მამუკაც. ეს მე წინათ უკვე ვაჩვენე მაგრამ ეხლა მომაგონდა, რომ 1832 წელშიც ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ელიზბარი მეუბნებოდნენ: „როდესაც ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა ოქროპირ ბატონიშვილთან, მაშინ მასაც ასეთივე მოლაპარაკება ჰქონდა მასთანაო". თუმცა არ ვიცი, მართალს მეუბნებოდნენ ისინი, თუ მატყუებდნენ; მათ თვითონ უნდა იცოდნენ ეს.

სამოსწავლო ბატალიონის პრაპორშჩიკ მამაცოვს მე სრულებით არ ვიცნობ.

1832 წელს პავლე თუმანოვის შესახებ ალექსანდრე ვახტანგის ძე მეუბნებოდა, რომ თუმანოვსაც შეატყობინეს, მაგრამ არ ვიცი გამოუცხადა თუ არა.

1832 წელს ჩემს სახლში ჭავჭავაძე, მე და ელიზბარი ელაპარაკობდით თუ არა, არ მახსოვს.

1832 წელს ელიზბარ ერისთოვი მეუბნებოდა: „ამ დღეებში ჩა-

---

1 გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

2 თეკლა ბატონიშვილი.

3 ეს მუხრანსკის დედაა.

მოვა ჩემი ბიძა სენატორი ერისთოვი და მას გამოვუცხადებო, მაგრამ არ ვიცი აცნობა მას თუ არა[1].

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (X, 1709)

28 თებერვალი, 1833 წ.

ახვერდოვისა და ხერხეულიძის შესახებ სრულებით არა გამიგონია რა და არც არა ვიცი რა.

თავადი იასე ფალავანდოვი.

თეიმურაზ ლორთქიფანიძის პასუხები (X, 1711)

კითხვითი პუნქტი იმერელ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს.

კითხვა: თქვენს ჩვენებაში თქვენ განმარტეთ, რომ იმერელი თავადები ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეები და გიგო ლორთქიფანიძე და თავადის აზნაური ზალიკო ჩახუნაშვილი მონაწილეობას იღებდნენ ქართველი თავადების რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებასა და აჯანყებაში. არის თუ არა თბილისში ვინმე, რომელსაც შეეძლოს თქვენი ამ ჩვენების დადასტურება? აგრეთვე იცის თუ არა ეს იმერეთში ვინმემ და შეუძლია თუ არა ამის დადასტურება:

პასუხი: არც თბილისსა და არც იმერეთში არავინ მოიძებნება ისეთი, რომელსაც შეეძლოს კითხვითი პუნქტში მოხსენებული თავადებისა და აზნაურის მონაწილეობა შეთქმულებაში დაადასტუროს.

ესე ჩვენება ჩამოვართვი ლორთქიფანიძეს კომისიის დაკალებით.

პოდპოლკოვნიკმა სუმბათოვმა

1 მარტი, 1833 წ.

მელნიკოვის ჩვენება (X, 1721)

თავადების: ელიზბარ, დიმიტრი, გიორგი დავითის ძისა და გიორგი რევაზის ძე ერისთოვთაგან, ლუარსაბ ორბელიანისა, ალექსანდრე

[1] ჩვენება სხვის მიერ არის დაწერილი.

ვახტანგის ძე ორბელიანოვისა და მეორე ალექსანდრე ორბელიანოვის მიერ კომისიაში ჩემს წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრალდებათა შესახებ მაქვს პატივი საგამომძიებლო კომისიას შემდეგი განვუმარტო:

არავითარი განზრახვა მთავრობის წინააღმდეგი მე არ ვიცი, მათ ჩემთვის ამის შესახებ არასოდეს არაფერი არ უთქვამთ და მე მათთვის არასოდეს არავითარი დარიგება არ მიმიცია, მჭიდრო ნათესაური კავშირი არამც თუ მათთან, არამედ ქართველთაგან არავისთან მქონია და მათგან ჩემთვის განსაკუთრებითი მიმოსვლა არავისა ჰქონია ლუარსაბ ორბელიანოვის გარდა, რომელიც ათასში ერთხელ მხოლოდ მცირე ხნით შემოდიოდა ხოლმე; ხოლო როდესაც ელიზბარი ქალაქ გორიდან თბილისში ჩამოვიდა თავისი მედიატორის თავად თარხანოვითურთ ბიძასთან ქონების გაყოფის გამო (ელიზბარი, რომელთანაც მუდმივი უსიამოვნება მქონდა იმის გამო, რომ ვითხოვდი ცოლის მზითევს, რვა წლის განმავლობაში რომ ვერ მივიღე და მუდამ რომ მატყუებდა მეც და თავის დასაც) [1], ხოლო ძმა მისი დიმიტრი — ჩამოვიდა ჯელალ-ოღლიდან პოდპოლკოვნიკ სანკოვსკისთან ერთად, მე არ ვიცი რა მიზნით ორივე ძმები გაჩერდნენ ჩემთან; დაიარებოდნენ მათთან ზოგჯერ ზემოხსენებული თავადები; რა საუბრები წარმოებდა მათ შორის მე არ ვიცი, რადგან მე მათს კრებულში არ შევდიოდი, ჩემი საქმეც აუარებელი მქონდა და სახლში უსიამოვნებაც ჩემი გოგონას , ცხრა თვის განმავლობაში ავადმყოფობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ეზოში ვაშენებდი სარდაფსა და საბძელს, რაც ჩემს მუდმივ იქ ყოფნას მოითხოვდა და რაშიც თავადი ორბელიანოვები დიდად მიშლიდნენ ხელს; ამას გარდა, ერისთოვები ცხოვრობდნენ ჩემი ოჯახიდან განცალკევებულად, ზალაში, რომელიც გათიშული იყო მუდამ დაკეტილი ოთახის საშუალებით, რათა ავადმყოფი არ შეწუხებულიყო. ელიზბარმა და დიმიტრი ერისთოვებმა, არ მახსოვს რამდენი დღე იცხოვრეს ჩემთან და მერე ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, ჩემს შინ არაყოფნის დროს, სხვა ბინაზე გადავიდნენ, ისე რომ მე არ გავუფრთხილებივარ და მე შინ რომ დავბრუნდი, ვნახე ჩემი ცოლი მტირალი ავადმყოფის მახლობლად მჯდომი, რომელიც უჩიოდა ძმებს უგრძნობლობას, რომ მათ იგი მარტო დასტოვეს ამ უბედურების დროს.

მეორე დღეს მოვიხმე ელიზბარ ერისთოვი და სამდურავი ვუთხარი ასეთი საქციელის გამო, თანაც მოვთხოვე დაწვრილებითი ან-

[1] მელნიკოვს ცოლად ჰყავდა ელიზბარ ერისთავის და მელანია, რომელიც ლუარსაბ ორბელიანის დისწული იყო.

გარეში ცოლის მზითვისა, რომელიც მათ აღმითქვეს, რომ მომცემ-
დნენ ბიძასთან მამულების გაყოფის შემდეგ, მოვითხოვე აგრეთვე
ბრილიანტის ანნას მეორე ხარისხის ორდენი, რომელიც განსვენე-
ბულმა მისმა მამამ უანდერძა ჩემს ცოლს და რომელიც ელიზბარს
ჰქონდა შენახული, — ამის პასუხად ელიზბარმა ლანძღვით ამიკლო,
მერე წამოავლო ქუდს ხელი და გავარდა, და ისინი აღარ ყოფილან
ჩემთან ჩემი ქალის გარდაცვალებამდე, ე. ი. 1832 წლის 4 ნოემ-
ბრამდე; ამის შემდეგ გადამტერებული იყვნენ და ჩემთან ძალიან
იშვიათად დაიარებოდნენ, ისიც ისე ცივად, როგორც უცხოები, ისე
რომ ხშირად ყოფილა ელიზბარი ძლივს დაგვთანხმებია წასულიყო
ნავთლუღში ექიმ პრიპილთან ჩემი ავადმყოფი ქალის რეცეპტისა-
თვის. ასეთი ჩვენი დავა მზითვის თაობაზე იცის ლუარსაბ ორბელია-
ნოვმა და სხვებმაც, და მზითევზე არა მარტო ამათ ვედავებოღი
არამედ ჩემს სიმამრსაც ვეჩხუბებოდი და ჩივილსაც ვაპირებდი; და
როდესაც ჩემი ცოლი ავად გახდა დარდზე და ბატონ ექიმ პრიპი-
ლის რჩევით გამოეწერა მარტოობის გასაქარვებლად ხალხში ყოფ-
ნა, იგი გავგზავნე ბიძამისი ლუარსაბ ორბელიანოვის ოჯახში და
იქიდან ელიზბარი და დიმიტრი ზოგჯერ მოიყვანდნენ ხოლმე ჩემ-
სას თავის დას და თუ ღამე ძალიან გვიან იქნებოდა და აღარ წავი-
დოდნენ, იქა რჩებოდნენ, მაგრამ ამასაც შვრებოდნენ ხალხის დასა-
ნახავად და არა გულწრფელობით, და ბოლოს უფრო გაღრმავდა მა-
თი ჩემდამი მტრობა იმის გამო, რომ მათ ეგონათ მამულების გაყო-
ფაში მე მათი ბიძის თორნიკე ერისთავის მხარი მეჭირა და მემდუ-
რებოდნენ თორნიკესაგან მოსყიდული ხარო, ამგვარად ნათესავები
შეიქმნენ ჩვენი მტრები და შურისმაძიებელნი. აღარ მახსოვს მაშინ
იყო ვიდრე ელიზბარი და დიმიტრი ერისთავები ჩემთან ცხოვრობ-
დნენ თუ მაშინ როცა ისინი ჩემგან უკვე წავიდნენ, ერთხელ ელიზ-
ბარისაგან გავიგონე: 1. რომ იგი იყო გუბერნიის მარშალ თავად
ბაგრატიონთან სახლში და იქ ისინი მსჯელობდნენ ხალხის შევიწრო-
ებაზე და განიზრახავდნენ ეთხოვათ აქაური საქართველოს მთავარ-
მართებლისთვის ან და გაეგზავნათ დეპუტატები. მაგრამ ეს განზრა-
ხვა მიტოვებულ იქნა იმ შიშით, რათა მთავრობის საწინააღმდეგოდ
არ მიეჩნიათო. 2. ამბობდა ელიზბარი, რომ ვითომ ლუარსაბ ორ-
ბელიანოვის საქმე უბრწყინვალეს თავად პასკევიჩთან არის გაგზავ-
ნილი და ლუარსაბი განთავისუფლებული არ იქნებაო [1]. 3. იგივე
ამბობდა აგრეთვე, რომ ჩვენი ჯარი დაღესტანში დიდ გაჭირვება-

---

[1] ლ. ორბელიანი 1829 წელს ავლაბარში ჯარის შეკრებასთან დაკავშირებული
არეულობის გამო იყო პასუხისგებაში მიცემული.

შიაო, და ჩემს შეკითხვაზე: საიდან იცის ეს, თანაც განვუმარტე, რომ ასეთ ამბებს ავრცელებენ მხოლოდ რუსეთის მთავრობის მტრები მეთქი — მან მიპასუხა, რომ მას ეს უთხრა გუბერნატორ ფალავანდოვის ძმამ, რომელთან ნაცნობობაც მე ელიზბარს დავუშალე; მე და ელიზბარი რომ ავლაბრიდან ვბრუნდებოდით, სადაც საფლავის ქვების საყიდლად ვიყავით, მას ჩემთვის არავითარი ტრაქტირი არ უჩვენებია და თავიანთ მოქმედებაზე ჩემთვის არა უთქვამთ რა.

გიორგი დავითის ძე ერისთოვთან არავითარი განსაკუთრებული ნაცნობობა და მეგობრობა არა მქონია არასოდეს, ისე როგორც არც მთავრობის საწინააღმდეგო რამ მილაპარაკნია მისთვის, რომელიც ჩემთან იყო ლაშქრობაში წასვლის წინ, არ ვიცი რა შემთხვევის გამო ტიროდა, რომ მას არა აქვს ფული, რათა ლაშქრობაში მონაწილეობით ჩინი დაიმსახუროს. მე, ვიცნობდი რა მის მამას, როდესაც ანანურის ისპრავნიკად ვიყავი და იგი ერთგული სამსახურის გამო დიდ დახმარებას მიწევდა, — მისი დახმარებით გამოვიყვანე ოსებიდან 16 კაცი რუსი დეზერტირები, — შემვცოდა იგი და რადგან მე თვითონაც არა მქონდა ფული, გამოვართვი ჩემს ცოლს ნივთები, დავაგირავე იგი და 300 მანეთი ვერცხლი უსარგებლოდ ვასესხე მას, რითაც საშუალება მივეცი წასულიყო ბატონ მთავარმართებელთან ერთად ლაშქრობაში და დაემსახურებინა ჩინი, მაგრამ მადლობის მაგიერ მან მე მომატყუილა და მისი დედა ყველგან ჩემს ცუდს ლაპარაკობდა და არიან რა ჩემი მოვალეები თვითონ მემდურებიან. ამგვარად თუ მათი საქციელი მე მცოდნოდა, რაღა გამაბედინებდა ფულის სესხებას ერისთოვისათვის, რომელიც ახლა ჩემი მტერი გახდა, თუმცა ეს ქართველთა შორის ჩვეულებრივი ამბავია.

გიორგი რევაზის ძე ერისთოვთან აგრეთვე არავითარი მჭიდრო ნაცნობობა არა მქონია, მეგობრობა კი სრულიად არა, ისიც და მისი ძმები და დედა ჩემზე გადამტერებული არიან, რადგან ჩემს ანანურის ისპრავნიკად ყოფნის დროს მე ვაცნობე უმაღლეს მთავრობას მათი ცუღლუტობა და ერთი ძმათაგანი დააპატიმრეს ამის შედეგად. ერთ დროს კი გიორგი იყო ელიზბართან, როდესაც ეს ჯერ ჩემს სახლში ცხოვრობდა და გვიამბობდა თავისი გუსარის მუნდირის სილამაზეზე და მე მინდოდა რა მისი ნახვა, ვთხოვე ეჩვენებინა, როდესაც ის სრულ ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი და ამის შემდეგ ის ეკლესიაში მიდიოდა და მაჩვენა თავისი კოსტუმი. მე ურჩიე მას ერისთოვს არასოდეს არ გაეხადნა იგი. ამის მეტი მასთან არც საუბარი რამეზე აღარც შეხვედრა მეტი აღარ მქონია.

თავად ლუარსაბ ორბელიანს თუმცა ვიცნობ, მაგრამ ვიცოდი რა მისი არაფხიზელი ცხოვრება, მას არ დავახლოვებივარ და რადგან მას უყვარს ისეთი ხალხი, რომლებიც მასთან ქეიფობენ და მასვე ატყუებენ, მე კი არ მოვწონდი, ისევე როგორც არც სხვა ქართველებს ჩემი სისწორის გამო და მე მასთან, ლუარსაბთან, მათი განზრახულის შესახებ არათუ არავითარი საუბარი არა მქონია და არც არა რჩევა მიმიცია რა, არამედ მას მუდამ ვეჩხუბებოდი და მის დაპატიმრების წინაც წავიჩხუბეთ, ისე რომ თვეზე მეტს უმძრახები ვიყავით და ის ჩემს ოჯახში არ მოსულა, რაც იციან მიხეილ ენიკოლოფოვმა, ნასყიდა ეზდანოვმა და კნეინა ბარბარე ქობულოვმა.

თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვთან არა თუ მთავრობისა და ზავილეისკიდან გამომდინარე ხალხის შევიწროებაზე არავითარი ლაპარაკი არა მქონია, მასთან არავითარი მჭიდრო ნაცნობობაც არა მქონია, რასაც შეეძლო უფლება მიეცა ჩვენი დამეგობრებისათვის. ეს ორბელიანოვი და მისი დედა თეკლე ბატონიშვილი არიან პირველი ჩემი მტრები, რომლებმაც მიჩივლეს, ბარონ დიბიჩთან ჩემს მიერ ბატონიშვილის ნათესავ თავად ბაგრატიონების რაღაც შევიწროების გამო. მაშასადამე მათი ჩემდამი მტრობა არ გამქრალა.

მეორე ალექსანდრე ორბელიანოვს კი მხოლოდ შორიდან ვიცნობ და თუ ოდესმე შევხვედრივარ სადმე და პატივი მიცია მისთვის, სალამი მიმიცია მხოლოდ იმიტომ რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, მეტი სხვა არავითარი საუბარი მასთან ისევე როგორც მეგობრული კავშირი არა მქონია.

წარმოუდგენ რა კომისიას მართლგანსასჯელად ზემოაღნიშნულ განმარტებებს, — ვთხოვ არ დაუჯეროს ცრუ ცილის მწამებლებს, რომელთაც თუ კი გასტეხეს ღვთისა და ხელმწიფე იმპერატორის წინაშე დადებული ფიცი, ამ უწმინდურ სულებში რაღა დარჩებოდა წმინდა მოყვარის მიმართ!

ხელი მოაწერა კოლეჟსკი სოვეტნიკმა მ ე ლ ნ ი კ ო ვ მ ა.

1833 წელი.
მარტის 2-ს [1].

---

[1] მელნიკოვი ამაოდ ცდილობს გულუბრყვილო მოტყუებით ბრალდება თავიდან აიცდინოს. მან არ იცოდა, რომ კომისიაში ელიზბარი არ სდებდა მას ბრალს, არამედ ცდილობდა. თავისი სიძე უდანაშაულოდ მოეჩვენებინა (იხ. X, 1729).

ერთხელ 1831 წლის ზაფხულის ჟამს დავსეირნობდი გარეუბანში და მოედანზე კორპუსის შტაბის პირდაპირ შევხვდი ელიზბარ ერისთოვს, მან პირველი მოსალმებისთანავე მკითხა: „ჰა, ძმაო, გავიგე დანიშნულხარ? ტყუილად აჩქარებულხარ და არ დაუცადე ჩვენი საქმის გათავებას“-ო. განმაცვიფრა რა მისმა სიტყვებმა, ვკითხე: „რას ამბობ, რა საქმე? ამიხსენი ჩქარა მეთქი...“ „ეს, შენ ნუთუ ჯერ არ იცი. მითხრა მან, მომკიდა ხელი, მიმოიხედა მოედანზე და დამიწყო წინ და უკან ტარება და მელაპარაკებოდა ამ სიტყვებით: ჩვენ დავიწყეთ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება და იმედი მაქვს არც შენ ჩამოგვრჩები და პირველ დაძახებისთანავე იარაღს მოჰკიდებ ხელს“, შენ ძმაო, ძალიან დიდი საქმისათვის მოგიკიდხია აელიმეთქი, შეუბრუნე მე, შენი გალობა შესაფერისი საქმე არ არის მეთქი. არაო, მიპასუხა მან; მე რჩევას მაძლევენ გენერალი ლეიტენანტები თავადი გიორგი ერისთოვი, რომელსაც აგრეთვე მოლაპარაკება აქვს თავად ჭავჭავაძესთან, გენერალ-მაიორთან და ეს დიდი ხალხი მონაწილეობას იღებსო. ამის შემდეგ ნუ თუ შენ უარს იტყვიო? რათა შემეწყვიტა საუბარი, პირობა მივეცი საიდუმლოდ შევინახავ მეთქი. და განვშორდით, მან მთხოვა ამასთანავე, რათა მოვიწვიო ამ საქმის მონაწილედ ჩემი ახალი ცოლისძმა.

როდესაც ელიზბარ ერისთოვი მისი მამის გარდაცვალების შემდეგ ოსეთში წავიდა თავის ძმა იასესთან ერთად გადასახადების შესაკრებად, — ესე იგი 1832 წლის ნოემბერში, — ნე იმ დროს ვიყავი ჩემს ცოლის ძმა ლევან ერისთოვთან და უკან დაბრუნებისას ელიზბარ ერისთოვმა შემოიარა ჩემს ცოლისძმასთან, ლევან ერისთოვის ოჯახში ხანგრძლივ მისალმებათა შემდეგ ელიზბარი წამოდგა, ხელი მოჰკიდა ლევანს, გაიყვანა აივანზე და დაუწყო ამ საქმეზე საუბარი (ეს მე მერე გავიგე) და სთხოვა, რათა მან იზრუნოს ახალი ნაცნობებისა და მომხრეების შესაძენად; მაგრამ თავადმა ელიზბარ ერისთოვმა დაინახა რა რომ ლევანს მისი ნათქვამი არ ესმოდა, ჰკითხა მას: „განა შენთვის არ უთქვამს ამის შესახებ შენ სიძეს? ოხ, ეგ უქნარა! მე ვთხოვე მაგას, რათა ყველაფერი რაც მოველაპარაკე შენთვის ეამბნა და დახმარებაც ეთხოვხაო“.

ამასობაში მეც მომიხმეს ოთახთან და ელიზბარ ერისთავმა დამიწყო გინება, რომ მე მას ანგარიშს არ უწევ, მეტად ამაყი ვარ. უგულებელვყავ მისი თხოვნა და არ მოვიწვიე მონაწილედ ლევან ერისთოვი. მაგრამ მე მოკლედ ვუპასუხე, რომ არ მიმაჩნდა საჭიროდ წინასწარ მელაპარაკნა ლევანთან, რადგან იმედი მქონდა,

რომ ჩემი დიდი სიყვარული აქვს და საჭირო შემთხვევაში პირველივე სიტყვისთანავე მზად იქნებოდა მეთქი, და ამით უკუვაგდე ელიზბარ ერისთოვის სამდურავი, რომელიც მას აღარ ათავებდა. ამის შემდეგ მთელი ზაფხულის განმავლობაში ელიზბარ ერისთოვი აღარ მინახავს, ლევანს კი იშვიათად ვხედავდი, რადგან ავად ვიყავი ხოლო საუბარი მასთან ამ საგანზე სრულებით არ მქონია, და ჩემს შესახებ მისი ჩვენებები უსამართლოა.

1832 წლის ზაფხულს გავიგე დიმიტრი ერისთოვის რუსეთიდან ჩამოსვლა.

გამოვედი თუ არა ციხე ავადმყოფობის შემდეგ, წავედი მის სანახავად, რადგან ბავშვობიდასვე შეჩვეული ვიყავი მასთან და ნახვა მინდოდა. გამოკითხე რა მას პეტერბურგის შესახებ და თუ როგორ იმგზავრა, შინ წამოსვლა დავაპირე, მაგრამ მან არ გამომიშვა და თანაც მთხოვა მეორე დღეს კიდევ მივსულიყავ. მეორე დღეს არ მინდოდა რა პირისპირ მასთან მისვლა, შევიარე ვახტანგ ორბელიანოვთან, რათა ისიც წამეყვანა, მაგრამ მისგან გავიგე, რომ თვითონაც აპირებდა იქ მისვლას, მე და ვახტანგი ერთად წავედით სადილად. იქ ჩვენ ცოტა ხალხი დაგვხვდა, მაგრამ შემდეგში თითოოროლობით შეგროვდნენ. აღარ დაუცადეს თარჯიმან მამაცოვს, რომელიც აგრეთვე დაპატიჟებული იყო, და დასხდნენ სადილად. პირველი ადგილი როგორც მახსოვს, მაგიდის თავში სოლომონ რაზმაძემ დაიჭირა, ხოლო მარცხნივ დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვებმა, შემდეგ კი დანარჩენებმა, მე კი ამოვარჩიე მეორე მხრით ადგილი და ჩუმად განვაგრძობდი სადილს. ბოლოს თარჯიმანი მამაცოვიც მოვიდა, ვთხოვე ჩემს გვერდით დამჯდარიყო და მთელი სადილის განმავლობაში არავისთვის მიგდია ყური, სიამოვნებით გავები რა თარჯიმან მამაცოვთან საუბარს, რომელსაც უნარი აქვს თავისი ენით ყველა მიიზიდოს. სადილი უკვე თავდებოდა: მოიტანეს შამპანური. ელიზბარმა აიღო ჭიქა და გამოსთქვა სურვილი მათი წამოწყების წარმატებით შესრულებისა: ყველამ გაიმეორა იგი, ვისაც როგორ შეეძლო; რიგი ჩვენზე მოდგა, მოგვაწოდეს სავსე ჭიქები და ჩვენ მე და მამაცოვმა უსიტყვოდ გამოვცალეთ, რადგანაც სასმელისაგან თავი გაცხელებული გვქონდა და ურთიერთშორის მცირე საუბარი გვქონდა სხვა და სხვა რამეზე, ისე რომ შამპანურის დალევის დროს ჩვენი შეძახილი არც კი ვისმეს გაუგონია. სადილიდან წამოვდექით, მოიტანეს ყავა, მე და მამაცოვმა თუთუნი მოვითხოვეთ, მივდექით ფანჯარასთან და ჩუმად განვაგრძობდით საუბარს ქორწილის შესახებ, სადაც ჩვენ პირველად შევხვდით და სადაც იგი გავიცანი, სხვებიც ფანჯრებთან მოვიდნენ და განაგრძობ-

დნენ ყავის სმას. ზოგიერთნი — არც კი მახსოვს ვინ იყვნენ, — ბილიარდის მაგიდასთან იდგნენ და გიორგი დავითის ძე ერისთოვი რაღაცას უკითხავდათ; იგი არც ისე ხმამაღლა კითხულობდა, მე მგონია იმიტომ რომ ეშინოდა არ გაეგონათ გონზენბახის ამხანაგებს, რომელთაგანაც ჩვენ ერთი მხოლოდ ერთი კედელი გვყოფდა, რომელშიც კარიც იყო დატანებული და დაკეტილი კი არ იყო. გიორგი დავითის ძე ერისთოვმა გაათავა თუ არა წაკითხვა, ვიღაცამ წამოიძახა: აგერ ბატონებო პოლონურიდან თარგმანი მიცკევიჩის არაკისა, რომელიც გადმოთარგმნილია ქართულად დიდი ხელოვნებით სოლომონ რაზმაძის. მიერ და მაშინვე წააკითხეს თვით მთარგმნელს.

მე ძალიან მომეწონა ლექსის წყობა, კეთილხმოვანება და თავისუფალი მოთხრობა, ამიტომაც დაუყოვნებლივ ვთხოვე იგი, რათა ჩემთვის გადმოეწერნა, მაგრამ რვეული, რომლიდანაც სოლომონ რაზმაძე კითხულობდა, შეინახეს და მე კი ალექსანდრე ორბელიანოვმა მომცა პატარა ფურცლები, რომლებიც ეხლაც ჩემს ქაღალდებშია გადმოუწერლად.

შემდეგ შემოიტანეს წინადადება წავსულიყავით ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, სადაც გავემგზავრეთ, მაგრამ არა ყველანი ერთად. და, როგორც მახსოვს, მე და ვიღაც სამნი ოთხნი მივდიოდით, არც ის მახსოვს რაზე ვლაპარაკობდით, ბოლოს ბაღში რომ მივედით შევედით ხის ქვეშ გაკეთებულ კარავში, სადაც ბალი მოგვართვეს, მერე ცოტა ხანს დავისვენეთ და დავიწყეთ სირბილი და თამაში. ვთამაშობდით ომიანობასა და აჭარულ კრიეს, ამის შემდეგ კი დავიშალენით და აღარ მახსოვს მარტო წამოველ თუ იყო ვინმე ჩემთან, ან ვინ იყო. შემდეგ ამისა მე კვლავ მძიმე ავადმყოფი შევიქენ და სოფელში გავემგზავრე სამკურნალოდ, მე მეტი აღარავისთან მქონია არც შეხვედრა და არც საუბარი.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპორშჩიკი
თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

1833 წ., თებერვალი 28.
ქ. თბილისი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (X, 1729)

მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვის მიერ მელნიკოვის შესახებ მოცემულ განმარტებაზე, პატივი მაქვს საწინააღმდეგოდ შევნიშნო შემდეგი:

თუმცა მელნიკოვმა იცოდა 1831 და 1832 წ. ჩვენი განზრახული მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ არა თუ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, არამედ მე მიშლიდა და მარიგებდა განზრახვაზე ხელი ამეღო. მე ლუარსაბ ორბელიანოვის თანდასწრებით ამ საგანზე მელნიკოვთან არ მილაპარაკნია. თუმცა ლუარსაბი ამბობს, მაგრამ ეს მართალი არ არის; ლუარსაბი ამბობს რომ „ვითომც 1831 წელს მელნიკოვმა მოიწონა. 1832 წელს კი იგი ჩემი თანდასწრებით რჩევას იძლეოდა არავის არ უთხრაო". რადგანაც მელნიკოვის მეუღლემ იცოდა და ის ელაპარაკებოდა ხოლმე ლუარსაბსა და მეც მითქვამს ლუარსაბისათვის მელნიკოვმაც იცის მეთქი, უთღოდ ამიტომ ამბობს ლუარსაბი, რომ ვითომც მელნიკოვმა ჩემი თანდასწრებით მოიწონა და ლაპარაკობდა. და მერე, რომ ვითომც ჩემი თანდასწრებით ელაპარაკებოდა ლუარსაბს მელნიკოვი და ურჩევდა არავის რა უთხრაო, აგრეთვე მართალი არ არის. მართალია, მელნიკოვი მე მირჩევდა ხელი აიღე და ნურავისთან რას იტყვიო, მაგრამ არა ლუარსაბ ორბელიანოვის თანდასწრებით.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

2 მარტი 1833 წ.

ელიზბარ ერისთოვის ჩვენება (X, 1781).

საგამომძიებლო კომისიის მიერ სხვადასხვა პირთა შესახებ მიცემულ შეკითხვაზე, მაქვს პატივი ვუპასუხო:

ახვერდოვზე იასე ფალავანდოვი ამბობდა, რომ სადაც არ უნდა იდგეს იგი სადარაჯოზე, იგი მას გაატარებს და მისი პოსტის აღება ადვილია, მაგრამ არავისგან არ გამიგონია, რომ მან იცოდა ჩვენი განზრახულება და არც მე მითქვამს მისთვის. ხერხეულიძეზე არავისაგან გამიგონია, რომ მან იცოდა ჩვენი შეთქმულება.

მანანამ იცოდა ჩვენი შეთქმულება 1832 წელს. ოქტომბრის დამლევს მე ველაპარაკე მას შეთქმულებაზე. მან მითხრა რომ ეს შეუძლებელია, თუ ყველანი თანახმა არ იქნებიანო. მე დავარწმუნე იგი, ოღონდ საჭიროა თქვენ ხშირად მოაგონოთ ხოლმე ლუარსაბს, რათა უფრო მეტად იმოქმედოს მეთქი. მან იცოდა, რომ ჩვენ ლუარსაბს მივუტანეთ პირველი ღამის განკარგულება და პროექტი [1]. მაგ-

[1] საქართველოს მმართველობის პროექტი.

რამ შინაარსი არ იცოდა დაწვრილებით. ამან იცოდა ზოგიერთ მონაწილეთა სახელები.

ერთხელ მელნიკოვის სახლში კორნეტ გიორგი ერისთავის თანდასწრებით ველაპარაკე მანანას ჩვენს განზრახვაზე, დაწვრილებით არ მახსოვს საუბრის შინაარსი, მაგრამ მან მითხრა თქვენ მხოლოდ სიტყვებით აკეთებთ ყველაფერსო. ჩვენ მივუგეთ, მოიცადეთ მალე საქმე საქმეზე მიდგება.

ნათალოვმა 1831 წელს იცოდა ჩვენი შეთქმულება, მას ელაპარაკა სოვეტნიკი ორბელიანოვი, მას ეუბნებოდნენ რომ აჯანყების დროს ის რომელიმე პოსტზე უნდა იყოს, რათა ხელი შეგვიწყოს მის აღებაში, რაზედაც ის დაგვეთანხმა და გვითხრა, ეცდება იქ მოხვდეს, სადაც საჭიროა.

სამოსწავლო ბათალიონზე ამბობს იგი, რომ შეიძლება რამდენიმე გადაცმული ქართველი ყაზარმაში შევიყვანოთ, იქ წავართმევთ რამოდენიმე თოფს და მერე შეიძლება მთელი ყაზარმა ხელში ჩავიგდოთ.

1830 წელს გავიცანი ოქროპირ ბატონიშვილი სეიატორ თავად ერისთოვთან, სადაც იგი ქაღალდს თამაშობდა. ამის შემდეგ ერთ ხელ მე და გიორგი ერისთოვი წავედით ოქროპირ ბატონიშვილთან სანახავად, იგი ავად იყო.

გიორგი ელაპარაკა მას ქართული ლექსების შესახებ, ისინი ერთი მეორეს ლექსებს ეუბნებოდნენ და მე კი ვუსმენდი. მან სადილად დაგვტოვა და საუბარი ჩვენი იყო ჩვეულებრივი თეატრზე, ქართულ პოეზიაზე. ის ლოგინში იწვა, სადილის შემდეგ მალე წავედით რადგან იგი ავად იყო.

მამუკა ორბელიანოვი იცნობდა მას, მაგრამ მე არ ვიცი რა ურთიერთობა ჰქონდა მას ბატონიშვილ ოქროპირთან.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

მარტის 21.
1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის პასუხი (X, 1738)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს ალტივი ვუპასუხო შემდეგი:

ნიჟნი ნოვგოროდიდან ჩამოსულმა გუბერნიის სეკრეტარმა ტულაევმა ს. პეტერბურგში, ჩამომიტანა იერომონახ ფილადელფოსის

წერილი მიხეილ ბატონიშვილისადმი მოწერილი, მაგრამ მე იგი მოსკოვს არ გამიგზავნია, რადგანაც წერილი რომ მივიღე, გავიგე, რომ თვით ფილადელფოსი მოსკოვს არისო. იგი წერილი მე ძალიან დაგვიანებით მივიღე.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

თებერვალი 28.
1833 წელს.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (X, 1735)

პრაპორშჩიკ მამაცოვთან რომ ვიყავით სადილზე, აქ იყო ჩვენთან ერთი კაცი, რომელიც პეტერბურგიდან იყო ჩამოსული თ. ჯორჯაძესთან ერთად; მაგრამ აღარ მახსოვს სადილზე იქ იყო, თუ მერე მოვიდა. ამ კაცის არც გვარი და არც სახელი არ ვიცი. მე გავიგონე იასე ფალავანდოვისაგან ეს სიტყვები: პირველ ღამეს რომ თავს დავესხმით ციხეს, მაშინ იქ საგუშაგოზე იქნება პოდპორუჩიკი ახვერდოვიო, იგი ჩვენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაგვიღებს კარსაო.

თ. ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1833 წლის, მარტის 3.

მე გავიგონე გიორგი დავითის ძე ერისთოვისაგან, რომ მელნიკოვი ძალიან აგინებს პასკევიჩს, მან დახატა რომელიღაც მხეცი და მას გრაფ პასკევიჩს უწოდებდაო, მერე კი ეს ნახატები ფეხით გათელაო. თვითონ მეც გამიგონია მელნიკოვისაგან თავად პასკევიჩის საგინებელი სიტყვები. თუმცა ჩვენ ვერიდებოდით მასთან საუბარს ჩვენს განზრახვაზე და როცა ის შემოვიდოდა ამგვარს მაშინათვე ვწყვეტდით.

თ. ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1832 წლის შემოდგომაზე თ. იასე ფალავანდოვთან იყვნენ: თ. ზაქარია ჩელოყაევი, ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა დიმიტრი, გიორგი რევაზის ძე ერისთოვი, ჩემი ძმა ალექსანდრე და მე. აქ დავიწყეთ იმათი სიის შედგენა, ვინც ჩვენს განზრახულებაში მონაწილეობას იღებდა, და ჩემმა ძმამ ალექსანდრემ თქვა ჩვენი შეთქმუ-

ლება ივანე ბარათოვმაც იცისო. ამის მეტი ივანე ბარათოვსა და მის თარხანოვებთან ურთიერთობაზე არ გამიგონია რა.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წ. მარტის 3.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (X, 1787)

პეტერბურგიდან გრაფ სიმონიჩთან ერთად[1] რომ მოვემგზავრებოდი თეიმურაზ ბატონიშვილმა გადმომცა სია იმ ნივთებისა, რომლებიც მას 1810 წელს თავრიზიდან გამომგზავრებისას დაეტოვებინა იოსებ ენაკოლოფოვისათვის, რომელთა შორის 36 წიგნიც მოიპოვებოდა, და მიბრძანა გამომერთმია ეს წიგნები ენაკოლოფოვისათვის და გამომეგზავნა მისთვის. ხოლო როცა თავრიზს ჩავედი და აღამალის ეკითხე იოსებ ენაკოლოფოვს ხომ არ იცნობ-მეთქი და ვაჩვენე მინდობილობა თეიმურაზ ბატონიშვილისა, რათა გამომერთმია მის მიერ ენაკოლოფოვისათვის სხვა ნივთთა შორის 36 წიგნი, — აღამალი ხანმა მითხრა, რომ ენაკოლოფოვი მოკვდა, რომ იგი მისი მახლობელი იყო და რომ მისი სიკვდილის შემდეგ, მისი ყველა წიგნი ალექსანდრე ბატონიშვილმა წაიღოო. აღამალი ხანის ნათქვამი ეს სიტყვები მე მივწერე ბატონიშვილს და ვთხოვდი რას მიბრძანებდა იგი ამ შემთხვევაში.

აზნაური სოლომონ რაზმაძე.

1833 წლის, 28 თებერვალი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (X, 1748)

განმარტება, წარმოდგენილი საგამომძიებლო კომისიაში კავალერიის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვის მიერ.

3 მარტი, 1833 წ.

1831 წელში არ მახსოვს, რომ ჩემს რძალს მანანას სცოდნოდა ჩვენი განზრახვა. როცა იმავ წელს იგი ბავშვებითურთ ქართლში

---

[1] გრაფი სიმონიჩი თავრიზში რუსეთის ელჩად იყო დანიშნული. თეიმურაზ ბატონიშვილის თხოვნით, (რომლის ნათესავიც იყო სიმონიჩის მეუღლე) ს. რაზმაძემ თან წაიყვანა საელჩოში სამუშაოდ.

თავის ძმასთან გაემგზავრა, პატარა მანძილზე გავაცილეთ გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძემ, ელიზბარ ერისთოვმა, გიორგი დავითის ძე ერისთოვმა, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვმა და მე; მერე გზაში ჩვენ ვლაპარაკობდით პოლონეთზე და რაღაც ამ განზრახულებაზე, მაგრამ, დიდი ხნის განვლის გამო, აღარ მახსოვს ვინ რა სთქვა.

ახვერდოვზე არა ვიცი რა არც 1831 და არც 1832 წლის შესახებ და არც ის ვიცი, იცოდა მან ჩვენი შეთქმულება თუ არა.

1832 წელს ელიზბარი მეუბნებოდა და მარწმუნებდა, რომ აქ არის 500 პოლონელი, რომლებიც ჩვენ მხარეზე იქნებიანო; შემდეგ იასე ფალავანდოვმაც მითხრა, რომ ის იცნობს ერთ პოლონელს. აღარ მახსოვს, ორი თუ სამი დღის შემდეგ, ჩემს ეზოში შემოვიდა ერთი პოლონელი და ჩემს ბიჭსა ჰკითხა: „სად არის თავადი, მისი ნახვა მინდაო", და როცა მსახურმა მე ეს მაცნობა, ვუბრძანე არ მიეღო. შემდეგ, პოლონელი მოვიდა მეორე დღეს და მე არც მაშინ მივიღე იგი; მესამე დღესაც მოვიდა ის პოლონელი და ჩემს მსახურს უთხრა იასე ფალავანდოვისაგან ვარ გამოგზავნილიო. მაშინ გულით ვუთხარი მსახურს, არ მოუშვა პოლონელი აქა და მე მას არც მივიღებ მეთქი. ამასთანავე, მან გადასცა მსახურს წიგნაკი ჩემთან მოსატანად, მსახურმა მომიტანა და დავინახე რომ იგი ფრანგულად იყო დაწერილი, დავუბრუნე უკანვე და პოლონელს მიღებაზე უარი ვუთხარი. ჩემს მსახურს ჰქვიან დათია, ხოლო ის პოლონელი მე პირადად არ მინახავს და არ ვიცნობ.

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

ცდილობდა თუ არა ელიზბარი პოლონელების გადმობირებას მე არ ვიცი.

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი[1].

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (X, 1745)

კითხვითი პუნქტები თავად იასე ფალავანდოვს
3 მარტი, 1833 წ.

1. ვისგან, როდის და რა გაგიგონიათ თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის თქვენს განზრახულებაში მონაწილეობის შესახებ?

---

[1] ჩვენება სხვის მიერ არის დაწერილი, ლუარსაბს ხელი მოუწერია.

1. მე სრულიად არავისგან არ გამიგონია ივანე ზაალის ძე ბარათოვის ჩვენს განზრახულებაში მონაწილეობაზე.

2. რა გითხრათ სახელდობრ ამ საქმეზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. ჩემთვის სრულებით არა უთქვამს რა ამაზე ალექსანდრე ორბელიანოვს, ხოლო ის კი მითხრა, რომ 1831 წელს იცოდნენ თავადებმა ივანე რამისძემ და დავით გოსტაშაბის ძე ბარათოვებმა ეს განზრახვაო.

3. რა იცით ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან.

3. სრულებით არ ვიცი აქვს რამე ურთიერთობა დავით და დიმიტრი თარხანოვებთან ბარათოვს თუ არა.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (X, 1747)

რათა უფრო მეტად მომეპოვებინა ნდობა ბატონებ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვისა, ელიზბარ და გიორგი ერისთოვებისა, მე აღვუთქვი განსაკუთრებით ელიზბარს, რომელმაც იცოდა, რომ ჩემთან ზოგჯერ დაიარებოდა პოდპოლკოვნიკი დავით თარხანოვი და მან თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მთხოვა მელაპარაკნა იმასთან შეთქმულებაზე, მაგრამ მე მასთან არასოდეს არ მითქვამს, რადგან ვიცოდი, რომ უნდა გამემხილა მთავრობისათვის, — იმას კი ვცდილობდი, უფრო მეტად შევპაროდი მათ, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ორბელიანოვს, რომლის სახლიც დიდი ხნის მტერია ჩემი სახლისა.

ელიზბარი და გიორგი ერისთოვები მეუბნებოდნენ, როგორც მახსოვს, რომ ალექსიევის ცოლს[1] დავალებული ჰქოლდა ეთქვა დიმიტრი თარხანოვის ცოლისათვის, რათა დაეთანხმებინა თავისი ქმარი — ამიტომ ეკითხოს ელიზბარსა და გიორგი ერისთოვს, რომელთაც უნდა იცოდნენ, ვისგან ჰქონდა მას დავალებული.

მე კი მას სრულებით არ ვიცნობ.

მარტი 4
1833 წ.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

---

1 მართა ალექსი-მესხიშვილისა იგულისხმება.

პრაპორშჩიკ იოსელიანის ჩვენება (X, 1749)

მისი ამატებულობის ბატონ საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ადიუტანტ გრიგოლ ვლადიმერის ძე ბარონ როზენ I-ის განკარგულებით გავემგზავრე თბილისიდან 25 ივლისის მახლობლად სათადარიგო ჯარის უფროს ბატონ თავად ივანე ერისთოვთან ერთად კახეთში ქისტების წინააღმდეგ და თავად ერისთოვის სურვილით, გზად შევიარეთ შუამთის მონასტერში, სადაც ერთმა ბერმა ეკლესიაში შეგვიყვანა და ვილოცეთ რა, გავემგზავრეთ ჩვენი გზით ქ. თელავს, ექსპედიციის საქმეზე; იქიდან გავემგზავრეთ თვით ერისთოვის კუთვნილ სოფელ ქისტაურში და შევკრიბეთ რა მილიცია, გავემართეთ შატილისაკენ. იქიდან უკანვე დავბრუნდით კახეთს და ვიმყოფებოდით თავად ერისთოვთან სოფელ ქისტაურში. იქ მოვიდა ვიღაც ბერი, რომელიც მე წინათ არაოდეს მინახავს და რომელიც თავად გამეცნო. ამ შემთხვევის გამო დაიწყეს მათ საუბარი. ჩვეულებრივი საუბრის დროს, ბერმა, რომელსაც ფილადელფოსს ეძახდნენ, დაიწყო, რომ ის რუსეთიდან გამოძევებულია იმ ინტრიგების წყალობით, რომელიც მოუწყეს მათ, როცა ის კათოლიკოსს ახლდა, ამბობდა, რომ უბედური კაცია, მოკლებული ყოველ საშუალებას, ამის გამო, მე მას ვურჩიე, რათა მიმართოს სამეგრელოს მმართველს თხოვნით, რომელიც ქ. რიაზანში ცხოვრობდა და რომელსაც თან არ ახლდა ქართველი მღვდელი, და მას შეუძლიან წაიყვანოს იგი თავისთან. რადგან იგი მმართველს პირადად არ იცნობდა, მე ვუთხარი დაეწერნა მას ჩემი სახელით წერილი მასთან შავად და მან დაწერა ორი წერილი — ერთი თავისი და მეორე ჩემი სახელით, ორივე დაუბეჭდავი და მომცა გასაგზავნად, მაგრამ მე ისინი არ გამიგზავნია. ისინი ჩემს ქაღალდებში უნდა იყოს და თუ მართლა აქ აღმომაჩნდება, დაუყოვნებლივ წარმოვადგენ. ამის მეტი არავითარი სხვა წერილი ხსენებული ბერისაგან მე არ მიმიღია, მეტად აღარც მინახავს იგი და მასთან არც არავითარი ურთიერთობა არა მქონია. მისთვის მონასტერში მისვლა მე არ აღმითქვამს, მაგრამ შეიძლება თავადი ერისთოვი აპირებდა მონასტერში შევლას და ფილადელფოსმა დაასკვნა, რომ მეც მივიდოდი იქ თავად ერისთავთან ერთად.

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშიკი ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

4 მარტი, 1833 წ

კითხვითი პუნქტები ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევს.

მარტის 3, 1833 წელს.

1. როდის, ვისგან და რა გაგიგონიათ თქვენს შეთქმულებაში თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის მონაწილეობაზე.	არავისგან არსად არასოდეს არ გამიგონია ჩვენს განზრახულებაში თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის მონაწილეობაზე.
2. სახელდობრ რა გელაპარაკათ თქვენ ამაზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?	თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს ამ საქმეზე ჩემთვის არა უთქვამს რა.
3. რა იცით თქვენ სახელდობრ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებ დავით და დიმიტრი თარხანოვებთან?	ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებ დავით და დიმიტრი თარხანოვებთან აგრეთვე არა ვიცი რა.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ლუარსაბ ორბელიანის პასუხები (X, 1753)

კითხვითი პუნქტები თავად ლუარსაბ ორბელიანოვს

3 მარტი, 1833 წ.

1. ვისგან, როდის და რა გაგიგონიათ ივანე ზაალის ძე ბარათოვის თქვენს განზრახულებაში მონაწილეობის შესახებ?

1. 1832 წელს გავიგონე თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვისაგან, რომ თავადმა ივანე ზაალის ძე ბარათოვმა იცის ჩვენი შეთქმულება.

2. სახელდობრ რა გითხრათ ამ საქმეზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. საუბრის დროს იმავე წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა მითხრა, რომ, სხვებთან ერთად, ეს ბოროტგანზრახულება იცის აგრეთვე თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვმაო. მე კი მასთან პირადად არავითარი საუბარი არა მქონია,

3. სახელდობრ რა იცით ამ თავად ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან?

3. მე არა ვიცი რა.

თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (X, 1755)

კითხვითი პუნქტები ბატონ ყოფილ პოდპორუჩიკს თავად ელიზბარს.

3 მარტი, 1833 წ.

1. როდის, ვისგან და რა გაგიგონიათ თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის თქვენს შეთქმულებაში მონაწილეობაზე?

1. 1831 წელს სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ იგი ელაპარაკა შეთქმულების შესახებ თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვს, რომელმაც მოიწონა და განაცხადა მონაწილეობის მიღების სურვილი.

2. სახელდობრ რა გელაპარაკათ ამაზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი როგორც 1831 ისე 1832 წელს მეუბნებოდა, რომ თავადი ივანე ზაალის ძე ბარათოვი დავითანხმე და მონაწილეობასაც მიიღებს ჩვენს შეთქმულებაშიო.

3. რა იცით თქვენ სახელდობრ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარიანოვებთან.

3. მე არა ვიცი რა თავად ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან, რადგანაც მე თავად ბარათოვს არ ვიცნობ, და არავისგან კი არ გამიგონია მათი ურთიერთობის შესახებ.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (X, 1759)

კითხვითი პუნქტები ბატონ კანცელარისტ იოსებ მამაცოვს.

3 მარტი, 1933 წ.

1. როდის, ვისგან და რა გაგიგონიათ თქვენს შეთქმულებაში თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის მონაწილეობაზე.

1. თავად ივანე ბარათოვის მონაწილეობაზე არავისგან რა გამიგია.

2. სახელდობრ რა გითხრათ თქვენ ამაზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს მის შესახებ ჩემთვის არა უთქვამსრა.

3. რა იცით თქვენ სახელდობრ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან.

3. მე სრულებით არა ვიცი რა.

კანცელარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (X, 1761)

კითხვითი პუნქტები ბ. არტილერიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოვს.

მარტის 3 დღესა 1833 წ.

1. ვისგან, როდის და რა გაგიგონიათ თქვენ თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის თქვენს შეთქმულებაში მონაწილეობაზე?

1. თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვს მე ვერ ვიცნობ და არც არა გამიგონია რა ჩვენს განზრახულებაში მის მონაწილეობაზე.

2. სახელდობრ რა გელაპარაკათ ამის თაობაზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვისაგან არასოდეს არა მსმენია რა თავად ივანე ბარათოვზე.

3. სახელდობრ რა იცით თქვენ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან?

3. თავად ივანე ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან მე არა ვიცი რა.

თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წლის 4 მარტი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1763)

კითხვითი პუნქტები ბატონ კავალერიის პრაპორშჩიკ თავად გიორგი ერისთოვს.

მარტის 3-ს 1833 წელს.

1. როდის, ვისგან და რა გაგიგონიათ თქვენს შეთქმულებაში თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის მონაწილეობაზე?

1. ჩვენს განზრახვაში თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვის მონაწილეობაზე არა გამიგია რა.

2. სახელდობრ რა გელაპარაკათ თქვენ ამაზე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს ამაზე არა უთქვამს რა ჩემთვის.

3. რა იცით თქვენ სახელდობრ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან?

3. აგრეთვე თავად ბარათოვის ურთიერთობაზე თავადებთან დავით და დიმიტრი თარხანოვებთან არა ვიცი რა და არც ვისგანმე გაგიგონია.

გიორგი დავითის ძე ერისთავი პ რ ა პ ო რ შ ჩ ი კ ი.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (X, 1765)

ს. პეტერბურგში ყოფნის დროს მე ვბინადრობდი ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან და უქმე დღეებზე მოვინახულებდი ხოლმე ყველა ბატონიშვილებს, ხოლო როდესაც კი კორპუსიდან მიშვებდნენ, მუდამ მათთან ვათევდი ღამესაც. და მთელი ჩემი მათთან ყოფნის დროს, როდესაც კი დიმიტრი ბატონიშვილი იწყებდა საუბარს, მუდამ მესმოდა ლაპარაკი თავისუფლებაზე, მითითებული იყო ხოლმე რა ხან საფრანგეთსა და მის კანონებზე, ხან თავისუფალ ქალაქებზე, და როდესაც ამას ლაპარაკობდა ხოლმე, მასთან იყვნენ ორი ან სამნი, ხუთზე მეტი კი მე მასთან არასოდეს ვინმე მინახავს; მასთან დაიარებოდნენ სახელდობრ: ლუარსაბ და ალექსანდრე ჩოლაყაევები, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ, დიმიტრი, გიორგი და ზაქარია ერისთოვები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანოვები და იშვიათად დადიოდა მისი უმაღლესობის კირასირთა პოლკიდან ივანე ჩელოყაევი; დაიარებოდა აგრეთვე ესტათე ჯავახოვი, რომელიც ყოველთვის იცინოდა ხოლმე დიმიტრი ბატონიშვილის ნაამბობზე და უწოდებდა მას ლოტრანს, ე. ი. ვოლტერს, და იერემია შანშიევი, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილს ახლავს.

მამაცოვსაც მუდამ ბინა დიმიტრი და ლუარსაბ ბატონიშვილებთან ჰქონდა. თუმცა ზოგჯერ მეც ვყოფილვარ ამ საუბრების მიწვე, მაგრამ არასოდეს გამიგონია არც ბატონიშვილის და არც სხვა ვინ-

მესაგან თუ რას მოასწავებდა დიმიტრი ბატონიშვილის ეს საუბრები, ანდა ამ საუბრებს გარდა ჰქონდა თუ არა ვინმესთან რაიმე ფოლაპარაკება. მე ეს არ ვიცი. და ყველა ზემოაღნიშნული მე მოვიხილე უკმე დღეებში, როდესაც მათთან ვიყავი ხოლმე, რადგანაც საქმის დღეს ჩვენ კორპუსიდან წასვლის უფლება არ გვქონდა და უქმეებში კი, როცა სასწავლი ბევრი არა მქონდა, მხოლოდ მაშინ მივდიოდი.

ს. პეტერბურგიდან გამომგზავრებას რომ ვაპირებდი, ერთი კვირით ადრე მოვიდა ჩემთან ერთი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი და მოხოვა ისიც თან წამომეყვანა, და რადგანაც მე ერთი ვიყავი, იგი სიამოვნებით მოვიწვიე და შობის წინადღეს ერთად გამოვემგზავრეთ. თბილისში რომ ჩამოვედით ლეონიძეს[1] ჩემს მეტი საცნობი არავინა ჰყავდა და ჩემთან იმყოფებოდა, შვებულების დროს კახეთშიც კი თან წავიყვანე; კახეთიდან რომ დავბრუნდით, ლეონიძე გაემგზავრა იმერეთში დადიანთან, რომელთანაც წერილები ჰქონდა დახმარების აღმოსაჩენად. მან იქ რამოდენიმე ხანს დაჰყო. მერე ისევ დაბრუნდა და სულ ჩემთან იმყოფებოდა, რადგან სამსახური ვერსად იშოვა, არა ჰქონდა რა აზნაურობის საბუთები.

აქტზე[2] არაფერი არ შემიძლია ვუჩვენო, და დღემდე არ ვიცი რას წარმოადგენს იგი; თუმცა წავიკითხე იგი აქ, კომისიაში 28 იანვარს დაკითხვის დროს, მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ ვერაფერი გავიგე. ხოლო ელიზბარ ერისთოვთან სადილზე თუ წაიკითხა გიორგი ერისთოვმა, მე მათთან ახლოს არ მივსულვარ და თარჯიმან ბამაცოვთან საუბრით ვიყავი გართული, ამიტომაც ნამდვილად არ ვიცი სახელდობრ რა წაიკითხა გიორგი ერისთოვმა. უკეთუ ცილის წამებით ვინმე აჩვენებს, რომ წამიკითხეს იგი, მაშინ დამისახელონ დრო, ადგილი და პირი, ვისი თანდასწრებითაც წამიკითხეს, და იმ ჩვენებაზე მე პასუხს გავცემ.

ერთხელ, თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი მამაცოვი თავის საქმეებზე თბილისში ჩამოვიდა, შემხვდა და ჩაიზე მიმიწვია; ჩვენ მაშინათვე წავედით კუკიაში, სადაც ის ცხოვრობდა; რადგან იგი მარტო იყო, ღამე აღარ გამომიშვა და მასთან გავათია. ამის მეტად მე მამაცოვი არასოდეს, აღარსად მინახავს, მაშასადამე აღარ შემეძლო მასთან სადილად ვყოფილიყავ, რასაც თვით მამაცოვი დაადასტურებს, აგრეთვე თუ ლეონიძეც იყო მასთან სადილად სამოს-

---

[1] ლაპარაკია ლეონიძეზე, რომელიც აქვეა მოხსენებული.

[2] აქტი გონიური.

წავლო ბათალიონში ყოფნის დროს, მაშინ ის ლეონიძეც იტყვის, რომ მე სადილზე არა ვყოფილვარ [1], ხოლო როგორც მაგონდება, ეს იყო გასულ ზაფხულს, როცა მე ჩემს სოფელში ვიყავი ავადმყოფობის გამო და ლეონიძე კი აქ დარჩა.

ხოლო რაც შეეხება სამოსწავლო ბატალიონის მოსყიდვას, მე ეს არ გამიგონია და ჩემთვის ეს სრულიად ახალია. ჩემთვის არავის არ უთქვამს იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა რამე შესრულების განზრახვა, თუ მხოლოდ გულში ფიქრობდნენ და იმედეულობდნენ რამეს. უკეთუ აჩვენებს ვინმე, რომ მე ამის შესახებ მითხრა ვინმემ რამე,— დამისახელონ დრო, ადგილი და მოწმენი, ვისთანაც ეს მითხრეს და მე იმედი მაქვს ამ ჩვენებიდან თავი გავიმართლო, მაგრამ თუ სამოსწავლო ბატალიონიდან თუნდაც ერთი ვინმე იტყვის, რომ გაუგონია მას ჩემგან რუსების ძაგება, დავკმაყოფილდები ამ ჩვენებით და მე თვითონ ვიდებ თავს ამ დანაშაულს. სამოსწავლო ბატალიონში ჩემი ყოფნა ხანმოკლე იყო: ხან ვავადმყოფობდი, ხან შვებულებაში ვიყავი რასაც თვით მაიორი მუზაიკა იტყვის, ყაზარმებში ძალიან იშვიათად მივდიოდი, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მეცადინეობა იყო. მაშინაც სხვა ოფიცრებთან ერთად მივდიოდი ხოლმე; აგრეთვე არავინა მყოლია სამოსწავლო ბატალიონში, რომელს ხშირად ევლო ჩემთან და რომელთანაც მე ცალკე სადმე მელაპარაკნოს (რასაც შეუძლია ეჭვი გამოიწვიოს) და ყველა ეს გარემოებანი მე ამ საქმეში უბრალოდ მხდის.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი
თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

1933 წლის მარტის 4-ს
თბილისი.

ელიზბარ ერისთავის პასუხები კომისიის კითხვებზე
(X, 1767)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო
4 მარტი 1833 წ.

1. მე იმიტომ არაფერი მიკითხავს დავით და დიმიტრი თარხანოვებზე ლუარსაბ თარხანოვისთვის, რომ მაშინ ლუარსაბ თარხანოვი თბილისში არა ყოფილა.

2. 1831 წელს პრაპორშჩიკმა გიორგი ერისთოვმა მაჩვენა სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში იმერელი ლორთქიფანიძე

[1] შეთქმულთა შეკრების მიზნით გამართულ ნადიმზეა ლაპარაკი.

და ბითხრა, რომ ლორთქიფანიძემ უთხრა მას, რომ იგი იმერეთის თავადიშვილებს ყველას ახლოს იცნობს და აღუთქვა, რომ შეიტყობს იმერლების აზრსა და დამოკიდებულებას მთავრობასთან. მას გამოუცხადეთ ჩვენი განზრახვა და მან აღგვითქვა, რომ ყველაფერს დაწვრილებით გვაცნობებდა. ამის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ მან ლორთქიფანიძეს ფული და მაზარა აჩუქა, და მისცა მას წერილობითი ინსტრუქცია, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

როგორც ალექსანდრემ მიამბო, ინსტრუქცია იმაში მდგომარეობდა, რომ არავისთვის ჩვენი სახელი არ უნდა ეთქვა, გარდა იმისა რომ საქართველოში არის განზრახვა და რომ მასში ყველა თავადები მონაწილეობას იღებენ; არ უნდა ელაპარაკნა ამაზე ვისიმე თანდასწრებით, არამედ განმარტოებით, მხოლოდ ერთ პირთან, და უნდა გაეგო რა აზრისა არიან იმერლები მთავრობის შესახებ და ყველაფერი ჩვენთვის დაწვრილებით ეცნობებინა. მაგრამ ლორთქიფანიძე წავიდა და მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუმცა ჩვენ არა ვფიქრობდით და არც იმედი გვქონდა, რომ იმერეთი ჩვენს განზრახვაში მონაწილეობას მიიღებდა.

3. თავად დავით დადიანისთვის მე არა მითქვამს რა ჩვენს განზრახულებაზე და არც ვისგანმე გამიგონია, რომ მას სცოდნოდა ჩვენი განზრახულება.

4. 1832 წელს პრაპორშჩიკმა თავადმა გიორგი ერისთოვმა კახეთიდან ჩამოიტანა აქტი, ბერ ფილადელფოსის თხზულება; მან წაგვიკითხა იგი მე და სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, როდესაც წაიკითხა იქამდე, სადაც ფიცი იწყებოდა, გიორგიმ გვითხრა ხელი ასწიეთ და როგორც იმან ისე ჩვენც ავწიეთ ხელი და ვიმეორებდით იმ სიტყვებს. რომლებსაც ის კითხულობდა, და ამის შემდეგ ვთქვით, ჩვენ მეგობრები ვიყავით და ვიქნებით სამუდამოდ.

5. 1831 წელს სადილად ვიყავი პრაპორშჩიკ მამაცოვთან, იქვე იყვნენ: ვახტანგ ორბელიანოვი, გიორგი ერისთოვი, იოსებ მამაცოვი, და მგონია იყო აგრეთვე პრაპორჩშიკი ჯორჯაძე. სადილზე დავლიეთ საქართველოს თავისუფლებისა და დიმიტრი ბატონიშვილის სადღეგრძელო. ვილაპარაკეთ პოლონელების მოქმედებაზე.[1] სამოსწავლო ბატალიონის შესახებ ჯერ უწინ შემოიტანა წინადადება ნათალოვმა, რომ ადვილია განიარაღება, თუ კი რამდენიმე გადაცმულ ქართველს ყაზარმებში შევაპარებთო, თვითონ კისრულობდა ამ საქმის შესრულებას. სადილზე ამაზე ლაპარაკობდა, პრაპორშჩიკი მამაცოვი

1 პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებით.

თანხმობას უცხადებდა, რომ იგი მას ამ განზრახვის შესრულებაში მოეხმარებოდა.

6. იასე ფალავანდოვის ჩვენებაში მართა მესხიევასა და თარხანოვების შესახებ, ყველაფერი უკუღმა აქვს კომისიას მოხსენებული. ფალავანდოვი ამბობს თითქოს მე ვუამბე მას, რომ ვითომც ჩემი, ვახტანგისა და გიორგი ერისთოვის თანდასწრებით ჰქონდეს მართა მესხიევას თამარ ბატონიშვილთან საუბარი თარხანოვების შესახებ. ეს არ არის მართალი, რადგანაც როცა მე ბატონიშვილს თარხანოვებზე შევეკითხე, მაშინ მხოლოდ ვახტანგ ორბელიანოვი იყო ჩემთან. მე თვითონვე შევეკითხე მართას ამ პირთა დაუსწრებლად, და მე არა მითხრა რა თარხანოვებზე. ფალავანდოვი ამბობს, რომ მელანია თარხანოვს ჰქონდა დავალებული ყველაფერი გამოეკითხნაო, და ვითომ ესეც მას ჩემგან გაეგონოს. ესეც აგრეთვე სიცრუეა. რადგან მე არც მისთვის და არც სხვა ვინმესთვის არა მითქვამს რა ამ დავალების შესახებ და არც არა ჰქონია რამე დავალებული იმ ქალს. მე ფალავანდოვსაც და სხვებსაც მხოლოდ ვუამბე ის, რაც ბატონიშვილისაგან გავიგონე, და რომ ერთხელ დავით თარხანოვმა მითხრა, რომ მას სურს ჩემთან საუბარი მეთქი. ვუთხარი აგრეთვე ფალავანდოვს, რომ დავითთან ვიყავი, მაგრამ მასთან საუბარი ვერ მომიხერხდა მეთქი. ერთი სიტყვით რაც მე ვაჩვენე მართასა და თარხანოვებზე, იგივე უთხარი ფალავანდოვსაც და სხვებსაც ყოველგვარი დამატების გარეშე. და ფალავანდოვი სრულიად სხვანაირად აჩვენებს მართაზე და თარხანოვებზე.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

საგამომძიებლო კომისიას
ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუტჩიკ მამუკა ორბელიანოვის
რაპორტი (X, 1769)

დამატებად პასუხის პუნქტისა, რომელიც ჩემს მიერ წარმოდგენილია, მაქვს პატივი განვმარტო თავად ელიზბარ ერისთავისა და სხვათა მიერ კომისიის წინაშე ჩემზე უსამართლოდ ჩვენების გამო შემდეგი: თავად ელიზბარ ერისთავის ჩვენება სრული სიყალბეა, რადგანაც მას ჩემთვის არასოდეს არც განმარტებით, არც გიორგი ერისთოვის თანდასწრებით არა უთქვამს რა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაზე, და ვერც გაბედავდა რაიმე ეთქვა ჩემთვის, იცოდა რა ერთგულება მთავრობისადმი როგორც ჩემი ისე მამიჩემისა, რომელმაც შეიპყრო და წარუდგინა მთავრობას ფარნაოზ ბატონიშვი-

ლი. კეთილმყოფელი და აღმზრდელი ელიზბარ ერისთავისა, რომელთანაც ცხოვრობდა ელიზბარი პეტერბურგში ყოფნის დროს. და თუ ის ცილს მწამებს, მხოლოდ ბოროტების გამო ჩემს მიმართ, რადგან მე ვიყავი დანიშნული მის დაზე და მერე კი თავი დავანებე მას, რომელიც ეხლა მელნიკოვზეა გათხოვილი. თავად ელიზბარ ერისთავის უსამართლობა იმითაც მტკიცდება, რომ პირისპირ წაყენების დროს კომისიის წევრთა წინაშე მან მითხრა, თითქოს მან ზაფხულში ეზოში მიმიწვია უნაბის ხის ქვეშ და იქ მელაპარაკა შეთქმულებაზე, და თითქოს მე ვუპასუხე: რაც გინდა ქენით, ოღონდ უჩემოდ მეთქი და მერე კი თითქოს მეც დავეთანხმე, — კომისიაში წარდგენილ ჩვენებას კი მას ეს სიტყვები (უნაბის ხის ქვეშ. რაც გინდა ქენით, ოღონდ უჩემოდ) მოხსენებული არა აქვს. მით უმეტეს, რომ როგორც მახსოვს 1831 წლის ზაფხულში მე ვიყავი მთაში, ე. წ. სომხითში თავად ჯამბაკურ ორბელიანოვების კუთვნილი მიწების დასაზომად, რაც ჩემზე უკეთესად იცის და შეუძლიან დაადასტუროს გუბერნიის მიწის მზომელმა უშაკოვმა. იქ შევეყარე 41 ეგერთა პოლკის სამ გამოქცეულ ჯარისკაცს, რომლებიც შევიპყარი და ჩემი კაცების თანხლებით გაუგზავნე სამოქალაქო გუბერნატორს ზავილეისკის. აქედან ჩანს, რომ მე ვაბრუნებდი გაქცეულ რუსებს, არა თუ მქონდეს აზრად მათი გაძევება, როგორც ამას ზოგიერთი პირები ჩემზე ამბობენ თავიანთ ჩვენებებში. სომხითიდან რომ დავბრუნდი აგვისტოში გორს გავემგზავრე ცოლთან, რომელიც თავის მამის ოჯახში ცხოვრობდა. აქვე ჩამოვიდნენ ელიზბარ ერისთავი და მისი და გარდაცვლილ მამასთან და იქიდან კი გავემგზავრეთ არბოს დღეობაში ოჯახებით. გზაში კი შემოგვეყარნენ ლევანი თავისი ძმებით და გიორგი ერისთავები (ამაზე უწინ თბილისში ზაფხულში არ მინახავს გიორგი ერისთავი), დავით ჯორჯაძე, როგორც მახსოვს ბარძიმ ამილახვრის შვილი, ლევან ერისთავის სოფელში, რომლის სახელიც არ ვიცი, ვისადილეთ და მერე ყველანი ერთად გავემგზავრეთ დღეობისაკენ. საღამოზე ქართული ჩვეულების თანახმად ლევან ერისთავმა ვახშმად თავისთან დაგვპატიჟა. როგორც მე ისე სხვა თავადებს დავით ჯორჯაძეს, ბარძიმ ამილახვრის შვილს გიორგი ერისთავსა და სხვებს, რომლებიც სახელდობრ არ მახსოვს, არა გვილაპარაკნია რა შეთქმულების თაობაზე — მხოლოდ ვსეირნობდით და ვმღეროდით. მეორე დღეს ჩემი ცოლით, ლევანი თავისი ძმებით, გიორგი ერისთავი, დავით ჯორჯაძე და თავადი ამილახვარნი გავემგზავრეთ სოფ. მეჯვრისხევს თავად დიმიტრი ერისთავთან. იქ მე ჩხუბი მომივიდა თავად გიორგი ერისთავთან. მერე ავად შევიქენ და თბილისს გამოვეშურე ექიმისაკენ, რის გამოც გამომაცილეს

ლევან ერისთავმა და ალექსანდრე ამილახვარმა. სოფ. ჭალაში რომ ჩამოვედით ალექსანდრე ამილახვაროვის სახლში მეორე დღემდე ლოგინში ჩავწექ ავადმყოფობის გამო.

მეორე დღეს როგორც მახსოვს მე და ლევან ერისთავი გავემგზავრეთ და მგონია, თავადმა ალექსანდრემაც სოფ. მუხრანამდე გაგვაცილა. როგორც მახსოვს სოფ. სამთავისთან შემოგვხვდა თავადი ალექსანდრე მელიქოვი, რომელიც აგრეთვე თბილისში მიდიოდა; როგორც უწინა, ისე შემდეგშიც არა გვილაპარაკნია რა შეთქმულების შესახებ. მუხრანში ღამე გავათიეთ ქაიხოსრო ბაგრატიონ-მუხრანსკისთან. მეორე დღეს კი მე და ალექსანდრე მელიქოვი ჩამოვედით თბილისში, სადაც ერთად ვბინადრობდით და როგორც მახსოვს, მოვმჯობინდი თუ არა ერთი ორი დღის შემდეგ, ალექსანდრე მელიქოვიც და მეც ჩვენ ჩვენ სოფლებში წავედით. აბა, სად უნდა მელაპარაკნა ლევან ერისთავთან? ისიც უნდა მოვახსენო კომისიას, რომ ფარნაოზ ბატონიშვილს ცოლად ჰყავს ლევან ერისთავის მამიდა და უეჭველად იმის გამო მწამებს ცილს, რომ მამაჩემმა ის ბატონიშვილი შეიპყრო და მთავრობას წარუდგინა, ხოლო თუ ელიზბარ ერისთავის უსამართლო ჩვენებას გიორგი ერისთავიც ადასტურებს. რა თქმა უნდა, რეალობის მიგნება არც მაგას გაუძნელდება, რადგან იგი არის სული და გული გაერთიანებული ამხანაგი და მეგობარი ელიზბარისა, ხოლო მას შემდეგ კი რაც მეჯვრისხევში ჩხუბი მოგვივიდა, იგი ჩემსას აღარ დაიარება და აღარც მე მივდივარ მასთან. აქედან კი კომისიასაც შეუძლიან გაითვალისწინოთ, რომ მე არ მინახავს რა არბოს დღეობაზე უწინ გიორგი ერისთავი. როგორ შეეძლო მას ჩემს სახლში ელაპარაკნა ჩემთან, როგორც ამას თავადი ელიზბარ ერისთავი უჩვენებს.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი აგრეთვე ტყუილს მიგონებს ხელმძღვანელობს რა ჩემსა და ჩემი ოჯახის მიმართ ბოროტი განზრახვებით. რაც მათ გვარს საერთოდ მოსდგამს, პირველი იმიტომ რომ მისმა მამამ დაასმინა პაულუჩთან მამაჩემი, რომელიც დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგში გამართლებული იქნა, ხოლო ალექსანდრე ორბელიანოვის მამა კი დასჯილი იქნა ღვთის განგების მიერ[1], მეორე — მამულებისა და გლეხების გაყოფის გამო, რადგან იგი ცდილობს ძველთაგანვე გაყოფილი გლეხები შეაერთოს ე. წ.

---

1 ალექსანდრე ორბელიანის მამა მოკლულ იქნა 1812 წ. კახეთის ამბოხების დროს ბრძოლაში.

საყაფლანისშვილოს გლეხებთან და მერე გაიყოს ოთხ ნაწილად, მაშინ, როდესაც თავის გლეხებს არ აჩენს, მესამე იმიტომ რომ ჩემს მიერ წარმოდგენილ წინა ჩვენებაში მე მოვიხსენე ნათესაური კავშირი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვისა, ბიძინა ერისთავისა (რადგან ესენი ერთი პარტია არიან) და მუხრან ბატონის დედისა ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომელიც მამაჩემმა დაჭერილი წარუდგინა მთავრობას, აგრეთვე ისიც, რომ მე და ჩემი ძმა დიმიტრი დავედევნეთ ალექსანდრე ბატონიშვილს — ალექსანდრეს და მუხრან ბატონის ბიძას, რომელიც დაღესტნიდან უსეინყანდის გზით გადმოდიოდა და ჩვენ მიერ იქ დატოვებულმა კაცებმა შეიპყრეს ერთი აზნაურიშვილი, რომელიც ბატონიშვილს ჩამორჩენოდა; მის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ მათ ჩემზე ტყუილი სთქვან.

ლუარსაბისა და მისი ბიძაშვილის ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვის ჩვენება აგრეთვე ყალბია, რადგან ისინი მტრები არიან ჩემი ოჯახისა იმის გამო, რომ ისინიც ცდილობენ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვსა და მარიამ ივანეს ასულ ორბელიანოვთან ერთად გაინაწილონ ჩვენი გლეხები, გარდა ამისა განსაკუთრებით ლუარსაბი და ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი ცდილობენ აინაზღაურონ მათი უკვე დაგირავებული მამულის სამაგიერო ჩემი მამულიდან, რის შესახებაც უკვე დიდი ხანია წარმოებს საქმე აღმასრულებელ ექსპედიციაში, ხოლო ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვის მოქმედებაზე ეკითხოს თავად რაფიელ ამატუნსა და მოქალაქე აღამალს, რამდენადაც მე ვიცი კი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი არის დამღუპველი თავისი უმცროსი ძმისა, რომელმაც მოიწადინა მასთან გაყრა, მაგრამ ალექსანდრე გიორგის ძე არ გაეყარა, მოატყუილა აქაური მოქალაქე, რომელსაც როგორც გამიგონია ოცი ათასი ემართა ვერცხლით, რომელსაც გამოსტყუა ვექსილი იმ საბუთით, რომ ამით იგი დაიხსნიდა თავის დაგირავებულ მამულს, რის შემდეგაც იგი და მოქალაქე მას საერთოდ გაჰყიდიდნენ, მაგრამ მან ხელთ იგდო რა თამასუქი, მოსპო იგი და ვალზეც უარი უთხრა, მამული და გლეხები დააგირავა ხაზინაში, მიიღო აბრეშუმი, წავიდა მოსკოვში და იქიდან რომ დაბრუნდა მონაგები ფული გაიყვეს იმან და უფროსმა ძმამ, უმცროსი ძმა კი უნუგეშოდ დასტოვა. ზემოხსენებული მოქალაქეების საქმე უკვე სასამართლოში წაიღეს როგორც გავიგე, მაგრამ დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა და როგორც მახსოვს ეს საქმე იცის მთავარ მართებლის თარჯიმანმა აღა ენაკოლოფოვმა, მართმსაჯულს კომისიას შეუძლია აქედან გამოიტანოს დასკვნა, თუ ადამიანს, რომელმაც დაღუპა საკუთა-

რი ძმა და ამდენი ბოროტება ჩაიდინა, რამდენი სიცრუის გამოგონება შეუძლიან ისე როგორც ამას სჩადის თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი.

მაგრამ რა მიზნით უნდა დავთანხმებოდი მე მათ, რომელსაც მინახავს რუსეთის ძალა, რომლის წინაშეც ძრწიან სახელმწიფოები; როგორ უნდა დაბადებულიყო ჩემში ეს სამარცხვინო და უგნური აზრი, მაშინ როდესაც არასოდეს არ ვყოფილვარ შეურაცხყოფილი. პირიქით ყოველთვის პირადად პატივცემული ვიყავი ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მიერ და ღვთის წყალობით სრულიად საკმარისი ქონება მაქვს.

ზედმეტად არ მიმაჩნია მოვახსენო კომისიას ჩემი ერთგულების შესახებ რაც იმაში გამოიხატა, რომ მე მუდამ მოუწოდებდი ქართველ თავადიშვილებს შეგვედგინა ესკადრონი, წავსულიყავით ს. პეტერბურგში და გვემსახურა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის წინაშე. ისე როგორც მსახურობენ ყირიმის თათრები და ჩერქეზები. ამ საქმის მოწმედ შემიძლიან დავასახელო თავადები, რომლებთანაც ამაზე მილაპარაკნია და რომელნიც მახსოვან, ესენი არიან: პავლე თუმანოვი, შალვა ერისთავი, სოლომონ ციციანოვი და სხვა. ასეთი მიზნით გამსჭვალულს, არ მქონდა რა მათთან არავითარი ახლო კავშირი, როგორ შემეძლო დამბადებოდა ცუდი აზრები. და თუ შეიძლება დაეჯეროს მის ჩვენებებს, როგორც ადამიანისას, მე თამამად შემიძლიან მოვახსენო კომისიას, რომ საერთოდ მთელი თავადაზნაურთა წოდება. იმათ გარდა, ვინც ჩემზე უსამართლოდ აჩვენებს, მე დამემოწმება.

უკეთუ ალექსანდრე ჭავჭავაძე აჩვენებს ჩემზე, რომ ჩემი თანდასწრებით ლუარსაბი მას ესაუბრა ეს სრული სიცრუეა და თუ კი ისინი ლაპარაკობენ ურთიერთშორის, მე როგორც ქრისტიანს არ გამიგონია და არა ვიცი რა.

თუმცა ჩემს გასამართლებლად ვიტყვი, რომ ერთგულ ადამიანს არასოდეს ღალატი არ შეუძლიან და მე რომ მათი ამხანაგი ვყოფილიყავ, მაშინ ჩემი ძმაც ჩამოვიდოდა, რომელიც ლეიბ-გვარდიის ფინლიანდიის პოლკში პორუჩიკად მსახურობს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე ჩემი ხელმწიფის წინაშე, ისე როგორც მათი ძმები ჩამოვიდნენ. წარმოუდგენ რა კომისიას, კეთილგანსახილველად ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათ ვ ი თ ხ ო ვ დამიფაროს ჩემზე უსამართლო ჩვენებათაგან.

ყაზახთა პოლკის პორუტჩიკი

თავადი მამუკა ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

4 მარტი 1833 წ.

თბილისი.

ივანე ბარათაშვილის ჩვენება (X, 1775)

ა. არაფერი არ ვიცი რა მაგათი განზრახულობისა.

ბ. ალექსანდრე ორბელიანს ჩემთვის არა უთქვამს რა, საქართველოს განთავისუფლება რუსებისაგან იმისგან აქვს ტყუილად მოგონებული და უსაფუძვლო არაოდეს ჩემთვის არ უთქვამს.

გ. ვითომ ალექსანდრე ორბელიანოვისათვის მეთქვას მე თარხანოვთაცა ჰყავთ საზოგადოებაო და სურთ ესე აზრი არაოდეს არც ჩემს ყურს სმენოდეს და არც ჩემს პირს ეთქვას ყოველივე მაგისი შეწამებული. ჩემზედ სულ ტყუილი არის ვფიცამ ყოვლისა შემოქმედს ღთს ალექსანდრეს ჰგონია თუ ბევრს ტყუილებს მაიგონებს ნუგეში მიეცეს რამე და ტყუილის მოგონებისათვის არას წუხს.

თავადი ი ო ა ნ ე ბ ა რ ა თ ო ვ ი.

ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენება (X, 1777).

კამისია რომელსაც მკითხავს მელნიკოვისას მე შემეტყოს რომ მთავრობაზედ ელაპარაკნოს რამე ჩემთან არა ულაპარაკნიარა არც ავათ და არც კარგათ მხოლოდ ეს შემიტყვია მელნიკოვისაგან რომ ლანძღავდა ხოლმე დიმიტრი ორბელიანოვსა და მამუკასა ორბელიანოვს და მე დაუშლიდი ხომე კეთილ შობილს კაცს არ ეკადრება მაგისთანა ლანძღვა, მეც გამლანძღავდა ხომე მე ამის მეტი არ შემიტყვია რა და არც ხშირად მივდიოდი ხომე მელნიკოვისას თვე'ში ან ორჯერ თუ ერთხელ შევიდოდა ხომე ამიტომ რომ სუყოვლის ჩემის მამულიდამ შეწუხებული ვარ და იმას ვჩიოდი ხომე სასამართლოებში მე იმისი თავი არა მჭონდა და ერთს დღეს ათას რვას ოცდა თერთმეტში არ მახსომს რომელს თვეში ანუ რომელს რიცხვში გიორგი ერისთავის შვილს შეეთხზა წიგნი და კითხულობდა რომ ჩვენი მამა პაპანი მეფების დროს აი, როგორი ვაჟკაცნი ყოფილანო და წიგნს მელნიკოვის სახლში კითხულობდა მე ეს შემიტყვია მელნიკოვის სახლში.

პორუტჩიკი თ-დ ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1833 го года. მარტის დღესა.

მაქვს პატივი რათა უმდაბლესად მოვახსენო კომისიას სამის პუნქტის პასუხი ესე.

1. რასაცა მკითხავთ პლემენნიკისათვის. იგი თქვენსგან კითხული პლემენნიკი იოსებ, არ არის პლემენნიკი ჩემი, ამისთვის რომ პეტერბურღშიც არის მისი დედა მართა იმაზედ უკანონოდ დაორსულებული, და როდესაც მართა აქ გადმოვიდა რუსეთიდამ, მაშინ შეირთო ჩემმა ძმამ ხსენებული მართა, ჭეშმარიტი არ ვიცი ორსულზეღ დაიწერა ჯვარი ჩემმა ძმამ, თუ შ'დ შობისა, რომელსაც ეყოლა სხვათა და სხვათა სჯულიერთა შვილებთა თანა სჯულიერი შვილი გრიგოლცა, რომელიც დღესა ჰყავს ცოცხალი და სხვანი კი დახოციან. და იგი ზემო ხსენებული უკანონო შვილი მართასი იოსებ, რომელიც წიგნსა ჰწერს მართას მინახავს პეტერბურღში. როდესაც მოვიდოდი ხოლმე ათასში ერთხელ იოანე ცარევიჩთან იქ მინახავს: გარწმუნებთ ჭეშმარიტებით არ მახსოვს რომ მე იმისთვის ან ალერსით ხმა გამეცეს ან მომეკითხოს ან მელაპარაკოს როდესმე იმასთან, ან ავად და ან კარგად. და რასაც იმის წიგნისას მკითხავთ, რომელიც თქვენ მაჩვენეთ, შეუძლებელი -რს რომ იმ წიგნით ეჭვი არა მოიტანოთ რა ჩემზედ, ვინაიდან თვით მეც ვიჭვნეულობ ჩემს თავზედ იმის მიხედვით იმ გვარად იწერება, რომლისათვისცა ვფიქრობ და ვერა მომიფიქრებია-რა, მაგრამ მრავალთ არა სწამთ, რომ ეშმაკი მოქმედებს კაცთა ზედა განსაცდელსა: აჰა ცხადი და ახალი განსაცდელი და მახე ეშმაკისა მიერ შეთხზული წარსაწყმედელათ ჩემდა. თორემ წმინდის სინდისით და ფიცით დაგარწმუნებთ რომ, არა თუ ეგ წიგნი მინახავს და მცოდნია არცაღა ვიცი იმან ქართული წერა იცოდა თუ არა. და ვერც ვიცნობ იმის ხელსა, არცა მცოდნია მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩემს რძალს მართასთან თუ არა, და არც უჩვენებია მართას ეგ წიგნი ჩემთვის და არც არა პირად უთქვამს, და არც ვიცი რის ფულსა ჰსთხოვს და რა ანგარიში აქვსთ ერთმანეთში. არცარა დამიშლია ამაზედ მართასთვის და არცარა ვიცირა, და ამის მეტად არც მცოდნია სად სცხოვრობდა იმ წიგნის მომწერი, ეს ამბავი ახალი სმენაა ჩემის ყურისაგან, და რასაც იმ წიგნში საწინელად მექადის მაზედ მე სინდისი ჩემი არას შემწამებს და არცარა ვიცირა რას მექადის ღვთის სახელით გარწმუნებთ.

2. ჭ. მე როდესაც რუსეთიდამ გადმოველ 1830 წ. მაშინ ავედ ამ ჩემს რძალს მართასთან და რაც ჩემის ძმის დარჩომილი წიგნები იყო სამოქალაქო თუ საეკლესიო, სულ ერთიან აუწერე და ნუმრე-

ბი დავასხი იმ წიგნებს და ნუსხა მე წამოვიღე. და უთხარ ხვეწნით ღვთის გულისათვის ნუ დაუფანტავ ამ წიგნებს შენს შვილსა და ნუც დაუყიდი მეთქი გამოსადეგი და ღირებული წიგნები არს შრომა არის გაწეული ამ წიგნების წერაზედ და უბრალოდ ნუ დაჰფანტავ მეთქი ავდეგ და წამოველ. მეორედ კიდევ ველ დილით ჩემის ძმისწულის გრიგოლის შკოლაში გასაგდებათ რადგან აღარ დაღიოდა, მას აქეთ არც გამივლია იმის სახლში, არცარა ვიცირა როგორ ცხოვრებს და რით ცხოვრებს და არცარას ვიკითხავდი იმის ამბავს: შარშან ამოვიდა აქ მონასტერში და მოიყვანა ჩემი ძმისწული გრიგოლ, ჯარში განვაწესე, ვისტუმრებ და დალოცეო, მეც დავლოცე ჩემი ძმისწული დავარიგე და უთხარ, რადგან შკოლიდამ გამოვარდი და არ შეისრულე სწავლა და გსურს ჯარში სამსახური იქ მაინც ეცადე რომ ისწავლო რამე სამსახური და მორჩილება რომ კაცად გამოხვიდე ხელმწიფეს ემსახურო და პური იშოვნო მეთქი, ორი ოქრო ვაჩუქე და წავიდნენ დედა შვილნი, ჭეშმარიტად არ ვიცი რომელს ჯარში განაწესა, ვისის შემწეობით, და რას სწავლისა სამსახურსა და წარმატებაში ჰყვანდა, და ან ახლა სადა ჰყავს არ ვიცირა. და არცარას ვკითხავდი და არც მივლია იმის სახლში და არ მიამებოდა მისვლა მისთვის რომ თავქარიანი დედაკაცია და თავის ნება, და ამისთვის არას დავდევდი სულ არა ვიცირა იმის ცხოვრებისა, და არც ვიცი რა თანაშეკრულება ჰქონდა თარხანოვებთან, ეს კი ვიცი რომ მეზობელია, და სხვა არა ვიცირა.

3. არცარა თარხანოვებისა ვიცი, არცა გამივლია იმათ სახლში ჩემს დღეში არცარა მილაპარაკნია მათთან, არცარა იმათ ჩემთან, არცარა გამიგონიარა შორიდამ თავის დაკვრის მეტი მე იმათთან ცნობა არა მაქვს რა, არცარა სხვათა თავადთა თანა, არც სამეგობროდ და არც სალაპარაკოდ, ჭეშმარიტებით გარწმუნებთ რომ არც ვეწყობი აქა იქ უბრალოდ სიარულს და ამბების გამოძიებას და შეტყობის და არც ჩემი საქმეა რომელსაც ცოდვათა გვიწერს კანონი, და ნუცა გგონია რომ მე ან ვიყო რამე საზოგადოებაში, ან ხმა მქონდეს რამე, და მიცნობდეს საზოგადოება მახლობლად, ან მეგობრობა მქონდეს ვისთანმე და თანშეკრულება ჩემი კელიის გარეშე და მონასტრის კრებულს გარდა. ზეციერ მიწევნით დაგარწმუნებთ ესოდენ კაცი ვარ რომ, მაგ ეჭვებათ არა ვღირვარ, რაც ეჭვები გაქვსთ ჩემზედა, და ვერც იკადრებს ჩემი გონება მაგაების გამოხატვას.

მღვდელმონოზონი ტ ა რ ა ს ი.

წელსა 1833, მარტის 2.

ცნობა ძმებ ზავილეისკების შესახებ (XI, 1702)

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ზავილეისკი[1] და კოლეჟსკი სეკრეტარი ზავილეისკი წავიდნენ ახალციხეს 1832 წლის 25 იანვარს და დაბრუნდნენ 17 თებერვალს.

წავიდნენ კახეთს თებერვლის 19-ს და დაბრუნდნენ 1 მარტს.

6 მარტს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ზავილეისკი გაემგზავრა რუსეთს და დუშეთამდე წაჰყვა ძმა, რომელიც თბილისს 15 მარტს დაბრუნდა.

კოლეჟსკი სეკრეტარი ზავილეისკი წავიდა ახალციხეს 20 მარტს და დაბრუნდა იქიდან 4 აპრილს; შემდეგ წავიდა ახალციხეს 10 მაისს და დაბრუნდა 18 ივნისს, ხოლო 23 ივნისს წავიდა თელავს და იქიდან კი დაბრუნდა ივლისის 10 რიცხვს.

აგვისტოს 14-ს წავიდა ახალციხეს და დაბრუნდა 6 სექტემბერს. 21 სექტემბერს გაემგზავრა რუსეთს.

ძმის წასვლის შემდეგ[2] იგი ცხოვრობდა გუბერნატორის სახლში კოლეჟსკი სეკრეტარ ხალიუსტინსა და შტაბის კაპიტან ფალავანდოვთან[3] ერთად, ეს უკანასკნელი მათ შეუერთდა მას შემდეგ რაც სახლში გადასახლდა ბატონი სამოქალაქო გუბერნატორი ფალავანდოვი.

ტიტულიარნი სოვეტნიკ[4] ზაველეისკის ახალციხეში წასვლის შემდეგ ხალიუტინი გადავიდა მოქალაქე მანახოვის სახლში, სადაც გაჩერდა ახალციხიდან დაბრუნებული ზავილეისკიც. ხალიუტინის ზასედატელად დანიშვნის შემდეგ. იგი გადავიდა მოქალაქე ტერ-ასატუროვის სახლში. ზავილეისკი უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა კოლეჟსკი სოვეტნიკ კალინოვსკის ბინაზე. საიდანაც იგი რუსეთს გაემგზავრა.

პოლიცმეისტერი. (ხელმოწერა).

პაუშენკოს ჩვენება (X, 1799—1802)

საგამომძიებლო კომისიას ტიტულიარნი სოვეტნიკის დიმიტრი პაუშენკოს განმარტება.

თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენების გამო უპატივცე-

---

1 ყოფილი გუბერნატორი.

2 იგულისხმება ყოფილი გუბერნატორის რუსეთში წასვლა.

3 იასე ფალავანდიშვილი.

4 იგივე კოლეჟსკი სეკრეტარი.

მულესობად განვაცხადებ, რომ მე არავითარ ეგრეწოდებულ შეთქმულების შესახებ არაფერი ვიცოდი. მაგრამ მე მინახავს იგი ორბელიანოვი მაშინდელ საქართველოს მართებლობით უკმაყოფილო: ეს იყო 1830 და 1831 წლებში, რათა გამეგო მისგან ყველაფერი, ხომ არ იმალებოდა აქ რაიმე ბოროტმოქმედება. ხანდახან ვმართავდი ხოლმე მასთან სხვადასხვა მსჯელობასა და ბაასს განზრახ, ხოლო ამ დროს გავიგონე მისგან, რომ რუსეთში არის ვინმე დიმიტრი ბატონიშვილი, კაცი ჭკვიანი: ეს ბატონიშვილი, მგონია, წავა ლონდონში იმპერატორის ნებართვით და მგონია, ამ ბატონიშვილს განზრახვა აქვს სთხოვოს ლონდონის მთავრობას შუამავლობა, რათა მას საქართველოში ცხოვრების უფლება მიეცეს. ამგვარად ხშირად ლაპარაკობდა თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, მაგრამ რადგან მისი სიტყვები მგონიაობაზე იყო აღმოცენებული, ამიტომ კეთილგონიერება მიკარნახებდა არავითარი სერიოზული ხასიათი მათთვის არ მიმეცა. რაც შეეხება იმ ხმებს ვითომც მე ვეუბნებოდი გაევრცელებინათ ხმები აქაურ წარჩინებულ ხალხთა რუსეთში გადასახლების შესახებ, ეს ხმები თვითონ მან გადმომცა მე და არა თუ ჩემგან იყოს ნათქვამი; და მე ჩემი მხრივ მაშინვე განვუცხადე მას ეჭვი, რომ მთავრობა ამას არ ჩაიდენს მეთქი; მაინც თქვა მან, რომ წავა და შეაშინებს მუხრან ბატონს უფროსს. მაგრამ მისთვის არც ამის ჩადენა მირჩევნია. ხუმრობით ვიზამ ამასო, მიპასუხა თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა. შემდეგში მე გავიგონე მისგან, რომ უფროსი მუხრანბატონი ბაგრატიონი ძლიერ განრისხდაო.

სხვადასხვა პალატებში მოსამსახურე ქართველი თავადების შესახებ ასეთი ლაპარაკი იყო, როგორც მე მახსოვს, რომ ისინი ძალიან ცოტანი არიან სამსახურში, რომ საჭიროა, რათა თავადაზნაურობამ ბლომად გაგზავნოს თავიანთი შვილები სამხედრო სამსახურში, რადგან მათი საშუალებით შეუძლიან რუსთა ზნეჩვეულების გავრცელება, ამის საშუალებით კი ეს ორი ხალხი ეხლანდელზე უფრო მჭიდროდ დაკავშირდებოდნენ და მაშასადამე რუსეთის ჯარისკაცები უფრო მეტად შეიყვარებდნენ ამ მხარეს. მაშინდელი, ე. ი. 1830 წ. და 1831 წლების პოლონეთისა და საფრანგეთის ამბების შესახებ ალექსანდრე ორბელიანოვი ჩვენ მუდამ გვიამბობდა, ისე ცნობისმოყვარეობისათვის ჰკრებდა რა ამბებს გაზეთებიდან, რომლებიც გუბერნატორ ზავილეისკისგან მოჰქონდა და შემდეგში კი საკუთარ სახელზე მიღებულ გაზეთებიდან. მაგრამ მომხდარა, რომ მეც ზოგჯერ მასთან მივსულვარ გაზეთითურთ წასაკითხად, არა ვთვლიდი რა ასეთ საქციელს არავითარი წესრიგის საწინააღმდეგოდ, ამასთანავე ვიმეორებ, რომ არავითარი შეთქმულების შესახებ მე არაფერი არ ვიცოდი

და რაც თვით თავად ალექსანდრე ორბელიანოვს ჩემს შესახებ ამ საქმეებთან დაკავშირებით დაუწერია, ყველაფერი ტყუილია. სხვა მის თანამზრახველთა ჩემს შესახებ ჩვენებებზე ისევე განვმარტავ, რომ ისინი მე ცილსა მწამებენ, რადგან თუ კი ოდესმე ჩემსა და მათ შორის ყოფილა რაიმე საუბარი, ეს ჩემი მხრით გულწრფელი არასოდეს არ იყო, როგორც ეხლაც მაგონდება. ამიტომ რომ ეს პირები ყველანი ჩიოდნენ ზოგი — რომ მათი საქმე მალე არ თავდება, ზოგნი რომ მათ უდანაშაულოდ და სასამართლოს გარეშე მამულები ჩამოართვეს, მაშასადამე ამასთან შეფარდებით ვლაპარაკობდით ჩვენ მხოლოდ იმას, რის თქმაც შეიძლებოდა, რატომ არ შეიძლებოდა ისე გაეგოთ რომ შეთქმულების მონაწილე ვიყავი, მაშინ, როდესაც ჩემი მიზანი იყო მათგან გამეგო რამე და რაც საჭირო იყო ის მექნა, მაგრამ ვერა გავიგე რა დანამდვილებით და ვხედავდი რა რომ შეთქმულება არაფერს ნიშნავდა, ამიტომ არც შეიძლებოდა მთავრობისათვის მეცნობებინა, რადგან კანონის თანახმად, იმის შესახებ შეიძლება აცნობო მთავრობას, რასაც ჰხედავ, იცი, ნამდვილად ამჩნევ. მე კი არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არა მქონდა, უსაბუთოდ რომ მეცნობებინა კი მე თითონ უნდა მეგო პასუხი კანონის წინაშე. ამა კომისიაში გამომეცხადა, რომ ვითომც 1831 წელს მე მთავრობის უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ თუ ამას თბილისის პოლიცმეისტერი ამბობს, მას შეუძლია ტყუილი დაწეროს ეხლა, რადგან მე ცოტა არ იყოს მის საზარალოს ვწერდი იმ 190 ათასის თაობაზე. რომელიც თითქოს თბილისელი მოქალაქის ხანქალამოვისთვის ჩამომერთმია. მაგრამ ჩემი საქციელი ნათლად ჩანს 1831 წლის უწყებებიდან, რომლებშიც პოლიცმეისტერი მეც მიხსენიებდა, თუ როგორ ვიქცეოდი თბილისში ყოფნის დროს. ეს უწყებები ან გუბერნატორთან უნდა იყოს ან აღმასრულებელი ექსპედიციის საქმეებში. ამ კომისიაში გამომეცხადა აგრეთვე, რომ მე ეს ყველაფერი წარსული წლის დეკემბრიდან ვიცი. მაგრამ თუ დუშეთიდან ვინმემ დამაბეზღა. ალბათ ვინმე მოხელეთაგან. ზედამხედველსა და გარნიზონის კაპიტნის ჩათვლით, რადგან მათში დავტოვე ჩემს წინააღმდეგ უკმაყოფილება და მტრობა სხვადასხვა შემთხვევათა გამო, რომელთა შესახებაც ჩემს მიერ თავის დროზე მოხსენდა მთავრობას.

ამავე კომისიაში თავის დროზე გამომეცხადა აგრეთვე, რომ ბრალდებულთ ჩემს შესახებ არაფერი უჩვენებიათ თითქმის წარსული თვის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებამდე. რამდენჯერაც არ შეჰკითხებიან ჩემზე, აქედან ცხადია, რომ ბრალდება განგებ არის თავს მოხვეული და უკვე საპყრობილეში ჯდომის დროს არის

გამოვონილი. თუ ასე არა. ისინი თავიდანვე აჩვენებდნენ ჩემზე. თუ კი მე მათი თანაგანმზრახველი ვიყავი და თუ კი მე ასეთად ვაცხადებდი მათს წინაშე ჩემს თავს. ამასთანავე, შეთქმულების წევრად ყოფნა იმას ნიშნავს. რომ უნდა მცოდნოდა საშუალებანი, ხერხები და გეგმები შეთქმულებისა, მე კი ამგვარი არაფერი ვიცოდი. რაშიაც მოწმედ თვით ღმერთს მოვუწოდებ, რომელმაც ერთმა უწყოდა. რომ მაშინდელი ჩემი ფიქრები ჩემი მოვალეობის შესახებ სუფთა და დაუძრახავი იყო.

ამა კომისიაში გამომეცხადა კიდევ, რომ ზოგიერთ ბრალდებულთ ჩემზე უჩვენებიათ, რომ მათ არ იციან ვიცოდი მე თუ არა 1832 წლის შეთქმულების ამბავი. ამ გვარად, თვით ეს მათ მიერ ნაჩვენები სავსებით ადასტურებს, რომ მე უდანაშაულოდ ვიტანჯები, რადგან. მე თუ მათი თანაგანმზრახველი ვყოფილიყავ, მაშინ ეს შეთქმულებაც უნდა მცოდნოდა, ხოლო თვითონ კი აჩვენებდნენ. რომ მათ არ იციან, ვიცოდი მე იგი თუ არა, მაგრამ, ეგებ, ამაზე მითხრათ, რომ შეიძლება. ერთი შეთქმულება იცოდეს კაცმა. მეორე კი არაო. ამაზე ვუპასუხებ, რომ თუ მე ვყოფილიყავ იმის მონაწილე, რაშიაც მე ბრალსა მდებენ და რომ მცოდნოდა 1831 წლის შეთქმულება. მაშინ 1832 წლისაც მეცოდინებოდა, რადგან მათ მიერ ჩემთვის ამის გამოცხადება პირველი შეთქმულების უეჭველი და აუცილებელი შედეგი იქნებოდა; მაგრამ როგორც 1831 წლის შეთქმულების შესახებ არაფერი ვიცოდი, არ შეიძლებოდა არც 1832 წლის შეთქმულების მცოდნოდა რამე და წინააღმდეგ, ე. ი. არ ვიცოდი რა ეს უკანასკნელი, არც შეიძლება, რომ ამისთანა პირველიც მცოდნოდა. ეს მართლა ასეც იყო.

თუმცა 1831 წლის შესახებ, აი, რას გავბედავ კომისიას ვაცნობო, მაშინ, როდესაც უკმაყოფილების სული სუფევდა არა მარტო ქართველებს. არამედ ჩვენს რუს მოხელეებს შორისაც და ეს უკმაყოფილება უმთავრესად ეხებოდა გუბერნატორ ზავილეისკის. განსაკუთრებით იმიტომ რომ მრავალი უდანაშაულოდ იქნა პასუხისგებაში მიცემული, სხვები გამოუძიებლად იყვნენ დათხოვნილნი თანამდებობიდან. ამით შეურაცხყოფილი ხალხი, ხშირად, რასაკვირველია, თავის მდგომარეობის გასაქარვებლად, რას არ იტყოდნენ. ცოტად თუ ბევრად ასეთ მდგომარეობაში მიხდებოდა მე ზოგჯერ შეხვედრა ზოგიერთ ქართველთან. მათ რიცხვში ჩემს ბრალმდებლებთან თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან, თავად ელიზბარ ერისთოვთან და გიორგი დავითის ძე ერისთოვთან, რომელთაგან პირველი ორი ჩიოდა მათი საჩივრის საქმის გაუთავებლობას, მეორე კი მამულის ჩამორთმევას სასამართლოს გარეშე. მაგრამ ჩემი

ზედმიწევნით დაკვირვების დროს ვხედავდი, რომ ისინი, ასე ეთქვათ, მხოლოდ ლაპარაკობდნენ. საამისოს კი ვერაფერს ვხედავდი და ვერ ვამჩნევდი, რითაც დავრწმუნდი, რომ რამე შეთქმულება მაშინ მარ. ოლაც არსებობდა. რასაკვირველია. შეიძლება იგი იყო მათ, იმ გვარ. განწყობილებაში მყოფთა, აზრში. ეს მე არ ვიცი.

განვმარტე რა ყველაფერი ეს, ჩემს ხვედრს უპატივცემულესად კომისიის ხელთ გადავცემ.

ტიტულიარნი სოვეტნიკი პ ა უ შ ენ კ ო

მარტის 6, 1833 წ.

დიმიტრი ორბელიანის პასუხები (X, 1803)

კომისიის კითხვითი პუნქტებზე მაქვს პატივი ვუპასუხო.

1. თამარ ბატონიშვილზე არ ვიცი რა და არც არავისგან გამიგონია იცის მან შეთქმულება თუ არა, მეც მასთან არასოდეს არა მქონია ამ საქმეზე საუბარი.

2. მართა ალექსეევ-მესხიევს სრულიად არ ვიცნობ და ჩემთვის არავის რა უთქვამს მის შესახებ.

3. ივანე ბარათოვზეც არასოდეს არავის რა უთქვამს და მე არც მას ვიცნობ.

4. სოლომონ რაზმაძე პოლონეთის ლაშქრობამდე დაიარებოდა ქართველ ბატონიშვილ დიმიტრისთან და იქ ჩვენს საზოგადოებაში იღებდა მონაწილეობას, მის შესახებ დაწვრილებით სხვა არა ვიცი რა, იგი უჩემოდ გამოემგზავრა აქეთ და მეტი არა მახსოვს რა.

აქ რომ ჩამოვედი თავად ელიზბარ ერისთოვისაგან გავიგე, რომ მასაც სცოდნია ჩვენი განზახულება, მაგრამ არ ვიცი აქედან რომ მიდიოდა, მისცეს რამე დავალება თუ არა.

5. რომან ჭავჭავაძეზეც აგრეთვე არა ვიცი რა და არც არავის უთქვამს რაიმე მასზე.

6. ბატონ ჩუბინოვზე მე სრულებით არა ვიცი რა, მაგრამ მინახავს კი სადილებზე ქართველ ბატონიშვილებთან, მეტი მის შესახებ არა ვიცი რა.

7. დიმიტრი ბატონიშვილთან დაიარებოდნენ თავადები ივანე და ლუარსაბ ჩოლოყაევები, ბერები ტარასი და იონა, მაგრამ არ მახსოვს, რომ ამ საქმეზე ჩემი თანდასწრებით რამე ელაპარაკნათ. და არც უთქვამს ჩემთვის ვისმე მათს შესახებ რამე.

8. დიმიტრი ბატონიშვილი მეუბნებოდა, რომ აქ დიდი ხანია არსებობს ეს საზოგადოება. უეჭველად თავად ელიზბარ ერისთოვისაგან ჰქონდა ცნობა, რომ იგი დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ რა ღონიდან, არ ვიცი. მე მისგან არ გამიგონია, მე მგონია, ის 1831 წლიდან სთვლიდა.

ეს განმარტებები მზად ვარ დავადასტურო ფიცით და სრულიად გულწრფელად არის იგი მოხსენებული.

ლეიბ-გვარდიის პოლკის პრაპორშჩიკი
თავადი ორბელიანოვი.

4 მარტი 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის პასუხები (X, 1807)

საგამომძიებლო კომისიას!

1. თავად ზაზა თარხანოვს ჰყავს ალალი ბიძები დავითი, დიმიტრი და ლუარსაბი, რომლებთანაც, მე მგონია, ამ განზრახულების თაობაზე ურთიერთობა ჰქონდა.

2. მუხრან ბატონებთან უნდა ელაპარაკნათ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვსა და ბიძინა ერისთავს.

3. პაუშენკოს შესახებ უნდა იცოდეს ელიზბარ ერისთოვმა.

4. ზურაბ ჭავჭავაძემ არ ვიცი ეს განზრახულება ვისგან გაიგო.

5. თავად ქაიხოსრო ჯავახოვზე უნდა იცოდეს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა.

6. მარშალ შალვა ერისთავზე იცის ელიზბარ ერისთავმა.

7. ქართველ სეფექალებზე უნდა იცოდნენ ალექსანდრე ორბელიანმა და ბიძინა ერისთავმა.

8. ნათალოვზე უნდა იცოდეს ალექსანდრე ორბელიანოვმა.

9. ჯორჯაძეზე უნდა იცოდეს ელიზბარ ერისთავმა. აგრეთვე, მგონია, რომ იცის ალექსანდრე ორბელიანოვმა.

10. მამუკა ორბელიანოვზე უნდა იცოდნენ ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანოვმა.

11. სამოსწავლო ბატალიონის მამაცოვზე არა ვიცი არა.

12. პავლე თუმანოვზე უნდა იცოდნენ ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანოვმა.

13. სენატორ ერისთავზე უნდა იცოდეს ელიზბარ ერისთავმა.

მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

4 მარტი 1833 წ.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი სასტიკად შესცდა ჩემთან ნაცნობობაში.

1. ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი სამხედრო სამსახურისა და არა ერთხელ მითხოვია ნებართვა მამისა და ძმისათვის, მაგრამ ნება არ მომცეს. მათი ნებართვის გარეშე გავბედე და მივეცი განცხადება ყოფილ დივიზიის უფროსს და ვთხოვე განვეწესებინე 7-ე კარაბინერთა პოლკში, რომელიც ეხლა ერევნისაა, სადაც გამოვეცხადე ყოფილ პოლკოვნიკ მურავიოვს. ახლა რომ გენერალ ლეიტენანტია. რამოდენიმე დღის შემდეგ პოლკოვნიკმა მიიღო მიწერილობა, რათა დაუყოვნებლივ თბილისში გავეგზავნე. მე მაშინვე მივხვდი, რომ ამის მიზეზი ჩემი ძმა იყო და დაბეჯითებით ვთხოვე მურავიოვს, რათა იგი ჩემსა და ძმის შორის შუამავლად გამოსულიყო და დავეტოვებინე პოლკში. პოლკის უფროსმა შეიწყნარა ჩემი თხოვნა, ჩამისვა ეტლში და მამაჩემთან მიმიყვანა, ბევრი სთხოვა. მაგრამ ამაოდ.[1] ამ დროს იქ დაესწრო ყოფილი პოლიცმეისტერი მელნიკოვი.

დავინახე, რა რომ არ მქონდა საშუალება შევსულიყავი მისი იმპერატორობითი უმაღლესობის სამხედრო სამსახურში, მეორე დღეს მივედი მურავიოვთან და ვუთხარი, რაკი მე სამხედრო სამსახურის უფლება არ მომცეს, უეჭველად საზღვარგარეთ წავალ და იქიდან კი რუსეთში მეთქი! თურქეთში რომ წავედი, თურქებისა მეშინოდა და მივედი ლტოლვილ იმერელ ბატონიშვილად წოდებულ ვახტანგთან. მას ეგონა, რომ მე მასთან ჯაშუშად ვიყავი მიგზავნილი[2]. და როდესაც კი დარწმუნდა ჩემში, მე მაშინ არა ერთხელ ვუამბობდი მასაც და მასთან მყოფ თავადაზნაურებსაც სრულიად რუსეთის ხელმწიფის უძლეველობაზე და ვეუბნებოდი, რომ მათ ყველას შეიწყნარებენ თუ წავლენ ტაგანროგში და ხელმწიფე იმპერატორისაგან პატიებას ითხოვს მეთქი. მე იმდენი ველაპარაკე, რომ ვახტანგმა განიზრახა გაეყიდა ცხენები და იარაღი და ჩემი რჩევის თანახმად მოქცეულიყო, მაგრამ მასთან მყოფმა ზოგიერთმა ბოროტმა ლტოლვილმა გაიგო და ძალიან გამიწყრნენ.[2] ერთი მათგანი გაკადნიერდა და ვახტანგის ასეთი რჩევისათვის მოკვლას დამე-

---

[1] აქ რომ ჩამოვედი, გრაფ ვორონცოვს მნიშვნელოვანი ცნობა ჩამოეტანე. და დაწვრილებით ავუწერე რაც გავიგონე მთავრობის წინააღმდეგ; იქვე მოვიხსენიე ჩემი სურვილი სამხედრო სამსახურში შესვლისა, რის შესახებ დაკითხულ იქნა მურავიოვი.

[2] ყველაფერი ეს დაწვრილებით ვუამბე გრაფ ვორონცოვს.

მუქრა. რომ რუსეთის სასახელო ასეთ რჩევას მე მათ მუდამ ვაძლევდი. თუ კეთილინებებს კომისია, შეუძლიან გაიგოს ამ პირთა დაკითხვით, რომლებიც იქიდან არიან დაბრუნებული და შეწყალებული, სახელდობრ: თავადები ივანე და გრიგოლ წულუკიძეები, ქაიხოსრო აბაშიძე, აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე და ქაიხოსრო[1]...

2. მამაჩემს ჰქონდა მიღებული ორდენი და ბრილიანტის ჯვარი, იღებდა მდიდარ ჯამაგირსა და პენსიას, ჩემი უფროსი ძმა მთლად შემოსილი იყო ორდენებით. ამ ძმას ამიერკავკასიაში დიდი ადგილი უჭირავს — მეც მსურდა მემსახურნა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამხედრო სამსახურში, დამენთხია ჩემი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე, და გამომეჩინა ერთგულება ისე, როგორც ეს ჩემი სახლის შვილებს გამოუჩენიათ. და თუ ჩემს ოჯახს აქვს რამე სიკეთე, გახლავთ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის სიუხვის წყალობით.

ამას გარდა, ჩემი ძმა ამჟამად ჩემი არა კეთილმოსურნეა. მაგრამ ეკითხოს მას და აგრეთვე ჩემს ყველა ნაცნობებს, გარდა შეთქმულების მონაწილეებისა, ჩემს შინამოსამსახურეებს, რომ როგორც კი წლოვანი შევიქენი, იმ დროიდან მე არასოდეს არა მქონდა სურვილი საქართველოში დარჩენისა, არამედ მსურდა რუსეთში ცხოვრება, მე მუდამ გავიძახოდი თანახმა ვარ რუსეთში ღარიბად ვიცხოვრო, ვიდრე საქართველოში მდიდრად-მეთქი. ამასთანავე ჰკითხეთ აფხაზოვს რა უთხარი მე: „რომ ესენი მეუძლებელს ლაპარაკობენ, მაგრამ დე მათებურად იყოს, მე მღვდლის შვილს დამიძახებენ და შენ კი მხატვრის შვილს მეთქი, და ქართველები ჩვენ ცემას დაგვიწყებენ მეთქი". ამისდა მიხედვით, მე რისთვის უნდა დავთანხმებულიყავ თუ არა მხოლოდ იმისათვის, რათა ეს ბოროტგანმზრახველნი მთავრობისათვის გამეცა. რაც კიდეც შევასრულე.

3. ალექსანდრე ორბელიანოვი გაკვირვებულია, რომ თუ კი მე ბაცემა მინდოდა რატომ 1831 წ. არ გავეცი. ჩემს ჩვენებაში ვაჩვენე, რომ მე ალექსანდრესთან ნაცნობობა არა მქონია და თუ იტყვის, რომ მე ვყოფილვარ მასთან, ან იგი ჩემთან ყოფილა — დე დაამტკიცოს. 1831 წ. სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში გაგრძობდა ალექსანდრე ორბელიანოვი ჩემთან ნაცნობობას. როგორც მე ეს უწინაც ვაჩვენე, სხვა საუბართა შორის არა ერთხელ უთხოვია ჩემთვის, რათა მეთხოვა ჩემი სიძის სარაჯევისათვის, არ მახსოვს მას თუ დედა მისს ჰქონდა საჩივარი მთავარ მართებლის

---

[1] გვარი არ იკითხება.

კანცელარიაში, სადაც ჩემი სიძე მდივნად იყო და მე ვფიქრობდი რომ ამისათვის გამეცნო იგი; მე სარაჯევისათვის არასოდეს რა მითხოვნია და შესწყვიტა ჩემთან სიარული. ეკითხოს მას, მართლა ჰქონდა კანცელარიაში საქმე თუ არა.

4. როდესაც გასულ 1832 წელს პირველად გამომიცხადა ალექსანდრე ორბელიანოვმა ეს მთავრობის საწინააღმდეგო განზრახვა, მე მაშინვე მსურდა კორპუსის უფროსის დაბრუნებამდე გამომეცხადებინა ეს აქ, მაგრამ ამისი მიზეზები უკვე წარდგენილია ჩემს მიერ კომისიაში. მაშინ ჩემს სახლში ცხოვრობდა ტიტულიარნი სოვეტნიკი ზავალეისკი. და რაკი მე არ ვიცოდი დაბეზღების ქაღალდის შედგენა, მე რჩევა ვთხოვე ვუთხარი რა მას, რომ დიდი სახელმწიფოებრივი საიდუმლოება მაქვს გამოსაცხადებელი და რადგან ჩემს ძმას ამიერკავკასიაში დიდი ადგილი უჭირავს, ამიტომ მეშინია მე თვითონ უბედურებაში არ ჩავვარდე ძეთქი. მან მირჩია და მითხრა, რომ საიდუმლო საქმეებს განაგებს გენერალ ადიუტანტი ბენკენდორფი, მეფის ტახტთან ძლიერ დაახლოებული პირი, მე გიკარნახებ და შენ დასწერეო. მან მიკარნახა და მე დავწერე, სხვათაშორის იქ ნათქვამი იყო, რათა საგანგებო ფელდიეგერის საშუალებით მე პეტერბურგს მივეყვანე თბილისიდან. ეს დაწერილი ვაჩვენე იმ პირთ, რომელთაც ვენდობოდი, სახელდობრ კაპიტან დავით ორბელიანოვს, აზნაურ ლორის მელიქოვს და 14-ე კლასის აფხაზოვს, — ეკითხოს მათ ფიცის ქვეშ. ხოლო რადგან იქ ჩემი პეტერბურგში წასვლაზე იყო ლაპარაკი, მე მეშინოდა, რადგან ვიცოდი, რომ ელიზბარ ერისთავი და დოდაევი ამბობდნენ, თუნდა ვინმეს დაგვაბეზღოს მაინც არ გამოვუტყდებითო, თვითეული იტყვის, რომ ჩემს ძმას ჩემი კუთვნილი ქონების დასაკუთრება სურსო მითუმეტეს, რომ წერილობით ვერავითარ საბუთს ვერ იპოვნიან. თანაც ვიტყვი, რომ ეს კომედია იყო, სცენა იყო, ვლაპარაკობდით დროს გასატარებლად არ გვახსოვს რას ვლაპარაკობდით, რა ვიცი ადამიანი რამდენ რამეს იტყვის და სწორედ ამ სიტყვებით მართლაც ჯიუტობდნენ აღნიშნული პირნი კომისიაში.

მე--2 კორპუსის კომანდირისათვის გვერდის ავლას აგრეთვე ვშიშობდი.

მე ბერულ ცხოვრებას ვეწეოდი და ამგვარ კამპანიებში მონაწილეობა არ მიმიღია, არც თავადაზნაურებთან მქონია ვისთანმე ნაცნობობა, ეკითხოს ეს თვით ჩემს ძმას, მაგრამ რადგანაც ყველაფრის გაგება მინდოდა, რათა შემდგომ მთავრობისათვის განმეცხადებინა. ამიტომ ზოგჯერ ზოგიერთ შეთქმულებს ჩემი ძმის ფარულად ვიწვევდი ხოლმე ჩემთან ზოგჯერ კი მათთან დავდიოდი. ყველაფერს

ვგებულობდი და ვიწერდი ყოველ დღიურად. როგორც ეს ჩემს ძი-
�უკვე ნაჩვენებია. ჩემი ძმისა რომ არ მშინებოდა, უფრო ხში-
რად და აშკარად ვიღლიდი მათთან, ალექსანდრე ორბელიანსა და ელი-
ზბარ ერისთავთან და უფრო მეტს გავიგებდი მათგან. ისინი ბევრს
ლაპარაკობენ, არა მხოლოდ უცხოელნი, არამედ მე ვეჯობ, რომ ყვე-
ლა მეთაური რომელიც კი ალექსანდრესა და ელიზბარის დაყენებუ-
ლი იყო ამ საქმეშიც იყო გარეული, ისე იყვნენ გაგიჟებული ეს
ორივენი, რომ მიემსგავსებოდნენ დამშეულ ადამიანს, რომელიც
საზრდოს ეძებს.

5. მე არასოდეს არ ვიყავი შენიშნული და არც დაკიარებოდი
აქაურ გასართობებში, რომელიც ჩხუბსა და ჭიდაობაში მდგომა-
რეობს, როგორც სოვეტნიკი ორბელიანოვი, რომელიც კორპუსის უფ-
როსთან იყო და იქიდან თავის ამხანაგებთან ერთად წავიდა კრიმში.
სადაც იგი გლეხებმა მიტყიპეს. რაც მგონია პოლიცმეისტერ ძე-
ლიკოვის საშუალებით ეცნობა ბატონ კორპუსის უფროსს. ეტყობა
ორბელიანოვი მაშინვე ცდილობდა დაბალი ხალხის მოსყიდვას,
რაკი მათთან ერეოდა. თუ ორბელიანოვი იმით იმართლებს თავს,
რომ იგი საზოგადოების მიერ იყო ამორჩეული, ეს უნდა მის მახ-
ლობელ ნათესავს მიეწეროს. ორბელიანოვი ამბობს, ვითომც მე
მდომებოდეს ზალიკოს საშუალებით მოქმედება. ზალიკო ძე კარგად
მიცნობს. თუ რა გავლენა და ქონება მომეპოვება, რომ მკერვალს
სერთუკის შესაფერი ხელფასი ვერ გადავუხადე. ზალიკოს მივეცი
ნივთები, რათა დაეგირავებინა და იმით გაძომესყიდა სერთუკი. ის
ნივთები ახლაც დაგირავებულია. ვერ შევძელი, რომ ფული გადავი-
ხადო და ჩემი ნივთები დავიხსნა. ამის შემხედვარე ზალიკოს კარ-
გად შეეძლო გაეგო ჩემი საუბარი და თუ კი ზაალისთვის მით-
ქვამს რამე, ეს მხოლოდ ორბელიანოვისა და სხვა შეთქმულთა გუ-
ლისათვის, რათა ისინი რომ მას შეხვდებოდნენ და ეტყოდნენ რასმე
მას სცოდნოდა რა ეპასუხა. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ალექ-
სანდრესაგან რისიმე გამოტყუება, თუ არა ასეთი საშუალებით. იგი
ჩემზე უფრო ეშმაკი და მოხერხებულია. ამაოდ სტირის. თუ გულით
მქონდა რამე ნათქვამი ზალიკოსთან მაშინ ხომ გავაფრთხილებდი
დაკითხვის დროს არაფერი ეთქვა, როდესაც ძე თვითონ ვთხოვე ბა-
რონს პირველი მე დავეპატიმრებინე. კომისიაში არ გამოუტყდა რა
ორბელიანოვს რომ ჯაშუში მე ვიყავი, მან ეს უწინვე იცოდა,
მიხვედრილიყო რადგანაც როდესაც იგი აფხაზოვთან ერთად ერთ
საკანში იჯდა. იგი მას ჩემზე ეუბნებოდა: „როგორც მელა ისე და-
ჯდებოდა უკან, უსათუოდ იმან გაგვცაო“. ეკითხის აფხაზოვს რო
ცა ეს უკანასკნელი ყარაბაღიდან დაბრუნდა მაშინვე მოვიდა ჩემ-

თან და მე საუბარში ვუთხარი და ვურჩიე, რათა აღარც თვითონ მოსულიყო და აღარც მიეღო თავისთან ალექსანდრე, ვახტანგი, ელიზბარი და დოდაევი. მე ვეუბნებოდი მებრალები და უფრო მეტად მოხუცი დედა შენი მებრალება. გამომჟღავნდება და ისე დაგსჯიან, როგორც ამის შემსრულებელს მეთქი. მისდა საუბედუროდ, ჩემი რჩევა მან არ დაიჯერა და ამ ჩემს რჩევას იგი თათრულად თამბაქოს ოინს უწოდებდა.

ალექსანდრე ორბელიანოვი ამბობს, რომ განკარგულება ჩემი დაწერილია, მართლაც მე დავწერე როგორც ვაჩვენე მათგან გაგონილი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რათა ბოროტ განმზრახველთ არ გაებედათ უარის თქმა, რომ ისინი რამეს აპირებდნენ და მემხილებინა ისინი, რომ მათ გულით სურდათ ამის შესრულება.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

მარტი. 1833 წელი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (X, 1815)

1831 წელს იცოდა ჩვენი შეთქმულება კოლეჟსკი სოვეტნიკმა მელნიკოვმა და მგონია მას ეს გამოცხადებული ჰქონდა ელიზბარ ერისთავის მიერ და რადგანაც მელნიკოვი სამართალში იყო მიცემული, ამ მიზეზის გამო, თუმცა ჯავრობდა მთავრობაზე, მაგრამ ამ განზრახვებში კი მონაწილეობას არა ღებულობდა. 1832 წელს ეს განზრახულება რომ მივატოვეთ, მელნიკოვი როგორც ჩემი ნათესავი[1] მირჩევდა ჩუმად იყავიო და ამაზე ხმა არსად ამოიღოო.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

მარტი 6.
1833.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (X, 1817)

თავად დავით დადიანთან ამ შეთქმულების თაობაზე არასოდეს საუბარი არ მქონია და არც ვიცი მან იცოდა თუ არა 1831 წელს ეს საქმე.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

მარტი 6, 1833 წ.

---

[1] მელნიკოვის ცოლი ლ. ორბელიანის დისწული იყო.

ზაალ ავთანდილაშვილის პასუხები (X, 1819)

კითხვითი პუნქტები ბატონ მასწავლებელ ზაალ ავთანდილოვს.
მარტის „3“ 1833 წ.

1. ვისგან — როდის რა გაგიგიათ თქვენ ივანე ზაალის ძე ბარათოვის თქვენს შეთქმულებაში მონაწილეობაზე?

1. იღებდა თუ არა მონაწილეობას ჩვენს განზრახულებაში ივანე ზაალის ძე ბარათოვი, მე ამის შესახებ არავისგან არ გამიგონია.

2. რა გელაპარაკათ სახელდობრ ამის შესახებ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა?

2. ივანე ბარათოვზე ჩემთვის ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს არა უთქვამს რა.

3. რა იცით სახელდობრ ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადების დავით და დიმიტრი თარხანოვებთან?

3. ამ ბარათოვის ურთიერთობაზე თავადების დავით და დიმიტრი თარხანოვებთან მე არა ვიცი რა, რადგან თუმცა ვახტანგ ორბელიანოვმა მითხრა თარხანოვებისათვის განზრახულების გამოცხადების შესახებ, მაგრამ ჰქონდათ თუ არა ამათ სხვა პირებთან ურთიერთობა, მას ეს არ უთქვამს ჩემთვის.

მასწავლებელი ზაალ ავთანდილოვი.

თამარ ბატონიშვილის პასუხი კომისიის შეკითხვაზე (X, 1823)

კითხვითი პუნქტი ქართველ თავადის ასულს თამარს
„6“ მარტი, 1833 წ.

ქვრივი მართა მესხიევა-ალექსეევა უჩვენებს, რომ გიამბოთ სიტყვები თქვენსა და რუსეთის შესახებ წარმოთქმული თარხანოვისაგან. კეთილინებეთ განმარტოთ რას შეიცავდნენ ის სიტყვები და რა უპასუხეთ თქვენ მართას?

მე არაფერი არა გამიგონია რა მართასაგან ღმერთსა ვფიცავ თარხანოვებისაგან ნათქვამი რეჩი არც ჩემზედ და არც რუსეთზედ. თუ არ ირწმუნებთ ამ ჩემს წერილს, პირადად ალაპარაკეთ ჩემთან რომელიც ჩემზე ამბობს რასმე და მაშინ სცნობთ ჩემს სიმართლეს.

მეფის ძის ასული თამარი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (X, 1833)

საგამომძიებლო კომისიას

25 თებერვალს პირისპირ წაყენების დროს, როდესაც თავადი მამუკა ორბელიანოვი ვამხილე, რომ ის მონაწილეობას იღებდა ჩვენს განზრახვაში თავის მართლების მაგიერ, შეურაცხყოფა მომაყენა, მითხრა რა, რომ ვითომც, მე მოვწამლე მამა ჩემი. სწორედ მან ეს უსამართლოდ თქვა. 1831 წლის აგვისტოში მივიღე განსვენებული მამა ჩემისაგან წერილი, რომელშიც მწერდა გორს ჩავსულიყავ. მე და ჩემი დაი აგვისტოს შემდეგ ჩავედით გორში, სადაც მამა ავადმყოფი დაგვხვდა, მას მკურნალობდა ექიმი იავლენსკი და დღეში რამდენიმეჯერ ნახულობდა ავადმყოფს. მე ყოველ ღონეს ვხმარობდი და ვუვლიდი მშობელს, ვასმევდი წამალს დანიშნულ დროზე. აგვისტოს დამლევს, რიცხვი არ მახსოვს, მოვიდა ჩემთან სადილ შემდეგ იავლენსკი, გასინჯა მამა და მკითხა, მივეცი თუ არა მას წამალი; მე ვუპასუხე, სწორედ ეხლა არის დრო მეთქი, მივედი ფანჯარასთან ავიღე შუშა, დავასხი კოვზზე და მივაწოდე მამას, როგორც კი გემოდ ნახა მაშინვე კოვზი წამლიანად უკანვე მომაწოდა. მაშინ ექიმმა თქვა, წამალი შეგეშალათო და ბრძანა რძის მოტანა, რომელიც მაშინვე მოუტანეს მეორე ოთახიდან, სადაც ყავის დასალევად ემზადებოდნენ. ექიმმა მამას ჯერ პირი გამოურეცხა რძით და მერე კი დაალევინა. ყავაც მოიტანეს და მამას იავლენსკიმ ერთი ფინჯანი დაალევინა. ამის შემდეგ ბისცა ფხვნილი, რის შედეგად გულს დაეზიდა. მე დავინახე, რომ კოვზი ისევ სავსე იყო იმ წამლით, უკან რომ მომაწოდა, ისე რომ თუკი დალია, — სულ მცირე და იმ საშუალებათა შემდეგ, რომელიც მან მიიღო, წამალს აღარ შეეძლო ჰქონოდა მამის ჯანმრთელობაზე რამე გავლენა, რაშიც თვითონ ექიმმა დამარწმუნა.

მამუკა ამბობს რომ წამალი, რომელიც შეცდომით დავალევინე, სპირტი იყო, მაგრამ ეს მართალი არ არის. პირველი წამალი, რომელიც უნდა დამელევინებინა, მიქსტურა იყო, მეორე წამალი კი, ისეთივე ფერისა, გარეგანი სახმარი და არა სპირტი.

მამა ჩემი გარდაიცვალა 9 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო და არა წამლის შეცდომით, რასაც თვით ექიმი იავლენსკი დაადასტურებს.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთავი.

5 მარტი 1833 წ.

კითხვითი პუნქტი ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევს:

თქვენ ეკითხებოდით მღვდელ ეფრემს ცნობებს საქართველოს შესახებ თქვენს მიერ საგანგებოდ ჩამოწერილი კითხვების მიხედვით და მან თქვენ მოგცათ აფხაზოვის სახლში სიტყვიერი პასუხები, რომლებიც თქვენ მისი კარნახით იქვე ჩაიწერეთ.

განმარტეთ, სახელდობრ რა საკითხები იყო და რა მიზნით გინდოდათ ეს ცნობები?

პ ა ს უ ხ ი: ბიბლიოთეკარ კოტოვის დავალებით ვაგროვებდი ცნობებს სოფლად არსებულ ძველ ზნეჩვეულებათა შესახებ, საქართველოს სხვა და სხვა სიძველეებზე და ერეკლეს მეფობაში მომხდარ ამბების შესახებ, კოტოვის მიერ გამოცემული ალმანახისათვის. ვაგროვებდი ცნობებს აგრეთვე ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ, ვეკითხებოდი მღვდელ ეფრემა ალექსიევს ზოგიერთ სხვა რამეზეც. ყველა კითხვა არ მახსოვს, რადგან 200-მდე იყო. უმთავრესი რასაც ვეკითხებოდი მღვდელ ეფრემს, შემდეგი იყო:

1. როდის არის აშენებული წმ. დავითის ეკლესია[1] და როდის არის მისი დღეობა.

2. ანჩისხატის ეკლესიას რატომ ეწოდება ანჩისხატისა.

3. სომხები დადიან ქართველების ეკლესიაში, ქართველები კი რატომ არ დადიან სომხების ეკლესიაში!?

4. როდის მიიღო ერეკლე მეფემ ცნობა, რომ აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე გამოლაშქრებას აპირებსო?

5. რამდენმა დღემ განვლო მის მოსვლამდე?

6. სად შეეყარა მეფე მას?

7. როდის იქნა თბილისი აღებული, სად შეაფარა მეფემ თავი?

8. როგორი იყო მეფის სასახლე აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებამდე?

9. რამდენ ნაწილად იყოფოდა თბილისი და თვითეულ ნაწილს რა ეწოდებოდა.

10. რა ზნე-ჩვეულებებს იცავდნენ ქართველები ძველად ნიშნობ-ქორწილის დროს.

თუ ნებავს კომისიას, შეუძლიან მიიღოს ყველა ცნობები, რომლებიც ინახება ბატონ კოტოვთან.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

---

1 ლაპარაკია მამა დავითის ეკლესიაზე.

1. სრულებით არ ვიცნობ არც ერთ პოლონელს.

2. არ მახსოვს როდის წავიდა რუსეთში ტიტულიარნი სოვეტნიკი ზავილეისკი.

3. ჩემს მიერ გაკეთებული შენიშვნა ქართულ ენაზე, აგრეთვე კედელზე ნახშირით გაკეთებული ზოგიერთი შენიშვნებით ვაჩვენე თბილისის მოქალაქე ამირაღოვს. ხოლო როცა გადავთარგმნე მაშინვე დავხიე[1].

4. იმ რუსებზე მაქვს ეჭვი, რომლებიც დაახლოებული იყვნენ ალექსანდრესა და ელიზბართან. არა მგონია, რომ მელნიკოვსაც, რომელსაც ცოლად ელიზბარის და ჰყავს, არა სცოდნოდეს ეს განზრახულება.

5. როდესაც მე ვურჩევდი ვახტანგს, რომელიც თავის თავს იმერელ ბატონიშვილს უწოდებდა, რომ მიემართა რუსეთისათვის და გამოეთხოვა პატიება ხელმწიფე იმპერატორისაგან, — არ მახსოვს გვარი და სახელი იმათი, რომელნიც მე ამაზე გამიწყრნენ მაშინ და ერთი მათგანი კიდეც დამემუქრა, რომ თუ გავბედავდი და კვლავ გავიმეორებდი ამისთანა რჩევას, — მომკლავდა.

6. რატომ კორპუსის უფროსის დაბრუნებისთანავე არ წარვუდექი მას ამის მიზეზები მე უკვე განვუმარტე კომისიას.

7. განკარგულება დაწერილი იყო კორპუსის უფროსის დაბრუნებამდე.

8. არ მახსოვს სახელდობრ რა ველაპარაკე ზალიკოს. მაგრამ მან ნამდვილად კარგად იცი და, რომ შეთქმულებს ვატყუებდი.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

7 მარტი 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის მიერ ბაგრატ ბატონიშვილის ძის დავითის სახელწოდების დღისათვის დაწერილი მილოცვა (X, 1836)

უკეთილშობილესი სისხლი ეგე შენი აღევლინების ღირსებისა ხარისხად, უკეთუ ყოველი სარწმუნოებითი კეთილი კანონი იმარხო, და აღასრულო ყოველი იგი. რაიცა გასწავლოს მოძღვარმან შენმან ყოვლითა გულისმოდგინებითა და სახეობითა შენითა, მიხედე ერთმოსახელესა შენსა დავითსა, რომელი უწინარეს ჩვენთა იყო

[1] რომელ შენიშვნებზეა ლაპარაკი, გაურკვეველია.

კაცთანა და აწ არს ღვთისათანა, აღასრულე მსგავსად მისსა სჯული და სარწმუნოება, რათა მოგეცეს ძალა და შეგემოსოს ძლევა მისი.

ჰსდეგ ღვთისადმი, რამეთუ ივივე უწინარესი სიხარული, იგივე ნათელი, იგივე დღესასწაულობა ჰყო ჟამსა შინა შენისა დღისისა, ტირილი და გლოვა შესცვალო სიხარულად. და სიბნელე ეფერიისა ნათლად.

მე და ყოველნი სხვანი ერნი ეფერი. ისინი არიან ერთხმობით მღაღადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი რათა ძველათ მომდინარებული მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს ყურთხეულ უკუნისამდე.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1861)

ლორთქიფანიძეს რომ ვგზავნიდი იმერეთში, მას არავინ არ დაუსახელებია ვის ეტყოდა; ჩვენ მას დარიგებას ვაძლევდით და იგი ძალიან გვაიმედებდა და ამბობდა, რომ ის ამგვარ საქმეებში თითქმის დაბერდა და მეტად გამოცდილია, რის გამოც ჩვენ მას ვენდობოდით.

მანანას ქართლში გამგზავრება შემდეგნაირად იყო: ისინი ჩემზე წინ წავიდნენ და მე შემდეგღა წამოვეწიე „ზასტავასთან“.

„ზასტავა“ რომ გავიარეთ, ელიზბარმა დიდი სიხარულით მითხრა, ლუარსაბმა დღეს ჭავჭავაძეს გამოუცხადაო. როგორც წინათაც დავწერე, მამაკაცები ცხენებით ვიყავით, ქალები კი ეტლით. ყველამ ერთად გავაცილეთ და ყველანი ერთადვე დავბრუნდით. მხოლოდ ქალაქში ლუარსაბ ორბელიანოვის სახლიდან მე და ელიზბარმა გავაცილეთ ქალები ჭავჭავაძის მათ სახლამდის, შემდეგ გავშორდით და შალის შესახებ არ მახსოვს ვინ დაკარგა, ან საძებნელად ვინ წავიდა.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთავი.

მარტის 6-ს დღესა.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1865)

მახსოვს, ერთხელ თეკლა ბატონიშვილთან შეეედი და იქ დამხვდენ თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და თავადი ბიძინა ერისთავი. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა ბატონიშვილს ჩვენი განზრახვა თავად ჭავჭავაძეს გვინდა გამოვუცხადოთ და არ ვიცი,

თანახმა შეიქმნება თუ არაო. ბატონიშვილმა კი უპასუხა. სჯობია ასეთ სისულელეს ნუ იზამთ, არც თავადი ჭავჭავაძე შეიქმნება თანახმაო. მეტი აღარა მახსოვს რა. მე მგონია მან ეს უწინაც იცოდა.

მახსოვს აგრეთვე, რომ თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა და თავად ელიზბარ ერისთავმა მიამბეს დათვისა და ცხვრის იგავ-არაკი. ნამდვილად არ ვიცი ვინ შეთხზა იგი, მაგრამ, როგორც მახსოვს, ისინი ამბობდნენ რაზმაძის შეთხზულიაო.

პორუტჩიკი თავადი ერისთავი.

7 მარტი, 1833 წ.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1879)

კომისიას!

მე დამავიწყდა წინათ მომეხსენებინა კომისიისათვის, რომ 1831 წელს ვიყავი ელიზბარ ერისთავთან, იქვე მოვიდა თავადი გრიგოლ ორბელიანოვი, რამოდენიმე საუბრის შემდეგ ჩვენ წავიკითხეთ სხვადასხვა რუსული თხზულებები და ვმსჯელობდით ამის შემდეგ ელიზბარმა საუბარი ისე წარმართა, რომ მას ჩვენი შეთქმულება გამოუცხადეს. იგი ჯერ ამბობდა შეუძლებელია და აძლევდა სხვადასხვა შეკითხვებს ელიზბარს და ელიზბარი მას, არწმუნებდა, რაზედაც იგი ბოლოს დაგვეთანხმა. ჩვენ გვინდოდა მას გამოეცხადებინა ბატონ ჭავჭავაძისათვის და მან აღგვითქვა. რომ ეცდებოდა, მაგრამ შემდეგში გვითხრა, რომ მას ამის შესრულება არ შეუძლიან.

თხზულებებში მე ვიცი შემდეგი: „Исповедь Наливайки", თარგმანი გრიგოლ ორბელიანოვისა. არაკი „დათვი და ცხვარი" — თხზულება რაზმაძესი. აგრეთვე მისი თარგმანია „საღამო". „Фарис" ფარნაოზ ბატონიშვილისა, „სამშობლოს სიყვარული". თარჯიმან მამაცოვისა.

პროპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთავი.

8 მარტი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (X, 1881)

მომაგონდა, რომ თავადი იასე ფალავანდოვი გვიამბობდა. რომ იგი ელაპარაკა ამ საგანზე თავად დავით თარხანოვს, რომელსაც უთქვამს ფალავანდოვისათვის: როგორ მიხვდი შე ეშმაკო, რომ ამ

საგანზე ჩემთან ლაპარაკი გაბედეო. მახსოვს აგრეთვე როდესაც თავადი იასე ფალავანდოვი, თავად ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში პირველი ღამის გეგმას გვიკითხავდა. აქ იყვნენ აგრეთვე თავადი ზაქარია ჩოლაყაევი, თავადი ელიზბარ ერისთავი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, თავადი დიმიტრი ერისთავი, მე და მგონია ვახტანგ ორბელიანოვი. მაშინ თავადი ფალავანდოვი ეუბნებოდა თავად ლუარსაბ ორბელიანოვს, რომ იგი მას აჩვენებს თავად თარხანოვს, რაზედაც თავადმა ლუარსაბმა უპასუხა, რომ იგი თავად თარხანოვს არ ენდობა. მე მეტი აღარაფერი მახსოვს:

პორუჩიკი თავადი ერისთავი.

მარტის 8, 1833 წ.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XI, 1885)

გარემოება, რომელსაც სწერს ჩემი ძმა ალექსანდრე დავით თარხანოვსა და იასე ფალავანდოვის შესახებ, ჩემთვის უცნობია, და მე არ ვყოფილვარ თ. ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში იმ დროს, როცა ეს ხდებოდა. თ. იასე ფალავანდოვს რამდენჯერმე უთქვამს ჩვენთვის, რომ მას აქვს მოლაპარაკება ჩვენი შეთქმულების შესახებ თავად დავით თარხანოვთან და რომ ამ საქმეზე იგი თ. ლუარსაბ ორბელიანს უნდა შეეახვედროო.

მე გავიგონე ეს სიტყვები იასე ფალავანდოვისაგან: მე უთხარი თავად თარხანოვს, რომ 1831 წელს მათ გაგზავნეს მართა მესხიევი თამარ ბატონიშვილთან და წინადადება მისცეს ყოფილიყო იგი მთავარი პირი იმ აღრეულობისა, რომელსაც ისინი საქართველოში აპირებენ მეთქი. დავით თარხანოვმა მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: ახ, შე ცელქო შენ ეს საიდან იცი.

თ. ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წელი.
8 მარტი.

ჩემმა ძმამ ალექსანდრემ მითხრა ეს სიტყვები: იასე ფალავანდოვს სურს დღეს საღამოს შეახვედროს დავით თარხანოვი ლუარსაბ ორბელიანოვს, რათა ერთად მოილაპარაკონ ჩვენს შეთქმულებაზეო.

ვახტანგ ორბელიანოვი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (X, 1887)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე მაქვს პატივი ვეპასუხო.

პირველი ღამის განკარგულება დავწერე იასე ფალავანდოვის სახლში. სადაც, მგონია, იყვნენ თავადები: ალექსანდრე ორბელიანოვი, კორნეტი გიორგი და ელიზბარ ერისთავები, და თვითონ თავადი იასე ფალავანდოვი, მერე ის მაშინვე დავწვით... ერთხელ მე და ჩემი ძმა ელიზბარი ვიყავით აგრეთვე თავად იასე ფალავანდოვთან, რომელმაც წაგვიკითხა ამავე საგანზე. იქვე მოვიგონე, რომ იგივე განკარგულება წაუკითხე გვარდიის კაპიტან ზაქარია ჩოლოყაევს.

თავად დავით თარხანოვზე მე გავიგონე ჩემი ძმა ელიზბარისაგან. ერთხელ საღამოს შინ არ ვიყავი და რომ დავბრუნდი, დავინახე თავადი დავით თარხანოვი ჩვენი სახლიდან გამოდიოდა. შეკითხვა ვერ მოვასწარი რომ ძმამ მითხრა: „გამიგონე ძმაო არ ვიცი რას ნიშნავს თავად თარხანოვის სიტყვები: თავადო, მობრძანდით როდისმე ჩვენსა, მინდა ჩემი გულის ნადები გაგანდოთ და თქვენიც გამოგკითხოთო". მე არ ვიცი ჩემი ძმა იყო მასთან თუ არა, ჩემთვის კი მეტი აღარა უთქვამს რა.

ჩვენ ეს სიტყვები ვაცნობეთ იასე ფალავანდოვს, რომელმაც აღგვითქვა თავად თარხანოვის აზრებს დაწვრილებით გავიგებო. არც ის ვიცი ელაპარაკა იასე ფალავანდოვი თავად თარხანოვს თუ არა. ჩვენს შეკითხვებზე კი გვიპასუხებდა ხოლმე „დღეს ვერ მოვიცალე. მერე იყოსო ან ვიყავი და საუბარი ვერ მოვახერხეო". მეტი მე არა ვიცირა თავად თარხანოვზე

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთავი.

1833 წ.
მარტის 8.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XI, 1889)

კომისიას!

1832 წელს იასე ფალავანდოვმა ჩემს სახლში წამიკითხა განკარგულება და იქ იყვნენ ელიზბარი და კორნეტი გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი; დანამდვილებით არ მახსოვს იყვნენ იქ ზაქარია ჩოლოყაევი, დიმიტრი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანოვი, მაშინ მათ მითხრეს, რათა ეს შეთქმულება თარ-

ნოვებს გაუმეღავნო. მაგრამ მე ეს არ ვიკისრე, ხოლო იასე ფალავანდოვმა სთქვა, რომ ეს შეთქმულება კიდეც იცის დავით თარხანოვმაო.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი[1].

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (X, 1891)

საგამომძიებლო კომისიის მიერ მოცემულ კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო

1. ლორთქიფანიძეს 1831 წელს თუმცა დავავალე ეცნობებინა ჩვენთვის იმერელი თავადებისა და აზნაურების შესახებ, მაგრამ საგანგებოდ არავინ დაგვისახელებია. ლორთქიფანიძე ამბობს, თითქოს მე მას ვუთხარი გრიგოლ წერეთელს ვიცნობ მეთქი. ეს მართალი არ არის, რადგან მე წერეთელი არასოდეს არ მინახავს და არც არავისგან გამიგონია, რომ მას სცოდნოდა ჩვენი განზრახულება და საერთოდ არც ერთ იმერელთან, ლორთქიფანიძის გარდა, ჩვენი განზრახულების შესახებ არავისთან ბილაპარაკნია.

2. 1831 წელს, გაზაფხულზე მანანა[2] ქართლს გაემგზავრა, მას აცილებდნენ გენერალი ჭავჭავაძის ქალები ეტლით, ხოლო ცხენებით ვიყავით: ჭავჭავაძე, ლუარსაბი[3], ალექსადრე გიორგის ძე ორბელიანოვი, გიორგი ერისთავი და მე. ჩვენ იგი გავაცილეთ ვერამდე, გამოვეთხოვეთ და ჭავჭავაძის ქალები უკან დაბრუნდნენ, ჩვენც აგრეთვე. ლუარსაბმა და ჭავჭავაძემ უფრო შორს გააცილეს მანანა და მერე წამოგვეწივნენ. ამ გაცილების დროს მე არ მითქვამს რა გიორგისათვის განზრახულების შესახებ, ჭავჭავაძის ჩვენს განზრახულობაში მონაწილეობის შესახებ გიორგიმ ჩვენთან ერთად იცოდა, ე. ი. როცა ალექსანდრემ[4] იცოდა, იმანაც იცოდა, მაგრამ აქ საუბარი სრულებით არ შეგვეძლო, ისე ჩქარა მივდიოდით. შალის[5] შესახებ მე არაფერი მახსოვს.

3. 1831 წლის დასაწყისში ვიყავით გრიგოლ ორბელიანოვთან:

---

[1] ჩვენება სხვისი ხელით არის დაწერილი და ლ. ორბელიანის მიერ ხელმოწერილი.

[2] მანანა ორბელიანი.

[3] ორბელიანი.

[4] ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი.

[5] ამ მგზავრობის დროს ჭავჭავაძის ქალებს შალი დაეკარგათ, რომლის მოსაძებნადაც გიორგი ერისთავი დაბრუნდა უკან.

მე, სოვეტნიკი, ალექსანდრე, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანოვი, ვილაპარაკეთ ჩვენს განზრახულობაზე და ამასთანავე დავუწერეთ გრიგოლ ორბელიანოვს „Исповедь Наливайки“ და ვუთხარით, რათა იგი გადათარგმნოს. ვახტანგმა დასწერა, მაგრამ რადგან რამდენიმე ტაეპი დაავიწყდა მე მოვაგონე, გრიგოლ ორბელიანოვმა ქართულად გადმოთარგმნა. რამდენიმე დღის შემდეგ მან წაგვიკითხა თარგმანი და წაკითხვის შემდეგ მან მე დამიტოვა იგი, ეე მივეცი წასაკითხად დოდაევს და მერე მასთან დარჩა იგი. მამაცოვმა დასწერა პროზად „სიყვარული სამშობლოსადმი“, მაგრამ მე იგი არ წამიკითხავს. რაზმაძემ ჩამოიტანა ს. პეტერბურგიდან იგავ-არაკი დათვი და ცხვარი, თავის მიერ შეთხზული, აგრეთვე დასწერა ლექსები. იგი[1] მე წავიკითხე.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთავი.

8 მარტი, 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XI, 1893)

კომისიის ბრძანებით, მაქვს პატივი განვმარტო შემდეგი: ბაგრატ ბატონიშვილის დახმარებით მე ვსწავლობდი ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი ზოგჯერ ოცნებობდა საქართველოზე და მეუბნებოდა ხოლმე: შენ ბედნიერი იქნებოდი, ჩემს შვილებს რომ ოდესმე ღირსებოდათ საქართველოს მიღებაო. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი ბატონიშვილი ოცნებობდა და ოცნებობს მიიღოს როდისმე საქართველო; საქმით კი მე სრულებით არა ვიცი რა. მისი შვილი დავითი 1827 წლის მეექვსე წელში იყო და იმყოფებოდა რუს ძიძასთან, მან ჯერ არ იცოდა ქართულად არც ლაპარაკი და არც წერა-კითხვა. წერილი, რომელშიც იხსენიება დავითი, არ მახსოვს, შესაძლებელია რომელიმე შემთხვევის გამო, — იქნება მისი დაბადების დღეს დავწერე, მისი მშობლის საამებლად.

შემდეგი გარემოება, ვფიქრობ, უფრო ჭეშმარიტი უნდა იყოს: მე ის ალბათ, გადმოვწერე იერომანახ იონასთან, საქართველოდან რექტორად წოდებული დავით ალექსიევის მიერ დავით ბატონიშვილისათვის გამოგზავნილი წერილიდან; ამ ორივეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ამის აქ გაგება შეიძლება თავად დიმიტრი ორბელიანოვისა და ალექსიევის მცნობ სხვა პირთაგან, ს. პეტერბურგში კი იერომანახ იონასაგან, შეიძლება მას ის წერილი შენახულიც

[1] ეს ლექსი არა სჩანს.

ჰქონდეს. რილეევის წერილი გადმოვწერე ს. პეტერბურგში სტუ-დენტ კრუპსკისაგან 1826 წელს.

ალექსანდრე ჩელოყაევის წერილი კი საქმიანს არაფერს შეიცავს. გამახსენებს მხოლოდ თავის ცელქობასა და ხუმრობას. ახსენებს ოქროპირსაც და სოლომონ რაზმაძეს, მე მასთან შეთქმულების გამო არავითარი საქმე არა მქონია. ოქროპირ ბატონიშვილის აზრის შესახებ საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლებაზე, მე არავითარი წარმოდგენა არა მქონია, მისი საუბარი და შთაგონება ჩემი. იცის კომისიამ [1].

1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერნა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ. ჩემს პასუხზე. რომ ამ საქმეს ხუმრობა არ გაბოადგება-მეთქი. თავადმა ელიზბარ ერისთავმა თქვა, როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ვეღარ იტყვიო. შენი საქმეა სწეროო. მაშინ მე დავწერე სიტყვა (речь) რომელიც ალექსანდრე ორბელიანოვმა მთხოვა, მაგრამ არ მივეცი. ლექსი კი ყოველგვარი მიზნის გარეშე დავწერე, მაისის თვე არაფერს არ ნიშნავს.

იოანე ბატონიშვილის ხელით დაწერილი ლექსი ვიპოვნე ერთ წიგნში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ იონა ბერმონაზონმა გადმომიგზავნა.

გრიგოლ ორბელიანოვის მიერ თარგმნილი ლექსი, რუსულთან ერთად მომიტანა ელიზბარ ერისთავმა და ჩემთან დატოვა გადასათვალიერებლად, მისი დაბეჭდვა არ უთხოვნია. გასულ 1832 წელს თავადებმა მთხოვეს პროკლამაციის დაწერა, მაგრამ მაშინ არ დამიწერნია, და საერთოდ იმ წელს ხელი ავიღე ყოველგვარ დამღუპველ საქმეზე.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ექიმ თავლენსკის მოხსენება (X, 1901)

საგამომძიებლო კომისიას

1831 წლის აგვისტოში ქართველი თავადი პოლკოვნიკი შანშე ერისთავი ცხოვრობდა ქალაქ გორში, მძიმედ ავად შეიქმნა ფარუ-

[1] დოდაშვილი აქ უარჰყოფს და სულ სამი დღის შემდეგ კი 11 მარტს ჩვენებაში ოქროპირის შესახებ ყველაფერი აღიარა (იხ. XI, 1980).

ლი გემოროიდებით, შარდის შეხუთვით, რასაც აგრეთვე დაერთო სიცხეც, რის გამოც მან მიმიწვია სამკურნალოდ; ავადმყოფობის განმავლობაში სნეულება ესე მისი მოხუცებულობის გამო იმდენად გაძლიერდა, რომ მას სასიცოცხლო ძალა დაელია და ხშირად გული უწუხდა, რის გამოც მე საჭიროდ ჩავთვალე მიმეცა მისთვის გარდა შინაგანი წამლისა, აგრეთვე გარეგანი სპირტები როგორც დასაზელად ისე საყნოსად, რომლებსაც ახმარებდა ამას, როგორც მახსოვს მისი ქალი მელანია, ქალბატონი მელნიკოვისა, რადგან იგი თითქმის განუყრელად თავისი ავადმყოფი მამის ლოგინთან იყო. ერთხელ ჩემს აქ ყოფნის დროს, არ მახსოვს რა რიცხვი იყო, ავადმყოფის ქალმა შინაგან სახმარებლად გამოწერილი წამლის მაგიერ შეცდომით დაუსხა ავადმყოფს გარეგანი სახმარებელი წამალი, მაგრამ რადგან ეს წამალი შემზადებული იყო კამფორის სპირტისა, ნიშადურიანი სპირტისა, წითელი წიწაკისაგან და ძალიან მაგარი იყო, მან ჩაყლაპა იგი და მაშინვე პირიდან გადმოანთხია, და რადგანაც იმ დროს მე იქ ვიყავი, რათა თავიდან ამეცდინა ავადმყოფისათვის პირის ანთება, ოაც შეიძლებოდა ამას მოყოლოდა, მაშინათვე დავალევინე ბლომად ცხელი რძე და ცოტა ყავა, შემდეგ კი მივეცი პირსაღებინებელი წამალი, იმ მოსაზრებით, რომ თუ ავადმყოფმა ამ წამლის ცოტა წვეთები მაინც ჩაყლაპა, იგი ამოანთხიოს. მაგრამ პირღებინებას ამ წამლის ნაწილი ამოჰყოლია და ავადმყოფს არც უგრძვნია კუჭში არავითარი ტკივილი, შემდეგ მე ვაკვირდებოდი ავადმყოფს რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ მას თავისი საერთო ავადმყოფობის მეტი არაფერი მოუჩივლია. ამავე დროს ბატონ გენერალ ლეიტენანტს თავად ერისთავს გამოეგზავნა თბილისიდან გორში საექიმო სამართველოს ინსპექტორი შტაბ-ჯკურნალი დეპანერი, რათა ერთად აღმოგვეჩინა ავადმყოფისათვის საექიმო დახმარება, ამიტომაც ამ წამლის შეცდომით მიცემა იმან იცის. პოლკოვნიკი თავადი შანშე ერისთავი გარდაიცვალა ამ ამბის ერთი კვირის შემდეგ, მაგრამ სრულიადაც წამლის შეცდომით მიღების გამო არა, არამედ გემაროიდული სნეულებით, რაც საშარდე ბუშტზე გადაეიდა, რადგან შარდი მხოლოდ წვეთწვეთად გადმოვიღა, და ამასთანავე ამ ავადმყოფობას ზედ დაერთო აგრეთვე ციებ-ცხელებაც, რაც ღრმა მოხუცებულობის გამო მან ვეღარ აიტანა.

21 ფებრუარი დივიზიის ექიმი კოლეგსკი ასესორი ი ა ვ ლ ი ნ ს კ ი.

მღვდელ მონაზონ ტარასის ჩვენება (XI, 1904)

თქვენ აჩვენეთ, რომ 1830 წელს მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილი, დაბრუნდა რა საქართველოდან, ამბობდა რომ ის სწუხს, რათა რუსებმა ან ქართველებმა მასზე არა გამოიყენონ რა, იგი კი არსად არ დადიოდა და არა ჰშორდებოდა მთავარმართებელს, და კიდევ ვიღაცასაო. ამის გამო ვალდებული ხართ განსარტოთ:

1. ეს ვიღაც, ხომ არ არის ყოფილი გუბერნატორი ზავილეისკი?

2. როგორ გაიგეთ ბატონიშვილის ეს საეჭვო სიტყვები და რა აზრი შეგეძლოთ მიგეცათ მისთვის.

1. ქ. მე ვგონებ, რომ ჩემს პოკაზანიეში ასე მოგახსენეთ, ახლაც ასე მოგახსენებ არ ვიცი და სწორე არ მახსოვს ვისი თქვა მთავარმართებლისა თუ ვისიმე, რომ არ ვშორდებოდით, და უფრო მთავარმართებელის მგონია, რომ თქვა არა ვშორდებოდიო, მე იმისგან არც ღუბერნატორი გამიგონია, და არც ზავილეისკი, და არც გამოეკიდებივარ ამის ლაპარაკს და არც გრძლად ულაპარაკნია ამაზად. რომ ვიცოდე რამე ზავილეისკისა ან ეთქოს რამე, რისთვის დავმალავ და არ მოგახსენებთ?

2. ქ. უმდაბლესად და ჭეშმარიტებით მოგახსენებთ, რომ არცა ვარ გულთმეცნიერი და არც სხვის გონებას მაჩხრეკელი და არც შევსულვარ მაგის გამოძიებასა და განსჯაში, თუ რათა სთქვა, და არც მიკითხავს, და არც არა დამიდევნია რა და არც ვიცი რა საეჭვო და ან რას მოუგონებდნენ, მე ისე გავიგონე და ისე მოგახსენეთ, არც ამიწონია და არც გამიზომია, და არც არა ვიცირა.

წელსა 1883-სა, მარტის 8.

მღვდელ-მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XI, 1924)

კ ო მ ი ს ი ა ს

მე სრულებით არ მახსოვს, რომ გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის ბინაზე იმ საუბრის დროს, რომელიც ჭავჭავაძეს, ჩოლოყაევსა და ჩემს შორის შესდგა, რომ ვისმე ე. ი. ჭავჭავაძეს ან ჩოლოყაევს, ეთხოვნოთ ჩემთვის რამე შუამავლობა!.. თუმცა პორუჩიკი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი წინად დაიარებოდა ჩემთან, მაგრამ არ მახსოვს, რომ მე მასთან მქონოდა რამე ბჭობა ან შესანიშვნელი რამ საუბარი, ხოლო რომ მან იცოდა ჩვენი განზრახულება, ეს მე უწინ მოგახსენეთ... ამასთანავე დაუმატებ, რომ თუ ამ საგან-

ზე ან სხვა რამეზე გამახსენდება რამე, დაუყოვნებლივ მოვახსენებ კომისიას [1].

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

7 მარტი, 1833 წ.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (XI, 1936)

იგავი „დათვი და ცხვარი“ დავწერე აქ. თბილისში გასული წლის ზაფხულში, არ მახსოვს რომელი თვე იყო არსად გამიგზავნია, ვაჩვენე მხოლოდ თავადებს ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებს, მათ იგი თავისთან დაიტოვეს.

1833 წლის მარტის 8.

ჩემთვის არავის შთაუგონებია და არც არავის უთხოვნია იგავის დაწერა და არც რამე მიზანი მქონია.

ტალიევზე, რომლის გვარიც აქამდე არ ვიცოდი, სტეფანე დოდაევი მეუბნებოდა, რომ იგი სპარსეთიდან არის ჩამოსული და შვილია მღვდლისა, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს ახლავს. და რომ მან ფარნაოზ ბატონიშვილს ჩამოუტანა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი; ტალიევს არ ვიცნობ და არასოდეს მასთან არ მილაპარაკნია. ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის წინ სტეფანე დოდაევი მეუბნებოდა, ხომ არ წამოვიღებდი იმ ჩამოსულისაგან წერილს თავის მამისადმი და მე ვუპასუხე, რომ წავიღებ, თუ იგი დაბეჭდილი არ იქნება და მასში საწინააღმდეგო არ ეწერება რა მეთქი. დოდაევმა მომიტანა უკონვერტო წერილი, უბრალოდ დაკეცილი და ლუქით დაკრული. მე გავხსენი და დავინახე, რომ თითქმის ნახევარი დაწერილი იყო ქართული ანბანითა და თათრული სიტყვებით, მე ვუთხარი დოდაევს, რომ ვერ წავიღებ-მეთქი, რადგან თათრულადა რაღაც სწერია მეთქი, ის მეფიცებოდა, რომ აქ მხო-

[1] ჭავჭავაძემ თავის ჩვენებაში თქვა, ვითომც ჩოლოყაშვილთან საუბარი შეთქმულების თაობაზე კი არა ჰქონდა, არამედ რაღაც მამულები აქვთ გასაყოფი და იმაზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ლ. ორბელიანს ვითომდა შუამდგომლობა სთხოვეს. ჭავჭავაძის ჩვენება მართალი არ იყო, ხოლო ლ. ორბელიანი ვერ მიხვდა კომისია რა აზრითაც ეკითხებოდა ამას და ამ ჩვენებაში დაადასტურა რომ მათ საუბარი ჰქონდათ შეთქმულებაზე რასაც ალ. ჭავჭავაძე და ჩოლოყაშვილი უარყოფდნენ.

ლოდ ერთ გოგონასაგან სწერია, რომლის შერთვასაც ის აპირებს. მას გაგზავნილი ყოფილა წერილი და იქვე დახია[1].

აზნაური სოლომონ რაზმაძე.

დავით აბელაშვილის ჩვენება (XI, 1969)

1833 წლისა, მარტის 10-ს დღესა

რომელიც მეკითხა მე, რომელ ვითომც იასე ფალავანდოვს ეჩვენებინოს ჩემთვის შავად დაწერილი წიგნი ბეკენდორფთან, მართლაც ხსენებული კნიაზმან მე ერთი შავად დაწერილი წიგნი მაჩვენა, მაგრამ მე ხელში არ მომცა, თითონ წაიკითხა, რომელშიც ეწერა როგორათაც თვითონ კითხულობდა, ითხოვეს რომ დაიბარონ რუსეთს ფალავანდოვი რომ უნდა გამოუცხადოს რამე, რა საქმე არის გამოსაცხადებელი ის არ მითხრა, მაგრამ მე ეს არაფრათ არ ჩავაგდე, მე ჩემი ვთქვი რომ მე ეს კაცი მცდის რომ ვნახოთ ამბავს მიუტან თუ არა ნიკოლაი იობიჩის[2] ეს საქმე როგორც მე მახსოვს იყო უწინარეს ქალაქიდან გუბერნატორს რომ წავყევ განჯას შარშან, სახელი თვისა არ მახსოვს.

დავით აბელოვი.

იასე ფალავანდიშვილის სიტყვიერი ჩვენება (XI, 1974)

კომისიაში გამოძახებული თავადი იასე ფალავანდოვი იმ პოლონელის შესახებ ცნობების მისაცემად, რომელიც მას ლუარსაბ ორბელიანოვთან გაუგზავნია, — განაგრძობდა მტკიცებას, რომ მას არა თუ არასოდეს არც ერთი პოლონელი არ გაუგზავნია ხსენებულ თავადთან, არამედ იგი 1832 წელს სრულიადაც არ იცნობდა არც ერთ პოლონელს. იმ აღმაშფოთებელი ლექსების შესახებ, რომლებიც 1820 წელს იმერეთისათვის იყო შეთხზული[3] და რომლებიც უჩვენებია იასე ფალავანდოვს სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანო-

---

1 ს. რაზმაძე თავრიზს მიემგზავრებოდა რუსეთის საელჩოში სამსახურისა-თვის და მისთვის რაღაც წერილის გატანებაზეა ლაპარაკი, შესაძლებელია ეს იყოს ფარნაოზის პასუხი ალექსანდრე ბატონიშვილის წერილზე, რომელიც ტალიაშვილს ჩამოუტანია.

2 იასე ფალავანდიშვილის ძმა, გუბერნატორი.

3 იმერეთის აჯანყებასთან დაკავშირებით.

ვისათვის, იასემ განმარტა რომ: ის ლექსები, შეთხზული ვინმე იმერელ თავადიშვილ წულუკიძის მიერ დიდი ხანია მთავრობისათვის ცნობილია და მან მართლაც აჩვენა იგი როგორც ორბელიანს (სოვეტნიკს) ისე სხვებსაც, ამჟამად მის ქაღალდებში უნდა იყოსო[1].

გენერალ-მაიორი ბ ი კ ო ვ ი I-ლი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ი II-ე.
„ „ ჩ ე ვ კ ი ნ ი
პოდპოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი

11 მარტი, 1833 წ.

ივანე მელნიკოვის ჩვენება (XI, 2044)

საგამომძიებლო კომისიას

განმარტება

პორუჩიკ დავით ნათალოვის ჩემზე ჩვენების გამო, ვითომც მე მისთვის მეთქვას, რომ თუ ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი არ გადაეყენებინათ, აქ აღრეულობას მოახდენდა, რისთვისაც მას უკვე ჰყავდა რამდენიმე მოხელე-მეთქი, მაქვს პატივი სრული ჭეშმარიტებით განუმარტო კომისიას, რომ: არც ნათალოვისათვის და არც სხვა ვისთვისმე ეს არასოდეს არ მითქვამს, რადგან ეს მე არ ვიცოდი; მხოლოდ ვუთხარი მას, ზავილეისკიმ არ მომცა სამსახური, რის გამოც სიღარიბეში ვარ მეთქი და უკმაყოფილო ვიყავი, რის შესახებაც ვაცნობე აქაური მხარის რევიზიის მოსახდენად ჩამოსულ ბატონ სენატორებს, ნათალოვს ვიცნობ 1824 წლიდან და მისი, აგრეთვე მისი ცოლის დის მინდობილობით ვწერდი ხოლმე განცხადებებს, სადაც საჭირო იყო მათი საქმის გამო.

საიდან გამოიგონა ნათალოვმა ჩემზე ასეთი ცილისწამება, მე არ ვიცი, რომ არაფერში დამნაშავე არა ვყოფილვარ, შემიძლია დავარწმუნო კომისია განმწმენდილი ფიცით.

ტიტულიარნი სოვეტნიკი ივანე ვასილის ძე მ ე ლ ნ ი კ ო ვ ი.

მარტის 15.
1833 წ.

---

[1] საგამომძიებლო კომისიაში ასეთი შენიშვნა მიუწერიათ: იასე ფალავანდოვის ქაღალდებში ეს ლექსები არ აღმოჩნდა.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XI, 2052)

რადგან დიდმა ხანმა განვლო, აღარ მახსოვდა, მაგრამ თავად ელიზბარ ერისთავმა დაწვრილებით გამახსენა, რომ 1831 წელს გენერალ თავად ჭავჭავაძის ჩემს ოჯახში ყოფნის დროს ჩვენ საუბარი გვქონდა პოლონელთა აჯანყებისა და ჩვენი განზრახულების შესახებ, მაგონდება, რომ სწორედ ისე იყო, როგორც ეს ელიზბარმა აჩვენა და ჭავჭავაძემ ჩვენ გვითხრა მოვიფიქრებო.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

15 მარტი, 1833 წ.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (XI, 2056)

ბატონ სოლომონ რაზმაძეს

თქვენ იგავში „დათვი და ცხვარი" რათ ჩაურთეთ სოფ. წავკისი. ცნობილი იყო იგი თქვენთვის როგორც განთქმული რამე განსაკუთრებული შემთხვევით თუ ნაწარმოებით?

გენერალ-მაიორი ჩევკინი.

15 მარტი, 1833 წ,

ჩემს იგავში „დათვი და ცხვარი" სოფ. წავკისი სრულიად შემთხვევით ჩავურთე ჩემთვის ცნობილი არ არის განთქმულია თუ არა იგი რაიმე განსაკუთრებული შემთხვევით ან ნაწარმოებით.

აზნაური სოლომონ

რაზმაძე.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XI, 2084)

მაქვს პატივი საგამომძიებლო კომისიას შემდეგი მოვახსენო:

1830 წლის დეკემბერში მე გავიგონე გენერალ-ლეიტენანტ თავად ერისთავისაგან, რომ აქაური მმართველობა ძლიერ გვავიწროვებს და გვაიძულებსო რათა ჩვენ თავადები არ ვიყოთ ერთგული ხელმწიფე იმპერატორისო და ჯავრობდა თავად ერისთავებისათვის ოსეთის ჩამორთმევაზე.

მეორედ 1831 წლის დამდეგს გავიგონე მისგანვე შემდეგი: „ჩვენი ახალგაზრდა თავადები რაღაცას ხმაურობენ, მეშინიან მათ არაფერი მოახდინონ და აღრეულობა არ გამოიწვიონ; შემდეგ კი ამბობდა გუბერნატორ ზავილეისკზე ხალხს ძალიან ავიწროვებსო.

გასული 1832 წლის იანვარში ჩაიზე იყვნენ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ თავად ფალავანდოვთან: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ილინსკი, მოხუცი ლორის-მელიქოვი და მე; ფალავანდოვმა ხელი მიიშვირა ლორის-მელიქოვისაკენ და თქვა: „ეს მოხუცი სტკბება სიამოვნებით და მარწმუნებს, რომ საქართველო შეიძლება ოდესმე სამეფო გახდესო". ლორის-მელიქოვი ხშირად დადიოდა ოქროპირ ბატონიშვილთან, შეიძლება მან მისგან გაიგონა რამე და უამბო ფალავანდოვს, თვით ლორის-მელიქოვისაგან კი არა გამიგონია რა, იგი ხშირად დაიარება გუბერნატორ თავად ფალავანდოვთანაც.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

მარტის 15
1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XI, 2086)

კომისიის ბრძანების თანახმად, მაქვს პატივი ვუპასუხო შემდეგი:

ს. პეტერბურგიდან და მოსკოვიდან შეთქმულების საქმეზე მე არავისგან წერილი არ მიმიღია და მეც ერთი — მოსკოვს ოქროპირ ბატონიშვილთან მიწერილი წერილის (რომელიც ამჟამად კომისიის საქმეებშია) მეტი არავისთვის მიმიწერია.

ფარნაოზ ბატონიშვილთან არასოდეს არავითარი ურთიერთობა არა მქონია, მხოლოდ ელიზბარ ერისთოვისაგან გავიგონე, მან დიდი ხანია იცის ჩვენი შეთქმულებაო, მასზე მეტი არა ვიცი რა.

არაკი „დათვი და ცხვარი" წამიკითხა სოლომონ რაზმაძემ და მითხრა, რომ იგი მისი შეთხზულია, მაგრამ სად შეთხზა მან იგი, აქ, თუ ს. პეტერბურგში, მას ჩემთვის ეს არ უთქვამს.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XII, 2104)

კ ო მ ი ს ი ა ს

„როგორც ეხლა მომაგონდა, 1832 წელს გენერალ-მაიორმა თავად ჭავჭავაძემ მთხოვა გამომერთმია ზაქარია ჩოლოყაშვილისათვის რაღაც ლექსები, რომლებიც მას ჰქონდა და რომლებიც შეთხზული იყო დედოფალ თუ ბატონიშვილ ნინოს მიერ; მაგრამ მე

დამაკიწყდა მეთქვა ეს ჩოლოყაშვილისთვის და არ ვიცი რა ლექსები იყო ისინი.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი. ამას გარდა, ვუცხადებ ამა კომისიას, რომ ჩვენი ეს განზრახვა იცოდა მაიორმა თავად ევგენი ქობულოვმაც".

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

1833 წლ. მარტის 22.

მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის განმარტება (XII, 2106)

ყაზახთა ლეიბ-გვარდიის პოლკის პორუჩიკ თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანოვის

განმარტება!

„თავის მართლების მიზნით, მაქვს პატივი წარუდგინო ამა კომისიას, ჩემზე ნაჩვენებ ცილისწამებათა გასაქარწყლებლად" აქ მოტანილი განმარტებანი ოთხს პუნქტად.

I. ბავშვობიდანვე ჩემი სიცოცხლე შევწირე მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ყოვლადმოწყალე ჩემი ხელმწიფე იმპერატორის სამხედრო სამსახურს; მტრების წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა და მემუქრებოდა რა არა ერთხელ დიდი საფრთხე რუსეთის ძლევამოსილი არმიის რიგებში ბრძოლის დროს, — დავიმსახურე ჯილდოები. მე მივსდევდი მამიჩემის, დამსახურებული რუსი გენერალ მაიორის კვალს, რომელსაც სდევნიდა საქართველოს მეფე გიორგი და მის ოჯახს მოსპობას უქადდა, რაც ცნობილია ყველა ქართველისათვის; შემდგომში იგი მოწვეული იქნა ჩემი ნათლიის განსვენებულ გენერალ ლაზარევის მიერ და უკვე ხელმწიფე იმპერატორის მფარველობის ქვეშ მყოფმა, შეიპყრო ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელიც ყაზახის დისტანციით მიემართებოდა სპარსეთში. ამის შესახებ საქმე უნდა ინახებოდეს მთავარ სარდლის კანცელარიაში. მე და ჩემი უფროსი ძმა კი გავედევნეთ ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილს, საქართველოს მეფის გიორგისა და ფარნაოზ ბატონიშვილის ძმას, რომელიც დაღესტნიდან უსეინ-კანდის საგუშაგოს გავლით, სპარსეთს მიემართებოდა; ეს იცის კარაბინერთა პოლკის ყოფილმა უფროსმა პოლ ლადინსკიმ და ამავე პოლკის ბევრმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა, რომლებიც მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ; იციან აგრეთვე პოლკოვნიკმა ლუარსაბ სუმბატოვმა, ბორჩალოს აღალარებმა, როგორც მახსოვს, — ალმას სუხტანმა, ალი აღა ეიბოღლიმ და იყვნენ კიდევ ბევრი აღალარები

პრისტავ გარიშჩნსკისთან ერთად. რომელთა ვინაობაც აღარ მახსოვს; ხედავდნენ რა ჩემსა და ჩემი ძმის ერთგულებას მთავრობისადმი 1820 და 1826 წლების აღრეულობის ხანაში. ეხლა ჩვენი მტრები ბოროტად ცილსა გვწამებენ, ხოლო ცნობილმა გენერალმა ერმოლოვმა დანიშნა ჩემი ძმა ბორჩალოს დისტანციის მთავარ პრისტავად და იგი როგორც უწინ. ეხლაც ერთგულად ემსახურება მთავრობას. მანვე მე დამნიშნა თბილისის მაზრის სახალხო რაზმების (ополчения) უფროსად. სადაც ერთგულებას ვიჩენდი ქრისტიანისა და მოვალეობათა შეგნების შესაბამისად. განა გაბედავდნენ ასეთ პირობებში ჩემი ცილის მწამებელნი ელაპარაკათ ჩემთან შეთქმულებაზე მთავრობის წინააღმდეგ და ან შეიძლებოდა მე დამბადებოდა ასეთი უგუნური აზრები და დავთანხმებოდი მათ. როგორც ამას ამბობს ელიზბარი ერისთავი თავის დასაღუპად! ან განა შეეფერება მათი ყალბი ჩვენება ჩემს შესახებ. რომელსაც ვამიწევია მთავრობისთვის დიდი სამსახური 1827, 1828—1833 წლებში, გასული ზაფხულს ქარის ოლქში ლეკების აჯანყების დროს. სადაც მე მიმავლინა ბატონმა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა თავადმა ფალავანდოვმა, რათა ბორჩალოს დისტანციაში შემეგროვებინა სამასი, შეიძლება მეტიც. მილიციონერი. — მე კი. ჩემი სიბეჯითის წყალობით, მოვაგროვე და ჩავაბარე ქალაქ თბილისში მთავრობას ორი ათასამდე კაცი. თუ კომისია კეთილინებებს, შეუძლიან მიიღოს სათანადო ცნობა ჩემი ერთგულების შესახებ აღნიშნული დისტანციის მთავარ პრისტავ ემელიანოვისაგან. პირისპირ წაყენების დროს ელიზბარ ერისთავმა სთქვა. თითქოს მან რომ შეთქმულებაზე მელაპარაკა, მე ბოლოს დავეთანხმე. რადგანაც მას გლეხებს ართმევდნენ. რის შესახებაც მე არა ვიცი რა. მაქვს პატივი განუმარტო კომისიას, რომ თუ ვისმე გლეხებს ართმევდნენ. მე რა მესაქმებოდა. რომ ჩავრეულიყავ და რათ უნდა დავრწმუნებულიყავ იმის გამო. რომ ელიზბარ ერისთავს გლეხებს ართმევდნენ. ხოლო პატიმრობაში მყოფი ვიმედოვნებ. რომ ცილისმწამებლურ ბრალდებათაგან დამიფარავს მართლმსაჯულება ჩემი ყოვლად მოწყალე იმპერატორისა. და თუ ელიზბარ ერისთავი იტყვის, რომ მე ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, უმორჩილესად ვთხოვ კომისიას, მოსთხოვოს მას ამის დამტკიცება და ეს რომ მართალი იყოს, მაშინ იგი ამას კომისიაში თავიდანვე იტყოდა.

2. თავად ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანოვის ჩვენება სრულიად უსამართლოა, რადგანაც მე მას ბაღში არასოდეს დაუპატიჟნივარ, ხოლო, როგორც მახსოვს, გასულ ზაფხულს მიწვეული ვიყავი თავად ალექსანდრეს დედის თეკლა ბატონიშვილის ბაღში სადილად. ისიც შემთხვევით თავად ივანე კოსტანტინეს ძე ბაგრა-

ტიონ-მუხრანსკის მიერ; იქ იყვნენ: გვარდიის შტაბ როტმისტრი იესე ანდრონიკოვი, პატოტსკი[1], პოპეიკა[2], ბირთველ თარხანოვი, პაატა ციციანოვი. მაიორი ყორღანოვი; მგონია, სხვებიც ბევრნი იყვნენ, პაგრამ სახელდობრ. ვინ, არ მახსოვს. მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის ბეტი მე იქ არა მინახავს რა და გამიგონია. ხოლო თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი, რომელიც მაშინ იპოხონდრიულ მდგომარეობაში იყო, ფიქრობს, რომ მეც მიწვეული ვყავდი ბაღში; მე ვმადლობ ჩემს გამჩენს, რომ მას არასოდეს მიუწვევივარ.

3. ლუარსაბ ორბელიანოვის ჩვენებაც უსამართლოა, რადგან მას ჩემი თანდასწრებით არასოდეს ულაპარაკნია გენერალ თავად ჭავჭავაძესთან შეთქმულებაზე და მე არასოდეს მითქვამს რა (ჩემდა სასიკეთოდ), ან რა მიზეზის გამო უნდა მეთქვა რამე, არა ვყოფილვარ რა მთავრობისაგან არაფრით შეურაცხყოფილი, — პირიქით, მუდამ მიღებული და პატივცემული ვიყავი და ღვთის წყალობით, მაქვს საკმაო ქონება, არა მაქვს ვალი, რომ მისი გადახდა გამძნელებოდა. არ ვიცოდი რა მათი მიზანი, როგორ შემეძლო რამე მეთქვა და მგონია, რომ გენერალი თავადი ჭავჭავაძე, თუ ისიც მათ მხარეზე არ არის, რადგან იგი თავად ლუარსაბის სიძეა, ყალდებულია, როგორც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისაგან დავალებული, სთქვას სინამდვილე, მითქვამს თუ არა ის, რასაც ლუარსაბ ორბელიანოვი უჩვენებს, და ჩემი თანდასწრებით ყოფილა თუ არა შეთქმულებაზე რამე საუბარი. და თუ გენერალი თავადი ჭავჭავაძე აღიარებს ამ ჩვენებას სინამდვილედ, მაშინ მე მზად ვარ წარუდგე მას პირისპირ. ამას გარდა, მგონია, რომ თავადი ლევან ერისთავიც ჩემზე უსამართლოდ უჩვენებს და იგი ალბათ, წაქეზებულია იმათგან, ვისთანაც ერთად ერთ ოთახში იყო პატიმრობის დროს, და მისი ჩვენება რომ სამართლიანი იყოს, იგი ამას ადრევე იტყოდა.

4. სრულიად უსამართლოა აგრეთვე თავად ბიძინა ერისთავისა და სხვათა ჩვენება ჩემთან შეთქმულების შესახებ საუბარზე, რადგან მათ ჩემთან ამაზე არასოდეს ულაპარაკნიათ და ზემოდასახელებულ მიზეზთა გამო, ვერც გაბედავდნენ ჩემთან ამგვარ რამეზე ლაპარაკს, ითქვა უმეტეს, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ მათი ამხანაგი, მათთან არავითარი ახლო ურთიერთობა არა მქონია, მე მათთან არა ვყოფილვარ და ისინი ჩემთან არ ყოფილან, არც ჩემი მეგობრები ყოფილან. სამართლიანად განმსჯელ კომისიას შეუძლიან დაინახოს, რომ ყველა ისინი ჩემზე უსამართლოდ უჩვენებენ ან წინასწარ მოლაპარაკებულ-

---

1 მისი ვინაობა უცნობია, საგამომძიებლო საქმეებში იგი არ მოსჩანს.

2 ექიმი იყო.

ნი,—როდესაც დაპატიმრებულნი ერთად იყვნენ მოთავსებული,—ახ
იმ იმედით, რომ თავიანთ დანაშაულს შეიმსუბუქებენ იმით, რომ
გასვრიან მთავრობის ერთგულ ადამიანთა სახელებს თავიანთ გასვ-
ილ სახელებთან ერთად. და მაქვს რა მისი იმპერატორებისთი უდი-
დებულესობისაგან მრავალი წყალობა, როგორ გამიბედავდნენ ისინი
ასეთ რამეზე ლაპარაკს, ან მე როგორ შემეძლო მათ დავთანხმებოდი,
როგორც ამას ელიზბარ ერისთავი ამბობს. და თუ ქართველებს შე-
ეძლოთ რუსების საქართველოდან გაყვანა, როგორც ამბობს თავადი
ელიზბარ ერისთავი ამისათვის ხომ მათ ადრევე ჰქონდათ დრო: 1812
წელი, როდესაც ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ ფრანგები, თურქები,
სპარსელები, მთის ხალხი, ლეკები, თვით კახელები, ქართლის ნაწი-
ლი, დუშეთის მაზრის ნაწილი, თუკი შეეძლოთ, მაშინ უნდა გაეყვა-
ნათ, რადგან იმდენი ჯარი არ იყო რამდენიც ეხლაა საქართველოში.
მე ახალგაზრდა აღარა ვარ, რომ არ შემეძლოს სიავ-კარგის გარჩე-
ვა, და ვის რა შეუძლიან, ამასთანავე, 1812 წლის ამბების მნახველს,
როგორ შემეძლო ეხლა დავთანხმებოდი, როგორც ამას ელიზბარ
ერისთავი უჩვენებს. ამასთან ერთად, დაე, სთქვას ინფანტერიის გენე-
რალმა ერმოლოვმა, რომლის დროსაც რამდენიმე აღრეულობა იყო,
შეუმჩნევია მას ჩემში ან ჩემს ძმაში არა ერთგულება მთავრობისად-
მი და დანამდვილებით ვიცი, რომ ეს სამართლიანი გენერალი დაა-
დასტურებს, რომ საქართველოში ჩვენზე ერთგული არავინ ყოფილა
მთავრობისათვის. ამასვე დაამოწმებენ ბატონები: სამოქალაქო გუ-
ბერნატორი თავადი ფალავანდოვი, პოლკოვნიკი სუმბათოვი, მაიორი
მადათოვი, რომლებიც მაშინ მსახურობდნენ. ყველა ზემოხსენებული-
დან ადვილად შეუძლიან სიმართლით მოქმედ კომისიას დაასკვნას,
რომ ყველა ისინი ჩემზე ცილისმწამებლურად უჩვენებენ, ჩემთან
მტრული განწყობილების გამო და იმედი მაქვს, რომ კომისია დამი-
ცავს მე მათგან.

დასასრულ გავბედავ მოვახსენო კომისიას, რომ მე დაავადებული
ვარ ე. წ. ქრონიკული რევმატიზმით, ვიტანჯები პატიმრობაში, ვერა
ვხედავ ცის ღრუბელს, ვზივარ მარტო ჩაკეტილი ოთხკედელ შორის
დაბნელებულ ფანჯრებში, ღამე სიბნელეში უკვე ერთი თვეა. ამას-
თანავე, აქაურ სასამართლოებში აღძრულია სადავო საქმეები რო-
გორც პირადად ჩემი, ისე ჩემი მოგვარეებისა და ყველაფერი მე მაქვს
მონდობილი, თუ ეს გამოძიება გაგრძელდა და მე არ მომეცა საშუა-
ლება მივხედო საქმეებს, ეს გამოიწვევს ზარალს არა ნაკლებ ორი-
ათასი მანეთისა ვერცხლით. თუ კომისია ამას არ მიიღებს მხედველო-
ბაში, მაშინ მე ერთადერთი იმედიღა დამრჩება — ზეციერი მეუფე
და ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი. ამასთანავე, ვთხოვ

ომისიას შემინდოს შეცოდებანი რუსულ ენაში, რადგანაც მე პეტერპურგში არა მაქვს მიღებული განათლება.[1]

ლეიბ გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუჩიკი
თავადი მამუკა ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ნათალიშვილის ჩვენება (XII, 2110)

კითხვითი პუნქტი გენერალ ფელდმარშალ თავად ვარშავსკის გრაფ პასკევიჩ ერივანსკის ფეხოსანთა პოლკის პორუჩიკ ნათალოვისადმი. მარტის 27, 1833 წ.

ქ. თბილისი.

არის თქვენთან პოლკში პოლონელ ოფიცერთაგანი, თქვენი გულწრფელი მეგობარი, და სახელდობრ, ვინ არის იგი? განმარტეთ „ჩინი" და გვარი, ეგრეთვე გულწრფელად თქვით, ხომ არ გილაპარაკიათ მასთან ამ შეთქმულებაზე, სად, ვისი თანდასწრებით, ან რა გიპასუხათ მან?

მე არა მყავს პოლკში პოლონელი ოფიცერთაგანი მეგობარი და არ ვიცი პოლკში არიან თუ არა პოლონელი ოფიცრები და სრულებით არავისთვის არა მითქვამს რა არც პოლკში და არც გარეშე პირთათვის, თანამემამულეთათვისაც კი ამ შეთქმულებაზე და არც არასოდეს გამივლია ფიქრში, ვყოფილიყავი შეთქმული; მე ეს შეთქმულება უსამართლოდ მიმაჩნდა და შეთქმულთ არავითარ ყურადღებასაც არ ვაქცევდი, რასაც გულწრფელად ვამბობ და ფიცითაც შემიძლიან დავამტკიცო.

მარტის 27, 1833 წლ.

პორუჩიკი ნ ა თ ა ლ ო ვ ი.

[1] ჩვენება რუსულად მეტისმეტად უწიგნურად არის დაწერილი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XII, 2112)

კითხვითი პუნქტები ლეიბ გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტან ზაქარია ჩელოყაევის მიმართ. 27 მარტს, 1833 წ. ქ. თბილისი.

ერთ ღამეს თქვენ მიხვედით თავად იასე ფალავანდოვთან და უთხარით, რომ „დროა ვიმოქმედოთ და რომ მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან გრძელდება ამაზე მსჯელობა, რომ თქვენ არწმუნებდით ყველას შესდგომოდნენ საქმეს და საამისოდ დროს შესაფერისად სთვლიდით: 1—რომ ზამთარია, 2-ე რომ მთელი საზოგადოება შეიკრიბება ყენჭის საყრელად. უნდა გამოაცხადოთ ეს დაწვრილებით ღა რა მიზეზები გაიძულებდათ თქვენ გემოქმედნათ დაჟინებით, და რა მსჯელობა იყო ლუარსაბ ორბელიანთან?

თავადმა იასე ფალავანდოვმა, როდესაც მე მასთან ვიყავი თავადების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვების, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი ერისთავების თანდასწრებით, თვითონ დაიწყო შემდეგი საუბარი: ამ დღეებში ჩემი ძმა გუბერნატორი მიეშგზავრება ქართლში და ამიტომ ეხლა მეტად ხელსაყრელი პირობებია მოქმედებისათვის. მით უმეტეს, — ამბობდა იასე, — მთელი ფული და ნივთები ჩემს ხელშია, ამას გარდა, სარდაფში არის სახელმწიფო ფული (казенные деньги) რაც ჩემმა ძმამ არც კი იცისო და აი, ბატონებო, ყოვლად ხელსაყრელი დროო. რომ ყველაფერი ეს თქვა იასე ფალავანდოვმა, — დავიმოწმებ აღნიშნულ პირთ. მე მარტო, პირისპირ, არასოდეს არა ვყოფილვარ ფალავანდოვთან.

ზამთრის შესახებ მე არა მითქვამს რა, ხოლო ლუარსაბ ორბელიანოვთან აგრეთვე არა ვყოფილვარ ვისიმე თანადასწრების გარეშე, მაშასადამე, როდესაც ელიზბარ ერისთავმა მიმიწვია ლუარსაბთან, იქ იყვნენ თავადები: ალექსანდრე

ორბელიანოვი, დიმიტრი ორ-
ბელიანოვი, გვარდიის პროპო-
რშჩიკი და იასე ფალავანდოვი;
იქ ვთათბირობდით, როდის და
როგორ დაგვეწყო, ამასთანავე,
ლუარსაბ ორბელიანოვმა
თქვა: უნდა დავიცადოთ, ვიდ-
რე ყველა თავადი შეიკრიბე-
ბა არჩევნებზე და თუ ისინი
თანახმა გახდებიან, ეს ძალიან
კარგი იქნებაო.

2. ერთხელ ღამით მიხვედით, თქვენ იასე ფალავანდოვთან, სადაც იყვნენ ზოგიერთი თქვენი თანამზრახველნი და ეკითხებოდით მათ: უთხრა თუ არა მათ ყოფილმა სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა თქვენი აზრი, რომ დაგეწყოთ 20 ნოემბერს. და შესთავაზეთ მეორე დღეს შეკრებილიყავით საბოლოოდ გადასაწყვეტად ლუარსაბ ორბელიანოვთან, ხოლო იქ თქვენ უთხარით ორბელიანოვს:

„ნუთუ ჩვენ იმდენი არ შეგვიძლიან, რამდენიც ყაზი-მოლას შეუძლიანო“. უნდა განმარტოთ, რა მიზეზით დასთქვით დრო 20 ნოემბერი და ეს ვადა თქვენ განსაზღვრეთ თუ სხვა ვინმემ, აგრეთვე განმარტეთ თქვენს მიერ ლუარსაბ ორბელიანოვისთვის ნათქვამი სიტყვები.

2. მე თავად იასე ფალავანდოვთან არ მივსულვარ, არამედ თვით ის თავადი იასე მოვიდა ჩემთან მარტოდ ლურჯა ცხენით, დამიძახა და მითხრა, თავადო, რაღას ფიქრობთ, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ 20 ნოემბერს, რადგანაც ჩემი ძმა ისევ წასულა ელიზავეტპოლში და მალე დაბრუნდება, ამასთანავე მე უკვე მომზადებული მყავს სომეხი ჭაბუკები (молодцы из Армян), მოდით ჩემთან და მე ყველაფერს გაცნობებთ, ეხლა კი დრო არ არის, მშვიდობით. გაქვთ თუ არა ქართული ტანისამოსი? მე მივუგე არ მაქვს მეთქი. უნდა დაგიმზადოთო, სთქვა იასემ და წავიდა. ხოლო სახლში რომ მივედი, სადაც იყვნენ ელიზბარი და ალექსანდრე ორბელიანოვი მან თქვა: მე გავიგონე მთავარსარდლის კანცელარიაში, რომ თავად ლუარსაბ ორბელიანოვის საქმე ძალიან ცუდ მდგო-

მარეობაშია, რომ იგი გადაგზავნილია განსახილველად თავად ვარშავსკისთან და შეიძლება ცუდად გათავდესო. თუმცა ლუარსაბს ჩემი ძმის დიდი იმედი აქვს, მაგრამ ჩემი ძმა ჭკუას არ წააგებს, მივდივარ ლუარსაბთან, რათა ვაცნობო, რომ იგი სიკეთეს ნუ ელის მთავრობისაგანო. თუ ლუარსაბი გაიხსენებს, მე კი არ ვუწოდე მას ყაზიმოლა, არამედ ელიზბარ ერისთოვმა, რომელმაც უთხრა მას, აბა, ლუარსაბ, იყავი ჩვენი მოლაო. მალე დაბრუნდა იასე ფალავანდოვი და იმ საღამოს ვახშმობამდე თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი და იასე ფალავანდოვი აღარ გამოჩენილან და არ ვიცი მათ რა ილაპარაკეს: ამის მოწმენი არიან ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი ერისთოვები, რომლებიც მეორე ოთახში ცეკვავდნენ, მე კი არასოდეს არ დამინიშნავს არავითარი ვადა.

3. ზოგიერთი ჩვენებიდან ჩანს, რომ თქვენა და დოდაევი იყავით მარშალ მაიორ თავად დიმიტრი ორბელიანოვთან და დაითანხმეთ იგი მიეღო მონაწილეობა თქვენს შეთქმულებაში. განმარტეთ როგორ გამოუცხადეთ მას განზრახვა და რამდენად ხალისით დაგეთანხმათ იგი მონაწილეობა მიეღო თქვენს განზრახულებაში?

3. დიმიტრი ორბელიანოვთან მე ვისადილე .დოდაევთან ერთად, მაგრამ მასზე არაფერი შემიძლიან ვთქვა, რადგან მას მარშალს არა უთქვამს რა მთავრობაზე და მეც ჩემი მხრით მისთვის არავითარი წინადადება არ მიმიცია, რაშიც ვიმოწმებ ღმერთს.

4. ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისთვის ვითქვამთ: „თქვენი მოსკოვში ყოფნის დროს საუბარი გქონიათ ოქროპირ ბატონიშვილთან. ის ემზადება საფრანგეთში წასასვლელად და იქიდან მოიყვანს ფრანგების ჯარს შავი ზღვით და მაშინ ადვილად შეძლებთ განვთავისუფლდეთო“.

თქვენ აგრეთვე ამბობდით, რომ თქვენი ძმა ალექსანდრეც აპირებს საფრანგეთში წასვლას საქართველოს თავისუფლებისთვის, რომ ის თავისუფლების დიდი მოყვარულია (большой любитель вольности) და სძულს რუსები: თქვენ უამბობდით აგრეთვე სხვადასხვა შემთხვევებს თავისუფლების ირგვლივ, ვითომც, თავისუფლებისთვის ავსტრიის იმპერატორს თავში ქვა მიარტყეს, რომ პოლონელებმა დიდი პატივი მიაგეს 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების გამო დასჯილთ, რომ პოლონელი ქალები მეთაურობდნენ პოლკებს და ჩვენ ხომ მამაკაცები ვართ, რისი უნდა გვეშინოდესო. ყველაფერი ეს უნდა განმარტოთ; ნამეტნავად კი თქვენი საუბარი ოქროპირ ბატონიშვილთან, რადგან თქვენს წინა ჩვენებებში აღნიშნულია, რომ თქვენ იგი მოსკოვში ყოფნისას არ გინახავთ.

4. მოსკოვზე გამოვლისას მე არ მინახავს ოქროპირ ბატონიშვილი და მასზე არაფერი არ შემიძლიან ვთქვა, რადგან მე ბატონიშვილთან არასოდეს არავითარი ლაპარაკი არ მქონია არა მხოლოდ მეთავრობის შესახებ, არამედ მისი ცხოვრების შესახებაც. მით უმეტეს არ შემიძლიან დავასკვნა რამე მისი საფრანგეთში წასვლის სურკილის შესახებ. თვითონ თავადი ალექსანდრე (ორბელიანი) იყო მოწმე ჩემი საუბრისა მის ძმასთან, თავად დიმიტრისთან, რომელმაც ჩემს შემდეგ გამოიარა მოსკოვში და ინახულა ოქროპირ ბატონიშვილი და მას დაუვალებია გადმოეცა ჩემთვის მისი საყვედური, რომ მე ცუდად მოვიქეცი, არ ვინახულერა ალალი ბიძა. ჩემი ძმა ალექსანდრე სამი წელიწადია არ მინახავს, რაზეც დამემოწმება დედა ჩემი ბატონიშვილი რიფსიმე გიორგის ასული, აგრეთვე ყველა ჩვენი შინაურები, რადგანაც ჩემი ძმა რამდენიმე წელიწადია ავადმყოფი წევს და თავისთან არავის უშვებს, გარდა ექიმ არენდისა.

ერთხელ ვუთხარი მასწავლებელ დოდაევს, რომ მისი გაზეთები მოეწონათ პეტერბურგში და ვურჩიე მოეთხრო ერეკლე მეფეზე, მაგრამ არ მოეხსენებინა წვრილმანები, როგორც მაგალითად მე ვუთხარი, რომ ამას წინათ

ჰამბურგის გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ . ვითომც ვიღაც სულელმა ინგლისის მეფეს ქვა ესროლა — ასეთი სისულელეების წერა უზრდელობაა მეთქი; ავსტრიის იმპერატორზე მე არაფერი მითქვამს.

პოლონეთზე იგი თავადი ალექსანდრე მეკითხებოდა. მე ვაღიარებ, რომ ვეუბნებოდი მას პოლონეთი აღსდგა რუსეთის წინააღმდეგ, ჰყავდა ჯარი, ჰქონდა ფული, ოთხი მილიონი ხალხია და მაინც ვერ შესძლო რუსეთთან ბრძოლა მეთქი; ვლაპარაკობდით აგრეთვე, რომ ისინი (პოლონელები) დიდად ცდილობდნენ უგუნური მოქმედებით მიეყენებინათ შეურაცხყოფა გამარჯვებულთათვის, მაგრამ ბოლოს დაიღუპნენ. ამის მერე არ შემიძლიან ვიფიქრო, რომ თ. ალექსანდრე ორბელიანმა, რომელიც რამდენიმე წელია ამზადებდა საქართველოს აჯანყებას, არ გამოიტანა თავისთვის სასარგებლო დასკვნა. . გვარდიის ოფიცრებს თავადებს დიმიტრი და გიორგის უკვე შეეძლოთ ალექსანდრესათვის ყველაფერი მოეთხროთ და უთუოდ ჰქონდათ კიდეც მათ ამაზე საუბარი, მაგრამ ყველაფერი მე გადმომაბრალა, რათა ამით დამნაშავე გამომიყვანოს.

5. თქვენს თანაგანმზრახველთა თანდასწრებით გითქვამთ: -რადგან 1831 წელსვე გიფიქრიათ, ეხლა უკვე მზად უნდა იყვნეთ, აი, ხელსაყრელი დრო კორპუსის უფროსი საფრთხეშია (საქართველოში ჯარი საერთოდ ძალიან მცირეა, აი, შემთხვევა)". და აქვე თქვენ დანიშნეთ დრო 20 ნოემბერი

განმარტეთ ყველაფერი.

5. თავიდანვე. როდესაც მე მათ გამომიცხადეს შეთქმულება, რომ ისინი ჯერ ისევ 1831 წ. ფიქრობდნენ აჯანყებულიყვნენ, მე ვკითხე, რატომ არ მოახდინეს აჯანყება, რაზედაც ალექსანდრე ორბელიანოვმა მომიგო, რომ როგორც კი მოვიდა ცნობა ვარშავის აღების შესახებ, მათაც გადასდეს სხვა ხელსაყრელი შემთხვევისათვის. აქვე იასე ფალავანდოვმა სთქვა, რომ მან მთავარსარდლის კანცელარიაში გაიგონა, რომ მისი მაღალ აღმატებულების საქმე ცუდად არისო და ამასთანავე დასძინა ფალავანდოვმა, რომ ყარსის მახლობლად დგას ეგვიპტის ფაშა, რომელიც მოდის საქართველოზე და ურჩევდა თავად ალექსანდრეს წასულიყო ალექსანდრე ბატონიშვილთან, რაზედაც ორბელიანოვი თანხმობას აცხადებდა.

ამგვარად, მე არ მილაპარაკნია გუმრის მარცხზე და არც დრო დამინიშნავს. ჯარის თაობაზე მე შევეკითხე რამდენი პოლკია საქართველოში მეთქი, ალექსანდრე ორბელიანოვმა მიპასუხა ცოტაო და გაშალა რა საქართველოს რუკა, ჩამოთვალა ყველა პოლკის ადგილსამყოფელი. მე ვუთხარი, რომ ნიშნის მიცემისთანავე პოლკები შეერთდებიან და მაშინ აღარავის ძალუძს მათი დამარცხება მეთქი; ამასთანავე, ყი-

რიმსა და ოდესაში დგანან სადარაჯო ჯარები რომლებიც მყისვე იქნებიან გადაყვანილი იმერეთში და მაშინ მშვიდობით თქვენო საქართველოვ! აქ ალექსანდრე ორბელიანოვმა მკითხა, ნუთუ იმერეთში მართლა დგას ჯარი, თუ ეს ასეა, დავიღუპებითო. მე დავუმატე, რომ ასტრახანიდან კი დერბენტსა და ბაქოში მოვლენ მეთქი. თუ თავად ალექსანდრეს აქვს სინდისის ნატამალი უნდა დათანხმდეს ჩემს ჩვენებას, როგორც ნამდვილ გულწრფელს და თავისი აზრები მე არ უნდა გადმომაბრალოს.

6. როდესაც მსჯელობდით, როგორ მოგეწყოთ ბალი, თუ ქართველი საზოგადოება არ დაგეთანხმებოდათ, მაშინ „თქვენ თქვით — მე მივიღებ ჩემს თავზეო, ასე რიგად. რადგან ჩვენ სამნი: მე, გიორგი[1] და დიმიტრი რუსეთიდან ვართ ჩამოსულნი წარვუდგებით კორპუსის უფროსს და ვთხოვთ მობრძანდეს ბალზე, ის პატივს გვცემს და უარს არ გვეტყვისო.

განმარტეთ, სწორედ ასეთი იყო თუ არა თქვენი განზრახვა?

6. არ მახსოვს რა რიცხვში საღამო ჟამს მოვიდნენ ჩემთან თავადი, გვარდიის პროპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი, გვარდიის კორნეტი ერისთოვი, იასე ფალავანდოვი, ელიზბარი და დიმიტრი ერისთავები და იასემ სთქვა, რომ არის თანხმობა გაიმართოს ბალი კორხმაზ მელიქოვის სახლში. მაგრამ მე გადაჭრით უარი ვთქვი, ისევე დიმიტრიმა და გიორგიმ. მე ვთქვი, რომ საქართველოში მე არავინ მიცნობს, ამასთანავე, მე საამისო ხარჯები არა მაქვს და რის გულისთვის უნდა გავმართო ბალი მეთ-

[1] გიორგი რეეაზის ძე ერისთოვი.

ქი. ფალავანდოვი თვითონ კისრულობდა მთელ ხარჯებს, მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდით. აქ ელიზბარმა თქვა, რომ ივი ამას უკეთ მოაწყობს ლუარსაბის სახლში. მეორე დღეს ყველა ზემოაღნიშნულნი მივედით თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან. მან გვითხრა: გთხოვთ. ბატონებო, დაიცადოთ, ვიდრე ყველა თავადი აქ შეიკრიბება არჩევნებზე და მაშინ, თუ ისინი თანახმა იქნებიან, მე გთავაზობთ ჩემს სახლს, და პირობას გაძლევთ რომ ბალი ჩინებული იქნებაო.

7. თქვენ ამბობდით, რომ მამუკას ძმა თავადი დიმიტრი ორბელიანოვი რუსეთის მთავრობის დიდი ერთგული არ არის, რაც თქვენ დოდაევთან ერთად მასთან საუბრის დროს შენიშნეთ. ამასთანავე, ამბობდით, საქართველოში რამე რომ მოხდეს, იგი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლიან უხელმძღვანელოს ჯარს, საიდანაც თქვენ დაასკვენით, რომ ის თქვენს განზრახვაზე უარს არ იტყოდა.

7. თავად მარშალ დიმიტრი ორბელიანოვთან სადილის დროს მთავრობის შესახებ მე არცა რა გამიგონია და არცა რა მილაპარაკნია. არ მინდა შევცოდო ღმერთს და უცნაურია, რომ შეთქმულებმა ერთხმად გამომიცხადეს, რათა ფრთხილად ვყოფილიყავ და არაფერი წამომცდენოდა დიმიტრი ორბელიანოვთან, რამდენადაც, — ამბობდნენ ისინი — იგი ფლიდი კაციაო, ხოლო აქებდნენ ძმას მამუკას და ნანობდნენ, რომ იგი ავად იყო.

კაპიტანი
თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი

მარტის 28, 1833 წ.

კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ კოლეეგსკი რეგისტრატორს თავად იასე ფალავანდოვს (XII, 2120)
ნოემბრის 26, 1833 წ.

1. 1831 წ. თქვენ ამბობდით, რომ „ბევრს ფიქრობდით რუსთაგან საქართველოს განთავისუფლებაზე"; განმარტეთ სახელდობრ რა განზრახვა გქონდათ ამ საქმეზე.

1. 1831 წელს არასოდეს არ მითქვამს, რომ „მე ვფიქრობდი რუსთაგან საქართველოს განთავისუფლებაზე".

2. თქვენ და სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა წინადადება მიეცით მასწავლებელ დოდაევს, რათა გამოუცხადოს განზრახულება თავადაზნაურთა წინამძღოლს თავად დიმიტრი ორბელიანოვს, — განმარტეთ, რა მიზეზი გქონდათ ამისთვის.

2. მე დოდაევისთვის არასოდეს დამივალებია გამოეცხადებინა ეს განზრახულება თავადაზნაურთა წინამძღოლ თავად დიმიტრი ორბელიანოვისათვის.

3. თავადი ანტონი აფხაზოვი უჩვენებს, რომ თქვენ იცოდით და ლაპარაკობდით 1831 წლის განკარგულების შესახებ, განმარტეთ რას შეიცავდა იგი და ვინ შეთხზა.

3. ანტონ აფხაზოვისათვის არასოდეს არა მითქვამს 1831 წლის განკარგულებაზე და არც ვიცი მისი შინაარსი, ან ვისგან იყო იგი შეთხზული.

4. თავადმა ანტონ აფხაზოვმა გთხოვათ წინასწარ გამოგეცხადებინათ ეს შეთქმულება თქვენი ძმის სამოქალაქო გუბერნატორისთვის, რაც აღუთქვით, მაგრამ აღარ შეასრულეთ, ამიტომ განმარტეთ ამის მიზეზი.

4. თავად ანტონ აფხაზოვს არასოდეს არ უთხოვია ჩემთვის წინასწარ გამომეცხადებინა ეს შეთქმულება ჩემი ძმისთვის სამოქალაქო გუბერნატორისთვის. აფხაზოვი თვითონ უფრო გაბედულად და გულახდილად იყო ჩემი ძმის წინაშე,

ვიდრე მე. ხოლო ხშირად ვეუბნებოდი მას (აფხაზოვს) ნუ უშვებ შენთან ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებს, ელიზბარსა და დოდაევს მეთქი. ვეუბნებოდი ამ სიტყვებით: „ეს მალე გამომჟღავნდება მეთქი“.

5. ერთხელ, ერთ თქვენ შეკრებაზე თქვენს სახლში ითქვა, რომ თავადი მუხრანსკი ხელს გვიშლისო, მაშინ თქვენ თქვით: შეიძლება იგი თავიდან მოიშოროთ თქვენს ძმასთან სამოქალაქო გუბერნატორთან ერთად, მაგრამ, რადგან ზოგნი არ დაგეთანხმნენ, მაშინ თქვენ წინადადება შეიტანეთ, რომ მოწამლოთ, როგორც ის, ისე თქვენი ძმა. განმარტეთ როგორც ყველაფერი ეს, ისე ის, თუ როგორ გიშლიდათ ხელს თქვენს შეთქმულებაში მუხრანსკი.

5. როდესაც იყო ლაპარაკი, რომ თავადი მუხრანსკი და ჩემი ძმა ხელს გვიშლიანო, მაშინ კაპიტანმა ჩელოყაევმა სთქვა, შეიძლება მოვსპოთ ეს ფლიდებიო და ეს დაადასტურა ელიზბარმა და როგორც მახსოვს, მისმა ძმამ დიმიტრიმაც. რათა უფრო მეტი ნდობა მომეხვეჭნა, მე ვთქვი, რად უნდა დავხოცოთ, მუხრანსკი შეიძლება მოვწამლოთ მეთქი, ხოლო ალექსანდრე ორბელიანოვმა თქვა, უმჯობესია დავაპატიმროთო. მე არ ვიცი რაში გამოიხატება მუხრანსკის მიერ შეთქმულებაში ხელის შეშლა.

6. როდესაც ბოროტ განმზრახველნი საღამო ჟამს თქვენთან ეყვნენ და ლაპარაკობდნენ, რომ ადვილად შეიძლებოდა დაუფლებოდნენ არტილერიას, ხაზინასა და სურსათს, თქვენ საგანგებოდ თქვით, რომ პირველი შემთხვევისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა თბილისელი ხელოსანი, რომლებიც თქვენი ხათრით უარს არ იტყვიან. განმარტეთ რა საშუალებანი

6. არტილერიის, ხაზინისა და სურსათის დაუფლებაზე ლაპარაკობდნენ ბოროტგამზრახველნი და მათვე უნდა იცოდნენ რა საშუალებები გააჩნდათ მათ დასაუფლებლად, მე კი მხოლოდ სიტყვით ვუთხარი, რადგან მსურდა უფრო დაწვრილებით გამეგო და მთავრობისათვის მეცნობებინა, ამიტომ არავითარ თბილისელ ხელოსნებზე არც ვამყარებდი იმედს და მათ არც ვიცნობდი.

გქონდათ მომზადებული არტი-
ლერიის, ხაზინისა და სურსა-
თის დასაუფლებლად და სა-
ხელდობრ, თბილისის რომელი
ხელოსნების იმედი გქონდათ!..

7. ერთხელ თქვენ მიხვედით ელიზბარ ერისთავის სახლში და თქვენ თანამზრახველთა თანდასწრებით, ღრმად ამოიკვნესეთ რა, დაიწყეთ ლაპარაკი საქართველოს დამცირებაზე და თქვენს ლტოლვაზე თურქეთისაკენ. ხოლო თქვენსას ვახშამზე კი სთქვით: „ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ, ამიტომ ვიყოთ მეტად გულახდილი, დრო ძვირფასია, ისტორია გვიმოწმებს, რომ დაგვიანება და ყოყმანი მუდამ საქმეს ღუპავდა“, და სთხოვეთ ყველას გამოეთქვა თავისი აზრი საშუალებებზე და ჯარის მოკრებაზე, ამასთანავე სთქვით, რომ თბილისელ ლოთებსა და მაწანწალებზე დიდ იმედს ამყარებთ. გინმარტეთ, რაში ხედავდით საქართველოს დამცირებას, რას ნიშნავდა თქვენი მითითება აჩქარებაზე და რომელი თბილისელი ლოთების იმედი გქონდათ.

7. ერთხელ, გზად მომავალი, შემიპატიჟა თავისთან ელიზბარ ერისთავმა, სადაც დამხვდნენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, გიორგი და დიმიტრი ერისთავები, ბირთველ თუმანოვი, მასწავლებელი ყიფიანოვი, ავთანდილოვი. თავადი გიორგი ერისთოვი რაღაც გეგმებსა ჰხაზავდა და გვიამბობდა. მე საქართველოს არავითარ დამცირებაზე არ მილაპარაკნია, ინებოს ,ქომისიამ და შეეკითხოს ბოროტგანზრახველთ, რომელნიც იყვნენ მაშინ ჩვენთან ვახშამზე — ოღონდ, არა ალექსანდრე ორბელიანოვის უახლოეს ნათესავებს — ვისი ნათქვამია ეს სიტყვები, — როგორც მახსოვს ალექსანდრე ორბელიანოვისაგან იყო ნათქვამი, — ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ, ამიტომ ვიყოთ უფრო მეტად გულახდილი, დრო ძვირფასია, ისტორია გვიმოწმებს, რომ დაგვიანება და ყოყმანი მუდამ საქმეს ღუპავდა. აგრეთვე შეეკითხეთ ვინ მოითხოვა, როგორც მახსოვს, ელიზბარმა, — რომ ყველას გამოეთქვა აზრი საშუალებათა და ჯარის მოკრების შესახებ; მე

8. შეთქმულებაზე ადრე ხშირად დადიოდა თქვენთან სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი და თქვენ მუდამ აძაგებდით რუსებს და როდესაც მან გითხრათ, რომ თქვენი ოჯახი რუსთა წყალობით გაბედნიერდა, თქვენ უპასუხეთ: „თუნდაც რომ რუსებმა თქვენ მოგცეთ თქვენი წონა ბრილიანტები, მაინც რუსების ერთგული ვერ გახდებით“: ამის შემდეგ თქვენ ილაპარაკეთ საქართველოსადმი თქვენს ერთგულებაზე, რაც დაამტკიცეთ ორჯერ საზღვარგარეთ გაქცევით, მას სამდურავს ეუბნებოდით და წინადადება წამოაყენეთ დაგეწყოთ საქმე, რათა რუსები გაგეყვანათ, რომლებიც ვეღარ დაბრუნდებოდნენ, არჩევდით ამისთვის სხვადასხვა საშუალებათ, აღუთქვამდით კვლავ მოფიქრებას და ითხოვდით მისგან თანხმობას.

განმარტეთ, რა საბაბი მოგცათ რუსეთის მთავრობამ ასეთი აღშფოთებისათვის, რომ გადაწყვიტეთ მიგეღოთ ზომები რუსების საქართველოდან გასაძევებლად და რაში მდგომარეობს საქართველოსადმი თქვენი ერთგულება და თქვენს მიერ გადატანილი სიძნელენი

არასოდეს მიმაჩნდა საქართველო დამცირებული და არავითარ თბილისელ ლოთებზე რაიმე იმედს არ ვამყარებდი.

8. შეთქმულებამდე არასოდეს არ დადიოდა ჩემთან ალექსანდრე ორბელიანოვი. მე არასოდეს მიძაგებია რუსები, არავითარი საბაბი არ მოუცია ჩემთვის რუსეთის მთავრობას, რომ რუსეთის საქართველოდან გაძევებაზე მეფიქრა. მე არასოდეს არა ვყოფილვარ ქართველების ერთგული და არც საქართველოში ცხოვრება მსურდა. ჩემი ლტოლვის შესახებ იცის მთავრობამ და ამაზე განმარტება მაქვს წარმოდგენილი კომისიაში.

თქვენი ორ გზის ლტოლვის დროს?

9. როდესაც თქვენ წინადადება მიეცით სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს, რათა შეგედგინათ შეთქმულება, საქართველოდან რუსების გაძევების მიზნით, მაშინვე სთხოვეთ მას, რათა მან უთხრას და მოიწვიოს თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი; მაგრამ არ განუცხადოს მას, რომ თქვენ ეს იცით, რადგან იგი თვითონ მოვიდოდა თქვენთან ამაზე რჩევისათვის, განმარტეთ რისთვის დაგჭირდათ ამილახვაროვის წინააღმდეგ ეს თვალთმაქცობა.

9. მე არასოდეს მიმიცია სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისათვის წინადადება შეთქმულების მოწყობის შესახებ, რათა რუსები გაგვეძევებინა საქართველოდან და არც არასოდეს მითხოვნია მისთვის, რომ მას ელაპარაკნა და მოეწვია თეიმურაზ ამილახვაროვი. ამაზე მე ვრცლად მოვახსენე კომისიას ადრევე.

10. ხოლო როდესაც ალექსანდრე ორბელიანოვმა აცნობა თქვენი საუბარი ამილახვაროვს და ესენი მივიდნენ თქვენთან, თქვენ მათ უთხარით: „ღმერთსა ვფიცავ, რომ რუსებს ვერ ვიტან“ (русских терпеть не могу) და მერე აგინებდით დაუშვებელი სიტყვებით როგორც რუსებს, ისე მათ, ვისაც ისინი უყვარს. განმარტეთ, რას ნიშნავდა თქვენი გამოთქმები და რა არის მიზეზი თქვენი რუსთადმი ასეთი სიძულვილისა?

10. როდესაც ალექსანდრე ორბელიანოვი პირველად მოვიდა ჩემთან ამილახვაროვსა და დოდაევთან ერთად, მე არ მითქვამს, რომ რუსებს ვერ ვიტან მეთქი და არც მიგინებია ისინი, ვისაც რუსები უყვარს.

11. როდესაც თბილისში მოვიდა ცნობა პოლონეთის აჯანყების შესახებ, თქვენა სთქვით:

11. ეს სიტყვები: „ქართველები ეხლა მაინც გაახელენ თვალს და დაინახავენ, რა გა-

„ქართველები ეხლა მაინც გა-
ახელენ თვალს და დაინახავენ
რაც გააკეთეს პოლონელებმა.“
განმარტეთ, რას ნიშნავდა
თქვენი ეს გამოთქმა, და მერე,
როდესაც დოდაევმა სთქვა:
„რომ ეხლა ჩვენი დროც მოვი-
დაო“. თქვენც ეს დაადასტუ-
რეთ, რის გამოც, — უნდა გან-
მარტოთ, რა სთქვა დოდაევმა,
ვისი თანადასწრებით და თქვენ
რა უპასუხეთ?

12. როდესაც სოვეტნიკმა
თავადმა ალექსანდრე ორბელი-
ანოვმა მოიჩივლა თქვენს წინა-
შე, რომ თავადი ელიზბარ ერი-
სთავი გაჯავრებულია, რადგან
ვერ ვუშოვნე კაცი ალექსანდ-
რე ბატონიშვილთან გასაგზავ-
ნადო, თქვენ ალექსანდრე ორ-
ბელიანოვი გაჰკიცხეთ და მოი-
თხოვდით, რათა კაცი აუცილებ-
ლად გაეგზავნათ, ხოლო, რო-
დესაც, რამდენიმე დღის შემ-
დეგ, კაცი მაინც ვერ გაიგზავ-
ნა, თქვენ უსაყვედურეთ ორ-
ბელიანოვს, განმარტეთ, რა
მიზანი ჰქონდა თქვენს მოქმე-
დებას.

აკეთეს პოლონელებმა“ მე არა-
სოდეს არ წარმომითქვამს და
არც მასწავლებელ დოდაევის-
გან გამიგონია, რომ: „ეხლა
ჩვენი დროც დადგაო“. როდე-
საც თბილისში პოლონეთის აჯ-
ანყების ცნობა მოვიდა, რამ-
დენჯერმე მივუგზავნე განსვე-
ნებულ მამაჩემს აზნაური სტე-
ფანე ლორის მელიქოვი, რათა
ნება მოეცა ჩემთვის წავსული-
ყავ რუსეთში, მაგრამ მამაჩემ-
მა არ მიიღო ჩემი თხოვნა და
ნება არ მომცა.

12. ალექსანდრე ორბელია-
ნოვს არასოდეს მოუჩივლია
ჩემთან, რომ ელიზბარ ერის-
თავი გაჯავრებულია, რადგან
ვერ ვუშოვნე კაცი ალექსანდ-
რე ბატონიშვილთან გასაგზავ-
ნადო და არც გამიკიცხავს ორ-
ბელიანოვი, არც მომითხოვნია
მისგან, — რათა აუცილებლად
გაეგზავნა კაცი ალექსანდრე
ბატონიშვილთან.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

კითხვითი, პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუტჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს (XII, 2132)

28 მარტი, 1833 წ. თბილისი

1. ზოგიერთი ჩვენებიდან ჩანს, რომ თქვენთვის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს უთქვამს, რომ მან მარშალ თავად შალვა ერისთოვს გამოუცხადა თქვენი განზრახულება რუსების საქართველოდან გაძევების შესახებ და იგი სიხარულით დაეთანხმა და მერე რამდენიმე ხნის შემდეგ, იყავით ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში, სადაც შალვა ერისთოვმა სთქვა: „ეხლა, როგორც კი წავალ ქართლში, ყველა ჩემს ნათესავს, ვინც კი ვინა მყავს და მეგობრებს ყველას გამოვუცხადებ, მე ხომ თქვენი ამხანაგი ვარო.“

განმარტეთ, მართლა ასე იყო თუ არა ყველაფერი ეს და ითქვა თუ არა შალვა ერისთოვის მიერ, და თქვენს გარდა, კიდევ ვინ ესწრებოდა ამ საუბარს?

1. მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს არ უთქვამს ჩემთვის, რომ მან ჩვენი განზრახულება გამოუცხადა მარშალ შალვა ერისთოვს. არც მე გამომიცხადებია და არც რა მითქვამს მისთვის ამაზე. და ეს ჩვენება ლუარსაბისა და შალვას საუბარზე უსამართლოა, რადგანაც ჩემი თანდასწრებით არასოდეს ლუარსაბს არ ულაპარაკნია შალვასთან ჩვენი განზრახულების შესახებ, და არც ლუარსაბს უთქვამს ჩემთვის, რომ შალვამ რამე იცოდა განზრახულებაზე.

2. გილაპარაკნიათ თუ არა თქვენს შეთქმულებაზე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად შერვაშიძესთან, როდის და სად, ვისი თანდასწრებით და რა პასუხი მიგიღიათ მისგან; რა საშუალებას შეგპირდათ იგი, აჯანყების შემთხვევაში. განმარტეთ ყველაფერი დაწვრილებით.

2. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად შერვაშიძესთან არასოდეს არა მქონია საუბარი ჩვენს განზრახულებაზე.

თავადი ელიზბარ ერისთოვი.

კითხვითი პასუხები სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუჩიკ თავად ანტონ აბხაზოვს (XII, 2134)

26 მარტი, 1833 წ. ქ. თბილისი

1. გიმნაზიის მასწავლებელ დოდაევთან ვახშამზე თქვენ სთქვით ეს სიტყვები: „კარგად იფიქრეთ, თქვენ კარგად იქცევით, თუ მართალია, რომ აკეთებთ შეთქმულებას მთავრობის წინააღმდეგ, მე შემიძლია დავითანხმო იაგორ ჭილაევი". განმარტეთ გქონდათ თუ არა ამ საგანზე საუბარი სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევთან, სად, როდის, ვისი თანადასწრებით და რა გითხრათ მან ამაზე?

1. მაქვს პატივი უმდაბლესად მოვახსენო კომისიას, გიმნაზიის მასწავლებელ დოდაევთან ვახშამზე მე ვთქვი ეს სიტყვები, რომ: კარგად იფიქრეთ ამაზე, რას წარმოადგენთ თქვენ და ვინ რას დაგიჯერებთ რომ შეადგინოთ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება. ყველას დავუმტკიცებ, რომ მე ესა ვთქვი და არა სხვა რამე. მათ მითხრეს, რათა მელაპარაკნა ექიმ პრიბილთან და სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევთან, რადგან ჩემი ნაცნობები არიან. მე არც ერთთან და არც მეორესთან არასოდეს არავისი თანდასწრებით . ამაზე არა მილაპარაკნია და არც ძალმედვა დამეთანხმებინა იაგორ ჭილაევი, ვერც გავბედავდი გამემხილა მისთვის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება.

2. თქვენ და გენერალ მაიორი თავადი ჭავჭავაძე ჰკითხავდით რჩევას სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევს თქვენი შეთქმულების შესახებ, მაგრამ მან გირჩიათ ხელი აგეღოთ, ხოლო, როდესაც ამ განზრახვაზე არ დაგეთანხმათ აგრეთვე ჭავჭავაძეც, — თქვენ, თითქმის მისი თანახმა გახდით. განმარტეთ ყველაფერი ზემოაღნიშ-

2. ორი წელიწადია, რაც არ მინახავს გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე და მასთან ერთად არასოდეს მივსულვარ სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევთან რჩევისათვის შეთქმულების გამო და არც არასოდეს მქონია თავად ჭავჭავაძესთან რაიმე საუბარი, არც მარტო და არც ვისიმე თანდასწრებით. ვკადნიერდე-

ნული, აგრეთვე ის, თუ როდის, სად და ვისი თანადასწრებითა გქონდათ შეთქმულებაზე საუბარი გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძესთან და რა პასუხი გაგცათ მან ამაზე; სახელდობრ რა სიტყვებითა გქონდათ თქვენ ამ საქმეზე საუბარი როგორც ჭავჭავაძესთან ისე ჭილაევთან?

3. ყარაბახში გამგზავრების წინ უთხარით ზოგიერთ თქვენს თანაგამზრახველს. რომ თქვენ რჩევა ჰკითხეთ სტატსკი სოკეტნიკ იაგორ ჭილაევს მთავრობის საწინააღმდეგო თქვენი შეთქმულების შესახებ, რაზედაც მან გიპასუხათ, რომ თქვენ მას ძალიან ძნელ საქმეზე ელაპარაკებით და რჩევას სთხოვთ. განმარტეთ, როგორ იყო ეს.

ბი ეს გარემოება მოვახსენო უმდაბლესად კომისიას, იგი გამოგონილია ჩემი არაკეთილმსურველებისაგან და არის სრული უსამართლობა. სიყალბე, ერთი მეორის მიმართ ცილის წამება, როგორც თავის მართლების საშუალება.

3. ყარაბახში წასვლის წინ სტატსკი სოვეტნიკ ჭილაევის და ექიმ პრიბილის სახელით მე ვუთხარი ზოგიერთ თანაგამზრახველს, რომ მთავრობის წინააღმდეგ განზრახვა დიდი ბოროტებაა, და აი ეს როგორ მოხდა. ერთ საღამოს შევედი იასე ფალავანდოვთან, სადაც დამხვდნენ ერისთოვები ელიზბარი და გიორგი, ორბელიანოვები ალექსანდრე და ვახტანგი და მასწავლებელი დოდაევი, მე იქ საზეიმოდ, ყველას თანადასწრებით განვაცხადე ამ სიტყვებით, რომ მე ამ ქვეყნად არავითარი სიკეთისათვის არ დაგთანხმდებით ვიყო თქვენთან, როდესაც ილაპარაკებთ მთავრობის წინააღმდეგ. უმდაბლესი თხოვნით ვაწუხებ კომისიას, შეეკითხოთ ამაზე ორბელიანოვებს ალექსანდრესა და ვახტანგს, ერისთოვ გიორგის, მასწავლებელ დოდაევსა და იასე ფალავანდოვს რომ ელიზბარი საყვედურობდა ალექსანდრე ორბელიანოვთან. რომ მე მათზე ნაღველი გად-

მოვანთხიე და რომ ყველას შევუცვალე აზრი მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაზე; ხოლო მთავრობის წინააღმდეგ განზრახულებაზე, როგორც მახსოვს, არა მიკითხავს რა სტატსკი სოვეტნიკ იაგორ ჭილაევისთვის.

სამსახურიდან გადამდგარი
პოდპორუჩიკი
თავადი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი.

კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ პორუჩიკ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვს (XII, 2138)

27 მარტი, 1833 წ., ქ. თბილისი

როდის, სად და ვის თანღასწრებით გქონდათ საუბარი თქვენი განზრახულების შესახებ მარშალ შალვა ერისთოვთან და რა გითხრათ მან ამაზე? განმარტეთ სრულად და დაწვრილებით.

კომისია რომელსაც მკითხავს მარშალი შალვა ერისთავისას რომ ან იმას ელაპარაკნოს და ან მე ამ საგანზედ, არა გვილაპარაკნია რა და არც მახსოვს მხოლოდ ერთხელ კენჭის ყრა რომ იყო მკითხა ხომ ამბავი არა იცი რაო იმ დაჭერილებისაო და მე უთხარი არა ვიცი რა მეთქი და არც ამბავი ისმის რა საგანზე არიან დაჭერილნი მეთქი მხოლოდ ამის მეტი არა ვიცი რა.

1832 года[1] მარტის 8 დღესა ასტავნი პორუჩიკი თავადი.
ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო კ ი.

1 ასე უწერია.

კითხვითი პუნქტი კავალერიის პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე ერისთოვს (XII, 2140)

28 მარტი, 1833 წ., ქ. თბილისი

თქვენ უამბეთ თავადის მეუღლე მანანა ორბელიანს, რომ „რუსეთიდან იმიტომ ჩამოხვედით, რათა სამშობლო საქართველო იხსნათ რუსების ხელთაგან და საქმეს კარგად მოვაწყობთ, როცა მოვინდომებთ, ჯარიც გვეყოლებაო. ამასთანავე, თქვენ მას უთხარით, რომ „თავდაპირველი მომწყობი და უმთავრესი არის ოქროპირ ბატონიშვილი". ამიტომ განმარტეთ, იმ განზრახვით ჩამოხვედით თუ არა და ვინ გარიკებდათ თქვენ ამ საქმეში, ვინ გამოგგზავნათ აქ ამ განზრახვით და ამ საგანზე რა საუბრები გქონიათ ოქროპირ ბატონიშვილთან, საიდან იცით, რომ ის მთავარი და პირველი მომწყობია ამ შეთქმულებისა?

მე მგონია თავადის მეუღლე მანანა ორბელიანოვთან არა სოდეს ამგვარი საუბარი არა მქონია; მასთან განმარტოებით არასოდეს მილაპარაკნია. ჩემს მიერ უკვე ადრეეა განმარტებული, რაც საუბრები გვქონია პეტერბურგში, მაგრამ ჩემს თავში ის არ ყოფილა, რომ მეფიქრა შეთქმულების შედგენაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე ვნახე პოლონეთის აჯანყება. შეთქმულებაზე არავიცოდი რა, ვიდრე თბილისში არ ჩამოვედი და ისიც ჩემი ჩამოსვლის ორი თვის შემდეგ გავიგე. მართალია, რომ ხმა პეტერბურგშივე დადიოდა, მაგრამ მე მეგონა ტყუილი იყო და ამ ხმას არ ვუჯერებდი, რადგან მე იგი სრულებით არ მაინტერესებდა. ამიტომაც მე ვიდრე აქ არ ჩამოვედი, არაფერი ვიცოდი ოქროპირ ბატონიშვილის მონაწილეობაზე ამ შეთქმულებაში და აგრეთვე ბატონიშვილთან მე იმის მეტი საუბარი არა მქონია, რაც წინათ ვაჩვენე. გაგონილი მაქვს ძხოლოდ, როგორც ეს ადრე კაჩვენე, თ. ზაქარია ჩელოყაევისაგან აქ თბილისში, რომ პირველმა ოქროპირ ბატონიშვილმა წამოიწყო ეს საქმეო. ჯერ კიდევ ზამთარში შევიტა-

ნე თხოვნა, რის შედეგადაც, პეტერბურგში ჩასულმა მივიღე შვებულება, თბილისში რომ ჩამოვედი, დაუყოვნებლივ ვითხოვე ვადის გაგრძელება, რადგან შვებულება ძალიან მალე მითავდებოდა და დრო არა კმაროდა იმისათვის, რომ განვკურნებულიყავი და აღმედგინა შერყეული ჯანმრთელობა, აგრეთვე იმის გამოც, რომ ჩვენს ძმებს შორის იყო საუბარი ჩვენი ქონების გაყოფის შესახებ. თუმცა, ვიგრძენი თუ არა ოდნავი გამოკეთება და საქმე დამთავრებული არც კი მქონდა, ვისწრაფოდი პეტერბურგში წასვლას. სწორედ ამ დროს მივიღე პოლკიდან წერილი, რომ მე არ გამიგრძელეს შვებულების ვადა და მებრძანა გავსულიყავ სამსახურიდან. ამ ქაღალდმა მე დამასამარა, რადგან მე ვფიქრობდი კიდევ დიდხანს სამსახურს და იმედი მქონდა, ვიცნობდი რა მეფისა და დიდი თავადის გულს (зная сердца Царя и Великого князя), მამულსაც დამიბრუნებდნენ. იმ დროიდან, რადგან მე უკვე აღარ შემეძლო პეტერბურგში წასვლა, მოვხვდი ამ საზოგადოებაში, ვიყავი რა დაბრმავებული სხვადასხვა საუბრებითა და საბაბით. მაგრამ მაშინაც ვერა ვბედავდი, რადგან დედა ჩემი იყო და არის პეტერბურგში, და სრულიადაც არა ვფიქრობდი მიმეტოვებინა იგი იქ მარტო. ამ აღნიშნულ მიზეზთა გამო, მე არ შემეძლო ჩამოვსულიყავ აქ რამე განზრახვით, მითუმეტეს, რომ არავისთან ნაცნობობა არა მქონდა, არც რამე გავლენა და ვფიქ-

რობდი საქართველოში დავრჩენილიყავ მხოლოდ ცოტა ხნით, რათა ისევ სამსახურს დავბრუნებოდი.

პორუჩიკი თ. ერისთოვი.

28 მარტი, 1833 წ.

კითხვითი პუნქტი ლეიბ გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტან თავად ჩელოყაევს (XII, 2142)

რა ლექსები გქონდათ ბატონიშვილ ნინასი, რომლებიც წაუკითხეთ მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს. გამოაცხადეთ, რას შეიცავდა ეს ლექსები, ვის როდის და სად წაუკითხეთ და თუ ისინი ისევ გაქვთ, სად არის ახლა?

ამ ლექსების შესახებ პირველად მესმის და ისინი არასოდეს წამიკითხავს.

კაპიტანი თავადი
ჩ ო ლ ო ყ ა ე ვ ი.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (XII, 2144)

საგამომძიებლო კომისიის კითხვითი პუნქტებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

1. თამარ ბატონიშვილი რომ უჩვენებს ჩემზე, რომ სადილის დროს მასთან რომ ვიყავით პორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი, ჩემი ძმა ვახტანგი და მე და რომ ის გვირჩევდა ხელი აგვეღო ამ საქმეზე, მე ეს სრულებით არ მახსოვს და არც კი ვიცი მან იცოდა ჩვენი ვანზრახულება თუ არა, და არავისგან რა გამიგონია მასზე.

2. ფარნაოზ ბატონიშვილზე არა ვიცირა.

3. ესტატე ჯავახოვი, მახსოვს, დაიარებოდა დიმიტრი ბატონიშვილთან ჯერ კიდევ პოლონეთის ლაშქრობამდე და მას ლიუთერანს[1] უწოდებდა, მაგრამ აღარ მახსოვს, როდის ვილაპარაკეთ. მისი თანდასწრებით მთავრობაზე, ხოლო ლაშქრობის შემდეგ ჯავახოვი აღარ მინახავს.

---

[1] თვით ტექსტში ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული «т. е.: по грузински Еретиком», ე. ი. ქათრულად მწვალებელი.

4. შანშიევისადმი მიმართვა[1] წავიკითხეთ გენერალ ჭავჭავაძის სახლში. მაგრამ არ მახსოვს ვინ კითხულობდა. შემდეგ ჩემმა ძმამ ვახტანგმა მოიტანა ჩვენს ოჯახში და წავიკითხეთ პორუჩიკმა ელიზბარ ერისთოვმა, ჩემმა ძმამ ვახტანგმა და მე.

5. რაზმაძის ივაზე[2] არა გამიგონია რა და არც არა ვიცირა.

6. როდესაც მე პეტერბურგიდან მოვდიოდი და მოსკოვში ჩამოვედი, ოქროპირ ბატონიშვილმა ზეპირად წამიკითხა თავისი მიმართვა დიმიტრი ბატონიშვილისადმი (читал нам наизусть послание своего сочинения к Димитрию Царевичу)[3], რომელშიაც აღწერდა თბილისს, თბილისის მცხოვრებთ, მთებს, რომლებიც მას ჰარს არტყია. მაგრამ მის სხვა ლექსზე არა ვიცი რა.

7. რომ ჭავჭავაძეზე სრულებით არა ვიცი რა, იმის მეტი, რომ როდესაც 14-ს და 1-ს იანვარს ვიყავი გენერალ ჭავჭავაძესთან[4], რომანი მეკითხებოდა მის ძმაზე და მე ვუპასუხე არა ვიცი რა მეთქი: ამის შემდეგ მესაუბრებოდა, თუ რაზე დამიბარა მისმა მაღალმატებულებამ კორპუსის უფროსმა და მე ვუპასუხე, რომ მეკითხებოდა ჩემ ძმებთან ერთად მეც ხომ არ ვიღებდი მონაწილეობას; ამის მეტი ამ კაცზე არა ვიცი რა და არავისგან მასზე არა გამიგონია რა.

ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკის პროპორჩიკი

თავადი ორბელიანოვი.

26 მარტი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2146)

20 მარტი, 1833 წ.

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო.

1. იმ საღამოს შემდეგ, როდესაც ფალავანდოვმა წაუკითხა ჩელოყაევს პირველი ღამის განკარგულება, რამდენიმე ხანს აღარ კვისაუბრია ჩელოყაევთან ჩვენს განზრახულობაზე, რადგანაც ფალავანდოვი მისით უკმაყოფილო იყო. სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან შეევიარეთ ფალავანდოვმა, დიმიტრი ერისთოვმა და მე, სადაც დაგვხვდა ჩელოყაევი. ალექსანდრე, ფალავანდოვი და მე

---

1 ლაპარაკია გ. ორბელიანის ლექსზე „იარალის".

2 იგულისხმება იგავი „დათვი და ცხვარი".

3 ოქროპირის ეს თხზულება საქმეში არა ჩანს.

4 საყურადღებოა, რომ კორპუსის უფროსთან გამოძახების შემდეგ, დიმ. ორბელიანი ესაუბრება ალ. ჭავჭავაძეს.

დავსხედით ოთახის კუთხეში ტახტზე და დავიწყეთ საუბარი ჩვენს ჩანაფიქრზე. საუბარი იმით დავამთავრეთ რომ ალექსანდრე შეგვპირდა, არსად წავიდოდა და დაეადგინეთ გვეჩვენებინა განკარგულება ლუარსაბ ორბელიანისათვის. ჩვენ ჩუმად ვლაპარაკობდით, რომ არ გაეგონა იგი ჩელოყაევს. ჩვენი საუბრის დროს ჩელოყაევი და დიმიტრი ერისთოვი ურთიერთ შორის საუბრობდნენ და ჩვენ არ მოგვისმენია. მაგრამ ეს კი სწორია, რომ ჩელოყაევი პეტერბურგში არ დადიოდა ქართველებთან. იმ საღამოს ჩელოყაევს ჩვენთან არა ჰქონია საუბარი ჩვენს განზრახულებაზე. ჩვენი საუბრის დამთავრებისთანავე, იმავ წუთში წავედით და ჩელოყაევისთვის არა გვითქვამს რა.

2. 1832 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, მე გამოვუცხადე ჩვენი განზრახულება კაპიტან ჩელოყაევს და მივეცი წინადადება მასში მონაწილეობა მიეღო, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა. ჩელოყაევი ჩვენთან ერთად იყო ტრაქტირში ავლაბარში. ჩვენ ვას დავუსახელეთ და ჩამოვუთვალეთ ყველა ჩვენი თანაგანმზარხველი და მან ყველა იქ დამსწრეთა წინაშე განაცხადა თავისი თანხმობა. ერთხელ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში, სადაც იყვნენ სხვა თანაგანმზრახველნიც, ჩელოყაევმა ფანქრით აღნიშნა ქაღალდზე საქართველოში განლაგებული პოლკების ადგილსამყოფელი და ლაპარაკობდა თუ როგორ უნდა გვემოქმედნა, რათა ჯარისთვის არ მიგვეცა საშუალება ერთად შეყრილიყო. ჩელოყაევი დადიოდა აგრეთვე ლუარსაბ ორბელიანოვთან და ერთხელ უთხრა ლუარსაბ ორბელიანოვს, ნუთუ ყაზი მოლა ჩვენა გვჯობიაო.

როდესაც ფალავანდოვმა პირველი ღამის განკარგულება დაწერა, ჩელოყაევი იქ არა ყოფილა. განკარგულებაზე თავისი აზრის გამოთქმის შემდეგ ჩვენ მასთან აღარაფერს ვამბობდით ერთხანს ჩვენს განზრახულობაზე; ჩელოყაევმა შენიშნა, რომ ჩვენ მას ეჭვით ვუცქეროდით და ერთხელ მითხრა: „ვხედავ, რომ თქვენ ყველანი დაეჭვებული ხართ ჩემში, ტყუილად კი; დარწმუნებული იყავით, რომ არ გავცემ შეთქმულებას, თუმცა მე ნამდვილი ჯარისკაცი ვარ და ჩემგან ნურაფრის იმედი გექნებათო". ჭავჭავაძის ჩამოსვლისთანავე ლუარსაბმა გამოუცხადა მას ჩვენი განზრახულება, ხოლო ჭავჭავაძემ ლუარსაბის საშუალებით ბრძანა ეთქვათ ჩელოყაევისთვის, რომ მას ამ უკანასკნელთან სურს საუბარი. ლუარსაბ ორბელიანოვი და კაპიტანი ჩელოყაევი 4 დეკემბერს ესაუბრნენ განზრახულების შესახებ ჭავჭავაძეს. ამ საუბრის შემდეგ ლუარსაბ ორბელიანოვმა და კაპიტანმა ჩელოყაევმა მითხ-

რეს, რომ ჭავჭავაძემ გადაათქმევინა (отсоветовал) და თვითონაც ხელს იღებენ. ამათ მე დამავალეს ვუთხრა ყველას, რათა თავი დაანებონ განზრახვაზე ფიქრს, რაც მე შევასრულე.

3. 1830 წ. სადილად ვიყავით მე და გიორგი დავითის ძე ერისთოვი ოქროპირ ბატონიშვილთან, სადილზე მან წაგვიკითხა თავისი თხზულების ლექსები, რომელთა შინაარსიც შემდეგია: ჯერ ივი აღწერდა თავის განცდას როდესაც დაინახა კავკასიის მთები, როგორ ღვრიდა ცრემლს, შეჰყურებდა რა მათ სასოებით; შემდეგ აღწერდა მათს დიდებულ შესახედაობას, გამოსთქვამდა აგრეთვე თავის გრძნობებს თბილისში შემოსვლისას და ამთავრებდა თავის თხზულებას სურვილით, რათა სამუდამოდ ეცხოვრა და მომკვდარიყო თბილისში; წაგვიკითხა აგრეთვე ფრანგულად თავისი თარგმანები. ამ უკანასკნელ ლექსთა შინაარსი რომანტიული, სამიჯნურია.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი
ელიზბარ ერისთავი.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (XII, 2148)

ფარაონზ ბატონიშვილზე არა ვიცი რა, მისი რაისა[1] წავიკითხე აქ ელიზბარ ერისთოვთან, მან მე მომცა იგი წასაკითხად. სხვა ლექსების შესახებ არა ვიცი რა. დიმიტრი ბატონიშვილთან დავდიოდი სტუმრად, სადაც ვხედავდი ხოლმე ბ. ბ. ერისთოვებსა და ალექსანდრე ჩელოყაევს მაგრამ არ მახსოვს რა საუბრები გვქონდა ხოლმე და რას ეხებოდა.

იარალი შანშიევისადმი მიმართვაზე არა ვიცი რა.

რომ ოქროპირ ბატონიშვილი ლექსებსა სწერდა მე ეს ვიცოდი ალექსანდრე ჩელოყაევისგან, მაგრამ მისი ლექსები არა წამიკითხავს რა, გარდა ერთი ფსალმუნისა, ძალიან დიდი ხნის წინათ პეტერბურგში.

მოსკოვზე გამოვლითი ვიყავი ოქროპირ ბატონიშვილთან. მან მითხრა რომ უკვე იცის, რომ თბილისში არსებობს საზოგადოება. მე ვკითხე, რომელი საზოგადოება, არ ვიცი მეთქი. მან მიპასუხა, ნუ ჰმალავთ, დიმიტრი ერისთოვმა მითხრა, რომ თქვენც იცითო. მერე მითხრა, რომ ეს საქმე ადვილი არ არის, რომ მისი აღსრულება ხალხის სულზე (განწყობილებაზეა) დამოკიდებულიო. დარი-

[1] არ ვიცი. რა ნაწარმოებზეა ლაპარაკი.

გება კი ოქროპირ ბატონიშვილს არა მოუცია რა. შევხვდი რა დიმიტრი ერისთოვს როგორც ტულაში, ისე აქ, სამდურავი ვუთხარი, რა გითქვამს ოქროპირ ბატონიშვილისათვის, ვითომც მე თქვენი თანაგანმზრახველი ვიყო მეთქი? მე პეტერბურგიდან იმისთვის წამოვედი, რომ მეშოვნა ჩინი და ლუკმა პური, ასეთი ნალაპარაკევით კი შეიძლება კაცი დაიღუპოს. მან მიპასუხა, არაფერია, ნუ გეშინიან, მე მას ვეხუმრეო. მუხლს ვიდრეკ კეთილმოწყალე კომისიის წინაშე და ცრემლმორეული გევედრებით, მიაქციეთ ყურადღება ჩემს უბედურ მდგომარეობას, ნუ გახდება ჩემი უბედურების საბაბი ჩემი გულმავიწყობა და გამოუცდელობა როგორც ჩვენებებში ისე საუბრებში, თუ მათში აღმოჩნდება რამე წინააღმდეგობა.

აზნაური ს. რაზმაძე.

1833 წ. 19 მარტი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2150)

მომაგონდა, რომ ჩვენს საუბრებს პეტერბურგში ესწრებოდა აგრეთვე თავადი ესტატე ჯავახოვი. არ მახსოვს, რომ მას გავეღიზიანებინეთ, მაგრამ ზოგჯერ ერეოდა საუბარში.

მე არასოდეს არა მითქვამს რა ფარნაოზისთვის იმაზე, თუ ურთიერთ შორის რა საუბრები გვქონია. ზოგჯერ მასთან დიმიტრი ბატონიშვილიც კი მინახავს. მაგრამ ჩემი თანადასწრებით დიმიტრი ბატონიშვილს არასოდეს სრულებით არაფერი უთქვამს ფარნაოზ ბატონიშვილისთვის ჩვენს საუბრებზე. შეიძლება პეტერბურგის საზოგადოებას ამიტომ მივაჩნდი მათი საქმის მცოდნედ, რომ ისინი ზოგჯერ ჩემი თანადასწრებით ლაპარაკობდნენ ხოლმე გულწრფელად. მთვლიდნენ რა ზერელე ახალგაზრდად. მხოლოდ აქ, თბილისში გავიგონე, რომ ელიზბარ ერისთოვსა ჰქონია მიმოწერა ფარნაოზ ბატონიშვილთან. მართალია მე გამიგონია ფარნაოზ ბატონიშვილისაგან რუსთა მიმართ უკმაყოფილება და ამბობდა ხოლმე, რომ მას მუდამ თან სდევს თავის სამშობლოში დაბრუნების სურვილი. მეტი არა მახსოვს რა და ამგვარი რამ საუბარი მასთან სრულებით არა მქონია.

პირობა, რომელიც ჩვენ სამთ შევკარით ურთიერთშორის,[1] სრუ-

---

1 ლაპარაკია ერისთავთა შორის პეტერბურგში დადებულ ხელშეკრულებაზე. იხ. გ. გოზალიშვილი — 1832 წლის შეთქმულება. თბილისი, 1935, გვ. 17.

ლებით არ ეხებოდა ამ საქმეს. არც ის ვიცი სრულებით, იცის ვინმე სხვამ ეს ჩვენი პირობა, თუ არა, რადგან ის ხელწერილი ინახებოდა ერთერთ ძმასთან, ე. ი. ელიზბართან, ან დიმიტრი ერისთოვთან.

როგორც მახსოვს, ერთხელ თამარ ბატონიშვილმა მიგვიწვია სადილად მე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანოვები. მახსოვს აქ საუბარი გვქონდა ჩვენს საქმეზე. მან გვითხრა, ალექსანდრე ორბელიანოვმა სთქვა, რომ, „დავიღუპებით, თუ თავს არ დავანებებთ და ხელს არ ავიღებთ ამ საქმეზეო". იგი იმასაც გვეუბნებოდა, რომ საჭიროა სხვებიც დავარწმუნოთ ამაშიო, რადგან ჩვენს ერში ეს შეუძლებელიაო. მეტი არაფერი მახსოვს.

პორუჩიკი თ. ერისთოვი.

მარტი 18. 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XII, 2152)

ბ. სოლომონ დოდაევს, გიმნაზიის მასწავლებელს

თქვენს ჩვენებებში თქვენ მოიხსენიეთ შეგირდ მაჩაბელოვის (დავითის) თხზულება, რომელიც წაკითხული იყო ანტონ აბხაზის ოჯახში ვახშამზე. განმარტეთ რა თხზულება იყო იგი, რა შინაარსი ჰქონდა და ხომ არ შეიცავდა რამე დაუშვებელს.[1]

თ. ანტონ აფხაზოვის სახლში ვახშამზე წაკითხული შეგირდ დავით მაჩაბელოვის თხზულება შეიცავდა: ძველ დროთა ადათ ზნეჩვეულებების შედარებას, მასში გადმოცემულია ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია; შეიცავდა აგრეთვე ლექსს სახელწოდებით თოვლი, რამე გასაკიცხი ჰე მათში არა შემომჩნეულა რა.

მასწავლებელი

სოლომონ დოდაევი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XII, 2154)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო შემდეგი: ჩემი ძმა სტეფანე 1828 წლის დამლევს გავუგზავნე პეტერბურგში ბაგრატ ბატონიშვილს, რათა მას იგი სამსახურში მოეწ-

[1] მაჩაბლის ეს თხზულება არა ჩანს.

ყო; მე მისთვის არაფერი მიმიწერია ჩვენს განზრახულებაზე და არც იმისგან მიმიღია ამაზე რამე. ხოლო არტილერიის პრაპორჩიკ თ. დიმიტრი ერისთოვისაგან კი გავიგონე, რომ მან (ჩემმა ძმამ) იცის შეთქმულება. ჩემს შეკითხვაზე, საიდან იცის მეთქი, თ. ელიზბარ ერისთოვმა მომიგო, რომ ს.-პეტერბურგში დიდი ხანია ყველამ იცისო; მასზე მეტი აღარა ვიცი რა და იგი აღარც მინახავს.

ჩემთვის არავის უთქვამს, რომ იგავი შეთხზა ოქროპირ ბატონიშვილმა ან რომელიმე სხვა ბატონიშვილმა. სოლომონ რაზმაძემ ერთხელ წამიკითხა იგი და მითხრა, რომ მან თვითონ შეთხზა; მეტი სხვა არა ვიცი რა ამ იგავზე.

ოქროპირ ბატონიშვილთან იყვნენ ხოლმე შემდეგი პირნი: იერომონახი ფილადელფოსი, მღვდლები ეფრემ ალექსიევი და ეგნატე იოსელიანოვი, რომელსაც თან ახლდა ხოლმე თავისი ვაჟი აქაური სემინარიის ყოფილი მასწავლებელი პლატონი, ეხლა პეტერბურგში რომ იმყოფება; გენერალ მაიორი თავადი ბებუთოვი, თავადი ზაქარია გურამოვი, თავადი მოხუცი ციციანოვი და მისი ვაჟი კავალერიის პორუტჩიკი ვახტანგი და მოხუცი ლორის-მელიქოვი. ეუბნებოდა თუ არა აქ საქართველოში ვისმე თავის სურვილს ოქროპირ ბატონიშვილი, — ჩემთვის არ უთქვამს და ვიდრე თავადებმა ელიზბარ ერისთოვმა და ალექსანდრე ორბელიანოვმა შეთქმულება არ გამომიცხადეს, მე არც არავის ვიცნობდი და არცა რა ვიცოდი რა.

1827 წ. ს. პეტერბურგიდან მოსკოვს ჩამოვედი და იქ, ოქროპირ ბატონიშვილის სახლში დამხვდა თავადი ალექსანდრე ჩელოყაევი, რომელიც საქართველოში წამოსასვლელად ემზადებოდა. იგი ჩემთან ერთად გამოემგზავრა კავკასიის ხაზამდე და დარჩა გორიაჩევოდსკში, დაავადების სამკურნალოდ. იქიდან თბილისში ჩამოვიდა და ჩემთან გაჩერდა. მისგან გავიგონე, რომ დიმიტრი ბატონიშვილთან და სოლომონ რაზმაძესთან აქვს მეგობრობა, ხშირად არიან ერთად ოცნებობენ თავისუფლებაზე, ხოლო მე კი ზოგჯერ სახელმწიფო კაცს მიწოდებდა (меня называл казенным). მისგან მეტი სხვა არა ვიცი რა, აქედან იგი კახეთს წავიდა თავის ნათესავებთან. იქიდან რომ დაბრუნდა 1828 წლის მაისში კვლავ გორიაჩევოდსკში წავიდა, იქიდან კი ს-პეტერბურგში. მასზე მეტი არა ვიცი რა და არც არავითარი საქმე მქონია მასთან.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

მარტის 18,1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2155)
მარტის 18, 1833 წ.

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

1. როდესაც მე სოლომონ რაზმაძეს სადილი გავუმართე, მაშინ მელნიკოვი თავის სოფელ კალაგირში იმყოფებოდა. სადილის შესახებ უკვე მქონდა პატივი დაწვრილებით მომებსენებინა.

2. პოლონელი ჯარისკაცები 1832 წ. დადიოდნენ ქ. თბილისში და მოწყალებაა თხოულობდნენ, მე მომიხდა, ერთხელ ორ სალდათს თითო აბაზი მივეცი. მე ვკითხე რომელი პოლკიდან, ან აქ რათ არიან? მათ დამისახელეს პოლკი, რომელშიაც მსახურობდნენ. მაგრამ ალარ მახსოვს და მითხრეს: „სამშობლოსათვის ბატონო" (за отчизну, пане) ხოლო კითხვაზე, თუ რა წოდებისა არიან, მიპასუხეს გლეხთაგანი ვართო.

3. სოლომონ დოდაშვილის სახლში ერთხელ თვითონ დოდაევმა წაგვიკითხა მოსწავლე მაჩაბელოვის ლექსები და იკვეხოდა, რომ მას მეცადინე მოსწავლეები ჰყავს. ეს ლექსი წარმოადგენდა თოვლის უბრალო აღწერას და საკმაოდ უხეიროდ იყო დაწერილი.

4. ფილადელფოს ბერის აქტი არ წამიკითხავს თამარ ბატონიშვილისათვის და ამაზე არც არა მითქვამს მისთვის, ამიტომ რომ ეს თხზულება არ იმსახურებდა ყურადღებას და არ ღირდა მისთვის ჩვენება.

5. თუმცა ვიცნობ ექიმ პოპეიკას, მაგრამ მისთვის არ მითქვამს ჩვენი განზრახულება და არც ვისგანმე გამიგონია, რომ მან იცოდა ეს განზრახულება.

6. 1830 წ. გავიცანი ოქროპირ ბატონიშვილი თბილისში. ერთხელ საღამოხანზე მივედი მასთან, ჩვეულებრივი საუბრის შემდეგ, მითხრა, „დიმიტრი ბატონიშვილი მელაპარაკა შენზე", და დამიწყო ოქროპირმა რჩევა-დარიგება როგორ უნდა გვემოქმედნა. შემდეგი დარიგება მომცა: რაც შეიძლება უნდა ფრთხილად ელაპარაკო და გამოუცხადო ვისმე განზრახულობაზე. განზრახვაზე უნდა ელაპარაკო მხოლოდ ახალგაზრდებს, ვინც სანდო არიან. თუმცა თბილისში დიდხანს არ დავრჩები, მაგრამ ვეცდები მალე კვლავ ჩამოვიდე და მაშინ მე ვიმოქმედებ როგორც საჭიროაო". აი, ყველაფერი, რაც ოქროპირ ბატონიშვილმა მითხრა.

7. პირობა დავწერეთ სამთ: მე, გიორგიმა და დიმიტრიმ 1828 წელს, ამ პირობის აზრი მე წინათ განვმარტე, ხოლო ამ პირობის შესახებ, ჩვენ სამის მეტმა არავინ იცოდა, და არ გვიჩვენებია ფარნაოზ

ბატონიშვილისათვის და არ გვითქვამს ფარნაოზისათვის ამ პირობის შესახებ.

8. გრიგოლ ორბელიანოვის ლექსი წაგვიკითხა ვახტანგ ორბელიანოვმა იასე ფალავანდოვის სახლში და ჩვენ ყველა ვაქებდით ამ ლექსს. ამ ლექსის შინაარსი ასეთია: ჯერ აქებს ქართულ ლხინს, მერე აღწერს აქაურ ჰაერს, მერე აღწერს დოღს ანუ ჯირითს. და ამ ლექსში არაფერია თავისუფლების შესახებ, უბრალო თხრობაა [1].

9. 1832 წლის ნოემბერში, რიცხვი არ მახსოვს, ღამით გვიან გამომაღვიძეს იასე ფალავანდოვმა და ვახტანგ ორბელიანოვმა; მითხრეს, რომ დასწერე განკარგულება პირველი ღამისთვის და უნდა ვაჩვენოთ კაპიტან ჩელოყაევსო. მე ვუთხარი გვიან არის, ეხლა დრო არ არის მეთქი. მაგრამ მათ დაჟინებით მოითხოვეს ნუ გადავდებთო. და ჩვენ სამნი წავედით ჩელოყაევთან, ის მაშინ მარტო დავვხვდა. ფალავანდოვმა წაუკითხა მას თავიდან ბოლომდე. კაპიტანმა ჩელოყაევმა თქვა, რომ: „თუ ჭავჭავაძე მიიღებს მონაწილეობას და თანახმა იქნება, მაშინ ჭავჭავაძემ თვითონ იცის როგორ უნდა იმოქმედოსო, ამას კი ჯერ ნურავის აჩვენებთო". ამის გამგონე იასე ფალავანდოვმა აიღო მაგიდიდან მაკრატელი და ორად გასჭრა დაწერილი; ამის შემდეგ სამივენი წამოვედით და ფალავანდოვი უკმაყოფილო იყო ჩელოყაევით.

10. 1832 წელს ნოემბერში თამარ ბატონიშვილმა მიმიწვია სადილად ვახტანგ ორბელიანოვის პირით; მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგან მაშინ ჩემი დისწული გოგონა ავად იყო. სახელდობრ. რა საუბარი იყო თამარ ბატონიშვილთან, ჩემთვის არავის რა უთქვამს.

გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (2158)

კომისიას!

მე ვიცნობდი ოქროპირ ბატონიშვილს მისი თბილისში ყოფნის დროს; ერთხელ მიგვიწვია სადილად მე და ელიზბარ ერისთოვი, სადილის შემდეგ წაგვიკითხა თავისი ლექსები, რუსულად დაწერილი, იგი ეხებოდა მის დაბრუნებას სამშობლოში, არ მახსოვს, რომ მასში

1 ლაპარაკია გრ. ორბელიანის ლექსზე „იარალის"

რამე ნიშანი ყოფილიყო ჩვენს განზრახულებაზე. მის ქართულ ენაზე, დაწერილ თხზულებებზე არა ვიცი რა და არც მინახავს, არც წამიკითხავს და არც არავის უთქვამს ჩემთვის, რომ მას ჰქონდა თხზულებები ქართულ ენაზე. ამას გარდა ხშირად ვხედავდი მას სხვათა ოჯახში. მაგრამ მას ჩემთვის ასეთი არა უთქვამს რა და არცა რა მე შეგინიშნავს და მე არც ის ვიცი, ჰქონდა თუ არა მას რამე ურთიერთობა ჩვენი განზრახულების ირგვლივ.

პრაპორჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი.

მარტი 17.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XII.2160)

ბ. სოლომონ დოდაევს.

განმარტეთ ოქროპირ ბატონიშვილის რა ლექსებია თქვენთვის ცნობილი. სად და ვისგან მიიღეთ ისინი? როგორია მათი შინაარსი, ვის შეიძლება ჰქონდეს და შეიძლება თუ არა მასში იყოს რამე თქვენს შეთქმულებასთან დაკავშირებით?

ოქროპირ ბატონიშვილის ლექსები ჩემთვის ცნობილი არ არის და აქვს თუ არა ვისმე, არ ვიცი, არც არავისგან მიმიღია ისინი და არც არავისთან მინახავს აქ.

მასწავლებელი სოლომონ

დ ო დ ა ე ვ ი.

17 მარტი, 1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XII. 2162)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე პატივი მაქვს ვუპასუხო:

1. თავად ესტატე ჯავახოვს ს. პეტერბურგში ძალიან იშვიათად ვხედავდი და მის შესახებ არცა რა ვიცი რა და არცა რა გამიგონია.

2. ფარნაოზ ბატონიშვილზე არც ვიცი და არც გამიგონია რამე, იგავი დათვი და ცხვარი გავიგონე სოლომონ რაზმაძისაგან; შეკითხვაზე მიპასუხა, რომ მისი დაწერილია; ამ იგავზე მეტი არა ვიცი რა და არც რა ვამიგონია.

3. პირობები, რომელიც ჩემს ქაღალდებში აღმოჩნდა, არც ბატონიშვილთაგან და არც სხვათაგან არავისთვის ცნობილი არ არის პეტერბურგში მყოფთაგან.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი.

1833 წლის 17 მარტი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XII, 2164)

კითხვითი პუნქტი მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს
მარტის „ “ [1], 1833 წ.

ჩელოყაევთანა და ჭავჭავაძესთან თქვენი საუბრის დროს ხომ არ გიმსჯელიათ იმ საშიშროებაზე, რომ რუსეთმა საქართველო არ მიატოვოსო? განმარტეთ ყველაფერი დაწვრილებით.

ჩელოყაევთანა და ჭავჭავაძესთან ჩემი საუბრის დროს, არ მახსოვს რომ ყოფილიყოს მსჯელობა რუსების მიერ საქართველოს დატოვებაზე. ხოლო, თუ ჩელოყაევი და ჭავჭავაძე ამაზე საუბრობდნენ, მე ეს არ გამიგონია.

კავალერიის მაიორი თავადი
ლუარსაბ ორბელიანოვი.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (XII, 2168)

დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად გვიამბობდა თავისუფლებაზე; გვიხსნიდა რა საფრანგეთის უფლებებს; მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებაზე, მეფის შეზღუდულ უფლებაზე და თუ რა მონაწილეობა აქვს საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს მეფეთა არჩევის დროს და ბოლოს გვიამბო იქ მომხდარ არეულობებზე.

ზოგჯერ მსჯელობდა თავისუფალი ქალაქების: მაინის ფრანკფურტის, კრაკოვის მმართველობაზე, ამკობდა მოთხრობებით ამ ქალაქთა მოსახლეობის ბედნიერ ცხოვრებას. ამგვარი საუბრების დროს ზოგჯერ იყო ხოლმე აგრეთვე თავადი ესტატე ჯავახოვი, რომელიც თავის მხრივ ამბობდა, რომ ასეთი თავისუფლება დამღუპველი უფრო არის, ვიდრე სასარგებლო; მაგრამ ეხედავდა რა სიჯიუტეს ახალი დამამტკიცებელი საბუთებით, — უთმობდა დიმიტრი ბატონიშვილს, და მაშინვე პირს იბრუნებდა მისგან ანდა აღარ უსმენდა, კიდეც დასცინოდა მას.

ფარნაოზ ბატონიშვილს ჩემს ცხოვრებაში არავითარი მონაწილეობა არა აქვს მიღებული, არც ერთხელ არ წაუყვანივარ კორპუსიდან და აქ ძალიან იშვიათადაც მოდიოდა. როცა კი მასთან მივიდოდი, ჯერ სამდურავს მეტყოდა, რომ იშვიათად დავდივარ მასთან,

[1] რიცხვი არა სწერია.

მერე დამიწყებდა დარიგებას. რომ კარგად მოვქცეულიყავი და კარგად მესწავლა, რათა გამეხარებინა მამა ჩემი. თარგმანებზე არა გამიგონია რა და დღემდე არ ვიცოდი, რომ მას ამდენი ცოდნა აქვს რუსულისა, რომ თარგმნა შეუძლიან, მით უმეტეს ლექსებისა.

ასევე არა გამიგონია რა ოქროპირ ბატონიშვილის ლექსებზე. როდესაც სადილად ვიყავი ელიზბარ ერისთოვთან. იქ წაკითხულ იქნა იგავი დათვი და ცხვარი და ვთხოვე ეთხოვებინა ჩემთვის, რომ გადმომეწერა. ალექსანდრე ორბელიანოვმა მაშინვე მომცა ქაღალდის რაღაც ფურცლები, რომლებიც მე თან წამოვიღე და ჩემთან დარჩა, რადგანაც ამის შემდეგ მალე ავად გავხდი და ალექსანდრე ორბელიანოვი აღარ მინახავს, რომ ფურცლები გადამეცა მისთვის, მერე აღარ შევხვედრივარ არც ელიზბარ ერისთოვსა, არც დიმიტრი ერისთოვს და არც ალექსანდრესა და ვახტანგ ორბელიანოვებს, არ გამიგონია სახელდობრ ვინ შეთხზა იგავი, ხოლო სადილის დროს სოლომონ რაზმაძე მას თავის თხზულებად ასაღებდა, და ამაში არც არავინ დაეჭვებულა.

ამა წლის იანვარში წავედი მარიამ ორბელიანოვის სანახავად, არსენალი რომ გავიარე, შემომეყარნენ ახლად დაქორწინებულნი, რომელნიც თავიანთი სახლიდან გორაკზე ჩამოდიოდნენ, მათთან იყო ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი. მე შეუერთდი მათ და ერთად ვისეირნეთ. მერე პირდაპირ შინ წავედით. სანთლები რომ აანთეს, თავადის მეუღლე თინამ უთხრა ივანე ბაგრატიონს, „აი მშვენიერი ლექსები, ორბელიანოვის მიერ ნოვგოროდში შეთხზული.“ და მაშინვე დაიწყო კითხვა თვითონვე. სათაურიდან გავიგე ერალი შანშიევისადმი მიმართვა, რომელსაც მოაგონებდა ავტორი საქართველოს ძველ ჩვეულებებს, გაახსენებდა ღრეობასა და გართობას ბაღებში ზაფხულობით. მერე, მგონია ივანე ბაგრატიონმაც წაიკითხა ის ლექსები, მაგრამ მეტი არა მახსოვს რა, თუ რა იყო აღწერილი იმ მიმართვაში.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

17 მარტი, 1833 წ. ქ. თბილისი.

გენერალ-მაიორ ჩევკინის ნარკვევი (XII, 2178)

იერემონახ ფილადელფოსის ჩვენების შემდეგ: ვითომც მის მიერ შედგენილი აქტი [1] გადმოღებულია ორი სხვა აქტიდან რომლებიც მას

[1] დედანში ხაზგასმულია.

მიუღია განსვენებულ ბერ პორფირისაგან, ამ უკანასკნელს კი, შეიძლება, ისინი მიღებული ჰქონდა დავით ან ოქროპირ ბატონიშვილთაგან, — გადაწყდა მოგვეხდინა სათანადო ძიება ამ დაუჯერებელი ცნობის გამოსარკვევად. ამიტომ, პირველ ყოვლისა, მივმართე საქართველოს ყოვლად სამღვდელო ექსანროსს, რომელმაც ნება დამრთო გამომეწვია კერძო დაკითხვაზე ორი სამღვდელო პირი: იგუმენი იონა, განსვენებული პორფირის სულიერი მოძღვარი და პროტოიერეი დიმიტრი ალექსეევი, რომელმაც დაიმკვიდრა ყველა წიგნი და ქაღალდები თავისი ბიძის, განსვენებული რექტორის ალექსეევისა; ეს უკანასკნელი იყო მოძღვარი და ნდობით აღჭურვილი პირი დავით ბატონიშვილისა. ამასთანავე მისმა უწმინდესობამ ინება ეცნობებინა, რომ განსვენებულ პორფირის შესახებ ცუდი უფრო მეტი ისმოდა, ვიდრე კარგი, რომ იგუმენი იონა კარგი კაცია და სანდო, ხოლო პროტოიერეი დიმიტრი ალექსეევი ყველასგან პატივცემულია და ნდობას იმსახურებს.

ამ პირთაგან, უკანასკნელმა, დაკითხვის დროს, განსვენებული რექტორის ქაღალდებზე განაცხადა, რომ რამე მნიშვნელობის მქონე წიგნები და ქაღალდები მას არ დარჩენია, გარდა ერთი ისტორიული წიგნისა საქართველოს შესახებ. რომელიც ეხლა მასთან ინახება და რომელიც საეკვოს არაფერს შეიცავს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენად მართალია დავით ბატონიშვილის ურთიერთობა კათოლიკურ სამღვდელოებასთან, მან მომიგო, რომ არ უნდა იყოს ეს დასაჯერებელი, სახელდობრ იმიტომ, რომ თავდაპირველად, დავით ბატონიშვილი არ იჩენდა ეკლესიისადმი მიდრეკილებას საერთოდ, მერე კი, სიკვდილის წინ, უფრო მორწმუნე გახდა და ერთგული იყო ბერძნულ რუსული წესისა. ეს დასტურდება სხვა ცნობებითაც, საიდანაც ირკვევა, რომ ს. პეტერბურგში ყოფნის დროს დავით ბატონიშვილს ჰყავდა სულიერი მოძღვარი, ჰყავდა არა ქართველ მღვდელმთავარი, არამედ ასეთი იყო რუსი ბლაგოვეშჩენსკის ეკლესიის ვასილიევსკის კუნძულზე პროტოიერეი. აგრეთვე არა მტკიცდება ფილადელფოსის ნათქვამი, რომ პორფირი ყოფილიყოს დავით ბატონიშვილის სულიერ მოძღვრად.

იგუმენმა იოანემ ჩემს შეკითხვაზე პორფირის წიგნებსა და ქაღალდების შესახებ აჩვენა, რომ: პორფირი მცირე მცოდნე და წერაკითხვის ნახევრად მცოდნეც კი იყო, ისე რომ წერაში ხშირად სხვას იხმარიებდა, რუსეთში მის საქმიანობაზე და იმაზე, რომ იგი იყო დავით ბატონიშვილის სულიერი მოძღვარი, მას არ გაუგონია, იცის მხოლოდ, რომ პორფირი რამდენადმე იცნობდა ფილადელფოსს და დაახლოებულიც კი იყო მასთან და რომ ხშირად ხვდე-

ბოდა ოქროპირ ბატონიშვილს და მისი სულიერი მოძღვარიც იყო აქ.[1] შემდეგ, რომ დიდი ხანია პორფირი აღარ იყო იოანეს სულიერი შვილი, არამედ მხოლოდ ერთხელ უთხრა მას აღსარება. გარდაცვალების წინ, უკვე სულიერად გატანჯულმა, და ბოლოს, რომ მისი ქალალდები გადასინჯული იქნა, მისი გარდაცვალების შემდეგ, თვით მონასტრის არქიმანდრიტის ევგენის (რუსი) მიერ, ისევე წიგნებიც და რადგან მათში საყურადღებო სრულებით არა იყო რა, — ნაწილი დაწვეს (როგორც სენის შესაძლო გამავრცელებელი) დანარჩენი გადასცეს პროფირის ძმას ხელოსან სულხანს, ზოგი წიგნები კი დატოვებული იქნა მონასტერში. ამასთანავე, დასძინა იგუმენმა იოანემ, წიგნების ნაწილი, ე. ი. ოთხი თუ ხუთი თვით ადრე პორფირისვე გადაუცია ვინმე გრიგოლ თაწმინდოვისთვის[2] იგუმენ იოანეს გონიერი ჩვენების შესაბამისად, სასარგებლოდ იქნა მიჩნეული, პორფირის ქალალდების საბოლოოდ გამოსარკვევად, ჩამოგვერთმია ცნობები მისი ნათესავების სულხანოვებისთვის და ზემოხსენებულ გრიგოლ თაწმინდოვისთვის.

ეს დაევალა ბატონ თბილისის პოლიცმეისტერს და მისი ძიების შედეგები აღნიშნულია აქვე დართული ჩანაწერში, ამით არაფერი არ გამოირკვა. ამგვარად, ფილადელფოსის ჩვენების სინამდვილე განსვენებული პორფირისა და გარდაცვლილი დავით ბატონიშვილის შესახებ, უაღრესად ირყევა და უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ფილადელფოსს თვითონ ჰქონდა ურთიერთობა ოქროპირ ბატონიშვილთან და მისგან აქვს მიღებული აქტში გამოთქმული აზრები.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ ე კ ი ნ ი.

თბილისი 11 მარტი, 1833 წ.

ქ. თბილისის პოლიცმეისტერის ცნობა (XII, 2180)

სემინარიის ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად სასამართლოსთან არსებულ თავად-აზნაურთა სამეურვეოს კონცელიარისტი საქმის მწარმოებელი გრიგოლი, ცხოვრობს მთაწმინდის ძირში; კარგი ყოფა-ქცევისაა და ცუდ მოქმედებაში შემჩნეული არა ყოფილა. გარ-

---

[1] ეს სიტყვა დედანში ხაზგასმულია.

[2] ალბათ, მთაწმინდელი უნდა იყოს.

დაცვლილ იერომანახის პორფირის უფროსი ძმა სულხანი სამი თვის წინათ გარდაიცვალა, ნამდვილად იყო მექუდე; მას დარჩა ექვსი ეაჟი, უფროსი კახეთშია, მეორე ქართლში, სხვები აქ არიან.

პორფირის მეორე ძმა მეთოფე (ружейный мастер) ცხოვრობს კახეთში სოფელ საგარეჯოში, ჰყავს ოთხი ვაჟი, ჰქვიან ისაია

პოლიცმეისტერის (ხელმოწერა).

გენერალ-მაიორ ჩევკინის ჩანაწერი (XII, 2181)

20 მარტს, ჩემი დავალებით, ბ. პოლიცმეისტერმა დაათვალიერა ის ქაღალდები, რომლებიც გადაეცა მექუდე სულხანს გარდაცვლილი ბერის პორფირის შემდეგ, მაგრამ მათში საეჭვო არა აღმოჩნდა რა.

ასევე, ამავე, პოლიცმეისტერმა გამოიწვია დასაკითხად კანცელიარისტი, გრიგოლ თაწმინდოვი და გამოჰკითხა ბერ პორფირის შემდეგ მიღებულ წიგნებსა და ქაღალდებზე და მან განმარტა რომ: ოთხი ნაბეჭდი საეკლესიო წიგნი, რომლებიც მან პორფირის შემდეგ მართლაც მიიღო, მაშინვე უკან დაუბრუნა არქიმანდრიტს.

ყველა ზემოხსენებული სიტყვიერად მომახსენა ბ. პოლიცმეისტერმა.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2182)

კითხვითი პუნქტები კავალერიის პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე ერისთოვს.

რაკი 1832 წელს აჯანყების მოსახდენად დანიშნული იყო თარიღი 20 ნოემბერი, ამიტომ უნდა განმარტოთ: ხომ არავის აცნობეთ რუსეთში ეს თარიღი და თუ აცნობეთ ვისი საშუალებით გაუგზავნეთ ეს ცნობა?

არც ვადის და არც შეთქმულების შესახებ მე არავისთვის მიცნობებია. ხოლო, თუ აღმოჩნდება, რომ მე ვისთვისმე მიცნობებია ან ვისიმე საშუალებით, ან წერილით, ან სხვა რითიმე, მაშინ კომისიას როგორც სურს, ისე მომეპყროს. მართალია ის, რომ, როგორც წინათაც ვაჩვენე, მე გავგზავ-

ნე კაცი დედა ჩემთან და გავატანე ამანათები.

პორუჩიკი თ. ერისთოვი.

28 მარტი, 1833 წ.

გენერალ ვაკულსკის რაპორტი როზენისადმი (XII, 2188)

საქართველოს მთავარმართებელს ბატონ ინფარტერიის გენერალს
გენერალ-ადიუტანტსა და კავალერს ბარონ როზენს

იმერეთის გამგებელ გენერალ-მაიორ ვაკულსკის რაპორტი!

მივიღე რა თქვენი მაღალღმატებულების მიმდინარე მარტის 6-ით დათარიღებული № 58 საიდუმლო მოწერილობა საგამომძიებლო კომისიის მიერ იმერელ ლორთქიფანიძისათვის ჩამორთმეული ჩვენებითურთ, ქუთაისში მოვიწვიე თავადები: ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეები, ბესო ლორთქიფანიძე და თავადი აზნაური ზალიკო ჩახუნაშვილი და პირადად დაწვრილებით დავკითხე მათთვის წაყენებული ბრალდების გამო და მთავარ პუნქტებზე ჩამოვართვი წერილობითი ჩვენებანი.

წარმოგიდგენთ რა ამასთანავე მათ ჩვენებათა ორიგინალებს, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მათ მიმართ რამე უკვე საქართველოში არსებული შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ არ გამართლდა, რის გამოც, თანახმად თქვენი მაღალკეთილშობილების სურვილისა, დავუწესე მათ პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობა ქუთაისში, და მაქვს პატივი ველოდო თქვენს შემდგომ განკარგულებას.

გენერალ-მაიორი: ვ ა კ უ ლ ს კ ი.

№ 21, მარტი (1883)
ქ. ქუთაისი.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (XII, 2198)

ბატონ გვარდიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ორბელიანოვს

განმარტეთ დაწვრილებით: ყველაფერი, რაც კი იცით პოლონელზე, რომელიც თქვენ ნახეთ ს. პეტერბურგში ფრანგ

პოლონელი, რომელიც ფრანგ ლეტელიესთანა ვნახე, მგონია, ვილნოს გუბერნიიდან არის, სახელი არ მახსოვს, სიმაღლით

ლეტელიესთან; თუ სახელი არ გაგახსენდებათ, აღწერეთ მისი სიმაღლე, გარეგნობა და სხვა ნიშნები, აგრეთვე რა ენაზე ლაპარაკობდა თქვენი თანდასწრებით, და რა სთქვა სახელდობრ; რომელი გუბერნიიდან არის, დიდი ხანია, რაც პეტერბურგშია და სად მსახურობს?

7 ვერშოკი,[1] ქერა პატარა ბაკენბარდებით; არ ვიცი სადა მსახურობს, ან რამდენი ხანია პეტერბურგშია, ეს პოლონელი ელაპარაკებოდა პორუჩიკ თავად ერისთოვს[2] ფრანგულ ენაზე, ლეტელიე კი მე ქართულად მელაპარაკებოდა იმ წიგნზე, რომელიც მას შეუთხზავს და ქართველებზე — რომ ეს ხალხი ძალიან კარგი ხალხია და ყურადღების ღირსიაო, მაგრამ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს და მემამულეებს ყველაფერს ართმევსო. ლეტელიესთან საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს. ამის შემდეგ ჩვენ შინ წავედით და გზაზე ვეუბნებოდი თავად ერისთოვს, რომ უნდა ვეცადოთ საქართველოს აღდგენას მეთქი. მაგრამ აქვე დავასკვენით რომ ქართველები ამას ვერ შევძლებთო და გავშორდით. პოლონელთან საუბარი კი მე სრულიად არ მახსოვს და არც რამე ყურადღება მიმიქცევნია, რადგანაც ლეტელიეს ვესაუბრებოდი, თავად ორბელიანს კი ალბათ ახსოვს და არც დაჰმალავს.

ლეიბ გვარდიის გრენადერთა
პოლკის პრაპორშჩიკი თავადი
ორბელიანოვი.

29 მარტი, 1833.

---

1 ასე სწერია.

2 გიორგი რეკაზის ძე ერისთოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2200)

დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ როგორც მახსოვს, თავად ელიზბარ ერისთოვს ჰქონდა საუბარი მაიორ ყორღანოვთან, იმგვარი როგორც ეს მე წინად განვმარტე; თუმცა მუდამ ეშინოდათ გამოეცხადებინა მისთვის ეს შეთქმულება.

პორუჩიკი თავადი ერისთოვი

28 მარტი 1933 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2202)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

1. თუმცა მქონდა მიმოწერა ფარნაოზ ბატონიშვილთან, მაგრამ მისთვის არაფერი მიმიწერია ჩვენს განზრახულებაზე და საერთოდ მიმოწერაში არაფერი იყო დანაშაულებრივი.

2. რუსეთში არავისთვის მიცნობებია დანიშნული დრო 20 ნოემბერი, რადგანაც ამოჭრილი ქაღალდი, რომელიც დიმიტრი ბატონიშვილმა გადმომცა, უკვე 1831 წელს დავხიე და ამას გარდა სხვა საშუალება არა მქონდა რუსეთში მისაწერად.

3. 1832 წელს ერთხელ საუბარი მქონდა ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში ქართული გრენადერთა პოლკის მაიორ კურგანოვთან, რომელთანაც იყო აგრეთვე კორნეტი გიორგი ერისთავი; კურგანოვი მეკითხებოდა, თუ რას ვაკეთებ სოფელში, შემდეგ ვილაპარაკეთ საქართველოზე, მემამულეებზე, მათს გაუთავებელ ურთიერთ დავაზე, მაგრამ ყველაფერი ეს იმიტომ არ იყო ნალაპარაკები, რომ კურგანოვისთვის ჩვენი განზრახულება გამოგვეცხადებინა, ჩვენ კიდეც გვეშინოდა ეჭვი არ აიღოსო. თუმცა არჩევს გიორგი ერისთავი საუბარს დაწვრილებით და სხვათა შორის ამბობს, რომ, ვითომც მე მეთქვას ჩვენს საშუალებებზე, რომლებიც უნდა მოგვეხმარებინა, მაგრამ ეს ჩვენება სწორი არ არის და გიორგი ერისთოვს ცუდად დაუმახსოვრებია; თუმცა თვითონვე აღიარა თავისი ჩვენების მცდარობა.

4. 1831 წელს მისწერა წერილი სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა ალექსანდრე ბატონიშვილს, რადგანაც გენერალ მაიორმ: თავადმა ჭავჭავაძემ მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვის პირით შემოთვალა: მისწერეთ ალექსანდრე ბატონიშვილს, რათა იგი კახეთში გამოვიდეს, დანარჩენი მე ვიცი. და ჭავჭავაძის ეს პასუხი იყო მიზეზი, რომ ალექსანდრე ორბელიანოვმა მისწერა ბატონიშვილს.

5. საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორ ზავილეისკისთვის არამცთუ არაფერი არ მითქვამს ჩვენს განზრახულობაზე, არამედ მე მას არც ვიცნობდი და არასოდეს მის სახლში არა ვყოფილვარ. მე ცოტა უკმაყოფილო ვიყავი მასზე, იმით, რომ იმასაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ჩვენთვის ოსეთის ჩამორთმევის საქმეში.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი
ელიზბარ ერისთოვი.

29 მარტი, 1833 წ.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XII, 2204)

13[1]. თქვენ არა ერთხელ უსაყვედურეთ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომ იგი უმოქმედობას იჩენდა თქვენს შეთქმულებაში და არწმუნებდით, რომ ამის განხორციელება ადვილიაო, ხოლო, როდესაც ვარშავა აიღეს და ამ გამარჯვების გამო, ზარბაზნები გაისროლეს, თქვენთან სადილად მყოფი ოთხი თავადიშვილი სტიროდა; განმარტეთ თქვენი მიზანი, რისთვისაც აქეზებდით ორბელიანოვს, აგრეთვე დაასახელეთ ის ოთხი თავადიშვილი, რომლებიც მტრების დამარცხების გამო სტიროდნენ.

13. მე არასოდეს მითქვამს სამდურავი სოვეტნიკ ორბელიანოვისთვის, რომ ის უმოქმედობას იჩენს შეთქმულებაში და არც არასოდეს ვარწმუნებდი ეს ადვილი საქმეა შეთქი. როდესაც აიღეს ვარშავა, ჩემთან სადილად არავინა ყოფილა და არც ვისმე თავადებს უტირნიათ.

14. იცოდით თუ არა თქვენ 1831 წელს, რომ წერილი გაეგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილს, როდის და ვინ რა გითხრათ ამაზე, — განმარტეთ.

14. 1831 წ. ჩემთვის სრულებით არავის რა უთქვამს ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის გაგზავნაზე და მე ამაზე სრულებით არა ვიცოდი რა.

15. ერთხელ თქვენ უსაყვედურებდით თქვენს თანაგანმზრახველთ, რომ ისინი სუსტად მოქმედებენ და განრისხებულმა სთქვით: „როგორ არა გრცხვენიათ, მე მყავს გამზადებული 200 კაცი და თქვენ კი არაფერი!" განმარტეთ, სად და ვინ მოამზადა თქვენთვის ეს 200 კაცი და რა ხალხი იყო.?

---

[1] 1—12 კითხვები და პასუხები, იხ. XII, 2132.

15. ჩემს თანაგანმზრახველთაგან მე საყვედურს ვერავის შევბედავდი და 200 კაცი არასოდეს მყოლია მომზადებული.

16. თქვენ პირველმა გამოუცხადეთ პორუჩიკს (ყოფილ კორნეტს) გიორგი ერისთოვის, რომ აჯანყება დაიწყება 15-ს და 20-ს ნოემბერს შორის, შემდეგ კი ელიზბარ ერისთოვს, რომ 20 ნოემბერს აუცილებლად, ხოლო როდესაც ის შეგეკითხათ: ვინ დანიშნაო, თქვენ მიუგეთ, რომ უკვე დანიშნულიაო. განმარტეთ, ვინ დანიშნა ჯანყის თარიღი, ვინ გადასდო იგი და რა დროისთვის.

16. გიორგი ერისთოვისთვის არასოდეს არ გამომიცხადებია აჯანყება ნოემბრის 15 და 20 შორის დაიწყება მეთქი. აგრეთვე ელიზბარ ერისთოვისათვის არ მითქვამს, რომ 20 ნოემბერი აუცილებელია და არც ეს სიტყვა მითქვამს მისთვის „უკვე დანიშნულია". მე უკვე ვაჩვენე, რომ მაიორმა ლუარსაბ ორბელიანოვმა სთქვა, „კენჭისყრამდეო".

17. მას შემდეგ, რაც ჭავჭავაძემ უარი განაცხადა, თქვენ ზოგიერთის თანადასწრებით განაცხადეთ, რომ თქვენს ძმას მოუვიდა რაპორტი, რომ ეგვიპტის ფაშას შვილი ყარსში შევიდაო და რომ „ამაზე უკეთესი დრო აღარ გვექნებაო", თანაც დასძინეთ, ნუთუ უჭავჭავაძეოდ არ შეგვიძლიანო. განმარტეთ როგორც ფაშის შვილის ყარსში მოსვლა, — თუ ვისგან გაიგეთ იგი, აგრეთვე ის, რომ გსურდათ გემოქმედნათ ჭავჭავაძის მონაწილეობის გარეშე.

17. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დღეობის შემდეგ მოვიდნენ ჩვენთან, როგორც ეს მოვახსენე კომისიას, ჩელოყაევი, ბიძინა და გიორგი ერისთოვები და ალექსანდრე ორბელიანოვი. საუბარში ჩელოყაევმა სთქვა, რომ გენერალმა ჭავჭავაძემ უარი განაცხადაო, მაშინ ალექსანდრე ორბელიანოვმა წარმოსთქვა, ნუთუ უჭავჭავაძეოდ არ შეგვიძლიანო, აი, ჩემთან ჩამოვიდნენ თათართა ცხენოსანის ოთხი მამასახლისი (старшины из татарской конницы) რომელთაც მივეცი ორ-ორი ჩერვონეცი, მათ მითხრეს, რომ ეგვიპტის ფაშის შვილს ყარსში მოელიან. მე ვთქვი, მეც გავიგონე მეთქი. მაგრამ არასოდეს არ მითქვამს, რომ ჩემმა ძმამ რაპორტი მიიღო ფაშის შვილის ყარსში შესვლის შესახებ. მე არასოდეს მიმოქმედნია მთავრობის წინააღმდეგ, არამედ მსურდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო და მთავრობისათვის გამომეცხადებინა, რაც შევასრულე.

18. თქვენ სთხოვეთ მასწავლებელ დოდაევს დაწეროს რამე რუსების წინააღმდეგ და აგრეთვე, რომ გამოუცხადოს დიმიტრი ორბელიანოვს, რომ მას ძალიან მალე საქართველოდან გადაასახლებენ; ამასთანავე, გაეგო ორბელიანოვის „აზრი რუსებზე". შემდეგ თქვენ

ეკითხებოდით დოდაევს, რატომ არ მიდის იგი კახეთში და როდესაც მან სიცილით გიპასუხათ, თქვენ გაბრაზებულმა შეუტიეთ: „თუ შენ ასე იცინებ, ხვალ მთავრობა შეიტყობს და ჩვენ შენზე ვიტყვით, რომ შენ პირველმა წამოიწყე ეს საქმე, ოქროპირ ბატონიშვილთან ნაცნობობის წყალობით". ამის გამო, თქვენ კიდეც დაემუქრეთ დოდაევს და ამბობდით, რომ მას მოჰკლავთ.

განმარტეთ ყველაფერი, რისთვის გინდოდათ: 1. რომ რუსების წინააღმდეგ რამე დაწერილიყო; 2. ჩაგეგონებინათ ორბელიანოვისათვის შიში საქართველოდან გადასახლების შესახებ და ბოლოს, 3. თქვენს მიერ დოდაშვილისათვის ნათქვამი სიტყვები, როდესაც მას არ სურდა კახეთში წასვლა ხალხის ასაჯანყებლად, და მუქარა, რომელიც მის მიმართ წარმოსთქვით.

18. დოდაევისთვის არასოდეს მითხოვნია დაეწერნა რამე რუსების წინააღმდეგ და რომ ეთქვა თავად დიმიტრი ორბელიანოვისთვის[1] რომ რუსები მას მალე საქართველოდან გადაასახლებენ, არც ის, რომ გაეგო მისი აზრი რუსების შესახებ, როცა მე და ელიზბარი ჩელოყაევთან მივედით და იქ დაგვხვდა დოდაევი, ამაზე უკვე მოვახსენე კომისიას. მე დოდაევისთვის არასოდეს მითქვამს, რომ „თუ შენ ასე იცინე, ხვალ მთავრობა შეიტყობს და ჩვენ შენზე ვიტყვით, რომ შენ პირველმა წამოიწყე საქმე ოქროპირ ბატონიშვილთან[2] ნაცნობობის წყალობით". დოდაევს არასოდეს დავმუქრებივარ და არ მითქვამს მოგკლავ შენი.

19. თქვენ წინადადება შეიტანეთ, აჯანყების შემდეგ დაგეარსებინათ მეფე დავითისა და წმინდა ნინოს ორდენები; განმარტეთ ამ თქვენი წინადადების მიზეზი.

19. მე არ წამომიყენებია წინადადება აჯანყების შემდეგ მეფე დავითისა და წმ. ნინოს ორდენების დაარსებაზე; მე წინათ მოვახსენე კომისიას ვინც შემოიტანა ეს წინადადება.

20. თქვენს სახლში ლაპარაკობდით თქვენ, თავადი ელიზბარ ერისთოვი და ალექსანდრე ორბელიანოვი. რომ გენერალ მაიორ ჭავჭავაძესა და მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვს შეუძლიანთ გამოიყვანონ რამდენიმე ასეული შეიარაღებული კაცი, რომელთა საშუალებითაც თქვენ სამნი აპირებდით მოგესპოთ მთავრობა ბალზე და

---

[1] ი. ფალავანდიშვილის მიერ ამ სიტყვაზე, ხაზქვემოთ, ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „აჯანყების წამომწყებს ჩემი დარიგება არა სჭირია".

[2] ამ სიტყვას ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული „მე არც ვიცი, იცნობდა იგი ოქროპირს თუ არა".

დასცემოდით ყველა ადგილებს, ამასთანავე სწორედ თქვენ უჩვენეთ მათ განკარგულება, თუ ვინ რა ადგილს უნდა დასხმოდა თავს. განმარტეთ, რომელმა თქვენგანმა წამოაყენა ეს ბარბაროსული ღონისძიება მთავრობის მიმართ.

20. ჩემს სახლში არც მე, არც თავად ელიზბარ ერისთოვს და არც ალექსანდრე ორბელიანოვს არასოდეს გვილაპარაკნია იმაზე, რომ გენ.-მაიორ ჭავჭავაძესა და მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვს შეუძლიანთ გამოიყვანონ რამდენიმე ასეული შეიარაღებული კაცი და არასოდეს არც მიფიქრია მათი საშუალებით მომესპო მთავრობა. განკარგულების შესახებ და თუ პირველად ვინ წარმოადგინა იგი, მე უკვე ადრე მოვახსენე კომისიას.

21. თქვენ უამბეთ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომ თქვენ დაავალეთ ზალიკო ყორღანოვს, რათა მან გამოუცხადოს ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებთ მზად იყვნენ აჯანყებისათვის და გაავრცელონ ხმა, რომ ჯარსა ჰკრეფენ (собирают солдат) განმარტეთ ვის დაევალა ეს და ვის უნდა გაევრცელებინა ესოდენ აღმაშფოთებელი ხმები.

21. ალექსანდრე ორბელიანოვისთვის არასოდეს არ მითქვამს, რომ ზალიკო ყორღანოვთან დავალებული მაქვს გამოუცხადოს ზოგიერთ მცხოვრებს მზად იყვნენ აჯანყებისათვის, ან რომ გაავრცელონ ხმა ჯარსა ჰკრებენო; მე ეს ზალიკო ყორღანოვისთვის არასოდეს არ მითქვამს.

22. როდესაც თქვენ სახლში თავადებმა ძმებმა ელიზბარ და გიორგი ერისთოვებმა ჰკითხეს ზალიკო ყორღანოვს, შეუძლიან თუ არა მას აჯანყებისთვის იშოვოს რაც შეიძლება მეტი თავზეხელაღებული ხალხი—რამდენიმე დღის შემდეგ ზალიკო ყორღანოვმა გითხრათ, რა საქმე განგიზრახავთ და რამდენად შესაძლებელიაო. მაშინ თქვენ უპასუხეთ: „რას ამბობ, როგორ არ შეიძლება, ჩვენ დამზადებული გვაქვს თანხა, რომელსაც ერთ ღამეს დავურიგებთ თავზე ხელაღებულ ხალხს, შევკრებთ მათ ქალაქში, ავტეხთ ალიაქოთს, მოვაწყობთ ილუმინაციას, გავხსნით ღვინის დუქნებს, დავათრობთ ბრბოს, დავრეკთ ზარებს და შევუდგებით რუსების ჟლეტას“, რასაც თქვენ დასძინეთ: „იმ ღამეს უნდა გავმართოთ ბალი და რაც დიდი ხალხია ყველა იქ უნდა ამოვხოცოთ და იმავე ღამეს უნდა ხელთ ვიგდოთ ციხე და ყველა პატიმარი გავანთავისუფლოთ“. განმარტეთ: რა მიზნით უამბობდით მას, რათა შეგეგულიანებინათ იგი ბეჯითად ცდილიყო გადმოებირებინა ქალაქში ხალხი, განმარტეთ აგრეთვე გქონდათ თუ არა თანხა მომზადებული; ხოლო პორუჩიკი (ყოფილი კორნეტი) ერისთოვი უჩვენებს, რომ თქვენ გითქვამთ მისთვის ხალხი

მზათა მყავსო, რაც ზალიკო ყორღანოვმაც დაადასტურა და თქვენვე აღუთქვით, რომ მისცემთ სჯუთარ ფულსაც, ეს ორივე გარემოებაც განმარტეთ.

22. როდესაც ელიზბარ და გიორგი ერისთოვები, აგრეთვე სხვებიც — „აღარ მახსოვს ვინ, — ამბობდნენ, რომ მათ შეუძლიანთ თავიანთი გლეხებიდან გამოიყვანონ ხალხი აჯანყებისათვის, ამ დროს თთახში შემოვიდა ზალიკო ყორღანოვი და მე მათ ვუთხარი, ბატონებო, აი, ამ ზალიკოსაც შეუძლიან რამდენიმე კაცი შეაგროვოს მეთქი, მაშინ ზალიკომ მითხრა, რად ატყუებ ამათო. ზალიკოსთვის არასოდეს არ მითქვამს ეს სიტყვები: „რას ამბობ, როგორ არ შეიძლება“...[1] არავითარი თანხა არ მქონდა მე მომზადებული და არც არასოდეს მითქვამს, რომ ხალხი მყავს მომზადებული მეთქი. მე წინათ მოვახსენე კომისიას: მოაჯანყეებს ფულსა და ხალხს იმიტომ ვთავაზობდი, რომ ვინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო და მთავრობისათვის მეცნობებინა.

23. როდესაც თქვენ გაუმხილეთ ზალიკო ყორღანოვს თქვენი აჯანყების შეთქმულება და განზრახვა ყველა დიდი ადამიანების ამოხოცვისა, მაშინ ის შეგეკითხათ, მერე ვინ იქნება მთავარი მბრძანებელიო, რაზედაც თქვენ მოუგეთ: „აჯანყების მერე ერთი ორი დღის შემდეგ, აქ მოვიყვანთ ალექსანდრე ბატონიშვილს მასთან წინასწარ გვეყოლება კაცი გაგზავნილი და გეგმასაც ვაცნობებთ და ეს ადვილად შესრულდება, რადგანაც ყოველმხრიდან თავს მოიყრის ხალხი, ყველას გული გაღიზიანებული აქვს რუსებისგანო. ჯარებს კი, რომლებიც იმყოფებიან ერევანში, ნახიჩევანსა და სხვა ადგილებში, ადვილად გავუსწორებთ ანგარიშს დავეუფლებით რა მთელ მხარესაო“ [1]. რადგან 22-ე პუნქტში თქვენ უკვე განაცხადეთ, რომ თქვენ არა გჭირდებოდათ ამ საგანზე ზალიკო ყორღანოვთან თვალთმაქცურად გელაპარაკნათ, ამიტომ განმარტეთ თქვენი ნათქვამი დაწვრილებით.

23. მე ზალიკო ყორღანოვისთვის არასოდეს გამომიცხადებია ჩვენი შეთქმულება და არა მითქვამს რა მისთვის დიდი ადამიანების დახოცვაზე არასოდეს და მას არასოდეს გაუბედნია[2] ეკითხნა ჩემთ-

---

[1] განმეორებულია ის, რაც კითხვაშია აღნიშნული, გათავებული სიტყვებით „ყველა პატიმარი გავანთავისუფლოთ“.

[2] ამის შემდეგ ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ზალიკო როცა ცხოვრობდა ჩემს სახლში, იგი გვემსახურებოდა: ასუფთავებდა ტანისამოსს, სწმენდდა ჩემს ჩექმებს; მე ისე არ დავმდაბლებულვარ და მასში ისეთი ვინმეს არა ეხედავდი, რომ მისთვის გამემხილა რამე, ხოლო ჩემს დაპატიმრებამდე, იმის გამო, რომ იგი დე-

ვის, თუ ვინ იქნებოდა მთავარი ბრძანებელი და მე მისთვის არასოდეს მიპასუხნია, რომ აჯანყების შემდეგ[1]... .

24. თქვენ გითქვამთ სოვეტნიკ ორბელინოვისთვის რომ: „აჯანყების წინა დღეს, თქვენ გამოიტანთ თქვენს ფულს და ხალხს დაურიგებთ“, მერე უამბობდით, რომ საფრანგეთს და რუსეთს შორის განხეთქილება მოხდებაო და თქვენა და ელიზბარ ერისთოვი განიზრახავდით წასულიყავით საფრანგეთში და იქიდან გემოქმედნათ. განმარტეთ ყველაფერი ეს.

24. მე სოვეტნიკ ორბელიანოვისათვის არ მითქვამს, რომ აჯანყების წინა დღით გამოვიტან ჩემს ფულს და ხალხს დავურიგებ მეთქი; არც ის მითქვამს საფრანგეთსა და რუსეთს შორის განხეთქილება იქნება მეთქი.

მე არასოდეს არა მქონია საფრანგეთში წასვლისა და იქიდან მოქმედების განზრახვა.

25. თქვენ გაგიგზავნიათ ალექსანდრე ბატონიშვილთან ორი გაკრეჭილი მღვდელი. განმარტეთ ვინ არიან ეს გაკრეჭილები და რა საქმეზე იყვნენ ბატონიშვილთან თქვენს მიერ გაგზავნილი, და მერე თქვენ ეუბნებოდით სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რათა იგი წასულიყო ბატონიშვილთან და იგი საზღვართან მიეყვანა, და თქვენ კი აქ ეცდებოდით. განმარტეთ ეს.

25. ალექსანდრე ბატონიშვილთან არავითარი გაკრეჭილი მღვდლები არ გამიგზავნია და ასეთს არც არავის ვიცნობ. სოვეტნიკ ორბელიანოვისთვის არასოდეს არ მითქვამს წასულიყო და ბატონიშვილ[illegible] საზღვარზე მოეყვანა და ვითომც მე კიდევ აქ ვეცდებოდი. მე წინათ მოვახსენე კომისიას, რომ როდესაც ჩვენ საყავეში ვსაუბრობდით, მაშინ ორბელიანოვმა თვითონ განაცხადა ბატონიშვილთან წასვლის სურვილი.

27. თქვენ და თავად ელიზბარ ერისთოვმა პირველებმა წამოა-

დას ეურჩებოდა და ცელქობდა, რამდენჯერმე შევუთვალე მის დედას, რათა მიეცა განცხადება, სადაც ჯერ არს და დაემწყვდიათ იგი ციხეში. მე თვითონ ზალიკოს რამდენჯერმე ვცემე, ვაგინე და დავემუქრე, რომ თუ იგი დედას კვლავ ურჩობას გაუწევდა, სასტიკად იქნებოდა დასჯილი; ამის შემდეგ მან შეწყვიტა ჩემთან სიარული.“

1 მერე განმეორებულია კითხვაში ნათქვამი სიტყვა-სიტყვით.

2 ამ სიტყვაზე გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა: „თვით ალექსანდრე ორბელიანოვს დაპატიმრებამდე რამდენჯერმე მოუტანია ჩემთან რუკები და უამბნია, მიუთითებდა რა ხელით, აქა და აქ ესა და ესა ხდებაო. ერთხელ ჩემს ბინაზე თარჯიმანმა აბელოვმა თქვა, რაებს მოუთხრობსო“.

ყენეთ აზრი ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში ბალის გამართვაზე. რათა შეგეპყროთ ყველა მთავარი პირნი და მერე თავს დასხმოდით ყველა ადგილებს, და ამის განკარგულებას თქვენ აკეთებდით, თუ ვინ სად უნდა ყოფილიყო; თქვენვე აღუთქვით გადაგეცათ საზოგადოებისთვის 30.000 მანეთის ვერცხლი. ხოლო როდესაც ზოგი მათგანი ამტკიცებდა ამ საქმის შეუძლებლობას, — თქვენ, თავადები ელიზბარი და დიმიტრი ერისთოვები წინააღმდეგს ამტკიცებდით, არ ეთანხმებოდით მათს მოსაზრებას, მოითხოვდით უსათუოდ შესრულებულიყო განაზრახი, რადგანაც თბილისში უკვე იციან და შეიძლება ყველანი დაგვაპატიმრონო. ყველაფერი განმარტეთ, რისთვის იყო ეს ნათქვამი.

27. მე არასოდეს წამომიყენებია აზრი თავად ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში ბალის გამართვაზე, ამის შესახებ დაწვრილებით უკვე მოვახსენე კომისიას. მე არასოდეს არ მქონია 30.000 მანეთი და არც არასდროს დამიჟინებია რომ უთუოდ შესრულებულიყო ჩვენი განზრახვა; არც ის მითქვამს, რომ თბილისში უკვე იციან და შეიძლება ყველანი დაგვიჭირონ მეთქი.

28. 1831 წელს თქვენ ამბობდით: თუკი აჯანყება მოხდება, — უჩვენებდით ყუთზე, რომელშიაც ინახებოდა თქვენი და თქვენი ძმის ფული 80.000 მანეთი ვერცხლით, — აჯანყების ღამესვე დახარჯავდით და იშოვიდით 500 კაცს, ისეთებს, როგორც ლომები, რომ თვითეული მათგანი 40 სალდათზე მივა.

28. 1831 წ. არასოდეს მიმითითებია ყუთზე და არასოდეს მქონია შენახული 80.000 მანეთი ვერცხლით და არასოდეს მითქვამს რომ მოვიპოვებ 500 ლომივით ვაჟკაცს; რომ თვითეულს შეუძლია 40 სალდათს შეებას მეთქი.

29. ერთხელ ბნელ ღამეში ტალახში ამოსერილი მიხვედით გვარდიის კაპიტან ჩელოყაევთან და ამოიღეთ რა რვეული, გინდოდათ წაგეკითხათ მისთვის რაღაც განკარგულებანი, მაგრამ ჩელოყაევმა დაგიხიათ რვეული და გთხოვათ აღარ წაიკითხოთ ასეთი უგუნური რამეები. თქვენ გაჯავრებული წახვედით მისგან თქვენი თანაგანმზრახველებითურთ, ხოლო მეორე დღეს საღამოს ჟამზე, როცა ჩელოყაევი იყო სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან და მას სთხოვდა ხელი აეღო ამ საქმეზე. თქვენ ყველანი შეცვივდით ალექსანდრე ორბელიანოვის ოჯახში, უწოდეთ მას მხდალი და დაჟინებით მოუწოდებდით მოქმედებისაკენ. განმარტეთ ყველაფერი ეს და თქვენი განზრახვა შეგენარჩუნებინათ ალექსანდრე ორბელიანოვი შეთქმულთა შორის.

29. კაპიტან ჩელოყაევთან მთელი ჩემი ნაცნობობის მანძილზე

სულ ორჯერა ვყოფილვარ მასთან ბინაზე — ერთხელ ელიზბართან ერთად, რაც უკვე მოვახსენე კომისიას, ამის შემდეგ არასოდეს არ მივსულვარ ჩელოყაევთან და არ მიმიტანია რამე რვეული, არც მას დაუხვია და არ უთქვამს ასეთი უგუნური რამეების კითხვას თავი დაანებეო. მე ჩემი თანაგანმზრახველებითურთ არასოდეს შეევარდნივართ[1] ალექსანდრე ორბელიანოვს და არც გამიგონია, რომ მას ვინმე ურჩევდა ამ საქმეზე ხელი აეღო, ალექსანდრე ორბელიანოვისთვის მე არასოდეს მიწოდებია მხდალი და არც მოქმედებისთვის აღმიგზნია იგი.

30. პირველი ღამის თქვენი განკარგულების წაკითხვის დროს თქვენ სთქვით: „დავნიშნოთ იმ ღამეს ქალაქის მორიგედ პორუჩიკი ხერხეულიძეო და რომ ამ ოფიცერმა მთელი საქმის ვითარება იცის“. განმარტეთ, საიდან იცით, რომ ამ ოფიცრისათვის ცნობილია შეთქმულება თუ თქვენგან, — სად, როდის და ვისი თანდასწრებით გამოუცხადეთ მას და რა სურვილი გამოთქვა მან.

30. მე არ მითქვამს იმ ღამეს მორიგედ პორუჩიკი ხერხეულიძე დავნიშნოთ მეთქი და რომ ვითომც მან ყველაფერი იცის ჩვენი საქმისა მეთქი. აღნიშნულ ხერხეულიძეს მე სრულიად არ ვიცნობ და მას ჩემგან არცერთი სიტყვა არა აქვს მოსმენილი ჩვენს შეთქმულებაზე; ამიტომაც მე არ ვიცი ამ ოფიცერმა იცის თუ არა ჩვენი შეთქმულების არსებობა.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XII, 2222)

მაქვს პატივი განვმარტო ბატონ დოქტორ ფონ-ვეისის წერილი. არ ვიცი სადაურია ბატონი ვეისი, მაგრამ მე იგი გავიცანი საარტილერიო სასწავლებელში, როგორც გერმანული სიტყვიერების მასწავლებელი, რომლისთვისაც ჩემი გამომგზავრების დიდი ხნის წინ უარი ეთქვათ სამსახურზე. მე მსურდა განმეგრძო ენების შესწავლა და იგი ჩემთან ჩამოვიყვანე. მაგრამ საქართველოში რომ ჩამოვედით, მან ლოთობით იმდენი უსიამოვნება მოგვაყენა, რომ 1832 წლის მაისის დამდეგს იგი დავითხოვე. მან დაინახა, რომ შინ არავინ უშვებდა ისე გაიტეხა სახელი და გადაწყვიტა დაბრუნებულიყო რუსეთში; მე მისი რაღაც დამევალა, რასაც ეხება სწორედ მისი

[1] აქ ასეთი შენიშვნა აქვს: „მე მის სახლში არასოდეს ვყოფილვარ, რასაც მისი სახლი დაადასტურებს“.

წერილი. მაგრამ ის რომ ლაპარაკობს ვალდებულებაზე, მართლაც ვეუბნებოდი მას, არ ვიცოდი რა, თუ როგორი საქციელისა იყო იგი, რომ თბილისში იგი იშოვნიდა მოწაფეებს ბევრ კერძო ოჯახში ხოლო რაც შეეხება „ჩინს", შეეძლო მოწყობილიყო გიმნაზიის მასწავლებლად. მაგრამ მან, როგორც შევნიშნე, გზაშივე დაიწყო სმა და ძალიან ხშირად ითვრებოდა, ხოლო აქ ჩამოსვლის შემდეგ მთლად ლოთობას მიეცა, რის გამოც, თითქმის გონება მთლად დაკარგა, რასაც ადასტურებს გიმნაზიის დირექტორი ბატონი გრიუბერი, რომელიც მას ნახევრად გიჟს უწოდებს. და საერთოდ, ვინც კი მას იცნობდა, ყველა ამავე აზრის იყო მასზე, რის გამოც მე ყველაფერი მისგან გამოგონილად მიმაჩნია, რაც სრულიად ადვილი მოსალოდნელია ასეთი ადამიანისაგან. მაგალითად, თავის წერილში ის ლაპარაკობს მეფის წინააღმდეგ რაღაც რაპორტზე და უმატებს ამასთანავე, რომ არა აქვს საჭიროება დაასახელოს მოწმენი როგორც ვორონეჟში ისე სტავროპოლში. მე სრულებით არ ვიცი ზემოხსენებული გამოთქმებში რისი თქმა სურდა ბატონ ვეისს. მართალია ის, რომ გამოვიარე ქალაქები ვორონეჟი და სტავროპოლი. პირველში დავრჩი 12 დღელამე ავადმყოფობის გამო, ხოლო იქიდან გამომგზავრების წინ განვიცდიდი ფულის ნაკლებობას სტავროპოლამდე, სადაც იმედი მქონდა რომ შინიდან გამოგზავნილი დამხვდებოდა. რადგან ნაცნობი არავინა მყავდა, მივმართე ვორონეჟის ეპისკოპოსს, როგორც სულიერ მოძღვარს, რომელმაც ხელწერილის ქვეშ მასესხა ფული. ხოლო სტავროპოლში ერთ კვირამდე დავრჩი, მაგრამ რადგანაც შინიდან ფული ვერ მივიღე, მივმართე 22-ე საარტილერიო ბრიგადის უფროსს ბატონ პოდპოლკოვნიკს იმენსკის, რომელიც ჩემთან ერთად მსახურობდა კორპუსში და იცოდა ჩემი გვარი; მან მომცა სესხი ხელწერილით, იმ პირობით, რომ შინ ჩამოსვლისთანავე დავუბრუნებდი. ორივეს გადავუხადე აღებული ვალი. და მეტი არა ვიცი რა, არც არავის შევხვედრივარ ზემოაღნიშნულთა გარდა და მათაც მხოლოდ თითოჯერ, არ ვიცი, ბატონ ვეის ამ წერილში რისი თქმა სურდა.

არტილერიის პრაპორჩიკი თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი

1833 წ. 28 მარტი.

ალექსანდრე ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე (XII, 2232)

1. პირველად ვინ წარმოადგინა აზრი 1831 წელს ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის მიწერაზე?

წარსულს 1831-სა წელსა აღდგომის გახსნილების დრო იყო, იმ ერთ საღამოს ყამზე მოვიდა ჩემთან თ. ელიზბარ ერისთოვი და ლაპარაკსა შორის მითხრა, ახლა დრო არისო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გავგზავნოთო, და მასკვან მომიბრუნდა და მითხრა, უთოთ შენ უნდა გაგზავნოვო. მასკვან მე უთხარ მე დიახ ცოტა ყმის პატრონი ვარ მეთქი, და არავინ არა მყავს, რომ გავგზავნო მეთქი. ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე მეუბნებოდა ელიზბარ კაცი იშოვნე, რომ გაგზავნოვო უთოთაო, მე ქოსა მუსტაფა მოვამზადე რომ გამეგზავნა, და შემდეგ ველარ გავბედე რომ გამეგზავნა — ამ დროს კიდეც გაიქცა ის ქოსა მუსტაფა ჩემგნით. შემდეგ ამისა, როდისაც ლუარსაბ ორბელიანოვმა თქო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემა თქო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გაგზავნეთო, მე მაშინ გავგზავნე მოლა ზამანა, როგორც ადრე მოვახსენე კომისიას იმის მსგავსად.

2. იცნობდა თუ არა თ. ელიზბარ ერისთოვი ყოფილ გუბერნატორ ზაველეისკის?

მე არ ვიცი მცნობი იყო თავადი ელიზბარ ერისთოვი ზაველეიცკისა თუ არა.

3. რა ლექსებს წერდით თქვენ ჟურნალისათვის, რომელსაც დოდაევი სცემდა?

მე სტიხი დავწერე ჟურნალისთვის, რომელსაც დოდაევი გამოსცემდა ხოლმე, მთოვარესა ზედა.

4. ელიზბარ ერისთოვის დიმიტრი ბატონიშვილისადმი წერილში მოხსენებულია თავადი გიორგი ამილახვაროვი, — განმარტეთ რაც რამ იცით ამ უკანასკნელზე და რა მონაწილეობას იღებდა იგი თქვენს განზრახულებაში.

ჩემთან სრულებით შეერთება არა რა ჰქონია რა თავად გიორგი ამილახვაროვს, არც ელიზბარისაგან არ გამეგონა არც არა ჩვენს საზოგადოებაში მონაწილეობა ჰქონია რა, როგორც მე ვიცი.

5. რა ერქვა იმ მსახურს, რომელმაც თქვენ 1831 წელს ბატონ ზაველეისკისთან მოგიწოდათ, როდესაც ამ უკანასკნელმაც წინადადება მოგცათ აქაც აღრეულობის მოხდენას სცდილიყავით, და წინადაც მოგხდენიათ თუ არა ასე გვიან ზაველეისკისთან ყოფნა და ჩვეულებრივ როდის იყავით ხოლმე მასთან. უკეთუ არ იცით იმ მსახურის სახელი, განმარტეთ დაწვრილებით მისი ნიშნები, იყო იგი რუსი თუ ქართველი და გინახავთ თუ არა იგი, სხვა დროს?

ამას წინათაც ბოვახსენე კომისიას, ღამე იყო მეთერთმეტე საათი იქნებოდა, რომ შინადგან კარზე გამაველ, და ის რუსი დამხვდა, მთხოვა ზავილეიცკის მაგივრად, მასთან მისვლა. მე სიჩქარისა გამო ველარ გავჩხრიკე ვინ იყო, და, როგორი მგზავსი იყო, ეს კი ვიცი რომ რუსი იყო. ჩემი მარშლობის დროს ღიაღ ხშირად დავდიოდი ხოლმე ზავილეიცკისთან, და როცა სოვეტნიკად ამომარჩიეს 1830-სა წელსა საზოგადოობამ მაშინ მე ეგრე რიგად არ დავდიოდი ხოლმე, და როცა მაშინ დამიძახა არც გასაკვირვლად მივიღე. ამისთვის რომ დიდათ უყვარდი, და მწყალობდა, და შემდეგ ჩემი ნაჩალნიკი იყო, მე ზაველეიცკისთან საღამო ჟამზე და ღამე მივდიოდი ბევრჯელ სანახავად, და ის კი არ ვიცი რომელი დრო იქმნებოდა ხოლმე. და იმის შემდეგ აღარ ვყო-

ფილვარ ზავილეიცკისთან ოდესცა მითხრა აქ აღრეულობისა.

6. თ. იესე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენ გიამბნიათ ვითომ ბასტამ ბასტამოვი ისე ყოფილიყოს შეყელთებული ზავილეისკისგან, რომ სასოწარკვეთილს თავის მოკვლა უნდოდაო. განმარტეთ სახელდობრ რამ მიიყვანა ბასტამოვი ასეთ სასოწარკვეთილებამდე და ხომ არ იღებდა იგი მონაწილეობას თქვენს განზრახულებაში?

ამას წინათაც მოვახსენე კომისიას ბევრჯელ გამიგონია ტიტულიარნი სოვეტნიკის ბასტამოვისაგან, ეს ზავილეიცკი ესრეთ მაწუხებსო, რომ იქნებ თავი მოვიკლაო. — და ის ბასტამოვი არაოდეს ჩვენი მონაწილე არა ყოფილა.

7. 1832 წელს აცნობეთ თუ არა თქვენ ან სხვა ვინმემ რუსეთში თქვენ თანაგანმზრახველთაგან ვისმე, რომ 20 ნოემბერს დანიშნული იყო აღრეულობის მოხდენა, და საერთოდ რა იყო რუსეთში მიწერილი 1832 წლის შეთქმულების შესახებ.

წარსულს 1832-სა წელსა მე არ ვიცი, და არც მახსოვს რომ მიგვეწეროს რუსეთში, 20-ის ნოემბრის საქმე და არც რომ, 1832 წლის ჩვენი გარემოება მიეწეროს ვისმე რუსეთში.

8. თქვენ გიამბნიათ იესე ფალავანდოვისათვის, რომ 1831 წელს იმ პირთა შორის, რომლებიც გაცხარებული მოქმედებდნენ, იყვნენ სხვათა შორის პრაპორშჩიკი დავით ჯორჯაძე და მამა მისი, გამოაცხადეთ ყველაფერი, რაც იცით ამ უკანასკნელნელზე.

მე არაოდეს არ მითქვამს თავად იასე ფალავანდოვისთვის, არც პრაპორშჩიკის დავით ჯორჯაძის რამ საქმე, და არც არა მის მამის ივანე ჯორჯაძისა. მე მხოლოდ მაშინ ვნახე ივანე ჯორჯაძე, როდისაც თავადმა ელიზბარ ერისთავმა წარსულს 1832-სა წელსა, სადილი რომ გაკეთა, და სოლომონ რაზმა-

ძე იქ რომ იყო, მაშინ დილის მეტათ, მე არც კი მცოდნია, რომ დავით ჯორჯაძემ იცოდა ჩვენი განზრახვა თუ არა ოდესმე ივანე ჯორჯაძის საქმე სრულებით არა რა ვიცი რა, ამ ჩვენის განზრახვისა.

9. პრაპორშჩიკი ნათალოვი გიამბობდათ თქვენ, რომ სამოსწავლო ბათალიონში იყო ოფიცერი, პოლონელი რომელიც თანახმა იყო თქვენთვის დახმარება გაეწია. განმარტეთ ვინ იყო ის ოფიცერი და ნათალოვი მის შესახებ რას გეუბნებოდათ?

პირველი გაგება არის ესე გარემოება ჩემთვის რომ ჩემ მამიდაშვილს პორუჩიკს ნათალოვს ჩემთვის ეთქოს ეს გარემოება, არ შეიძლება რომ თვით ნათალოვმა მამაგონოს ეს გარემოება. თორემ მე სრულებით არ მაგონდება. — ერთხელ კი მითხრა ნათალოვმა რომ ერთმა აფიცარმა მითხრაო რომ აქ ზავილეიკის ოთხმოცდა ათი ჩინოვნიკი ჰყავს მოსყიდულიო რომ აქ ბუნტი უნდა მოახდინოსო, რომელიც მე ესე გარემოება ამას წინათაც მოვახსენე კომისიას.

10. განმარტეთ დაწვრილებით რა მონაწილეობას იღებდნენ თქვენს განზრახულობაში თ. დავით ბაგრატიონ მუხრანსკი და რევაზ ანდრონიკოვი.

არამც მონაწილე ყოფილიყოს თავადი დავით ბაგრატიონი მუხრანსკი ჩვენი, არამედ ჩვენი საზოგადოობისაგან ბევრჯელ გამიგონია, რომ ვითამც ის იყოს მაშენიკი, და ავი კაცი,— და რევაზ ანდრონიკოვს კი ვერ ვიცნობ ვინ არის, და არც არა ვიცი რა.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ანტონ აბხაზის ჩვენება (XIII, 2248)

1. 1832 წლის აგვისტოში თავად იასე ფალავანდოვის ჩვენებით. თქვენ სვამდით ჩაის თავად ელიზბარ ერისთოვთან: თქვენ, თავადები სოვეტნიკი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, პორუჩიკი თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი, ამასთან, ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა ფალავანდოვს, რომ მას დაავიწყდა მათი ნათქვამი, რომ ყველა ვინც კი იცოდა შეთქმულება 1831 წელს, ეხლაც მზად არიან, რომ თავადი გიორგი ერისთოვი საშიში არ არის, რადგან მან ჯერ ისევ პეტერბურგშივე იცოდა ეს და მხოლოდ თქვენი გადმობირებაღაა საჭირო. განმარტეთ როგორ იყო ეს ყველაფერი და რა საუბარი ჰქონდათ იასე ფალავანდოვსა და ალექსანდრე ორბელიანოვს.

1. მაქვს პატივი უპატივცემულესად მოვახსენო საგამომძიებლო კომისიას, რომ როდესაც თავად ელიზბარ ერისთოვთან ჩაის სვამდნენ თავადები: ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, პორუტჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი, იასე ფალავანდოვი და მასწავლებელი დოდაევი, — მე ამ შეკრებულობაში არაფერი გამიგონია მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაზე; მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმა მიიხმო თავისთან იასე ფალავანდოვი, მიდგნენ კუთხეში და თავისთვის ჩუმად რაღაცას ლაპარაკობდნენ — მე არ ვიცი რაზე. საკმაოდ დიდ ხანს საუბრის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ დროა ხელი ავიღოთ ჩვენს „პოხონდრიაზე", აი, ჩვენ ყველანი ახალგაზრდები ვართო და სხვათა შორის, ყველანი მიგვიწვია ვახშმად თავის ბაღში და იმედი გამოთქვა, რომ ყველანი მივლენ ვახშამზე, მე კი განსაკუთრებითა მთხოვა უსათუოდ მივსულიყავ ვახშმად. როდესაც უკვე ვაპირებდით შინ წასვლას, ამ სიტყვებს მოვკარი ყური, როდესაც ალექსანდრე ეუბნებოდა მათ, რომ: „ხელსაყრელი შემთხვევა გადმოვიბიროთო". მე სრულებით ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. და ამ შეკრებილობაში სხვა არა გამიგონია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაზე.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი.

ეს ამბავი, როგორც მახსოვს, სექტემბრის თვის დამლევს იყო.

თავადი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2250)

კითხვითი პუნქტი სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუჩიკ
თავად ელიზბარ ერისთოვს მარტის 29, 1833 წ.

1. 1832 წლის აგვისტოში, როგორც ამას უჩვენებს იასე ფალავანდოვი, თქვენთან ჩაის სვამდნენ თავადები: ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, პორუჩიკი თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი და პოდპორუჩიკი თავადი ანტონ აბხაზოვი, რომლის დროსაც ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა იასე ფალავანდოვს, რომ მას მიავიწყდა ის, რაც მას სთხოვეს, რომ ყველა ისინი, ვინც 1831 წელს იცოდა განზრახულება, კვლავ მზად არიან, რომ თავადი გიორგი ერისთოვი საშიში არ არის, რადგან მან ეს საქმე უკვე პეტერბურგშივე იცოდა და მხოლოდ საჭიროა აბხაზოვი გადმოვიბიროთო. განმარტეთ დაწვრილებით როგორ იყო ეს და რა საუბარი იყო ამ შეკრებულობაზე იასე ფალავანდოვსა და ალექსანდრე ორბელიანოვს შორის.

1. თავადი იასე ფალავანდოვი შეესცდა; რადგან აღნიშნული პირნი ჩემთან ჩაიზე იყვნენ არა აგვისტოს თვეში, არამედ სექტემბრის დამლევს.

რა საუბარი ჰქონდათ თავად ალექსანდრე ორბელიანოვსა და იასე ფალავანდოვს არ მახსოვს. იასე ფალავანდოვის ჩვენებიდან ის კი ჩანს, რომ მაშინ ჩვენს განზრახულებაზე არაფერი სცოდნია თავად ანტონ აბხაზოვს, ამიტომ, თუ კი ალექსანდრე ორბელიანოვმა მართლაც უთხრა ფალავანდოვს აღნიშნული სიტყვები, უსათუოდ, ამას ჩუმად ეტყოდა; ალექსანდრეს ხომ მაშინ უპირებია ანტონ აბხაზოვის გადმობირება. ამ შეკრებილობის დროს იყო ჩვეულებრივი საუბარი.

სამსახურიდან გადამდგარი პორუტჩიკი თავადი ე. ერისთოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2254)
მარტის 29, 1833 წ.

წინამავალ შეკითხვის სრულიად ანალოგიურ შეკითხვაზე გ. ერისთოვს უპასუხნია: მახსოვს, როგორც წინათაც მომიხსენებია, რომ ერთხელ ელიზბართან მივედი და იქ დამხვდნენ თ. იასე ფალავანდოვი, თ. ალექსანდრე ორბელიანოვი, თავადი აბხაზოვი და მგონია, აგრეთვე ვახტანგ ორბელიანოვი; თუმცა სწორედ არ მახსოვს მე და ის

ერთად მივედით, თუ იქ დამხვდა იგი. შეიძლება თ. ალექსანდრე ორბელიანოვსა და თ. იასე ფალავანდოვს ჰქონდათ რამე საუბარი ამ საქმეზე ორივეს განცალკევებულად ჩემს მოსვლამდე, ან ჩემი წამოსვლის შემდეგ, რადგან მე იქ დიდ ხანს არ დავრჩენილვარ და წამოვედი. მაგრამ სრულებით არ მახსოვს, რომ, ვიდრე მე იქ ვიყავი, რამე საუბარი ყოფილიყო ჩვენს განზრახულობაზე, მით უმეტეს, რომ, ჩემი აზრით, თუ თ. აბხაზოვმა შეთქმულებაზე არა იცოდა რა, — ალექსანდრე ორბელიანოვი კი მისი თანადასწრებით ამაზე ვერ ილაპარაკებდა ასე ამგვარად და თანაც, ჩემი თანადასწრებით, რადგან ჩემი ნამდვილი აზრი და სურვილი არავისთვის ცნობილი არ იყო. შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რომ რაკი თავისუფლადა ვლაპარაკობ (говоря вольно) შეთქმულების მოწყობაზეც დავეთანხმებოდი. ამას გარდა, მე სრულებით არ ვიცნობდი თ. ფალავანდოვსა და აბხაზოვს, ხოლო ეს უკანასკნელი,— გაიგო რა არსებობა, — მას მუდამ გაურბოდა, რამდენადაც მე ვატყობდი, და ბოლოს აღარც კი გამოჩენილა. მახსოვს, 9 თუ 10 დეკემბერს ქუჩაში შევხვდი თავად აბხაზოვს და დავიწყეთ საუბარი სხვადასხვა საგნებზე, ბოლოს მან თქვა: მადლობა ღმერთს, რომ თავი დაანებეს სისულელეებზე ფიქრსა და ლაპარაკს, რასაც ისინი განიზრახავდნენ. ხომ მართალია, რომ საღ ჭკუას არ შეესაბამება საქართველოში გადატრიალების მოხდენაო. ამაზე მე ვუპასუხე, ეს მართალია მეთქი.

პორუჩიკი თ. ერისთავი

20 მარტი, 1833 წ.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XII, 2252)

იმავე კითხვაზე ვახტანგ ორბელიანს ასეთი პასუხი გაუცია:

1832 წლის აგვისტოში ვიყავით ჩაიზე ელიზბარ ერისთოვთან, როგორც ამას ამბობს თ. იასე ფალავანდოვი, მაგრამ საუბარი, რომელიც, მისი ჩვენების თანახმად, ჰქონიათ მას და პოდპორუჩიკს ალექსანდრე ორბელიანოვს, სინამდვილეში არა ყოფილა.

• მაშინ ჩვენი საუბარი, როგორც მახსოვს, სულ სხვა საგანს ეხებოდა. ორი საათით ადრე, ვიდრე ელიზბართან ჩაის დავლევდით, ვიყავით კოლონიაში[1], იქიდან კი წავედით ორთაჭალის ბაღში. ჩვენთან იყო აგრეთვე დოდაევიც. იქ, როგორც მახსოვს, თავად აბხაზო-

[1] გერმანელთა კოლონია ქალაქის გარეუბანში.

ვის წინაშე ლაპარაკი იყო რუსებისადმი უკმაყოფილებაზე. მაშინ შეთქმულებაზე არა თქმულა რა.

თ. ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი

1833 წლის, მარტის 29.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2200)

ბატონი ვეისი თბილისში ჩამოიყვანა პეტერბურგიდან ჩემმა ძმამ თავადმა დიმიტრი ორბელიანოვმა 1832 წლის მარტში, რათა ესწავლათ მისგან ენები მას და ჩემს ძმას გრიგოლს. დაინახა რა მისი თავშეუკავებლობა სასმელებისადმი, ჩემმა ძმამ დიმიტრიმ, მისი თბილისში ჩამოსვლის ორი თუ სამი კვირის შემდეგ, გაუშვა აქედან, როგორც ძმამ მიამბო, ის ვეისს შეპირებია, რომ წელიწადში გადაუხდიდა სამი ათას მანეთს ასიგნაციებით, ანგარიშის გასწორებისას ვეისმა მიიღო, თითქმის ჯამაგირის ერთი მესამედი; დიმიტრიმ უანგარიშ ა ო თ ხ ა ს ი მ ა ნ ე თ ი ვ ე რ ც ხ ლ ი თ[1] იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ვეისი მასთან ცხოვრობდა. ვეისი მაიორ კოლოჩევსკისთან ერთად ნამყოფია ლაშქრობაში. ჩემი ძმისგან წასვლის შემდეგ ვისთან ცხოვრობდა ვეისი თბილისში, ვიდრე იგი კოლოჩაევსკისთან ერთად ლაშქრობაში წავიდოდა, — არ ვიცი. ბატონმა ვეისმა სრულებით არა იცოდა რა ჩვენს შეთქმულებაზე. რაც შეეხება წერილსა და იმ მუქარას, რომელიც ვეისის მიერ ჩემი ძმის დიმიტრისადმია გამოთქმული, ამის გარემოება შემდეგია. ჩემმა ძმამ მიამბო, რომ მას ჯერ ისევ ვორონეჟშივე შემოაკლდა სამგზავრო ფული და იგი ისესხა იქაური ეპისკოპოსისგან, ხოლო გზაზე, რადგან ცხენებს არ აძლევდნენ, — იგი ეუბნებოდა, რომ თან მოაქვს სახელმწიფო ნივთები (казенные вещи) და ამით აიძულებდა. ტულადან მან მომწერა, რომ ფული შემოაკლდა და მთხოვა გამეგზავნა იგი სტავროპოლში და მეც გავუგზავნე მოთხოვნილი ფული ფოსტით. მაგრამ ძმას არ დაუცდია და უსესხნია პოლკოვნიკ ილინსკისგან. თბილისში ჩამოსულმა ორივე მოვალეს გაუგზავნა ფული მადლობით. ვეისის მთელი მუქარა ეხება ამ გარემოებას, რომ დიმიტრის ფული არა ჰქონდა, ცხენებს არ აძლევდნენ და რათა მიეცათ. ამიტომ აცხადებდა, რომ მას მოაქვს სახელმწიფო ნივთებიო. სინამდვილეში ჩემს ძმას არავითარი სახელმწიფო ნივთები არ ჩამოუ-

[1] ტექსტში ხაზგასმულია.

ტანია და საერთოდ მას მგზავრობის დროს არაფერი ჰქონია ხაზინასთან საერთო არც შეიძლებოდა ჰქონოდა.

თავადი ელ. ერისთოვი.

29 მარტი, 1833 წ.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება (XII, 2262)

საგამომძიებლო კომისიას ფილადელფოსისთვის. ასეთი წინადადება მიუცია: განმარტეთ მოკლედ, მაგრამ ზუსტად ვისზე იყო რუსეთში თქვენი დაბეზღება გაგზავნილი: თავად ციციანოვზე თუ თვით კათალიკოსზე? რას შეიცავდა ეს დაბეზღება? რომელ წელს, საიდან და ვის გაუგზავნეთ იგი? და საბოლოოდ რა შედეგები მოჰყვა.

ფილადელფოსს ასეთი პასუხი გაუცია:

იეროდიაკონმა დანიელმა მოიხსენა ცუდათ ხელმწიფე. მე ამაზე ვსთხოვე კათალიკოსს და მიურავს, ერთად ისხდნენ, რომ დაუშალეთ არ ვარგა ამგვარი სიტყვა მეთქი. კათალიკოსმა არათქვა რა. მოურავი ციციანოვი ძალიან გამიწყრა, როგორ ბედავ რომ ჩვენ გვასწავლითო, იყვირა როგორც შეეძლო, მაფურთხა პირში, გამგზავნა სენაკში, დამიკეტა კარი, მიყურე, საით გაგზავნიო. მეც ამაზე გავჯავრდი და დავაბეზღე დანიელიც, და რაც გამეგონა შეუსაბამო მოურავისაც დავსწერე, კათალიკოსიც მოვიხსენიე, რომ ერთხელ აქედამ წიგნი მოუვიდათ ამბავი ყიზილბაშის ქალაქზე დაახლოებისა, ბრძანა ისე ხუმრობასავით კათალიკოსმა მე რომ საქართველოს მწუხარება მესმისო ღმერთმა ქნას ისევ იმათი დრო მოხდესო, ისინი სჯობდნენო. ისეც მოვიხსენე, რადგან ძალიან შემაწუხა მოურავმა ციციანოვმა, და დამემუქრა და ციმბირს გაგზავნიო, და ამისთანეებს. ვიცოდი კათოლიკოსი თითონ იყო იმის სახელზე რაც უნდოდა დასწერდა. შემეშინდა მართლა ძალიან და ეს ზემოხსენებული ამბავები მივწერე ვნუტრენის მინისტრს ლანცეკოვს, და ჩემი მწუხარება, და ვთხოვე ნუგეშინის ცემა იმათი ხელიდამ: შემდგომ ერთის კვირისა თუ მეტისა არონ დეკანოზი მომიგზავნა შერიგებისათვის. არონს გაუტყდი და შავი უჩვენე ასე მომივიდა ავჩქარდი მე მართლა მეგონა აგრე შეშინდა მოურავი, რომ მე საითმე დამკარგავდა და ვიჩივლე და დავაბეზღე მეთქი, შემდეგ ძალიან შეწუხდნენ. მერე მიბრძანეს, შენ წადი საქართველოშიო, და თუ ამბავი რამ იკითხეს პასუხს ჩვენ უგებთ აქ ნუღარ დახვდებიო, მამცეს პრაგონი ბაშბორთი და წამოველ. კნიაზ გიორგი ალექსანდრიჩს მოვახსე-

ნე ასე მოხდა მეთქი. იმან მირჩია საქართველოში ნუ წახვალ მოსკოვს მოიცადეო, მოვიცადე მოსკოვს, შემდგომ ორთვენახევრისა, მოსკოვში დამიჭირეს და წამიყვანეს ნიჟნას. ახალი მისული რომ ვიყავ პერეოჩიკი კათალიკოსისა მოვიდა და დამარიგა, კათალიკოსმა შამამითვალა თუ გკითხონ რამე ასე თქვი ავათ ვიყავ და სიცხე მქონდა და არ ვიცი რა დავწერე, ან თქვი ტყუილად ყმაწვილობით მომივიდათქო და მე ხელმწიფესა ვთხოვ გაპატიოს და ისევ ჩემთან იქნებიო, ვიყავ ამაზე ორ სამ თვეს, შემდგომ სადაც დაჭერილი ვიყავ მონასტერში ბერებმა მითხრეს, ყველას დაუფიცნია, რომ არაფერი არ გაგვიგონიაო, ფილადელფოსს ტყუილად გაუგონიაო, და ციმბირს გაგგზავნიანო, შემეშინდა და თხოვნა მივართვი ხელმწიფეს რომ არ შემიძლიან დამტკიცება მეთქი. ხელმწიფემ განმათავისუფლა და საქართველოში გამომგზავნა 1827 წელს.

იერომანახი ფილადელფოს, მარტის 29.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XII, 2204)

ბატონი ვეისი 1830 წელს საარტილერიო სასწავლებელში ასწავლიდა გერმანულ სიტყვიერებას იუნკერთა უფროსს კლასში და იმ წლის დამლევს გავიცანი მე იგი ამ მიზეზით. განსვენებული მამა ჩემისგან მივიღე წერილი, რომ ჩემს უფროსს ძმას ამზადებდნენ ს. პეტერბურგში გამოსაგზავნად. მეორე წერილში განსვენებული მამა მაცნობებდა, რომ ძმას ვერ გამოგზავნიან ავადმყოფობის გამო და თუ საბოლოოდ გამოკეთდა, მომავალ წელს აპირებს გამოგზავნას. ყველაფერი ესა ვუთხარი საარტილერიო სასწავლებელში დასვენების დროს და მერე შევედი ჩემს კლასში; ამით გათავდა ჩვენი ნაცნობობა. 1831 წელს გამომიშვეს, ხოლო ბატონ ვეისს სამსახურზე უარი უთხრეს და იგი აღარ მინახავს იმ წლის დამლევამდე. მე მსურდა რა ენებში მეცადინეობა; წინადადება მიეეცი წამოსულიყო ჩემთან, რაზედაც იგი დამთანხმდა და ჩვენ ერთად გამოვემგზავრეთ ს. პეტერბურგიდან 1832 წლის თებერვლის დამდეგს. მე ეორონეეში გავჩერდი ავადმყოფობის გამო და ამასთანავე, არამყოფნიდა ტრანსპორტის ფული სტავროპოლამდე, სადაც ფულს მოველოდი შინიდან. არ ვიცოდი რა ამ ქალაქისა არაფერი, მივმართე ეპისკოპოსს, როგორც სულიერ მოძღვარს, რომელმაც ხელწერილისქვეშ მომცა ფული. სტავროპოლში ხუთი დღე ვიცადე, და ვერ მივიღე შინიდან ფული, ამიტომ ვთხოვე პოლკოვნიკ ილინსკის, რო-

მელმაც მომცა აგრეთვე ხელწერილით. დუშეთამდე ერთად მოვედით; აქ ვთხოვე ბატონ ვეისს პირდაპირ თბილისში ჩამოსულიყო და ტრაქტირში მოთავსებულიყო, თვითონ კი წავედი სოფელში, რადგან გზაში გავიგე, რომ ჩემი ძმები თბილისში არ იყვნენ, მე კი ფული მჭირდებოდა. სოფელში ჩასულს ძმები იქ არ დამხვდნენ, რის გამოც იძულებული გავხდი წავსულიყავ ქალაქ გორში, სადაც ვინახულე ჩემი უფროსი ძმა, შემდეგ ჩამოვიდა სოფლიდან ელიზბარიც, რომელიც, მგონია, ხუთი დღის შემდეგ წავიდა სახერხ ქარხანაში, მე და ჩემი უფროსი ძმა კი თბილისში წავედით. ჩემს სიძეს რომ გაეგო ჩემი ნივთების თბილისში მოტანა, ბატონ ვეისის თბილისში ჩასვლის მეორე დღესვე გადაეტანინებინა ისინი თავისთან და. ბ. ვეისიც დაეპატიჟნა. ჩამოვედი თუ არა თბილისში პირველი მოკითხვა-მისალმების შემდეგ ჩემმა დამ დაიწყო მოჩივილი ბ. ვეისზე. მე დავაკვირდი გარემოებას, რომ ჩვენი ოჯახის საქმეები აწეწილი იყო, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ დაგვრჩა ვალი თითქმის 10.000 მან. ვერცხლით, და აღარ მქონდა საშუალება მეძლია ბ. ვეისისათვის შეპირებული ჯამაგირი, რის გამოც მე იგი გაუშვი აპრილის დამლევს ან აპრილის პირველ რიცხვებში.

ბატონმა პოდპოლკოვნიკმა კოლოჩევსკიმ მალე მიიწვია თავისთან და ისინი წავიდნენ ლაშქრობაში. მაგრამ ბ. ვეისი დიდხანს არ დარჩენილა პოდპოლკოვნიკ კოლოჩევსკისთან და კვლავ თბილისში დაბრუნდა; არ ვიცი სადა ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელ მოვიდა ფულის სათხოვნელად, რომელიც მე უნდა გადამეხადნა მისთვის იმ ხანში, რაც ჩემთან იყო იგი. მე მას გადავუხადე, მაგრამ ვალად დამრჩა 200 მანეთამდე ასიგნაციებით და შევპირდი რომ გავუგზავნიდი ეკატერინოგრადში, იგი ოქტომბერში რუსეთს გაემგზავრა. ბ. ვეისი ბატონიშვილთაგან არავის იცნობდა და არც ჩვენს შეთქმულებაზე იცოდა რამე.

წერილში რომ იწერება ბატონი ვეისი: „გამოვამჟღავნებ ყველა იმ სიყალბეს, რომელსაც თქვენ ხმარობდით გზაში ხაზინასთან საქმის გამო, — სხვა მოწმეები ამისთვის არა მჭირია, გარდა სტავროპოლისა და ვორონეჟისაო. მაშინ ძვირად დაგიჯდებათ ჩემი შრომა და მოთმინება და სამაგიერო მოგეზღვებათ სამუდამოდ. არ მესმის და მოვითხოვ, რათა ბატონმა ვეისმა განმარტოს ეს სიტყვები, რადგან ზემოაღნიშნულ სიტყვებს მე ვთვლი მხოლოდ ფუქსავატ მუქარად: ვიდრე იგი ჩემსას იმყოფებოდა, გარეშე საქმეების გარდა, მე მასთან სხვა არაფერზე მქონია საუბარი და ხაზინასთანაც არაფერი საქმე მქონია.

არტილერიის პრაპორჩიკი თავადი დიმიტრი ერისთავი
1833 წლ. 29 მარტი.

თეიმურაზ ამილახვრის ჩვენება (XII, 2266)

თ. ამილახვრისთვის კომისიას წარუდგენია შემდეგი წინადადება: როგორც ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენებიდან ჩანს, როდესაც მან შეთქმულება გამოგიცხადათ, თქვენ სთქვით: „ოღონდ მაგ დღეს მოვესწრო და სიცოცხლის ნახევარს გავწირავო". და როდესაც თავადი იასე ფალავანდოვი რუსებზე ცუდს ლაპარაკობდა. თქვენც იმავე აზრისა იყავით, ხოლო როცა იასე ფალავანდოვმა უდიერი სიტყვებით დაიწყო რუსების გინება, — თქვენც დაადასტურეთ იგი და სთქვით: „ამინ".

დაადასტურეთ თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვები წერილობით.

თ. ამილახვარს ასეთი პასუხი გაუცია:

როდესაც მე სოვეტნიკად მყოფმან ალექსანდრე ორბელიანოვმან გამომიცხადა შეთქმულებაზედ, არასდროს არ მითქვამს მე იმისათვის როგორც ის ამბობს, რომ ვითომ ნახევარ სიცოცხლეს მივცემ იმ დღის მოსწრებისათვის. არა თუ ის სიტყვები, მე იმისთვის სრულებით არა მითქვამს რადა ეს ამისთვის იგონებს ამას რომ როგორც თვითონ არის მოლალატეობით გასვრილი, ისრე სხვა უნდა გასვაროს და რადგანაც მეფის შთამომავლობისა არის, იმას ქართული მთავრობა ენდომებოდა. მე რაც ახლა რუსის მართებლობაში მდგომარეობა მაქს და კმაყოფილი ვარ, უწინ არა მქონია არც მე და არც მამასა ჩემსა და რათ მენდომებოდა უარესი. მგონია, კაცს ბედნიერება უნდოდეს და არა უბედურება.

იასე ფალავანდოვს რომ უთქვამს, რომ როდესაც იმას ცუდათ ულაპარაკნია რუსებზე, ვითომც მეც ის აზრი მქონდეს და როდესაც დაუწყია გინება უშვერის სიტყვებითა, მეც მეთქვას: ამინ, ეს არასდროს არ ყოფილა და ჩემს პირს მისი ბოროტი განზრახვა და ცუდი ლაპარაკი არასდროს არ დაუმტკიცებია და თუ მე იმასთან ერთი აზრისა ვყოფილვარ, მეც იმის მგზავსად ბევრჯერ გავიქცეოდი, სახლობაზე ხელს ავიღებდი და თვით ღმერთზედაც ერთხელ თვითონვე გამოვდგომივარ დასაჭერად და მოლითის ფოსტამდინ მიდევნია და თუ ჩემში ხელმწიფის ორგულობა ყოფილიყო ხუთძმათაგანნი ოთხნი არას დროს ხელმწიფის სამსახურს არ შეუდგებოდით და თავებს ზედ არ დავახოცდით თუ არ ერთგულებითა. ორი ძმა ხელმწიფის სამსახურში მომიკვდა იმათთაგანი ერთი ამ უკანასკნელის გიმრის აღებაზედ. ერთი ძმა დაჭრილობის მიზეზით გარდამდგარი შინ არის და ხელმწიფის მოწყალებით ნამსახურობისათვის პენსიაც აქვს და მეც მიმსახურნია ჩემის შეძლებით როგორც მამიხსენებია კომისიისათვის. ამ ჩვენი ნამსახურობის მიმხედველს რად მექნებოდა ად-

ვილი და ან როგორ გავბედავდი ხელმწიფის წინააღმდეგს. მეხუთე ძმაც სამსახურში იქნებოდა, თუ მცირეწლოვანებას არ დაებრკოლებინა. ჭეშმარიტად ორბელიანოვსა და ფალავანდოვს უთქვამთ ჩემზედ ცილის წამებით და სიბოროტით, რომ რადგანაც ხალხის აღრევა და მთავრობის წინააღმდეგობა ვერ აღასრულეს აქ მაინც სწადთ, რომ სხვანიც თან დაიტანონ როგორც მე. თუ მე იმათი თანამზრახველი ვყოფილიყავ და ზემოხსენებულის სიტყვების მთქმელი, რატომ ვერ მითხრეს შარშან ზაფხულის ჩემს აქ ყოფნაში თავისი დაწყობილობა: თუ იმათ ამ ჩემს პასუხს უარყვეს[1]. მე შემიძლიან გულწრფელის ფიცით ჩემის პასუხის დამტკიცება და ვითხომ რომ თუ საჭირო იყოს პირშიაც წამიყენოთ.

პრაპორშიკი თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XII, 2268)

ჩემს ძმასთან 10 დეკემბერს მოვიდნენ ძმები ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანოვები და რაღაცას ეკითხებოდნენ ბრძოლაში დაღუპულ თავად ორბელიანოვზე, მისგან კი ჩემთან შემოვიდნენ. დიმიტრიმ თქვა, თუ ამ წელიწადში არა გავაკეთეთ რა, სომხები რაღაცას აპირებენო. როდესაც ვბრუნდებოდი რუსეთიდანაო და მოზდოკზე გამოვიარე, ერთმა სომეხმა მითხრაო, რომ როდესაც პოლკოვნიკი ლაზარევი საქართველოდან ბრუნდებოდა, ყიზლარისა და მოზდოკის თავკაცები მას პურმარილით შეხვდნენ. და ვითომც ამ სომეხს ეთქვას მისთვის, (დიმიტრისთვის), რომ, ღვთის წყალობით, ჩვენი სახელმწიფოც აღდგებაო.

ამის შემდეგ მითხრა, ალექსანდრე ორბელიანოვმა, რომ გუშინ გამოგიგზავნე ელიზბარ ერისთოვი, რათა თქვენ წახვიდეთ ლუარსაბთან, ამბობს: „შეიძლება ლუარსაბსა ჰგონია, რომ მის ხარჯზე ვაპირებთ ბალის გამართვას მის სახლში, უთხარით, რომ ჩვენ ფული გვაქვს, ბატონიშვილმა მისცა ნდობის ხელწერილი თავის ვაქს გიორგი ერისთოვს (არ მახსოვს, ხაზინიდან, თუ საიდან ამბობდა), მან უნდა მიიღოს 10,000 მანეთი ასიგნაციებით და დედას უნდა წაუღოსო. მაგრამ ფულს ჩვენ მოვიხმართ ბალზე, ბატონიშვილს კი რუსები შიმშილით არ მოჰკლავენო. მანვე მთხოვა მეთქვა ლუარსაბისოვის, რომ მან სთხოვოს დუშეთის მაზრის საზოგადოებას აირჩიონ

[1] ასე სწერია.

მარშლად თავადი შალვა ერისთოვი. გიორგის ძმა „ამბობენო, რომ მან გასულ წელს იცოდა და ბევრს დაგვეხმარებაო". მაგრამ იმ დღიდან, როდესაც ლუარსაბს მის სახლში წავუკითხეთ განკარგულება და პროექტი, მას შემდეგ მასთან აღარა ვყოფილვარ და აღარც მინახავს არსად. ალექსანდრემ მიმითითა თავის ძმაზე და მითხრა: „როცა დაქორწილდა, უკვე პირველსავე ღამეს გაუმხილა თავის მეუღლეს ჩვენი განზრახვა და მან უპასუხა, რომ ამაზე დიდი ხანია უკვე უნდა გეფიქრათო".

თავადი იასე ფალავანდოვი

31 მარტი, 1933 წ.

პროპორჩიკ მამაცოვის სიტყვიერი ჩვენება (XII, 2270)

სიტყვიერი ჩვენება თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპორშჩიკ მამაცოვისა

მარტის 31, 1833 წ.

პროპორშჩიკმა მამაცოვმა პირველ დაკითხვაზე ჯერ ყველაფერი იუარა, მაგრამ მერე გამოაცხადა, რომ ს. პეტერბურგში არაფერი იცოდა განზრახულებაზე, მხოლოდ დაიარებოდა დიმიტრი ბატონიშვილთან, მაგრამ მონაწილეობას არ იღებდა იმ საუბრებში, რომლებიც ამ ბატონიშვილს ჰქონია სხვა ახალგაზრდებთან; რომ ოქროპირ ბატონიშვილი არ უნახავს 1826 წლიდან რომ მასთან, მამაცოვთან, სადილზე იყვნენ: ელიზბარი და მეორე ახალგაზრდა ერისთოვები, ვახტანგი, იოსებ მამაცოვი, — და მერე მოვიდა ლიონიძე, მაგრამ პრაპორჩიკი დავით ჯორჯაძე კი არა ყოფილა; რომ იმ სადილზე, სხვათა შორის, დალიეს აგრეთვე დიმიტრი ბატონიშვილის სადღეგრძელო; რომ რაზე საუბრობდნენ დაწვრილებით არ ახსოვს; რომ სამოსწავლო ბატალიონის აჯანყების განზრახვა მას არ გაუგონია არას დროს და რომ რუსეთის წინააღმდეგ ცუდი ზრახვა არა ჰქონია.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი
" " ვოლხოვსკი
" " ჩეკინი
პოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

იოსებ მამაცაშვილის სიტყვიერი ჩვენება (XIII, 2282)
აპრილის 5, 1833 წ.

განმარტებისათვის კომისიაში გამოწვეულმა თარჯიმანმა, თუ სად არის მისი თხზულება სამშობლოსადმი სიყვარულის შესახებ, სთქვა, რომ წერილი (статья) სამშობლოსადმი სიყვარულის შესახებ თვითონ კი არ შეთხზა არამედ გადმოთარგმნა იგი კარამზინიდან და შესცვალა ზოგი რამ რუსეთის სასარგებლოდ და რომ თხზულება უნდა იყოს მის ქაღალდებში, მისი ნათესავების ბინაზე.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი
„ „ ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
„ „ ჩ ე ვ კ ი ნ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

პოლკოვნიკ სუმბათაშვილის რაპორტი (XIII, 2284)
41 ეგერთა პოლკის პოლკოვნიკის სუმბათოვის რაპორტი
საგამომძიებლო კომისიას

ამა კომისიაში წარმოდგენილი წიგნები და ქაღალდები, რომლებიც ჩამოერთვა ქართველთა შეთქმულების მონაწილე სხვა და სხვა პირთ, — ამავე კომისიის ბატონ წევრების ბრძანების თანახმად, განვიხილე გვარდიის კაპიტან ვსევოლოჟსკისა და 8-ე კლასის ენაკოლოფოვთან ერთად. იმათგან, ის ქაღალდები, რომლებიც რამე ეპვს იწვევს, გამოვყავით და მეტწილად გადაეცა კომისიას განსახილველად, დანარჩენი კი რომელთა სიაც მაქვს პატივი ამასთანავე წარმოვადგინო და არ შეიცავენ რამე საეპვოს, შეიძლება დაუბრუნდეს ამ პირთა ნათესავებს.

პოლკოვნიკი ს უ მ ბ ა თ ო ვ ი

31 მარტი, 1833 წ, თბილისი.

პატიმართათვის ჩამორთმეულ ქაღალდების სია (XIII, 2285)

სია ქაღალდებისა და წიგნებისა, რომელნიც განიხილა საგამომძიებლო კომისიამ და არ შეიცავენ რამეს, შეიძლება დაუბრუნდეთ უკანვე.

31 მარტი, 1833 წ.

1. სამსახურიდან გადამდგარ კოლეჟსკი რეგისტრატორის თავად იასე ფალავანდოვის ქაღალდები.	ამ ქაღალდებიდან ორი წიგნი, რუსეთისადმი ერთგული და არაკეთილსაიმედო ადამიანთა სიების შემცველი, წარედგინა ბატონ კორპუსის უფროსს.
2. წიგნები და ქაღალდები არტილერიის პრაპორჩიკ თავად დიმიტრი ერისთავისა.	ამათგან ისინი, რომლებიც საეჭვო აღმოჩნდა, დატოვებულია კომისიაში.
3. ქაღალდები თბილისის გიმნაზიის მასწავლ. სოლომონ დოდაევისა.	ამათგან დატოვებულია აგრეთვე კომისიაში ყველა საეჭვო და აშკარად ბოროტგანზრახულების შემცველნი.
4 თავად ანტონ აბხაზის სახლიდან წამოღებული ქაღალდები (ყველა ისინი უკლებლივ ეკუთვნის განსვ. გენერ.-მაიორ თავად აბხაზოვს).	ამათგან გამოირჩევა კორპუსის არქივისთვის მთიულეთის ექსპედიციის საქმე 1830 წლის 24) და ქ. შუშის გეგმა (№ 22)
5. თავად ლუარსაბ თარხანოვის ქაღალდები [1].	
6. თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად დავით ჯორჯაძის ქაღალდები.	ამათგან საქმეს დაერთო ორი წერილი და რაზმაძის იგავი დათვი და ცხვარი.
7. ქაღალდები, წამოღებული მღვდელ ეფრემ ალექსევის სახლიდან (ამათში ბევრი აღმოჩნდა თავად დავით მაჩაბელოვის კუთვნილი) დანარჩენი ეფრემისა.	მღვდელი ეფრემის ერთი ბარათი დაერთო საქმეს, მისი საეჭვო შინაარსის გამო.
8. ქვრივ მართა მესხი ალექსეევის ქაღალდები.	მისი შვილის იოსების წერილები, რომლებიც ეჭვს აღძრავს, დარჩა კომისიაში.

[1] ამის გასწვრივ არაფერი არ სწერია.

9. იერომონახ ტარასის წიგნები.	ამათგან ერთი წიგნი დატოვებულია განსახილველად.
10. იმავე ტარასის ქაღალდები.	ამათგან კომისიაში დატოვებულია ერთი სურათი და რამდენიმე ქაღალდი.
11. სამსახურის გარეშე მყოფ პრაპორშიკ თავად ბიძინა ერისთავის ქაღალდები.	ამათგან დატოვებულია ალექს. ორბელ. (სოვეტნიკის) წერილი და პავლე თუმანოვის ორი წერილი.
12. თავად ვახტანგ ორბელიანოვის ქაღალდები.	საეჭვო წერილები დატოვებულია კომისიაში.
13. თავად ვარშავსკის ქვეითი პოლკის პორუჩიკ ნათალოვის ქაღალდები[1].	
14. იერომონახ ფილადელფოსის ქაღალდები.	საეჭვიანო ყველა გამორჩეულია და ინახება საქმეში.
15. კავალერიის პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე ერისთავის ქაღალდები[2].	
16. გვარდიის კაპიტან ზაქარია ჩელოყაევის ქაღალდები.[3]	
17. თბილისის მცხოვრებ ზალიკო ყორღანოვის ქაღალდები.[4]	
18. თავადის ასულ ნინა ალექსანდრეს ასულ ერისთავის ქაღალდები წამოღებული თამარ ბატონიშვილის ბინიდან.[5]	

1, 2, 3, 4, 5. ამათ გასწვრივ არა სწერია რა.

19. ყოფილი სოვეტნიკის თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ქაღალდები.	ამათგან ზოგი საეკვო დატოვებულია (კომისიაში).
20. აზნაურ ანდრია ლეონიძის ქაღალდები [1].	
21. დუშეთის ისპრავნიკ პაუშენკოს ქაღალდები ყველა ისინი ეხება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას [2].	
22. სამსახურიდან გადამდგარ თავად ელიზბარ ერისთავის ქაღალდები.	დატოვებულია დიმიტრი ერისთავის წერილი.
23. თავადების ბარძიმ და მისი შვილის გივი ამილახვარების ქაღალდები [3].	
24. თავად დიმიტრი მაღალოვის ქაღალდები.	ზოგი საეკვო შინაარსის ქაქაღალდი გადაითარგმნა.
25. აზნაურ სოლომონ რაზმაძის ქაღალდები.	
26. იმერელ თეიმურაზ ლორთქიფანიძის ქაღალდები.	
27. გენერალ-მაიორ თ. ჭავჭავაძის ქაღალდები.	ზოგიერთი ქაღალდი გამორჩეულია.
28. ქვეითი პოლკის პრაპორჩიკ მამაცოვის ქაღალდები [4].	

1, 2, 3, 4. ამათ გასწვრივ არა სწერია რა.

29. ქართველი თავადის ასულ თამარის ქაღალდები [1].	ზოგი წერილი, რიცხვით 16 გამორჩეულია.

პოლკოვნიკი ს უ მ ბ ა თ ო ვ ი
გვარდიის კაპიტანი ვ ს ე ვ ო ლ ო ჟ ს კ ი
8-ე კლასის ე ნ ა კ ო ლ ო ფ ო ვ ი.

ჯამბაკურიან-ორბელიანის ჩვენება (XIII, 2288)

დიდი ხნის განვლის გამო, აღარ მახსოვს რომელ თვესა და რომელ რიცხვში იყო, მაგრამ 1832 წელს ერთხელ თავად იასე ფალავანდოვთან მისულს, მან წამაკითხა შავი მის მიერ შედგენილი ქაღალდისა, რომელიც წარმოადგენდა პოლიციის მინისტრ ბატონ გენერალ ბენკენდორიფისადმი მიმართვას და ითხოვდა, რათა მას გამოეთხოვა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ნებართვა ს-პეტერბურგში ჩასასვლელად, რომ გადაეცა თხოვნა, ან ნება მიეცა ჩაებარებინა ეს თხოვნა რომელიმე მოხელისათვის პეტერბურგში წასაღებად. როცა მე ვკითხე რა შინაარსისაა თხოვნა მეთქი მიპასუხა, რომ პირადად მის შესახებ არის, რომ მას სურს აირჩიოს ქალაქში ცხოვრება. ამასთანავე დასძინა, რომ ზემოხსენებული ქაღალდი შეადგინა ბატონ სტატსკი სოვეტნიკ როდაფინივინის კარნახით, რომ შემდეგაც გაასწორა გუბერნატორის მდივანმა[2], ხოლო ყველა ზემოხსენებულის შემდეგ, აღნიშნული ქაღალდი გაგზავნა პეტერბურგში იმ დროს აქედან გამგზავრებულ ექსტრა ფოსტის წყალობით. როგორც მახსოვს, ექვსი კვირის განვლის შემდეგ მანვე თ. იასე ფალავანდოვმა მითხრა, რომ მან ინახულა თავადი კარხმაზ მელიქოვი, რომელმაც აცნობა, რომ, მიღებული ცნობის თანახმად, მისი თხოვნა მოსვლია პოლიციის მინისტრს და ეცნობა ბატონ საქართველოს მთავარ მმართებელს. ბატონ კორპუსის უფროსის ხაზიდან დაბრუნების შემდეგ კი მითხრა თ. იასე ფალავანდოვმა. რომ მან დანამდვილებით შეატყო რომ მისი თხოვნა მიღებული აქვს ბატონ საქართველოს მთავარ მმართებელს და იმედოვნებს მოკლე ხანში მიიღოს ნებართვა. ზემოხსენებულის მეტი სხვა არასო-

---

[1] თამარ ბატონიშვილი.

[2] გვარი არ იკითხება.

დეს არა უთქვამს რა ჩემთვის თ. იასე ფალავანდოვს და არც მე მითქვამს რამე.

44 ეგერთა პოლკის კაპიტანი თავადი ჯამბაკურიანი
ორბელიანოვი

5 აპრილი 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2204)

კითხვითი პუნქტი კავალერიის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს

მარტის 31, 1833 წ.

1831 წლის ზაფხულში, როდესაც ყოფილმა გუბერნატორმა ზაველეისკიმ ნება დართო კრივი გაემართათ ქალაქში და გარეუბანში, ზოგი თქვენი თანამზრახველი ფიქრობდა და ეს თქვენც იცით ამ შემთხვევით გესარგებლათ და მაშინვე მოგეხდინათ აჯანყება. განმარტეთ დაწვრილებით ყველაფერი, რაც იცით ზემოაღნიშნულის შესახებ, რატომ არ შესრულდა ეს წინასწარგანზრახვა და ან ხომ არავის თქვენ ამხანაგთაგან ან თქვენ თვითონ გქონიათ ეჭვი ბატონ ზეველეისკიზე, რომ მან მთავრობის მიმართ ბოროტი განზრახვით დართო ნება კრივის გამართვაზე ქალაქში, რაც სამუდამოდ აკრძალული იყო.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

მართალია, რომ 1831 წელს, ქალაქში იყო კრივი, სადაც მაყურებელთა შორის იყვნენ თვით ყოფილი გუბერნატორი ზავილეისკი, გენერალ მაიორი ჭავჭავაძე, მე და ბევრი სხვა თავად-აზნაური, მაგრამ არავითარი განზრახვა აჯანყებისა მე არა მქონია და არც ზაველისკისთვის შემიმჩნევია მთავრობისადმი არა კეთილგანწყობილება, რადგან კრივი უწინაც იმართებოდა. რაც შეეხება დანარჩენს თავადებს რომელნიც კრივს ესწრებოდნენ როგორც ქალაქში ისე გარეუბანში, მე არ მახსოვს რომ იმ დროს, ჩემთვის ეთქვათ რამე აქ აჯანყების მოხდენის შესახებ.

კავალერიის მაიორი თავადი
ლუარსაბ ორბელიანოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2298)

კითხვითი პუნქტი სამსახურიდან გადამდგარ თავად ელიზბარ ერისთავს

მარტის 31, 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანისთვის მოცემული ანალოგიური კითხვის (რომელიც სიტყვა სიტყვით არის განმეორებული) საპასუხოდ ელიზბარ ერისთავს უთქვამს: 1831 წელს ქალაქში კრივის ნება დართო თბილისის ყოფილმა გუბერნატორმა ზაველეიშკიმ: რადგან ეს მოულოდნელად მოხდა, მე არ განმიზრახავს მესარგებლნა იმით თუ კი ვინმემ იფიქრა კრივის გამოყენებაზე, უთუოდ მისი დამთავრების შემდეგ აღმოცენდა ეს განზრახვა. მე არავითარი ეჭვი არა მაქვს ბატონ ზეველეისკიზე, რომ ვითომც მან მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილების გამო დართო კრივის გამართვის ნება. და ეს კრივი ჩემი აზრით, შემთხვევით გაიმართა.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თ. ელიზბარ ერისთავი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2300)

ყოფილ სოვეტნიკ თ. ალექსანდრე ორბელიანოვს

1831 წელს თქვენ მისწერეთ ქართლში თავად ბიძინა ერისთავს, რათა მას საჩქაროდ თბილისში ჩამოსასვლელად მიეწვია თავადები: ელიზბარი და გიორგი დავითის ძე ერისთავები, მამუკა ორბელიანი, ზაქარია ციციანოვი და ლუარსაბ თარხანოვი, რომლებიც მაშინ დღეობაზე იყვნენ არბოში. განმარტეთ, ვინ გამოცხადდა მაშინ თქვენი მიწვევის შედეგად, რამდენად სწრაფად და ვინ ჩამოვიდა აქ პირველ ყოვლისა.

გენერალ-მაიორი
ვოლხოვსკი.

ეს გარემოება როგორც მახსოვს და მაგონდება ასეთი იყო. მე რომ ჩემს მეორე ძმას თ. ბიძინა ერისთავს წიგნი რომ მივწერე იმის მესამე დღეს თუ მეოთხე დღეს მე სოფელში წავედი ჩემ საკუთარ საქმეზედ, იქ ორი კვირა მეტი დავყავი, და შემდეგ ქალაქშივე ჩამოველ, და მე ვერავინ ვერა ვნახე რომ წამოსულიყო ვინმე. ჩემს წიგნის მიწერასა ესე ხსენებულნი პირთაგანნი.

აპრილის 1 1833-სა წელსა
პოდპორუჩიკი თ. ალექსანდრე
ორბელიანოვი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIII, 2302)

კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ კოლეგსკი რეგისტრატორს თ. იასე ფალავანდოვს

„ "[1] მარტი, 1833

1. პორუჩიკი თავად გიორგი ერისთავი ამბობს, რომ როდესაც მოხსენებულ იქნენ ქართველი ოფიცრები: ნათალოვი, ხერხეულიძე, ახვერდოვი, მამაცოვი, ჯორჯაძე, რომელთაც შეიძლებოდა მისცემოდათ დავალებები შეთქმულების პირველი ღამის განკარგულების შესაბამისად — თქვენ, დაასახელეთ აგრეთვე ერთი რუსი ოფიცერთაგანი.

განმარტეთ ეს გარემოება და დაასახელეთ აგრეთვე იმ ოფიცრის გვარი.

1. მე არ მომიხსენებია არც ნათალოვი, არც ხერხეულიძე, არც ახვერდოვი, არც მამაცოვი, არც ჯორჯაძე და არც რომელიმე რუსი ოფიცერი, და საერთოდ ოფიცრებს არავის ვიცნობ.

დეკემბრის 10 რიცხვში ჩემთან მოვიდნენ ალექსანდრე ორბელიანოვი და მისი ძმა დიმიტრი. ალექსანდრემ მითხრა, რომ მან ეს განზრახვა განუმეღავნა შტაბს კაპიტან ონიკოვსა და მის ძმას ალექსანდრე ონიკოვს.

2. თქვენ გქონდათ დიდი ხნის ნაცნობობა იმერელ თეიმურაზ ლორთქიფანიძესთან თქვენ იცოდით, რომ მას 1831 წ. დაევალა გაევრცელებინა შეთქმულება იმერეთში. განმარტეთ რამდენად ხშირად იყო თქვენთან ეს ლორთქიფანიძე 1831 წელს და რას გეუბნებოდათ განზრახულების შესახებ მისთვის მიცემულ დავალებაზე.

2. ჩემს მიერ კომისიაში ნაჩვენებია, რომ 1832 წელს ალექსანდრე ორბელიანოვი მეუბნებოდა, რომ მან აჩუქა რამდენიმე ჩერვონეცი იმერელ აზნაურს თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, რათა მან იმერეთში გაავრცელოს ხმა რომ საქართველოდან რუსებს ხალხი სალდათად მიჰყავთ, ეს ლორთქიფანიძე ზოგჯერ დადიოდა ჩემთან, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს მისთვის მიცემულ დავალებაზე და მე არ ვიცი 1831 წ. ჰქონდა თუ არა მას რამე დავალება მიცემული.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

---

1 რიცხვი არ წერია.

ანტონ აბხაზის ჩვენება (XIII, 2304)

ამას წინათ მქონდა პატივი მომეხსენებინა პატივცემული კომისიისათვ ის, რომ თავად იასე ფალავანდოვის სახლში, მოწმეების: თავადების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვების, ელიზბარ და პორუჩიკ გიორგი რევაზის ძე ერისთოვის თანდასწრებით, — მე სავსებით გავემიჯნე მათს საზოგადოებას, ისე რომ თვით მათაც ვურჩევდი ხელი აეღოთ მთავრობის წინააღმდეგ საუბრებზე. ამის მერე რამდენიმე ხნის შემდეგ, სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში შეიყარნენ შემდეგი თავადები: გვარდიის კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევი, ელიზბარ და გიორგი რევაზის ძე ერისთავები, იასე ფალავანდოვი და ვახტანგ ორბელიანოვი; ეს იყო ყარაბაღში ჩემი გამგზავრების წინ, სექტემბრის დამლევს. გვარდიის კაპიტანმა თავად ზაქარია ჩელოყაევმა მომითხოვა მე იქ. ყველანი: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, გიორგი რევაზის ძე ერისთავი ეუბნებოდნენ მას რომ ანტონ აბხაზოვმა სრულიად გადაჭრით უარი სთქვა ჩვენს საზოგადოებაზე და ჩვენ ყველას გვთხოვა თავი დავანებოთ მთავრობის წინააღმდეგ რამე ფიქრსო. იასე ფალავანდოვი ამ შეკრებილობაზე ამბობდა ამ სიტყვებს, რომ მე საშიში ვარ და ვაითუ აბხაზოვმა შეთქმულება მთავრობას აცნობოსო, ამაზე ზაქარია ჩელოყაევმა სიტყვის მოგებით უთხრა: „გაპბედავს რომ ჩვენი განზრახულება მთავრობას აცნობოს, ჩვენ ყველანი მაგას გადავაბრალებთო", ელიზბარ ერისთავი მე მიწოდებდა „თვითმარქვიას", ე. ი. არა ნამდვილ აბხაზს და უშვერად მაგინებდა, იმიტომ რომ მე არ მოვისურვე მონაწილეობა მიმეღო მათს განზრახვაში. ეს გარემოება პირადად მითხრეს თავადებმა, ალექსანდრემ ვახტანგმა და იასე ფალავანდოვმა, ამიტომ ვბედავ უმდაბლესად მოვახსენო აღნიშნული გარემოება პატივცემულ კომისიას და ვთხოვო იტვირთოს თ. იასე ფალავანდოვის დაკითხვა ამ საგანზე, იქნებ სხვა გარემოებაც გამოირკვეს რამე.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი

აპრილის 1, 1833 წ.

პრაპორშჩიკ მამაცოვის ჩვენება (XIII, 2306)

საგამომძიებლო კომისიას
პრაპორშჩიკ მამაცოვის განმარტება

აზნაურთა პოლკში ყოფნის დროს უქმეებზე იშვიათად დავიარებოდი ქართველ ბატონიშვილებთან ლუარსაბთან და დიმიტრისთან,

აგრეთვე თეიმურაზთან, იქვე მოდიოდნენ აგრეთვე ქართველი თავადები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი ერისთავები, და დავით ჯორჯაძე, დადიოდნენ ძალიან ხშირად, ასოლომონ რაზმაძესაც ჰქონდა ნაცნობობა დიმიტრი ბატონიშვილთან. ყველა ზემოხსენებული დიმიტრისთან უფრო იყვნენ მიჩვეულნი, ვიდრე ლუარსაბთან. მათთან ყოფნის დროს მე უფრო ხშირად განცალკევებული ვიყავი ხოლმე მათგან ცალკე ოთახში ლუარსაბთან. მართალია ზოგჯერ შევდიოდი ხოლმე მათთან, მაგრამ რამე საეჭვო საუბრები ჩემი თანდასწრებით არა ჰქონიათ.

2. ოქროპირ ბატონიშვილთან არასოდეს არავითარი საუბარი არა მქონია, მხოლოდ ერთხელ მინახავს ოქროპირი, ისიც ეკლესიაში, შორიდანვე, კორპუსიდან რომ გამომიშვეს მოსკოვიდან მივწერე როგორც თეიმურაზს, ისე ლუარსაბს. ვაცნობებდი რა მშვიდობით ყოფნას და ბოდიშს ვიხდიდი რომ წამოსვლის წინ ვერ ვინახულე და ვერ გამოვეთხოვე. თეიმურაზ ბატონიშვილს ვაცნობებდი აგრეთვე, რომ დამეკარგა საგზაო ფული (прогонные деньги) აქედანვე მივწერე აგრეთვე ლუარსაბსა და ვთხოვდი გარნიზონის წესდებას, რომელიც დავით ჯორჯაძის ხელით მივიღე. მისი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი ჯორჯაძესთან, მაგრამ მისგან საეჭვო რამ სრულებით არ გამიგონია. იგი ჯორჯაძე მაშინ ერთხელ იყო ჩემთან, დიდ ხანს დარჩა, ბნელი ღამე იყო; ის ავლაბარში ცხოვრობდა, მე კი კუკიაში, იმიტომ დარჩა ჩემთან, რადგან ბნელი ღამე იყო.

4. თბილისიდან პოლკში წასვლის წინ ჩემთან იყო სადილად ელიზბარი ერისთავი და მისი ძმა თუ ბიძაშვილი, რომელთანაც მე ნაცნობობა არა მქონია, სადილზე იყვნენ აგრეთვე ვახტანგ ორბელიანოვი და იოსებ მამაცოვი, იყვნენ აგრეთვე ლეონიძე და თბილისის პოლკის იუნკერი სტრემილოვი; დავლიეთ ერთმანეთის სადღეგრძელო, აგრეთვე ბევრი სხვებისაც. თამადად იყო ელიზბარ ერისთავის ძმა თუ ბიძაშვილი; მერე არ მახსოვს ვახტანგმა თუ ელიზბარმა დალია დიმიტრი ბატონიშვილის სადღეგრძელო, რაც ყველამ გაიმეორა. მაგრამ საქართველოზე საუბარი სრულებით არ გამიგონია; მაგიდასთანაც იშვიათად ვიყავი, მეტწილად საშზარეულოში ვტრიალებდი; მათი საუბარი სრულებით არ გამიგონია და ვმასპინძლობდი, რითაც შემეძლო. ყველანი თითქმის მთვრალები ვიყავით და საღამო ჟამს დავიშალენით. მესამე დღეს მე წავედი პოლკში. სამოსწავლო ბატალიონის შესახებ მე სრულებით არა ვიცი რა და ბა-

ტალიონის არც ერთ ოფიცერთან მე საუბარი არა მქონია, არც ნაცნობობა, გარდა ჯორჯაძისა და შტაბის კაპიტან ნიკიფოროვისა.

1832 წელს სამსახურის საქმეზე თბილისში ყოფნის დროს დავდიოდი ელიზბარ ერისთავთან და ერთხელ მასთან იყო მისი ძმა დიმიტრი, აგრეთვე ბირთველ თუმანოვი, მაგრამ არც მათთან და არც ჩემთან ელიზბარისათვის ამგვარი საუბარი არ შემიმჩნევია.

5. ვახტანგ ორბელიანოვთანაც დავდიოდი, მაგრამ იქაც ჩემი თანდასწრებით საქართველოს შესახებ არაფერი ულაპარაკნიათ. მაგრამ ერთ საღამოს დიმიტრი ყიფიანთან ვიყავით გვიან ღამით: ვახტანგ ორბელიანოვი, მე და ზაალ ავთანდილოვი, ავთანდილოვს მე სრულებით არ ვიცნობდი. დავიწყეთ საერთო საუბარი კომედიაზე. უცებ ვახტანგ ორბელიანმა მხარზე დამკრა ხელი და მითხრა, ჩვენ რომ თავისუფლება გვქონდეს, ასე არ წავხდებოდითო, მეკითხებოდა განა ასე არ არის, ამაზე მე შევუბრუნე სიტყვა და ვუთხარი, რათა მან ასეთი საუბარი შესწყვიტოს რადგან მე რუსულ მუნდირს ვატარებ მეთქი. ზაალ ავთანდილოვმა კი უთხრა, რისთვის დაგჭირდათ ამის თქმა, მე არ მესმისო. ხოლო ვახტანგ ორბელიანი ერთხანს გაჩუმებული იდგა და მერე შინ წავიდა, ისე რომ ხმა აღარ ამოუღია, როგორც ეხლა ვფიქრობ, სჩანს ვახტანგ ორბელიანოვს რაღაც განზრახვა ჰქონდა და რაღაც იცოდა; მე კი სრულებით არა ვიცოდი რა ამის შემდეგ მე იგი არასოდეს არსად აღარ მინახავს და ამიტომ სრულ სიმართლესა ვწერ.

ამას გარდა მსურს დამატებით მოგახსენოთ, რომ ჩემი სიღარიბე ამის დამადასტურებელია. მე რომ რამე მცოდნოდა რუსთაგან საქართველოს განთავისუფლების განზრახვაზე ვალად ჩავუთვლიდი ჩემს თავს, გამემჟღავნებინა იგი. 1. ამიტომ რომ მე მაქვს ფიცი მიღებული, რათა ვემსახურო ღმერთსა და დიდ ხელმწიფეს. 2. რომ მე რუსებისაგან ვიღებ ლუკმა პურს და ჩემი მოხუცი დედაც ჩემი ხელფასიდან იღებს საზრდოს. 3. მაქვს საკმაო შეგნება, რომ მიჯობს მოვკვდე მტრებისთვის, ვიდრე ვემსახურო ქართველ თავადებს. 4. უმჯობესია მქონდეს რამე უპირატესობა ქართველ თავადების მიმართ, ვიდრე ვიყო მათი ერთგული, მათ ეს უნდა ესმოდეთ, რომ მე ამის შეგნება მაქვს. მაშასადამე მათ არ შეეძლოთ ქოხოდათ ჩემთან ისეთი მეგობრობა, რომ ჩემთვის თავიანთი საიდუმლო გაემჟღავნებინათ. 5. გავბედავ კვლავ დავუმატო რომ როგორც პოლკში ისე დივიზიის უფროსმა იციან რა ერთგულებით ვასრულებ სამსახურს. ამის დამადასტურებლად წარმოვადგენ შტაბის კაპიტან თუმანოვის მოწმობას. როგორ ვისწრაფვოდი დამეღვარა მტრების სისხლი, როდესაც ჩვენი პოლკის პირველი ბატალიო-

ნი ლაშქრობაში გაიგზავნა. ახლა ჩემს წინააღმდეგ მოქმედებენ პოლიტიკის მიმდევარი ხალხი, ვითომ მეგობრები, მაგრამ სინამდვილეში ჩემი მოძულენი.

პროპორშჩიკი მ ა მ ა ც ო ვ ი.

აპრილის 1, 1833 წ.

მაიორ კალაჩევსკის მოხსენებითი ბარათი (XIII, 2312)

მოხსენებითი ბარათი. 6 აპრილი 1833 წ. ქალაქი გორი.

უცხოელ ვეისის შესახებ, რომელიც ცხოვრობდა ხერსონების გრენადერთა პოლკის მაიორ კალაჩევსკისთან.

უცხოელ ვეისის შესახებ, რომელიც გასულ წელს ცხოვრობდა ჩემთან არაუმეტეს სამი თვისა, თქვენი უმაღლესობის ბრძანების თანახმად, მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი: ბატონი ვეისი ტომით პრუსიელია, სახელდობრ რა ადგილიდან შთამომავლობს არ ვიცი. სხვა არავითარი წერილობითი დოკუმენტები მას ჩემთვის არ წარმოუდგენია, გარდა წვრილი ბარათებისა რომელიც მას შემორჩენია ს. პეტერბურგში არტილერიის თუ საინჟინრო სასწავლებელში მუშაობის დროიდან, სადაც ის გერმანულ ენას ასწავლიდა. ამ ბარათებიდან ჩანდა რომ ისინი მიწერილი იყო ფილოსოფიის დოქტორ ფონ ვეისისადმი. იყო რა უდიდესი მკვეხარა და თავშეუკავებელი ლოთი, მას ზოგის წინაშე თავი მოჰქონდა როგორც ბარონს და პოლკოვნიკს. სად მიუღია პირველდაწყებითი განათლება არ მახსოვს გარეგნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი 27 წლისაზე მეტი არ უნდა იყოს. რა დროიდან არის რუსეთში არ ვიცი, უკვე ოთხი წელიწადი კი უნდა იმყოფებოდეს. მისი სიტყვით, რაც მთლიანად დასაჯერებელი არ არის, იგი სულ სანკტ პეტერბურგში იმყოფებოდა. სასწავლებლიდან დათხოვნის შემდეგ რის მიზეზიც ფილოსოფიის დოქტორის რწმუნებით ავადმყოფობა, ხოლო სხვათა უფრო სარწმუნოთა თქმით — ლოთობა იყო, იგი ასწავლიდა კერძოდ უცხო ენებს და იღებდა წელიწადში 12 ათას მანეთს. ამავე დროს დაეთანხმა პრაპორშჩიკ თავად ერისთავს და წამოჰყვა მას საქართველოში წლიურად 3 ათას მანეთზე, ისე რომ ამაზე არ დაწერილა რამე წერილობითი პირობა და იგი ენდო ერისთავის პატიოსან სიტყვას. თბილისში ჩამოსვლისას ვეისმა ერისთავისაგან ვერ მიიღო თანხის მცირე ნაწილიც კი, რის გამოც დიდად გაუჭირდა, მჭიროდა რა ფრანგულის მცოდნე კაცი მე დავიქირავე ვეისი

რომელზეც თავადმა ერისთავმა მითხრა, რომ ზოგჯერ ითვრება მაგრამ არც თუ ძალიანაო, მაგრამ მერე სრულიად საწინააღმდეგო გამოირკვა და მე ვერ შევძელი შემენახა იგი სამ თვეზე მეტს. კუმიკის სამფლობელოს ბანაკიდან იგი გამოემგზავრა ბატონ კორპუსის უფროსთან განმარტებისათვის გაწვეულ სამსახურიდან გადამდგარ როტმისტრი თავად ობოლენსკისთან ერთად, მაგრამ მან პირველსავე სტანციიდან ამირ-ადჯი-იურტიდან, იგი გააგდო და ამის შემდეგ ფილოსოფიის დოქტორს მოუხდა ფეხით მგზავრობა, რომლის დროსაც, მისი მოქმედების შესაბამისი მრავალი გაჭირვება და დამცირება განიცადა. აქ მე უკვე გავიგე, რომ მან მოახერხა მიეღო თავად ერისთავისაგან რაღაც თანხა და პეტერბურგში წავიდაო. ფილოსოფიის დოქტორის აზრები შეეწონებოდა მის სუსტ მხარეებს, პოლიტიკური ამბები განსაკუთრებით ნაკლებ აინტერესებდა: მაგარი სასმელისა და თუთუნის შემდეგ მისი საყვარელი საუბარი იყო მსჯელობა: ბუნებაზე, ცხენებზე, უჩვეულო კვეხნა საკუთარ განსწავლულობაზე, რის დასამტკიცებლადაც წარმოსთქვამდა სიტყვებს სხვა და სხვა ენებზე, რაც მსმენელებს არ ესმოდათ. ენები: ებრაული, ბერძნული, ლათინური და არაბული განსაკუთრებით შეადგენდნენ ფილოსოფიის დოქტორის სისუსტის პუნქტს. განსაკუთრებით სიმთვრალეში, აზრები და მსჯელობა, მიმართული მთავრობის წინააღმდეგ, ან მისი ურთიერთობა ვისთანმე ამ მიმართულებით, არასოდეს წარმოუთქვამს არც სიმთვრალეში და არც სიფხიზლეში და არც შემიმჩნევია. ნაცნობობასა და კავშირურთიერთობაზე როგორც იქ ისე საზღვარგარეთ არასოდეს არ უთქვამს. აქაურ თავადაზნაურთაგან არავისთან ჰქონია კარგი დამოკიდებულება, გარდა თავად ერისთავისა რომელთანაც ძალიან დაახლოებული დამეგობრებული იყო, მას მუდამ კეთილად ახსენებდა და არ ემდუროდა ფულის გადაუხდელობაზე და იმის გამო, რომ მოატყუა და აქ ჩამოიყვანა. მაგრამ როგორც სჩანს ეს მისი განწყობილობა მომდინარეობდა იმ მადლიერების გრძნობიდან, რასაც მასში იწვევდა კარგი ღვინო, რომელიც ესოდენ კარგი და ამდენი სხვაგან არსად დაულევია, როგორც თავად ერისთავთან.

ვეისი ერთხანს ცხოვრობდა ნადვორნი სოვეტნიკ მელნიკოვთან, რომლის შესახებ აგრეთვე განსაკუთრებული არა უთქვამს რა, გარდა იმისა რომ აქებდა პუნშს, რომელსაც მელნიკოვი ძალიან კარგად ამზადებსო, საერთოდ თუ ფილოსოფიის დოქტორი რისიმე თხრობას დაიწყებდა, — ეს იყო ან მეცნიერული სისულელე, ან თავგადასავალი ლოთობის შემდეგ რომ შემთხვევია. თუ რა ნაცნობობა ჰქონდა სანკტპეტერბურგში, იგი თავხედურად ასახელებდა

მხოლოდ პირველი კლასის გვარებს. რომელთა დამახსოვრებაც იმდენადვე არ მიცდია, რამდენადაც ვიცოდი რომ ტყუილს ამბობდა. ვამთავრებ რა ჩემს ცნობებს, მე ვცდილობდი წარმომესახნა ბ. ვეისი სწორედ ისეთად როგორც მას იცნობენ ჩემი ბატალიონის ოფიცრები, რათა თქვენ გქონდეთ საშუალება სწორი წარმოდგენა იქონიოთ მასზე. რადგან ჩემი ბუნებით განსხვავდები ვეისისაგან, მე არ შემეძლო ვყოფილიყავი მის მიმართ მოკრძალებით, ამიტომაც რაც მასზე ვთქვი სრული სიმართლეა. კავკასიის საპირორთა ბატალიონის ბევრი ოფიცერი, მათ შორის ჭილაევი, ეჭვს გარეშეა, დაადასტურებენ, რომ ასეთი ფუქსავატი ადამიანი, როგორიც ვეისი იყო, მათ მეორე არ შეხვედრიათ.

მაიორი კ ა ლ ა ჩ ე ვ ს კ ი.

მის აღმატებულებას კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობის შემსრულებელს ბატონ გენერალ მაიორსა და კავალერს ვოლხოვსკის.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2310)

თავად მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვს
2 აპრილი, 1833 წ.

თქვენს ერთ ჩვენებაში მოხსენებულია, რომ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთავი ამბობდნენ: „როდესაც ჩვენ ოქროპირ ბატონიშვილთან გვქონდა მოლაპარაკება, ასეთივე მოლაპარაკება ჰქონდა მასთან ჩვენს განზრახულებაზე მამუკასაც“. განმარტეთ დაწვრილებით ზემოხსენებული და რა იცით ოქროპირ ბატონიშვილის ურთიერთობაზე მამუკა ორბელიანოვთან, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვიც, ამის

რაც კი რამ ვიცოდი, ადრეევე მომიხსენებია, ახლა კი ვამბობ, რომ მე პირდაპირ არ მინახავს და არც ვიცი ჰქონდა თუ არა მამუკა ორბელიანოვს ოქროპირ ბატონიშვილთან რამე ურთიერთობა; მაგრამ საუბარში 1832 წელს თქვეს ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანოვმა და ელიზბარ ერისთავმა, რომ როდესაც მათ ჰქონდათ ჩვენს შეთქმულებაზე მოლაპარაკება ოქროპირ ბატონიშვილთან, მაშინ მასთან დაიარებოდა აგრეთვე მამუკა ორბელიანოვიც, ამის

ლიანოვთან და ელიზბარ ერისთავთან.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

მეტი მათგან აღარა გამიგონია რა და ამაზე აღარც არა მიკითხავს მათთვის და მე თვითონ არ ვიცი რა ურთიერთობა ჰქონდათ ოქროპირ ბატონიშვილთან ალექსანდრე ორბელიანოვსა და ელიზბარ ერისთავს.

კავალერიის მაიორი თავადი
ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2318)

კითხვითი პუნქტი კავალერიის პრპორშჩიკ თავად გიორგი ერისთავს

აპრილი 5, 1833 წ.

თქვენთვის ცნობილ თხზულებათა შორის თქვენ მოიხსენიეთ აგრეთვე თარჯიმან მამაცოვის თხზულება, „სამშობლოს სიყვარულზე". განმარტეთ დაწვრილებით მისი შინაარსი, რა სტილით იყო იგი დაწერილი, რა მიზნით, რა მოცულობისა იყო, როგორ ქაღალდზე ეწერა, სად წაიკითხეთ იგი, ვინ გადმოგცათ და თქვენ ვის გადაეცით იგი; იყო იგი ორიგინალური ნაწარმოები თუ თარგმანი.

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

ერთხელ საღამოს მივედი ვახტანგ ორბელიანოვთან, სადაც დაწვდნენ ავთანდილოვი და ყიფიანოვი, რამდენიმე საუბრის შემდეგ ვახტანგმა სიცილით მითხრა, გიორგი, წაკითხული გაქვს თუ არა მამაცოვის თხზულება „სიყვარული სამშობლოსადმი". მე ვუპასუხე, არა მეთქი. მან თქვა სწერს და არ ვიცი დაამთავრა თუ არაო, და აი, ის აქა მაქვსო, აიღო და გადმომცა. დაწერილი იყო იგი სერის ფერ ქაღალდზე, ორი თუ სამი ფურცელი, კარგად არ მახსოვს. მე დავიწყე კითხვა და ისინი მისმენდნენ. ავთანდილოვმა თქვა, რომ ეს ყველაფერი კარამზინიდან უთარგმნიათო. ბოლოს მე შევწყვიტე კითხვა რადგან დავრწმუნდი, რომ იგი ამოწერილი იყო ბიძაჩემ მიტროპოლიტ ვარლამის თხზულებიდან, რომელიც მან მიუძღვნა ხელმწიფეს და სადაც წერილში ნათქვამია შემდეგი: (ვითა სამარიტელმა იხილა რა დაწყლულებული და დამწყდარი და დასცხო წყლულთა მისთა ზეთი

და ღვინო, აგრეთვე მსგავსადვე მის სამარიტილისა იხილე შენ ივერია დამწყდარი და დაწყლულებული და დასცხე მას ზეთი მოწყალება და მშვიდობა და ღვინო ესე იგი ძალი და ძლიერება) [1].

მე დავაგდე რვეული მაგიდაზე და ვთქვი, რომ იოსებისაგან ამას არ მოველოდი, აქ მას თავისის არაფერი აქვს და ბოლოს ის მაინც გაეკეთებინა, რომ მიეთითებინა ბოლოში რა ჰქონდა კარამზინიდან და რა ვარლამიდან ამოღებული. დაე, დაბეჭდოსო თქვა ვახტანგმა და ჩვენ გავაკრიტიკოთო. ამ დროს ფანჯარაში შევნიშნე ვარლამის თხზულება, ავიღე და წავიკითხე ის ადგილი, რომელიც მამაცოვს ქონდა გადმოწერილი, ყველანი ხმამაღლა ვიცინოდით. ავთანდილოვმა აიღო მამაცოვის თხზულება და სთქვა, აბა სად არის აქ მისი საკუთარი სიტყვა. აქედან აქამდე კარამზინისაა, მერე ვარლამისი, ხელს კი იოსებ მამაცოვი აწერსო. მე გამოვართვი ის რვეული და შინ წავიღე. მეორე დღეს იმავე რვეულზე დავუწერე მამაცოვს შემდეგი შინაარსის წერილი: „ძვირფასო იოსებ" გუშინ ვიყავი ვახტანგთან და წავიკითხე შენი თხზულება, აქ იყვნენ ყველა ჩემი ამხანაგები და ჩემდა სამწუხაროდ შენიშნეს, რომ ყველაფერი კარამზინიდან არის გადმოწერილი. ბოლოს ჩვენ ამხანაგთაგან ერთმა აიღო ვარლამის თხზულება და ათვალიერებდა მე ვუთხარი მათ წაკითხული გაქვთ თუ არა რა კარგად სწერს ვარლამი ხელმწიფეს მეთქი და დავიწყე კითხვა. ყველამ წამოიძახა: ა.ა. მათ შეადარეს და აღმოჩნდა რომ მთელი თხზულება გადმოწერილია ვარლამისაგან და კარამზინისაგან, ისინი იცინოდნენ, მე კი გავწითლდი, დამწუხრებული წავედი შინ და ახლა გიბრუნებ შენს თხზულებას".

მე იმავე დღეს ქალაქში გავედი და შევიარე მამაცოვთან, მას ყველაფერი ვუამბე. ის გაჯავრდა და სთქვა, გაუგზავნეთ დოდაევს დაბეჭდოს და მერე გამაკრიტიკეთო, მე ვუმტკიცებდი რომ ის კრიტიკის წინაშე თავს ვერ გაიმართლებდა. უფრო მეტად გაჯავრდა და მითხრა დამიბრუნეთ, მართალია სირცხვილია, დაიბეჭდოს იგი დოდაევ-მაგარსკის ჟურნალშიო, მე წამოვედი მისგან და არ მახსოვს დავუბრუნე მას თხზულება, თუ ჩემთან დარჩა. მიზანი კი ის იყო, რომ ჩვენ ყველანი ვცდილობდით რამე შეგვეთხზა ან გადმოგვეთარგმნა და ჟურნალში დაგვებეჭდა, მასაც სურდა თავის გამოჩენა სხვა არავითარი მიზანი არა ყოფილა.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთავი.

აპრილის 6, 1833 წ.

---

1 ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი გ. ერისთავს ქართულად დაუწერია.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2320)

ბატონ თავად ელიზბარ ერისთავს

5 აპრილი, 1833 წ.

1. სახელდობრ როდის გაიგეთ პირველად, რომ იასე ფალავანდოვი თქვენს განზრახულებაში მონაწილეობდა.

1. იასე ფალავანდოვის მონაწილეობა განზრახულებაში პირველად გავიგე 1831 წლის ზაფხულში: მგონია ივლისის დამდეგს მითხრა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა, რომ მან გამოუცხადა ჩვენი განზრახულება იასე ფალავანდოვს და ის თანახმაია.

2. ვისთან უფრო ადრე გქონდა განზრახულების გამო ურთიერთობა დოდაევთან, თუ სოვეტნიკ ორბელიანოვთან.

2. სოვეტნიკ ორბელიანოვთან პირველი საუბარი განზრახულებაზე მქონდა 1831 წლის ზამთარში, მგონია „იანვარში", ხოლო დოდოევს კი პირველად ველაპარაკე 1831 წლის გაზაფხულზე: შეიძლება ეს 1830 წლის დეკემბერშიც იყო, პოლონეთის აჯანყების ცნობის მოსვლისთანავე.

3. რა იცით მამაცოვის თხზულების შესახებ.

3. მამაცოვის თხზულებაზე „სიყვარული სამშობლოსადმი" მელაპარაკა პრაპორშჩიკი გიორგი ერისთავი, რომ მან წაიკითხა და იგი აქებდა მას. მე ვკითხე გიორგის, გადათარგმნა თუ მამაცოვმა ოვითონ შეთხზა მეთქი. მან ამაზე მიპასუხა, რომ მამაცოვს გადაუთარგმნია კარამზინისაგან. მე თვითონ არა მქონია შემთხვევა წამეკითხა მამაცოვის თხზულება.

სამსახურიდან გადამდგარი თავადი ელ. ერისთავი.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (XIII, 2322)

ბატონ პრაპორშჩიკ ჯორჯაძეს

5 აპრილი, 1833 წ.

თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ელიზბარ ერისთავთან სადილზე მოისმინეთ რაზმაძის იგავი გადმოთარგმნილი პოლონურიდან, მიცკევიჩის თხზულება, რა შინაარსისაა და რა სათაური აქვს იგავს.

გენერალ-მაიორი ჩეკინი.

ჩემს მიერ ელიზბარ ერისთავთან სადილზე მოსმენილ იგავში, სათაურით „დათვი“, მისი შემთხზველი წარმოადგენს დათვს, რომელიც ცხვრის ფარას ბატონობს და მათ განაგებს. აი რამდენადაც მახსოვს, მთავარი მიზანი იგავის მთხზველისა. თუმცა ამ მთავარი მიზნის გარდა, სხვა არ მახსოვს, რადგან შარშან მაისში მაქვს იგი მოსმენილი.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2324)

1. თავადი იასე ფალავანდოვი თავის ერთ ჩვენებაში ამბობს, რომ თქვენ ეუბნებოდით მას შეთქმულებაში მონაწილეობაზე შემდეგი თავადებისა. ივანე ზაალის ძე და დავით გოსტაშაბის ძის ბარათოვების.

განმარტეთ ეს გარემოება დაწვრილებით და განსაკუთრებით კი რაც იცით დავით გოსტაშაბის ძე ბარათოვზე.

1. უფალს იასე ფალავანდოვს რომ უჩვენებია ჩემზე ვითომ მე მეთქოს იმისათვის, ამა ხსენებულთა პირთა (ზედა) ესე არა არს იასესაგან ჭეშმარიტი ჩვენება. ის კი მართალია, რომ თავად ივანე ზაალის ძე ბარათოვისა უთხარი მე იასეს, რომელიც ამას წინათ ვაჩვენე კომისიასა შინა ივანე ზაალის ძეზე. და დავით ღოსტამოვიჩს ბარათოვს ვერ ვიცნობ ვინ არის, არამც თუ ამისი ვიცოდე რამე, — სამნი დავით ბარათოვები არიან, ერთი არის ჩემი სიმამრი და ორი კიდევ სხვანი არიან, და უმდაბლესად ვთხოვ კომისიას რომ უფალს იასე ფალავანდოვს ეკითხოს რომელსა (ზედა) აჩვენებს იგი, რომელსაც სამთავ დიახ კარგათ იცნობს უფალი იასე ფალავანდოვი.

აპრილის 5. დღესა 1833-სა წელსა პოდპორუჩიკი თავადი
ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ჯამბაკურ-ორბელიანის ჩვენება (XIII, 2330)

ჩემს მიერ ამა კომისიაში აპრილის 5 ს. წარმოდგენილი ჩვენების დამატებად, მაქვს პატივი კიდევ ვაცნობო: როგორც ეხლა მაგონდება იასე ფალავანდოვმა მოხსენებული ჩანაწერის შავი წამაკითხა ივლისში თუ აგვისტოში 1832 წელს, ოღონდ რიცხვი არ მახსოვს, დიდი ხნის განელის გამო.

44 ეგერთა პოლკის კაპიტანი თავადი
ჯამბაკურ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1 აპრილი, 1833 წ.

უპატივცემულესი კომისია მკითხავს კარტინისა, და დათვის ზღაპრის ამბავს, რომლისთვისაცა მაქვს პატივი რათა უპატივცემლოდ მოვახსენო პასუხი ორის პუნქტის ამის.

რას ნიშნავს ეს გახატული ქაღალდი და ანუ მას შინა გველი შუა კაცი (ზმეი პოსრედნიკი) ვისგან არს გაკეთებულ და ვისთვის და საიდამ ჩაგივარდათ, ან რამდენი ხანი არის შენთან.

იცით გარემოება ზღაპრისა ცხვრისა და დათვის თუ არა.

ქ. ეს გახატული[1] სურათი, რომელიც ჩემს ქაღალდებში გიპოვნიათ, ნიშნავს საქართველოს მაგალითს, ლომი ნიშნავს სპარსეთს, დათვი ოსმალეთს, მგელი ლეკებს და მელა მთის ხალხს, და ცხვრები საქართველოს, რომელიც მომცა იოანე ცარევიჩმა სხვათა კარტინებთან შორის, და მისგანვე არის გაკეთებული და ხელითა მისითავე დახატული: 1817 წელსა როდესაც მე პეტერბურგში მივედი მაშინ მომცა, რადგან მე მაშინ მხატვრობას ვსწავლობდი და ის მაძლევდა ჭოლმე სამხატვრო მაგალითებს თხოებით, და იმ მაგალითებსა, თუ ორღინალებთა შორის, ეს კარტინაც იპოვნა და მითხრა, აი უცხო მაგალითი გავაკეთე საქართველოსი და ხელმწიფეს მივართვი ამის პირობით ამასაც შენ გაჩუქებო, ეგეცა და სხვებიც ბევრი კარტინები მომცა, მას აქეთ მეთერთმეტე წელიწადია, და იმას უწინ, ვგონებ შვიდისა და რვის წლის უწინ ჰქონდა გაკეთებული, ეგ კარტინა, და თითონვე განმიმარტა თუ რას ნიშნავდა მზეცი, ისრე როგორც ზემო დავწერე: გველებისა სწორედ არ მახსოვს, და ვგონებ ასე მითხრა გველები პასლანიკებსა ნიშნავს საშუალო მატარებლებსა სპარსეთსა ოსმალთა და ლეკთა შორისო, რომელნიცა ორისავე მხრისგან სარგებლობდენო, რომელთაგანაც შევიწროებული იყო საქართველო და ეს ზეცით მოვლინებული ღრუბელზედ მჯდომარე რუსეთის იმპერატორი არისო, რომელიც მოუვლინა ღმერთმან საქართველოსა შემწედ და საფარველად, რომელმანცა მეხის ცემითა და ელვითა, ესე იგი რისხვითა და ძლიერებითა თვისითა განაბნივნა და შეაძრწუნნა ზემოხსენებული მტერნი საქართველოსანი და ჰფარავს საფარველითა თვისითა. ასე განმიმარტა ცარევიჩმა იოანემ მაგ კარტინის ამბავი და ნამდვილ მისი გაკეთებულიც არის და მისივე ხელით დახატული.

ქ. ცხვრისა და დათვის ზღაპრის გარემოება კი არ ვიცი და არც წამიკითხავს: მგლისა და ბატკანისა კი ვიცი, რომელიც წამიკითხავს

[1] ჩვენების ავტორის მარჯვენა დაცელა

რუსულს აზბუკაში და რომელიც მახსოვს ესრეთ: მგელი მივიდა მდინარეზედ და წყალს სმა დაუწყო, როდესაც თავი აიღო, შეხედა ქვევით, საითაც წყალი მიდიოდა, და რამდენსაც საკენს მოშორებით დაინახა რომ იქ ბატკანი სვამდა წყალსა; მგელმა შეუძახა ჰეი ბატკანო, ამ წყალს ნუ ამღვრევო; ბატკანმა მოკვდინებით და კრძალვით შეახსენა, ბატონს მგელს ეს წყალი თავ აღმა ხომ არ მიდის, თავდაღმა ჩამოდის და მე საიდამ ვამღვრევო, მგელმა დიდად იწყინა და განრისხებით უთხრა, შენ ვინ გასწავლა მაგისთანა კადნიერი ლაპარაკიო, მივარდა წაუჭირა ყელში და დაახრჩო: მე სხვა ამის მეტი ამგვარი ზღაპარი არა მახსოვს რა რომ წამეკითხოს რამე.

წელსა 1833 აპრილის 6. მღუდელ მონაზონი ტ ა რ ა ს ი.

ცნობა სტრემილოვზე (XIII, 2334)

ალექსანდრე სტრემილოვი
თბილისის ფეხოსანთა პოლკის უნტერ-ოფიცერი.
ტვერის გუბერნიის აზნაურთაგანი. 23 წლისა.

დაქვეითებული შემეცნებისა და საშუალო ყოფაქცევის გამო, ამოწერილია დვორიანსკის პოლკიდან და ჩარიცხულია თბილისის პოლკში უნტერ-ოფიცრად 1830 წლის ივლისის 5-ს.

ამჟამად არის ამ პოლკის I ბატალიონში ახალ-ზაქათლის ოლქში.

ეს ცნობები ამოწერილია ამ უნტერ ოფიცრის 1831 წლის ფორმულიარიდან. რომელიც ინახება კურპუსის შტაბში.

კორპუსის უფროსი ადიუტანტი გვარდიის კაპიტანი
ვ ს ე ვ ო ლ ო ჟ ს კ ი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2338)

ტიტულიარნი სოვეტნიკმა პაუშენკომ აჩვენა, რომ თქვენ მას ეუბნებოდით: „აი. თქვენი რუსები როგორ აკეთებენ, ერთს გამოართმევენ, მერე — მეორეს. მაგ.. სენატორთა სეკრეტარმა ჩემ'ს საქმეზე მამულების გამო, გამომართვა 1000 ოდესცა სენატორები მოვიდნენ აქ საქართველოში. მე მათ ორზა მივართვი ჩვენს ორბელიანოვთ გაყრასა ზედა, და მათ სენატორთ მიერ გადაგვიწყვეტეს ისე რომ ჩემი მხვედრი წილი მიმეღო ორბელიანოვთაგან. — და მართალია ლაპარაკ-

მანეთი ასიგნაციებით და დიმიტრი ორბელიანოვს კი 250 ჩერვონეცი".

განმარტეთ: მართლა უთხარით ეს თუ არა. ვინ არის სენატორთა სეკრეტარი ზემოთ მოხსენებული. მართლა აიღო მან ფული და თუ მიეცით მას ფული, გაქვთ თუ არა რამე ამის დამამტკიცებელი მოწმობა.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

სა შორის უთხარი მე ტიტულიარნი სოვეტნიკ პაუშენკოს გაჯავრებულმა ესე ხსენებული გარემოება, თორემ არამც თუ მიმეცეს სენატორისთვის 1.000 ასიგნაცია, არამედ ვერც კი ვიცნობ სენატორების სეკრეტარი რომელი იყო.

აპრილის 7-სა დღესა, 1833-სა წელსა

პოდპორუჩიკი თავადი აღექსანდრე ორ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2345)

კითხვითი პუნქტი ვახტანგ ორბელიანს
აპრილის 10, 1833 წ.

1. თქვენთან ერთად იყო თუ არა მამაცოვთან სადილზე თბილისის პოლკის უნტერ ოფიცერი აზნაურთაგანი სტრემილოვი და იცოდა თუ არა ბოროტგანზრახულება.

1. როდესაც სადილად ვიყავით პრაპორშჩიკ მამაცოვთან, სადილის შემდეგ იქ მოვიდა თბილისის პოლკის ვიღაც უნტერ ოფიცერი, რომელიც მე მაშინ პირველადა და უკანასკნელად ვნახე და რომლის გვარიც დღემდე არ ვიცოდი, მამაცოვთან სადილზე მყოფთაგან მას არავინ იცნობდა, თვით მამაცოვის მეტი და მე არავისგან გამიგონია, რომ მას სცოდნოდა რამე ჩვენს განზრახულებაზე.

თ. ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

1833 წლის აპრილის 10.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2345).

ზემოხსენებულ კითხვაზე ელიზბარ ერისთავს ასეთი პასუხი გაუცია, რომ სტრემილოვი: „მამაცოვთან სადილზე არა ყოფილა, ხოლო სადილ შემდეგ შემოვიდა ვიღაც სამხედრო პირი, შინელში გამოწყობილი, არ ვიცი იქნება სწორედ ის იყო უნტერ-ოფიცერი აზ-

ნაურთაგანი სტრემილოვი. მე არ ვიცი მან რამე იცოდა თუ არა ჩვენს განზრახულებაზე".

სამსახურიდან გადამდგარი თავადი ელ. ერისთოვი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 4347)

კითხვითი პუნქტი კავალერიის პრაპორშჩიკ თავად გიორგი ერისთავს

აპრილის 10, 1833 წ.

იყო თუ არა თქვენთან ერთად სადილზე მამაცოვთან თბილისის პოლკის უნტერ-ოფიცერი სტრემილოვი და იცოდა თუ არა მან თქვენი განზრახულება.	მახსოვს, რომ როდესაც მამაცოვთან ვიყავი სადილად, იქ იყო ვიღაც უნტერ-ოფიცერი, მაგრამ, მგონია, იგი ჩვენთან არ იჯდა და სადილობდა სხვა ოთახში; არ ვიცი იცოდა მან ჩვენს განზრახულებაზე თუ არა, მისი გვარიც პირველად მესმის.
გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.	პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთავი.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (XIII, 2349)

10 აპრილი, 1833 წ.

ზემოხსენებულ კითხვაზე ი. მამაცაშვილს უპასუხნია: პრაპორშჩიკ მამაცოვთან იყო თბილისის ერთი ოფიცერი, მაგრამ ვინ, სახელდობრ არ ვიცი, არც ის ვიცი, იცოდა თუ არა განზრახულება.

კანცელარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (XIII, 2351)

კითხვითი პუნქტი თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორჩიკ დავით ჯორჯაძეს

10 აპრილი, 1833 წ.

რა იცით პროპორჩიკ მამაცოვის ნაცნობობაზე თბილისის ფეხოსანთა პოლკის უნტერ-ოფიცერ სტრემილოვთან და იცოდა თუ არა ამ უკანასკნელმა განზრახულების არსებობა.

გენერალ-მაიორი

ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპორშჩიკ მამაცოვთან არასოდეს არა მქონია შეთქმულებაზე საუბარი, აგრეთვე პოლკში მე არ ვყოფილვარ, ამიტომ არ ვიცი მამაცოვს ჰქონდა თუ არა პოლკში ვისთანმე ურთიერთობა, არ ვიცნობ ამ გვარის უნტერ ოფიცერს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამაზე უსათუოდ ვიტყოდი ჩემს წინა ჩვენებებში.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპორშჩიკი

თ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

დიმიტრი ერისთავის წერილი ძმის ელიზბარისადმი (XIII, 2354) [1]

შენი წიგნი მომივიდა და ფულიცა რაც მოგეწერათ (16 ოქრო და 150 მანეთი) ამას წინათაც მოგწერეთ რომ ერთი ფული ამ გამოგზავნილის ფულისა არ დამრჩენია.. კადრახტი მომივიდა რომელშიაც ეწერა რომ ღვინო ღირსო ხუთას რუბლადო. დიდათ მეწყინა ღმერთს ერწმუნე ის კაცი ხომ ადრე წასული იყო და ეხლა ვიღას უნდა ედაოს ფული კი მართალია არ მიმიცია რაც მანდ არ მიგეცა, მაგრამ კი დიდათ მეწყინა იმ ღვინის ისე დაკარგვა. ღვინის ფულიც მგელისათვის მიუბარებიაო და იმას შარფივით სერთუკი შეუკერვინებიაო.

ვიცი შინაურსა და აქაურს იკითხავ, მე ცოტა ავათ ვიყავ და ახლა ღვთით კარგათა ვარ. ბატისრძალი ცოტათ ავათა ბრძანდება სხვები კი კარგათა ბრძანდებიან (этого не щитаю что) სალომე უწინდელსავით იგონებს რაღაებსაც.

ოჰოჰო ნეტავი იარალისათვის გაყურებინა ის თავის ციება რომ მოუვლის ხოლმე. ეხლა დაემართა ერთი სენი კიდევ ერთი ცვარი რომ

---

[1] წერილის ორიგინალური შინაარსის გამო, ვბეჭდავთ უცვლელად, მართლწერის დაცვით და რუსული ადგილების უთარგმნელად.

დალიოს მაშინვე (нельзя выразить) სულ სხვადასხვა ხმაზედ ამისინ-ნებს ხოლმე, სხვებრ მშვიდობითა ვართ.[1]

აქაური ამბავი რა მოგწერო ჩვენი ყმაწვილები ხომ იცი ჩემის მეტი სულ იქ არიან ჯარში[2] გუშინ მოვიდა უკანასკნელი დონესენიე დიბიჩისა, ამას წინათ ეწერა რომ მე მოვდივარო უკანაო იმიტომაო რომ პურის ცოტა შემოკლებისა მეშინიანო, ბუნტი მომხდარა ვილ-ნოს ღუბერნიაში ვოლონიისში და იმიტომ მოდის რომ ჯერ ესენი დასაჯოს და მერე იმათზედ წავიდეს. იმათ ჯარსა კამანდრობენ: ღლავნაკამანდუჩი სკრინეცკი იმისი ავანგარდია ლუმინეცკი, კორ-პუსნი კამანდირები, დვერნიცკი და მეორე კორპუზისა უმინკი[3].

რაღა გითხრა ახლა აქაური თიატრისა, იტალიანელების თეატრი აღარ არის მილანს მიდიან აქედამ: აღდგომის უკან[illegible]ის певиц известных никого нет кроме Шобераихнера да еще явились двое Лебедев и Бирки, они оба прекрасны, особенно 1-ой и поют покамис очень порядочно, но естъ надежда, что усовершенствуются. Недавно давали концерт ода Бог, где пела Бирки, ты верно удивляешься, как ода Бог, да, да, Державина ода и довольно удачно было сочинено музыка и спели изрядно.

შენი მელიხოვა სულ პაჟათა თამაშობს და ვინც წლითა მსუქ-დება ის დღითა; საწყალი ივანოვა ხომ მოკვდა და აგრეთვე კლი-მოვსკიც. ოხოხო! რა ამბავი არის ხოლმე თეატრში როცა გრიბო-ედოვის კომედიას წარმოადგენენ ხოლმე пиэсу сам знаешь какова но разигривают не удачно, но ты знаешь Ф. Булгарина эту собаку, который мертвым даже во гробе покой не дает и в самом деле очень хорошо критиковал Каратыгина б.: который играл Чацкого, его брата, кот. играл Загорецкого; Дюро (Молчанина) закорынелого москвича. Резанов. даже и Сосницкого, который играл Репетилова. Но поверишь, что публика слышать не хочет; бывало, что за два дни билета не доставало. А забыл Соф. Павловну играла Каратыгина б.: ее

---

1 წერილს გვერდზე აქვს ორი მინაწერი. პირველი: იარალი იხვეწება რომ უთხრას ვახტანგს ფული გამოუგზავნოს ჯერ აგერ ხუთ თუმანს სთხოვდა სარ-გებელში. ეს შეჩვენებული არ მომეშვა აი სად დამაწერინა...

მეორე: ბატონიშვილმა ბატოის რძალმა სალომემ და ელენემ მოკითხვა გიბძა-ნესთ აგრეთვე ბატოიშვილმა ანასტასიამ.

მირიან ბატოიშვილმა მოგიკითხა, ერთს წიგნს რატომ არ მოსწერ.

2 პოლონეთში ლაშქრობა იგულისხმება.

3 დიმიტრი თაეის ძმას შენიღბულად აწვდის ინფორმაციას პოლონეთის აჯანყებაზე.

хваллят ф. и хорошо играла, но после играла Семенова... Монготье играла довольно порядочно ту же роль[1].

ახლა გთხოვ რომ მანდაურობის ამბავი წვრილათ მომწერო; რატომ არა მწერ ბევრი მეგობრები გყავს თუ არა და ან როგორა გგონია შენი საქმისა. შენი ფიცრების ხერხის საქმე როგორ მიგდის კარგათ თუ არა. შენი მეგობრის ბიძა სად არის და რასა იქს რა დაემართა მაგასაც თავისი საქმე რატომ ასე ცუდად მიჰყავს ასწავლე როგორმე[2] ლუარსაბმა და დიმიტრიმ და ალექსანდრემ მოგიკითხეს. სულ გაგინებენ რა ურადი იყოო. აქ რა იმედს გვაძლევდაო წავიდაო და არც კი ვახსოვართო და იქნებ ალარც აგონდებაო".

Ах я чуть было не забыл об одном деле.

Суда приехал уже тому 3 года наследственный лезгинский князь Шомхали с одним персиянином, который был у него адютантом так называемой подпоручик Мирза Измаил Могомедов за свои дела; Вот Шомхали не знаю по какои то причине посориля со своим Адют. и ограбил его совершенно; он подал на Шомхали прозбу, это дело и еще, у него был шолк на 30/т в Москве продали его а получению денег помешал Родофиник; Этот имеет ясные доказательства на том что шолк его ибо имеет документ от Московской Таможни, (докум. к будущей почтой пришлу). А прислано Паскевичу на расмотрении вот в чем состоит дело теперь ты постарайся сладить как нибудь с управителем канцелярии Паскевича, т. е. с Гневичем. ფულიც რამდენიც დასჭირდებათო გამოუგზავნიო переговори с ним. და შეიტყე როგორ არის საქმე და პასუხი მალე მომწერე. ერთი სახალათე გამომიგზავნე პოჟოლუსტა თუ სხვასაც გამომიგზავნი რასმე დიდათ დაგიმადლებ. ფული კი დიდათ საჭიროა.

1831 года, Апреля 15 дня

Твой брат Дмитрий Эристов.

---

[1] გვერდზე აქვს მინაწერი: ბიძა ჩემი გიორგი კნიაზი მომიკითხე ავრეთვე ქეთევან და მამუკა, დავით ჯორჯაძეს უთხარ, რომ უნდა სცხვენოდეს რომ წიგნს არ იწერება.

ვახტანგ მომიკითხე და უთხარ რომ დიმიტრი შემოგეხვეწა ლაგირის ისტორია მისწერეთ ვახტანგსაო, მაგრამ ვერ მოვასწარ, კალა გიორგიმ. მოგიკითხა.

[2] როგორც გამორკვეულია, წერილის ეს ნაწილი უშუალოდ შეთქმულებას ეხება და აქ, კერძოდ, ლაპარაკია ალექსანდრე პატონიშვილზე. იხ. გ. ფოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. თბილისი 1935, გვ. 19—20.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (XIII, 2365)

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პროპოშჩიკ თავად ჯორჯაძეს
აპრილის 11, 1833 წ.

განმარტეთ დაწვრილებით სახელდობრ რა ელაპარაკეთ თქვენთან მცხოვრებ ბატონ ლეონიძეს აქ არსებულ განზრახულებაზე და იცოდა თუ არა მან მისი არსებობა რუსეთშივე.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

ვიდრე მთავრობამ არ აღმოაჩინა შეთქმულება, მისი არსებობა არ იცოდა იქამდე ლეონიძემ, მაგრამ როცა დააპატიმრეს ელიზბარი და სხვა თავადები, მე აზრით მივხვდი დაპატიმრების მიზეზს და მხოლოდ მერე ვუამბე ლეონიძეს, თუ როგორ შევხვდი ელიზბარს და როგორ გამომიცხადა მან ეს შეთქმულება და მთხოვა გავმხდარიყავ მისი მონაწილე.

თბილისის ფეხოსანთა პოლკის პრაპორშჩიკი თავადი
ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2367)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს

11 აპრილი, 1833 წ.

იყო თუ არა თქვენთან ერთად სადილზე პროპორშჩიკ მამაცოვთან და იცოდა თუ არა შეთქმულება პრაპორშჩიკ ჯორჯაძესთან მცხოვრებმა ბატონმა ლეონიძემ.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

იმ დღით ჩვენ სადილად პრაპორშჩიკ მამაცოვთან ვიყავით, იქ იყო აგრეთვე ლეონიძეც, მაგრამ არ მახსოვს თვით სადილზე იყო, თუ მერე მოვიდა. ის კი არ ვიცი მან იცოდა რამე ჩვენს განზრახულობაზე თუ არა, ამაზე არავისგან არ გამიგონია.

თავადი ვახტანგ
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2369)

ანალოგიურ კითხვაზე ელიზბარს უპასუხნია: ბატონი ლეონიძე არა ყოფილა ჩვენთან ერთად სადილზე პრაპორშჩიკ მამაცოვთან და არც ვიცი, იცოდა მან ჩვენი განზრახულება თუ არა.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი

თავადი ელ. ერისთოვი.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (XIII, 2371)

ამავე კითხვაზე ი. მამაცაშვილს ასეთი პასუხი გაუცია. პრაპორშჩიკ მამაცოვთან თავადებს: ელიზბარ და გიორგი ერისთოვებს, ვახტანგ ორბელიანოვისა და პრაპორშჩიკ ჯორჯაძის გარდა, ვნახე აგრეთვე ერთი ქართველი, რომელიც როგორც გავიგე, მაშინ თავად ჯორჯაძესთანა ცხოვრობდა — მისი გვარი მე არ ვიცი, აგრეთვე არც ის ვიცი იცოდა მან ჩვენი განზრახულება თუ არა; არც ის ვიცი ისადილა მან აქ თუ არა.

კანცელარისტი იოსებ მამაცოვი.

პრაპორშჩიკ მამაცოვის ჩვენება (XIII, 2373)

ბატონ პრაპორშჩიკ მამაცოვს

11 აპრილი, 1833 წ.

იყო თუ არა თქვენთან სადილზე და იცოდა თუ არა განზრახულება ბატონმა ლეონიძემ, რომელიც პრაპორშჩიკ ჯორჯაძესთან ცხოვრობდა.

გენერალ-მაიორი ჩეკინი.

ლეონიძე იყო ჩემთან სადილის წინა დღეს; იცოდა თუ არა განზრახულება, მე არ ვიცი, იმიტომ რომ მე არავისგან არც გამიგონია და ჩემთან არავითარი საუბარი არა ჰქონია ვისმე საქართველოს შესახებ, მაშასადამე არ შემეძლო გამეგო ლეონიძისაგან იცოდა თუ არა.

პრაპორშჩიკი მამაცოვი.
11 აპრილი, 1833 წ.

გიორგი ერისთავის ჩვენება (XIII, 2375)

კავალერიის პრაპორშჩიკ თავად გიორგი ერისთოვს

11 აპრილი, 1833 წ.

იყო თუ არა თქვენთან ერთად სადილზე პრაპორშჩიკ მამაცოვთან ბატონი ლეონიძე, რომელიც პრაპორშჩიკ ჯორჯაძესთანა ცხოვრობდა და იცოდა თუ არა მან განზრახულება.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

პრაპორშჩიკ მამაცოვის სადილზე ჩვენთან იყო, როგორც წინათაც ვთქვი, მოქერაო კაცი სერთუკით, და მას ხშირად ვხედავდი პრაპორშჩიკ ჯორჯაძესთან, მაგრამ მისი არც გვარი და არც სახელი არ ვიცოდი და ისიც არ ვიცი, იცოდა მან ჩვენი განზრახულება თუ არა.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი
ე რ ი ს თ ო ვ ი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIII, 2379)

ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევს. აპრილის 11, 1833 წ.

1. თქვენს ერთ ჩვენებაში სთქვით, რომ 1830 წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტი თავადი ერისთოვი ამბობდა, რომ: „აქაური მთავრობა თავადებს გვავიწროვებს და იძულებულს გვხდის ვიყოთ ხელმწიფე იმპერატორის მიმართ არა ერთგულნი და ჯავრობდა იმის გამო, რომ ერისთავებს ჩამოერთვათ ოსეთი. განმარტეთ სად და ვისი თანდასწრებით სთქვა სენატორმა ერისთავმა ეს სიტყვები.

სენატორმა გენერალ-ლეიტენანტმა თავად ერისთოვმა ეს ჩემს მიერ ნაჩვენები სიტყვები წარმოსთქვა არწრუნის სახლში, სადაც ამჟამად ბინა აქვს გენერალ ლეიტენანტ თავად ბაგრატიონს, თავის ძმასთან თორნიკესთან სახელდობრ დარბაზში (в зале) სადაც მე შევედი და მან იქ დაწერილი სიტყვებით მომმართა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს დეკემბერში იყო ეს თუ უფრო ადრე.

2. თქვენ აჩვენეთ, რომ 1831 წლის დამდეგს გაიგონეთ სენატორ გენერალ-ლეიტენანტ თავად ერისთოვისაგან შემდეგი სიტყვები: „ჩვენი ახალგაზრდა თავადები რაღაცას ხმაურობენ, მეშინიან აჯანყება არ მოახდინონო“.

განმარტეთ სად და ვისი თანადასწრებით წარმოთქვა სენატორმა ერისთოვმა ეს სიტყვები.

გენერალ-ძაიორი ბ ა ი კ ო ვ ი.

გადაწერილი სიტყვები მან სენატორმა ერისთოვმა წარმოსთქვა აქაური მოქალაქის სახლში, რომლის გვარიც არ მახსოვს (მგონია პურინოვია), ეს სახლი დგას მღვდელ ეფრემის სახლის გვერდით და სთქვა მოხუცი სახლის პატრონის თანადასწრებით პატარა ოთახში, საღამო ჟამს, რომელ თვესა. და რიცხვში კი აღარ მახსოვს. ბოდიშს ვიხდი, დამავიწყდა მომეხსენებინა, რომ მისმა ძმისწულმა ელიზბარ ერისთოვმა მითხრა, რომ მან, სენატორმა იცის შეთქმულებაო და აქვს სურვილი, იმა წლის დამდეგი იყო.

მასწავლებელი
სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIII, 2383)

თავად იასე ფალავანდოვს
აპრილის 11, 1833 წ.

პირველი ღამის განკარგულება თქვენი დაწერილია და თქვენ ამბობთ, რომ იგი დაწერეთ თანაგანმზრახველთა კარნახით, სხვებისა და თქვენი შემმდგომი ჩვენებიდან კი ჩანს, რომ თქვენ შეთხზეთ ეს არტილერიის პროპორშჩიკ, დიმიტრი ერისთავის მიერ ადრევე შედგენილი ნიმუშის მიხედვით, რომელიც თქვენ მერე მოსპეთ, როგორც მომივიდა თავად ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვის ბარათი, რათა მივსულიყავ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში და წამეკითხა მისთვის, რაც კომისიას უკვე მოვახსენე, მაშინ ელიზბარ ერისთოვმა მითხრა ჩემი ძმა იასეც ჩაწერეო. ორბელიანოვმა კი სთქვა, რასაკვირველია თეიმურაზი ეტყვის

მაგრამ რამდენადაც თქვენს მიერ შედგენილში აჯანყების პირველ ღამისთვის დანიშნული არიან თავ. ბეჟან ამილახვაროვი და იასე ერისთოვი, თქვენ თითონ გქონდათ თუ არა საუბარი აღნიშნულ ამილახვაროვთან, სად და როდის, ხოლო თუ სხვისგან გაიგონეთ, რომ მათ შეთქმულება იცოდნენ, ვისგან გაიგეთ გაგონილი და საერთოდ რათ შეიტანეთ აღნიშნული თავადები პირველი ღამის განკარგულებაში, თუ ვინმე თანაგანმზრახველმა შეგატანინათ, მაშინ თქვით, ვინ წამოაყენა წინადადება მათთვის პირველი ღამის განკარგულებაში შეტანისა და აჯანყებაში მათთვის დავალების მიცემის შესახებ.

თავის ძმას ბეჟან ამილახვაროვს და ისიც შეიტანეთ. მე არავისგან გამიგონია და არ ვიცი ერისთოვმა და ამილახვაროვმა იციან თუ არა ეს განზრახულება.

თავადი
იასე ფალავანდოვი

გენერალ-მაიორი ბაიკოვი.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (XIII, 2385)

ბატონ სოლომონ რაზმაძეს
11 აპრილი, 1833 წ.

1. ვისგან მიიღეთ პარიზის პრეფექტის ოდილიონ ბარროს მოწოდება, რომელიც ქართულად გადათარგმნეთ.

1. ერთხელ დიმიტრი ბატონიშვილთან ვიყავი და იქ მაგიდაზე ვნახე პრეფექტ ოდილიონ ბარროს სიტყვა რუსულ ენაზე, ავიღე იგი და ქართულად ვთარგმნე.

2. რა მიზნითა და განზრახვით აირჩიეთ ასეთი მოწოდება ქართულად გადასათარგმნელად.

2. ყოველივე მიზნისა და განზრახვის გარეშე გადავთარგმნე ის სიტყვა და მხოლოდ იმას ვფიქრობდი ქართულადაც ისევე კარგად გამოვა თუ არა, როგორც რუსულზე.

აზნაური ს. რაზმაძე.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (XIII, 2387)

ბატონ გვარდიის პროპორშჩიკ დიმიტრი ორბელიანოვს

ოქროპირ ბატონიშვილმა რომ წაგიკითხათ დიმიტრი ბატონიშვილისადმი მიმართვა ლექსად, რა ენაზე იყო დაწერილი.

ეს მიმართვა დაწერილი იყო რუსულ ენაზე.

გვარდიის პროპორშჩიკი
თავადი ორბელიანოვი.

12 აპრილი, 1833 წ.

გენერალ-მაიორი
ვოლხოვსკი.

ანტონ აბხაზის ჩვენება (XIII, 2389)

1. გიმნაზიის მასწავლებელ სოლომონ დოდაევის სახლში, მგონია, თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მითხრა, რათა მოვთათბირებოდი ჩვენი განზრახულების შესახებ ექიმ პრიბილს, მაგრამ მე არასოდეს, არსად არავის თანდასწრებით არც მილაპარაკნია და არ მითათბირნია მასთან ამაზე.

2. აღარ მახსოვს თანაგანმზრახველთაგან სახელდობრ რომელს ვუთხარი, რომ ექიმმა პრიბილმა სთქვა, რომ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება ბოროტებაა მეთქი.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპოლკოვნიკი აბხაზოვი

12 აპრილი 1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIII, 2391)

ს. პეტერბურგიდან წერილი ჩემს ძმას ელიზბარს შემდეგი მიზეზის გამო მოვწერე.

ჩემი ძმა წერილებს ფარნაოზ ბატონიშვილის სახელზე მწერდა, რომელიც მიღებისთანავე მაძლევდა. 1833 წელს ფარნაოზ ბატონიშვილი ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და მის სახელზე მოსულ წერილებს იქა ვგზავნიდი. ერთხელ მოვიდა წერილი საქართველოდან, რომელსაც ჩემი ძმის ბეჭედი ჰქონდა დასმული, ვიფიქრე, რომ ამ წერილს ჩემი ძმა ფარნაოზ ბატონიშვილის ასულს სალომესა სწერდა, რომელშიაც ფიგურალური გამოთქმებით აცნობებდა, რომ აქაუ-

რი ამბები კარგად მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მალე მოვაო მე ეს წერილი ცარსკოე სელოში გავგზავნე. მე არ მინდოდა რამე მეკითხნა მისთვის ამ წერილის შესახებ და არც მას უთქვამს ჩემთვის რამე ამაზე. და აი, მიზეზი, თუ რატომ მივწერე მე ძმას ასეთი წერილი. მაგრამ ამ წერილზე მისგან პასუხი არ მიმიღია. ხოლო ჩემს წერილში მოხსენებულია სალამი ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებისაგან და თავად ალექსანდრე ჩელოყაევისაგან, ეს მე იმისთვის მოვათავსე ამ წერილში [1], რათა გამეზიარებინა აზრები. მაგრამ მათ ნამდვილად მთხოვეს მიმეწერნა ჩემი ძმისთვის წერილებში მათი მისალმება, რაც მე კიდეც შევასრულე, ამ ჯერად და ჩავწერე მათი ჩვეულებრივი ნამდვილი გამოთქმები. აი ჩემი წერილის ჭეშმარიტი განმარტება.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი
1833 წლის 12 აპრილი.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორის რაპორტი (XIII, 2392)

მის მაღალიმატებულებას, საქართველოს მთავარმართებელს ბატონ ინფანტერიის გენერალს, გენერალ-ადიუტანტსა და კავალერს ბარონ გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენს

ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორის რაპორტი

თქვენი მაღალიმატებულების მარტის 20, № 69 მოწერილობის საპასუხოდ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ როგორც დირექციის საქმეებიდან ჩანს, სოლომონ დოდაევი დაინიშნა ხარკოვის უნივერსიტეტის მზრუნველის შუამდგომლობის საფუძველზე და უნივერსიტეტის სასწავლო კომიტეტის მიერ მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (ეხლა გიმნაზია) 1827 წლის 24 მაისს, თანამდებობას შეუდგა იმავე წლის 26 ივლისს და დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა ტიტულიარნი სოვეტნიკმა იაროსლავსკიმ 29 ივლისს აცნობა ამის შესახებ სასწავლო კომიტეტს, მაგრამ არ მოუხსენებია, რომ იგი დაფიცებული იქნა, ხოლო ოქტომბრის დამდეგს მანვე წარადგინა კომიტეტში დოდაევისათვის ჩამორთმეული ხელწერილი, (ორიგინალი), რომ იგი არ არის საიდუმლო საზოგადოების წევრი.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ დოდაევი რომ დაფიცებული ყოფი-

[1] ლაპარაკია მის წერილზე, იხ. XIII, 2354.

ლიყო სასწავლებლის უფროსთაგან, ამაზე მოხსენება და ფიცის ფურცელი გაეგზავნებოდა აქაურ გუბერნატორს, რომელიც მაშინ იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის უშუალო უფროსი.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა უფროსი
№ 166.

მარტის 22, 1833 წ.

თბილისი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2395)

თუმცა ბატონიშვილი სალომეს ახლო ნათესავი ვარ, მაგრამ მასთან ისე დაახლოვებული არ ვიყავი, როგორც ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, ამის გამო, სრულებით არ მახსოვს მქონია თუ არა მასთან შეთქმულებაზე საუბარი. მხოლოდ მახსოვს, ის ამბობდა: რადგან საქართველოში ხელი აიღეს განათლებაზე, იქნება ჟურნალებმა ხელი შეუწყოს მათს ვარჯიშსა და მეცადინეობასო. აგრეთვე ამბობდა იგი, რომ სამწუხაროა ქართველ თავად-აზნაურთა შვილების ცქერა, რომლებიც დღემდე ასე გაუნათლებელნი რჩებიანო. აგრეთვე სხვა ამ გვარ რამესაც ამბობდა, მაგრამ სრულებით აღარაფერი არ მახსოვს.

. პორუჩიკი თავადი ერისთავი

აპრილის 12, 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2403)

თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს

15 აპრილი, 1833 წ.

განმარტეთ დაწვრილებით რა იცით თარჯიმან თავად რამაზ ანდრონიკოვის მონაწილეობაზე ამ განზრახულებაში.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი.

პერეკოჩიკს თავად რამაზ ანდრონიკოვისა არც რა გამიგონია რა ამა ჩვენსა განზრახვასა ზედა.

წელსა 1833-სა აპრილის 13-ს

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIII, 2407)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოვს

12 აპრილი, 1833 წ.

1. დასწერეთ შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი განმარტება ქვემოთ მოტანილ გამოთქმებზე, რომლებიც ნახმარია თქვენს 1831 წ. 15 აპრილის წერილში თქვენი ძმის ელიზბარისადმი:

გთხოვთ დაწვრილებით მომწერო მანდაური ამბები. რატომ არა მწერ ბევრი მეგობრები გყავს თუ არა და ან როგორ გგონია შენი საქმისა. შენი მეგობრის ბიძა სად არის და რას იქმს, რა დაემართა მაგასაც. თავისი საქმე რატომ ასე ცუდად მიჰყავს, ასწავლე როგორმე. ისინი სულ გაგინებენ და ამბობენ რა უროდი იყოო. აქ რა იმედს გვაძლევდაო, წავიდა არც კი ვახსოვართო და იქნება აღარც ვაგონდებითო.

1. ჩემი ძმის ელიზბარის ს. პეტერბურგიდან წასვლის შემდეგ ჩვეულებრივი შინაარსის წერილებს გარდა, სხვა არავითარი წერილი არ მიმიღია, მაგრამ მე წამიკითხა ორჯერ ფარნაოზ ბატონიშვილის ასულმა, რომელმაც ოთხი თუ ხუთი წერილი მიიღო, სადაც ჩემი ძმა სწერდა, აქაური საქმეები კარგად მიდისო და ამასთანავე, ბატონიშვილი დიმიტრი მეუბნებოდა: „შენი ძმა რას აკეთებს იქ, აი, დრო, თუ ქართველებს შეუძლიათ რამე გააკეთონ (აზრად ჰქონდა პოლონეთის აჯანყება), რის გამოც მე დავწერე ის წერილი. ამასთანავე, ძნელი არ იყო მიმხვდარიყავი იმ წერილებიდან, რომლებსაც ფარნაოზ ბატონიშვილის ასული სალომე მიკითხავდა, რომ ჩემი ძმა საქართველოში ადგენდა ბოროტ განმზრახველთა საზოგადოებას. მაგრამ რადგანაც ჩემი ძმა ბატონიშვილ სალომესა სწერდა ბატონიშვილ ალექსანდრეზე მხოლოდ იმას, რომ ის კარგად ჯანმრთელად არისო და არ იწერებოდა სად იყო იგი და რას აკეთებდა, ამიტომ მივწერე ძმას, რათა მას დაწვრილებით მოეწერნა. ასწავლე როგორმე. მე ამაში იმას ვგულისხმობდი, რომ ის ამაოდ ზის სპარსეთში და არ მოდის ევროპაში სადმე. ბატონიშვილების ლუარსაბისა და დიმიტრის, აგრეთვე ჩელოყაევის მოკითხვაც სხვას არაფერს შეიცავს, პირდაპირი აზრის გარდა, რადგან ჩემი ძმა მათთან ძალიან დამეგობრებული იყო და წასვლის წინ შეჰპირდა, რომ წერილებს მისწერდა; აი, ამის გამო მთხოვეს ასე მომეწერნა ძმისთვის.

2. განმარტეთ დაწვრილებით, რა ურთიერთობა და საუბრები გქონიათ შეთქმულების თაობაზე ფარნაოზ ბატონიშვილის ასულ სალომესთან.

2. ფარნაოზ ბატონიშვილის ასულ სალომესთან, რომელთანაც ზოგჯერ მოდიოდა ხოლმე დიმიტრი ბატონიშვილიც, ვსაუბრობდით საქართველოს თავისუფლებაზე საერთოდ. მაგრამ ზემოთქმულის მეტი ამ საუბრებზე სხვა არავინა ყოფილა, გარდა კორნეტ გიორგი ერისთოვისა, რომელიც ძალიან იშვიათად ესწრებოდა ხოლმე.

3. ზუსტად განმარტეთ, როგორ შეგატყობინეს ს. პეტერბურგში განზრახულებაზე, რომ თბილისში შესდგა საამისო საზოგადოება. ე. ი. რამდენად იცოდით თქვენ ყველაფერი ეს.

3. იმ წერილების მიხედვით, რომლებსაც მიკითხავდა თავადის ასული სალომე, როგორც ზემოთ განვმარტე, — მე მხოლოდ ვხვდებოდი. მაგრამ წერილი, რომელიც საქართველოდან მოვიდა ფარნაოზ ბატონიშვილის სახელზე, — რადგან ჩემი ძმა ჩვეულებრივ მის სახელზე ჰგზავნიდა წერილებს, — მე გავხსენი იმიტომ, რომ მასზე ჩემი ძმის ბეჭედი იყო და ვიფიქრე ჩემთან არის მეთქი მიწერილი მე შევცდი, ეს წერილი ჩემთან კი არა სალომესთან იყო ჩემი ძმის მიერ მოწერილი, რომელშიაც ჩემი ძმა აცნობებდა ალექსანდრე ბატონიშვილს ველოდებითო, რომ აქ მართლა უკვე გვყავს ბოროტ განმზრახველთა ბრბოო. ამ გარემოებამ დაადასტურა აგრეთვე სტეფან დოდაევის სიტყვები, რაზედაც წინათ მოგახსენეთ. აი, როგორ ეიცოდი 1831 წლის განზრახულება ს. პეტერბურგში. ამაზე მეტი განმარტების მიცემა აღნიშნულ კითხვებზე აღარ შემიძლიან.

თავადი დიმიტრი ერისთოვი.

1833 წლის 13 აპრილი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIII, 2409)

გვარდიის კაპიტან ბატონ თავად ჩელოყაევს

15 აპრილი, 1833 წ. თბილისი.

თქვენ აჩვენეთ, რომ იმ თათბირზე როდესაც თქვენ გაგაცნეს უმთავრესი შეთქმულნი თქვენ ცდილობდით დაგემტკიცებინათ, რომ შეუძლებელია რუსების დამარცხებაო, რომლებიც პირველსავე გასროლისთანავე შეიკრიბებიან შტაბებში — ამაზე ყველამ სთქვა: ამ კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ პაროლი ესე „რუსების წყვეტა“ ითქვა სოვეტნიკ თავად ორბელიანოვის მიერ და ეს ყველა იქ მყოფთ უნდა გაეგონათ.

კაპიტანი თავადი
ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.
15 აპრილი, 1833 წ.

ერთ პოლკს როგორ ვერ დავამარცხებთო. როგორც კი აქ რამე მოხდება ყველა თავადები აქ შეიკრიბებიან თავიანთი ხალხით, თავთავის სოფლებში დაჰგზავნიან კაცებს პაროლით „რუსების წყვეტა". განმარტეთ, თანაგანზრახველთაგან ვინ წამოაყენა ასეთი პაროლი „რუსების წყვეტა" და ვის შეეძლო მაშინ იგი გაეგონა.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIII, 2413)

ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევს

12 აპრილი, 1833 წ.

1. სოვეტნიკმა ორბელიანოვმა აჩვენა, რომ ვარშავის აღების შემდეგ მან სრულებით ხელი აიღო განზრახულების შესახებ ფიქრზე, მაგრამ ამხანაგები არ ასვენებდნენ მას, განსაკუთრებით კი ელიზბარ ერისთავი ჰკიცხავდა მას და ყელშიც სწვდა. განმარტეთ სწორია თუ არა სოვეტნიკ ორბელიანოვის ეს ჩვენება და სახელდობრ ვინ იყვნენ ისინი, რომელნიც მოითხოვდნენ განზრახულების გაგრძელებას სახელდობრ როდის განახლდა იგი.

1. ვარშავის აღების შემდეგ ეკლესიიდან ვბრუნდებოდი მუნდირში გამოწყობილი, შევიარე სოვეტნიკ ორბელიანოვთან და ავუხსენი მას, რომ განზრახულობის შესახებ ყოველ საქმეზე ხელი აეღო, ისიც დამეთანხმა და მე ვფიქრობდი, რომ იმ დროიდან ეს საქმე შეწყდა; თავადი ორბელიანოვი მუდამ მზად იყო, რომ შეწყვეტილიყო, მაგრამ ანახლებდა თავადი ელიზბარ ერისთოვი. სწვდა იგი ყელში თუ არა როდისმე, მე არ მინახავს, ჰკიცხავდა კი როგორც მას, ისე სხვა ყველას, ვინც კი გაჰბედავდა ეთქვა შეთქმულობის, ან დამთავრების ან საქმეზე ხელის აღების შესახებ. ელიზბარს გარდა, კიდევ ვინ მოითხოვდა საქმის განგრძობას, მე არ ვიცი. ბასთან დაიარებოდა ამ საქმეზე თავადი გიორგი დავითის ძე ერის-

თოვი, ვარშავის აღების შემდეგ როდის განახლდა საქმე, არ ვიცი, მაგრამ როდესაც თავადი ელიზბარ ერისთოვი თბილისიდან წასული იყო, შეთქმულების საქმეც შეჩერდებოდა ხოლმე. განსაკუთრებით მისი აღმატებულების ბატონ მთავარმართებლის დაბრუნების შემდეგ, იქამდე, ვიდრე მაისში ელიზბარ ერისთოვმა არ მიმიწვია სადილზე, მე ამ საქმეზე აღარა ვიცოდი რა, შემდეგ კი განახლდა სექტემბერში, როგორც მე ეს ვიცი. ერისთოვები იწყებდნენ საქმეს და ამთავრებდნენ; არავის ყურს არ უგდებდნენ და ეს სრული სიჰართლეა.

2. განმარტეთ, რა დროიდან არის თქვენთვის ცნობილი იასე ფალავანდოვის ამ შეთქმულებაში მონაწილეობა, სახელდობრ როდის გამოუცხადეთ მას თქვენი განზრახვა, 1831 წელში რამდენჯერ და სადა გქონდათ მასთან საუბარი განზრახულობაზე და ვისი თანადასწრებით; აგრეთვე რა გითხრეს თავდაპირველად სოვეტნიკმა ორბელიანოვმა და ოქროპირ ბატონიშვილმა იასე ფალავანდოვზე.

2. იმ დროიდან, როდესაც მე თავადებმა გამომიცხადეს, ე. ი. 1830 წლის დამლევიდან, ჩემთვის ცნობილია იასე ფალავანდოვის მონაწილეობა. მის შესახებ თავდაპირველად მითხრა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა, რომ იასე ფალავანდოვი ბევრსა ფიქრობს საქართველოს რუსთაგან განთავისუფლებაზეო; ჩემთვის გამოცხადების შემდეგ, რამდენიმე დღის მერე, მან, ორბელიანოვმა მთხოვა მასთან ერთად წავსულიყავი მასთან, ფალავანდოვთან, რომელსაც დიდი პატრიოტი უწოდა. ფალავანდოვი, ჩემთვის უცნობ თავადიშვილის თანადასწრებით, ეუბნებოდა ორბელიანოვს, რომ ბევრი ნაცნობები მყავს, რომელთაც უკვე იციან ეს საქმეო. იმ დროიდან, 1831 წელში მე მასთან არავითარი საუბარი ამ საქმეზე აღარა მქონია.

ოქროპირ ბატონიშვილს კი ჩემთვის მასზე არა უთქვამს რა.

მასწავლებელი ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა ე ვ ი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2415)

1. ბიძინა ერისთოვი აჩვენებს, რომ თქვენ პირველმა გამოუცხადეთ მას თქვენი განზრახულება 1831 წელს, ხოლო 1832 წლის 4 ნოემბერს აცნობეთ შეთქმულების განახლება. განმარტეთ სწორია თუ არა ასეთი ჩვენება?

1. მართალია რომ ბიძინა ერისთოვს უჩვენებია ჩემზე რომ პირველად 1831-სა წელსა გამოუცხადე ესა ჩვენი განზრახვა. — და 1832-სა წლის ნოემბრის ჩვენებას განძრახვას რომ სწერს ბიბინა ერისთოვი, ჯერ რომ ჩვენ 4-ს ნოემბერს განზრახვა არა გვქონია ბუნტისა, — ესრეთ იყო როდისაც 20 ნოემბერი რომ დანიშნეს მაშინ მე და ელიზბარ ერისთოვს ლაპარაკი შოგვიხდა და ზაქარია ჩოლოყაევიც რომ იქ ჩემთან იყო ამ ჩვენს ლაპარაკში, იმის მეორე დღეს საღამო ჟამზე ჩემთან მოვიდა ჩემი დიდედაშვილი ბიძინა ერისთოვი და უთხარ ძმაო ბიძინავ, არ ვიცი რა უნდა ვქნა ამ ელიზბარის გადამკიდე მეთქი, სწორე ვერა რა მითქომს, და ვერა რა გამიგონებია რა, რასაც ვეტყვი სულ ილანძღება მეთქი. — მასკვან მკითხა რაო. მაშინ უთხარ 20-ს ნოემბერს აპირებენ ბუნტსა მეთქი, და ჩემო ძმაო ბიძინავ შენ ელაპარაკე ეგება შენ მაინც დაგიჯეროს რომ ხელი აიღოს მეთქი. — მასკვან ბიძინამ მითხრა უთოოთ ვეტყვიო, რას გაუგიეებია, და ან რას გადარეულაო ეგ რა საფიქრებელიაო, — მცირე ხანი რო გავიდა, — ელიზბარ მოვიდა ჩემთან, — ბიძინა დიენის თავს იჯდა, ელიზბარ სკამზე დაჯდა. — მასკვან ბიძინამ უთხრა ელიზბარ რას გაუგიეებიხარო, როგორ შეიძლება რაღაც 20-ი ნოემბერი გამოგიტყვრინებიაო. — მასკვან ელიზბარ წამოიჭრა მამიბრუნდა მითხრა, ენ სულ ამის საქმე არისო, მასკვან ბიძინამ უთხრა ელიზბარო აი თუ შენ რა გვიყო ამ ცოლშვილიან კაცებს; ბოლოს გამოჩნდება და სულ არ დაგვღუპოო, მასკვან მე უთხარ ელიზბარ აი თუ ჩვენ რა მოგვვიდეს მეთქი. ამ სიტყვაზე წამოხტა, და წავიდა. — მასკვან მე და ბიძინამა ვთქვით, ამ პეტერბურღელებმა საკურველი განათლება არ მოგვიტანეს ჩვენთვისაო.

მე ჭეშმარიტად მოვახსენებ კომისიას, — წარსულს 1832-სა წელსა მე მსურდა აქ აღრეულობა ჰომხდარიყო, მაშინ ოდესცა, რომ მე გამოძიებასა შინა არა ვიყავ რა წარმოდგებოდა იქიდგან, — გარნა წარსულს 1832-სა წელსა ჩვენი ზაგოვორი რომ დაიწყო მე მაშინ სხვა განზრახვა მქონდა, და უკეთუ კომისია მკითხამს ჭეშმარიტად მოვახსენებ რა განზრახვაც მქონდა.

2. თქვენი ძმა ვახტანგი აჩვენებს, რომ 1831 წელს თქვენ და ელიზბარ ერისთოვმა გამოუცხადეთ თქვენი შეთქმულება. განმარტეთ მართალია ეს თუ არა და ვახტანგმა რუსეთშივე ხომ არ იცოდა თქვენი განზრახულება.

2. როგორც მე მახსოვს, ესრეთ იყო, ერთხელ ელიზბარ და დოდაევი ჩემთან იყვნენ და ამ ჩვენს განზრახვასა ზედა ელაპარაკობდით, მცირე ხანს უკან დოდაევი წავიდა, მე და ელიზბარ დავრ-

ჩით, ამ დროს ჩემი ძმა შემოვიდა, — გვითხრა ეს რაღაც ლაპარაკები გაქვთ, და რა იქნება მეც მითხრათო. — ის კი აღარ მახსოვს ვინ გამოუცხადეთ, მე თუ ელიზბარმა ესე ჩვენი გახზრახვა, და მე ვახტანგისგან სრულებით არ გამიგონია რომ რუსეთში სცოდნიყოს ეს ჩვენი განზრახვა. წელსა 1833-სა აპრილის 13-სა დღესა.

პოდპორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIII, 2419)

ლეიბ გვარდიის სემიონოვსკის პოლკის ბატონ კაპიტან თავად ზაქარია ჩელოყაევს

12 აპრილი, 1833 წ. ქ. თბილისი.

სოვეტნიკი ორბელიანოვი უჩვენებს, რომ 1832 წლის ნოემბერში, როდესაც მას ფეხი სტკიოდა, თქვენი თანადასწრებით ის უარს აცხადებდა ბოროტგანზრახულებაში მონაწილეობაზე და ვითომც, ელიზბარი მასზე ძალიან ჯავრობდა.

განმარტეთ როგორ მოხდა ეს და სრულიად უარი თქვა თუ არა განზრახულებაში მონაწილეობაზე, თუ მხოლოდ მისი წარმატების იმედი არა ჰქონდა და წინადადებას იძლეოდა გადადებულიყო შეთქმულების აღსრულება სხვა ხელსაყრელი დროისთვის.

გენერალ-მაიორი
ვოლხოვსკი.

სოვეტნიკ ორბელიანოვს მართლად უჩვენებია, რომ 1832 წლის ნოემბერში ავადმყოფი იწვა ლოგინში. მე მივედი მასთან და ჩამოვართვი პატიოსანი სიტყვა, რომ ის განზრახულებაზე ხელს აიღებდა, რადგან მე დავუმტკიცე ამ საქმის შეუძლებლობა. უცბად შემორბიან თავადები: ელიზბარ ერისთოვი, დიმიტრი ერისთოვი და იასე ფალავანდოვი, რომელთაც დაუწყეს მას ყვედრება, რომ იგი მხდალია; ამასთანავე, თავადი დიმიტრი ერისთოვი მომიბრუნდა და მითხრა: რასაკვირველია, თუ კი თავადი ალექსანდრე დაუჯერებს კაპიტან ჩელოყაევს, — ის ჩვენი არასოდეს არ იქნებაო, იგი ჩელოყაევი იღებს პენსიონს და ამ დღეებში გახდება პოლკოვნიკი, მე ხომ ვამბობდი, რომ ჩელოყაევი ხელს შეგვიშლის მეთქი და თქვენ კი,

ბატონებო, მე არ მიჯერებდი-
თო. აი, სიტყვა-სიტყვით, თა-
ვად ერისთოვების ნალაპარაკე-
ბი რაც, მქონდა პატივი წინა-
თაც მომეხსენებინა.

კაპიტანი
თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.
12 აპრილი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2421)

სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუჩიკ
თავად ელიზბარ ერისთოვს
12 აპრილი, 1833 წ.

პირველი ღამის განკარგუ-
ლებით, სხვებთან ერთად, კო-
მისიასთან პოსტზე დანიშნული
იყო თქვენი ძმა იასე ერისთო-
ვი, ხოლო რადგან განკარგუ-
ლება თავად იასე ფალავანდო-
ვის დაწერილია, მან, სათანადო
შეკითხვაზე უპასუხა, რომ ია-
სე ერისთოვი მან ჩასწერა პირ-
ველი ღამის განკარგულებაში
თქვენი მითითებით ამის გამო
განმარტეთ, რათ მიეცით იასე
ერისთოვს დავალება პირველი
ღამის განკარგულებით და
იცოდა თუ არა მან თქვენი ვან-
ზრახულება, ვინ და სად გა-
მოუცხადა მას იგი.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი.

თავად იასე ფალავანდოვ-
მართალი უთქვამს, როდესაც
ის მიკითხავდა პირველი ღა-
მის განკარგულებას, მან მკი-
თხა, კომისიასთან პოსტზე ვინ
დავნიშნოთო. მე მას ვუთხარი
ჩემი ძმა იასე ერისთოვი და-
ნიშნე მეთქი. მე მსურდა გა-
მომეცხადებინა ძმისთვის მხო-
ლოდ იმ ღამით, მაგრამ, რად-
განაც გადავიფიქრეთ, მეც მის-
თვის აღარა მითქვამს რა განზ-
რახულებაზე, და მან ამაზე
სრულებით არაფერი არ იცო-
და.

სამსახურიდან გადამდგარი
თავადი ელ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2423)

კავალერიის პრაპორშჩიკ თავად გიორგი ერისთოვს
12 აპრილი, 1833 წ.

სოვეტნიკი ორბელიანოვი აჩვენებს, რომ ვარშავის აღების შემდეგ მან თავი დაანება სრულიად განზრახულებაზე ფიქრს, მაგრამ ამხანაგები არ ეხსნებოდნენ და განსაკუთრებით კი ელიზბარ ერისთოვი ჰკიცხავდა მას და ყელშიც კი სწვდა. განმარტეთ, მართალია თუ არა ეს ჩვენება სოვეტნიკ ორბელიანოვისა და ვინ არიან ისინი, რომლებიც მოითხოვდნენ განზრახულების განგრძობას და როდის განახლდა ივი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

სოვეტნიკ ორბელიანოვის ჩვენება მართალია მხოლოდ იმაში, რომ ვარშავის აღების შემდეგ არა მხოლოდ მან, არამედ ჩვენ ყველამ თავი დავანებეთ ჩვენს განზრახულებაზე ფიქრს, რაც მე ჩემს პირველ ჩვენებაში ვთქვი, მაგრამ, რომ ამხანაგები არ ეხსნებოდნენ მას და განსაკუთრებით კი ელიზბარ ერისთოვი, — ეს მართალი არ არის. ჯერ ერთი, ვარშავის აღების შემდეგ, ელიზბარი თითქმის სულ სოფელში ცხოვრობდა, ხოლო სხვა ამხანაგები კი მარტო შემდეგნი იყვნენ, რომლებიც მასთან ხშირად დაიარებოდნენ: მე, ავთანდილოვი, ყიფიანოვი და თავადი დავით ჯორჯაძე და ჩვენ ვთამაშობდით კომედიას, განზრახულებაზე საუბარს კი არავინ მოითხოვდა და არც გაგვიახლებია. მახსოვს მხოლოდ რომ ერთხელ მან მითხრა, მართალი არ არისო, გიორგი, ჩვენ რომ მაშინ აჯანყება დაგვეწყო დავიღუპებოდითო. მე ვუპასუხე, რასაკვირველია. სადაც რომ პოლონელებმა ვერ შესძლეს განთავისუფლება, ჩვენ რას გავაკეთებდით მეთქი. ვიდრე მე ლაშქრობაში წავიდოდი, არავის მოუთხოვნია

და არც გაგვიახლებია შეთქმულება, ხოლო რა კეთდებოდა აქ, მე რომ ლაშქრობაში ვიყავი, ამაზე არა ვიცი რა, არც ის — თუ ვინ განაახლა; მხოლოდ ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მითხრა ავთანდილოვმა, რომ მათ ჰქონიათ რამდენიმე სხდომა, როგორც მე ეს წინათ ვაჩვენე.

პრაპორშჩიკი თავადი
გიორგი ერისთოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2425)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს. 12 აპრილი 1833 წ.

ანალოგიურ კითხვაზე ვახტანგ ორბელიანს ასეთი პასუხი გაუცია:

თავად დიმიტრი ერისთოვისა და სოლომონ რაზმაძის ს. პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ, ელიზბარ ერისთოვმა ისინი ჩემს ძმას ალექსანდრეს გააცნო. ამის შემდეგ ისინი მალე დამეგობრდნენ და რადგანაც მაშინ უკვე გაზაფხული იყო, ხშირად სეირნობდნენ ერთად ბაღში და ქალაქგარედაც. სხვათა შორის, ელიზბარი ამბობდა, რომ მისმა ძმამ დიმიტრიმ და რაზმაძემ ჩვენი შეთქმულება შარშანვე იცოდნენ. ნელნელა დავიწყეთ საუბარი თავისუფლებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ თავადმა ელიზბარ ერისთოვმა სადილად მიგვიწვია, სადაც ვილაპარაკეთ საქართველოს განთავისუფლებაზე და დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო, რაც აგრეთვე მოგახსენეთ. ამისდაგვარად ვიკრიბებოდით ხანდახან და სხვათა შორის, ვსაუბრობდით საქართველოს თავისუფლებაზე. ჩემს ძმას არ მოსწონდა ამგვარი აზრების განახლება და იმედი ჰქონდა, რომ, როგორც კი თბილისიდან წავლენ რაზმაძე და დიმიტრი ერისთოვი — რომელთაგან პირველი სპარსეთში აპირებდა წასვლას, მეორე კი ჯელალოღლში, — ყველაფერი გათავდებაო. მართლაც მას შემდეგ, რაც ისინი წავიდნენ, ჩვენ შევწყვიტეთ თავისუფლებაზე ლაპარაკი. მაგრამ შემოდგომაზე, როცა თავადმა აბხაზოვმა ვახშამი გაგვიმართა დოდაევის სახლში, — კვლავ განვაახლეთ შეთქმულება. ჩემი

ძმა იმედოვნებდა, რომ ისინი კვლავ ხელს აიღებდნენ განზრახულებაზე, ერთხანს მათ არაფერს ეუბნებოდა; მაგრამ დაინახა რა, რომ ისინი დიდი გატაცებით ეკიდებიან საქმეს, მაშინ გაუმჟღავნა თავისი აზრი და განუცხადა, რომ ის თანახმა არ არის. ჩემი ძმა ავად გახდა, და ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა დიმიტრი და თ. იასე ფალავანდოვი ხშირად დადიოდნენ მასთან, მას მოღალატეს უწოდებდნენ და აგინებდნენ; მაგრამ ის უფრო მკვეთრად უცხადებდა თავის უთანხმოებას. ბოლოს, ერთ დღეს, დღის 10 საათზე მოვიდნენ ჩვენთან ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა დიმიტრი. იმ დროს ჩვენთან იყო ზაქარია ჩელოყაევიც. მგონია თავადი ფალავანდოვიც იყო, მაგრამ კარგად არ მახსოვს. პორუჩიკმა გიორგი ერისთოვმა, რომელიც მაშინ აგრეთვე იქ იყო, და თავადმა ზაქარია ჩოლოყაევმა ყველაფერი იციან, რაც განსაკუთრებით ელაპარაკეს იმ ღამეს ჩემს ძმას და როგორ ამბობდა შეთქმულებაზე უარს ჩემი ძმა, იმათაც ურჩევდა ხელი აეღოთ.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი

12 აპრილი, 1833 წ.

ვარშავის აღების შემდეგ ჩვენ ხელი ავიღეთ შეთქმულების შესახებ ფიქრზე. მაგრამ იგი განახლდა ჩვენს მიერ 1832 წლის გაზაფხულის დამდეგს, როგოც ზემოთაც ვთქვი.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

1833 წლის აპრილის 15.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2427)

კავალერიის თავად ლუარსაბ ორბელიანოვს

12 აპრილი, 1833 წ.

სოვეტნიკი ორბელიანოვი აჩვენებს, რომ ვარშავის აღების შემდეგ მან სრულებით ხელი აიღო განზრახულებაზე, მაგრამ ამხანაგები არ ასვენებდნენ, განსაკუთრებით კი ელიზბარ ერისთოვი ჰკიცხავდა მას და ყელშიც კი სწვდა. განმარ-

სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენებაზე მაქვს პატივი მოვახსენო კომისიას, რომ ვინ არიან ისინი, ვინც მოითხოვდა მისგან განზრახულების განგრძობას, მე არ ვიცი, არც ის ვიცი ჰკიცხავდა თუ არა მას ელიზბარ ერისთოვი

ტეთ სწორია თუ არა ეს ჩვენება სოვეტნიკ ორბელიანოვისა და ვინ არიან ისინი, რომლებიც მოითხოვდნენ განზრახულების განგრძობას და როდის განახლდა იგი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

და სწვდა თუ არა იგი მას ყელში, ეს ჩემი თანდასწრებით არ მომხდარა და არც არავის უთქვამს რამე ჩემთვის ამაზე. თუმცა 1832 წ. ჯერ ელიზბარ ერისთოვი, შემდეგ კი ალექსანდრე ორბელიანოვი მოვიდნენ ჩემთან, ამ განზრახულების გასაახლებლად და ბოლოს, ამ საქმეზე მოიყვანეს აგრეთვე ზაქარია ჩელოყაევი და იასე ფალავანდოვი, მაგრამ მე ვაჭიანურებდი და არ ვაძლევდი გადაჭრით პასუხსა და თანხმობას.

კავალერიის მაიორი თავადი
ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2429)

ბატონ სამსახურიდან გადამდგარ თავად ელიზბარ ერისთოვს
12 აპრილი, 1833 წ., ქ. თბილისი.

1. თავადი ვახტანგ ორბელიანოვი აჩვენებს, რომ 1833 წელს თქვენა და სოვეტნიკმა ორბელიანოვმა გამოუცხადეთ მას შეთქმულება; განმარტეთ მართალია ეს თუ არა, და ვახტანგმა რუსეთშივე ხომ არ იცოდა თქვენი განზრახულება.

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

1. თავად ვახტანგ ორბელიანოვს ეს სწორედ არ უჩვენებია, რადგან ჩვენი განზრახულება მან რუსეთშივე იცოდა.

თავადი ელიზბარ ე რ ი ს თ ა ვ ი.

მე მგონია, მან ეს იცოდა, იმიტომ რომ ის ესწრებოდა დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრებს 1828 წელს.

ელიზბარ ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წელს ველაპარაკე ვახტანგ ორბელიანოვს და მოვიჩივლე, ერთი წელიწადია, რაც აქა ვარ და გულახდილი საუბარი არავისთან მქონია, ჩემი აზრები ვერავის გავუზიარე მეთქი. მე მას მოვაგონე დიმიტრი ბატონიშვილის საუბარი საქართველოს შესახებ. ვახტანგმა მიპასუხა, აი, რენ შეგიძლიან სრულიად უშიშრად ელაპარაკო ჩემს ძმას ალექსანდრესო და ამის შემდეგ ველაპარაკე ალექსანდრეს.

ელიზბარ ერისთოვი.

2. სოვეტნიკი ორბელიანოვი უჩვენებს, რომ 1833 წელს, როდესაც გადაწყდა ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევა, თქვენ მიხვედით მასთან და უკარნახეთ ბატონიშვილისადმი მოსაწვევი წერილი და თქვენი სიტყვებით მან დასწერა მსხვილი ასოებით ნაწერი ხელით, რათა, თუ წერილს დაიჭერდნენ, არ ეცნოთ მისი ხელი. განმარტეთ როგორ იყო ეს, ვინ მისწერა პირველი წერილი ბატონიშვილს და რა შინაარსისა იყო იგი.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

2. 1831 წელს გადაწყდა მოგვეწვია ალექსანდრე ბატონიშვილი და სოვეტნიკმა ორბელიანოვმა თვითონ დაივალა ბატონიშვილთან წერილის მიწერა და გაგზავნა, რაც კიდეც შეასრულა. როგორც დაწერა, ისეც გაგზავნა და მე არა თუ არ მიკარნახნია მისთვის, არამედ არც კი ვიცი რა ეწერა მასში. როდესაც შევეკითხე, გაგზავნა თუ არა წერილი, მიპასუხა წერილი უკვე გავგზავნეო.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ე. ერისთოვი.

3. სოვეტნიკი ორბელიანოვი აჩვენებს, რომ 1832 წლის ნოემბერში, როდესაც მას ფეხი სტკიოდა, კაპიტან ჩელოყაევის თანადასწრებით უარს ამბობდა ბოროტ განზრახულობაში მონაწილეობაზე და ვითომც თქვენ მასზე ძალიან სჯავრობდით. განმარტეთ როგორ იყო ეს და უარს ამბობდა სოვეტნიკი ორბელიანოვი შემდგომ მონაწილეობაზე განხორციელებაში, თუ მიაჩნდა, რომ ის წარუმატებელი იქნებოდა და წინადადებას იძლეოდა გადადებული ყოფილიყო იგი უფრო ხელსაყრელი შემთხვევისათვის

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

3. სოვეტნიკ ორბელიანოვს არასოდეს არ უთქვამს უარი განზრახულებაში მონაწილეობაზე და იგი სწორედ ისევე მოქმედებდა, როგორც ყველა მონაწილენი და მე მასზე არასოდეს გაჯავრებული არა ვყოფილვარ; მას ეს ყველაფერი არა სწორად უჩვენებია. ჩოლო-

ყაევის თანადასწრებით ის მეუბნებოდა, რომ იმედი აქვს რომ მალე შეიყრებიან თბილისში თავადაზნაურები არჩევნებზე. აი, რა მითხრა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა ჩელოყაევის თანადასწრებით და მას უარი არ განუცხადებია განზრახულებაზე.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი

თავადი ე. ერისთოვი.

4. სოვეტნიკი ორბელიანოვი უჩვენებს, რომ ვარშავის აღების შემდეგ მან სრულიად ხელი აიღო განზრახულების შესახებ ფიქრზე, მაგრამ ამხანაგები არ ეხსნებოდნენ და თქვენ ვანსაკუთრებით ჰკიცხავდით, ყელშიაც კი სწვდით, განმარტეთ, მართალია თუ არა სოვეტნიკ ორბელიანოვის ჩვენება და ვინ არიან ისინი, რომლებიც მოითხოვდნენ განზრახულების გაგრძელებას და როდის განახლდა იგი.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

4. ვარშავის აღების შემდეგ განზრახულებაზე მართლაც აღარ გვილაპარაკნია ერთხანს, მაგრამ ალექსანდრემაც ბეჯითად დალია თავისუფლების სადღეგრძელო ჩემთან სადილზე, როგორც ყველა სხვამ; მას ძალას არავინ ატანდა, მით უმეტეს მე, და არც ყელში ვწვდომივარ; მისი ეს ჩვენება მართალი არ არის. ჩვენი განზრახულება განახლდა თავად აბხაზოვთან ვახშამზე საუბრის შემდეგ.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი

ე. ერისთოვი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2433)

ყოფილ სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს

12 აპრილი, 1833 წ.

პირველი ღამის განკარგულებით, არსენალის, მაღაზიისა და ხაზინის ასაღებად, სხვებთან ერთად დანიშნული იყო აგრეთვე თავადი ბეჟან ამილახვაროვი. რადგანაც ეს განკარგულება დაწერა იასე ფალავანდოვი

თავადი იასე ფალავანდოვი რომ აჩვენებს ამ გარემოებაზე ჩემზე, დიახ, ტყუილი არის, რომელსაცა ამით დავამტკიცებ რომ, ის პირველი ღამის რასპარაკენია რომ დაეწერა იასეს იმ დაწერის შემდეგ **თორმეტი**[1]

[1] ხაზგასმულია დედანში.

ვანდოვმა, მას შეეკითხეთ და მან სთქვა, რომ განკარგულებაში ბეჟან ამილახვაროვი ჩასწერა თქვენი წინადადების თანახმად, რომ მისი ძმა[1] თეიმურაზ ამილახვაროვი უთუოდ მასაც ეტყოდაო.

ამიტომ თქვენ უნდა განმარტოთ, იცოდა თუ არა ბეჟან ამილახვაროვმა შეთქმულება, პირველმა ვინ გამოუცხადა მას და რა მიზეზით წამოაყენეთ იგი პირველი ღამის განკარგულებაში დავალებით შესატანად.

დღე თუ ორი კვირა გავიდა რომ მე მაშინ მაჩვენა იასემ ის პირველი ღამის რასპარაჟენია, — მაშასადამე მე საიდგან ვიტყოდი თავადის ბეჟან ამილახვაროვის დანიშვნას, — ამისთვის დიაღ ტყუილი არის იასესაგან ესე ჩემზე ჩვენება, და არც ვიცი თავადმა ბეჟან ამილახვაროვმა იცოდა ესე ჩვენი განზრახვა თუ არა, ანუ იცის თუ არა.

წელსა 1833-სა, აპრილის 12-სა დღესა.

გენერალ-მაიორი
ბ ა ი კ ო ვ ი.[1]

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2435)

თავად ელიზბარ ერისთოეს. 15 აპრილი, 1833 წ.

განმარტეთ დაწვრილებით: სად, ვისგან და როდის არის თავდაპირველად შედგენილი აჯანყების პირველი ღამის განკარგულება. არსებობდა იგი თუ არა 1831 წლისთვისაც და პირველად ვინ წამოაყენა ამის შედგენის აზრი, თქვენ, თუ კიდევ სხვა ვინმემაც.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

1. 1833 წლის ნოემბერში იასე ფალავანდოვი, ჩემი ძმა დიმიტრი, მგონია დიმიტრი ორბელიანოვიც ვიყავით ავადმყოფ ალექსანდრე ორბელიანოვთან, სადაც ვილაპარაკეთ ჩვენს განზრახულობაზე; საუბარი იმით დავამთავრეთ, რომ დავასკვენით, საჭიროა ქაღალდზე ჩამოვწეროთ სად, ვინ როგორ უნდა იმოქმედოს აჯანყების პირველ ღამეს. ამავე საუბრის დროს განვსაზღვრეთ, თუ რომელია მთავარი პოსტები, მაგრამ არ დაგვინიშნავს იქ ვინ უნდა ყოფილიყო. დანიშვნა და მოქმედების განსაზღვრა თავს იდვა იასე ფალავანდოვმა და ამას

[1] ხაზგასმულია დედანში.

გააკეთებდა თავის სახლში, ამასთანავე, აღუთქვით, რომ ხვალ მასთან ჭიქნებოდით ყველანი, გარდა ალექსანდრე ორბელიანოვისა, მეორე დღეს აღარ მახსოვს რაღაც საქმემ დამაბრკოლა და მე არ დავსწრებივარ განკარგულების შედგენას, როდესაც იასე ფალავანდოვმა მე ის წამიკითხა, დავითანხმე და ცვლილება არა შემიტანია რა.
1831 წელს არ დაგვიწერია განკარგულება.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი
ე. ერისთოვი.

1831 წ. აგრეთვე გვქონდა აზრი შეგვედგინა განკარგულება, თუ რა პოსტებს უნდა დავსხმოდით თავს და ვფიქრობდით, რომ თავადები თან ჩამოიყვანდნენ თვითეული რამდენიმე შეიარაღებულ კაცს. 1832 წელს ჩემი ძმის მიერ დაწერილი განკარგულების შესახებ, რაც მას უჩვენებია, — მე არა ვიცი რა, ის მე არ მინახავს და არც ჩემი თანადასწრებით დაწერილა.

ელიზბარ ერისთოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2437)

თავად ელიზბარ ერისთოვს. 15 აპრილი 1833 წ.

მრავალ ჩვენებათაგან ჩანს, რომ იასე ფალავანდოვი, რომელიც იყო 1831 წლის შეთქმულების წევრი, მხურვალე მონაწილეობას იღებდა 1832 წელსაც, მაგრამ საჭიროა თქვენგან გარკვეული განმარტება, თუ სახელდობრ როდის განაახლა იასე ფალავანდოვმა 1832 წლის განზრახულებაში მონაწილეობა. ამიტომ განმარტეთ 1832 წ. როდის და ვისი თანდასწრებით გელაპარაკათ იასე ფალავანდოვი განზრახულებაზე.

პოლკოვნიკი
ტრიტელევიჩი.

... თავადი იასე ფალავანდოვი გავიცანი ბატონ დოდაევის სახლში 1832 წლის სექტემბერში, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე თავადი ანტონ აბხაზოვი ვახშმად დაგვპატიჟებდა და აი, ამ დროს, ე. ი. ვახშამზე აბხაზოვთან, პირველად ილაპარაკა ფალავანდოვმა განზრახულებაზე.

სამსახურიდან გადამდგარი
პოდპორუჩიკი თავადი
ე. ერისთოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2439)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს. 15 აპრილი, 1833 წ.

ანალოგიურ კითხვაზე ვ. ორბელიანი უპასუხებს:

თავად იასე ფალავანდოვმა ჩემი თანდასწრებით პირველად ილაპარაკა შეთქმულებაზე 1832 წლის სექტემბრის ბოლოს, დოდაევის სახლში, როდესაც ვახშმად ვიყავით თავად აბხაზოვთან და როდესაც ამ უკანასკნელს გამოვუცხადე ჩვენი გახზრახულება. ხოლო, თუ თავადმა ფალავანდოვმა უფრო ადრეც ილაპარაკა ვისთანმე, ეს არ ვიცი და ჩემთვის ამაზე არავის არ უთქვამს. არც ის ვიცი, რა მიზეზით შევიდა იგი ხელახლა შეთქმულებაში.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

15 აპრილი, 1833 წ.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (XIII, 2441)

ბატონ მასწავლებელს დიმიტრი ყიფიანოვს
15 აპრილი, 1833 წ.

ამავე კითხვაზე დიმიტრი ყიფიანს უთქვამს:

ამ კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ თავად იასე ფალავანდოვთან 1832 წლის 19 ოქტომბრამდე არავითარი ნაცნობობა არა მქონია და იღებდა თუ არა იგი განზრახულებაში მონაწილეობას 1831 წელში, მე არ ვიცი, რადგანაც ამ საქმის მაშინ მე თვითონ არა ვიცოდი რა. მაგრამ გასული წლის 19 ოქტომბერს თავად ელიზბარ ერისთოვის პირით მიმიწვია თავისთან ვახშამზე, სადაც ჩემი თანდასწრებით პირველად ილაპარაკა განზრახულებაზე, რომელშიაც თვითონ დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც მე შევნიშე. აქის მეტი მე მასთან არას დროს არც შეხვედრა და არც რამე საუბარი აღარ მქონია და არც არა ვიცოდი რა მის შესახებ.

მასწავლებელი დიმიტრი ყიფიანოვი.

15 აპრილი, 1833 წ.

გიორგი ერისთავის ჩვენება (XIII, 2443)

ბატონ პორუჩიკ თავად გიორგი ერისთოვს. აპრილის 15, 1833 წ.

იმავე კითხვაზე გ. ერისთოვს უპასუხნია:

სრულებით არაფერი ვიცი, თუ როდის განაახლა თავადმა იასე ფალავანდოვმა თავისი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში

მაგრამ მახსოვს, რომ ჩემი თანდასწრებით მან პირველად ილაპარაკა შეთქმულებაზე, როდესაც მიწვეული ვიყავი თავად აბხაზოთან ვახშამზე ბატონ დოდაევის სახლში, სადაც იყვნენ აგრეთვე ელიზბარ ერისთოვი, თავ. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები.

პორუჩიკი თავადი ერისთოვი

15 აპრილი, 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIII, 2449)
ბატონ მასწავლებელ დოდაევს. 15 აპრილი, 1833 წ.
ამავე კითხვის საპასუხოდ ს. დოდაშვილს უჩვენებია:

1832 წლის შემოდგომაზე მოველ იასე ფალავანდოვთან. მან მისაყვედურა, რომ მე დავიწყებას მივეცი შეთქმულების შესახებ წინანდელი საქმე; მე ვუპასუხე, რომ ვარშავის აღების შემდეგ საქმეც გათავდა მეთქი. მან განაგრძო: „ამაოდ. თქვენ გგონიათ, რომ ჩემი ძმა გუბერნატორი გახდა და ყველა ქართველს შეუძლია მიიღოს რუსებისაგან დიდი ადგილი. დამიჯერეთ, რომ იმასაც მალე გამოსცვლიან და სამართალშიც მისცემენო". მერე პირველად სექტემბერში მიგვიწვია თავისთან მე და სოვეტნიკი ორბელიანოვი და გვითხრა. „თქვენთვის სირცხვილია, რომ მეც დამივიწყეთ და ჩვენი წინანდელი საქმეც; მერე რა, რომ ჩემი ძმა გუბერნატორია: თქვენ ჰფიქრობთ, რომ მე დავივიწყე ჩვენი განზრახულება, რაკი ჩემი ძმა გუბერნატორიაო". — სოვეტნიკმა ორბელიანოვმა უპასუხა, რომ წინათ ბევრმა იცოდა, მაგრამ ყველამ უკვე დაივიწყა. ფალავანდოვმა: „მე ზოგიერთს უკვე ველაპარაკე და შეიძლება ყველას განუმეორეთ, ეხლა საუკეთესო დროა, რათა გავაძლიეროთ, ჩემთან ხელს არავინ შეგვიშლის, შეიძლება აქ შევიკრიბოთ ხოლმე და ვისაუბროთ; აი, ეგვიპტის ფაშაც არზრუმს მოადგა, იგი ტომით ქართველია და საქართველოში მოსვლა უნდაო". მე ვთქვი: „ეს რომ მართალი იყოს, რუსები ჩუმად არ იქნებოდნენ მეთქი, ფალავანდოვმა მომიგო: მაგათ არ უნდათ გაახმაურონ, ეს საიდუმლოებად რჩება, ჩემმა ძმამ საიდუმლო ქაღალდი მიიღო გუმრიდან და იგი მალე გაეგზავნება განკარგულებისათვის. ფალავანდოვმა განაგრძო: „ჩემი ძმა აშკარად ატყუებს მაიორ თავადლუარსაბ ორბელიანოვს, რომ იგი გამართლებული იქნება ორბელიანოვების საქმეში; ტყუილი მოლოდინი აქვს მას, საჭიროა მან რაიმე იფიქროს ჩვენს საქმეზე, თორემ ცუდი დღე მოელისო. ორბე-

ლიანოვების საქმე განსახილველად გადაეცა თავად ვარშავსკის, მან მისცა ისინი სამართალში და რასაკვირველია, იგი თავის სიტყვას აღარ შესცვლის და მათ სასტიკ სასჯელს დაადებსო“.

აი, პირველად 1832 წლის სექტემბერში, რაც გავიგონე იასე ფალავანდოვისაგან და ამით აღიდგინა მან თავისი მონაწილეობა განზრახულებაში. ამავე წლის მაისში განაახლა აგრეთვე ელიზბარ ერისთოვმა: სექტემბერში კი იასე ფალავანდოვმა, ამ უკანასკნელს, თუმცა ადრევე სურდა, მაგრამ მე ვეუბნებოდი შეუძლებლობას და აღარ გაიმეორროთ მეთქი, უმჯობესია მიშოვოთ ხელის მოწერილები, თუ თქვენი სამშობლოსთვის კეთილი გსურთ მეთქი: მე მაშინ თანა მქონდა გაზეთები.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (XIII, 2451)

ბატონ მასწავლებელ ზაალ ავთანდილოვს. აპრილის 15, 1833 წ.

იასე ფალავანდოვმა ჩემი თანდასწრებით მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა შეთქმულებაზე, სახელდობრ, ოქტომბრის 19 რიცხვში, მიმდინარე წელს.

მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (XIII, 2453)

ბატონ თარჯიმანს იოსებ მამაცოვს. 15 აპრილი, 1833 წ.

უკვე მრავალ ჩვენებათაგან ჩანს, რომ იასე ფალავანდოვი მონაწილეობას იღებდა 1831 წლის შეთქმულებაში, 1832 წლის განზრახულებაში მიიღო ცხოველი მონაწილეობა, მაგრამ კიდევ საჭიროა თქვენი განმარტება, როდის — განაახლა ხსენებულმა ფალავანდოვმა თავისი მონაწილეობა 1832 წ. განზრახულებაში: 1832 წელს პირველად როდის გელა-

განზრახულებაში იასე ფალავანდოვის მონაწილეობაზე მე არა ვიცოდი რა 1832 წლის ოქტომბრამდე. ამ თვეში შემხვდა თავადი იასე ერისთოვი და თავისთან მიმიწვია ჩაიზე, სადაც მერე თავადი ელიზბარ ერისთოვიც შემოვიდა, მალე შემოირბინა ბიჭმა და უთხრა, რომ იასე ფალავანდოვი ეძახის მას და შინ შემოსვლა არ უნდაო. ელიზბარ ერისთოვი წა-

პარაკათ, ან თქვენი თანადასწრებით სად ილაპარაკა მან განზრახულებაზე.

გენერალ-მაიორი
ბ ა ი კ ო ვ ი.

ვიდა მასთან და აღარ შემოსულა. მეორე დღეს შემხვდა ელიზბარ ერისთოვი კოლეჟსკი სოვეტნიკ მელნიკოვის სახლთან, სადაც მე ვკითხე იასე ფალავანდოვის ასე მოსვლის მიზეზი; მაშინ მან, ერისთოვმა მიპასუხა, რომ ფალავანდოვს მხედველობაში აქვს მისი მონაწილეობა განზრახულებაში, მაგრამ იყო თუ არა იგი მონაწილე 1831 წელს, ან 1832 წ. როდის განაახლა მან თავისი მონაწილეობა, ამაზე თავად ერისთოვს არ უთქვამს. რამდენიმე ხნის შემდეგ იასე ფალავანდოვი შემხვდა ბატონ გუბერნატორის სახლთან და მითხრა აქ პირველად, რომ, ელიზბარ ერისთოვმა განზრახულების შესახებ რაღაც ქაღალდი დაწერაო; ამის შემდეგ ფალავანდოვს ჩემი თანადასწრებით აღარა ულაპარაკნია რა.

კანცელარისტი
იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIII, 2455)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოვს
15 აპრილი, 1833 წ.

ანალოგიურ კითხვაზე დ. ერისთავს უპასუხნია:

თავად იასე ფალავანდოვის ჩვენს განზრახულებაში 1832 წელს მონაწილეობა მე შევიტყე როტიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე წლის ოქტომბრის პირველს; როგორც ჩემი ძმის ელიზბარისაგან და კიორგი რევაზის ძე ერისთოვისაგან გავიგონე, ფალავანდოვთან ერ-

თად იყვნენ ხოლმე ბატონ სოლომონ დოდაევთან და საუბრობდნენ ამ საგანზე.

მე კი ოქტომბრის პირველ რიცხვებში გავიცანი იგი[1] და მასთან საუბარი მქონდა ჩვენს განზრახულებაზე. მაგრამ ვინ გამოუცხადა მას და როდის, მე არ ვიცი, და თუ იცოდა მან შეთქმულება 1831 წელს არც ეს ვიცი.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი
1833 წლის 15 აპრილი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2457)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად გიორგი დავითის ძეს ერისთოვს
15 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე გ. ერისთავი უპასუხებს:

იასე ფალავანდოვზე არაფერი ვიცი იყო თუ არა იგი 1831 წლის შეთქმულების მონაწილე; ან 1832 წელს და ან ვინ გამოუცხადა მას და როდის განაახლა მან თავისი მონაწილეობა. მე არა თუ 1832 წელს არა მქონია მასთან რამე საუბარი, არამედ მე მას სრულიად არ ვიცნობდი, არც მინახავს სადმე წვეულებაზე; ლაშქრობიდან დაბრუნებამდე მასზე არა გამიგონია რა, ხოლო როდესაც დავბრუნდი, ბატონმა ავთანდილოვმა მითხრა, რომ მას გამოუცხადეთო და მის სახლში ვიკრიბებოდითო.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIII, 2459)

ბატონ პრაპორშჩიკ დიმიტრი ერისთოვს. 15 აპრილი, 1833 წ.

1. ბატონმა ვეისმა შეკითხვაზე თქვენს მიმართ გამოთქმულ მუქარის გამო, აჩვენა, რომ: თქვენ გამოსთხოვეთ 400 მან. ყოვლად სამღვდელო ანტონს ვორონეჟში, გამოუცხადეთ რა, რომ თქვენ ხართ მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრობის მიხეილ პავლეს ძის ადიუტანტი და ვითომც თან მოგქონდათ სახელმწიფო ნივთები; და რომ თქვენ იმავე გზით მიიღეთ ფული კომისარიატის კომისიის ხაზინადარისგან სტავროპოლში.

განმარტეთ სათანადოდ ბ. ვეისის მიერ გამოთქმული ბრალდება.

გენერალ-მაიორი ჩეკინი.

---

1 ე. ი. იასე ფალავანდიშვილი.

1. ბატონ ვეისის ჩვენება მართალი არ არის, რადგან მე არა მჭიროდა შემეთხზა ასეთი ზღაპარი, იმიტომ, რომ, ვითხოვე რა შენდობა, გამოვუცხადე მის უწმინდესობას ჩემი გვარი და მან მაშინვე მკითხა, ჩემი ნათესავი ხომ არ არის მიტროპოლიტი თავადი ვარლამ ერისთოვი, რომელიც მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა. მე ვუპასუხე ის ბიძა არის ჩემი მეთქი. იგი ამას ძალიან ბრალობდა და თავისი თავი მისგან დიდად დავალებული მიაჩნდა. მერე მკითხა ხომ არაფერი გიშირსო. მე მივუგე, რომ მოვდივარ ს. პეტერბურგიდან საქართველოში, სადაც უნდა ვიმსახურო, შემომაკლდა საგზაო ფული და რადგან ქალაქში ნაცნობი არავინა მყავს, მოგმართოეთ თქვენ, როგორც სულიერს მამას და თუ ხელს გამიმართავთ, საქართველოში ჩასვლისთანავე გაახლებთ მეთქი. იგი უმალ დამეთანხმა. მე შევთავაზე ფორმალური თამასუქი, მაგრამ მან უარი თქვა და მითხრა რომ: „ეს ფული ჩემი არ არის, საეკლესიოა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ არ მიითვისებო.“ აი, როგორ იყო ეს სინამდვილეში. მაგრამ რომ ბატონმა ილინსკიმ სესხად მომცა ფული, ჩემი თხოვნის საფუძველზე, ეს გასაკვირი არ არის, რადგან გასინჯა რა მან ჩემი სამგზავრო საბუთები და გაიგო რა ჩემი გვარიცა და სამსახურის ადგილიც, ეჭვი არ შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ფული დაეკარგებოდა. ბატონ ვეისის მიერ შეთხზული პოდპოლკოვნიკ ილინსკისთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა. აი, ყველაფერი, რაც შემიძლიან ვთქვა ბატონ ვეისის ჩვენებაზე.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი.

1833 წლის 15 აპრილი.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (2461)

ბატონ გვარდიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ორბელიანოვს
15 აპრილი, 1833 წ.

თავადი იასე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენ მას უთხარით 10 დეკემბერს თქვენი ძმის ალექსანდრეს თანდასწრებით, რომ მოზდოკზე გამოვლის დროს გაიგონეთ, რომ პოლკოვნიკ ლაზარევსა და სომხებს აქვთ ცუდი ზრახვები სო-	თავადი იასე ფალავანდოვი სრულიად ყალბად უჩვენებს: პირველი იმიტომ რომ 10 დეკემბერს არც ის მინახავს და არც ჩემი ძმა და არასოდეს არც მითქვამს, რომ პოლკოვნიკი ლაზარევი და სომხები განზრახავენ სომხეთის სამეფოს

მხეთის სამეფოს აღდგენის
თაობაზე.
განმარტეთ, რა იცით ამაზე.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

აღდგენას, მით უმეტეს, რომ
პოლკოვნიკ ლაზარევს მე სრულ-
ებით არ ვიცნობ; და მეორე,
რომ მე ჩემს სიცოცხლეში არა
ვყოფილვარ მოზდოკში და
არც ვიცი რა ქალაქია იგი, ამი-
ტომაც მე არაფერი არ ვიცი.

გვარდიის პრაპორშჩიკი
თავადი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.
16 აპრილი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2463)

იასე ფალავანდოვის შესახებ ჩემი 15 აპრილის ჩვენების დამატებად, მაქვს პატივი განვმარტო:

1832 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში ვიყავი სოვეტნიკ ორბელიანოვთან ბაღში, სადაც ვვახშმობდით: მე, ანტ. აბხაზოვი, იასე ფალავანდოვი, ვახტანგ ორბელიანოვი, ჩემი ძმა დიმიტრი ერისთოვი; საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ ვლაპარაკობდით საქართველოს მდგომარეობაზე, ვახშამზე ყველამ დავლიეთ საქართველოს თავისუფლების სადღეგრძელო. იასე ფალავანდოვის თანდასწრებით, როგორც ეხლა მაგონდება, პირველად აქ ვილაპარაკეთ შეთქმულებაზე 1832 წელს.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ე. ე რ ი ს თ ო ვ ი

16 აპრილი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIII, 2464)

16 აპრილი, 1833 წ.

საგამომძიებლო კომისიის ჩემდამი კითხვაზე პატივი მაქვს ვუპასუხო:

1832 წელს პირველი ოთხი თვის განმავლობაში. ე. ი. მაისის თვემდე მე ვიმყოფებოდი სოფელში. მაისის დამლევს მე გავმართე სოლომონ რაზმაძის გამოსათხოვარი სადილი; ამ სადილის მერე,

რამდენმე დღის შემდეგ, ისევ სოფელში წავედი, სადაც ივნისი და ივლისი გავატარე და თბილისში ჩამოვედი ჩემს საქმეებზე მხოლოდ 15 აგვისტოს მახლობლად. ჩამოსვლისთანავე ჯერ ვახშმად მიმიწვია ანტონ აბხაზოვმა, მერე ჩემთან იყვნენ ჩაიზე, მერე იასე ფალავანდოვთან ვივახშმეთ მის სახლში; მანვე გვიმასპინძლა აგრეთვე ავლაბრის ტრაქტირში. ამის შემდეგ ვიყავი ჩაიზე ხან იასე ფალავანდოვთან და ხან კი სოვეტნიკ ორბელიანოვთან, ვიყავით აგრეთვე ჩაიზე რამდენიმეჯერ დოდაევთანაც. ვიყავით რამდენიმეჯერ ლუარსაბ ორბელიანოვთან. როგორც მახსოვს, ამ წესით გვიხდებოდა ხოლმე ერთად ყოფნა.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი

თავადი ე. ერისთავი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2465)

1. თავადი იასე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენმა ძმამ დიმიტრიმ თქვენი თანდასწრებით, 10 დეკემბერს უთხრა მას, რომ, ვითომც, მოზდოკზე გამოსვლის დროს, გაიგონა პოლკოვნიკ ლაზარევისა და სომხების ცუდი ზრახვების შესახებ სომეხთა სამეფოს აღდგენის შესახებ. განმარტეთ, მართლა სთქვა, თუ არა ეს თქვენმა ძმამ დიმიტრიმ.

1. იასე ფალავანდოვი რომ სწერს ამ გარემოებას, ესრეთ იყო და არა ისე როგორც იასე აჩვენებს, ჩემმა ძმამ დიმიტრიმ ისე რაღაც ლაპარაკი ჩამოვარდა, და ამ ლაპარაკს შორის თქო ესრეთ, მე ვიღაცამ მითხრაო, რომ, ოდესცა პოლკოვნიკი ლაზარევი მოზდოკს მივიდაო, იქაურმა სომხებმა დიდათ პატივი სცესო, და სადილი გუუკეთესო ლაზარევსო, ამაზე მეტი სხვა არა რა უთქომს რა ჩემ ძმა დიმიტრის, და იასე რომ სწერს მომატებულს ტყუილს, სომეხთა მტრობით სწერს, ამისთვის რომ იასესაგან ბევრჯერ გამიგონია, როდის იქნებაო რომ ეს სომხები ამ საქართველოდან ამოვარდნესო...

2. იგივე აჩვენებს, რომ ვითომც თქვენ გითქვამთ მისთვის, რომ თქვენმა ძმამ დიმიტრიმ განზრახულება გაანდო თავის მეუღლეს. განმარტეთ ეს გარემოება.

2. არამც თუ ტყუილი იყოს ესე, იასე ფალავანდოვისაგან ჩვენება, არამედ დიახ დიდი, და საშინელი მოგონილი სიცრუით ჩვენება არის იასე ფალავანდოვისაგან, არც მითქომს, არც არა ხმა ამამიღია ამას საგანსა ზედა. რო არა იცის რა ჩემი ძმის დიმიტრის მეუღლემ ეს

ჩვენი განზრახვა, რად ვიტყოდი და ან რა ლაპარაკი იქნებოდა, — ესეც მტრობით ჩვენება არის იასესაგან, ამისთვის რომ, რადგანაც ჩემის ძმის დიმიტრის მეუღლეს, ძმა მოუკლეს ლეკებსა შინა, — ამისთვის იმ ჩემს რძალს ერთი ბიძაშვილი ჰყავს ერთი ქალი პოლკოვნიკ ყაფლანისაგან, დარჩომილი სოფია, რომელიც ამ სოფიასაგან წერილი აქვს ჩემს რძალს, რომ მის ყმა და მამულთან ნაწილი აღარა ჰქონდეს რა, და მე იასემ მითხრა როდისაც რომ ამბავი მოვიდა ლეკებიდგან რომ ზაალ ორბელიანოვი მოკლესო ახლა ჩემი ძმა ღუბერნატორი თავის დანიშნულს გაუშვებსო, მაიორის თავად ლუარსაბ ორბელიანოვის ქალს, და მას სოფიას შეირთავსო, ამისთვის რომ შენი რძლის ყმა, და მამული ნახევარი ახლა მის სოფიოსი არისო, რომელიც თვით იგი ღუბერნატორი ნიკოლაი ფალავანდოვი აპეკუნი არის მისი სოფიოსი; მის ქალის დაბადებითგანვე.

ამასთან დაუმატებ ერთხელ კაპიტანმა ზაქარია ჩოლაყოვმა თქო პრისუსტვიე ჩემ ძმა ვახტანგთან, კარნეტ გიორგი ერისთოვთან, და ჩემთან, ესრეთ, პეტერბურგის **ერთ**[1] ტრახტირში შევიდნენ **სამნი** კეთილშობილნიო, და იქ ხელმწიფის იმპერატორის ჩამოსხმული სახე იდგაო, ამა კეთილშობილთაგანი **ერთი** მივიდა იმ სახეს მუხლზე წკიპურტი დაჰკრაო, დაფურთხაო, ახ ტი ნიკოლაშაო, და **მეორემ** დანა ამოიღოვო დაიძახა დალოი, დალოიო, და დანა დაჰკრა მას ხელმწიფისა სახესაო, და მესამისა კი აღარ მახსოვს რა თქო, — და ამა კეთილშობილთა გვარიცა თქო ზაქარია ჩოლოყაევმა, რომელიც მე აღარ მახსოვს, იმათი გვარი[2] წელსა 1833-სა. აპრილის 17-სა დღეს.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIII, 2469)

გაგონილი მაქვს თავადების: გოლიცინის, ბუტურლინისა და რომანოვების თავგადასავალი, მაგრამ ხელმწიფის მიმართ რამე უღირსი ლაპარაკის შესახებ ჩემი თანდასწრებით არა თქმულა რა. აგრეთვე იგი არა ყოფილა მოთხრობილი რამე განზრახვით და ზემო დასახელებულ პირთა შესახებ საუბარი რასთან, დაკავშირებით აღიძრა აღარ მახსოვს.

პორუჩიკი თავადი ერისთოვი

18 აპრილი, 1833 წ.

---

1 ოთხი სიტყვა დედანში ხაზგასმულია.

2 როგორც გ. რ. ერისთოვის მომდევნო ჩვენებიდან ირკვევა, დასახელებული ყოფილან თავადები: გოლიცინი, ბუტურლინი და რომანოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIII, 2471)

თავად ზაქარია ჩოლოყაევმა რამდენჯერმე გვიამბო, რომ ვითომ თავადი გოლიცინი და ვინმე ბუტურლინი პეტერბურგში შესულან რომელიღაც რესტორაციაში და შამპანურსა სვამდნენ: ამასობაში, ვითომც, გოლიცინს შეუნიშნავს, რომ სარკმელში იდგა იმპერატორის ბიუსტი, თურმე ადგა იგი თავისი ადგილიდან, მივიდა ბიუსტთან და რამდენჯერმე ჰკრა წკიპურტი ცხვირში, ხმამაღლა გადაიხარხარა და სთქვა: ა, ნიკოლაშკა, ნიკოლაშკა. მაგრამ, ვითომც, ბუტურლინს — არ დაკმაყოფილდა რა ამით, — აუღია მაგიდის დანა, თავში დაურტყამს ბიუსტისათვის, იატაკზე გადმოუგდია. დაუმტვრევია და უთქვამს: აბა ნიკოლოზ, აბა იგი. ჰხედავთ, ბატონებო, განაგრძობდა გვარდიის კაპიტანი თავადი ჩელოყაევი, როცა თვით რუსი თავადაზნაურები გრძნობენ მთავრობის უსამართლობას, მით უმეტეს ჩვენ უნდა ვიგრძნოთ იგი და უფრო მეტად უნდა გვძულდეს მთავრობაო.

ყველაფერი ეს გაიგონეს: ჩემმა ძმამ ალექსანდრემ, გიორგი რევაზის ძე ერისთოვმა და დოდაევმა. მგონია, გაიგეს აგრეთვე ელიზბარ ერისთოვმა, მისმა ძმამ დიმიტრიმ და თავადმა ფალავანდოვმა.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი

18 აპრილი, 1833 წ.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (XIII, 2473)

თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა არ მახსოვს რასთან დაკავშირებით მითხრა თავად გოლიცინზე და საუბარში ეუთხარი, რომ, მგონია, გოლიცინი ცელქობისთვის გადმოყვანილია საქართველოში მეთქი და რომ გოლიცინი პეტერბურგში ამსხვრევდა მინებს, და თითქოს, მან თუ რომელღაცმა მისმა ამხანაგმა ტრაქტირში ყოფნის დროს, წააქცია ხელმწიფის ბიუსტი და რომ ამ ცელქობათა გამო, იგი საქართველოში გადმოასახლეს. ყველაფერი ეს როდის, ან ვისი თანდასწრებით ვილაპარაკე, აღარ მახსოვს.

კაპიტანი თავადი ჩელოყაევი.

18 აპრილი, 1833 წ.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIII, 2479)

კომისიის ჩემდამი შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო შემდეგი:

პეტერბურგში მომხდარი ამბავი, რის გამოც აქ გაძოიგზავნა გოლიცინი, მე ქალაქში გავიგონე; ჩვენს საზოგადოებაში კი, აღშფოთების მიზნით, არც კაპიტანს ჩელოყაევისაგან და არც სხვა ვინმესგან არ გამიგონია.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ე ი.

„ „[1] აპრილი, 1833 წ.

ანტონ აბხაზის ჩვენება (XIII, 2498)

საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ მე ყარაბაღში გავემგზავრე 1832 წლის 15 ოქტომბერს და დავბრუნდი დეკემბრის თვის პირველ რიცხვებში, ექვსი დღე შინ ავადმყოფი ვიწექი.

თავადი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი.

აპრილი 22, 1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIII, 2499)

ჩემს ჩვენებებში მოხსენებული პირველი ღამის განკარგულება მე დავწერე იასე ფალავანდოვთან, მაგრამ პიროვნებებს სხვები ასახელებდნენ, მათ მე არ ვიცნობდი. ასახელებდნენ: ჩემი ძმა ელიზბარი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და იასე ფალავანდოვი, სხვები აღარ მახსოვს, ვინ იყვნენ. როგორც კი დავამთავრე, მაშინვე დავხიეთ, რადგანაც არ გვინდოდა შეგვენახა რომელიმე წერილობითი საბუთი. მასში არაფერი იყო ბალის შესახებ. განკარგულება, რომელიც მე წამიკითხა თავადმა იასე ფალავანდოვმა და რომელიც მოხსენებულია ჩემს ჩვენებებში, იგივე იყო, რაც პირველი, ჩემგან დაწერილი.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი.

1833 წლ. აპრილი.

---

[1] რიცხვი არ უწერია.

ზაქარია ჩოლაყაშვილის ჩვენება (XIII, 2505)

ბატონ გვარდიის კაპიტან თავად ზაქარია ჩოლოყაევს

20 აპრილი. 1833 წ.

კ ი თ ხ ვ ა: პოდპორუჩიკი მამაცოვი აჩვენებს, რომ იგი, თქვენთან ერთად, სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრებაზე ნოემბრის თვის დამდეგს, ლაპარაკობდა მათი განზრახულების შეუძლებლობაზე და ელიზბარმა ჩააჩუმა იგი. განმარტეთ, სახელდობრ რა თქვა მამაცოვმა და გააჩუმა თუ არა იგი ელიზბარ ერისთოვმა. და იყო ამის შემდეგ მამაცოვი თქვენს თათბირზე?

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

პ ა ს უ ხ ი: თარჯიმან მამაცოვს არასოდეს ჩემთან საუბარი არა ჰქონია და მე მას არსად შევხვედრივარ. სოვეტნიკ ორბელოვთან იგი იყო, მაგრამ მე მისი ვინაობა არ ვიცოდი და მისგან ნათქვამი არა გამიგონია რა და არც ელიზბარს რომ გაეჩუმებინოს, ამაზეც არაფერი ვიცი რა.

კიპატანი თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

22 აპრილი, 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIII, 2501)

1. თარჯიმანი მამაცოვი უჩვენებს, რომ როდესაც ის თქვენთან იყო თქვენს შეკრებაზე და როდესაც ჩელოყაევი გააცანით ზოგ თქვენს თანაგამზრახველს, ის ამბობდა თქვენი განზრახულების შეუძლებლობაზე და რომ ელიზბარმა იგი ჩააჩუმა. განმარტეთ, სახელდობრ რა თქვა მამაცოვმა, გააჩუმა მართლა იგი ელიზბარმა თუ არა და ამის შემდეგ დასწრებია თუ არა მამაცოვი თქვენს თათბირებს.

1. მართალია რომ ერთ ღამეს იყვნენ მამაცოვი და სხვანი, მაგრამ ის კი აღარ მახსოვს რომ რა ლაპარაკი იყო ჩვენს შორის. — იმ ღამეს იყვნენ ჩემთან ზაქარია ჩოლოყაევი, იასე ფალავანდოვი, ჩემი ძმა ვახტანგ, ზაალ ავთანდილოვი, და ჩემი დეიდაშვილი გიორგი ერისთოვი და უკეთუ ნებავს კამისიას და სურს ჰკითხოს

ზემოხსენებულ პირთ, იქნება იმათ ახსომდეს ხსენებული ვოპროსნის პუნქტი. წელსა 1833-სა, აპრილის 22-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

და შემდეგ ამისა მამაცოვი ჩვენთან აღარ მოსულა

თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

2. თარჯიმანი მამაცოვი უჩვენებს, რომ ის გეუბნებოდათ თქვენ, რათა ურჩიოთ თქვენს თანაგანმზრახველთ ხელი აიღონ განზრახულების შესახებ ლაპარაკზე. მართალია თუ არა ეს ჩვენება და როდის რა გელაპარაკათ ამაზე მამაცოვმა.

2. მართალია რომ მითხრა ესე გარემოება მამაცოვმა მაგრამ არ ვიცი სად მითხრა და მე პასუხი მიუგე რა ვქნა ვერა რა მითქმს რა სულ ილანძღებიან მეთქი, და ამით განშორდა ჩვენი ლაპარაკი.

თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ზაქარია ციციანოვის ჩვენება (XIII, 2503)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად ზაქარია ციციანოვს
20 აპრილი, 1833 წ.

კითხვა: თარჯიმანი მამაცოვი აჩვენებს, რომ იგი რამდენჯერმე გესაუბრათ სოვეტნიკ ორბელიანოვისა და ერისთოვის უნიადაგო მსჯელობაზე აჯანყების შესახებ, რომელიც მათ სურდათ აქ მოეხდინათ 1831 წელს. განმარტეთ, სახელდობრ რა და როდის გელაპარაკათ მამაცოვმა.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

პასუხი: პერეოჩიკს მამაცოვისაგან არსად არ გამიგონია ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისა. კარგათ ანუ ცუდათ ლაპარაკი არა უთქვამს რა ჩემთვის.

თავადი ზაქარია ციციანოვი.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIV, 2507)

კითხვა: თარჯიმანი მამაცოვი აჩვენებს, რომ სოვეტნიკ ორბელიანოვთან ერთად შეკრების დროს ნოემბრის დამდეგს, თქვენ-

თან ერთად ამბობდა განზრახულების შეუძლებლობაზე, მაგრამ ელიზბარ ერისთოვს ჩაუჩუმებია იგი. განმარტეთ რა თქვა მამაცოვმა და ელიზბარმა მართლა აიძულა იგი გაჩუმებულიყო თუ არა და ამის შემდეგ ყოფილა თუ აღარ მამაცოვი თქვენს თათბირებზე.

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

პ ა ს უ ხ ი: თარჯიმანი მამაცოვი ნოემბრის პირველ რიცხვებში სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრების დროს, ჩემთან ერთად მართლაც ამბობდა განზრახულების შეუძლებლობაზე, შემდეგნაირად: „ეს შეუძლებელია, დავანებოთ თავი ამ საქმესო". ხოლო ელიზბარ ერისთოვი კი ჯავრობდა ამაზე და აიძულებდა მას გაჩუმებულიყო. ამის შემდეგ თათბირებზე მე თვითონ აღარა ვყოფილვარ და მეტი არა ვიცი რა, მხოლოდ მამაცოვი მაშინ მეუბნებოდა, რომ მათთან არასოდეს აღარ მოვალო. ამის შემდეგ მე მას შევხვდი სუდა ი რასპრავის ექსპედიციის[1] კიბეზე, იგი შემეკითხა მათზე, მიატოვეს თუ არა თავადებმა ის საქმეო. მე ვუპასუხე: არ ვიცი, მე მათთან აღარ დავდივარ მეთქი; მასაც ვურჩევდი, აღარ უგდო ყური მათს სისულელეებს და აღარ მიხვიდე მათთან მეთქი; მან მიპასუხა აღარც ვიფიქრებო.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (XII, 2509)

ანალოგიურ კითხვაზე ზ. ავთანდილაშვილი უპასუხებს:

თარჯიმანი მამაცოვი 1832 წლის ნოემბერში სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრებაზე, ამტკიცებდა რა მათი განზრახულების შეუძლებლობას, ამბობდა, რომ მეტად ნაადრევია ამაზე ფიქრი და არც მიზეზი გვაქვს მთავრობის წინააღმდეგ ასეთი მოქმედებისათვისაო, ცდილობდა ისიც კი დაემტკიცებინა, რომ, თუ მათ აუცილებლად სურთ აღასრულონ თავიანთი წამოწყება, — ამას დაღუპვის მეტი არაფერი მოჰყვებაო. მაგრამ ელიზბარ ერისთავმა არ მიაქცია ამას არავითარი ყურადღება და აიძულა იგი გაჩუმებულიყო. მაშინ მამაცოვმა თქვა, რომ, თუ მათ გადაჭრით სურთ სისრულეში მოიყვანონ ეს განზრახულება, — იგი სრულებით უარს ამბობს და არ არის თანახმა მასში მიიღოს მონაწილეობა. ამის შემდეგ ჩემი თან-

[1] სასამართლო დაწესებულება იყო.

დასწრებით აღარ ყოფილა ამის მსგავსი რამე შეკრება, ამიტომ არც ვიცი იყო თუ არა მამაცოვი თათბირებზე.

მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (XII, 2511)

ამავე კითხვაზე დ. ყიფიანის პასუხი ასეთია:

თარჯიმანი მამაცოვი სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრებაზე ნამდვილად ლაპარაკობდა განზრახულების შეუძლებლობაზე, მაგრამ რა სიტყვები იხმარა ზუსტად არ შემიძლიან გავიხსენო. ელიზბარმა მართლაც აიძულა იგი გაჩუმებულიყო: იგი უწინაც ასევე აჩუმებდა სხვებსაც (თუ ვინმე წინააღმდეგს იტყოდა), ჩააცივდებოდა: „აბა თქვით, თქვით თქვენი აზრი, საჭიროა შეიგნოთო". ამას გარდა, როდესაც ორბელიანთან შეკრებიდან წამოვედით, მე და მამაცოვს შინისკენ ერთი გზა გვქონდა და მან მითხრა: „მითხარი გეთაყვა, რისთვის ჩავცვივდით მათს ხელში ჩვენს დასაღუპად, ჩვენ ხომ სამუდამოდ გავუბედურდით. აი მათი ფუქსავატობის შედეგი. უნდა მივატოვოთ ისინი, თუ გვსურს როგორმე შევამსუბუქოთ ჩვენი უბედურებაო". ამის შემდეგ არც მე და არც ის აღარავითარ თათბირზე არა ვყოფილვართ.

მასწავლებელი დ. ყ ი ფ ი ა ნ ო ვ ი.

მეორე კითხვაზე, რომლის შინაარსია: თარჯიმანი მამაცოვი ამბობს, რომ ის გირჩევდათ ჩამოსცლოდით თავადების კრებას და რომ თქვენ, როგორც აზნაურს, გმართებთ იყოთ მთავრობის ერთგული. განმარტეთ, მართალია თუ არა ეს ჩვენება და სახელდობრ რას გელაპარაკებოდათ მამაცოვი.

დ. ყიფიანი უპასუხებს: ბატონ მამაცოვის ეს ჩვენებაც სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო ზუსტად რა მითხრა, მე უკვე ვთქვი პირველ კითხვაზე პასუხში.

მასწავლებელი დ. ყ ი ფ ი ა ნ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2513)

ბატონ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს

20 აპრილი, 1833 წ.

თარჯიმანი მამაცოვი აჩვენებს, რომ თქვენთან ერთად	თარჯიმან მამაცოვს სწორად უჩვენებია; რომ ამ შეკრების

სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრებაზე ყოფნის დროს, ნოემბრის დამდეგს, იგი ამბობდა განზრახულების შეუძლებლობას და თქვენ აიძულეთ იგი გაჩუმებულიყო. განმარტეთ რა სთქვა მამაცოვმა, მართლა აიძულეთ თქვენ იგი გაჩუმებულიყო თუ არა და დასწრებია ამის შემდეგ მამაცოვი თქვენს თათბირებს?

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

შემდეგ იგი ჩვენთან აღარ ყოფილა საუბრებზე; მაგრამ იმ შემთხვევაში მე არ გამიჩუმებია იგი და არც არასოდეს მქონია შემთხვევა, რომ ვინმე მეიძულებინა გაჩუმებულიყო, ყველა თავისუფლად ლაპარაკობდა, რაც სურდა. მე არ მახსოვს, რომ მას იმ კრებაზე რამე ეთქვას.

სამსახურიდან გადამდგარი
პროპორჩიკი თავადი
ე. ე რ ი ს თ ო ვ ი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIV. 2515)

ბატონ ყოფილ კოლეგსკი რეგისტრატორს თავად იასე ფალავანდოვს

20 აპრილი, 1833 წ.

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი აჩვენებს, რომ 1832 წლის სექტემბერში მიიწვიეთ თქვენთან ის და სოვეტნიკი ორბელიანოვი და განუცხადეთ რა, რომ არ დაგვიწყებიათ წინანდელი განზრახულება, არწმუნებდით, რომ ეხლა ყველაზე ხელსაყრელი დროა იმის აღსასრულებლადაო. განმარტეთ, როგორ იყო ეს ყველაფერი და დაწვრილებით დასწერეთ თქვენი მაშინდელი საუბარი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

მე არც მასწავლებელ დოდაევისთვის და არც სოვეტნიკ ორბელიანოვისთვის არ განმიცხადებია წინანდელი განზრახულება არ დამვიწყებია მეთქი და არც ის მითქვამს, რომ ეხლა ხელსაყრელი დროა იმის აღსასრულებლად მეთქი. მხოლოდ სექტემბერში ელიზბარ ერისთოვის სახლში გამახსენა ალექსანდრე ორბელიანოვმა (ეს საქმე), რაც უკვე წინათ მოვახსენე კომისიას.

თავადი იასე
ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2517)

ყოფილ სოვეტნიკს თავად ალექსანდრე ვახტანგის ძეს ორბელიანოვს

20 აპრილი, 1833 წ.

ანალოგიურ კითხვაზე ალექსანდრე ორბელიანს უპასუხნია: მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2519)

ბატონ ყოფილ პოდპორუჩიკს თავად ელიზბარ ერისთოვს
20 აპრილი, 1833 წ.

სოვეტნიკმა ორბელიანოვმა აჩვენა, რომ ერთხელ, როდესაც თათარი ისმაილი არ დათანხმდა წასულიყო ალექსანდრე ბატონიშვილთან, იგი მივიდა პორუჩიკ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვთან, სადაც იყავით თქვენ, პრაპორჩიკი გიორგი დავითის ძე ერისთოვი და შავწვერიანი თათარი, რომელსაც ალავერდის ეძახდნენ. პორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი მას საიდუმლოდ მოელაპარაკა და მერე განგიცხადათ, რომ არც ის თანხმდება ალექსანდრე ბატონიშვილთან წასვლას უბილეთოდ — განმარტეთ როგორ იყო ეს ყველაფერი და საბოლოოდ ხომ არ გაიგზავნა ის კაცი ალექსანდრე ბატონიშვილთან.

გენერალ-მაიორი

ვოლხოვსკი.

სოვეტნიკ ორბელიანოვს მართალი უთქვამს, რომ ჩვენ ვიყავით ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვთან, რომელმაც მოგვიყვანა ვიღაცა თათარი, ესაუბრა მას, მაგრამ მე არ ვიცი რა უთხრა. როცა ჩვენ ვკითხეთ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვს მან გვითხრა, რომ ის არ თანხმდება წასვლაზეო. და ეს კაცი მე აღარც მინახავს და აღარც გაგვიგზავნია იგი ალექსანდრე ბატონიშვილთან.

პოდპორუჩიკი

თავადი ე. ერისთოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIV, 2521).

ბატონ პორუჩიკ თავად გიორგი ერისთოვს
20 აპრილი, 1833 წ.

თავად ვახტანგ ორბელიანოვმა აჩვენა, რომ თქვენი და კაპიტან ჩელოყაევის თანდასწრებით, ალექსანდრე ორბელიანოვმა, როდესაც მას ფეხი სტკიოდა, დავა დაუწყო ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებსა და იასე ფალავანდოვს თქვენი განზრახულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, უარს ამბობდა შეთქმულებაში მონაწილეობაზე და ურჩევდა ყველაფერზე ხელი აეღოთ. განმარტეთ, სწორედ ასე იყო თუ არა ეს ყველაფერი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

მაგონდება, რომ იყო ასეთი გარემოება, როდესაც თავადი ალექსანდრე ამბობდა, თავი დავანებოთ და გავათავოთ ეს საქმეო. უფრო დაწვრილებით არ მახსოვს.

პორუჩიკი თავადი
ე. ერისთოვი.
22 აპრილი, 1833 წ.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (XII, 2528)

ბატონ თარჯიმანს მამაცოვს
22 აპრილი, 1833 წ.

ზოგიერთი თანაგანმზრახველი ამტკიცებს, რომ სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრებაზე უწინ, ოქტომბრის დამლევს, თქვენ ჰყოფილხართ თათბირზე იასე ფალავანდოვთან, სადაც მსჯელობდით თქვენი განზრახულების დაუყოვნებლივ შესრულების შეოქტომბრის დამლევს, სოვეტნიკ ორბელიანოვთან შეკრების უწინ, იასე ფალავანდოვთან თათბირზე მე არა ვყოფილვარ არც ერთ შეთქმულთან ერთად და არავითარი მსჯელობა ჩვენს განზრახვათა გადაუდებლად აღსრულების შეუძლებლობაზე ჩემი

უძლებლობაზე. განმარტეთ რა იყო ამ შეკრებაზე თქმული.

თანდასწრებით არა ყოფილა.

კანცელარისტი
იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2523)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად გიორგი დავითის ძე ერისთოვს

თქვენი თანაგანმზრახველების ჩვენებათა თანახმად, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პორუჩიკ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი თქვენს 1831 წლის შეთქმულებაში ვრცლად მოქმედებდა, სურდა თვითონ წასულიყო სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან. განმარტეთ, როგორ და ვისი თანადასწრებით ხდებოდა ეს.

გენერალი მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

1. მე ზუსტად ვიცი ის გარემოება, რომ ელიზბარი, სოვეტნიკი ორბელიანოვი და მე ვამბობდით, რომ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი შეიძლებოდა წასულიყო სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან რათა ეცნობებინა შეთქმულება და იგი ცდილიყო, რომ სპარსელებსაც ომი დაეწყოთ. მაგრამ, როდესაც ეს ვუთხარით ალექსანდრე იაგორის ძეს, რომ შეიძლება იგი სპარსეთში წავიდეს, ვითომც სავაჭროდ და მასზე არავითარ ეჭვს არ მიიტანენ, — იგი ამაზე არ დათანხმდა; თვითონ მას არასოდეს განუცხადებია სპარსეთში წასვლის სურვილი, პირიქით, ამბობდა, რომ მას ეს სრულებით არ შეუძლიან.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ე რ ი ს თ ო ვ ი.

2. სოვეტნიკი ორბელიანოვი აჩვენებს, რომ, ერთხელ, როდესაც თათარმა უარი თქვა ალექსანდრე ბატონიშვილთან წასვლაზე, იგი, სოვეტნიკი მივიდა პორუჩიკ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვთან სადაც იყავით, თქვენ ელიზბარ ერისთოვი და შავწვერიანი თათარი, სახელად ალავერდი, რომელსაც პორუჩიკი ორბელიანოვი საიდუმლოდ მოელაპარაკა და განგიცხადათ, რომ ეს კაციც არა თანხმდება ალექსანდრე ბატონიშვილთან წასვლას უბილეთოთ.[1] განმარტეთ როგორ იყო ეს ყველაფერი და საბოლოოდ ხომ არ გაიგზავნა ის კაცი ალექსანდრე ბატონიშვილთან.

ვენერალი მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

---

[1] პასპორტზეა ლაპარაკი

2. ეს გარემოება ჩემთვის ცნობილი არ არის, როგორადაც სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი აჩვენებს, თითქოს მე იმ შემთხვევის დროს იქა ვყოფილიყავ, — ეს სრულებით მართალი არ არის, მე იქ არ ვყოფილვარ და ამაზე არც არაფერი ვიცი. მხოლოდ ერთხელ ვიყავი სოვეტნიკ ორბელიანოვის ბაღში და იქ ენახე შავწვერა თათარი, რომელსაც მოლას ეძახდა და სთქვა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან ჰგზავნის ვას; ამასთანავე, დასძინა, რომ, ვითომც, ორჯერ მიიღო ალექსანდრე ბატონიშვილისაგან წერილი. როცა მე მოვთხოვე ეჩვენებინა ჩემთვის წერილები, მან მიპასუხა, რომ ისინი მოსპო და რომ ბატონიშვილი იწერებაო, რომ სპარსელებისაგან არავითარი იმედი არ არისო. რამდენიმე დღის მერე ვკითხე გაგზავნა თუ არა თათარი ბატონიშვილთან, — მიპასუხა, რომ გაგზავნა, მაგრამ მე მისი არა მჯეროდა, რადგანაც ის და ელიზბარ ერისთოვი მუდამ რაღაცეებს იგონებდნენ, რათა ჩემთვის ეჩვენებინათ, რომ ჩვენი განზრახულება წარმატებით დასრულდებოდა და მე უარი არ მეთქვა მონაწილეობაზე. მაგრამ მას რომ უჩვენებია, რომ მე იქ ვიყავი, ალექსანდრე იაგორის ძესთან, ის რომ თათარს ელაპარაკა, რაზედაც. ვითომც ის არ დათანხმდა, — ეს მე სრულებით არ ვიცი და არც ის ვიცი, როგორ მოხდა იგი.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი.

ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2527)

ბატონ ყოფილ პორუჩიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს
20 აპრილი, 1833 წ.

1. 1833 წელს თქვენ გამოუცხადეთ თქვენი განზრახულება თავად მიხეილ ჯავახოვს. განმარტეთ როგორ მოხდა ეს და რა პასუხი მიიღეთ თავად მიხეილ ჯავახოვისაგან.

1. 1833-სა году[1] აპრილის 20 დღეს რომელსაც მკითხავს კომისია მიხაილი ჯავახოვისას მე მეთქვა რაიმე ამ საქმეზე არა მიოქმს რა მაგრამ მე მგონია იცოდა არ ვიცი ვის ეთქვა, ეხლა რომ კენჭის ყრა იყო იქნება ჩვენი თავადიშვილები ციმბირში გაგზავნონო მე უთხარი თუ დანაშაული ექნება რამე რა უყოთ რომ გაჰგზავნიანო. მართალია შენ და მე რომ არმია გვყავს იმ არმით

[1] ასე სწერია.

არ დავანებებთ მეთქი რომ წაიყვანონ ჩვენ რა შეგვიძლიან მეთქი ეს მართალია ეხლა რომ კენჭისყრა იყო ეს ვილაპარაკეთ.

2. შემდეგ თქვენ და ელიზბარ ერისთოვს საუბარი გქონდათ თქვენს განზრახულებაზე თავად მიხეილ ჯავახოვთან; რა თქვა ამ უკანასკნელმა ქაიხოსრო ჯავახოვზე.

2. მე არ მითქვამს მიხაილ ჯავახის შვილისათვის რომ უთქომს ამ საგანზე რამე ქაიხოსრო ჯავახიშვილს და არც არა მახსოვს რამე.

პარუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIV, 2529)

ბატონ პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე ერისთოვს
22 აპრილი, 1833 წ. ქ. თბილისი.

1. თავადი თადია ჩელოყაევი აჩვენებს (გვ. 198), რომ ამ შეთქმულების გამოცხადების შემდეგ თქვენ მისთვის გიკითხავთ: „რამე აჯანყება რომ მოხდეს, რამდენს მოჰკლავო". განმარტეთ რა მიზეზი გქონდათ ასეთი შეკითხვისათვის და მიიწვიეთ თუ არა იგი თავად იასე ფალავანდოვთან შესახვედრად.

1. სრულებით არ მახსოვს, რომ თავად თადია ჩელოყაევისთვის ასეთი შეკითხვა მიმეცა. თანაც მე მასთან მარტოდ მარტო არასოდეს მქონია საუბარი ამ საგანზე. მხოლოდ ერთხელ მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი მასთან საუბარს, სადაც იყვნენ აგრეთვე თავადები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, თავადი ელიზბარ ერისთოვი და კიდევ არ მახსოვს, ვიღაც. არც არასოდეს მიმიწვევია თავადი თადია ჩელოყაევი თავად ფალავანდოვთან.

პორუჩიკი თავადი ერისთოვი.

22 აპრილი, 1833 წ.

2. თავადი იასე ფალავანდოვი აჩვენებს (გვ. 2268), რომ სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი თავის ძმის დიმიტრის თანდასწრებით ამბობდა: „განზრახული ბალისთვის, რომელზედაც ყველა წარჩინებულნი პირნი უნდა გაიჟლიტნენ, ფული მზად არისო, სახელდობრ: ის ფული, რომელიც თქვენი დედის დავალებით აქ უნდა მიიღოთ 10.000 მანეთი, — ამასთანავე სოვეტნიკმა თქვა: ამ ფულს ბალს მოვახმართ. ბატონიშვილს კი რუსები შიმშილით არ მოჰკლავენო. გამოაცხადეთ, რა ფული მიიღეთ თქვენ თქვენი დედის დავალებით და რამდენი, და აღუთქვით თუ არა რომ თქვენ

ამ ფულს ბალის გამართვაზე დაჰხარჯავდით; თუ ის ფული გაუგზავნეთ დედას და როდის.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი

2. მე აქ მივიღე დედა ჩემის პენსია 400 მან. ვერცხლით, რაც მაშინვე დავხარჯე სხვადასხვა საყიდლებზე, ამიტომაც მე არასოდეს არ შემეძლო აღმეთქვა ამ ფულის მათთვის მიცემა, რადგანაც მე აღარაფერი მქონდა. ისინი ეძებდნენ ფულს და თავად იასე ფალავანდოვმა თვითონ შესთავაზა თავისი ფული.

პორუჩიკი თ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

22 აპრილი, 1833 წ.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2531)

სიტყვიერი განმარტება ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისა 22 აპრილი 1833 წ.

ზემოაღნიშნულმა თავადმა ორბელიანოვმა კომისიის წინაშე განმარტა:

1. მასწავლებელ დოდაევის ჩვენების (ფ. 162) წინააღმდეგ, რომ მას სრულებითაც არ უთქვამს იასე ფალავანდოვისთვის, რომ მას ეთხოვნა გენერალ მაიორ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის, რათა ამ უკანასკნელს არ განეცხადებინა შეთქმულება მთავრობისათვის და მან არც იცის, რომ იასე ფალავანდოვს ჰქონდა თუ არა ჭავჭავაძესთან რამე ურთიერთობა შეთქმულების გამო.

2. თავად აბხაზოვის (ფ. 191) ჩვენების წინააღმდეგ, — სრულებით არ ახსოვს, რომ მისთვის წინადადება მიეცათ, რათა რამე დაეწერა.

3. იასე ფალავანდოვის ჩვენების წინააღმდეგ (ფ. 302), რომ: მას სრულებით არ გამოუცხადებია განზრახულება ალექსანდრე ონიკოვისთვის.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი
გენერალ მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
გენერალ მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი
პოდპოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

ანდრია ლეონიძის ჩვენება (XIV, 2533)

ვუპასუხებ საგამომძიებლო კომისიას ანდრია ლეონიძე.

იანვარში, არ მახსოვს რომელ დღეს, დაეძებდნენ ორ თავადს ამილახვაროვებს და მაჩაბელებს, მათთან მოვიდნენ ღამით ათ საათზე ათმეთაურებ (десятники) და ერთერთ მათგანს ხმა მიუგავდა ვასილ ჟანდარმს. ნამძინარევს ხმა შემომესმა, ვიღაცა ყვიროდა სანთელი მოიტაო; მე გამეღვიძა და გავაღვიძე დავით ივანეს ძე ჯორჯაძე, ვის ეძებენ ისინი მეთქი ვუთხარი და მან მიპასუხა შეშინებული ხმით, რომ ეს ვასილ ჟანდარმის ხმასა ჰგავს და ალბათ ჩემს წასაყვანად მოვიდაო. მეც შემეშინდა. მაშინვე ავდექი ლოგინიდან, რომ გამეგო ვინ იყვნენ და ვის ეძებდნენ, გავიგე, რომ მოსულები დაეძებდნენ ზემოაღნიშნულ თავადებს და მე ვუბრძანე დენშჩიკს, მიეტანა სანთელი. მე გამოვბრუნდი და ისევ დავწექი, ჯორჯაძემ გამაკიცხა, რომ შევშინდი, თუმცა თვითონაც ძალიან შეშინებული იყო და მან დაიწყო აღიარება და ფიცულობდა, რომ არაფერი იცის, შენს მეტი მეგობარი ვინა მყავსო და უსათუოდ შენ გეტყოდიო, ან მამაჩემსო. მე მჯეროდა აქამდე მისი სიტყვა.

მამაცოვთან სადილი 1833 წლის 20 მაისს იყო, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს ადრე იყო თუ გვიან, ის კი მახსოვს, რომ ზაფხულის დრო იყო. მე მაშინ ჩუღურეთსა და კუკიაში საქმე მქონდა, სახელდობრ ჯორჯაძის საქმე, რომელსაც ფოდრათით[1] ქონდა აღებული აგურისა და კირის მიტანა; დავეძებდი ოსტატს და შევედი მამაცოვთან დაუპატიჟებელი სტუმარი; იქ დამხვდნენ თავადები და აზნაურები, რომლებსაც მე არ ვიცნობდი ვახტანგისა და ელიზბარ ერისთოვის გარდა. ისინი უკვე ნასადილევი იყვნენ, სვამდნენ ერთიმეორის სადღეგრძელოს, ყველანი მთვრალები იყვნენ და მამაცოვმა მეც მითხრა დამელევნა, მაგრამ მე საჭმელი მოვითხოვე. მამაცოვმა მიპასუხა გვიან მოსულს ნარჩენები ღა ერგებაო და უბრძანა დენშჩიკს მოეტანა ჩემთვის საჭმელი. მან მომიტანა მართლაც ნარჩენი. ქათმის სოუსი და გოლუბცი ვაზის ფოთლისა, რასაც ქართულად ტოლმა ჰქვიან. მე საჭმელი შევჭამე და დავლიე ბატონ მასპინძლის სადღეგრძელო, მათ კი ერთი მეორეს სადღეგრძელო დალიეს. მე ავდექი. მასპინძელს მადლობა გადავუხადე და შინ წამოვედი. რადგანაც წვიმიანი დღეები იყო. მინდოდა ჯორჯაძისთვის მეთქვა იქ ვისადილე მეთქი, მაგრამ ის შინ არ დამხვდა. მე არ ვი-

[1] რუსული სიტყვიდან «подряд».

ცოდი ეს სადილი რას ნიშნავდა, და თუ რამე განზრახვით იყო იგი გამართული, დღემდე არ ვიცოდი.

იმერელი აზნაური ანდრია ლ ე ო ნ ი ძ ე.

პაუშენკოს თხოვნა (XIV, 2541)

საგამომძიებლო კომისიას

ტიტულიარნი სოვეტნიკ პაუშენკოს ყოვლად უმორჩილესი თხოვნა.

იმ კანონთა საფუძველზე, რომლებიც მოხაზულია 1801 წლის 27 სექტემბრის ბრძანებულებითა და გენერალ-აუდიტორ თავად სალაგუბის, 1802 წლის ივლისის 18-ს უზენაესად დამტკიცებულ, მოხსენებაში, — ყოვლად უმდაბლესად ვთხოვ საგამომძიებლო კომისიას, ნება დამრთოს ჩემი საპატიმრო საკნიდან სუფთა ჰაერზე გამოვიდე, თუნდაც დღეში ერთი საათით და ვიარო იმ ადგილების მახლობლად, სადაც შეპყრობილი ვიმყოფები; აგრეთვე, ნუ ამიკრძალავთ ჩემიანების ნახვას, რომლებიც მოისურვებენ ზოგჯერ მომაკითხონ საპყრობილეში.

ტიტულიარნი სოვეტნიკი პ ა უ შ ე ნ კ ო.

15 აპრილი, 1833 წ.

25 აპრილი, 1833 წ.

თქვენს მიერ დასახელებულ დადგენილებებში არაფერია სარმისო, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლებოდეს თქვენს მიერ წამოყენებული მოთხოვნების დასაბუთება. სუფთა ჰაერზე გამოსვლის უფლება მოგეცემათ. როგორც კი განხორციელდება საჭირო სიფრთხილის ზომები, რის შესახებაც განკარგულება უკვე გაცემულია. ვისმე ნახვის უფლება კი არ მოგეცემათ, რადგანაც, როგორც იცით, თქვენ დაპატიმრებული ხართ სახელმწიფო საქმეზე.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი[1]
გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი
გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი
პოლკოვნიკი ტ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ჩ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2543)

ჩემს ქაღალდებში ნაპოვნ ბარათებიდან პირველი მათგანი შეიცავს რუსულ საკუთარ სახელებს, ქართული კი, მათი შესაბამისი პირობითია, — ესენი მე ჩავიწერე ოქროპირ ბატონიშვილის კარნახით მოსკოვში გამოვლისას. ისინი უნდა გამომეყენებინა, — მაგრამ არ გამომიყენებია, რადგან არც ერთხელ არ მიმიწერნია, — მიმოწერის გასაადვილებლად, რადგან ამ ზოგადი სახელებით შეიძლებოდა ამა თუ იმ აზრის შერჩევა, ისე რომ არავისი სახელით მოხსენებული არ იქნებოდა. მეორეში კი ჩამოთვლილი არიან ის პირნი, რომლებიც ჩემთან სადილზე იყვნენ 1832 წლის მაისის დამლევს, თუ ივნისის დამდეგს, ზუსტად არ მახსოვს.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთავი.
1833 წლ. 23 აპრილი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2548)

საგამომძიებლო კომისიის კითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:
23 აპრილი, 1833 წ.

1. 1831 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც მაიორმა თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა გამოუცხადა შეთქმულება გენერალ თავად ჭავჭავაძეს, მეც მომიხდა განზრახულებაზე მასთან საუბარი ლუარსაბის თანდასწრებით (ლუარსაბის სახლში). ვისაუბრეთ პოლონეთის აჯანყებასა და ჩვენს განზრახულებაზე. გენერალმა ჭავჭავაძემ გვითხრა მე და ლუარსაბს „მომეცით დრო, მოვიფიქრო". ამ საუბრის რამდენიმე დღის შემდეგ ლუარსაბმა გამოგვიცხადა მე და სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომ ჭავჭავაძე თანახმაა შეთქმულებაში მონაწილეობაზე და ბრძანა, რათა ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთში გამოვიწვიოთო, დანარჩენი კი, თვითონ იცის, რაც უნდა გააკეთოსო. ეს პასუხი მე სრულიად საკმარისად მივიჩნიე და ჭავჭავაძესთან საუბრის შემთხვევა აღარ მიძებნია.

1832 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში თბილისს ჩამოვიდა გენერალ მაიორი თავადი ჭავჭავაძე ოჯახით; მე ხშირად ვნახულობდი მათ, რადგანაც ჭავჭავაძის მეუღლე ჩემი ალალი დეიდაა.

ჭავჭავაძის ჩამოსვლისთანავე ლუარსაბმა მითხრა, რომ იგი ესაუბრა შეთქმულებაზე ჭავჭავაძეს და მას სურს კაპიტან ჩელო-

ყაენთან საუბარიო. მე თვითონ მსურდა ჭავჭავაძესთან საუბარი და ვეძებდი შემთხვევას; მე და პორუჩიკმა გიორგი ერისთოვმა შევიარეთ მასთან; დარბაზში მისი ქალიშვილები ცეკვავდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ჭავჭავაძე შემოვიდა სასტუმრო ოთახში და მეც მას თან შევყე; გიორგი დარბაზშ., დარჩა. როგორც კი დავსხედით და ვკითხე ლუარსაბი გელაპარაკათ თუ არა მეთქი და მან მიპასუხა მელაპარაკაო, — შემოვიდა დეიდა ჩემი და ძევწყვიტე საუბარი; მას სხვები შემოჰყვნენ და ამგვარად ჩვენი საუბარი ჩაიშალა.

4 დეკემბერს მივედით ჭავჭავაძესთან: ლუარსაბ ორბელიანოვი, კაპიტანი ჩელოყაევი და მე, რათა მოვლაპარაკებოდით განზრახულებაზე. ჭავჭავაძე, ლუარსაბი და ჩელოყაევი კაბინეტში შევიდნენ, მე კი სასტუმრო ოთახში დავრჩი, რათა ქალები საუბარში გამერთო და მათ ხელი არ შეეშალნათ იმათი საუბრისათვის. ამ საუბარის შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ყველამ გადავიფიქრეთ და ხელი ავიღეთ განზრახულებაზე ჭავჭავაძის რჩევით. ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვლის დღიდან ვცდილობდი მასთან მოლაპარაკებას, მაგრამ ხან სტუმრები ჰყავდა მას, ხან შინ არა მსვდებოდა, მხოლოდ ერთი შემთხვევა მომეცა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე და მაშინაც ხელი შემეშალა.

პირველი ღამის განკარგულება დასწერა თავად იასე ფალავანდოვმა 1832 წლის ნოემბერში, რიცხვი არ მახსოვს, ის კი მახსოვს, რომ თვის შუარიცხვებში იყო.

სამსახურიდან გადამდგარი თავადი ელიზბარ ერისთოვი.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (XIV, 2550)

ბატონ მასწავლებელ დიმიტრი ყიფიანოვს, 23 აპრილი, 1833 წ.

პრაპორშჩიკი მამაცოვი (გვ. 2307) აჩვენებს, რომ 1832 წელს, ერთხელ თქვენთან იყვნენ ავთანდილოვი და ვახტანგ ორბელიანოვი, რომელმაც უცებ მხარზე ხელი დაჰკრა მამაცოვს და თქვა: „ჩვენ რომ თავისუფალი ვიყოთ, ვერ დაგვიყოლიებდნენ, ხომ მარ-

პრაპორჩიკ მამაცოვის ჩვენება მართალია, რომ იგი, ავთანდილოვი და ვახტანგ ორბელიანოვი შარშან იყვნენ ჩემთან, მაგრამ რა უპასუხა მამაცოვს ვახტანგმა და რა დაუმატა მას ავთანდილოვმა, სრულებით ვერ გამიხსენებია, რაღგანაც სწორედ ამ საუბარ-

თალიაო". განმარტეთ როგორ იყო ეს; რა უპასუხა მამაცოვმა და რა დაუმატა ავთანდილოვმა.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

ში დედა ჩემმა დამიძახა რაღაც საოჯახო საქმეზე.

მასწავლებელი
ყ ი ფ ი ა ნ ო ვ ი.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (XIV, 2554)

ბატონ მასწავლებელ ავთანდილოვა
15 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე ზ. ავთანდილაშვილი უპასუხებს:

თუმცა 1832 წელს ერთხელ ვიყავით მასწავლებელ ყიფიანოვთან ნე და პრაპორჩიკი მამაცოვი, მაგრამ ვახტანგ ორბელიანოვის იქ ნოსვლისთანავე, მე სხვა ოთახში გავედი ყიფიანოვის მშობლებთან ერთად, გართული ვიყავი სხვა კერძო საგანზე საუბრით და იმიტომ არ მახსოვს, რომ ვახტანგ ორბელიანოვს ჩემი თანდასწრებით ეთქვას მამაცოვისთვის აქ მოხსენებული სიტყვები.

მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XII, 2556)

ბატონ ყოფილ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
23 აპრილი, 1833 წ. ქ. თბილისი.

თავად ბირთველ თუმანოვის ჩვენებიდან (424) ჩანს, რომ, ვიდრე გასულ 1832 წელს გენერალ-მაიორი ჭავჭავაძე თბილისში ჩამოვიდოდა, თქვენ შიშს გამოსთქვამდით, ვაი თუ დაიგვიანოსო, ხოლო როდესაც ჩამოვიდა, თქვენ ხშირად დაიწყეთ ღამით სიარული ლუარსაბ ორბელიანოვთან, იასე ფალავანდოვთან და გიორგი თუმანოვთან, ამასთანავე, ამ უკა-

1832 წელს ხშირად ვიყავი ეახშმად თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან (იგი ჩემი ალალი ბიძაა დედის მხრივ); დავიარებოდი აგრეთვე იასე ფალავანდოვთან, გენერალ მაიორ ჭავჭავაძის ჩამოსვლის შემდეგ მასთანაც დავიარებოდი, თავად გიორგი თუმანოვთან კი, მთელი ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში, ორჯერ მეტად არა ვყოფილვარ. თავად ბირთველი თუმანოვის

ნასკნელის შესახებ თქვენ ამბობდით, რომ მასთან დაიარება გენერალ მაიორი ჭავჭავაძე. ზუსტად განმარტეთ, ხომ არა გქონიათ თქვენ გიორგი თუმანოვისასა რაიმე თათბირი შეთქმულებაზე მაიორ ჭავჭავაძესთან და რა იცით განზრახულების შესახებ ჭავჭავაძის ურთიერთობაზე ხსენებულ თუმანოვთან.

ჩვენება თავად გიორგი თუმანოვზე სწორი არ არის და მე არც მითქვამს მისთვის, რომ გიორგი თუმანოვთან ჭავჭავაძე დაიარება მეთქი. არა თუ გიორგი თუმანოვისასა არა ყოფილა არავითარი თათბირი, არამედ არც კი ვიცი, იცოდა მან რაიმე განზრახულების შესახებ თუ არა. მე არ ვიცი ჰქონდა თუ არა გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს შეთქმულების გამო რაიმე ურთიერთობა თავად გიორგი თუმანოვთან თუ არა.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

სამხახურიდან გადამდგარი
პოდპორუჩიკი თავადი
ე. ე რ ი ს თ ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2558)

ბატონ არტილერიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოვს

24 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე დ. ერისთავს უპასუხნია:

ჩემი თანადასწრებით არასოდეს ყოფილა გამოთქმული შიში, რომ გენერალ მაიორი თავადი ჭავჭავაძე დაიგვიანებსო, და რომ ჩვენ არას დროს არ შევკრებილვართ თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან, — რაც მე განვმარტე პირველ კითხვითი პუნქტში. იასე ფალავანდოვთან არა თუ არ ვიკრიბებოდით, არამედ კერძო შეხვედრებიც კი მასთან ძალიან იშვიათად გვქონდა. თავად გიორგი თუმანოვთან ჩვენ არავითარი ურთიერთობა არა გვქონია და არასოდეს ყოფილა საუბარი თავად გიორგი თუმანოვის გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან ურთიერთობაზე და ამაზე არც არაფერი ვიცი.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი

1833 წლის 24 აპრილი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XII, 2500)

ბატონ პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე ერისთოვს
24 აპრილი, 1833 წ.

თქვენს ერთ ჩვენებაში მოხსენებულია (1504), რომ გენერალ მაიორმა ჭავჭავაძემ, ერთხელ, გამოვიდა რა სტუმრებთან ვახშმად თავის სახლში, თქვა: „ჭამეთ და სვით დღეს, ხვალ კი, ვინ იქნება ცოცხალი, არავინ იცისო". ამაზე თქვენ მას შენიშვნა მიეცით, რომ მას **წამოსცდა**. განმარტეთ, რა მოგიგოთ ჭავჭავაძემ თქვენს შენიშვნაზე, რასაც ის ბუნებრივია, უპასუხოდ არ დასტოვებდა, აგრეთვე თქვენ ამხანაგთაგან ვინ იყო იქ დამსწრე, რომელსაც შეეძლო თქვენს **გადაკვრით**[1] ნათქვამს მიხვედრილიყო.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

სრულებით არავითარი პასუხი არ მახსოვს. მაგრამ აქვე იყო თავადი ელიზბარი. რომელსაც შეეძლო გაეგონა, თუკი თავადმა ჭავჭავაძემ რამე მიპასუხა.

პორუჩიკი
თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

25 აპრილი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2502)

25 აპრილი, 1833 წ.

ანალოგიურ კითხვაზე ე. ერისთავი უპასუხებს:

თუმცა პორუჩიკ გიორგი რევაზის ძე ერისთოვთან ერთად ვახშმად ვიყავით გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან, მაგრამ ეს საუბარი სრულებით არ მახსოვს და არ ვიცი რა უპასუხა გენერალმა ჭავჭავაძემ.

პოდპორუჩიკი თავადი ე. ე რ ი ს თ ო ვ ი.

---

[1] ეს ორი სიტყვა ტექსტში ხაზგასმულია.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2564)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს

24, აპრილი, 1833 წ.

თქვენს ჩვენებაში (132) ახსენეთ, რომ თქვენი თანაგანმზრახველნი უკვე აპირებდით ხელი აგეღოთ თქვენს განზრახულობაზე, რომ უცებ ელიზბარმა, ნისმა ძმამ დიმიტრიმ და იასე ფალავანდოვმა გამოგიცხადეს, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი ელაპარაკა მაიორ ჭავჭავაძეს და იგი ნაწილობრივ დათანხმდაო და ამ ცნობის გამო, თქვენ კვლავ დაიწყეთ შეკრება. ვანმარტეთ, სახელდობრ, სად მოხდა ეს, ვისი თანდასწრებით და ამ დასახელებული სამი თავადიდან პირველად რომელმა განგიცხადათ ჭავჭავაძის მონაწილეობის შესახებ.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

როდესაც ჩემმა ძმამ ალექსანდრე და ზაქარია ჩელოყაევმა გამოთქვეს თავიანთი უარი შეთქმულებაზე და ამას ეთანხმებოდნენ თითქმის ყველანი, — თავადი ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა დიმიტრი და თავადი იასე ფალავანდოვი გვეუბნებოდნენ, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი ელაპარაკა გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს და ის ნაწილობრივ თანახმაა, მაგრამ მოითხოვს რათა თავადი ზაქარია ჩელოყაევი მივიდეს მასთან და მოელაპარაკოს ამაზეო. ეს იციან ჩემმა ძმამ ალექსანდრემ, გიორგი რევაზის ძე ერისთოვმა და კაპიტანმა ჩელოყაევმა. არ ვიცი სხვებმაც იციან თუ არა, ისიც არ ვიცი პირველად ვინ და სად გამოაცხადა ეს.

თავადი ვახტანგ
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.
24 აპრილი, 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2566)

კავალერიის მაიორ ბატონ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს
24 აპრილი, 1833 წ.

1. თქვენს ერთ ჩვენებაში (1143) ნათქვამია, რომ, როდესაც წაგიკითხეს სია იმ პირთა, რომელთაც 1832 წელს შეთქმულება უნდა

სისრულეში მოეყვანათ (ე. ი. აჯანყების პირველი ღამის განკარგულება), თქვენ კვლავ წახვედით გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან და განუცხადეთ მას, რომ თავადები ჯიუტობენ თავიანთ განზრახვაზე, რაზეღაც ჭავჭავაძემ გიპასუხათ, რომ ეს შეუძლებელია და უგუნურებაა.

თქვენი ამ ჩვენების თანახმად, კომისია ეხლა გთხოვთ განმარტოთ ზუსტად: პირველი ღამის განკარგულების მთელი შინაარსი უამბეთ თუ არა თავად — ჭავჭავაძეს და იმ სახით, როგორც ეს თქვენ კომისიამ გაჩვენათ.

1. მას შემდეგ, რაც 1832 წელს მაისში იასე ფალავანდოვმა წამიკითხა პირველი ღამის განკარგულება, მე გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს მხოლოდ ის ვუთხარი, რომ თავადები ხელს არ იღებენ თავიანთ განზრახვაზე მეთქი. ამაზე ჭავჭავაძემ მომიგო, რომ ეს შეუძლებელი და ყოვლად უგუნური საქმეა და მას აჯობებდა, რომ ჩვენს მიერ განცდილ შევიწროვებათა შესახებ ვაცნობოთ ბატონ მთავარმართებელს და მფარველობა ვთხოვოთო. პირველი ღამის განკარგულებაზე კი ჭავჭავაძისთვის არაფერი მიამბნია და არც ის მითქვამს, რომ მე ის წამიკითხეს.

2. თქვენს სხვა ჩვენებაში (2114) წერთ, რომ გენერალ მაიორმა ჭავჭავაძემ დაგავალათ გამოგერთმიათ კაპიტან ჩელოყაევისთვის დედოფალ ნინას (Царицы Нины) ლექსები. კაპიტანმა ჩელოკაევმა თქვა, რომ მას არასოდეს არც კი მოუსმენია დედოფალ ნინას ლექსები. ამიტომ კომისია გთხოვთ განმარტოთ: სწორედ ჩელოყაევისაგან გამორთმევა დაგევალა ამ ლექსებისა, თუ სხვა ვინმესაგან. ლექსები, რომლებიც ჩელოყაევისათვის უნდა გამოგერთმიათ, პართლა დედოფალ ნინას შეთხზულია თუ სხვა ვისიმე. და ბოლოს, იცოდით თუ არა, რომ ის ლექსები შეიცავდა რაიმე გასაიცხსა და საეჭვოს, რამაც, ალბათ, გაიძულათ გეთქვათ ეს კომისიის წინაშე.

2. პირველ ყოვლისა კომისია მეკითხება მქონდა თუ არა მიღებული გენერალ მაიორ ჭავჭავაძისაგან დავალება, რათა ვინმესთვის გამომერთმია ლექსები, მაგონდება, რომ ერთხელ ჭავჭავაძემ საუბარში მითხრა, რომ რუსეთში არისო დედოფალი თუ ბატონიშვილი, არ ვიცი ქართველი, არ ვიცი იმერელი, (не то грузинская или имеретинская) განთქმული თავისი მეევრმეტყველებით, რომელსაც ნინა ჰქვიანო და ლექსებსა სწერსო, ეს ლექსები უნდა ჰქონდეს კაპიტან ზაქარია ჩელოყაევსაო და თავადმა ჭავჭავაძემ კიდეც დამავალა გამომერთმია ჩელოყაევისთვის, მაგრამ მე ჩელოყაევისთვის არ მომითხოვნია ისინი და არც ვიცი მათი შინაარსი, ხოლო კომისიას მოვახსენე ამ ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

3. ელიზბარ ერისთოვისა (2202) და ალექსანდრე ორბელიანო-

ვის (2240) ჩვენებათაგან ჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის გაგზავნა და მისი გამოწვევა შესრულდა მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება მიიღო თავადმა ჭავჭავაძემ, — რაც თქვენს მიერ დადასტურებული და დღეისთვის ყველასგან აღიარებულია, და რომ ის თქვენი ინიციატივით არ მომხდარა.

ამის გამო, კომისია, დაჟინებით შთაგაგონებთ რა გულწრფელად აღიაროთ ყველაფერი, გთხოვთ, განმარტოთ, გაგიგონიათ, თუ არა ჭავჭავაძისაგან ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის გაგზავნის შესახებ, როგორც მისი საკუთარი წინადადება ან გადაწყვეტილება. თუ იგი ამაზე მხოლოდ თანახმა იყო.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

3. ჩემს მიერ ნათქვამ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოწვევის შესახებ, თავად ჭავჭავაძესთვის არაფერი არ მითქვამს და მას ჩემთვის ამ საქმეზე არავითარი დავალება არ მოუცია.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIV, 2570)

ბატონ გვარდიის კაპიტან თავად ზაქარია ჩელოყაევს

თავადი იასე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენ მას ბიძინა ერისთოვისა და სხვების თანდასწრებით უთხარით, რომ გენერალ მაიორმა ჭავჭავაძემ გითხრათ: „რუსები შეგვიძლიან გავრეკოთ, მაგრამ მერე გაგვიძნელდება მათთან ბრძოლა, ისინი მოისყიდიან ჩვენს აზნაურებს, მისცემენ მათ ჩვენს მამულებს და თვითონ ესენი ჩვენს წინააღმდეგ წამოვლენო“.

განმარტეთ, მართლა აქვს თუ არა თავად ჭავჭავაძეს ნათქვამი ეს სიტყვები.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

თავადი ფალავანდოვი სრულიად უსამართლოდ უჩვენებს, რადგან მე მასთან აღარ მილაპარაკნია მას შემდეგ, რაც მე თავად ჭავჭავაძესთან ვიყავი და ჭავჭავაძემ უარი თქვა გადაჭრით. ამ საუბრის დროს კი არ მახსოვს, რომ იქ ყოფილიყო თავადი ბიძინა ერისთოვი ან სხვა ვინმე.

კაპიტანი
თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

კ ი თ ხ ვ ა: გაბმარტეთ გულახდილად სახელმდობრ ვინ გამოგიცხადათ თქვენ პირველმა[1] მთავრობის საწინააღმდეგო განზრახულება და როდის იყო ეს!

პ ა ს უ ხ ი: რომელსა მკითხამს კომისია ვისგან შემიტყვია ამ საგანზედ ლაპარაკი ადრეაო, არავისგან არ შემიტყვია და ათას რვაას ოცდა ოერთმეტში ზაფხული იყო ბახში რომ ვიყავით ამის ერთი კვირის ოუ ორი კვირის წინათ ელიზბარ ერისთავის შვილი მეუბნებოდა ხოლმე ჩუმათ რომ პოლიაკებს გაუმარჯვნიათო იქნება აქაც აბუნტ-დნენო საქართველოში ვიღას შეუძლიან რომ იბუნტოს მეთქი ამიტომ ოსმალო დავიჭირეთ და სპარსეთი[2] და რის ძალით 'შეიძლება რომ იბუნტოს საქართველომ. ადრე ელიზბარ ერისთვის შვილისგან შემიტყვია. ხან და ხან როცა დამხვდებოდა ალექსანდრე ვახტანგის ძე ისიც ჩუმათ მეტყოდა ხოლმე პოლაკებს გაუმარჯვნიათო იქნება აქაც მოხდეს ბუნტიო როგორც ათას რვაას ოცდა ცხრაში იბუნტა ქალაქმაო, ამისთანა ლაპარაკი ჰქონდათ ხოლმე მაგრამ პირველათ ელიზბარ ერისთვისთვის შვილიდამ შემიტყვია და როცა ბახში მიმიყვანა გიორგი ერისთვის შვილმა სადილი ვჭამეთ, სადილი რომ ავიღევით მაშინ კი სწორეთ გამოაცხადეს ჯერ წინა წინ სთქვა ელიზბარმა ერისთვისშვილმა მასკვან ალექსანდრე ვახტანგის ძემ იქნება აქაც მოხდეს ბუნტიო მართალია. მაშინ ასე მახსოვს ლუარსაბ თარხნიშვილმა უთხრა, რომ ეგ ჩვენი საქმე არ არისო თუ ის ოთხი თავკაცი მუხრან ბატონი ერისთვის შვილი ჭავჭავაძე და ლუარსაბ ყაკლანისშვილი მოიმდომებენო იქნებ რომ მოხდესო თუ არა და არავის არ შეუძლიანო. ეს ლაპარაკი პირველათ ელიზბარ ერისთვის შვილისგან და ალექსანდრე ვახტანგის შვილისგან შემიტყვია ბახში რომ დაგვპატიჟეს მაშინ გვითხრეს მასკვან ელიზბარ ერისთოვი მარტო რომ მეტყოდა ხოლმე ვეუბნებოდი ღმერთსა ვფიცავ მთელ საქართველოს ერთს უბედურებაში მისცემ მაგ შენი ლაპარაკით და გაიცინებდა ხოლმე უწინ ელიზბარ ერისთვის შვილისგან შემიტყვია სხვისგან არავისგან არა გამიგონია რა ჩემს დღეში ამთენი ხნის კაცი ვარ არც ვყოფილვარ მუხანათი და არც ვიქმნები სინამ სული ბიდგას და ერთის ლაპარაკით შემაცდინეს ღმერთთან დიდთან ჩემს ხელმწიფესთან ნიკოლაი პავლოვიჩთან და ახლანდელ მთავრობასთან

---

[1] ტექსტში ხაზგასმულია.

[2] უთუოდ იმის თქმა უნდა, რომ რუსეთის ჯარმა რამდენიმე პუნქტი წაართვა აღნიშნულ სახელმწიფოებს.

რომ ერთის იმათის ლაპარაკით მუხანათი გავხდი მე უბედური.
პორუტჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

1833 года, აპრილს 25 დღეს.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2576)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოეს

25 აპრილი, 1833 წ.

განმარტეთ ზუსტად და გარკვევით, როდის გითხრათ კანცელარისტმა დოდაევმა, რომ თბილისში შეთქმულება არსებობსო, სად მოხდა ეს, კიდევ ხომ არავინ დაესწრო ამ საუბარს და მერე განმეორებით ხომ არა გქონია საუბარი იმაზე დოდაევთან, განსაკუთრებით გრიგოლ ტალიევის ს. პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ.

1831 წლის შეთქმულება მე გავიგონე ს. პეტერბურგში კანცელარისტ დოდაევსაგან იმავე წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ფარნაოზ ბატონიშვილთან ჩვენს საუბარს მეტი არავინ დასწრებია და მეტი საუბარი, რაც მე უწინ მოგახსენეთ, მასთან აღარა მქონია ამ საქმეზე.

გენერალ-მაიორი
ვოლხოვსკი.

არტილერიის პრაპორშჩიკი
თავადი დიმიტრი ერისთოვი.

1833 წლის 25 აპრილი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2578)

ბატონ პრაპორშჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
25 აპრილი, 1833 წ.

განმარტეთ, თქვენ თანაგანმზრახველთაგან ვინ იყო იქ, როდესაც გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძის მიერ უარის თქმის გამო, გადაწყვიტეთ ხელი აგეღოთ განზრახულებაზე; რა რიცხვში იყო ესა და სად;

მას შემდეგ, რაც გენერალ მაიორმა თავადმა ჭავჭავაძემ ურჩია ლუარსაბ ორბელიანოვსა და კაპიტან ჩელოყაევს, ხელი აეღოთ განზრახულებაზე, მათ იმავე საღამოს გამომიცხადეს, რომ თანახმა აღარ არიან

იყო თუ არა იქ თქვენი ძმა დიმიტრი, თუ თქვენ მერე გამოუცხადეთ მას ეს, ვინ დაესწრო თქვენ ამხანაგთაგან, რა გიპასუხათ მან და წარმოსთქვით არა თქვენა და მან რამე ფიცი.

გენერალ-მაიორი

ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

და მიბრძანეს სხვებისთვისაც მეთქვა, რათა ხელი აეღოთ განზრახულებაზე. მე მეორე დღესვე, ე. ი. 5 დეკემბერს სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვსა და იასე ფალავანდოვს ვუთხარი, რაც ლუარსაბმა მითხრა და განვუცხადე, რომ მე სრულებით ხელს ვიღებ შეთქმულებაზე. ამ შემთხვევას არავინ დასწრებია და მე ისინი ცალცალკე ვინახულე თავთავიანთ სახლებში. ჩემს ძმას შინ ვუთხარი, 5 დეკემბერს და მას არავითარი ფიცი არ წარმოუთქვამს, მხოლოდ სთქვა, რომ ადრე უნდა აგვეღო ხელი. მას შემდეგ რაც თავადმა ჭავჭავაძემ უარი თქვა ჩვენ აღარ შევკრებილვართ და არავითარი ფიცი არ წარმოგვითქვამს.

სამსახურიდან გადამდგარი
პოდპორუჩიკი თავადი

ე. ერისთოვი

15 აპრილი, 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის პასუხი კომისიის კითხვაზე (X IV, 2582)

კავალერიის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს

25 აპრილი, 1833 წ.

კ ი თ ხ ვ ა: ჩვენებიდან (ფ. 1488) ჩანს, რომ 1833 წელს ელიზბარ ერისთოვმა გიამბოთ ქვემოაღნიშნული დაწვრილებითი გეგმა საქართველოში აჯანყების მოხდენისა, რაც მას მოუსმენია თამარ ბატონიშვილისაგან პოლონეთის აჯანყების დროს, მიიჩნევდა რა ამ უკანასკნელს ძლიერ ხელსაყრელ გარემოებად საქართველოში აჯანყების მოსახდენად:

უნდა მოგესყიდნათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თბილისის მახლობლად მყოფი ერთერთი პოლკი, მაგ., — ქართული გრენადერთა პოლკი და მისი საშუალებით დაუფლებოდით ხაზინას, ამის გარდა, უნდა შეგედგინათ სია თვითეულ თავადს რამდენი კაცი უნდა გამოეყვანა და შეგეგროვებინათ სულ ცოტა 2000 კაცი, რომლითაც უნდა დასცემოდით ციხესა და არსენალს, მერე კი გამოგეცხადებინათ თავისუფლება ზარების რეკვით. ყველა სოფლებში ხალხისათვის უნდა გამოგეცხადებინათ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი თბილისში მოვიდა ჯარით და ხალხსაც იქითკენ ეძახის; უნდა გაგეგზავნათ კაცები ლეკებში, მათი ჯარის ალექსანდრე ბატონიშვილთან მოსაწვევად.

უნდა წინასწარ გაგეგზავნათ იმერეთში თავადები, რომელთაც იქ ნათესავები ჰყავთ, აგრეთვე უნდა გაგეგზავნათ სახანოებში, რათა ყველგან ერთბაშად მომხდარიყო აჯანყება და ჯარზე თავდასხმა, რომ მათ დრო აღარ ჰქონოდათ შეერთებულიყვნენ და განსაკუთრებით სცდილიყავით წაგერთმიათ მათთვის ზარბაზნები; უნდა ჩაგეხერგნათ არაგვის ხეობა და კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე გუოლოდათ შეიარაღებული რაზმები, რუსეთიდან მომავალი ყველა გზის ჩასაკეტად. უნდა გეთხოვნათ სპარსეთისა და თურქეთისათვის ფულით დახმარება, აღუთქვამდით რა ერევანსა და ახალციხეს. საფრანგეთისათვის უნდა გეთხოვნათ ხელი შეეწყო თქვენთვის და გამოეგზავნა ხალხი, რომელთაც შეუძლიანთ ჯარის გაწყობა. და ბოლოს თამარ ბატონიშვილი მზად იყო აჯანყების დროს მამაკაცის ტანსაცმლით გამოსულიყო ხალხში და გამხდარიყო დროებით მმართველი, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდოდა.

განმარტეთ გულახდილად:

1. ცნობილი იყო თუ არა თქვენთვის თამარ ბატონიშვილის ზემოხსენებული გეგმა ან მისი სხვა რაიმე რჩევა-დარიგება საქართველოს გასანთავისუფლებლად აჯანყების მოხდენის შესახებ.

2. ვისგან გაქვთ გაგონილი ესენი და თქვენ რა გილაპარაკნიათ.

3. სწორეა თუ არა ჩვენება, რომ თამარ ბატონიშვილის რჩევა-დარიგებანი მიღებული იყო აჯანყების დროს სახელმძღვანელოდ.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

პ ა ს უ ხ ი: თამარ ბატონიშვილს ჩემთვის არავითარი გეგმა და რჩევა-დარიგება არ მოუცია საქართველოში აჯანყების შესახებ და მასთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია. ხოლო ელიზბარ ერისთოვი 1831 წელს გვეუბნებოდა, რომ მათ აზრად აქვთ გაგზავნონ ელჩები საფრანგეთში, თურქეთში და სახანოებში, რათა ისინი

შევიდნენ საქართველოს მდგომარეობაში და აღმოუჩინონ დახმარება. 1832 წელს კი მითხრა მან, რომ უნდა მოვისყიდოთ აქ რომელიმე პოლკი და რომ რაღაც სიის მიხედვით, მე მევალებოდა კაცების გამოყვანა, მაგრამ მე მისთვის არავითარი პასუხი არ გამიცია სრულებით. ამის გარდა, მან და ალექსანდრე ვახტანგის ძემ მითხრეს, რომ ეს ჩვენი განზრახულება იცის თამარ ბატონიშვილმაო; სხვა დანარჩენებზე კი, რაც აქ არის ჩამოწერილი, სრულებით არ მახსოვს, რომ ელიზბარს ეთქვა რამე ჩემთვის.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2592)

ბატონ ყოფილ სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს
25 აპრილი, 1833 წ.

კითხვა: თქვენს საკუთარ ჩვენებებში ჩანს, რომ 1831 წელს ორჯერ მიგიღიათ წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. პრაპორჩიკი გიორგი ერისთოვი ამბობს (2525), რომ თქვენ მას უთხარით თითქოს, ამ ბატონიშვილმა მოგწერათ, რომ მას სპარსელების იმედი არა აქვს.

ეს თქვენს ჩვენებებში არა გაქვთ ნათქვამი, ისევე როგორც არა გაქვთ განმარტებული როდის და ვისთან ერთად ჩამოვიდა. თქვენთან ნესტორიანელი, რაზედაც ლაპარაკობს 1832 წლის ზაფხულში (გვ. 269) თქვენთან მყოფი მოლა ზამანა. ამიტომ თქვენ ზუსტად და სიმართლით უნდა განმარტოთ რამდენჯერ მისწერეთ ალექსანდრე ბატონიშვილს და რამდენჯერ მიიღეთ მისგან წერილი, ან სიტყვიერი შემონათვალი, ვისი საშუალებით ხორციელდებოდა ეს თვითეულ შემთხვევაში და რა შინაარსის იყო თვითეული თქვენგან ბატონიშვილისთვის მიწერილი და მისგან თქვენთვის მოწერილი.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი.

პასუხი: ბატონიშვილს ალექსანდრესთან ჩემგნით და მისგნით მიწერ-მოწერის გარემოება ყოველი ესრეთ იყო, როგორც მახსოვს. — პირველი, მე რომ წიგნი მივსწერე, მას შინა ესრეთ ეწერა, მის კახეთში გამოსვლა, ჩვენის საზოგადოების თხოვით — და მისგნით მე რომ პასუხი მომივიდა მოლაზამანას ხელით მას წიგნსა შინა ესრეთ ეწერა, მე მამიშენის შვილს არას დროს არ ვენდობიო, მაგრამ მაინც [illegible] ბიო, და მე ეხლა მოხუცებული ვარო, და

აღარა შემიძლიან რაო. მეორედ იმისმა კაცმა წიგნი რომ მაძიტანა მას წიგნსა შინა ესრეთ ეწერა, თქვენგნით აგრეთვე მივიღეო, რომელიც ვერასა საქმობთო, და ვეღარა შევიტყე რა თქვენი ამბავიო, — და მე ამ მეორე წიგნის პასუხი, ესრეთ მივსწერე, ეხლა სულ მშვიდობა არის, და აღარავინ აღარაფერს აღარა ფიქრობენ ჩემთქი, ამ ორ წიგნზე მეტი მე წიგნი არ მამსვლია და არც ნესტორიანნი მოსულან ჩემთან და არც ვიცი ნესტორიანნი რა ხალხნი არიან, იქნება მოლაზამანას უთხრა ალექსანდრე ბატონიშვილის კაცმა, რომ ვითომ ნესტორიანნი ჩემთან მოსულიყვნენ, თორემ ჩემთან ნესტორიანნი სულ არ მოსულან. — და მესამე წიგნი რომ მივსწერე მას წიგნსა შინა ესრეთ იყო დაწერილი რომ ბატონიშვილს თავის მღვდელი გაეგზავნა თავრიზს, იქ სოლომონ რაზმაძე ეპოვნა და მასთან შეერთება ექონია, — ამას გარდა ჩვენ მიწერ-მოწერას სხვა სულ არარა გვქონია რა და არცარა სიტყვით რამ დაბარებითი გარემოება არა რა მიმიღია რა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან.

თავადი პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი რომ სწერს ხსენებულს გარემოებას, — ის ჭეშმარიტად უჩვენებია, — მართალია რომ მე უთხარ ისე ლაპარაკსა შორის, თორემ ალექსანდრე ბატონიშვილის წიგნში სულ არა წერებულა ხსენებული გარემოება.

წელსა 1833-სა აპრილის 25-სა დღესა

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIV, 2600)

კავალერიის პორუჩიკ თავად გიორგი ერისთოვს
25 აპრილი, 1833 წ.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი თავის ერთ ჩვენებაში (ფ. 132) ამბობს, რომ თქვენი თანაგანმზრახველნი უკვე აპირებდნენ ხელი აეღოთ თქვენს განზრახულობაზე, რომ უცბად მოვიდნენ ელიზბარ ერისთავი, მისი ძმა დიმიტრი და იასე ფალავანდოვი და გითხრეს, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი ესაუბრა გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს და ის ნამე მგონია, ეს მოხდა თავად ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში, სადაც თავადი ზაქარია ჩელოყაევიც ესწრებოდა, ხოლო იმათგან პირველმა თავად იასე ფალავანდოვმა გამოაცხადა, რომელიც თავად ელიზბარ ერისთავთან და დიმიტრი ერისთავთან ერთად მივიდა იქ.

პორუჩიკი თავადი ერისთ[illegible]
26 აპრილი, 1833 წ.

წილობრივ დათანხმდაო, — და ამ ამბის შემდეგ თქვენ კვლავ დაიწყეთ კრებები.

განმარტეთ, სად მოხდა ზემოთაღნიშნული, ვისი თანდასწრებით და დასახელებულ თავადთაგან პირველმა რომელმა გაცნობათ თავად ჭავჭავაძის თანხმობა განზრახულებაზე.

გენერალ-მაიორი

ჩ ე ვ კ ი ნ ი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIV, 2602)

ბატონ გვარდიის კაპიტან თავად ზაქარია ჩელეყაევს
25 აპრილი, 1833 წ.

ანალოგიური კითხვაზე ზ. ჩოლოყაშვილი უპასუხებს:

1832 წლის 28 ნოემბერს თავადებმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებმა, აგრეთვე ჰუსართა პოლკის კორნეტმა გიორგი ერისთოვმა მართლაც გადაწყვიტეს სრულებით აეღოთ ხელი ამ საქმეზე და აღარც ეფიქრათ მასზე, მაგრამ თავად ელიზბარმა და იასე ფალავანდოვმა დაიწყეს სამდურავი და ირწმუნებოდნენ, რომ ლუარსაბ ორბელიანოვმა აცნობა გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს, რომელმაც ამ საქმეზე მე მიმიწვია თავისთან სალაპარაკოდ. ყველაფერი ეს ხდებოდა სოვეტნიკ ორბელიანოვის სახლში. რადგან ყველა დასახელებულნი ერთ დროულად მოვიდნენ, ძნელია იმის განსაზღვრა, პირველად რომელმა მათგანმა დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მე კი მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან ვიყავი მიწვეული თავად ელიზბარ ერისთავის მიერ.

კაპიტანი თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2604)

ყოფილ სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს
25 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე ალ. ორბელიანი ამბობს:

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს. — წელსა 1833-სა, აპრილის 26-ს.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2606)

ბატონ ყოფილ პოდპორუჩიკ, თავად ელიზბარ ერისთოვს
26 აპრილი, 1833 წ.

განმარტეთ. დაწვრილებით რა გაგახსენდებათ გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან და მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან თქვენი საუბრის შესახებ განზრახულებაზე: განსაკუთრებით თავად ჭავჭავაძის მსჯელობანი.

1. 1831 წელს მათთან ჩემი საუბარი, რამდენადაც მახსოვს, შემდეგი იყო: როგორც კი ვუთხარი გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს, რომ ჩვენც უნდა მივბაძოთ პოლონეთს, ხედავთ ისინი რას შვრებიან მეთქი, — მან მიპასუხა „ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთივე საშუალებანი, როგორც მათ აქვთ, მაგალითად, სადა გვაქვს ჩვენ ფული, თანხმობა, ან ჯარი და სხვა“... მე მივუგე, რომ პირველი ხანისთვის საკმარი ფული ჩვენ გვაქვს, შემდგომისათვის კი ისეთი პირნი, როგორც თქვენა ხართ, ამაზე იზრუნებენ. ეს თქვენი საქმეა მეთქი. თანხმობას მოვიპოვებთ, როდესაც განზრახულებას გავავრცელებთ. ჯარი ჩვენი გლეხობაა, რა უშავს თუ მწკრივში დაწყობა არ შეუძლიანთ. ამგვარი კითხვა-პასუხი იყო ამ საუბარში. მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი ხან ჭავჭავაძეს ეთანხმებოდა. ხან მე. დაბოლოს თქვა „დამაცადეთ, მოვიფიქრებო“, ბატონ ჭავჭავაძის მსჯელობანი ეს იყო, რომ აყენებდა ისეთ საკითხებს, რომლებსაც შეეძლოთ გაეძნელებინათ განზრახულების შესრულება. როგორც მახსოვს, ამგვარად ვსაუბრობდით.

2. განმარტეთ. რა იცით იმ მსჯელობის შესახებ, რომელიც ჰქონია გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს კაპიტან ჩელოყაევთანა და მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან საუბრის დროს. რაც მერე თქვენ გადმოგცეს.

2. მას შემდეგ, რაც კაპიტანი ჩელოყაევი და მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი ესაუბრნენ გენერალ მაიორ ჭავჭავაძეს და მან ურჩია ხელი აეღოთ, — მათ მე მითხრეს, რომ: „ჭავჭავაძემ უარი სთქვა და გვითხრა ჩვენც სრულებით ხელი აეღოთ ამაზე და აღარ

ქიფიქროთ; და ჩვენც გადაჭრით უარს ვამბობთ განზრახულებაზე და ყველას უთხარი თავი დაანებონო". მე ვუპასუხე. რომ თუ ასეა, მეც თავს ვანებებ და სხვებსაც ვეტყვი მეთქი. ეს კიდეც შევასრულე. ხოლო რაც შეეხება გენერალ ჭავჭავაძის მსჯელობას, მე მათთვის არ მიკითხავს, რადგან საკმარისად მიმაჩნდა, რომ მათ ხელი აიღეს განზრახულებაზე.

სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი თავადი ერისთოვი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIV, 2608)

ბატონ გვარდიის კაპიტან თავად ჩელოყაევს
25 აპრილი, 1833 წ.

1. რამდენჯერ გქონიათ შეხვედრა გენერალ მაიორ ჭავჭავაძესთან მანამ, ვიდრე მას ესაუბრებოდით მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვის თანდასწრებით.

1. ერთხელ ვიყავი თავადთან, მაგრამ მაშინ შინ არ დამხვდა, მეორედ ვნახე იგი, — მაგრამ მისი ბრწყინვალებისაგან არა გამიგონია რა, მესამეჯერ მან მიმიწვია მაიორ ლუარსაბ და ელიზბარ ერისთოვის საშუალებით.

2. იმ საუბრის დროს შესთავაზეთ თუ არა თავად ლუარსაბ ორბელიანოვს ყოფილიყო შუამავალად თქვენსა და გენერალ მაიორ ჭავჭავაძის შორის დავაში მთების გამო კახეთში.

2. რადგან მე რომ მივედი თავად ჭავჭავაძესთან, მის ბრწყინვალებას ბევრი სტუმარი ჰყავდა, ამიტომ თავადი მომიბრუნდა და მითხრა: ზაქარია დიმიტრის ძევ, მე უნდა მოგელაპარაკოთ ჩვენს საქმეზე კახეთის მთების შესახებ, რომლებიც რამდენიმე წელია ჩვენს შორის სადავოა და ამით მიმიწვია მეც და ლუარსაბ ორბელიანოვიც ცალკე ოთახში. მე აღვნიშნავ, რომ არასოდეს არავისგან გამიგონია, რომ თავად ჭავჭავაძეს ჩემთან რამე დავა ჰქონოდეს, და არც იმისთვის მივსულვარ მასთან, რომ, თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი ჩვენს შორის შუამავლად გამოსულიყო. ეს სხვა არაფერია, თუ არა თავის დაღწევის ხერხი მისი ბრწყინვალების თავად ჭავჭავაძის მხრით.

3. იყო თუ არა იმ საუბრის დროს მსჯელობა: შევიწროებებზე რომელსაც ადგილი ჰქონდა მაზრებში; გადასახადთა სიმძიმეზე კახეთში, იმ ზომამდე, რომ შეიძლება ამან ხალხში აღრეულობა გამოიწვიოსო და, იმაზე, რომ მაშინ შეიძლება შეიქმნას იმის საფრთხე,

რომ რუსეთს მობეზრდება საქართველო, რომლისგანაც დღემდე არავითარი სარგებლობა არა აქვს, და მიატოვებს მასო.

3. აღარავითარი საუბარი აღარ ყოფილა მას შემდეგ, რაც თავადმა ჭავჭავაძემ გამომიცხადა, რომ მან აუკრძალა თავადებს, რათა აღარ იფიქრონ შეთქმულებაზე და რომ ის თვითონ სხვებთან ერთად საგანგებო წერილით სთხოვს ხელმწიფე იმპერატორს და აუხსნის ყველაფერს, რაც თავადებს სურვილები აქვთ.

4. დაახლოებით რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი ის საუბარი ცალკე ოთახში. რამდენიმე წუთს, თუ ნახევარ საათამდე.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

4. რამდენიმე წუთს, ძაგრაძ არა უმეტეს საათის მეოთხედისა.

გვარდიის კაპიტანი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

სვიმონ მაჩაბლის ჩვენება (XIV, 2616)
კამისიასა შინა

ჩყლას (1831) წელსა აგვისტოს თვეში გორის ოკრუჟნის ნაჩალნიკისაგან დაბარებით ჩაველ გორს, და სახელდობრ არ მახსოვს რასა საქმეზედ და ვნახე თავადი მამუკა ორბელიანოვი მოსულიყო. და მეც მიველ მასთან და მცირე ხანს ვილაპარაკე და შემდგომად კარში გამოვედით და სიარული დავიწყეთ და მე ვკითხე თქვენის საქმისა რა ჰქენით გამოძიებაში რომ იყავით მეთქი და მან მითხრა რაც მიზმენ რადგან დანაშაული არა მქონია რაო და არც ის მითქვამს რომ სალდათს ითხოვენო. რათ ვიტყოდი ამას რადგან მე ვიცოდი რომ ბრძანება არის რომ საქართველოსა და ბესარაბიასა სალდათი არ უნდა გამოერთვასო და არც ბუნტი მდომია თორემ ისე არ ვიბუნტებდიო. და რადგან არ მასვენებენ, ახლა ვაჩვენებ, ბუნტი როგორ უნდაო. და მე ხუმრობა მეგონა და უთხარ შენ რომ ჯარების პატრონი ხარ იმითი იბუნტებ მეთქი. მაშინ მითხრა მარტო მე არ ვიქნები ბევრი ამხანაგი მეყოლება და შეიტყობ როგორს ჯარს მივიყვანო; და მაშინ მე უთხარ, შარშანაც ბევრი შაიმატე მაგისთანა ლაპარაკითა და ნურც ახლა დაიშლი მეთქი. და რაშე ეს უთხარი ამის შემდგომად ხმა აღარ გამცა და აღარც არა უთქვამს.

ბ) რაოდენსამე დღეს შემდგომ შინ წაველ და იქიდან ჩვეულებრივ წმინდის გიორგის დღესასწაულზედ არბოს გადაველ სალოცავად; მიველ და ერთს ვენახში დავდექ. და იქიდან საყდარზედ წამო-

ველ და ვნახე თავადი მამუკა ორბელიანოვი და სხვანი მრავალნი თავადნი ერთად იდგნენ. და შემდგომად ლოცვისა მათთან მიველ და მცირეს ხანს უკან ლაპარაკი დაიწყეს რომ ხვალ სადილად ვისთან ვიყვნეთო. მაშინ მე და ლევან ერისთოვმა ვთხოვეთ ხვალ სადილაო ჩვენთან მოდით მეთქი და მე გამოვბრუნდი ბინაზედ. და ვნახე ოსების მოურავი პარუჩიკი ნიჟევსკი, რაოდენისამე კაცით მოვიდა ღა ისიც ჩემს ბინაზედ დავაყენე. და ჩემს კაცს უთხარი, ხვალ სადილი აქ გაეკეთებინა და მე სახლშივე წამოველ შებინდებისას; დავინახე, რომ თავადი ბიძინა ერისთოვი დავით დიასამიძის კარავისაგან გამოვიდა და დამიძახა, მომიცადეო, მოვიდა ხელი ჩამკიდა, ცალკე გამიყვანა, და მითხრა შენ არ იცი ახლა რა ამბავი არისო, და მე ვიკითხე სად რა ამბავი არის მეთქი. მაშინ მითხრა რომ ალექსანდრე ორბელიანოვმა ალექსანდრე ბატონიშვილს წიგნი მისწერა რომ ჯარი იშოვნოს და საქართველოში მოვიდეს და ეს ამბავი ალექსანდრე ჭავჭავაძემაც იცის და სავარსამიძემაც მე უთხარ რასაც შენ ამბობ მაგისთანა ლაპარაკში არც ჭავჭავაძე და არც სავარსამიძე არ გაერევიან და იქნება შენ გაბრიყვებდეს ვინძე და გელაპარაკებოდეს მეთქი. და ამ დროს ხალხიც მოვიდა და აღარა თქვა რა და წავიდა და თუ ბიძინა ამის უარსა ჰყოფს გთხოვთ, რომ პირში დამიყენოთ, და მე მაშინვე წაველ და არავისთან მივსულვარ. და იმ ღამეს ცალკე ვიყავ. მე მეორე დღეს, გორის უეზდის სუდის სუდიას და ისპრავნიკს ვთხოვე სადილად ჩემთან წავიყვანე და იმ თავადებისათვის იმ დღეს აღარ მითხოვნია და ჩვენ სადილათ დავსხედით. მაგრამ მაინც მოვიდნენ და რა ის ჩინოვნიკები დაინახეს ჩემთან აღარ უნდოდათ მოსვლა და ბიძინას კარავში შევიდნენ და ღვინოს დაუწყეს სმა და მაშინ რა ისინი იქ მოსული ვნახე ავდექ და დაუძახე რატომ არ მოხვალთ მეთქი. მაშინ ადგნენ და მოვიდნენ მცირეს ხანს პური ჭამეს და წავიდნენ და ჩვენ იქ დავრჩით და სანამ ის ჩინოვნიკები წავიდნენ მანამ ხალხი სრულიად წასულიყო და ჩვენც წავედით. და არც არაფერი ლაპარაკი იქ არა ყოფილა რა ამის მეტი.

გ) რაოდენსამე დღეს უკან ჩემსავე საკუთარს საქმეზე გორს ჩაველ და ელიზბარ ერისთავის კარზე გავიარე და კარში იდგა დამიძახა და მიველ; მცირეს ხანს ვილაპარაკეთ და მერე მითხრა ქალაქში თავადები რომ ასე თავისუფლებას ლაპარაკობენ შენ როგორ მოგწონსო; და რადგან ბიძინასაგან ის ამბავი გამეგონა, სხვა აღარა ვკითხე რა და უთხარ, თუ ღმერთი გწამდეთ დადექით; საქართველო ბაგას არ ილაპარაკებს და არც არა შეუძლიან მეთქი, — და რამე ეს უთხარი, იმ დღეს აქეთ ჩემთვის აღარა უთქვამთ რა, თუმცა მინდოდა მე რომელ ეს გამომეცხადებინა, მაგრამ რადგან არა მყავდა მოწმე

ამისათვის ველარ გავბედე. — ვაი, თუ ვერ ჩავიტეხინო და მეევ დამ-საჯონ მეთქი.

დ) და შემდგომად ოთხის თვისა, ამავე წლისა, გიორგობის თვეში ჩემს საკუთარ საქმეზედ ქალაქს ჩამოველ და შვიდი კვირა დავრჩი არავისგან არა გამიგონია რა და არც ვისთან გაცხვლია გარ-და ლუარსაბ ორბელიანოვისა, ორჯელ ამასთან მიველ სხვათა შო-რის და ერთს დღეს სადილათ აღარავინ გაუშვა და მეც იქ დავრჩი ძალიან გამხიარულდა და მრავალი ღვინო დაგვალევინა და შემდგო-მად სადილსა ყოველნი წარვიდნენ და მეც ქუდი ავიღე წასასვლე-ლად და მაშინ ლუარსაბმა მითხრა რას მიაშურებ პატარა ხან აქ იყავ შეეექცეთ რასმეო და მომატებულის ღვინისაგან თითქმის სიარული აღარ მინდოდა და დავდექ. მცირე ხანს ვლაპარაკობდით. და იმ ლა-პარაკში ბაგრატიონებზედ რაღაც სიტყვები თქვა და არ ვიცი ამ საქ-მეზედ თქვა რამე თუ არა, მე ეს არ გამიგონია.

ე) ამ განვლილ წელს ქალაქში ჩამოველ ჩემის გვაროვნობის საქ-მეზედ, ობჩი სობრანიაში დამატების შესატანად და ღრამატები სუდ-ში დავამოწმებინე და სანამ ამ თავადებს დაიჭერდნენ, ოცდახუთი დღე ქალაქში ვიყავ. და არავისგან არა გამიგონია რა და ერთს ღამეს ვნახე ბევრნი თავადები მოდიოდნენ ლუარსაბ ორბელიანოვთან და მეც შეველ და ბიძინა იქ დამხვდა და იმავ მინუტს ხელი მტაცა და ბაღში გამიყვანა და მითხრა შარშან გერისთობას რომ გითხარ იმისი რა ვქნაო და მე ვუთხარ ბიძინავ. რადგან ეს შენი ლაპარაკი აქამდის დაგიმალია და არ გამოგიჩნდა კმარა და დადექით თორემ მე ვიცი რაც დაგემართებათ მეთქი. მაშინ მითხრა აი შე წუწკო ნუ გეშინია მაინც აღარა იქნება რა ჭავჭავაძემ დაშალაო. ის წავიდა და მე იქავ შეველ და იმავე ღამეს დაიჭირეს.

ვ) შემდგომად ამ თავადების დაჭერისა ორ კვირას უკან პოლიც-მეისტერს დავებარებინე და გამომიცხადა ოომ ქალაქიდან ნუ გახვ-ალო; შენთან საქმე მაქვსო, მაშინ მე მამუკა ორბელიანოვთან ჩაველ და უთხარ ეს ხომ შენ დაგვლუპავ მაშინ ვინც იქ გერისთობას იყვნენ შენთან ყველა დაიჭირეს და მეც დღეს პოლიცმეისტერს დავებარე-ბინე და გამომიცხადა ქალაქიდან ნუ გახვალო. და იქნება როგორც მე მითხარ ისე იმათა. და მათ ილაპარაკეს სადმე სხვასთან და იმისთვის დაიჭირეს მეთქი. და თუმც წამიყვანეს, დამალვა არ შეიძლება მეთ-ქი, უნდა სწორედ ვთქვა მეთქი, მე იმათთვის არა მითქვამს რა. და ხუმრობა არ არის შენ სიმთვრალით არა წამოგცდეს რა, თო-რემ როგორ შეგიძლიან მისაბუთო, მოწმე რომ არა გყავს და რით დამიმტკიცებო და რუსული კანონი თუ შენ არ იცი, ასე არის რომ

უმოწმოდ არავის რას შეიწყნარებენო. არაშც თუ მე, თუ სხვაგან ვისგანმე გაგეგონოს და მოწამე არა გყავდეს არც იმისი სთქვა, თორემ თუ უარიჰყო შენ ვერათი დაუმტკიცებ და დიდათ დაისჯებითო, და მე ჩემის უგუნურობით და გამოუცდელობით ამაზედ შევშინდი და პირველსავე კითხვაზედ ვერ გამოვაცხადე, ვისგან რა გამეგონა.

ზ) შემდგომად ჩემის კითხვისა რაოდენსამე ხანს უკან დამაყენეს თავადს იასე ფალავანდოვთან და აფხაზოვთან, და ოდესაც იმათ რომლისამე კითხვის პასუხს წერა დაუწყეს, მაშინ მათგან გავიგონე რომ, გარდა ამ ლაპარაკისა სხვა დიდად საშინელი ლაპარაკები ყოფილიყო. და მე ამისი მსმენელი, დიდად დავშინდი და ველარ დავფარე, ამისთვის რომ იქნება ღენარლებმა იფიქრონ რომ მის ამბავები გამიგონია და იმის შიშისაგან ვერ ვამბობდე და მაშინვე მინდოდა გამოცხადება ვისგანაც რაც გამეგონა; და ვთქვი, რასაც დროს კომისია დამიბარებს ჩავალ და გამოვაცხადებ და თუ არ დამიბარეს მე თვით ვითხოვ რომ ჩამიყვანონ მეთქი. და მას დროს აქ ჩამომიყვანეს და მაშინვე ხვეწნა დავიწყე ერთი ღერენალებთან ამიყვანეთ სიტყვა მაქვს მოსახსენებელი და არ ვიცი ჩემი თხოვნა გამოგიცხადათ ვინმემ თუ არა. და აწ რაცა ვისგანმე გამეგონა ყოველივე სიმართლით განვაცხადე".

თავადი სვიმონ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

ჩყლგს (1833) წელსა; აპრილის კდს (24) დღესა.

ცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვალის შესახებ (XIV, 2622)

ჩ ა ნ ა წ ე რ ი

ბატონმა გენერალ მაიორმა თავად ჭავჭავაძემ ვექსილით პროცენტებით ისესხა 1829 წელს აპრილის თვეში 2500 მანეთი ვერცხლით 42-ე ეგერთა პოლკის შტაბს კაპიტან მურაჩოვისაგან.

1831 წლის ოქტომბრის თვეში გადაუხადა ათასი მანეთი ვერცხლით ნაღდად აქაური მოქალაქის მირონას საშუალებით, 1500 მანეთში კი მისცა სპილენძის ზოდები; მთელი თანხის პროცენტები ფულით არის გადახდილი.

ეს ცნობა პირადად მე მომაწოდა შტაბს კაპიტანმა მურაჩოვმა 1833 წლის 8 აპრილის.

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

მეორე ცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვალის შესახებ (XIV, 2623)

გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს ემართა ჩემი 25.000 მანეთი ასიგნაციებით, — ამ კაპიტალიდან მას გამოერთვა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის მიერ, ჩემი მხრით ტენგენის პოლკის უფროსობის დროს დაშვებული ნაკლის გამო, 16502 მან. და 19 კაპ. ასიგნაციებით, ხოლო დანარჩენი 8408 მე თვითონ მივიღე; აღნიშნულ კაპიტალზე პროცენტებსაც მე თვითონ ვიღებდი საჭიროების მიხედვით, ნაწილ-ნაწილ. ამ ჟამად კი ვენერალ მაიორ ჭავჭავაძეს ჩემი აღარაფერი ჰმართებს.

პოდპოლკოვნიკი ს ა გ ი ნ ო ვ ი.

1833 წლის აპრილის 26, ქ. თბილისი.

პოდპოლკოვნიკ ბატონ საგინოვის გონებრივი შერყევის გამო, რაც მას დიდი ხანია სჭირს, ამ ვალის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლებელი იყო.

გენერალ-მაიორი ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

ცნობა ალ. ჭავჭავაძის მიერ სახაზინო სპილენძის სყიდვის შესახებ (XIV, 2624)

ცნობა გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძის მიერ სახაზინო სპილენძის სყიდვის შესახებ. 29 აპრილი, 1833 წ. ქ. თბილისი.

1929 წელს ზავილეისკიმ წამოაყენა წინადადება სახაზინო სპილენძის (казенной меди) გაყიდვის შესახებ და ითხოვდა ნებართვას მისცემოდა იგი გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს.

1830 წელს ნება დაერთო და თავადმა ჭავჭავაძემ მიიღო სახაზინო სპილენძი 50 ათასი მანეთისა ვერცხლით, რომელშიც გირაოდ მისცა თავისი ქონება 7 წლის ვადით, ამ ხნის განმავლობაში მან უნდა გადაიხადოს პროცენტები, ხოლო მთლიანი თანხა შეიტანოს ვადის დასასრულს.

თავადმა ჭავჭავაძემ, იყიდა რა ამ რიგად სახაზინო სპილენძი 1830 წლის დამლევს თუ 1831 წლის დამდეგს, ნაწილი მისცა თავის მოვალეებს ძველი ვალების ანგარიშში, სახელდობრ, შტაბს კაპიტან მურაჩოვს, პოდპოლკოვნიკ საგინოვსა და კოლეჟსკი რეგისტრატორს ზურაბ მელიქოვს.

შირვანის მცხოვრებლებს, რომელთაც ლაიჯი ეწოდება, მიჰყიდა 5 ათასი მანეთისა ვერცხლით და ფული თვითონ თავადმა ჭავჭავაძემ მიიღო.

ასეთივე თანხისა მიჰყიდა მან ადგილობრივ მესპილენძეებს, მაგრამ ფულის მეტი წილი მიიღო მეტეხის მღვდელმა სულხანოვმა, რომლის ვალიც ემართა თავად ჭავჭავაძეს.

სპილენძის დანარჩენი ნაწილი მიეყიდა მოქალაქე ოსიპ მირიმანოვს 1831 წელს 29 ათასი მანეთისა ვერცხლით, რა თანხიდანაც თვითონ თავადმა ჭავჭავაძემ მიიღო მხოლოდ ორი ათასი, ხოლო დანარჩენი, თავად ჭავჭავაძის ბარათების საფუძველზე, მირიმანოვმა დაურიგა სხვადასხვა პირთ,რომელთაგანაც თავად ჭავჭავაძეს 1830 წლამდე ნასესხები ჰქონდა ფული, — სახელდობრ: სენატორ თავად ერისთოვს 10 ათასი მან. ვერცხლით, სოლომონ გურგენიძეს 2 ათ. მან. ერთ მღვდელს თელავში 1500 მ., კოლეგესკი რეგისტრატორ განჟაევს 1000 მან. თავად ამატუნს 2000 მან., მოქალაქე ხატისოვს 1000 მან. და სხვა.

ამგვარად არის მირიმანოვის მიერ გასტუმრებული სხვა წვრილმანი ვალებიც თავად ჭავჭავაძისა და მასთან ანგარიში გასწორებული აქვს.

პოლკოვნიკი ს უ მ ბ ა თ ო ვ ი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2628)

მაპატიეთ პუნქტებად განაწილება ჩემი ამხანაგების წინადადებისა მე შინ დავწერე და შემეშალა იმასთან, რაც ადრე მეწერა საერთო სიაში, აგრეთვე იმასთან, რომ ზოგიერთ პუნქტზე ადამიანთა რიცხვი არასაკმარისად მეჩვენებოდა, — და როდესაც იასე ფალავანდოვს წავუკითხე, ვეკითხებოდი, თუ როგორი აზრისაა იგი და ხომ არ იყო საჭირო რამე ცვლილებები შეგვეტანა. იგი შემდეგს შეიცავდა:

ციხეზე, რომელზედაც უნდა წასულიყო თავადი დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანოვი — 40 კაცით. ყაზარმებზე დანიშნული იყვნენ კაპიტანი ზაქარია ჩელოყაევი და გიორგი ერისთოვი — 200 კაცით. არსენალზე დანიშნული ვიყავით მე და ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანოვი, აგრეთვე საველე საპროვიანტო კომისიის წინააღმდეგ — 40 კაცით. ნავთლუღში დანიშნული იყო ბიძინა ერისთოვი — 40 კაცით.

ამის წაკითხვას დაესწრო ჩემი ძმა ელიზბარიც, რომელიც, ეგებ,

ფიქრობს, რომ პირველი ღამის განკარგულება სხვა იყო, რადგან იმაში დაწვრილებით არ იყო აღნიშნული, და ის კი სხვა, რომელიც იასე ფალავანდოვთან წაიკითხე.

არტილერიის პრაპორჩიკი თავადი დიმიტრი ე რ ი ს თ ო ვ ი
1833 წლის 26 აპრილი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIV, 2630)[1]

დიმიტრი ერისთოვის მიერ:

იყო დანიშნული პუნქტები, სად ვინ უნდა ყოფილიყო განწესებული და ხალხის რაოდენობა. იარაღი, აგრეთვე ხალხის დაყენება მაღაზიებთან, და პოლონელებთან.

სოვეტნიკ ორბელიანოვისაგან:

რათა ზოგი თავადები ყოფილიყვნენ შესაკრებ ადგილზე. რომელთა სახელებიც მე მოვახსენე კომისიას. აზიურ მუსიკაზე, — ხალხი უნდა შეიყაროს შესაკრებ ადგილზე. საჭირო შემთხვევაში პოსტების უფროსებს შეეძლოთ მოეთხოვნათ ხალხის მიშველიება. უნდა დაერეკნათ ზარები და გამოეტანათ ხატები.

თანაგანმზრახველთაგან, როგორც არიან: სოვეტნიკი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარი, გიორგი და დიმიტრი ერისთოვები და კაპიტანი ჩელოყაევი. მოეწყოს ბალი, მოვიწვიოთ კორპუსის უფროსი და სხვა რუსი მოხელეები, აგრეთვე ქართველები. ამ ბალზე უნდა იყვნენ თავადები, რომლებმაც იციან შეთქმულება გამბედავნიც არიან, რაც მე დაწვრილებით მოვახსენე კომისიას.

სახელი: პირველი ღამის განკარგულება, ელიზბარ ერისთოვმა უწოდა.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIV, 2632)

თავად იასე ფალავანდოვს. 26 აპრილი, 1833 წ.

თარჯიმანი მამაცოვი აჩვენებს, რომ (2453) გასულ შე-	მე თარჯიმან მამაცოვისთვის არაფერი მითქვამს, რომ ელიზ-

[1] ი. ფალავანდიშვილის ამ უცნაური ფორმით დაწერილი ჩვენების მიზანია გააცნოს კომისიას, თუ რომელი შეთქმულისაგან რა აზრი ყოფილა წამოყენებული პირველი ღამის განკარგულებასთან დაკავშირებით.

მოდგომაზე გუბერნატორის სახლის მახლობლად თქვენთან შეხვედრის დროს თქვენ მას უთხარით, რომ ელიზბარ ერისთოვი განიზრახავს რუსების წინააღმდეგ შეთქმულებას და რაღაც ქაღალდიც დასწერაო.

განმარტეთ, მართლა უთხარით თუ არა თარჯიმან მამაცოვს და რა ქაღალდია ის, რაც ელიზბარს დაუწერია.

ბარ ერისთოვი რუსების წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს მეთქი და არც, რომ მას რამე ქაღალდი დაეწეროს.

თავადი
იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.

გენერალ-მაიორი
ჩ ე ვ კ ი ნ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2634)
26 აპრილი, 1833 წ. ქ. თბილისი.

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე მაქვს პატივი ვუპასუხო:

1. 1832 წლის ნოემბრის 15 რიცხვის მახლობლად სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან იყვნენ: იასე ფალავანდოვი, დიმიტრი ორბელიანოვი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე, სადაც მე საუბარში ვუთხარი მათ, რომ რადგანაც დრო უკვე დანიშნულია, საჭიროა დავწეროთ, თუ როგორ მოვიყვანოთ სისრულეში ჩვენი განზრახულება და ყველა დათანხმდა ხვალ შეკრებილიყავით (გარდა ავადმყოფ ალექსანდრესი) იასე ფალავანდოვთან და იქ შეგვედგინა.

2. როგორც ზემოთაც ვთქვი, იმ საღამოს გარდა, მეორე დღეს იყვნენ იასე ფალავანდოვთან ზემოხსენებულ პირთაგან რამდენიმე და დასწერეს პირველი ღამის განკარგულება; რადგან მე რაღაც გარემოების გამო იქ არ ვიყავი, ამიტომ არც ვიცი, ვინ შეიტანა ბალის გამართვის წინადადება.

3. 1831 წლის ზაფხულში ველაპარაკეთ მამუკა ორბელიანოვს (მის სახლში) მე და გიორგი დავითის ძე ერისთოვი განზრახულებაზე და რამდენადაც მახსოვს, ასეთი საუბარი იყო. მე ვეუბნები, გამიგონე მამუკა, მე მგონია, რომ ჩვენი განზრახულების შესასრულებლად, შეიძლება მონაწილეებმა ჩამოვიყვანოთ თვითეულმა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და რაც მიტს მოვიყვანთ, მით უკეთესი და ამორ-

ჩეულ პუნქტებზე მივიტანოთ იერიში ერთდროულად. მამუკა: კარგია, და ამასთანავე, გავაკეთოთ ბალი და მოვიწვიოთ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები, აქ, ნიშნის მიღებისთანავე, დავიწყოთ აჯანყება და ამოვხოცოთ ყველა ჩინოვნიკები, მაშინ ნახავთ როგორც ვიმოქმედებო.

გიორგი: ქალები ძალიან შეშინდებიან, მამუკა, წარმოიდგინე, რომ, როდესაც შენ გამძვინვარებული ხარ, ამ დროს მოდის შენთან ნინა ალექსანდროვნა! გონწასული ეცემა შენს წინაშე მუხლებზე, მაშინ როგორ მოიქცევი.

მამუკა: ეს ჩემო ძმაო, მე ამ სცენას ვერ გავუძლებ და მის მკლავებში გავეხვევი.

მე: მკლავებში კი არ გავეხვევი, მე მას სილას ვტკიცავ. აქ ჩვენ დავიწყეთ ხუმრობა და სიცილი, ამით დავასრულეთ საუბარი. 183! წელს აღარ ყოფილა ლაპარაკი ბალის შესახებ, გარდა აღნიშნული შემთხვევისა.

4. ერთხელ, აღარ მახსოვს, რომელი საუბრის დროს იასე ფალავანდოვმა მითხრა, რომ ამას წინათ ორი მღვდელი გაკრიჭესო; თუმცა მათთან არაფერი მაქვს განზრახულებაზე ნათქვამი, მაგრამ საპირო შეთხვევაში შეგვიძლიან ისინი გამოვიყენოთო. მე კი ეს გაკრეჭილი მღვდლები არ მინახავს.

5. პრაპორშჩიკი გაბრიელ მამაცოვიც ესწრებოდა ხოლმე პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრებს და მისი თანდასწრებით ლაპარაკობდა საქართველოზე დიმიტრი ბატონიშვილი.

პოდპორუჩიკი თავადი ე. ერისთოვი.

27 აპრილი, 1833 წ.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIV, 2636)

თავად იასე ფალავანდოვს. 29 აპრილი, 1833 წ.

სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი აჩვენებს (ფ. 440). რომ თქვენ, თავად ელიზბარ ერისთავთან ერთად, აპირებდით საფრანგეთში წასვლას, რათა იქიდგან გემოქმედნათ.

მე წინათაც მოვახსენე კომისიას, რომ არასოდეს არა მქონია საფრანგეთში წასვლის განზრახვა.

თავადი
იასე ფალავანდოვი.

---

[1] ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილი.

განმარტეთ, ვისი შთაგონებით
განიზრახეთ ეს და წარმატების
რა იმედი გქონდათ, იმოქმედებ-
დით რა იქიდან საქართველოს
განსათავისუფლებლად.

გენერალ-მაიორი ბ ა ი კ ო ვ ი[1].

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (2638)

ყოფილ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
29 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე ელ. ერისთავი უპასუხებს:

თავად ალექსანდრე ორბელიანოვს მართალი არ უთქვამს, მე არა-
სოდეს არა მქონია საფრანგეთში წასვლისა და იქიდან მოქმედების
განზრახვა საქართველოს გასათავისუფლებლად.

პოდპორუჩიკი თავადი ელ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება (X IV, 2640)

ბატონ გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს
26 აპრილი, 1833 წ.

თ. ლუარსაბ ორბელიანოვმა
აჩვენა (2567) რომ თქვენ მას
დაავალეთ გამოერთმია კ. ჩო-
ლაყაშვილისთვის დედოფალ
ნინას ლექსები, რომელიც რუ-
სეთში ცხოვრობს.

კომისია მოგიწოდებთ განმა-
რტოთ ეს გარემოება და რა
შინაარსისა იყო მოხსენებული
ლექსები.

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

დედოფალ ნინაზე პირვე-
ლად მესმის, ბატონიშვილი ნი-
ნა ნამდვილად იმყოფება რუ-
სეთში, ოღონდ არ ვიცი ის
ლექსებსა სწერს თუ არა. თა-
ვად ლუარსაბ ორბელიანისა-
თვის არავითარი დავალება არ
მიმიცია კაპიტან ჩოლოყაევ-
თან. ძალიან ვწუხვარ, რომ
ამ ვაუბატონთა უცნაურ ჩვე-
ნებებში იანვრის 15-დან მე
წარმოდგენილი ვარ უსიამოვ-
ნო პოზაში.

გენერალ-მაიორი
თავადი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2642)

მასწავლებელი ყიფიანოვი აჩვენებს (1115), რომ თქვენ მას უთხარით, რომ განზრახულების შესახებ ყოველგვარი აზრი მიტოვებულია და რომ ჭავჭავაძემ გადაგათქმევინათ თქვენი განზრახვა. განმარტეთ სახელდობრ როდის უთხარით ზემოაღნიშნული სიტყვები მასწავლებელ ყიფიანოვს

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი.

1. მახსოვს, რომ მასწავლებელ ყიფიანოვს ვუთხარი განზრახულებაზე ხელი ავიღეთ მეთქი დეკემბრის თვის ექვს თუ შვიდ რიცხვში.

პოდპორუჩიკი ე. ე რ ი ს თ ო ვ ი.

2. განმარტეთ პირველად როდის უთხარით თქვენს ძმას დიმიტრის, რომ განზრახულებაზე ხელი აიღეთ.

3. ჩემ ძმას დიმიტრის ვუთხარი რომ განზრახულებაზე ხელი ავიღეთ მეთქი, როგორც მახსოვს დეკემბრის ხუთს.

პოდპორუჩიკი თავადი გ. ე რ ი ს თ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2644)

ბატონ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს

27 აპრილი, 1833 წ.

პორუჩიკი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი აჩვენებს (2575), რომ 1831 წ. თქვენ პირველმა გამოუცხადეთ მას შეთქმულება. განმარტეთ, როდის და ვისი თანდასწრებით მოხდა ეს.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

პოდპორუჩიკ თავად ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვს 1831 წლის გაზაფხულზე გამოუცხადე ჩვენი განზრახულება და მან მონაწილეობაზე თანხმობა თქვა; მგონია ამ საუბარს სხვა არავინ დასწრებია. საუბარი დაწვრილებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი
თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2646)

ყოფილ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
25 აპრილი, 1833 წ.

კ ი თ ხ ვ ა: სოვეტნიკი ორბელიანოვი აჩვენებს (ფ. 1487), რომ შეთქმულების დასაწყისში 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების დროს, თამარ ბატონიშვილმა გამოგიცხადათ თქვენ და ზოგ თანაგანმზრახველს, რომ ამაზე უკეთესი დრო საქართველოში აჯანყების მოსახდენად აღარ იქნებაო და ამასთანავე, თქვენ, თქვენ ძმა ვახტანგს და თვით ორბელიანოვს გაძლევდათ დარიგებასა და შემდეგ რჩევას:[1]

პ ა ს უ ხ ი: 1831 წელს დავდიოდით თამარ ბატონიშვილთან: სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, ვახტანგ ორბელიანოვი და მე. ესაუბრობდით ხოლმე შეთქმულებაზე და თამარ ბატონიშვილის მიერ სხვადასხვა დროს მოცემული რჩევა-დარიგებანი შემდეგი იყო, როგორც მაგონდება: უნდა ვისარგებლოთ პოლონეთის აჯანყებით და ჩვენც დავიწყოთ და არ უნდა გავუშვათ ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა. მთავარია, ხელში ჩავიგდოთ ხაზინა და არ დაიტაცოს იგი ხალხმა. განზრახულების შესასრულებლად საჭიროა ხალხი, ამიტომ უნდა ვუთხრათ თავადთ, რათა მათ დანიშნულ დროზე თბილისში ჩამოიყვანონ თვითეულმა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, და რაც მეტს მოიყვანენ, მით უკეთესი. თავს დავესხათ გარკვეულ პუნქტებს ერთდროულად და მოულოდნელად. ალექსანდრე ბატონიშვილის მოსვლამდე მმართველი იქნება თამარ ბატონიშვილი და აჯანყების დროს მამაკაცის ტანსაცმელში გამოეწყობა. საჭიროა იმერეთში გვყავდეს თანამოაზრენი. და ბოლოს, იგი დარწმუნებულია, რომ სპარსეთი და თურქეთი დახმარებაზე უარს არ გვეტყვიან. თუმცა საუბრებში ლუარსაბ ორბელიანოვისთვის მითქვამს ეს აზრები, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ ისინი თამარ ბატონიშვილს ეკუთვნის. აჯანყების დასაწყისში, ვფიქრობდით გაბოგვეყენებინა ჩვენს მოქმედებაში ზოგი აქ აღნიშნული აზრი.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ე. ე რ ი ს თ ო ვ ი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIV, 2660)

ბატონ პორუჩიკ თავად გიორგი ერისთოვს 27 აპრილი, 1833 წ.

დიმიტრი ბატონიშვილთან საქართველოს თავისუფლება-

არც მუდამ და არც ისე ხშირად მიხდებოდა დიმიტრი-

---

[1] მერე განმეორებულია ლუარსაბ ორბელიანოვის კითხვა, XIV, 2582.

ზე, შევიწროებასა და განთავისუფლებაზე საუბრებს ესწრებოდა პრაპორშჩიკი გაბრიელ მამაცოვი. განმარტეთ რა დროიდან მონაწილეობდა იგი ამ საუბრებში და ხომ არ გახსოვთ მის მიერ რამე ღირსშესანიშნავი გამონათქვამი.

გენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

ბატონიშვილთან ყოფნა როგორც სხვებს. როცა კი იქ მივსულვარ, ისინი ან იქ დამხვდენ, ან ჩემს შემდეგ მოსულან. სრულებით არ მახსოვს იყო როდისმე თუ არა ჩემი თანდასწრებით საუბრებზე პრაპორჩიკი მამაცოვი. არც ის მახსოვს რა დროიდან იღებდა მონაწილეობას საუბრებში. არც მისგან რამე განსაკუთრებული გამონათქვამი გამიგონია.

პორუჩიკი
თავადი ე რ ი ს თ ო ვ ი

17 აპრილი, 1833 წ.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (XIV, 2652)

ბატონ გვარდიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ორბელიანოვს
27 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე დ. ორბელიანი უპასუხებს:

რადგან დიმიტრი ბატონიშვილის დამ თამარ ბატონიშვილმა აიყვანა თავისი მფარველობის ქვეშ პრაპორშჩიკი მამაცოვი, როდესაც ეს ჯერ დვორიანსკი პოლკში მსახურობდა და მგონია, თამარ ბატონიშვილის თხოვნით მიიღეს კორპუსში, — ამ მიზეზის გამო, მამაცოვი ზოგჯერ კვირა-უქმე დღეებში დადიოდა დიმიტრი და თამარ ბატონიშვილებთან, მაგრამ მე არასოდეს მქონია შემთხვევა, შევხვედროდი მას საქართველოს აღდგენის შესახებ საუბრის დროს და არც არავისგან გამიგონია მისი მონაწილეობა. მე თვითონ მასთან, არასოდეს მქონია საუბარი და ამიტომ სრულებით არაფრის თქმა არ შემიძლია პრაპორშჩიკ მამაცოვის მონაწილეობის შესახებ.

ლეიბ გვარდიის გრენადერთა პოლკის პროპორშჩიკი
თავადი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2654)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს, 27 აპრილი, 1833 წ.

ზემოაღნიშნულ კითხვაზე ვ. ორბელიანს უპასუხნია:

მე არ ვიცი ესწრებოდა ხოლმე თუ არა პრაპორშჩიკი მამაცოვი დიმიტრი ბატონიშვილთან საუბრებს საქართველოს თავისუფლებაზე, თუ განთავისუფლების შესახებ, მაგრამ რაც შეეხება საუბრებს, შევიწროებასა და დაჩაგვრის შესახებ, იგი, როგორც მახსოვს, ესწრებოდა 1828 წელს, არ მახსოვს, მისი რამე ცალსაკუთრებული გამოთქმა.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

27 აპრილი, 1833 წ.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2656)

ბატონ არტილერიის პრაპორშჩიკ თავად დიმიტრი ერისთოვს
27 აპრილი, 1833 წ.

ამავე კითხვაზე დიმ. ერისთავს უპასუხნია:

ბატონი პრაპორშჩიკი გაბრიელ მამაცოვი დიმიტრი ბატონიშვილთან ჩვენს საუბრებზე მე არ მინახავს, იგი სრულებით არ მახსოვს და არც ვიცი რა დროიდან მიიღო მონაწილეობა ჩვენს განზრახულებაში.

არტილერიის პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი ერისთოვი.
1833 წლის 27 აპრილი.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2658)

ბატონ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
27 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე ელიზბარს უთქვამს:

პრაპორშჩიკი გაბრიელ მამაცოვი მონაწილეობას იღებდა დიმიტრი ბატონიშვილის საუბრებში საქართველოს შესახებ, მაგრამ არ მახსოვს რა დროიდან მიიღო მონაწილეობა და არც მისი რაიმე გამონათქვამი მახსოვს.

პოდპორუჩიკი თავადი ე. ერისთოვი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2552)

თავად ვახტანგ ორბელიანოვს, 23 აპრილი, 1833 წ.

პრაპორშჩიკი მამაცოვი აჩვენებს (ფ. 2307), რომ 1832 წ. იგი, თქვენ და ავთანდილოვი იყავით მასწავლებელ ყიფიანოვთან, სადაც თქვენ უცებ ხელი დაჰკარით მხარზე მამაცოვს და უთხარით: „ჩვენ რომ ჩვენი უფლება გვქონდეს, ასე არ დავემორჩილებოდით, ხომ მართალია". ვანმარტეთ როგორ იყო ეს, რა გიპასუხათ მამაცოვმა და მერე რა დაუმატა ავთანდილოვმა.

ვენერალ-მაიორი
ვ ო ლ ხ ო ვ ს კ ი.

1832 წელს ერთს საღამოს მოდის ჩემთან პრაპორშჩიკი მამაცოვი და მთხოვს ერთად წავიდეთ ყიფიანოვთან. მე შევასრულე მისი თხოვნა და წავედით ყიფიანოვთან, სადაც ავთანდილოვიც დაგვხვდა. ჯერ სხვა რამეებზე ვლაპარაკობდით მერე მე ვკითხე პრაპორშჩიკ მამაცოვს, რა იქნება, რომ საქართველო აჯანყდეს და მოინდომოს თავისი უფლების აღდგენა, შენ როგორ ფიქრობ, მოახერხებს საქართველო ამის განმტკიცებას მეთქი. მან მიპასუხა, როგორც მახსოვს, რომ მას ეეჭვება ეს, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვითო. ავთანდილოვმა რა ლაპარაკი არ მახსოვს.

თავადი ვახტანგ
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი
1833 წლ. 24 აპრილი.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენება (XIV, 2660)

ლეიბ გვარდიის გრენადერთა პოლკის პრაპორშჩიკ ბატონ თავად დიმიტრი ორბელიანოვს, 25 აპრილი, 1833 წ.

თქვენს ჩვენებათა შესავსებად კომისია მოგიწოდებთ განმარტოთ მოკლედ მაგრამ ზუსტად და სათანადო გულახდილობით:

1. ვინ მიგაჩნდათ მთავარ და დამწყებ წყაროდ მთავრობის წინააღმდეგ განზრახულებისა.

2. ხომ არ არსებობდა ასეთი განზრახულება უკვე 1830 წლის უწინარეს.

3. რა საშუალებით ფიქრობდნენ შეთქმულნი 1831 წელს განზრახულის განხორციელებას ვარშავის აღების წინ. ნავარაუდევი იყო თუ არა საამისოდ პირველი ღამის განკარგულება, როგორც ეს იყო 1832 წელს.

4. რა ვადა იყო დანიშნული ან ნავარაუდევი აღნიშნული განზრახულების შესასრულებლად 1831 წელს.

5. რადგან ვარშავის დაცემის შემდეგ შეთქმულება ცოტა შენელდა და მისი შესრულება უკუგდებული იქნა. — სახელდობრ რა მიზეზმა შთაგაგონათ ესოდენ საქმიანად გაგეახლებინათ იგი 1832 წელს და მის განხორციელებასაც კი შესდგომოდით.

პ ა ს უ ხ ე ბ ი: 1. მე ვგონებ ოქროპირ ბატონიშვილს, იმ მიზეზით, რაც უკვე მოვახსენე კომისიას.

2. არ ვიცი არსებობდა თუ არა განზრახულება 1830 წლამდე, ჩემთვის ეს უცნობია და არავისგან გამიგონია, ვიდრე პოლონეთიდან არ დავბრუნდი 1832 წელს.

3. 1831 წელს მე ვიმყოფებოდი პოლონეთის ლაშქრობაში და არ ვიცოდი აქ საზოგადოების არსებობა და ლაშქრობიდან პეტერბურგს ჩამოსულმა გავიგე, რომ აქ ასეთი რამ შეუდგენიათ, მაგრამ არ ვიცი რომელი წლიდან და ამიტომ არც ვიცი, და არც ვისგანმე გამიგონია როგორ აპირებდნენ 1831 წელს განზრახულების სისრულეში მოყვანას და არ ვიცი ნავარაუდევი იყო თუ არა 1822 წლისებრი პირველი ღამის განკარგულება.

4. ეს ჩემთვის ცნობილი არ არის.

5. არც ის მიზეზებია ჩემთვის ცნობილი, რამაც გამოიწვია 1832 წელს შეთქმულების აღორძინება. რადგან მე თბილისში ჩამოვედი 1832 წლის ოქტომბერში, რა დროსათვისაც შეთქმულება უკვე არსებობდა. აგრეთვე არავისგან არ გამიგონია ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა შესახებ.

ლეიბ გვარდიის გრენადერთა პოლკის პრაპორშჩიკი
თავადი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი.

სოლომონ რაზმაძის ჩვენება (XIV,2664))

იმავე კითხვებზე ს. რაზმაძის პასუხი:

1. თუმცა შეთქმულება მე შევიტყე თავად ალექსანდრე ორბელიანოვისაგან და ელიზბარ ერისთოვისაგან, მაგრამ მათ არ უთქ-

ვამთ ჩემთვის თუ ვინ არის ამის მეთაური და მთავარი წყარო, არც მე მიკითხავს მათთვის და ეხლაც არ ვიცი თვითონ ისინი არიან თუ სხვა ვინმე.

2. მე შეთქმულება გავიგე 1832 წელს. ხოლო რა დროიდან არსებობდა არ ვიცი, არავის უთქვამს.

3. მაგონდება, ერთხელ ალექსანდრე ორბელიანოვმა და ელიზბარ ერისთოვმა მითხრეს, რომ ვარშავის აღებამ შეაჩერა ისინი, მაგრამ როგორ აპირებდნენ ისინი სისრულეში მოყვანას, ჩემთვის არ უთქვამთ, არც ის უთქვამთ, აპირებდნენ თუ არა 1832 წელს სისრულეში მოყვანას.

4. მე არ ვიცი რა ვადა ჰქონდათ მათ დანიშნული, ჩემთვის არავის უთქვამს.

5. ჩემი აქ ყოფნის მანძილზე ქმედითი საქმიანობა არა შემინიშნავს რა, იმის გარდა, რომ რამდენჯერმე იყო ამაზე საუბარი ბაღში და მთლად ჩამქრალად მოსჩანდა. ჩემი აქედან წასვლის შემდეგ[1] კი — მოქმედებდნენ რამეს, რა მიზეზებმა გამოიწვია შეთქმულების კვლავ აღორძინება და განიზრახავდნენ თუ არა მის სისრულეში მოყვანას, მე არა ვიცი რა.

ახნაური სოლომონ რაზმაძე.

სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (XIV, 2662)

იმავე კითხვაზე ს. დოდაშვილი უპასუხებს:

1. თავადები ერისთავები, დაწყებული გენერალ ლეიტენანტ სენატორიდან[2] უკანასკნელ პრაპორშჩიკამდე და ყოველგვარი „ჩინის“ უქონელამდე, იყვნენ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მთავარი წყარო, სახელდობრ მათთვის ოსეთის ჩამორთმევის გამო, მათ შეუერთდნენ ორბელიანოვები და გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე, რამდენადაც მე ვიცი.

2. 1830 წლამდე მთავრობის საწინააღმდეგო რამე შეთქმულებაზე მე არა ვიცოდი რა, თუმცა ოქროპირ ბატონიშვილმა დამავალა, როგორც კომისიამ იცის, მე იგი არ შემისრულებია და არცა მქონია

---

1 იგულისხმება მისი სპარსეთში წასვლა.

2 ელიზბარის ბიძა გიორგი ერისთავი.

მისი შესრულების სურვილი რადგანაც მესმოდა ამით საქართველო დაიღუპებოდა. 1830 წლამდე არ არსებობდა განზრახულება.

3. 1831 წელს განზრახულების თანამოაზრენი არა ფიქრობდნენ მის განხორციელებას და ჯერ არ იყო ნავარაუდევი რამე განკარგულების მოხდენა; მათი მთელი ყურადღება მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, როგორ გათავდებოდა საქმე პოლონეთში. მისი დამთავრებისთანავე კი აქაური შეთქმულებაც მიჩუმდა.

4. იმ 1831 წელს არ ყოფილა დანიშნული შესრულების ვადა. მხოლოდ იყო საუბარი: ევროპაში პოლიტიკურ საქმეთა რომელიმე გადატრიალების შემთხვევაში, თავი გამოვაცხადოთ რუსებისაგან თავისუფლად (მათი სიკეთის სამაგიეროდ).

5. თავად ელიზბარ ერისთოვს, როგორც მგონია, სურდა პატივი ეცა ახლად ჩამოსული თავის ძმისთვის დიმიტრისთვის და სოლომონ რაზმაძისთვის, როგორც ს. პეტერბურგელი თანაგანმზრახველთათვის და შეეკრიბა ყველა თავისუფლების მოყვარულნი, დაელია სადღეგრძელო იმათი, ვისაც თავისუფლება სურს და ისწრაფვის განზრახულების (შეთქმულების) განახლებისაკენ. თავადი იასე ფალავანდიშვილი, რომელიც ელიზბარზე ნაკლები მოაჯანყე არ იყო, აღვიეებდა შეთქმულების თანამოაზრეთა რისხვას, აგინებდა ყოველგვარი გამოთქმებით ყველას, ვინც შეთქმულებაში არ მონაწილეობდა, (სწორედ ამან მაიძულა მეთქვა მაიორ თავად დიმიტრი ორბელიანზე, რომ ის მზად არის მეთქი, მაშინ როდესაც მე მასთან ამაზე არასოდეს მილაპარაკნია და არ მინდოდა მესმინა მისთვის, როგორ სასტიკად აგინებდა, რომ ორბელიანოვი არ იყო მთავრობის წინააღმდეგ) და ვინც უარს ამბობდა მის დავალებათა შესრულებაზე. ამ ორმა პიროვნებამ თავიანთი თანაგანზრახველებითურთ, უგულვებელყვეს რა სხვათა რჩევა დარიგება, ჩემთვის სრულიად უცნობი მიზეზით გაბედა მოეყვანა სისრულეში თავიანთ უცილობელ დასაღუპავად. მე მგონია, მათ აქეზებდა ვინმე ქალი.

მასწავლებელი სოლომონ დ ო დ ა ე ვ ი.

ქალი რომ მოვიხსენიე არის თამარ ბატონიშვილი და თავადის მეუღლე მანანა ორბელიანი, რომელზედაც თავად ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ იგი შთააგონებს გენერალ მაიორ თავად ჭავჭავაძეს, რათა ეცადოს სისრულეში მოიყვანოს შეთქმულება

და რომ თამარ ბატონიშვილი აღგზნებულია აქ აჯანყების მოხდენის სურვილით.

მასწავლებელი დ ო დ ა ე ვ ი.

25 აპრილი, 1833 წელი.

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (XIV, 2666)

იმავე კითხვებზე ი. ფალავანდიშვილის პასუხი:

1. მე მიმაჩნია სოვეტნიკი ორბელიანოვი, ელიზბარ ერისთოვი და მასწავლებელი დოდაევი.

2. სრულებით არ ვიცი არსებობდა თუ არა ასეთი შეთქმულება 1830 წლის უწინარეს.

3. არ ვიცი რა საშუალებით ცდილობდნენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას 1831 წელს და არც ის ვიცი ნავარაუდევი იყო თუ არა ამისათვის ისეთივე განკარგულება როგორც 1832 წელს. ხოლო რაც მე სოვეტნიკმა ორბელიანოვმა მითხრა 1832 წელს, უკვე მოვახსენე კომისიას.

4. მე არ ვიცი რა ვადა იყო დანიშნული ან რა დროს ვარაუდობდნენ 1831 წელს განზრახულების სისრულეში მოსაყვანად.

5. 1832 წელს ამ შეთქმულებაზე პირველად სიტყვა გამიკრა სოვეტნიკმა ორბელიანოვმა, ელიზბარ ერისთოვის სახლში, რაც დაწვრილებით უკვე მოგახსენეთ.

თავადი იასე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი

25 აპრილი, 1833 წ.

დავით ჯორჯაძის ჩვენება (XIV, 2668)

იმავე რიცხვით, კითხვებზე დ. ჯორჯაძე უპასუხებს:

1. რადგან მე არავისთან მქონია შეთქმულებაზე საუბარი და ელიზბარ ერისთოვისათვის კი არ მიკითხავს, რომელმაც შეთქმულება გამიზიარა, ამიტომ დანამდვილებით არ შემიძლიან ვთქვა, მაგრამ მეთაური გენერალი თავადი ერისთოვი უნდა ყოფილიყო, ელიზბარი თვითონ ვერაფერს გაბედავდა.

2. არ გამიგონია არსებობდა თუ არა განზრახულება 1830 წელზე უწინ, მე კი მაცნობა ელიზბარ ერისთოვმა 1832 წელს მოკლედ, როგორც ეს ვთქვი ჩემს პირველ ჩვენებაში.

3. როდესაც ელიზბარ ერისთოვმა მაცნობა შეთქმულება, მე

ვკითხე რით და როგორ ფიქრობს მის აღსრულებას. მან ამასთანავე დაუმატა, რომ სპარსეთმა და თურქეთმა ეს უკვე იციანო, ამის მეტი აღარა მითქვამს რა და დავცილდით ერთმანეთს.

4. არავითარი განკარგულება ჩემთვის ცნობილი არ არის და სრულებით ვერ წარმომიდგენია როგორ და როდის უნდა აღესრულებინათ, ან რომელ წელს.

5. ფიქრობდნენ თუ არა შეთქმულნი თავიანთი განზრახულების აღკვეთას ვარშავის დაცემის შემდეგ, ჩემთვის არავის უთქვამს და არც მე მიკითხავს ვინმესათვის, მაგრამ მე იმაში დარწმუნებული ვიყავი, რომ ელიზბარ ერისთოვი განაგრძობდა თავისი აზრების ვავრცელებას, ისე როგორც მე გამიზიარა იგი.[1]

თბილისის ქვეითი პოლკის პრაპორშჩიკ თ. ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა გ ა ნ.

მართალია, I პუნქტში ვაჩვენე, რომ ამ შეთქმულების მთავარი მესვეური იყო გენერალ ლეიტენანტი თავადი გიორგი ერისთოვი, მაგრამ ამ პუნქტის დამატებად, გავბედავ მოვახსენო კომისიას, რომ ეს ჩვენება არ ემყარება რამე ჭეშმარიტებას, არამედ მხოლოდ დავასკვენი ელიზბარის განცხადებიდან, რადგან მან როდესაც შეთქმულება გამიმჟღავნა 1831 წელს, ამასთანავე დასძინა, რომ გენერალი თავადი ერისთოვიც ცდილობს ამაზე და მოლაპარაკება აქვს გენერალ ჭავჭავაძესთანო, მაგრამ, ალბათ ელიზბარ ერისთოვმა ეს თქვა, რათა ძალა შეემატებინა თავისი მონათხრობისათვის და დავეყოლიებინე მონაწილეობაზე.

პრაპორშჩიკი თავადი ჯ ო რ ჯ ა ძ ე.

ანტონ აფხაზის ჩვენება (XIV, 2670)

ამავე კითხვებზე ანტონ აფხაზი უპასუხებს:

1. მე ვთვლი შეთქმულების მეთაურად და მთავარ წყაროდ ალექსანდრე ორბელიანოვის ნათქვამის მიხედვით, ქართველ ბატონიშვილთაგანს, სახელდობრ რომელია მას არ უთქვამს.

2. მე მხოლოდ გავიგე, რომ ასეთი განზრახულება 1831 წლიდან არსებობს.

3. 1831 წელს შეთქმულნი ამგვარად ფიქრობდნენ განზრახვის შესრულებას: ჯერ უნდა იერიში მიეტანათ გუბერნატორზე, მერე

---

[1] ჩვეულებრივი ხელის მოწერა აკლია, მაგრამ აქვეა დართული ჯორჯაძის ცალკე განცხადება.

მთავარმართებელზე, ბოლოს ციხეზე. მე არ ვიცნობ 1832 წლის განკარგულებას, გავიგე მხოლოდ, რომ სურდათ გამოეწვიათ ალექსანდრე ბატონიშვილი.

4. ვადის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ამბობდნენ, რომ ელიან ცნობას ვარშავის შესახებ.

5. სხვა არაფერი მიზეზი არ შემიძლიან წარმოვიდგინო, გარდა ქართველი ბატონიშვილების აქ ჩამოსვლისა. ჩემი ყარაბაღში გამგზავრების წინ ამბობდნენ, რომ შეთქმულებაზე ხელი აიღეს, რატომღა გარეახლეს და ასე საქმიანად შეუდგენენ მისი განხორციელების საქმეს, ამის მიზეზი მე არ ვიცი.

ყოფილი პოდპორუჩიკი თავადი ა ბ ხ ა ზ ო ვ ი.

26 აპრილი, 1833 წელი.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2072)

იმავე კითხვებზე ვ. ორბელიანის პასუხები:

1. მე ვთვლი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მესვეურებად და მთავარ წყაროდ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს.

2. არა მგონია, რომ ასეთი შეთქმულება 1830 წელზე ადრე არსებობდა, რადგან ამხანაგთაგან არ გამიგონია.

3. რადგან 1831 წელს მე იშვიათად ვიყავი ჩემს ამხანაგებთან და მგონია, რომ ისინი ჩემთან მთლად გულახდილნი არ იყვნენ, ამიტომ არც ვიცი როგორ ფიქრობდნენ ჩვენი თანაგანმზრახველნი მის სისრულეში მოყვანას ვარშავის აღებამდე, ან ჰქონდათ თუ არა ისეთივე საშუალებანი თუ არა, როგორც 1832 წელს. თუმცა ჩემმა ძმამ ალექსანდრემ მითხრა ვარშავის აღების წინ, რომ ლუარსაბ ორბელიანოვმა და ელიზბარ ერისთოვმა მითხრეს, რომ გენერალ-მაიორი ჭავჭავაძე გვირჩევს მოვიყიდოთ დრაგუნთა პოლკი და მივწეროთ ალექსანდრე ბატონიშვილს, რათა კახეთში მოვიდესო. ამის მეტი სხვა საშუალება 1831 წ. არა გამიგია რა ამხანაგებისაგან.

4. 1831 წელს ჩვენი განზრახულების შესასრულებლად რამე ვადა დანიშნული არა ყოფილა, მხოლოდ ელოდებოდნენ პოლონელთა წარმატებას.

5. მე არ ვიცი რა მიზეზმა აიძულა ჩემი ამხანაგები 1832 წელს განეახლებინათ შეთქმულება, როცა ვარშავის აღების შემდეგ იგი მიატოვეს, მე კი განსაკუთრებული მიზეზი არა მქონია რა კვლავ

ბევერთებოდი, გარდა გზაბნეულობისა, როგორც ეს იყო 1831 წელს.

თავადი ვახტანგ ორბელიანოვი.

25 აპრილი, 1833 წელი.

დიმიტრი ერისთავის ჩვენება (XIV, 2676)

დ. ერისთავის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. ჩვენი განზრახულების წყარო ჩემთვის ცნობილი არ არის, რადგან 1831 წლამდე მე არ ვიყავი საქართველოში, ხოლო აქ ჩამოსვლის შემდეგ არავის უამბნია ამ განზრახულების მიმდინარეობა. ამასთანავე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი იგივენი იყვნენ, ვინც 1831 წ. ამიტომ განზრახულების წყარო ჩემთვის უცნობია.

2. არ ვიცი.

3. მე არაფერი გამიგონია როგორ აპირებდნენ 1831 წელს განზრახულების სისრულეში მოყვანას, არც რამე განკარგულება ვიცი.

4. არ ვიცი დათქმული იყო რამე ვადა თუ არა, შეთქმულების სისრულეში მოსაყვანად, 1831 წელს. თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვისაგან გავიგონე მხოლოდ, რომ: „ვარშავის დაცემის შემდეგ განზრახულებაზე ხელი ავიღეთო.“

5. 1832 წელს შეთქმულების ქმედითად განახლების მიზეზი იყო: ომი მთიელებთან და რუსეთის მონაწილეობა ჰოლლანდიელების გამო, როგორც ეს გაზეთებიდან ვიცოდით.

თავადი დიმიტრი ერისთავი.

1833 წლის 26 აპრილი.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება (XIV, 2678)

გ. ერისთავის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. როგორც ეხლა ვხვდები, შეთქმულების მთავარი წყაროა დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები.

2. სრულებით არ ვიცი არსებობდა თუ არა ასეთი შეთქმულება 1830 წლამდე. გაგონილი მაქვს მხოლოდ, რომ იგი დაიწყო თბილისში 1831 წელს.

3. რა საშუალებით ფიქრობდნენ განზრახულების სისრულეში მოყვანას 1831 წ. სრულებით არ ვიცი.

4. რა ვადა იყო დანიშნული ან ნავარაუდევი შეთქმულების აღსასრულებლად 1831 წელს სრულებით არ ვიცი.

5. სრულებით უცნობია ჩემთვის მიზეზი, რამაც გამოიწვია შეთქმულების განახლება. როგორც წინათაც ვთქვი, შეთქმულების განახლება პირველად გავიგე, როცა თ. აფხაზოვმა ვახშმად მიმიწვია ბატონ დოდაევის სახლში, სადაც აგრეთვე იყვნენ: თ. იასე ფალავანდოვი, თ. ელიზბარ ერისთოვი და თ. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები.

პორუჩიკი თ. ე რ ი ს თ ო ვ ი

26 აპრილი, 1833 წელი.

ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (XIV, 2080)

იმავე კითხვებზე ზ. ჩოლოყაშვილი უპასუხებს:

1. რადგან თავადები: ერისთოვები ელიზბარი, დიმიტრი და გიორგი, ორბელიანოვები ვახტანგი და დიმიტრი აღზრდილნი იყვნენ ფარნაოზ ბატონიშვილის სახლში, ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ აქ შთააგონეს, მით უმეტეს, რომ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ამ ვაჟბატონებმა განმიცხადეს, რომ მათ პეტერბურგში ჩემი ეშინოდათ და შორს მერიდებოდნენ, რათა არაფერი შემენიშნა, აქ კი სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გაეიგონე, რომ მესვეურად ითვლება თამარ ბატონიშვილი.

2. თავად ელიზბარ ერისთოვის ჩამოსვლამდე, ორბელიანოვთა სიტყვით, არავის და არასდროს არ შეეძლო რამე ეფიქრა, მაგრამ იგი იყო რა გამოგზავნილი პეტერბურგიდან და უთუოდ შთაგონებული თავიანთი ნათესავებისაგან, მოქმედებდა მათი დარიგების მიხედვით; თვითონ თავისით ელიზბარ ერისთავს არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

3. როგორ მოქმედებდნენ 1833 წელს, მე არა ვიცი რა, ხოლო ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მათ არ იმოქმედეს 1831 წელს, თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა მიპასუხა, რომ ვარშავის აღების შემდეგ განზრახულება მიატოვეს; განკარგულებაზე არა უთქვამს რა, მხოლოდ მითხრა, რომ მან თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა მისწერა წერილი ალექსანდრე ბატონიშვილს, რომლითაც მას იწვევდა.

4. თუ რა ვადა იყო დანიშნული 1831 წელს განზრახულების შესასრულებლად, არ ვიცი.

5. ვარშავის აღების შემდეგ თუმცა მიატოვეს შეთქმულება დროებით. მაგრამ, ელიზბარმა, რომელიც არასოდეს ცხრებოდა, მოახერხა შეეკრიბა პარტია ქართლში გერისთაობის დღეობაზე. ყველაფერი ეს მიამბო თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა, დანამდვილებით კი არა ვიცი რა როგორ მოქმედებდნენ და რა სურდათ.

კაპიტანი თავადი ჩ ე ლ ო ყ ა ე ვ ი.

25 აპრილი, 1833 წ.

იოსებ მამაცაშვილის ჩვენება (XIV, 2682)

ი. მამაცაშვილის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. თუმცა ჩემთვის არავის უთქვამს, თუ ვინ იყო მესვეური შეთქმულებისა, მაგრამ მე ასეთებად მიმაჩნდა თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და თავადი ელიზბარ ერისთოვი, რადგან, როდესაც კი მე მათ კრებაზე მონაწილეობა მომიხდა, ესენი იძლეოდნენ დარიგებას და ცდილობდნენ თვითეულის შეცდენას.

2. ასეთი განზრახულების 1830 წლამდე არსებობა ჩემთვის ცნობილი არ არის.

3. ვარშავის აღების წინ როგორ ფიქრობდნენ განზრახულის შესრულებას ან რა განკარგულება ჰქონდათ 1832 წლისთვის ცნობილი არ არის.

4. თუ რამე ვადა ჰქონდათ დანიშნული 1831 წელს შესასრულებლად, ჩემთვის არავის უთქვამს.

5. როდესაც 1832 წლის მაისში სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან ვსადილობდით, იქ ეს თავადი ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი მსჯელობდნენ, რომ რადგანაც ქართველი თავადები თბილისში უნდა შეიკრიბნენ კენჭის ყრაზე, ხოლო მისი აღმატებულება ბატონი მთავარსარდალი ჩეჩნეთში იმყოფება, ამიტომ ხელსაყრელ დროდ მიიჩნევდნენ განზრახულების სისრულეში მისაყვანად; მე ეს მიმაჩნია წამქეზებელ მიზეზად.

კანცელარისტი იოსებ მ ა მ ა ც ო ვ ი.

25 აპრილი, 1833 წ.

ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება (XIV, 2684)

ზ. ავთანდილაშვილის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მესვეურებად მიმაჩნია დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები.

2. 1831 წელს შეთქმულება რომ გამომიცხადეს, მე მაშინ გავიგონე თავად ელიზბარ ერისთოვისა და კახტანგ ორბელიანისაგან, რომ მათ ამ საგანზე 1830 წლის უწინარეს ჰქონდათ საუბარი მათი ს. პეტერბურგში ყოფნის დროს, დიმიტრი ბატონიშვილთან.

3. თუმცა შეთქმულება 1831 წ. გამომიცხადეს, მაგრამ, თუ შეთქმულნი როგორ აპირებდნენ მის განხორციელებას 1831 წელს ვარშავის აღების წინ, ან ჰქონდათ თუ არა განკარგულება, ისეთი როგორიც 1832 წლისა იყო, ჩემთვის არავის უთქვამს.

4. დათქმული იყო თუ არა რამე ვადა 1831 წ. განზრახულების შესასრულებლად, მე არ ვიცი.

5. მე გავიგონე ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ როგორც 1832 წ. მხედრობის თბილისიდან წასვლა მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე პეტერბურგიდან ჩამოსვლა თავადების: კაპიტან ჩელოყაევისა, კორნეტ ერისთოვისა და პრაპორშჩიკ დიმიტრი ორბელიანოვისა, რომელნიც გამოცდილი ოფიცრები არიანო, აიძულებდა მას შესდგომოდა განზრახულების სისრულეში მოყვანას.

მასწავლებელი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო ვ ი

27 აპრილი, 1833 წ.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენება (XIV, 2686)

ამავე კითხვებზე დ. ყიფიანის პასუხები:

1. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მესვეურებად მე უნდა მივიჩნიო ქართველი ბატონიშვილები, რადგან შეთქმულნი მათ ხშირად ახსენებდნენ; მაგრამ სახელდობრ ვინ, მე არ ვიცი, და მე არც ვიცნობ რომელიმე ბატონიშვილს.

2. ამაზე სრულებით არა ვიცი რა.

3. აგრეთვე არა ვიცი რა 1831 წელში მზადებათა შესახებ, ან თუ ემსგავსებოდა 1832 წლის განკარგულებას, რადგან მე შეთქმულებაში მხოლოდ 1832 წელს ჩამითრიეს.

4. გასული წლის 20 ნოემბერი; ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ მე სრულიად მცირე მონაწილეობას ვიღებდი და დარწმუნებული ვიყავი მათს ზერელობაში, საკმარისია, რომ იმავე თვის 10 რიცხვში რუსეთიდან გამოვიწერე ნივთები.

5. არც ამის შესახებ ვიცი რამე, იმავე მიზეზის გამო, რაც მესამე პუნქტში აღვნიშნე.

მასწავლებელი დ. ყ ი ფ ი ა ნ ო ვ ი

25 აპრილი, 1833 წ.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2688)

ელ. ერისთავის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. როგორც უკვე მქონდა პატივი მომეხსენებინა, ს. პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილი გვინერგავდა მე და სხვა ცნობილ პირებს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების აზრს. როდესაც 1831 წელს თბილისში ჩამოვედი და ამ საქმეზე დავუახლოვდი სოვეტნიკ ორბელიანოვს და რაც ამის შემდეგ ვიმოქმედე, ეს უკვე ცნობილია.

2. მე არ ვიცი არსებობდა თუ არა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება 1830 წლის უწინარეს.

3. 1831 წ. არ არსებობდა 1832 წლის მსგავსი განკარგულება, მხოლოდ ვფიქრობდით, რომ თანაგანმზრახველნი თბილისში მოიყვანდნენ რამდენიმე შეიარაღებულ კაცს თვითეული, ვლაპარაკობ. დით აგრეთვე იმაზე, თუ რომელი პოსტი უფრო მნიშვნელოვანია.

4. 1831 წელს განზრახულების შესასრულებლად ვადა დანიშნული არა ყოფილა, იმის მეტი, რომ ვფიქრობდით მოსავლის აღების შემდეგ, ე. ი. შემოდგომაზე.

5. არავითარი მიზეზი არა ყოფილა. მხოლოდ ერთადერთი უგუნურება.

პოდპორუჩიკი თავადი გ. ერისთოვი.

25 აპრილი, 1833 წ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2694)

იმავე კითხვებზე ლ. ორბელიანის პასუხები:

1. მე არ ვიცი რა იყო წყარო მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებისა, ხოლო პირველად ამაზე მელაპარაკა ელიზბარ ერისთოვი.

2. მე არ ვიცი, რომ საქართველოში არსებულიყო შეთქმულება 1830 წლის უწინარეს.

3. 1831 წელს მე მესმოდა მხოლოდ ლაპარაკი შეთქმულებაზე, ხოლო თუ როგორ ფიქრობდნენ მის სისრულეში მოყვანას, მე არ ვიცი და არც არავითარი განკარგულება მინახავს.

4. არავითარი ვადა 1831 წელს განზრახულების შესასრულებლად არა ყოფილა დანიშნული.

5. როგორც 1831, ისე 1832 წ. შეთქმულებაზე ლაპარაკი დამიწყო ელიზბარ ერისთოვმა, როგორც წინათაც მოგახსენეთ.

კავალერიის მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი.

25 აპრილი, 1833 წ.

გ. ერისთავის პასუხები იმავე კითხვებზე:

1. ჩვენი შეთქმულების წყაროდ და მესვეურად ვიმაჩნია ლი. მიტრი ბატონიშვილი.

2. 1830 წლამდე არ ვიცოდი ასეთი შეთქმულების არსებობა.

3. 1831 წელს ასე ვაპირებდით განხორციელებას: მოგვეწყო ბალი, მოგვეპატიჟნა ყველა უფროსები და დანიშნულ დროს ყველა ამოგვეხოცნა, ამასთანავე, ერთდროულად თავს დავსჩმოდით ყველა მთავარ პოსტებს, აგვეღო არსენალი, ციხე, თოფის წამლის მაღაზია და სხვა სახაზინო დაწესებულებანი. აგრეთვე უნდა თავს დავსხმოდით ერთდროულად მთავარ შტაბებს. ასე ვფიქრობდით მოგვეყვანა სისრულეში. მაგრამ მე არ ვიცი რა განკარგულება იყო ნავარაუდევი 1832 წლისათვის.

4. ვადა ნავარაუდევი იყო შემოდგომა, რადგან მაშინ ყველა საშუშაო დამთავრებულია.

5. ვარშავის აღების შემდეგ ჩვენი განზრახულება შეჩერდა და ვიდრე მე 1832 წელს ლაშქრობაში წავიდოდი, აღარ განახლებულა. ამის შემდეგ აღარ ვიცი რა მიზეზმა გამოიწვია მისი განახლება და რა საშუალებები ჰქონდათ, რით ფიქრობდნენ სისრულეში მოყვანას.

პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი

25 აპრილი, 1833 წ.

ამას უშუალოდ მისდევს ასეთი მინაწერი: მესამე პუნქტის შესახებ შეკითხვაზე ელიზბარ ერისთოვმა ცოტა განსხვავებული პასუხი გასცა, მან განმარტა, რომ: იქ ჩამოთვლილი ყველა განზრახვა სწორია, გარდა ბალისა, რაზედაც მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა მამუკა ორბელიანოვმა.

29 აპრილი, 1833 წ.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი[1], გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი, გენერალ-მაიორი ჩეკინი, პოლკოვნიკი ტრიტელევიჩი.

დადგენილება იასე ფალავანდიშვილის შესახებ (XIV, 2698)

6-ე დეპარტამენტის 2-ე განყოფილება, № 2779.

მისი იმპერატორობითი უზენაესობის ბრძანებით სენატში განიხილა ჩანაწერი, რომელიც რაპორტით იყო წარმოდგენილი თბილი-

სის სამხედრო გუბერნატორ სტრეკალოვის მიერ, კოლეჟსკი რეგისტრატორ თავად იასე ფალავანდოვზე, რომელსაც ბრალი ედება თვითნებურად სამსახურის მიტოვებაში, ვითომდა თურქეთში გაქცევის განზრახვით. ბ რ ძ ა ნ ე ს: კოლეჟსკი რეგისტრატორ თავად იასე ფალავანდოვს ბრალი ედება თურქეთში გაქცევის განზრახვაში, მაგრამ რადგან მან ეს დანაშაული არ აღიარა და აჩვენა, რომ 1828 წელს, როდესაც მსახურობდა საქართველოს უმაღლესი მმართველობის სუდა ი რასპრავის ექსპედიციაში, უქმეები რომ დაიწყო, 23 დეკემბერს თავისი ძმის კაცთან ჭელიძესთან და იმერელ ქუთათელაძესთან ერთად, გაემგზავრა სამეგრელოში თავის ნათესავებთან, რათა უქმეების შემდეგ დაბრუნებოდა თავის ადგილს, მაგრამ რადგან გზა არ იცოდა, — მოხვდა გურიაში. აღნიშნულმა ჭელიძემა და ქუთათელაძემ ფალავანდოვის ნათქვამი დაადასტურეს. სხვა დამამტკიცებელი საბუთი ფალავანდოვის თურქეთში გაქცევის განზრახვაზე საქმეში არ მოიპოვება, იმის მეტი, რომ მისი ძმის სტატსკი სოვეტნიკ თავად ფალავანდოვის ცნობით, იასე ფალავანდოვი ეჭვით იყო შეპყრობილი გურიის სათავადოში, სამსახურის თვითნებურად მიტოვების გამო. ციხეში ყოფნის დროს, თუმცა რიგითი ჯარისკაცმა ობოლენსკიმ ცილი დასდო ფალავანდოვს თურქეთში გაქცევის განზრახვაში, მაგრამ ეს ვერაფრით დაამტკიცა.

სენატი ამ გარემოებებიდან ვერ ხედავს იმის საბუთებს, რომ იასე ფალავანდოვი მიჩნეული იქნას დამნაშაედ და ხელმძღვანელობს რა იგი 1801 წლის სექტემბრის 26-ის, 2-ე ნაწილის, 5-ე თავის, 9-ე პუნქტის ძალით, ადგენს: ფალავანდოვი, — ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, სასამართლოსა და გამოძიებისაგან განთავისუფლდეს, ხოლო მისი განზრახვა თურქეთში გაქცევის შესახებ საეჭვოდ დარჩეს; და რადგანაც ადრეევ იყო იგი მხილებული თურქეთში გაქცევის განზრახვაში და უზენაესი ბრძანებით ეპატია, იმის გამო, რომ მან მთავრობას განუცხადა ზოგიერთ პირთა მთავრობის მიმართ მოღალატური ზრახვები, — დაევალოს ადგილობრივ პოლიციას, დააწესოს მასზე სათანადო მეთვალყურეობა. შემდეგ სენატმა განიხილა ბატონ სტატს-სეკრეტარ მურავიოვის მომართვა, რათა ბრალდებული წაყვანილ იქნას სალდათად რომ სამხედრო სამსახურში შევიდეს, სენატი სთვლის, რომ, რადგან ფალავანდოვს არა მიესაჯა რა, — არ უნდა იქნეს წაყვანილი სამხედრო სამსახურში. დანარჩენი ბრალდებულნი ჭელიძე და ქუთათელაძე, რომელნიც გულუბრყვილოდ მოქმედებდნენ, განთავისუფლებული იქნან. ხოლო საქართველოს უმაღლესი მმართველობის სუდა ი რასპრავის ექსპედიციის გადაწყვეტილება, როგორც საქმის ვითარე-

ბისთან და კანონებთან შეუსაბამო და დაყრდნობილი მხოლოდ ფალავანდოვის მდგომარეობის დამამძიმებელ მიხვედრებზე — უკუგდებულ იქნას, რაც ეცნობოს სათანადოდ.

აგვისტოს 28, 1830 წ.

დედანს ხელს აწერენ: ობერსეკრეტარის თანამდებობაზე მყოფი მაზურნი, სეკრეტარის თანამდებობის შემსრულებელი დვორიაშევი. დედანთან სწორია...[1]

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2700)

ყოფილ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
29 აპრილი, 1833 წ.

გაგიგონია თუ არა და ვისგან, რომ 1831 წელს იყო მსჯელობა იმაზე, რომ მოგესყიდნათ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი.

მე არავისგან გამიგონია ასეთი მსჯელობა.

ყოფილი პოდპორუჩიკი
თავადი ე. ერისთოვი.

გენერალ-მაიორი ჩეკინი.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება (XIV, 2702)

კავალერიის მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს
29 აპრილი, 1833 წ.

იმავე კითხვაზე ლ. ორბელიანი უპასუხებს:

მე არავისაგან გამიგონია, რომ 1831 წელს ყოფილიყო რამე მსჯელობა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მოსყიდვაზე.

კავალერიის მაიორი თავადი ლ. ლუარსაბ ორბელიანოვი.

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება (XIV, 2704)

ყოფილ სოვეტნიკ თავად ალექსანდრე ორბელიანოვს
იმავე კითხვაზე ალ. ორბელიანს უპასუხნია:

არც გამიგონია არც არავისგან შემიტყვია, ესრეთი გარემოება. წელსა 1833-სა, აპრილის 29-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

---

[1] რამდენიმე ხელის მოწერა.

ელიზბარ ერისთავის ჩვენება (XIV, 2710)

ყოფილ პოდპორუჩიკ თავად ელიზბარ ერისთოვს
29 აპრილი, 1833 წ.

მასწავლებელი ავთანდილოვი აჩვენებს, რომ თბილისიდან მხედრობის წასვლა 1832 წელს მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე პეტერბურგიდან თავადების ჩამოსვლა, როგორც არიან: კაპიტანი ჩელოყაევი, კორნეტი ერისთოვი და პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი, როგორც გამოცდილი ოფიცრები შეიქმნა თქვენთვის იმის მიზეზი, რომ შესდგომოდით თქვენი განზრახულების სისრულეში მოყვანას და რომ მან ეს სწორედ თქვენგან გაიგონა. განმარტეთ, მართლა უთხარით თუ არა ეს ავთანდილოვს.

ბატონ მასწავლებელ ავთანდილოვს ეს სწორად არ უჩვენებია, რადგან მე მისთვის არ მითქვამს ეს.

პოდპორუჩიკი
თავადი ე. ერისთოვი.

გენერალ-მაიორი
ვოლხოვსკი.

დიმიტრი ერისთავის განმარტება (XIV, 2712)

თუმცა მე კომისიას განვუცხადე, რომ პუნქტების მიხედვით განრიგება 10 ნოემბერს წავუკითხე თავად იასე ფალავანდოვს მეთქი, მაგრამ როგორც უფრო ზუსტად გამახსენდა, — მე მას წავუკითხე იგი იმავე თვის 11 რიცხვში.

არტილერიის პრაპორშიჩიკ თავადი დიმიტრი ერისთოვი.
1833 წლის 29 აპრილი.

პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბაზ — აბათი 268, 270
აბაზ — მირზა 268.
აბაშიძე თინათინ, ფილადელფოს კიკნაძის დედა 32.
აბაშიძე ხოსრო 421.
აბელაშვილი დავითი 442.
აბხაზეთი 363, 364,
აბხაზი (აფხაზი) ანტონი 76, 82, 89, 90, 100—102, 136, 159, 208, 209, 212, 261, 242, 278, 286, 288, 289, 296, 299, 300, 311, 373, 374, 378, 420, 421, 424, 428, 457, 464, 474, 500, 502, 511, 518, 540, 551, 557, 558; 564, 565, 568. 579; 602, 618, 621.
აბხაზი (აფხაზი) იოანე 266.
ავალიშვილი, თავადი, 100, 177, 298.
ავთანდილაშვილი ზაალი, 21, 73, 82, 105, 116, 119, 128—130, 143, 148, 157, 184—186, 196, 202, 206, 210, 211; 216, 218, 219, 223, 250—252, 285—287. 290, 301, 307, 364, 367, 377, 380, 426, 452, 520, 524, 525, 550, 551, 560. 562, 571, 584, 613, 628.
ათონის მთის ივერიის მონასტერი 199.
ათონის მთის ჯვრის მონასტერი 199.
აკის გზა 187.
ალაბეგაშვილი ზაალ 375.
ალექსანდრე I 168, 291.
ალექსი, ღარიბი რუსი 299.
ალექსიშვილი დავითი, რექტორი 435, 481.
ალექსიშვილი დიმიტრი, დეკანოზი 139, 481.
ალექსიშვილი ეფრემი, მღვდელი 94, 98, 99, 142, 149, 150, 200, 211, 223, 309, 428, 475, 511, 538.
ალექსიშვილი-მესხიშვილი მართა 331 — 334, 339, 362, 365, 367, 413, 419, 426, 432,
ალექსიშვილი-მესხიშვილი ტარასი, მღვდელ-მონაზონი 21, 94, 96, 98, 122, 134, 136, 137, 140, 147, 151, 159, 188, 198, 255, 276, 288, 305, 362, 413, 419, 437, 512, 528.
ალი ეიბ ოღლი, არახლუს მამასახლისი 89.
ალ ბარ ყარბაშ ოღლი, ბორჩალოელი თათარი 111.
ალეირი 163, 240, 353.
ამილახვარი ალექსანდრე 409, 513.
ამილახვარი ბარძიმი 93, 269, 271.

ამილახვარი პეჟანი 93, 304, 539, 555, 556.
ამილახვარი ბიძინა 408.
ამილახვარი გივი 513.
ამილახვარი გიორგი 310, 497.
ამილახვარი თეიმურაზი 74, 75, 77, 78, 91, 93, 122, 159, 222, 270, 297, 299, 304, 507, 538, 556.
ანანური 388.
ანდრონიკაშვილი აბელი 92, 117, 177, 229, 298, 318.
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 46.
ანდრონიკაშვილი იასე 446.
ანდრონიკაშვილი ივანე 93, 379.
ანდრონიკაშვილი ნინია 298.
ანდრონიკაშვილი რევაზი 499, 542.
ანა, ფარნაოზ ბატონიშვილის მეუღლე 164.
ანტონ კათალიკოსი 132, 143, 217, 277.
არაგვი 46.
არაქსი, არეზი 107, 113.
არბო, სოფ. 270, 377, 408, 409, 516, 599, 600.
არზრუმი 369, 559.
არღუთინსკი ნიკოლოზი 133.
არწრუნი (სახლის მფლობელი) 537.
ასტრახანი 445.
აღა მალი, ალექსანდრე ბატონიშვილის მსახური 396.
აღა მაჰმად ხანი 428.
აწყურის ციხე 356, 359.
ახალი ზაქათალა 529.
ახალციხე 413, 593.
ახალციხის ფაშა 7—8.
ახვერდოვი 375, 380, 385, 393, 395, 397.
ახვერდოვის სახლი, (დოდაშვილი ცხოვრობდა) 229, 318, 517.

ბ

ბაგრატიონი, გენერალი 537.
ბალა მაჰმადა, ბორჩალოელი თათარი 109, 110.
ბაგანი, პანსიონის პატრონი 314.
ბამბაკი 110.
ბარათაშვილი დავით 92, 527.
ბარათაშვილი ივანე 396, 398, 400—403, 412, 419, 426, 527.
ბარაშკინი, ს. დოდაშვილის მეუღლის მამობილი 136, 246.
ბარბარე, ბაგრატ ბატონიშვილის ასული 188.
ბასტამაშვილი ბასტამი 498.
ბატონიშვილები:
ალექსანდრე 7, 8, 39, 44, 48, 50, 84, 89, 99, 105—110, 112—115, 121, 123, 134, 136, 144, 145, 148, 157, 158, 160, 163, 165, 166, 207, 210, 214, 216, 217, 220, 221, 225, 227, 233, 235, 242, 245, 248, 254, 255, 265, 268, 269,

273, 289, 292, 303, 310, 313, 316, 323, 326, 338, 345, 365, 396, 444, 454, 462, 486, 487, 491, 492, 496, 534, 541, 543, 544, 553, 554, 576, 577, 581, 589, 593, 595, 600, 601, 612, 619, 621.
ანასტასია 193, 194, 540, 542, 543, 544.
ბაგრატი 33, 81, 188, 228, 246, 262, 316, 429, 435, 474.
დავითი 167, 353, 376, 435, 481, 482.
დიმიტრი 19, 20, 23, 24, 39, 60, 118, 119, 122, 151—156, 163, 165, 166, 183, 184, 186, 187, 193—195, 202, 203, 207, 217, 221, 222, 230, 232, 236. 241, 248, 249, 253, 255, 261, 262—265, 292—294, 316, 328, 333, 336, 343, 351—353, 361—365, 378, 382, 403, 404, 406, 416, 419, 420, 470, 472, 473, 476, 479, 486, 497, 509, 519, 539, 540, 541, 544, 554, 610, 619, 620, 622—625.
ელენე 223.
ვახტანგი 7.
თამარი 50, 92, 95, 107, 119, 194, 204, 242, 243, 325, 326, 331—337, 363—365, 368, 378, 382, 384, 407, 419, 426, 432, 469, 474, 476, 477, 512, 514, 592—594, 607, 610, 611, 616, 617, 621.
თეიმურაზი 136, 156, 166, 200, 223, 228, 247, 262, 274, 277, 352, 396. 519.
თეკლა 92, 117, 230, 242, 338, 343, 345, 346, 367, 384, 389, 430, 431, 445.
ივანე 247.
ილია 235, 248, 262.
იოანე 354, 413, 436.
ირაკლი 236, 262, 316.
იულონი 7, 345.
ბატონიშვილები:
ლევანი, იულონის ძე 269.
ლუარსაბი 187, 193—195, 230, 236, 255, 262, 353, 361, 403, 519, 541, 543.
მარიამ დედოფალი 292, 294.
მირიანი 236, 533.
მიხეილი 236, 247, 395.
ნინო 443, 469, 608.
ოქროპირი 22, 24, 34, 35, 39, 44, 78, 79, 81, 83, 85—88, 92, 99, 103, 125, 149, 151, 154, 160, 163, 164, 166, 167, 172, 185, 193, 195, 197, 202—205, 211, 228, 229, 231—233, 235, 236, 248, 253, 255—258, 262, 294, 320, 324, 330, 340, 343, 350, 351, 361, 362, 384, 394, 443, 452, 467, 470, 472, 473, 475—478, 480—482, 489, 509, 519, 523, 524, 540, 546, 581, 614, 615, 619, 620, 621.
რიფსიმე, ზაქარია ჩოლოყაშვილის დედა 241, 452.
სალომე 193, 194, 540, 542—544.
ფარნაოზი 7, 8, 42, 46, 64, 85, 99, 102, 136, 139, 152, 156, 162, 164, 167, 207, 227, 236, 247, 249, 255, 256, 262—264, 292—294, 315, 316, 328, 338, 352, 403, 407, 409, 410, 431, 439, 443, 444, 469, 472, 473, 477, 478, 486, 543, 544, 591, 621.
ქეთევანი 384.
ბებუთაშვილი, თავადი 221, 475.
ბეგლაროვი აღაბეგ 225.

ბენკენდორფი, გრაფი 347, 357, 423, 440, 514.
ბესარაბია 599.
ბესტუჟევ-რიუმინი 28, 68.
ბიპერი, ფრანგი არქიტექტორი 97, 320.
ბირიულოვი, პოლკოვნიკი 340.
ბირკი, მსახიობი 533.
ბისტრომი, გენერალი 260.
ბორჩალოს დისტანცია 78, 84, 88, 123, 144, 230, 234, 256, 311, 347, 355, 357, 361, 445.
ბოჰემია 41.
ბროსე მარი 156, 163.
ბულგარინი 15, 148.
ბუტერლინი 566—568.

გ

განგებლოვი 12, 13, 16.
ვანძა, სოფ. 112.
გარსევანი, ალექსანდრე ბატონიშვილის მსახური 110.
გეინე, თელავის კომენდანტი 46.
გერგანე, იერომონახი 190.
გერცენი ა. 29.
გიმრი (გუმბრი) 289, 454, 507, 559.
გიორგი მეფე 148, 179.
გოდენიერი, პანსიონის მფლობელი პეტერბურგში 261.
გოლიცინი, თავადი 198, 566—568.
გორი, გორის მაზრა 40—42, 80, 238, 261, 263, 269, 272, 283, 296, 302, 344, 372, 384, 408, 427, 436, 506, 599, 600.
გორიაჩევოდსკი 24, 475.
გორჩაკოვი, გენერალი 356, 359.
გუმბერგი, თბილისის გიმნაზიის დირექტორი 208.
გურგენიძე სოლომონი 604.

დ

დადიანი 168, 367, 368, 375, 378, 404, 406, 425.
დავიდოვი, გენერალი 347, 356, 357.
დავით გარეჯი 199.
დანიელი, იეროდიაკონი 504.
დაღისტანი 279, 347, 362, 387, 410, 444.
დერბენტი 455.
დიასამიძე დავითი 174, 175.
დიბიჩი, ბარონი 389, 533.
დმანისი, სოფ. 111.
დოდაშვილი ივანე, სოლომონ დოდაშვილის შვილი 246.
დოდაშვილი კონსტანტინე, სოლომონ დოდაშვილის შვილი 246.

დოდაშვილი სოლომონი 29, 22—29, 32—38, 47, 50, 52, 58—61, 73—75, 77, 78, 80, 87, 91, 93, 94, 96—105, 115, 117, 118, 123, 124, 129, 130, 144—146, 148, 149, 155, 157, 158, 167, 177, 184—187, 196, 204, 218, 219, 222, 223, 228, 229, 231, 242, 243, 278, 284, 285, 290, 294—300, 302, 303, 307—313, 318, 324—326, 333, 360, 362—365, 367, 374, 379, 380, 394, 400, 423, 425, 428, 429, 435, 339, 442, 443, 454, 452, 456, 458, 461, 462, 464, 465, 474, 476, 478, 488, 489, 497, 565, 500, 502, 511, 527, 537, 540, 541, 544, 545, 547, 550, 551, 557—559, 562, 567, 568, 570, 573, 579, 591, 615, 617, 621,
სტეფანე 99, 152, 439, 474, 475.
დოსითეოსი, არქიეპისკოპოსი 137, 139, 140, 256.
დუშეთი 238, 260, 263, 267, 272, 283, 413, 417, 506, 508.

ე

ეგვიპტე 327, 348, 354, 488, 559.
ევროპა 5, 10, 11—13, 15, 16, 81, 144, 167, 247, 616.
ეზდანოელი ნასყიდა 389.
ეკატერინე, იმპერ. 168.
ეკატერინოგრადი 506.
ელენე, ლუარსაბ ორბელიანის ქალი, დადიანზე გათხოვილი 168.
ელიზაველტოპოლის ოლქი 110.
ენაკოლოფაშვილი მიხეილი 389, 396, 410, 510.
ერევანი 113, 136, 272, 286, 291, 491, 593.
ერევნის ხანი 8, 268.
ერისთავები ალექსანდრე, ელიზბარის ძმისწელი 41.
ერისთავი ბესარიონი, არქიმანდრიტი 46.
ერისთავი ბიძინა 74, 77, 91, 92, 124, 133, 151, 173, 181, 182, 200—202, 225, 278, 283, 309, 360, 361, 383, 410, 420, 430, 446, 488, 516, 546, 547, 589, 592, 600—604
ერისთავი გიორგი დავითის ძე 20, 32, 39, 47, 54, 55, 58, 59, 62, 63, 82, 91, 93, 95, 96, 115, 116, 123, 129, 132—134, 137, 138, 139, 143, 145—147, 159, 160, 162, 176, 182, 184—186, 196, 197, 200, 203, 205—207, 209, 212, 214—217, 222, 226, 229, 233, 244, 245, 250, 251, 259, 264, 270, 271, 273, 278, 280, 284, 285, 299, 300, 301, 304—308, 312, 313, 319, 332, 336, 337, 343, 346, 362—367, 370, 374, 376—380, 382, 388, 392, 394, 395, 397, 398, 402, 403, 405, 406, 407—409, 412, 418, 430, 431, 435, 449, 451, 459, 465, 472, 476—478, 490, 491, 524, 526, 531, 536, 537, 545, 550, 552, 558, 562, 574, 576, 587, 590, 594, 595, 605—607, 621, 625.
ერისთავი გიორგი რევაზის ძე 19, 21, 23, 39, 43, 44, 74, 85, 88, 104, 122, 129, 130, 134, 138, 148, 151, 153—155, 159, 160, 165, 166, 176, 177, 183, 191, 194, 201, 218, 251, 255, 256, 263, 278, 280, 286—289, 290—293, 296, 299, 319, 327, 330, 340, 343, 350, 355, 363, 375, 379, 388, 390, 394, 403, 404, 430, 431, 433, 451, 453, 455, 467, 473, 483, 485, 487—491, 500, 501, 508, 512, 518, 519, 536, 542, 552, 558, 561, 562, 566, 567, 569, 575, 578, 586, 587, 595, 596, 600, 620, 623, 628.

ერისთავი გიორგი, სენატორი 38, 88, 97, 117, 158, 159, 178, 192, 221, 291. 308, 385, 394, 437, 442, 537, 538, 615—618.
ერისთავი გრიგოლი, ელიზბარის ძმა 503.
ერისთავი დავითი 53, 55.
ერისთავი დიმიტრი 19, 20, 23, 39, 77, 85, 88, 96, 99, 119, 129, 136, 137, 147, 148, 151, 153, 156—159, 162, 165, 166, 183—187, 194, 196, 207, 210, 216—218, 220, 224, 226, 243, 251, 255, 256, 263, 278—280, 283, 300—303, 305, 313, 335. 337, 341, 354, 382, 386, 387, 391, 402, 403, 408, 432, 433, 449, 451, 453. 459, 472—478, 480, 493, 503. 505, 511, 519, 520, 522, 532, 540, 542, 543, 548, 551, 552, 561, 567, 568, 575, 578, 581, 585, 587, 591, 592.
ერისთავი ელიზბარი 20—23, 29, 30, 32, 37—40, 42—44, 47, 50, 52, 59—61, 63, 76—82, 84—86, 91—93, 95—98, 100, 106, 108, 114—116, 123—132, 134, 136—139, 142, 143, 147, 150, 151, 153, 155—159, 161, 162—164, 166, 167, 170, 174, 181—186, 192, 194, 196, 201—203, 205, 206, 209—219, 215—227, 231, 233, 235, 236, 239, 243, 245—249, 251, 253—264, 273, 274, 278—280, 284, 286—289, 291, 299, 293—296, 300—313, 324, 328. 331—346, 354, 360, 362—364, 367, 368, 371, 373, 375, 376, 378, 379—393, 395, 397, 398, 401, 403—420, 424, 425, 427, 429, 430, 431, 433, 434, 436, 442, 445, 447, 449, 450, 451, 456, 458, 462, 463, 469, 470, 472—477, 480, 486, 487, 489, 490—493, 496—498, 500, 501, 503, 506, 508, 509, 513, 516, 518—520, 523—527, 530, 532, 535, 536, 538, 542—550, 552, 553, 557—561, 564, 567—575, 577, 578, 580, 581, 586, 587, 590—593, 595—597, 600, 604, 600—610, 612, 614—619, 621—628.
ერისთავი ზაზა 383.
ერისთავი ზაქარია 152, 154, 195, 354, 361, 403.
ერისთავი ზურაბი 371.
ერისთავი თორნიკე 387.
ერისთავი ივანე 91, 93, 95, 191, 192, 201, 202, 266, 363, 377.
ერისთავი იასე, ელიზბარის ძმა 221, 283, 299, 390, 538, 539, 549.
ერისთავი ლევანი 91, 93, 95, 150, 270, 283, 375, 390, 391, 408, 409, 446, 600.
ერისთავი მელანია 386, 407, 437.
ერისთავი რაფიელი 55.
ერისთავი ქეთევანი 41.
ერისთავი შალვა 41, 93, 91, 384, 411, 420, 463, 466, 509.
ერისთავი შანშე, ელიზბარის მამა 38, 67, 127, 436, 437.
ერმოლოვი, გენერალი 157, 268, 347, 357, 369, 445, 447.
ესპანეთი 12, 348.

ვ

ვაკულსკი 484.
ვალი, სოფ. ქავანარჩის მცხოვრ. 140, 141.
ვარდის უბანი 249.
ვარლამი, მიტროპოლიტი 137, 198, 235, 266, 277, 278, 524, 525, 563.
ვარნის ციხე 241.
ვარშაძე ა. ქ. 76, 81, 101, 123, 125, 222, 230, 240, 241, 301, 359, 365, 454, 545, 546, 550, 552, 554, 555, 559, 614, 615, 618—623, 625.

ვასილ ჟანდარმი 580.
ვაჩნაძე ქაიხოსრო 319.
ვახვახიშვილი, მაიორი 46.
ვახტანგ VI 174.
ვახტანგი, დავით მეფის უკანონო შვილი 369, 421, 429.
ვეისი 494, 502, 523, 562, 563.
ველიამინოვი, გენერალი 347, 356.
ვენევიტინოვი, გენერალი 14.
ვერე, მდ. 434.
ვერიოვკინი 86.
ვიეტკა 29, 36.
ვილნო, 162.
ვილნის გუბერნია 484, 533.
ელადიკავკავის ხეობა 330, 351.
ვოლინსკი, გენერალი 46.
ვოლხოვსკი 67, 77, 78.
ვოლტერი 23, 42.
ვორონეჟი 495, 503, 505, 506, 521.
ვორონცოვი, გრაფი 421.

ზ

ზავილეისკი პეტრე 44, 48, 49, 84, 96, 105, 149, 151, 155, 161, 168, 171, 233, 237, 240, 243, 245, 248, 252, 254, 259, 262, 265—267, 269, 270, 271, 275, 280, 285, 295, 311, 313, 317, 320, 340, 346, 351, 364, 373, 389, 408, 415, 416, 418, 423, 429, 441, 487, 496, 497, 499, 515, 516.
ზავილეისკი მათე 368, 415.
ზაგარნეთი, სოფ. 106.
ზანდუკელი მ. 65—69.
ზაპოროშჩენკო, სიღნაღის ოლქის უფროსი 98.
ზაქათალა, 238.
ზედგინიძე, აზნაური 82.
ზედუბანი 249.
ზეტი 12.

თ

თათარი ალაეერდი 574, 576.
თათარი ისმაილი 574.
თარხნიშვილი ალექსანდრე 368.
თარხნიშვილი დავითი 331—333, 339, 365, 398, 400, 405, 420, 426, 432—434.
თარხნიშვილი დიმიტრი 331—334, 365, 398, 400—405, 420, 426.
თარხნიშვილი ზაზა 420.
თარხნიშვილი ლუარსაბი 128, 216, 245, 275, 344, 405, 420, 511, 516, 590.
თბილისი 8, 33, 35, 38, 40, 42, 46, 68, 81, 83, 85, 88, 89, 97, 107, 111, 112, 118, 123, 125, 130, 137, 140, 141, 144, 154, 156, 159, 162, 164, 169, 171, 172, 183, 184, 195, 196, 199, 214, 219, 223, 230, 233, 236—238, 240, 242, 244,

245, 251, 256, 262, 266, 269, 277, 284, 292, 295, 296, 311, 314, 315, 319, 321. 325, 328, 330, 334, 335, 340, 344, 351, 355, 356—359, 362, 363, 369, 371, 372, 377, 381, 382, 384, 385, 404, 437, 439, 445, 470, 472, 473, 476, 493, 500, 516, 544, 546, 551, 555, 565, 581, 591, 610, 614, 619—625, 628.
თელავი 55, 56, 146, 237, 314, 359, 399, 604.
თეოფანე, დავით გარეჯის ბერი 194.
თინია, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მეუღლე 63.
თუმანიშვილი ბირთველი 92, 93, 95, 202, 221, 301, 459, 520. 585.
თუმანიშვილი გიორგი 585.
თუმანიშვილი პაველ 135, 384, 411, 420, 512.

ი

იავლენოკი, მკურნალი 276, 436.
იაკუშინი, დეკაბრისტი 12.
იარალი (შანშიაშვილი) 62—65, 135, 354, 362, 470, 472, 480, 532, 533.
იბრეიმ ყარა მამედ ოღლი, ჩილდირელი თათარი 106, 113, 116.
იერუსალიმი 50, 95, 199, 200, 333, 362.
ივანე, ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილი, თურქეთში ლტოლვილი 369.
იზმაილოვი, პროპორშჩიკი 286.
ილინსკი, პოლკოვნიკი 503, 505, 563.
იმერეთი და იმერლები 7, 8, 160, 165, 240, 267, 356, 369, 371, 375, 385, 404, 406, 430, 455, 483, 517, 593, 610.
იმერელი თავადიშვილი 215.
იმირ ჰასანი, სოფ. 111, 141.
ინგლისი, ინგლისელები 149, 151, 155, 163, 247, 257, 309, 453.
ინგოროყვა პ. 67.
იოანე, სიღნაღის მიტროპოლიტი 227.
იონა ექსარხოსი 129.
იონა იგუმენი 481.
იოსელიანი პლატონი 475.
იოსელიანი ეგნატე 475.
იოსელიანი პრაპორშჩიკი 399.
ირანი (სპარსეთი), სპარსელები 39, 46, 93, 129, 134, 173, 185, 187, 159, 207, 218, 220, 221, 223—225, 240, 243, 254, 257, 268, 279, 272, 276, 278, 309, 315, 323, 326, 357, 439, 447, 528, 541, 552, 576, 577, 590, 593, 610, 615, 616, 618.
ირანის (სპარსეთის) შაჰი 30.
ისმაილ მადათ ოღლი 144, 145, 147.
ისმეილ აღა ახალციხელი 89.
იტალია 348.
იხზი-ახჩი, ტყვეთა შემსყიდველი ოსმალო 137.

კ

კავკასია 340.
კავკასიის ხეობა 164, 472.

კალაგირი, სოფ. 476.
კალატოზიშვილი იოსები 271.
კამენკა 19.
კარამზინი 510, 524, 525.
კასპიის ზღვა 593.
კახეთი. კახელები 8, 34, 42, 54, 55, 57, 98, 100, 101, 108, 125, 126, 129, 130, 139, 144, 168, 186, 202, 210—212, 216, 229, 234, 237, 241, 265, 304, 314, 319, 399, 400, 406, 408, 409, 415, 421, 423, 447, 459, 461, 462, 468, 475, 483, 486, 487, 594, 598.
კახოვსკი, დეკაბრისტი 28 კიკნაძე იოანე, ფილადელფოსის მამა 52.
კიკნაძე ფილადელფოსი 20, 34, 44, 47, 51, 52—58, 65, 97, 124, 133, 134, 139, 143, 145—147, 176, 197, 216, 217, 285, 286, 306, 336, 394, 395, 399, 406, 475, 476, 480—482, 504, 505.
კობიაშვილები 81, 82.
კოდა, სოფ. 109, 110.
კოლოჩაევსკი, მაიორი 503, 506, 521.
კომაროვსკი 80.
კონსტანტინეპოლი 199, 369.
კოტოვი, ბიბლიოთეკარი 209, 428.
კოჯრის მთა 141.
კრაკოვი 23, 479.
კრასნოსელი 154.
კრუპსკი, სტუდენტი 26, 27, 33, 436.
კუმისი, სოფ. 141.

ლ

ლაზარევი, პოლკ. 7, 508, 563—565.
ლებედევი 533.
ლეკები 126, 137, 189, 238, 226, 344, 347, 445, 447, 566, 593.
ლეონიძე ანდრია 195, 405, 404, 509, 513, 535—537, 580.
ლეტელიე 43, 48, 152, 154, 155, 162, 163, 317, 352, 353, 484, 485.
ლორენტი, პანსიონის მფლობელი 260.
ლორთქიფანიძე ბესო 370, 371.
ლორთქიფანიძე გიგო 385.
ლორთქიაფნიძე თეიმურაზი 37, 75, 76, 369, 374, 381, 385, 406, 422, 430, 434, 484, 513, 517.
ლორის-მელიქოვი სტეფანე 133, 298, 423, 443, 462, 473.

მ

მაგი ბეგი (ჩილდირის) 113.
მაინის ფრანკფურტი 23, 479.
მამაცაშვილი გაბრიელი 195, 215, 607, 611.
მამაცაშვილი იოსები 57, 115, 124—126, 132, 142, 157, 186, 197, 206, 210, 214, 224, 244, 273, 285, 290, 374, 375, 379—382, 384, 391, 401, 403, 406, 420, 435, 510, 524—526, 530, 531, 536, 560, 569—572, 575, 580, 584, 605, 622.
მამაცაშვილი ნიკოლოზი 244.

მამაცაშვილი პრაპორშჩიკი 367, 378, 404, 406, 509, 517, 518. 532, 535—537, 611—613.
მამაცაშვილი ქაიხოსრო 244.
მატანი 241.
მაღალაშვილი დიმიტრი 183, 319, 513.
მაღარო, სოფ. 32. 81.
მაჩაბელი დავითი 211.
მაჩაბელი ივანე 91, 93.
მაჩაბელი სიმონი 116. 124, 599.
მაჩაბელი შეგირდი 208, 474, 476.
მაჰმადა, ბორჩალოელი თათარი 105
მდივანი ეფენდი 137.
მელიქიშვილი ალექსანდრე 12, 173, 409.
მელიქიშვილი კორხგაზი 455, 514.
მელიქიშვილი ზურაბი 603.
მელიხოვი, მსახიობი 533.
მელნიკოვი, ელიზბარის სიძე 39, 144, 185, 209, 216, 220, 257, 305, 341—343, 374, 375, 378, 380—382, 384—386, 389, 392—395, 408, 412, 424. 425, 429, 476. 522.
მელნიკოვის მეუღლე მელანია 342.
მესხიშვილი გაბრიელ 191.
მეტეხის ციხე 320, 329.
მეუნარგია იონა 45, 46.
მეფე გიორგი 444.
მეფე ერეკლე 278. 428, 452.
მეფე სოლომონი 7, 8.
მექა 137.
მეღვინეთუხუცესი კონსტანტინე 244.
მეხტი ყული ხანი 225.
მეჯერის ხევი, სოფ. 408, 409.
მთაწმინდელი გრიგოლ 482.
მთიელები, მთიულეთი 46, 54, 215, 249, 511, 620, 623, 628.
მირიმანიშვილი ოსიპ 604.
მირონა, მოქალაქე 602.
მიცკევიჩი 392, 526.
მოზდოკი 508, 563—565.
მოლა ზამანა 48, 74, 88, 89, 105—107, 110—113, 133, 140, 141, 160, 226, 310, 496, 577, 594, 595.
მოსკოვი 18, 85, 86, 94, 100, 125, 151, 154, 155, 163, 166, 167, 195, 204, 227, 230, 233, 234, 236—239, 243, 246, 247, 250, 253, 257, 260, 262, 163, 267, 268, 270, 271, 273—278, 280, 284, 292, 294, 311, 316, 322, 326, 327, 344, 350, 358, 395, 440, 443, 472, 475, 504, 519, 563, 581.
მოძღვრიშვილი, მასწავლებელი 82.
მურავიოვი ნიკიტა 17, 22, 28.
ნურაჩოვი, კაპიტანი 602, 603.
მუხრან ბატონი, მუხრანსკი 63, 111, 118, 141, 158, 181, 225—228, 245, 250, 288,

308—310, 321, 336, 361, 364, 369, 370, 384, 387, 409, 416, 420, 441, 445, 458, 480, 499.
ეუხრანი, სოფ. 409.

ნ

ნაბოძარი, სოფ. 249.
ნათალიშვილი 92, 93, 95, 249, 296, 367, 368, 374, 375, 384, 394, 406, 420, 441, 448, 499, 517.
ნაპოლეონი ბონაპარტი 320, 321, 328, 348, 350.
ნაღვარევი, სოფ. 40, 41.
ნახიჩევანი 136, 491.
ნესტორიანი 110, 594, 595.
ნიკიფოროვი კაპიტანი 520.
ნიკოლაი მკურნალი 52.
ნიკოლოზ I 12, 15, 26, 36, 65, 66, 68.
ნიჟნი ნოვგოროდი 52, 63, 394, 463, 480.

ო

ოდესა 41, 199, 369, 455.
ოდიე 67, 320, 321, 328—330, 348, 350.
ოდილიონ ბარრო 539.
ონიკაშვილი ალექსანდრე 92, 173, 517, 579.
ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე 20, 35—39, 44, 47—52, 58, 59, 61, 62, 68, 73, 74, 77, 82, 84, 86—96, 98, 100—130, 139, 141—145, 147, 151, 155, 157, 159—161, 164, 167, 171, 173, 174, 178, 181, 184—186, 192, 196, 200—216, 217—223, 225, 226, 229, 233, 235, 240, 241—243, 245, 248, 250, 251—255, 258—269, 273, 274, 278, 283—291, 294—309, 311—313, 317, 318, 320—322, 329, 332—335, 337—340, 345, 346, 360—362, 364—366, 369, 370, 373—385, 389, 392, 394, 395, 398, 400—433, 435, 436, 439—441, 445, 446, 449, 450, 452—455, 457—461, 465, 470, 471, 474, 475, 480, 486—490, 492—494, 496, 500—501, 507—509, 513, 516, 517, 523, 524, 527, 529, 538, 540, 542, 544, 546, 548, 550, 552—559, 569—579, 581, 590, 592, 594—596, 600, 605, 606, 608, 610, 614—621, 624, 626, 627.
ორბელიანი ალექსანდრე გიორგის ძე 91—94, 114, 115, 144, 145, 148, 215, 245, 275, 299, 345, 346, 360, 379, 385, 389, 397, 410, 412, 434, 437, 466, 574, 577, 590.
ორბელიანი ასლანი 91—94, 226.
ორბელიანი გრიგოლი 20, 23, 30, 32, 38, 39, 53, 53—63, 65—69, 92, 95, 135, 205, 431, 434, 436, 477, 480, 609.
ორბელიანი დავითი 168, 256, 423.
ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე 23, 44, 62, 85, 88, 93, 100, 110, 111, 151—153, 165, 166, 194, 218—219, 222, 230, 247, 261, 263, 290, 291, 293, 304, 307, 309, 362, 363, 379, 385, 403, 412, 419, 435, 450, 452, 455, 469, 474, 484,

508, 517, 530, 540, 556, 563, 565, 566, 595, 604, 611, 613, 616, 619, 621, 623, 628.
ორბელიანი დიმიტრი, მარშალი 322, 333, 338, 339, 343, 367, 451, 456, 457.
ორბელიანი ეფემია 68.
ორბელიანი ვახტანგი 22—24, 30, 32, 35, 39, 58, 62, 63, 77, 105, 115, 128, 129, 153, 157, 184—187, 194, 196, 200, 202, 203, 206, 207, 211, 212, 273, 284, 285, 287, 288, 290, 291, 299, 300, 301, 306, 307, 312, 313, 321, 329, 331—337, 354, 361, 364—368, 371, 373, 374, 378, 380, 382, 385, 391, 395, 403, 406, 410, 425, 426, 432, 435, 439, 449, 458, 459, 465, 469, 470, 474, 477, 480, 500—502, 509, 512, 518—520, 524, 530, 534—536, 547, 548, 551, 553, 554, 559, 566, 567, 569, 575, 578, 580, 587, 595, 596, 604—606, 612, 613, 621, 623.
ორბელიანი ზაალი 566.
ორბელიანი ზაქარია 63, 64.
ორბელიანი თამაზი — 8 : 256.
ორბელიანი ლუარსაბი 39, 43, 49, 60, 73, 77, 79, 85—87, 103—106, 108, 114, 116—118, 120, 157—159, 161, 167—170, 181, 192, 217, 222—224, 227, 242, 243, 256, 265, 290, 294, 298, 302, 308—310, 317, 319, 332, 333, 337, 338, 341—343, 346, 360, 363, 364, 375, 381, 383, 385—389, 393, 396, 400, 410, 411, 420, 425, 430, 432—434, 438, 440, 442, 443, 446, 449—451, 456, 463, 469, 471, 479, 486, 488, 490, 492, 493, 496, 508, 509, 515—517, 523, 552, 559, 565, 581, 584, 585, 587, 590, 595—598, 601, 610, 619, 624, 627.
ორბელიანი მამუკა 91, 93, 94, 100, 117, 159, 222, 242, 298, 333, 337—339, 343, 346, 354, 363, 372, 377, 378, 382, 384, 394, 407, 412, 420, 427, 444, 456, 514, 516, 523, 599, 600, 601, 606, 607.
ორბელიანი მანანა 256, 341, 342, 344, 380, 393, 394, 396, 430, 434, 467, 616.
ორბელიანი მარიამი 63.
ორენბურგი 51.
ოსეთი 205, 265, 313, 390, 442, 487, 600, 615.
ოსმალეთი, თურქეთი 137, 144, 173, 182, 199, 240, 241, 257, 270, 278, 311, 323, 357, 369, 421, 447, 459, 528, 590, 593, 610, 618, 626.

პ

პანოვი 320.
პარიზი 42, 233, 256, 203, 225.
პასკევიჩი 250, 257, 262, 268, 285, 325, 347, 357, 369, 389, 395, 451.
პაულუჩი 42, 409.
პაუშენკო 48, 49, 51, 92, 321, 367, 373, 375, 378, 382, 383, 415, 420, 513, 529, 530, 581.
პესტელი 18, 28.
პეტერბურგი 25, 27, 28, 30, 34, 37, 44, 60, 68, 79, 82, 85, 86, 88, 94, 96, 99, 100, 122, 125, 133—137, 139, 140, 147, 151—154, 160—162, 164, 166, 167, 176, 182, 183, 184, 186, 193—195, 199, 200, 203, 204, 218, 227, 230, 231—234, 236—239, 242, 243, 246—248, 250, 253, 257, 260, 261, 263, 264,

267, 268. 270. 271, 271. 273—276, 278. 280, 284, 289, 292, 294, 304, 311, 314—316, 319, 352—354, 358, 361, 363, 368, 382, 391, 394—396, 403. 404, 408, 411, 413, 423, 435, 436, 439, 443, 452, 467, 468, 471—475, 478, 481. 484, 285, 500, 502, 505, 509, 514, 521, 522, 528, 540, 543, 544, 544, 551, 563, 566—568, 591, 607, 614, 621, 623, 624, 628.
პიპინი 31.
პოლონეთი, პოლონელები 17, 18, 49, 76, 118, 123, 128, 151. 152, 154, 155, 162. 163, 202, 216, 219, 221, 224, 229, 230, 235, 240, 241, 247, 253, 258, 268. 270, 280, 291, 293, 297, 299, 305, 306, 319, 320, 338, 352. 353. 359, 361, 368, 377, 379, 387, 406, 416, 419, 429, 440, 442, 448, 453, 461, 462, 467, 476, 484, 485, 499, 526, 533, 543, 581, 597, 610, 616, 619.
პოპეიკა 446.
პრიბილი, ექიმი 251, 359, 387, 464, 465, 540, 560.
პორფირი ბერი 481—483.
პუშკინი 13, 15, 18.

რ

რაზმაძე სოლომონი 24, 58, 61, 65, 93, 95, 96, 160, 166, 184, 185. 195, 206, 207, 217, 218, 221—223, 274, 286, 293, 309, 318, 354, 362, 364, 380, 391, 392, 396, 403, 419, 431, 435, 439, 442, 443, 470, 472, 475, 476, 478, 480, 511, 513, 526, 539, 551, 564, 595, 614, 616.
რიაზანი 399.
რიგა 42, 315.
რიეგო 12.
რილეევი კ. 11, 15, 22, 25—30, 33, 34, 38, 53, 61, 62, 436.
როზენი, გენერალი 24, 50, 129, 285, 316, 342, 347, 399.
რომანოვი თავადი 566—568.
რტიშჩევი გენერალი 157.
რუისი, სოფ. 244.
რუსიშვილი ი. 92, 93, 95, 298.

ს

საგარეჯო, სოფ. 483.
საგინაშვილი, პოდპოლკოვნიკი 603.
სავარსამიძე, თავადი 221, 600.
სალმაზი, ირანის პროვინცია 106.
სანკოვსკი, ცენზორი 207—313.
სანკოვსკი, პოლკოვნიკი 284, 286.
სარაჯიშვილი, ი. ფალავანდიშვილის სიძე 300, 422, 423.
სარდარაბადი 268, 272.
სასიერთი, სოფ. 244.
საფრანგეთი 10, 12, 15, 23, 43, 79, 87, 121, 133, 142, 151, 154, 155, 163, 165, 240, 247, 258, 264, 275, 278, 320, 321, 392, 398, 607.
სემიონოვი 12, 19.
სვირი 8.
სიმონა, ალექსანდრე ბატონიშვილის მსახური 113.

სიმონეთი, სოფ. 137
სიმონირი, გრაფი 93, 217, 223, 224, 274, 396.
სიპიაგინი 238.
სიღნაღი, სიღნაღის მაზრა 33, 81, 82, 98, 99, 130, 219, 229, 237, 246, 298, 307, 312, 314.
სოკოლოვი, რუსეთის ელჩი 7.
სომეხი დავითა 141.
სომხები, სომხეთი 275, 297, 298, 306, 408, 428, 508, 563, 564.
სტავროპოლი 495, 505, 506, 562.
სტალინი ი. 10.
სტრეკალოვი 238, 320, 322, 323.
სტრემილოვი, უნტეროფიცერი 529—532.
სულხანი, ხელოსანი 482.
სულხანიშვილი, მღვდელი 604.
სუმბათაშვილი ლუარსაბი 444.
სუმბათაშვილი, პოლკოვნიკი 510.
სურაპი 244.

ტ

ტაგანროგი 426.
ტალიაშვილი, მღვდელი 227.
ტამბოვი 42, 46, 315.
ტორმასოვი, გენერალი 157, 269.
ტრაპიზონი 369.
ტულა 473, 503.
ტულაშვილი 394, 591.
ტურგენევი ი. 11, 13, 15.
ტურიშვილი დავითი 344.

უ

ურდობათი, სოფ. 268.

ფ

ფალავანდიშვილი გიორგი 269.
ფალავანდიშვილი მაია 269.
ფალავანდიშვილი იასე 20, 39, 48, 50, 63, 75, 77—80, 82, 84, 86, 89, 96, 98, 99, 100—102, 104, 105, 115—119, 121, 124, 128, 133—136, 150, 157, 159, 160, 161, 174, 205, 206, 208—211, 221—225, 235, 243, 251, 254, 259, 261, 286—292, 296, 304, 312—314, 320, 321, 328, 330, 333, 337, 348, 363, 368, 372, 374, 375, 378, 388, 393, 395, 397, 398, 407, 421, 429, 432, 433, 440, 441, 449—451, 454—457, 465, 470, 471, 477, 498, 500—502, 507, 508, 511, 512, 514, 515, 517, 518, 526, 527, 548, 552, 553, 555—569. 573, 575, 578, 579, 584, 587—589, 592, 596, 602, 604—607, 616, 617, 621, 625—628.
ფალავანდიშვილი ნიკოლოზი 229, 302, 440, 443, 447, 449, 457, 458, 566.
ფედოროვი ნიკიფორე, დიმიტრი ყოფიანის მამობილი 242, 250.

ქ

ქართველები. ქართლი 130. 186. 211, 375. 377. 396, 447, 449, 463, 483, 514. 622.
ქაფანარჩი, სოფ. 140.
ქაფანჯრი, სოფ. 111.
ქვიშხეთი 249.
ქიზიყი 8, 33, 54.
ქისტაური 399.
ქისტები 273, 399.
ქობულაშვილი ბარბარე 389.
ქობულაშვილი ევგენი 444.
ქობულაშვილი ნინია 40, 42.
ქოსა მუსტაფა 48, 106, 107, 109, 112—114, 496.
ქუთათელაძე. იმერელი 626.
ქუთაისი 8, 9, 369, 484.
ქურთები 121.

ყ

ყაბარდო 354.
ყადიმ ნაღდალ ოღლი, ბორჩალ. თათარი 140. 141.
ყაზახის დისტანცია 444.
ყაზი მოლა 326, 327, 450, 471.
ყამარლი, სოფ. 107.
ყარაბაღი 314, 424, 465, 568, 619.
ყარა მოლა 110.
ყარაპარლი. სოფ. 111, 140, 141.
ყარაშვილი, ექიმი 359.
ყარსი 281, 454, 488.
ყარსის ფაშა 9.
ყიზილბაშები 268, 504.
ყიზლარი 508.
ყირიმი 454.
ყიფიანი დიმიტრი 73. 82, 116, 120, 126, 128, 129, 131, 143, 157, 184—187, 196, 203, 206, 210, 211. 216. 218—220. 223, 249, 278, 285—287. 290, 301, 307, 364, 367, 378—380, 459, 520, 623.
ყიფიანი მარიამი, დიმიტრის დედა 249, 250.
ყორღანაშვილი ზალიკო 134. 136, 147, 149, 158, 159, 225, 276, 424, 490, 491, 512.
ყორღანაშვილი ივანე 185.
ყორღანაშვილი. მაიორი 344, 346, 486.

შ

შავი ზღვა 593.
შარურის ოლქი 107, 109.
შერვაშიძე 363. 364, 379, 463.
შესტენკო, პოდპოლკოვნიკი 52.
შიხილ ალია 88, 89, 110, 111, 140,

შტეინგელი, დეკაბრისტი 15, 26.
შუამთა, შუამთის მონასტერი 52, 55, 176, 399.
შულავერი 110.

ჩ

ჩახუნაშვილი ზალიკო 371, 385, 485.
ჩერნიშოვი 24.
ჩერქეზი 362, 411.
ჩეჩნები, საჩეჩნო 127, 173, 219, 222, 238, 273, 371, 622.
ჩილდირი 112, 113.
ჩიჯავაძე გრიორგი 370, 375, 385, 484.
ჩიჯავაძე ნიკო 370, 371, 375, 385, 484.
ჩოლოყაშვილი აბელი 46.
ჩოლოყაშვილი ალექსანდრე 24, 99, 100, 151—153, 166, 194, 263, 293, 302, 353, 361, 362, 403, 410, 452, 475, 541.
ჩოლოყაშვილი ზაალი 241, 242.
ჩოლოყაშვილი ზაქარია 18, 23, 24, 32, 38, 43, 63, 73, 78, 79, 82, 83, 85, 86, 88, 90, 97—99, 104, 105, 117, 120, 121, 124, 127, 129, 130, 133, 134, 150, 157, 159, 161, 165, 167, 169—171, 181, 182, 201, 202, 209, 211, 212, 218, 219, 226, 227, 236, 241, 258, 259, 261, 262, 265, 289, 290, 291, 293, 295, 301, 302, 309—310, 317, 319, 334, 335, 337, 343, 350, 363, 367 378, 379, 395, 432, 433, 438, 443, 444, 449, 458, 467, 469, 471, 472, 477, 479, 488, 494, 512, 518, 544, 547, 548, 552—554, 566—569, 581, 587—589, 591, 595—598, 604, 608, 621, 623, 628.
ჩოლოყაშვილი თადია 92, 93, 117, 149, 151, 171, 183, 192, 201, 578.
ჩოლოყაშვილი ივანე 353, 361, 403, 419.
ჩოლოყაშვილი ლუარსაბი 194, 353, 403.
ჩოლოყაშვილი მიხეილი 241, 242.
ჩოლოყაშვილი ომანი 100.
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო 100, 241, 242.
ჩხეიძე ლეონი, ჰაჯი მაჰმადად წოდებული ქართველი ტყვე 137.

ც

ცაიშვილი სოლომონი 45.
ცარსკოე სელო 540, 541.
ცებრიკოვი, ოფიცერი 284.
ციციშვილი ზაქარია 46, 82, 83, 95, 128, 142, 143, 216, 225, 245, 272, 345, 380, 516, 569.
ციციშვილი პაატა 446.
ციციშვილი სოლომონი 411.

წ

წერეთელი გრიგოლი 368, 370, 422, 434.
წულუკიძე ივანე 442.
ჭავჭავაძე ალექსანდრე 32, 38, 42—48, 54, 55, 58—60, 87, 94, 100, 102, 104—106, 108, 117, 118, 120, 126, 130, 150, 152, 155, 156, 158—162, 164, 167, 181, 182, 191, 192, 206, 212, 217, 220—224, 231, 233, 236, 237, 240, 242, 243,

245, 248, 250—252, 254, 258, 259, 262, 265—267, 269—271, 275, 276, 280, 298, 309, 311, 314, 324, 338—340, 342, 345, 346, 353, 360, 364, 365, 373, 378, 384, 390, 397, 398, 400, 419, 430, 431, 438, 442, 443, 446, 464, 465, 470—472, 477, 479, 485, 488, 489, 490, 496, 513, 515, 579, 583—592, 595—609, 615, 616, 618, 619.
ჭავჭავაძის მეუღლე სალომე 314, 583.
ჭავჭავაძის ქალიშვილები 259, 434, 607.
ჭავჭავაძე ზურაბი 62, 160, 383, 420.
ჭავჭავაძე რომანი 470.
ჭალა, სოფ. 270, 480.
ჭარი 314.
ჭელიძე, ნ. ფალავანდიშვილის კაცი 626.
ჭილაშვილი იაგორი (გიორგი) 366, 374, 378, 464—466.
ჭრელაშვილი, სიონის ტაძრის მღვდელი 82.

ხ

ხაზარეთი 113.
ხანიკოვი 14.
ხატისოვი, მოქალაქე 604.
ხანქალამოვი, მოქალაქე 417.
ხელაშვილი იონა 33, 34, 147, 187, 246—248, 354, 419, 435, 436.
ხერთვისი 137.
ხერუმოვი არესტარხი 82, 229.
ხერხეულიძე 375, 380, 385, 393, 394, 517.
ხირსის მონასტერი 52.
ხოზროვი, სოფ. ირანში, სადაც ცხოვრობდა ალექსანდრე ბატონიშვილი 107, 109. 113.
ხოის ქვეყანა 106, 107.
ხრამი მდ. 140.

ჯ

ჯავახიშვილი ესტატე 403, 469, 473, 478, 479.
ჯავახიშვილი მიხეილი 577, 578.
ჯაგახიშვილი ქაიხოსრო 383, 420, 578.
ჯელალი ოღლი, სოფ. 551.
ჯორჯაძე დავით 63, 183, 184, 186, 193, 202, 206, 215, 217, 221. 222, 237, 261, 263, 270, 285, 292, 293, 298, 354, 368, 374, 375, 379—381, 420, 498, 499, 509, 519, 520, 526, 531, 534—537, 580, 584, 617.
ჯორჯაძე იეანე 298, 362, 382, 384, 390, 403, 406, 408, 479, 498, 499, 517.

ჰ

ჰამბურგი 453.
ჰასან-ჰაჯალუ, სოფ. 74, 88, 89, 111, 140.
ჰელსინგფორსი 40, 41.
ჰოფმანი 22.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გ. გოზალიშვილის შესავალი წერილი — 1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა 5

მ ა ს ა ლ ე ბ ი

შეთქმულთა ჩვენებები

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 73
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 73
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 74
ალექსანდრე ორბელიანის პასუხი კომისიის კითხვებზე 74
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 76
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 77
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 78
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 79
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 85
ელიზბარ ერისთავის პასუხი კომისიის კითხვებზე 86
ქევხა შიხილ-ალიას ჩვენება 88
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 89
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 90
ანტონ აფხაზის დამატებითი ჩვენება 90
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 91
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 93
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 94
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 95
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 96
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 99
ელიზბარ ერისთავის პასუხი კომისიის კითხვებზე 100
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 104
ისე ფალავანდიშვილის ჩვენება 105
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 106
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 108
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 108
მოლა ზამანსა და ქოსა მუსტაფას პირისპირ წაყენება 112
ალექსანდრე ორბელიანისა და ქოსა მუსტაფას პირისპირ წაყენება . . . 114
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 114
საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 115
ელიზბარ ერისთავის პასუხების გაგრძელება 116

საგამომძიებლო კომისიის სხდომის ოქმი 123
სოლომონ დოდაევის ჩვენება 124
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 127
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 133
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 134
გიორგი რევაზის ძე ერისთავი ჩვენება 134
ზაალ ყორღანაშვილის ჩვენება 135
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 136
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 137
ცნობა ლეონ ჩხეიძის შესახებ 138
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 138
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 139
ბორჩალოს დისტანციის სოფ. გიულიერის თათარ ყადიმ ნაღდალ-
ოღლის ჩვენება 140
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 142
ისმაილ მადათ ოღლისა, ალექსანდრე ვახტანგის ძისა და ალექსან-
დრე გიორგის ძის ორბელიანის პირისპირ წაყენება 144
სოლომონ დოდაშვილის პასუხები კომისიის კითხვებზე 145
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 147
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 149
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 151
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 151
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 153
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 156
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 161
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 162
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 164
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 166
ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ჩვენება 167
ონიკოვის ჩვენება 173
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 174
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 176
დიმიტრი ერისთავის პასუხი 176
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 176
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 177
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 181
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 181
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 182
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 183
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 183
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 184
ზაალ ავთანდილიშვილის ჩვენება 184
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 185
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 185
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 186
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 187

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 191
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 192
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 192
დავით ჯორჯაძის პასუხები კომისიის კითხვებზე 193
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 198
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 200
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 201
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 201
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 202
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 204
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 214
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 223
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 225
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 228
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 229
დიმიტრი ორბელიანის პასუხები 230
ვახტანგ ორბელიანის პასუხები 234
დავით ჯორჯაძის პასუხები 237
გიორგი დავითის ძე ერისთავის პასუხები კითხვით მუხლებზე 238
ზაქარია ჩოლოყაშვილის პასუხები 241
იოსებ მამაცაშვილის პასუხები 244
სოლომონ დოდაშვილის პასუხები 246
დიმიტრი ყიფიანის პასუხები 249
ზაალ ავთანდილაშვილის პასუხები 252
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 255
ლუარსაბ ორბელიანის პასუხები 256
გიორგი რევაზის ძე ერისთავის პასუხები 259
ელიზბარ ერისთავის პასუხები კითხვით მუხლებზე 263
იოანე ერისთავის პასუხები 265
თეიმურაზ ამილახვრის პასუხები 267
ბარძიმ ამილახვრის პასუხები 269
ივანე ამილახვრის პასუხები 271
ზაქარია ციციშვილის პასუხები 272
სოლომონ რაზმაძის პასუხები 274
ბალიკო ყორღანაშვილის პასუხები 276
ბერ-მონაზონ ტარასის პასუხები 276
გივი ამილახვრის განმარტება 283
დიმიტრი ერისთავის პასუხები 283
იასე ფალავანდიშვილის პასუხები 296
ანტონ აფხაზის პასუხები 311
ალექსანდრე ჭავჭავაძის პასუხები 314
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 318
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 319
საგამომძიებლო კომისიის 13 თებერვლის სხდომის ოქმი 319
ოქროპირ ბატონიშვილის პასუხები 322
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 328
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 329

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 330
გიორგი რევაძის ძე ერისთავის ჩვენება 331
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 331
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 332
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 332
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 334
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 334
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 336
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 337
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 337
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 338
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 340
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 342
მანანა ორბელიანის წერილი როზენისადმი 342
ლუარსაბ თარხნიშვილის პასუხები 344
მამუკა ორბელიანის განმარტება 345
ცნობა ოდიეს შესახებ 348
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 350
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 353
მამუკა ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე 354
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 361
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 364
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 365
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება 367
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 368
თეიმურაზ ლორთქიფანიძის ჩვენება 369
მამუკა ორბელიანის ჩვენება 372
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 373
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 375
ლევან ერისთავის ჩვენება 375
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 375
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 376
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 377
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 379
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 380
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 381
იოსეს მამაცაშვილის ჩვენება 381
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 383
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 385
თეიმურაზ ლორთქიფანიძის პასუხები 385
მელნიკოვის ჩვენება 385
დავით ჯორჯაძის ჩვენება 390
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 392
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 393
სოლომონ დოდაშვილის პასუხი 394
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 395
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 396

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 396
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 397
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 398
პროპორშჩიკ იოსელიანის ჩვენება 399
სოლომონ დოდაშვილის პასუხები 400
ლუარსაბ ორბელიანის პასუხები 400
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 401
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 401
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 402
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 402
დავით ჯორჯაძის ჩვენება 403
ელიზბარ ერისთავის პასუხები კომისიის კითხვებზე 405
საგამომძიებლო კომისიის ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის პორუ-
ჩიკ მამეკა ორბელიანოვის რაპორტი 407
ივანე ბარათაშვილის ჩვენება 412
ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენება 412
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 413
ცნობა ძმებ ზავილეისკების შესახებ 415
პაუშენკოს ჩვენება 415
დიმიტრი ორბელიანის პასუხები 419
ლუარსაბ ორბელიანის პასუხები 420
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 421
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 425
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 425
ზაალ ავთანდილაშვილის პასუხები 425
თამარ ბატონიშვილის პასუხი კომისიის შეკითხვაზე 426
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 427
სოლომონ დოდაშვილის პასუხები 428
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 429
სოლომონ დოდაშვილის მიერ ბაგრატ ბატონიშვილის ძის დავითის
სახელწოდების დღისათვის დაწერილი მილოცვა 429
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 430
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 430
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 431
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 431
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 432
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 433
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 433
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 434
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 435
ექიმ იავლენსკის მოხსენება 436
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 438
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 438
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 439
დავით აბელაშვილის ჩვენება 440
იასე ფალავანდიშვილის სიტყვიერი ჩვენება 440
ივანე მელნიკოვის ჩვენება 441

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 441
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 442
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 442
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 443
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 443
მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის განმარტება 444
ნათალიშვილის ჩვენება 448
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 449
კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ კოლეგსკი რეგისტ-
რატორს თავად იასე ფალავანდოვს 457
კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუჩიკ თავად
ელიზბარ ერისთავს 453
კითხვითი პუნქტები. სამსახურიდან გადამდგარ პოდპორუჩიკ თავად
ანტონ აბხაზოვს 454
კითხვითი პუნქტები სამსახურიდან გადამდგარ პორუჩიკ ალექსანდ-
რე გიორგის ძე ორბელიანოვს 456
კითხვითი პუნქტი კავალერიის პორუჩიკ თავად გიორგი რევაზის ძე
ერისთოვს 457
კითხვითი პუნქტი ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტან
თავად ჩელოყაევს 469
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 469
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 470
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 472
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 473
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 474
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 474
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 475
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 477
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 478
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 478
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 479
დავით ჯორჯაძის ჩვენება 479
გენერალ-მაიორ ჩევკინის ნარკვევი 480
ქ. თბილისის პოლიცმეისტერის ცნობა 482
გენერალ-მაიორ ჩევკინის ჩანაწერი 483
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 483
გენერალ ვაკულსკის რაპორტი როზენისადმი 484
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 484
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 486
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 486
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 487
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 494
ალექსანდრე ორბელიანის პასუხები კომისიის კითხვებზე . . . 496
ანტონ აბხაზის ჩვენება 500
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 501
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 501
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 502

ელიზბარ ერისთავის ჩვენება 501
ფილადელფოს კიკნაძის ჩვენება 504
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 505
თეიმურაზ ამილახვრის ჩვენება 507
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 508
პრაპორშჩიკ მამაცოვის სიტყვიერი ჩვენება 509
იოსებ მამაცაშვილის სიტყვიერი ჩვენება 510
პოლკოვნიკ სუმბათაშვილის რაპორტი 510
პატიმართათვის ჩამორთმეული ქაღალდების სია 510
ჯამბაკურ-ორბელიანის ჩვენება 514
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 515
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 516
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 516
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 517
ანტონ აბხაზის ჩვენება 518
პრაპორშჩიკ მამაცოვის ჩვენება 518
მაიორ კალაჩევსკის მოხსენებითი ბარათი 521
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 523
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 524
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 526
დავით ჯორჯაძის ჩვენება 526
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 527
ჯამბაკურ-ორბელიანის ჩვენება 527
მღვდელ-მონაზონ ტარასის ჩვენება 528
ცნობა სტრემილოვზე 529
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 529
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 530
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 530
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 531
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 531
დავით ჯორჯაძის ჩვენება 531
დიმიტრი ერისთავის წერილი ძმის ელიზბარისადმი 532
დავით ჯორჯაძის ჩვენება 535
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 535
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 536
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 536
პრაპორშჩიკ მამაცოვის ჩვენება 536
გიორგი ერისთავის ჩვენება 537
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 537
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 538
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 539
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 540
ანტონ აბხაზის ჩვენება 540
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 540
ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორის რაპორტი 541
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 542
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 542

დიმიტრი ერისთავის ჩვენება 543
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 541
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 545
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 546
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 548
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 549
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 550
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 551
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 552
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 553
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 555
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 556
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 557
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 558
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება 559
გიორგი ერისთავის ჩვენება 558
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 559
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 560
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 560
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 561
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 562
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 562
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 563
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 564
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 564
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 565
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 565
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 567
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 567
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 568
ანტონ აბხაზის ჩვენება 569
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 568
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 569
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 569
ზაქარია ციციანოვის ჩვენება 570
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 570
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 571
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება 572
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 572
იოსებ ფალავანდაშვილის ჩვენება 573
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 574
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 574
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 575
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 575
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება 576
ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის ჩვენება 577
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 578

ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 579
ანდრია ლეონიძის ჩვენება 580
პაუშენკოს თხოვნა 581
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 582
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 582
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება 583
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება 584
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 584
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 585
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 586
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 586
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 587
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება 587
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 589
ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის პასუხი 590
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 591
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 591
ლუარსაბ ორბელიანის პასუხი კომისიის კითხვაზე 592
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 594
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 595
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 596
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება 596
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 597
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 598
სვიმონ მაჩაბლის ჩვენება კომისიასა შინა 599
ცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვალის შესახებ 602
მეორე ცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვალის შესახებ 603
ცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ სახაზინო სპილენძის ყიდვის შესახებ 603
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 604
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 605
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 605
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 606
იასე ფალავანდიშვილის ჩვენება 607
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 608
ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენება 608
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 609
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 609
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 610
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება 610
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 611
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 612
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 612
ელიზბარ ერისთავის ჩვენება 612
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 613
დიმიტრი ორბელიანის ჩვენება 613
სოლომონ რაზმაძის ჩვენება 614
სოლომონ დოდაშვილის ჩვენება 615

იასე ფალავანდიშვილის ჩვენება . . 617
დავით ჯორჯაძის ჩვენება 617
ანტონ აბბაზი ჩვენება 618
ვახტანგ ორბელიანის ჩვენება 619
დიმიტრი ერისთავის ჩვენება 620
გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენება . . 620
ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება 621
იოსებ მამაცაშვილის ჩვენება 622
ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენება . . . 622
დიმიტრი ყიფიანის ჩვენება . . . 623
ელიზბარ ერისთავის ჩვენება . . . 624
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება . . . 624
გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება . . 625
დადგენილება იასე ფალავანდიშვილის შესახებ 625
ელიზბარ ერისთავის ჩვენება . . . 627
ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება . . 627
ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება . . 627
ელიზბარ ერისთავის ჩვენება . . . 628
დიმიტრი ერისთავის განმარტება . . . 628
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი . 629